

ნათელა ვაჩინაძე
ნინო თომაძე

დამარცხებული საქართველო

(თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები)

ნაწილი I

შესავალი

2006 წელს, ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (GNSF) დააფინანსა საგრანტო პროექტი „დამარცხებული საქართველო (1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები თბილისში)“. პროექტის ხელმძღვანელი გახლდათ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ვაჩაძე, ხოლო მისი წევრები გახლდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი შველიძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი ნინო თომაძე და ისტორიის აკადემიური დოქტორი მაია გურაბანიძე.

ნაშრომი მიძღვნილია ეროვნული ხელისუფლების დამხობისადმი საქართველოში /1992 წლის 6 იანვარი/, რაც განიხილება როგორც ნაყოფი წინარე ხანებში განვითარებული მოვლენებისა, უმთავრესად პოლიტიკური დაპირისპირებებისა 1987 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო გადატრიალების ჩათვლით და იმ მოკლე და გრძელვადიანი შედეგებით რაც დაპირისპირებებს მოჰყვა. ეს გახლავთ დაპირისპირებები თავდაპირველად ეროვნულ მოძრაობაში, შემდგომ გაღრმავებული დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო უფრო გვიან ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. დაპირისპირება შემდეგში ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ აზგირთებულ შეიარაღებულ ამბოხებაში გადაიზარდა და მისი დამხობით დასრულდა. რა იყო ამ პერმანენტული კონფორონტაციის მიზეზები, რატომ განვითარდა მოვლენები ასეთი დრამატული სცენარით და მხოლოდამხოლოდ საქართველოში დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მომხრე იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ პანაკს შეადგენდნენ ?! ყველა ეს საკითხი მეცნიერულად დასაბუთებული და სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომპლექსურად შესწავლილი გახდა დამოუკიდებელი მონოგრაფიის საგანი: “პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში /1987-1992 წწ./”, გამომცემლობა უნივერსალი, თბ; 2008; ასე ეწოდება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დიმიტრი შველიძის მონოგრაფიას, რომელიც ზემოაღნიშნული საგრანტო თემის ნაწილი -საისტორიო გამოკვლევაა. ბ-ნმა დიმიტრი შველიძემ იმთავითვე გამოკვეთა საკვლევი პრობლემის ნაწილი, რომელიც ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად შეისწავლა და ცაკლე მონოგრაფიად გამოაქვეყნა. საგრანტო თემაზე მუშაობის მანძილზე ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ კვარტლური „ანგარიშის“ დროდადრო მიღება -ჩაბარებით იფარგლებოდა.

ავტორის აზრით, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მიმდინარე შეიარაღებული ამბოხებისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეტროპოლიის ჩარევის შედეგად დაემხო ეროვნული ხელისუფლება, რაც მის

მიერ შეფასებულია როგორც ანტიეროვნული, სუვერენიტეტის საწინააღმდეგოდ მიმართული რევანშისტური და ნაწილობრივ ავტორიტარული სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყანაში შეიარაღებული კონფრონტაციის ფორმით ერთმენტს დაუპირისპირდა ქართველი ხალხის უმცირესობა და უმრავლესობა, რამაც გამოავლინა გადატრიალების ანტიეროვნული არსი. დიმიტრი შველიძის აზრით გადატრიალებამ გამოიწვია ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვა-დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით და მეტროპოლიის გავლენის აღდგენით გამოვლინდა გადატრიალების კონტრსუვერნული ბუნება. მან სოციალური სტატუსი აღუდგინა პოლიტიკურ და კულტურულ ელიტას, რითაც გაამჟღავნა თავისი რევანშისტული ხასიათი. დაბოლოს ავტორმა წამოაყენა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გადატრიალება მიმართული იყო პირდაპირ ეროვნული ხელისუფლების მეთაურის წინააღმდეგ, რადგან მისი მმართველობა ნაწილობრივ ავტორიტარულ ხასიათს ატარებდა. მმართველობის ამგვარი სტილი ობიექტური მიზეზებით იყო გაპირობებული, მაგრამ ამ მიზეზებს საზოგადოების ერთმა ნაწილმა ანგარიში არ გაუწია და, მთელი რიგი წყალქვემა დინებებით ატორიტარული მმართველობის წინააღმდეგ აზვირთებული მოძრაობა დიდ საპროტესტო მოძრაობად იქცა და გადატრიალებით დასრულდა. თავად გადატრიალება კი ამბოხებულთა მიერ ანტიავტორიტარულად იქნა სახელდებული. ასეთია ბ-ნ დიმიტრი შველიძის აზრი ჩვენთვის საინტერესო პრობლემაზე.

საგრანტო თემის მეორე ნაწილის ანუ წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა წილად ხვდათ ისტორიის მეცნიერებათა აკადემური დოქტორს ნინო თომაძეს და თქვენს მონამორჩილს. პირველად თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მოხდა პროცესების ეპიცენტრში მყოფი პირების, თვითმხილველთა და უშუალო მონაწილეთა, გადატრიალების ორგანიზატორთა, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა მრავალსაათიანი მონათხოვების ჩაწერა. რა თქმა უნდა არ უნდა შეგვექმნას აზრი, რომ ავტორებმა მოიცვეს საზოგადოების ყველა ფენა, მაგრამ ამაზე არ წყდება ჩვენი მუშაობა ამ პრობლემაზე, მონათხოვების ჩაწერა გრძელდება და კვლავ გაგრძელდება.

ნაშრომის ამ ნაწილში შევიდა დოკუმენტური მასალა, -განცხადებები, მიმართვები, პირადი წერილები, - რომელებშიც ასახულია საქართველოში არსებული ვითარება, როგორც გადატრიალების წინარე, ისევე შემდგომ ხანაში.

წყაროთცოდნეობითი ბაზა დიდად გამდიდრდა უცხოეთში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტებითა და უცხოენვანი პრესით, რომელიც ჩვენ საგანგებოდ მოვიძიეთ, ვთარგმნეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ. პრესის მასალების გამოყენებისას საჭიროა მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა, კრიტიკული მეთოდის გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიული ფაქტები შესაძლოა გამოჩენდეს მრუდე სარკეში. ასევე აღსანიშნავია კერძო არქივებში მოკლეული აუდიო-ვიდეო მასალა, განსაკუთრებით ფარული კამერით გადარებული სცენები და ჩაწერილი ტექსტები, რომელიც ნათელს პოზიციის

ზრახვებს და მიზნებს და რომლის მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს ვთავაზობთ მკითხველს.

ვფიქრობთ, რომ გადატრიალება განსხვავებული მსოფლგაგების და ხედვების, არაერთგვაროვანი მიღების შედეგია. ძმათამკვლელი ომი, მეტადრე ისეთ პატარა ქვეყანაში როგორიც საქართველოა და ისეთ მცირერიცხოვან ერში როგორიც ქართველი ერია ყველა შემთხვევაში დაუშვებელია, ხოლო ქვეყანა დამარცხებული.

1991-1992 წლების მოვლენები თბილისში და მათ შედეგად მომხდარი შეიარაღებული გადატრიალება საქართველოში ნეგატიურ დამოკიდებულებას იმსახურებს და უნდა დაიგმოს ისევე როგორც მისი ანალოგები საერთაშორისო ცივილიზირებული საზოგადოების მიერ.

თანამედროვე პრესაში მკითხველი შეხვდება ეროვნული ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ განმარტებას - „შეიარაღებული არაფორმალური სამხედრო დაჯგუფებების, კრიმინალური ბანდების, კომუნისტური იდეოლოგიის ადეპტების, საქმოსნების, სუკ-ის ნომენკლატურის, ხელისუფლების გარეშე დარჩენილი პოლიტიკური პარტიების, წამყვან პოზიციებზე მყოფი ინტელიგენციის მიერ მოწყობილი გადატრიალება, განხორციელებული საერთაშორისო შეთქმულების ფონზე საქართველოს სახელმწიფო ბრივი ინტერესების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ, “რადგან საქართველო იყო მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელმაც დინების საწინააღმდეგოდ იწყო სვლა.

ასეთია ეროვნული ხელისუფლების თვალსაზრისი, ხოლო შეცდომები, რომებიც ოპოზიციის განმარტებით ხელისუფლებამ დაუშვა არცერთი მხარის ადამიანთა ერთ წვეთ სისხლად არ ღირდა, რადგან ამჯერადაც როგორც სხვა შემთხვევებში მომხდარა დაიღუპნენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული რიგითი ჯარისკაცები ხოლო თავად მომწყობნი და აქტიური მონაწილენი ქვეყნის სათავეში მოექცნენ.

ნათელა ვაჩნაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

2006 წლის მაისში, ეროვნული სამეცნიერო ფონდის (GNSF) მიერ გამოცხა-დებულ საგრანტო კონკურსში ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა განაცხადი შეიტანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით. ამავე წლის ოქტომბერში, გავიმარჯვეთ და შევუდექით ჩვენზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, თუმცა ძალიან მაღე, მე, გრანტის მენეჯერი, ისტორიის დოქტორი ნინო თომაძე და მთელი ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი მძიმე რეალობის წინაშე აღმოვჩნდით.

ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, რომელიც სისტემატურად ითხოვდა ჩვენგან განვითარებული სამუშაოს ანგარიშს და ანარმობდა მის მუდმივ მონიტორინგს, დააკისრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (რომლის რექტორი 2006-2008 წლებში-გრანტის მიმდინარეობის პერიოდში-იყო პროფესორი გიორგი ხუბუა), დავეკმაყოფილებინეთ ოფისით და დროულად მოეხდინა საჭირო ტექნიკისა და ავეჯის შესყიდვის ორგანიზება. ოფისის ქირას ჩვენი მოგებული ფულიდან ფონდი ურიცხავდა უნივერსიტეტს, ავეჯისა და ტექნიკის საყიდელი თანხებიც ჩვენსავე ხარჯთაღიცხვაში იყო განერილი და გრანტის ბიუჯეტს შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულება: არ მოგვცეს ოფისი, რის გამოც ორი წელი ვიყავით ფრონტულ პირობებში- ერთი წლის დაგვიანებით შეიძინეს ჩვენთვის განკუთვნილი ტექნიკა და ავეჯი, ამიტომ მუშაობა მოგვიხდა ჩვენი პირადი ხარჯებით, ამას დაერთო სახელფასო დაგვიანებებიც, რაც დამატებით პრობლემებს გვიქმნიდა. მიუხედავად ამისა, პირნათლად შევასრულეთ ჩვენზე დაკისრებული ვალდებულებები და ნაშრომი დანიშნულ დროს დავამთავრეთ.

ბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გვარდიის მაღალჩინოსნებს: ან გარდაცვლილ გენერალ-ლეიტენანტ თამაზ დუმბაძეს და გენერალ-მაიორ ზაურ უჩაძეს, რომლებიც დაგვთანხმდნენ ინტერვიუზე და გულწრფელად გააუდერეს საკუთარი პოზიცია, რასაც ვერ ვიტყვი სხვა სამხედრო პირებზე-ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს გოგი პაპავაძესა და გვარდიის ერთ-ერთ შემქმნელ გენერალ-ლეიტენანტ ჯემალ ჭუმბურიძეზე, რომლებმაც შეხვედრა დაგვითქვეს და ბოლო მომენტში, გაფრთხილების გარეშე, არ მოვიდნენ, პრაქტიკულად მოგვატყუეს. ასევე, მინდა აღვიშნო, რომ გენერალმა გია ყარყარაშვილმა კატეგორიულად არ ისურვა ჩვენს ჯგუფთან შეხვედრა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ნაშრომი დაინერა, წყაროები შეიკრიბა, რომელთაც ვთავაზობთ დაინტერესებულ საზოგადოებას.

ნინო თომაძე

ისტორიის აკადემიური დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საქართველოს ისტორიის ლექტორი;

მონვეული პროფესორი

ინტერვიუები

თენგიზ სიგუა

2007 წლის 8-30 იანვარი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, 15 წელი გავიდა თბილისის მოვლენებიდან. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენებს? რა ფორმულირება უნდა მიყუსადაგოთ? რა ვუწოდოთ და რატომ ვუწოდოთ ასე? თქვენი თვალსაზრისი.

თენგიზ სიგუა: ჩემი აზრით, ეს იყო ეროვნული ტრაგედია. ის, რაც მოხდა 91 წლის დეკემბერში და 92 წლის იანვარში, ეს ორკვირიანი სისხლისმლერები ომი ქალაქის ცენტრში, ეროვნულ ტრაგედიად უნდა შეფასდეს, ცხადია. მაგრამ აქ მთავარია, რამ გამოიწვია ეს, მიზეზების გამოკვლევა.

ნათელა ვაჩნაძე: ამის შესახებ კიდევ ცალკე დაგისვამთ შეკითხვას და მერე მოვისმინოთ თქვენი პასუხი, რომელიც, რასაკვირველია, ყველაზე მეტად გვაინტერესებს. ეროვნულ ტრაგედიას უწოდებთ დღეს, თუ ასეთი თვალსაზრისი გქონდათ მაშინაც, რომ მოსალოდნელი იყო ტრაგედიის განვითარება?

თენგიზ სიგუა: მაშინ გეტყვით ასეთ დეტალს: 22-ში, როდესაც დაიწყო ეს ტრაგედია დილის 8 საათზე... იყო ასეთი ბესო ქუთათელაძე, იმუამად თავდაცვის მინისტრის მოადგილე. დილის 8 საათზე დაიწყო სროლები. დაახლოვებით დღის 11 საათზე ბესო ქუთათელაძე დამიკავშირდა მე პირადად ტელეფონით და მთხოვა შეხვედრა. ის ოფიციალური პირი იყო, თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ჩვენ შევთანხმდით შეხვედრაზე. მაშინ ოპოზიციის შტაბი იყო სასტუმრო „თბილისში“. ის გადმოვიდა სასტუმრო „თბილისში“. ჩვენ ვისაუბრეთ და მან გადმომცა პრეზიდენტ გამსახურდიას სურვილი, რომ სატელეფონო საუბარი შემდგარიყო ჩვენ შორის. ეს საუბარი შედგა. ამ დროისთვის უკვე, მონაცემებით, 4 კაცი იყო დაღუპული ამ სროლების შედეგად, 8 საათიდან 11 საათამდე. იყვნენ, ცხადია, დაჭრილებიც. მე მზადყოფნა გამოვთქვი და სატელეფონო საუბარი შედგა. ეს, სხვათა შორის, ყველაფერი ჩაწერილია ვიდეოფირზე, რომელიც ინახება ჩვენს ტელევიზიაში. დაახლოვებით ეს საუბარი გაგრძელდა 10 წუთის განმავლობაში, ჩვენ მოვილაპარაკეთ და მან გამოთქვა თანხმობა, რომ დაეტოვებინა მშვიდობიანად თბილისი.

ნათელა ვაჩნაძე: აჭარაში ხომ არ უნდა წასულიყო?

თენგიზ სიგუა: არა, არ თქვა, სად. თვითმფრინავი ტუ-134 თბილისის აეროპორტში გამზადებული იყო. მოლაპარაკების შედეგად შვილებს ის ტოვებდა თბილისში ჩემი პასუხისმგებლობის ქვეშ, ხოლო მეუღლე მიჰყვებოდა თან. საკითხი ასე დაისვა: თუ ის ქუთაისში მოინდომებდა ან ბათუმში ჩაფრენას, ან სხვა ქალაქში, აյ პრობლემა არ იყო, იმიტომ, რომ ჩვენს საპარაკო სივრცეს ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ თუ რესპუბლიკის დატოვება უნდოდა, მაშინ 2 საათით ადრე მაინც უნდა გაეფრთხილებინა, რომ ჩვენს აერონავიგაციას მოლაპარაკება ეწარმოებინა, ვთქვათ, ეს იქნებოდა რუსეთი თუ უკრაინა, რომ იმათ საპარაკო სივრცეში ჩვენს თვითმფრინავს შესვლის უფლება პქონოდა. მან თქვა, რომ არა, საქართველოს დატოვებას ის არ აპირებდა, ამიტომ ეს პრობლემა მოიხსნა. ოღონდ იყო მეორე პრობლემა – გარანტია. თვითონ მოითხოვა, რომ მე გავყოლოდი მას პირადად აეროპორტამდე. ასეც მოვილაპარაკეთ. მას აცილებდა კორტეჟი ექვსი მანქანით, ჩვენგანაც ექვსი მანქანა, და თორმეტი მანქანა სრულად უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას ტრასაზე, აეროპორტამდე. მე მას ვაცილებდი აეროპორტამდე, ხოლო აეროპორტში მისვლის შემდეგ ბესო ქუთათელაძე მიჰყვებოდა მას თვითმფრინავით საბოლოო პუნქტამდე. საბოლოო პუნქტი დასახელებული არ იყო. მოლაპარაკებით ეს ყველაფერი 4 საათამდე უნდა მომხდარიყო. დაახლოვებით 2 საათზე შედგა მეორე სატელეფონო საუბარი ისევ ბესო ქუთათელაძის ჩარევით. ბატონმა ზვიადმა თქვა, რომ მეუღლე არის ძალიან მძიმედ ავად და ამიტომ მოითხოვა დროის გადავადება. ამ საუბრის დროს მარტო ხომ არ ვიყვი, იქ ხალხი იყო და ისინი უკვე დაეჭვდნენ. იქ იყო გადამდგარი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე...

ნათელა ვაჩნაძე: ირაკლი სურგულაძე, ალბათ, არა?

თენგიზ სიგუა: ირაკლი იმ მომენტში არ იყო, თორემ ხშირად ჩვენთან ერთად იყო, რასაკვირველია. ამ დროს შეწყვეტილია ყოველგვარი სროლები, ორივე მხარემ აიღო ვალდებულება და 4 საათამდე არც ერთი გასროლა არ ყოფილა, ორივე მხარე პატიოსნად ასრულებდა ამ ვალდებულებას. მე მაინც ჩემს თავზე ავიღე პასუხისმგებლობა და მივეცი თანხმობა, რომ გადავადებულიყო ეს საღამოს 7 საათამდე. მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ჩემი გარემოცვა მართალი იყო და მე შევცდი. საღამოს 7 საათზე, მესამე სატელეფონო საუბრისას, ბატონმა გამსახურდიამ განაცხადა, რომ ეს მარტო მისი გადასაწყვეტი არ ყოფილა. რა არის საოცრება, იცით? ბოლო დღეებში იმ ე. ნ. „ბუნკერში“... არავითარი „ბუნკერი“ ის არ არის, ეს უურნალისტებმა დაარქვეს. ეს არის მინისტრთა საბჭოს სასადილო. იქ ვინც იყო, ის ხალხი... პირველი ინფორმაცია, სხვათა შორის, მომანოდა იმჟამინდელმა იუსტიციის მინისტრმა, ბატონმა ჯონი ხეცურიანმა. ეს სატელეფონო საუბარი რომ შედგა, ის მზად იყო წასასვლელად. მეტსაც გეტყვით — ამ სატელეფონო საუბარს ესწრებოდა მისი ქვისლი, რომელსაც მე ვიცნობდი. ის

მინისტრთა საბჭოში სამეურნეო სამმართველოში მუშაობდა, ძალიან პატიოსანი კაცი იყო, მერე როგორც აღმოჩნდა, თავი მოიკლა იქვე, 28 თუ 30 დეკემბერს --- იმ კაცსაც უთქვამს: “ზვიად, აუცილებლად უნდა წავიდეთო, იმიტომ, რომ ეს სისხლი მთლიანად ჩვენ დაგვეწერებაო”. ზვიადმა უთხრა: “პალტო შემომიტანეო”. მითხრა ხეცურიანმა, რომ გამზადებული იყოო. ამ დროს შემოვარდა ცოლის დაო, ლელე, აუტეხა პანიკა, როგორო, შენო როგორ მიდიხარო, როგორ ტოვებ ამასო... იმ დღეს ეს ტრაგედია შეწყდებოდა. შემდეგ განახლდა ეს. გამაკვირვა რამ: როდესაც ზვიადმა დატოვა საქართველო, შევიდნენ საჯარისო ფორმირებები და პოლიცია, ამოიღეს იქ დარჩენილი მასალები. ატარებდა პრეზიდიუმის სხდომას და ხელნაწერია ოქმები. საბჭდი მანქანები იყო და რატომ იყო ხელნაწერი ეს ოქმები, გამაოცა. ერთი ქალბატონი იყო, გვარად მაისურაძე, იმის ხელით არის შევსებული ეს ოქმები, ოღონდ ხელნაწერი. ეს ოქმები რომ წაიკითხოთ, სულ ატყუებენ. ერთ-ერთი დეპუტატი იყო ნუგზარ მოლოდინაშვილი. ატყუილებს, როგორ ატყუილებს, იცით? არავითარ შემთხვევაში არც ერთ წინადადებაზე ოპოზიციის არ დათანხმდეთო, ჩანაწერში პირდაპირ წერია, ჩვენ ორ-სამ დღეში გავანადგურებთო ოპოზიციასო. იჯერებდა ისიც. მე მოგცემთ მერე მაგ მასალებს. თვითონ, ვინც იქ იყო, იყო დეპუტატი უურნალისტი ქალი, იმ ქალის ჩანაწერები რომ წაიკითხოთ, გაოცდებით, რა არეულობა იყო და როგორ ატყუილებდნენ. თვითონ წერს ეს ქალი, როგორ ატყუილებდნენ ზვიადს, არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ, რომ ოპოზიცია სუსტდება, ოპოზიცია წადგურდება. რომან გვენცაძე იყო იქ შტაბის წარმომადგენელი. თავიდან სამი ათასი შეიარაღებული პირი იყოო მინისტრთა საბჭოს შენობაში, დღე არ გავიდოდა, 300-500 კაცს არ დაეტოვებინა ეს შენობა, ე. ი. პანიკური მდგომარეობა იყო. ეტყობა კი არა, ეს ჩანაწერებიდან ჩანს. სხვათა შორის, ბესო ქუთათელაძის ჩანაწერებს ერთ-ერთმა გაზეთმა მიაკვლია, მის ცოლთან ინახება ეს ჩანაწერები და რასაც მე გიყვებით, სიტყვა-სიტყვით...

ნათელა ვაჩნაძე: გამოქვეყნებულია?

თენგიზ სიგუა: გამოქვეყნებულია ყველაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ჩვენ როგორი დასკვნა გავაკეთოთ: თქვენ ისედაც იცოდით, რომ დილის 8 საათის შემდგომ ეს ვითარება კარგა ხანს რომ გაგრძელებულიყო, ეს გამოიწვევდა სისხლისლვრას. ოთხი გარდაცვლილი უკვე იყო.

თენგიზ სიგუა: ძალიან აქტიურად მუშაობდა მაშინ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, კერძოდ, მინისტრის ორი მოადგილე: ერთი – ლადო გიორგაძე და მეორე ---- ავთანდილ ჯორბენაძე. იმათ ჰქონდათ უფლება იქაც და აქაც... ოპოზიციაშიაც თავისუფლად მოდიოდნენ, საავადმყოფოებს უკავშირდებოდნენ, ამიტომ მთელი ინფორმაცია მაგათ ჰქონდათ. სხვათა შორის, ძალიან მაგრად იმუშავა ამ ორმა, ავთანდილ

ჯორბენაძემ და ლადო გიორგაძემ. ყოველ ნახევარ საათში მათაც, ოფიციოზსაც და ჩვენც გვაწვდიდნენ ინფორმაციას: დაიღუპა ამდენი, დაჭრილია ამდენი, გადაყვანილია საავადმყოფოში ამდენი. მუდმივად, დღის განმავლობაში, მათგან გვქონდა ჩვენ ეს ინფორმაცია.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ეს აზრი დროთა ვითარებაში კი არ შეიცვალა, თქვენ განგიმტკიცდათ და იგივე აზრის ბრძანდებით.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. აი, ის სატელეფონო საუბარი, თქვენ რომ სთხოვოთ... ტელევიზიაში ყველაფერი, 250-ზე მეტი ფირი დევს, დაწყებული, მე მგონი, სექტემბრიდან იანვრის ბოლომდე. ოპერატორები ხომ იღებდნენ?!

ნათელა ვაჩნაძე: 2 სექტემბრიდან, ალბათ, მთავარია 2 სექტემბერი.

თენგიზ სიგუა: გოგა ხაინდრავას აქვს 2 სექტემბრის ფირი. 250-ზე მეტი ვიდეოფირი შენახულია ჩვენს ტელევიზიაში.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, მაინც ისევ ფორმულირებას მინდა დავუბრუნდე. ჩემზე უკეთ იცით თქვენ, როგორი თვალსაზრისი არ-სებობს თბილისში განვითარებულ მოვლენებზე. ერთმა მხარემ, უფრო ზუსტად, როგორც პრესაშია ნათქვამი ისტორიკოსების მიერ, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორებმა (ეს განმარტება არის მათში დამკვიდრებული და ეს არ არის ჩემი განმარტება) და, აგრეთვე, მხარდამჭერებმა უზნდეს ამ მოვლენებს “დემოკრატიული სახალხო რევოლუცია,” რომელმაც დაამხო მაშინ-დელი ფაშისტური დიქტატურა.

თენგიზ სიგუა: ეს ტერმინი – „პროვინციალური ფაშიზმი“, სხვათა შორის, პირველად იხმარა შევარდნაძემ. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჯერ ერთი, ფაშიზმი არის იდეოლოგია. ის არ შეიძლება იყოს პროვინ-ციალური და არაპროვინციალური. იდეოლოგია არის იდეოლოგია. მე ეს ვუთხარი შევარდნაძეს, ფაშიზმი რა შუაშია? მეორე. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ “დიქტატურა” იყოს ნახმარი.

ნათელა ვაჩნაძე: ტერმინი “დიქტატურაც” არ მოგწონთ?

თენგიზ სიგუა: კი არ მომწონს, არ იყო დიქტატურა. დიქტატურის პერიოდში ვერც თავისუფალ გაზეთს გამოუშვებს ვერავინ, პარტიების არსებობა დიქტატურის დროს ხომ წარმოუდგენელია. ეს იყო ავტორიტარული რეჟიმი, როდესაც ერთი კაცის ბრძანება სრულდებოდა, კანონი გადადებული იყო გვერდზე ან ღებულობდნენ ანტიდემოკრატიულ კანონებს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არის თქვენი ფორმულირება, ხომ?

თენგიზ სიგუა: დიახ. არავითარ შემთხვევაში არავითარი დიქტატურა და არავითარი ფაშიზმი. ეს იყო ავტორიტარული მმართველობა და რატომ.

ნათელა ვაჩნაძე: ასე წერენ: “ფაშისტური დიქტატურა”, “ტოტალიტარული რეჟიმი”.

თენგიზ სიგუა: არა. ტოტალიტარული რეჟიმის დროს და დიქტატურის დროს ვერც ერთი გაზეთი ოპოზიციური ვერ გაიჭაჭანებს. აი, ვთქვათ, დიქტატურა იყო ერაყში სადამ ჰუსეინის დროს. ნარმოუდგენელი იყო, რომ ოპოზიციური პრესა ყოფილიყო, ან ტელევიზია, ან რადიო. არც ელექტრონული და არც ბეჭდვითი მედია ოპოზიციური დიქტატორული რეჟიმის დროს არ არსებობს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ ეთანხმებით ამ ფორმულირებას?

თენგიზ სიგუა: არა, არა. მე ვუწოდებ ამას “ერთმმართველობას”.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან კარგი, ეს აბსოლუტურად სხვა არის. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ამ მოვლენებს შეარქვა... წაგიკითხავთ მისსავე დაწერილს: „ახლა ბევრს კამათობენ, საქართველოში გადატრიალება იყო ეს თუ “რევოლუცია“. სიტყვა „რევოლუცია“ რომ იხმარა და არა „დემოკრატიული რევოლუცია“, ამითი ვითარება ცოტათი შეარბილა...“

თენგიზ სიგუა: მაგრამ „პროვინციალური ფაშიზმი“ მაგისი დამკვიდრებულია.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ მაგას აღარ ამბობს წიგნში.

თენგიზ სიგუა: წიგნში არა, მაგრამ ხომ აქვს ნათქვამი. გახსოვთ, 7 მარტს რომ ჩამოვიდა, აეროპორტში რა თქვა? თქვა, რომ იყო “პროვინციალური ფაშიზმი”, “დიქტატურა”.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, ბატონმა შევარდნაძემ, როგორც დავინახეთ, ამოაგდო სიტყვა „დემოკრატიული“. ამას მნიშვნელობა აქვს. დატოვა მხოლოდ „რევოლუცია“. მაგრამ შემდგომში უკვე აგრძელებს: არსი ეს როდიო. ერთი სიტყვით, ეს არ არისო ახლა მთავარი, დემოკრატიულს ვუწოდებთ, თუ საერთოდ, რევოლუციას, ეს მისთვის მთავარი არ არის. „ვითარება ექსტრემალური იყო არსებითად, მაშინ დამყარდა სამხედრო მმართველობა,“ – ეს სიტყვები მას ეკუთვნის, ეს არა იმ ეპოქაში, იმ დროში ნათქვამი სიტყვებია, არამედ სულ ახლახან გამოცემულ წიგნში წერია.

თენგიზ სიგუა: ქალბატონო ნათელა, შევარდნაძეს, როგორც იმ პერიოდის ბევრ მმართველს, ახასიათებს, დღეს ერთს იტყვის, ხვალ სულ საწინააღმდეგოს და ვითომ არაფერი. იმიტომ, რომ მას მაშინ ძლიერი მოკამათები არ ჰყავდა. ამიტომ თავის თავს აძლევდა უფლებას, დღეს ერთს იტყოდა, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს. გველის წინილას ეძახდა ერთი პერიოდი და ბოლოს გამოაცხადა ეროვნულ გმირად გამსახურდია. ხომ გახსოვთ ერთ-ერთ გამოსვლაში, ეროვნულ გმირად გამოაცხადა.

ნათელა ვაჩნაძე: ამ წიგნშიც რევერანსს უკეთებს.

თენგიზ სიგუა: თამაშობს, ეს არის მისი თამაში უბრალოდ.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ერთი დეტალი მაინტერესებს: „კენწეროში მოხვედრილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების გასაკეთილშობილებლად ვიყავიო,“ – წერს შევარდნაძე 333-ე გვერდზე უკანასკნელი

წიგნის. მე ვფიქრობ, რომ ეს თქვენც გეხებათ. რა გაკეთილშობილებაზე შეიძლება თქვენი მისამართით საუბარი? მე ამას ვერ მივხვდი და ამიტომ გეკითხებით.

თენგიზ სიგუა: ქალბატონო ნათელა, ეს ადამიანი თავის თავს აძლევს... ბოლოს კითხულობთ მის ინტერვიუებს? გაოცებული ვარ. ადრე ყოველ სიტყვას აწონ-დაწონიდა. ახლა ისეთ სისულელებს ამბობს, ეტყობა, ვერ არის სრულ ჭკუაზე. რა გაკეთილშობილებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მან შექმნა არნახული კორუფციული სისტემა საქართველოში. მოვიდა ახალი ხელისუფლება (ამათაც ბევრი უარყოფითი აქვთ), სამჯერ გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავალი. ეს პირდაპირ უჩვენებს, რომ შევარდნაძემ შექმნა არნახული კორუფციული სისტემა, გარყვნა მთელი საქართველო. რომელ გაკეთილშობილებაზე შეიძლება ლაპარაკი. თუ ინტელექტის შევეხებით, უნდა ვაღიარო, რომ შეცდომა დავუშვით. თუმცა ნიჭიერი კაცი იყო, იუმორის გრძნობა ბუნებრივად ჰქონდა, მაგრამ განსწავლულობა... ისეთ რამეს იკითხავდა ხოლმე, რომ გაოცებული დარჩებოდით.

ნათელა ვაჩინაძე: ამავე წიგნში, ბატონო თენგიზ, ერთი ადგილია: თითქოსდა ვინც იყო მასთან ერთად ხელისუფლებაში (ჯერ ის არ არის უზენაესი ხელისუფალი, ე. ი. არის ორგანო მმართველობითი, მის გარდა სხვებიც შედიან და იმ სხვებს გულისხმობს), თავის უფლებებს გადააჭარბესო და უნდოდათო პირადი კეთილდღეობისათვის გამოეყენებინათ ყველაფერი ის, რაც მისცეს თავის თავს, ანუ აქ გამდიდრებაზეა საუბარი.

თენგიზ სიგუა: ვიღაპარაკოთ შედეგებზე. დღეს შევარდნაძე საქართველოში არის უმდიდრესი პიროვნება. თუმცა წინააღმდეგობრივია. ჯერ ნანული ცოცხალია, მისი მეუღლე, და ის დეკლარაციას ავსებს, როგორც მაღალი რანგის ჩინოვნიკი. ყველა ვალდებულია, დეკლარაცია შეავსოს. იმ დეკლარაციაში წერს მეუღლეზე, 475 ათასი ევრო აქვსო. გარდაიცვალა ქალბატონი ნანული და რას წერს: 5 ათასი დოლარი მაქსო სახელმწიფო ვალიო, კომუნალურს ვერ ვიხდიო. სად არის ნახევარი მილიონი ევრო? მერე სიძე. ახალმა ხელისუფლებამ მუხრუჭებში მოაქცია და წაართვა ბევრი, დაადებინეს. აი, ამ ინტერვიუს შემდეგ, 5 ათასს დოლარს სახელმწიფოს ვერ ვუხდიო, ორ კვირაში მისი სიძე 22 მილიონ დოლარად ისევ ყიდულობს „მაგთიკომის“ 49 პროცენტს. რა აქვს კიტოვანს? ბინაც კი, რომელიც... ჩემი მოწვევით ავიაციის სარდალი რუსეთიდან გადმოვიყვანეთ, ქართველი კაცი, რომელიც დაიღუპა მერე აფხაზეთში. ბინის გაჭირვება იყო, ის რომ ჩამოვიდა სამი შვილით და კიტოვანმა მამისეული ოთხოთახიანი ბინა დაუთმო იმ გარანტით, რომ... მაშინ ქალაქის თავი იყო ოთარ ლითანიშვილი ...ოთარის გარანტით, რომ პირველივე სახლს, რასაც ააშენებდა... ეს 92 წელია. ...ბინა არ დაუბრუნებია. იკითხეთ, აგარაკი აქვს სადმე? ან ძვირად ლირებული მანქანები აქვს? იოსელიანის ოჯახი, მეუღლე და შვილი ხომ ცოცხლები არიან. იკითხეთ, რა აქვთ. რა სიმდიდრეზეა ლაპარაკი. მე, პირადად,

ამ ბინის გარდა არაფერი არ გამაჩნია. დავდივარ მანქანით, რომელიც 1987 წელს... მაშინ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი. მაშინ მანქანები ხომ თავისუფლად არ იყო. ...06 მარკის „უიგული“ 20 წლის გახდება, 87 წელს გამოვიყვანე მეცნიერებათა აკადემიის განაწილებით. მოგეხსენებათ, 20 წლის „უიგული“ რა იქნება. ამიტომ გეუბნებით, ეს არის გარენარი პიროვნება. თვითონ უმდიდრესი კაცია. იცით, მაგას რა აქვს? ყაზახეთის ნავთობის ერთი საბადო მისია. ჯერ ერთი, რატომ არ სვამთ ასეთ კითხვას: როდესაც ქვეყნის პირველ პირს გადააყენებენ და 26 უმაღლესი რანგის ჩინოვნიკს ----- მინისტრებს ----- ციხეში გაუშვებენ, ის პირი შეიძლება ხელშეუხებელი იყოს? 26 შენდროინდელ მინისტრს რომ დაიჭერენ, შენ ვინა ხარ – ან ბაიუში ან მათთან ერთად დამნაშავე. რაშია საქმე, იცით?! ამ კაცს სინდისი არა აქვს, რასაც უნდა, იმას ამბობს. მე ბევრმა მითხრა და როცა მოვიცლი, აუცილებლად დავწერ, აფხაზეთ-სამეგრელოზე ისეთი მასალა მაქვს! აფხაზეთი მაგან გაყიდა. გაყიდაო, რომ ამბობენ, ფული კი არ აიღო. მას ვალდებულებები ჰქონდა რუსეთის წინაშე. როგორც საკავშირო მინისტრი, თავმჯდომარე იყო გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის. ისეთი რამები აქვს გაკეთებული (დოკუმენტური მასალა ყველაფერი მაქვს), რომ ის მერე ვალდებული იყო რუსეთის წინაშე, რომ რაღაც ხარკი გაედო.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. ბატონო თენგიზ, მე ვუბრუნდები ისევ ჩვენს მთავარ საფიქრალს, ანუ თბილისის მოვლენების შეფასებას. მეორე ფორმულირება, მეორე შეფასება, რა თქმა უნდა, დაუნდობელი, უკომპრომისო, სრულიად საპირისპირო, ბევრად უფრო გამოკვეთილი, რომელიც ეკუთვნის პირადად ზვიად გამსახურდიას, მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მის მხარდამჭერებს და ა. შ., რომ ეს იყო: სამხედრო-კრიმინალური (გთხოვთ, მიაქციოთ ტერმინ „კრიმინალურს“ ყურადღება) გადატრიალება, პუტჩი, რომელმაც დაამხო კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, რომ ის მოაწყვეს ერის მოღალატეებმა... თქვენთვის ეს ყველა სიტყვა ცნობილია.

თენგიზ სიგუა: კი, კი, ცნობილია.

ნათელა ვაჩნაძე: ...კრემლის აგენტებმა, სამხედრო ხუნტამ და მათ მხარეს მყოფმა კოლაბორაციონისტმა ქართველებმა. სხვა ეროვნების ხალხები აქ შედიოდნენ თუ არა, მათი გამონათქვამებიდან არ ჩანს. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

თენგიზ სიგუა: ჩემი კომენტარი იქნება ასეთი: დავიწყოთ იმითი – კრემლის აგენტები, მივყვეთ ამას. ე. ი. ვარ კრემლის აგენტი, მას მართავს კრემლი, მან მოაწყო ეს გადატრიალება. რა უნდა იყოს შედეგი? კრემლის პირობების დაკმაყოფილება. რა უნდა კრემლს? საქართველოს დსტში შეყვანა, პირველი, და სამხედრო ბაზების მაქსიმალური დროით შენარჩუნება. სიგუა მოდის და აბსოლუტურად საწინააღმდეგოს აკეთებს. სად არის ლოგიკა? თქვენ იცით, რომ შევარდნაძეს ჩამოსვ-

ლის დღიდანვე უნდოდა დსთ-ში საქართველოს შეყვანა? რომ არა მე, ის 92 წელშივე შეიყვანდა. 94 წლის მარტამდე მან ვერ მოახერხა ეს, იმიტომ, რომ ჩემი გადადგომის შემდეგაც, 93 წლის აგვისტოში, მას კიდევ ექვსი თვე დასჭირდა, იმიტომ, რომ პარლამენტშიც იყო ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამას. მონა დეპუტატებიც კი, ბევრი წინააღმდეგი იყო. და იცით, რა ძალისხმევა დასჭირდა? გეტყვით ასეთ მაგალითს. ხმები რომ არ ჰყოფნიდა... ზურაბ წერეთელი, მაშინ არის საქართველოს პარლამენტის წევრი მოსკოვში არ არის, ვორონეჟშია თუ სადღაც, იქ მიაწვდინეს ხმა, რომ ზეგ აუცილებლად უნდა იყოთ თბილისში. მიზეზი არ იცის, რატომ. ჩამოვთრინდი და აქ მეუბნებიანო, რომ ხმა უნდა მისცე დსთ-ში შესვლასო. ასე აგროვებდნენ ხმებს. გაუჭირდა, მაგრამ შეიყვანა. მეორე: მოდის კრემლის აგენტი ხელისუფლება და რა იწყება – იწყებს ბაზების ჩამორთმევას. სად არის ლოგიკა, ამიხსენით (გვაჩვენებს მასალებს): რუსეთის ჯარების გაყვანა-გამოყვანა, მთავარი დოკუმენტი წაიკითხეთ. დახედეთ თარიღს: 92 წლის 9 ოქტომბერი. „ყოფილი საკავშირო სამხედრო უნიებათა ჯარებისა და დაწესებულებებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მიწის ფონდიდან გამოყოფილი მიწის ნაკვეთების, მათზე განლაგებული სამხედრო დასახლებების, სამხედრო-საზღვაო ბაზების ძირითადი ფონდების მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემისა და მომარაგების სფეროს განსაზღვრის შესახებ“. გადავდექი თუ არა, შევარდნაძე მიუქმებს და უბრუნებს ყველაფერს რუსეთს.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. თქვენ არასდროს კრემლის დაკვეთა არ შეგის-რულებიათ?

თენგიზ სიგუა: რა უნდოდა კრემლს? კიდევ გიმეორებთ: დსთ-ში საქართველოს შეთრევა და სამხედრო ბაზების დამკვიდრება, ერთიც და მეორეც. 94 წლის 1 მარტს ჩაატარა პარლამენტის სხდომა, როდესაც საქართველო შეიყვანა დსთ-ში. მე იმ დროს გადამდგარი ვარ, მაგრამ დეპუტატი ხომ ვარ. წინააღმდეგი მაქვს ხმა მიცემული. ე. ი. არგუმენტი ხომ უნდა იყოს, რა არგუმენტია? დაიმახსოვრეთ, ეს არის 1994 წლის 1 მარტი, როდესაც კენჭი ეყარა საქართველოს დსთ-ში შეყვანას.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ, პირადად, შეგეძლოთ აგეცდინათ ის უარყოფითი შედეგები?

თენგიზ სიგუა: შემეძლო, შევარდნაძე რომ არ ჩამოსულიყო საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: არა, მე უფრო ადრინდელ მოვლენებს ვგულისხმობ.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. მაშინ მივუბრუნდეთ და ისევ 22-დან დავიწყოთ. სატელეფონო საუბრის თაობაზე მოგახსენეთ. ამ 22-ის შემდეგ, 25-მდე, 26-მდე არავითარი კონტაქტი აღარ იყო იქითა მხრიდან. 25-დან დაიწყო აქტიური ჩარევა სომხეთმა, კერძოდ, იმუქამინდელმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა გამოთქვა სურვილი, რომ

გამოეგზავნა სადეპუტატო დელეგაცია, მომრიგებელ მხარესთან ჰქონდა დიალოგი და კიდევ ჩვენი საპატრიარქო. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მთელი შემადგენლობით, ალეკო თავხელიძის მეთაურობით, ცდილობდა, რომ ამ მომრიგებლის როლი შეესრულებინა. ბოლოს, ეს უკვე 27 რიცხვია, ჩეჩენეთის დელეგაცია, რომელიც ჩამოფრინდა თბილისში. ეს მასალები ყველაფერი არსებობს. ჩვენი მხარე ყველაფერზე – დაწყებული ტერ-პეტროსიანიდან, საპატრიარქო, ჩეჩენეთის დელეგაცია, აკადემიის პრეზიდიუმი – თანხმობას აძლევს, ის მხარე კატეგორიული წინააღმდეგია. პირადად გამსახურდიას აქვს ნათქვამი, რომ არავითარი დიალოგი ოპოზიციასთან. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა.

ნათელა ვაჩინაძე: ე. ი. გამოდის, რომ შესაძლებელი იყო აეცდინა ხელისუფლებას ეს შედეგები; გამოდის, რომ თავად ხელისუფლება არ წავიდა მოლაპარაკებაზე.

ნინო თომაძე: რატომ არ წავიდა ხელისუფლება, ბატონო თენგიზ, ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე?

თენგიზ სიგუა: ძალიან ხშირად მოდის პასუხი, რომ კი, თანახმაა, ნიშნავს კიდევაც ხალხს. ერთი პერიოდი იყო, აქედან დაინიშნა ხალხი, იქიდან თვითონ დაინიშნა ჯონი ხეცურიანი, იუსტიციის მინისტრი, ბესო ქუთათელაძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. გაირკვა, რომ ტელევიზიის შენობაში ღამის 12 საათზე მოდის ოპოზიციის წარმომადგენლობა და ხელისუფლება, სხდებიან და იწყებენ მოლაპარაკებას. ოპოზიციის წარმომადგენლობა მიდის, იქ ჯდება, უცდის და 12 საათზე რეკავენ, რომ გამსახურდიამ ბოლო მომენტში კატეგორიულად უარი თქვა. აღარ გაიმართა დიალოგი. საუბედუროდ, როგორც ირკვევა, გამსახურდია ძალიან დიდი გავლენის ქვეშ იყო ცოლის, ცოლის დის და ასახელებენ მესამე პირვენებას, რომელსაც მე ვიცნობდი, მანანა ძოძუაშვილს. აი, ეს სამი ქალი ძალიან დიდ გავლენას ახდენდა მასზე.

ნინო თომაძე: აქ, ნება მომეცით, ოდნავ გადავუხვიო საკითხს. თქვენი აზრით, ბატონო თენგიზ, გამსახურდია მოკლეს თუ თავი მოიკლა?

თენგიზ სიგუა: მოკლულია, ზვიადი თავს არ მოიკლავდა.

ნინო თომაძე: მე მოვისმინე ბესო გუგუშვილის ინტერვიუ, რომელიც ამბობს, რომ ერთ ოთახში გვეძინავ და მე თვითონ დავინახე, როგორ აიღო იარაღი და როგორ ისროლაო. რატომ ამბობს ასეთ რამეს?

თენგიზ სიგუა: ოთხი იყვნენ სულ, ამ სამიდან ერთ-ერთის მოკლულია. ორი დაცვის ბიჭი იყო და ბესო, მეტი არავინ არ იყო იქ. ერთ ოთახში ეძინათ ბესოს და ზვიადს და წინა ოთახში იყვნენ დაცვის ბიჭები. მე მაგის თაობაზე ფსიქოლოგებსაც ველაპარაკე. ფსიქოლოგები რას ამბობენ, იცით? თქვენ ნუ გამოდიხართ ხორმალური ადამიანის მდგომარეობიდან. ისინი ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში იყვნენ, ორი თვე

მგლებივით ტყე-ტყე დადიოდნენ. ამ დროს ადამიანს ისეთი ფსიქიკური ძვრები აქვს, რომ იმან შეიძლება ისეთი რამე გააკეთოს, რომ... მე ვამტკიცებდი, რომ... იქ გამოითქვა აზრი, რომ შეიძლება ბესომ მოკლაო. გამორიცხულია, მე ბესოს ვიცნობდი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, გამორიცხულია, ბესოს მოეკლა. მათ მითხრეს, რომ თქვენ ხომ არ ითვალისწინებთ მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. იქ ადამიანმა შეიძლება ისეთი რამე ჩაიდინოს, რასაც ნორმალურ ცხოვრებაში მისი ყველა ახლობელი გამორიცხავს. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დაცვის ერთ-ერთმა წევრმა. . . . იმიტომ, რომ მე თვითონ ზვიადში ამას გამოვრიცხავ.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, დავუბრუნდეთ იმ შეფასებას თუ ფორმულირებას თბილისში განვითარებული მოვლენებისა. სანამ მოქმედებაზე გადავა ადამიანი, ისახება იდეა. ეს იდეა თქვენ ჩაგესახათ, თუ რომელიმე ადამიანის თქვენი გარემოცვიდან? თუ თქვენ ის ადამიანი არ ბრძანდებით, რომ ვიღაცის იდეებით სარგებლობდეთ? იდეა თქვენც საკმარისი გაქვთ.

თენგიზ სიგუა: იდეებზე ნუ ვიღაპარაკებთ. მოდით, დავიწყოთ ლაპარაკი აქედან: რატომ ხდება ხოლმე, რომ... აი, სახელმწიფოში ჩატარდა არჩევნები, აირჩიეს ახალი ხელისუფლება. გადის ცოტა ხანი და... რომ ამბობენ, რომ ეს მარტო საქართველოშია. როგორ გეკადრებათ. რა მოხდა ალბანეთში: პრეზიდენტი ოთხი თვის არჩეული იყო, ხალხი გამოვიდა ქუჩაში და მოიშორეს. რა მოხდა ტერ-პეტროსიანი მეორე ვადით რომ აირჩიეს: სამი თვე არ იყო გასული, გამოვიდა ხალხი და მოიშორეს ტერ-პეტროსიანი. ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ელჩი-ბეი არ მოიშორეს?

ნათელა ვაჩნაძე: ეს არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. მილოშევიჩი სერბეთში. ეს გაუნათლებელი ხალხისგან მესმის --- მხოლოდ საქართველოში. ახლა რატომ. მე ჯერ კიდევ 91 წლიდან ოთხჯერ მივიღე მონაწილეობა ევროფორუმებში. დასავლეთის დემოკრატიის გამოცდილმა ლიდერებმა ჩაგვიტარეს სალექციო კურსი ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ლიდერებს. რა იყო ამ სალექციო კურსის ძირითადი არსი: ქვეყანაში ტარდება არჩევნები, იმარჯვებს ახალი პოლიტიკური ძალა. ცხადია, ის ხელისუფლებაში მოდის თავისი პროგრამით. რა არის პროგრამა პოლიტიკური პარტიის – დაპირება ხალხის მიმართ. თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ გავაკეთებთ ამას, ამას, ამას. იმ ლიდერებმა გაგვაფრთხილეს: თუ იმ დაპირების ნაწილს ხელისუფლებაში მოსული ახალი პოლიტიკური ძალა უახლოეს პერიოდში არჩევნებიდან ასრულებს, ხალხი ასე თუ ისე კმაყოფილია, იმ 20 პროცენტს, შეუსრულებელს, პპატიობს, მაგრამ 80 პროცენტი... იცინოდნენ კიდევაც, პოლიტიკაში უკვე მათემატიკა შემოვიდაო. თუ დანაპირებს 50-60 პროცენტით ასრულებს, ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ, როგორც იქ ითქვა, ეს არ არის ჯერ კიდევ მიზეზი იმისა, რომ

ხალხი წალდით და ნაჯახით გამოვიდეს ქუჩაში და მოიშოროს ეს ხელისუფლება. მაგრამ თუ ხელისუფლება სანახევროდაც არ ასრულებს დანაპირებს, რაც მისცა ხალხს არჩევნების წინ, ხალხს სრული უფლება აქვს, გამოვიდეს ქუჩაში და მოიშოროს. ეს არის სტანდარტი, დიდი ხნის წინ მიღებული სტანდარტი. თქვენც იცით, თუ რა დონეზეა სოციალურად ჰოლანდია, ან ბელგია. იქაც არის უკმაყოფილო ხალხი, გამოდიან მთავრობის საწინააღმდეგოდ. მაგას მე არავინ არ მასწავლის, იმიტომ, რომ მთელი „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური პროგრამის დიდი ნაწილი და ეკონომიკური პროგრამა, შეიძლება ითქვას, მთლიანად ჩემი გაკეთებულია. დავიწყოთ პოლიტიკური პროგრამით. პოლიტიკური პროგრამის დედაარსი რა არის – რომ საქართველო საგარეო პოლიტიკურ ბარომეტრზე... მე მესმის, რომ პრეზიდენტყოფილი დისიდენტია, მთელი ცხოვრება ებრძოდა კომუნისტურ რეჟიმს და მოსპო, ცხადია. უცებ აპრილიდან იწყება დასავლეთის ლიდერების ლანძღვა. დღეს რომ დაიწყოს სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ან გერმანიის კანცლერის ლანძღვა, თქვენ როგორ შეფასებას მისცემდით?

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენ ამას რა კომენტარს გაუკეთებთ?

თენგიზ სიგუა: აბსოლუტურად პოლიტიკური უვიცობა. მაშინ გაჩნდა გამოთქმა და ეს ჩემი მოგონილი არ არის... „დაღუპული ქვეყანა“. ეს იყო შედეგი და ეს იყო შეფასებები ისტორიკოსების და პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული. შუაგულ ევროპაში მყოფი ქვეყანა, რომელიც აყვავებული უნდა ყოფილიყო... 1991 წლის აგვისტოს დასაწყისში თუ ივლისის ბოლოს, მთავრობის სახელით... ეს იყო ბოლო წვეთი, როცა მე უკვე გადავწყვიტე... მთავრობის სახელით, ისე რომ მთავრობამ არაფერი არ იცოდა, გაიგზავნა „საქართველოს მთავრობის მიმართვა ამერიკელ ხალხს“. ამ დროს მთავრობამ არაფერი არ იცის. დილის 8 საათზე მირეკავს არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრი, ბატონი გურამ მირიანაშვილი: თენგიზ, რა წერილი გავაგზავნეთ ჩვენო? მე ვუთხარი: რა წერილზე მელაპარაკები-მეთქი. ამერიკის პრეზიდენტი გვყავს გალანძღულიო და მიმართვა ამერიკელ ხალხს ჩვენი სახელითო. მე ვუთხარი: გურამ, რაღაც ცუდად გეძინა-მეთქი. მოვარდა და მომიტანა გაზეთი. პირველ გვერდზე იყო გამოქვეყნებული: თქვენ, ამერიკელები, კარგი ხალხი ხართ, დემოკრატები, მაგრამ გყავთ ოხერი და უბედური პრეზიდენტი და ის უნდა მოიშოროთ. ნერვები მომეშალა და ვურეკავ ანერვიულებული: ზვიად, რა არის-მეთქი? რა, არ იმსახურებს ბუში ასეთ... მე ვუთხარი: ზვიად, შენ გესმის, რა გააკეთე-მეთქი? იცით, რა შეფასებები მოჰყვა მერე მაგას დასავლეთის მხრიდან? ეს იყო უკვე ჭკუაზე არამყოფი კაცის ნამოქმედარი. მთავარი გეზი იყო: ჩამოშორდე მოსკოვს და ევროპული ცის ქვეშ იპოვო დასაყრდენი. ეს იყო პროგრამაში. ამ დროს იწყებ დასავლეთის ლიდერების ლანძღვას. აი, თქვენ რითი ახსნით? ახსნა არ ჰქონდა ამას. პირდაპირ ვუთხარი:

ზვიად, შენ ღუპავ ქვეყანას-მეთქი, ამას მოჰყვება საშინელი შედეგები. ამ საუბარს ესწრებოდა და იმანაც დაადასტურა, უჭკვიანესი კაცი იყო, ბაქარ გიგინეიშვილი. ...ბოლოს ასეთი აზრიც შეიქმნა, რომ ქალების გავლენის ქვეშ იყო ძალიან. ის სამი ქალი, ტრიუმვირატი....

ნათელა ვაჩნაძე: ბაქარს კარგად ვიცნობდი, იგი ძალიან ჭკვიანი კაცია.

თენგიზ სიგუა: კადრების დანიშვნის მხრივ უფრო ცუდად იყო საქმე. . . . თანამდებობის პირი, უცხოეთის დელეგაციები რომ ჩამოდიან, ორ-სამ ევროპულ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს, კარგად უნდა აზროვნებდეს და... ვიფიქრე, ვიფიქრე და შევთავაზე... იყო ასეთი არჩილ... (გვარი არ ისმის) შეიძლება გახსოვთ, კომუნისტების დროს ფინანსთა მინისტრი, იმისი შვილი. არჩილს მე საკმაოდ ახლოს ვიცნობდი – განათლებული, ჩამოყალიბებული, ოჯახში გაზრდილი, ინტელექტუალური, ინგლისურით, გერმანულით, რუსულ-ქართულზე ლაპარაკი ზედმეტია... მე დავნიშე განათლების მინისტრის მოადგილედ. მოვიდეს ჩემთანო, დაიბარა. მივიდა და 15 წუთი... მერე მთხოვა პრეზიდენტის კანცელარიის გამგის ადგილი. მე ვუთხარი, ზვიად, მზად არა ვარ, დრო მომეცი. ირაკლი უორდანია რომ ვახსენე, არის მინისტრი მეცნიერების და ტექნიკის, ერთ-ერთი მისი მოადგილე მერაბ კლიმიაშვილი, – ინტელექტუალური, ძალიან კარგად აზროვნებს, პოლიტიკაშიც ჩახედულია, ბრწყინვალე ინგლისურით და... დავიპარე მერაბი. მე ვუთხარი, პრეზიდენტის კანცელარიის გამგედ უნდა წახვიდე. მივიდა და გახარებულმა ზვიადმა...

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, როგორ არ მოინდომებდა?!

თენგიზ სიგუა: მაგრამ რა მოხდა, არ იცით? დაახლოვებით ორი კვირის შემდეგ...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი და თენგიზ კიტოვანის ურთიერთობა ყველას აინტერესებს. ძალიან გავრცელებულია ხალხში, საზოგადოებაში... არაპროფესიონალიზმზე როცა არის საუბარი, დაულაგებლობაზე, თქვენ ნარმოიდგინეთ, და გაუნათლებლობაზე, ყველაფერს მიაწერენ ამ ადამიანს. თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ?

თენგიზ სიგუა: გეტყვით ჩემს აზრს. თენგიზ კიტოვანს ვიცნობ ბავშვობიდან, მეზობლად ვცხოვრობდით. დედაჩემი იყო საბავშვო ბალის გამგე და ის საბავშვო ბალის გვერდით ცხოვრობდა. ჩვენც იქვე ახლოს ვცხოვრობდით. მერე უკვე დიდხანს ურთიერთობა არ გვქონია. მე პოლიტიკინიკურში წავედი, მან სამხატვრო აკადემია დაამთავრა. თავისი სამხატვრო საამქრო ჰქონდა და იქ იყო. როდესაც დაიწყო ეს პოლიტიკური მოძრაობები, მან ჩამოაყალიბა ტრადიციონალისტთა კავშირი... უფრო სწორედ, მონარქისტული პარტია იყო, სადაც ერთად ვიყავით კიტოვანიც, ასათიანიც, უორულიანიც. მერე მოხდა განხეთქილება უორულიანსა და ასათიანს შორის. უორულიანი იყო პარტიის ხელმძღვანელი, გააგდო ასათიანი. სამი დღის შემდეგ კიტოვანმა თავის სახლში დაიბარა კაკო ასათიანი, ჩამოაყალიბა ტრადიციონალისტთა

კავშირი. კიტოვანმა თქვა: “მე ახლა ამ საქმისთვის არ მცალია, შენ იქნები ამ პარტიის თავმჯდომარე, მე ვიქნები რიგითი წევრიო”. აი, ესე ჩამოყალიბდა ტრადიციონალისტთა კავშირი. ახლა რაც შეეხება მის ინტელექტს...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს ცხოვრებაში როგორ შემოვიდა?

თენგიზ სიგუა: ჩვენ დავახლოვდით უკვე ამ მომენტიდან, როდესაც... უფრო სწორედ, ეროვნული ფორუმი აირჩა. ეს არის 91 წლის მარტი. ფილარმონიაში მოხდა დიდი შეკრება და იქ ხელმძღვანელი ორგანოში მეც ამირჩიეს როგორც აკადემიის წარმომადგენელი რუსთაველის საზოგადოებისა, თენგიზ კიტოვანი --- როგორც ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი. 40-კაციანი ხელმძღვანელი ორგანო შეიქმნა ეროვნული ფორუმის. ამის შემდეგ თითქმის კვირაში ორ-სამჯერ იმელის შენობაში იმართებოდა ეს შეხვედრები და იქ უკვე ინტენსიური შეხვედრები გვქონდა. ახლა საინტერესო რა არის: ყველას აინტერესებს, რატომ ჩაჰაბარდა ეროვნული გვარდია ხელისუფლებას. მახსოვს, მე და ზვიადი ვზივართ და ვარჩევთ საკითხს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირია. საბჭოთა კონსტიტუციით აკრძალულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკას ჰყავდეს თავისი შეიარაღებული ძალები. თუმცა 1956 წლამდე ასეთი კანონი იყო, რომ მოკავშირე რესპუბლიკას ჰყავდა ერთი შეიარაღებული ნაციონალური დივიზია. ასეთი დივიზია ჰყავდა საქართველოსაც. ბაზირების ადგილი იყო ქუთაისი. გენერალი ჩხობაძე იყო ამ დივიზიის ხელმძღვანელი. ხრუშჩოვს ეს რომ არ დაეშალა 1956 წელს, ჩვენ არავთარი...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ რატომ არ აღადგინეთ?

თენგიზ სიგუა: ხელისუფლება არა გვაქვს. კონსტიტუციით, რესპუბლიკებს არა აქვთ უფლება. ამიტომ ბევრი ვიფიქრეთ, რომ რაღაცნაირად შევნიღბოთ. მაშინ ინტენსიურად ვუკავშირდებოდი ბალტისპირეთის ქვეყნების ხელმძღვანელობას. იმათმა თქვეს, რომ ჩვენ მოვიფიქრეთ ასეო: “*охрана края*”. ჯარი კი არა, ჯარის უფლებას არ მოგვცემენ. ჩვენ მოვიფიქრეთ, დავარქვათ ამას “*შინაგანი ჯარი – ეროვნული გვარდია*”. ჩაფიქრებული იყო ქართული ჯარის ჩანასახი. ვინ უხელმძღვანელებს? – ვზივართ მე და ზვიადი. მე მეკითხება: ვინო? მე ჩამოვუთვალე სამი-ოთხი გენერალი, მათ შორის იყო ან გარდაცვლილი აბაშიძე, გენერალი, იყო კუხალეიშვილი, იყო ფირცხალიშვილი, მას ორი აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ახალგაზრდა გენერალი, უკრაინიდან ჯერ კიდევ კომუნისტებმა ჩამოიყვანეს, იყო გენერალ-ლეიტენანტი შარაშენიძე, ესენი ჩამოვუთვალე. უცბად, მეუბნება – თენგიზ კიტოვანი. თენგიზს ძალიან ახლოს იცნობდა. მე გამეცინა, წინააღმდეგი წავედი. მე ვუთხარი: ზვიად, თენგიზს მე მოხარმულს ვიცნობ-მეთქი, მან ერთი წელი იმსახურა ბელორუსიაში ჯარში სალდათად, მერე გამოიპარა და წამოვიდა-მეთქი, რა გამოცდილება აქვს? ამ გენერლებს ორ-ორი აკადემია აქვთ დამთავრებული. თუ ჩვენ მართლა ჯარზე

ვფიქრობთ, გვჭირდება მაღალი პროფესიონალი-მეტქი. გაიტანა თავისი ზვიადმა.... 12 ათასი კაცი ჰყავდა. მაგრამ, მეორე მხრივ, სამხედრო განათლება რომ არ ჰქონდა, ეს ზვიადმა კარგად იცოდა. ბოლოს, კამკამიძე ჩამოვიყვანეთ უკრაინიდან. საუბედუროდ, ქართული არ იცოდა, მაგრამ მთელი ნათესაობა აქა ჰყავდა, მათი მეშვეობით მივაგენით. სამხედრო სპეციალისტი იყო უმაღლესი დონის. როცა ჩამოვიყვანეთ, კიტოვანმა უთხრა: "Ты командуе шь парадом"....

ნათელა ვაჩნაძე: მაინტერესებს, ბატონო თენგიზ, ინტელიგენციის დარაზმევა კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ქართული ინტელიგენცია გაყვებოდა როდესმე თენგიზ კიტოვანს?

თენგიზ სიგუა: ალბათ, არა. ისე ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ეს არის ჩემი დამსახურება. ძალიან ბევრი თბილისის ზღვაზე ამოდიოდა, ათენებდა.

ნათელა ვაჩნაძე: მხოლოდ თქვენი წვლილი იყო აქ გაღებული? ინტელიგენცია მხოლოდ თქვენ მოგენდოთ, ხომ ასეა?

თენგიზ სიგუა: მაგრამ რატომ? რატომ განეწყო ინტელიგენცია ასე?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ რატომ აგირჩიათ ინტელიგენციამ? მარტო კიტოვანი და თქვენ იყავით?

თენგიზ სიგუა: არა.

ნათელა ვაჩნაძე: სადღაც ხომ ჰყავდათ თავისი ხალხიც, მაგალითად, ელდარ შენგელაია, მაგრამ არ აღმოჩნდა სათავეში.

თენგიზ სიგუა: სათავეში არ იყო, მაგრამ ელდარიც, მისი ძმა გიორგიც... სხვათა შორის, იქამდე მივიდა საქმე, ანეგდოტამდე: აა, „წითელ პროფესორს“ გაუმარჯოს, ოო, „კრემლის აგენტო“, გამარჯობა, როგორა ხარ... კომუნისტებსაც ჰყავდათ 20-25 კაცი, რომლებსაც განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდნენ, ნაყიდი ინტელიგენცია, მაგრამ როგორ შეიძლება მთელ ინტელიგენციას შენ უწოდო „კრემლის აგენტი“.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ის სიუჟეტი არ დაამთავრეთ, წყნეთში რომ იყავით.

თენგიზ სიგუა: დავამთავრე იმით, რომ ეს მითხრა: თორემ სხვა კანდიდატურებიც იყო. დავიბენი, ვიზეა აქ ლაპარაკი. ...წიკო ჭავჭავაძეო, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორიდა მერაბ ალექსიძე, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. პრეზიდენტს არავითარი უფლება არა აქვს აკადემიის წევრად აირჩიოს ან გადააყენოს ვინმე, აკადემიის წევრად ადამიანს ირჩევს აკადემიის საერთო კრება და მხოლოდ აკადემიის საერთო კრებას აქვს უფლება გაიტანოს აკადემიის წევრების არჩევა. არაო, დაიჩემა. ამისი ერთადერთი მაგალითია ისტორიაში --- აინშტაინის დათხოვნა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიიდან.

ნინო თომაძე: ბატონო თენგიზ, ზვიად გამსახურდიას მონიაღმდეგენი მიუთითებენ მის ფსიქიკურ გაუნონასწორებლობაზე, რომლის მიზეზიც გახლავთ მისი რთული, ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. უნივერსიტეტის სტუდენტები ყვებიან, რომ, როცა იგი უნივერსიტეტში მივიდა, უცნაურად იქცეოდა, ყვიროდა...

თენგიზ სიგუა: მე ახლა გიჩვენებთ ერთ დოკუმენტს და თქვენ თვითონ მიხ-
ვდებით.

ნათელა ვაჩნაძე: ფსიქიატრიის ინსტიტუტის დასკვნა ხომ არ არის?

თენგიზ სიგუა: არა. ფსიქიატრიის ინსტიტუტის დასკვნას არ ვენდობი. ეს
იყო „კგბ“-ს დანამატი. ხვალ თუ უნდოდათ, თენგიზ სიგუას გამოაცხა-
დებდნენ გიუად.

ნათელა ვაჩნაძე: ყველა დისიდენტზე გაცემული იყო ასეთი ცნობა.

თენგიზ სიგუა: ნახეთ ძმძუაშვილი რას წერს:

ნათელა ვაჩნაძე: (კითხულობს): „ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორის
მოადგილეს სამკურნალო დარგში, ბატონ მამარდაშვილს. ჯანმრ-
თელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო
გთხოვთ, გადმოგვიგზავნოთ ავადმყოფ ზვიად გამსახურდიას ავად-
მყოფობის ისტორია, რომელიც იყო თქვენს კლინიკაში საექსპერტოდ
დასკვნისათვის 58-59 წლებში“.

თენგიზ სიგუა: ვინ წერს?

ნათელა ვაჩნაძე: ძმძუაშვილი.

თენგიზ სიგუა: აი, პასუხი. მინისტრი რატომ თხოულობს პრეზიდენტის 20
წლის წინანდელ ავადმყოფობის ისტორიას?

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ ერთი, შეიძლება ჯარის პრობლემაც ყოფილიყო. არ
გაგიგიათ ასეთი რამ?

თენგიზ სიგუა: როგორ არ გამიგია. ძალიან ბევრს, ჯარი რომ აეცილებინა,
აკეთებდნენ ასეთ ცნობას. რა მიზნით წერს მინისტრი ფსიქიატრიის
ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ გადმოგვიგზავნეთ „ავადმყოფ“
ზვიად გამსახურდიას საბუთები? თარიღი უზის: 30.09.91.

ნათელა ვაჩნაძე: გახმოვანება უნდოდა ამ ყველაფრის?

თენგიზ სიგუა: არა, სხვა აზრია, მაგრამ ასე ამბობენ, ყოველ შემთხვევაში.

ნინო თომაძე: თქვენი თქმით, გამოდის, რომ ზვიად გამსახურდიას გარე-
მოცვა მართავდა.

თენგიზ სიგუა: მე დავრწმუნდი, რომ გარემოცვამ არ გააკეთებინა ბევრი რამ

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, თქვენ მიტინგები ახსენეთ. თქვენ იდე-
ქით სათავეში, მიტინგისა თუ აქციისა, რესპუბლიკის მოედანზე რომ
გაიმართა?

თენგიზ სიგუა: მიტინგი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მიტინგი, მაგრამ ძალიან დიდი. მერე მსვლელობაც იყო.
მგონი, არსებობს ისეთი მექანიზმი, რომლითაც შეიძლება მონაწილე-
თა რაოდენობის დადგენა.

თენგიზ სიგუა: თქვენ რომ ამბობთ, ეგ იყო სექტემბერი 91 წლის.

ნათელა ვაჩნაძე: 16 სექტემბერს იყო.

თენგიზ სიგუა: 16 სექტემბერს. მე არც მეგონა, იცით...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ იყავით დარწმუნებული, რომ ამდენი ხალხი მოვიდოდა?

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. იმიტომ, რომ... არ დაგიმალავთ, რომ ამას თავისი მუშაობა უნდა. ძალიან ბევრი ახლობელი მყავდა. ისეთი ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი, მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის, რომელსაც ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა 31-ე ქარხანასთან, ელმავალმშენებელ ქარხანასთან. ამათი დირექტორები სუყველა ჩემი ახლობლები იყვნენ, იმიტომ, რომ ვეხმარებოდი, ვჭირდებოდი, ხელშეკრულებები გვქონდა. ყველა ქარხანაში მე გავაგზავნე, არ დაგიმალავთ, ემისრები, მაგრამ ამდენს მაინც არ ველოდი. მაქსიმუმ 10-15 ათასი კაცი თუ შეგროვდებოდა, ეს იქნებოდა...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გგონიათ 70 ათასი კაცი იყო?

თენგიზ სიგუა: არა, მე არც ვიცი, რამდენი იყო. საღამოთი გამოდის იაპონელი უურნალისტი. ოთხი უურნალისტი იყო, ერთ-ერთი იაპონელი. უცბად, იაპონელმა ამოილო რაღაცა ხელსაწყო და ამიხსნა... მერე მაჩუქა ის, მაგრამ მე დავკარგე. იღებს ფართს. თუ მჭიდროა მიტინგი, ხალხი მიბჯენილია ერთმანეთზე, ითვლება, რომ ერთ კვადრატულ მეტრზე დგას 4 კაცი, ხოლო თუ ხალვათობაა – 2 კაცი. ამ იაპონელმა გამოთვალა, მიაჭირა ხელი და წაიკითხეთო.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი იყო?

თენგიზ სიგუა: 56 200 დაწერა ამ ხელსაწყომ.

ნათელა ვაჩნაძე: 15 ათასს წერდა ოპოზიციურად განწყობილი პრესა.

თენგიზ სიგუა: მეც არ ვიცოდი, მაგრამ მერე რომ დაითვალეს, დადგინდა, რომ ესე იყო. ეს ოპოზიციური პრესა... ეს ციფრი მოდის ჰაერიდან. ზუგდიდში 100 ათასიანი ზვიადის მხარდამჭერი მიტინგები. 100 ათასი კაცი სად დაეტევა იქ, რომ შეკრიბო ზუგდიდში კი არა, მთელ რაიონში. ...თავიდან რომ დაიწყო უცხოეთის ლიდერების ლანძღვა... არ შეიძლება. მოსკოვს ეტაკები, შენ მხარდაჭერა უნდა გქონდეს დასავლეთის. ოდნავ უნდა იაზროვნო. მე გეტყვით, მე ამერიკელები არ მიყვარს. ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობაში ურალშიც ვყოფილვარ, ცენტრშიც, პეტერბურგშიც. ამერიკელები ჩვენ მესამე კატეგორიის ხალხად გვთვლიან, ამიტომ მე ამერიკელები არ მიყვარს, მაგრამ ჩემს სიყვარულსა თუ, არსიყვარულზე არ არის საქმე. ქვეყანას რა სჭირდება დღეს, ეს არის პოლიტიკა. სააკაშვილმა დღეს რომ დაიწყოს ბუშის ლანძღვა, მერკელის ლანძღვა, ხვალ საქართველო დაიღუპება. ჩაგაგდებენ ისეთ მდგომარეობაში, ხალხს აგიჯანყებენ, სააკაშვილი კი არა, საქართველო დაიღუპება.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, მაინც ვინ გაისროლა პირველმა?

თენგიზ სიგუა: (უცებ განრისხდა და უხეში გახდა) რასაკვირველია... ეგ კითხვა თქვენ, როგორც ისტორიკოსმა, აღარ უნდა დასვათ. 3500

კაცი... ნებისმიერს, აი, ლეიტენანტს ჰკითხეთ... 3500 შეიარაღებული კაცი არის ციტადელში. კიდევ ვამბობ, ის არ არის ბუნკერი, მაგრამ ციტადელია, რა შენობაა, ხომ იცით, გერმანელების აშენებულია. 12 კაცი შეიარაღებული გარედან იწყებს შეტევას 3500 ციტადელში მყოფ კაცზე? ახლა საიდან არის 12. მოგაწვდით მასალას. ყველა კადრი გადაღებულია, დილით რა ხდება მოედანზე. თქვენ თუ იქ ნახავთ 2-3 კაცზე მეტს მოედანზე... გამსახურდია მერე სულ ცრუობდა, რომ ტანკებითა და იმით შემოგვიტიერი. რა ტანკი, რის ტანკი. ეს კითხვა, მე მგონი, თქვენ არ უნდა დაგესვათ, როგორც ისტორიკოსს.

ნათელა ვაჩნაძე: არა, მე უნდა აუცილებლად დავსვა ეს კითხვა, იმიტომ, რომ თქვენ უნდა მიპასუხოთ ამაზე.

თენგიზ სიგუა: ჩემი პასუხი კი არა, თქვენ უნდა ნახოთ გადაღებული კადრები და დარწმუნდებით. ამიტომ გეუბნებით, ლეიტენანტს ჰკითხეთ, ჩვეულებრივ სამხედრო ლეიტენანტს. სამხედრო სტრატეგია ამბობს: როდესაც შენ უტევ გამაგრებულ ადგილს, სამჯერ მეტი უნდა იყოს, მინიმუმ, შემტევი ძალა. 3500 შეიარაღებულ კაცს თურმე 12 კაცი უტევს. მაპატიეთ, მაგრამ რალაცა სისულელეა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ ჩვენ ტანკებით შემოგვიტიერი. ამიტომ იმ დილის კადრები უნდა ნახოთ. შეგიძლიათ შეხვდეთ იმ გადამდებს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი მომხრე იყო?

თენგიზ სიგუა: არავის მომხრე არ არის, უბრალოდ ოპერატორი იყო გვარად შანიძე, რომელიც იღებდა ამას ყველაფერს. მაჩვენეთ იმ კადრებში ერთი ტანკი, ერთი ზარბაზანი, იმ დილით გადაღებული. ამ შანიძეს რაც აქვს გადაღებული, ყველაფერი ჩანს, ქალებს როგორ კლავენ. ქალები მიდიან ქუჩაში, მთავრობის სახლის წინ და იქიდან იწყება სროლა. ამ შანიძის დეიდა მოხვდა იქ შემთხვევით და გამნარებული იყო შანიძე. ჩემი დაცვის ერთ-ერთი ბიჭი დაჭრეს იქ. სულ 3-4 კაცია იმ მთავრობის სახლის წინ. რის ტანკი, როგორ გეკადრებათ.

ნათელა ვაჩნაძე: ტანკი მე არ მახსოვდა, სიმართლე რომ გითხრათ.

თენგიზ სიგუა: ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ არ გახსოვთ, დოდონა კიზირიას რომ მისცა?: ტანკებით, ზარბაზნებით და თვითმავალი ტექნიკით შემოგვიტიეს დილის 8 საათზე? სინამდვილეში იყო რა: დილით ჩატარდა მიტინგი მთავრობის სახლის წინ. ზვიადს ძალიან შეეშინდა და გადაღობა მძიმე სატვირთო მანქანებით მთავრობის სახლისწინა მოედანი. იმ დღეს ოპოზიციამ მოითხოვა ამ ბარიკადების მოხსნა, რომ გავაერთიანოთ მიტინგები და ერთად ველაპარაკოთ ხალხსო. იმ მხრიდან გადმოვიდა ჩვენთან სალაპარაკოდ თემურ ქორიძე. თემური მოვიდა ჩემთან და ჩვენ შევთავაზეთ, შენ იყავი შუამავალი, ჩვენ გადმოვალთ (მნერალი გურამ გეგეშიძე, ის იდგა ჩემს გვერდით), ჩამოვიდეს გამსახურდია, შენ დაუდექი გვერდით და ვისაუბროთო, გავაერთიანოთ ეს... აჲ, მაგას გამსახურდია არ იზამსო. დღესაც ამ ხალხს არაფ-

რის მოსმენა არ უნდათ. მე, ქალბატონო ნათელა, ეს ხალხი მეცოდება, ავადმყოფები არიან. ესა აქვთ ჩადებული: ზვიადი იყო მესია, გათავდა. ვეუბნები: არ გააკეთა ეს, არ გააკეთა ის. მერე რა, ის ზვიადი იყო. საუბედუროდ, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურისაა. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი მთლიანად აზიური მენტალიტეტისაა. ერთ კაცს უნდათ ჩამოჰკიდონ ქვეყნის ბედ-ილბალი. ჯერ – ზვიადი, ზვიადი, მერე – შევარდნაძე, შევარდნაძე. მე ახლო ურთიერთობა მქონდა ხალხთან პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვენიაში, ბალტიისპირეთში. არ არსებობს იქ გამოვიდნენ მიტინგზე, ვთქვათ, ესტონელები და იყვირონ – ერნესტ, ერნესტ, ერნესტ. აქ კიდევ ახლა – მიშა, მიშა, მიშა. ხვალ მოვა ვიღაც ჭიჭიკო, ჭიჭიკო, ჭიჭიკო. აზიური აზროვნება. მე გეტყვით ჩემს აზრს: ზვიადისნაირი ტიპი საერთოდ არ შეიძლება სახელმწიფოს სათავეში, იმიტომ, რომ ისეთი პოლიტიკური შეცდომები ჩაიდინა... ამის გაგება არ უნდათ. რომ ვეუბნები: მერე რა, ის ზვიადი იყო. ის რა, ენვერ ხოჯა არ იყო, რომ დაღუპა ალბანეთი? კიმირ სენი არ იყო, რომ დაღუპა ჩრდილოეთ კორეა? რა მიდგომაა ეს, ამიხსენით, ისტორიკოსი ხართ, ამიხსენით. თქვენ მოგწონთ – ედუარდი, ედუარდი, ზვიადი, ზვიადი, მიშა, მიშა და დანარჩენი საზოგადოება არაფერი?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო თენგიზ, არ უნდა აღვადგინოთ იმ ადამიანების სახელები და გვარები, ვინც დაიღუპა?

თენგიზ სიგუა: მე ეს მაქვს. 108 კაცია დაღუპული სუსელას სახელი და გვარი დაფიქსირებულია. ორივე მხრიდან დაღუპულია 108 კაცი.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ სულ ლაპარაკია: გარეშე ძალა, გარეშე ძალა.

თენგიზ სიგუა: ერთი კაცი ხომ მაინც უნდა მომკვდარიყო არაქართველი. 250 ფირია, ერთ არაქართველს თუ დაინახავთ, დააფიქსირეთ, რომ ეს არაქართველია. იარაღს რომ “ЗАКВО” აძლევდა იმ მხარესაც და ამ მხარესაც, ეს დასამალი არ არის. შვეიცარიული და ფრანგული აქ არ შემოსულა, ეს იყო რუსული იარაღი.

ნათელა ვაჩნაძე: ნიკუშა კეკელიძემ შემოიტანა დიდძალი იარაღი ჩეხეთიდან.

თენგიზ სიგუა: ეს იყო უკვე მერე, მე გეუბნებით იმ პერიოდში. იმ პერიოდში იყო მარტო რუსული იარაღი.

ნათელა ვაჩნაძე: ამას წინათ გავიდა ერთი სიუჟეტი და წინია კავაბაძემ თქვა. რომ 90-იან წლებში საქართველოში ძალოვანი მინისტრები “ЗАКВО”-ს ბრძანებით ინიშნებოდნენ.

თენგიზ სიგუა: ბრძანებით არა, მაგრამ... შევარდნაძემ რომ დანიშნა ვარ-დიკო ნადიბაიძე, ის “ЗАКВО”-ს თავმჯდომარის მოადგილე იყო. აბა, კიტოვანი საერთოდ სამხედრო არ იყო, კამკამიძე, უკრაინიდან ჩამოვიყვანეთ, საშინელი ანტირუსი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძე თავის წიგნში თითქოს მიუთითებს, რომ თენგიზ კიტოვანი მოსკოვთან იყო დაკავშირებული.

თენგიზ სიგუა: თქვენ ახლა აფხაზეთის ამბები არ გაინტერესებთ, თორემ...
მოსკოვთან დაკავშირებული იყო შევარდნაძე და აფხაზეთი ჩააპარა
შევარდნაძემ. მაგის უამრავი დოკუმენტი მაქვს. ნულარ ლაპარაკობს
სისულელებს, რა კიტოვანი!

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გინდოდათ როდისმე პრეზიდენტობა?

თენგიზ სიგუა: არა, არასოდეს, არც პრემიერობა. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა,
მე ვუთხარი. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, აეროპორტში მე არ დავხვდი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, აქედან შევარდნაძესთან რომ დაფრინა-
ვდნენ, იცოდით ამის შესახებ?

თენგიზ სიგუა: კი, რასაკვირველია, პოლიტიკური პარტიები და კულტურის
წარმომადგენლები, გურამ მამულია... ყველაზე მე არ ვიცი, მაგრამ მე
ვიცი ოფიციალურად გამსახურდიას თხოვნით ვინ ჩადიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძესთან? გოგი ხოშტარია.

თენგიზ სიგუა: გოგი ხოშტარია მარტო არა, თედო პაატაშვილი...

ნათელა ვაჩნაძე: თედო პაატაშვილი თავისი ინიციატივით დადიოდა.

თენგიზ სიგუა: არა, გამსახურდიას დავალებით. მერე ხომ თვითონ გამოვი-
და პარლამენტში და თქვა, თუ ვინმე გყავთ ამ ადამიანთან ახლობლე-
ბი, ნათესავები.... აი, რეიტინგები, ნახეთ. 92 წლის 22 იანვარი – აკაკი
ბაქრაძეა პირველ ადგილზე. შევარდნაძე წინა წელს, დეკემბერში გა-
მოქვეყნდა, 37-ე თუ 38-ე ადგილზეა, 6 მარტს უკვე პირველ ადგილ-
ზეა, 37-დან ორ თვეში უკვე პირველ ადგილზე გადის. რას ნიშნავს ეს?
ხალხის მენტალიტეტი. პოლიტიკური მენტალიტეტი იმდენად დაბა-
ლია, რომ... შევარდნაძე ჩამოვა, ბუშის მეგობარია, ბეიკერის მეგო-
ბარია... ვიდა ჭანტურია ძლიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო.
მე, მაგალითად, ბევრჯერ შემხვედრია გია და მე მაგათი პოზიცია არ
მიმაჩნდა სწორად. რა იყო განსხვავება: “ეროვნული ფორუმი” რომ
ჩამოყალიბდა 91 წლის მარტში, მაშინ ერთნაირი პოზიცია იყო ყველა-
სი, მაგრამ მერე რატომ გაიყო —— „მრგვალი მაგიდა“, ე. ი. გამსახ-
ურდიას ფრთა, მხარს უჭერდა, რომ ჩატარებულიყო არჩევნები, სადაც
მონაწილეობა უნდა მიეღოთ პარტიებს. ის ფრთა, რომელიც ჩამოყ-
ალიბდა ეროვნული კონგრესის სახელით, კატეგორიული წინააღმდე-
გი იყო მონაწილეობა მიეღო საბჭოთა არჩევნებში. მე მაგ პერიოდში
ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან.
ყველამ ხომ არ იცის, ჩვენ რომ ბეიკერს შევხვდით 91 წლის თებერ-
ვალში მოსკოვში, იქ ძალიან გულთბილი საუბრები გვქონდა. ვიყავით
გამსახურდია, მე, ბეიკერი და მისი მარჯვენა ხელი. იქ ისეთ თემებზე
იყო ლაპარაკი... პირდაპირ გვითხრა ბეიკერმა, ჩვენ საქართველოსთან
დაკავშირებით სულ სხვა გეგმები გვაქვსო... ეს ხომ ყველამ არ იცის,
ამას უღალატა გამსახურდიამ და დაიწყო ბეიკერის პრეზიდენტის
გინება. რაშია საქმე, რატომ აგინებს დისიდენტი დასავლეთის ლიდ-
ერებს, რომლებმაც ხელი გამოუწოდეს დახმარების? მოსკოვის დაკვე-

თას ასრულებდა. აბა, დისიდენტი კაცი წარმოუდგენელია, რომ... ვა-
ცლავ ჰაველს შევხვდი, გავიცანი, თავის თანაშემწეებთან ერთად იყო.
გამსახურდიაზე ძალიან ცივად...

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, ჰაველთან გია ჭანტურიამ გააფუჭაო საქმე.

თენგიზ სიგუა: ჰაველს თვალები არა აქვს, ვერ ხედავს, რა ხდება? არა, ყვე-
ლაფრის თქმა შეიძლება მასზე. ყველამ გაუფუჭა, ყველამ... დასავლე-
თის პრესაში სადამ ჰუსეინს ადარებდნენ. წაგაკითხოთ? “კავკასიის
სადამ ჰუსეინი”. ესეც ჭანტურიას ბრალია? წაიკითხეთ ბეიქერის გა-
მოსვლა, ესეც ჭანტურიას დააბრალონ. არ იყო მასე.

ნინო თომაძე: ბატონო თენგიზ, ზვიადის მომხრეები ამბობენ, რომ რუსეთს
და ამერიკას არ უნდოდა, რომ საქართველო დემოკრატიული და
ეროვნული რესპუბლიკა ყოფილიყო.

თენგიზ სიგუა: იმ ხალხს რა განათლება აქვთ, მითხარით.

ნინო თომაძე: ძალიან განათლებული და ანგარიშგასანევი ხალხია.

თენგიზ სიგუა: ამერიკას და რუსეთს უნდათ ბალტიისპირეთი აყვავებული,
სლოვენია და მარტო საქართველო არ უნდათ?

ნინო თომაძე: ბალტიისპირეთს საქართველოსგან განსხვავებით ყოველთ-
ვის სულ სხვა მდგომარეობა ჰქონდა და მდებარეობაც განსხვავებუ-
ლი აქვს.

თენგიზ სიგუა: ჩვენ გვითხრეს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რეს-
პუბლიკებიდან ჩვენ სულ სხვა მდგომარეობა გვქონდა. ...თავს რომ
იყლავენ, არა, არაო, „ფრანსპრესის“ მასალას წაგაკითხებთ, რომ
ზვიად გამსახურდიამ სთხოვა მუთალიბოვს, აზერბაიჯანის იმუამინდ-
ელ პრეზიდენტს, რომ ეშუამდგომლა ელცინთან, რომ დსთ-ში მიეღოთ
საქართველო. მუთალიბოვის თანაშემწემ თქვა: კიო, გამოაგზავნეთ
კაციო. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: მსოფლიო დღეს ერთპოლუსიანი
გახდა, ამ ფაქტს უნდა გავუნიოთ ანგარიში. ამ ბოლო თხუთმეტი წლის
წინ იყო ორპოლუსიანი მსოფლიო, იყო ნატო და იყო ვარშავის პაქტის
სახელმწიფოები. ეკონომიკურად ძლიერმა შეერთებულმა შტატებმა
დააქცია სოციალისტური ბანაკი, დამალა საბჭოთა კავშირი. რასაკ-
ვირველია, რუსეთს წართმევს მისთვის.... ამიერკავკასია ამერიკისთ-
ვის ძალიან საინტერესოა. რატომ? ეს ბევრმა არ იცის და მე ისეთი
პროფესიის კაცი ვარ, რომელსაც დეტალურადა მაქვს შესწავლილი
შუა აზიის სიმდიდრე. იქ ისეთი წედლეულია, შუა აზიის ქვეყნებში,
რომლის გარეშეც ახალი ტექნიკა ვერ განვითარდება. ეს ხომ ევროპამ
იცის. უმოკლესი გზა ამ სიმდიდრის გატანისა ევროპაში არის ამიერ-
კავკასია. კიდევ ერთ ეპიზოდს მოგიყვებით ზვიადზე. . . ერთხელ მე
ჩამოვუტანე სამი მოწვევა: საფრანგეთის, ევროპის პარლამენტის და
დანიის პარლამენტის. გაეხარდა. იმ წუთში მერაპ კლიმიაშვილს დავუ-
ძახე: მოამზადე, პირველად დანიაში წავა პრეზიდენტი-თქო. მერაბმა
დაიწყო მომზადება, უკვე შეუთანხმა ვადები, ის რეკავდა დანიაში.

ყველაფერი შეთანხმებულია და ერთ დღეს მერაბი მირეკავს: რა ვქნა, უხერხულ მდგომარეობაში ვარო. რა იყო-მეთქი. ყველაფერი შეთანხმებულია, დამიბარა ზვიად გამსახურდიამ და მითხრა დაცვით უნდა წავიდეო. ეს თავიდან არ იყო განსაზღვრული და მერიდება, უკვე შეთანხმებულია. მე ვუთხარი: ნუ გერიდება, დარეკე საგარეო საქმეთა სამინისტროში და ხუთ წუთში შეცვლიან ყველაფერს. მართლაც დარეკა. გადის კიდევ სამი დღე და მირეკავს მერაბი --- არავის არაფერი შეუცვლიაო. გადავირიე --- სახელმწიფო მოღვაწე ხარ, მაშინ თავიდან უნდა განსაზღვრო, რამდენი მიგყავს, ვინ მიგყავს. ... მერე ვუთხარი: მერაბ, დაწყნარდი, მე ავიღებ ჩემს თავზე. თითქოს დავარეგულირე ყველაფერი, მაგრამ მირეკავს მერაბი საღამოთი და... რომ შევუტანე უკვე შეთანხმებული ვარიანტიო, ოთხი დაცვის კაცი უნდა წამოვიდეს. მერომ ჩავედი ვიცე-პრემიერი დამხვდა თვითონ. მე ავუხსენი, დანიში არ არის მიღებული. პრეზიდენტი რომ ჩადის ნებისმიერი, თვითონ იღებენ დაცვის საქმეს, აქედან არ ჩაჰყავთ. საფრანგეთის პრეზიდენტი რომ ჩავიდეს დანიში, იქ თავის დაცვით არ ჩავა. ჩაშალა ვიზიტი. ამ დროს ტერ-პეტროსიანმა რვა ქვეყანა მოიარა.

ნათელა ვაჩნაძე: მე ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც ქალბატონი მირანდა და ბატონი კონსტანტინე მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთ გერმანიაში, ეს ერთადერთი გასვლა იყო მათი, მახსოვს, ძალისძალათი წაიყვანეს ბ-ნი ზვიადი, არ უნდოდა, არასდროს არ ჰქონდა დრო....

თენგიზ სიგუა: ქალბატონო ნათელა, ამიტომ გეუბნებით, მასეთმა კაცმა არ უნდა მოინდომოს ქვეყნის მაღალ თანამდებობაზე ყოფნა. თუ სადმე წასვლა არ გინდა, ეს არ გინდა, ის არ გინდა, აბა... მე მაშინაც ვუთხარი: მასე არ შეიძლება, ზვიად, აგერ ნახე, ტერ-პეტროსიანმა 12 ქვეყანა მოიარა. პრეზიდენტობის დროს. ორად-ორჯერ იყო მოსკოვში: ერთხელ ჩავედით ბეიკერთან შესახვედრად და მეორედ ელცინის ინაუგურაციაზე.

ნათელა ვაჩნაძე: ელცინის პირადი სტუმრები იყვნენ. დიდ თეატრში ისეთი ამბავი იყო, რა ლამაზები არიანო. მე მიამბო გოგი ხოშტარიას ცოლმა: რომ შემოვიდნენო, ყველას შეშურდა, საქართველოს რა პრეზიდენტი ჰყავს, რა ცოლი ჰყავსო პრეზიდენტს.

თენგიზ სიგუა: ერთხელ ბეიკერთან შეხვედრაზე იყო და ელცინის ინაუგურაციაზე, მეტი ფეხი არ გაუდგამს არსად.

ნათელა ვაჩნაძე: კარგით, ბატონო თენგიზ, გადავატრიალეთ ხელისუფლება და რა მივიღეთ?

თენგიზ სიგუა: მივიღეთ ძალიან ცუდი შედეგი, შევარდნაძის ჩამოსვლით და... ნათელა ვაჩნაძე: სანამ ბ-ნი შევარდნაძე მოვა, მანამდე რა იყო?

ნინო თომაძე: სამხედრო საბჭო...

თენგიზ სიგუა: სამხედრო საბჭო იყო სულ ორი თვე. 7 მარტს ჩამოვიდა შევარდნაძე და სამხედრო საბჭო გაუქმდა. პარალელები გავავლოთ: ჩვე-

ნი მეზობელი აზერბაიჯანი, სომხეთი. ქართველი ხალხი: აი, ედიკა ჩამოვა, საქართველოს ააყვავებს...

ნათელა ვაჩნაძე: ბერლინის კედელი აიღო, გერმანია გააერთიანა, მსოფლიო დონის პოლიტიკოსია... თქვენც გაგიგიათ ეს შეფასებები.

თენგიზ სიგუა: მე გიჩვენებთ მასალას... კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ გორბაჩოვიც და შევარდნაძეც გერმანიის გაერთიანების, კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ დასავლეთმა აიძულა, ბეიკერმა, მიტერანმა... სიტყვებია გორბაჩოვის: “Да, Германия, конечно, объединиться, но ни при моей жизни”. ექვსი თვე გავიდა ამის შემდეგ, გერმანია გაერთიანდა, გორბაჩოვი დღესაც ცოცხალია. შევარდნაძე ესწრება, ოფავაში, კანადაში, შეკრებილები არიან საგარეო საქმეთა მინისტრები, იხილავენ სწორედ გერმანიის საკითხს. საბჭოთა დიპლომატების შევარდნაძესთან საუბარი მოყვანილია პრესაში: ეხვენება, სამი წლით მაინც ვერ გავწელავთო ამ საკითხს? არაო. შევარდნაძე წინააღმდეგია. მე მგონი, შვედეთში გამოდის და 8 პუნქტად აქვს ჩამოყალიბებული შევარდნაძეს, რატომ არ შეიძლება გერმანიის გაერთიანება და ახლა გერმანიის გამაერთიანებლად მოაქვს თავი. დასავლეთმა არ იცის, რომ გორბაჩოვი და ეგ წინააღმდეგი იყვნენ? მაგრამ ბოლოს მაინც დაიყოლია დასავლეთმა და ხელი მოაწერინა. ამას მაინც უფასებენ. გერმანელებმა ოპერა დაწერეს „გორბი“. გერმანიაში მაინც პატივს სცემენ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც დაიყოლია დასავლეთმა და მოაწერეს ხელი გერმანიის გაერთიანებას.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, ჩვენ სრულიად გამოვტოვეთ მოსკოვის პუტჩი და საქართველო.

თენგიზ სიგუა: აი, კიდევ ერთი რამ გამსახურდიას წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ძალიან ბევრი რამ მომისმენია და მინახავს. მე მოსკოვში ვიყავი პუტჩის დროს.

თენგიზ სიგუა: პრესას ადევნებდით თვალყურს?

ნათელა ვაჩნაძე: კი, როგორ არა.

თენგიზ სიგუა: დასავლეთის პრესა პირდაპირ წერდა...

ნათელა ვაჩნაძე: საქართველომ არასწორი პოზიცია დაიჭირა, ხომ?

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. საქართველომ თითქმის ყველაზე არასწორი პოზიცია დაიჭირა.

ნათელა ვაჩნაძე: თითქმის არა, მგონი, ყველაზე არასწორი პოზიცია.

თენგიზ სიგუა: არა, შუა აზიის რესპუბლიკებს ნუ ვედრებით. ლენინგრადის გუბერნატორი სობჩავი იყო, გამოდის და პირდაპირ ამბობს: მოსკოვი თუ ჯარს გამოაგზავნისო, ჯარს დავახვედრებო, ომს დავუწყებო, არ მოსწონს. ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი, დისიდენტი: არავითარი გამოსვლები, არავითარი...

ნათელა ვაჩნაძე: რა იყო ეს, ბატონო თენგიზ და თქვენ სად იყავით ამ დროს? თენგიზ სიგუა: მე გადამდგარი ვარ. მე გადამდგარი ვარ, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალე... აკაკი ასათიანი, პარლამენტის თავმჯდომარე, არ პასუხობს ტელეფონს. დავრეკე წყნეთში, აიღო ტელეფონი. მე ვუთხარი: კაკო (ზვიადიც იქ არის), სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე თბილისში. არც ერთმა ქვეყანამ --- უკრაინამ, ბელორუსიამ, ბალტიისპირეთმა --- არ დაბეჭდეს “ГКЧП”-ს მასალები, საქართველომ დაბეჭდა. რატომ? მაშინ, როცა პრესა, მაპატიეთ, იმ კაბლუკომ ჰყავდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი ადამიანი, ვინც 15 აგვისტოს უკვე იცოდა, რომ მოსკოვში პუთინი მოხდებოდა. მე ვფიქრობ, “КГБ”-ს გზით იცოდა.

თენგიზ სიგუა: 15-ში არ იცოდა, მაგრამ... გამსახურდიამ შეიძლება იცოდა, იმიტომ, რომ გააგზავნა მურმან ომანიძე იანაევთან მოსკოვში. 14-15-16-ში თბილისშია ომანიძე. 18-ში დილით ომანიძე ჩაჯდა თვითმფრინავში... კაციშვილმა არ იცის, რომ წასულია. ჩერდება სასტუმროში, სასტუმროს აქვს დიდი ავტოფარეხი. მას არ უნდა რომ იანაევთან შევიდეს ოფიციალური მანქანით და ამიტომ ქირაობს მანქანას ავსტრიელი ბიზნესმენისგან ბაუზბეკისგან. ნომერი დაფიქსირებულია. ამ მანქანით შედის. შუამავალი იყო ვინმე რამაზი... ომანიძე კატეეორიულად უარყოფს, მე 18-ში არ ვყოფილვარო მოსკოვში, მაგრამ როდესაც პირზე დაადგა ნანა ალექსანდრია... რეზო გაბრიაძემ პირდაპირ დაადო ხელი: “ჩვენ იქ ვიყავითო და იქ იყოო”. ვეღარ უარყო; “კი, ვიყავი მოსკოვში, მაგრამ იანაევს არ შევხვედრივარო”.

ნათელა ვაჩნაძე: ამას ხომ ვერავინ ვერ დაუმტკიცებს, შეხვდა თუ არა, გარდა იმ მანქანისა?

თენგიზ სიგუა: როგორ ვერ დაუმტკიცებს... პროპუსკ, დაფიქსირებულია ნომერი. ის კაცი პირდაპირ ადებს ხელს, რომ ომანიძემ გაიყვანა ჩვენგან ეს და ეს ნომერი მანქანა, რომელიც დაფიქსირებულია კრემლში ამ ნომრით. როგორ ვერ დაუმტკიცებს? რომ უარყოფ და მერე აღიარებს...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გადადექით 16-ში?

თენგიზ სიგუა: მე 16-ში გადავდექი და რატომ. 14-ში ფოთში იხსნებოდა საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი საწყლოსნო სპორტში. ამ კომისიის თავმჯდომარე იყო ბაქარ გიგინეიშვილი. ბაქარმა მითხრა: მოდიო, არ ჩავშალოთო. შენ რომ გადადგე და მე რომ გადავდგეო... ბაქარი იყო ხელმძღვანელი და მეც ვაკონტროლებდი. ... ეს თემა უნდა დაიწეროს, ოღონდ სიტყვიერი მასალით არა. მე რასაც ვამბობ, ყველაფრის საბუთს დაგიდებთ. ნოდარ ლომოური იყო საშინელი ანტიზვიადისტი, არც მალავს ამას ის კაცი და რატომ უნდა დამალოს? ე. ი. ზვიადს უფლება აქვს ლანძღოს ლომოური და ლომოურს უფლება არა აქვს, გასცეს პასუხი? რატომ უდგებით ასე? მაგალითად, ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია... ჩვენ არ ვთვლით იმას ლირსად, რომ ვუპასუხო-

თო. არა ვარ იმ დონისაო, ვუპასუხოო ვიღაც ქალს, რომელიც ბოლო
სიტყვებით მლანძლავს რომელიღაც გაზეთშიო. სწორი პოზიციაა.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ მინახავს გადაცემა და არც წამიკითხავს: გამოსუ-
ლა ბატონი ნოდარი და უთქვამს, რომ ვისროლეო იმ დღეს გამოვიტანე
იარაღი და ვისროლეო. ახლა გავიგე, რომ მოკვდაო.

თენგიზ სიგუა: სიკვდილი გამეხარდაო, ასეთი რამ არ უნდა ეთქვა. ნებისმიე-
რი კაცის სიკვდილი, რაც არ უნდა მტერი იყოს, არ უნდა გაგეხარდეს.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ჩავწეროთ, ბატონო თენგიზ, თქვენი გემოვნებით? აბა,
გვითხარით.

თენგიზ სიგუა: ის, ვისაც აქვს მასალა, რომ დაგიდოთ მასალა, თორემ სი-
ტყვიერად... ენას, კიდევ გეუბნებით, ძვალი არა აქვს. აი, თქვენ რომ
ამბობთ, კრემლის აგენტი იყოო. კრემლის აგენტი თუ ვიყავი, რად მინ-
დოდა შევარდნაძე? მაშინ კითხვა იბადება: რა უნდა გააკეთოს კრემ-
ლის აგენტმა გამარჯვების შემთხვევაში? სასწრაფოდ საქართველო
უნდა შეიყვანოს დსთ-ში და უნდა დაამკვიდროს რუსული ბაზები.
„კრემლის აგენტი“ კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს დსთ-
ში შეყვანის და პირველი აძალებს რუსულ ბაზებს... ვინც ამას ამბობს,
კრემლის აგენტები იყვნენო, კი, ბატონო, მაშინ დაამტკიცოს. ... დაიშ-
ალა საბჭოთა კავშირი. ევროპის ქვეყნები ნელ-ნელა გვალიარებენ. სე-
ქტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში საქართველო სამ ქვეყ-
ანას ჰყავს აღიარებული. მაშინ, როდესაც დანარჩენი რესპუბლიკები
ოცს, ოცდაათს. ახსნან ზვიადისტებმა, რაშია საქმე.

ნათელა ვაჩნაძე: სამი არ ვიცი, მე მგონი, ერთს, უკრაინას.

თენგიზ სიგუა: არა.

ნათელა ვაჩნაძე: აბა კიდევ ვის?

თენგიზ სიგუა: ყველაფერი დოკუმენტალურად არის. ერთი ამბავი რომ ატყ-
და, თუ გახსოვთ, უკრაინამ გვცნო, არ გვცნო...

ნათელა ვაჩნაძე: უკრაინამ გვცნოო, თქვეს, მაგრამ ოპოზიცია ამბობდა,
ასეთი ქვეყანა რად გვინდაო.

თენგიზ სიგუა: არა, არა, გამოაცხადა ოფიციალურად, რომ უკრაინამ გვც-
ნო. მე მაგ საქმეში არ ვიყავი ჩარეული. არავითარი ცნობის ის არ
არის მოსული. დადგინდა, რომ მართლა არ იყო. ეს იყო დეკემბრის და-
საწყისი 91 წლის. თითო ხმას აგროვებდნენ, რომ ვიღაცამ გვცნოსო. მაშინ,
როდესაც თურქმენეთი უკვე 30-მა ქვეყანამ ცნო, თურქმენეთი,
ყველაზე ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის დროს ე. წ. მოკავშირე რეს-
პუბლიკა. აი, ბეიკერის ნათქვამი: „საქართველო სრულ იზოლაციაშია.
როცა ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი ამ პოზიციას დაიკავებს, ჩათვა-
ლეთ, რომ ის ქვეყანა დაღუპულია“. პირველი ჩემი ჩასვლისას ევრო-
პაში, პროექტების დაფინანსება გამოყო, უცბად, ევროკავშირმა. მერე
ყველაფერი შეაჩერეს. აი სადამდე მივიდა: „სადამ ჰუსეინი კავკასი-
იდან“ – ამას წერს გავლენიანი ინგლისური გაზეთი. საშინელი სტატიე-

ბი იყო. ... წაიკითხეთ, რას ამბობს იანაევი 15 წლის შემდეგ. არსად არა მაქვს ჯერ გამოქვეყნებული. ამას რომ ყველაფერს გამოვაქვეყნებ, მერე დამიდგნენ ზვიადისტები და მელაპარაკონ.

ნინო თომაძე: რატომ არ გამოაქვეყნეთ ამდენი ხანი?

თენგიზ სიგუა: ვერ მოვიცალე, როცა მოვიცლი, დავწერ. რა აიძულებდა იანაევს, 15 წლის შემდეგ ეთქვა ტყუილი. ნახეთ, რას წერს:

ნათელა ვაჩნაძე: “Гамсахурдия, грузинский президент, прислал своих эмиссаров, которые заверяли меня: ‘Геннадий Иванович, Грузия никогда не выйдет из состава СССР’.

თენგიზ სიგუა: ვინ იყო ემისარი? ომანიძე. საქართველოში არავინ არ იცის, ან ძალიან ცოტამ იცის. ... აი, კიდევ ერთი, მოსკოვის მასალები. მანც პატივს ვცემ მე ზვიადს, მაგრამ, აი, გორბაჩივის ბრძანება... ერთ-ერთი პირველი “КГБ”-ს ხელმძღვანელობა გაათავისუფლა. ორი რუსი იყო, ისინი მართავდნენ. პირველი პირი იყო ადგილობრივი... მთელი ინფორმაცია მიდიოდა მოსკოვში და ეგენი გაათავისუფლა.

ნათელა ვაჩნაძე: (კითხულობს): “Восстановить в должностях руководителей МВД и КГБ республики, а также личный состав, как это было до 27 ноября, в противном случае оставляю за собой право поступить в соответствии с действующим законодательством. Президент Союза Советских Социалистических Республик Михаил Горбачев. 28 ноября 1990 года”.

თენგიზ სიგუა: ამაზე თქვა ზვიადმა: „ასეთი საქმიანი დეპეშა მოვიდა გორბაჩივისგან და სასწრაფოდ... ჩვენ რომ ახლა გორბაჩივს დავყვეთ და მე გავაუქმო მთავრობის დადგენილება და აღვადგინო ეს რუსები, ჩათვალე, რომ საქართველო დაღუპულიათ“. ზვიადს ავუხსენი რაშიც იყო საქმე და დაწყნარდა. იმიტომ, რომ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა გორბაჩივს კრუჩკოვმა. კრუჩკოვს უთქვამს, რომ “...их убрали и назначили человека с улицы”. ოთარ ხატიაშვილი იციან, მაგათი გენერალია. Он был начальником КГБ дальневосточного края. მერე გადმოიყვანეს, აჭარის “КГБ”-ს უფროსი იყო, ბოლოს იყო “КГБ”-ს თავმჯდომარის მოადგილე. ეს “человек с улицы”-ა? 9 აპრილის შემდეგ არც ერთი დავალება არ შეუსრულებია. ... ბოლოს რამდენი კაცი შერჩა ზვიადს? 3500 კაციდან 200 კაცი. დანარჩენი სად გაიქცა? ბოლოს, როცა ყველაფერი მორჩა, თავიდან დასავლეთ საქართველოში უნდოდა წასვლა, მერე უცბად აღმოჩნდა აზერბაიჯანში.

ნათელა ვაჩნაძე: სომხეთში არ წავიდა და იქ არ გაეკიდნენ ელდარი და გიორგი?

თენგიზ სიგუა: არა, აბსოლუტურად არასწორი ინფორმაცია გაქვთ. რა შუაშია ელდარი და გიორგი. გიორგის რა უნდოდა? მე გავაგზავნე დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ გენერალური პროკურორის მოადგილე ყიფიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ელდერ შენგელაია

და დეპუტატი, თუ არ ვცდები, შაშიაშვილი, დავალებით, რომ შეხვედროდნენ გამსახურდიას, დაეწყოთ მოლაპარაკება მისი საქართველოში დაბრუნების თაობაზე. სრულ გარანტიას ვაძლევდით ხელშეუხებლობის და მომავალ არჩევნებში მონაწილეობის გარანტიას. ნინასწარ ეს შეთანხმებული იყო სომხეთის პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანთან. გაჩვენებთ, ტერ-პეტროსიანთან რა დეპეშა მქონდა, თუ არ გიჩვენეთ, ჩათვალეთ, რომ გატყუებთ. თქვენ რომ ამბობთ, ვიღაცებს შევხვდებიო, ასეთივე პირობით. მარტო სიტყვიერ განცხადებას ნუ ენდობით, იმიტომ, რომ იმდენ სისულელეს ვკითხულობ მე დღეს გაზეთებში!

ნათელა ვაჩნაძე: არა, მე ვერც ვენდობი...

თენგიზ სიგუა: ანდლულაძეს თუ იცნობთ?

ნათელა ვაჩნაძე: მე არ ვიცნობ, პირადად. განათლების მინისტრი იყო, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა.

თენგიზ სიგუა: ერთ-ერთ ინტერვიუში დაუწერია ისეთი სისულელე... მინისტრი იყავი ქალი, ამდენი მაინც უნდა იცოდე. . . მინისტრს ჰქვია მაღალი რანგის ჩინოვნიკი. დაუწერია, რომ მე მაქვს ინფორმაციაო, ჩეჩენმა მწერალმა ქაძოევმა მომაწოდაო, თურმე, სიგუაო მოსკოვში, ერთ-ერთ სასტუმროში რუს გენერლებს შეხვდაო და რუკა ჰქონდათ გაშლილიო. ჯერ ერთი, ეს უნდა იცოდეს მინისტრმა, რომ ყველა რესპუბლიკას აქვს “Постпредство”, ეს არის იმ რესპუბლიკის საკუთრება, ყველა უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი ჩერდება იქ. პრემიერ-მინისტრი მოსკოვში ჩადის და სასტუმროში ცხოვრობს? არა აქვს უფლება პრემიერ-მინისტრს ჩავიდეს სხვა ქვეყანაში და... მოსკოვში იყო “Постоянное представительство Совета Министров при Совмине СССР”. ეს არის ჩემი საკუთრება, ეს არის ჩემი სასტუმრო, ეს არის ჩემი სახლი. ეს არ უნდა იცოდეს მინისტრმა? ბოგანომ რომ არ იცოდეს, კი. მერე. რუს გენერლებს თურმე სხვა ადგილი არა აქვთ, რომ სადღაც სასტუმროში... ვიღაც ჩეჩენი მწერალი აღებს კარებს და შემთხვევით შეესწრო ამ ამბავს. ასეთ ზღაპარს რომ მოიგონებს ქალი, ის ნორმალურია?

ნათელა ვაჩნაძე: მაგის მერე ვინ იყო განათლების მინისტრი?

თენგიზ სიგუა: მერე იყო ელიზბარ ჯაველიძე. ელიზბარის შედარება მაგასთან როგორ შეიძლება, ელიზბარი კარგი მეცნიერიც იყო და... აი, თქვენი მეგობარი გოგი ხოშტარია: „Гамсахурдия не демократ, в душе он тоталитарист, которому присущи характерные для старой, коммунистической системы черты. Он страшный демагог.” (Газета “За рубежом”, 1991 год.) გოგი ახალი მოხსნილია. მე მოგცემთ უცხოური პრესის თარგმანებს, რომლებიც წერდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. გაზეთი „ინდეპენდენტი“, „ობსერვერი“, ინგლისური გაზეთია...

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება ვიფიქროთ, რომ პ-ნი შევარდნაძის ხელი დიდია მაგ საქმეში! მთელი უცხოური პრესა იყო მის ხელთ იყო. ყოველ შემთხვევაში, დიდი გავლენა ექნებოდა, არა?

თენგიზ სიგუა: კარგით, რა. . . . (აგრძელებს): აი, რას წერს შეერთებული შტატები: (კითხულობს): „პირველი: საბჭოთა კავშირის მომავალი უნდა ემყარებოდეს საბჭოთა ხალხების თვითგამორკვევას, მხოლოდ მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით. მეორე: არსებული, შიდა თუ გარეთა, საზღვრების დაცვა, პატივისცემა. ნებისმიერი საზღვრების ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონიერად, მშვიდობიანი შეთანხმების გზით, ან უნდა პასუხობდეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ვიზიტებს. დემოკრატიისა და კანონების უზენაესობა...“ აი, რას უწუნებდნენ. „...დემოკრატიული პროცედურების გამოყენება, განსაკუთრებით არჩევნებისას, პოლიტიკური ცვლილებების მიღწევისათვის; ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც ყოველი ინდივიდის, ისე ყველა ეთნიკური უმცირესობის, საერთაშორისო კანონებისა და შეთანხმებების პატივისცემა (ჰელსინკის შემაჯამებელი აქტი, პარიზის თათბირი და სხვ.). ჩვენი მომავალი ურთიერთობა საქართველოსთან და სხვა რესპუბლიკებთან იქნება დაფუძნებული ამ პრინციპებზე. ჩვენ მოვუწოდებთ თქვენს მთავრობას, გაითვალისწინოს ყოველივე ზემოთქმული და უფრო მეტად დაიცვას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ვიზიტები. შეერთებული შტატების ხელისუფლება დიდად არის შეშფოთებული იმით, რომ საქართველოს მთავრობას ისევ პატიმრობაში ჰყავს ოპოზიციის ლიდერები...“

ნათელა ვაჩნაძე: ჯაბა იოსელიანი.

თენგიზ სიგუა: არა, აქ გვარებიც არის ნახსენები. „... გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა და სხვები. (აგრძელებს კითხვას): “შეერთებული შტატების ხელისუფლება კმაყოფილია იმით, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია მშვიდდება და რომ ძალადობის საშიშროება მნიშვნელოვნად შემცირდა. ჩვენ მოვუწოდებთ პრეზიდენტ გამსახურდიას კვლავაც გააგრძელოს ეს პროცესები და გაათავისუფლოს პატიმრობიდან ოპოზიციის ლიდერები (კერძოდ, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა). წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, დაასაბუთოს მათი პატიმრობაში ყოფნის მიზეზები. ჩვენ ძალიან შეწუხებული ვართ იმ თავდასხმებისა და ძალადობის ფაქტებით, რასაც ადგილი აქვს სამხრეთ ოსეთში. ჩვენ მოვუწოდებთ ამ რეგიონის ყველა წარმომადგენელს სისხლისღვრის შეწყვეტისაკენ. ჩვენ მოვუწოდებთ პრეზიდენტ გამსახურდიას, გადაწყვიტოს ეს კონფლიქტი პოლიტიკური გზით მშვიდობიან პრინციპებზე დაყრდნობით. ჩვენ დავეხმარებით პრეზიდენტ გამსახურდიას შეერთებულ შტატებთან უფრო თბილი კონტაქტების

დამყარებაში იმ შემთხვევაში, თუ ის დაიცავს ბეიკერის მიერ წარდგენილ პრინციპებს და...“ ბეიკერმა როგორ შეაფასა, მერე ვნახოთ. „....იმ დროს, როცა შეერთებული შტატები ამყარებენ ახალ და მყარ ურთიერთობას დემოკრატიის გზაზე მდგარ რუსეთთან, უკრაინასთან, სომხეთთან და სხვა რესპუბლიკებთან, შეერთებულ შტატებს არ მიაჩნია შესაძლებლად დაამყაროს იგივე ურთიერთობა საქართველოსთან, სანამ იქ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება ყოველი ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების მიმართ. ნებისმიერი მომავალი ეკონომიკური დახმარება საქართველოსათვის დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. ამჟამად კი ჩვენგან ეკონომიკური დახმარების მიღება, რომლის თაობაზეც გვაქვს მოლაპარაკება სხვა რესპუბლიკებთან, საქართველოსთვის შესაძლებელი არ არის“. ეს იყო მომაკვდინებელი განცხადება. ამ დროისთვის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს 4,7 მილიარდი დოლარი გამოყოფილი აქვს, რომ დაეხმაროს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს ეკონომიკურად. ერთ-ერთი, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, იყო საქართველო. ყველამ მიიღო დახმარება საქართველოსა და აზერბაიჯანის გარდა. საქართველო ამოვარდა ამ სიიდან. ეს ნიშნავდა, რომ რახან ამერიკამ ამოაგდო, ევროპის არც ერთი ქვეყანა არ დაეხმარებოდა. მერე მე, აი, რა დამიწერია: „ზვიად გამსახურდიას არ აღმოაჩნდა პოლიტიკოსის ჩვევები. „დისიდენტი“ და „პოლიტიკოსი“ ერთი და იგივე არ არის“. მერე მიწერილი მაქვს – ამისი მაგალითია -- ვ. ჰაველი, ე. ი. დადებითი მაგალითები მსოფლიოში არსებობს ---- როდესაც დისიდენტი მივიდა ხელისუფლებაში და ძლიერ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა. აი, ვთქვათ, იგივე მანდელა. 27 წელი მანდელამ გაატარა ციხეში და მერე გახდა პრეზიდენტი. ყველას ეგონა და იყო კიდევაც დასავლეთის პრესაში ასეთი სტატიები, რომ მანდელა იმ წუთშივე გაყრიდა ოპოზიციას... მისი პირველი გამოსვლა იყო უჭკვიანესი კაცის გამოსვლა. მან ოპოზიციასთან შეხვედრისას თქვა: “ჩვენ ახლა გულბოროტობა უნდა დავივიწყოთ, თორემ ჩვენს ქვეყანას დავღუპავთ. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, დღეიდან ამოვილოთ ბოროტი გრძნობები და ჩვენ დღეიდან უნდა ვითანამშრომლოთ იმათან, ვინც ჩვენ ათეული წელი ციხეში გაგვატარებინა”. აბსოლუტურად სწორი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ამ ლოგიკას რომ გავყევთ, რა უნდა ექნა გამსახურდიას? თენგიზ სიგუა: რა უნდა ექნა და... “ჩემი მტრები არიანო,” და რომ აგდებო აკადემიკოსს... კინემატოგრაფისტთა კავშირი... ცხრა შემოქმედებითი კავშირი იყო... ასეთი გაბოროტება...

ნათელა ვაჩნაძე: მაგ ლოგიკას თუ გავყევებით, ვინც იგი ციხეში ჩასვა, გაამნარა, ანვალა, ვინც მაგის სამშობლოს საშინელება დაანია, იმათთანაც კომპრომისზე შეიძლებოდა ნასვლა. მე მახსოვს მინდია სალუქვაძის გამოსვლა, როდესაც დაითხოვეს კომუნისტები პარლამენტიდან, რო-

მელმაც უთხრა: ბატონი ზვიად, მე კი წავალ აქედანო, მაგრამ ჩემზე მეტი მტრები მოგივლენო. ჯერ ერთი, რეპრესირებული ოჯახის შვილი ვარო, მთელი სიცოცხლე მე დამდევდნენო, რატომ აკეთებთო, თქვენ, ინანებთო.

თენგიზ სიგუა: პარლამენტში დიდი რაოდენობით იყვნენ კომუნისტები, უმეტესობა, მართალია, „მრგვალი მაგიდისა“ იყო. ამ ხალხის უმეტესობას მე პირადად ვიცნობდი. მე რომ რომელიმე კანონპროექტს მივიღებდი ეკონომიკურს, ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებს ვხვდებოდი, რომ პარლამენტში არ ყოფილიყო მერე დიდი ჯახი. არ მახსოვს... იგივე მზექალა შანიძე, იგივე მინდია, პირიქით, მეუბნებოდნენ, რაც გინდა, ყველაფერში მხარს დაგიჭერ, ოღონდ ჭკვიანური კანონები გაიტანე. თქვენ ოქმები რომ ნახოთ, ვერსად იპოვით მასალას, რომ რომელიმე კანონპროექტისთვის, რომელიც გადიოდა იმუამინდელ უმაღლეს საბჭოში (უმაღლესი საბჭო ერქვა მაშინ პარლანეტს) კომუნისტებს გაეწიათ წინააღმდეგობა.

ნათელა ვაჩნაძე: ძალაგამოცლილი იყო. ისედაც, მათ თავისი ერისთვის რაღაცა უნდოდათ სასიკეთო გაეკეთებინათ. ველა ორთოდოქსი კომუნისტი ხომ არ იყო?!

თენგიზ სიგუა: რა ბრალდებით გაყარა, იცით? არა? თითქოსო პუტჩის უჭერდნენო მხარს კომუნისტებიო. მსოფლიო პრესა რომ ნახოთ, ყველაზე ცუდად მოიქცა საქართველოს პრეზიდენტი პუტჩის დროს.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, თქვენ რომ ინტერვიუ მომეცით იანაევთან, თითქმის ერთნაირი პოზიცია უჭირავთ სომხეთს და საქართველოს.

თენგიზ სიგუა: კი, კი. სომხეთის პრესას არც ერთი მასალა... საქართველოს პრესამ მთლიანად გამოაქვეყნა გრუპის მასალები. არც უკრაინის, არც მოლდოვის პრესას... ლენინგრადის არც ერთ გაზეთს არ გამოუქვეყნებია. ლენინგრადი ხომ რუსეთია.

ნათელა ვაჩნაძე: რა საინტერესოა, რატომ ფიქრობდნენ ეგენი, რომ პუტჩი დამარცხდება და არ უნდა დაუჭირონ მხარი?

თენგიზ სიგუა: ჯარმა არ დაუჭირა მხარი, იარაღიანი კაცი წყვეტის ქვეყნის ბედს. რატომდაც იანაევს და იმათ ეგონათ, რომ გენერალი გრაჩოვი... მე ვიცოდი, რომ გენერალი გრაჩოვი არ დაუჭერდა მხარს. ეგ ბევრმა იცოდა და ამიტომ. სობჩაქმა სატელევიზიო გამოსვლაში თქვა, რომ მე ვიცოდიო. მე, საქართველოს იმუამინდელმა პრემიერმა, ვიცოდი, რომ სამხედრო ძალა აქტიურად არ დაუჭერდა მხარს იანაევს. თუმცა იაზოვი, თავდაცვის მინისტრი, მათ ჯგუფში იყო, მაგრამ იაზოვს არ ჰქონდა ის ავტორიტეტი ჯარში. ეს მე ვიცოდი, ეტყობა, იცოდნენ სხვებმაც და ამიტომ, წინასწარ რომ განნირული იყო “გრუპი”... მე რომ კრავჩუკს შევხვდი, უკრაინის პრესიდენტს, მითხრა: “Когда я узнал, мне стало смешно. Я даже не думал, что они продержатся три дня”. ეს იცოდა ყველამ. დიდი შეცდომა დაუშვა ზვიადმა.

ნინო თომაძე: რა ურთიერთობა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას უშიშროებასთან? თენგიზ სიგუა: თითქოს ნორმალური. ოთარ ხატიაშვილი “სუკ”-ის თავმჯ-დომარის მოადგილე იყო. პირველი მოადგილე არ იყო, მაგრამ... პირ-ველი ორი მოადგილე რუსი იყო, ოთარი ერთ-ერთი მოადგილე იყო. 9 აპრილს არც ერთი დავალება, რაც მოსკოვიდან მოვიდა, ოთარმა კატ-ეგორიულად არ შეასრულა. იმ დღეს გადაყენეს, თუ გადადგა, წავიდა. იმიტომ ვენდეთ ჩვენ, დავუძახეთ.

ნინო თომაძე: არის ასეთი ვერსია, თქვენ რა აზრის ხართ, მაინტერესებს, რომ ზვიად გამსახურდიას რაღაც გარკვეული პერიოდი „ავერბოვკებ-და“ “სუკ”-ი და წაყვანილიც ჰყავდათ მოსკოვში.

თენგიზ სიგუა: რატომ, გეტყვით. იყო ასეთი “სუკ”-ის გენერალი (პაუზა), რომელსაც მიჰყავდა მთლიანად გამსახურდიას საქმე. მან ყველაზე კარგად იცოდა, რა ხდებოდა კგბ-ში ამ ოჯახის მიმართ. მე ამ კაცს არ ვიცნობდი. როდესაც გამსახურდიამ გაიმარჯვა, ცხადია, ამ კაცმა დატოვა საქართველო. მერე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა ჩემთან და მთხოვა... მე ვუთხარი, ჩამოვიდეს-მეთქი. მოვიდა ჩემთან. რომ ვესაუბრე, მართლა დავრწმუნდი, რომ ძალიან კარგი ანალიტიკური აპარატი აქვს. რა თემაზეც არ ველაპარაკე... აფხაზეთთან იყო მაშინ დაძაბული ურთიერთობა და ზეპირად იცოდა ეს ყველაფერი. მერე ძალიან ხშირ-ად იყო ჩემთან. მე რომ წავიკითხე ჩვენებები... ისეთი წამებები, რომ... ამიტომ, მოდითო, ნუ განვსჯითო და ბრალდებებს ამ ხალხს ნუ წავუყენებთო. მერე მოითხოვდნენ ამ მასალების გამოქვეყნებას. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და რატომ: მათი შვილები, შვილიშვილები ცოცხლები არიან და არ უნდა აგონ პასუხი ბაბუამისის წამების ქვეშ მიცემული ჩვენებების გამო.

ნინო თომაძე: ბატონო თენგიზ, ამბობენ, რომ კონსტანტინე გამსახურდიაც თანამშრომლობდა “სუკ”-თან და არსებობს ამისი დამადასტურებელი ფაქტები.

თენგიზ სიგუა: კი, კი. “სუკ”-ის გენერალ-პოლკოვნიკი? პირდაპირ წერს: კონსტანტინე გამსახურდია ჩვენი ის იყოო... მეტს გეტყვით. ჩემი მეგობარი იყო, ან გარდაცვლილი იულონ გოგიბერიძე. მე და იულონ-მა ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი, მერე ასპირანტურა. იმას აქვს მონაყოლი... მამაჩემ მოსე გოგიბერიძეს დაკითხვის დროს კონია დაადგა პირზეო... კონიას ენდობოდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ბერიას ამბები იყო. ბერია სულ ამბობდა: მაგ ტუტუცს გადაეცითო, მაინც არ დავიჭერ, რაც არ უნდა იაროს ჩოხითო.

თენგიზ სიგუა: ღვინისფერი ჩოხით რომ იაროს რუსთაველზეო, მაინც არ დავიჭერთო. სუდოპლატოვი პირდაპირ წერს, რომ ბერიამ „დაავერ-ბოვკაო“.

ნათელა ვაჩნაძე: ბ-ნ სიმონ ჯანაშიაზეც იგივეს ამბობენ. ეს საიდუმლო სამ-სახურის ჩვეული ხერხია --- წაიბილწოს ყველა და ყველაფერი.

თენგიზ სიგუა: ეს გამოაქვეყნა ყველაფერი თეიმურაზ ჭანტურიშვილმა.
ნათელა ვაჩნაძე: კი, ვიცი. სტენოგრამა გამოაქვეყნა მწერალთა კავშირის
სხდომის.

თენგიზ სიგუა: მინიშნებები აქვს გაკეთებული გივი ჯავახაძეს და დოდო
რცხილაძეს. ისინი წერენ ---- ოფიციალურად არ ყოფილაო, მაგრამო
საჭიროების შემთხვევაში იყენებდნენო. კიდევ ერთი საინტერესო
საკითხია – ლუსტრაციის კანონი.

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ “სუკ”-ის თანამშრომლები ამბობენ, რომ ჩვენ
არა გვაქვსო დოკუმენტებო. სიები გვაქვსო, მაგრამ დამამტკიცებელი
საბუთები არა გვაქვსო.

თენგიზ სიგუა: დამამტკიცებელი დოკუმენტები არა აქვთ საკავშირო სუკის,
იმიტომ, რომ 89 წელს სმოლენსკში წაიღეს და დახურულია. მაგრამ ყო-
ფილმა სუკის თანამშრომლებმა ზეპირად იციან ყველა. მე ვიცი, მაგ-
ალითად, გამსახურდიას პარლამენტში ვინ იყო. ლუსტრაციის კანონი
არ არის ცუდი კანონი. ის კი არ გეუბნება, შენ მოგსპობ, თუ აღმოჩნდა,
რომ... არა. შენ თვითცენზურა... ბევრს ნუ იღაყბებ და ნუ გაიქაჩები
მაღალ თანამდებობაზე: დეპუტატად, მინისტრად... შენი პროფესიით
იმუშავე უურნალისტი ხარ, იმუშავე, ექიმი ხარ, იმუშავე, ხელს არ გახ-
ლებ. მაგრამ შენ თუ დაარღვევ ამ კანონს და მოინდომებ დეპუტატო-
ბას და მინისტრობას, მაშინ მე, სახელმწიფო, ვიღებ ვალდებულებას,
ღიად დავწერო, შენ ვინ იყავი. რა არის ამ კანონში ცუდი?

ნათელა ვაჩნაძე: არა, არაფერი არ არის, ვისაც არ ეშინია მაგ კანონის. . . .

თენგიზ სიგუა: ვისაც ეშინია, დაჯდეს, ნუ იქაჩება.

ნათელა ვაჩნაძე: არ უნდა დაჯდომა არც ერთ ქართველს, სულ ჰვონია, რომ
მეფედ დაიბადა.

თენგიზ სიგუა: ამიტომ სასწრაფოდ რაც გააკეთეს ყოფილმა სოციალის-
ტურმა ქვეყნებმა, ხელად მიიღეს ლუსტრაციის კანონი. გამსახურ-
დიამ თავი მოიკლა, შევარდნაძემაც თავი მოიკლა, ესენიც სამი წელია
არ აკეთებენ.

ნინო თომაძე: ამბობენ, ---- ლუსტრაციის კანონი რომ მიეღოთ, გამსახურ-
დიას არ აწყობდა, რადგან გამუღავნდებოდა მისი მამის აგენტობის ამ-
ბავიო.

ნათელა ვაჩნაძე: ნინო, ჩვენ ხომ შევხვდით ჩვენს თანაავტორ ბ-ნ დიმიტრი
შველიძესთან ერთად ერთ რესპონდენტს “სუკ”-ის ყოფილ გენერალს,
რომელმაც ასევე მოგვითხრო ამ ვერსიის შესაძლო არსებობის შესახ-
ებ. თუმცა ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

თენგიზ სიგუა: ამ თემაზე საუბარი მას არ სიამოვნებდა. ყველა ერიდებო-
და, რომ ეთქვა მისთვის, რომ მამამისი... მისმა მეგობრებმა, აი, რა
მომიყვეს: ზვიადი გამოსცემდა „ოქროს საწმისა“ და „საქართველოს
მოამბეს“. ზვიადმა მოიტანა იქ დასაბეჭდად მამამისის „ლანდებთან

ლაციცი“. იქ კონიას რაღაც-რაღაცები აღიარებული აქვს. მერე ამოიღეს ის ნაწილები. ამას ამბობს რცხილაძე: მე ვურჩიე ზვიადს, რომ არ გამოექვეყნებინაო. ზვიადმა დამიჯერაო, მერე შეასწორაო, რაღაცები ამოიღონ და ისე დაიბეჭდაო მერე ჩვენს უურნალშიო. და ბოლოს. 153 საქმე, ძირითადად, მწერლების და ინტელიგენციის, 37 წლის ამბები, 1990 წელს “სუკ”-მა მოხსნა გრიფი „სავსებით საიდუმლო“ და გადასცეს ლიტერატურის მუზეუმს შესანახად, დასამუშავებლად და გამოსაქვეყნებლად. სანამ გრიფი მოხსნილია, მუზეუმს სრული უფლება აქვს, გამოაქვეყნოს ეს. იზა გახარებულია. მახსოვს, იყო მიხეილ ჯავახიშვილის იუბილე და პირველად გახსნეს მისი საქმე. იზა ხშირად ამოდიოდა თბილისის ზღვაზე, ოპოზიციაში იყო. ერთ დღეს ამოვიდა აღშფოთებული: დღეს დამადგნენ თავზეო, მთელი საქმეები ამოიღეს და წაიღესო. ვინ? – ვეკითხები. ვერ გეტყვიო. ოფიციალური ქაღალდით მოსული იყო საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ჯულიეტა მილდიანი და ეს საქმეები წაიღესო. მე მთხოვა, იქნებ შენ გაიგო, სად წაიღესო. მე ვუთხარი: “მე საიდან უნდა გავიგო თბილისის ზღვაზე”? კანცელარიის უფროსი ზვიადთან იყო მერაბ კლიმიაშვილი. იმან თქვა, რომ მუყაოს ყუთებით შეტანილი იყო უმაღლესი საბჭოს შენობაში. გასაღები აქვს მარტო მანანა არჩვაძეს. დღემდე ეს საქმეები დაკარგულია. ზვიადი რომ წავიდა საქართველოდან, თან ვერ წაიღებდა. როდესაც მე დავბრუნდი ხელისუფლებაში, აქტიურად ვეძებდი, იმიტომ, რომ ისტორიული საქმეებია.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, ყველა გადატრიალებას სჭირდება ფული. დადგენილია სხვადასხვა ქვეყნის გადატრიალებები რა დაჯდა. რა თანხა დასჭირდა საქართველოში მომხდარ გადატრიალებას და საიდან გქონდათ ფული?

თენგიზ სიგუა: ყველაზე დიდი თანხა, რაც მე ვიცი (იმიტომ, რომ უშუალოდ მე ფულთან საქმე ამ მქონია), დაიხარჯა ტელეგადამცემზე, ოპოზიციამ რომ ტელეგადაცემა მოაწყო თბილისის ზღვაზე, იმ აპარატურის ყიდვაზე. ეგ აპარატურა ძვირადღირებულია და არ იყიდება. ვორონეჟის ქარხანა უშვებდა ამას. ეგ დახურული ქარხანაა. ჩემი მეშვეობით დადგინდა, რომ ამის გაკეთება შეიძლება.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გქონდათ კავშირი ვორონეჟის ქარხანასთან?

თენგიზ სიგუა: არა, მე არ მქონია კავშირი. მე მქონდა კავშირები მოსკოვში, რომელთა მეშვეობით მოხერხდა ის, რომ ვორონეჟის ქარხანას დაევალა, რათა ნალდი ფულით, როგორც ამბობდნენ, „მარცხენა საქონელი“ დაემზადებინა. ეს ფული მოსკოვში ჩაიტანა... თავის დროზე უურნალისტი, „Молодежь Грузии“-ს რედაქტორი იყო გურამ... ირაკლი აბაშიძის დისმენილი იყო, გავიხსენებ გვარს. ის ხშირად ამოდიოდა თბილისის ზღვაზე. ერთ დილას ამოვიდა და მოსკოვში მივდივარო... იქ სამი-ოთხი კაცი იჯდა და იმათ თქვეს, რომ გვინდაო, როგორმე ეს ფული ჩავიდეს ვორონეჟამდეო. მაგრამ ვისი შეგროვებული იყო ეს

ფული, მე მაგ საკითხებს არ ვეხებოდი. მე უფრო ტექნიკურ საკითხებს რაც ეხებოდა... იდეოლოგია, ეკონომიკა – მე მაგაზე ვმუშაობდი. ძალიან აცივდა ნოემბერში და ბიჭები იყინებიან. მე ვიყენებდი დირექტორებთან ნაცნობობას და ვურეკავდი და ვთხოვდი... მაგრამ ამაში ფულს არ ვიხდიდით, ამას ისინი აკეთებდნენ უფასოდ. ფული, ყველაზე დიდი, რაც მე ვიცი, დაიხარჯა ამ აპარატურაზე. საკვები მოდიოდა და ზოგჯერ ზომაზეც მეტი. პირველი სამი დღე, კარგად მახსოვს, თბილისის ზღვაზე რომ ავედით, მაშინ ბლოკადა მოაწყეს და პირველი სამი დღე ბიჭები შიმშილობდნენ, პურიც კი არ ჰქონდათ. მაგრამ მერე ბლოკადა გაირღვა და მოსახლეობას ამოჰქონდა, მეგობრებს... იყო შემთხვევებიც, რომ დაცვის ბიჭები მოდიან ჩემთან და... ბატონო თენგიზ, სატვირთო მანქანა მოგვადგაო და კარტოფილით და ხორცით დატვირთულიაო. ვინ გამოაგზავნა? – ვეკითხები მძღოლს. კახეთიდან ფეშქაშად გამოაგზავნესო.

ნათელა ვაჩნაძე: ფული, დაფინანსება – ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მოძრაობაში.

თენგიზ სიგუა: მთავარი საკითხია, საიდან ჰქონდა კიტოვანს იარაღი? საიდან ჰქონდა და ის იყო სარდალი. საწვრთნელად რომ გავიდა, იარაღით და თავისი იმით იყო, მაგრამ ამას მერე დაემატა...

ნათელა ვაჩნაძე: “ЗАКВО” აბა რისთვის იყო?!

თენგიზ სიგუა: “ЗАКВО” არა, უფულოდ ავიდა, სხვათა შორის. პირველად თბილისის ზღვაზე არ იყო, გვარდია იმყოფებოდა შავნაბადაზე. იქ მოვიდა ინფორმაცია, რომ მთელი ამიერკავკასიის შინაგანი ჯარების საწყობი იყო თბილისში. აქ რომ არეულობა დაიწყო, გადაწყვიტეს იარაღის გატანა სომხეთში, ერევანში. ორი დიდი სატვირთო მანქანა, რუსთავის გზაზე რომ იდგა, იქ კიტოვანმა გააგზავნა გვარდიელები და ეს ორი მანქანა იარაღი ამოიტანეს იქა. ასეთი ფაქტი იყო, რომ სახელმწიფომ, ოფიციალურმა მთავრობამ, მინისტრთა საბჭომ, გამსახურდიამ იყიდეს 5 მილიონი მანეთის იარაღი. მოვიდა ინფორმაცია, რომ ეს იარაღი შეტანილია დღევანდელი მთავრობის სასახლის ეზოში. კიტოვანმა მისცა დავალება გია ყარყარაშვილს, შემდგომში მინისტრი იყო თავდაცვის, რომ როგორმე ეს იარაღი ჩაეგდო ხელში და ამოეტანა თბილისის ზღვაზე. მე ამის თაობაზე არაფერი არ ვიცი. დილით ადრე ავდექი და რაღაც კიტოვანი ნერვიულობს ძალიან. რა იყო-მეთქი? არ უთქვამს, რომ ყარყარაშვილი ასეთი დავალებით გაუშვა. მერე გაირკვა, რომ ყარყარაშვილი ასულა კოჯორთან, იქ დაბანაკებულა, დილით ოთხ საათზე ჩამოვიდა, მოულოდნელად დაესხა თავს. მაგრამ მთავარი რა არის: იმას ხომ ძლიერი დაცვა ჰყავდა, არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ერთი გასროლის გარეშე ამოიტანეს 5 მილიონი მანეთის იარაღი. მესამე, კიდევ, მოიტანეს ინფორმაცია, რომ მარნეულში შევიდა ახალი საჯარისო ნაწილები მთავრობის, დაახლოვებით 160 კაცი, კარგად შეიარაღებული. დაბანაკდნენ სკოლის შენობაში. გია გულუა

იყო, მერე მოკლეს. ჩავიდნენ ესენი 30 კაცით და მთელი ეს იარაღი წამოიღეს. მერე აღმოჩნდა, რომ იმ პოლკის უფროსი ყოფილა კიტოვანის ყოფილი გვარდიელი და იმან შემოუთვალა... დაახლოებით ნახევარი დაუბრუნეს.

ნინო თომაძე ბატონი თენგიზ, ბოროტი ენები ამბობენ, რომ რუსეთის ჯარები იყო შემოყვანილი ამ გადატრიალების დროსო და რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

თენგიზ სიგუა: იმიტომ გეუბნებით: ნახეთ ის ფირები, 250 სრულმეტრაჟუანი ფირია, ერთს თუ ნახავთ იქ. რასაკვირველია, ბოროტი ენები არიან. ერთი კადრი მაინც აჩვენონ, რომ რუსის ჯარისკაცი მონაწილეობს სადმე.

ნინო თომაძე: ამბობენ კიდევ იმას, რომ იარაღით რუსეთი ამარაგებდაო ოპოზიციას.

თენგიზ სიგუა: ორივე მხარეს იარაღით კი არ ამარაგებდა, იარაღს ყიდდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი. ცხადია, აქ არც ებრაული, არც ფრანგული და არც შვედური იარაღი არ ყოფილა. რასაკვირველია, აბავინ ყიდდა?!?

ნინო თომაძე: რა თანხით იყიდეს ეს იარაღი?

თენგიზ სიგუა: როდესაც გვარდია ჩამოყალიბდა თავიდან, ძალიან მწირი შესაძლებლობები იყო იარაღის, იმიტომ, რომ ძალიან ბევრ გვარდიელს მაშინ სასწავლო ავტომატი ჰქონდა. ეგ მახსოვს კარგად, რომ ნორმალური საბრძოლო ავტომატები არ ჰქონდათ. მერე, რასაკვირველია, დაინყო ჩუმ-ჩუმად ყიდვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქიდან. რა რაოდენობის იყო და რა თანხაა გადახდილი, მე მაგ საკითხებში საერთოდ არ გავრეულვარ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ შეიძლება იცოდეს ეს?

თენგიზ სიგუა: ეს ყველაფერი უნდა იცოდეს, პირველ რიგში, ცხადია, კიტოვანმა და შემდეგ – გვარდიის გენერალი იყო და თავდაცვის მინისტრის მოადგილეც იყო – ჯემალ ჭუმბურიძემ. ის განაგებდა სამხედრო-სამეურნეო ნაწილს. ე. ი. იარაღი იყო მარტო რუსული, სხვა სახის იარაღი არც გამსახურდიას მხარეს, არც ოპოზიციის მხარეს არ ყოფილა. ამ იარაღის 100 პორცენტი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში შეძენილი. აქ არც აზერბაიჯანიდან შემოსულა იარაღი, არც რუსეთიდან და არც უკრაინიდან. ეს იყო აქ არსებული საწყობებიდან შემოსული.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი შეკითხვა მაქვს კიდევ რუსეთთან დაკავშირებით: ბურბულისის პორტრეტი თითქოს ისახება თანდათან მეტად და მეტად, როგორც რუსეთიდან შემოთავაზებული მათი იდეოლოგის, ელცინის გუნდიდან.

თენგიზ სიგუა: ბურბულისს და ელცინის მთავრობის ყველა მაღალჩინოსანს
მე ასე თუ ისე ვიცნობდი. მაგრამ მოდით, ვთქვათ ასე: რატომ ამბობენ
ბურბულისს და რუსეთს, რატომ არ ამბობენ გერმანიას, რატომ არ ამ-
ბობენ ამერიკას? მე რომ მყითხოთ, ამერიკელებს უფრო ეჩქარებოდათ
გამსახურდიას მოცილება, ვიდრე, ვთქვათ, რუსეთს. ისინი პირდაპირ
ამბობდნენ: ეს თუ დარჩა ხელისუფლებაში, ჩათვალეთ, რომ ქვეყანა
დაღუბულია. მერე, მაჩვენონ რუსეთის მხრიდან მოწერილი წერილე-
ბი გამსახურდიას ასე საწინააღმდეგოდ, ამერიკიდან რომ იწერებო-
და. ამერიკის დიპლომატიური კორპუსი პირდაპირ წერს: დიპლომა-
ტიური ურთიერთობა კი არა, დიპლომატიური სიგნალის მოცემაც არ
იქნება, სანამ ასეთი რეჟიმი იქნებათ საქართველოში. რატომ აწვები-
ან ამ რუსეთს? რომ თქვან ამერიკა, მე უფრო... რასაკვირველია, არც
რუსეთს არ აწყობდა, მაგრამ უფრო არ აწყობდა ევროპას.

ნინო თომაძე: ასევე ბოროტი ენები ამბობენ, რომ გამსახურდია რუსეთს
არ აწყობდა, ამერიკას არ აწყობდა იმიტომ, რომ ის ეროვნული კაცი
იყო და მას არ გაახარებდნენ ადრე თუ გვიან. რა კომენტარს გაა-
კეთებთ ამაზე? ჩამოვაყალიბებ ჩემს კითხვას. ზვიად გამსახურდიას
რომ ის „შეცდომები“ არ მოსვლოდა, რა შეცდომების გამოც მან
ოპოზიციის გაღიზიანება გამოიწვია, შეეძლო თუ არა გაეგრძელე-
ბინა მოღვაწეობა?

თენგიზ სიგუა: მას არ უნდა დაეწყო ანტიდასავლური პროპაგანდა.

ნინო თომაძე: არა, ამბობენ, რომ ეს იყო ეროვნული ადამიანი და ეროვნული
ადამიანის ყოფნა ხელისუფლებაში დასავლეთს და რუსეთს არ აწყობ-
დათ... მე ძალიან ბევრი ვითიქრე და მასონებსაც ვუკავშირებ ამ ჩვენს
ეროვნულ ტრაგედიას.

თენგიზ სიგუა: მოიცათ. ვაცლავ ჰაველი ვინ იყო?

ნინო თომაძე: მასონი იყო.

თენგიზ სიგუა: მაშინ ხელები უნდა ავნიოთ ყველამ, ვაცლავ ჰაველი თუ მა-
სონი იყო.

ნინო თომაძე: შევარდნაძეც...

თენგიზ სიგუა: შევარდნაძეს დაანებეთ თავი. ევროპაში, სოციალისტური
ბანაკი სადაც დამარცხდა, ეს არის 24 სახელმწიფო. მოვიდა ახალი ხე-
ლისუფლება ყველგან. სუსტელა მასონები მოვიდნენ, გამსახურდიას
გარდა, ყველგან? პოლონეთში მასონი მოვიდა, ჩეხეთში, სლოვაკეთ-
ში... მაპატიეთ, მაგრამ...

ნინო თომაძე: შეიძლება არ იყო მასონი, მაგრამ გარკვეულწილად მისაღები
იყო იმ ხალხისთვის, ვინც...

თენგიზ სიგუა: მაშინ ამიხსენით, თქვენთვის ცნება თავისუფლება რას ნიშნავს?

ნინო თომაძე: მე გეტყვით, უნდა იყოს დამოუკიდებელი და უნდა იყოს სუვ-
ერენული.

თენგიზ სიგუა: რას ნიშნავს დამოუკიდებელი?

ნინო თომაძე: შეიძლება აბსოლუტურად დამოუკიდებელი ვერ გახდეს და ვერც გახდება დღეს.

თენგიზ სიგუა: მაშინ დამისახელეთ დღეს მსოფლიოში აბსოლუტურად და-მოუკიდებელი სახელმწიფო.

ნინო თომაძე: ამერიკის შეერთებული შტატები.

თენგიზ სიგუა: გათავდა. აბა ნუ ამბობთ, დამოუკიდებელი, დამოუკიდებელი. დამოუკიდებელი იმ ხარისხით, რაც შენს სახელმწიფოს თავისი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე და დღევანდელი მსოფლიოს სიტუაციიდან გამომდინარე შეუძლია. დღეს ბრიტანეთი არ არის დამოუკიდებელი, გერმანია არ არის... ამიტომ კრიტერიუმები უნდა განვსაზღვროთ. როგორმა, ჩვენო აბსოლუტურად დამოუკიდებელი ვიქნებითო. აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო ენვერ ხოჯა და მოსპონ თავისი ქვეყანა.

ნინო თომაძე: ამბობენ, რომ გამსახურდიას უნდოდა საერთო კავკასიური სახლის შექმნა.

თენგიზ სიგუა: ზღაპარია ეგ ყველაფერი. საერთო კავკასიური სახლის შექმნის იდეა არის ზღაპარი და რატომ, გეტყვით. ამას ძალზე ღრმა ფესვები აქვს. საერთო კავკასიურ სახლში... ქრისტიანები ვართ ჩვენ, მართლმადიდებლები, ჩვენი მეზობლები გრიგორიანელი სომხები და პატარა ქრისტიანი ოსეთი. დანარჩენი ჩვენ ვართ სულ მუსულმანურ გარემოცვაში. არის კიდევ ჩერქეზი და ის წამოვა, რომ ალიანსში შემოვიდეს შენთან? მანდ სულ სხვა მიბმაა. ბალყარელი მუსულმანია, მაგრამ მაინც შენთან ძმა არის. ბალყარელი ერთადერთი ჩრდილოკავკასიელია, ვინც ამ კონფლიქტების დროს ჩვენი მტერი არ იყო. დანარჩენი: --- ადიღეველი, ჩერქეზი, ყაბარდოელი, დაღესტნელი --- სუყველა ჩვენი მტრები იყვნენ. მაგათ აქვთ სულ სხვა გეგმები. მაგათ უნდათ დიდი მუსულმანური... კომუნისტებს უნდოდათ გაეწიოლებინათ სამყარო, მაგათ უნდათ გაამწვანონ მთელი ჩვენი სამყარო. ამიტომ მაგათ ქრისტიანულ სამყაროსთან ასეთი ალიანსის შექმნა... მაგათ დახურული გეგმა აქვთ, რაც მე მომეცა საშუალება, რომ მენახა. ყველაზე ძლიერი ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დღეს ყაზანი და უფაა, **Астраханское ханство**. მე რუკებიცა მაქვს ნანახი, დახურული რუკები. როცა მოძლიერდებიან... ბუშტეც გეტყვით, არ მიყვარს ბუში, მაგრამ ბევრ რამეში სწორეა. ... იქ პირდაპირ ნაჩვენებია, უნდა გაინიონ კასპიის ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთისაკენ. ეს პროცესები უკვე დაწყებულია. ყირიმის ნახევარეუნდული ხომ სახანო იყო, სტალინმა ხომ გაასახლა, ახლა ხომ დააბრუნეს. ახლა იქ მოძრაობა მიდის, რომ აღდგეს ყირიმის სახანო. ამათ შეუერთდება ჩრდილოეთ კავკასია: ჩეჩენეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ქრისტიანულ ოსეთს გაჭყლიტავენ. მაგრამ ამ გეგმაში რა ზის – მერე უნდა გავიდნენ ევროპაზე.

ევროპაში მუსულმანური ქვეყნებია ბოსნია და ალბანეთი, კოსოვო. იმაზე გასვლა უნდათ, ამიტომ შავი ზღვა უნდათ, ე. ი. რუსეთს უნდა დაეტაკონ. აუარეს გვერდი. შემოუხვიეს საქართველოში და სოხუმი მთიელთა კონფედერაციამ გამოაცხადა თავის დედაქალაქად. აი, იმ გეგმაში სოხუმი არის ევროპაზე მუსულმანების გასვლის ძირითადი ნავთსადგური. ამის შემდეგ კავკასიურ სახლზე ლაპარაკი, თუ ეს არ იცი ყველაფერი, ეს არის ზღაპარი, არ დაიჯეროთ.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, ამ ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზეთით რუსეთი ხომ არ დაიწყებს ვაჭრობას მუსლიმებთან?

თენგიზ სიგუა: გამორიცხულია დამოუკიდებელი აფხაზეთი, გამორიცხულია დამოუკიდებელი ოსეთი, ჩვენს ოსეთზე ვამბობ, ალანიას არ ვეხები.

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ მაშინ ატყდება მესამე მსოფლიო ომი, რადგან ყველა ქვეყანას აქვს სადავო ტერიტორიები. როგორ შეიძლება საზღვრების დანგრევა, საზღვრების მოშლა და ახალი საზღვრების მოხაზვა.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. მარტო ევროპაში 7-8 სახელმწიფოში იმავე წუთში... ესპანეთში იცით, რომ კატალონიელები თავს იკლავენ დამოუკიდებლობისთვის, ბასკები... შევიცარიაში... ბრიტანეთში ირლანდიელების მოძრაობა. ისეთი ამბები ატყდება. კანადაში? ამას წინათ ბენზე გადარჩა კანადა, უნდა დაშლილიყო. კვებეკის ფრანგულენოვანმა მოსახლეობამ მოითხოვა... ამიტომ მსოფლიო რა საზღვრებშიაც მიიღებს კონკრეტულ ქვეყანას, ის საზღვრები არის ხელშეუხებელი. ამიტომ მსოფლიოში არავინ არ დაუშვებს, რომ საქართველოს ჩამოაჭრან ან ცხინვალი, ან სოხუმი, ეგ დაუშვებელია. ხშირად მედავებიან: 15 წელი გავიდა, რაც რუსეთმა ეს ჩამოგვაჭრა, რატომ ამერიკა არ გვიძრუნებს. არ არის ადვილად ეს საკითხი გადასაჭრელი, აი კვიპროსის ამბავი. ეხლა მიარტყა ამერიკამ და თურქეთს უთხრა, დედას გიტირებ. ევროკავშირში მიიღო კვიპროსის ის ნაწილი. 20 წელია თურქეთი მიძგარია ევროკავშირის კართან. არ უშვებენ და არც შეუშვებენ. მე რომ ველაპარაკე ჯერ კიდევ 93 წელს იტალიელებს, ფრანგებს, ყველამ თქვა, ფეხი არ იქნება თურქეთის, სანამ ყველა ჩვენ ნებას არ დაყვება. ამიტომ, აქედან დასკვნა: პირველი, რაზეც დავიწყეთ დავა. დამოუკიდებლობა დღეს არის ფარდობითი ცნება. რა დონის დამოუკიდებლობა გეკუთვნის შენ, რომ შენ მართო შენი ქვეყანა, მაგრამ არა ისე, რომ, ვინ არის პარიზი, ვინ არის ბერლინი, ვინ არის მოსკოვი, ვინ არის ნიუ-იორკი, ეს არ გამოვა. ასეთი იზოლაციის მაგალითები არის სამი: ჩრდილოეთ კორეა, ალბანეთი და კუბა. ერთ დროს იყო კიდევ ვიეტნამი, მაგრამ ვიეტნამმა უშველა თავს. ... თქვენ ერთი შეცდომა მოგდით, რატომლაც ვიკეტებით საქართველოში. ჩვენ ნუ ვედრებით საფრანგეთსა და იტალიას. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ 24 სახელმწიფოზე, სადაც სოციალისტური სტრუქტურა იყო. რა ხდება ამ სახელმწიფოებში, ამას უნდა შევადაროთ. პოლონეთში პირველ ადგილზე წამოვიდა

ისევ პოლონური სახელმწიფოებრივ-რელიგიური საკითხები. ამერიკაში შეუძლა ამაში ხელი? სლოვაკეთში რა ხდებოდა, ნახეთ. რომ ამბობთ, ზვიადის პროგრამა... . ეგ პროგრამა ვისი დაწერილი იყო? ჩემი დაწერილი იყო. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ პროგრამის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილი ჩემი დაწერილი იყო. არ ასრულებდა იმ პროგრამას, ამონაგლეჯები შეასრულა, ძირითადი გადადო გვერდით. ამბობენ, რომ თავისუფლება მოუტანა საქართველოს ზვიადმაო, როდესაც 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობაო. თხუთმეტმა რესპუბლიკამ... კომუნისტმა ნაზარბაევმა არ მოუტანა? კომუნისტმა თურქმენბაშმა არ მოუტანა? ამ დიდი კონგლომერატიდან მხოლოდ ფინეთმა დააღწია თავი. ვერც უკრაინამ, ვერც საქართველომ... ის მართლა გმირობა იყო. მოატყუეს ლენინი და გავიდნენ. შენ... სუსკელას მოგართვეს თევზე. თურქმენბაშმს რომ მიეღო და შენ არ მიგეღო, ეს იქნებოდა სამარცხვინო. ნუ ვამბობთ, რომ ჩვენ მოვიპოვეთ... ჩვენ კი არ მოვიპოვეთ, ამერიკამ დაშალა საბჭოთა კავშირი და გაგვყარეს სუსკელა ცალკე რესპუბლიკებად. თავს ნუ ვიტყუებთ.

ნათელა ვაჩნაძე: და მოძრაობა ხომ იყო?

თენგიზ სიგუა: მოძრაობამ ხელი შეუწყო.

ნათელა ვაჩნაძე: ხალხიც ცოდოა, ბატონო თენგიზ. დღე და ღამეს ასწორებდნენ, ათენებდნენ, ეროვნული აღტყიყინება იყო, შეკავშირებული იყო ერი. უბრალოდ, ცოდოა ეს ერი და მეტი არაფერი. სამშობლოს სიკუარული, მისთვის თავდადება, თავგანწირვა არაფერია?

თენგიზ სიგუა: ამიტომ დასავლეთი მიუდგა ასე. როდესაც ზვიად გამსახურდია და მე ბეიკერს შევხვდით მოსკოვში, პირდაპირ გვითხრა, ეს ხომ ღიად არ დაიბეჭდებოდა ასეთი საუბრები: ჩვენ სულ სხვაგვარად ვუყურებთ საქართველოსო. ამის შემდეგ ჩამოდის და იწყებს ამერიკის გინებას. რა ჰქვია ამას?

ნათელა ვაჩნაძე: რატომ მოხდა, თქვენი აზრით?

თენგიზ სიგუა: არ ვიცი, მე დღემდე ბოლომდე გარკვეული არა ვარ. ვეუბნები: ზვიად, რას აკეთებ, ხომ მოგიყევით, ევროპაში რომ ვიყავი, რეებს აკეთებთო. ჩამოვედი. მე ვუთხარი: აღარ გაიმეორო დასავლეთის გინება. ჴო, კარგი. მესამე დღეს გამოდის მიტინგზე და აგინებს ბუშს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ? რატომ?

თენგიზ სიგუა: არ ვიცი, ამბობენ... მე არ მიყვარს ლაპარაკი, საბუთი თუ არ დავდე. ამბობენ, რომ მოსკოვის დავალებით მუშაობდაო. ჯერ ერთი, მოსკოვმა მოიყვანა ეს ხელისუფლებაში. მე ხომ საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი ვიყავი. ასეთი ჩაფლავებული კომუნისტები არ მინახავს. მოუხსნიდნენ კანდიდატს და არ იბრძოდნენ. ნებისმიერი პარტია ღამის სამ საათამდე გლეჯდა ყველაფერს ცენტრალურ საარჩევნო

კომისიაში, როგორ მოგვიხსენით კანდიდატიო... კომუნისტებს უხსნიდნენ კანდიდატს, ხმას არ იღებდნენ. მაგრამ ეს მე პირადად არ მაძლევს საშუალებას, რომ ეს დავუშვა, რომ კომუნისტებმა მოიყვანეს, თორემ ასეთი ვერსიაც არის: რომ დაარწმუნა გორბაჩოვი შევარდნაძემ, რომ არ არის საჭირო დიდი ბრძოლა, ეს კაცი გავუშვათ და ერთ წელიწადში დაინახავთ, რას იზამს ეს. თავს მოსჭრის ნაციონალურ მოძრაობებს. მე ამ ვერსიის არ მჯერა, მაგრამ არის ასეთი ვერსია, არის ხალხი, რომელიც ამას ამტკიცებს. მაგის არავითარი დასაბუთება არ არსებობს. მე ხომ მეცოდინებოდა რაღაც.

ნათელა ვაჩნაძე: ...რუსეთი თითქოს არც ფიგურირებდა, არც დიდი ინტერესი არ ჰქონდა ამ გადატრიალების მიმართ. ცოტა არ იყოს, გავაუფერულეთ ჩვენ ეს თემა.

თენგიზ სიგუა: მაგრამ ნუ ვამბობთ, რომ მარტო რუსეთი. მთელი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატებიც წინააღმდეგი არიან ასეთი მმართველებისა. მათ აწყობთ ნებისმიერ ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა და მმართველობის ფორმა. თუკი ეს გადახრებია, მაშინ უკვე... ჩვენ კი არა, შუა ევროპაში ავსტრია ავილოთ. თუ გახსოვთ, 3-4 წლის წინ ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს. მთელი ევროპა ფეხზე დადგა და ევროკავშირმა სპეციალური სხდომა მოიწვია ღამის 4 საათზე და გააფრთხილეს ავსტრია, თუ ახლავე არ შეცვლი ამ ხელმძღვანელს, გაგრიცხავთ. ასეთი ის რომ იცი... ულტრანაციონალიზმი დამტკიცებულია. დღევანდელ მსოფლიოში ვერ იცხოვრებ, თუ იმ თამაშის წესებით არ ითამაშე, რომელსაც ლიბერალურ-დემოკრატიული თამაშის წესები ჰავა არ არის. აი, საფრანგეთში ლეპენი არის სუფთა ულტრანაციონალისტი. ვერასოდეს ის ვერ გაიმარჯვებს. მისი მაქსიმუმი იქნება 15-16 პროცენტი ყველა არჩევნებზე.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, თქვენ წელან ბრძანეთ, თუ მე სწორად გავიგე, რომ მიჩვენეთ დოკუმენტიო, საიდანაც ჩანს რუსეთის მონაწილეობა ამ ამბებშიო...

თენგიზ სიგუა: რუსეთის მონაწილეობას რას ვეძახით ჩვენ? თქვენ თქვით, რომ ჯარი მონაწილეობდა თქვენს მხარეზეო. ...ქართველი ბიზნესმენები აფინანსებდნენ, მაგრამ რუსეთის ფულადი დახმარება რომ არ ყოფილა, მე მაგაზე თავს დავდებ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ფულადი დახმარება არ ყოფილა. იდეოლოგიური თვალსაზრისით ვინ იყო დაინტერესებული, რა წრეები? ელცინთან მივდივართ. ელცინი, მისი გარემოცვა, მისი გუნდი, ახალგაზრდა, ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანებით დაკომპლექტებული. ქართველებივით ხომ არ ჰყავდათ მინისტრები, რვაკლასდამთავრებული კოპალიანი რომ იყო?!

თენგიზ სიგუა: არა, მე ვისაც ვიცნობ, ისინი სათანადო განათლებით იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: დაგვისახელეთ, ვის შეიძლება მივწვდეთ, ან ინტერვიუ

ჩამოვართვათ, ან ვთხოვოთ ურთიერთობა ჩვენთან. ასეთ ადამიანს ვერ ვიპოვით?

თენგიზ სიგუა: რატომ ვერ იპოვით?

ნათელა ვაჩნაძე: როგორ?

თენგიზ სიგუა: იმ დღეს მე გაგატანეთ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური დიპლომატიის აზრი...

ნათელა ვაჩნაძე: ამერიკის არა, რუსეთის.

თენგიზ სიგუა: რუსეთში ასეთი დოკუმენტი არ ყოფილა, თორემ რომ ყოფილიყო, მე მექნებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ფიქრობთ, რომ კავშირი თქვენ გარეშე ვერ დამყარდებოდა რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებთან, დიდ ჩინოვნიკებთან?

თენგიზ სიგუა: არა. ოპოზიციის ისეთ ლიდერად ვითვლებოდი, ყოველ შემთხვევაში, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში... კიდევ გეუბნებით, ტყვიის ყიდვა ჩემი საქმე არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გვერდს ვერ აგივლიდნენ?

თენგიზ სიგუა: არა. ყველა ჩამოსული, იქნებოდა ეს მაღალი რანგის პოლიტიკოსი, თუ... ჩემთან მოჰყავდათ.

ნათელა ვაჩნაძე: აბა, ვის უნდა ელაპარაკა, ბ-ნ კიტოვანს?

თენგიზ სიგუა: რატომ კიტოვანს, მთელი ოპოზიცია იქ იჯდა.

ნათელა ვაჩნაძე: მერე რა. იქ თქვენზე დიდი ფიგურა არავინ არ იყო, ბატონი თენგიზ.

თენგიზ სიგუა: არა, მაგასაც ნუ იტყვით. უბრალოდ გამოიკვეთა იმ პერიოდში, თორემ ჭკვიანი ხალხი ძალიან ბევრი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: შესაძლოა, მაგრამ თქვენ პირველი ადგილი დაიკავეთ.

თენგიზ სიგუა: პირველი შემთხვევა იყო, რომ პრემიერ-მინისტრი თავისი ნებით გადადგა და ამას დასავლეთმა ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო დასავლეთი, როდესაც ბატონი ზვიადის მომხრე ხალხი, და ეს იყო უამრავი მომხრე ხალხი საქართველოში, ამბობდა: თენგიზ სიგუა მოვიდა, თენგიზ სიგუა. ძალიან გახარებულები იყვნენ, როდესაც თქვენ გამოჩნდით პირველად.

თენგიზ სიგუა: მარტო ჩემზე არ არის, იცით? თვითონ ზვიადსაც ისე უხაროდა, პირველად რომ მე მომცა მთავრობის დაკომპლექტების უფლება.

ნათელა ვაჩნაძე: მე მინდოდა მეკითხა, თქვენი გემოვნებით შერჩეული როგორი უნდა ყოფილიყო და როგორი იყო მინისტრთა კაბინეტი? შეიძლება ყველაფერში ძალიან თავისუფალი არ იყავით, ეს ბუნებრივია. თქვენ თვითნებობას ვერ გამოიჩენდით, იმიტომ, რომ როცა ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი...

თენგიზ სიგუა: მთავრობას არჩევს, როგორც წესი, პირველი პირი.

ნათელა ვაჩნაძე: ...მაგრამ იმდენად ანგარიშს გინევდათ, ჩემი აზრით, თუ მე არ ვცდები... არ ვიცი, მე ამ წრებთან ასე დაახლოვებული არ ვყოფილვარ.

თენგიზ სიგუა: ეს შემთხვევითი არ იყო და მითხრა კიდევაც: თქვენ აკადემიასთან ისეთი კავშირები გაქვთ... მაგას ქუჩაში დასდევდა დროშებით, უმეტესად, ძალიან დაბალი ინტელექტის ხალხი. (სამარისებური სიჩუმე, ხანგრძლივი პაუზა).

ნათელა ვაჩნაძე: უკვე მზადდება ყველაფერი იმისათვის, რომ 22-ში უნდა მოხდეს გადატრიალება.

თენგიზ სიგუა: სად წერია, რომ გადატრიალება უნდა მოხდეს? რატომ ვამბობთ ამას? მაშინ მე მოგცემთ მასალებს, რომ წაიკითხოთ, ვინც თვითმხილველია და ვინც ზვიადის თანამშრომელი იყო. თბილისის პოლიციის უფროსი რას წერს იმუამინდელი, ჯიმი სხირტლაძე, თავდაცვის მინისტრი ჯონი ფირცხალაიშვილი რას წერს...

ნათელა ვაჩნაძე: რას წერს?

თენგიზ სიგუა: ჩვენ ვიჯექითო შტაბში მთავრობის სახლის, გამსახურდია არ იყო იქო. ამ დროს შემოვარდა ორი ქალი. ერთი, გამსახურდიას ცოლის და, მეორე მისი მდივანი მაისურაძე და დაინტერეს წივილ-კივილი. ეს ტრაგედია არის იმათი დაწყებული, ქალების დაწყებული ტრაგედიაა.

ნათელა ვაჩნაძე: ინტელიგენციის თემას მივუბრუნდეთ.

თენგიზ სიგუა: გამეხარდა, მე ვიფიქრე, ჭკუას მოეგო ზვიადი, ბოდიშს მოიხდის... ეს შეხვედრა მოხდა ძერუინსკის კლუბში. იქ ცეცხლს ნავთი დაასხა. მწერალი ნოდარ დუმბაძე კრიმინალ მწერლად, ქურდად გამოაცხადა. უდიდესი შეცდომა იყო. გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულია ვახტანგ რაზმაძის, გენერალური პროკურორის, ინტერვიუ: ყოველდღე მაძალებდა და მაძლევდა დასაპატიმრებელი ინტელიგენციის სიებსო.

ნინო თომაძე: რატომ უნდოდა ამ ადამიანების დაჭერა, ბატონო თენგიზ? ჰქონდა რაიმე მიზეზები კონკრეტულად?

თენგიზ სიგუა: ჩემს ნინააღმდეგ რატომ გამოდიანო.

ნინო თომაძე: ამბობენ, რომ ინტელიგენციას პრივილეგიები ჰქონდა.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია, ჰქონდათ, ეს, რა, დამალული იყო? ყველა ხელისუფლებას ჰყავს ე. ნ. ნაყიდი ინტელიგენცია. ეს არის ძალიან მცირე რაზმი ამ ინტელიგენციისა, რომელიც მებაირახტრეა ამ ხელისუფლების. დღეს რა, არა ჰყავს სააკაშვილს? სამხატვრო აკადემიის რექტორი და მისი შეილი რომ არის. ინტელიგენციას დავეტაკებოდი? გიგას დავეტაკე, კომუნისტების მიერ ნაჩუქარი 40-მილიონიანი „ბერიკონი“ წავართვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიგა რეჟისორობიდან გამეგდო. თავისი საქმე აქვს, ნიჭიერი კაცია, აკეთოს თავისი საქმე.

ნინო თომაძე: თვითონ ბატონი ზვიადი რითი ცხოვრობდა, ბატონი თენგიზ? რა შემოსავალი ჰქონდა მას?

თენგიზ სიგუა: ზვიადი თვითონ ბუნებით იყო უწესიერესი კაცი. ერთხელ ვზივართ სამნი: გოგი ხოშტარია, მე და ზვიადი. გოგიმ ამოიღო ძვირ-ადლირებული „კენტი“. უთხრა: გოგი, საიდან გაქვსო?

ნათელა ვაჩინაძე: ერთ პატარა დეტალს გეტყვით, შეიძლება ეს არასოდეს არ გაგიგიათ არავისგან: ახალგაზრდობაში ბატონ ზვიადს ახალი ფეხსაც-მელი არასდროს არ ცმია. თვისება ჰქონდა ეგეთი. ეს ოჯახიდან გამოსული ამბავია. უყიდიდნენ კოსტიუმს, გვერდზე გადადებდა. თამრიკო შფოთავდა. იკვებებოდა, როგორც ადრეული ხანის ქრისტიანები.

თენგიზ სიგუა: მეც არ მინახავს მაგაზე ახალი. ზვიადმა ერთი შეცდომა დაუშვა. მე კი ვუთხარი, ნუ აკეთებ ამას: ორი მერსედესი რომ უყიდეს. 487 ათასი დოლარი...

ნათელა ვაჩინაძე: პრესაში წერია 50 ათასი.

თენგიზ სიგუა: პრესაში რა წერია... არ უნდა გაეკეთებინა. როცა ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტი ხარ...

ნათელა ვაჩინაძე: ამბობენ, რომ ის მანქანა სახელმწიფო ფულით არ იყო ნაყიდი, კახი ასათიანმა უყიდაო.

თენგიზ სიგუა: კახი ჩავიდა და კახიმ უყიდა და კიდევ ბორია... გვარი არ მახსოვს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. ბიუჯეტის ფული იყო. თვითონ ცხოვრობდა, რაც პირველ პირს ერგებოდა: უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო აგარაკი, უფასო სამანქანო მომსახურება... რაც პრეზიდენტის ოჯახს ერგებოდა, მაგრამ ზედმეტი... მაგრამ მისი ცოლი საშინელი ხარბი იყო.

ნათელა ვაჩინაძე: მე წავიკითხე სწორედ „ასავალ-დასავალში“, ბატონი ვახტანგ რაზმაძის გამოსვლის მთავარი ფრაზა გამოტანილი იყო სათაურად: „გაქცეულ პრეზიდენტს 200 მილიონი არასდროს არ წაუღია“.

თენგიზ სიგუა: მე გეტყვით, რაშია საქმე. მე უკვე გითხარით, რომ კიტოვანმა შეუთვალა ზვიადს, წადი გალის ქუჩაზე, მაგრამ მან უარი უთხრა. არ უნდათ მაგის თქმა, ეს შეთანხმებული იყო, რომ ცოცხალი უნდა გასულიყო საქართველოდან. მეოთხე დღეს დადგინდა, რომ ყველა სტომატოლოგიური კლინიკად ოქრო ამოღებულია და ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაშია თავმოყრილი. მაგრამ როგორც მითხრეს, ეს ზვიადს არც უფიქრია, ეს გააკეთეს ქალებმა... რაც შეეხება 200 მილიონს. ეს ყველაფერი დაევალა ვახტანგ რაზმაძეს. ვახტანგ რაზმაძემ გაარკვია, რომ არავითარ 200 მილიონზე ლაპარაკი არ იყო. ლაპარაკი იყო უკანონოდ ისნის და რამდენიმე ბანკიდან ყოველგვარი საბუთის გარეშე ამოღებულ ფულზე, რომელიც ამოიღო იმუამინდელი მთავრობის ვიცე-პრემიერმა გურამ აბსანძემ და რომელიც უნდა გამოეყენებინათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში იარაღის შესაძენად. როგორც მერე გაარკვიეს, ეს მილიონები გაუნანილებია აბსანძეს,

ნაწილი მოუცია ომანიძისთვის, უნდა იარაღი შეეძინათ ამ ფულით. პირდაპირ მივიღნენ და ბანკებიდან ამოიღეს ეს ფული. მერე მე დავრ-ნმუნდი ამაში, იმიტომ, რომ მერე მანახეს კადრები, ე. წ. ბუნკერში რო-გორ ახრჩობს აბსანძე ომანიძეს – რა უყავი, მილიონები რომ მოგეციო. ეს ფული მართლაა გამოტანილი, ოლონდ 200 მილიონი არა, 6 თუ 8 მილიონზეა ლაპარაკი. კიდევ გეუბნებით, პატიოსნების თვალსაზრის-ით, არ ვიცი მე, ზვიადზე წესიერი კაცი, მაღალი რანგის ჩინოვნიკი, მე არა მგონია, რომ იყოს. მაგრამ შენ წესიერი იყო და ოჯახი იყოს... შენ წესიერებას რა ჰქვია. იქ 24 „ტროიკა“ ნახეს. ვერ ხედავდა, რომ შედი-ოდა? არ ეუბნებოდა--- “მანანა, გაგიშდი, ქალო, რა არის ეს”? ჩემთვის აუხსნელია.

ნათელა ვაჩნაძე: გინდათ გითხრათ, რომ არც ხედავდა.

თენგიზ სიგუა: მაგის არა მჯერა. სიგარეტი შენიშნა იმ წუთში ძვირადლირე-ბული გოგი ხოშტარიასი და იმას ვერ ხედავდა, რომ 24 „ტროიკა“ იდო და 18 ძვირადლირებული გაუხსნელი სერვიზი. მოიძიეთ მინისტრთა საბჭოს ის აქტი, დათო ბერძენიშვილის მიერ შედგენილი, რომ აღნერა, რა დარჩა.

ნათელა ვაჩნაძე: დარბოდნენ გიშებივით, პრეზიდენტი მიდიოდა მოსკოვში ელცინთან შესახვედრად და კოსტიუმი არ ჰქონდა.

თენგიზ სიგუა: ამაში გეთანხმებით. ამერიკის შეერთებული შტატებიდან გოგი ხოშტარიამ ჩამოგვიტანა ზვიადს ერთი კარგი კოსტიუმი და მე. დღესაც მაქვს ის კოსტიუმი. არ ჰქონდა, სწორი ხართ. ... მერე უამრავი ძვირადლირებული ტელეაპარატურა და ტექნიკა. გავოც-დი, არაფერი შემოუტანიათ. დავურეკე კაკო ასათიანს: კაკო, რამე შემოიტანეს თქვენთან? რაც იდგაო კომუნისტების დროს, ეგ არი-სო. მე ვუთხარი, ნახევარ საათში მე მივდივარ ზვიადთან-მეთქი და... შემოიყვანეს სამეურნეო სამმართველოს უფროსი... შარშანწინ კომუ-ნისტები მართავდნენ, მოვედით ჩვენ, ვითომ ხალხზე მზრუნველი და ექვსჯერ მეტს ვხარჯავთ? სად ნავიდა ეს? აგერ ზის კაკო ასათიანი, ერთი სკამი არ შეუტანიათ მის უწყებაში, აგერ ვარ მე... სად ნავი-და-მეთქი? ვერ ხედავდაო, არ მითხრათ. დავუდე საბუთი, 2 მილიონი მანეთის ნაყიდი სად ნავიდა? მერე გაირკვა, რომ მანანას დანიშნული იყო ეს კაცი. არ ხედავდა. რას ჰქვია ვერ ხედავდა. სახლში რომ მივი-და და ახალი სკამი დახვდა, არ ჰკითხა ცოლს, საიდან არის ეს სკამი? თვითონ, კიდევ გეუბნებით, ბუნებით იყო მართლა უნესიერესი კაცი. კოკო ხომ ჩემი გაშვებულია შვეიცარიაში. ზვიადმა მკითხა, რამდენი დაჯდაო. მე ვუთხარი, მთლიანად 32 ათასი. უიო, რამდენი ფულიაო. მე ვუთხარი, რა მოხდა, ზვიად, კიდევ 30 კაცის გაშვებას ვაპირებთ... პო შვილი იყო, ეძვირა. კოკო განათლებული, განონასწორებული... მაგრამ ახლა რა არ მომწონს, იცით? მე რომ შემხვდეს, ვეტყვი პირდა-პირ: შენ დღეს სააკაშვილს ედავები, რომ დემოკრატიულ პრინციპებს არღვევს, პრესის ორგანოებზე გავლენას ახდენს. შენ იცი, რომ 1991

წლის მაისის შემდეგ, რაც არჩევნები დამთავრდა პრეზიდენტის, ერთადერთი ხუთწუთიანი გამოსვლის უფლება მიეცა ირაკლი ბათიაშვილს. მეტი ოპოზიციონერი არ გაჭაჭანებულა რვა თვის განმავლობაში. მაშინ შენ უნდა აღიარო მამაშენის ეს შეცდომა, მაშინ შენ კრიტიკის უფლება არა გაქვს. მე, გადამდგარ პრემიერ-მინისტრს, არ მომცეს ათი წუთით... ყველა ქვეყანაში მიღებული ნორმაა: პრემიერი რომ გადადგება, უნდა გამოვიდეს პარლამენტში, ანგარიში ჩააბაროს და ახსნას თავისი გადადგომის მიზეზები. ამის უფლება არ მომცა. ... ის სცენა, რაც იქ გათამაშდა, ჩემს თვალწინ რომ შემოიყვანეს სამართველოს უფროსი, ამ სცენას უნდა მოჰყოლოდა მისი განთავისუფლება. ამ სცენას კაკო ასათიანი და მე ვესწრებოდით, როგორ უყვირა, რას ბედავ და ამ ფულებს როგორ ხარჯავ... მე, პირიქით, დაცვას ვაპირებდი, დასაჭერად არ გაუხადოს საქმე, არ გადასცეს პროკურატურას. (პაუზა).

თენგიზ სიგუა: პოლიტიკოსმა არ შეიძლება იმოქმედოს პირადი სიმპატია-ანთიპათიის გათვალისწინებით. მე მეტს გეტყვით. მთავრობაში ზოგიერთი ისეთი კაციც კი მოვიყვანე, რომლის მიმართაც სიმპათიით არ ვიყავი განწყობილი, მაგრამ ვიცი, რომ ის მაღალი დონის პროფესიონალია; ვიცი, რომ იმ დარგს ყველაზე კარგად ეს წაუძღვება. სხვათა შორის, მე მყავდა ისეთი მეგობრები, რომლებიც შემეძლო, თავისუფლად, დამენიშნა. როდესაც შენ მაღალი დონის ჩინოვნიკი ხარ, არ შეიძლება მთავრობა გააკეთო შენი ნათესავებით, შენი მეგობრებით.

ნათელა ვაჩნაძე: კი, მაგრამ შეგეძლოთ ეს მეგობრები ერთგულების ნიშნით ნაგებვანათ.

თენგიზ სიგუა: არ არის ეს სწორი, არავითარ შემთხვევაში. გადამწყვეტი უნდა იყოს მისი ცოდნა, მისი პროფესიონალიზმი, აი, ის ხომ მოგიყვევით, ვაჭრობის მინისტრი რომ იყო, რვაკლასდამთავრებული, ერთგული კაციაო. ეს ღუპავს ქვეყანას.

ნათელა ვაჩნაძე: სულ ვამბობდი მე, როგორ შეიძლებოდა თენგიზ კიტოვანი ყოფილიყო თავდაცვის მინისტრი. მაგრამ ის მაინც ჩანასახი იყო. ჩანასახი, გარდამავალი პერიოდი, ბრძოლა წარსულსა და აწმყოს შორის, ვინ გაიმარჯვებს, კიდევ ძლიერები არიან კომუნისტები, არ ვიცით, დაინგრევა თუ არა საბჭოთა კავშირი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მოქმედებს ადამიანებზე.

თენგიზ სიგუა: მაშინაც კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. აი, კიდევ გამსახურდიას უპრინციპობა. პირველი კანდიდატურა წავაყენე ჯონი ფირცხალაიშვილის, მერე რომ დანიშნა თავდაცვის მინისტრად. წინააღმდეგი იყო, საბჭოთა გენერალიაო. მე ვუთხარი: ზვიად, ორი სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული, ძალიან კარგად ახასიათებენ, როგორც სამხედრო კაცს, სტრატეგია, ტაქტიკა იცის. თავი მოიკლა. კიტოვანი რომ გადაუდგა, დანიშნა თავდაცვის მინისტრად ჯონი ფირცხალაიშვილი. რა ჰქვია ამას?

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ კარგი, რომ დანიშნა.

თენგიზ სიგუა: კიდევ კარგი, მაგრამ თავიდან რომ დაენიშნა, არ ჯობდა? საბჭოთა გენერალი იყო და ერთი წლის შემდეგ აღარ იყო საბჭოთა გენერალი? ჰოდა, ეს არის უპრინციპობა. ამიტომ გეუბნებით, ეს იყო ყველაფერი სისულელე, არასახელმწიფოებრივი მიდგომა. სახელმწიფო მე ვარო, ერთხელ რომ წამოსცდა მაგას... “მე ვთქვი”. რას ჰქვია შენ თქვი?! არსებობს კანონი, არსებობს კონსტიტუცია. “სიტყვა მე” უნდა დაივიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ქართველებში დიდხანს იქნება.

თენგიზ სიგუა: ქართველებში იქნება, ნუ ვიტყვით, ნუ ვაბრალებთ, რომ ქართველების სენია. მაშინ დაწყევლილი ყოფილა ჩვენი ერი. მოდიხარ და ხალხს ატყუებ? სახლებს მოგცემთ, პრესის სრული თავისუფლება... მოდიხარ და აკეთებ ყველაფერს საწინააღმდეგოს: არ აძლევ მიწას, არ აძლევ სახლს, პრესას, პირიქით, ხურავ და ხურავ, არც იცის იმ კაცმა, უნივერსიტეტის რექტორად რომ ინიშნება... რა ჰქვია ამას? ამას ჰქვია ტოტალიტარიზმი.... დაახლოებით 70 პროცენტი უმაღლესდამთავრებულები იყვნენ. ასეთი ინტელექტუალი ახალწვეულები... და ამ ბიჭებს აყენებ შეურაცხყოფას. ესენი მოვიდნენ ქართულ ჯარში რომ იმსახურონ და ამ დროს შენ ეუბნები, რომ შენ ხარ...

ნათელა ვაჩნაძე: აქედან იწყება ყველაფერი?!

თენგიზ სიგუა: ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა. ეროვნულ გვარდიას მიეცა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი. ამისთვის მოვიდა ეს ხალხი ეროვნულ გვარდიაში? კარგით. აქ შეიძლება იმართლოს თავი, რომ 19 აგვისტოს “გკპი”-მ დამავალა და გავაკეთეო. 22-ში ხომ აღარ არის “გკპი”? რატომ არ გააკეთა? 28 აგვისტოს, ათი დღეა გასული “გკპი”-დან, კიტოვანი მიდის გამსახურდიასთან. დაპირდა, კიო, თენგო, გავაკეთებო. კაცი რომ თავის საწინააღმდეგოს გააკეთებს, ეს საღი გონების კაცს არ შეუძლია.

ნათელა ვაჩნაძე: შეცდომებს ხომ ვუშვებთ ადამიანები, ყველანი შეშლილები ხომ არა ვართ? ვინ არ უშვებს შეცდომებს?

თენგიზ სიგუა: შეცდომებს როგორ არ ვუშვებთ, მაგრამ... ყველა ურჩევდა, “გკპი” დამარცხდა, მიდი ახლა... ამას დიდი გონიერება უნდა?

ნათელა ვაჩნაძე: არ ჰყავდა ეს ხალხი.

თენგიზ სიგუა: რომ არ ჰყავდა ეს ხალხი, რატომ არ ჰყავდა? თქვენ ადგენდით მის წრეს? თვითონ ადგენდა. როდესაც ცოლს შენზე იმხელა გავლენა აქვს, რომ კაბინეტის შერჩევაში მონაწილეობას იღებს... მაპატიეთ და საპარიკმახეროს დირექტორიც არ უნდა იყო, თუ ცუდი ცოლი გიზის დღე და ღამე კაბინეტში.

ნათელა ვაჩნაძე: მბრძანებლობდა?

თენგიზ სიგუა: მბრძანებლობდა. ეს დანიშნე იქ, ის დანიშნე იქ... მინდია

უგრეხელიძე რომ დანიშნა --- გადაირია მანანა --- როგორ ნიშნავ შენ ჩემს გარეშეო. თქვენ როდისმე გქონიათ მცდელობა მეუღლის საქ- მებში ჩარევის?

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ ეს ერთი, მე არ ვიცი ის საქმე, მე როგორ უნდა ჩავერიო? თენგიზ სიგუა: ამან იცის სახელმწიფო საქმეები? ...მოვიდა ამერიკის დელ- ეგაცია და ძალიან უნდა თქვენთან შეხვედრაო, როგორც ოპოზიცი- ის ლიდერთანო. კი, ბატონო, მაგრამ როგორ მოახერხებენ, აქ უნდა ამოვიდნენ ავტობუსებით. გადაღებულია ყველაფერი, თან ამოიყ- ვანეს ოპერატორი. დაახლოვებით 4 საათი გაგრძელდა შეხვედრა. მე კი მომეჩვენა, რომ კმაყოფილები წავიდნენ, მაგრამ ეს მე მომეჩვენა. მოვიდა წერილი ოფიციალური, სადაც პირდაპირ ჩანს მათი განწყობა ოპოზიციის და გამსახურდიას მიმართ. აი, წაგიკითხავთ: „ძვირფასო ბატონო სიგუა! სენატორ დე კონსინის და ჩვენი ულრმესი პატივისცე- მა გამოხატოთ თქვენდამი... ჩვენი შეხვედრა უაღრესად ინფორმატი- ული იყო და ვისურვებდით ერთადერთს, სხვა ვითარებაში შეგვძლებო- და თქვენთან შეხვედრა. გვსურს დაგარნმუნოთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ თქვენს შეშფოთებას თქვენს ერში ამჟამად არსებული ავტორიტე- ტის გამო. როგორც მოგეხსენებათ, დემოკრატია არც ერთ ერში არ იძადება ადვილად. იგი მოითხოვს ყოველი მოქალაქის გულმოდგინე გარჯასა და მაღალ შეგნებას. დაპეჯითებით გთხოვთ, შეინარჩუნოთ სიფხიზე და გისურვებთ წარმატებას საქართველოში დემოკრატიი- სა და სუვერენული უფლებებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს განსა- კუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, არსებული უთანხმოების მშვიდობიანი და კანონიერი გზით მოგვარების მნიშვნელობა“... ე. ი. ხაზს უსვამენ, რომ თქვენთან დემოკრატია არ არის. ...ეს არ არის ეროვნულობა. ეს არის “ულტრანაციონალიზმი,” რაც დამღუბველია ნებისმიერ საქმეში. “ულტრა” სხვანაირად ნიშნავს ზღვარგადაცილებულს და ზღვარგად- აცილებული სიყვარულიც კი არ ვარგა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, ყველაზე საჩოთირო და მტკიცნეული საკითხია...

თენგიზ სიგუა: არა, არა. მე ხომ თავიდანვე გითხარით, საჩოთირო და მტ- კიცნეული საკითხი არ არსებობს.

ნათელა ვაჩნაძე: ... როგორ დაგითმეს ბატონებმა ელდარ შენგელაიამ, გიგა ლორთქიფანიძემ და კიდევ სხვებმა პირველობა? მე სულ ამაზე ვფიქრობ, როგორ? ისინი და კიდევ ბევრი სხვაც ხომ ლიდერად იდენ- ტიფიცირდებოდნენ? და, უცბად, მოდის თენგიზ სიგუა და ამდენ ხალხს კრებს რესპუბლიკის მოედანზე და პირველი უზარმაზარი, მრავალათასიანი აქცია თენგიზ სიგუას მიჰყავს.

თენგიზ სიგუა: მხარდამჭერები კი არა, ძალიან აქტიური მხარდამჭერე- ბი იყვნენ. იქ იყო მთელი რეჟისურა, ვინც კი იყო კინოხელოვნებაში. ჩათვალეს, რომ ამ ეტაპზე, თორემ მერე... გიგასთან, მაგალითად...

რესტორანი ჩამოვართვი. არა გვაქვს უფლება, ქალბატონო ნათელა...
მამაშენის ქონებაა? ორმოცმილიონიანი ფეშქაში. ეს არის მოსყიდვა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ გინდოდათ გადადგომა თუ გინდოდათ?

თენგიზ სიგუა: შინაგანად მინდოდა. გადადგომის ინსტიტუტი რას ნიშ-
ნავს. როცა მაღალი რანგის ჩინოვნიკი არ ეთანხმება იმ პოლიტიკას,
რაც ტარდება ქვეყანაში, ის წერს განცხადებას, ასაბუთებს თავის
გადადგომას, იხურავს ქუდს და მიდის. ამას ჰქვია გადადგომა. საქა-
რთველოში --- მე ვიყავი პირველად გამსახურდიას დროს და მეორედ
შევარდნაძის დროსაც --- ორივეჯერ პრეცედენტი გადადგომის მე
შევქმენი. და მესამეჯერ, როდესაც რუსთაველის საზოგადოება ჩემი
დაბრუნების შემდეგ მომაგრდა, უკვე იქაც დაუწყო რაღაც და რომ არ
დაეღუპა, საბოლოოდ, გადავდექი. დავწერე განცხადება და მე თვი-
თონ გადავდექი.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი სიტყვით, თქვენ არ გინდოდათ დათანხმებოდით იმ
პოლიტიკის გატარებას, რაც ტარდებოდა.

თენგიზ სიგუა: გამსახურდიას დროს, გადადგომის წინ მე ექვს გვერდზე
დავასაბუთე, რატომ მივდივარ. შევარდნიძის დროს მე ღიად გამოვდი-
ვარ. გამსახურდიამ მე არ მომცა საშუალება, გამოვსულიყავი. წესით,
როდესაც პრემიერ-მინისტრი გადადგება, ის უნდა გამოვიდეს პარლა-
მენტის წინაშე. გამსახურდიამ ამის უფლება არ მომცა. მას შეეშინდა,
იცოდა, რას ვიტყოდი, იმიტომ, რომ ხომ დავუწერე.

ნათელა ვაჩნაძე: და შევარდნაძემ მოგცათ ამის უფლება?

თენგიზ სიგუა: შევარდნაძემ კი. შევარდნაძე ვერც გაბედავდა...

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებდა?

თენგიზ სიგუა: შევარდნაძეს არ ჰქონდა ერთპარტიული პარლამენტი. გამ-
სახურდიამ კომუნისტებირომ გაყარა პარლამენტიდან, სულ მონოპარ-
ლამენტი დატოვა, შევარდნაძის პარლამენტში კი ბევრი პარტია იყო
და ამიტომ არ შეეძლო ამის გაკეთება. რომ ჰქონდა ეს ძალა, რა თქმა
უნდა, შევარდნაძე ყველაფერს გაკეთებდა, რომ მე არ გამოვსულიყა-
ვი. შევარდნაძის დროს მე კი არა, მთავრობა გადადგა მთლიანად.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, როგორი იყო თქვენი ურთიერთობა ჯაბა
იოსელიანთან?

თენგიზ სიგუა: ჯაბა იყო დაპატიმრებული. 29 პოლიტპატიმარი იყო,
პოლიტპატიმრის სტატუსი ჰქონდათ მიცემული: გია ჭანტურიას,
გოგა ხაინდრავას, მაშინდელი “ედპ”-ს 4 თუ 5 წევრს, მათ შორის, ახლა
ერთ-ერთი დეპუტატია, ხუსნაიშვილი ვანო, გიორგაძეს, ჯაბა იოსე-
ლიანს და მხედრიონის კიდევ რამდენიმე წევრს, ყველას გვარები არ
მახსოვს, ზაზა ვეფხვაძე. მათ მაშინდელი ევროპის წესებით სინდი-
სის და პოლიტპატიმრის სტატუსი ჰქონდათ მიცემული. დასავლეთი
პირდაპირ წერს, პოლიტპატიმრები რომ გყავთ, გაათავისუფლეთო. 27

დეკემბერს, სასტუმრო „თბილისში“ ვართ, იქა გვაქვს შტაბი, მოვიდა ინფორმაცია, რომ დაიწყო ხანძარი „სუკ“-ის შენობაში. იქ არიან ესენი, შევჩერენკოს ქუჩაზე. ეს 29-ვე პატიმარი არის იქ ჩაკეტილი. ინფორმაცია ვინც მოიტანა, გასაღებები არა გვაქვსო. რკინის კარებები აქვს, როგორ გამოიყვან. იყო ასეთი, ტყიბულის ბატალიონი ერქვა, იმას მიეცა დავალება. ნახევარ საათში მოიყვანეს სუსყველა, უკვე ბოლი შედიოდა. თურმერა აღმოჩნდა. სუსყველა წასულა, ლეიტენანტიც არ დარჩენილა, იქ ყოფილა ორი რუსის დამლაგებელი ქალი. მათ ჰქონიათ გასაღები. ისინი, ვინც წავიდნენ, სპეციალურად დატოვეს გასაღები. თვითონ ვერ გაბედეს გალება. მაშინვე სუსყველა ესენი მოიყვანეს ჩვენთან სასტუმროში. აი, იმ დღიდან ჯაბაც აქტიურად ჩაება. მანამდე ციხეში იჯდა, 91 წლის თებერვლიდან ვიდრე დეკემბრადე ციხეში იჯდა. რაც შეეხება ურთიერთობას. სხვათა შორის, არ ერეოდა არაფერში.

ნათელა ვაჩნაძე: მთავარი იყო ბ-ნი შევარდნაძის ჩამოყვანა.

თენგიზ სიგუა: მე შემიძლია ათასი კაცი დავასახელო, ვინც აქტიურობდა, მარტო ჯაბას წუ შევაწერთ ამას. მერე ჯაბამ გამოიყენა ეს და მიინერა, თორემ ჯაბას დამსახურება შევარდნაძის ჩამოყვანაში... ეს იყო საკმაოდ ბევრი ადამიანის... ბევრს ძალიან კარგად იცნობთ.

ნათელა ვაჩნაძე: მერე როგორ მიიმაღლენ ისე, რომ ბატონი ჯაბას სახელი დარჩა?

თენგიზ სიგუა: აი, ეგ არის. ჯაბამ წაიტრაბახა, რომ ჩემი დამსახურებაა შევარდნაძის ჩამოყვანა. არ არის ეგ ეგრე. მერე იმათმა რომ შეატყვეს, რომ შევარდნაძე ჩე თი, შეაწერეს ჯაბას.

ნინო თომაძე: უჭკუო კაცი იყო, ბატონო თენგიზ, ჯაბა?

თენგიზ სიგუა: ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ სახელმწიფოს...

ნათელა ვაჩნაძე: ისწავლიდა როდისმე.

თენგიზ სიგუა: ამ ხნის კაცი რომ სწავლას დაიწყებს...

ნათელა ვაჩნაძე: დრამატურგიაც გვიან დაიწყო.

თენგიზ სიგუა: 38 წლის კაცი იყო, დაჯდა, დაამთავრა სკოლა. 38 წლის იყო, სკოლის ატესტატი არ ჰქონდა. იმის შემდეგ დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია... არ ვიცი, წაკითხული გაქვთ თუ არა „სანიტარული მატარებელი“.

ნათელა ვაჩნაძე: „მესამე განზომილება“ არ წამიკითხავს.

თენგიზ სიგუა: ამბობენ, ეს მისი არ არის, უფრო თავისი დის დაწერილია.

ნათელა ვაჩნაძე: არავითარ შემთხვევაში, არ დაიჯეროთ.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. უბრალოდ ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ ნიჭიერი ბევრია. სახელმწიფოს მართვას თავისი... რა, ზვიადი არ იყო ნიჭიერი?

ნათელა ვაჩნაძე: უგანათლებულესი კაცი იყო ჯაბა იოსელიანი. 25 წელი, ამ-

ბობენ, სულ კითხულობდა. ძალიან განათლებული ადამიანი იყო, რად უნდა ამას ლაპარაკი. რაც არ უნდა გიყვარდეს, არ გიყვარდეს...

თენგიზ სიგუა: ცოლი მეუბნებოდა, შემიკლა ხელში, კვირა არ გავა, ქაღალდები შემომიგზავნე, კალმისტრები შემომიგზავნე. რას წერს ამდენსო. მე ვუთხარი, შეუგზავნე ერთი ტონა და წეროს, რა გინდა-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: მხედრიონი როგორ შეიქმნა, ბატონო თენგიზ, თქვენი ინფორმაციით?

თენგიზ სიგუა: მხედრიონი შეიქმნა შევარდნაძის და გურამ მგელაძის ხელ-დასმით.

ნათელა ვაჩნაძე: ყველა ამას ამბობს.

თენგიზ სიგუა: ვერც დამალავენ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ახლო ხართ გურამ მგელაძესთან?

თენგიზ სიგუა: ახლო არა ვარ. გურამი, მე რომ დავინიშნე, ვიცე-პრემიერად დამხვდა.

ნათელა ვაჩნაძე: აზრი მხედრიონის შესახებ, მისი როლი, მონაწილეობა: მხედრიონი და დასავლეთ საქართველო, მხედრიონი და საკუთრივ აფხაზეთი...

თენგიზ სიგუა: იმ ბიჭებს, რომლებსაც მე ვიცნობდი, ისინი უდავოდ წესიერი ხალხი იყო, თავიდან რომ შეიქმნა, მაგრამ მერე ჯაბამ ისე მოამზადა ამნისტია... ეს არის იანვარი 92 წლის, ზვიადი წასულია. სათათბირო ხომ გვქონდა შექმნილი. სათათბიროს წევრებმა გვითხრეს, ჩვენ დაგვირიგესო ამნისტიის პროექტი... მომეცით, მე ვუთხარი და გავგიუდი. დავიბარე იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი. ჯონის წაკითხული არ ჰქონდა. ე. ი. ჩუმად, მთავრობის ზურგს უკან, ამზადებს ამნისტიას, რომელიც ეხება ყველა ქურდს, ოხერს... მე ვუთხარი, ამის გაკეთება როგორ შეიძლება. იმ წუთში მოვიწვიეთ ეს სათათბირო, 34 კაცი შედიოდა. 33 კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა ასეთი სახის ამნისტიის. ერთმა გოგა ხაინდრავამ დაუჭირა მხარი. ჩავარდა ეს. მეორე დღეს იყო დაბეჭდილი გაზეთში.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ გამოცხადდა მაინც?

თენგიზ სიგუა: გამოცხადდა. ეს უკვე არასახელმწიფოებრივი... აი, გამსახურდიამ ჩვენი სახელით ბუშს რომ გაუგზავნა წერილი, მთავრობამ რომ არაფერი იცოდა... არ შეიძლება სახელმწიფო დონეზე ასეთი თამაში. გაზეთის რედაქტორს დაადგნენ ავტომატით, დააბეჭდვინეს: იოსელიანი, კიტოვანი. ვერ გაბედა სიგუას დაწერა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეხედეთ ამას?

თენგიზ სიგუა: დავიბარე და მაგრად გავლანდე. ჯონი დამემოწმება, ხეცურიანი. მე ვუთხარი: ჯაბა, შენ რომ საბავშვო ბალის დონეზე თამაშობ, რა არის-მეთქი ეს? როგორო, აი, სათათბიროზეო... სათათბიროზე ორნი იყავით თანახმა, დანარჩენი წინააღმდეგი, რა უფლებით

დაბეჭდე ეს? სახლში წავლენო, რას დააშავებენო? არ შეიძლება ყველა ბანდიტი ქუჩაში გამოყარო. კი, შეიძლება იქ იყო ისეთი ხალხი... ვთქვათ, პირველ რიგში ქალები, ბავშვები გამოუშვა. ეს არის არასახელ-მწიფოებრივი აზროვნება. მერე სამეგრელოში... ხალხი მოკლული. მაპატიეთ და სასქესო ორგანო აქვს მოჭრილი, თქვენი ჯიში არ გამ-რავლდესო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო ზვიადიზმის გამო, საერთოდ დასავლეთ საქართ-ველოზე შურისძიება... არ ვიცი, რამდენად სწორია ეს დასკვნა.

თენგიზ სიგუა: ეს შევარდნაძის ამბებია. ... არ შევეშვებიო. მე, ჩემი მეგო-ბრებიო... მაგის მეგობრებმა შემჭამეს, ერთი მეგობარი არა ჰყავს სინამდვილეში.

ნათელა ვაჩნაძე: ჰყავდა და დახვრიტა, იუზა კობახიძე.

თენგიზ სიგუა: წავიდა მაინც, არ დამიჯერა. რაც მაგას კვერცხები და პამიდ-ვრები ესროლეს?..

ნათელა ვაჩნაძე: სკამის შენარჩუნების არაჩვეულებრივი უნარი აქვს.

თენგიზ სიგუა: ეგ ნიჭია, ეგ თავისებური ნიჭია. დამანგრევლის ნიჭი ჰქონ-და, იუმორის ნიჭი ჰქონდა, მაგრამ მე სულ მიკვირდა... გერმანული ვერ შეისწავლა.

ნათელა ვაჩნაძე: დადიოდა მასთან მასწავლებელი? ალბათ ამის დრო არას-დროს ჰქონდა. თუ სწავლობდა, ალბათ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას და უფრო ინგლისურს.

თენგიზ სიგუა: ზოგი არის, 2-3 წელში სწავლობს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს განსაკუთრებული ნიჭია. რუსული ისწავლა?

ნინო თომაძე: ბატონო თენგიზ, თავისი ნიჭი რომ გამოეყენებინა აღმშენებ-ლობისათვის...

თენგიზ სიგუა: არ ჰქონდა ეს. მოსკოვიდან რომ მოვიდოდა ბრძანება, იმ ბრძანების ძალიან კარგი შემსრულებელი იყო, მაგრამ როცა უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პირი გახდა... ასეთ მაგალითს გეტივით. მანამდე ხომ 12 წელი იყო ცეკას პირველი მდივანი, ე. ი. პირველი კაცი საქართველოში. ეკონომიკაში ისეთ ელემენტარულ საკითხებს... მე მიკვირდა. თან ნიჭიერი კაცია. ნიჭიერმა კაცმა როგორ შეიძლება 2-3 წელიწადში ალლო არ აუღო. ენერგეტიკა არის წამყვანი დარგი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის, ბაზისური დარგი. როგორ შეიძლება არ იცოდე ქვეყნის პირველმა პირმა. არა აქვს მნიშვნელობა, შენ ისტორიკოსი ხარ, მედიკოსი ხარ, ეს უნდა იცოდე. ეს კაცი როგორ იყო 12 წელი ქვეყნის პირველი პირი.

ნინო თომაძე: მაგრამ შევარდნაძეს ჰქონდა ერთი გენიალური ნიჭი, ჩემი აზ-რით, რაც არ ჰქონდა ზვიად გამსახურდიას – ლავირების ძალიან დიდი უნარი და ბალანსირების.

თენგიზ სიგუა: რასაკვირველია. მე მაგისტვის ვიყავი გველის წიწილი იმ ინ-

ტერვიუს შემდეგ, რაც მაგაზე დავწერე. მაგრამ სანამ არ გადავდგებოდი და არ წამოვიდოდი, ჩემზე საყვარელი კაცი მას არ ჰყავდა.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ მას თავში ყოველთვის ჰქონდა, მე დარწმუნებული ვარ, პირველი წუთიდან, რა წუთშიც ჩამოდგა ფეხი თბილისის მიწაზე, იცოდა, როგორ გადაგაყენებდათ და როგორ მოიშორებდა ყველას. გამოიყენა ყველა და ეს სიტუაცია.

თენგიზ სიგუა: ეს გეგმა მას თავიდანვე ჰქონდა, რომ მე უნდა მოვიდე. მე მითხრეს, ისეთი ამბავი იყო ოჯახში თქვენი ინტერვიუს შემდეგო. სანამ მე არ გადავდგებოდი... იმის შემდეგ ხომ აღარ შევხვედრივარ. ერთხელ შევხვდი მას და ხელი არ ჩამოვართვი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არ ჩამოართვით ხელი?

თენგიზ სიგუა: არ არის ღირსი და იმიტომ. ეს არის უღირსი კაცი. ერთს იტყვის, მეორეს აკეთებს, მესამეს ფიქრობს. მერე ისე ადვილად განირავს მის უახლოეს ხალხს, გამოიყენებს, როგორც ლიმონს გამოწურავს. მისი პრემიერ-მინისტრი ზურაბ პატარიძე, მაგისი მოშორებულია.

ნათელა ვაჩნაძე: კი, რა თქმა უნდა, ეს იცის ხალხმა, ჩვეულებრივმა მოქალაქემ იცის.

თენგიზ სიგუა: იციან, მაგრამ ეს რომ შევარდნაძემ მოაწყო...

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თენგიზ, წაგვიკითხავს ხოლმე, მე კი დიდი მცოდნე ამ საქმეების არა ვარ, მაგრამ ყველა გადატრიალებას სჭირდება ფინანსები. კიდევ ერთხელ და, ამჯერად, უკანასკნელად გეკითხებით, საჭიროა თუ არა ფინანსები?

თენგიზ სიგუა: კი.

ნათელა ვაჩნაძე: სადღაც წავიკითხე, რომ რომელიღაც სახელმწიფოში გადატრიალება დაჯდა 16 ათასი დოლარი. გამეცინა. 16 ათასი რომ დაჯდება, რა გადატრიალება უნდა იყოს.

თენგიზ სიგუა: შევადაროთ „ვარდების რევოლუციას“. „ვარდების რევოლუცია“ დაჯდა ძალიან ძვირი. იმიტომ, რომ სულ ცოტა 100 ათასი კაცის მობილიზაცია, დასავლეთიდან ხალხის ჩამოყვანა... მე ასე ვსვამ საკითხს. თუ შენ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენ, რაში გჭირდება სამეგრელოდან, გურიიდან და იმერეთიდან ხალხის ჩამოყვანა? როგორც წესი, პოლიტიკური ცვლილება ხდება დედაქალაქში. უიშვიათესი გამონაკლისია, რომ პროვინციაში გადაწყდეს რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური ბედი. ზვიადსაც სამეგრელოდან ჩამოჰყავდა ხალხი. 780 ათასი ამომრჩეველია მარტო დედაქალაქში. რაში გჭირდება რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა, თუ შენ დედაქალაქში გაქვს მხარდაჭერა? სააკაშვილი ვერ გრძნობდა დედაქალაქში ისეთ მხარდაჭერას და ამიტომაც ჩამოიყვანა.

ნინო თომაძე: ამბობენ, რომ იმ ხალხს ფული გადაუხადაო.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძის მხარდამჭერი ღირდა 5 ლარი.

თენგიზ სიგუა: გამსახურდიამ? ფოთში რომ შემოვიდა 20 ათასი ტონა შაქარი, სად წავიდა? დაურიგეს იმ ხალხს უფასოდ 5-5 კილო შაქარი, ჩასვეს ავტობუსებში და ჩამოჰყავდათ იქიდან. იმ ფირმას, რომელმაც შემოიტანა შაქარი, ჩამოართვეს, გრამი არ მიუღია. ფოთიდან პირდაპირ წაიღო გამსახურდიას ხელისუფლებამ, ურიგებდა უფასოდ 1 კილო კარაქს და 5 კილო შაქარს ამ ხალხს. იგივე არ არის? გინდა 5 ლარი და 10 ლარი მიგიცია და გინდა პროდუქტები. ამიტომ გეუბნებით, ეს იყო დიდი შეცდომა. ეს რევოლუცია, რევოლუციას დავარქმევთ, თუ აჯანყებას, ძვირი არ დაჯდა. რატომ. პირველი – ვინ გაიღო ეს ფული. ეს ფული გაიღეს ქართველმა ბიზნესმენებმა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო, როგორც მაშინ ეძახდნენ, „ჩრდილოვანი ეკონომიკა“. თენგიზ სიგუა: „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ ერქვა მაშინ. მე ხომ ვხედავდი თბილისის ზღვაზე რა ხალხი ამოდიოდა. იყო ასეთი შემთხვევებიც. მაგალითად, ერთ დღეს დაცვა მოვიდა და მეუბნება: ბატონო თენგიზო, კახეთიდან მანქანა მოვიდაო. ამბობენ, საჭმელ-სასმელით დატვირთულია. შემოვუშვათ, თუ არაო. მე ვუთხარი, გასინჯეთ-მეთქი, რამე ასაფეთქებელი არ იყოს. არაო, კარტოფილები ყრიაო, ხორცი და... მე ვუთხარი: ვინ გამოაგზავნა? არ ამბობენო, კახელებმა გამოგიგზავნესო. შემოიტანეს დატვირთული კარტოფილით, ხორცით, ყველით... ამოდის ერთ-ერთი ბიზნესმენი, დიდი მექანიკური ქარხნის დირექტორი. სიცივეები იყო. აქ როგორ გაძლებოთ. რეკორდულად ამუშავა ქარხანა დღე და ღამე, რომ დაემზადებინა გამათბობელი. ერთი თვე დასჭირდებოდა იმას. მერე ზესტაფონის ფერო. ვურეკავ დირექტორს, თენგიზ ნემსაძეს 5 ათასი ცეცხლგამძლე აგური მინდა. როდის გინდა და სად. არავითარი ფული, მაგრამ როცა საჭიროა... ერთი პერიოდი მინისტრი კავშირგაბმულობის იყო ინჯია. ინჯია არის მართლა მაღლალი დონის პროფესიონალი. გააკეთა დიდი საქმე – ოპოზიციას ჰქონდეს თავისი ტელევიზია. საჭიროა სატელევიზიო აპარატურა. მე ვიცი, ვინ ამზადებს რუსეთში. 120 ათასი მანეთი...

ნათელა ვაჩნაძე: ეს რამდენი დოლარია?

თენგიზ სიგუა: მაშინდელი კურსით 69 კაპიკი იყო ერთი დოლარი, შავ ბაზარზე 3 მანეთი ღირდა ერთი დოლარი. უხეშად 50-60 ათასი დოლარი.

ვალტერ შურლაია

2007 წლის 26 თებერვალი.

ნათელა ვაჩნაძე: ბ-ნი ნოდარ ნათაძე თავის წიგნში – „რაც ვიცი“, თბ., 2002 წ. ერთ ადგილას, რომელიც ეხება მოსკოვის აგვისტოს პუტინს, წერს, რომ თქვენი საშუალებით უნდოდა რაღაც ინფორმაციის მიწოდება საქართველოს იმუნიციალური პრეზიდენტისათვის და დასძენს, რომ ეს თავად არ გააკეთა პირადად. თქვენი კომენტარი.

ვალტერ შურლაია: მე ბევრჯერ ვეცადე ნოდარ ნათაძე შემეხვედრებინა პრეზიდენტისათვის ზემოხსენებულ მოვლენებამდე, მაგრამ მისი მხრიდან ვერ ვნახე ინიციატივა. ზვიად გამსახურდია არ იყო უარს და სიამოვნებით შეხვდებოდა მას, მაგრამ ნათაძემ არ ისურვა ეს. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას. ნათაძე ამბობს, რომ შურლაიას პირით შეუთვალა პრეზიდენტს, რომ მას უნდა გამოეცხადებინა გვარდიის შექმნა სიტუაციის დასტაბილურების მიზნით (მოგეხსენებათ გვარდიის ნაწილი ამ პერიოდში განდგომილია და არეულობა დაწყებულია). ეს სიმართლეა. მე ნათაძემ მართლა მითხრა ეს და მე პრეზიდენტს გადავეცი.

ნათელა ვაჩნაძე: ესე იგი გადაეცით?

ვალტერ შურლაია: დიახ.

ნათელა ვაჩნაძე: ესაა თქვენი პასუხი წიგნში მოყვანილ ფაქტზე?

ვალტერ შურლაია: ვადასტურებ. მაგრამ მე ეს ინფორმაცია ზვიადს გადავეცი მხოლოდ ჩემი ადამიანური პატიოსნების გამო, თორემ ნათაძის აზრი, რომ გვარდიის შექმნა განმუხტავდა სიტუაციას, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. როცა გვარდიის ნაწილი განდგომილია სახელმწიფოსაგან, მის მეთაურებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება, განუდგნენ სახელმწოფოს მე და ჩემმა მეგობრებმა პრეზიდენტს შევახვედრეთ კიტოვანი და ყარყარაშვილი. ისინი კმაყოფილი გამოვიდნენ ამ შეხვედრიდან, მაგრამ მათ მაინც თავიანთი საქმე გააგრძელეს. ე. ი. უკვე მიღებული ჰქონდათ მითითება, რომ ეს ქვეყანა დაენგრიათ, რაც შედეგებიდან გამოჩენდა კიდევაც. ამ დროს ქვეყანა დამოუკიდებელი არ იყო და ვემზადებოდით დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. ჩვენ არ გვექონდა ბევრი დრო. სულ ცხრა თვე უუყავით ხელისუფლებაში და გაჭირდებოდა სამომავლოდ შეგვექმნა ჯარის ჩანასახი მაინც. რახან ქვეყანა დამოუკიდებელი არ იყო და ჯერ კიდევ შევდიოდით სსრკ-ის შემადგენლობაში, ბუნებრივია, არავინ არ დაუშვებდა დამოუკიდებელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების არსებობას. ამიტომაც ჩვენ მივაგენით გამოსავალს – გვარდია შეგვექმნა შინაგანი ჯარის ძალებთან მათი დაქვემდებარების ქვეშ.

ნათელა ვაჩნაძე: თავად ეს შინაგანი ჯარი ვის ექვემდებარებოდა?

ვალტერ შურლაია: შსს-ს, რაც თავიდან პუტჩისტებმაც კარგად მიიღეს, ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება არ გამოუხატავთ, როცა განდგომა დაიწყეს, მხოლოდ მაშინ აღშფოთდნენ ამის გამო.

ნათელა ვაჩნაძე: იმის გამო, რომ გვარდია მილიციასთან იყო გათანაბრებული არა?

ვალტერ შურლაია: კი, მაგრამ თავიდან, როცა გვარდია ჩამოყალიბდა, როცა პარლამენტმა მიიღო კანონი ამის თაობაზე, სიტყვა არავის უთქვამს. ეს გააპროტესტეს მაშინ, როცა განდგომა მოინდომეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ნოდარ ნათაძე კიდევ ერთხელ გახსენებთ რკონის მოვლენებთან დაკავშირებით.

ვალტერ შურლაია: რკონში იყო ჩვეულებრივი გვარდიის საზაფხულო სამხედრო ბანაკი და აქ იყო ასევე ჩვეულებრივი გვარდიის სასწავლო გასვლა. ამ დროს კიტოვანმა და სხვებმა დაიწყეს ამ ბიჭების მოშხამვა, აღიზიანებდნენ – მილიციასთან გათანაბრებული ხართო. ამ დროს ლოთი ქობალია თავის ბატალიონში სამხედრო სწავლაზე რკონში აპირებდა ნასვლას. მე და ზაურ ქობალია თბილისის შემოსასვლელთან შევხვდით ლოთის, ავუხსენით საქმის ვითარება, ვუთხარით, რომ კიტოვანი აპირებდა განდგომას და ვთხოვეთ, არ წასულიყო რკონში. ლოთი არ იჯერებდა, მაგრამ მალე დარწმუნდა ჩვენს სიმართლეში. კიტოვანი რკონში მიტინგებს ატარებდა. ჯერ თითქოს აქებდა ზვიადს, შემდეგ მის ძაგებაზე გადადიოდა. ჯარისკაცებს ეუბნებოდა – ზვიადი რუსეთის აგენტია და შევარდნაძესთანაა შეკრულიო. თან აქ შეკრებილი იყო რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. კიტოვანს გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა ჯარში, ამანაც შეუწყო ხელი მას გვარდიის მოშხამვაში. პრეზიდენტმა გამსახურდიამ მიმართა ამ ჯარისკაცების დედებს ტელევიზიონით და რადიოთი და სთხოვა – თქვენი შვილების შეცდენას აპირებენ, უნდათ მათი ღალატის გზაზე დაყენება და ამიტომ, გთხოვთ, წამოუყვანოთ თქვენი შვილებიო. ძალიან ბევრი გვარდიელი, რამდენიმე ასეულის გარდა, რკონიდან გაიპარა, ბევრი მშობლებმა წაიყვანეს და ვინც დარჩა, დარჩა მხოლოდ კიტოვანისადმი ყალბი ერთგულების გამოსახატავად. როგორც ვთქვი მას ჰქონდა გარკვეული ავტორიტეტი ჯარში.

ნათელა ვაჩნაძე: ჯარისკაცები “Батя”-ს ეძახდნენ.

ვალტერ შურლაია: დიახ, კარგი მიდგომა ჰქონდა ჯარისკაცების მიმართ. ნოდარ ნათაძე თავის წოგნში საუბრობს მოსკოვის პუტჩის შესახებ და ამბობს, რომ ზვიად გამსახურდია თავისი ხასიათიდან და მიდრეკილებებიდან გამომდინარე, საშველად ხალხს გამოიყვანდა.

ნათელა ვაჩნაძე: ნოდარ ნათაძე ამბობს, რომ პრეზიდენტს უკვე აღარ ეკადრებოდა ხალხში გამოსვლა.

ვალტერ შურლაია: ეს არის სიტყვებით თამაში და ზვიად გამსახურდიას შეურაცხყოფა. მე გეტყვით სინამდვილეში, როგორც მოხდა. როცა

მოსკოვში დაიწყო პუტჩი, ზვიადი იყო ყაზბეგში. გავიეგეთ პუტჩის ამბავი, შევიკრიბეთ ყველა, დაიწყო პრეზიდიუმის სხდომა. მე პრეზიდიუმის ნევრი არ ვიყავი, მაგრამ მოვითხოვე დასწრება სხდომაზე. სხდომამ გადაწყვიტილება პრეზიდენტის ჩამოსვლამდე ვერ მიეღო. ამ დროს ჩამოვიდა ზვიადი და გამოვაცხადოთ, რომ რუსეთში მოხდა პუტჩი, დავგმოთ იგი, მაგრამ ვთქვათ, რომ ეს მოხდა სხვა ქვეყანაში და ჩვენ ვერ ჩავერევით,. მერე მოქნევასავით დაუმატა: რამდენჯერ უნდა მოვხვდეს საქართველო სხვა ქვეყნის ნანგრევებში. მოდით, კიდევ ერთხელ ავიცდინოთ ეს თავიდან. აი, ეს არის სინამდვილე და გთხოვთ ეხლა მას შეადარეთ ნათაძის ვარაუდი. ნათაძე ვარაუდობდა, რომ ზვიადი მიკროფონს მივარდებოდა და მიშველეთ ხალხო. მე მეტ-საც გეტყვით, ოპოზიცია — ეს სარიშვილი და სხვები, ქვეყანას ანგრევდნენ. რატომ არ დავუჭირეთ მხარი გორბაჩივის ხელისუფლებას.

ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩივის ხელისუფლებას თუ დემოკრატიულ ძალებს? ვალტერ შურლაია: პუტჩი მოხდა გორბაჩივის წინააღმდეგ არა? მოსკოვის პუტჩის ვგულისხმობ.

ნათელა ვაჩნაძე: არის ძალიან მნიშვნელოვანი თვალსაზრისი, რომ თავად გორბაჩივი იღებდა მონაწილეობას ამ პუტჩში და მისი გეგმით იყო ეს პუტჩი ორგანიზებული.

ვალტერ შურლაია: კი, ეს ასე თქვა ზვიადმა.

ნათელა ვაჩნაძე: მართლა?

ვალტერ შურლაია: დიახ. მან თქვა, რომ ეს პუტჩი თავად გორბაჩივმა მოაწყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ასევე თქვეს გენერლებმა, რუსმა მოღვაწეებმა — ლონია ბატკინმა, ლიმონოვმა და სხვებმა.

ვალტერ შურლაია: მაგრამ ყველას დაასწრო ზვიადმა და მან პირველმა თქვა ეს, მაგრამ ოპოზიციამ მოითხოვა, რომ მხარი დაეჭირათ გორბაჩივისათვის.

ნათელა ვაჩნაძე: რადგან ეს პუტჩი მის წინააღმდეგ მოწყობილი ეგონათ, არა? ვალტერ შურლაია: რა ეგონათ მაგათ, მე არ ვიცი. მათთვის მთავარი იყო ჩვენთვის დაერტყათ და პუტჩისტების მომხრეების იარლიყები მოეწებებინათ, იანაევის მომხრეობა დაებრალებინათ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ერთ-ერთ- უმძომესი ბრალდება იყო ოპოზიციის მხრიდან.

ვალტერ შურლაია: გარდა ამისა, მე ვარ მომსწრე, ზვიად გამსახურდიას გვერდით ვიდექი, როცა იანაევმა დარეკა (იგი ხშირად რეკავდა) და კატეგორიულად მოითხოვა მხარდაჭერა ზვიადისაგან და ზვიადმა უთხრა: თქვენ ჩემგან მხარდაჭერას ნუ ელოდებით, რადგან თქვენ ხართ პუტჩისტები, ჩვენ მალე დამოუკიდებლობის გამოცხადებას ვაპირებთ და ეს საქმე არ გვეხებათ. იანაევმა უთხრა: Я ваш Тбилиси сравнию с землей-ო. ზვიადმა კი, რომელსაც რამდენიმე გადაკეთებუ-

ლი ავტომატის გარდა არაფერი გააჩნდა, გასცა ასეთი პასუხი: თქვენ თითსაც ვერ გაანძრევთ, თბილისს ვერ დაბომბავთ, თქვენ მე ვერ შემაშინებთ და ვერ შეაშინებთ ქართველ ხალხს.

ნინო თომაძე: ბ-ნო ვალტერ, ზვიადის მხრიდან, რომელსაც არც იარაღი გააჩნდა და არც ჯარი, ასეთი განცხადება ცოტა არასერიოზული ხომ არ იყო?

ვალტერ შურლაია: აბა, პუტჩისტებს უნდა მიმხრობოდა?

ნინო თონაძე: არა, იქნებ რაიმე პოლიტიკური ლავირებისათვის მიემართა.

ვალტერ შურლაია: მე ვფიქრობ სულ სხვანაირად. ჩემი აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობდა ზვიადის პოლიტიკური ნიჭი, რომ ის მიხვდა, რომ იანაევი არაფრის დამბომბავი არ იყო და მისი მხრიდან ეს იყო დიდი ბლეფი, რათა გადმოებირებინა საქართველო და მისი პრეზიდენტი პუტჩისტების მხარეზე.

ნინო თომაძე: რატომ არ დაბომბავდა, ჭკუა დაუშლიდა თუ თანამდებობა?

ნათელა ვაჩინაძე: არა, უბრალოდ, მალე დამარცხდებოდა და დამარცხდა კიდეც.

ვალტერ შურლაია: ვინც იმ პერიოდში იანაევი ტელევიზორში ნახა, ყველას ემახსოვრება, როგორ კანკალებდა იგი. ყველა ხვდებოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. მას სისხლისლვრის უფლებას რუსი ხალხი არ მისცემდა. ხალხი დიდ ნინააღმდეგობას უწევდა, ჯარი მის მხარეზე არ გადავიდა. ამ ყოველივეს წამიერი ანალიზი უზიდოდა, რაც ზვიადმა მოახერხა კიდეც. ზვიადს არ ჰქონდა ფიქრის დრო, მაგრამ მან მიიღო სწორი გადაწყვეტილება. სწორედ ექსტრემალურ სიტუაციაში მიღებული გადაწყვეტილების სისწორე ასხვავებს ნიჭიერ ადამიანს უნიჭოსაგან. გადავიდეთ სამეგრელოზე?

ნათელა ვაჩინაძე: კი, ბატონო.

ვალტერ შურლაია: პუტჩი საქართველოში გრძელდებოდა 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე. ზვიადმა მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა უზენაესი საბჭო, თუმცა ამ მომენტში მე იქ არ ვყოფილვარ. ვიცნობდი რა ზვიადს, მე ვიცოდი რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება. პუტჩისტები ფიქრობდნენ, რომ ეს იყო მათი გამარჯვება და მათ გააქციეს ეროვნული ხელისუფლება. საქმე უფრო მარტივად იყო. ზვიადმა არ ისურვა სისხლისლვრა და ამოტიმ გაერიდა თბილისს. 6 იანვარს მას უნდოდა გადასვლა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში. ეს იყო ექვსში საღამოს და შვიდში დილით, შობას. შვიდში მე უკვე ზუგდიდში ვიყავი. ამ დროს დასავლეთში გადასასვლელი გზები შეკრული იყო, იყო სროლები და რამდენიმე კაცი მოკლეს კიდეც. ამის გამო პრეზიდენტითავისი ამაღლითურთ წითელი ხიდის გავლით წავიდა აზერბაიჯანის მხარეს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან. მე გადავუსწარი მანქანით პრეზიდენტს და ვთხოვე, გაეჩერებინა მანქანა. მე ვუთხარი: თქვენთან ერთად რომ წამოვიდე, მე რას გავაკეთებ, გამიშ-

ვით დასალეთ საქართველოში, სამეგრელოს არჩეული ვარ, ვიცი, რაც ხდება იქ და ნება მიბოძეთ, ვიყო ჩემს ხალხთან-თქო. იგი დამეთანხმა ამაზე და ცოტა გვიან გამომიგზავნა საგანგებო რწმუნებულების ქაღალდი, რომლის თანახმადაც მე ვინიშნებოდი მის საგანგებო რწმუნებულად სამეგრელოში. მე მოვაბრუნე მანქანა და ჯემალ ქობალიასთან ერთად ნავედი ზუგდიდში. ერთი ლამე გავათენე მცხეთაში. პუტჩისტები გამარჯვებით იმდენად ბედნიერნი იყვნენ, რომ ტრასაზე არ იყო არც ერთი პოსტი, გზა იყო ცარიელი. ზუგდიდში 7 იანვარს საღამოს მივედი ცენტრალურ მოედანზე, სადაც დამხვდა უამრავი ხალხი, დაახლოებით 20-30000 კაცი. მიკროფონი ჩართული იყო. მე პრეფექტურაში აივანზე გამოვედი და გამოვაცხადე ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შექმნა. იმ ნუთს ამ კომიტეტში მე ვგულისხმობდი ჩემს თავს, ჯემალ ქობალიას და ნატო აკობიას, რომელიც აქტიური წევრი იყო ეროვნული მოძრაობისა. ეხლა მოსამართლეა ზუგდიდში, ადრე ადვოკატად მუშაობდა. როგორც გამოირკვა, ჩვენ ნახევარი საათი რომ დაგვეგვიანა, ზუგდიდში თბილისის მიბაძვით იქმნებოდა სამხედრო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ ადგილობრივი კომუნისტები და რამდენიმე მოქმედი ხელისუფლების ნარმომადგენლები. ჩემმა ჩასვლამ ჩაშალა ეს ამბავი. ჩემი, როგორც ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარის, მოქმედების შესაძლებლობა გაადვილა იმან, რომ მე არ დამჭირდა მოქმედება, რათა ხალხი შეკრებილიყო. ხალხი მუდამ ბევრი იყო. 50000-იან ქალაქში იკრიბებოდა 200000 კაცამდე. მთელი საქართველო იქ იყო. მე რომ არ ჩავსულიყავი დროზე, ისინი ხეზე ჩამომკიდებდნენ, რადგან მათი არჩეული ვიყავი და მათთან უნდა ვყოფილიყავი. მახსოვს მომენტი, როცა მხედრიონი მომდგარი იყო, მხედრიონს ვამბობ, თორემ აქ თავმოყრილი იყვნენ ათასი ჯურის არამზადები, ციხიდან გამოშვებული კრიმინალები, ჯაბა და მისი ხალხი.

ნინო თომაძე: ჯაბა ვინ გამოყმვა ციხიდან?

ვალტერ შურლაია: სიგუამ და კიტოვანმა.

ნინო თომაძე: რატომ?

ნათელა ვაჩაძე: სჭირდებოდათ და იმიტომ.

ვალტერ შურლაია: როცა მხედრიონი მოადგა პირველად სამეგრელოს საზღვარს და ვერ ბედავდა გადმოსვლას...

ნათელა ვაჩაძე: სულ რამდენჯერ შეესია სამეგრელოს მხედრიონი?

ვალტერ შურლაია: ექვსჯერ თუ შვიდჯერ. აქ მერე აფხაზეთთანაც ძალიან საინტერესო მოვლენები მოხდა, მაგრამ ეს შემდეგ. პირველად, როცა მხედრიონი სამეგრელოს მოადგა, ეროვნული დაომორჩილებლობის კომიტეტში შედიან პრეფექტები მთელ საქართველოდან, ტარდება სხდომები. ამ დროს, მე მახსოვს, თუ როგორ ვდგავარ მე მიკროფონთან და 100000 კაცი მიყვირის: მოგვეცი იარაღი. სავსებით გულახდილად

ვამბობ, რომ იარაღი რომ მქონოდა, მივცემდი, მაგრამ არ მქონდა არა-ნაირი იარაღი თბილისიდან ჩამოტანილი სამი ავტომატის გარდა. ასე-თი იყო ხალხის განწყობა.

ნათელა ვაჩნაძე: ვის წინააღმდეგ იქნებოდა ეს ომი, იარაღი რომ გქონოდათ? ვალტერ შურლაია: მხედრიონის წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იქნებოდა თავდაცვითი ომი.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, ხალხს რომ იარაღი ჰქონოდა და გამოეყენებინა, ჯაბა ესროდა მათ? თუ, უბრალოდ, შეშინებას უპირებდა?

ვალტერ შურლაია: შესაშინებლად? ჯაბამ სასქესო ორგანოები მოაჭრა ხალხს სამეგრელოში. ჩხოროწყუში ახალგაზრდა ბიჭი მოიტაცეს მხედრიონელებმა და მის მშობლებს გამოსასყიდი მოსთხოვეს. მათ მოაგროვეს თუკი რამე ჰქონდათ და მისცეს გამოსასყიდი. მხედრიონელებმა კი ის ბიჭი მეორე დღეს მიუგდეს მკვდარი.

ნინო თომაძე: მარადიორობასაც ეწეოდნენ?

ვალტერ შურლაია: დიახ. ჩვენ მერე დავიჭირეთ მხედრიონის ხალხი (აფხაზეთის პირველი კამპანია ამ დროს უკვე დაწყებულია) და წავართვით სამეგრელოსა და ადხაზეთიდან წამოღებული ნაძარცვი და იცით, რა იყო იქ? ქალის საცვლები, ზეწრები... ჩვენ ეს ნივთიერი მტკიცებულებები გამოვაგზავნეთ თბილისის ტელევიზიაში, თუმცა არ ვიცი, აჩვენეს თუ არა, ეს მათ სინდისზე იყოს.

იმ დღეებში, როცა დაძაბულობა პიკს აღწევს, ხოლო მხედრიონი სამეგრელოსთანა მომდგარი. ჯაბამ გამოგზავნა ხალხი და შემომითვალა: თუ შემხვდები თქვენ, მე სამეგრელოში არ შემოვალო, მაგრამ თუ არა და ყველაფერს დავანგრევო.

ნათელა ვაჩნაძე: რას ნიშნავდა ეს. ხომ არ იცით?

ვალტერ შურლაია: არა. მაშინ მე არ ვიცოდი რა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა ერთ რამეს ვხვდებოდი — ჯაბას შევხვდებოდი თუ არა, ის სამეგრელოში მაინც შემოვიდოდა, მაგრამ როგორ ამესნა ხალხის-თვის ეს ყველაფერი? მერე ჯაბასთან ნათაძეც ჩამოვიდა, სამხედრო საბჭოს სხვა წევრებიც. მე მქონდა ერთი მეთოდი — თუ რომელიმე მათგანს შევხვდებოდი, ეს უნდა მომხდარიყო ღიად, ისე რომ, ყველას დაენახა. გამოვედი მიტინგზე და ვუთხარი ხალხს: ჯაბა კბილებამდე შეიარაღებული 500 კაცით საზღვართან დგას (ჩემთვის გაუგებარია, საიდან მოიტანეს ამდენი იარაღი. ვთვლი, რომ ეს რუსეთის იარაღი იყო) და მოითხოვს — თუ შურლაია შემხვდება, სამეგრელოს არ ავაოხრებო, თუ არა და შემოვიჭრები და ქვას ქვაზე არ დავტოვებო. მე მგონია, რომც შევხვდე მას, იგი მაინც შემოიჭრება, მაგრამ მართალი რომ ვიყო სინდისის წინაშე, შევხვდები, როგორც ითხოვს. ეს შეხვედრა მოხდა იმერეთში, ხომში. ჩემთან იყვნენ ჯემალ რაფავა და ზაურ ქობალია, მე ხელში მეჭირა გახსნილი ხელყუმბარა, რომელზეც თითი

ისე მქონდა დაჭერილი ნერვიული დაძაბულობისაგან, რომ შეხვედრის შემდეგ ძლივს გამიხსნეს. თუ შევატყობდი, რომ შეხვედრისას დალატს ჰქონდა ადგილი, მე ავაფეთქებდი ხელყუმბარას, სხვა გამოსავალი არ მქონდა. ამ დროს მე არ ვიცი სად არის პრეზიდენტი, მასთან კავშირი არა მაქვს. ვზივარ ჯაბასთან და ვეუბნები: გისმენთ! მას ახლავს 500 სამხედროფორმიანი შეიარაღებული კაცი.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, რომ ორივე მხარეს ვარები აიარაღებდაო.

ვალტერ შურლაია: ამბობენ, მაგრამ ჩვენ არავინ არ გვაიარაღებდა. ეს ტყუილია. მე გეტყვით, საიდან ვიშოვე იარალი. როცა მივმართე ჯაბას, მან მითხრა: სამეგრელოსთან არავითარი საქმე არა მაქვს, არც არაფერს დავანგრევ, თუ მეტყვი, სად არის ზვიად გამსახურდიაო. ამაც მე ვარქმევ უსინდისობის უფროობით ფორმას. მე, რომელიც 14 წლის ასაკიდან ეროვნული იდეებით ვსულდგმულობ, ეს ნაძირალა მეუბნება, სად არის შენი პრეზიდენტიო. მომენტალურად წამოვედი უკან. ჯაბა კი სამეგრელოში შემოვიდა. მას აბაშასთან წინააღმდეგობა გაუწია ჯემალ ქობალიამ. მასთან ერთად იყო მიშა დადიანი, რომელიც დღეს სკოლის დირექტორია ზუგდიდში და კიდევ ერთი ახალგაზრდა, სახელი არ მახსოვს. მათ ჯაბას ბრძოები ორი საათით შეაკავეს. თუმცა ვერ მოერივნენ და ისინი ზუგდიდში შემოვიდნენ. ცაიშთან მათ კიდევ გაუწიეს 15 წუთიანი წინააღმდეგობა ჩვენმა ბიჭებმა, მეტი ვერ შეძლეს, რადგან ჰქონდათ გეკოს იარალი, სანადირო თოფებიდა ჩემი ჩამოტანილი სამი ავტომატი. ამ იარალით წინააღმდეგობის გაწვა შეუძლებელი იყო. ზუგდიდში შემოსვლიდან პირველსავე წუთებში მათ მოკლეს გოჩა ჯიქია. ეს კი ასე მოხდა. ისინი შემოვიდნენ ზუგდიდის ცენტრში, სადაც შეხვდათ ასაკოვანი ქალბატონი და მისი წვეროსანი ვაჟი — გოჩა ჯიქია. მათ ამ წვერის გამო ჩათვალეს, რომ იგი იყო გამსახურდიას მომხრე, რადგან მაშინ ეროვნულ მოძრაობაში რატომდაც წვერის ტარება იყო მიღებული. ჯიქიას დედა ეხვეწა, ჩვენ არაფერ შუაში არა ვართ, ნუ მომიკლავთ შვილსო, მაგრამ რამდენიმე ტყვია დაახალეს და დედის თვალწინ მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მოკლა, ხონ არ იცით?

ვალტერ შურლაია: არა, არ მახსოვს. თუმცა ამ საქმეზე შემდევ თითქოს გამოძიება ჩაატარეს, მაგრამ არ გახმაურებულა ამ მკვლელის სახელი და ეს საქმე ჩაიფარცხა. როცა მხედრიონელები ზუგდიდში შემოვიდნენ, მოედანზე რამდენიმე ასეული კაცი ისე იყო. თუმცა მე ვუთხარი ზუგდიდელებს, სახლებში მჯდარიყვნენ და მათთვის „მკვდარი“ ქალაქი დაეხვედრებინათ. თუმცა ზოგმა არ დამიჯერა და სწორედ მათ თვალწინ მოხდა ჯიქიას მკვლელობა. ამის შემდევ მხედრიონელებმა დაიწყეს სამეგრელოს ანიოკება. ჯერ ღამ-ღამობით ძარცვავდნენ ხალხს, თუმცა წინააღმდეგობა რომ ვერ ნახეს, მერე დღეც დაიწყეს ძარცვა. დიდი სატვირთო მანქანით მიადგებოდნენ გასაძარცვავ

სახლს და თუ კი რამეს ნახავდნენ, ყველაფერი სახლში მიჰქონდათ, ოჯახის ნივთებიც კი. ამის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ პარტიზანული მოძრაობა. იყო ბრძოლები და ორმხრივი მსხვერპლი.

ნათელა ვაჩნაძე: იარაღი საიდან გქონდათ, ბ-ნო ვალტერ?

ვალტერ შურლააია: იმითი ვიბრძოდით, რაც გვქონდა. თებერვლის ბოლოს ჩვენ ზუგდიდი გავათავისუფლეთ. მე ჩავედი გალში და აფხაზეთში შევხვდი ეროვნული გვარდიის ნაწილებს, რომელებიც ემხრობოდნენ ზვიად გამსახურდიას. კერძოდ, მინდა გამოვყო სოსო ჯოლიგავა, გვარდიის პოლკოვნიკი, რომელმაც დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა აფხაზეთის ომში. პროფესიით ინჟინერი, აფხაზეთში და სამაჩაბლოში ნაპრძოლი, მათი და ადგილობრივი ძალების დახმარებით ჩვენ გავწმინდეთ ზუგდიდი პურჩისტებისაგან და შეიქმნა ე. წ. „თავისუფლების კუნძული“. გარკვეული პერიოდი სამეგრელოს გარკვეული ტერიტორია და ზუგდიდი პუტჩისტებისაგან თავისუფალი იყო. ერთ დღეს მომივიდა ინფორმაცია, რომ ბათუმიდან სოხუმისაკენ მოდის რუსების დიდი ნაწილი. მოვიდე გადაწყვეტილება, რომ დავხვედროდი ამ ხალხს და წაგვერთმია იარაღი.

ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდში ჩვენი ლიდერები ამბობდნენ, კერძოდ ზვიადი ამბობდა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება თავისუფალი, მაგრამ ჩვენ საბჭოთა კავშირის შეიარღებაში გაგვაჩნია ჩვენი ნილი და როცა რუსები საქართველოს დატოვებენ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ ჩვენი ნილი იარაღი არ გავატანოთ. ახლა პირველად ვიტყვი სახელს და გვარს — ფრიდონ ქადარია, მაშინ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი იყო, ეხლა დოქტორია და საქართველოში არ ცხოვრობს. ჯემალ ქობალია და მიშა დადიანი, უამრავი ხალხითურთ (დაახლოებით 40000 კაცი), გადაუდგნენ რუსის ჯარს. მათ სროლა ვერ გაბედეს და ანაკლიაში წავიდნენ რუსულ სამხედრო ბაზაზე. ამ ბაზაზე მივიდა ჩვენი ხალხი. მათ ისარგებლეს რუსების დაბნეულობით და განაიარალეს ისინი, მხოლოდ ოფიცირებს დაუტოვეს პისტოლეტები. რუსებს იარაღი ჩამოერთვათ, მაგრამ მისი ნაწილი დაიტაცეს და ჩვენ ცოტა დაგვრჩა ამ არეულობაში.

მეორე წყარო, საიდანაც იარაღი ვიშოვეთ, ეს იყო ყარყარაშვილი. ზუგდიდში, რომელიც ამ დროს გათავისუფლებული იყო, იმართებოდა მიტინგები. ხოლო სოფელ რუხთან, აფხაზეთის საზღვართან, დაფრინდა დიდი ვერტმფრენი, საიდანაც გადმოვიდა ყარყარაშვილი 48 კაციანი, კბილებამდე შეიარაღებული დამსჯელი რაზმით. მან ვერ გაითვალისწინა ხალხის განწყობა. ყარყარაშვილს და მის რაზმს ალყა შემოარტყა, ყოველგვარი ჩემი დორექტივის გარეშე, რამდენიმე ათასმა უიარაღო კაცმა. ყარყარაშვილმა თავი შეაფარა კომუნისტების დროს აშენებულ აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობისადმი

მიძღვნილ შენობას. ჩემი მერძოლები — ჯემალ ქობალია, მიშა და-დიანი და გოჩა ოთხოზორია, წავიდნენ მის განსაიარაღებლად. მერე ყარყარაშვილი ტელევიზორში ამბობდა, რომ ჩვენ ვითომ რაინდული სიტყვა გავტეხეთ და იგი (რომელიც თითქოსდა მოსალაპარაკებლად იყო ჩამოსული) განვაიარალეთ. არა და ეს იყო ტყუილი. იგი დამს-ჯელი რაზმით იყო ჩამოსული. ჯემალ ქობალია წავიდა, წარმოიდგინეთ, ბლეფზე. მან მიაყენა ბენზინის ცისტერა შენობას, რომელშივ ყარყარაშვილი იყო გამაგრებული და დაემუქრა, თუ არ დაგვნებდები, აგაფეთქებთო. არადა ამ დროს ზუგდიდში ერთი წვეთი ბენზინია არ არის და ცისტერნა ცარიელია. ყარყარაშვილმა ამ ზენოლას ვერ გაუძლო და გამოვიდა. იგი დავაპატიმრეთ, ეს 48 კაცი კი ციხეში ჩას-ვით. მერე როცა განვათავისუფლეთ ისინი, ზოგმა იკადრა და თქვა: ჩვენ ზუგდიდში გვაწამებდნენო. ეს არის ტყუილი. განსხვავება ჩვენ-სა და პუტჩისტებს შორის ის იყო, რომ არც ერთ ტყვედ ჩავარდნილ პუტჩისტს ჩვენ ხელით არ შევხებივართ. ამას დაგიდასტურებთ ნო-დარ ნათაძე. რომელიც ზუგდიდში იყო ჩამოსული. ამ დროს ზუგდიდში ჩამოსულნი არიან უცხოელი უურნალისტები, ერთი ორმოცდაათი ქვეყნიდან, რომელთაც აინტერესებთ, სად არის პრეზიდენტი გამსა-ხურდია. ისინი სხვადასხვა კითხვებს მისვამენ და სწორედ მათ თვალ-ნინ ხდება ეს ზემოხსენებული ამბები.

ნათელა ვაჩნაძე: მერე სად არის ამ ამბებზე მასალები? ის უცხოელები ალ-ბათ გადაიღებდნენ მასალებს არა?

ვალტერ შურლაია: არ ვიცი, ალბათ დაიკარგა.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ვალტერ შურლაია: იმიტომ, რომ მთელი რუსეთი და აგრესიული დასავლე-თი ჩვენს წინააღმდეგ იყო განწყობილი. მათ არ აწყობდათ ეროვნული სახელმწიფო და ზვიადი, რომელსაც არ უნდოდა ცუდი ბატონის გაცვ-ლა კარგ ბატონზე. აქ არის უმთავრესი რაღაცა — ბანდიტების ჯგუ-ფი აკეთებს პუტჩს, მოდის მთავრობაში და ეროვნულ ხელისუფლებას ეძახის ბანდიტებს. ეს არის რეალობა. ჩვენ ვალდებული ვიყავით ამ ყაჩალებისაგან დაგვეცვა ქვეყანა და დანდობის დრო არ იყო. ამ ამ-ბების მერე, როგორც ვთქვი, ჩამოვიდნენ სამხედრო საბჭოს წევრები (მათ შორის, ნათაძეც), უცხოელები. ყველა დაგიდასტურებთ, რომ არავინ არ გვიწამებია. ნათაძე შევახვედრე ყარყარაშვილს, რომელიც ციხეში არ ჩაგვისვამს და დავატარებდით ოჯახ-ოჯახ.

ნათელა ვაჩნაძე: რომ არ გაეტყუებინათ, არა?

ვალტერ შურლაია: კი. მასთან დაკავშირებით მოხდა ერთი შემთხვევა. ჩემ-თან მოდის ჩემი თანამებრძოლი გოჩა ოთხოზორია და მეუბნება, რომ ყარყარაშვილს გავატარებინოთ რამდენიმე ლამე პუტჩისტების მიერ მოკლულ გოჩა ჯიქიას ოჯახში.

ნათელა ვაჩნაძე: რა ჩანაფიქრი იყო ამაში, მეტყვით ალბათ?

ვალტერ შურდაია: მე ამ ჩანაფიქრს თავიდანვე მივხვდი და გოჩას ვთხოვე, გადაეფიქრებინა. თუმცა იგი მაინც მთხოვდა ამას. ცნობილია, რომ იგი ჯიქიას დედამ გადასარევად მიიღო. დაბანა, აჭამა, უმასპინძლა, როგორც სტუმარს და თქვა: ნეტავ, ჩემი შვილი უკანასკნელი მსხვერ-პლი ყოფილყოს. ამან ძალიან იმოქმედა ყარყარაშვილის მომავალ ცხოვრებაზე და ფსიქიკაზე. ამის მერე სულ სხვანაირი გახდა. თავ-იდან როცა იგი დაპატიმრებული მომიყვანეს, ძალიან შეშინებული იყო, რადგან არ იცოდა, ცოცხალი გადარჩებოდა თუ არა. სანამ მე არ დავარწმუნე, რომ იგი ზუგდიდში იყო, საკუთარ სამშობლოში, მანამ-დე ვერ დამშვიდდა. მოგვიანებით ისიც მითხრა: შენზე მეუბნებოდნენ, კაციჭამიაო და ამას მეუბნება პირდაპირი გაგებით.

გადის დრო და ყარყარაშვილის მამა, ძმა და მხედრიონი ისევაა მომ-დგარი სამეგრელოს საზღვართან. მაგრამ ჩვენ უკვე ბევრად ძლიერნი ვართ, რადგან ყარყარაშვილისა და რუსებისადმი წართმეული იარაღი გვაქვს. ეს მათ იცოდნენ, ამიტომ ასე იოლად ვერ შემოვლენ. ამ დროს გამოჩენდა ზვიადი. გავიგეთ, რომ გროზნოშია და მე მასთან მაქვს სატელეფონო საუბრები. ზვიადთან შეთანხმებით ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა ყარყარფშვილთან დაკავშირებით. მე ვუთხარი გიას: გია, წადი, შენი მამა, ძმა და ჯაბას ჯარი მოაშორე აქაურობას, წაიყვანე თბილის-ში. ამ 48 კაცს მძევლად დავიტოვებ. მერე მოპრუნდი და ყველას გაგიშვებთ-თქო.

წავიდა ყარყარაშვილი, გააკეთა, როგორც ვუთხარი და დაბრუნდა ზუგდიდში. მე შევთავაზე: თუ გინდა, როცა მძევლებს გავუშვებ, წადი, თუ გინდა, დარჩი, იყავი, იცხოვრე-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: მიზანი?

ვალტერ შურდაია: მიზანი არის ერთი რამ. ის გზა, რომელსა ადგა გია, იყო თუ არა მართებული და იყო თუ არა დასახოცი ეს ხალხი, ვისაც მხე-დრიონი ხოცავდა? მინდოდა მას გაეგო, თუ ვინ იბრძოდა საქართვე-ლოსათვის და ვინ იყო მისი მტერი.

ამ დროს ხდება საოცრება, ბრუნდება ყარყარაშვილი და ერთი ჩემი თანამებრძოლი, რომელიც მე მემორჩილებოდა. ჩემდა დაუკითხავად უშვებს იმ 48 კაცსაც. წავიდნენ ისინი და ჩაიშალა ზემოაღნიშნული მო-ლაპარაკება.

ნათელა ვაჩნაძე: ის კაცი პუტჩისტებთან შეკრული ხომ არ იყო?

ვალტერ შურდაია: არა, არა მგონია. უბრალოდ თავში აუვარდა. მან იცო-და ჩვენი გეგმა, რომ ყარყარაშვილის დაბრუნებისთანავე ის 48 კაცი გაგვეშვა და ჩემს დაუკითავად გააკეთა ეს.

ნათელა ვაჩნაძე: თვლით თუ არა თქვენ, რომ სამეგრელოს ლიდერი იყავით?

ვალტერ შურდაია: მე ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯ-დომარე ვიყავი და თუ გინდათ ლიდერი დაარქვით. მე ვიყავი პირველი საგანგებო რწმუნებული პრეზიდენტ გამსახურდიასი სამეგრელოში.

მერე ამ პოსტზე სხვებიც იყვნენ, მაგრამ მე პირველი ვიყავი. ამიტომ იყო ჩემზე ამდენი ტვირთი.

1992 წლის დასასრულს მირეკავს ზვიადი და ეს იყო პირველი შეჯახება ჩემსა და ზვიადს შორის. მე მას ვურეკავდი სოხუმის მეშვეობით. სოხუმის კომუტატორში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა გოგო (მე დღესაც არ ვიცი მისი სახელი და გვარი), რომლის მეშვეობითაც ვუკავშირდებოდი ზვიადს. და ეს გოგო ბრწყინვალედ მოიქცა. საუბარი ჩემსა და ზვიადს შორის ძალიან დაძაბული და მკაცრი იყო. იგი იყო აღშფოთებული იმ 48 კაცის გაშვებით.

ნათელა ვაჩნაძე: და გიას გაშვებით, არა?

ვალტერ შურლაია: ხო. გია... გიაც წავიდოდა... არ დარჩებოდა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ მას გაეგო სამეგრელოში არსებული სიტუაცია. ამას, შეიძლებოდა, სხვა მოთხოვნები მოჰყოლოდა ჩვენი მხრიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მოთხოვნები შეიძლებოდა წაგეუყნებინათ გიასთვის. აბა იგი მარტო მეგრელებზე დასაკვირვებლად ხომ არ დარჩა იქ.

ვალტერ შურლაია: მეგრელები კი არა, მთელი საქართველო იქ იყო. აქ 200000 კაცი, საიდან... ზვიადმა მითხრა: გამყიდე ხომ-ო. მეც ძალიან უხეშად ვუპასუხე, რადგან დაძაბული და ანერვიულებული ვიყაბი, ამ დროს კომუტატორმა გოგონამ გათიშა. დარწმუნებული ვარ, რომ თვითონ გათიშა და პრეზიდენტს მისცა რამოდენიმე წუთით დამშვიდების საშუალება.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სოხუმში ხართ ამ დროს?

ვალტერ შურლაია: მე ზუგდიდში ვარ. სოხუმის მეშვეობით მიდის საუბარი. რამდენიმე წუთში აღდგა სატელეფონო საუბარი და უკვე დამშვიდებული ზვიადი მეკითხება: აბა მომიყევი, როგორ მოხდა ყველაფერი და მე ვუყვები. მოვყევი და ვუთხარი იმ პიროვნების გვარი, ვინც გაუშვა ეს ხალხი. არ ვიცი, გაინტერესებთ თუ არა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს.

ვალტერ შურლაია: სანამ გაითიშებოდა ტელეფონი, ანუ ჩემი და ზვიადის საუბრის პირველ ნაწილში, როცა ორივენი ძალიან დაძაბული ვიყავით, ზვიადი მეუბნება: დავჯდები, დავწერ, რომ შენ საქართველო მტერი ხარ. გამოგაცხადებ საქართველოს მტრად-ო. მე ვუთხარი, დაწერეთ და თუ გნებავთ, გავალ მოედანზე და ხალხის წინ ვიტყვი, რომ თქვენ სამშობლოს მოღალატედ მაცხადებთ-მეთქი (არ დაგავინწყდეთ, რომ მოედანზე სისტემატურადაა 20-30 ათასი კაცი). კარგიო, თქვა ზვიადმა და ამ დროს იყო, რომ კომუტატორმა ტელეფონი გათიშა.

განმეორებითი ზარის დროს უკვე დამშვიდებულმა პრეზიდენტმა წყნარად გამიმეორა ყველაფერი და მეც მოვყევი, როგორც იყო. ისიც ვუთხარი, რომ მე რომ გავახმაურო, ვინ გაუშვაეს ხალხი, ჩემი თანამებრძოლები მოკლავენ იმას-თქო და ეს ესეც იყო. იმ პიროვნების სახელი არ ვთქვი და მე დავიბრალე ყველაფერი პრეზიდენტთან შეთანხ-

მებით. მიტინგზე გამოვედი და ვთქვი, რომ მე ავიღე ჩემს თავზე და გავათავისუფლე ეს ხალხი.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. დაიბრალეთ?

ვალტერ შურლაია: კი. და ეს გავაკეთე ჩემი დიდი ავტორიტეტის გამო, რადგან სხვას ხალხი ნაკუნებად აქცევდა. ამას ყალბი თავდაბლობის გარეშე ვამბობ.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ გააკეთეთ ეს?

ვალტერ შურლაია: იმიტომ, რომ მე თანამერძოლები მჭირდებოდა და მჯეროდა, იმ კაცს დალატით არ გაუკეთებია ეს. მან თქვა: მე ვიტყვიო – და არ გავუშვი, რადგან მოკლავდნენ. შემდეგ ის იყო, რომ ამ პერიოდში არ ჩანს ლოთი ქობალია. პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ჩემზეა. არ ჩანს იმიტომ, რომ მან უზენაესი საბჭოს შენობის წინ მიიღო უმძიმესი ჭრილობა, სადაც გოჩა ესებუას უფროსი ძმა გია ესებუა მოკლეს. დავუბრუნდეთ ისე გიას პირველ გათავისუფლებას. მახსოვს, მხარზე ხელი დავარტყი და ვუთხარი: შენი გაშვება პრეზიდენტის გადაწყვეტილებაა. წადი, იფიქრე, ღმერთმა ფიქრისთვის შექმნა ადამიანი“ და გავუშვი. ამ ამბების მერე ლოთი გამომჯობინდა და დაიწყო გვარდიის ნაწილების აღდგენა. რასაკვირველია, პრეზიდენტთან შეთანხმებით. ამ პერიოდში მე ვურეკავ ზვიადს და ვთხოვ, მომცეს უფლება თბილისში გადასვლის. ვეუბნები: ამ საცოდავ სამეგრელოს მეტი აღარ შეუძლია და თუ ეროვნულ ხელისუფლებას დაბრუნება უნერია, ეს თბილისიდან უნდა მოხდეს და არა სამეგრელოდან-თქო. იქნებ თბილისში რაღაცა შევძლი, გავაკეთო-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: რისი იმედი გქონდათ?

ვალტერ შურლაია: არაფრის, უბრალოდ მჯეროდა, რომ თუ რამის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი, ეს მხოლოდ თბილისში მოხდებოდა. ზვიადმა მითხრა კატეგორიული უარი. ამას დიდი მნიშნელობა აქვს, რადგან მერე მართლა ისე მოხდა, როგორც მან თქვა.

ნათელა ვაჩნაძე: და რა გითხრათ მან?

ვალტერ შურლაია: მითხრა, მე გროზნოში ვარ და ძალით ვერ დაგიჭერ. მაგრამ თუ შენთვის ჩემს სიტყვებს რაიმე ფასი აქვს, ფეხი არ გაადგა თბილისში. იქ ყველაფერს გააკეთებენ შენი დისკრედიტაციისათვის, რათა შენ ტალახში გაგსვარონ და საქმისათვის ეს წამგებიანი იქნებაო, არ უნდა წახვიდეო. მე არ დავუჯერე, წავედი. ზვიადი გამოდგა მართალი. მე იქ სიბინძურები გავეხვიე, რაც გადასარევად მოახერხა შევარდნაძემ. სხვათაშორის პუტჩისტები ჩვენს ტყვეებს როგორ ექცეოდნენ, ეს ცნობილი ამბავია და...

ნათელა ვაჩნაძე: საიდანაა ცნობილი?

ვალტერ შურლაია: დაახლოებით 50-60 პოლიტპატიმარია, რომელთაც მოიხდინეს 5-დან 7 წლამდე და დღესაც არიან ხონის კოლონიაში 10-მდე პოლიტპატიმარი. მე პირადად 7 წელი ვიჯექი. თქვენ უნდა გამოკითხ-

ოთ მათ, თუ როგორ ანამებდნენ პუტჩისტები. ეს ენით აღუწერელი რაღაცაა. და ჩვენთან ჩავარდნის პუტჩისტებს არ ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გავუშვებდნენ. მოგიყვანთ ერთ მაგალითს. პირველად პუტჩისტებისაგან რომ გავათავისუფლეთ სამე-გრელო, ზუგდიდში მოხდა ეს ამბავი. პუტჩისტებისაგან ზოგი გაიქცა, დარჩა მხოლოდ ერთი ოფიცერი (გვარი არ მახსოვს), რომელიც შეძრა საავადმყოფოს ქვეშ, ფეხში დაჭრილი იყო. რომ მისულიყო ვინმესთან, მოარჩენდნენ, მაგრამ ვერ გაძედა. როცა ძალიან შეაწუხა შიმშილმა და და ჭრილობებმა, გამოვიდა სარდაფიდან და ჩაგვბარდა ტყვედ. ჩვენ ვუმკურნალეთ და გავუშვით. ახლა საპირისპიროს გეტყვით.

ნათელა ვაჩნაძე: პუტჩისტებზე არა?

ვალტერ შურლაია: დიახ. იყო ერთი პიროვნება — ჯემალ შამათავა, რომე-ლიც ფოთთან დაუღუპა პუტჩისტებთან ბრძოლაში, უბრნყინვალე-სი პიროვნება. სამტრედიაში ჩემის მიერ საქმეზე გაგზავნილი ჩაიგ-დეს ტყვედ. ისინი რაღაც საიდუმლოს ამოქაჩვას კი არ ცდილობდნენ ტყვეებისგან ეუბნებოდნენ: ზვიადს შეაგინებდა, მის ახლობლებს ფულს და ძვირფასეულობას მიატანინებდნენ და უშვებდნენ. თუ არ შეაგინებდა, ჯერ ფეხს მოსჭრიდნენ, მერე ხელს. ასე უქნეს ერთ მხატვარს ბედიას. ბულია იყო ერთი მუშა კაცი, რომე-ლიც დაიჭირეს და ხელ-ფეხი მოაჭრეს, იმიტომ, რომ ზვიადს არ შეა-გინა. ეს დაუჯერებელი რაღაცაა. შამათავა დაიჭირეს და სასწაულად გადარჩა. როცა წყალი მოითხოვა, უთხრეს: მოშარდე და დალიეო. ეს თუ მართალი არ იყოს, ეს ბავშვი ცოცხალი არ ვნახო. როცა მე შევარდ-ნაძეს შევხვდი, ვუთხარი იმ სისასტიკეზე, რომელსაც მხედრიონი ჩა-დიოდა სამეგრელოში. მან დაადასტურა და მითხრა: რა ვქნა, მაშინ მათ საჭმელ-სასმელი ვერ მივაწოდეთ და ამიტომ ძარცვაზე გადავიდნენო. შევარდნაძე ხომ ცოცხალია, ჰკითხეთ და დაგიდასტურებთ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი, რომ თქვენ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ბრძან-დებოდით ეროვნული მოძრაობის. თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორ დაიწყო თქვენი მოღვაწეობა ამ სფეროში, როდის დაიწყო, რა პირობებ-ში, რამ გიბიძგათ და ვინ იმოქმედა თქვენზე. შეიძლება ვინმე პიროვნე-ბამ რაღაც ზეგავლენა მოახდინა ამ მხრივ და გიბიძგათ ეროვნული მოძრაობისკენ.

ვალტერ შურლაია: ჩვენ სახელწოდება ოფიციალური არაფერი არ გვქონდა. პროკლამაციებს ვაწერდით „საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია“. მე ვარ დაბადებული 44 წელს, ე. ი. მაშინ მე ვიყავი 14 წლისა. ეს ორგანიზაცია შეიქმნა ბუჭა სანაიას ინიციატივით. ბუჭა სანაია სწავლობდა, 1 კურსის სტუდენტი იყო. შეიქმნა როგორ... ვლაპარაკობდით თავიდან ისტორიაზე, რაც ჩე-მთვის ხელმისაწვდომი იყო. ცოტა რამ ვიცოდით, უფრო მეტი ნაწილი არ ვიცოდით. ტელევიზია არ იყო, არაფერი არ იყო და ბავშვებისთვის იყო წიგნი და სპორტი. მაგრამ ეს ლიტერატურა, რაც შეეხება საქა-

რთველოს დამოუკიდებლობას 18-21 წლების, გარშემო არაფრის მოპოვება არ შეიძლებოდა, არც ბიბლიოთეკაში და არსად. მერე „ამერიკის ხმას“ ვუსმენდით, იმასაც ახშობდნენ. ფაქტიურად, ჩემზე იმოქმედა, მე ვფიქრობ – ბუჭაზე განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ბუჭა სანაია გახლდათ ინიციატორი – ალექსანდრე ყაზბეგის ტიპის მწერლებმა, რომლებიც აქტიურად აშუქებდნენ ამ თემას, პიროვნების თავისუფლებას და ა. შ. 1960 წელს ჩვენ გავაკეთეთ დიდი აქცია, ერთდროულად გავარცელეთ პროკლამაციები საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ფოთში.

ნათელა ვაჩნაძე: მოჰყვა ამას რეპრესიები თუ არა?

ვალტერ შურლაია: მერე ამას მოჰყვა საოცარი... ინაურმა საოცარი ამბები გვიქნა, გეტყვით მაგასაც. მე და ჩემმა კლასელმა ალვერ იზორიამ ფოთში გავარცელეთ... კენჭისყრით ჩვენ გვერგო წილად ფოთში წასვლა. ძალიან საინტერესო მომენტი იყო... შევედით შიგ, ვნახეთ ფილმი წინასწარ, როდის მთავრდებოდა ეს ფილმი, დავიმახსოვრეთ, მეორეჯერ შევედით, იმიტომ, რომ შუქის ანთებასთან ერთად, სეანსეის შემდეგ უნდა გადაგვეყარა ეს ქაღალდები. ფოთში ცოტა ენაკვიმატი ხალხი ცხოვრობს, მეგრელების და გურულების ნარევი ქაღაქია... ბავშვები ვართ და, მე მგონია, რომ ამ პროკლამაციის გადაყრის შემდეგ ხალხი ამას წაიკითხავს და აქ იქნება რაღაც ყუმბარის აფეთქების დონის რაღაც სასწაული რეაქცია და ველოდებით ამას. დამთავრდა ეს ფილმი და – მოაჯირები ჰქონდა იმ დარბაზს – გადავყარეთ ეს პროკლამაციები ზემოდან დარბაზში, აინთო შუქი და სურათი იყო ასეთი, რომ ეს გაოცებული ხალხი უყურებს ამ ზემოდან მოფარფატე ქაღალდებს. კითხულობენ ამას, კითხულობენ ამ ქაღალდებს და ამან შეაყოვნა დარბაზიდან ამ ხალხის გასვლა. და ის რეაქცია, რომელსაც მე ველოდები, რომ ეხლა სასწაული ემოციის აფეთქება მოჰყვება ამას, არავითარი, ხალხი არის გაჩუმებული. ხოდა, ვიღაცამ მიაძახა: ე, ბიჭო, უორდანია. ამას მოჰყვა ხარხარი, სიცილი კი არა, ხარხარი. ვხედავ, რომ ჩემი მოლოდინი გაქარწყლდა და დამცინიან. და მახსოვს, რომ მე და ჩემს მეგობარს წამოგვივდა ცრემლები, ყველაფერი ჩაგვეყარა წყალში, ეს ხალხი დაგვცინის. და არ გასულა ათი წუთი... თითქმის არავინ არ არის გასული, აქ ერთმანეთში საუბრობენ, ატყდა იქ ყაყანი, მაგრამ ეს არის სიცილ-ხარხარი და ამ დონეზე, თორემ ერთი სერიოზული სახე მე იქ ვერ ვნახე, რომ ვიღაცაზე შთაბეჭდილება მოეხდინა საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებას. ათი წუთი არ გასულა, მაქსიმუმ ათი წუთი, რომ ამ კინოთეატრს ალყა შემოარტყა ჯარმა. ე. წ. მე-8 პოლკმა. ეს ყველა დიდ ქაღაქში იყო მე-8 პოლკი.

ნათელა ვაჩნაძე: შინაგან საქმეთა ჯარების ნაწილები.

ვალტერ შურლაია: დიახ, დიახ, ე. წ. მე-8 პოლკი. შემოცვივდნენ ესენი ხელჯოხებით, ფარებით და დაუწყეს ამ ხალხს ცემა, ცემა და ამ ქაღალდების წართმევა. არასდროს დამავიწყდება მათი გაოცებული სახეები.

მაშინ მოხვდა ეს ხალხი, შეიძლება, ცუდად ვლაპარაკობდე, მაგრამ რაც სიმართლეა, ის უნდა ვთქვა, რომ მხოლოდ მაშინ ამოვიკითხე ამ ხალხის გაოცებულ სახეებზე, რომ რაღაცა მოხდა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ეს იყო 1960 წელი და იყო ასეთი პერიოდი. ერთი წლის შემდეგ ჩვენს ორგანიზაციაში იყო სულ 18 კაცი და დაგვაპატიმრეს ექვსი კაცი. ამ ექვსი კაციდან ორი პირობითი საჯელით გამოვიდა და ოთხმა კაცმა მივიღეთ სასჯელი.

ნათელა ვაჩნაძე: მოიხადეთ ეს სასჯელი?

ვალტერ შურლაია: კი, კი. პატიმრობიდან გამოსვლის შემდეგ უკვე სხვა სიტუაცია იყო. მე გამოვედი ციხიდან, ვიყავი 18 წლის. გავედი ქალაქში, რომ ჩემს მეგობრებს მივესალმო, ჩავეხუტო. ჩემი კლასელები, ჩემი ნაცნობები აღარ მესალმებიან, გამირბიან. ჩემთან მოახლოებას ვერ ბედავდა ვერავინ, გამარჯობის თქმას. ეს იყო შიშის მომენტი და მერე და კიდევ ხმები, კგბ-ს ხმის გავრცელების ინსტიტუტი ძალიან მაღალ დონეზე. გაგვივრცელეს, რომ ჩვენ ვიყავით ამერიკის აგენტები და საზღვაო წყალში ვყრიდით საწამლავს. ასეთი სიტუაცია იყო მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ ერთმანეთს ქართული საზოგადოება 60-იანი წლების დასაწყისის და 80-იანი წლების დასასრულის ეროვნული მოძრაობისადმი დამოკიდებულების მიხედვით და ხალხის გამოფხიზლების მიხედვით?

ვალტერ შურლაია: ძალიან საინტერესოა. მე ასე გავცემ პასუხს ამ შეკითხვაზე. არსებობს გენი ადამიანში და ეს გენები ცხოვრობენ ათასეული წლის განმავლობაში, არ კვდება ეს გენი. ადამიანს გააჩნია შეძენელი თვისებები. როგორც ძველი ინდოელები ამბობენ, შეძენილი თავისებები და თანდაყოლილი თვისებები. სიყვარულის უნარი და ა. შ., ადამიანის შინაგანი წყობა – ეს არის თანდაყოლილი და შემდეგ, რასაც განათლება ჰქვია და რასაც წიგნიერება ჰქვია – ეს არის შეძენილი. და ხდება ისე, რომ ეს შეძენილი თვისება ამ თანდაყოლილს ახრჩობს, ახრჩობს და თრგუნავს. მაგრამ არ შეიძლება არ დადგეს ისეთი მომენტი, რომ არ იფეთქოს იმ თანდაყოლილმა თვისებამ და ეს ალყა არ გაანგრიოს და არ ამოვიდეს. აი, ამითი შემიძლია მე ეს მომენტი ავხსნა. ვერც მერაბ კოსტავა და ვერც ზვიად გამსახურდია ვერ გამოაღვიძებდა ქართველ ერს, მათში ეს მთვლემარე თავისუფლებისთვის მლტოვარე გენი რომ არ ყოფილიყო დაბუდებული. მაგრამ ზვიადის და მერაბის როლი იმაშია, რომ მათ შეძლეს ეს, ამ მთვლემარე გენის გამოღვიძება შეძლეს. ამაშია მათი სიდიადე, იმიტომ, რომ... რატომ? მე არც ზვიადს არ ვიცნობდი, არც არავის და მე და ჩემმა მეგობრებმა ეს გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენ ამ ნაჭუჭმილმა ვერ წავედით და დავრჩით იქ. ზვიადმა ეს შეძლო. აი ეს არის განსხვავება ჩემსა და ზვიადს შორის, რაც მე ვერ შევძელი, ის შეძლო ზვიადმა. ერთი მისტიკური მომენტი უნდა გითხრათ, მისტიკური ჩემი თვალსაზრისით, რომ წარმოშობით ეს ორი კოლხი ბიჭი თბილისში იბადება. არა სადღაც ზუგდიდში, სადაც მე დავიბადე, არ-

ამედ თბილისში. ამაში ვხედავ მე კიდევ საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს...

ნათელა ვაჩნაძე: კარგია.

ვალტერ შურლაია: ...ეს იყო ძალიან ძნელი გასაგები, მაგრამ მე ეს ასე მწამს, ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შემოხვედით იმ მოძრაობაში, რასაც ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მოძრაობა ჰქვია?

ვალტერ შურლაია: მე მერაბი და ზვიად გავიცანი... ჰო, იმ ფრაზას დავუ-
მატებ, გამოღვიძების თვალსაზრისით თქვენ რომ შეკითხვა მომეცით
შედარებისთვის, მაშინდელი საზოგადოება და უფრო გვიანდელი, ვთქ-
ვათ, 80-იანი წლების. 56 წელს, როდესაც სტალინის გამო იყო ძალიან
დიდი გამოსვლები, მიტინგები იმართებოდა, იცის ეს ხალხმა და თავს
არ მოგაწყენთ, იმართებოდა მიტინგები, ათასობით ხალხი იყო, რაღა-
ცა და... არსებობს იოსებ ნონეშვილის მოგონება, ძალიან მნიშვნელო-
ვანი. გამოდის ხალხი, მიკროფონები დგას, აქებენ სტალინს, რაღაცა
და რაღაცა... მაინც სტალინის დაცვაშიც ქართული გენი ბობოქრობ-
და. სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს
საქართველოში არ მოხდებოდა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მოხდა
ისეთი მომენტი, იოსებ ნონეშვილი იგონებს, რომ რაღაც წუთების მო-
მენტში ეს ორი მიკროფონი დარჩა ცარიელი. ხოდა, აი ამ ტრიბუნაზე
ამოხტა ორი პატარა ბიჭი, ორივე დადგა მიკროფონთან, გაუმარჯოს
თავისუფალ საქართველოსო, თქვეს ეს ფრაზა, ჩახტნენ მასაში და
გაითქვითნენ ამ მასაში...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ეს ორი ბიჭი, არ ასახელებს?

ვალტერ შურლაია: როგორ არა. ამბობს, რომ ერთი ვერ ვიცანიო, რომელიც
იყო მერაბ კოსტავა, მაგრამ მეორე ზვიად გამსახურდია. ე. ი. ამ ბობ-
ოქარ მიტინგზე, როცა სტალინზე და საბჭოეთზე მიდის ლაპარაკი,
ამოხტა ორი ბიჭი და გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო.

ნათელა ვაჩნაძე: კი, იმიტომ, რომ იმათ უკვე ჰქონდათ ორგანიზაცია, „ქარ-
თველთა ეროვნული თავისუფლების ორგანიზაცია (ქეთო)“.

ვალტერ შურლაია: აი ეს მუხტი ქართველ ადამიანში ყოველთვის იდო და
ბავშვობის ასაკიდან უკვე ზვიადი და მერაბი იწყებენ ამ მუხტის გაღ-
ვივებას. ნელ-ნელა, ნელ-ნელა მათ ამას მიაღწიეს, მიუხედავად იმი-
სა, რომ... თუ გახსოვთ, გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდებოდა, თითქოს
ზვიადმა საჩივარი შეიტანა, რომ მონამლულ ქათმებს მიყრიან ეზოშიო
და გიუი იყო და რაღაცა და რაღაცა და სინამდვილეში...

ნათელა ვაჩნაძე: კატებს ახრჩობდაო, მე ვიცი ასეთი რამე. ეს გასაგებია ყვე-
ლაფერი, ჩვენ პატარა ბავშვები არა ვართ, ვიცით, რატომ იქმნებოდა
ეს ყველაფერი.

ვალტერ შურლაია: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, ზვიადმა და მერ-
აბმა პირველად საქართველოში ერთ-ერთი მიტინგზე გამოიტანეს ქა-

ქუცა ჩოლოყაშვილის სურათი. ეს არის მათი გაკეთებული, ზვიადის და მერაბის გაკეთებული და მაშინ... ეხლა მე მეცნიერულ წრეზე არაფერს არ ვიტყვი, მაგრამ ხალხმა, მასამ ამ კაცის არც სახელი იცოდა, არც გვარი იცოდა, ვინ იყო, არ იცოდა საერთოდ. მე ვარ მოწმე ამისა, იმიტომ, რომ ვინ არის, ვინ არის, ვინ არის ეს კაცი – ყველა ლაპარაკობდა. ზვიადმა და მერაბმა აღადგინეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი ქართველი ერის თვალში. ესეც ხალხის გამოლვიძების მომენტი იყო და იმავე საღამოს თბილისის ტელევიზია პირველი არხით აჩვენებს მსვლელობას, აჩვენებს ქაქუცას სურათს და დიქტორი ამბობს, რა თქმა უნდა, დავალებით: აი, როგორი ყაჩალის სურათები გამოქვს გამსახურდიას და კოსტავას.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, ასე იყო შერაცხული, ყაჩალად იყო შერაცხული საბჭოთა პრესის მიერ. გაზეთები რუსულენოვანი, ქართულენოვანი, რესპუბლიკური გაზეთები სავსეა ინფორმაციით – ყაჩალი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ეროვნული გმირი, ხომ არ იტყოდნენ.

ვალტერ შურლაია: მე ზვიადი გავიცანი, თუ მესიერება არ მღალატობს, 88 წელს მიტინგზე. ეს მიტინგი იყო მაშინდელი 26 კომისრების მეტროს წინ. დიდი რაოდენობა იყო ხალხის. ხოდა, მაშინ ვუთხარი მე ზვიადს, რომ... ინფორმაციული მიტინგი იყო, მარტო ზვიადი და მერაბი გამოდიოდა. ისინი აპირებდნენ, მსვლელობა უნდა გაეკეთებინათ საავიაციო ქარხნის მიმართულებით. იყო ხანმოკლე შესვენებასავით. ხოდა, მაშინ მე ძლივს გავარღვიე ეს ხალხი და ზვიადს ვუთხარი, მე ყოფილი პოლიტპატიმარი ვარ და მომეცით სიტყვა-მეთქი. დაუფიქრებლად მომცა სიტყვა და ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ხალხში. საინტერესოც არის, ადრე რატომ არ შევხვდი ზვიადს და ადრე რატომ არ გავიცანი. მე და ჩემს მეგობრებს... სხვათა შორის, ზუგდიდში მეორე ორგანიზაციაც იყო საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, ზაურ ქობალიას და მისი მეგობრების ორგანიზაცია.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი წლებია ეს?

ვალტერ შურლაია: ეს არის 63-68 წელი.

ნათელა ვაჩნაძე: უფრო გვიან, ვიდრე თქვენ, თქვენ უკვე გამოსულიხართ.

ვალტერ შურლაია: მე უკვე გამოსული ვარ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენი ორგანიზაცია უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე იმათი?

ვალტერ შურლაია: ვიდრე იმათი.

ნათელა ვაჩნაძე: აი, ბატონო, ეროვნული მოძრაობის ისტორია საქართველოში.

ვალტერ შურლაია: მნიშვნელოვანია ალბათ, რომ ერთ პატარა ქალაქში იყო ორი ორგანიზაცია. ჩვენ, იყო ასეთი მცდელობა, ვიფიქრეთ, რომ მივიდეთ და გავიცნოთ ზვიად გამსახურდია. ყოველთვის ვიკავებდით თავს. ყოველთვის ვიკავებდით თავს იმიტომ, რომ კაცმა, რომელმაც

ამდენი გაჭირვება გამოიარა, ამდენი ნახა, მას რომ რამე ეჭვის თვალით შემოეხედა ჩვენთვის, უკმაყოფილო დავრჩებოდით ჩვენც და ურთიერთობაც არ აეწყობოდა და გადავიდოდა ცუდ დამოკიდებულებაში. ვუფრთხილდებოდით ამ დამოკიდებულებას და ჩვენ ზვიადთან მივეძით, როგორც პატარა მდინარე ჩაედინება დიდ მდინარეში, მივეძით მაშინ, როცა აღზევებული იყო, იწყებდა აღზევებას ეროვნული მოძრაობა. მას შემდეგ მე ფაქტიურად დასავლეთ საქართველოში ვმუშაობდი ზვიადის დავალებით. წავედი სამეგრელოში და იქ ვაგრძელებდი ჩემს მეგობრებთან ერთად ჯგუფის ჩამოყალიბებას და ა. შ. ძალიან აქტიური იყო სამეგრელო, ძალიან აქტიური, სოხუმი იყო ძალიან აქტიური და მე, სამნუხაროდ, უნდა ვთქვა, სიმართლეს არაფერი არ ჯობია, რომ ძალიან პასიური იყო გალი. ერთხელ საოცარი რაღაცა ვნახე. უამრავი ხალხია, გამოვიდა ზვიადი. ზვიადს, მოგეხსენებათ, კარგი გამოსვლები ჰქონდა. უკრავენ ტაშს, გრიალი ტაშის და ხელებს ვერ ვხედავ. დავიბენი. ვუყურე, ვუყურე, ვუყურე, ხელები აწეული არ არის ზევით, ქვევით აქვთ ხელები დანეული მიშის გამო და ტაშს უკრავენ, ტაშის ხმა ისმის და ხელები არ ჩანს. ძალიან მდიდარი ხალხი ცხოვრობდა გალში. მერე და მერე ეს, რა თქმა უნდა, გამოსწორეს. შემდეგ იყო არჩევნები.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი არჩევნები?

ვალტერ შურლაია: 90 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. მანამდე მარტის არჩევნები ჩავშალეთ. სხვათა შორის, მე რომ ზვიადი გავიცანი, ჩემი მეგობრების დავალებით ზვიადთან ოფიციალური ვიზიტით მივეძით მე და კუკური სორდია, ჩვენი ორგანიზაციის წევრი. ხოდა, მე და კუკურიმ ზვიადს ვუთხარით ერთი რაღაცა – მარტის არჩევნები არ იყო. ვუთხარით, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ...

ნათელა ვაჩნაძე: მარტში რისი არჩევნები უნდა ყოფილიყო?

ვალტერ შურლაია: უმაღლესი საბჭოს. ...და ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ არჩევნებზე, მონაწილეობა უნდა მივიღოთ კომუნისტურ არჩევნებში, სხვა გზა არ იყო. მარტის არჩევნები ჩავშალეთ. მერე იყო ასი, ორასათასიანი მიტინგები და გარედან ზენოლით მაშინდელმა უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. ეს იყო ზვიადის და მერაბის დამსახურება, მათი ორგანიზებული იყო ეს საოცარი მიტინგი. გამოსავალი არ ჰქონდა...

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეს მიტინგი?

ვალტერ შურლაია: ეს იყო უზენაესი საბჭოს წინ. ამ მრავალპარტიულ არჩევნებში გადაწყვიტა ზვიადმა მონაწილეობის მიღება.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია აზრი ორად იყო გაყოფილი – მივიღოთ მონაწილეობა მრავალპარტიულ არჩევნებში და არ მივიღოთ იმიტომ, რომ იქ კომუნისტები არიან.

ვალტერ შურლაია: დიახ. ფორუმი შედგა სპეციალურად...

ნათელა ვაჩნაძე: ფორუმზეც გვითხარით რამე, თუ შეიძლება, რადგან წამოგცდათ სიტყვა „ფორუმი“. საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება ფორუმის მიმართ და საერთოდ რა გახსოვთ ამის შესახებ? როგორ შეიქმნა? რა მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა?

ვალტერ შურლაია: როდესაც ფორუმი იქნებოდა, მე ვიყავი რიგითი დელეგატი ზუგდიდიდან. მე მაშინ ცნობილი პიროვნება არ ვიყავი. ირაკლი წერეთელმა თავისი პოზიცია დააფიქსირა. დიახ, ასეთი დამოკიდებულება ჰქოდათ, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ.

ნათელა ვაჩნაძე: აბა რა უნდა გვექნა, როგორ უნდა გასულიყო ეროვნული მოძრაობა? რა გზა ესახებოდათ?

ვალტერ შურლაია: ისინი უნდა ყოფილიყვნენ მუდმივად ოპოზიციაში. მათ იმედი ჰქონდათ რუსეთის, რომელსაც ამერიკა ენინააღმდეგებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ენინააღმდეგებოდა?

ვალტერ შურლაია: აუცილებლად, რა თქმა უნდა. ამერიკას რუსეთის დაშლა არ უნდოდა, ამერიკას უნდოდა რეუიმის დამარცხება. და როცა დამარცხდა საბჭოთა რეჟიმი, არსებობს დოკუმენტები, რომ უკრაინაში ჩავიდნენ ამერიკელები და უკრაინელებს მოუწოდეს, რომ აეღოთ ხელი ბრძოლაზე დამოუკიდებლობისთვის. რატომ? იმიტომ, რომ ეს ჯუჯა სახელმწიფოების აღმოცენება ამერიკას არ აწყობდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეშინოდა?

ვალტერ შურლაია: ეშინოდა, რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: არეულობას მოიტანდა ეს მსოფლიოში?

ვალტერ შურლაია: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მერე უნდა ყოფილიყო თავიდან სფეროების გადანაწილება, გავლენის ქვეშ უნდა მოექცია ეს პატარა ქვეყნები ამერიკას და ე. ი. უსიერი ტყე იყო, ბუნდოვანი იყო და ისინი, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ და მიაღწიეს კიდევაც ჩვენთან ერთად, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად კომუნისტური წყობილების დამარცხებას, მაგრამ დაშლა, როგორც ასეთი, მე ღრმად მწამს, რომ მათ არ უნდოდათ. ამას ვყვები, რა იყო იქითა მხარეს და აქეთა მხარეს.

ნათელა ვაჩნაძე: სამაგიეროდ სამეგრელოს ეროვნულ მოძრაობაზე თქვენზე კარგად ვერავინ ვერ მეტყვის. რა იცის ირაკლი წერეთელმა, იქ რა იყო.

ვალტერ შურლაია: რაც არ უნდა იყოს, იტყვის უარყოფითს, მაგრამ იყოს ეს უარყოფითი, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია რომ თქვას და მერე ჩვენგან...

ნათელა ვაჩნაძე: ფორუმზე იტყვის უარყოფითს?

ვალტერ შურლაია: ფორუმზე იტყვის, რომ შეცდომა დაუშვა ზვიად გამსახურდიამ, რომ დატოვა ფორუმი და წავიდა.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ დატოვებამდე, შექმნაზეა ლაპარაკი, მის მიზნებზეა ლაპარაკი. რა იმუშავა, რა გააკეთა ფორუმმა, ეგ არის მთავარი.

ვალტერ შურლაია: საინტერესო ის იყო, რომ პარალელური არჩევნები გააკეთა 1990 წელს. საინტერესო მომენტია, რაც მე სამეგრელოში ჩემი თვალით მინახავს, მათ ყუთი დაჰქონდათ ქალაქში და ამბობდნენ, რომ ეს არის... ვინც ხმას მისცემს ფორუმს, აძლევს ხმას ზვიად გამსახურდიას. სამწუხაროდ, მე სახელი და გვარი არ მახსოვს...

ნათელა ვაჩნაძე: ვის დაჰქონდა ეს ყუთი?

ვალტერ შურლაია: ფორუმის ხალხს.

ნათელა ვაჩნაძე: თბილისიდან იყვნენ ჩასულები, თუ ფორუმს თავისი ხალხი ჰყავდა?

ვალტერ შურლაია: არა, არა, თავისი ხალხი როგორ არ ჰყავდა. ედპ-ს ჰყავდა ძლიერი ორგანიზაცია, „დამოუკიდებლობის პარტიაც“ იყო. ერთი ჩოხიანი კაცი დადიოდა ქალაქში და საპეურით გაჩეხა ეს ყუთი. ზვიადი ამას არ იკადრებსო, რომ ხელდახელ ატაროს, სად ფორუმიო და სად არჩევნებიო. არ მისცა ხმა ხალხმა და ჩაიშალა, თვითონაც აღიარეს.

ნათელა ვაჩნაძე: ნეტავ, ეს კაცი ვინ იყო?

ვალტერ შურლაია: დავადგენ მაგას.

ნათელა ვაჩნაძე: ზუგდიდში ხდება მოქმედება?

ვალტერ შურლაია: ხო, ზუგდიდში. რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობით მოვიგეთ. მერე იყო ლაპარაკი და ეხლაც ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგე ამბობს, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადააბარა საქართველოს ხელისუფლება ეროვნულ მოძრაობას. ხალხის ნებას ვერ დაუდგა წინ ვერაფერი. ეს არ იყო 60-იანი წლების ხალხი, ეს იყო სულ სხვა ხალხი, აფეთქებული ხალხი. მე მახსენდება, ავადმყოფი ქალი იყო, მოხუცი ქალი და ხოდა, დააგვიანდათ მასთან ყუთის მიტანა სახლში. ერთი ამბავი ატეხა, რახან მე მომაკვდავი ვარ, მე ჯერ ცოცხალი ვარო და მაქვს მაგის უფლებაო. აი ამ დონეზე იყო. ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ... „აღტყინება“ ამ შემთხვევაში ცუდი სიტყვაა, მაგრამ ხალხის სულიერ მდგომარეობას მართლა გამოხატავდა.

ნათელა ვაჩნაძე: აღტყინება რატომაა ცუდი სიტყვა?

ვალტერ შურლაია: ამ შემთხვევაში. იმიტომ, რომ როცა ემოცია ჭარბობს, ზოგ შემთხვევაში შეიძლება ცუდი იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში იყო ხალხის წარმმართველი ძალა, იმიტომ, რომ ჯერ არის გული და მერეა გონება. გულის კარნახით მოქმედებდა ეს ხალხი. მანამდე, აფხაზეთის მოვლენები რომ დაიწყო 9 აპრილის შემდეგ, ეს იყო 14-15 ივლისი... აქვე უნდა ითქვას, რომ მერაბ კოსტავას ისეთი სახელი ჰქონდა, რომ... მე მახსოვს ერთი ასეთი მომენტი, მთელი აღმოსავლეთი საქართველო გროვდებოდა ზუგდიდში. ენერა ხაშური, თბილისი, ზესტაფონი, ქუთაისი... ეს უიარაღო ხალხი გადადიოდა აფხაზეთში რიცხობრივი უპირატესობის შესაქმნელად და დასამტკიცებლად, რომ აქ ასეთი არეულობას აფხაზებისგან არ დაუშვებს საქართველო, ეს საქართველოა და საქართველო იბრძვის თავისუფლებისთვის. მაგრამ იქ რუსე-

ბი და აფხაზები... აფხაზებს იარაღი ჰქონდათ, ჩვენ იარაღი არ გვქონდა არავითარი, ჩვენს მოსახლეობას სანადირო თოფებიც ჩამოართვეს, ძალიან მნიშვნელოვანია და აფხაზებისთვის კი ავტომატებს ყიდულობდნენ ამ დროს. ცნობილი ამბავია. ღალიძეგასთან მოგროვებულია დაახლოებით 200 ათასი კაცი, უნდა გადალახონ მდინარე, უნდა შევიდნენ და ამ დროს გამოჩნდა მერაბ კოსტავა. და მერაბმა იცის, რომ ამათი გადასვლა და იქიდან ტყვიების დაშენა ერთია. მერაბმა გაარღვია ეს ხალხი და თავისი მგრვინავი ხმით შეჰდალადა ამ ხალხს, რომ აფხაზებში, სოხუმში შეხვალთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემს ცხედარს გადაუვლით. ვერავინ ვერ გაბედა, გადაევლო მერაბისთვის. მერაბ კოსტავა რომ არა, იქ ჩაიცხოვილებოდა ხალხი, ეს იყო გარანტირებული. ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა მერაბის ერთ სიტყვას. არჩევნების მოგების შემდეგ, ეს ე. წ. ოპოზიცია, ასე უნდა ვთქვა, რომ ეს არ იყო ნამდვილი ოპოზიცია. ოპოზიციამ უნდა ნახოს შენი შეცდომა და მიგითითოს ამ შეცდომაზე. ისინი შეცდომას გულმოდგინედ ჯიბეში ინახავდნენ, რომ მოხერხებულ დროს დაერტყათ. ისინი იყვნენ გაჩუმებული და სიტუაციის მომწიფებას ელოდებოდნენ. და ეს სიტუაცია არ მომწიფდა, ვამბობ, როცა ჩვენ ხელისუფლებაში ვართ. არ მომწიფდა სიტუაცია და ამიტომ მათ ხელოვნური ბიძგი გააკეთეს ამ სიტუაციის მომწიფებისთვის. ეს გახლდათ 2 სექტემბერი. დღეს სარიშვილიც და სხვებიც... დღეს კი არა, უკვე აღიარებული აქვთ მათ, რომ ეს იყო მათ მიერ გაკეთებული პროვოკაცია.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეს ნათქვამი, რომ ეს პროვოკაცია იყო? ისინი ამბობენ, რომ პროვოკაცია იყო?

ვალტერ შურდაია: კი, სარიშვილმა თქვა.

ნათელა ვაჩნაძე: სადა?

ვალტერ შურდაია: მე წყარო ეხლა არ მახსოვს, მაგრამ ეს დანამდვილებით დაფიქსირებულია. საქმე იმაშია, რომ 2 სექტემბრის ამბავში ჩათრეული იყო ჩვენი ხელისუფლების ხალხიც, ხალხი, რომელიც ჩვენთან მუშაობდა. რამდენად ერთგული იყო, ეს სხვა საკითხია. კინოს სახლთან გავარდა ტყვია, მიტინგი იქნა დარბეული და დაიწყო ეს...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ესწრებოდით?

ვალტერ შურდაია: არა, ამ მიტინგს მე არ ვესწრებოდი, მაგრამ მე მეორე დღესვე სესიაზე გამოვედი, ზვიადი ესწრებოდა სესიას და მივმართე სესიის წამყვანს, რომ შეიქმნას კომისია, გამოძიებულ იქნას მოვლენა, 2 სექტემბრის მოვლენა. მიუხედავად იმისა, ჩვენგან მოდის, თუ ოპოზიციისგან მოდის, ეს გაირკვევა, შეფასდეს, როგორც??? ზვიადი მაშინათვე დამეთანხმა და თქვა, რომ მე ვთხოვო ეხლა შესვენებაზე ბატონ კაკო ასათიანს და ზაურ ქობალიას, რომ 2 სექტემბრის მოვლენა შეფასდეს.

ნათელა ვაჩნაძე: კომისია იქნებოდა სამი კაცის შემადგენლობით?

ვალტერ შურდაია: არა, ტექსტი უნდა შეგვეძგინა ჩვენ.

ნათელა ვაჩნაძე: ფორმულირება მიგეცათ თვითონ ფაქტისთვის. კომისია რაღაც შეისწავლიდა?

ვალტერ შურდაია: კომისია შეისწავლიდა როგორ და რანაირად მოხდა მოვლენა და ვისგან მოდიოდა. და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას დაბრალდებოდა ეს თუ ოპოზიციას, ფაქტი შეფასებულიყო როგორც ღალატი სამშობლოს წინაშე. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ღალატი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონი ვალტერ, უშვებთ ასეთ რაიმეს, რომ ეს გასროლა ხელისუფლების მხრიდან ყოფილიყო, ოღონდ კონკრეტულად რომელი პირის ბრძანებით, ეს მე არ ვიცი. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ხელისუფლებაშიც ყოფილიყო ისეთი ადამიანი, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამდა.

ვალტერ შურდაია: როგორ არა. ჩვენ თუ მოვისურვებთ... მე გაზეთში უნდა მქონოდა, მქონოდა კი არა და აუცილებლად მექნებოდა, თუ გავაგრძელებდი ამ რუბრიკას... 1 სექტემბრამდე და მე ვაპირებდი მის... გამოძიება არ უნდა ამას. უნდა იპოვო მაშინდელი თბილისის პოლიციის უფროსი და ის იტყვის ყველაფერს.

ნათელა ვაჩნაძე: შინაგან საქმეთა მინისტრი არაფერ შუაში არ იქნება?

ვალტერ შურდაია: შინაგან საქმეთა მინისტრის გარეშე ვერაფერს ვერ გააკეთებდა თბილისის პოლიციის უფროსი. ხოდა, იქამდე მივდივარ. ეხლა ეს სამი პიროვნება, ბატონი აკაკი ასათიანი, მე და ზაურ ქობალია შევდივართ ოთახში და შემოვარდა ხაბულიანი, მე ვამბობ, შემოვარდა.

ნათელა ვაჩნაძე: შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი დილარ ხაბულიანი, რომელიც მერე „დაბრმავდა“.

ნინო თომაძე: დაბრმავდა?

ვალტერ შურდაია: ირონიით ამბობს, ქალბატონი ნათელა. ვითომ ვიღაცამ რაღაცა შეასხა თვალში და...

ნათელა ვაჩნაძე: და მწყობრიდან გამოიყვანა, იმიტომ, რომ ესე აწყობდა.

ვალტერ შურდაია: სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით, ფინეთში არის ეს დეპუტატი, იმას აქვს მოგონება...

ნათელა ვაჩნაძე: გვარს ხომ ვერ მეტყვით?

ვალტერ შურდაია: არა. ხოდა, შემოვარდა ეს ხაბულიანი. შემოვარდა ხაბულიანი და აღშფოთებით მეუბნება: ვინ ხარ შენ, შენ აკეთებ ამას? მე ვუთხარი – თქვენობით ილაპარაკე-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: ხაბულიანი რატომ ესწრებოდა ამას? ხაბულიანი ხომ არ იყო დეპუტატი, იყო მთავრობის წევრი, რა უნდოდა იქ?

ვალტერ შურდაია: ხაბულიანი მთავრობის წევრი იყო, მაგრამ მთავრობის წევრს დასწრების საშუალება ჰქონდა. შეიძლება შესული იყო შენობაში...

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება იცოდა, რომ 2 სექტემბრის ფაქტი განიხილებოდა.

ვალტერ შურდაია: ყოველ შემთხვევაში, სიტუაციას აკონტროლებდა, ცხა-დია. იმიტომ, რომ ჩვენ შევედით თუ არა ამ დოკუმენტის დასაწერად, პროექტის დასაწერად და მაშინათვე შემოვარდა. მოიწევს ჩემსკენ, რომ დამარტყას. ეხლა ხაბულიანს ფიზიკურად მე ვერ გავუძლებდი...

ნათელა ვაჩნაძე: დიდი სპორტსმენია.

ვალტერ შურდაია: ხო, ძიუდოში ევროპის ჩემპიონი იყო. ხოდა, მართალი ვი-ყავი და არ დავუთმე. მე ხელი წავიღე იარაღისკენ და ზაურ ქობალიამ დამასწრო და მუცელზე მიადო პოსტოლეტი. და ეუბნება, რომ გაგა-ციებ ეხლავე ადგილზეო. ასე გავაჩერეთ ეს ხაბულიანი და ეს დოკუ-მენტი შედგა და შეფასდა ეს მოვლენა, როგორც დალატი.

ნათელა ვაჩნაძე: იყო სადმე ეს პრესაში ასეთი ფორმულირებით?

ვალტერ შურდაია: პრესაში, ტელევიზიაში, ღია ეთერში. ეს მომენტები... მე არ ვლაპარაკობ სუბიექტური მიზნით, ეს უნდა ილაპარაკოს იმ კაცმა, დამავიწყდა მისი გვარი, პოლიციის უფროსი რომ იყო...

ნათელა ვაჩნაძე: რომანი?

ვალტერ შურდაია: არა, არა, რომანი არ იყო მაშინ. ის მაშინ გადააყენეს...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო პოლიციის უფროსი?

ვალტერ შურდაია: ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა კაცი... ერთი წამით... მიქაბერიძე. მიქაბერიძემ, წესით, უნდა თქვას, იმიტომ, რომ მას ეკის-რება...

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ მას ბრალდება და ჩვენ რა უფლება გვაქვს ადამი-ანს რაიმე დავაბრალოთ, თუ ჩვენ არა გვაქვს დოკუმენტი. მე მინდა თქვენი პოზიცია, მე მინდა თქვენი თვალსაზრისი, მე მინდა თქვენი ფორმულირებები, თქვენ მიერ გახსენებული, თქვენი თვალით დანახ-ული პუტჩი და ასე შევავსებ ცოტ-ცოტა, მარცვალ-მარცვალ, ყველ-ას ლაპარაკიდან ამოვიღებ ცოტ-ცოტას და რაღაცა საერთო სურათი შეიქმნება. თუ პატარ-პატარა სეგმენტები არ ამოვიღე ყველას მონა-თხრობიდან, ერთიანი სურათი როგორ უნდა გავაკეთო?

ვალტერ შურდაია: მე მაქვს ჩემეული შეფასება, ჩემეული ფორმულირება ამ მოვლენების შესახებ. ვერ ერთი მტერი, ვერავითარი მტერი ვერ-აფერს ვერ დააკლებს თუნდაც პატარა სახელმწიფოს, თუ მან ამ ერში დასაყრდენი ვერ იპოვა. ცნობილია ესპანური ვარიანტი. ასე მოხდა საქართველოში, მათ იპოვეს დასაყრდენი... თავიანთი რევანშისტუ-ლი ქმედებებისათვის დასაყრდენი ნახეს კრიმინალურ სამყაროში... შემსრულებელი მთლიანად იყო კრიმინალური. დასაყრდენი იყო ესა. ეს იყო, რა თქმა უნდა, აქ იდეური... ე. წ. „წითელი ინტელიგენცია“, მა-გრამ მასა, შემსრულებელთა მასა იყო სრულიად კრიმინული სამყარო. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ პუტჩის პირველსავე დღეებში გახსნეს ციხის კარები... (პაუზა).

ნათელა ვაჩნაძე: 27-ში არა?

ვალტერ შურლაია: დიახ. ... და რამდენიმე ათასს ჯაპა იოსელიანმა მისცა სამხედრო ტანსაცმელი. მე მყავს ეს ხალხი ნანახი, სულ მქონდა შეხვედრა მათთან, ეს იყო მერე, როცა დაუმორჩილებლობა იყო გამოცხა-დებული და მათი ნამოქმედარია, მერე რაც მოხდა სრულიად საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში.

ნათელა ვაჩნაძე: სამეგრელოს ამბები თქვენ გახსოვთ კარგად?

ვალტერ შურლაია: კი, როგორ არა, მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: უფრო მეტად, მოდით, პუტჩის შედეგებზე. სამეგრელო უნდა განვიხილოთ, როგორც პუტჩის შედეგი.

ვალტერ შურლაია: კი, რა თქმა უნდა. ყველაფერი დაიწყო გვარდიის ნაწილის, რაღაც ნანილის განდგომით. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები იძახიან, რომ „მრგვალ მაგიდაში“ დაერივნენ ერთმანეთს. პრინციპულად არასწორი შეფასებაა. ჯერ ერთი, მოღალატე, თავისი ერის მოწინააღმდეგე გინდ მრგვალ მაგიდაში იყოს და გინდ მრგვალი მაგიდის გარეთ, ეს აბსოლუტურად სულ ერთია. მთავარი ის არის, რომ მათ ერში იპოვეს დასაყრდენი და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამშობლოს უღალატეს.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, ის ოპოზიცია, რომელმაც ზვიად გამსახურდია ჩამოაგდო, კომუნისტური რეჟიმის მიერ იყო მართული თუ უცხოური ძალების მიერ, ვთქვათ, ამერიკის მიერ? ამ ხალხს ხომ უნდა ჰქონოდა მიზეზი ამ მთავრობის დამხობის.

ვალტერ შურლაია: ამას აუცილებლად შევეხები, ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ამთავითვე გეტყვით, რომ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დაამხეს რუსებმა. როდესაც საქართველო განთავისუფლდა, ამერიკამ მაშინათვე მოინდომა, მოექცია საქართველო თავის... ზვიადს, პირიქით, იმედი ჰქონდა ძალიან დიდი ამერიკის და საერთოდ დასავლური მიმართულების პიროვნება გახლდათ. მაგრამ აქ ხაზგას-მით უნდა აღინიშნოს, რომ ის არავითარ შემთხვევაში ახალ ბატონს არ ეძიებდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთიდან იმიტომ განთავისუფლდე, რომ ამერიკას დაემონო, ეს არ იყო ის ხაზი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი უნდა გაჰყოლოდა. უნდოდა ამერიკა-ევროპა, მფარველობა ამერიკისა, მაგრამ არა მონობის ხარჯზე. აი ის ცნობილი ფრაზა... როდესაც ზვიადმა ნახა, რომ ისე არ მიდის საქმე, როგორც უნდა მიდიოდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ის ეურჩა ამერიკას და აქედან მოდის ფრაზა ბუშისა...

ნათელა ვაჩნაძე: „ძირს ბუში!“ რომ თქვა ხალხმა, ხალხმა კი არა, საზოგადოების რაღაცა ნაწილმა, ასეთი პლაკატი გამოიტანა. შეიძლება, პრეზიდენტი არც იყო ამ საქმეში გარეული და საერთოდ ყველა პლაკატი და ყველა ტრასფარანტი არ იყო დაკავშირებული პრეზიდენტთან. მე სახლში დავწერდი, რასაც მინდოდა და გავიტანდი და დავიჭრდი...

ვალტერ შურლაია: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: რასაც მინდოდა, იმას დავიჭერდი და მერე ამ ჩემს დაჭერილს გადაიღებდა და მთელი მსოფლიო უჩვენებდა – აი, ბატონო, საქართველოში რას ამბობენ, „ძირს ბუში!“, „ძირს ბუში!“ და ბუში მაგას გაპატიქს?!

ვალტერ შურლაია: ის ფრაზა, გამსახურდია „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“ და „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“...

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეგ დაბეჭდილი?

ვალტერ შურლაია: ეს იყო... გეტყვით, წყაროსაც გეტყვით. ეს იყო დაბეჭდილი... მე არ მახსოვს, ოფიციალურ გაზეთში იყო თუ არა ეს დაბეჭდილი, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ოპოზიციურ გაზეთებში დაბეჭდილი იყო. მე მგონი, ჩვენს პრესაშიც იყო, აქ დასამალავი არაფერი არ იყო. და ამ დროს გოგი გაჩერილაძე იმყოფება ამერიკაში – გოგის მაგივრად მე ვერ ვიღაპარაკებ, თქვენ აუცილებლად უნდა ესაუბროთ – გოგის ტელეფონში ეუბნება ზვიადი, ტელეფონში ეუბნება, რომ უთხარი იმათ, რომ დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო. როგორ იყო, ეს არის ძალიან საინტერესო, ეს გოგიმ უნდა გიამბოთ. ფაქტი ის არის, რომ აქედან დაიწყო ყველაფერი, აქედან დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს რა პერიოდია? გოგი უცხოეთში საერთოდ თავის სიცოცხლეში არ ყოფილა და სულ პირველად წავიდა ამერიკაში, უცბად ამერიკაში.

ვალტერ შურლაია: პრეზიდენტის მრჩეველი იყო, ჯერ ეროვნული მოძრაობის დროს წავიდა, როდესაც გასვლა შეიძლებოდა, მერე წავიდა უკვე ზვიადის დროს და მაშინ ჰქონდა კონგრესმენებთან შეხვედრები, ძალიან საინტერესო, ეს გოგიმ უნდა იღაპარაკოს ამ საკითხების შესახებ.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო, მაგრამ საინტერესოა, როდის ჩნდება ლოზუნგი „ძირს ბუში!“?

ვალტერ შურლაია: გოგი არის აუცილებელი. აი ამ ფრაზით ბუშმა ხელი გაუთბო რუსეთს და საჯიჯგნად მისცა ეს საქართველო და დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმეა.

ნათელა ვაჩნაძე: განმიმარტეთ ეგ ადგილი, თუ შეიძლება.

ვალტერ შურლაია: როდესაც ბუშმა თქვა, რომ გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის, მაშინ გადაიბანა ამერიკამ ხელები და მაშინ დაუთმო რუსეთს საჯიჯგნად საქართველო. გარდა ამისა, არსებობს არგუმენტირებული ფაქტი ესეთი. ე. ი. საბჭოთა კავშირის დაშლის მომეტი, ეს არის ალმა-ატაში შეხვედრა...

ნათელა ვაჩნაძე: 30 დეკემბერი.

ვალტერ შურლაია: დიახ. ...დამკვირვებლის სტატუსი გურამ აბსანდეს და მე მომიწია. მაშინ დაიშალა ეს საბჭოთა კავშირი და რუსებმა დააყენეს

წინადადება, რომ შექმნილიყო რაღაცა სხვა, საბჭოთა კავშირის მაგ-ვარი ყბადაღებული სნგ. როდესაც ქართველებს გორბაჩოვი უბნება, რომ თუ თქვენ ხვალ დილამდე არ მოიფიქრებთ და არ განაცხადებთ თანხმობას სნგ-ში შესვლაზე... თბილისში – არის 21 დეკემბერი – როდე-საც კატეგორიული უარი თქვეს, 22 დეკემბერს იწყება პუტჩი. ჩვენები რომ შესულიყვნენ სნგ-ში მაშინ, გადატრიალება არ მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: იზიარებს თქვენს თვალსაზრისს ვინმე?

ვალტერ შურლაია: ჰკითხეთ აგერ ნემოს, ჰკითხეთ გურამს. ფაქტი ის არის, რომ გორბაჩოვი ეუბნება...

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, სად უნდა ვნახო?

ვალტერ შურლაია: დატოვა საქართველო, ბელორუსიაშია. ...შენ გეუბნები-ან, რომ ხვალ დილით 8 საათზე დაგეწყებათ პრობლემა, დიდი პრობ-ლემა, დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემა და მეორე დღეს დილით იწყება პუტჩი. და ამის შემდეგ ის სასაცილო არგუმენტი, რომ ვინ გაისროლა პირველი ტყვია, ეს არის სასაცილო. ჯერ ერთი, ჩვენი მხ-რიდან მართლა არ ყოფილა გასროლა და რომც ყოფილიყო, ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა არავითარი, იმიტომ, რომ აქ ყუმბარისებური დოკუმენტი დევს. წინასწარ რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ თუ ჩვენ არ შევალთ სნგ-ში, პუტჩი დაიწყება საქართველოში, პირდა-პირ გეუბნებიან და ეს აღსრულდა კიდევაც.

ნინო თომაძე: ზვიადის ოპონენტები ამბობენ, რომ ზვიადის მომხრეებმა გაისროლეს.

ვალტერ შურლაია: კი, ვიცი, ესე ამბობენ.

ნინო თომაძე: მნიშვნელობა არ ჰქონდა ალბათ, მაგრამ მაინც გვაინტერ-ესებს ჩვენ, იმიტომ, რომ აქვს ამას ჩვენთვის მნიშვნელობა.

ვალტერ შურლაია: მე რისი თქმა შემიძლია, იცით? პირველი სროლები რომ ატყდა, დამირეკეს სახლში და ჩემმა ცოლმა არ გამიშვა, ხოდა მე და ჩემი ცოლი ტყვიების წვიმაში მივედით შენობასთან უკანა მხრიდან და იქ ფანჯარაზე გადავძვერი მე და ისე შევედი უზენაეს საბჭოში. იმ მო-მენტში მე იქ არ ვიყავი.

ნინო თომაძე: ე. ი. თქვენ არ გახსოვთ ვინ გაისროლა.

ვალტერ შურლაია: არა, მასე არ ვამბობ. იმ მომენტში არ ვიყავი და ერთის მხრივ, მე არ შემეძლო ეს დამენახა, ვინ გაისროლა პირველი ტყვია, მაგრამ მეორეს მხრივ, მე იქ ისეთი ახლობლები მყავდა და ისეთი წრე მყავდა, რომ ჩვენ მხრიდან რომ ყოფილიყო გასროლილი, მე აუცილებ-ლად ეს მეცოდინებოდა, აუცილებლად. და ამ სროლის დროს დაიღუპა გია ესებუა, ცნობილი გოჩა ესებუას ძმა. მე მეცოდინებოდა. მე მესმის, რომ ეს ჩემი სიტყვა, იურიდიულ დოკუმენტად, რა თქმა უნდა, არ გა-მოდგება.

ნინო თომაძე: ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ამისი მასალები არსებობს, ტელეკამერებით გადაღებული.

ვალტერ შურდაია: მასალის გაკეთება ისე შეიძლება, რომ... ჩვენ მასალა და გადაღება არა გვაქვს, რომ ისინი ესროდნენ, დავუშვათ, ეკლესიას.

ნინო თომაძე: რომელ ეკლესიას, ქაშვეთის ეკლესიას?

ვალტერ შურდაია: დიახ, დიახ. სანამ შევიდოდნენ იქ, ჩვენი ხალხი იმყოფებოდა იქ. ტყვიერით გამოყარეს ისინი და მერე შევიდნენ ისინი იქა. მე ამის სურათი არა მაქვს გადაღებული, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს ასეა. მეც მაჩვენეს ზღვაზე, როდესაც კიტოვანთან მოლაპარაკებაზე ვიყავი და მეც ვიცი ეს მონტაჟი, სულელური მონტაჟი, მაგრამ გლობალურად ამას მნიშვნელობა მაინც არა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ბრძანდებოდით კიტოვანთან მოლაპარაკებაზე?

ვალტერ შურდაია: კი, ეს პუტჩამდე, როცა განუდგა. ჯერ მე და ზაურ ქობალია დავდიოდით მასთან. გვარდიის განდგომის მიზეზად – რაღაცას რომ აწყობ, მიზეზი ხომ უნდა დაასახელო – მათ ჰქონდათ ესეთი მიზეზი, რომ დააყენებდა თავის ხალხს და ეუბნებოდა, რომ, აი, თქვენ ხართ საქართველოს ეროვნული გვარდია. და ახალგაზრდა ბიჭი... პოლიციას არ ჰქონდა მაინც და მაინც კარგი სახელი, ცუდი ტონი იყო პოლიციაში ყოფნა და გვარდიას, რომელსაც ეამაყება, რომ ეს არის ქართული ჯარის ჩანასახი, უკვე არსებობს და ამაზე ზედნაშენი უნდა იქნეს ის, რასაც ეწოდება ეროვნული არმია და ჩანასახი ეს არის და ეუბნებიან, რომ ეს არის პოლიცია, თქვენ ხართ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. ძალიან მნიშვნელოვანი არის ერთი მომენტი, არსებობს დოკუმენტები, არსებობს მასალები. თავიდანვე, ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ჯერ კიდევ არ ვიყავით, როდესაც ზვიადმა გადაწყვიტა, რომ შეექმნა ჩანასახი ეროვნული გვარდიის. არც იარაღი, არც არაფერი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შინაგან საქმეთა მინისტრმა გორგოძემ დაახლოებით 20 ათას ავტომატამდე – 20 ათასი ავტომატი მაშინ საქართველოსთვის იყო უდიდესი რამ – აი ეს „პატიოსნად“ გააგზავნა რუსეთში. მოითხოვა ეს მოსკოვმა, რა თქმა უნდა, როდესაც დადგა დრო დამოუკიდებლობის. გორგოძეს ჰყავდა საკავშირო მინისტრი, თავისი უფროსი და მან შემოუთვალა, რომ იარაღი გამოგვიგზავნეო. მაგრამ გორგოძეს რომ ეროვნულობის ნასახი ჰქონდა, მას ეს ბრძანება ხუთიანზე კი არ უნდა შეესრულებინა, შეესრულებინა სამიანზე. მაგალითად, 5 ათასი გაეგზავნა და 15 ათასი დაეტოვებინა. პირწმინდად გაძარცვა საქართველო და ყველა ეს საბრძოლო იარაღი, რომელიც გააჩნდა, 20 ათასი ავტომატი გააგზავნა მოსკოვში. და ჩვენ როდესაც უკვე დავიწყეთ ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება უიარაღოდ... და დავიწყეთ სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან სასწავლო ავტომატების ამოღება და გადაკეთება. ეხლა რას ნიშნავს სასწავლო ავტომატების გადაკეთება. ლულა არის გახვრეტილი და როცა ლულა გაიხვრიტება, იმ გახვრეტილი ადგილის შედუღება მიმდინარეობდა. ესეთი ავტომატი, გაისვრი და სკდება. ასეთი ავტომატები გვქონდა, ისიც რამდენიმე ათეული. ეს იყო

ენთუზიაზმი უზარმაზარი, უზარმაზარი და ბედნიერები იყვნენ ისინი, ვინც გვარდიაში მსახურობდნენ და ბედნიერები იყვნენ მოქალაქეები, ვინც უყურებდნენ ამ ფორმიან ბიჭებს. და ამათ უუბნებიან, რომ ისინი არიან პოლიციელები და ზვიადმა გახადა ისინი პოლიციელებად. სინამდვილეში იყო ასე. ე. ი. ამ არსებული ვითარების გამო, რომელიც მე თქვენ დაგიხატეთ ეს ვითარება, აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში ჩვენ უბრალოდ პირწმინდად გაგვანად-გურებდნენ, რომ ღიად გამოგვეცხადებინა გვარდიის შექმნა. ამიტომ...

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ ერთი საერთო არმია იყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების. როგორ შეიძლებოდა, რომელიღაცა პატარა შემავალ ერთეულს ჰქონოდა თავისი სამხედრო ძალა.

ვალტერ შურლაია: ვინ მოგცემდა იმის უფლებას, რომ შენ შეგექმნა...ამიტომ პრეზიდენტმა და უზენაესმა საბჭომ გვარდია თავიდანვე შექმნეს როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ეროვნული გვარდია, რომელიც იყო შექმნილი, როგორც მაშველი რაზმი, როგორც სხვა ქვეყნებში. თავიდანვე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში და მშევნივრად იცოდა ეს კიტოვანმა. კიტოვანი ოფოციალურად ითვლებოდა, მართალია, სარდალი იყო გვარდიის, მაგრამ ამავე დროს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ნათელა ვაჩნაძე: გამართლება რომ ჰქონოდა.

ვალტერ შურლაია: თავიდანვე, გამართლება რომ ჰქონოდა, მაგრამ როცა დასჭირდა, კიტოვანმა ისე დახატა სურათი...

ნათელა ვაჩნაძე: შეიარაღებული ძალების მინისტრი ხომ არ იქნებოდა, ცალკე დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალები საქართველოს ხომ არ ჰყავდა, რა უნდოდა, მინისტრი რომ ყოფილიყო?

ვალტერ შურლაია: ის ისე მოქმედებდა, პუტჩი ხომ უნდა მოეწყო და რაღაცა ხომ უნდა.... ეს ბიჭები, ალალი და პატრიოტი ბიჭი ხომ უნდა გადაეყვანა თავის მხარეს და გადაიყვანა იმითი, რომ თქვენ გვარდია კი არა ხართ, თქვენ პრეზიდენტმა გამსახურდიამ გაქციათ პოლიციელებად. ეს იყო პირველი შხამი, რომელიც მან ჩააწვეთა გვარდიას.

ნინო თომაძე: სხვა რა შხამს აწვეთებდა, ცოტა უსუსური არგუმენტი ხომ არ არის?

ნათელა ვაჩნაძე: ახალგაზრდა ბიჭებისთვის, რომლებიც მოვიდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის საბრძოლველად...

ვალტერ შურლაია: რკონში ბევრი დეპუტატი დადიოდა ამ შეკრებაზე, ძალიან ბევრი, რკონში და სხვაგანაც. და რკონში დავდიოდით მე და ზაურ ქობალია ინტენსიურად და ჩვენ იმდენი მოვახერხეთ, რომ ჩამოვიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ და ვინ იყავით?

ვალტერ შურლაია: მე და ზაურ ქობალია.

ნათელა ვაჩნაძე: ლოთი ქობალია და ზაურ ქობალია ნათესავებია არიან?

ვალტერ შურლაია: არაფერი, მოგვარები არიან. ლოთი ცალკე საკითხია, ლოთს თქვენ უნდა ელაპარაკოთ აუცილებლად, ზღვაა სალაპარაკო. ...და ეხლა როგორია საკითხია, ეს განდგომილი კაცი ჩაიყვანო პრეზიდენტთან. მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ, დავუმტკიცეთ, რომ მის პიროვნებას საფრთხე არავითარი არ ემუქრებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ გენდოთ ის თქვენ უსაფრთხოების საკითხში?

ვალტერ შურლაია: ჩვენ ვიყავით ახლოს პიროვნულად. ხოდა, ეს საქართველოა ბოლოს და ბოლოს და ეს პიროვნული დამოკიდებულება და ეს რაინდობა ჯერ კიდევ არ არის მკვდარი. შევედით ზვიადთან და ე. ი. მე ცოცხალი არ ვიქნები და ზაური არ იქნება ცოცხალი. მივიყვანეთ, მოკლედ, და...

ნათელა ვაჩნაძე: ზვიადი სად არის ამ დროს, სახლში თუ უზენაესში?

ვალტერ შურლაია: უზენაეს საბჭოში, თავის კაბინეტში. შეხვედრა შედგა და ჯარისკაციები ვიდექი მე კარებთან, არ შევედი. მე მქონდა შესვლის უფლება, მაგრამ ეს განვეძ არ გავაკეთე, რომ ეს ორი კაცი მარტო მჯდარიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ამიტომ თქვენ ამ დიალოგის შინაარსი არ იცით?

ვალტერ შურლაია: არა, დიალოგის შინაარსი მე არ ვიცი, მაგრამ მე იმედი მქონდა, რომ რეალური დამოკიდებულება პოლიტიკაში ცხოვრების ბევრ რაღაცას წყვეტს. იყო პერიოდი, როდესაც ზვიადი და თენგიზი ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, სხვანაირად ის იმას არ დანიშნავდა. ...და გამოვიდა გახარებული ეს კაცი, ეს კიტოვანი და შემდგომში, რისი პირობაც მომცაო ზვიადმა, არ შეასრულაო. ეს ყველაფერი ტყუილია, უბრალოდ...

ნათელა ვაჩნაძე: რისი პირობა მომცაო, გვარდია ცალკე იქნებაო?

ვალტერ შურლაია: არ ვიცი, მე სხვის მაგივრად არ ვილაპარაკებ, თქვას მან. მაგრამ ჩემი დასკვნებით, როცა კიტოვანს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, შეიძლება, ყოყმანობდა კიდევაც, მაგრამ ძირითადში იმას გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა. გარდა ამისა, ჩვენ ზვიადს შევახვედრეთ ყარყარაშვილი, უფროსი ლეიტენანტი იყო მაშინ, გვარდიაში ჰქონდა სახელი და ავტორიტეტი და ისიც შევახვედრეთ ზვიადს. ამ შეხვედრაზედაც ალბათ ყარყარაშვილმა უნდა ილაპარაკოს. მოკლედ, ეს კაცი წავიდა, კიტოვანი აგრძელებს თავისას. შემდეგ ესენი ბანაკდებიან თბილისის ზღვაზე. თბილისის ზღვაზე მე დავდივარ ინტენსიურად, ჩემს გარდა სხვებიც, იმათ მაგივრად მე ვერ ვილაპარაკებ.

ნათელა ვაჩნაძე: არ მოგწონს, გადაირჩიე.

ვალტერ შურლაია: არ მოგწონს, გადაირჩიე რა, იცი, რომ, ვერ იტყვი, რომ არაობიერტური არჩევნები არის, გონებაში არ მოუვიდოდა არავის არჩევნების ჩანაცვლება. ეს სიმართლეა და ისტორიული სიმართლეა.

ნინო თომაძე: თვითონ ის ოპოზიციონერებიც ამბობენ, რომ იმდენად დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ხალხისგან ამ არჩევნების დროს „მრგვალ მაგიდას“, რადიკალური ოპოზიციონერებიც ამას ამბობენ, რომ გამორიცხული იყო, რომელიღაც უცხო ძალების ჩარევის შედეგად მიეღწია ამ შედეგებისთვის.

ნათელა ვაჩინაძე: ნინომ დაუსვა ეს შეკითხვა, სხვათა შორის, ერთ-ერთ ოპოზიციონერს.

ვალტერ შურლაია: და იმან რა უთხრა?

ნათელა ვაჩინაძე: იმან უთხრა, არაო, არავის დასმული არ არისო. რუსეთის დასმული ხომ არ იყოო...

ნინო თომაძე: ძალიან დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ხალხის.

ვალტერ შურლაია: სხვათა შორის, დღევანდელ „ასავალ-დასავალში“, სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე ამბობს უსინდისოდ.

ნინო თომაძე: სხვათა შორის, ბევრი ოპოზიციონერი ამბობს, რომ რუსეთის აგენტი იყოო.

ნათელა ვაჩინაძე: რუსეთმა დასვაო? მამუკა გიორგაძე არის განაყოფი ედპ-სი, წამოსულია იქიდან.

ვალტერ შურლაია: ხოდა, გასაგებია, კარგად ვიცნობ. ჩემი კომენტარი არის დღეს „კვირის პალიტრაში“. მე ვამბობ, რომ თითქმის სუსველა ცდილობს უარყოფას, მე არ ვმონაწილეობდი პუტჩში, მაშინ ვინ გააკეთა ეს? და ასეთ ხალხს, იმათი გამოკლებით, ვინც ნანობს – ვინც ნანობს, ეს რაინდული საქციელია და ჩემი თავი ენაცვალოს – მაგრამ იმათი გამოკლებით, ვინც პუტჩისტი იყო და ამბობს, რომ მე არ მისვრია, მე მონინაალმდეგე არ ვიყავი, პუტჩში მონაწილეობა არ მიმიღია, არავითარი ცოდვა არ მადევს, ამას მირჩევნია არამზადა სიგუა. ასე ვწერ მე ამას. არამზადა სიგუა მირჩევნია ასეთებს, იმიტომ რომ სიგუა ქე მაინც პირდაპირ ამბობს, მინდოდა ამ კაცის ჩამოგდება და ჩამოვაგდე. პატრიოტი იყოო ზვიადიო, სიგუა არ იტყვის. სიგუა ამბობს, რომ ღუპავდა ქვეყანას და იმიტომ ჩამოვაგდეო. მაგრამ ამბობს ეს კაცი ქე მაინც პირდაპირ. ამიტომ ეს სიგუა მირჩევნია მე იმ არამზადას, რომელიც ტყვიას ესროდა ეროვნულ ხელისუფლებას და ეხლა ამბობს, რომ მე არაფერ შუაში არა ვარო. თქვენ აუცილებლად, მე მიმაჩინია, უნდა ესაუბროთ აქტიურ ოპოზიციონერს ნოდარ ნათაძეს.

გელა ჩორგოლაშვილი

2007 წლის 7-15 მარტი

გელა ჩორგოლაშვილი: სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში არის განმარტებული, რომ სახელმწიფო საქართველოს საზღვრები დადგენილია 1991 წლის 22. XII-ის მდგომარეობით. მე მივმართე ჩემს მეგობრებს და მათ ეს საკითხი გაიტანეს პოლიტიკური ელიტის ისტებლიშმენტში და 30-მა მოქმედმა პოლიტიკოსმა (პარლამენტის წევრებმა, პოლიტიკურმა ლიდერებმა, ამ პროცესებში მონაწილეობამიღებულებმა, მაგ: ქუცნაშვილმა, გრიგალაშვილმა, ბეჟუაშვილმა, ღამბაშიძემ, გიგი წერეთელმა, მაღრაძემ, გვარამიამ და სხვებმა)... მაგალითად, კორესპონდენტი ეკითხება: აი, კონსტიტუციაში არის ასეთი განმარტება და თქვენ ხომ ამბობთ, რომ ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოსათვის არის სახელმწიფო ტერიტორია, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, და თუ ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, მაშინ, შესაბამისად, ეს საზღვრები და მათი დადგენის თარიღი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს რა თარიღია. და 30 კაცი პასუხობს, რომ არ იცის, ან საბჭოთა კავშირის, ე.ი. სნგ-ს შექმნის დღეა, რაც არ არის მართალი. მე ვფიქრობ... რომ რესპონდენტებმა მივიდეთ და ვკითხოთ, რამ გამოიწვია დაშლა... და მივიღებთ ისეთ სურათს, გესმით...

ნათელა ვაჩნაძე: მე ძალიან კარგად გავიგე, თუ რას ფიქრობთ თქვენ ამ საკითხზე.

გელა ჩორგოლაშვილი: მე თვითონ ვსწავლობ ამ საკითხს დიდი ხნის მანძილზე. ნინო თომაძე: და რა აზრი გამოიტანეთ?

ნათელა ვაჩნაძე: ამ აზრს ბ-ნი გელა დაწერს თავის წიგნში, რომელიც გაიყიდება და ჩვენ მას წავიკითხავთ. ბ-ნი გელა, სწორია თქვენი მიღვომა ამ საკითხისადმი, მაგრამ მე ცოტა სხვა რამესაც დავუმატებდი, თქვენის ნებართვით... იცით, ძალიან დიდი დრო გავიდა. შეიძლება ისტორიისათვის არაფერია, მაგრამ ერთი ადამიანის და ერთი თაობის ცხოვრებისათვის ბევრია 15 წელი.

გელა ჩორგოლაშვილი: კარგადაა გათვლილი ყველაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ შემიძლია ვთქვა... ჩემი ნდობის ხარისხი მერყეობს და რასაც რესპონდენტი იტყვის, არ შემიძლია ვთქვა, რომ იმაზე ავაგებ ოქროს კოშკებს და ჩემს მონოგრაფიას. მე უფრო ვენდობი ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსს, ვიდრე დღევანდელ რესპონდენტებს. ყველა რესპონდენტი გამობრძმედილია საბჭოთა პერიოდში, ყველა ამ ეპოქ-

ის შვილები ვართ. ამიტომ ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ფილტრები და ცენზურა გონიერაში. აი, მე როგორ შემიძლია... ადამიანი სრულიად სხვა ქმედებას ჩადიოდა 1991 წელს და ახლა სულ სხვაგვარად მიხატავს თავის თავს. როგორ არის ეს ჩემთვის პირველხარისხოვანი წყარო. ასეთი წყარო?! ეს შეიძლება არის დღეს, მაგრამ იმ ეპოქის შესასწავლად უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი. ე. ი. აქ რაც ითქმის, ყველა კითხვა-პასუხი თუ მოგონება, ყველაფერი გაიცხრილება, დალვინდება და რაღაც პოზიციამდე დავა, თუმცა არის მეორე საკითხი, მე როგორც ავტორმა ეს რომ ვცხრილო, ვცხრილო, მაქვს არის უფლება კია? არა მაქვს ამის უფლება, რადგან ყველანი ღმერთმა გვაცოცხლოს და ეს თაობა წავა. ოდესლაც... პირველი მე წავალ. . . . ვიღა დარჩება მთხობელი და ამბის მომტანი?

გელა ჩორგოლაშვილი: ქ-ნო ნათელა, თუ ნებას მომცემთ... ძალიან კეთილი განწყობით და შედეგზე ორიენტირებული... მე დაინტერესებული მხარე ვარ, რომ კვალიფიციური კვლევა შედგეს. ეს არის ის დასკვნა, რომელიც საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საქმეს სასამართლოში. ცხადია, ეს იქნება გარკვეული შეხედულება და თვალსაზრისი. მე დაინტერესებული ვარ, რადგან მსგავსი არ გაკეთებულა.... მე ვფიქრობ, რომ მიდგომები, რომლებიც თქვენს რამდენიმე კითხვაში გამომუდავნდა (ისინი ჩემთვის უცნობია და მე ვერ ვადგენ), მე მგონი, არაპროდუქტიულია, რადგან ეს საქმე ეხება არა ჩემი ან რომელიმე რესპონდენტის ფიქრს ამ საკითხზე, თუ რამ განაპირობა... მე ვახსენე კონსპიროლოგია. მაგ., მე რომ ვთქვა, რომ ეს იყო შეთქმულება თარგამოსიანთა წინააღმდეგ, რასის წინააღმდეგ, ვიღაცას მოეჩვენება, რომ ეს არის ბოდვა. რომ ითქვას, რომ ეს არის შეთქმულების თეორიის გაგრძელება და ეს შეთქმულების თეორიები ნერვებს გვიშლის, ჩვენ პრაქტიკული რაღაცები გვინდა, ჩვენ გვინდა რეალური რაღაცები, არ გვინდა შეთქმულება, ნუ ლაპარაკობთ ამ თემებზე...

ნათელა ვაჩინაძე: როგორ, ეს აშკარაა და ზედაპირზე დევს.

გელა ჩორგოლაშვილი: ეს თქვენთვის და ჩემთვის დევს, მაგრამ არის მიდგომები, მიდგომებზე ვლაპარაკობ ახლა, ... თვითონ ის გარემოება, რაშიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი არის გაუჩინარებული, მისი გაუჩინარება როგორც შედგა... ჰო, აი ქ-ნი ნინო ბრძანებდა წელან, ჰო, სასწაული რამე ხდება, ბესო გუგუშვილი ამბობს: იქ ვიყავი, თავი რომ მოიკლა ზვიადმა, გვერდზე ვინექი, რომ გაისროლა, სხვები ამბობდნენ, თავს არ მოიკლავდა ზვიადი, ზოგი იძახის, ცოცხალია ზვიადი... ზოგი იძახის მაყუჩიანი პისტოლეტით მოკლეს, ზოგი კიდევ - მოწამლესო, თან ეს ხდება მაშინ, როცა გვამი აქვთ უკვე. მაგრამ 15 წელი ამაზე მიდის საუბარი. როცა გვამი არ იყო, ანუ არ იყო ობიექტი, რომლის კვლევის შედეგადაც გარდაცვალების მიზეზი შეიძლება დადგენილიყო. . . . ტუტანჰამონის სიკვდილის მიზეზი დაადგინეს და ზვიადის სიკვდილის მიზეზის დადგენა პრობლემა არ არის. და ახლა

უნდა დადგინდეს ეს. მაგრამ მიდგომა ნახეთ. აი, მაგალითად, გუშინ გიორგი გამსახურდია ამბობს: რუსეთის პროკურატურამ აღძრა საქმე, სისხლის სამართლის საქმე --- “Насильственная смерть”, გამიგეთ?... დაადგინეს, ზვიადია თუ არა, მაგრამ თავი მოიკლა თუ არა, ამას საქართველოში დაადგენენ. აბსურდის დონე ნახეთ: რუსეთის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ძალადობრივ სიკვდილზე და არ დაადგინა ეთა ნასილъственная смерть იли ნე ნასილъственная, და იგი ელოდება საქართველოდან ექსპერტის პასუხს ამაზე, როცა იქვე ჰყავთ გვამი თავის ლაბორატორიაში. ამ მიდგომებს აქვთ თავისი მიზანი. ესენი კარგადაა გათვლილი. ის, რომ დღეს საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე ეს ხდება, ამ თაობაში, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებით ბურუსში და გაუგებრობაში გადაზრდილი, როგორი საინტერესო რამეა... გუშინნინ გამოდის ზაკაევი და ამბობს, რომ მთაში ჰყავს, მერე ამბობს, რომ ყველა მეორე კაცმა იცოდა გროზნოში, ანუ ვინ რას ლაპარაკობს, ვერ გაიგებ, არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობს.

ნინო თომაძე: პეტრიაშვილმა რომ თქვა, ცოცხალიაო?

გელა ჩორგოლაშვილი: მარტო მაგან კი არა, მე მყავს ახლობლების წრე, რომელიც ასე თვლის დღესაც, მაგრამ ეს სხვა საკითხია. მე მინდა ვთქვა, თუ როგორ უნდა იქნეს ეს გამოკვლეული, რა პრიორიტეტები უნდა იქნეს განსაზღვრული პირველი ეტაპისათვის. შეიძლება ეს მიდგომები, რომელსაც რესპონდენტებთან ურთიერთობა ჰქვია და რასაც თქვენ ბრძანებთ, რომ ეპოქა... და ვცილდები მას და მეხსიერების თვალსაზრისით, და რომ არ დაიკარგოს და ა. შ. ახლა 6-8 თვე ამაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. მე ვთვლი, რომ თუ ყველა ეტაპისათვის უფრო სხვა მონახაზი გაკეთდება, მეორე, უფრო ამოიკვირტება ის კითხვები, რომელიც ჩვენ ამ რესპონდენტებისაგან გვჭირდება. თორემ სხვადასხვა რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციებიდან ისეთი ემოციები შეიძლება დაიდოს, რომ პირველი ნაწილის, პირველი კვლევის ვექტორი დაიკარგოს, სრულიად სხვა ხაზზე გადავიდეთ და ეს იქნება გრიგოლიას შოუ, ოღონდ წიგნში გაფორმებული. ვიქტორ რცხილაძე (რომელსაც მე პატივს ვცემ), რას ეყრდნობა, როცა საუბრობს... იგი გარკვეულწილად შეურაცხადი ხდება, როცა ზვიადზეა საუბარი...

ნათელა ვაჩნაძე: გეთანხმებით.

გელა ჩორგოლაშვილი: მე ვფიქრობ, რომამ ეტაპისათვის, ამ მიმართულებით, თუ შემიძლია რჩევა მოგცეთ, მინდა გითხრათ ამ მოვლენების ჩემეული ხედვა და მიდგომები, რომლითაც ნაშრომი უნდა იქნეს დაწერილი. ქ-ნო ნათელა, როცა გაეცნობით ჩემს წერილს, დაინახავთ ჩემს მიდგომას ამ საკითხისადმი, ნახავთ, რომ... ჩვენ რა გვაინტერესებს, რისი დადგენა გვინდა? რამ განაპირობა დამხობა, იყო დამხობა, არ იყო დამხობა... ჩვენ ახლა კვალიფიკაციას ვაძლევთ ისეთ რაღაცებს, რაც ზუსტად არ ვიცით, რა არის.

ნათელა ვაჩნაძე: ასე არ არის. საუბარში, პირობითად მაინც, არ ვიხმარო სი-
ტყვა “გადატრიალება”?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, ნახეთ როგორ არის. ეს რა გადატრიალებაა!
ახლა ნახეთ “სამოქალაქო ომი”. იყო თუ არა საქართველოში სამოქა-
ლაქო ომი? ის სეგმენტი ქართული ეროვნული მოძრაობის, რომლის
ნარმომადგენელი იყო ზვიად გამსახურდია, ბოლომდე ემიჯნებოდა ამ
ტერმინს და თვლიდა, რომ არავითარი სამოქალაქო ომი საქართველო-
ში არ ყოფილა, ანუ რომ დავადგინოთ ეს საკითხი...

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორც ისტორიკოსებმა, რა ნიშ-
ნები აქვს სამოქალაქო ომს. უნდა ვიყოთ თეორიულად კარგად მომზა-
დებულები სამოქალაქო ომთან დაკავშირებით და, ამავე დროს, ვიცო-
დეთ ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მოხდა საქართველოში, და
თუ აქ მომხდარი მოვლენები დაემთხვა სამოქალაქო ომის განმსაზ-
ღვრელ ზოგად დებულებებს, მაშინ შეგვიძლია ვუწოდოთ მას სამოქა-
ლაქო ომი.

გელა ჩორგოლაშვილი: დიახ, ასეა. მაგალითად, მინდა გავიხსენო მოვლენ-
ები უახლესი ისტორიიდან. მაგალითად... რევოლუცია. რატომ გაჩნდა
აუცილებელი “ფერადი რევოლუციის” ტერმინის შემოტანა. არის კი ის
მოვლენა, რაც 2003 წლის ნოემბერში მოხდა, მართლა რევოლუცია?
რატომ დასჭირდა პოლიტოლოგს, რომ გაიმიჯნოს “კლასიკური რევ-
ოლუცია” (რაც არის, ყველამ ვიცით). ტერმინი “ხავერდოვანი რევო-
ლუციაც” ვერ ჯდება რეალობაში და იქმნება “ფერადი რევოლუცია”
(ნარინჯისფერი და სხვ.). აი, ეს ტერმინები, რა პრინციპებით დგინდე-
ბა დებულებები — არ არის ჩამოყალიბებული. აქ არ გვაქვს დოკუმენ-
ტური მასალები, ოფიციალური სახელმწიფო მასალები მოპოვებული.

ნათელა ვაჩნაძე: არის უზენაესი საბჭოს დადგენილებები. ტომებად არის
შეკრული.

ნინო თომაძე: სიგუასაც აქვს ბევრი რაღაცები, დოკუმენტები. . . .

გელა ჩორგოლაშვილი: თქვენ თუ გაქვთ გელა სალუაშვილის მიერ გამოცე-
მული დოკუმენტები?

ნათელა ვაჩნაძე: კი, როგორ არა.

ნინო თომაძე: გელა სალუაშვილმა ყველა გამოცემული დოკუმენტი შეკრიბა
და წიგნად გამოსცა? მას ჰქონდა, საერთოდ, ამ დოკუმენტების გამო-
ცემის უფლება?

გელა ჩორგოლაშვილი: ყველა ოფიციალურ დოკუმენტს გამოსცემს კომპე-
ტენტური ორგანო. მინისტრთა კაბინეტი თავისას, პარლამენტი თავი-
სას. ვის აქვს ამისი გამოცემის უფლება, ეს განსაზღვრულია კანონით.
აი, მაგალითად: დოკუმენტები, რომლებსაც გამოსცემს სახელმწიფო...
ზოგი მათგანი შედის მოქმედებაში გამოქვეყნებისთანავე. ამიტომ არ-
სებობს ოფიციალური წყარო, სადაც იქნება გამოქვეყნებული...

ნინო თომაძე: რა წყაროა ეს?

გელა ჩორგოლაშვილი: ჩვენ დროს, მაგალითად, იყო სამთავრობო გაზეთი, სახელისუფლებო გაზეთი. უზენაესი საბჭო გამოსცემდა, აგრეთვე, თავის გამოცემებს, რომელსაც ეწოდებოდა „უზენაესი საბჭოს უწყებანი“, მაგრამ ესენი გამოიცემოდა პოსტ ფაქტუმ, მაშინ, როცა ზოგი კანონი უკვე ძალაში იყო შესული. ეს იყო დოკუმენტების ნუსხა. რაც შეეხება სალუაშვილს. მან თავი მოუყარა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებს, დადგინდებებს, განცხადებებს და გამოსცა რამდენიმე ნიგნად.

ნინო თომაძე: სახელი ხომ არ იცით ამ ნიგნის და გამოცემის თარიღი, ეს საკმაოდ გაამარტივებს ჩვენს საქმეს.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ჩვენ წავალთ არქივში და როგორც სალუაშვილმა ნახა ეს დოკუმენტები, ისე ვნახავთ ჩვენც.

გელა ჩორგოლაშვილი: ის დოკუმენტები, რომელთაც გამოსცემდა ბ-ნი ზვიადი, როგორც პრეზიდენტი დევნილობაში, საქართველოს ტერიტორიაზე არ გამოიცემოდა. ზვიადი, მართალია, დე ფაქტო აღარ იყო პრეზიდენტი, დე იურე ასრულებდა მაინც თავის ფუნქციას. დე იურე არის სხვა მექანიზმი, მას სხვა ფასეულობა აქვს. ამის სამაგალითოდ მინდა მოვიყვანო მაგალითი საქართველოს ისტორიიდან. მაგ., რის საფუძველზე გახდა იძულებული საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტია და ხელისუფლება, რომ ეცნო პირველი ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის ფაქტი. როგორ არ მოხდა, როგორ არ მოაწერეს ხელი, ვინ არ მოაწერა ხელი...

ნათელა ვაჩნაძე: ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობითობის საკითხის გასარკვევად.

გელა ჩორგოლაშვილი: უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით... და გუშინ, როცა ბ-ნი გუგუშვილი აცხადებს, რომ თქვენ, სააკაშვილის სახელმწიფო, არა ხართ იმ სახელმწიფოს უფლებამონაცვლე სახელმწიფო. იურიდიული მხარე აკისრებს სახელმწიფოს იურიდიულ უფლებებს და ვალდებულებებს. ისე, იურიდიული მხარე მოიცავს, თუ არ მოიცავს ეთიკის და მორალის ნორმებს, ეგეც საკვლევი საკითხია. აი, ნახეთ საქართველოს კონსტიტუციაში რა წერია: „საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“. აი, ნახეთ ბრჭყალებშია. ეს რა ჩანაწერია, რა კლასიფიკაციაა. შ.პ.ს.-ა თუ რა? იგი თავისი არსით უტონია და აძსურდია. რატომ დაჭირდათ ამ ჩანაწერის გაკეთება კონსტიტუციაში, ძირითად კანონში?

ნინო თომაძე: ეს კონსტიტუცია დღეს მოქმედებს?

გელა ჩორგოლაშვილი: რა თქმა უნდა. საქართველოში 1936-91 წლამდე მოქმედებდა კონსტიტუცია, მაგრამ ბოლო მომენტში, როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვდივართ, საქართველოში მოქმედებს საქართველოს

სსრ 1978 წლის კონსტიტუცია. მამაჩემიც ასე მისვამდა საკითხს, მოქმედებს ეს კონსტიტუცია თუ არ მოქმედებსო? სუკ-ში რომ გვიპარებდნენ, კითხვას გვისვამდნენ: აღიარებთ თუ არა კონსტიტუციას? რომ მეთქვა, ვალიარებ, გამოდიოდა, რომ თანამშრომლობაზე ვაცხადებდი თანხმობას. ამიტომ ვამბობდი: კონსტიტუციას არ ვარღვევ, რადგან რომ მეთქვა, არ ვალიარებ — ამაზე მუხლი იყო. ეს კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ხელისუფლებას არ მიუღია. საერთოდ, ტერმინები “შევარდნაძის ხელისუფლება”, “გამსახურდიას ხელისუფლება”, “სააკაშვილის ხელისუფლება” ქართული სახელმწიფოს პრობლემებს მიკროსკოპულს ხდის და თითქოს ადვილად მოსახმარი ხდება, მაგრამ შინაარსი გვეკარგება. ეს არის სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუცია, იქიდან სად წავიდა საქართველოს რესპუბლიკა? ბ-ნი ხმალაძე, რომელიც ერთ-ერთი ავტორია ამ კონსტიტუციის, აცხადებს, რომ ტერმინი “რესპუბლიკა” ფორმაა და იმიტომ ამოვილეთო. აბა, იტალიის და საფრანგეთის რესპუბლიკებმა კონსტიტუციიდან ამოილონ რესპუბლიკა?! მაგ., ფრანგებმა ჩანსერონ კონსტიტუციაში საფრანგეთის სახელმწიფოს სახელწოდება საფრანგეთი და იგი აღარ არის რესპუბლიკა! აი, არის იქ ფორმა. აქ არის საუბარი ედპ-ს კონსტიტუციაზე, რომ იმის პრინციპებს ეყრდნობა. რა პრინციპებია ეს? რომელ პრინციპებს იზიარებს ეს დოკუმენტი? არის იგი ის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს უფლებამონაცვლე დოკუმენტია? მეტყვი. ან ვიღაცები რომ ამბობენ ზვიად გამსახურდიას კონსტიტუცია იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, ეს ნახევრად სიმართლეა, რომელიც ტყუილზე უარესია. კი ბატონო, მიიღო 1978 წლის მიღებული კონსტიტუცია და ეს დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად ედო სახელმწიფოს... და სახელმწიფო არის კონსტიტუცია, საზღვრები და მისი მთავრობა. ამის გარეშე სახელმწიფო არ არსებობს. დღეს ჩვენ გვაქვს სახეზე სახელმწიფო, გარკვეული ტერიტორია, რომელსაც ჰქვია სახელმწიფო საქართველო, მაგრამ არის კი ეს სახელმწიფო უფლებამონაცვლე საქართველოს რესპუბლიკის? რატომ გისვამთ, იცით, ამ შეკითხვას? აი, აქვე კვითხულობთ: — საქართველოს ტერიტორიის სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილების გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. ე. ი. კონსტიტუციურად ამათ განმარტებული აქვთ და ჩადებული აქვთ, რომ საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება ყველგან. და აქ საკითხი დგება: რა სამართლებრივი ნორმებით იყო აფხაზეთის სახელმწიფო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში?

ნინო თომაძე: აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკა არ იყო?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, სახელმწიფო იყო. იგი იყო სახელმწიფო შეზღუდული სუვერენიტეტით.

ნინო თომაძე: აჭარა?

გელა ჩორგოლაშვილი: აჭარაც. განსხვავებით ცხინვალის ოლქისგან. საქმე იმაშია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სსრ შემადგენლობაში...

ნინო თომაძე: რატომ არ ერქვა მაშინ საქართველოს ფედერაცია?

გელა ჩორგოლაშვილი: ძალიან საინტერესოა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა არის სახელმწიფო საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, ისევე როგორც აჭარა.

ნინო თომაძე: რუსეთში არსებული ავტონომიებიც ამ სტატუსით სარგებლობდნენ, თუ მარტო საქართველოში არსებულ ავტონომიებს ჰქონდათ ეს უფლებები?

გელა ჩორგოლაშვილი: რაშია იცით საქმე, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია... თქვენ იცით, რომ რუსეთს კონსტიტუცია არ ჰქონდა? და რუსეთის სახელმწიფო არ არსებობდა? მას არ ჰყავდა მთავრობა... არ ჰქონდა ეროვნული აკადემია, როცა მოკავშირე რესპუბლიკებს --- ყველას ჰქონდა. საბჭოთა კავშირის სამართლებრივი სისტემა... Правовая конституционная система СССР... ეს ძალიან საინტერესო ნაწილია, რადგან იგი არ იყო მარტო ნეგატივი... ეგ სისტემა საერთაშორისო თვალსაზრისითაც იყო შესწავლილი და აღიარებული, როგორც სახელმწიფოებრივი სისტემების ერთ-ერთი მოდელი. მაგალითად, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა დაემორჩილოს ჩემს იურისდიქციას... რის საფუძველზე აკეთეს ამას? არა როგორც ვასალი მეტროპოლიის, არამედ როგორც სუბიექტი სუბიექტს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უნდა გავრცელდეს აფხაზეთშიც... როცა მიშა სააკაშვილი ამას იძახის, რის საფუძველზე იძახის?

ნინო თომაძე: ე. ი. სააკაშვილი ცდება?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, მაგაზე არ არის...

ნინო თომაძე: მე მგონია, რომ აფხაზეთიც, აჭარაც და ე.წ. სამხრეთ --- ოსეთიც იმიტომ შეიქმნა, რომ ეთნიკური და რელიგიური შუღლი ჩამოგდებულიყო იქაურ და დნარჩენ საქართველოს ქართულ მოსახლეობას შორის.

გელა ჩორგოლაშვილი: სამხრეთ --- ოსეთი როცა იქმნება 1922 წელს, საბჭოთა კავშირის შექმნის სუბიექტი არის საქართველოც... რომელიც ამ დროს არის ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში... აღსანიშნავია, რომ შექმნის დროს, აფხაზეთი განიხილება, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა.

ნინო თომაძე: აბა, რატომ დარჩა ავტონომიად?

გელა ჩორგოლაშვილი: ის იყო რესპუბლიკა, რომელიც შეუერთდა საქარ-

თველოს 1936 წლის კონსტიტუციით. მაგიტომ ვამბობ... იმისათვის, რომ გავერკვეთ 1991-1992 წლების მოვლენებში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა სისტემაში მოღვაწეობდა ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს სახელმწიფო; რა სამართლებრივი, იურიდიული და კონსტიტუციური ველია, რომელ ველშიც ის მოქმედებს. ამის გამო ყველაფერი გაუგებარი გახდება...

ნინო თომაძე: გასაგებია. ეს საინტერესო და აუცილებელია, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ გვაინტერესებს იმ მოვლენებში მონაწილე და მათი თვითმხილველი რესპონდენტების, როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის, ჩანწერა და მათ მიერ მონათხრობი ფაქტები... ზემოხსენებული ფაქტები ჩვენთვის ამ ეტაპზე არააქტუალურია.

გელა ჩორგოლაშვილი: კარგით. მე ვიცი ჩემი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. საქართველოში გავრცელებულია პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის გარეშე. მაგალითად, ვალტერ შურლაიამ დაიწყო ანალოგიური რაღაცის გაკეთება „ასავალ-დასავალში“. მოჰყავს პიროვნებები და ეუბნება: გაიხსენეთ, რა ხდებოდა ამ მომენტში, თქვენ როგორ იყავით, თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ და ა.შ. მეორე, რა არის იცით? დღეს პიარის ეპოქაა და ყველა ყველა თავის დამოკიდებულებებზე, ემოციებზე. ეს მეთოდი... ყოველივე ამის ჩანწერა შეიძლება თავისთავად ფასეული იყოს, მაგრამ იმ საკითხისათვის, რომელსაც ჩვენ ვეხებით, მისი დედააზრის გამოკვლევისათვის, ანუ იმის დასადგენად, რა მოხდა 1991-1992 წლებში, შეიძლება, კიდევ ვიმეორებ, ფასეული იყოს, რას ფიქრობდნენ ამ პროცესებში მონაწილე და მათი თვითმხილველი ადამიანები...

ნინო თომაძე: რას ფიქრობდნენ არა, რას აკეთებდნენ.

გელა ჩორგოლაშვილი: რას აკეთებდნენ? ე. ი. ეს ნიშნავს, მაგალითად, მე რას ვაკეთებდი?... მე მაშინ ვიყავი უზენაეს საბჭოში უდიდესი ---- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, ენერგეტიკის და მრეწველობის ჯერ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მერე კი თავმჯდომარე. აქ მარტო სოფლის მეურნეობა არ იყო... თუმცა იყო მთელი ეკონომიკა. ეხლა, რას ვაკეთებდი? რა პროექტებს ვაკეთებდი? როგორც კომისიის თავმჯდომარემ რა პროექტები გავაკეთე, ამაზეა ლაპარაკი? მე რომ მოვყვე, ეს გავაკეთე, ის გავაკეთე... მაშინ უნდა დავდო დოკუმენტები, მაგრამ მე რას ვფიქრობ, რა მოხდა, ეს უკვე სხვა სფეროა.

ნინო თომაძე: მე მაინტერესებს შემდეგი. ვთქვათ, ვეკითხები რესპონდენტს, აქა და აქ იყავი? მპასუხობს: ვიყავი. ვინ ისროდა, დაინახე? დავინახე. რა ერქვა, იცი? ვიცი. აი, ასეთი ფაქტები მინდა. ეს არის ფაქტები.

გელა ჩორგოლაშვილი: არა, ეს ფაქტები არ არის.

ნინო თომაძე: აბა, რა არის? ვინმემ დედაჩემის სახელი რომ მკითხოს და ვუთხრა, ეს ფაქტი არ არის?

გელა ჩორგოლაშვილი: ქ-ნო ნინო, მიუხედავად იმისა, რომ ამ “იაშჩიკში” (ტელევიზორში — ნ. თ.) მოსკოვიდან ბ-ნმა კიტოვანმა განაცხადა, რომ კვირაის ხელს ვადებ, ეთი ფაქტი.

ნინო თომაძე: Ну почему не факт, косвенный факт.

გელა ჩორგოლაშვილი: ჩვენ უნდა შევთანხმდეთ ტერმინებზე აუცილებლად, ტერმინის დეფინიციებზე, რადგან იმიტომ, რომ ეკოლოგია დღეს მარტო საკვებს არ უკავშირდება... ჯერ კიდევ პლატონიდან არის ეს ცნობილი. როგორც პლატონი ამბობს, როცა ვაშლს ყიდულობთ, აკვირდებით, და რას კითხულობთ, არ აკვირდებით. და... დღეს რა სიტყვებს ვხმარობთ და რას ვამბობთ, რომ არ ვაკვირდებით, ესაა ჩვენი უბედურება. დღეს ტერმინების ქვეშ რა იგულისხმება, ამაზე არ არის კონსენსუსი, ეროვნული კონსენსუსი არ არის.

ნინო თომაძე: მაგას თუ ვუყურეთ, ბ-ნო გელა, ჩვენ წიგნს ვერ დავწერთ.

გელა ჩორგოლაშვილი: ძალიან დიდი პატივისცემით... მე ვითვალისწინებ, რომ საქმე მაქვს კვალიფიციურ მეცნიერებთან და ინტელექტუალურ, კეთილსინდისიერ ადამიანებთან და მსურს, როცა ვისაუბრებთ, გადავამომოთ ჩვენი საუბარი. აი, მაგალითად, მე, მაგალითად, ვიყავი პრეზიდიუმის წევრი, ვესწრებოდი პრეზიდიუმის სხდომებს, ვესწრებოდი მთავრობის სხდომებს... არის ძალიან საინტერესო დეტალები, რომლებიც შეიძლება ვიცოდე, მაგრამ არ არსებობს “такое понятие, как “государственная тайна”, “государственный интерес” და მე იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვატარებ ამ პასუხისმგებლობას, იმის მიხედვით ვმოქმედებ. აი, სასამართლო პროცესია და მე მეკითხებიან: — თქვენ ესწრებოდით ამ პრეზიდიუმის სხდომას, გახსოვთ მისი შედეგები? შედეგები კი არის განერილი, მაგრამ ეს საკითხი ვინ გაიტანა, ვინ შემოიტანა, ვინ არის მისი ხელმძღვანელი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ როცა ჩვენ გვინდა შევქმნათ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სამეცნიერო ნაშრომი, იმასთან დაკავშირებით, რომ მეტ-ნაკლებად ისტორიულ პლანზე მოვაქციოთ ეს და ქართული სახელმწიფოებრივი ისტორიის ეტაპი მისი მთლიანი პროცესის ნაწილად ვაქციოთ... გამიგეთ?... ამას ფასეულობა ჰქონდეს... იგივე კარის მოძღვრისგან თუ მემატიანისაგან... რომ დავაკვირდეთ, თუნდაც ჯავახიშვილთან, ლეონტი მროველის დოქტრინას... ივანე პატიოსანი პიროვნებაა და მას პატივს ვცემ... იგი ვერ გაერკვა, რატომ არის მროველთან ჰაოსი და მეგროსი, რატომ არის ჰაოსი უფრო ახლოს ქართლოსთან... აი, დღეს არის ტენდენცია, რომ როცა იმ ძმებს ასახელებენ, მეგროსს არ ასახელებენ, რომ მეგრული სეპარატიზმი არ განვითარდეს. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ეს არ არის მარტო ისტორიული დოქტრინა, ეს პოლიტიკური დოქტრინაცაა. აი, როგორ ხდება ისტორიაში... პოლიტიკური, მესიანური იდეების ჩადება, პოლიტიკური დოქტრინის ჩადება და ა. შ. ეს პროცესი იყო. ე. ი. ეს ხაზი თუ ვიცით, ამ ძარღვს ვფლობთ... აი, ამ კონტექსტში, რა მოხდა 91-92 წლებში ისტორიულ პლანში, ეს ძალიან

სერიოზული სამუშაოა და, მე რითაც შემეძლება, დაგეხმარებით... ქ-ნო ნათელა. მე ძალიან სერიოზული არქივი მაქვს, ჩემს მეგობრებს აქვთ ძალიან სერიოზული არქივები. თქვენ შეიძლება მოძებნოთ, ბიბლიოთეკაში არ არის. არსებობს ზვიადის ხელით დაწერილი პეტიციები, რომლებიც მარტო მე მაქვს, წარმოგიდგენიათ, რამხელა ისტორიული მნიშვნელობისაა ისინი?! სად სვამს ან როგორ სვამს, მაგალითად. “ეგრეთნოდებულს”. სად ჩაწერა, როგორ ჩაწერა, რატომ ჩაწერა, რომელიც არ იყო ტექსტში.

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ ეს პირდაპირ არ უნდა გაიგო, არამედ როგორც ე. წ. უნდა გაიგო.

გელა ჩორგოლაშვილი: ჰო... ეს ნიუანსებია... ჰო... ეგეთი მასალები მე მაქვს. მე ჩვენი არქივარიუსიც მყავს. ეს არის ვახო ბახტაძე, ქართველი ჟურნალისტი, სააგენტო „მაცნეს“ დამფუძნებელი და რედაქტორი, ბ-ნი ზვიადის „საქართველოს სულიერი მისიის“ რედაქტორი და ჩვენი დისიდენტური მოძრაობის ე. წ. „მემატიანე“. ეს ბიჭი ყოფილი მოჭადრაკეა და ადრე სპორტულ ჟურნალისტად მუშაობდა, ჭადრაკის ამბებს აშუქებდა. ძალიან სერიოზული პიროვნებაა, სერიოზული მასალებით და, რა თქმა უნდა, შემიძლია მისი მასალებითაც დაგეხმაროთ. უბრალოდ, მე მინდა გირჩიოთ — თქვენი საკითხის კვლევისას ზემოხსენებული მიღვომა გამოიყენოთ. სხვანაირად მე ვერ მივიღებ, ... როგორც მე ვუთხარი ვალტერ შურლაიას: „შენი პატივისცემით აქ მოვედი, მაგრამ მეორედ აქ ვერ მოვალ, რადგან ეს არ არის ის რეზულტატი და შეიცავს ხიფას“. თქვენ შეგიძლიათ გაითავისოთ ან არ გაითავისოთ ჩემი კეთილი რჩევა...

ნათელა ვაჩნაძე: როგორ არ გავითავისო, როცა იგივეს ვფიქრობ მე?!

გელა ჩორგოლაშვილი: თუ რამე კითხვა განუხებთ კონკრეტულად ჩემთან, მე მზად ვარ გიპასუხოთ.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ შევეხეთ დეფინიციების თემას, არა?

გელა ჩორგოლაშვილი: დიახ.

ნათელა ვაჩნაძე: გაქვთ თუ არა ჩამოყალიბებული აზრი, რა დეფინიცია შეიძლება მივუყენოთ... აი, თქვენ წერთ წიგნს, დავუშვათ... როგორ განსაზღვრავდით ამ მოვლენებს? არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რას ფიქრობს ამ მოვლენებზე. თქვენი პირადი დაკვირვებით, როგორც თვითმხილველის, თანამედროვის, ბევრ შემთხვევაში მონაწილის... აი, რა იყო ეს?

გელა ჩორგოლაშვილი: არსებობს ამის ოფიციალური, სახელმწიფოებრივი შეფასება, რომელიც გაკეთებულია საქართველოს კანონიერი ხელი-სუფლების და მისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ამ შეფასებას სათაურში აქვს პოლიტიკური და არა იურიდიული შეფასების კვალი-ფიკაცია. ის არ არის ე. წ. „სამართლებრივ-პოლიტიკური“ შეფასება. ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია, იგი მიღებულია 1992 წლის 13-14

მარტს ქალაქ გროზნში. სხვათა შორის, გელა სალუაშვილის კრებულში არის ეს დოკუმენტი. ამ დოკუმენტში ეს მოვლენა კვალიფიცირებულია, როგორც „სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება“. მე, როგორც სახელმწიფო ბრივი აზროვნების ადამიანი, ამ კვალიფიკაციას ვიზიარებ. ვაღიარებ მის სამართლებრივ საფუძველს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ კრიმინალური? იქნებ ვინმე თქვენი ოპონენტი ასე არ ფიქრობს? რატომ თვლით, რომ იგი იყო კრიმინალური?

გელა ჩორგოლაშვილი: აი, ვამბობ, რომ დოკუმენტები საჭიროა, რადგან რასაც ახლა ვიტყვი... მაშინ უნდა ამოვილო დოკუმენტი და დავდო... უდოკუმენტოდ ეს მარტო განცხადებაა, სხვა არაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო, იყოს განცხადება.

გელა ჩორგოლაშვილი: არსებობს დოკუმენტაცია, რომელიც უტყუარად ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკაში ამ პერიოდში მოღვაწე ე. წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და მთელი რიგი ორგანიზაციების მჭიდრო კავშირს კრიმინალურ სტრუქტურებთან.

ნათელა ვაჩნაძე: რას ნიშნავს კრიმინალური სტრუქტურები?

გელა ჩორგოლაშვილი: ეს ნიშნავს ხალხს... იგივე ქურდული... ასე ვთქვათ, ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები, რომლებიც ამ დროს ზოგი ციხეშია, ზოგი ციხის გარეთაა. აი, ამ ადამიანებთან კავშირი (აქ იდეოლოგიაზე ლაპარაკი არ არის, ცხადია), ფინანსური, დანაშაულებრივი... ხდება... ხდება ამ ხალხის დაქირავება, გამოყენება... უფრო მეტიც... ცნობილია, რომ ამ ადამიანებს შეკპირდნენ ბევრ რამეს და შეუსრულეს კიდევაც... თბილისის ციხეები გაიღო. ეს ხალხი გარეთ გამოვიდა...

ნათელა ვაჩნაძე: მაგათ ხომ არ გაიმარჯვეს, შემთხვევით, საბოლოო ჯამში?

გელა ჩორგოლაშვილი: მერე შევარდნაძეს ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა... იცით, ეს მისი მეთოდია... აი, როგორაა — დანაშაულს თვითონ ქმნი და მერე თვითონვე ებრძვი. თუ გახსოვთ თქვენ, როცა შევარდნაძე საქართველოში მოდის შს მინისტრად, 1966 წელს, ათჯერ იზრდება საქართველოში დანაშაულებები და ზუსტად მაგ პერიოდია, როცა საქართველოში ე. წ. საკავშირო კრიმინალური სამყარო, ე. წ. “Воровской мир” (რომელიც ამ დროს რეეგტითაც იყო დაკავებული) აღმოჩნდა სახელმწიფო სტრუქტურებთან კავშირში... როგორ მონაწილეობს ამაში ქართული კრიმინალური სამყარო? --- ქართველი ქურდები როგორ მონაწილეობენ ამაში?... როგორ აკონტროლებს ამას?... რომ ვგულისხმობ კრიმინალური, ამასაც ვგულისხმობ. ეს არ იყო კლასიკური გაგებით წმინდა წყლის ოპოზიციური გამოსვლები. რადგან აქ იყო სამხედრო... ეს სამხედრო თვითონ... თქვენ კარგად იცით, რომ არსებობდა საქართველოში კანონი არაფორმალური სამხედრო შეიარაღების შესახებ და... ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც ატარებდა იარაღს და იარაღი იყო ედპ-ში, მხედრიონში და ა. შ. ეს იარაღი იყო კრიმინალური იარაღი.

ნათელა ვაჩნაძე: ოცეულები? ეს ოფიციალური ორგანიზაციები იყო...
დაქირავებულები?... ვერის ოცეული, ვაკის ოცეული...

გელა ჩორგოლაშვილი: სხვათა შორის, მაგ ოცეულების მემკვიდრეებიც
არიან დღეს და არ მინდა კონკრეტული სახელები და გვარები და არა
მარტო... ეს რასაც ვხედავთ... და რასაც ვერ ვხედავთ, იქ კიდევ უფრო
მეტია, ქ-ნო ნათელა და ესეც ინფორმაციაა. არის სტრუქტურები,
რომლებიც ჩვენ არ ვიცით... ისინი არ ჩანან... ესენი არ არიან მინის-
ტრები და მათი მოადგილეები, ისი ნებისმიერი მაგრამ არ-
იან... „სლუჟბები“, დაზერვის, კონტრდაზვერვის... რაღაც დეპარტა-
მენტებში. იქ არის გაბნეული ის ხალხი, ვინც გადაურჩა შევარდნაძის
მიერ თავის დროზე ჩატარებულ წმენდებს. ისინი მერე შეითარეს ჟვა-
ნიამ და, ასე ვთქვათ, და როგორ მოხდა დაბალანსება და... ეს ძალიან
სერიოზული საკითხია, ქ-ნო ნათელა, იგი ფინანსებთანაცაა დაკავ-
შირებული. წარმოიდგინეთ, საქართველო არის ტრანზიტის ქვეყა-
ნა ნარკოტიკის, მთელი სსრკ-ის ნარკოტიკები... წარმოიდგინეთ, ჩა
государственном уровне... ვიდაცა ბარიგა კი არ არის ნარკოტიკის...
სახელმწიფოს აქვს თავისი პლანტაცია, რომელიც არალეგალურად
გააქვს როგორც იდეოლოგიური იარაღი... დასავლეთის წინააღმდეგ,
პოლიტბიუროში შეთანხმებული. ამას როგორ უკეთებს ტრანზიტს
საქართველო, ვინ უკეთებს ამას უზრუნველყოფას, როგორ მონაწილ-
ეობს ამაში ფოთის პორტი, როგორ მონაწილეობენ ამაში სამხედროე-
ბი, მერე გამიგეთ?... საქართველოში გადატრიალება რომ ხდება,
ვინ ინტენსიური გაკონტროლებას... როგორ აღმოჩნდა, რომ სამი ნლის
მანძილზე, შევარდნაძის პირობებში, ერთი ამპულა მორფინი, რომელ-
იც ლირდა 7 კაპიკი და მერე მოხდა დაცემა ფულის, ერთი მანეთი 70
ცენტი გახდა და მერე ერთი დოლარი გახდა 100 მანეთი და 7 კაპიკად
ლირებული ნარკოტიკი ვაგონებით როგორ შემოდიოდა საქართველო-
ში და როგორ ხვდებოდა დასავლეთის ქვეყნებში?... და აი, ეს ხალხი,
რომლებიც მონაწილეობდნენ ამ გადატრიალებაში და მერე ეს დივი-
დენდები, ფინანსური და ა. შ., მიიღეს, ამიტომ ეწოდება მას კრიმინალ-
ური და ეს, აი, ხდება მაგალითად...

ნათელა ვაჩნაძე: ხეობაზე ხომ არაფერს გვეტყვით? ლაპორატორია და ხეობა.

გელა ჩორგოლაშვილი: რა თქმა უნდა, ეს ხეობებიც... თქვენ პანკისის ხეო-
ბაზე გაქვთ არა ლაპარაკი და თუშეთის მხარეზე?.... და რაც ხდებო-
და ცხინვალის რეგიონში და გალის რაიონში და ა. შ. ეს ლაპორატო-
რიები... რა არის, იცით? აქ არის ის, რაც კონტროლირებადია და არის
“разумное допущение”. მაგალითად, საქართველოში უნდა გაიაროს
ათმა ტონა ჰეროინმა წელიწადში. ამ ჰეროინის რა ნაწილი შეიძლება
დარჩეს საქართველოში... დაილექოს. ეს რაღაც გარკვეულ დონეზე
დაშვებულია, რომ დაილექება. მაგრამ თუ საქართველოში აღმოჩნდა
300 კილო ჰეროინი, ამას არ დაუშვებენ, ეს უკვე პრობლემაა. მაგრამ

რაღაც ნაწილში ამას დაუშვებენ. აი, ის პატარა ლაბორატორია, რომელიც ამზადებს ქართველი ახალგაზრდებისათვის იარაღს...

ნათელა ვაჩნაძე: იარაღს?

გელა ჩორგოლაშვილი: კი, ეს იარაღი იყო, ქ-ნო ნათელა. თქვენ წარმოიდგინეთ, 1992 წელს იდეოლოგიური საფუძველი გაეციდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია სოციოლოგიური კვლევის და ეთნოფსიქოლოგის თვალსაზრისით. ძვიადისა და მისი ხელისუფლების ნინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერის უმრავლესობა არ ჩარეულა, ამ პროცესში... ის, ვინც ჩაერია ამაში და ვინც მონაწილეობდა ამაში... ამაში აღმოჩნდა თბილისის... ესე იგი როგორ მოხდა ეს იდეოლოგიურად, როგორი პიარი გაუკეთდა... ზეიადი არის იზოლაციონიზმი, ჩამორჩენილობა, პროვინციალიზმი, ერთი მხრივ, და ქალაქი, თბილისი, ინტელექტუალური ახალგაზრდობა რაღაც-რაღაცა... და ეს გომიები და ქალაქელები, და მთელი თბილისის აქტიური ახალგაზრდობა, რომელიც პოლიტიკური მონაცემებით აქტიურობდა...

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, გასაგებია...

გელა ჩორგოლაშვილი: ეს ადამიანები აღმოჩნდნენ ამ ოპოზიციაში, ოცეულებში, დაჯგუფებებში.

ნათელა ვაჩნაძე: და პროვინციალიზმად ითვლებოდა მაშინ მოპირდაპირე მხარეზე ყოფნა.

გელა ჩორგოლაშვილი: ახლა მე პროვინციალიზმის ჩემებური განმარტება მაქვს, ჩემი დეფინიცია მაქვს ამისი, მაგრამ ეს სხვა საკითხია. საქმე იმაშია, რომ ძალიან სწრაფად ეს (შევარდნაძე ნ.ვ. ნ.თ.) ჩამოდის მარტი და აპრილ-მაისიდან იწყება ძალიან დიდი ომი, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი. ძირითადად, ამაში მონაწილეობს ახალგაზრდობა და თბილისის ახალგაზრდობა. და აქ გაჩნდა აუცილებლობა ნარკოტიკებისა, მაგრამ არა მარტო გაბრუებისათვის მისი გამოყენებისა... აქ უფრო მზაკვრულად იყო საქმე... უფრო მზაკვრულია ეს სქემა... 22 ივნისის მერე, დაგომისის ხელშეკრულების მერე, როცა რუსული миротворческие силы ჩადგნენ ოსეთში, ცხინვალში... და აქედან გამოვიდნენ შეიარაღებული ფორმირებები და მოსახლეობა... დაიკარგა კონტროლი კავკასიის გადასასვლელებთან და აი, ამ ხეობაში საქართველოს ხელისუფლების რეჟიმმა... მთელი თბილისის ავტომანქანები აღმოჩნდა ცხინვალში, რატომ?... მანქანა, რომელიც გადიოდა, შედიოდა ცხინვალში და იცვლებოდა ნარკოტიკები... წარმოგიდგენიათ, აქ ტანკით და ავტომატით ვერ შედიან და კრიმინალური სამყარო, რომელიც მანქანების ქურდობით არის დაკავებული, 3 წლის მანძილზე მანქანებით ოსეთში შედის... ცხინვალში კი, აი, რა ხდება...

ნათელა ვაჩნაძე: ერგნეთის ბაზრობა... ერგნეთის... ცენტრი.

გელა ჩორგოლაშვილი: აი, მაგალითად, ვინც იცნობს ამ სფეროს... რა არის ოპიუმი.

ნათელა ვაჩნაძე: ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე იცნობს ძალიან კარგად, მაგა-თი მანქანა გაიტაცეს.

გელა ჩორგოლაშვილი: ჩემი მანქანაც გაიტაცეს. 75 პროცენტი მანქანების მათ ხელში აღმოჩნდა. ოპიუმი ბუდას ცრემლია, როგორც მცენარე. ამ მცენარეს აქვს ათასწლოვანი ისტორია და მისი მოხმარების კულ-ტურა და მისი მნიშვნელობა და... თქვენ წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა, რომ რასაც ჩვენ ვუწოდებთ ოპიუმს, ეს არ იყო მთლად ოპიუმი, ეს იყო სინთეზური ნარკოტიკი, რომელიც მზადდებოდა სპეციალურ ლაბ-ორატორიებში, ამას არ სჭირდებოდა დიდი ქარხნის აშენება და პა-ტარა ხეობაშიც შეიძლებოდა მისი დამზადება. აქ იყო სპეციალური ნივთიერებები, რომლებიც ერეოდა ოპიუმთან, ოპიიდების ჯგუფთან შემადგენლობაში კარგად შედიოდა. ეს არ იწვევდა სიკვდილს, მაგრამ რა დეგრადაციას იწვევდა მოქმედების მომენტში და რა დეგრადაციას გამოიწვევს გენეტიკაში, ეს საკითხავია. ის ბავშვები, იმ ხალხის მიერ ჩასახული, 15-16 წლისანი რა მდგომარეობაში არიან დღეს? ზოგმა იკეთა, იკეთა ეს წამალი და მერე თავი გაანება, დღეს ალარ იკეთებს, ნარკომანი კი არ არის, მაგრამ მის მიერ ჩასახული ბავშვი, რომელიც დღეს ასევე ნორმალურია, ექსტრემალურ სიტუაციაში, რა რეაქციას მისცემს, უცნობია. ეს შეუსწავლელი რამეა.

ნათელა ვაჩნაძე: უნდა ვივარაუდოთ, რომ კარგ რეაქციას არ მისცემს. იმი-ტომ იყო გაკეთებული.

გელა ჩორგოლაშვილი: ასეა და ამიტომ ეს 1991-1992 წლის მოვლენები, ჩემო ნინო, ფამილარობისათვის ბოდიში.

ნინო თომაძე: როგორ გეკადრებათ!

გელა ჩორგოლაშვილი: უკავშირდება მრავალი ასპექტით... მე, ჩემი შეხედ-ულებით, ამ მოვლენებს ვაძლევ შეთქმულების კვალიფიკაციას. ეს შეთქმულება იყო კონკრეტულად არა ზვიადის წინააღმდეგ, ზვიადი, რა თქმა უნდა, იყო პირველი პირი და გარანტი ქართული სახელმწი-ფოსი, ამიტომ, გარკვეულწილად, მასზე თავდასხმა იყო სახელმწი-ფოზე თავდასხმა, მაგრამ მიზანი იყო არა ზვიადი, არამედ მთელი ქა-რთველური სამყარო.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან დიდი მადლობა, ძალიან დიდი მადლობა.

გელა ჩორგოლაშვილი: აი, ეს სამყარო აღმოჩნდა დიდი განსაცდელის წი-ნაშე. და ეს რომ შევისწავლოთ და გავარკვიოთ, ამას სჭირდება კვალი-ფიციური კვლევა — უზრუნველყოფილი ფაქტობრივი, ფაქტოლოგიუ-რი და დოკუმენტაციური მასალით. თუ ასე არ იქნება, თქვენი ნაშრომი გადავა პუბლიცისტურ პლანში.

ნინო თომაძე: ე. ი. თქვენ ბრძანებთ, რომ მარტო ზვიადს კი არა, ქართულ მენტალობას, ქართულ იდეას, ქართულ პოლიტიკას ებრძოდნენ.

გელა ჩორგოლაშვილი: საქმე იმაშია, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო კავკასიაში და ქართველურის გავლენა კავკასიაში და კავკასია, როგორც მსოფლიო ფენომენი... სხვა საკითხია, რა როლი აქვს კავკასიას მსოფლიო ცივილიზაციაში, მისი განვითარების ტენდენციებში... და კონკრეტულად, აი, უკვე კავკასიაში რა როლი აქვს ზოგადად ქართველებს. საქართველოს სახელმწიფო 300-400 წლითადი იყო მოკლებული ამიერკავკასიაში წარმმართველის უფლებას. და ის, რომ, აი, ვთქვათ, ძალიან საინტერესოა, რატომ აღმოჩნდა 80-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დიდი იდეოლოგიური ბზარი, იცით, რას უკავშირდებოდა ეს ბზარი? რა იყო მისი დვრიტა? დვრიტა უკავშირდებოდა რუსეთის პრობლემას, ერეკლეს პრობლემას და ერეკლეს პოზიციას. იქ რა პოზიცია დაიკავა ზვიადმა... სად გაიყო თამრიკო ჩხეიძის, გია ჭანტურიას და ირაკლი ბათიაშვილის გზა ზვიადის გზისაგან? რატომ არ დაუჭირა ზვიადმა მხარი? როგორ საზღვრავდა იგი ერეკლეს როლს საქართველოს ისტორიაში?... ასე იყო თუ ისე, საქართველოს რესპუბლიკა 1990 წლის 31 მარტს იყო ერთიანი სახელმწიფო, მართალია, მას ჰყავდა ორი სუბიექტი, რომელსაც ჰქონდა სახელმწიფოებრივი ნიშნები, — გერბი, დროშა, პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი...

ნინო თომაძე: ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ არ იყო სახელმწიფო...

გელა ჩორგოლაშვილი: მოდით, ასე შევხედოთ. თქვენ როგორ გესმით ტერმინები: “დამოუკიდებელი სახელმწიფო” და “სუვერენული სახელმწიფო” ერთი და იგივეა? ეს იდენტური ტერმინებია?

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან ხშირად იხმარება, როგორც იდენტური ცნებები.

გელა ჩორგოლაშვილი: ან ტერმინი “დამოუკიდებელი სახელმწიფო შეზღუდული სუვერენიტეტით”... ამისი მაგალითია ბოსნია-ჰერცოგოვინა, ევროპული სტრუქტურების წევრი, გაეროს წევრია, მაგრამ მისი სუვერენიტეტი შეზღუდულია, რატომ? მას ჰყავს არჩევითი პრეზიდენტი, არჩევითი პარლამენტი, მაგრამ სუვერენიტეტი შეზღუდულია ევროკავშირით. იმიტომ იქ არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია მიიღოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე აღმატებული გადაწყვეტილება. ეს ყველაფერი ხდება საერთაშორისო ეგიდის ქვეშ. ამიტომ ეს კიდევ უფრო რთული საკითხებია... ამიტომ, რა სუბიექტი იყო აფხაზეთი და აჭარა, ეს კიდევ სხვა რამეა... მათ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ნიშნები და კონსტიტუციით მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფოს სტატუსი. ამიტომ...

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლობა გამოაცხადოს?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, მე აქეთკენ არ მიმყავს საუბარი. სხვათა შორის, ჩემს წერილში არის ეს მომენტი და თუ თქვენ წაიკითხავთ ყურადღებით, ნახავთ... მაგრამ მე იმისი თქმა მინდა, რომ ერთიანი სახელმწიფო

იყო მაინც საქართველო. კონსტიტუციურად იგი თითქოს ფედერალური იყო, მაგრამ პარტიული ხაზით უნიტარული იყო. საქართველოს ცეკას მდივანი თავის იურისდიქციას ავრცელებდა აფხაზეთშიც. აქ იყო სხვა სისტემა, მაგრამ ამას თავი დავანებოთ... მე იმის თქმა მინდა, რომ ეს იყო ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ 500 წლის შემდეგ, ერთიანი სახელმწიფო და კიდევ შანსი გვიჩნდება... გესმით? აი, ეს იყო 1990 წლის 31 დეკემბერი.

ნათელა ვაჩნაძე: 31 დეკემბერი?

გელა ჩორგოლაშვილი: ამ სახელმწიფოს შემდეგ გაკეთდა შეთქმულება და სულერთი იყო, ვინ იქნებოდა იქ ლიდერი, მაინც მოხდებოდა. ქართველს აეკრძალა სახელმწიფოს შექმნა იმ საზღვრებში. ახლა რაზე მიდის ვაჭრობა? იმაზე, რომ რუსეთი ამბობს: იმისათვის, რომ კავკასია გავაკონტროლო, მე ჩრდილოეთი გადმოსასვლელები მარტო არ მაკმაყოფილებს. აი, ეს გვირაბი, მაგალითად, როკის გვირაბი, რომელიც გადმოდის რუსეთში, გადის საქართველოშიც. საინტერესოა, რომ საზღვარი რუსეთის ტერიტორიაზე არ ამოდიოდა. სახელმწიფო საზღვარი საქართველოს სსრ-ში როკის გვირაბს სამი კილომეტრით სცილდებოდა. დვალეთზე აღარ ვლაპარაკობ, როგორ წაგვართვეს. აი, ეს საზღვარი, და რუსეთი ამბობს, მინდა გავაკონტროლო. აი, პანკისის ხეობა, თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საზღვარი ჩეჩინეთთან?

ნინო თომაძე: მე მგონი, კი.

გელა ჩორგოლაშვილი: აი, როგორაა გაკეთებული პიარი. ყველა იძახის პანკისის ხეობა... აქედან გადადიან პირდაპირ ჩეჩინეთში. საქმე იმაშია, რომ პანკისის ხეობასა და ჩეჩინეთს შორის არის მთელი თუშეთი, მთელი რეგიონია, მაგრამ იგი გადაყლაპულია. თქვენც კი, კვალიფიციური ისტორიონი, უცბად, პანკისიდან ჩეჩინეთში გადახვედით. მთელი რეგიონი ამოაგდეთ. პანკისის ხეობის მსგავსია ქლუხორი, მამისონი, მარუხი. ე. ი. რუსეთი ამბობს, რომ მე ეს რეგიონი უნდა გავაკონტროლო. მე არა მაქვს პრობლემა სამხრეთ საქართველოში, გინდათ “ტრუბა”, გაიყვანეთ “ტრუბა”, მაგრამ ეს ტერიტორია მე უნდა გავაკონტროლო. სამხრეთში რა ხდება? სამხრეთში თურქია. პანთურქიზმი ჩემი მოგონილი არ არის. დაწყებული ბალკანეთიდან თურქმენეთამდე თურქული ტომებია განლაგებული მთელს 43-ე პარალელზე. იქ არმენების პრობლემა... არმენების და არა სომხების. სომხები ძალიან ცოტანი არიან საქართველოშიც და მსოფლიოშიც. ის, ვინც დღეს სომხები გვგონია, არიან, ძირითადად არმენები. ეს არმენული წყვეტა რა არის... “თურქი - მესხების” პრობლემა რა არის... რა ტერმინია „თურქი - მესხი“? დღეს რატომ უწოდებენ მათ არა “თურქ მესხებს”, არამედ “მესხებს”? ახლა, თუ მესხი ვარ და მესხეთში ვცხოვრობ, მაშინ მე თურქეთში ვიქნები თუ საქართველოში, ჩემი გადასაწყვეტია. ისევე როგორც, მე აფხაზი ვარ, აფხაზეთში ვარ... გესმით, როგორ არის? ეს ტენდენციები როგორ იქმნება? ამას რუსეთი კი არ აკეთებს მარტო,

ეს შეთქმულება როგორ არის... დაუკვირდით, საქართველო რომ არ იყოს საერთოდ კავკასიაში — პრობლემა არ არის, ეს არმენი დღესაც ცხოვრობს თურქეთში, სირიაში... ძალიან კარგად ცხოვრობენ, სხვათა შორის... აი, ამაშია საქმე... აი, ქართველის პრობლემა სად არის, აი, ის რა შეთქმულება იყო, როგორ იყო, რა გარემოებები იყო...

ნინო თომაძე: როგორ ფიქრობთ, ზვიად გამსახურდია ხომ არ იყო სუსტი მმართველი?

გელა ჩორგოლაშვილი: ეს სტერეოტიპია. ამბობენ: ზვიადი იყო პატრიოტი, უნიჭიერესი კაცი, მაგრამ პოლიტიკა არ იცოდაო. ჩემი აზრით, ზვიადი არის იმ სკოლის გამგრძელებელი, რომელიც უკავშირდება ერთიანი კავკასიური მოდგმის სკოლას. იმ ტენდენციას...

ნათელა ვაჩინაძე: გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, პავლე ინგოროვა...

გელა ჩორგოლაშვილი: დიალ, მათი სკოლის წარმომადგენელია და ამ სკოლის პრინციპებზეა ორიენტირებული, მართალია, მას რაღაც თავისი ნიუანსები ჰქონდა, მაგრამ, ძირითადად, ამ სკოლას წარმოადგენდა. მეც ჩემს თავს ამ სკოლას მივაკუთვნებ.

ნათელა ვაჩინაძე: გასაგებია თქვენი განსაზღვრება. საქართველოში მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანს აქვს გააზრებული ე. წ. „სამხრეთ --- ოსეთის“ პრობლემა

გელა ჩორგოლაშვილი: ძალიან ცოტას... რატომლაც ფიქრობენ, რომ იგი აფხაზეთის პრობლემაზე უფრო იოლი მოსაგვარებელია...

ნათელა ვაჩინაძე: (იცინის) მე ვფიქრობ, რომ ასეთი მიდგომა ამ პრობლემის მიმართ არის ძალიან ზერელე დამოკიდებულების შედეგი.

გელა ჩორგოლაშვილი: სამწუხაროდ. აქ საქმე გვაქვს უზნეობასთან უცოდ-ინრობასთან ერთად.

ნათელა ვაჩინაძე: გარდა იმისა, რომ არის გადაღებული კადრები კინოპ-ერატორების მიერ... სხვა წყაროები მე, როგორც ისტორიკოსს, არ გამაჩინა.

გელა ჩორგოლაშვილი: ამიტომ არის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ის, რომ უნდა შევთანხმდეთ, საიდან ვიწყებთ საუბარს. როცა ვსაუბრობთ 1991-92 წლების მოვლენებზე, თუ ჩვენ დავიწყებთ საუბარს თარგამო-სიდან, იქ ვართ ჩიხში. იმიტომ, რომ ეს არ არის პროდუქტიული. ამ-იტომ ამ მოვლენებს მე ვიწყებ 1921 წლის თებერვლიდან, 1918 წლის 26 მაისიდან. საქართველოს სახელმწიფო ეს არის საქართველოს რე-სპუბლიკა. მანამდე სხვა სახელმწიფო... რაც შეეხება ქართლს, აფხ-აზეთის სამეფოს, გურიის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, მათ რუსეთ-თან ურთიერთობებს, წყაროებს, რის საშუალებითაც ეს ურთიერთობა ხდება, ასეთები ბევრია... ბევრია შესწავლილი, გამოქვეყნებული... ქა-რთლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობების რუსეთთან, სპარსეთთან და ა. შ. მე ამიტომ ვცდილობ გავემიჯნოთ, გავმიჯნოთ, ვილაპარაკოთ რე-

სპუბლიკაზე თუ ქართული სულიერების სივრცეზე და ქართულ კულტუროლოგიურ სივრცეზე. თუ ვიწყებთ 1918 წლიდან, როცა ქართველი ერი და მისი ინტელექტუალური ავანგარდი ეპოქის გამოწვევასთან მიმართებაში აკეთებს არჩევანს, ეს არის ქართული სახელმწიფოს სრულიად ახალი მოდელი, რომელსაც, გარკვეულწილად, ამზადებს XIX საუკუნე, ილია, ამისი რეზულტატი გამოიხატა რესპუბლიკაში და რა გაირკვა... მე არ ვიზიარებ ერთ შეხედულებას, ქ-ნო ნათელა, რომ სასრკ-ის დროს საქართველოს სსრ-ს ესე უხეშად რომ მოიხსენიებენ, რადგან, მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა ისტორიაც არის ჩვენი სახელმწიფოს ისტორია, მისი ნაწილია და არ შეიძლება მისი ასე აუგად მოხსენიება, რადგან ყოველივე, რაც აქ, ამ შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოში ყალიბდება, ის მონაპოვარია, რომლის ბაზაზეც ჩვენ დღეს ვმოქმედებთ, დღეს მისი შედეგებითა ვართ.

ნინო თომაძე: მეც ვიყავი პიონერი და კომკავშირელი. ვინც იმ დროს ვცხოვ-რობდით, ყველანი ვიყავით იმ სისტემასთან დაკავშირებული.

გელა ჩორგოლაშვილი: არა, ეგრე არ არის... აქ არის კომპრომისზე ლაპარაკი, აი, წელან მე ვლაპარაკობდი ბ-ნი შოთას (ისტორიკოსი შოთა მესხია ნ.ვ. ნ.თ.) რეცენზიებთან დაკავშირებით. არ იცის რა... არ იცნობს ამ სფეროს და ამას მაინც უთითებს, მაგრამ განა ამითი მის მეცნიერულ საფუძველს რამე აკლდება? ან შეგვიძლია მის მორალზე ვილაპარაკოთ? ამაზე არ არის საქმე, აქ საუბარია მის მონაპოვარზე, რომელიც მან შექმნა.

ნათელა ვაჩნაძე: ვუყურებთ და ვზომავთ დღევანდელი საზომებით იმ დროის ადამიანებს.

გელა ჩორგოლაშვილი: ისინი საბჭოთა პერიოდის მენტალობაში... ეს არის სრული აბსურდი, ქიმერა, ძალადობა ადამიანის გონებაზე, რომელსაც ახორციელებენ ძალიან დიდი მასშტაბებით.

ნათელა ვაჩნაძე: კი მაგრამ, თქვენზე რომ ახორციელებენ ამას ძალიან დიდი მასშტაბებით, თქვენი ტვინი ამ დროს რას აკეთებს? ადამიანის ტვინი ამ დროს რას აკეთებს?

გელა ჩორგოლაშვილი: ჩემი პარადიგმა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის დაუმორჩილებლობის, არ დამორჩილების პარადიგმა. ამიტომ ვამბობ, რომ ისევე მისი ინტელექტუალური ნაწილი, მისი ავანგარდი... ახლა სოციალ-დემოკრატები იყვნენ თუ ილია როგორ მოკლეს, ეს სხვა საკითხებია... მაგრამ ყოველ შემთხვევაში აკაკი ჩხერიმელი იქნება, კაკი წერეთელი იქნება, ნოე ჟორდანია იქნება... ჩემთვის მნიშვნელოვანია საქართველოს რესპუბლიკის ისტორია, რომელიც არის კიდევ სხვა პლასტი საქართველოს ისტორიის. ჩემი აზრით, ეს არის უახლესი ისტორიის პლასტი და დღეს საქართველოში რესპუბლიკა დატოვებულია როგორც ფორმა და სახელმწიფო საქართველოს რესპუბლიკა... არ არის გაფორმებული არანაირი იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც

არსებული სახელმწიფო უკავშირდება მას როგორც სამართალმონაცვლე მისი. ეს ფაქტია... მაგალითად, 1918-21 წლის რესპუბლიკასთან ქართულმა სახელმწიფომ, საბჭოთა საქართველოს პირობებში კავშირი განახორციელა რეფერენდუმის გზით, როცა მან შექმნა იურიდიული დოკუმენტი, როცა ქართველი ერი დაუკავშირდა... 31 მარტის რეფერენდუმში დასმული იყო ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა: — ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობას 1918 წლის 26 მაისის...

ნათელა ვაჩნაძე: ამ რეფერენდუმის კითხვები ვისია?

გელა ჩორგოლაშვილი: ზვიადმა შეადგინა... ჯონი ხეცურიანიც მონაწილეობდა...

ნათელა ვაჩნაძე: თუ ბ-ნი სერგო?

გელა ჩორგოლაშვილი: სერგო ჯორბენაძეც, მაგრამ უფრო ჯონი ხეცურიანი. იგი მუშაობდა დეკლარაციის საკითხზეც კი. მაგალითად, დეკლარაციის პირველი პირი დღემდე ბ-ნ ჯონისთანაა, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მითხრა...

ნათელა ვაჩნაძე: ბ-ნო გელა, ჩვენ ძალიან ბევრ საკითხს ვეხებით და მეშინა...

გელა ჩორგოლაშვილი: მე რესპუბლიკაზე ვლაპარაკობდი. ახლა მინდა შევეხო ცხინვალის საკითხს. ბ-ნმა ზვიადმა ეს საკითხი ერთი პერიოდი მე ჩამაბარა და ძალიან ბევრი მასალები მაქვს ამასთან დაკავშირდით. მერე იყო საპარლამენტთაშორისი კომისია --- ежпарламентская комиссия депутатов верховных советов Грузии, РСФСР и СССР. ეს კომისია ცხინვალის საკითხებს აგვარებდა და მისი თანათავმჯდომარე ვიყავი საქართველოს მხრიდან მეც.

ნათელა ვაჩნაძე: და ვინ იყო კიდევ?

გელა ჩორგოლაშვილი: კომისიის წევრი იყო ნოდარ ნათაძე. იგი ძალიან აქტიური იყო, ოპოზიციაში იყო, ჩემი რეკომენდაციით შემოიყვანეს კომისიაში. შეხვედრებში არ მონაწილეობდა ბ-ნი ნოდარი, მაგრამ მერე, გადატრიალების მერე, როცა თავდაცვის მინისტრი გახდა ეს კომისიის თავმჯდომარე. იН ხვალ მინისტრი გახდა ეს კომისიის თავმჯდომარე. მერე კიდევ მონაწილეობდა მაგ საკითხებში, დაგომისის ამბები და ა. შ. და ამიტომ, შესაძლოა, უფრო უკეთესად იცოდეს ეგ დოკუმენტები, მაგრამ ამ პერიოდში, პირველი პერიოდი... მე მაქვს პრეისტორია ცხინვალის ოლქის შექმნისა... დოკუმენტები და ა. შ. რაც ხდება მერე... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რა გადაწყვეტილებას იღებს ამასთან დაკავშირებით... როგორ იქმნება ეს ოლქი... ამას რა საფუძველი ჰქონდა...

ნათელა ვაჩნაძე: თითქოს შესწავლილია ეს პრობლემა ჩვენი ან გარდაცვლილი კოლეგის ავთანდილ მენთეშაშვილის მიერ... ნიგნებიც აქვს...

გელა ჩორგოლაშვილი: ეს სულ სეგმენტებია. მე მეშინია თქვენს ნიგნსაც იგივე არ დაემართოს... ნაკლი რა აქვს ყველას — სეგმენტში სწავ-

ლობენ, სრულ სურათს არ იძლევიან, რადგან ამოსავალი დებულება არის დაკარგული. კონცეპტუალურად ვერ სწავლობენ. აი, ეს არის გასაკეთებელი.

ნათელა ვაჩნაძე: ყველას, ვინც ამ საკითხებში ჩართული იყო, მოქალაქეობრივი ვალია, გაიღოს ინფორმაცია. სხვანაირად როგორ უნდა აიგოს კონცეფცია?

გელა ჩორგოლაშვილი: 7 წელიწადია, ვცდილობ, მოვიძიო თანხები. პრინციპში, თანხის გარეშე ვერ გააკეთებ ვერაფერს, რომ გამეკეთებინა ის, რასაც თქვენ აკეთებთ. რაღაც გავაკეთე, მაგრამ ამ დონის სამუშაოს კიდევ სხვა თანხები სჭირდება, ეს არ არის ერთი ადამიანის გასაკეთებელი. მე შემიძლია ამაზე დისერტაცია გავიტანო და დავიცვა და ეს იქნება ბომბი, მაგრამ მე დისერტაციის დონეზე ამისი გაკეთება არ მინდა... ახლა რაღაცას ველოდები, რადგან ვთვლი, რომ დრო ფუჭად დაკარგული არ არის... ამიტომ თქვენი საუბარი ჩემთვის ძალიან ახლობელია. თქვენ ახლა იწყებთ... მე ამაზე 7 წელია ვფიქრობ, 150 პუბლიკაცია მაქვს გამოქვეყნებული პრესაში. მე ჩემს კვლევას არ გიმაღავთ... გიხსნით...

ნათელა ვაჩნაძე: ასეთი კონცეპტუალური კვლევა მე ჩამიტარებია.

გელა ჩორგოლაშვილი: ნოდარ ნათაძესაც აქვს წიგნი „რაც მახსოვს“.

ნათელა ვაჩნაძე: აი, თქვენ რასაც ბრძანებთ, ასეთი პრინციპი ამ წიგნშია გატარებული... მე საბჭოთა პერიოდში მეჯავრებოდა, როგორც შავი ჭირი, თუმცა ყველას შეგვეძლო გვემუშავა მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე და მე ეს არ ვინდომე... ეს რომ მომენტომებინა, როგორ უნდა გამოვჩენილიყავი უნივერსიტეტში, მის ბალში როგორ უნდა დავმჯდარიყავი მერაბთან, ზვიადთან, გურამ დორჩანაშვილთან, ჯონ-დო მეტრეველთან ერთად. აი, თქვენ რასაც ბრძანებთ, ნათაძის წიგნიდან გამოსჭვივის. მის სათაურში ავტორის კონცეპტუალური მიდგომა ჩანს. აი, ამას მთხოვთ თქვენ, რომ გავაკეთო საქართველოს უახლეს ისტორიაში...

გელა ჩორგოლაშვილი: სხვანაირად არ გამოვა, ქ-ნო ნათელა.

ნათელა ვაჩნაძე: ამისი გამოცდილება საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის მიმართ მე მაქვს. შემიძლია ჩემი კვლევის უნარი წარვმართო აქეთ.

გელა ჩორგოლაშვილი: მე ვიცნობ თქვენს პროფესიულ შესაძლებლობებს, გიცნობთ როგორც პიროვნებას და ძალიან გაფასებთ. ასე რომ არ იყოს, აქ არ მოვიდოდი. თქვენ ზუსტად გამიგეთ და მიხარია, რადგან სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა. ჩემთვის ნოდარის წიგნს კი რა ფასეულობა აქვს, მე გეტყვით. რამდენიმე ადგილას ნოდარი წერს, რომ მე გადავარჩინე სახელმწიფო დოკუმენტები. მაგ მხრივ ფასეულია ეგ წიგნი. მაქედან იპოთეკურმა მკვლევარმა შეიძლება ერთი-ორი წინადაღება ამოილოს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ უკვე ამ საკითხებს უყურებთ თუ და მოვლენათ შუაგულში არ დგეხარ. გახვედით ორბიტიდან. ბოდიში, ცუდად არ გამიგოთ და დაიკავეთ პოზა. ისტორია ფილოსოფოსის თვალით თუ ისტორიკოსის თვალით ხილული ისტორიის ფილოსოფია. აქ შედის პოლიტოლოგიაც, სოციოლოგიაც, ეთნოფსიქოლოგიაც. ამას ეწოდება დისციპლინათაშორისი კვლევა.

გელა ჩორგოლაშვილი: გეთანხმებით აბსოლუტურად.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ჩემგან შორს არ არის, იმიტომ, რომ ეთნოფსიქოლოგიაზეც მიფიქრია და მიმუშავია... კოლექტიურ აზროვნებაზეც მიფიქრია და მიმუშავია. კოლექტივიზმია ის მიტინგები, სადაც ხალხი მოუწოდებდა ერთმანეთს, სადაც ზოგი მთავარ როლს თამაშობდა და ზოგიც იყო ქოროში, დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა.

გელა ჩორგოლაშვილი: აი, გუშინ სიგუა რომ ამბობს — 12 კაცი, თქვენ იცით ეს? ნათელა ვაჩნაძე: კი, ვიცი, სიგუა ჩაწერილი მყავს მრავალი საათი.

გელა ჩორგოლაშვილი: იცით, როგორ არის? სტალინური რეპრესიების დროს სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ არ ჰყოლოდით რეპრესიების ჩამტარებლებს მხარდამჭერები მენტალობაში და ეთნოფსიქოლოგიაში.

ნათელა ვაჩნაძე: მე მინახავს ისინი დიდი აღლუმების და საზეიმო დემონსტრაციების დროს... რამხელა ენთუზიაზმია.. აბა, გადით ტიტველი 7 ნოემბერს წითელ მოედანზე...

გელა ჩორგოლაშვილი: შეუძლებელი იყო ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, იმხელა მხარდაჭერა ჰქონდა ზვიადს, რომ... აი, ედპ წავიდა 200-300 კაციან მიტინგზე კინოს სახლთან... მაგრამ მერე, უცბად, თბილისის ქუჩები გაივსო. დიდი მანიფესტაციები იმართებოდა, ქ-ნო ნათელა.

ნათელა ვაჩნაძე: აბა, ახსენით ეს მოვლენები.

გელა ჩორგოლაშვილი: ესე არ არის, რომ მარტო ხუთმა კაცმა გადაწყვიტა ზვიადის დამხობა მერე. აქ რომ მხარდამჭერები არ ყოფილიყვნენ... გუშინ სიგუამაც თქვა, რომ ხალხის სახელით კი არა, მხარდამჭერების სახელით ვლაპარაკობო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მან გათიშა ხალხი მხარდამჭერებისაგან?!

გელა ჩორგოლაშვილი: აი, ეს მომენტი... ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ის მასაა, რომელიც ერის ნაწილია, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა არ არის. არსებობს **диктатура большинства** и **диктатура меньшинства**... დემოკრატია რა არის? — უმრავლესობის ბატონობა გარკვეული თვალსაზრისით. საინტერესოა, რამდენად იყო მაშინდელი საზოგადოება დაყოფილი მენტალური თვალსაზრისით. თქვენ გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე, როცა სექტემბერში კონგრესის არჩევნები ტარდება და მიტინგებია, მათ ატარებს ჭანტურიას ფრთა, რომელსაც კონგრესის ათასობით მხარდამჭერი ესწრება, მერე მრგვალი მაგიდა

აქეთ, რომ სცილდება... მერე ფორუმი, როცა ფორუმი ერთად არის, რა ხდება... ხალხი როგორ მონაწილეობს, მერე როგორ იყოფა... მერე კიდევ როგორ იყოფა.. მერე სიგუა რომ მიუთითებს, სად იყო ის ხალხი... მხარდამჭერები სად იყვნენ? იცით რა ტენდენციებზე მიუთითებს სი-გუა? ეს არის **КОЛЛЕКТИВНОЕ ПОДСОЗНАТЕЛЬНОЕ**, კოლექტიური არაცნო-ბიერის მომენტი როგორ მუშაობს ქართულ მენტალობაში... აქ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია... საინტერესოა, როგორი იყო გათვლები. აი, ვინც ამას თვლიდა... ვინც აწყობდა სქემას... ეს ეთნოფსიქოლოგი-ის საკითხები როგორ იყო გათვალისწინებული... ქართველზე როგორ იმუშავეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იცით, ამაზე რამდენი ინსტიტუტი მუშაობდა?

გელა ჩორგოლაშვილი: ძალიან ბევრი. მე, მაგალითად, 1976 წლიდან ვარ ეროვნულ მოძრაობაში ზვიადთან ერთად... ვარ მისი ნდობით აღჭურ-ვილი მის არჩევნებში, მაგრამ მერე მომიხდა მასთან კონფრონტაცია, ვარ ქარტიის წევრი და ვარ ოპოზიციაში... წარმოიდგინეთ, რა ხდება ჩემს გარშემო იმ პერიოდში: მანქანას მიფეთქებენ, ჩემს ბავშვებზე იყო ფსიქოლოგიური ზენტრები, ოჯახში რეკვები... დედაჩემს სამი კვირის მანძილზე სამჯერ შეატყობინეს ჩემი სიკვდილი... მას სიმ-სივნე დაემართა ამ ნიადაგზე... მე, მაგალითად, შევდივარ ზვიადთან და ვეუბნები – ჩემზე ტერაქტია, თავდასხმაა და უნდა განაცხადოთ, რომ გმობთ ტერაქტს. ზვიადი მპასუხობს: მე მითხრეს, რომ შენ თვი-თონ ააფეთქე.

ნინო თომაძე: ვინ მითხრაო, არ უთქვამს?

გელა ჩორგოლაშვილი: კომპეტენტურმა ორგანოებმაო... მაშინ ეს მომენტი პირდაპირ გავიგე და მეგონა, რომ ამან გაუტია... ვერ არის... ასეთი მო-მენტები ერთმანეთს დაედო და გამოიწვია ჩემი ოპოზიციონერობა. მა-გრამ დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ ამ ამბავს, ვხვდე-ბი, რომ ამაში არის ორაზროვნება გარკვეული თვალსაზრისით... რას მეუბნება ზვიადი, ნახეთ? პირდაპირ კი არ მეუბნება, რომ ბომბი შენ დაუდე, არამედ შენი საქციელით განაპირობე ნეგატივი... მაგრამ მე ასე მოვიქეცი თუ ისე, არის დანაშაული, კანონის დარღვევა და ამაზე სახელმწიფომ რეაქცია უნდა მისცეს და რომ არ აძლევს რეაქციას ამაზე... მე ვფიქრობ, რომ ეს არის დარღვევა...

ნათელა ვაჩნაძე: ბ-ნო გელა, ამ მიზეზის გარდა იყო სხვა მიზეზებიც, რის გამოც ოპოზიციაში გადახვედით?

გელა ჩორგოლაშვილი: შევთანხმდეთ ტერმინებზე... ოპოზიცია არ ნიშ-ნავს მტრობას... თუმცა არსებობს პასუხისმგებლობა, რომელსაც ვერ გაექცევი.. არის დანაშაული... არის შეცდომები, რომლებიც დან-აშაულის ტოლფასია და მერე თავის მართლება – მე არ ვიცოდი, გა-მოუცდელი ვიყავი, ეს ვიყავი, ის ვიყავი. . . ეს უკვე სხვა საკითხებია. არის დანაშაული – არის სასჯელი. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ეს

არის გარემოებები, მთელი რიგი გარემოებები... აი, როცა ლაპარაკია, ზემოხსენებული ინსტიტუტები როგორ მუშაობდნენ შტატებში, რუსეთში და სხვაგან... ჩვენ ვუსმენდით გოლოს ამერიკი, რადიო სიტყვის, სამართლებოდა... მამაჩემს ვუმალავდი.

ნათელა ვაჩნაძე: მუსიკოსი ხომ არ იყო მამათქვენი?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, მამაჩემი მფრინავი იყო და დღესაც სტალინელია. იყო კომუნისტი და სახლში სტალინის ძეგლი გვედგა... ოჯახში მყავდა „კგბ.“ მამაჩემი მსოფლმხედველობრივად იყო იმ სახელმწიფოს ერთგული, რომელსაც მე არ ვაღიარებდი, ქ-ნი ლენა იყო, ჩხეიძე, ჩემი მეზობელი, ბ-ნი ზურაბ პატარიძის დედა, რომელიც იყო სოციალ-დემოკრატი, უორდანიას და წულუკიძის დიდი ოჯახის წევრი.

ნათელა ვაჩნაძე: კარლო ჩხეიძის რა იყო?

გელა ჩორგოლაშვილი: მე მგონი, ძმისშვილი და იქ ჩვენს შორის იყო დავა. ლენას ვედავებოდი როგორც სოციალ-დემოკრატს, რადგან მაგ ხალხს ილიას მკვლელების რანგში განვიხილავდი, მამაჩემს კომუნისტებზე ვედავებოდი და ვეკამათებოდი. რისი თქმა მინდა... ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობდნენ, იმხელა გამოცდილების... მე, მაგალითად, ვთვლიდი ჩემს თავს გამოცდილ ადამიანად, რადგან სულ ზეწოლის ქვეშ ვიყავი, სულ ჩხეიძე... სულ „კგბ“. თან ძალიან ეჭვიანი მასწავლებელი მყავდა... ზვიადი იყო ძალიან ეჭვიანი კაცი. ზვიადმა საერთოდ ტყუილის ფილოსოფია შექმნა. რაც იყო მის გარშემო, ყველაფერი ტყუილი იყო. თვითონ ქმნიდა ტყუილის ფილოსოფიას. ეს იყო სიბრძნე-სიცრუის ახალი ვერსია და ძალიან მინდა მიაქციოთ ყურადღება ამ დებულებას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია მისი ფსიქოტიპის შეფასების მომენტში, რადგან რასაც ზვიადი აკეთებს, სულ ტყუილია. დღემდე ვერავინ ვერაფერი გაარკვია, მოკლეს თუ თავი მოიკლა? დღესაც მის ირგვლივ სულ ტყუილებია. ბევრი საკმაოდ ჭკვიანი და განათლებული ადამიანი ამბობს, მაგალითად, რომ ზვიადი იყო სატანა. არსებობს ხალხი, როსტომ ჩხეიძე და მისთანები, რომლებიც ამბობენ, რომ ის იყო მესია. ზვიადის პერსონა ამ მომენტს იმსახურებს... ეს მოგონილი კი არ არის, ეს მართლაც ასეა. თქვენ დიდი შრომა გჭირდებათ ზვიადის ფენომენის შესასწავლად. მაგალითად, ზვიადის სულიერი მისია, ეს ვიქტორ რცხილაძესთანაც არის. რცხილაძის წიგნი ძალიან საინტერესოა. აი, მაგალითად, რომ ავილოთ პრომეთეს საკითხი, როგორ განიხილავს ზვიადი პრომეთეს. ის მითი, რომელიც უკავშირდება ზევსის და პრომეთეს შეხვედრას კორინთოში და ის ტყუილი, რომელიც პრომეთესგან არის ნათქვამი სამსხვერპლო ხალხის განაწილების თაობაზე, იცით, ალბათ, რომ პრომეთემ მოატყუა ზევსი და მისი ქურუმები, მსხვერპლის საუკეთესო ნაწილები თვითონ დაიტოვა, მათ კი ცუდი ნაწილები არგუნა, --- ამას, იცით, როგორ ინტერპრეტაციას უკეთებს ზვიადი? იგი თვლის, რომ პრომეთეს ინტელექტუალი იყო უფრო მაღალი. მე ეს იმიტომ მოვიყვანე, რომ შევეხმიანე ქალბატონ ნათელას იმ დებულებაში,

რომ ის გამოცდილებაც კი, რომელიც მე მქონდა დაგროვილი სპეცსამ-სახურებთან შეხების პროცესში, ჩემთვისაც კი აღმოჩნდა, რომ... ისე დალაგდა ეს გარემოებები და ისეთი მომენტები შემექმნა გარშემო, რომ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა სახელმწიფოს მომავლის ინტერესს, იმ მომენტში სრულიად ვაკუუმში აღმოჩნდა. ახლა რომ ვკითხულობ, ამდენი წლის შემდეგ, ზვიადის ჩვენდამი მიმართვას, რომელიც პირადად ჩვენდამი გააკეთა, ოპოზიციის იმ ნაწილისადმი, რომელიც მისი წიაღიდან იყო გამოსული... დაახლოვებით 15-16 კაცისადმი... და რომ გვთხოვდა, მრგვალ მაგიდაში არ შეგვეტანა ბზარი, ის არგუმენტები, რომლებიც მას მოჰყავდა იმ მომენტში, ჩემთვის იყო გაუგებარი. კი მესმოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ მომენტში არ იმოქმედა. გავიდა წლები... და რომ ვკითხულობ ამ მიმართვის ტექსტს, მიკვირს, როგორ ვერ გავიგეთ ეს?! რატომ არ გვეყო ეს არგუმენტები, რათა ამ დროს ჩვენი პოზიციებისათვის გადაგვეხედა?... თქვენ როგორ ფიქრობთ, ვთქვათ... მთელი უნივერსიტეტი არის ოპოზიციური და მის ეზოში არის მიტინგები?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ასე ფიქრობთ, რომ უნივერსიტეტი ოპოზიციურია? გელა ჩორგოლაშვილი: არა, მე ვიძახი რაოდენობით, უნივერსიტეტის ეზო სავსეა, მისი პროფესურა... თან ეს არის პერიოდი, როცა საქართველოში 60-70 კავი, როგორც მარგიანმა თქვა, სხვათა შორის, მარგიანმა ეს არ თქვა იქ... ნარმოგიდგენიათ, რა 60-70 კაცი იყო იქ კომუნისტური პარტიიდან? სიებით გასული უზენაესში? იქ იყო მარიკა, იქ იყო ეს... ის...

ნათელა ვაჩნაძე: ქ-ნი მარიკა არასოდეს ყოფილა უზენაესი საბჭოს წევრი. შეიძლება, ნინო ჯავახიშვილი და თამარ დეკანოსიძე იყვნენ, ნათელა ქუთელია, მაია მაჭავარიანიც.

გელა ჩორგოლაშვილი: კი, ესენი იყვნენ. რა ხდება ამ დროს სახელმწიფო უნივერსიტეტთან? ამ დროს საბჭოს (უზენაესი საბჭო ნ.ვ. ნ.თ.) სესიები ტარდება მინისტრთა კაბინეტის კინოთეატრის დარბაზში, რომელსაც მერე უწოდეს ბუნქერი. ეს კინოთეატრი არის უზარმაზარი, არის მიწისქვეშ, იქ არ არის ფანჯრები, იქ არის ძალიან დიდი დარბაზი, რომელშიც, დეპუტატების გარდა, ვინ ხალხია, კაცმა არ იცის. ვკითხულობთ – რატომ არის უცხო ხალხი? სესიებზე უცხო ხალხია, ვიღაც უცნობები იარაღით დადიან. ვერ შევდივარ უზენაესი საბჭოს შენობაში... რას აკეთებენ, მიყყავართ ავტობუსით, იღება კარები... აქედან დგას ავლანელთა კავშირის თავმჯდომარე ნოდარ გიორგაძე და მისი შეიარაღებული ხალხი. ჩვენ ავტობუსიდან ჩამოვდივართ და შევდივართ... აქ ვიღაც ქალები არიან, რომლებიც კივიან... წივიან... რაღაც მაკრატლებით არიან, ხელით გეხებიან, გვპორტყვნიან, გაგინებენ დეპუტატებს.

ნათელა ვაჩნაძე: (ხმამაღლა იცინის)

გელა ჩორგოლაშვილი: ამ სიტუაციაში ჩადიხარ სესიაზე, შედიხარ და გა-
მოდიხარ იქიდან. და უნივერსიტეტში იკრიბება ეს 50-60 კაცი ოპოზი-
ცია. ჯდება ავტობუსში, მიჰყავთ და მერე ავტობუსითვე უკან მო-
ჰყავთ. აი, ეს ფსიქოლოგიური მომენტი ზემოქმედებს მერე შენზე,
შენ ისეთ დაპირისპირებაში შედიხარ ფსიქოლოგიურად, რომ არ ხარ
მერე კონსტრუქციული... იქ მერე შეიძლება მართლა ვეღარ გაიგო-
ნო ვერაფერი... მე ვავითარებ იმ აზრს, რომ შეთქმულების ნაწილი...
როცა შეთქმულება დგებოდა, იქ ბევრი რამე იყო გათვალისწინებუ-
ლი. ყველაფერი კონცენტრირებულად ხდებოდა, მაგრამ იყო ნაწილი,
რომელიც ამას არ აკეთებდა... ესენი იყვნენ დეპუტატები, რომლებიც
აუცილებლად მერე მოდიოდნენ სახლში და “კგბ”-ს უკეთებდნენ დაკ-
ლადებს ან “ცრუ”-ში აგზავნიდნენ “სვოდკას”... იქ იყვნენ ადამიანები,
რომლებიც თავიანთი გულუბრყვილობით, შეხედულებით, უცოდინ-
რობით აღმოჩნდნენ ამ პროცესში.

ნათელა ვაჩნაძე: ყველაფერი ეს რომ გავაერთიანოთ, საკმაოდ დიდ თაი-
გულს მივიღებთ.

გელა ჩორგოლაშვილი: ამიტომ ვამბობ, რომ ეს იყო შეთქმულება და ის სამ-
სახურები, რომლებიც ათეულობით იყო, ინსტიტუტები... აი, ის ინსტი-
ტუტები მუშაობდნენ ამაზე, ქ-ნო ნათელა. ჩვენზეც იმუშავეს, ჩემზეც
იმუშავეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი თანამებრძოლები ვინ არიან?

გელა ჩორგოლაშვილი: ჩემი მდგომარეობა ცოტა განსხვავებულია. როცა
გადატრიალება მოხდა, მე უკვე ქარტიიდანაც წამოვედი.

ნათელა ვაჩნაძე: სანამ მოხდებოდა გადატრიალება, ხომ იყავით ქარტიაში?

გელა ჩორგოლაშვილი: ქარტიამ იარსება სულ ხუთი თვე.

ნათელა ვაჩნაძე: ეს დიდი მნიშვნელობის მქონე ხუთი თვეა. მე ვიცი, მაგ ქა-
რტიის ხელმძღვანელი ვინც იყო.

გელა ჩორგოლაშვილი: პაატაშვილი, დიახ. მაგრამ არის ისეთი რაღაცები,
რომელიც მე არ ვიცი. აი, ქარტიის წევრი ვიყავი და არ ვიცი... აი, მაგ-
ალითად, იმ შეხვედრაზე, რომელიც ბატონმა ვალტერ შურლაიამ გაა-
კეთა, ესწრებოდა ბ-ნი ზვიად ბოკუჩავა, რომელიც მაშინ იყო სუკის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ნათელა ვაჩნაძე: ხუთი დღე იყო თავმჯდომარე,

გელა ჩორგოლაშვილი: მოადგილე იყო ოთარ ხატიაშვილის, და იქ იყო თენ-
გიზ დიხამინჯიაც და რაღაც მომენტში ამ საუბრის, ზვიადმა გაიხსენა
და თენგიზს ეუბნება: – გაიხსენეთ, რომ წყნეთში... აქ, აქ და აქ თქვენ
შეკრებებს ატარებდით. მაშინ ქარტია ჯერ არ იყო. და ეს რომ მოყვა,
მე ვუთხარი: – შენ რას ლაპარაკობ, მე არ ვიცი, ზვიად, მე არ ვყოფილ-
ვარ იქ. ზვიადმა მითხრა, რომ მე ვიცი ეს, რადგან შენ იქ არ დადიოდიო.

ნათელა ვაჩნაძე: ისინი დადიოდნენო?

გელა ჩორგოლაშვილი: ჰო. იყო რაღაცები, რომლებიც ჩემთვის ცნობილია, და ისეთი რამეებიც, რაც უცნობია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არავინ ანგარიშს არ ჩაგაბარებდათ, შევარდნაძე თვითონ წერს ამის შესახებ, ამბობს და ცნობილი ამბავია.

გელა ჩორგოლაშვილი: მე შევარდნაძესთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს, იგი, ძალიან კარგად ვიცი, ვინც არის. შევარდნაძე რამდენჯერმე შემხვდა პირადად, მთხოვა, მასთან გამეგრძელებინა მუშაობა გადატრიალების შემდეგ. მე უარი ვუთხარი და უარი ვუთხარი პარლამენტში შესვლაზე.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ იყო ასე დაინტერესებული თქვენით შევარდნაძე?

გელა ჩორგოლაშვილი: იგი პირველად გავიცანი 1978 წელს, მაშინ აფხაზეთის საკითხებზე იყო და მაშინ გაიმართა მიტინგი... საპროტესტო აქცია, რომელსაც ვესწრებოდით თორმეტიოდე კაცი... საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინ... მაგრამ, მე მგონი, 1979 წელი იყო. და აქ აფხაზეთის საკითხი იყო და უკავშირდებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის საკითხსაც. მაშინ კაკო მონაწილეობდა ამ საკითხში, ბაქრაძე, ნუგზარ კობერიძე, ზვიადიც მონაწილეობდა ამ პროცესში, მაგრამ ცოტა სხვანაირად. მე ვიყავი აქ ზვიადისაგან... აი, თამრიკო ჩეეიძე იყო მაშინ იქ ჩვენთან ერთად, მარინა იყო კოშკაძე...

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, მახსოვეს. ღამის 3 საათზე წამიყვანეს მანქანით, გურამ მამულია მოვიდა. წამიყვანეს ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე არ-სებულ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახლში. აღარც მახსოვეს, ვისთან მიმიყვანეს. მარინას ჰქონდა... მე არ დამიწერია მისთვის ნიშანი საკურსოში და ვიღაცას არ დაუწერია ჩათვლა, ვიღაცას არ დაუწერია ნიშანი გამოცდაში... მოკლედ, გასარიცხად ჰქონდა საქმე... მე, შოთა მესხიასი არ იყოს, არა მხოლოდ გადამაკეთებინეს ნიშანი... სხვაგან წამიყვანეს გივი ღამბაშიძემ და გურამ მამულიამ და სხვა ლექტორებისთვის მათხოვნინეს ნიშნები, რომ არ გაერიცხათ უნივერსიტეტიდან. ასე ემტერებოდა “კგბ”, როგორც დისიდენტს.

გელა ჩორგოლაშვილი: მოკლედ, 1978 წელია... და მაშინ ჩამოვიდა ერთი პიროვნება, შიული შარტავა, მაშინ ცეკაში იყო თუ კომკავშირის ცეკაში და ნუგზარ ფოფხაძე. მათ თქვეს, რომ შევარდნაძე არ შეხვდება სუყველას, მაგრამ 3-4 კაცს შეხვდება. მაშინ პირველი მიტინგი იყო, 1956 წლის შემდეგ, და ჩვენ შევეღით, რამდენიმე კაცი ედუარდთან. იგი მაშინ პირველად ვნახე პირისპირ. და შევარდნაძე მაშინ დამემუქრა: – “მოგსპობთო”. და მერე რას აკეთებდა, იცით? მამაჩემი ხომ მფრინავი იყო და შევარდნაძე არ იყო არც პოლიტბიუროს წევრი, არც კანდიდატი და დადიოდა თვითმფრინავით და სთხოვდა მამაჩემს, რომ წაეყვანა. აი, ეს წლები გრძელდებოდა და მამაჩემი ატარებდა მას მოსკოვში, მერე როგორც კომანდირ კორაბლა. მერე შევარდნაძე ვნახე

1992 წელს, იგი ჩამოვიდა 7 მარტს... მე აეროპორტში არ დავხვედრი-ვარ... ვნახე 8 აპრილს. მან მთხოვა თვითონ შეხვედრა, საუბარი ეხე-ბოდა ცხინვალის ვარიანტს. მე ხომ ამ კომისიის წევრი და თანათავმ-ჯდომარე ვიყავი. რამდენჯერმე შემხვდა და მთხოვა, რომ აქ იყავი და გააგრძელე ამ თემაზე მუშაობაო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ის დარწმუნდა, რომ თქვენ ცხინვალი იცით.

გელა ჩორგოლაშვილი: დიახ, თუმცა მე ვუთხარი არა, რადგან იგი ასე აყენებდა საკითხს, რომ ეს ეთნოკონფლიქტია. მე ვეუბნებოდი: – ამას ეთნოკონფლიქტად ვერ გავაფორმებ. ის ამბობდა, რომ ახლა ასეა საჭ-ირო და მერე გადავიტანოთ პოლიტიკურში, მერე მე გავაკეთებ ინ-ტერნაციონალიზაციას, მაგრამ ახლა უნდა ვთქვათ, რომ ეთნიკური კონფლიქტია.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ აინტერესებდა ასე საკითხის დაყენება?

გელა ჩორგოლაშვილი: იმიტომ, რომ აფხაზეთიც ეთნოკონფლიქტად გაა-ფორმა. ამ სტატიაში კარგადაა ყველაფერი... (აწვდის თავის სტატიას, ნ.ვ. ნ.თ.)

ნათელა ვაჩნაძე: ეს პირველი საკითხია. ეთნოკონფლიქტია თუ პოლიტიკუ-რი საკითხია, საქართველოს საზღვრებს გარეთ გადის ეს ამბავი.

გელა ჩორგოლაშვილი: და თედო პაატაშვილი იყო, იყო... ბოლოს ქარტია-ში შევიდა და ქარტიას ძალიან დიდი ის გაუკეთა მაშინ. ქარტიამ 11 ოქტომბრის არჩევნებში შეიყვანა იმაზე მეტი დეპუტატი პარლამენ-ტში, ვიდრე ედპ-მ, გია ჭანტურიამ. აი, ამხელა რეიტინგი ჰქონდა ქარ-ტიას მაშინ. მაგრამ მე არ შევედი.

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენ გჯერათ, რომ რეიტინგით გავიდა?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, რეიტინგი ჰქონდა იმაში, რომ როცა გადანაწ-ილდა ადგილები ჰო... 12 შენ, 11 შენ, 7 შენ და ა. შ., იქ ჰქონდა რეიტინ-გი, რომ 12 კაცით შევიდა. სხვათა შორის, იქ იყო მიშიკოც, ქარტიაში და პირველი კონფლიქტი მიშას და პაატაშვილს შორის დაიწყო მაშინ, როცა პაატაშვილი შეპპირდა ჩემს ადგილს და მერე აღარ მისცა. და მიშიკო დარჩა პარლამენტის გარეშე და მერე წავიდა ამერიკაში. მერე ჩემთან იყო ინსტიტუტში. მერე ჩემი რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა ბ-ნ კავშაძესთან კომიტეტში და მერე ჩემივე რეკომენდაციით წავიდა ამერიკაში. აი, ასეთი სიტუაცია იყო. ეს იმიტომ მოგიყევით, რომ ცოტა სხვანაირი სიტუაცია მქონდა. მე მრგვალი მაგიდის პასუხისმგებელი წარმომადგენელი ვიყავი; ქარტიის სხვა წევრები მოსულები იყვნენ 87-89 წლებიდან, მე ზვიადთან უფრო ხანგრძლივი კავშირი მაკავ-შირებდა. მერე, რომ მოხდა გადატრიალება, შევწყვიტე პოლიტიკური აქტიურობა, იმ გაებით, რომ უარი ვთქვი არჩევნებზე, პარლამენტში შესვლაზე... მე განვავითარე ჩემი ხაზი, რომელსაც ვავითარებ უკვე 17 წელია, 91 წლიდან.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ბრძანდებოდით უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა პ-ნი ზვიადი იყო მოსული? რა თქმა უნდა, არც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო და არც ის იყო და არც ეს იყო...

გელა ჩორგოლაშვილი: არა, პაატაშვილი იყო, მე არ ვიყავი...

ნათელა ვაჩნაძე: აი, როცა პირველად დადგა “სამხრეთ – ოსეთის” საკითხი და ბატონმა ზვიადმა თქვა: – დამისახელეთ ოსები ვინ არიან?

გელა ჩორგოლაშვილი: მაგ დროს მე დნეპროპეტროვსკში ასპირანტურაში ვსწავლობდი... 87-ში წავედი აქედან. 90-ში დავამთავრე და რომ ჩამოვედი თბილისში, მე “წმინდა ილია მართლის საზოგადოების” გამგეობის წევრი გავხდი ისე, რომ საზოგადოების წევრიც არ ვიყავი. ზვიადმა არ მოინდომა მაშინ... მე საერთოდ არ ვაპირებდი შესვლას, რადგან ეროვნულ მოძრაობაში მაშინაც იყო არაჯანსაღი სიტუაცია. 1983 წელს მოხდა ძალიან ცუდი რაღაცა და მაშინ თამრიკო ჩეეიძემ და გიამისეთი ამბები დაატრიალეს და ზვიადთან ისეთი შეჯახება მოხდა, რომ მე მაშინ ამ პერიპეტიიების შუაში აღმოვჩნდი და აღარ მინდოდა, რომ... მე მერჩივნა... ზვიადმა ეს იცოდა. მან დამავალა სამი საკითხი. ეს იყო თურქი-მესხების, ცხინვალის და ბაქო-ჯეიპანის საკითხი. ეს უკანასკნელი შევარდნაძემ მიითვისა. მე ზვიადის დავალებით ამ სამ საკითხზე ვმუშაობდი.

ნათელა ვაჩნაძე: გაქვთ რაიმე დოკუმენტაცია?

გელა ჩორგოლაშვილი: “თურქი-მესხების” და ცხინვალის საკითხები პრაქტიკულად მე მაქვს. უზენაესი საბჭო დაინვა და ეს დოკუმენტები მე გამოვიტანე.

ნათელა ვაჩნაძე: აქ სახელმწიფო აღარ არის... ჯერ ის სახელმწიფო უნდა დავიბრუნოთ. თქვენ მაინც როგორ აფასებთ... მიტინგზეც არ იყავით? პირველი მიტინგი რომ ჩატარდა ცხინვალში?

გელა ჩორგოლაშვილი: არა, მე იმ მიტინგზე არ ვიყავი... აი, თქვენ რომ ამბობთ... ჯაბა და სხვა... მე არ მიყვარდა პუბლიჩნოს्टე, მე მიყვარდა დოკუმენტებზე მუშაობა. აი, მაგალითად, მე ვიყავი მოსკოვში “ვათანთან” შეხვედრაზე, მაშინ ჯერ კიდევ უზენაეს საბჭოში არ ვიყავი... მაშინ იყო ეგეთი “мирный марш на Грузию”. მოსკოვში ლუჟნიკებში ჩაატარეს... აი, მაშინ მე ვიყავი “ვათანთან”. მარტო გამიშვა ზვიადმა “ვათანთან” შეხვედრაზე. მერე ავსტრიაში ჩავედი... მერე ადლერში შევხვდი. ჩემი საქმეები იყო დოკუმენტების შექმნა, გაკეთება და ჩატანა. არ მიყვარდა ფოტო, კამერა, საჯარო გამოსვლები. შეიძლება არქივები ნახოთ და ჩემი ფოტო ვერ ნახოთ... ამას ვერიდებოდი. ერთადერთხელ მომინია გამოსვლა მაჩაბლის ქუჩაზე.

ნათელა ვაჩნაძე: კომკავშირის ცკ-ს შენობის წინ.

გელა ჩორგოლაშვილი: მე მაშინ მოლაპარაკებას ვაწარმოებდი “ცკ”-სთან ბატონ ზვიადის დავალებით და მაშინ ჩვენი შეთანხმებით მოხდა ეს კომკავშირის... და მე ამ მიტინგზე გამოვედი, ზვიადის თხოვნით. ამი-

ტომ ჩემთვის ეს გასვლა კი არ მოხდა, როგორც თქვენ ბრძანეთ, გახვედით და იქიდან შეხედეთ და ქვეშიდან გამოხვედით... ეს მოხერხდა ძალიან დიდ ფასად, ასე მარტივად არ იყო... ეს არ იყო ტაქტიკური ნაბიჯი.

ნათელა ვაჩნაძე: არა, მე ასე არ მიგულისხმია... ეს თავისთავად მოხდა. და ახლა თქვენ გაქვთ დამკვირვებლის...

გელა ჩორგოლაშვილი: ძალიან დიდი სინანულის გრძნობა მქონდა... და ეს დანაშაულის შედეგია. ჩემთვის ბევრად უფრო კომფორტული სიტუაციაა, ვიდრე იმათვის, ვინც გაიარა, მაგრამ ეს კომფორტი მივიღე თვითიზოლირების ხარჯზე.

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენ რა არ მოგეწონათ, თორმეტი შეიარაღებული... შეიარაღებულიც არ იყო. ბ-ნი თენგიზი ბრძანებს, რომ თორმეტი კაცი იყო იმ მიკროავტობუსში, რომელშიც მე ვიჯექიო და გურამ გეგეშიძე და ჩვენ მთელი ლამე გავათენეთო... მე გუშინდელი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ და იქნებ იმიტომაც...

გელა ჩორგოლაშვილი: მე რატომ გითხარით, იცით?

ნათელა ვაჩნაძე: ჩემი ბიჭები იყვნენ, რომელნიც მე მახლდნენო... თორმეტი და აქედან იარაღი მარტო ექვსს ჰქონდათ. როგორ, ექვსმა კაცმა დაიწყო ომი?

გელა ჩორგოლაშვილი: მე არ მინდა და შეუძლებელია, რომ ეს კვლევა აიგოს ცალკეული პიროვნებების მონათხრობ ცალკეულ ფაქტებზე. აქედან მხოლოდ ქრონიკის მაგვარი რაღაც შეიძლება გამოვიდეს. თვითმხილველთა მონათხრობების ქრონიკა.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ტომი ასეც გამოვა, თვითმხილველთა მონათხრობები შეიკრიბება.

გელა ჩორგოლაშვილი: ამას მხოლოდ ის ფასეულობა აქვს, რაც შეიძლება თვითმხილველთა მონათხრობს გააჩნდეს. ეს ეპისტოლარული ამბებიც არ არის... მაგალითად, 1921 წლის ამბები... გამოიცა წერილები... იმ პერიოდის საიდუმლო წერილები... და ჩვეულებრივი ქართველები როგორ განიცდიან 1921 წლის თებერვლის არსებულ პროცესებს. ეს იმ ფსიქოლოგიური გარემოს დასადგენად, დღევანდელი გადმოსახედიდან, ამის, ამ აურის შესაფასებლად ეს კარგია. მაგრამ არ მოგვცემს რეზულტატს ისტორიოგრაფიული პლასტი რომ დავდოთ, სახელმწოფის განვითარების ისტორიოგრაფიული პლასტი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ჩვენი კვლევის საგანი არ არის. ეს არის მხოლოდ ერთი მიმართულება.

გელა ჩორგოლაშვილი: ერთ რამეს გეტყვით, იცით, რა საინტერესო რამეა? საქართველოს სახელმწიფოს საკითხი, მისი პოლიტიკური და იურიდიული გაფორმება... რომ აიღოთ ფაქტოლოგიური მასალა... მაგალითად, შაჰ-აბასის ეპოქა და მისი პერსონა და ის მასალები და დოკუმენ-

ტები, რაც არის შემორჩენილი... რომელიც უკავშირდება სპარსეთის, როგორც სახელმწიფოს გაძლიერებას... რას აკეთებს შაჰ-აბასი ამ მო-
მენტში, ვის თავებს ჭრის და რა სისუსტეები აქვს. ის კი არა, არამედ,
როგორც სახელმწიფო მოღვაწე. როგორც სახელმწიფო მოღვაწეს
ზვიადს ისეთი მასალა აქვს დადებული... ამას რომ გამოვიკვლევთ,
ჩვენ მივხვდებით, რომ საქართველოს სახელმწიფოდ შედგომა (თუ მას
უწერია), მისი დამსახურება არის, უნიკალური, როგორც პრაქტიკო-
სის. არსებობს პრაგმატიზმი და სუპერპრაგმატიზმი... სუპერპრაგმა-
ტიული მიდგომები საკითხისადმი, შეიძლება, ეს არის პოზიცია და ყვე-
ლა ადამიანს თავისი პოზიცია აქვს, მაგრამ მე შევეცდები აგიხსნათ...
როცა ცხენს მიაჭენებ, გეჩვენება, რომ ჰაერს შენ ფლობ, მაგრამ კო-
შკურიდან მაცქერალი ადამიანისათვის შენ ძალიან ნელა მიიზლაზ-
ნები. აი, ეს არის საკითხები და მნიშვნელოვანია, საიდან უყურებ ამ
საკითხებს.

ირაკლი მელაშვილი

2007 წლის 28 მარტი

ირაკლი მელაშვილი: თქვენ ამ ამბებთან (იგულისხმება 1991-1992 წლებიც მოვლენები) დაკავშირებით გჭირდებათ ფაქტები, სხვანაირად არაფერი გამოვა, სხვანაირად ისტორია არ დაიწერება და ეს ყველაფერი ფილო-სოფის სიბრტყეში გადავა. საიდან დავიწყო?

ნათელა ვაჩნაძე: საიდან და... რას დაარქმევდით იმას, რაც მოხდა 1991-1992 წლების მიჯნაზე, 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე, რას დაარქმევდით ამას...

ირაკლი მელაშვილი: ეს იყო კლასიკური გადატრიალება, ეს იყო კლასიკური გადატრიალება, ეს იყო პუტჩი. ამას ვამბობდი ჯერ კიდევ 1992, 1993 წლებში.

ნათელა ვაჩნაძე: სად ამბობდით?

ირაკლი მელაშვილი: პრესაში. ეს გამოქვეყნებულია მაშინვე, იმ პერიოდშივე. სამწუხაროდ, ამისი თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, ეს არ იყო კლასიკური გადატრიალება მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ეს იყო გადატრიალება ორგანიზებული. ომისი დამადასტურებელი... 1995 წელს მოსკოვის ოლქში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ერქვა “10 лет перестройки”. ამ კონფერენციას მეც ვესწრებოდი. აქ იმყოფებოდნენ 14 ქვეყნის წარმომადგენლები.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეგ, რა ადგილას?

ირაკლი მელაშვილი: ვაიმე... გამახსენდება და გეტყვით. არსებობს ასეთი “Московская школа политический исследований”, რომელიც შექმნილია ლენა ნემირისკაიას მიერ, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, რომელმაც თავიდან დაიწყო დსტ-ს ახალგაზრდა პოლიტიკოსების შეკრება (ეხლა ეს სკოლა გაფართოებულია, ფილიალებიც აქვს, მათ შორის საქართველოშიც, არმაზ ახლედიანის ხელმძღვანელობით). მაშინ ეს სკოლა ახალი დაწყებული იყო, ჩამოდიოდნენ მაღალი დონის ექსპერტები საზღვერგარეთიდან, მაგალითდ, გერმანიის კანცლერის და მარგარეტ ტეტჩერის თანაშემწები, საფრანგეთის სტრატეგიული კვლევის დირექტორი და ა. შ. აქ რუსეთის მხრიდანაც ძალიან მაღალი დონის ექსპერტები მონაწილეობდნენ. ერთ-ერთ სემინარზე (სემინარები, როგორც წესი, ერთი კვირა გრძელდებოდა), ბ-ნმა ბურბულისმა გააკეთა მოხსენება “Десять лет перестройки” (ეს მოხსენება ჩარერილია და გამოცემულია მოსკოვში, მისი მოძიება შეიძლება), სადაც ერთ-ერთ უურნალისტს დავასმევინეთ კითხვა, თუ რო-

გორ შეაფასებდა ამ პროცესში საქართველოში მომხდარ პროცესებს და თავის როლს ამ პროცესებში. მან პირდაპირ და დაუფარავად განაცხადა: „მე შემიძლია ოფიციალურად განვაცხადო, რომ საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების ავტორი ვიყავი მე, ჩემთან შეთნხმებით ხდებოდა ყველაფერი და მე ვხელმძღვანელობდი ამ პროცესებს. ეს არის სეხელმწიფო მოღვაწის განცხადება, რომელიც რუსეთში იყო მეორე პიარი.

ნათელა ვაჩნაძე: უკაცრავად, განყვეტინებთ... ფიქრობდნენ, რომ მემკვიდრედ ამზადებდნენ მას რუსეთის ელიტარული წრეები.

ირაკლი მელაშვილი: ამაზე ძალიან ადრე დაიწყო ლაპარაკი. იგი ნიჭიერი კაცია. ძალიან უცნაურად მოხვდა პოლიტიკაში. ურალის ერთ-ერთ უნივერსიტეტში მუშაობდა სამეცნიერო თანამდებობაზე. მაშინ დემოკრატიული მოძრაობა ახალი დაწყებული იყო, შეიქმნა ერთ-ერთი ორგანიზაცია „Демократическая Россия“. მის გასვლით სხდომაზე, რომელსაც ელცინიც ესწრებოდა, ბურბულისმა გამოიჩინა თავი და იქიდან წამოიყვანეს. ბურბულისი იყო „რუსი კარდინალი“ რუსეთის მთავრობაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და დსტ-ს შექმნის პროცესი მასთან, შახრაისთან და კიდევ ერთ პიროვნებასთანაა დაკავშირებული. საქართვლოში მომხდარ პროცესებთან მიმართებაში ის ამბობს, რომ საქართველოს მისთვის იყო მერაბ მამარდაშვილისა და ისეთი ტიპის ინტელიგენციის ქვეყანა, რომელთავ იგი იცნობდა და მისთვის მიუღებელი იყო ის საქართველო, რომელსაც ზვიად გამსახურდია აშენებდა. ამიტომაც ბურბულისი ამბობს დაუფარავად, რომ მან და მისმა მომხრეებმა მიიღეს ყველა ზომები, რომ ზვიადი ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინათ. ყოველივე ზემოთქმული უნდა კარგად გავიგოთ — ეს მოვლენები საქართველოში მოხდა არა მარტო რუსეთის მეშვეობით, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ეს იყო საერთაშორისო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ?

ირაკლი მელაშვილი: არა, ეს შეთქმულება არ იყო! ებრალოდ, მსოფლიოში არსებობს გარკვეული წესი და ტენდენციები და როცა პატარა ქვეყანა უპირისპირდება ამას, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ეს იწვევს უმკაცრეს რეაგირებას.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ უპირისპირდება პატარა ქვეყანა ამ პროცესებს? ვინ ან რა აძლევს მას შინაგან მუხტის? უფლებას, რომ ამხელა იმპერიებს წინ აღუდეს? თავისი წესრიგი შეიტანოს მსოფლიოში?

ირაკლი მელაშვილი: შინაგანი მუხტის პასუხი არის ჩვენს ისტორიაში, ადრეც არაერთხელ გვიქნია მსგავსი რამ. ამის გამო ბერჯერ დავსჯილვართ, თუნდაც თემურ ლეგი გავიხსენოთ. მან რვაჯერ დალაშქრა საქართველო და ამისი მიზეზი იყო გამოწვევა საქართველოს მხრიდან. ამ

ლაშქრობების არანაირი ლოგიკური და მატერიალური გამართლება არ არსებობს. ესეთი რამ ქართველებს გვჩვევია — ბუნტისთავები ვიყავით და ბუნტისთავებად დავრჩით. როცა ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ვიპრძოდით, მოვახერხეთ გაგვეერთიანებინა ჩვენს წინააღმდეგ ორი ურთიერთდაპირისპირებული დიდი ძალა — ამერიკა და სსრკ. როცა აგვისტოში გაკეთდა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისა ამერიკელი ხალხისადმი, რომელშიც ნათქვემი იყო: გადააყენეთ ჯორჯ ბუში. როცა თვენახევრით ადრე, ივნის-ივლისში მოხდა ასეთი ფაქტი — დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი ე. წ. „ტრასეკას პროექტი“, რომელიც ითველისწინებს საქართველოზე ენერგოდერეფნების გატარებას.

ნათელა ვაჩნაძე: უკაცრავად, გაწყვეტინებთ. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში დღის წესრიგში იდგა ეს პროექტი და გარკვეულ კომისიას დავლეს ამაზე მუშაობა, არა?

ირაკლი მელაშვილი: მოგახსენებთ. მე მაშინ ვმუშაობდი საგარეო კომიტეტში და ამ პროექტს უნდა გაევლო ექსპერტიზა ჩვენთან. მოხდა უცნაური რამ. უეცრად დაინიშნა ეკოლოგის კომისიის სხდომა, რომელზედაც მივიდა პრეზიდენტი. სხდომა გადაიცა პირდაპირ ეთერში და უეცრად ვიგებთ, რომ არსებობს მილიარდნახევარდოლარიანი ინვესტირების მომტანი პროექტი. ეს ფული ჩაიდგა საქართველოს საკომუნიკაციო სისტემის აღდგენა-რეორგანიზაცია-რეაბილიტაციაში და სერთამორისო დონეზე აყვანაში. ეს იყო ძალიან მნიშნელოვანი. მაშინ ჯერ კიდევ არსებობს სსრკ და პროექტის შეთავაზება ხდება არა მასთან არამედ საქართველოსთან. ეს იყო დასავლეთის გამოგზავნილი მესიჯი, მისი განვდილი ხელი, რომ ფული იდება, იდება საქართველოში კონკრეტული მიზნების განსახორციელებლად. ჩვენი გაოცება უსაზღვრო იყო, როცა პრეზიდენტმა უარი თქვა ამ პროექტზე.

ნათელა ვაჩნაძე: ტრასეკას პროექტზე თქვა უარი?

ირაკლი მელაშვილი: მაშინ ტრასეკას პროექტი არ ერქვა. მაშინ არ ვიცი, რა ერქვა. ეს იყო შემოთავაზება. ეს არის გადაცემული ტელევიზიით და შეიძლება არქივში ინახოს. 1991 ივნისი-ივლისის პერიოდში მოხდა ეს. პროექტზე ითქვა უარი მეტად უცნაური მოტივით. ზვიადმა თქვა: საქართველო არ უნდა გადაიქცეს უცხოური მანქანების საჯირითოდ-ო.

ნათელა ვაჩნაძე: ეკოლოგიური თვალსაზრისით არ უნდა მოინამლოს საქართველო.

ირაკლი მელაშვილი: ეს იყო სრული აბსურდი, რადგან დანგრეულ გზებზე უარისი ეკოლოგია არაფერს არ მოაქვს და უცხოური მანქანები ბევრად უფრო ეკოლოგიურია და ნაკლებ საწვავს წვავს, ვიდრე ის საბჭოთა მანქანები, რომლებიც დადიოდა მაში. ზვიადის მხრიდან ამ პროექტზე უარის თქმა იყო პირველი ძალიან უცნაური გზავნილი გაკეთებული დასავლეთის სამყარისადმი, რაც ნიშნავდა, რომ ან ჩვენ ვერ გავიგეთ

რა ხდებოდა ჩვენს გარშემო, ან არ გვსურდა ამ პროცესებში მონაწილეობა. იყო პირველი ნიშანი საქართველოდან გეოპოლიტიკურ ასპექტში, თირემ საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რაც საერთაშორისო საზოგადოებას არ მოსწონდა. მეორე, რამაც გაოგნებაში მომიყვანა, გახლდათ შემდეგი. ოქვენ იცით, რომ მზადდებოდა ახალი ხელშეკრულება სამჭოთა კავშირის დატოვების თაობაზე. გახსოვთ ალბათ “Новооогарев”-ის, ე. წ. საბჭოთა გადარჩენის პროცესი, რომლისაგანაც ბალტიისპირეთის ქვეყნები, საქართველო და სომხეთი იყო გამოთიშული. იმისთვის, რომ ეს ურჩი რესპუბლიკები შემოებრინებინათ, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან (ამ პროცესება უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლუკიანოვი, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე) შედგა გეგმა, რომლის თანახმად უნდა აეფერქებინათ ავტონომიები. ეს პროცესი დაიწყო საქართველოში, დაიწყო მოლდოვაში, მაგრამ მომდინარეობდა რუსეთშიც. ამ დროს ელცინსუნდოდა ცენტრის გაუქმება და თვითონ უნდა გამხდარიყო ეს ცენტრი. ასეთ ვითარებაში დაიწყეს აფეთქება ავტონომიების რუსეთში თათარისტანი, ჩეჩენეთმა და სხვა ავტონომიებმა განაცხადეს, რომ ისინი პირდაპირ უნდა ყოფილიყვნენ ხელის მომწერები ახალი ფედერაციული ხელშეკრებულებისა, ანუ გამოდიოდა რომ, თუ ურჩი რესპუბლიკების ხელისუფლება არ მოაწერდა ხელს, მაშინ რეგიონები აწერდნენ ხელს და ეს რჩებოდა. ასეთ ვითარებაში ჩვენ მოულოდნელად დავიწყეთ ხელშეკრულების დადება სახელმწიფოთა შორის ჯერ თათარისტანთან...

ნათელა ვაჩნაძე: და გადავახტიოთ რუსეთს, ცენტრს.

ირაკლი მელაშვილი: დიახ. და მივიღეთ შემდეგ რა, ის ბუნებრივი ალიანსი, რომელიც არსებიბიდა გამსახურდიას და ელცინს შორის გორბაჩოვის წინააღმდეგ (ამ ალიანსის დადასტურებაა ყაზბეგის ხელშეკრულება, ზვიადის მიწვევა ელცინის ინაუგურაციაზე, მისი თამადობა).

ნათელა ვაჩნაძე: დიდ თეატრში ერთ ლოჟაში ისხდნენ ელცინი და ზვიადი მეუღლეებითურთ.

ირაკლი მელაშვილი: ანუ ეს იყო განსაკუთრებული ურთიერთობების გამოხატულება ორივე პრეზიდენტის მხრიდა. ანუ დგებოდა რაღაცა ბუნებრივი კავშირი, რაც ჩვენ ძალიან გვჭირდებოდა, რადგან ვიყავით პატარები და სუსტები, არ გვწონდა ისეთი საერთაშორისო მხარდაჭერა, როგორც ბალტიისპირეთს, არ გვყავდა ისეთი დიასპორა, როგორც სომხეთს. ბუნებრივია, რომ ასეთ დროს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის მხარდაჭერა. ელცინი ამ მომენტში თამაშომდა მხარდამჭერს. სამწუხაროდ, ჩვენ აღმოვჩნდით იმ კოპორტაში, რომელიც უპირისპირდებოდა ელცინს.

ნათელა ვაჩნაძე: თათარისტანთან კავშირმა პირველი ბზარი გააჩინა.

ირაკლი მელაშვილი: პირველი ბზარი კი არა, ეს იყო პირდაპირი ნიშანი.

ნათელა ვაჩნაძე: აქ მურმან ომანიძის ხელი ხომ არ ერია?

ირაკლი მელაშვილი: ომანიძე ოყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაშინ. ვერ იღებდა არც შეიძლებოდა მიეღო რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება. პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებდა მხოლოდ პრეზიდენტი და მისი გუნდი.

ნათელა ვაჩნაძე: ამ დროს ომანიძე პრემიერ-მინისტრის მოადგილე ხომ არ იყო?

ირაკლი მელაშვილი: ცოტა ხანში ვიცე-პრემიერიც ხდება. მაგრამ ეს არ არის ამ შემთხვევაში პრობლემა. პრობლემა არის პოლიტიკური კურსი. გვერდზე გადავწიოთ პიროვნებები. ომანიძე იყო დამნაშავე ... თუ ბევრი სხვა ადამიანი იყო, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა. ძალიან საინტერესოა ფაქტები. მაგალითად, როგორ გახდნენ საბჭოთა კავშირის ორი მელალჩინოსანი ზვიად გამსახურდიას ოფიციალური თანაშემწერები. ოფოციალურად ესენი პოლკოვნიკის ფორმაში დადიოდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ არიან ესენი?

ირაკლი მელაშვილი: ერთი ბურჯანაძე, რომელიც 1992 წელს გარდაიცვალა. მე მგონი, გიორგი ერქვა. ის მუშაობდა ახლო აღმოსავლეთში რეზიდენტად და უეცრად ხდება ზვიადის თანაშემწე. მეორის გვარი არ ვიცი, მე მგონი, ისიც ქართველი იყო. აი, ამ მოვლენების მერე ჩვენ აღმოვჩნდით დაპირისპირებული პრეზიდენტთან. ამას ემატება ის უაზრო წერილი, რომელიც იგზავნება აშშ-ში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის წინ. ესაა მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი, აღსავსე ბუშის ლანძღვა-გინებით და მისი გადაყენების მოწოდებით. ამ წერილს არავითარი შედეგები არ ექნებოდა, რა თქმა უნდა, ბუშის მიმართ. მას ჰქონდა შედეგი ჩვენს მიმართ. როცა იშლება სსრკ და შენ დამოუკიდებლობისათვის იბრძვი, ბუნებრივია, უნდა იმუშაო იმ ძალაზე, რომელიც საბჭოთა კავშირთან ერთად არის მეორე ძალა — მსოფლიო პოლიტიკის ნარმართველი და თუ ორივე ეს ძალა ერთად დაგიპირისპირდა, შენ მერე გამოდიხარ ძალიან უცნაურ როლში, რომელშიც აღმოჩნდა ერაყი მაგალითად და აი იქ რაც მოხდა, ყველამ ნახა. ჩეჩენებთან და თათრებთან ხელშეკრულებამ გამოიწვია სერიოზული გართულება რუსეთთან. კიდევ ერთი განხეთქილება მოჰყვა იმ ინტერპრეტაციას, რომელიც მისცა ქართულმა მხარემ ყაზბეგის შეთანხმებას. ამან ელცინი ძალიან გააღიზიანა. ყაზბეგში მაისში დაიდო შეთანხმენა, რომელშიც პირდაპირ იყო ჩანაწერი (ამას ყველა კითხულობდა): — “Бывшая автономная республика” — სამჯერ იყო გამეორებული. ანუ ეს იყო დოკუმენტი, რომელიც უნდა გემუშავებინა, მაგრამ არა მიტინგებები და საჯაროდ, მაგრამ ყველასათვის უნდა გეჩვენებინა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ პირდაპირ დაიწყო ამ დოკუმენტის გამოფენა საჯაროდ და თქვა იმისა, რომ აი, ელცინმა აღიარა და ოსების ავტონომიის დაუქმება, ამან გამოიწვია ელცინი-

სათვის სერიოზული გართულებების შექმნა. ამ დროს ჩეჩენეთთანაც გართულებულია ურთიერთობა. ამ ყოველივემ იმ მომენტში (მე არ ვიცი რა იქნებოდა მერე, როცა აღვიდგენდით დამოუკიდებლობას), როცა ჩვენ ელცინთან ერთი ინტერესები გვქონდა (მას უნდოდა გორბაჩივის მოშორება, ჩვენ სახელმწიფოა აღდგენა), გამოიწვია ამ ურთიერთობის შელახვა. უკვე აგვისტოს ბოლოს, ამ შეცდომების გამო არანაირი ურთიერთობები საქართველო-რუსეთის ხელისუფლებას შორის არ არსებობდა, რისი ბოლო წერტილიც იყო პუტჩის მოვლენა. მე იქ ვიყავი მაშინ. 18 აგვისტოს გავფრინდი საქართველოდან. იმ დროს ძალიან კარგი ურთიერთობები არსებობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო კომიტეტსა და რუსეთის უზენაესი საბჭოს საგარეო კომიტეტს შორის, გვქონდა ინტენსიური შეხვედრები და დიალოგები, ამიტომ, როცა იანაევი და მისი გუნდი დავინახეთ ტელევიზორში, მაშინვე სეცადეთ მოგვემზადებინა განცხადების პროექტი ელცინის მხარდამჭერი, რადგან ნათელი იყო, იანაევი და მისი ხალხი ვერ გაძლებდნენ დიდხანს. სამნუხაროდ, იგი სამი პრეზიდიუმის სხდომაზე ვერ იქნა მიღებული. შემდეგ მე და მერაბ ურიდია გავფრინდით მოსკოვში, სადაც ძალიან ცუდი ინფორმაციები დაგვხდა საქართველოს პოზიციის გამო, რომელიც განსხვავდებოდა ყველა სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების პოზიციისგან. შუა აზიას განცალკევებული პოზიცია ეჭირა. მათ დაინახეს — ქვეყანა იშლება და ეს ამდენი ნავთობი და გაზი მათ რჩებათ. ამიტომაც აღმოსავლური სიმშვიდე გამოიჩინეს და ტელეფონით გაიგეს საკუთარი დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ კი ეპიცენტრში ვართ. მოსკოვში მე დავინახე, რომ საქართველოს პოზიცია აღიქმებოდა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მხარდამჭერი და არა ელცინის. ჩენმა ხელისუფლებამ განაცხადება გააკეთა 22 აგვისტოს, მაშინ, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო. მე მესმის, რომ არსებობდა საქართველოს მხრიდან დიდი რისკის ფაქტორი, რომ რუსებს შეიძლებოდა აქ გაეკეთებინათ რაღაცა, მაგრამ არსებობდა სხვა ინფორმაციებიც, რომლებიც მოსკოვში გავიგე. იქ ჩვენს წარმომადგენლობაში აღმოჩნდა კახა ლომაია, მისი მოადგილე იყო ვანო პავლიაშვილი. ვიგებთ, რომ ბაუზბეკის მანქანით რამდენიმე კაცი შესულია კრემლში შეხვედრაზე.

ნათელა ვაჩინაძე: მათ შორის მურმან ომანიძე.

ირაკლი მელაშვილი: გაირკვა, რომ აქედან 18-ში გაიგზავნა დეკეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა არჩილ... ვერ ვიხსენებ გვარს, საქართვის რაიონის რაიკომის მდივანი, სპორტკომიტეტის თავჯდომარე იყო ბოლოს. იგი იანაევთან ერთად სწავლობდა მოსკოვში. ეხლა არის გოლფის ფედერაციის პრეზიდენტი, ცნობილი კაცია, გამახსენდება.

ნათელა ვაჩინაძე: საოცრებაა, იქ ვიყავი და როგორ არ ვიცი ეს კაცი ვინ იყო.

ირაკლი მელაშვილი: ყველანი ვიცნობთ.

ნათელა ვაჩნაძე: რა მიზანი ჰქონდა ამ არჩილის მეთაურობით წარგზავნილ დელეგაციას?

ირაკლი მელაშვილი: როცა დაპირისპირება დაიწყო ამ საკითხზე ჩვენსა და გამსახურდიას შორის, მაშინ იყო საუბარი იმაზე, რომ ჩვენი ამოცანა იყო, მოგვევლო საკუთარი თავისათვის, რათა რუსეთს მთელი აგრესია ჩვენზე არ გადმოეტანა. ლოგიკა ამაში იყო. 18-ში პარლამენტში მივიდა რუსეთის ვაკბო-ს დელეგაცია. ძალიან მძიმე შეხვედრა იყო მაშინ გამსახურდიასთან. მოითხოვეს გვარდიის გაუქმება და ა. შ.

ნათელა ვაჩნაძე: გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდღა დაქვემდებარებოდა?

ირაკლი მელაშვილი: დიახ. მაშინ დამოუკიდებელი ჯარის არსებობა არ შეიძლებოდა და ზვიადმა ხელი მოაწერა გვარდიის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებაში გადაყვანის ბრძანებას. და ეს იყო სწორი სვლა. თუმცა არსებითად გვარდია თავიდანვე, შექმნისთანავე (1990 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწერა მისი შექმნის ბრძანება) მოაზრებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფად. მერე ამბობდნენ, რომ ზვიადის ბრძანება გვარდიის შსს-ის დაქვემდებარებაში გადაყვენის შესახებ, რომელსაც აგვისტოში მოეწერა ხელი და რომლის მერეც გვარდია დაექვემდებარა შსს-ს (რაც, როგორც ვთქვი, არასწორია, იგი თავიდანვე შსს-ს ექვემდებარებოდა) გახდა პუტჩის მიზეზი, ეს არ არის მართალი. ეს ყველა დოკუმენტი და დადგენილება არსებობს დაბეჭდილი საქართველოს ოფიციალურ საპარლამენტო ორგანო „საკანონმდებლო მაცნეში“.

28 აგვისტომდე ჩვენ ვიყავით ბოლორესპუბლიკა, რომელმაც ელცინის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. ეს მოხდა მაშინ, როვა გორბაზოვი პრაქტიკულად ჩამოსული იყო მოსკოვში. ამან გადაწყვიტა ჩვენი ბედი. მე ეჭვი მაქვს, რომ ზვიადზე ძალიან დიდი ზეწოლა მოახდინა გარკვეულმა ჯგუფმა, შეიძლება მოატყუეს კიდეც. მე სახელების თქმისაგან თავს შევიკავებ. ბევრი რამ აქ დღესაც გაურკვეველია. ჰო, რამაზი, რამაზ გოგლიძე იყო დელეგაციის მეთაური.

ნათელა ვაჩნაძე: აბა, არჩილიო?

ირაკლი მელაშვილი: არა, რამაზი. რამაზი იყო იანაევის მეგობარი და გაგზავნეს მოსკოვში მასთან სალაპარაკოდ, მე ასპროცენტიანი წყაროებიდან ვიცი. ბოლო-ბოლო აეროპორტის არქივიდან შეიძლება მისი გაფრენის შესახებ ინფორმაცია.

ნათელა ვაჩნაძე: მე აეროპორტი სხვა რამისთვის მინდა. მაინტერესებს სიგუას გაფრენა მოსკოვში ცერეს ბაკუ. ბაქოდან როგორ ამოვილო.

ირაკლი მელაშვილი: ბაქოში ის მანქანით ჩავიდა, მაგრამ როცა ბესო ქუთათელაძემ შავნაბადა აიღო, იქ დარჩა ბილეთი, რომელზეც ეწერა „T. ციგა. თბილისი-ბაკუ“.

ნინო თომაძე: ე. ი. სიგუა იტყუება?

ირაკლი მელაშვილი: თენგიზი იქნებოდა გადასარევი პრემიერ-მინისტრი ნორმალურ ქვეყანაში და არა ჩვენთან. იგი გაეხვა ისეთ შარში, რომ-ლისთვისაც ფსიქოლოგიურად არ იყო მზად.

ნინო თომაძე: ვინ მოატყუა?

ირაკლი მელაშვილი: კიტოვანმა.

ნინო თომაძე: რანაირად?

ნათელა ვაჩინაძე: ნინოს ჰელინია, კიტოვანი დებილი.

ირაკლი მელაშვილი: კიტოვანის გარშემო საკმაოდ საინტერესო ხალხი იყო, მათ შორის მთელი თბილისის „დელეცები“. კიტოვანი რომ გავიდა შავნაბადაზე...

ნინო თომაძე: რომელიმეს ხომ ვერ დამისახელებთ?

ირაკლი მელაშვილი: ვერა, არ შემიძლია. კიტოვანი ვერ გამოდგებოდა ხალხის შემკრებად, რადგან ძალიან არაპრეზენტაბელური იყო. ამიტომაც მათ სჭირდებოდათ პოპულარული ფიგურა და ასეთი იყო სიგუა. სიგუას უთხრეს, გამსახურდიამ ბრძანება გასცა შენი მოკვლის. თუ შენ ჩვენთან არ წამოხვალ, შენ ხვალ მოგვლავენო. ეს აბსურდი იყო. იგი შეაშინეს. სიგუამ რეზო შავიშვილს და ვახტანგ ხმალაძეს დაურეკა (შეგიძლიათ ჰკითხოთ), ისინი რუსთაველის საზოგადოებაში შეიკრიბნენ და სიგუამ ეს ამბავი ამცნო. ამითი მიიტყუეს სიგუა შავნაბადაზე. ასე აღმოჩნდა იგი იქ. ამ დროს უკვე გადამდგარი იყო.

ნათელა ვაჩინაძე: ე. ი. არსებობდა ბილეთი ბაქო-მოსკოვი?

ირაკლი მელაშვილი: კი, რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩინაძე: რამაზ გოგლიძეზე ვიყავით და გადავუხვიეთ.

ირაკლი მელაშვილი: ჰო, პრეზიდენტი შეიკრიბა და რამაზ გოგლიძე დაინიშნა დელეგაციის მეთაურად. რა თქმა უნდა, მოსკოვის პუტჩი ჩაიშალა, მაგრამ ის ბაუზბეკის მანქანით ვიზიტი, გოგლიძის ჩასვლა... იქ, მაშინ სასკ-ის უშიშროება გაყოფილი იყო, ნაწილი პუტჩისტებს ემხრობოდა, ნაწილი ელცინს. სიტუაცია ჩვენს მიმართაც რთული იყო, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში საქართველოს უშიშროებამ (ამაზე შეგიძლიათ მაშინდელ უშიშროების მინისტრს ოთარ ხატიაშვილს ჰკითხოთ) დადო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შვიდეულზე განიხილებოდა საქართველოს საკითხი (შვიდეულში იყო ამერიკაც) და იგი განხილულ იქნა უარყოფით კონტექსტში. ამის შემდეგ ბეიკერი ხვდება გამსახურდიას მოსკოვში, რომელზედაც ამერიკელებს ჰქონდათ ძალიან უარყოფითი რეაქცია.

ნათელა ვაჩინაძე: მე ვიყავიო, თენგიზ სიგუამ.

ირაკლი მელაშვილი: რაღაც პერიოდში თენგიზი იყო, რაღაც პერიოდში ერთი-ერთზე შედგა შეხვედრა ბეიკერსა და ზვიადს შორის. მერე გამსახურდია გვიყვებოდა, რომ ერთი საათი უხსნიდა ბეიკერს, თუ რა ცუდი კაცია ედუარდ შევარდნაძე. შევარდნაძე ბუშისა და ბეიკერისათვის

ფაქტორი იყო და მათ ჩათვალეს, რომ საქართველო არაა დეკვატურად იქცევა. ჩვენი პოზიცია და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები იმდენად დიდ დაპირისპირებაში მოვიდა ერთმანეთთან, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: რა უნდა ექნა ზვიადს, ხმა არ უნდა ამოელო შევარდნაძეზე. იცოდა რა...

ირაკლი მელაშვილი: შევარდნაძის ერთი წუთით რიმ თავი დავანებოთ, მისი გამოყენება შეიძლებოდა. მაგალითისათვის შემიძლია გითხრათ, რომ როცა ახალი მოსული იყო ხელისუფლება, პარიზში იმართებოდა კონფერენცია — „ჰელსინკი 2-ის პროცესი“, რომელიც იყო ჰელსინკის პროცესის გაგრძელება. ჩვენ ვიყავით ხუთი დღის მოსულები, როცა საქართველოს დელეგაციამ მიიღო უფლება, დასწრებოდა ამ კონფერენციას არა როგორც სსრკ-ის დელეგაციაში მყოფმა, არამედ როგორც ოფიციალურად მოწვეულ სტუმრებს შორის მყოფმა.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ არა სახელმწიფო დონეზე, რადგან დამოუკიდებლობა ჯერ არ გვქონდა მიღებული.

ირაკლი მელაშვილი: გეთანხმებით, მაგრამ ბალტიის ქვეყნებს არ უშვებენ ამ კონფერენციაზე და აძევებენ დარბაზიდან.

ნათელა ვაჩნაძე: და ვისი დამსახურებაა ეს?

ირაკლი მელაშვილი: შევარდნაძის. მან გააკეთა მაშინ ეს დოკუმენტი. ეს გამსახურდიასთააც შეთანხმებული იყო და შევარდნაძესთანაც. ასე რომ, შევარდნაძის გამოყენება შეიძლებოდა. თავიდან იყო ზვიადსა და მას შორის კონტაქტები.

ნათელა ვაჩნაძე: რამ გააფუჭა მერე ისინი?

ირაკლი მელაშვილი: ბევრი რამ მოხდა ალოგიკური. არის ვერსია, რომ ზვიადმა იცოდა, შევარდნაძე რომ აპირებდა დაბრუნებას და მას კონკურენტად აღიქვამდა. მალე მან დაიწყო პრესეში დიდი კამპანია შევარდნაძის წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ასეთი ვერსიაც ვიცი, რომ ზვიადი თანახმა იყო უმტკივნეულოდ გადამდგარიყო შევარდნაძის სასრგებლოდ და თვითონ აპოზიციაში დარჩენილიყო.

ირაკლი მელაშვილი: სულ პირიქით იყო ყველაფერი. შევარდნაძე მზად იყო რომ ჩამოსულიყო. მაგრამ ეს ყველაფერი ვერსიებია. რეალურად დაიწყო ზემოხსენებული კამპანია ქართულ პრესაში, ამას მოჰყვა კამპანია ინტელიგენციის მიმართ. წიგნებს წვავდნენ კიროვის ბალში, ეს გადაიცემოდა საერთაშორისო არხებით. მერე ნოემბერში გაჩერდა კანონი პარტიის შესახებ, რაც საშინელი ნიშანი იყო დასავლეთისათვის. ფორმალურად თვითონ თურქებისაც კი პეტარებადა თურქების პარტიის შესახებ კანონი. მთელმა ჩვენმა საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა ნაბიჯებმა დასავლეთს უჩვენა, რომ ქვეყანა არ მიდის დემოკრატიის გზით.

ნინო თომაძე: საქართველოში ავტორიტარიზმი იყო?

ირაკლი მელაშვილი: ავტორიტარიზმი და არა დიქტატურა. თუ დიქტატურა დადგება საქართველოში, ეს იქნება აუცილებლად გარედან მოსული, რომ ეს უცნაური ქვეყანაა თავისი ისტორიით და მენტალობით. როცა გამსახურდიამ 87% ხალხის ხმები აიღო, სულ ომას ვეუბნებოდი, რომ ის დარჩენილი 13%-ია საფიქრალი, ესაა 300 000 კაცი და თუ ეს იქნება მთავრობისადმი ცუდად განწყობილი და მთავრობაც ასევე ცუდად განწყობილი იქნება მათ მიმართ, აგრესიულად განწყობილ 300 000 კაცს შეუძლია საქართველო ააყირაოს მთლიანად. ამისი მაგალითი მივიღეთ 16 სექტემბერს, როცა მიტინგზე 40-50 000 კაცი დადგა. ეს ერთი-ორი თვით ადრე სრულიად ნარმოუდგენელი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: სიგუას მეთაურობით იდგა აქ ხალხი?

ირაკლი მელაშვილი: არა, აქ არ არის საქმე არც სიგუაში და კიტოვანში. აქ ხალხმა დაინახა ძალა. რაც შეეხება 2 სექტემბერს... ამ დღეს ჩამოდიოდა საქართველოში აშშ-ს სენატორთა დელეგაცია დე კონსინის მეთაურობით. ედპ ყოველ შაბათს ატარებდა ე. წ. „საინფორმაციო მიტინგს“, რომელსაც ესწრებოდა 100-200 კაცი, რომლის ნაწილი იყო მონარქისტული პარტიის ხალხი, ნაწილი ჩვენი სპეცსამსახურების ხალხი, უფრო დიდი ნაწილი.... ამ მიტინგის დარბევა და მასზე ომონის მიშვება, მე არ ვიცი, რა იყო. კრწანისში შეხვედრა იყო დანიშნული და მე იქ ვაპირებდი ნასვლას, როცა დამირეკეს და მიტინგზე ნავედი. ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, პირველმა ვინ გაისროლა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ გასროლა არ მომიტინგების მხრიდან მომხდარა, არც ომონის მხრიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ედპ-მ გააკეთა.

ირაკლი მელაშვილი: უკვე შევარდნაძის დროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე კვირაიამ თქვა, რომ ეს გააკეთა გრუმ. მისი ორი სნაიპერი იჯდა ზევით და მათგან ერთი ტყვია ნავიდა იქით, ერთი აქეთ.

ნათელა ვაჩნაძე: აქეთ, იქით, არ მესმის.

ირაკლი მელაშვილი: ერთი ნავიდა მომიტინგების მხარეს, ერთი — ომონის მხარეს. სხვათა შორის, პირველი გასროლა 21 დეკემბერს არ მომხდარა არც პარლამენტის შენობაში და არც მომიტინგების მხრიდან. ამისი მოწმები არსებობს. არსებობს 9 აპრილს გადალებული კასეტა, სადაც ჩანს ის ადგილი, ასევე იგი ჩანს გოგა ხაინდრავას გადალებულ კასეტაში.

ნათელა ვაჩნაძე: გრუ.

ირაკლი მელაშვილი: გასროლა მოხდა კინო „რუსთაველის“ მეორე სართულიდან. იქ არ იყვნენ არც მომიტინგები სიგუა-კიტოვანი (რომელთაც სულ 15იოდე კაცი ჰყავდათ) და არც...

ნათელა ვაჩნაძე: აი, სიგუა ამაზეა გაგიჟებული, 12 კაცი მყავდა ავტობუსში.

ირაკლი მელაშვილი: საქმეც მაგაშია, არ გაუსვრიათ, მაგრამ ესენიც იტყუ-
ებიან, თითქოს პარლამენტის შენობიდან დამოვარდნენ და ესროლეს
და რომან გვენცაძე... საქმე ასე იყო. როცა გასროლა მოხდა პარლა-
მენტის მხარეს, რომან გვენცაძე წამოვიდა აქეთ, დასაწყისარებლად,
პარლამენტის შენობიდან ჩათვალეს, რომ იგი გადავიდა პუტჩისტების
მხარეზე და ცეცხლი გახსნეს.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა გრუსკენ წავიდეთ.

ირაკლი მელაშვილი: ლოგიკურად მოყყვეთ. საქართველო აღარ ჩაჯდა არც
ერთ თამაშში. იგი უპირისპირდებოდა ელცინს, იქ სსრკ იშლება, გორ-
ბაჩივი დღე-დღეზე უნდა გადადგეს. იმ საღამოს ეწერება ხელი დსთ-ს
შექმნას. სსრკ დაშლილია. ძალაუფლება ელცინის ხელში გადადის.

ნათელა ვაჩნაძე: როცა დაიშალა, 21 დეკემბერს, არა.

ირაკლი მელაშვილი: დიახ. და მეორე დღეს თბილისში ომი იწყება. როგორც
ვთქვით, თავიდან გასროლა არ მომხდარა არც ერთი და არც მეორე
მხრიდან. გაისროლა მესამე ძალამ. სიტუაცია მარტივია — მიტინ-
გი-ომონი. ორივე მხრიდან შეიარაღებული ხალხია. აქ ძალიან იოლია
პროვოცირება, ოროვეჯერ (2 სექტემბერს — 21 დეკემბერს გასროლა
მოხდა ერთი და იგივე ადგილიდან).

ნათელა ვაჩნაძე: ედპ უარყოფს, ჩვენ იარაღი არ გვქონიაო.

ირაკლი მელაშვილი: არ ჰქონდათ, მაგრამ იქ იყვნენ ადამიანები, ვისაც
იარაღი ჰქონდა. მთავარი პირველი გასროლის ფაქტორია, თორემ
მერე მნიშნელობა აღარ აქვს, ვინ ვის ესვრის. ეს მოხდა 2 სექტემბერსა
და 22 დეკემბერს.

ნათელა ვაჩნაძე: 22 დეკემბერს მომხდარი გასროლა თქვენ დაუკავშირეთ 9
აპრილს მომხდარ გასროლას.

ირაკლი მელაშვილი: არა, მე გასროლის ადგილი დავუკავშირე ერთმანეთს
— კინო „რუსთაველის“ მეორე სართული. ეს ადგილი კგბ-მ იცოდა და
თავისი მიზნებისთვის იყენებდა. აწედან კარგად ჩანს რუსთაველის
გამზირი და იოლია სიტუაციის კონტროლი. ეს ფაქტი მე სულ 1,5 წლის
წინ გავიგე მონანილისაგან. 22 დეკემბერს არც ერთ მხარეს არ უსვრია.
ის ხალხი, ვინც ბუნკერში იჯდა, არ ადატურებს, რომ ოპოზიციაშ ის-
როლა. ისინი უბრალოდ ოპოზიციონერებს ეუბნებოდნენ: არ გინდათ,
რისთვის მოხვედითო. პირველი გასროლის ამბავი მათთვისაც უცნაუ-
რად დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: ამ მონაწილის სახელს ვერ იტყვით, ალბათ...

ირაკლი მელაშვილი: ის მალე თვითონ დაასახელებს თავის თავს და იტყვის
ყველაფერს.

ნათელა ვაჩნაძე: ჩემს წიგნს ამით რა მიემატება, წყაროდ გამოვიყენებ ამ
მონათხრობს ალბათ.

ირაკლი მელაშვილი: ფაქტი ის არის, რომ ჩვენი პოლიტიკით აღმოვჩნდით მსოფლიოში მომდინარე პროცესების პირისპირ. ამას დღეს შეიძლება დავარქვათ სსრკ-ის დეზინტეგრაცია. სსრკ-ის დეზინტეგრაციის პროცესი უკვე დაწყებული იყო. ამას ვერც ბუში შეაჩერებდა და ვერც ვერავინ. წარმოდგინეთ ამერიკის სიტუაცია. ბუში რომ გამოსულიყო და ღიად გამოეცხადებინა მხარდაჭერა — გამოდიოდა, რომ ამერიკა უწყობდა ხელს ამ პროცესებს, თუმცა ყველაფერი ამერიკის იმედზე კი თავდებოდა. აბა, დისიდენტური მოძრაობა ვის იმედზე იყო?

ნათელა ვაჩნაძე: აბა ის ბზეუინსკები რისთვის იყვნენ?

ირაკლი მელაშვილი: ის არის სხვანაირი ქვეყანა. იქ დემოკრატიას იყენებენ, როგორც კარგ მექანიზმს. ის, რაც პრეზიდენტმა უნდა თქვას, პრეზიდენტი არ იტყვის, მაგრამ გამოიყვნენ ბზეუინსკები და ის იტყვის იმას, რაც პრეზიდენტმა არ თქვა. ეს ოფიციალური სახელმწიფო აზრი არ არის, მაგრამ ხვდები, რომ საქმე აქეთებენ მიდის. ბუშს რომ გაეკეთებინა განცხადებები ნოემბერ-დეკემბერში, შეიძლებოდა პირიქით, ინტეგრაციის პროცესები დაეყოვნებინა სსრკ-ში. გასაგებია, რომ ამერიკა გვიშლის, მაგრამ ამაზე ბუში პირდაპირ განცხადებას ვერ გააკეთებს, რადგან ამერიკა მაინც მტრის ხატია საბჭოთა კავშირისათვის. აქედან გამომდინარე, რატომ ბუშმა არ გააკეთა განცხადება, რომ მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, არასწორია, თუმცა ქმედებებით ამერიკა გვაგრძნობინებდა თავის დადებით განწყობას. მაგალითად, მაისში, კაკო ასათიანის ვიზიტის დროს, მერე გოგი ხოშტარია ჩავიდა — საგარეო საქმეთა მინისტრი, ანუ ფაქტიურად ოფოციალურ დონეზე ხდებოდა ჩვენი დელეგატების მიღება. ტარდება შეხვედრები კონგრესში, სენატში, თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებები ხდებოდა. პოზიციები ისინჯებოდა. ისინი ამ კონგრესზე გამოდიოდნენ. მათი მხრიდან იგზავნებოდა მესიჯები, რომ თქვენი სახელმწიფო უნდა იყოს მისაღები დასავლურისამყაროსათვის, რომ მის დამოუკიდებლობას ხელი შევუწყოთ. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ შევძელით. აი, ამან გამოიწვია ყველა გარე ძალის გაერთიანება, რომ გამსახურდიას რეჟიმი შეცვლილიყო. ეს იყო ის, რაც არ უნდათ რომ გაიგონ. ვერ იგებენ მაშინ და ვერ იგებენ ვერც დღეს. მე ვთვლი, რომ დისიდენტს აქვს უფლება იაროს დინების წინააღმდეგ. პიროვნებას აქვს არჩევანის უფლება, მაგრამ როცა შენ ხარ რეალური პოლიტიკოსი და გაბარია სახელმწიფო.. შენ გაქვს დისიდენტობის უფლება, მაგრამ სახელმწიფო დისიდენტი ვერ იქნება. გადარჩნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც მოქნილ პოლიტიკას ატარებდნენ. ჩვენი შეცდომა იყო ის, რომ ჩვენ მაშინ მივიღეთ დისიდენტური სახელმწიფო დისიდენტი პრეზიდენტით. დისიდენტები ყოველთვის ისჯებიან. ამ შემთხვევაში დაისაჯა სახელმწიფო. ეს არის ჩემი სუბიექტური მოსაზრება. მერე ხდება მოვლენების განვითარება. თბილისის ზღვაზე დაბანაკება, პარლამენტის ორად გაყოფა. აქ იყო

უმრავლესობა, რომელთანაც ნებისმიერი ოპოზიციური საკითხის გატანა შეუძლებელი იყო. მე ვფიქრობ, ჩვენ, ოპოზიციონერებმაც და-ვუშვით სერიოზული შეცდომა. ჩვენ ვიძახდით, საჭიროა მორიგება, რომ პროცესი გადავაგოროთ. აუცილებელია რიგგარეშე არჩევნები, რომ პროცესი პოლიტიკაში გადავიდეს და შეიარაღებული დაპირისპირება მოისპოს. ხელისუფლება ითხოვდა, რომ, მოდით, შეფასება მი-ვცეთ, თუ რა ხდება იქ. ამ სიტუაციაში ჩვენ საკმაოდ მკაცრი ვიყავით ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ეს სიმკაცრე საჯარო გამოსვლებში არ ჩანდა. პრობლება იყო იმაში, რომ ის რაც დებოდა ჩვენს შეხვედრებზე სიგუასთან და კიტოვანთან, რჩებოდა კაბინეტში. იქ რაზეც იყო ჩხუბი და კამათი, საზოგადოებისათვის რჩებოდა დახურულ თემად. ის კი რაზეც იყო პარლამენტში ლაპარაკი, იყო საჯარო დაღია, რადგან სესიები დაგაიცემოდა ტელევიზიით. ანუ მომწონს ეს თუ არა, ჩვენ საპარლამენტო ოპოზიციამ...

ნათელა ვაჩნაძე: გადმოიტანეთ, რაც დახურული იყო, ღიად.

ირაკლი მელაშვილი: ჩვენ კატალიზატორი აღმოვჩნდით და მოვახდინეთ იდეოლოგიური შემზადება. ჩვენ სწორ რაღაცებს ვლაპარაკობდით, ბევრ რამეზე შენიშვნებს ვიძლეოდით, ვეკამათებოდით გამსახურდიას, მაგრამ არსებობდა სხვა ძალა, რომლისთვისაც იყო ამოცანა, გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლა. ეს პროცესი ამოყენებული იქნა არა იმისათვის, რომ ხელისუფლების დემოკრატიზაცია მომხდარიყო, არამედ ჩვენ იდეოლოგიურად შევამზადეთ ის, რაც მოხდა. ამის გარეშე ის ვერ მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი დახმარება სჭირდებოდა კიტოვანს და სიგუას?

ირაკლი მელაშვილი: სიგუაც და კიტოვანიც პაიკები იყვნენ ამ თამაშში საბოლოო ჯამში. როცა იწყება ასეთი პროცესი, აუცილებელი არის ხელისუფლების დისკრედიტირება. საპარლამენტო ოპოზიცია ამ ფუნქციას მშვენივრად ასრულებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა საპარლამენტო ოპოზიციაში, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა, იდეურადაც მარკოვანი ბეჭდოება... მარკოვანი ბეჭდოება...

ირაკლი მელაშვილი: მე არ ვიცი საპარლამენტო ოპოზიციაში არავინ, ვინც რიად მუშაობდა, რომ საქმე აქამდე მისულიყო. ყველა ვცდილობდით, არ დაგვეშვა შეტაკება, თუმცა იმასაც ვგრძნობდით, რომ ეს შეუძლებელი იყო. „დრონში“ გამოვაქვეყნეთ მასინ და ხელისუფლებას მივაწოდეთ სტაბილიზაციის პროგრამა რამდენიმე პუნქტით, რომელიც ითვალისწინებდა ტელევიზიის დემოკრატიზაციას, პარტიების რეგისტრაციას და გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. იგივე განცხადება გააკეთა ტრადიციონალისტთა კავშირმა 15 სექტემბერს, მაგრამ მერე შეიკრიბა მრგვალი მაგიდა და იქ აღმოჩნდა ცოტა რთული სიტუაცია. იქ იყო უმრავლესობის წარმომადგენელ

ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ერთხელ მოხვდნენ პარლამენტში და მეორედ ვეღარ მოხვდებოდნენ. ამიტომ „ჩაჭიდე და წაგიყვანო“ ამაზე და პრინციპში გამსახურდიამაც ამაზე ითამაშა. ამიტომ კონსოლიდირება მოხდა. მანამდე უცნაური სიტუაცია იყო. სანამ დაპირისპირება დაიწყებოდა, პარლამენტში ბევრი საკითხი გადიოდა არა მრგვალი მაგიდის, არამედ კომუნისტების ხმებით. კომუნისტები იყვნენ „მორჩილი ბრიგადა“, რომელთაც თავიანთი 80-100 ხმით მუდმივად ჰქონდათ ანუ ული ხელი ყველაფერზე. სანამ სექტემბრის მოვლენები არ დადგა. შემდეგ, პუტჩის შემდეგ კომუნისტური პარტია გაუქმდა. 30% საქართველოს პარლამენტის საბჭოური დეპუტატების გამოძევებული იქნა პარლამენტიდან. ამან, ჩემი აზრით, ფაქტიურად ლეგიტიმაცია დაუკარგა პარლამენტს. იმიტომ, რომ თუ აქამდე მიღიოდი, უნდა გაგესამართლებინა კომუნისტური პარია, აგეკრძალა ეს პარტია და დაგენიშნა რიგგარეშე არჩევნები, იმიტომ, რომ შიგნით გყავდა ძალა, რომელიც აკრძალული იყო. მაგრამ როცა 30% შენი მოსახლეობის მიერ მიცემული ხმებისა შენ ის გაუქმე, ერთი გადაწყვეტილებით მიიღე და გაყარე პარლამენტიდან, ხო... ამან გიჩვენა შენ, რომ ერთპარტიულობისაკენ მიდიხარ, ანუ კომუნისტების მიმართ გადადგმული ნაბიჯი ჩაჯდა იმ მიმართულებაში, რომ საქართველოში ხელისუფლება ცდილობს ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას.

ნათელა ვაჩნაძე: ნუთუ კომუნისტების მიმართ გადადგმული ნაბიჯიც ასე აღიქმებოდა?

ირაკლი მელაშვილი: რა თქმა უნდა. ისინი უყურებდნენ პოლიტიკურ პროცესებს და ხედავდნენ, რომ საქართველოს კომუნისტები და განსაკუთრებით ბოლო თაობის კომუნისტები ისეთი კომუნისტები იყვნენ, როგორც მე ვარ მაო ძე დუნის მომხრე. ეს იყო სახელმწიფო სამსახური მათთვის და კომუნიზმი არ იყო იდეოლოგიზირებული, ისე როგორც რუსეთში. ახლა, რისი კომუნისტი იყო მაგალითად ევგენი ხარაძე და თამარ დეკანოსიძე და ა. შ. ამიტომ ეს ნაბიჯი... ვითომ... მთელი დასავლეთი იყო ანტიკომუნისტურად განწყობილი. ეს ნაბიჯიც კი... როცა შე დასავლური დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ საფუძველზე, არჩევითობაზე აღმართე ხელი, ჩაითვალა დასავლეთის მხრიდან იმად, რომ საქართველო ერთპარტიული მმართველობისაკენ მიდის, თუმცა ქართველ კომუნისტებს პუტჩისტებისათვის არანაირი დახმარება არ აღმოუჩენიათ. ამას ამატებოდა დაპირისპირება, შიდაპოლიტიკური სიტუაციის გამწვავება ტელევიზიაში, ოპოზიციურ გაზეთებში, მაგალითად გაზეთ „ქართულ ფილმში“. ამან გამოიწვია მთელი მოზაიკა. მთელი ინტელიგენცია პრაქტიკულად დაუპირისპირდა ზვიადის ხელისუფლებას. სულ იყო ლაპარაკი, თუ გახსოვთ თქვენ, „პრაღის რეზოლუცია“.

ნათელა ვაჩნაძე: სურათიც მაქვს ნანახი. ირინა სარიშვილი, რომელსაც ქმრის კოსტუმი აქვს შემოხვეული.

ირაკლი მელაშვილი: ხო. ეს პრაღის რეზოლუცია არსებობდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობდნენ ძალები, რომლებსაც არ აწყობდათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი ოპოზიციაშიც იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ ოპოზიცია რა ჭკუაზე იყო? იქ ხომ ძალიან ბევრი განათლებული ადამიანი იყო თავმოყრილი?

ირაკლი მელაშვილი: იქ ზოგი, ჩემი აზრით, იყო გადამდგარი ჭკუიდან და უნდოდათ მხოლოდ ზვიადის მოვილება.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. პირადი მიზანი ჰქონდათ.

ირაკლი მელაშვილი: კი.

ნათელა ვაჩნაძე: კი მაგრამ, შენ რა ოპოზიცია ხარ და პოლიტიკური მოძრაობა ხარ, როცა პირადულს ასე მაღლა აყენებ სახელმწიფო ბრივზე, როვა მოკლებული ხარ სახელმწიფო ბრივ აზროვნებას. აი, ამ თვალსაზრისს ვერ მივუჩინე ადგილი.

ირაკლი მელაშვილი: ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ეს რეალობაა. მე კიდევ ერთხელ ვიძახი, არ შეიძლება ქვეყანა გაიყოს 87 და 13 პროცენტად. არ შეიძლება ვიძახოთ, რომ ეს 13 პროცენტი არის მტერი. ამ ძახილ-ძახილში ეს ხალხი მართლა გავხადეთ მტრად. თუ მე მტერს მეძახი, მაშინ გავხდები მტერი და გიმტრობ. რა თქმა უნდა, ვიმეორებ, იყო ეს პრაღის რეზოლუცია, რომელშიც ფოფხაძეც მონაწილეობდა და სხვებიც მონაწილეობდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ფოფხაძეც ესწრებოდა?

ირაკლი მელაშვილი: არა, მაგრამ როგორც უურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, მონაწილეობდა.

ნათელა ვაჩნაძე: სასტუმრო Октябрьская-ში, მოსკოვში.

ირაკლი მელაშვილი: აქ დადიოდნენ ოპოზიციონერებიც, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, იმართებოდა შეხვედრები და ამაზე ინფორმაცია იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბ-ნი ელდარიც წერს ამის შესახებ.

ირაკლი მელაშვილი: და ეს სიმართლეა. მაგრამ მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ ამას. ველზე, რომელზეც უნდა გავიარო, მინა დევს. რა უნდა ვქნა? თავი ავიფეთქო? ან უნდა გავნალმო ველი, ან გარს შემოვუარო. ჩვენ რა ვქენით, წავედით პირდაპირ მინაზე.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, ეს მარტო გამსახურდიას შეცდომა იყო?

ირაკლი მელაშვილი: არა, არა მარტო მისი. პარლემანტის ყოველი იმ წევრის, რომელმაც არ შეაჩერა მათი ლიდერი, როცა ის შეცდომას უშვებდა და თავისი მოვალეობა არ შეასრულა. ასეთი მიდგომები ყოველთვის დამღუპველია, რადგან ერთ კაცზე მანიპულირება ადვილია. ანუ შენ

დარტყმის ქვეშ აყენებ ერთ კაცსაც, სახელმწიფოსაც და ყველაფერსაც. ეს განწყობა იყო პარლამენტში. როცა რადიკალიზაცია მოხდა, ყველამ თავისი პასუხიმგებლობა გადააბარა ზვიად გამსახურდიას. ყველაში მე უმრავლესობის არა აბსოლუტურ, არამედ უმრავლეს წევრებს ვგულისხმობ. და შეიქმნა სიტუაცია, რომ ამ კაცზე ზრმოქმედების საშუალებით შეიძლებოდა გაგეკეთებინა კარგიც და ცუდიც. ვინც ზვიადს იცნობდა, იმან დაახლოებით იცოდა, თუ რა რეაქცია ექნებოდა მას ამა თუ იმ სიტუაციაში. არ დამავიწყდება, რომ 4 სექტემბერს შევარდნაძემ ტელევიზიით თქვა: ზვიად გამსახურდიამ დაკარგა კავშირი ხალხთანო. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მეორე დღეს ზვიადი დაიწყებდა მიტინგების ჩატარებას. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი. სწორედ ასე მოხდა. ზვიადმა დააყენა მიტინგზე თავისი მომხრეები. მეორე მხარეს დადგა ალერტატიული მიტინგი და დაიწო ესკალაცია. ანუ ზვიადზე ასეთი ზემოქმედებები იყო შესაძლებელი. ამიტომად პარლამენტი ის გუნდი, რომელმაც უნდა მოახერხოს რაღაცა ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროდ, ასე არ ხდებოდა. ის, ვინც ვენინააღმდეგებოდით მათ და რაღაცეებზე კრიტიკულად ვიყავით გამწყობილი, ვეუბნებოდით; ნუ იზამ ამას, ახლა მიტინგების დრო არაა, სხვა საკითხები უფრო პრიორიტეტულიაო. გაგვრიცხეს მრგვალი მაგიდიდან. როცა გავაკეთეთ დოკუმენტი „ქარტია სამოქალაქო მშვიდობისათვის“, რომელიც იწყებოდა პატრიარქის, უნმინდესის ხელმოწერით... რაც, ჩემი აზრით, ჩემი შეცდომა იყო, რადგან ამან გამოიწვია პატრიარქზე დარტყმები. დარბოდნენ სურათებით — პატრიარქი სატანაა და ა. შ. და მოჰყვა ამას ესკალაცია.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ ხომ არ იცოდით, რომ ეს შეცდომაა?

ირაკლი მელაშვილი: არა. მაშინ გვეგონა, რომ გამოვდიოდით სამოქალაქო მშვიდობის ინიციატივით, რომ პატრიარქი ერის მამა და იმ დროს გავრცელებული ლოზუნგი — ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია — თვით დამოუკუდებლობის იდეასათვის იყო დამღუბველი, რადგან ის პარალელური პროცესი უნდა ყოფილიყო. არავის არ ცჭირდება დამოუკიდებელი ჩრდილოეთ კორეა საქართველოში. ანუ პარალელური პროცესი უნდა წასულიყო. ამ იდეამ დაპირისპირება გამოიწვია. ოპოზიციის ერთი ნაწილი იძახდა, რომ ჯერ დემოკრატია, მერე თავისუფლება, მეორე ნაწილი — ჯერ თავისუფლება, მერე დემოკრატია. და ეს ორივე იყო აბსურდი, რადგან უნდა წასულიყო პარალელური პროცესი. ამიტომ შევქმენით ეს ქარტია.

ნათელა ვაჩნაძე: ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია?

ირაკლი მელაშვილი: კი. მის საფუძველზე შეიქმნა საპარლამენტო ფრაქცია „ქარტია 91“. მაგას მოგაწვდით. თედო პაატაშვილმა გამოსცა „წერილები“ და იქ არის ის დოკუმენტი.

ნათელა ვაჩნაძე: მერაბ ურიდიაც იქ იყო?

ირაკლი მელაშვილი: მერაბიც და გელა ჩორგოლაშვილი-გავაკეთეთ ეს, თუმცა შეცდომა დავუშვით, რადგან დაგვიპირისპირდნენ და მოღალატეები დაგვიძახეს. ყოველივეს კატალიზატორი ერთ-ერთი იყო 2 სექტემბერი, როცა პრეზიდუმი შეიკრიბა და ვთხოვეთ, რომ დასჯილიყო ის, ვინც გადაწყვეტილება მიიღო, ომონი იქ გაეგზავნა. ჩემთვის არ ჯქონდა მნიშვნელობა, ვინ ისროლა პირველმა. მე მინდოდა, დასჯილიყო ის, ვინც ომონი გაგზავნა 200 კაციან მიტინგზე, მაშინ, როცა ჩამოსული იყო ამერიკის კონგრესმენების დელეგაცია. ეს იყო უდიდესი პროვოკაცია. რა თქმა უნდა, მომიტინგებს უნდოდათ პროვოცირება ხელისუფლების, მაგრამ შენ არ უნდა წამოეგო ამაზე, მთავრობა რომ ხარ. წონორია იყო ამ ომონის ხელმძღვანელი. მას დამოუკიდებლად ამისი გაკეთების ნება არ ჰქონდა და ვერც გააკეთებდა ზემოდან ბრძანების გარეშე. ეს წონორია მე აფხაზეთის ომის დროს შემხვდა, ძალიან კარგი ბიჭი იყო. საერთოდ ამ ომონში კარგი ბიჭები იყვნენ. ეს იყო ე. წ. პირველი ქართული სპეცნაზი. და ეს კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ მოღალატეების როლში, როცა მიუშვეს ხალხზე. მერე წონორია გაათავისუფლეს, მაგრამ ის არაფერ შუაში არ იყო. ნაწყენიც იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ხაბულიანამდე მიდიც, იცით, კვალი.

ირაკლი მელაშვილი: კი, ასეა. პრეზიდიუმი რომ შეიკრიბა, ჩვენ დავსვით საკითხი, რომ გადაწყვეტილება მიგველო, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენზე რატომ იყო ნაწყენი წონორია?

ირაკლი მელაშვილი: არა, რომ წავიდა საუბარი, რომ 2 სექტემბერს რატომ ისროლეს და ძალიან ბევრმა გაკიცხა ამის გამო. ჩვენზე რა, ჩვენზე კი არ იყო ნაწყენი, საერთოდ ოპოზიციაზე — ჩვენგან რა გინდოდათ, ჩვენ რა შუაში ვიყავითო. მერე ომონელებს მიტინგზე ლანძღავდნენ, კაციჭამიებსა და სისხლისმელებს ეძახდნენ, ხალხს ურტყამდნენო. სიტუაცია რომ დაიძაბება, ომონმა ხელკეტებიც უნდა გამოიყენოს, აბა რა ქნას.

ნათელა ვაჩნაძე: ხაბულიანამდე მივიდეთ მაშინ...

ირაკლი მელაშვილი: იქ. მე მგონი, ხაბულიანის პრობლემაც არ იდგა. იქ იყო შეშინებული ხალხი, შეშინებული იმიტომ, რომ აგვისტოს პუტჩი ახალი მომხდარი იყო. საქართველოს დაძაბული ურთიერთობა აქვს რუსეთთან, გაურკვევლობაა, სსრკ იძლება და წავიდნენ ყველაზე მარტივი გზით, რუსები რომ იტყვიან ვაკრიტიკით უკრონებელიას იჭერენ, გოგა ხაინდრავას იჭერენ, გია ჭანტურიას იჭერენ. და ამან მიიღო საგიუვეთის სახე. ანუ შიშმა იმისა, რომ რაღაცა ტალღა არ აგორდეს, გამოიწვია ის, რომ — მოდი, ამ ტალღის ლიდერები დავიჭიროთ. დაიჭირეს ეს ლიდერები და ამან გამოიწვია უკუპროცესი. მერე გამოდის შევარდნაძე, იძახის ამას. ზვიადი იწყებს პერმანენტულ მიტინგებს, გამოდიან და დგებიან რუსთაველის გამზიერზე, ოპოზიცია დგება რესპუბლიკის მოედანზე. სამ-

ჯერ გადავრჩი შეტაკებას. მერე ავტობუსები ჩააყენეს, ქუჩა გადაი-
კეტა. იქ ედპ-მ ბეტონები დაყარა, მერე წერეთელმა დაყარა... და ანუ
ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ არ ვიცი... მოხდა როგორც ყოველთვის.
ქართველს ქართველზე ერჩივნა გამარჯვება ქართველთან შეთანხმე-
ბას. ორივე მხარე დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში. ზვიადი
ფიქრობდა — მე ქართველი ხალხი მიჭრს მხარსო. ოპოზიციონერე-
ბი ფიქრობდნენ — აი, საერთაშორისო ვითარება, რუსეთი და ქართ-
ველების დიდი ნაწილი და ელიტა ჩვენს მხარეზეა და წავიდა, რუსები
რომ იტყვიან სტენკა ვა სტენკა

ნათელა ვაჩნაძე: და ფაქტიურად გამსახურდია იგებს 28 დეკემბრამდე, სა-
ნამ არ გამოვიდა ჯაბა იოსელიანი.

ირაკლი მელაშვილი: ხო. მანდ არის უამრავი ვერსია. ერთი და იგივე ნაწი-
ლი ვაჩნაძე-დან მარაგდებოდა ორივე მხარე იარაღით ერთი და იგივე
საწყობებიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ყოჩალ, ბიჭებო, მაგრად იმუშავეს.

ირაკლი მელაშვილი: კი, ასე იყო. იყო ასეთი პიროვნება — ბეპაევი.

ნათელა ვაჩნაძე: ყაბარდოელი მუსლიმი.

ირაკლი მელაშვილი: დიახ. თუმცა ეგენი იყვნენ ყველანი ათეისტები. ბეპაე-
ვი აქტიურად მუშაობდა, თუმცა ამას აღარ ჰქონდა არანაირი მნიშვნე-
ლობა, ბეპაევი იქნებოდა, ივანოვი თუ პეტროსიანი. ეს უკვე მექანიზმი
ამუშავდა და ყველანი ჭანჭიკების როლს ასრულებდნენ. ის, ვინც გამ-
სახურდიას ერთგულებით მიღიოდა და ყიდულობდა იმ იარაღს კანონ-
იერი ხელისუფლების დასაცავად, ისე იჯდა იმ სცენარში, როგორც
იჯდა სცენარში სიგუა და კიტოვანი,

ნათელა ვაჩნაძე: ფული საიდან იყო?

ირაკლი მელაშვილი: ფული უამრავი იყო მაშინ საქართველოში. იყო დიდი
ფული. საქმოსნების დიდი ნაწილი ამ მხარეს იდგა, მეორე — იმ მხარეს.

ნინო თომაძე: კიტოვანმა როგორ მოახერხა საქმოსნების გადაბირება? მე
ვიცი, რომ მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ჯარში და ჯარისკაცები
Бათა-ს ეძახდნენ.

ირაკლი მელაშვილი: კიტოვანი ახლოს იყო ამ საქმოსან წრესთან, იგი ათი
წელია ნაჯდომი საქმოსნობისათვის. ისიც, მამამისიც იჯდა. კომუ-
ნისტების დროს იჯდა.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, რომ მაშინ შეეკრა გრუს.

ირაკლი მელაშვილი: ეგ არ ვიცი. ისე ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ეგ გრუსთან
შეკრული ყოფილიყო. მე მაინც მგონია, რომ გამსახურდია მოწინააღმ-
დეგე ინტერესების თანხვედრა მოხდა და ასეც იყო. ხშირად პოლიტიკა-
ში ძალიან მარტივადაა ყველაფერი. ამერიკისა და რუსეთის ინტერესი
გაერთიანდა — ჩათვალეთ, რომ კГБ-ს, ცРУ-ს და ГРУ-ს ინტერესები
გაერთიანდა. იდეაში წარმოუდგენელია ხო? რომ აი ამ მინაზე ეს გაერ-

თიანება მომხდარიყო, როცა ვიცოდით, რომ ამერიკას ეს ტრასეეკას პროექტი ჩადებული ჰქონდა, არა? მაგრამ გამსახურდია ყველასათვის მიუღებელი აღმოჩნდა, ამერიკელისთვის, რუსისთვის, ევროპელისთვისაც, ქართველი საქმოსნებისთვისაც. აი, მაგალითად, ივნისში გივი თაქთაქიშვილმა გამოიტანა კანონი სამიწათმოქმედო საქმიანობის შესახებ. მაშინ სესიები არ გადაიცემოდა ტელევიზით და უცბათ გამსახურდია გამოდის და ანგრევს ამ კანონს. ეს კანონი უნდა ყოფილიყო ლეგალური ეკონომიკური პროცესების დასაწყისი საქართველოში. ეს ნიშანი იყო გამსახურდიას მხრიდან, რომ იგი ბიზნესს არ გაახარებდა საქართველოში. გივი თაქთაქიშვილი შოკში იყო ჩავარდნილი. ერთ კვირაში, ათი დღით პუტჩამდე გამოდის კანონი სოფლის მეურნეობის მიწების თაობაზე. იქაც იგივე პოზიციები იყო კოლმეურნეობებზე და მეურნეობებზე.

ნათელა ვაჩნაძე: მაგაზე ხომ სატელევიზიო გადაცემაც იყო, სიგუამ თქვა.

ირაკლი მელაშვილი: ხო და იწყება დაპირისპირება, ჩხუბი, ძახილი: გაგვაგებინეთ საით მოვდივართ, თქვენ თუ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აშენებთ, ეს დამოუკიდებლობას არ გამოადგება. ამ დროს ზვიადი არ ესწრება სესიას, თუმცა ასეთი მომენტები იყო. საერთოდ მთელი ივლის-აგვისტოს განმავლობაში საგარეო პოლიტიკაში გადადგმულ ნაბიჯებთან, შიგნითაც გადაიდგა ნაბიჯები, რომლის დროსაც ფულიანმა ადამიანებმა დაინახეს, რომ მათ ამ ხელისუფლების პერიოდში პერსპექტივა არ აქვთ.

ნათელა ვაჩნაძე: ბინების პრივატიზაცია.

ირაკლი მელაშვილი: ბინები — ეს ნაკლებად აქტუალური იყო. პირველი აქტუალურობის საკითხი იყო ის, რომ იწყება ეკონომიკური რეფორმა და ბალტისპირეთი ბევრად წინ არის ნასული. ჩვენს გარშემო სომხეთში სერიოზული ეკონომიკური რეფორმები დაიწყო. ძვრები იყო ამ მხრივ აზერბაიჯანშიც. ქართველი და სომები საქმოსნები რაღაც ერთ წრეში ტრიალებდნენ, გასაღების ერთი ბაზარი ჰქონდათ, კონკურენტები იყვნენ. მათ დაინახეს, რომ პირობები, რაც აქ იყო, ამ პირობების ნასახიც აღარ არის. თან ყველაფერი ხდებოდა უცნაური მოტივაციით. როცა ვეუბნებოდით, რომ მცირე ობიექტების პრივატიზაცია დავიწყოთ, ფული ბიუჯეტში შევიტანოთ, ობიექტები ვალუტაზე გავყიდოთ, სავალუტო რეზერვი გავიჩინოთ, ავმოძრავდეთ, მესაკუთრეთა ფენა გავაჩინოთ. თუ ასეთი ფენა გაჩნდებოდა, რომელსაც ზვიადის ხელისუფლებამ მისცა, ის მისი დამცველი გახდებოდა. ამის გაგება იყო შეუძლებელი. გივი თაქთაქიშვილი ხდებოდა ყველაფერს, ძალიან კარგი ბიჭი იყო და კარგადაც ეცმოდა, მაგრამ ის არ იყო ის ადამიანი, ვინც ლოკომოტივი გახდებოდა. ანუ ის ადამიანები, ვინც თანამდებობრივად უნდა ყოფილიყვნენ ლოკომოტივები, წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ და ვერ გაქაჩეს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თაქთაქიშვილი რა პროფესიის იყო?

ირაკლი მელაშვილი: ეკონომისტი. გადატრიალების შემდეგ წავიდა და დასავლეთში მუშაობს უკვე 15 წელი. მე რამდენჯერმე შევხვდი. ანუ ყველა მესიჯი, რომელიც წამოვიდა ხელისუფლების მხრიდან როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, იმ წრეებზე, რომელთაც რაღაცა ძალა გააჩნდა და რაღაცა საკითხის გადამწყვეტნი იყვნენ, ამ მესიჯებმა უველა ძალა გააერთიანა გამსახურდიას წინააღმდეგ. შეიძლება ეს ახსნა ისე, რომ „ბილნით არ შევეკვრი ზავითა“, მაგრამ მაშინ უნდა გადადგე, პრეზიდენტი აღარ უნდა იყო, უნდა იყო ფილოსოფოსი და აკეთო ეგ საქმე. დისიდენტი არის პიროვნული ქმედება, მაგრამ არ შეიძლება დისიდენტი იყოს სახელმწიფო, დისიდენტი ისჯება ყველგან და დაისაჯა სახელმწიფო. დისიდენტი სახელმწიფო ვერ იარსებებს, ამისი მაგალითი არის ჩრდილოეთ კორეა. ამ როლში ჩავჯექით, სამნუხაროდ, ასე მოხდა. შიგნით არ მოიძებნა საკმარისი რესურსი, რომ შეგვეჩერებინა ეს პროცესი. ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

ნიკა კილასონია

2007 10 აპრილი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ნიკა, გვინდა ჩვენ მკითხველს გავაცნოთ ჩვენი მთხოვბელის ვინაობა, სად დაიბადეთ, რომელ ოჯახში, სად მიიღეთ განათლება, რა პროფესიის ბრძანდებით, რა თანამდებობაზე იყავით მაშინ, რა უფლება-მოვალეობებს ფლობდით, როდესაც მოხდა ის, რაც მოხდა საქართველოში და რა თემაზედაც ჩვენ ახლა ვმუშაობთ. მოგეხსენებათ, ეს არის გადატრიალება 1991-1992 წლების 22 დეკემბრიდან 6 იანვრის ჩათვლით, რაც მოხდა საქართველოში. ჩვენ ამ ისტორიული ფაქტის შესახებ ვკრებთ მასალას, სხვადასხვა რიგის, სხვადასხვა ხასიათის ისტორიულ წყაროებს ვუყრით თავს, ერთ ტომად უნდა შევკრათ და ამ მასალაში შევა, როგორც ერთ-ერთი ნაწილი, თქვენი მონათხოვბიც.

ნიკა კილასონია: მე დავიბადე თბილისში, დავიბადე მელიქიშვილის ქუჩაზე, უნივერსიტეტის გვერდით. დედაჩემი იყო ინგლისურის მასწავლებელი, თინა უზნაძე, მამაჩემი იყო უნივერსიტეტის ლექტორი არჩილ კილასონია. დედაჩემის ოჯახი რეპრესირებული ოჯახია, მამამისი 37 წელს დაიჭირეს, პავლე უზნაძე, დიმიტრი უზნაძის ძმა არის. მამაჩემის მხრიდან დიმიტრი უზნაძის მსგავსი პიროვნება არ შემიძლია ვახსენო. მე დავამთავრე თბილისის 55 საშუალო სკოლა, შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ფაკულტეტი 1980 წელს. მე დავიბადე 1957 წელს. შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილებში, ჩამოთვლა არ მინდა, რადგან ხშირად ვიცვლიდი ხოლმე, მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვიყავი, ეტყობა. ვმუშაობდი როგორც პროფილით, ასევე არაპროფილით. 80-იანი წლების ბოლოს მე დავუკავშირდი ეროვნულ მოძრაობას, რომელიც მაშინ ფართო გახდა, მანამდე მე კონტაქტი არ მქონია. 88 წელს დავუკავშირდი მათ, ხოლო 90 წელს მე გავწევრიანდი ტრადიციონალისტების პარტიაში, აკაკი ასათიანთან და ამ სიით მოვხვდი საქართველოს უზენაეს საბჭოში. საქართველოს უზენაეს საბჭოში მე ვიყავი საგარეო საქმეთა კომისიის ეკონომიკური ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ნათელა ვაჩნაძე: თავმჯდომარე ვინ იყო?

ნიკა კილასონია: კომისიის თავმჯდომარე იყო თედო პაატაშვილი, მერე იყო ქალბატონი მედეა (მედეა თუშმალიშვილი).

ნათელა ვაჩნაძე: ქვეკომისიის?

ნიკა კილასონია: ქვეკომისიის იყო ლევან ასათიანი. ეს ქვეკომისია ძირითადად საგარეო ეკონომიკურ კონტაქტებზე იყო აქცენტირებული. თვალყურს ვადევნებდით, რა ხდებოდა ეკონომიკაში. ჩვენთან შემოდიოდა საზღვარგარეთული კონტრაქტები. თუ რომელიღაც საზღვარგარეთულ ფირმასთან კერძო პირს სურდა რაიმე ეკონომიკური საქმიანობა, მოდიოდა ჩვენ ქვეკომისიაში. ამდენად, ინტენსიური შეხება მქონდა ამ საკითხებთან და შემიძლია ვთქვა, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაში, ჩემი თვალსაზრისით, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას კატეგორიული შეცდომები, უხეში შეცდომები არ დაუშვია. პირიქით, ჩემი თვალთახედვით, რომ ეცდიათ, ისე განვითარებულიყო ეკონომიკური რეფორმა, როგორც ამას ბატონი ზვიადი ხედავდა, ალბათ საქართველო გაცილებით უფრო მომგებიან სიჭუაციაში აღმოჩნდებოდა.

ნათელა ვაჩაძე: თუ თქვენს ბიოგრაფიას ვერაფერს შემატებთ სხვას, მაშინ გადავალ შეკითხვებზე. წინასწარ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩვენ არც თუ ისე ჩახედულები ვართ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ჩვენ ისტორიკოსები ვართ და თან შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტები, ამას ხაზგასმით ვამბობ, დასამალი არაფერია, თუმც ჩვენი მესამე პარტნიორი საქართველოს უახლესი პერიოდის აღიარებული სპეციალისტია. მოკლედ თუ დაგვიხასიათებთ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რა პოლიტიკაც მოფიქრებული იყო, გააზრებული იყო, რა პროგრამა იყო შედგენილი ეკონომიკური და გზით აპირებდა ხელისუფლება ქვეყნის წაყვანას, რა გაკეთდა და რის გაკეთება ვერ მოაწორო, რადგან ყველამ ვიცით, ძალიან ხანმოკლე იყო ამ ხელისუფლების ქვეყნის სათავეში ყოფნა.

ნიკა კილასონია: უბირველესად ყოვლისა დაგეთანხმებით, რომ ძალიან ცოტა დრო იყო იმისათვის, რომ ხელისუფლებას რაიმის გაკეთება ეკონომიკაში მოესწრო. ეკონომიკა ძალიან რთული მეცნიერებაა. უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმა წარმატებით ვერ ხორციელდება. მე ძალიან მოკლედ მინდა ვთქვა, რომ შოკური თერაპია, რომელიც განხორციელდა პოლონეთში, არის მიზეზი ალბათ იმისა, რომ დღეს პოლონელები თავისი ქანჩის გასაღებით ხელში არიან საფრთხოებლა დასავლეთ ევროპისათვის, იმხელაა უმუშევრობა არის. არ გამოიღო მაინცდამაინც დადებითი შედეგები ამან, თუმცა, რაღა თქმა უნდა, ჩვენზე უკეთეს მდგომარეობაში არიან. მაგრამ მთელი საქმე იმაში არის, რომ ეკონომიკური რეფორმა, როგორც ესეთი, არ შეიძლება განხორციელდეს ძალიან მოფიქრებული, ძალიან გააზრებული, შეხმატკიბილებული სქემის გარეშე, როდის რა უნდა გაკეთდეს, როდის უნდა დაინტენციალიზოთ გარეშე, როდის უნდა განთავისუფლდეს ფასები, როდის უნდა დაიბეჭდოს საკუთარი ფული, როდის უნდა მოხდეს ლიბერალიზაცია ვაჭრობის, როდის უნდა მოხდეს დერეგულაცია. ეს სუყველაფერი უნდა იყოს მკაცრად განერილი. ამის გამოცდილება

ჩვენ არ გვქონდა. ბატონი ზვიადი შეეცადა, მოეზიდა, ვინც კი ჰყავდა სპეციალისტები – საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ, ამერიკაში ცხოვრობდნენ. ეკონომისტი, ცნობილი არის კოკი გუგუშვილი, მასთან ჰქონდა კონტაქტი.

ნათელა ვაჩნაძე: მოლაპარაკებაზეც იყო გასული საქართველო მასთან, რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებდა, ასე მახსოვს, თუ სწორედ მახსოვს.

ნიკა კილასონია: იყო რაღაც შეთავაზებები ბატონ კოკიზე, მაგრამ მე ამ დეტალებში ჩახედული არა ვარ. მე მგონი, რომ თვითონ, ბატონმა კოკიმ არ აიღო თავზე ამოდენა პასუხისმგებლობა. შიგნით რა კადრებიც იყო, ეს იყო ძველი კომუნისტური კადრები, ვისაც ჰქონდა გამოცდილება. ვისაც არ ჰქონდა გამოცდილება ენთუზიასტი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ისინი ასევე აქტიურობდნენ, მაგრამ ბატონი ზვიადისთვის ძალიან ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუ რა მიმართულებით უნდა წასულიყო ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. საბოლოო ჯამში მან გააკეთა ესეთი არჩევანი, რომ ქვეყანაში უნდა ყოფილიყო დაბალანსებული, ე. წ. ... თქვენ ალბათ იცით, ამაზე არის ხშირად საუბარი, რომ ზვიადი იყო მომხრე ე. წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ არა, მსმენია კიდეც და წამიკითხავს ამის შესახებ. ზოგი ჩემი რესპონდენტი თავის მონათხრობს სწორედ ამაზედაც აგებდა და კრიტიკის პირველი საგანი სწორედ ეს იყო. თუ შეიძლება გაგვიმარტეთ, რაში მდგომარეობდა არსი და რა გზით შეიძლებოდა კიდევ წასვლა, თუ არა ამ გზით. ალტერნატივა რა იყო?

ნიკა კილასონია: პირდაპირ გეტყვით, რომ აქ არის ორი უკიდურესობა. ერთი უკიდურესობა ეს არის მაქსიმალურად გათავისუფლებული სახელმწიფო დიქტატისგან, რეგულაციისაგან საბაზრო ეკონომიკა, და მეორე უკიდურესობა ეს არის, სადაც ჩვენ ვიყავით, ეს არის საბჭოთა მმართველობის სტილი. ამას ჰქვია, საკომანდო, სახელმწიფოსგან მართული ეკონომიკა. ეს არც ერთი გზა, სუფთა სახით, ჩემის აზრით, მისაღები არა არის. რაში არის საქმე. ეს საკმაოდ რთული საკითხია. უპირველეს ყოვლისა ძალიან მკვეთრად გადასვლა ერთი სისტემიდან მეორე სისტემაზე, რაღა თქმა უნდა, როგორც ყველა დანარჩენ ნებისმიერ სფეროში, გინდათ აიღეთ მედიცინა, გინდა ნებისმიერი სხვა, ძალიან მკვეთრი, შოკური ნაბიჯები იწვევს ძალიან სერიოზულ პრობლემებს, რის მაგალითიც ჩვენ ვნახეთ, იმიტომ, რომ არაფრით არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან სახელმწიფო, ეს მმართველობითი ეკონომიკა შემორჩა ზვიად გამსახურდიას გაძევებით შემდეგ, არა. ეს იყო ყველაზე უფრო, შეიძლება ითქვას, განთავისუფლებული, ანარქიამდე მისული საბაზრო ეკონომიკა.

ნათელა ვაჩნაძე: როდის?

ნიკა კილასონია: 92 წლიდან. ეს იყო მისული აბსოლუტურად ანარქიამდე, როდესაც კორუფციის მეტი არაფერი არ იყო, შეიძლება ითქვას, ყველა აკეთებდა იმას, რაც მას სურდა. ზვიად გამსახურდიას ხშირად უკიუინებენ, რატომ არ დაიწყო მან მაშინ პრივატიზაცია.

ნათელა ვაჩნაძე: უკაცრავად, რომ განვყეტინებთ სიტყვას. ამაზე ვფიქრობ-დი, ეგ შეკითხვა მინდოდა დამესვა, რადგან ოპოზიციისათვის პირველი ბრალდება, თუ ამას რა ვუწოდო, ბრალდება უფრო სწორია, ნაყენებული სწორედ ესაა აქვს ხელისუფლებას. რომ არ მოხდა, უნინარეს ყოვლისა, მიწების პირად საკუთრებაში გადაცება და მეორე იყო ბინების პრივატიზაცია. რომ ჩვენ ამომრჩეველს მივეცით სიტყვა, დავდეთ პირობა, ჩვენ შევპირდით ამომრჩეველს და გამოდის, რომ მოვე-დით თუ არა ხელისუფლებაში ამ ამომრჩეველების 87 პროცენტით, რომლებმაც ჩვენ მოგვცეს ხმა და ა. შ., რა მოხდა, ჩვენ მათ ვატყუებთ, ჩვენ არაფერს არ ვაკეთებთ ამისათვის, ჩვენ მათ დანაპირებს არ ვას-რულებთ. ცოტა გაგვარკვიეთ ამ სიტუაციაში.

ნიკა კილასონია: ისევ და ისევ უნდა მივუბრუნდე იმას, რომ ეკონომიკური რეფორმა არ შეიძლება ხა კლიკ, ხა კლიკ განხორციელდეს. იგივე მიწების პრივატიზაციას რაც შეეხება, იგივე საწარმოების პრივატიზაციას, ბინების პრივატიზაცია ცალკე საკითხია და მერე მივუბრუნდები. ეს თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ცალკე, დამოუკიდებლად იგივე მიწების პრივატიზაცია ეკონომიკური რეფორმის დანარჩენი კომპონენტების გარეშე. აი, მაგალითად იგივე, ფასების განთავისუფლება. თუ კი ფასები არ განთავისუფლდა, თუკი არ მოხდა სახელმწიფოსგან მარებულირებელი ფუნქციების ნელ-ნელა წაღება, პრივატიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს საზიანო. ბატონ ზვიადის მოწვევით ჩვენთან ჩამოვიდნენ შვეიცარიელი ექსპერტები და მიწების პრივატიზაციასთან დაკავშირებით გვქონდა მათთან საუბარი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ არ გვქონდა ასეთი ცნობა მოცემული მთავრობის არც ერთი პირისაგან. რომ კონსულტანტები გყავდათ მოწვეული და გქონდათ საუბარი ამ თემებზე.

ნიკა კილასონია: მე პირადად არ მქონია ამაზე საუბარი...

ნათელა ვაჩნაძე: მაგას რა მნიშვნელობაა აქვს, ხელისუფლებას ხომ ჰქონდა. ეს რა დრო იყო, თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის რა დრო იყო, დასაწყისშივე, შუაში თუ უკვე ბოლოში, თუ გახსოვთ.

ნიკა კილასონია: ეს გაზაფხულზე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: გაზაფხულზე, ფაქტიურად, ახლად მოსულები იყავით.

ნიკა კილასონია: ახლად მოსულები, რაღა თქმა უნდა. მაგაზე იყო საუბარი. შვეიცარიელი ექსპერტები არ გვირჩევდნენ მიწების პრივატიზაციის ხელალებით დაწყებას, უფრო იყო საუბარი იჯარაზე, გრძელვადიანზე.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ნიკა კილასონია: მაგალითად მოჰყავდათ ის, რომ ეკონომიკური მიზანშეწონილობა ყოველთვის არ განაპირობებს მიწების ამუშავებას. მაგალითად მოჰყავდათ იმდროინდელი საფრანგეთის მიწის ფონდი, სადაც, როგორც ამბობდნენ, რომ 12 თუ 18 პროცენტი, აღარ მახსოვს, იყო დაუსაქმებელი იმიტომ, რომ მის ფლობელს, ელემენტარულად, ეკონომიკურად არ ანყობდა მისი დამუშავება, ხოლო ის ფაქტი, რომ ეს კერძო საკუთრება და პრივატიზირებული იყო, არ აძლევდა საშუალებას სახელმწიფოს როგორლაც ეიძულებინა, ეს მიწები ჩამდგარიყო ქვეყნის სამსახურში. მაგრამ ეს ცალკე კომპონენტია. უბრალოდ, მერის თქმა მინდა — ეკონომიკური რეფორმის დაწყება სრული მასშტაბით ვერ მოვასწარით.

ნათელა ვაჩანაძე: გრძელვადიანი, მე ასე წარმომიდგენია. ეს არის რაღაც პროცესი გრძელვადიანი, თანდათანობითი, ყველა კომპონენტის ჩართვით. მე ასე მესმის.

ნიკა კილასონია: ეს არის გრძელვადიანი პროცესი, ეს არის სქემა, შეიძლება ითქვას, რომლის მიხედვითაც დღეს ეს უნდა მოხდეს, ზეგ ეს უნდა მოხდეს, უნდა განხორციელდეს მთელი ეს ეკონომიკური რეფორმა. ცალკე მისი კომპონენტების განხორციელება დაახლოებით იგივე შედეგებს გამოიწვევს, რაც, ექიმმა რომ გამოგინეროთ წამალი, რაღაცა სქემით უნდა მიიღოთ და თქვენ ეს სქემა დაარღვიოთ. შედეგები იქნება ქვეყნისთვის იგივე. მარტივი მაგალითი მინდა გითხრათ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის რჩევა-დარიგებანი საქართველოს არ გამოადგა მას შემდეგ, რომ ეს რჩევა-დარიგებები, როგორც წესი, ეს ერთ სხვა ქვეყანასაც არ ადგია, რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციაა, შეიძლება ასე ითქვას, ეს ბრეტონვუდსის ინსტიტუტები. 1944 წელს შედგა კონფერენცია ბრეტონვუდსში ამერიკის ინიციატივით და მაშინ შეიკრა ეს ინსტიტუტი. მე და ბატონ ტარიელ გელანტიას პირადად გვქონდა შეხვედრა საერთაშორისო სავალურო ფონდის წარმომადგენლებთან, რომლებიც აქ იყვნენ ჩამოსულები, საუბარი, რაღა თქმა უნდა, იყო დახმარებაზე, მაგრამ ისინი ითხოვდნენ ჩვენგან, რაოდენ საკირველიც არ უნდა იყოს, ფასების განთავისუფლებას. გაანთავისუფლეთ ფასები, რატომ გაქვთ ფასები დარეგულირებული — მაშინ არ იყო ფასები განთავისუფლებული. საუბარი იმაზე არის, რომ, მაგალითად, კარაქი ლირდა რაღაც გარკვეული... და მასზე მაღალი ფასის დადება არ შეიძლებოდა. ფასები არ გვქონდა ჩვენ განთავისუფლებული. საქმე იმაში არის, რომ ფასების განთავისუფლება შეიძლება მოეთხოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მაშინ ჰქონდა თავისი ვალუტა. ჩვენ ვალუტა არ გვქონდა. ჩვენ რომ ფასები გაგვენთავისუფლებინა, წავიდოდა ფულადი მასის ზრდა, ანუ ზრდის ტენდენცია. ჩვენ, ელემენტარულად, არ გვექნებოდა... ფულს გვიძეჭდავდა რუსეთი. არ გვექნებოდა ბანკოტები იმისათვის, რომ დაგვეკმაყოფილებინა ეს ვეებერთელა

მონეტარული მასა, რის ზრდასაც, უზომო ზრდასაც, რაღა თქმა უნდა, გამოიწვევდა, და როგორც შემდეგ გამოიწვია და ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევდა, ფასების განთავისუფლება. ანუ ცალკე კომპონენტი, აი ეს ერთი — ფასების განთავისუფლება, საქართველოში გამოწვევდა მონეტარულ შოკს. მე პირდაპირ ვკითხე მას, როგორ, როდესაც ჩვენ არა გვაქვს დაბეჭდილი ჩვენი ფული. ძალიან უკმაყოფილო დარჩა, ჰოლანდიელი წარმომადგენელი იყო, სახელი, სამწუხაროდ, არღარ მახსოვს, ძალიან უკმაყოფილო დარჩა ამ შეკითხვით.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ჩანაწერები ხომ არა გაქვთ? ...

ნიკა კილასონია: არა, სამწუხაროდ.

ნათელა ვაჩნაძე: მათი სახელები, გვარები, სად მუშაობდნენ, რა პრინციპით იყვნენ მოწვეულები, ვინ ჰყავდათ კონსულტაციები, საიდან მოიყვანეთ ეს ხალხი, შემთხვევითი ხალხი იყო, თუ ნამდვილად ოფიციალური პირები იყვნენ სახელმწიფო ორგანიზაციებიდან?

ნიკა კილასონია: თქვენ ეხლა მეკითხებით საერთაშორისო სავალუტო ფონდზე, თუ...

ნათელა ვაჩნაძე: არა, საერთოდ, ზოგადად, ეკომონიკაზე, ეს არის საინტერესო. იმიტომ, რომ ყველაზე მეტი შეტევა სწორედ ამ კუთხიდან ხდება ხელისუფლებაზე. ჩანაწერები არავითარი არა გვაქვს.

ნიკა კილასონია: ჩანაწერები არა გვაქვს. უბრალოდ მე მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ის... ისეთივე არასწორ რჩევას გვაძლევდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, დამტკიცელ რჩევას გვაძლევდა, როგორ რჩევასაც გვაძლევდა ოპოზიცია, რომ დაგვეწყო ხელალებით პრივატიზება. პრივატიზაცია მარტო მიწების ან დანარჩენის, აი ესე, ხელალებით, მომზადების გარეშე, ფასების განთავისუფლების გარეშე, ეკონომიკური რეფორმის სხვა კომპონენტების განხორციელების გარეშე და გაუთვალისწინებლად, შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ დამდუპველი. ამაზე საუბარი, სხვათა შორის, მსოფლიოში დღესაც არის, რომ პრივატიზაცია პანაცეა არ არის და ასიმეტრიული ეკონომიკის ქვეყნებში პრივატიზაციაც, დერეგულაციაც, კაპიტალის ნებისმიერი სახით განთავისუფლება იწვევს ძალიან ხშირად უკუშედეგებს. არ შეიძლებოდა ცალკე, აი ესე აღებული, სანამ ეკონომიკური რეფორმა არ იქნებოდა დასრულებული, და სადღაც შემოდგომაზე ჩვენ ვაპირებდით ამის დასრულებას, მაგრამ შემოდგომაზე ჩვენ ეს არ დაგვცალდა. თუნდაც ეკონომიკური რეფორმის დასახვენად და მის განსახორციელებლად, მოსამზადებლად განხორციელებისათვის, ერთი წელი სულაც არ არის დიდი დრო. იმიტომ, რომ ჩვენ, მართლაც, არ გვყავდა ისეთი კადრები, რომლებსაც ძალიან მოკლე დროში ძალიან სრულფასოვანი რეფორმა დაედო. მომდინარეობდა ეს პროცესი ნელა.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ მიმდინარეობდა?

ნიკა კილასონია: ეს პროცესი მიმდინარეობდა. მე და თემო ბასილია ვმუშაობდით ამ ეკონომიკურ რეფორმაზე. ჩვენთან იყო მოსული გია მაისაშვილი, სხვებიც იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: მერე მე მახსოვს, ბატონი ბასილია პირველი დონის სკრიპტა იყო შემდეგი დროის ორკესტრში, მთელი ეკონომიკა იმის ხელთ იყო, არა?

ნიკა კილასონია: მართალი ბრძანდებით, ეგრე არის. მაგრამ ფაქტს ვამბობ უბრალოდ, რომ ერთად ვმუშაობდით ამ რეფორმაზე, რაც არ იყო ნამდვილად იოლი. ის რაც ვიცოდით ის არის, რომ ამით თამაში არ შეიძლება. რომ არ შეიძლება ასე პრივატიზაცია ხელაღებით, არც დაფიქრდე ამის გაკეთება, იმის გაკეთება. ეს აჩვენა 92 წლის შემდეგ მოვლენებმა. როგორ ჩატარდა პრივატიზაცია?

ნათელა ვაჩნაძე: როგორ ჩატარდა, აბა გვითხარით.

ნიკა კილასონია: პრივატიზაცია ჩატარდა, როგორც ჩატარდა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მას რუსულად „პრივატიზაცია“ დაარქვეს, პრაქტიკულად მიტაცება. კაპიკებში დაინანილა ნომენკლატურამ. ზვიადის თვალწინ ხდებოდა ის, რომ ზვიადი ხედავდა, რა პროცესი მიმდინარეობდა ქვეყანაში. სახელმწიფო საწარმოებიდა და სახელმწიფო ორგანიზაციების აქტივები იხსნებოდა ამ სახელმწიფო ორგანიზაციების ბალანსიდან და ქმნიდნენ, მათი დირექტორები, მათი უფროსობა, ნომენკლატურა, საქმოსნები, ქნიდნენ რაღაც კერძო საწარმოებს და იმათ ბალანსზე გადაჰქონდათ. ეს არის რთული საფინანსო სისტემა — ვის ვისი ვალი აქვს. ამას აქვს აქტივები, მაგრამ აქვს პასივებიც, ანუ აქვს ვალები. ვალებს უტოვებდნენ, აქტივები მიჰყონდათ. აირია ქვეყნის ფინანსები. ეს არის ეკონომიკის ანა და ბანა. სანამდე არ მოწერიგდება ფინანსები, ზუსტად არ მოხდება ინვენტარიზაცია, რა ვის ეკუთვნის, რა ვის ხელშია, ვის რამდენი ვალი აქვს და ვისი ვალი აქვს, მანამდე ეკონომიკური რეფორმის დაწყება და, მითუმეტეს, პრივატიზაცია, მითუმეტეს, ფასების განთავისუფლება, არაფრით არ შეიძლება, ამას ჯერ კიდევ იავლინსკი ყვიროდა რუსეთში ხმის ჩახლეჩამდე — Пока не урегулируем финансы, ценны не трогать. ეს არის ეკონომიკის ანა და ბანა. შემდეგ ამაში გარკვევა იქნებოდა აბსოლუტურად შეუძლებელი, რაც მოხდა კიდევაც. 92 წლიდან დაწყებული საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა 90 პროცენტის აბსოლუტურად გაძარცვა. მოხდა ფულადი რეფორმა, რუსული ფული გაფუჭდა, ვიცით, ხალხმა დაკარგა მთელი თავისი დანაზოგები, რაც ჰქონდა. ხოლო რაც შეეხება უძრავ ქონებას, ბინების გარდა მათ არა ფერი არ დარჩათ. იმიტომ, რომ ყველაფერი მიისაკუთრეს, დაურიგეს ვაუჩერები, რომლებიც დაურიგეს, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ტყუილად. მათ ამ ვაუჩერებით არაფრის ყიდვა არ შეეძლოთ. იძულებული გახდნენ შემდეგ, გაეყიდათ ეს ვაუჩერები. ეს იყო მოსალოდნელი კიდევაც.

იგივე მოხდებოდა მიწების პრივატიზაციის დროსაც. ხალხი იძულებული გახდებოდა, კაპიკად მიეყიდა ეს მიწები იგივე ხალხისთვის, ვინც ჩაიგდო ყველაფერი დანარჩენი ხელში. ზვიადი ამას ხედავდა. ზვიადი ხედავდა რას, უპირველეს ყოვლისა, რომ იგივე ნომენკლატურა, საქმოსნები და რაღაც ჯგუფი ქვეყანაში, რომელიც არ აღემატებოდა 5-7 პროცენტს, არის გამზადებული სწორედ რომ პრივატიზაციისთვის, რათა დაიკანონოს ის, რაც მანამდე, შეიძლება ითქვას, არ იყო მისი საკუთრება, მაგრამ იყო დირექტორი. ეს ხალხი აქტიურად მონაწილეობდა შემდეგ გადატრიალებაში.

ნინო თომაძე: სხვათა შორის, ჩვენ გვითხრა ჩვენმა ერთმა რესპოდენტმა, რომ ეს საქმოსნები იყვნენ კიტოვანის და ჯაბას უკან და ეს ხალხი იყო მომხრე ზვიად გამსახურდიას ჩამოდგებისა.

ნიკა კილასონია: ჩემი ინფორმაციითაც ესეა. მე უშუალო მათ მოლაპარაკებებს არ დაგსწრებივარ კიტოვანთან და სხვებთან, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი უკიუინებდნენ ოპოზიციას, რომ ოპოზიციას შეეტია ზვიად გამსახურდიასთვის, იმიტომ, რომ ზვიადს დაეწყო პრივატიზაცია ყოვლად მოუმზადებლად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მოუმზადებლად და რეფორმის მთლიანი კონტექსტიდან ამოგლევილად არაფრით არ შეიძლება პრივატიზაციის ჩატარება.

ნინო თომაძე: თქვენ იძახით, რომ არ შეიძლებოდა იმ ეტაპზე, რა ეტაპზეც თქვენ იყავით, პრივატიზაციის ჩატარება. მაშინ რატომ შეპირდა თავიდანვე ხალხს?

ნიკა კილასონია: ზვიად გამსახურდია არ შეპირებია ხალხს იმას, რომ როგორც კი მოვალ, მეორე თვესვე ჩავატარებ პრივატიზაციას. პრივატიზაციას ზვიადი აპირებდა, რაღა თქმა უნდა.

ნინო თომაძე: ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი ოპოზიციონერი ამბობს, რომ შეპირდა და არ შეასრულა. რატომ შეპირდა ხალხს, მაშინ ისეთი ფორმით შეპირებოდა, რომ ამ ხალხის გაღიზიანება არ გამოეწვია, ეს ხომ შეიძლებოდა.

ნიკა კილასონია: არა, იცით როგორ არის, მაგაში ალბათ ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ, რომ ისევ და ისევ რჩება ასეთი შეკითხვა — როდის უნდა დაეწყო ზვიადს? რომ დაეწყო, ვთქვათ, ზვიადს ზაფხულში, ვიღაცა იტყოდა, რატომ არ დაიწყო გაზაფხულზე. არ გაზაფხულზე, არც ზაფხულში არ იყო მზად ამისათვის არაფერი. ეკონომიკური რეფორმის სცენარი არ იყო დაწერილი.

ნინო თომაძე: მაშინ სხვანაირად გეითხავთ. როცა მოვიდა ხელისუფლებაში, რა ეკონომიკური განცხადება, კონცეფცია ჰქონდა?

ნიკა კილასონია: ეკონომიკური კონცეფცია დაწერილი იქნა ორი. ერთი იყო ბატონი კოკი გუგუშვილის მიერ დაწერილი, მეორე იქნა გია მაისაშვილის მიერ დაწერილი. ორივე ეს კონცეფცია არის მემარჯვენე კონცეფცია, ანუ ითვალისწინებს, რაღა თქმა უნდა, კერძო საკუთრებას,

არავითარი სოციალისტურთან საერთო არა აქვს. კოკი გუგუშვილის კონცეფცია მე უფრო მომწონდა. მაგრამ კონცეფცია და სცენარი ეკონომიკური რეფორმის ნამდვილად არ არის ერთი და იგივე. სანამ მოვა ხელისუფლებაში პოლიტიკური ძალა, მას შეიძლება ჰქონდეს მარტო კონცეფცია. შემდეგ უნდა დაიწყოს მან, როდესაც ჩაუვარდება ხელში ინსტრუმენტები იმისათვის, რომ ჯერ ინვენტარიზაცია მოახდინოს, გაზომოს, სად რამდენი აქვს, რამდენი აქვს პასივები, რამდენი აქვს აქტივები, რა ვის იკუთვნის, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს, ეს პოლიტიკურ ძალას ამის ინსტრუმენტები არა აქვს. ამიტომ ზევიადს ეს შეიძლება ჰქონდა ეკონომიკური რეფორმა მზად, ვიდრე ის მოვიდოდა ხელისუფლებაში. მას ჰქონდა კონცეფცია. კონცეფცია იყო თავისი არსით მემარჯვენე, მაგრამ რაც მნიშვნელოვანი იყო ბატონ კოკი გუგუშვილის კონცეფციაში ეს ის არის, რომ კოკი გუგუშვილს ჰქონდა მკვეთრად თავის კონცეფციაში ხაზგასმით, რომ საქართველოში მოხდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვანი გაძლიერება 70-იანი წლების ბოლოდან, შუიდან ძალიან მკვეთრად, ანუ დაგროვდა უკანონო, შეიძლება ითქვას, იმ დროის გაგებით, უკანონო კაპიტალი, რაღაცა ჯგუფის ხელში, რომელსაც თუკი მიეცა საშუალება, აი ამ ფინანსური კაპიტალით გაატყავებს, გაძარცვას სუყველა დანარჩენს, იმიტომ, რომ ვეებერთელა უპირატესობაა, როდესაც რაღაცა ჯგუფს აქვს 10 მილიონი, აი, თქვენ თუ გაქვთ ათი მილიონი და ქალბატონ ნათელას აქვს 100 დოლარი, თქვენი კონკურენცია რით დამთავრდება? ასევე არის იგივე ეს ჯგუფი, აბსოლუტურად ყოველგვარი პირობების გარეშე, იყო დანარჩენი 90 პროცენტის დამმარცხებელი, როგორც მოხდა კიდევაც შემდეგ. ანუ კოკი გუგუშვილის კონცეფციაში მკვეთრად იყო ხაზგასმული ის, რომ ქვეყანა უკვე ასიმეტრიულია ეკონომიკურად.

ნათელა ვაჩინაძე: და რა ვქნათ, რას ამბობდა?

ნიკა კილასონია: ამბობდა იმას, რომ საჭირო არის, იქნას მიღებული ღონისძიებანი, გათვალისწინებული იქნას ეკონომიკური რეფორმის დროს ის, რომ საქართველოში ძალიან მაღალი დონით არის ასიმეტრიულად ეკონომიკური განვითარებული. კონცეფციაში პირდაპირ არ ეწერა, მაგრამ ალბათ საუბარი იმაზე იყო, რომ არ მისცემოდათ საშუალება ამ ჯგუფს ხელში ჩაეგდოთ მთელი აქტივები, უძრავ აქტივების გარეშე საუბარი.

ნინო თომაძე: ქარხნები, ფაბრიკები, შენობები, ხელში რომ ჩაეგდოთ.

ნიკა კილასონია: რასაკვირველია, ქარხნები, ფაბრიკები ხელში რომ არ ჩაეგდოთ. იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ საშუალება ეს სუყველაფერი შეესყიდათ, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას ამის საშუალება არ ჰქონდა. შემდეგ, როგორც ვიცით, როგორც მოხდა, ეს ყველაფერი დადასტურდა. 80, 90 პროცენტი დარჩა აბსოლუტურად სახსრებს გარეშე, ყოველგვარი აქტივების გარეშე, მათ ვერაფერი ვერ შეიძინეს. არა-

ნაირი დივიდენდები არანაირი საწარმოებიდან მათ არა აქვთ, იმიტომ რომ საქართველოში არ არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი დღესაც, მაშინ თავისთავად არ იყო. არანაირი სახსრები იმისათვის, რომ დაინუონ თავიანთი ბიზნესი, მათ არა აქვთ. მაშინ უკვე იყო წინაპირობები ამისთვის შექმნილი. ამიტომ ფრთხილობდა ძალიან ზვიადი ეკონომიკური რეფორმის თავზეხელადებით, დაუფიქრებლად დაწყებას. ძალიან ცდილობდა, რომ ყველაფერი ყოფილიყო ზუსტად გაზომილი. სხვათა შორის, ზვიადი არ იყო ეკომონისტი, მაგრამ ჰქონდა ძალიან კარგი ალლო. თუნდაც ის, რომ მან თავიდანვე... ენერგომატარებლები, ანუ საუბარი არის აქ, თავისთავად, გასაგებია რაზეც — ბენზინზე, დიზელზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, უნდა დარჩენილიყო რაღაც გარკვეული პერიოდით სახელმწიფოს ხელში. თორემ მერე დავინახეთ რაც მოხდა. როცა განთავისუფლდა ფასები ენერგომატარებლებზე და როდესაც მოხდა პრივატიზაცია ამ სექტორის, მოხდა ის, რომ გარკვეულმა ჯგუფმა ხელთ იგდო ეს ყველაფერი და, შეიძლება ითქვას, რომ — მე ამაზე გამოკვლევა მაქვს გაკეთებული, მე დღეს არ ვიცი რამდენს შოულობენ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ წლების მანძილზე 2003 წლამდე მაქვს 96 წლიდან გაკეთებული გამოკვლევა, პრაქტიკულად 80 თეთრს, ლარს შოულობდნენ ერთ ლიტრა ბენზინში, იმდენად გაძვირდა. ანუ, როდესაც პრივატიზირებული გახდა სექტორი, იქ თავისთავად ფასები განთავისუფლდა და იქ ყოველ ლიტრ ბენზინზე საქმოსნებმა დაიწყეს დაახლოებით 70-80 თეთრის, ერთ ლარის კეთება. გაძვირდა თავისთავად ბენზინი. როდესაც გაძვირდა ენერგომატარებლები, ამან სოფლის მეურნეობაც კი უკვე წამგებიანი გახადა. ანუ ამ დარგის პრივატიზება, ასე ხელალებით, სანამ ქვეყანა ფეხზე არ დადგებოდა, არ შეიძლებოდა. ეს არის, სხვათა შორის, სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთი პოსტულატი — ის, თუ რა დარგები უნდა დარჩეს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლება, სადაც თქვენ იყავით, მზად იყო იმისათვის, რომ ენერგომატარებლები სახელმწიფოს განკარგვაში ყოფილიყო.

ნიკა კილასონია: უფრო ზუსტად, გარკვეული დროის მანძილზე უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ენერგოსექტორი უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და ეს იყო აბსოლუტურად სწორი. ისევე, როგორც ისეთი სტრატეგიული პროდუქტი, როგორც პური არ შეიძლებოდა გაძვირებულიყო ისე, როგორც გაძვირდა მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, პური შესახებაც მინდა გვითხოთ, იმიტომ, რომ აღმტოთებული იყო ჯგუფი ადამიანებისა, რა თქმა უნდა ოპოზიცია, იმით, რომ კაპიკებში, კაპიკებში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იყიდებოდა პური. და ეს აძლევდა საშუალებას სოფლის მოსახლეობას, რომ შეეძინათ დიდალი რაოდენობით პური, რომ გაეტანათ

სოფლად და ცხოველების საკვებად გამოეყენებინა. რომ პური, მე არ მახსოვს და არც ვერკვევი ეკონომიკაში, რომ პური გაცილებით უფრო იაფი ღირდა, ვიდრე პირუტყვის საკვები და ამიტომ უფრო მომგებიანი იყო სოფლის მცხოვრებლისთვის, ანუ გლეხისთვის, პურით დაეკმაყოფილებინა ცხოველის მოთხოვნილება, ვიდრე პირუტყვისათვის განკუთვნილი პროდუქტი შეეძინა.

ნიკა კილასონია: მე არ მგონია, რომ ეს ესე ყოფილიყო. იმიტომ, რომ, თქვენ გახსოვთ ალბათ რიგები, რომელიც იყო პურზე, დაიწყო უკვე მაშინ ეს. თავისთავად ეს არ იყო ადეკვატური ფასი პურისათვის, იმიტომ, რომ ყველაფერი ძვირდებოდა. მაგრამ ამან დაგაარჩინა ძალიან... ეს იყო გარკვეუნილად სოციალური ნაბიჯი, ეს არ იყო ეკონომიკური ნაბიჯი. ნათელა ვაჩნაძე: აბსოლუტური უმრავლესობის შიმშილით სიკვდილისაგან გადასარჩენად.

ნიკა კილასონია: ეს იყო ამისათვის, სოციალური თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯი. ესეც...

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ... ჩაგერთვებით, უკაცრავად. რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოდიოდნენ – მაშინ საზღვრები ასე დაწესებული ხომ არ იყო, არავინ არ იყო თავისუფალი, არავინ არ იყო დამოუკიდებელი, ყველანი ერთ სისტემაში, ერთი ჯაჭვით ვიყავით და ერთი უზარმაზარი რეინის კედლით დასავლეთისაგან და, თუ გინდ, აღმოსავლეთისაგან შემოფარგლულები – მაგრამ ჩვენ შორის არ იყო სახელმწიფო საზღვარი. შემოდიოდნენ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკებიდან და უამრავი რაოდენობით პური, მზა პროდუქტი გაპქონდათ. უკვე საქმე იქამდე იყო მისული, რომ ამის შედეგად განიძარცა თვითონ ჩვენი ქვეყანა. აღარ რჩებოდა ფქვილის მარაგი, რომ ჩვენი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო. ამის შესახებ ხომ ვერაფერს გვეტყვით.

ნიკა კილასონია: მაგის შესახებ შემიძლია მხოლოდ და მხოლოდ ის გითხრათ, რომ, შესაძლებელია მსგავსი ფაქტები იყო და ამას მე ვერ გამოვრიცხავ ვერანაირად, მაგრამ მეორე მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ალბათ გაზიადებული არის მსგავსი რაღაცეები. თვითონ ელემენტარული ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ თუკი ჩვენ მოსახლეობას შეეძლო შეეძინა ეს პური და თავიანთი ცხოველებისთვიც... ისინი არაფერს არ გაატანდნენ მეზობელ რესპუბლიკებს. შეიძლება ხდებოდა სადღაც მსგავსი რაღაცეები, მაგრამ იცით, როგორ არის საქმე? ყველა ნაბიჯს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი. ეს შეიძლება გარკვეულწილად არ იყო ადეკვატური ეკონომიკურად, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიძახი, ეს იყო სოციალურად ყოვლად აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ იმ საშინელი გაჭირვების დროს გადარჩენილიყო მოსახლეობა. შეიძლება ეს იყო პოლიტიკური ნაბიჯიც, არც ამას არ გამოვრიცხავ მე, იმიტომ, რომ ისეთ ელემენტარულ პროდუქტზე, როგორიც არის პური, მასზე

ფასის მატება არის პოლიტიკურად სენსიდიური. უპირველეს ყოვლი-სა სათქმელი ის არის, ეს სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ყოვლად აუცილებელი ნაბიჯი იყო, რომ პური არ გაძვირებულიყო. რაც შეეხება ენერგომატარებლებს, ეს უკვე ეკონომიკური ნაბიჯი არის, ენერგომატარებლების გაძვირებამ რა გამოიწვია, ჩვენ უკვე კარგად ვხედავთ, რომ ნელ-ნელა ქართული სოფლის მეურნეობაც კი... დღეს ჩვენ შემოგვაქვს ხახვი ჩინეთიდან, შემოგვაქვს ნიორი ჩინეთიდან, შე-მოგვაქვს კარტოფილი თურქეთიდან და, რომ ნელ-ნელა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სოფლის მეურნეობაც...

ნათელა ვაჩნაძე: რა სოფლის მეურნეობაზეა ლაპარაკი, სოფელში ადამიანი აღარ არის, ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე ადამიანი სოფელში უკვე აღარ ცხოვრობს, მოხუცები, დავრდომილები, პატარა ბავშვები, იმიტომ, რომ მოდის საშუალო თაობა და ახალგაზრდობა ქალაქში. ხელოსნობას მიჰყო უკვე ხალხმა ხელი და ვაჭრობას იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა... და ჩვენ არ ვიყავით სოფლის მეურნეობის ქვეყანა?

ნიკა კილასონია: ჩვენ სოფლის მეურნეობის ქვეყანა ვიყავით, რაღა თქმა უნდა, და ჩვენ, შეიძლება ითქვას, რომ ალბათ დიდხანს ვერ ვიქნებით ინდუსტრიული ქვეყანა იმიტომ, რომ ეს ესე იოლი არ არის. ზუსტად მაგაზე მინდა გითხრათ, ეს ყველაფერი დაიწყო უკვე 92 წელს, იმის შედეგად, რომ მოხდა ეს ეკონომიკური რეფორმა, ნაგლეჯ-ნაგლეჯ განხორციელდა, პრივატიზაცია ყველანაირი წესების დარღვევით, ისე, როგორც სურდა მათ, ვინც უკიშინებდნენ ზვიადს, სასწრაფოდ დაიწყეო, შემდეგ გადააგდეს, შემდეგ მოახდინეს ეს პრივატიზაცია ისე, როგორც მათ სურდათ, როგორც ჰქონდათ დაგეგმილი. შემდეგ მოხდა ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, ამან, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად გააჩერა წარმოება ყველანაირი. სოფლის მეურნეობაც კი ნელ-ნელა გაძარცვა და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რა მდგომარეობაშიც ვართ. განსაკუთრებით 98 წელს შემოლებულმა მაღალმა აქციზმა, ენერგომატარებლებზე — ბენზინზე, დიზელზე შემოიღეს მაღალი აქციზი, გაზარდა ფასი მათი და მას შემდეგ მოხდა ესეთი რაღაც, რომ მთელი წარმოება, შეიძლება ითქვას, მთელი ფული გადმოვიდა თბილისში. უკვე სოფლის მეურნეობაში დაბანდებას არაფრის აზრი არ ჰქონდა. გაჩერდნენ ის ფერმებიც, რომლებიც კი მუშაობდნენ, აღარ იყრებოდა მიწა და მთელი ფული წამოვიდა თბილისში და ინტენსიურად ჩაიდო რესტორნების, კაზინოების, ძვირფასიანი კოლეჯების და... მომსახურების სექტორში და ბენზოგასამართ სადგურებში. გახსოვთ, ესე იძახდნენ, რომ თბილისში რესტორნებისა და ბენზოგასამართი სადგურების გარდა არაფერი არ შენდება.

ნათელა ვაჩნაძე: მე დავუმატებდი სილამაზის სალონებს და აფთიაქებს.

ნიკა კილასონია: კი, ბატონო, ეს ყველაფერი არის მომსახურების სექტორი. ეს ყველაფერი არის ქალაქი, ვაჭრობა, ანუ მთელი ფული წამოვ-

იდა ქალაქში, ერთადერთ ქალაქში, თბილისში. მთელი შრომითი რესურსი წამოჰყვა მას თბილისში. ამის საშიშროება იყო უკვე მაშინ. ზვიადი ამას ხედავდა და ამიტომ იყო, რომ ენერგომატარებლებზე მას არ უნდოდა ფასების მკვეთრი მატება, რასაც გამოიწვევდა დარგის პრივატიზაცია და დერეგულაცია, ანუ როდესაც თავისუფლად მიეცემოდათ საშუალება, ამაზე ეკეთებინათ ფული. დღეს, შეიძლება ითქვას, ფულს აზღვევს, უსაზღვროდ გამდიდრებული უმეტესი ოჯახი ზუსტადაც რომ ამ ბიზნესში მონაწილეობს. უკვე მაშინ იყო ამის საშიშროება. ამიტომ ზვიადს პქონდა ძალიან მკაფიო ხედვა ამისი, რომ ენერგომატარებლებზე სახელმწიფო კონტროლის მოშორება ნიშნავს ქვეყანაში წარმოების, პრაქტიკულად, გაჩერებას. ეს ერთ-ერთი კომპონენტია სახელმწიფო კაპიტალიზმისა, თორემ თავისთავად სახელმწიფო კაპიტალიზმი აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა მოხდეს პრივატიზაცია. ყველაფრის პრივატიზაცია მოხდებოდა, მაგრამ ყველაფრი მოხდებოდა მომზადებულად, ყველაფრი მოხდებოდა სქემის ფარგლებში.

ნათელა ვაჩნაძე: როდის დაიწყო, თუ გახსოვთ, პრივატიზაციის პირველი ნაბიჯები როდის გადაიდგა, უმაღვე, რაც უკვე თქვენ აღარ იყავით და რაც ძველი ხელისუფლება გადააგდეს?

ნიკა კილასონია: როგორც კი გადააგდეს, პრაქტიკულად მაშინვე დაიწყო, მესამე წელიწადს, მგონი, 1994 წელს დაიბეჭდა ვაუჩერები, მე ზუსტად აღარ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და გაზეთებში აღბათ არის, რა თქმა უნდა.

ნიკა კილასონია: არა, მე მგონი, არ დაწყებულა ასე უეცრად. მთელი საქმე რაში არის, ზუსტადაც რომ არაფრით არ შეიძლება, სანამ საკუთარ ფულს არ დაბეჭდავ, მანამდე პრივატიზაციაზე საუბარი. მე კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ პრივატიზაცია არ შეიძლება მოხდეს, სანამდე არ გაქვს საკუთარი ვალუტა. საკუთარი ვალუტა საქართველომ როდის შეიძინა? 1995 წელს გამოვიდა ლარი. მანამდე ვერც დაიწყეს მათ პრივატიზაცია. აი, ეხლა გამახსენდა. შეუძლებელია, შენ რუსულ ფულზე ხომ არ დაიწყებ, სხვა ქვეყნის ფულზე, პრივატიზაციის წარმოება არის ყოვლად დაუშვებელი.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩემის აზრით, საერთოდ, თქვენი ხელისუფლებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, რაც ეხლა ბრძანეთ. თორემ ვაუჩერების სისტემა გასაგებია. ჩემმა ოჯახმაც მიიღო ეს ვაუჩერები და ჩვენ არც კი ვიცოდით რა იყო და ერთ მდიდარ კაცს მივეცით ეს ქალალდები, მოვიშორეთ თავიდან, ვაჩუქეთ. ჩემმა მეუღლემ თქვა, რომ ჩვენ არც თავი ვიცით, არც ბოლო და ის ჭკვიანი კაცია, ამხელა უზარმაზარი სანარმო აქვს, ასეთი მდიდარი კაცია, ასეთი უცბათ გამდიდრდა და წაიღოს ესეც და ღმერთმა შეარგოს,

რათ გვინდა, აქ რომ გვიყრიაო. ხედავთ, როგორი არაეკონომიკური და არასახელმწიფოებრივი აზროვნება გვახასიათებდა.

ნიკა კილასონია: ამაშია საქმე. იმიტომ ვამბობ, რომ ერთი სისტემიდან მეორე სისტემაზე მკვეთრი გადასვლა, როდესაც სახელმწიფო ეგრევე უშვებს ხელს ყველა ბერკეტებს, ეგრევე ხდება პრივატიზაცია, რაღა თქმა უნდა, ხდება ყველანაირი დარღვებით, როცა ეს სასწრაფოდ ხორციელდება, ყველანაირი პირობა ექმნება იმას, ვისაც უნდა გაძარცვოს მეორე და აქვს ამის საშუალება. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა — ეკონომიკური რეფორმა არაფრით არ შეიძლება ნაგლეჯ-ნაგლეჯ, სანამ საკუთარი ფული არ გექნება, სანამ ფასების განთავისუფლებას ვერ მოახერხებ, პრივატიზაცია არის პრინციპულად შეუძლებელი. თვითონ, როდესაც გადატრიალება მოახდინეს, ბატონმა თენგიზ სიგუამ რა დროში მოახერხა ფულის დაბეჭდვა, რომ საქართველოს საკუთარი ფული ჰქონდა, რამდენი ხანი დასჭირდათ ამისათვის.

ნინო თომაძე: სიგუა უკვე აღარ მუშაობდა.

ნიკა კილასონია: ჰო, მაგას ვამბობ მე. ანუ რა მოასწრო მას შემდეგ, რაც მოვიდა, რა გააკეთა, რაც მის ხელში აღმოჩნდა ეს, რის გაკეთება მოასწრო. ან რაც გაკეთდა, რა გაკეთდა კარგად. ყველაფერი ის, რაც გაკეთდა, გაკეთდა ისე, რომ დღესაც კი მის შედეგებს ვზღვავთ. ანუ ერთ-ერთი უმთავრესი, კიდევ და კიდევ მინდა გავიმეორო, აი ეს მინდა ალფად და ომეგად გასდევდეს ჩემს საუბარს, ეს ის არის, რომ ზვიადი ცდილობდა, დაემთავრებინა რეფორმა, რეფორმა ყოფილიყო ძალიან მკვეთრი, მკაფიო ყველა ცალკეული ციკლის, ყველა ცალკეული კომპონენტის სქემის მიხედვით განხორციელებული. ანუ არ შეიძლებოდა პრივატიზაცია კონტექსტიდან ყოფილიყო ამოგლეჯილი, არ შეიძლებოდა ყოფილიყო კონტექსტიდან ამოგლეჯილი არც ერთი კომპონენტი რეფორმის. და ამის მოსწრება იმ პერიოდში, რაც ზვიადს ერგო, იყო ყოვლად წარმოუდგენელი.

ნათელა ვაჩნაძე: თუ გავითვალისწინებთ, რა პოლიტიკური სიტუაცია იყო თვითონ ქვეყანაში, შიგნით და რა ძალები მოქმედებდნენ გარეთ. აქ-ტიურად საომარ მდგომარეობაში იყო ქვეყანა დღიდან, დაახლოებით, ასე ჩავთვალოთ, 2 სექტემბრიდან, თუ არა და უფრო ადრეც — ივნისში, ივლისში აბობოქრებული იყო, ზაფხულში მიტინგები სულ მიმდინარეობდა. აგვისტოში კიდევ პუტჩი იყო მოსკოვში და ამას კიდევ ათასი არეულობა მოჰყვა.

ნიკა კილასონია: შეიძლება ითქვას, რომ არ დასცალდა. პოლიტიკურიც შეიძლება ამას დაერთოს... მაგრამ ის, რომ დრო იყო ცოტა...

ნათელა ვაჩნაძე: და დრო იყო მძიმე. აი, ორი ფაქტორია: დრო იყო ძალიან ცოტა და დრო იყო ძალიან მძიმე. დრო იყო ძალიან მძიმე, როგორც შიდაპოლიტიკური პოლიტიკური ვითარების თვალსაზრისით, ისე

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. უბრალოდ ფიზიკურადაც აღარ იყო საშუალება, ამაზე კონცენტრაცია...

ნიკა კილასონია: ფიზიკურადაც არ იყო, რაღა თქმა უნდა, ამის საშუალება და კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა — ყველა ჩვენ ოპონენტს, ვინც იძახის, არ საქართველოს პქონდა საერთაშორისო აღიარება. საქართველოს საერთაშორისო აღიარების არ ქონას პქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა, თუნდაც ეკონომიკისთვის, რატომ? იმიტომ, რომ ეს გულისხმობდა, რომ ინვესტირი საქართველოში არ ჩამოვიდოდა, ამის მიუხედავად ბევრი ჩამოდიოდნენ და წინასწარ ცდილობდნენ, ასე ვთქვათ, მოესინჯათ სიტუაცია. ასეთი იყო ბატონი დომენიკ სტავლინი, პირადად შევხვდი, ეს ჩეის მანკეტენ ბანკის მართველი, რომელიც ჩამოვიდა აქ, ან გარდაცვლილმა მიხელ ქორქიამ ჩამოიყვანა, კალათბურთელმა, დაათვალიერა ქვეყანა, არაჩვეულებრივად აღფრთოვანებული დარჩა. ესენი წინასწარ ჩამოვიდოდნენ, მაგრამ არაფერი ფულის ჩამდები კი არ იყვნენ, სანამ ქვეყანა არ იქნებოდა აღიარებული. ამას გარდა, ვერსად ვერ დაბეჭდავდი შენ ფულს. სანამ არ გექნებოდა საკუთარი ფული, ვერანაირ ეკონომიკურ რეფორმას ვერ დაიწყებდი და კიდევ ერთხელ ვიძახი, პრივატიზაციაზე საუბარი ზედმეტია. რუსულ ფულზე პრივატიზაციის ჩატარება, ნებისმიერ სხვა ფულზე, მონლოლურ ტუგრიკებზე, თუ გინდათ, ამერიკულ დოლარებზე არაფრით არ იყო დასაშვები. ეკონომიკური რეფორმა შეიძლება დაიწყოს, როდესაც ქვეყანას აქვს საკუთარი ვალუტა. ეს არის ყოვლად აუცილებელი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი ნიკა, მსმენია, რა თქმა უნდა, სანინაალმდეგო თვალსაზრისზე მდგომი ადამიანებისაგან, რომ თვითონ შენობაში, უზენაესი საბჭოს შენობაში, ფული, უკვე მაშინ, როცა კრახი განიცადა ხელისუფლებამ, ტომრებით იყო თითქოს. ეს რა არის?

ნიკა კილასონია: არაფერი მსგავსი მე არასოდეს არ მინახია, არც გამიგია ვინმესგან მსგავსი რამ. სად შეიძლება ყოფილიყო ტომრებით დაყრილი ფული, ეს დაახლოებით იგივე ჭორს ჰქავს, როგორც იმას, რომ იქ მართლა ბუნკერი იყო და ბუნკერში ტყვეები ჰყავდათ, რომლებსაც ანამებდნენ. მე არაფერი მსგავსი არ მინახია და არც ვიცნობ ვინმეს, ვისაც მსგავსი რამე ენახოს.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობდნენ გურამ აბსანძეზე, ამბობდნენ ტარიელ გელანტიაზე, რომ მათ ხელში იყო ტომრებით...

ნიკა კილასონია: მაპატიეთ, სად გაქრა ტარიელ გელანტიას მილიონები, ძალიან მაინტერესებს? ეს კაცი სრულიად არ არის მილიონერი და ძალიან, შეიძლება ითქვას, მოკრძალებულად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ან თუნდაც გურამ აბსანძის მილიონები სად გაქრა?

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ქვეყანაში ცხოვრობს?

ნიკა კილასონია: გერმანიაში.

ნათელა ვაჩნაძე: იცის გერმანული?

ნიკა კილასონია: კი, გერმანული იცის.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ გააკავშირებდით მიწების პრივატიზაციის საკითხს დემოგრაფიულ სურათს, ძალიან მჭიდროდ უკავშირდება. ხომ არ იყო აქ რაიმე გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება, განსაკუთრებით უცხო ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებს ვგულისხმობ — ქვემო ქართლი, ვთქვათ, სამხრეთ საქართველოში ახალქალაქის მხარე ჯავახეთი. ხომ არ იყო რაიმე საუბარი ამის შესახებ, ხომ არ გაგონდებათ რაიმე მინიშნება პრეზიდენტისაგან, რომ ეს იქნებოდა არასწორი ნაბიჯი ხელისუფლების მიერ გადადგმული.

ნიკა კილასონია: იყო ამაზედაც საუბარი. მე უშუალოდ თვითონ ბატონი ზვიადისგან ეს არ გამიგია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სხვებისგან მესმოდა, რომ ეს საკითხი ამის გამო სიფრთხილეს მოითხოვს. სხვა თუ არაფერი, თუნდაც იმიტომ, რომ კომპაქტურად დასახლებული ერთი რომელილაც ადგილი სავსებით შეუძლია სხვისი სახელით იყიდოს რომელილაც სახელმწიფომ, შეიძინოს. და კერძო საკუთრების პრივატი, ჩვენ ვიცით, როგორი გადამწყვეტი არის.

ნათელა ვაჩნაძე: მეზობელმა სახელმწიფომ, თუ ნებისმიერმა?

ნიკა კილასონია: ეს შეიძლება აღმოჩნდეს მეზობელი სახელმწიფო, რომელ-საც ნამდვილად ეყოფა ფინანსები იმისათვის, რომ შეიძინოს ეს.

ნათელა ვაჩნაძე: მითუმეტეს, ისეთ ვითარებაში, როდესაც თვითონაც არ სჭირდება ძალიან ბევრი ფული, თუ მას უცხოეთში ძალიან მდიდარი დიასპორა ჰყავს და ძალიან შეძლებული ადამიანები, რომლებიც, ფაქტიურად, ნაწილობრივ მსოფლიოს მართავენ თავისი კაპიტალით. ცნობილია სომხეთის ძლიერება ამ თვალსაზრისით, ხომ?

ნიკა კილასონია: სავსებით მართალი ბრძანდებით. რაღა თქმა უნდა, ესეც გათვალისწინებული იყო. ამაზე საუბარი არ სურდა იმიტომ, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე არასწორი პოლიტიკური ნაბიჯები იქნებოდა და ხმამაღლა გაცხადება არასწორი ამ თვალსაზრისით.

ნიკა კილასონია: ხმამაღლა ამის განცხადება, რაღა თქმა უნდა, არასწორი, მაგრამ ეს ამბავიც იყო გათვალისწინებული. ეს არა მარტო ეთნიკურ სურათს შეცვლიდა საქართველოში, არამედ მოხდებოდა ქვეყნის მთელი რეგიონების დაკარგვა, ალინიზაცია მოხდებოდა. ეს თავისითავად გათვალისწინებული იყო, მაგრამ ხმამაღლა ამის თაობაზე არავინ განცხადებას არ აკეთებდა. ერთ-ერთი მთავარი ამ საკითხში იყო ის, რომ პრივატიზაციის ხელალებით დაწყება არაფრით არ შეიძლებოდა, მითუმეტეს, როდესაც ქვეყანას არ ჰქონდა საკუთარი ვალუტა.

ნათელა ვაჩნაძე: მეორე ბრალდება, ყველაზე უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებული, ეს არის ბინების პრივატიზაცია.

ნიკა კილასონია: მთელი საქმე იმაშია, რომ ბინების პრივატიზაცია ერთ-ერთი კომპონენტია ასევე ეკონომიკური რეფორმის. შეიძლება მომხდარიყო ამ ბინების პრივატიზაციაც, მაგრამ ეს ამბავი გადაიდო, ეკონომიკური რეფორმის ერთიან კონტექსტში ცდილობდა, რომ ჩაესვა. აქაც მონაწილეობდა, რაღა თქმა უნდა. ის მომენტი, რომ ძალიან ბევრს არ ჰქონდა საშუალება, რომ... დაიწყებოდა ის პროცესი, რაც მერე დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა, კონკრეტულად რას გულისხმობთ?

ნიკა კილასონია: ეს გულისხმობდა იმას, რომ ბინების გაყიდვა... ხალხმა მასიურად გაყიდა ბინები, ჩადო ეს ბიზნესში, შემდეგ გაკოტრდნენ, შემდეგ დარჩნენ უბინაოდ.

ნათელა ვაჩნაძე: შემდეგ ეს ბინები წაიღეს ბანკის წარმომადგენლებმა უფასოდ, პრაქტიკულად გროშებში.

ნიკა კილასონია: ეს სუსკელაფერი იყო გათვალისწინებული და უბრალოდ ვცდილობდით, რომ მომხდარიყო ყველაფერი ეტაპობრივად, ისე როგორც მოხდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, იქ, სადაც ასიმეტრი არ იყო ესეთი ძლიერი, არ იყო ჩრდილოვანი ეკონომიკა არ იყო ესეთი ძლიერი. იქ სულაც არ იყო ისეთი მდიდარი სახელმწიფოები, ვიდრე ჩვენთან საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გულისხმობთ პალტიისპირეთს.

ნიკა კილასონია: კი, ბალტიისპირეთში. იქ, უბრალოდ, თანაბრად იყო განაწილებული აქტივები.

ნათელა ვაჩნაძე: იყვნენ ცოტა მდიდრები, მე ვყოფილვარ ბევრჯერ და კარგად ვიცი, განსაკუთრებით ესტონეთი ვიცი კარგად და ლიტვაც კარგად ვიცი.

ნიკა კილასონია: ხუთ პროცენტს რომ ჰქონდა ხელში აქტივები, ნამდვილად ესე არ არის. ის იყო უფრო თანაბრად განაწილებული ეკონომიკა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვეულებრივ მოქალაქეებს ჰქონდა შესანიშნავი აგარაკები შესანიშნავი სახლები, მანქანები ყველას. ეს მასიური იყო. ქალაქგარეთ საკუთარი სახლები ეს განსაკუთრებულ მოვლენად არ ითვლებოდა. აქედან შეგვეძლო დასკვნა გაგვეკეთებინა, რომ ვიღაცის ოქროს სასახლე კი არ იდგა, დანარჩენი ხალხი კი უბინაოდ. ასე არ იყო.

ნიკა კილასონია: ხოდა ამას ვამბობ ზუსტად, რომ ის იყო თანაბარი ეკონომიკის ქვეყანა, ხოლო საქართველოში იყო ასიმეტრია. ნებისმიერი სახის პრივატიზაცია, მათ შორის ბინების პრივატიზაცია...

ნათელა ვაჩნაძე: გარყვნა ვერ მოასწორ საზოგადოებამ ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მოკლედ რომ ვთქვათ და უხეშად, ვერ გაირყვნა საზოგადოება. ეს იმიტომ მოხდა ყველაფერი, რომ ძალიან გვიან შემოვიდა საერთო სისტემაში.

ნიკა კილასონია: კორუფცია რახან ნაკლები იყო, ჩვენთან იყო მეტი, და ისევ და ისევ, საქართველოში იყო საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი პრივატიზაცია, მათ შორის ბინების პრივატიზაცია ესე ხელალებით, მომზადების გარეშე გამოიწვევდა იმას, რაც მოხდა შემდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: ბინის პრივატიზაციას ფული ხომ არ სჭირდებოდა, ეს ხომ დაგეგმილი იყო, უფასოდ მომხდარიყო და ვისაც რა ჰქონდა, იმას დაიმტკიცებდა კერძო საკუთრებაში.

ნიკა კილასონია: აქ არის ფულზე საუბარი, აქ არის საუბარი იმაზე, რომ დაიწყებოდა მასიური გაყიდვა ამ ბინების და წამგებიან ბიზნესებში ჩადება, მაშინ, როდესაც ერთ ჯგუფს ჰქონდა ვეებერთელა უპირატესობა ხელში.

ნათელა ვაჩნაძე: ის მდიდრები, რა თქმა უნდა, სახლებს არ გაყიდნენ, მათ არ ჰქონდათ გასაყიდი.

ნიკა კილასონია: მათ არ ჰქონდათ გასაყიდი. მე წამდვილად დავიბრალებ, რომ ვთქვა, რა ღონისძიებებით შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობდით ამაზე და ვცდილობდით, რომ ეს ესე არ მომხდარიყო. ეკონომიკურ რეფორმას უნდა შეექმნა მინიმალური პირობები იმისათვის, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა არ დარჩენილიყო აბსოლუტურად ცარიელზე.

ნათელა ვაჩნაძე: მესამე ძალიან დიდი ბრალდება ეკონომიკის სფეროს არ ეკუთვნის და ამიტომ შეკითხვას არ დაგისვამთ და ისე, თქვენი ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილო, ეს იყო უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი და უნივერსიტეტის ბედ-ილბლის სახელმწიფოსა და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ადგილობრივ გადაწყვეტა და ადგილობრივი, თვითონ საუნივერსიტეტო კოლექტივით... უნივერსიტეტის კოლექტივის სურვილს გამოხატავდა დიდი სამეცნიერო საბჭო, არჩევითი გზით მოსულიყო რექტორი უნივერსიტეტში და არა ხელისუფლების მიერ დანიშნული პიროვნება. აი, ეს არის მესამე, თუ გაინტერესებთ, რასაც ყველაზე მეტად ედავებიან იმ ხელისუფლებას ოპოზიციის წარმომადგენლები.

ნიკა კილასონია: შესაძლებელია, მე არ ვარ ამ დეტალებში ჩახედული, შესაძლებელია. ზვიადი ფრთხილობდა გაეშვა ხელიდან სადავეები. გასაკვირი არაფერი არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აბსოლუტურად არანაირი გამოცდილება არ არსებობდა, კადრების შერჩევა იყო საოცრად რთული, იყო ქვეყანაში პოლიტიკურად საოცრად არასტაბილური მდგომარეობა, ქვეყანას არ ჰყავდა ჯარი, ქვეყანას არ ჰყავდა მილიცია, ქვეყანაში არ იყო გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული ეკონომიკური რეფორმა, ქვეყანაში იყო არასტაბილური რეგიონები, სამაჩაბლოში უკვე მაშინ დაიწყო არეულობა, იოლად მოწყვლადი სახელმწიფოებრიობა იყო საქართველოში, ამიტომ ზვიადი, რაღა თქმა უნდა, ფრთხილობდა. უნივერსიტეტის საკითხზე დიდი ინფორმა-

ციია მე ნამდვილად რა გამაჩნია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ზვიადი ფრთხილობდა, ზვიადი ფრთხილობდა სადავეების ხელიდან გაშვებას. იყო საუპარია ბანკებზედაც, თუ რანაირად უნდა განთავისუფლებულიყო ბანკები...

ნათელა ვაჩნაძე: ბანკების საკითხებია კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი. აი, სწორედ მაგას ამბობდნენ, რომ არავითარი საბანკო სისტემა არ არ-სებობდა საქართველოში და ტომრებით ეყარა ფული და სრულიად უკულტურო, ველური ქვეყნისათვის დამახასიათებელი სიტუაცია იყო საქართველოში.

ნიკა კილასონია: ტომრებში მე ფული ნამდვილად არ მინახია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, საქართველოში საბანკო სისტემა განვითარებული ნამდვილად არ იყო. იყო რამდენიმე სახელმწიფო ბანკი და ეს ბანკები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას ისე, როგორც ისინი ფუნქციონირებდნენ საბჭოთა კავშირის დროს. რაღა თქმა უნდა ეს უცბათ ესე ვერ შეიცვლებოდა. ეს სუყველაფერი უნდა შეეცვალა ეკონომიკურ რეფორმას, რომელიც არ შეიძლებოდა დაწყებულიყო ქაოტურად. ისინი, ვინც უკიუინებენ ზვიად გამსახურდისა იმას, რომ მან ერთ წელიწადში, არც თუ ერთ წელიწადში, ვერ შექმნა, ვერ დაიწყო საბანკო სისტემის განვითარება, ავინწყდებათ, რამდენი ხანი დასჭირდა მას შემდეგ ამ საბანკო სისტემის განვითარება საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა, მგონი, ყველაზე უფრო მყარ საფუძველზე საბანკო სისტემა დგას, არა?

ნიკა კილასონია: ეხლა ყველაზე უფრო ძლიერი საქართველოს სექტორებში არის საბანკო სექტორი.

ნათელა ვაჩნაძე: რამ გამოიწვია ეს, ვინ გამოიწვია?

ნიკა კილასონია: ეს გამოიწვია ფულმა, ელემენტარულად ფულის თვისებამ. ის თავს იყრის ყველაზე უფრო დიდი მასის თავშეყრის ადგილას, ანუ ამ სექტორში ყველაზე დიდია ფული.

ნათელა ვაჩნაძე: და ჭკუა არ სჭირდება? სპეციალისტები არ სჭირდება? ამ დარგში ხომ სპეციალისტები საქართველოს არ ჰყავდა, რადგან, რა საბანკო სისტემაზეა ლაპარაკი საბჭოთა კავშირში, რადგან ერთი საბანკო სისტემაა, ერთი ბანკია და სად იყო ასეთ ქვეყნებში საბანკო სისტემები განვითარებული, რომელ რესპუბლიკაში იყო, ან სად უნდა ყოფილიყო.

ნიკა კილასონია: რაღა თქმა უნდა ნიჭი სჭირდება, მაგრამ მაშინ გკითხავთ — კი, მაგრამ მარტო ბანკირები აღმოჩნდნენ ქართველები ჭკვიანები, სხვა დარგები რატომ ვერ განვითარდა? აქ საუბარი სწორედ იმაზეა, რომ ეს არის სწორედ ფულის თვისება, ის თავს იყრის იქ, სადაც ყველაზე მაღალია მოგება. ყველაზე მაღალი მოგება არის იქ, სადაც ფული არის ყველაზე მეტად დაგროვილი. საბანკო სისტემა ჩვენთან განვითარდა იმიტომ, რომ აქ მოიყარა თავი, შემოვიდა ვეებერთელა

რესურსები, აქ მოიყარა თავი ყველაზე დიდმა კაპიტალმა და ეს გახდა ყველაზე მომგებიანი ბიზნესი საქართველოში. ეხლა რომ არის სამშენებლო ბუმი, მაგალითად, აქ გაჩნდა ყველაზე დიდი მოგების მარჯა, ერთი ჩადებული დოლარი სადღაც შარშან, ხუთ დოლარს აბრუნებდა უკან და ყველა ნიჭიერი ადამიანის შრომითი რესურსიც და მთელი ფულიც წავიდა იქით. თავის დროზე ასე წავიდა საბანკო სექტორისაკენ და არ წავა თავისით, არც ერთ შემთხვევაში, წარმოებისაკენ, სადაც, იგივე საერთაშორისო მონეტარული ფონდის კიუინით, იგივე არსებული სიტუაციით, ამის გამო მთავრობამ დააწესა მაღალი გადასახადები, დაბალი გადასახადები მომსახურების სფეროში და მაღალი გადასახადები წარმოებაზე. ეს მონეტარულმა ფონდმა მოითხოვა. იქ მოგება დაბალია, წარმოებაში, გაცილებით უფრო დაბალი, ვიდრე მომსახურების სექტორში, იგივე ბინათმშენებლობაში.

ნათელა ვაჩნაძე: არადა, წარმოებაში ხდება, ადამიანების, ცოცხალი ძალის დასაქმება. აბა, თუ დიდ წარმოებები არ ავამოქმედეთ და თუ ქვეყანამ ამ მხრივ განვითარება არ წახა, იქნება მუდმივი უმუშევრობა, ხომ?

ნიკა კილასონია: რაღა თქმა უნდა. მომსახურების სექტორი ვერ დაასაქმებს იმდენ ადამიანს, რამდენსაც დღეს საქართველოში დასაქმება სჭირდება.

ნინო თომაძე: საქმე იქამდე მიდის, რომ საქართველოში მარტო მომსახურე პერსონალი დასაქმდება, სხვა ყველა დაუსაქმებელი დარჩება.

ნიკა კილასონია: იმიტომ, რომ ვითარდება მარტო მომსახურების სექტორი. ისიც მინდა გითხრათ, რომ მომსახურების სექტორი არ გულისხმობს მარტო ოფიციანტებს, მომსახურების სექტორი არის მთელი ის, რომელიც საქონელს არ აწარმოებს. საქართველო დღეს არ აწარმოებს საქონელს. საქართველო დღეს მომსახურებას აწარმოებს, მაგრამ ამ მომსახურებას, სამწუხაროდ, აწარმოებს, უმეტესწილად, იგივე საქართველოს მოქალაქეებისათვის, ანუ ის ფული, რომელიც ის შოულობს, ისევ საქართველოს ფულია, საზღვარგარეთიდან შემოსული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ადგილობრივად დახარჯული. ის მიდის სულ ხარჯში, ანუ ქვეყანა ხარჯავს. ქვეყანა ხარჯავს და თვითონ ვერ შოულობს. რომ თუ დავუკვირდეთ რა ხდება, ქვეყანას, რომელსაც აქვს შემოსავალი, ვთქვათ, ათასი დოლარი, ხარჯავს თვეში ორი ათას დოლარს. ამიტომ ვაჭრობის დეფიციტი არის ათასი დოლარი. იზრდება ეს ტენდენცია. ეს გამოიწვია იმან, რომ საბაზრო ეკონომიკა, სუფთა სახით, როცა სახელმწიფო ხელს უშვებს უეცრად ყველანაირ რეგულირებას და აძლევს კაპიტალს თავისუფლად ბრუნვის საშუალებას, ეს კაპიტალი მიემართება იქითკენ, იმ ტენდენციებით, რა ტენდენციებიც არსებობდა მანამდე. აუცილებლად დადებითი ტენდენციები კი არ არის, როგორიც არსებობდა — უარყოფითი თუ იყო, უარყოფითი ტენდენციები ვითარდება, თუ დადებითი იყო, დადებითი ვითარდება, ანუ არსებული ტენდენციებით იწყებს კაპიტალი მოძრაობას, როცა მას გაათავისუფლებენ.

ტენდენციები კი ჩვენთან იყო ესეთი, ასიმეტრიული იყო ქვეყანა და დღეს კიდევ მეტად ასიმეტრიული ხდება. თავმოყრილი არის 90 პროცენტი მთელი ფულის თბილისში, მომსახურების სექტორში და მოსახლეობის 7 პროცენტთან, დაახლოებით.

ნინო თომაძე: ბატონი ნიკა, პროფესიონალისაგან მინდა გავიგო. ბევრი რამ აშენდა ბათუმში, კახეთში, ეს არაფერს არ მოიტანს, თბილის არ დააბალანსებს?

ნიკა კილასონია: თბილისს ვერ დააბალანსებს, თბილისში დაბალანსება ძალიან ძნელია, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს თავისთავად მნიშვნელოვანი რამე არის, რომ მოხდა როგორლაც ექსლაპორაცია, გადანაწილდა შეძლებისდაგვარად. მაგრამ, საუბედუროდ, რას გამოიწვევს ეს, შემიძლია გითხრათ. საქართველოს რეგიონების, სოფლის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს დღეს თბილისში, ჩამოსულია და მეორე ნახევარი წავა ბათუმში და მიწები, რომელთა პრივატიზაციაზეც არის საკითხები, უკვე კაპიკად ჩაუვარდება ხელში სხვას და უვარდება კიდევაც. მასზე დასახლდებიან სრულიად სხვა მოდგმის ხალხი.

ნინო თომაძე: მაშინ ჩვენ საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ბათუმსა და თბილისში იქნება მარტო ქართველი ხალხი და რეგიონებში იცხოვრებენ უცხოელები, ესე გამოდის?

ნიკა კილასონია: იცით, როგორ არის საქმე? აქაც, თბილისსა და ბათუმში, როგორ იცხოვრებს ქართველი ხალხი, ამაზეც ცოტა რთულად არის საკითხი, იმიტომ, რომ ვის რა ეკუთვნის, შეიძლება ითქვას. თუკი ბათუმში, აჭარაში ყაზახების იქნა მთელი ეკონომიკა, თბილისში, ასევე, უცხოელების... თუკი სულ უცხოელების იქნა, თუკი რეგიონებში ქართველმა არ იცხოვრა, მაშინ დარჩება ადგილი მხოლოდ თბილისში ოფოციანტებისთვის.

ნათელა ვაჩინაძე: რომ არ მოხდა ეს პრივატიზაცია და რომ არ მოხდა სადაცების ერთბაშად ხელიდან გაშვება და, როგორც თქვენ ბრძანეთ, მიშვება ასე, ეს, იცით, რომ ერთ-ერთ ცოდვად ჩაეთვალა ხელისუფლებას იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკური სადაცების ხელიდან გაშვება არ მოინდომა, რადგან ეს შეასუსტებდა როგორც პოლიტიკოსს, როგორც ერთპიროვნულ მმართველს და აქ გამოჩნდა მისი დიქტატორის, ერთპიროვნული მმართველობის ტენდენციები.

ნიკა კილასონია: ეს რომ წასულიყო ისეთი დინამიკით, რომ ზვიადს მეტი და მეტი ძალაუფლება მოეთხოვა თავისთვის, თუნდაც ამ თვალსაზრისით, მაშინ იქნებოდა რაღაცა მაგაზე სალაპარაკო, მაგრამ ტენდენცია ესეთი ნამდვილად არ იყო. საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ მზადდებოდა ეკონომიკური რეფორმა, ისიც კარგადგ იცოდნენ, თუ პრივატიზაციას როგორ ვაპირებდით, ისიც კარგად იცოდნენ, რომ ზვიადს დიქტატორობისთვის არანაირი ინსტრუმენტი არ ჰქონდა, დიქტატორს უნდა ჰქონდეს თავისი ჯარი, თავისი პოლიცია, არც

პოლიცია არ ჰყავდა ზვიადს, ეს პოლიცია მოსკოვიდან იმართებოდა, ეს აჩვენა გადატრიალებამ. დიქტატორს თავისი ატრიბუტიკა ესაჭიროება, რომელიც ზვიადს არ გააჩნდა. ის, რომ ზვიადი ფრთხილობდა სადავეების გაშვებას და ნელ-ნელა ცდილობდა ამ სადავეების გაშვებას, ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. მას შემდეგაც ბევრი რამეც სწრაფად ვერ მოხდა და, მითუმეტეს, როგორც მოხდა, ვიცით. ზვიადს არ უნდოდა ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა მას შემდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. თუ გაქვთ რაიმე თქვენ თვითონ დასამატებელი, რადგან ჩვენ კარგად, ღრმად ჩახედულები კი არა, შეიძლება ითქვას, ძალიან ზედაპირული წარმოდგენა გვაქვს ამ პრობლემაზე და ამიტომ, თუ რაიმეს დაგვიმატებდით კიდევ.

ნიკა კილასონია: რა შემიძლია კიდევ გავიხსენო. კიდევ შემიძლია გავიხსენო, რომ მაშინ მოხდა ფულის რეფორმა საბჭოთა კავშირში და ალბათ საუბარი მაშინ იყო იმაზე, რომ უზენაეს საბჭოს შეიძლებოდა ჰქონოდა რაღაც საშუალებანი, მიეღო მონაწილეობა ამ ფულის გადაცვლაში, ხომ მოხდა ფულის გამოცვლა მაშინ. მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე არაფერი მსგავსი, როგორც თქვენ მითხარით, აი ტომრებზე რომ მელეპარაკებოდით, ეხლა გამახსენდა ეგ ამბავი, რომ იმ ფულის რეფორმის დროს ვიღაცა შეიძლება მოელოდა, რომ უზენაეს საბჭოში ხდებოდა მსგავსი რაღაც. შეიძლება მაგაზე იყო საუბარი, მაგრამ მე არაფერი მსგავსი არ მინახავს.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ კერძო პირები მე ვიცი, ესენი სახელმწიფოსთან არ იყვნენ დაკავშირებულები, კერძო პირები თბილისიდან მიფრინავდნენ მოსკოვში, მე მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი, ჩამოჰქონდათ რუსული ფული, მოსკოველ მოქალაქეებს ართმევდნენ პასპორტებს, თუ კარგად მახსოვეს, მერე მიდიოდნენ ბანკში, თითო-ოროლა პიროვნება უკვე იყო მიზანში ამოღებული, ვინც ამას უმტკივნეულოდ აკეთებდა. ქართველისაგან ამდენი სახელმწიფო ფულის მიღება მოსკოველი მოქალაქეს პასპორტით, მისი ნომრების და მისი სერიის ჩაწერით და ა. შ., ის პიროვნება, რომელოც პასპორტს იძლეოდა, რა თქმა უნდა, ნილში იყო ფულს იღებდა ამაში, მაგრამ ძალიან ცოტას. გადაცვლა ხდებოდა ფულის.

ნიკა კილასონია: კერძო პირები ალბათ აკეთებდნენ, ნამდვილად ცნობილია ეს ამბავი. შეიძლება ვიღაცამ ჩათვალა, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკებს მეტი საშუალება ჰქონდათ ამის კეთების და ეს კარგი არგუმენტი არის, რომ თქვა, რომ ტომრებით ეყარა ფული მაშინ. უზენაეს საბჭოში შემოდიოდა უამრავი ადამიანი, ძალიან იოლი იყო უზენაეს საბჭოში შემოსვლა. რომ ყოფილიყო იატაკზე ტომრებით ფული დაყრილი, ეს ეცოდინებოდა მთელ თბილისს. მერე ისიც მინდა გითხრათ, ეს უზენაესი საბჭოს მილიონერი წევრები, გაძვალტყავებულები რატომ დარჩნენ გადატრიალების შემდეგ, თუ ტომრებით ჰქონდათ ეს ფული. ეს ხომ ლოგიკა არის ელემენტარული. რომელი არის მათგან მეტ-ნაკლებად შეძლებული,

მე არც კი ვიცი, ვინ გითხრათ. შეიძლება გურამ აბსანძეს ცოტა მეტი აქვს, მაგრამ მილიონერი ნამდვილად არ არის. მე შემიძლია გითხრათ, რომ ის ნახევარი უზენაესი საბჭოსი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ერთგული დარჩა გადატრიალების შემდეგ, არც ერთ ადამიანს არა აქვს ეკონომიკური შეძლება, არც ერთს. უზენაეს საბჭოში, რომ გითხრათ, ყველა იყო აბსოლუტურად სუფთა და არც ერთმა არ გამოიყენა თავისი თანამდებობა, სასაცილო იქნება და არასერიოზული იქნება, ალბათ ვიღაცამ გამოიყენა. რაღა თქმა უნდა, მასში იყვნენ კორუმპირებულები, მასში იყვნენ მოღალატები, მასში იყო ბევრი აგენტი.

ნათელა ვაჩნაძე: რაც იყო საზოგადოების ნაწილი. ისინი იყვნენ საზოგადოების ნაწილი. თეორია ერთია და რეალობა სულ სხვა რამე არის.

ნიკა კილასონია: ის ხალხი, რომლებიც ზვიად გამსახურდიას გვერდში დარჩა გადატრიალების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ კაპიკი არ ჰქონდათ გაკეთებული, იმიტომ, რომ გაძვალტყავებული დარჩა ყველა.

ნათელა ვაჩნაძე: გურამ აბსანძეზე ბრძანეთ, არა? მე ვიცი მისი შესაძლებლობები, უამრავი ტყვია აქვს ორგანიზმში და მოსკოვში უნდა გაუკეთონ ოპერაცია. და ბინა რომ დაიქირავოს, ამის შესაძლებლობაც არ ჰქონია, როგორც მე მითხრეს. ამიტომ ცხოვრობს სმოლენსკში, მეგობრის ბინაში და როცა დასჭირდება, ჩადის სმოლენსკიდან მოსკოვში მკურნალ ექიმთან.

ნიკა კილასონია: თუნდაც ეგ ფაქტი, რომ მილიონერი ვერ გახდა. აქ მე პატარა რეზიუმე მინდა გავაკეთო. რეზიუმე იმისგან შედგება, რაც მე უკვე ვთქვი, მაგრამ ესეც არის, რომ ზვიად გამსახურდია იყო პირველი, საბჭოთა კავშირიდან ვინც გამოვიდა, მას არ ჰყავდა გვერდში არც გამოცდილი კადრები, არ ჰქონდა დრო, არ ჰქონდა პოლიტიკური სტაბილურობა იმისათვის, რომ დროულად განეხორციელებინა ხარისხიანი ეკონომიკური რეფორმა. ამიტომ მოთხოვნა მისგან იმისა, რის გაკეთებაც მას ფიზიკურად ნამდვილად არ შეეძლო, თუნდაც ის ფაქტი, რომ ის არ იყო აღიარებული, ამიტომ ფულს ვერ დაბეჭდავდა და ეკონომიკურ რეფორმას ვერ დაიწყებდა, თუნდაც ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი, ვინც მას უკიუინებენ ამას, ისინი პოლიტიკურად ანგაუირებულები არიან. რა გაკეთდა მას შემდეგ, ვიკითხოთ, რამდენი ხანი დასჭირდა რას, როგორ გაკეთდა ეს ყველაფერი, რაც ზვიად გამსახურდიას უნდა გაეკეთებინა და არ გააკეთა, როგორც ამბობენ. როგორ მოხდა პრივატიზაცია, როგორ მოხდა ეს სუსყველაფერი, რასაც უკიუინებდნენ. ალბათ ეს არის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი.

აკაკი ასათიანი

2007 წლის 8 მაისი

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეფასებას მისცემთ მოვლენებს, რომლებიც განვითარდა 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრის ჩათვლით. შედეგებზე შემდგომ ვისაუბროთ. კონკრეტულად, რა იყო ეს, დეფინიცია როგორია.

აკაკი ასათიანი: ბალთაზარმა რომ დაინახა — აზომილია, გაწონილია, შეფასებულია.

ნათელა ვაჩნაძე: მეტ-ნაკლებად, არის არაერთგვაროვანი შეფასება.

აკაკი ასათიანი: ფორმალური ნიშნით, არა მგონია, დღეს ვინმე დავობდეს, შევარდნაძე.... უვანისა მომხრე პარლამენტმაც კი მიიღო. მე იმ მოვლენების დროსაც და მერეც ვამბობდი, რომ ეს იყო ტიპიური სახელმწიფო გადატრიალება — პოლიტიკური ნიშნით. იურიდიული ნიშნით ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება. თუნდაც იმ ბანაკში რომ ვყოფილიყვავი... მე ვფიქრობ, ეს იმათაც არ უნდათ სწყინდეთ, ეს ასე იყო. ეს კარგი იყო, ცუდი იყო, ეს არის სხვა თემა. რაკი იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც მოჰყვა, პრაქტიკულად, სრული ლეგიტიმურობის მოშლა, როგორც სახელმწიფოებრივი — ვთქვათ, აფხაზეთის პრობლემა წარმოიშვა, კონსტიტუციია გაუქმდა — ისე სისხლის სამართლის დონეზე — ჩვენ გვახსოვს, რა ქაოსი იყო, თუნდაც მინიმუმ ამიტომ იყო ცუდი უკვე, როცა ასეთი ფორმით მოხდა. მაგრამ ახლა არ გავყვები ამას. სახელმწიფო გადატრიალება იყო ტიპური, რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: სამხედრო-კრიმინალური — რომ არის ასეთი განსაზღვრებაც?

აკაკი ასათიანი: რა სამხედრო იყვნენ, თორემ დავეთანხმები. სამხედრო იყო პინოჩეტის გადატრიალება. სამხედრო გადატრიალებები ხდებოდა ლათინურ ამერიკაში, საბერძნეთში, თურქეთში, სადაც არსებოდა არმია, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით... მე ვთვლი, რომ ჩილეში რაღაცა გამართლება მას ჰქონდა და ჩილეში ნახევარი ხალხი თვლის, რომ მან გადაარჩინა ჩილე, ნახევარი თვლის, რომ საშინელება ჩაიდინა, თუმცა არავინ არ დავობს, რომ მერე განვითარება დადებითი იყო ქვეყნის და დღეს დემოკრატიული ქვეყანაა, პინოჩეტის ხელში მოხდა. როდესაც თურქეთში სამხედროები იღებდნენ ძალაუფლებას, ისინი შემდეგ გადასცემდნენ სამოქალაქო პირებს. ტყუილი იყო, თუ მართალი იყო, ისინი თავს იმართლებდნენ, რომ ამას სამშობლოსათვის აკეთებდნენ. საბერძნეთში მერე დაისაჯნენ შავი პოლკოვნიკები, თუმცა მათაც იგივე ჰქონდათ. ეს არ იყო ლათინური ამერიკისა და სამხრე-

თი ევროპის ტიპის სამხედრო გადატრიალება. ეს იყო, სამწუხაროდ, აფრიკული ტიპის გადატრიალება, სადაც გაუგებარი წარმომავლობის, გაუგებარ ნიადაგზე აღმოცენებული სამხედრო შენაერთები, უპასუხ-ისმგებლო ხალხის მეთაურობით, საკუთარი ძალაუფლების მოსაპოვე-ბლად ჩადიან ამას. იმ ბანაკში ბევრი ჩემი ნაცნობი, ზოგი მეგობარი იყო მანამდე ჩემი, მაგრამ საწყენი ისაა, რომ მათ უკეთესი უნდა ექნათ, თუ არ მოსწონდათ ზვიადი. ბევრი ნაკლი გვქონდა ჩვენ, ძალიან ბევ-რი, ბუნებრივია ესა. ვინმეს უნდა ექნა უკეთესი და გამართლდებოდა, თუმცა მაინც დარჩებოდა დეფინიციად სახელმწიფო გადატრიალება. სამხედრო გადატრიალება იყო ეს, რომელსაც მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება, სხვანაირად ვერ იქნება. ერთი რამ არის, მე მესმის, რომ ამას ისეთ შინაარსს ანიჭებენ, ისეთ ემოციურ მუხტს ანიჭებენ და ისე აგრძელებენ მერე ე. წ. ზვიადისტები, მე არ მიყვარს ეს სიტყ-ვა, რომ მეორე ბანაკის წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ იმ წუთშივე დაწვავენ მათ, თუ ამას აღიარებენ. ეს პრობლემაც წარმოიშვა. სინამდ-ვილეში დისტანციური დამოკიდებულება არ არის, რომ ეს ამბები ობი-ექტურად გაირკვეს, ვერც იქნება ამ თაობაში ვერაფრით. ისტერიკუ-ლი დამოკიდებულება იქნება ორივე ბანაკიდან, რასაც ვხედავთ სულ. არანაირი არგუმენტი არ ჭრის.

ნათელა ვაჩაძე: მე ისტორიკოსი ვარ და არავითარ შემთხვევაში უფლება არ მაქვს ვწერო ემოციებზე და ავყვე ამ ხალხს. მე არც მეშინია, სხ-ვათა შორის, აბსოლუტურად, თუმცა არის ძალიან საშიში ვითარებაც და, თქვენც დამეთანხმებით, მე მგონი. როგორც მაშინ იყო საშიში ვი-თარება, ასევე გრძელდება დღეს. ასე ადვილი საქმე არ არის ამაზე წერა.

აკაკი ასათიანი: ჩვენ ვერ გამოვსულვართ აქედან, რა თქმა უნდა. ჩვენ ვერ გავიგეთ ერთი რამ. ეს არამც თუ ევროპა არ არის — კულტურით არის, თავისი წარსულით არის, კულტურული კუთვნილებით არის ევროპუ-ლი ქვეყანა საქართველო, თორემ პოლიტიკური მენტალობის და პრაქ-ტიკის თვალსაზრისით არამც თუ დასავლეთი ევროპა არ არის, არამც თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა არ არის, ეს ლათინური ამერიკაა ტიპური, ჩვეულებრივი. თუ არა და ვნახოთ ჩვენი პრეზიდენტების, მათ შორის ზვიად გამსახურდიას, გამოსვლები და ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ **XIX** საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული **XX** საუკუნის 70-80-იან წლებამდე ლათინური ამერიკის პრეზიდენტები თითქოს ჩვენებისგან სესხულობდნენ და ჩვენებმა ისესხეს მათგან, არადა მე ვიცი, რომ არც ერთ ჩვენს პრეზიდენტს არ წაუკითხავს არც ერთი სიტყვა რომელიმე ლათინური ამერიკის პრეზიდენტისა, ანუ ტიპოლოგიურად იმდენად მსგავსი მოვლენაა, რაც ახლა ხდება საქართველოში, იგივე კულტურ-ის, განათლების სფეროში, იგივე ქალაქების ფასადების, შადრევნების თვალსაზრისით. . . . ჩვენ შეგვიძლია ეს ვნახოთ გვატემალაში, პონ-დურასში, სალვადორში, ნიკარაგუაში, სადაც ცენტრები ლამაზია,

მოვლილია, მაგრამ ქვეყანა დაქცეულია. თორემ პოეტი რუბენდარიო — ჰყავდათ ნიკარაგუელებს გალაკტიონის თანამედროვე — შესანიშნავია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ ხალხს იქ რამე საშველი დაადგათ. იქ ერთი პლუსი მაინც ჰქონდათ, იქ მართლაც სამხედროები ახდენდნენ გადატრიალებას. აქ არ იყვნენ სამხედროები, მთელი უბედურება, ყველაფერთან ერთად, კიდევ ეგ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რა გააკეთა ახალმა ხელისუფლებამ, ანუ ეროვნულმა ხელისუფლებამ, რა მოასწრო. თქვენი აზრით, რა იყო მისი პლუსი, რა იყო მინუსი. მინუსს რაღაცა თავისი გამართლება აქვს — ვერ მოასწარით, გული გეთანალრებოდათ, თუმც შეგეძლოთ გაგეკეთებინათ, ეს ფაქტორი იყო. იყო კიდევ ასეთი ფაქტორი — ყველაფერი თქვენზე არ იყო დამოკიდებული, თვით არც იმ უზენაეს საბჭოზე.

აკაკი ასათიანი: ბევრი რამ იყო. ასე არავიზე არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: არის, რასაკვირველია, ოპოზიციური ძალები შიგნით, ჩვენსავე სახელმწიფოში, მე არ ვგულისხმობ ძალებს სახელმწიფოს გარეთ, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან საშიში და მრისხანე..

აკაკი ასათიანი: სულ იქნება.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ რა გააკეთეთ? რა შეფასებას მისცემდით თქვენ ხანმოკლე მოღვაწეობას. თქვენ, ალბათ, უფლება გაქვთ უზენაესი საბჭოს ძირითადი მიმართულება განსაზღვროთ.

აკაკი ასათიანი: მე შემიძლია ჩემი აზრი მოგახსენოთ, რომელშიც, ერთში, ორიგინალური არ ვიქნები და მეორეში, ალბათ, საჭიროა მეტი დასაბუთება. მე ვთვლი, რომ ჩვენ გავაკეთეთ ის, რისთვისაც მოვედით, ანუ დამოუკიდებლობა ამ ქვეყნის მიღწეულია ზვიად გამსახურდიას მეთაურობით და იმ მრგვალი მაგიდის ხელისუფლების მიერ. ესეც აბსოლუტური ფაქტია, რომელსაც, საკამათო რომ არ იყოს, ადასტურებს გაეროში საქართველოს მიღების დოკუმენტი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველოს იღებენ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და მის საფუძველზე გამოცხადებული 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის შედეგად. ამისთვის მოვედით ჩვენ და ეს გავაკეთეთ. მეორე, მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთთან პრობლემა ჩვენ მოვაგვარეთ ისე, რომ ის დიდხანს იმუშავებდა, არა მარტო ტაქტიკურად იმ მომენტისთვის, არამედ მომავლისთვისაც. ამ რთულ მონაკვეთზე უზრუნველყოფდა ქვეყნის ტერიტორიულ ერთობას და მომავალში უზრუნველყოფდა, უსათუოდ, აფხაზთა და ქართველთა ერთობას აფხაზეთში და ამ ქვეყანაში, მთელ საქართველოში. შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა ჩვენ, ვინაიდან...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სანამ გააუქმებდით, მანამდე ხომ იმათ მოიმოქმედეს, რაც მოიმოქმედეს — სამხრეთ --- ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოაცხადეს?

აკაკი ასათიანი: იმას დავანებოთ თავი. მე დავიბრალებდი ყველაფერს, ჩვენ ვქენით ყველაფერი, რომ არა ერთი პრობლემა. ეს იყო პრობლემა იმისა, რომ გორბაჩოვის გადაწყვეტილებით უფლება მიეცათ არა მარტო გორბაჩოვის, არამედ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებით, ავტონომიურ რესპუბლიკებსაც უფლება მიეცათ, ხელი მოეწერათ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომელსაც ჩვენ ხელს არ ვაწერდით: საბჭოთა კავშირში დარჩენას ნიშნავდა ეს. თუ სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი გახდებოდა რესპუბლიკა, და ეს იყო ჩანაფიქრი, მეტი არაფერი, ის ამაზე ხელს მოაწერდა და დღეს იურიდიული საფუძველი მაინც რომ გვაქვს, რომ ვედავოთ და მთელი მსოფლიო, იურიდიულად მაინც, მხარს გვიჭრს, ესეც არ გვექნებოდა. აი, ეს მოხდა მაშინ. ამიტომ ამაშიც კი ვერ გავამტყუნებ ჩვენს ხელისუფლებას. მე ვთვლი, რომ პროპაგანდისტულად გამოცდილება არ გვქონდა და ვერ უზრუნველყოფით ეს პრობლემა, ვერ მივაწოდეთ მსოფლიო საზოგადოებას ისე, რომ ეს კი არ იყო ქართველების დაპირისპირება სამხრეთელ ოსებთან, არამედ ეს იყო საბჭოეთთან დაპირისპირება ისევ. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ. დღეს არიან ამერიკელი პოლიტიკექნოლოგები, რომლებიც შევარდნაძის შემდეგ სულ არიან საქართველოში, ისინი ამას, ალბათ, შეძლებენ. ამიტომ ვერც ამას ჩავთლით ნაკლად, პირიქით. მე ვთვლი, რომ ზვიად გამსახურდიამ და მასთან ერთად ჩვენ, მაშინვე მოვაწერეთ ხელი იმას, რომ ჩვენ დიდი პრობლემები გვექნებოდა არა მარტო როგორც ხელისუფლებას არამედ -- ქვეყანას. ზვიადმა აიღო ეს თავის თავზე და ჩვენც მასთან ერთად. ეს --- რუსეთის ჯარისთვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭება და თანამეგობრობაში არ შესვლა — ეს იყო სამი გადამწყვეტი ფაქტორი, რაც დაუჯდა ხელისუფლების ფასად გამსახურდიას და ამ ქვეყანას დაუჯდა შემდგომი მოვლენების ფასად. რაც შეეხება შეცდომებს. დიახ, ჩვენ ცოტა ხანს ვიყავით, მაგრამ, მე ვთვლი, რომ მაინც ჩვენ შეგვეძლო მოვესწრო, თუნდაც ის გაგვეეთებინა, რაც შემდგომში შევარდნაძემ გააკეთა.

ნათელა ვაჩნაძე: რა?

აკაკი ასათიანი: თუნდაც საკარმიდამო ნაკვეთები მიგვეცა ხალხისთვის...

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ უკვე რეფორმებისკენ იხრებით.

აკაკი ასათიანი: ... კერძო საკუთრებაში, თუნდაც ბინები მიგვეცა კერძო საკუთრებაში, თუნდაც ნულოვანი პრივატიზაცია, რაც შევარდნაძემ გააკეთა და დიდი ხნით მოიგო ქართული ახალშობილი ბურჟუაზიის გული. ეს ბურჟუაზია ახალშობილი ლეგალურად იყო, თორემ მანამდე არსებობდა, საბჭოეთში უკვე ჩრდილოვანი ეკონომიკა იყო. ჩვენ უნდა დაგვეფიქსირებინა ეს. მე უნდა მოგახსენოთ, რომ შიდა წინააღმდეგობის მიუხედავად, სადაც ნაწილი გულწრფელად გვიპირისპირდებოდა და ნაწილი, რა თქმა უნდა, კარნახით გარედან, ანგარებით ან პატივმოყვარეობით, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ გულწრფელადაც და-

პირისპირებულებიც იყვნენ, მიუხედავად გარე ძალებისა, მოსკოვი და, სხვათა შორის, ვაშინგტონიც, ორივეს მიუხედავად, ჩვენს წინააღმდეგ მომხდარი გადატრიალება, იმ ველური ფორმის მიუხედავად, რაც მას ჰქონდა, თავისი არსით ეს იყო ბურუუზიული რევოლუცია. თქვენ თუ გახსოვთ, მთელი ქართველი „დელეცები“, როგორც მათ საბჭოთა პერიოდში ეძახდნენ, საქმოსნები ჩაებნენ ამ გადატრიალებაში: ზოგი აფინანსებდა, ზოგი მონაწილეობდა უშუალოდ და ზოგი თავის შვილებს უშვებდა საომრად, ვინაიდან ეს იყო ლეგალიზების მოთხოვნა იმ ქონებისა, რაც მათ კომუნისტების დროს ჰქონდათ დაუწერელი კანონებით, რომელიც მაშინ მუშაობდა. როცა საბჭოთა სისტემა მოიშალა, ბუნებრივი იყო, მათ გაუჩნდათ მოთხოვნილება, ეს გაფორმებულიყო. ეს არის XVII საუკუნის ინგლისი. უბრალოდ, ეს ინგლისში XVII-ში მოხდა და მეფეს ამისთვის თავი მოპკვეთეს, საფრანგეთში XVIII-ის ბოლოს მოხდა, ჩვენ მოგვინია XX-ის ბოლოს. რას იზამ, ჩვენ უნდა გაგვეთვალისწინებინა ეს, თუნდაც იმ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც არსებობდა. იყო კიდევ ერთი ---ვიჩქარეთ, მე ვთვლი, ეროვნული გვარდიის შექმნა, და გავიმეორეთ მენშევიკების შეცდომა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ თვლით, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის პარალელურად უნდა ყოფილიყო ბრძოლა რეფორმების გასატარებლად, ანუ პირდაპირ უნდა გატარებულიყო.

აკაკი ასათიანი: ბრძოლა რა, პირდაპირ უნდა გატარებულიყო, მორჩა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ბრძოლა უკვე აღარ გჭირდებოდათ იმის გამო, რომ, როგორც ბატონი თენგიზ სიგუა ბრძანებს არაერთხელ, მას წუთო-ბრივად ჰქონდა ყველაფერი განერილი, როდის, რომელ დღეს, რომელ საათზე, რა ეტაპზე უნდა ყოფილიყო გაკეთებული ეკონომიკური რეფორმების გატარების თვალსაზრისით.

აკაკი ასათიანი: მართალს ამბობს, სწორიც არის და უნდა გაკეთებულიყო, ერთ რამეს ვერ ითვალისწინებს ოღონდი: ყველა შემთხვევაში, სანამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით და სანამ მოქმედებდა საბჭოთა კანონმდებლობა, ჩვენს მიერ ეს გატარებული რეფორმები იქნებოდა მაინც დროებითი ხასიათის. ბრალოდ, სხვა რამე გაკეთდებოდა; ეს იქნებოდა სიგნალი საზოგადოებისათვის, მესიჯი, როგორც ახლა ამბობენ, რომ ეს შევა ძალაში დამოუკიდებლობის შემდეგ და ჩვენ ჩვენს მოწინააღმდეგებსაც კი, ვინც შემდეგ დაგვიპირისპირდა, მომხრებად ვაქცევდით.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ მაშინ ფიქრობდით ასე, თუ ახლა ფიქრობთ?

აკაკი ასათიანი: მე ვუჭერდი სიგუას მხარს ამაში.

ნათელა ვაჩნაძე: უჭერდით?

აკაკი ასათიანი: რა თქმა უნდა, ამაში ნამდვილად ვუჭერდი მხარს.

ნათელა ვაჩნაძე: პირველი — ეს იყო მიწის საკუთრებაში გადაცემა.

აკაკი ასათიანი: იგივე მიწის საკუთრებაში გადაცემა. მე დავდიოდი სოფელ-სოფელ არჩევნების დროს და გლეხები მაშინ მეკითხებოდნენ — ეს მერე დაკარგეს მიწის ხალისი, მაშინ ჯერ კიდევ შეძლება ჰქონდათ — მიწას მოგვცემთო? და ზეიადმა საპრეზიდენტო პროგრამაში, ჩვენმა პარტიამ შეუდგინა ეს პროგრამა, თავისი ხელით ჩაწერა მიწის მიცემა. ეს პირობაც იყო და შესაძლებელიც იყო. საკარმიდამოს მიცემა შეიძლებოდა აბსოლუტურად თავისუფლად. დღესაც საკარმიდამოა მიცემული. დღემდე მიწა რეალურად არ არსებობს. ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო. მე ამაში ვუჭერდი მხარს სიგუას თავიდან ბოლომდე. სიგუასთან გზები გაიყო შემდეგ, როცა ის ამის გამო გადავიდა იმ ტიპის მეოთხებზე, რაც მოხდა.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. მეორე პუნქტი იყო ბინების პრივატიზაციის საკითხი.

აკაკი ასათიანი: ბინები და წვრილი საწარმოები მინიმუმ, ახლა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, გასაგებია, და ჩარხმშენებელი გაძნელდებოდა, ეს სხვა რამე იყო, მაგრამ საფეიქროები, რესტორნები, კაფეები, ეს ხომ პოლონეთში, უნგრეთში, სოციალისტურ ქვეყნებში...

ნათელა ვაჩნაძე: ამის გადაცემა შეიძლებოდა, თქვენ ასე ფიქრობთ?

აკაკი ასათიანი: რა თქმა უნდა, და უკვე კოოპერატივის შესახებ საბჭოთა კანონი არსებობდა, აյ წინააღმდეგობაც კი არ გვექნებოდა საბჭოეთან, საბჭოთა კანონმდებლობასთან.

ნათელა ვაჩნაძე: და მესამე — რექტორების არა დანიშვნა, არამედ არჩევა.

აკაკი ასათიანი: არ ვთვლი, რომ ეს დანაშაული იყო მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არის ბატონი სიგუას თეზისი.

აკაკი ასათიანი: ეს მისი თეზისია, მისი წებაა. მე არა ვთვლი ამას დანაშაულად, დიდ პრობლემად. არის ქვეყნები, სადაც ინიშნებიან, უბრალოდ ანგარიშს უწევენ იქაურ საზოგადოებას და მე ვთვლი, როინ მეტრეველის დანიშვნას არ გამოუწვევია არანაირი პრობლემა უნივერსიტეტში და არც ერთი რომელიმე სხვა რექტორის, დიდი პრობლემები არ იყო. ჯობია, არჩევითი იყოს, ოღონდ მაშინ მთლიანად ამერიკა უნდა იყოს, სადაც სამეურვეო საბჭოა, რომელიც აფინანსებს ამ უნივერსიტეტს, და სადაც კერძოა უნივერსიტეტები, ეს საკამათოა, ამის თქმა მინდა. პრინციპული რამე იყო თვითმმართველობა. პრეფექტების დანიშვნამ ჩვენ დაგვიშავა ძალიან. ეს არის ფაქტი, მათ შორის პატიოსნებმაც კი, რომელთაც არ ჰქონდათ მართვის გამოცდილება, მეტი ვნება მოგვაყენეს ჩვენ, ვიდრე მტრებმა, ერთგულებმა და პატიოსნებმაც კი. და ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჩვენი პრეფექტები მექრთამები იყვნენ. კომპეტენციის პრობლემა იყო და რევოლუციურად მოქმედებდნენ, როგორც კომისრები; ერთგულებიც იყვნენ, პატიოსნებიც იყვნენ, მაგრამ ეს პოლიტიკაში, მოგეხსენებათ, არ არის გადამწყვეტი.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ იყო უფლების გადაჭარბება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანის ბუნებისათვის და ესეც არ უნდა გაგვიკვირდეს.

აკაკი ასათიანი: მათი მხრიდან კი იყო, მაგრამ ჩვენ უნდა მიგველო ისეთი კანონი... არჩევითები რომ ყოფილიყვნენ, ჩვენი ბრალი არ იქნებოდა. ის პრეფექტი როგორიც გინდა ყოფილიყო — ავი, კარგი, წესიერი, უნესო... ეს არ არის ამერიკაში ბუშის ბრალი, რომელიმე გუბერნატორის საქციელი, არ არის ინგლისში, არ არის საფრანგეთში. ეს დღემდე დგას და ამიტომ ვამბობ. მაშინ მე ზვიადთან რეალური საკამათო მქონდა ეკონომიკაზე, მესმოდა, რომ საბჭოეთია და ჯერ ადრეა და ვამბობდი, მესიჯის დონეზე მაინც უნდა გაკეთდეს. მედიის პრობლემა იყო, პრესის არა. პრესა თავისუფალი იყო და ჩვენ კრიტიკას რამდენსაც გინდათ იმდენს ნახავთ, ტელევიზიაში ცოტა ფანჯრის შეღებაზე და, განსაკუთრებით თვითმმართველობაში მე არ მეშინოდა. ზვიადი თვლიდა, ოღონდ მას ნამდვილად ჰქონდა არგუმენტი საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო, რომ რაკი ვიბრძვით, ახლა საჭიროა დავნიშნოთ. ეს იყო არგუმენტი, რომელსაც მეც გავუწიე ანგარიში, მაგრამ მას შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თუნდაც მაშინ რომ ეს ჩვენ გვექნა, არ დაგვიშავდებოდა იმდენი არაფერი. დაბოლოს, პოლიტიკური. მე ამას გვერდს ვუვლი ხოლმე იმიტომ, რომ ჩემი წინადადება იყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები; რომ დაეჯერებინა ზვიადს ჩემთვის, რისი განცხადებაც მე და ჩემმა პარტიამ გავაკეთეთ, კრიზისი განიმუხტებოდა

ნათელა ვაჩნაძე: ხომ თხოულობდნენ არჩევნებს?

აკაკი ასათიანი: მე ვამბობდი. არა, ოპოზიციამ არ მოითხოვა.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ოპოზიციამ არა. თქვენი თანამოაზრები, ვინც თქვენ გიჭერდათ მხარს.

აკაკი ასათიანი: მარტი ჩემი პარტია უზენაეს საბჭოში, მეტი არავინ, და უზენაესი საბჭოს ოპოზიცია, მაგრამ გარეთ ოპოზიცია --- არა. ყველა მოსკოვის რეცეპტით მოქმედებდა. ნუ ეწყინებათ, მაგრამ ასე იყო: არც შიგნით და არც გარეთ, არც ჩვენ შიგნით --- ხელისუფლებაში და არც გარეთ --- ოპოზიციაში არ მოიძებნა ძალები, რომლებიც გადასწონიდნენ ამას. უზენაეს საბჭოში იყო ხალხი, რომელიც თვლიდა, რომ ისინი კომისიის თავმჯდომარები და მინისტრები ვეღარ იქნებოდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენ ხმას მოაგროვებდით?

აკაკი ასათიანი: „მრგვალი მაგიდა“ ისევ მოიგებდა, რა თქმა უნდა, ზვიადი პრეზიდენტად რჩებოდა. ისევ მოიგებდა, მაგრამ საკამათო და სადავო აღარ იქნებოდა. აპა, ქვეყანა დამოუკიდებელია, შანსი მოგეცი, დაინიშნა ეს არჩევნები, მომიგე არჩევნები. გაყალბებას ვერავინ ვერ დაგვწამებს, რომ ზვიადმა პრეზიდენტობა სიყალბით მოიგო, ან ჩვენ გაყალბებით მოვიგეთ.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი თვალსაზრისიც.

აკაკი ასათიანი: სად არის, ვინ არის, ავადმყოფს შეუძლია ეს თქვას.

ნათელა ვაჩნაძე: 28 ოქტომბრის არჩევნები გაყალბდაო, იშვიათად, მაგრამ ამბობს თითო-ოროლა დამკვირვებელი.

აკაკი ასათიანი: როგორ გაყალბდაო, კომუნისტებმა გააყალბეს ჩვენს სა-სარგებლოდ? მე ამ თემაზე არ ვიღაპარაკებ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვერიდები გვარების დასახელებას.

აკაკი ასათიანი: არ მინდა დასახელება, ან დეგენერატია ან შპიონია. ამ ქვეყ-ანაში თუ ცხოვრობდა იმ დროს, ამაზე ლაპარაკი არ არის: მე ვთვლი, ან იდიოტიზმი, ანდა დავალება. სხვა ახსნა ამას არა აქვს. მე არ მაინტ-ერესებს მათი აზრი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი პოზიცია მინდა გავიგო.

აკაკი ასათიანი: ჩემი პოზიცია არ არის, საერთაშორისო დამკვირვებლების პოზიციაა, და ჩვენი მოსახლეობის და იმ რიგების, რომლებიც იდგა საარჩევნო უბნებთან და არ მაღავდა ხალხი, ვის აძლევდა ხმას. ამი-ტომ მე ამას არ ვეხები.

რიგგარეშე არჩევნები იყო გამოსავალი და გადამწყვეტი. პოლიტიკური შეცდომა ზვიადის მხრიდან... ჩემ თავზე ვერ ვიტყვი, ჩემი შეცდომა ის იყო, ბოლომდე რომ ვერ გავიტანე ეს, ვეღარ გადავდექი ამის გამო, იმ-დენად ვუწევდი ანგარიშს ზვიადს და ვთვლიდი, რომ ისეთი საქმისთ-ვის იბრძოდა ზვიადი, რომ გვერდზე გადადგომა არ შეიძლებოდა. წინადადება დავაყენე და არ გავიდა ეს წინადადება. ზვიადმა მთხოვა, თუ ჩემი ხათრი გაქვსო, მერე გავაკეთოთ ესაო. პოლიტიკურად მაინც უმნიფარი ვიყავით, რომ ხათრი პოლიტიკაში, როგორც კატეგორია, არ არსებობს, არის ქართულ ურთიერთობებში, მეტი არსად.

ნათელა ვაჩნაძე: ჩემი შემდეგი შეკითხვა ეხება აგვისტოს პუტჩს. სამწუხ-აროდ, მე მაშინ არ ვიყავი თბილისში და კარგად არ ვიცოდი მოვლენ-ები, რომლებიც აქ ვითარდებოდა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა, როდესაც დამჭირდა, ამას ჩავხედე ძალიან დეტალურად. მე ვი-ყავი მოსკოვში და ძალიან ბევრი რაღაცის მოწმე გავხდი. ოპოზიციის პოზიცია ასეთია, რომ ზვიად გამსახურდიამ მხარი დაუჭირა პუტჩს.

აკაკი ასათიანი: რაში ვლინდება ეს?

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, რაში ვლინდება. მოწოდებებში, როგორც ოპოზიცია ბრძანებს — იყავით წყნარად, იყავით მშვიდად, იყავით თქვენ-თქვენ ადგილებზე სამსახურებში, იმუშავეთ, თქვენი საქმე გააკეთეთ, ნუ ერ-ევით ნურაფერში და იყოს ქვეყანაში სინყნარე და წესრიგი. მე მგონი, რომ წესრიგი აბსოლუტურად საჭიროა ყველა ადამიანისათვის ყველა ვითარებაში.

აკაკი ასათიანი: აბსოლუტურად სწორი იყო. განცხადებაში ეწერა სხვა რა-მეც — მეზობელ ქვეყანაში არეულობაა და ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ. აბსოლუტურად სწორი იყო. ჩვენ დამოუკიდებლობა გვქონდა უკვე გა-მოცხადებული.

ნათელა ვაჩნაძე: და არ უნდა ჩავრეულიყავით სხვა ქვეყნის საქმეებში, ხომ? აკაკი ასათიანი: აბარა უნდა გვექნა. აქ ჩამობრძანდა მარშალი შურავლიოვი და ის, აქაური ვაკბო-ს მამინდელი სარდალი პატრიკეევი, მოგვადგნენ და გვემუქრებოდნენ დაბომბვით იგივე იმ ტყეში გასული გვარდიის. გვარდია ოფიციალური ორგანოა და არა თვითნებური, იმისათვის, რომ ეგნი გადაგვერჩინა. სიგუა იმასაც იძახოდა, იანაევთან ჰქონდა ზვიადს ურთიერთობები და იანაევის ოქმები ნახეთო. 12 ტომია იანაევის დაკითხვის ოქმები და გამსახურდია, როგორც სახელი და გვარი და საერთოდ რომელიმე ქართველი იქ არ ფიგურირებს. აბა, რა უნდა განეცხადებინა გამსახურდიას — ხალხნა, ავჯანყდეთ, ვირბინოთ... თუ რამე საფრთხე იქნებოდა, მას უნდა მიეღო თავისთავზე ეს დარტყმა, ჩვენ, ხელისუფლებას, და არა ხალხს. მე ვთვლი, რომ სწორად თვლიდა. სამი ღამე გავათენეთ უზენაეს საბჭოში.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი თენგიზი, და არა მარტო ბატონი თენგიზი, რა პრეტენზიას უყენებენ ხელისუფლებას, იცით? რომ ხელისუფლება... ბატონი გიორგი ხოშტარია უკვე გადამდგარია — საგარეო საქმეთა მინისტრის პილიდან და უკვე ბატონი ომანიძე არის მინისტრი ... ომანიძე 18-ში იმყოფება მოსკოვში, ქირაობს მანქანას ერთ-ერთი ავსტრიელი ბიზნესმენის, ბაუზბეკის...

აკაკი ასათიანი: ქალის ლაპარაკია ეს.

ნათელა ვაჩნაძე: ...და შედის კრემლში იანაევთან.

აკაკი ასათიანი: გასაგებია, შედის კრემლში. კარგი, შედეგები, მერე რა ვქნათ. ე. ი. ვიღაცამ დაინახა, ომანიძე შედის კრემლში და ამას სერიოზული კაცი ლაპარაკობს? ეს არის ისტორიული რომანის ეპიზოდი და არა პოლიტიკის. სიგუას, როგორც ყველა მტყუან ადამიანს, სამწუხაროდ უნდა ვთქვა, ახასიათებს ეს. 2 წელი გრძელდებოდა მათი დაკითხვები, გამოქვეყნებულია და დაგროვილი. ან თვითონ წავიდეს, ან ვინმე გაგზავნოს, თუ არა და გამოქვეყნებულია და დაკარგოს დრო და წაიკითხოს. ვინ სად შევიდა, კრემლთან ვინ გაიარა კი არა, კონტაქტი არ ფიქსირდება ელემენტარული ჩვენს ხელისუფლებასა და გრიფის შორის. არ იყო და იმიტომ. ამას აქვს მნიშვნელობა ისტორიისათვის. უნდა ვაღიარო, რომ დიუმა ბევრ რამები მართალი იყო თავის ისტორიულ რომანებში. თუ ისტორიულ რომანებს წერს თენგიზ სიგუა, წეროს ეგ ეპიზოდები — ომანიძის მიერ მანქანის ქირაობა და კრემლში შესვლა. მაშინ მე სხვა რამეს ვიტყვი — მისი მოგზაურობები კრემლში შევარდნაძესთან. . . გადატრიალების დროს მე არ ვიცოდი სად იყო, ელდარ შენგელაიმ საჯაროდ თქვა პარლამენტი 1993 წელს, რომ ღამე ეძინათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ეზოში, „კოლხოზნიკში“. დაანებეთ თავი კრემლსა და რუსებთან თანამშრომლობაზე ლაპარაკს. ეს არ არის ჩემი, ეს არის საჯაროდ ნათქვამი ელდარ შენგელაიასი. მე არ ვიცოდი, სად იყო. 28 დეკემბერი — ეს ციფრი დამამახსოვრდა, რომ თქვა. პასუხი არ გასცა სიგუამ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ეს არ მახსოვს, ძალიან საინტერესოა. არქივი დაღუპულია. აკაკი ასათიანი: რისი? მაშინდელი? მე ვფიქრობ, გროზნოსა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: გროზნოში არა, სმოლენსკშია არქივი უშიშრობის. ამის შესახებ ოფიციალური ცნობა არის. უზენაესი საბჭოსი არის რაღაც მცირე ნაწილი გადარჩენილი.

აკაკი ასათიანი: მე მინახავს დოკუმენტები. ბევრი რამე მინახავს, ნეტავ არ მენახა. სამწუხაროდ ჩემდა. ზვიადმა მაჩვენა, მე არ მქონია, ამიტომ ვიკავებ თავს. ზვიადმა იცოდა, ხელს დაადებდა, ზოგჯერ უსამართლოდაც. მე კი ვიცი, ვინ ვინ არის, მაგრამ ამის დოკუმენტები არა მაქს. თუ მიიღებენ ლუსტრაციის კანონს, მეც იმდენივე საშუალება მექნება, ნებისმიერ მათგანზე...

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან მცირე ნაწილი უზენაესი საბჭოს მოღვაწეობისა არის არქივში, ამას მივაკვლიეთ.

აკაკი ასათიანი: სულ რომ არაფერი, გამოდიოდა „უწყებანი“. ჩვენთან არ ესმით ერთი რამ — ერთი რამეა ჭორი, მეორეა ისტორიული რომანი. ვალტერ სკოტს და ალექსანდრე დიუმას ჰქონდათ უფლება ისტორიული ფაქტი გაეგრძელებინათ, ეგულისხმათ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. არავინ არ იცის სინამდვილეში, რას ფიქრობდა ლუი XI, მაგრამ ვალტერ სკოტს რომ ვკითხულობთ, ჩვენ გვჯერა, რომ, ალბათ, დაახლოვებით ასე იფიქრებდა. მაგრამ პოლიტიკურ მოღვაწეს, თუ მას აინტერესებს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა, შეუძლია სხვა ადამიანი დაარწმუნოს ფაქტების თანამიმდევრობაში ან ინტერპრეტაციაში მხოლოდ თვით ფაქტების მეშვეობით, სხვა არაფრით. და ომანიძე იმდენს დადიოდა აღმა-დაღმა, რომ მისი გადაადგილებით გამართლება იმისა, რომ ზარბაზანი ისროლა შუა რუსთაველზე და გადაწვა ნახევარი თბილისი, არის მხოლოდ და მხოლოდ მტყუანი კაცის პოზიცია. ვიმეორებ — არსებობს ოფიციალური დაკითხვის ოქმები. ზვიად გამსახურდიას მომხრები ჰკითხავდნენ იანაევს? დაკითხვას ვინ აწარმოებდა? იანაევმა უერთგულა და არ გაამხილა ზვიადი, თუ კრუჩკოვმა, თუ პუგომ, თუ რომელიმე იქ მყოფებმა? არსებობს ეს ყველაფერი, არანაირ პრობლემას არ ნარმოადგენს ამის დამტკიცება, თუნდაც ერთგან თუ სადმე ნახსენებია. და ის პატრიკეევი შემდგომში იყო ძმობილი. ისინი თვითონ წერენ ამას, ბეპავი, ყოველ შემთხვევაში. მე ვამბობ ფაქტებს მხოლოდ და მხოლოდ, არც ჭორს ვამბობ, არც არაფერს. მე მაქვს ბეპავის ინტერვიუები, ცოცხალი კაცის, აგერ არის და ნახონ და ჰკითხონ, რატომ იტყუებიო, თუ ტყუის. ესე თქვა ელდარ შენგელაიამ პარლამენტში, რაც მოგახსენეთ.

ნათელა ვაჩნაძე: სად შეიძლება რომ წავიკითხოთ, ეს არის გამოქვეყნებული? აკაკი ასათიანი: სხდომების ოქმებში. ამას ესწრებოდა 500 კაცი. ტრანსლაცია მიმდინარეობდა თუ არა, არ ვიცი, შეიძლება დახურული სხდომა იყო. ირაკლი წერეთელმა დაიძახა, 28 დეკემბერს სად გეძინა, თქვით.

სიგურა რუსების მოწინააღმდეგედ გამოდიოდა და ელდარ შენგელაიამ ვეღარ შეიკავა თავი. ასე იყო ეს ამბავი. თუ მათ ჰგონიათ, რომ მარტო ციფრების დამახსოვრებაა საქმე, ძალიან ცდებიან. ისტორია ციფრები არ არის, ისტორია არის მოვლენათა თანამიმდევრობა, ოღონდ დასაბუთებული, ფაქტობრივად დასაბუთებულ მოვლენათა თანამიმდევრობა. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება დასკვნების გამოტანა. სხვა შემთხვევაში მხოლოდ შეძლეს ვალტერ სკოტმა და ალექსანდრე დიუმამ, გაეგრძელებინათ დამაჯერებლად ისტორიული ფაქტები მხატვრულად.

ნათელა ვაჩნაძე: გავყვეთ მაშინ მოვლენებს და ჩემთვის პირადად ყველაზე უფრო საინტერესო აგვისტოს პუტჩის შემდეგ არის 2 სექტემბერი — 2 სექტემბერი და ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება. როგორ აფასებთ 2 სექტემბერს ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობაში?

აკაკი ასათიანი: ეს იყო პროვოკაცია, რომელსაც წამოეგო გამსახურდია. მე გახლდით მოსკოვში. განიხილებოდა ბალტიისპირეთის გაშვების საკითხი და გაგზავნილი ვიყავი სწორედ იმისათვის ზვიადისაგან, რომ მიერნია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. აი, სწორედ ამისთვის დაიგეგმა ეგ, ჭანტურია წამოეგო ამაზე ზვიადის სიძულვილით და არ ეყო ზვიადს იმის ჭკუა — სხვამ კი უბრძანა პოლიციას, მაგრამ თვითონ ესწრებოდა, როგორც მე მითხრეს, მე ხომ არ ვიყავი, მე მოსკოვში ვარ ამ დროს...

ნათელა ვაჩნაძე: არა, არ ესწრებოდა, კრწანისში იყო.

აკაკი ასათიანი: მე კი ვიცი დაახლოვებით, მაგრამ მე ხომ არ ვიყავი, არა ვარ თვითმხილველი. მე რომ ჩამოვედი, თვითონ ვარკვევდი, იმიტომ, რომ ეს იყო საქართველოს მფრობა — 2 სექტემბერი. ის რომ მოვიდა ედპიქ, ეს არაფერი, მოვიდა და მოვიდა. პროტესტს გამოხატავდა.

ნათელა ვაჩნაძე: ყოველ ორშაბათს მოდიოდნენ, მაგრამ ომონი ვინ გაგზავნა?

აკაკი ასათიანი: სროლა ΓΡΥ-მ დაიწყო, ეს ასეა, აღარც ΓΡΥ არ მაღავს, მაგრამ რატომ გააგზავნეს ომონი....

ნათელა ვაჩნაძე: დოკუმენტი სად არის მაგისი?

აკაკი ასათიანი: ალეკო ნახეთ, მიქაბერიძე, ის იყო პოლიციის უფროსი. მე ვესაუბრე მას და მითხრა, როგორ იყო სინამდვილეში საქმე, დილარს ჰკითხეთ და მას უნდა ჰკითხოთ. მე გეტყვით, რომ არ უნდა გაგზავნილიყო ომონი და გაიგზავნა, როგორც ჩანს, მართლაც უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით. მერე რაც მოხდა, უკვე ბუნებრივი იყო. საქართველომ მაგ მომენტში დაკარგა ლეგიტიმურად გასვლის შანსი, იმიტომ, რომ მოსკოვში გორბაჩოვმა დაიხვია ეს ხელზე, შეხედეთ რა ხდება იქ, როგორ გავათავისუფლო?

ნათელა ვაჩნაძე: კონგრესმენები იყვნენ ჩამოსულები.

აკაკი ასათიანი: კონგრესმენები ჩვენი მოწვევით იყვნენ და ვიღაცამ დაამთხვია ზუსტად ამ მომენტს. ჩვენ რატომ ვქენით ეს? ჩვენთან ერთი რამე არ ესმით, განსაკუთრებით ზვიადისტებს, იმან რომ ზარბაზანი ისროლა რუსთაველზეო. შენ რომ ხელისუფლება იყავი, რატომ მიიყვანე აქამდე საქმე, როცა მივიდა, რატომ არ აღკვეთე — აი, ეს არ ესმით, ხელისუფლების პასუხისმგებლობა მომხდარზე. ყოველთვის მტყუანია ხელისუფლება. მე კი არ ვამბობ, რომ ზვიადი პირადად მტყუანია და სიგუა და კიტოვანი მართლები არიან. ჩემი პოზიცია გასაგებია — მე ზვიადის მხარეზე ვარ. ეს რომ ორი კაცის ჩხები ყოფილიყო ქუჩაში, მტყუანი ისინი იქნებოდნენ. შენ რატომ მიიყვანე აქამდე საქმე, რომ ვიღაცამ გაბედა, იარაღით გამოვიდა. ჯერ რატომ შეიქმნა ამის საჭიროება, რომ იარაღი აესხა? იმათაც ხომ უჭერდა ვიღაცა მხარს, საკმაოდ ცნობილი ხალხი — პარტიები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მერე, რატომ მივიდა საქმე იქამდე, რომ იარაღი გამოყენებულიყო, და რატომ არ აღიკვეთა? ამიტომ 2 სექტემბერი, რაც გინდა ყოფილიყო, შენ რატომ წამოეგე სრულიად ღია პროვოკაციაზე. 30 თუ 50 ედპ-ს წევრი იდგა და ყოველ ორშაბათს წიოდა და კიოდა. სამი კაცი არ ჩერდებოდა და არ უსმენდა მათ. რატომ გაიგზავნა ომონი და რატომ მოხდა ეს ამბავი?

ნათელა ვაჩნაძე: გადაკეტილი იყო ქალაქის გული, ქალაქის ცენტრი და შეფერხებული იყო მოძრაობა გიპასუხებენ.

აკაკი ასათიანი: მე რაც ვნახე კადრები, არ იყო გადაკეტილი, იყვნენ ზევით, კინოს სახლთან...

ნათელა ვაჩნაძე: ჯავახიშვილის ქუჩისა და მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

აკაკი ასათიანი: ... მაგისტრალის სავალ ნაწილზე არ იყვნენ და რომც ყოფილიყვნენ, პოლიტიკური ლოგიკა ყოველთვის არ ჯდება სამართლებრივ ჩარჩოში. თუ სამართალზე მიდგება საქმე, ჩვენს გასამტყუნარად მეტს ამბობენ ხოლმე: შენ თუ სხვას უშლი აღმართოს ბარიკადები რუსთაველზე, შენ თვითონ არ უნდა გქონდეს კარვები და ბარიკადები უზენაესი საბჭოს წინ. და ვერ დავარწმუნეთ მე და საქმაო რაოდენობამ მისმა მომხრეებმა და გულშემატკივრებმა, რომ ჩვენ თვითონ უნდა აგვეყარა ჩვენი, იმისათვის, რომ პასუხი მოგვეთხოვა სხვებისთვის.

ნათელა ვაჩნაძე: არის ოპოზიციის ამგვარი აზრი, რომ ამ კარვებით და, განსაკუთრებით, ფემინიზაციის პროცესით საშინლად აღშფოთებული იყო ყველა.

აკაკი ასათიანი: მე ვეთანხმები ოპოზიციას ამაში, იმიტომ კი არა, რომ იმ ქალებს რამეს ვერჩოდი. არ შეიძლება ხელისუფლება ამ ფორმით მართავდეს ქვეყანას. ეს არ არის პოლიტიკური პრძოლის იარაღი. ჯერ ეროვნული მოძრაობის ბოლოშიც კი უკვე პრობლემა იყო, აღარ იყო საჭირო ეს ამბავი. მიზანშეწონილობა პოლიტიკაში მთავარი. სამართალში სამართლიანობა უნდა იყოს, სარწმუნოებაში — ზნეობა და

უმაღლესი იდეალები, პოლიტიკაში — მხოლოდ მიზანშეწონილობა. მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ხომ დადასტურდა მერე, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ესთეტიკური თვალსაზრისით იყო აბსოლუტური საშინელება. ფსიქოლოგიურად ძალიან დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა საზოგადოებაზე, უცხოელებზეც, აქაურებზეც, ხომ ფაქტია?!

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ქვეყანაში იყო ასეთი რამ?

აკაკი ასათიანი: არსად, და დღესაც არ ვიცი ამისი აზრი.

ნათელა ვაჩნაძე: წარმომავლობა, საიდან მოდის ეს?

აკაკი ასათიანი: არ ვიცი. ვინც აკეთებდა იმას ჰქითხეთ, მეუღლეს მისას, და თვითონ რატომ უჯერებდა, ეს კიდევ ცალკე საკითხია.

ნინო თომაძე: ე. ი. თქვენი აზრით, ეგ ქალბატონი...

აკაკი ასათიანი: ეს ჩემი აზრით არ არის. როცა მაგ ქალზე ლაპარაკობენ... მე კი ვიცი, როგორც იყო.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით არა, ბატონო აკაკი, ყველა მაგას გაიძახის.

აკაკი ასათიანი: ჰო, მაგრამ მე ვერ ვამბობ. მაშინ მამაკაცის ბრალია. კაცი მეუღლისას კი არა . . . აგერ მშვენიერი ქალბატონები ბრძანდებით და თქვენს აზრს მე ანგარიშს გავუწევ, ქალებს საინტერესო თვალთახედვა აქვთ, მაგრამ გადაწყვეტილება თუ ჩემი მისაღებია, თქვენ მიიღებთ, თუ მე უნდა მივიღო. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მოახდენს ჩემზე გავლენას. . . 2 სექტემბერი იყო ხელისუფლების ბრალი იმდენად, რამდენადაც წამოეგო პროვოკაციაზე და, ყველა შემთხვევაში, ამას გამართლება არა აქვს ხელისუფლების მხრიდან. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ --- რა მოხდა, მიტინგია ბოლოს და ბოლოს, რიგითი, ჩვეულებრივი. ამის შემდეგ, ორ კვირაში გამოვაქვეყნეთ ჩვენ სწორედ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნები, იმიტომ, რომ კრიზისი სხვანაირად უკვე აღარ განიმუხტებოდა, ცხადი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მე ასე თუ ისე, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დეტალურად, მაგრამ ასე თუ ისე ვიცი გადატრიალებების ისტორია, რევოლუციების ისტორია — ფულია მთავარი. მარტო ფული არ არის საკმარისი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია.

აკაკი ასათიანი: მანქანა თუ არ არის, ბენზინს ვერაფერში ვერ ჩაასხამ. ფული ბენზინია.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო, ფული ბენზინია და ის ბენზინი ძალიან საჭიროა. იყო ასეთი შემთხვევა, ბატონო აკაკი, ამას ვერავინ ვეღარ უარყოფს, აგროვებდნენ ფულს, დიდძალი რაოდენობით.

აკაკი ასათიანი: რა თქმა უნდა, აგროვებდნენ, სწორედ ის „დელეცები“, ტომ-რებით მოჰქონდათ, თბილისის ზღვაზე აჰეთადათ. და რომ იცი, რომ ეს ხდება... ეკონომიკური რეფორმა ამას მოგიხსნიდა მარტივად.

ნათელა ვაჩნაძე: მსმენია, ჩემმა ქმარმა იმდენი ფული რომ იშოვაო, სისხლი

დაანთხიაო, თავისი ჯანმრთელობა ჩადო ამაშიო, და როგორ, შენ მოხვედი ხელისუფლებაში და ჩემს ქმარს ართმევო, აი, ცოლების უდიდესი ნაწილის აზრი.

აკაკი ასათიანი: აი, გადაყოლეს ამას. ის, რომ ამ დროს იჯდა ციხეში თავისუფლებისათვის, ეს არ ითვლებოდა და... სისხლი არაფერი არ ჩაუნთხევიათ, მთელი ღამე არ ეძინათ პროკურატურას შიშით, ეს იყო მთელი მათი პრობლემა. ზვიადის შეცდომა ის კი არ არის... ზვიადი მორალურად მართალი იყო. შენ. ძმა, ფულს შოულობდი და ქეიფში ატარებდი დროს და მე ციხეში ვიჯექი. მაგრამ შენ რომ სახელმწიფოს სათავეში ხარ, შენ უკვე ანგარიში უნდა გაუწიო, რომ არსებობს ფენა, გავლენიანი, მას თავისი ინტერესები აქვს, სამშობლოს დარდი არა აქვს და შენ რომ სამშობლოს დარდი გაქვს, უნდა მოხსნა ეს პრობლემა. სხვათა შორის, სამშობლოსათვისაც კარგი იქნებოდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად --- მოხდებოდა სხვა რამ, განეიტრალდებოდა ეს ჯგუფი ადამიანებისა, მორჩა და გათავდა.

ნათელა ვაჩინაძე: მე ასე ვფიქრობ, რომ ეს ხალხი გადმოვიდოდა თქვენს მხარეს. აკაკი ასათიანი: რა თქმა უნდა. იყვნენ თავიდან ჩვენკენ, რომ ნახეს ეს, მერე ალარ დარჩნენ. ნაპოლეონს აქვს შესანიშნავი ნათქვამი: უკანასკნელი არამზადა უნდა იყო, რომ ძალაუფლება აიღო ხელში, მაგრამ უნდა იყო ყველაზე სულგრძელი ადამიანი დედამიწაზე, რომ ეს შეინარჩუნო. მან ხომ ზუსტად ასე ქნა — აიღო ძალაუფლება როგორც არამზადამ, იხელთა დრო, მაგრამ შემდეგ ერთი ენგიერის ჰერცოგი ჰყავს მოკლული უსამართლოდ, თორემ დანარჩენი...

ნინო თომაძე: ფუშემ თქვა, ეგ დანაშაული კი არა, შეცდომა იყო.

აკაკი ასათიანი: შეცდომა პოლიტიკაში დანაშაულზე მეტია. სტალინმა რაც ჩაიდინა, ეგეთი დანაშაული ჩინგიზ-ხანს არ ჩაუდენია, არც ჰიტლერს, მაგრამ საქართველოში დღესაც სტალინი უყვართ და რუსეთში გიუდებიან. ეს საზოგადოებაზეც მეტყველებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ იმ პოლიტიკურ კონტექსტში მას შეცდომა კი არ ჩაუდენია, დანაშაული ჩაიდინა.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონო აკაკი, თქვენ ბრძანეთ, რომ გარედან ამდენი ფული არ იყო შემოსული.

აკაკი ასათიანი: არ იყო. რაც მე ვიცი, არა მგონია.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონო აკაკი, არის ასეთი თვალსაზრისი და ამისი დამადასტურებელი უნდა იყოს ბურბულისის მოხსენება, გაკეთებული 1995 წელს პოდმოსკოვიეში, არ მახსოვს, რომელ პატარა ქალაქში, კონფერენციაზე, სადაც ის თავისი მოღვაწეობის დიდ პლუსად თვლიდა იმას, რომ მან ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო გადატრიალებაში.

აკაკი ასათიანი: დიახ, ელცინის გადაწყვეტილება იყო და ბურბულისი ხელმძღვანელობდა, არ მალავს ბურბულისი. ამიტომ ჩვენს ოპოზიციონერებსაც ვურჩევ ორი რამ წაიკითხონ: გრუ-ს მასალები და ბურბუ-

ლისის გამონათქვამები, ვისი სათამაშო იარაღი იყვნენ შეგნებულად თუ შეუგნებლად. ელცინის გადაწყვეტილება იყო, ბურბულისი იყო კომისარი და შესანიშნავად მოეხსენება თვითონ. აქ უშუალოდ ვარ და გრულებდნენ ყველაფერს. და ლაპარაკს თავი დაანებონ და ბურბულის მიაკითხონ ისევ, მეგობრული რჩევაა.

ნათელა ვაჩნაძე: ბურბულისის მოხსენება მე ამ წუთას ხელთ არა მაქვს.

აკაკი ასათიანი: იცით, როგორ დგას საკითხი — ახლაც დგას ეს საკითხი, არ შეიძლება რუსეთისაგან ფულის აღება, არ შეიძლება არც ამერიკისაგან, არც არავისაგან. არ შეიძლება შენს საშინაო საქმეებთან დაკავშირებით რომელიმე გარე ქვეყანა გაფინანსებდეს, იარაღს გაწვდიდეს. შენ უკვე იმ ქვეყნისა ხარ და არა ამ ქვეყნის. ამიტომ, ავები არიან თუ კარგები არიან, ნებით იყვნენ თუ უნებლიერ იყვნენ, ეს ასე იყო, მე სხვა რამეს ვამბობ, განსხვავებით ზვიადისტებისაგან, რომ ამის აცილება თავიდან შეიძლებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: რა გზით?

აკაკი ასათიანი: რაც მე მოგახსენეთ — რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, მანამდე თუნდაც მინიმალური დემოკრატიული ნორმების დაცვა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. აი, ამ გზით. მაგალითად, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით, ეს უკვე პოლიტიკური აზრია, მაგრამ, ვიმეორებ, მინიმალური დემოკრატიის — სიტყვის თავისუფლების დაცვა, ეკონომიკური რეფორმების დაჩქარება და პოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც კრიზისებიდან გამოგიყვანდა პოლიტიკური მეთოდებით და არა ნებისმიერი დაპირისპირებით, როგორიც იქნებოდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ანდა პოლიტიკური რეფორმა — თვითმმართველობა არჩევითი. შეიძლებოდა, მაგალითად, თავის შეკავება იმ ტიპის განცხადებისაგან, რაც ზვიადმა თქვა. . . თორემ, იმას ვერ ვიტყვი, რომ რუსეთის ჯარისათვის საოკუპაციო ჯარის სტატუსი არ უნდა მიგვენიჭებინა, სნგ-ში უნდა შევსულიყავით, ოღონდ რუსეთთან უნდა დაგვედო რაღაც ხელშეკრულება მაშინვე, ახლაც მომხრე ვარ ამის, რუსეთთან სწორედ, ამ დროს საბჭოთი აღარ იყო. პარალელურად მიდის ეს პროცესები. აქ რომ აბობოქრდებიან და დაიწყება მანიფესტაციები, იმ დღესვე იქ რაღაცა ხდება. მე თქვენ სხვა რამესაც გეტყვით. თუ გახსოვთ, თბილისის ზღვაზე ავიდნენ კიტოვანი და გვარდია ტელესტუდიდან. დილით დაბრუნდა შევარდნაძე მაგ დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. ადიან თბილისის ზღვაზე 6-7 საათში. განსხვავებით ომანიძის სიარულისაგან, ეს არის ფაქტები, რომელთა შორის შეგვიძლია ვივარაუდოთ ლოგიკური კავშირი. მე არ ვამბობ პირდაპირ კავშირს, მაგრამ, დილით ის ინიშნება და საღამოს ესენი ადიან თბილისის ზღვაზე. მე უფლება მაქვს ვივარაუდო ამათ შორის ლოგიკური კავშირი, მით უმეტეს, ვერც უარყოფენ, დოკუმენტურად დადასტურებულია შევარდნაძესთან ვიზიტები ოპოზიციის ლიდერებისა მოსკოვში.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონმა ედუარდმა თვითონ განაცხადა ეს, როდესაც და-ფრინდა თვითმფრინავი და გადმობრძანდა, ტრაპზე ფეხი დაადგა. რა თქმა უნდა, შეესივნენ კორესპონდენტები და თქვა, „მივესალმები”...

აკაკი ასათიანი: დაუშვა საბედისწერო შეცდომა, გაყო სამუდამოდ ჩვენი ხალხი და მოახდინა ჩვენი ინტელიგენციის დისკრედიტაცია და ჩვენ ინტელიგენციას იმის ჭკუა არ ეყო, რომ ეს არ გახარებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს შეგნებულად იყო გაკეთებული განხევთქილებისთვის?

აკაკი ასათიანი: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტად რომ მოდიოდა, კიდევ განხეთქილება უნდოდა?

აკაკი ასათიანი: მან არ დაუტოვა ამ ხალხს სხვა ბანაკში გადასვლის შანსი. და მერე, სანამ ათი წლის თავზე ამერიკამ არ იყიდა სუყველა და მან ვეღარ ურიგა მათ ფული, მანამდე ემსახურებოდნენ. სოხუმი დაეცა და მე მახსოვს, გამოდიოდნენ ტელევიზიით საქართველოს ნარჩინებული ინტელიგენციის წარმომადგენლები და გვეუბნებოდნენ, ამას არა უშავს, მთავარია, შევარდნაძე იყოს კარგად. ეს ხომ ვნახეთ ყველამ, 1993 წელია, შემოდგომა. სოხუმი დაეცა და ამას არა უშავსო, მთავარია, ახლა შევარდნაძე კარგად იყოსო. ამას ტელევიზიით იძახოდნენ შესანიშნავი ადამიანები. აი, ეს გააკეთა, როცა ჩამოვიდა, უკან დასახევი არ დაუტოვა მათ.

ნათელა ვაჩნაძე: ისტორიაში რომ დარჩა ეს, რომ მე მადლობელი ვარ ინტელიგენციის, რომელმაც ეს ყველაფერი მოიმოქმედაო?

აკაკი ასათიანი: დარჩა და დარჩა. ფაქტობრივად ხომ მართალი თქვა.

ნათელა ვაჩნაძე: რაღაცას ჩაიდენს ადამიანი, მაგრამ მას არ აღიარებს.

აკაკი ასათიანი: ჴო, მაგრამ ამან არც მისცა საშუალება, მოიპა სამუდამოდ ისინი თავისთან. მაშინ უნდა გამოსულიყვნენ ისინი და ეთქვათ, ტყუილიაო.

ნათელა ვაჩნაძე: არ გეთანხმებით და გეტყვით, რატომ.

აკაკი ასათიანი: შევარდნაძე ტყუილად არასოდეს არათერს არ აკეთებს.

ნათელა ვაჩნაძე: კი, მაგრამ რატომ? მე მინახავს ძალიან გონიერი ხალხი, ძალიან ჭკვიანი ხალხი და დიდი პროფესიონალები, კაცს კაცი ასე უყვარდეს, მე ჯერ არ მინახავს. ასეთებიც არიან.

აკაკი ასათიანი: ვინა, შევარდნაძე? არ ვიცი, მე არ შემხვედრია, რომ ეგ უყვარდეთ. ზვიადი იყო ლათინური ამერიკის და ევროპის ადრინდელი ისტორიის... მაძინი, გარიბალდი, იდეალების მსახური, რომელიც არ უნევს ანგარიშს... ერთხელ ბერძენიშვილს ვეუბნებოდი, დათოს, თქვენ წარმოიდგინეთ, გოტფრიდ ბულონელი იერუსალიმს იღებს, ჯვაროსნული ომია. გადადის შეტევაზე, ჯავშანში ჩაცმული კაცი მიდის, მაცხოვრის საფლავს ათავისუფლებს და გვერდზე მოსდევს ბერძენიშვილი

და ნათაძე და ეუბნებიან, ხუთწუთიანი სიტყვა მომეციო. რას ეტყოდა, დაუშვებდა თავში მახვილს, ხომ?

ნინო თომაძე: რატომ არ დაუშვა მერე თავში მახვილი?

აკაკი ასათიანი: იმიტომ, რომ მეოცე საუკუნე იყო. გაორების პრობლემაა, რაც არა ხარ, ის არ უნდა აკეთო. თუ დიქტატორობის ელემენტები გაქვს, უნდა იყო დიქტატორი, არაფერი სანახევროდ არ შეიძლება. თუ მიტინგებს არბევ და ბარიკადებს იღებ, მაშინ ამის გაგრძელებაა — უნდა დაიჭირო ეს ხალხი, ან არ უნდა დაარბევინო და წახვიდე კომპრომისზე. ხომ არ შეიძლება უფსკრულს გადაახტე და შუა ნახტომში გადაწყვიტო ან უკან დაბრუნება, ან გაჩერება. უნდა გადაახტე და უთხრა, რომ ეგება ხიდი გავდოთ მე ჩემი მხრიდან და შენ შენი მხრიდან. გაორება ჰქონდა მას. ავიდოდა და ლოცულობდა მიტინგების დარბევის წინ და დარბევის შემდეგ მამადავითზე. შევნიშნე მერე ეს კავშირი და ვუთხარო: მე ხომ მესმის, რასაც შვრები-მეთქი, შენ განუხებს ეს ამბავი, ადიხარ და ინანიებ ამას, ე. ი. შენ თვლი, რომ ეს ცუდი ამბავია. გამაგებინე, რატომ შვრები მაშინ ამას, თუ თვლი, რომ ეს ცუდია. გაორება ჰქონდა მას. ის იყო მორწმუნე კაცი, არ იყო მის ბუნებაში დაჭერები, დახვრეტები. ასეთებიც იყვნენ. ვეუბნებოდი, ან მე დამიჯერე და წავიდეთ კომპრომისზე ამ ხალხთან ან დაუჯერე ამათ, ესეც გზა-მეთქი, დასაჭერებიც არიან კანონით, უკანონოდ კი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ისევ და ისევ მიზანშეწონილობაზეა ლაპარაკი. იმდროინდელ საქართველოში საბჭოთა კავშირი ხახადაფჩენილი გადგას და დასავლეთი რომ გიყისინებს დემოკრატიას, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა დაჭერები, გაძლებდი ექვსი თვით მეტს, მეტს ვერა. ან უნდა წასულიყავი კომპრომისზე, ანუ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, შემოვიდოდა ერთი 20-30, 40 პროცენტი ოპოზიცია, იჭიჭყინებდა, რაც შევარდნაძემ გააკეთა 92-ში. იქცეოდა ის პარლამენტი სამი წელიწადი, მაგრამ ხომ გადააგორა ის სამი წელიწადი? აფხაზეთიც დაკარგა, ხალხი ხოცა და ჭყლიტა, გაძარცვა, მაგრამ პარლამენტი უშვებდა ორთქლს და გადააგორა.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, ტელევიზია გადასცემდა სხდომებს.

ნინო თომაძე: შევარდნაძე მშვიდად უყურებდა ამას?

აკაკი ასათიანი: ნერვიულობდა, ისტერიკები ჰქონდა, ცოფდებოდა, კი არ მოსწონდა, მაგრამ დაძლია თავი. მიზანშეწონილობა. მისი სიმამაცეც, ცნობილი შევარდნაძის სიმამაცე — ეს არის უდიდესი შიშის დაძლევა მიზანშეწონილობის გამო. სოხუმში წვებოდა ჭურვებზე მთელი ჯარი, ეს იდგა. ამას აღიარებენ მისი მოძულებიც კი. სხვათა შორის, გიჟის გარდა... არ ეშინოდა? მიზანშეწონილობის გამო აკეთებდა ამას. ის სამი წელი ითმენდა, მერე გააყალბა არჩევნები და ხუთი წელი ჰქონდა შესანიშნავი ვითარება. სხვა რამე მოუვიდა, დაგროვდა მისდამი უკაყაფილება პარლამენტს გარეთ და გადაყვა მას. შენ თუ ზიარი ჭურ-

ჭლის პრინციპით არ თამაშობ, უსათუოდ შენი საწინააღმდეგო ძალა გადაიზრდება ბოლოს ისეთ კრიტიკულ მასაში... ზვიადს პირველად სამი ტელევიზია რომ დაეშვა, რომლებიც გააშუქებდნენ მოვლენებს... ერთხელ ატყდა წივილ-კივილი, ზვიადმა შავნაბადაზე 40 კაცი დახოცაო, გახსოვთ ჭორი, დაიქცა ქალაქი, ტყუილი გამოდგა? გამოდგა, მაგრამ იმან იმუშავა. სამი ტელევიზია ოპოზიციური მაინც რომ ყოფილიყო, ტყუილს ხომ არ იტყოდნენ, ავიდოდნენ, გადაიღებდნენ, ხალხს ეცოდინებოდა, არ დაუხოციაო. წააგო, რომ ერთი ტელევიზია ჰქონდა. დემოკრატია არის იარაღი, მიზანი კი არ არის, როგორც ამერიკელებს ჰგონიათ. მიზანი არ არის დემოკრატია. მიზანი არის კეთილდღეობა, ლირსება, თავისუფლება ადამიანის და ხალხის. დემოკრატია არის, როგორც ჩერჩილი ამბობდა, ჯერჯერობით, საუბედუროდ, ერთადერთი საუკეთესო ფორმა. უკეთესი ჯერჯერობით ვერ მოვიფიქრეთო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო აკაკი, თქვენ ასე რომ გიყვართ ისტორია, ერთი ცნობა მინდა მოგაწოდოთ, შეიძლება ეს არა გაქვთ წაკითხული. ის ადამიანი გარდაიცვალა უდროოდ, ახალგაზრდა ქალი სრულიად, ჩემი მეგობარი, მოსკოველი მეცნიერი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ათენში დემოკრატია არ იყო. ეთი ვსე ბრძ სუმაშედშეო, როგორც მეუბნებოდა. არავითარი დემოსი, არავითარი ხალხის მმართველობა, ეგ არის სისულელე ყველაფერიო.

აკაკი ასათიანი: ამერიკელებმა იციან ეგ შესანიშნავად, დაარქვეს, თორებ ელიტა მართავს ამერიკას. ფორმდება მხოლოდ. გუშინ საფრანგეთში ხალხი ზეიმობდა, ეს ფანტასტიკურად დადგმულია, მაგრამ მინიმალური ილუზია ადამიანებს თანამონაწილეობისა ხომ უნდა ჰქონდეთ?! თამაშის წესები რომ ვთქვით თავში, აი, ზვიადმა ეს ვერ გაიგო. შიდაბოლიტიკაშიც და საგარეოშიც არსებობს თამაშის წესები, არავინ არ გადადის მათ. ვინც გადავიდა, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ყველას.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო აკაკი, მიდიოდა თუ არა ზვიად გამსახურდია მდინარების წინააღმდეგ?

აკაკი ასათიანი: ზვიად გამსახურდია არასოდეს არ მიდიოდა მდინარების წინააღმდეგ, დისიდენტიც რომ იყო. სინამდვილეში უსწრებდა დინებას. ეს არის უმძიმესი როლი და მე ვთვლი, რომ ამაშია მისი ისტორიული როლი, რომელიც მას დაუჯდა სიცოცხლის ფასად, მაგრამ ასეთი ადამიანები თუ არ იარსებენ, არაფერი არ გამოვა. საბჭოთა კავშირი მაინც დაიშლებოდათ. მაინც რამე, თვითონ დაშლილი ვინმეს რამე უნახავს? თუ არადა, 1000 წლის მერე. ყინწვისის ტაძარიც, აგურით ნაშენები, რვაასი წელიწადია დგას, არაფერს ვამბობ ქვით ნაგებ ტაძრებზე. დინებას როცა უსწრებ, იღლები. დინების წინააღმდეგ...

ნათელა ვაჩნაძე: ეს ამერიკის პრეზიდენტის სიტყვებია.

აკაკი ასათიანი: ჰოდა, იდიოტი იყო, სრული იდიოტი. მოუსმინონ, ვისაც ახლა გაუკვირდება ჩემი ნათქვამი, მამა ბუშის ნებისმიერ გამოსვლას

და მერე შემეკამათონ. ის იყო აბსოლუტური იდიოტი. ტრაგიზმი სიტუაციისა მდგომარეობდა იმაში, რომ გამსახურდია კი სწორედ გრძნობდა პროცესს და სწორედაც მიჰყვებოდა მას, ოღონდ უსწრებდა პროცესს. მსოფლიო უძლიერესი ქვეყნის მეთაურს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა, რაც დასტურდება მისი გამოსვლებითაც კი, და ამ კოლიზიამ წარმოშვა ის, რაც მოხდა. ამერიკაში იყო ხალხი, რომელსაც ეს ესმოდა, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, მე ერთი თვე ვიყავი იქ, მელაპარაკნენ, სენატში, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, ბუეზინსკი მაგალითად, მისი წიგნებიც ადასტურებს ამას, მაგრამ სათავეში მათ ედგათ იდიოტი, რომელიც გორბაჩოვს შეპირდა, სოცქვეყნები მომეციო, ასე, პრაქტიკულად და მოკავშირეები შენ დაგრჩესო. საბჭოთა კავშირი შიდა პროცესების გამო იშლებოდა, ამას აღარ შველოდა არაფერი, ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა გამსახურდიამ. ამას აღიარებენ პავლოვსკი, ელცინი. ელცინმა თქვა, მაგალითად, დავესხმოდი თავს, სანამ გამსახურდია იყო საქართველოს სათავეშიო. გასაგებია ხომ დამხობა გამსახურდიასი. სინამდვილეში უბრალოდ უსწრებდა პროცესს და ეს არის ძალიან რთული. თუ მდინარეს მიჰყავხარ, გაყევი, ხანდახან დაისვენე, ნუდარ ცურავ, მდინარე გაგიყვანს. მერე იცურავე, როცა ის ან დატბორდება, ანდა სხვანაირად წავა. მაგრამ ეს ასეთი ბუნების კაცი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ელცინის ეს გამონათქვამი სად არის დაბეჭდილი?

აკაკი ასათიანი: მე მაქვს გაზეთიდან ამოქრილი, საჯაროდა თქვა ჩეჩენეთზე. და კიდევ ელჩი ბეი. სანამ გამსახურდია და ელჩი ბეი იყვნენ, როგორ დავიწყებდიო ომს. არ მალავდნენ ესენი ამას. გარდა ამისა, ასლანიც იყო ბაქოში, ზვიადმა სთხოვა და გადაფრინდა. მაშინდელი აზერბაიჯანის პრეზიდენტი მუტალიბოვი ელაბარაკა მოსკოვს და ბირდაპირ ასლანმა გაიგო ტელეფონში: “Я У садама не прошу никогда” მე მითხრა ერთხელ ელცინმა: “Слушай ты скажи своему, пусть хотя бы устно не поддерживает Чечню” სხვათა შორის, ამაში მართალი იყო — “хотя бы устно,” თქვა “Мы же, все таки, православные братья”. ჩამოვედი და ვუთხარი: სიტყვით მაინც დაანებე ჩეჩენებს თავი, თორემ ნუ გაგიკვირდებათ მაშინ, თუ თქვენ ჩამერევით ჩეჩენეთშიო, რომ მე ჩაგერიოთ აფხაზეთში და ცხინვალშიო. თუმცა აფხაზეთსა და ცხინვალს უფრო საბჭოეთი გვიკეთებდა. მე რომ ვუთხარი ეგ ზვიადს, მითხრა: “Шენ მე რას მთავაზობ, ჩეჩენი ხალხი გავყიდოო”?! ასეთი კაცი იყო. როგორი ნათქვამია! კაცს როგორ ეტყვი, მოდი, გაყიდეო.

ნათელა ვაჩნაძე: ეგეც არის.

აკაკი ასათიანი: ჰო, მაგრამ ჩვენი ხალხი გავყიდოთ, აბა? განთავისუფლდა ჩეჩენეთი? არ ენერა, იმიტომ, რომ ჯერ სოცსისტემა და მერე მოულოდნელად საბჭოეთი, რასაც დასავლეთი დღესაც ძლივს ინელებს, და რუსეთი გადადებულია. არ თამაშობენ ჩვენსავით, უცბად რომ გვინდა ქართველებს ყველაფერი. ზვიადს უნდოდა განთავისუფლება და თამ-

არის საქართველო ერთად მომხდარიყო. ის თვლის, რომ ეტაპი არის. მე მაქვს წიგნი, გაგიკვირდებათ რომ ნახოთ. გამოდიოდა უურნალი “Атеистические чтения” საბჭოთა კავშირში. რელიგიური ხასიათის არ გამოდიოდა და იძულებული ვიყავი აქ ეს მეკითხა, იქ კრიტიკით მაინც იძეჭდებოდა რაღაცები. აქ იყო სტატია: “Новые правые. Моральныи большинства в Америке”, რომლებიც ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას უდებენ რეკომენდაციებს საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე. უნდა გაიფაქენასო, პირველი სოცეცეცენტრია, მეორე ფენა — მოკავშირე რესპუბლიკები, სადაც საქართველო და უკრაინა არის გადამწყვეტი ფაქტორებით — ეს არის 70-იანი წლები — და მერე რუსეთის ავტონომიებით. ერთხელ ჩემი მეგობარი მოვიდა და მითხრა, მუხრანი ძალიან ცუდ ხასიათზეაო და თქვათ: “ჩვენ კი ვიბრძვით, დიდი იმედი გვაქვსო, მაგრამ დასავლეთში ვინმეს ვახსოვართო”? გავუგზავნე ეს. „გაგახაროს დმერთმაო“, და მერე მუხრანს ჰქონდა სუფრა. მე სულ მჯეროდა, ისტორიის ლოგიკის მჯეროდა, საბჭოთა კავშირის დაშლის მჯეროდა, სანაძლეოები მოვუგე ხალხს. 83 წელს აქ რომ იყო ერთი ამბავი გეორგიევსკის ტრაქტატზე, „ესო“ (იგულისხმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმუამინდელი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე) ჩვენ გვაზეიმებს 2001 წელსო — შეერთება ხომ მაშინ იყო (იგულისხმება 1801წელი) „ვერ მოესწრება მაგას-მეთქი“. „რას ლაპარაკობ, კაკოო?“ „ხალხნო, თუ დამიჯერებთ, 2001 წელს ჩვენ ვიჯდებით დამოუკიდებელ საქართველოში-მეთქი. არ იქნება ეს, შევარდნაძე ამას ვერ გვაზეიმებს-მეთქი“. ისტორიას თავისი ლოგიკა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ ფიქრობთ, რომ მიჰყვა ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის აღიარებები, ეს ვისი დამსახურებაა?

აკაკი ასათიანი: ოქტომბერი იყო, ეს ამბები რომ მოხდა, ზვიადთან ვკამათობდი ტექნოლოგიაზე. დამირეკა და მითხრა: აკაკიო, ერთი უცნაური რამეაო, უშიშროება გვეუბნებაო, რომ ოპოზიციას ურეკავენო, ჩანაწერები იყო, ყველა ჩაწერილია, რომ 25-მდე, 25-მდე, რას უნდა ნიშნავდეს, როგორ ფიქრობო? ვიფიქრებ-მეთქი. ვიფიქრე, ვიფიქრე, საღამოს დავურეკე. ვისხედით მარტოები და ვუთხარი: ბატონი ზვიად, ვიფიქრე-მეთქი, ეს უნდა ნიშნავდეს ერთადერთ რამეს, ახლა შობა არ ექნება მოსკოვს და ეჩერებათ, რომ დამოუკიდებლობის აღიარება თქვენს ხელში არ აღმოჩნდეს და ისე ვქნათ, რომ ნუ ვაქნევინებთ ამას-მეთქი. აღბათ, მართალი ხარო. 25-მდე — უთვლიდა შევარდნაძე. 22-ში დაიწყო. ამიტომ გადავაგოროთ, ეს გადაწყვეტილია, იციან და უნდათ მანამდე ქნან, რომ ეს აღარ მოხდეს.

ნათელა ვაჩნაძე: რომ ზვიად გამსახურდია არ შევიდეს საქართველოს ისტორიაში, როგორც პირველი დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი.

აკაკი ასათიანი: გასაგებია ხომ? ხომ შეიძლებოდა ამის გათვალისწინებაც. უშიშროება ზვიადს ახსენებდა, უშიშროება ვალდებული არ იყო

ჩვენთვის მოეხსენებინა, თავმჯდომარეს არ ეუბნებიან და თვითონ ზვიადმა მითხრა.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი ცნობა, რომ ოქტომბრის 4-ში თუ 5-ში, 1991 წელს, მოსკოვში უკვე ისე ელაპარაკებიან ბატონ ედუარდს, როგორც საქართველოს პრეზიდენტს.

აკაკი ასათიანი: ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო. მე გეტყვით ერთ რა-ლაცას, რომელსაც ზვიადმა არ გაუწია ანგარიში. საქართველოს უშიშ-როებამ მიაწოდა მას ცნობა იმის თაობაზე, რომ შვიდეულის შეხვედრა-ზე ახსენეს ზვიადი და არც თუ დადებითი კონტექსტით — ბუშმა თქვა, რომ გამსახურდია ქმნის პრობლემებს. ეს ცნობა ჰქონდა საქართვე-ლოს უშიშროებას იქიდან, რომ საბჭოთა კავშირის აგენტი ქართული უშიშროების მხარეზე ყოფილა და მოსკოვში გასული ინფორმაციის ნაწილი, ალბათ, აიღო და მიაწოდა მათ. მე გავიგე იქიდან, რომ მოვი-და უშიშროების უფროსი და მითხრა, ჩვენ ეს მივაწოდეთ ერთ კაცს და პასუხი არ ისმისო. არ ვიცი, არ გადასცა იქნებ, ან საეჭვო კაცი ხომ არ არის, გადაამონმეთო. გამსახურდია ქმნის პრობლემებს — განაჩენია. ავედი. ბატონ ზვიად, ...

ნათელა ვაჩნაძე: რომელი რიცხვია?

აკაკი ასათიანი: 1991 წლის სექტემბერი, მეორე ნახევარი.

ნათელა ვაჩნაძე: 2 სექტემბერი მომხდარია, კონგრესმენებს წალებული აქვთ ამბავი.

აკაკი ასათიანი: კონგრესმენები სულ არ სჭირდებოდათ, ისედაც ყველაფერი იცოდნენ იქ, ყველამ ყველაფერი იცოდნენ. ეს დღესაც იციან. ყოველი დოლარი იცოდნენ შევარდნაძის, ყოველი დოლარი იციან ამათი, სადა დევს, ბაგამის კუნძულებზე თუ სხვაგან. ისიც იცოდა, რომ ფულზე აბ-სოლუტურად სუფთა ვიყავით. ამიტომ კიდევ უფრო მიუღებლები ვი-ყავით.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, თქვენი მოსყიდვა არ შეიძლებოდა. მერე რომ გაიჟდერა ინფორმაციამ, რომ 200 მილიონი თუ 250 მილიონი...

აკაკი ასათიანი: დასჭირდებოდა მატარებლის ეშელონი. ვერ გაითვალისწინეს, რომ 50-მანეთიანიც კი ძნელი საშოვნელი იყო. 200 მილიონს სამი ვაგონი არ ეყოფოდა. მერე მიხვდნენ და გაჩერდნენ. მტყუანი ადამიანი ხომ იცით. სიგუა რას არ იმოწმებს, გვარდიას გადაარქვა სახელი, პირველმა ისროლაო. . . ავედი ზვიადთან და ვუთხარი, ბატონ ზვიად, თქვენზე ასეთი ინფორმაცია არის — მეთქი. კი, მომანოდესო. რას იტყვით-მეთქი? პროვოკატორობს უშიშროებაო. არა ჰგავს-მეთქი, რაში აწყობს, ეს ჰგავს სიმართლეს და არის სერიოზული ამბავი. არაფერი. განაჩენი იყო უკვე მოსკოვის კი არა, ვაშინგტონის.

ნათელა ვაჩნაძე: არ დაიჯერა?

აკაკი ასათიანი: კი, დაიჯერა, მაგრამ გაღიზიანებული იყო ამერიკაზე. ჩვენ-ში ერთი რამ არ ესმით. მონა მონაა, რუსის იქნები თუ ამერიკელის,

მონა ხარ. ბიძია თომას ქოხში კარგი მეპატრონებიც არიან და ცუდი პატრონებიც არიან. მე საბჭოთა კავშირი არ მომწონდა იმიტომ, რომ მე არ დამზოგა საბჭოეთმა, ბაბუები დამიხვრიტა. მე ვერ ვიტანდი მას იმიტომ, რომ დაპყრობილი ჰყავდა ჩემი ქვეყანა. თუ კიდევ ვიღაცა მე თავს მომახვევს თავის ფასეულობებს, ორმაგ სტანდარტებს, მე ისევე არ მეყვარება, როგორც საბჭოთა კავშირი. მაგრამ ჩვენში რუსის არმონობა ნიშნავს სხვის მონობას. არმონობა ნიშნავს არმონობას არავისას. ეს იყო გამსახურდია.

ნათელა ვაჩნაძე: არავის არ სჯეროდა, რომ ეს პატარა, ერთი ციცქნა საქართველო, ევროპისა და აზიის ზღვარზე გადებული ქვეყანა...

აკაკი ასათიანი: არის ამის პასუხი — თუ სადმე უნდა ვიყოთ, ეს არის ევროგაერთიანება, სადაც ნებაყოფლობით ერები ერთიანდებიან. ევროკავშირი — ეს არის ჩვენი მომავალი. ეს არის უკამათო.

ნინო თომაძე: ნატო არა?

აკაკი ასათიანი: ნატო — არა. ნატო არ არის ჩემთვის ესე ერთგვაროვანი.

ნატო ნიშნავს პირდაპირ ტერიტორიების დაკარგვას. ჩემთვის ამ ეტაპზე მიუღებელია ამიტომ. თუმცა გამოკითხულიდან 80 პროცენტი მხარდამჭერი 80-ვე კითხულობს, ტერიტორია თუ იქნებაო? ამ ხალხს თუ აუხსნი, რომ ტერიტორია არ იქნება, ხვალვე გაქრება. . . ქართველი ხალხი მართლა იდიოტი კი არ არის. არაინფორმირებულია და ენის ამყოლია. ევროკავშირში — უპრეცედენტო მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში — ნებით ერთიანდებიან ერები ნაციონალური თავისთავადობის შენარჩუნების პირობით, ადამიანის და ნაციის უფლებათა შენარჩუნებით. ერთადერთი პუნქტი — ეს არ მომწონს.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყო ეს ევროპა მაშინ, ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს შიგნიდან ეპრძოდნენ გარედან ეპრძოდნენ ..

აკაკი ასათიანი: სულხან-საბას კითხვა არის, ოლონდ მოდით ახლა ესეცა ვთქვათ. ევროპა შორსაა და ძალა არა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: ასეთი თემაც არსებობს: ბებერი ევროპა.

აკაკი ასათიანი: გაახალგაზრდავდება. ამ ასაკს, ახლა მივხვდი რა კარგია ეს ასაკი, არ გავცვლი თვრამეტ წელზე, არც თორმეტზე. არც ოცდათორმეტზე. ევროპა ჯერ კიდევ ჯანდონით სავსეა, გონიერია, დაბრძენებულია, კულტურულია, ლამაზია ამერიკა შეედრება?! მორალური ავტორიტეტი ყველაზე მაღალი აქვს, კულტურული უპირატესობა — უდიდესი.

ნათელა ვაჩნაძე: არც ერთმა ქვეყანამ ვიზა არ გასცა.

აკაკი ასათიანი: როგორ არ გასცა?! საფრანგეთში ეხვეწებოდა ალენ დელონი, ჰელსინკში ეხვეწებოდნენ, არ წაპრძანდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს მაშინ არ წავიდა, მაგრამ მერე? კონფერენციას უნდა დასწრებოდა ჰელსინკიში და...

აკაკი ასათიანი: იცით, რატომ? აქ პოლიტპატიმრები ჰყავდა.

ნათელა ვაჩნაძე: აღარ იყო უკვე პრეზიდენტი.

აკაკი ასათიანი: რა მნიშვნელობა აქვს. ტელევიზია დახურული ჰქონდა.

ესე არ არის, შენ როგორც გინდა. ზვიადისტები ხომ არ არის მთელი მსოფლიო, რომ მტყუანი თუ მართალია, რომ მართალია ყოველთვის. რომ ეუბნები, ეს რატომ ქნა, ზვიადი, ზვიადი — რომ იძახიან, ეს არის სწორი? შენ არ იყავი პრეზიდენტი, ძმაო, და ახლა იბრძვი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის? მანამდე იბრძოდი, მაგრამ პრეზიდენტი როცა იყავი, რა ქენი? ტელევიზია დახურე, არავის არ უშვებდი, არ უშვებდი ოპოზიციას, არბევდი მიტინგებს, არბევდი ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით, ჭანტურია თვითმფრინავით დასვი.

ლამე ვიჩეუბე, ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ვეჩეუბე ზვიადს.

ნათელა ვაჩნაძე: სხვა ხალხიც იყო, ჭანტურიას გარდა?

აკაკი ასათიანი: აბა რა, 150 კაცი იჯდა. ეს შენ მე მთხოვ, დაიცავით ადამიანის უფლებები? აღარ.

ნათელა ვაჩნაძე: ამან აღარ იმუშავა უკვე.

აკაკი ასათიანი: და ამერიკისთვის პლუს ნაციონალისტი, თავზეხელალებული ნაციონალისტი. ჰიტლერი განითლდებოდაო, ერთმა ამერიკელმა მითხრა, ამისთვის რომ მოესმინაო, შიშისგან საფლავში იტრიალებს, ალბათო. ვარაცხელია (იგულისხმება ვალერი კვარაცხელია) დაიჭირა. სამი დღის მერე გაუშვა მოსამართლემ. გაგიუდა. უთხრეს, ბატონო ზვიად, ნახეთ რა ქნა მოსამართლემ? მოსამართლეც დაიჭირეთ და კვარაცხელიაცო. მოვარდა ლევან ალექსიძე, მინდია უგრეხელიძე, ჯონი ხეცურიანი — ვიღუპებითო. ავედი ზევით. ბატონო ზვიად, მართალია? აბა რა, აბა რა — გიუივით გამოსული იყო წყობიდან, მძიმე მდგომარეობა ჰქონდა ბოლოს. მე ვუთხარი: ბატონო ზვიად, ეს ჩვენი არის გამარჯვება. თქვენი დანიშნული მოსამართლე უშვებს კაცს, რომელიც თქვენ არ მოგწონთ. ბაბუაჩემიც არ მოსწონდა სტალინს და დახვრიტა.

ნათელა ვაჩნაძე: მართვა, მართვა, ქვეყნის მართვა.

აკაკი ასათიანი: მართვა კი არა, ნაპოლეონის მეორე ნაწილი — სულგრძელობა. თუ არბევ და აღარ იჭერ და არ ხვრეტავ, ამდენად სულგრძელი ხარ და ღმერთი გნამს, მაშინ გაანებე თავი. და მოგვიგეს, ხომ? რომ ყაყანებდნენ მანამდე, მოგვიგეს? გამოუშვი რა ტელევიზორში. რაც იცოდა დე გოლმა, მთელმა ევროპამ, მთელმა მსოფლიომ... ჩვენ როგორ მოვიგეთ? ღამე რომ გამოვიდნენ ირაკლი წერეთელი, ჯაბა იოსელიანი და რუსლან მიქაბერიძე, გვაგინეს ჩვენ, ხალხმა დაასკვნა მარტივად, რომ თურმე ესენი და კომუნისტები ებრძვიან, თორემ დანარჩენი მოძრაობა შეკრული ყოფილაო, 20 პროცენტი ხმა დაგვიმატეს. შევარდნაძეს, თქვენ გგონიათ, ეხალისებოდა თავისი დაჯდანული კარიკატურების ყურება გაზეთში, ტელევიზიით ლანძღვა, პარლამენტში ლანძღვა. ეს-

მოდა, რომ ასეა თამაშის წესი და სხვანაირად შეუძლებელია. ან ხარ დიქტატორი, XX და XXI საუკუნეები აღარ იცის სხვა არაფერი, ანდა მეფედ ხომ არ დაბადებულხარ? ისინი იბადებოდნენ. ლუი XIV ეუბნება თავის შვილიშვილს: ჩვენ უფალმა ისეთი არნახული და არაადამიანური ძალაუფლება მოგვანიჭაო, მეფე ღვთისაგან არის...

ნათელა ვაჩნაძე: ქარიზმატული.

აკაკი ასათიანი: ქარიზმა არ არის, უფლის მოცემულია. ის არის მაღლმოსილი, ცხებულია ის. ქარიზმატული ზვიადი იყო. მეფეს შეიძლება არც ჰქონდეს ქარიზმა. ლუი XIV ამბობს: ჩვენ შეგვიძლია ერთადერთი რამით გავამართლოთ ეს არანორმალური ძალაუფლებაო — ყოველდღიური მსახურებით ჩვენი ხალხისაო.

ნოდარ ნათაძე

(ესწრებოდა გოგი თამლიანი)

2007 წლის 12 მაისი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ნოდარ, ის, რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში 91-92 წლებში, მე მხედველობაში მაქვს, გადატრიალება, მას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ ადამიანები. არის გადატრიალება, ამბობი, სახალხო აჯანყება, სამოქალაქო ომი, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება. ეხლა, არც ისე დიდი ხანის წინ, შემოვიდა ბურჟუაზიული რევოლუციაც...

ნოდარ ნათაძე: ვინ იდიოტმა თქვა?

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი, თქვენ უკვე განსაზღვრება მიეცით. გამოვყოთ დეფინიცია, მე ეს მაინტერესებს.

ნოდარ ნათაძე: მე შემიძლია რამდენიმე დეფინიცია მივცე, შემდეგ თვითონ უნდა დაასკვნათ. ეს იყო რუსეთის მიერ მოწყობილი, გარკვეულად დანაშაულებრივი, ქართველების იდიოტობაზე გაანგარიშებული, სამწუხაროდ, წარმატებით გაანგარიშებული გადატრიალება. რა თქმა უნდა, კრიმინალური, რა თქმა უნდა ანტიქართული, რა თქმა უნდა, ყველანაირად ანტისახელმწიფოებრივი.

ნათელა ვაჩნაძე: სამხედრო იყო?

ნოდარ ნათაძე: რა თქმა უნდა, სამხედრო იყო. მაგრამ ეს სამხედროები თვითონ ზვიადის დანიშნულები იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: დანიშნულები თანამდებობებზე?

ნოდარ ნათაძე: აბა, კიტოვანი ვისი დანიშნული იყო?

ნათელა ვაჩნაძე: მისი დანიშნულები იყვნენ, რომლებიც შემოვიდნენ ეროვნული მოძრაობის ხაზით და მერე ეროვნულ მოძრაობას განუდგნენ. შეიძლებოდა საქართველოს აეცდინა ეს? როგორც ფილოსოფოსს გეკითხებით.

ნოდარ ნათაძე: რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მეტი ჭკვა რომ ჰქონოდათ ქართველებს, ეს არ მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეიძლებოდა, ბატონო ნოდარ, აგვეცდინა?

ნოდარ ნათაძე: მილიონნაირად შეიძლებოდა მაგის გაკეთება. მაგალითად, შეიძლებოდა უფრო ღია და უფრო ინტენსიური კონტაქტით მონაწილეებსა და საზოგადოებას შორის. საზოგადოებას შეეძლო, რაღაც ორგანიზაციული ფორმა შეექმნა, რომ ეს აღეკვეთა მეტი ჭკვა და მეტი წინდახედულობა რომ ჰქონოდა.

ნათელა ვაჩნაძე: საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ეს თქვენი წიგნიდანაც ძალიან კარგად ჩანს, თუ არ ვიცი, რა დავარქვა, ინტელიგენცია, ესეც არ გამოდის: თქვენ გაქვთ ნამდვილი ინტელიგენცია, საზოგადოების ცალკეული ჯგუფები, ცალ-ცალკე გაქვთ განხილული, სოციალური ფენები, სხვადასხვაგვარი იყო დამოკიდებულება, მაგრამ ძირითადაც, ვინც რამის შემძლე იყო და ვინც მოაზროვნე ნაწილი იყო საზოგადოების, ის ხომ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგიც იყო. რატომ?

ნოდარ ნათაძე: რომელი ინტელიგენტი იცით თქვენ, რომელი სრულფასოვანი პიროვნება იცით თქვენ, ვინც ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგი იყო, დამისახელეთ ერთი. თქვენ თუ ლალი ჯავახიშვილს გულისხმობთ, ძალიან გეშლებათ. არც სრულფასოვანი იყო და არც ეროვნულ მოძრაობას დაპირისპირებია. მაპატიეთ, რომ მაგალითი მომყავს. მე ეგეთი კაცი არ ვიცი, მე არ ვიცი გამართული პიროვნება, რომელიც ყოფილიყო საქართველოში ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგი.

გოგი თამლიანი: მე პროცესების მონაწილე ვარ და ამიტომ თქვენ შეკითხვასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა მაგის აცდენა და იყო თუ არა მცდელობა ამის აცდენის. ბატონ ნოდართან მოდიოდა, გვარებს არ დავასახელებ, მაინცდამაინც არ არის აუცილებელი, ფაქტიურად მე ვიყავი შუამავალი, ვინც „თბილისში“ იყვნენ. ჩვენ ვიკრიბებოდით და თქვენი (ნოდარ ნათაძის) გადაწყვეტილებები მე ჩამომქონდა, თხოვნა სიგუასთან. იმაშიც დიდი წვლილი გვაქვს, ერთი პერიოდი შეჩერდა სროლა...

ნათელა ვაჩნაძე: სროლა შეწყდა, იყო დროებითი შეთანხმება.

გოგი თამლიანი: ...ბატონი ნოდარის დიდი ძალისხმევით. იკრიბებოდნენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და ჩვენ ვიღებდით განცხადებებს და ეს განცხადებები, თხოვნები მე მომქონდა სასტუმრო „თბილისში“. თენგიზ კიტოვანთანაც ავდიოდი ზღვაზე, ვთხოვდი, ზვიადისთანაც ვიყავი და ვშუამავლობდით.

ნოდარ ნათაძე: ჩვენ განცხადებებს ქსეროქსით ვავრცელებდით, მერე დაიბეჭდა „საქართველოში“, ის ნომრები უნდა ნახოთ.

ნათელა ვაჩნაძე: რა იყო ეს? ეს იყო მცდელობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ? გოგი თამლიანი: ხშირად გამიგია, თითქოს ბატონი ნოდარი გადაუდგა იმას და მონაწილეობდა ომში და ათასი სისულელე. იყო თხოვნა, ორივე მხარეს... ჩვენ შუაში ვიდექით, ვთხოვდით, ზღვაზეც ავდიოდით, არ დაიწყოს სამოქალაქო ომი. სანამ დაიწყებოდა, მანამდე ვთხოვდით. როცა დაიწყო, მერე უმართავი გახდა. მანამდე ხომ იყო, ბატონი ნოდარ, თქვენი მხრიდან ძალისხმევა ყველანაირი, რომ ეს სამარცხვინო ფაქტი... ის ფაქტი, რომ ხალხი გვაბრალებს ჩვენ მონაწილეობას...

ნოდარ ნათაძე: არა, არ გვაპრალებს.

გოგი თამლიანი: ...არიან ხალხი კიდევ, ზვიადის მომხრეებშიც არიან.

ნათელა ვაჩნაძე: პიროვნებების დასახელებისაგან თავს შევიკავებ, ასეთი პრინციპი ავიღე. ახალი ომის გაჩაღება და ისევ დაპირისპირები და ლანდღვები, ეს ხომ უნდა დამთავრდეს.

ნოდარ ნათაძე: თქვენ თუ გინდათ, რომ ადეკვატურად შეიმეცნოთ ეს, თქვენ ვერც ერთ ცნებას ვერ გამოტოვებთ თქვენს ლექსიკონში უწმანური სიტყვების ჩათვლით, პირდაპირ გეტყვით, თუ გინდათ, ადეკვატური სურათი ამისი დახატოთ, რაც იყო. მოფერებით და რაღაცის შენიღბვით და საშუალო პოზიციების დაყენებით თქვენ ფაქტებს ვერ გახსნით.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ ვაპირებ, ბატონო ნოდარ, საშუალო პოზიცია დავიკავო. მე უნდა ვთქვა ყველაფერი მეტნაკლებად. სიმართლე შეიძლება ვთქვა თუ არა, მე არ ვიცი, ყველა თავისი სიმართლით მოდის.

ნოდარ ნათაძე: ყველა რომ თავისი სიმართლით მოდის, ისტორიკოსი აანალიზებს და იდენტიფიკაციას ახდენს ცალ-ცალკე სიმართლეების.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს წიგნში თქვენც არა გყავთ პიროვნებები დასახელებული, ბატონო ნოდარ.

ნოდარ ნათაძე: ბევრ ადგილას არის.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრ ადგილას კი, მაგრამ ვინ გაისროლა? თვითმხილველები ვართ...

ნოდარ ნათაძე: ცნობილია, ვინ გაისროლა.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ?

ნოდარ ნათაძე: მე გეტყვით როგორ გაისროლეს...

ნათელა ვაჩნაძე: 2 სექტემბერს ვინ გაისროლა?

ნოდარ ნათაძე: 2 სექტემბერს არ ვიცი. 2 სექტემბერზე მე ვამბობდი ასე: მატჩი ვერ შედგება, თუ ორი გუნდიდან ერთი დააკლდა, თუ ორი გუნდიდან ერთი არ გამოცხადდა მოედანზე, მატჩი ვერ შედგება. მე ამით ვამბობ, რომ ამის მოწყობაში, რაც მოხდა, ორივე მხარე იყო ბრალეული.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ვიღაცამ ხომ ისროლა, ერთად ხომ არ ისროლა ორივე მხარემ?

ნოდარ ნათაძე: არ ვიცი პოლიციამ ისროლა პირველად თუ ედპ-მ. მე, როგორც კი ვიგრძენი, რომ რაღაცა ხდება, მოვცილდი იქაურობას.

ნათელა ვაჩნაძე: გავიდა ამის შემდეგ წლები, შეგიძლიათ თქვათ, ვინ ისროლა? არ შეგიძლიათ.

ნოდარ ნათაძე: ამაზე ახალს ვერ გეტყვით, მაგრამ მთავრობის სახლში როგორ მოხდა სროლა, ამის შესახებ მე ახალი რაღაცეები გავიგე. მთავრობის სასახლეში იყო ზვიად გამსახურდია თავისი გარემოცვით, გარეთ იყო გვარდია. ამ დროს ვარდება ტყვია.

გოგი თამლიანი: ტყვიების ჯერი ერთ-ერთი სართულის ფანჯრიდან ერთ-ერთი მიმართულებით. და ვიდეოკამერა მიშვერილია სხვა სართულის ანალოგიური ფანჯრიდან იმავე მიმართულებით. ე. ი. გადამღებსა და

მსროლელს შორის წინასწარ არსებობს შეთანხმება, რომ დაფიქსირდეს, რომ სროლა მოხდა მთავრობის სახლიდან. ეს მე მერე გავიგე, მანა-მდე არ ვიცოდი.

ნათელა ვაჩნაძე: არსებობს თვალსაზრისი, რომ სწაიპერი იჯდა კინოთეატრ „რუსთაველის“ მეორე სართულზე და იქიდან ისროდა.

ნოდარ ნათაძე: ეს არ გამორიცხავს ერთი მეორეს, მე რაც გითხარით, ეს მე-ტყველებს მხოლოდ მთავრობის სახლიდან გასროლის და მისი დაფიქ-სირების ორგანიზაციაზე.

ნათელა ვაჩნაძე: ვისი იყო აპარატი?

ნოდარ ნათაძე: რა თქმა უნდა, ან ГРУ-სი ან КГБ-სი, სხვისი ვერავისი იქნე-ბოდა. ეს შვეთიდან რომ იყო სროლა, ესეც ფაქტია, ამისი დეტალები მერე გავიგე, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიგე. ორი მსროლელი „ჩამოიღეს“ იქიდან. ლია ტიპის, სლავური ტიპისები იყვნენ. ვინ იყვნენ სინამდვილეში, არ ვიცი. რა თქმა უნდა, დოკუმენტები არ ჰქონდათ. აქ მოედანზე ჯავშანტრანსპორტიორიდან რუსმა ოფიცერმა გამოიხე-და. ქართველმა ოფიცერმა, გვარდიის ოფიცერმა ესროლა და „გააგო-რა“. ეს ჯავშანტრექნიკა მთავრობის მხარეზე იყო, მაშინდელ არსებულ მთავრობის მხარეს.

ნათელა ვაჩნაძე: ტექნიკა ბევრი იყო, ბატონო ნოდარ, თუ იცით თქვენ ტე-ქნიკის ამბავი? არავინ არ იცის ტექნიკის ამბავი. არავინ არ იცის ტე-ქნიკის ამბავი, არავინ არ იცის ფულის ამბავი. რამდენი იყო ტექნიკა და რა ხასიათის იყო?

ნოდარ ნათაძე: მე გირჩევთ თქვენ ერთ „დურაკს“, რომელმაც, შეიძლება, ბევრი რამ დაგეგმა. ის რუსების კაცია, ამაზე იჯდა კიდეც, არც მალა-ვდა, რომ ის რუსების კაცია. ეს არის ვაჟა ხაჭაპურიძე, პარლამენტა-რი. იმას რომ ჰკითხოთ, იმას შეუძლია ბევრი რამე გიამბოთ ძალიან საინტერესო.

გოგი თამლიანი: ტექნიკასთან დაკავშირებით — პრეზიდენტი მიპარებს თავისთან, ზვიად გამსახურდია. მაშინ ზღვაზე არის კიტოვანი, ახ-ალი ასულია. ზვიადი მეუბნება, დაელაპარაკე ჩემი სახელითო, რას ფიქრობსო, რას აპირებსო. ავდივარ მე და თამრიკო ქადაგიძე, ვხვდები თენგიზ კიტოვანს და ვეუბნები, თენგიზ, რას შვრები, არსებობს შანსი, რომ ან შეურიგდე, ან მოლაპარაკება შედგეს, რამე თუ შეგიძლია-თქო. მე ეხლა მივდივარ პრეზიდენტთანო და რას მაბარებ-თქო. არანაირი შერიგება, შემიძლია ერთადერთი, რომ ერთ თვეს ვაძლევ დროსო და მერე... აგერ განახებო ტექნიკასო და გავედი და ვნახე.

ნათელა ვაჩნაძე: რა ნახეთ?

გოგი თამლიანი: ბეტეერები...

ნოდარ ნათაძე: ჯართი ბეტეერები.

გოგი თამლიანი: შვეულმფრენი ჰყავდათ ერთი. მერე ეს შვეულმფრები ჩა-

მოაგდეს. ძალიან სამწუხაროა, გარდაცვლილია ის, ვინც ჩამოაგდო. ცნობილი პირი არის აფხაზეთის. ... მოკლედ, ჩამოვდივარ მე. მინდა შევიდე და მოვახსენო, რაც გავიგე და მდივანს ვითხარი, მოსულიო. მე ეხლა არ შემიძლია შეხვედრაო და ფირცხალავასთან მივიდესო, გენერალური პროკურორი რომ იყო, რომელსაც მე საერთოდ არ ვიცნობდი. მე ვუთხარი, ისეთ საქმეზე გამაგზავნა კაცმა და მე ეხლა ფირცხალავასთან მაგ თემაზე ვერ დავიწყებ საუბარს და პირადად უნდა შევხვდე-თქმ. გამოვედი და თემურ ქორიძე შევაგზავნე. სწორედ იმას უთხრა, მე მესმოდა, კარები გამოღებული იყო — მე ეხლა ფიზიკურად ვერ მოვიცლიო და როცა მოიცლის, დამიკავშირდესო. პირადად მე ვერავის პირით ვერ დაველაპარაკებოდი. მინდოდა მეთქვა, რასაც აპირებდა თენგიზ კიტოვანი და ვერ ვთქვი და არც შეიძლებოდა ვინმესთან მაგ თემაზე ლაპარაკი. არ მეთანხმებით? როცა პირადად მაგზავნი ასეთ კონფედენციალურ შეხვედრაზე, რატომ არ გავახსენდი მერე, მაშინ რომ გავახსენდი. ხომ იცოდა, რომ ვფლობდი მთელ ინფორმაციას, იმას მაინც ვეტყოდი, რას ფლობდა თენგიზი და რა შეეძლო, იმ ტექნიკით ვერაფერს რომ ვერ შეძლებდა. მერე მოხდა დამატება.

ნათელა ვაჩნაძე: როდის მოხდა დამატება?

გოგი თამლიანი: ის ტექნიკა სადღაც იდგა, რუსების ტექნიკა იყო. ვაჟა ადამიამ საიდან მიიღო ტექნიკა, საიდან მოხვდა მაგასთან ტექნიკა?

ნათელა ვაჩნაძე: ვაჟა ადამიას ერთი ტანკი ჰყავდა ჯავახიშვილის ქუჩაზე.

გოგი თამლიანი: ადამიანი იყო აბსულუტურად მართული ვიღაცის მიერ.

ნოდარ ნათაძე: საქართველოს სახელმწიფოს ჰყავდა ათად ათი ტანკი. მერე რუსებმა დივერსიული მოქმედებით გააფუჭეს ისინი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

ნოდარ ნათაძე: ეს არის ერთ-ერთი საბუთი იმისა, რომ ეს გადატრიალება მოწყობილი იყო რუსების მიერ და არა სხვის მიერ.

ნათელა ვაჩნაძე: იყო ასეთი პიროვნება — ბურბულისი. მაშინ ძალიან დიდი

პოსტი ეჭირა და ძალიან დაწინაურებული ჰყავდა ბორის ელცინს.

ელცინი გამოირჩეოდა იმით, რომ ახალგაზრდებზე ჰქონდა ორიენტა-

ცია აღებული და ჭკვიან ხალხს ეძებდა. რამდენად გამოუვიდა, ეს ყველაფერი შეფარდებითია, მაგრამ ბურბულისზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა.

ბურბულისმა 1995 წელს, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ ძალიან დიდი სამეცნიერო კონფერენციაზე, რო-

მელიც მოსკოვთან ახლოს გაიმართა, იქ ახალგაზრდული ძალების წყალობით იყო მოწვეული ხალხი და თბილისიდანაც იყო ერთი-ორი

ახალგაზრდა. მაშინ ბურბულისმა იქ თურმე თავის მოხსენებაში დაიკვეხნა, რომ მე ძალიან დიდი წვლილი მიმიძლვის იმაში, რაც მოხდა

საქართველოში. ეს მიინერა, როგორც ძალიან დიდი პლუსი თავისი მოღვაწეობის. ეს მოხსენება დაბეჭდილიც არისო მითხვეს, უბრალოდ

მე დაბეჭდილი სახით არ წამიკითხავს. ვინც იჯდა იმ დარბაზში და ვინც

უსმენდა ქართველი, მე იმის მონაყოლს გეუბნებით. ასე მოვკრიბე მა-
სალა, როგორც გიორგი ჩიტაია იტყოდა, ველზე.

ნოდარ ნათაძე: საველე სამუშაო გჭირდებათ.

ნათელა ვაჩნაძე: საველე სამუშაო მჭირდება და ვასრულებ კიდევაც ამ
სამუშაოს. ერთადერთი ძალიან ძნელია თენგიზ კიტოვანის აქ ჩა-
მოსვლა, რადგან იმედი არა აქვს, როგორ უნდა გააკეთოს ვიზა, რო-
გორ უნდა გაფრინდეს, გზები დაკეტილია. კიდევ ერთი ძალიან დიდი
პრობლემა — არქივის მასალები ხომ არა გაქვთ თქვენ? არც ერთ ქა-
რთველს არც ერთი ფურცელი არა აქვს. შესაძლებელია ადამიანს თა-
ვისთვის უნდა, იმიტომ, რომ მე ჯერ არ მახსოვს, მივსულიყავი რომე-
ლიმე მთხრობელთან და მას ეთქვას, რომ ის არ წერს წიგნს.

ნოდარ ნათაძე: ჩვენ რა განცხადებებსაც ვაკეთებდით, ის „საქართველოშია“.

გოგი თამლიანი: თქვენი ხედვა მაინტერესებს, რა კუთხით...?

ნათელა ვაჩნაძე: მე თქვენი ხედვა მაინტერესებს.

ნოდარ ნათაძე: მას არა აქვს უფლება, ჰქონდეს კუთხე, იმიტომ, რომ ის ის-
ტორიკოსია და სწავლობს მასალას.

გოგი თამლიანი: ხომ ხედავდით, რომ ძალიან მცირე ნაწილი იყო ზვიადის
მომხრე საერთოდ შინაგანად. ეს მომენტი უკვე იცოდა ΓPY-მაც და
ყველამაც...

ნათელა ვაჩნაძე: ΓPY-მ კი ყველაფერი იცოდა, მაგრამ ქართველმა პროფე-
სორებმა არაფერი არ იცოდნენ.

გოგი თამლიანი: ...ამიტომ გაბედა იმ კიტოვანმაც... საერთო განწყობა იყო
აუტანელი. აუტანელში რას ვგულისხმობ — ამან მოიყვანა მის გარე-
მოცვაში... ხალხი უკვე ხედავდა, რაც ხდებოდა. ვერ შეეგუა ამ სიტუა-
ციას ხალხი...

ნათელა ვაჩნაძე: რას ვერ შეეგუა, ბატონო გოგი?

გოგი თამლიანი: ...მდგომარეობას.

ნათელა ვაჩნაძე: რა მდგომარეობას?

გოგი თამლიანი: ისეთი ფონი აქვს ამ პერიოდში ზვიადს ირგვლივ, ისეთი
გარემოცვა ჰყავს, რომლის ატანაც თბილის არ შეეძლო. ეს უკვე
მთელ ქალაქში იგრძნობოდა, ეს უკვე ამათ წისქვილზე ასხამდა წყალს,
აი ამ მოღალატების და არაკაცების.

ნათელა ვაჩნაძე: ვის გულისხმობთ თქვენ ამ გარემოცვაში? გარემოცვა
ოჯახი არის, ნათესავები არიან, მეგობრები არიან, თანამებრძოლები
არიან...

გოგი თამლიანი: ქობალია და მისი რაზმი. ეგ რაზმი იყო და არა სერიოზული
რაღაცა. ჰყავდა ერთი პროფესიონალი გურამ ლაკია...

ნოდარ ნათაძე: გურამი ბრწყინვალე კაცი იყო.

გოგი თამლიანი: ...მაგრამ ლოთი ქობალიას ჰყავდა გუნდი, მე თვითონ ზუგ-

დიდში მაქვს სკოლა დამთავრებული, ყველაზე გარეწარი ხალხი, ვინც კი იყო საერთოდ იქ... მოსკოვში „გადაგდებებზე“ და „კუკლებზე“ რომ მუშაობდნენ, აი ეს ხალხი იყო. ამათმა იმხელა უფლებები მიიღეს, პრაქტიკულად ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ ქალაქში. ამას თბილისელები ვერ აიტანდნენ. როცა მოლაპარაკებებზე ვიყავი სანდრო კავსაძის მოტაცების დროს, ქობალიას ერთ-ერთი მოადგილის ოჯახში ვიყავი, არ მინდა ეხლა სახელი და გვარი, ჩემი მეზობელი იყო. ეს კაცი მთელი ცხოვრება „გადაგდებაზე“ მუშაობდა მოსკოვში. ამას ებარა მთელი დაცვა ომის დროს და ომამდეც. ამათ რა მითხრეს, იცით? იცი, როგორ განვიცადეთო – სუფრაზე ერთ-ორი ჭიქა რომ დავლიეთ – ქალაქი ჩვენი გვეგონაო, როცა გავიგეთ, რომ შეიძლებოდა, თბილისი დაგვეკარგაო. გამეცინა, თბილისი შენი როგორ გეგონა-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, თქვენ პირველი არა ხართ, ვინც ამას ამბობს. მე მომისმენია, ოღონდ ჭანტურიას მომხრისაგან, რომ პირდაპირ ისხდნენ რუსთაველზე და მესმოდა, ეხლა რომ გამოგაბრძანებთ მაგ სახლებიდანო და ჩვენ რომ დავიკავებთ თქვენ ბინებსო. ესენი იყვნენ დასავლეთ საქართველოს...

ნოდარ ნათაძე: ამ მომენტის აქცენტირებას არ გირჩევთ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისი მნიშვნელობით მცირეა ძალიან. მერე აუარებელი რაღაცა მოსდევს.

გოგი თამლიანი: თვითონ ფონის გამო, ბატონო ნოდარ, თორემ პიროვნებებზე ლაპარაკი არც უნდა იყოს, მაგრამ რამ გააბედვინათ, ეს გარეწრობა რამ ჩაადენინათ ამ ხალხს...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გინდათ თქვათ, რომ გათამამებულები იყვნენ.

გოგი თამლიანი: ...ინტელიგენციის ბევრი წევრი ავტომატით დადიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე სხვა თემაა.

ნოდარ ნათაძე: მაგალითად, ბუბა კიკაბიძე ავტომატით დარბოდა ეგ დამპალი. როცა არანაირი ამოცანები მაგას არ ჰქონდა, სამხედრო არ იყო და, ვთქვათ, ოსის მოგერიება არ ებარა და...

გოგი თამლიანი: დავით ყიფიანი და ა. შ.

ნათელა ვაჩნაძე: აბა, რით ახსნით ამას?

ნოდარ ნათაძე: იმიტომ, რომ ძალიან დიდი დამპალი ფენა, ასე ვთქვათ, კომუნისტების დროს კარგად მყოფი ფენა, იყო ზოოლოგიურად მოძულებელიად გამსახურდიასი და საერთოდ, ეროვნული მოძრაობის მოძულენი იყვნენ და დღესაც არიან.

ნათელა ვაჩნაძე: აი ეს გითხარით მე წელან და თქვენ მითხარით, რომ არ არსებობს ნორმალური და სრულფასოვანი კაციო, რომელიც...

ნოდარ ნათაძე: თქვენ პირიქით მითხარით, თქვენ მითხარით, კარგი ინტელიგენტი, რომელსაც ეროვნული მოძრაობა სძულდა. ბუბა კიკაბიძე ინტელიგენტია? ბნელა?

გოგი თამლიანი: იცით, კიდევ ვინ იყვნენ რევანშისტები? 400 ათასი კომუნისტი რომ გვყავდა...

ნათელა ვაჩინაძე: რა იყო ეს 400 ათასი კომუნისტი, 420 ათასი კომუნისტი გვყავდა.

გოგი თამლიანი: 400 ათასი ოჯახია.

ნათელა ვაჩინაძე: კი მართალია, 400 ათასი სამჯერ უნდა გაამრავლო და შეიძლება ოთხზეც, მაგრამ ისინი რის გამკეთებლები იყვნენ, მე გეკითხებით, ბატონო გოგი. ისინი ისხდებოდნენ პარლამენტში...

გოგი თამლიანი: დაბოლმილები იყვნენ.

ნათელა ვაჩინაძე: არავითარ შემთხვევაში მე მაგას არ დაგიჯერებთ.

ნოდარ ნათაძე: „ლევი“ მაყუთის მკეთებელნი იყვნენ დაიმედებულნი, და შეუსრულდათ კიდეც ეს, რომ გადატრიალების შემდეგ ისინი ამ სამრეწველო ობიექტებს დაიკანონებდნენ და დაიკანონეს კიდეც.

ნათელა ვაჩინაძე: დაიკანონეს კიდეც და ფაქტიურად კაპიკებში და, სხვათა შორის, მაგას სიგუას აბრალებენ.

ნოდარ ნათაძე: მე ასეთი ფორმულირება მაქვს — მაგათ ეკონომიკური წყობა კი არ აინტერესებდათ, თვითონ ეკონომიკა აინტერესებდათ, ქონების ხელში ჩაგდება უნდოდათ.

ნათელა ვაჩინაძე: ფულს აგროვებდნენ — ვერავინ ვერ ამბობს, საიდან მოდიოდა ეს ფული, იყო თუ არა აქ რუსეთის ფული, იყო თუ არა აქ უცხოური ვალუტა.

ნოდარ ნათაძე: რუსეთის ფული, რა თქმა უნდა, იყო, უცხოელი არაფერს არ ჩადებდა.

გოგი თამლიანი: ამათი ფულიც იყო.

ნათელა ვაჩინაძე: ვისი ამათი?

გოგი თამლიანი: ამ „დელეცების“.

ნოდარ ნათაძე: მე მგონი, ფული იყო ორი კატეგორიის — ერთი იყო მოსკოვის ფული, მეორე იყო ამ „მაყუთჩიკების“ ფული. მე მგონი, ეგრეა.

ნათელა ვაჩინაძე: ყველა რევოლუციას თუ გადატრიალებას, მსოფლიოში რაც კი რამ ყოფილა, ყველას ეს ფინანსური მხარე აღრიცხვაზე ჰქონდა და ვიცით, რომელი რევოლუცია რა დაჯდა, აფრიკის რომელ ქვეყანაში რა დაჯდა. ვცხოვრობთ საქართველოში, ვამბობთ რომ თვითმხილველები ვართ, ვამბობთ რომ თანამონაწილეებიც ვართ, შეიძლება მე არა ვარ, მაგრამ ბატონი ნოდარ ლომოური ნამდვილად თანამონაწილეა ამ გადატრიალების, აბა ვკითხოთ, ფინანსებზე იცის რამე? არავინ არაფერი არ იცის. რა ვქნათ?

ნოდარ ნათაძე: ჩვენი მაშინდელი რედაქტორი შევარდნაძის პურმარილზე შეესწრო, რომ ნოდარ ლომოური მთვრალი ეუბნება: ბატონო ედუარდო, „პუპუზამ“ დედა შემაგინაო. ამან წაუყრუა. ბატონო ედუარ-

დო, „პუპუზამ“ დედა შემაგინაო. შევარდნაძე მიუბრუნდა ჩვენს რე-დაქტორს და ეუბნება: ნათაძემ გინება იცისო? არა, ბატონო ედუარდ, პირველი შემთხვევაა, იმან უთხრა. მერე ლომოურს უთხრა: კარგი, ვაცალოთო, მეორედ თუ შეგაგინაო, მერე მოვთხოვოთ პასუხიო.

ნათელა ვაჩნაძე: იუმორი ნამდვილად აქვს ბატონ ედურდს. არის კიდევ ეს-ეთი მოსაზრება, რომ ქალბატონმა ლელე არჩვაძემო, ეს უკვე მე არ ვიცი რა არის, გასცა განკარგულება პირველი სროლის შესახებო. გს-მენიათ რამე ამის შესახებ?

ნოდარ ნათაძე: ეს ფოლკლორია.

გოგი თამლიანი: რადიკალური რაღაცეებით რომ გამოირჩეოდა ლელე... მე ვიცნობ გამსახურდიების ოჯახს და ლელეს და მანანას, სამწუხაროდ, უარყოფითი როლი ძალიან კარგად ვიცი. მე დარწმუნებული ვარ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, ლელე და მანანა რომ არ ყოფილიყვნენ ტან-დემში, სრულიად სხვა მიმართულებით წავიდოდა ზვიად გამსახურდია და, საერთოდ, ეროვნული მოძრაობა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არ არის ჩემთვის პირველად გაგონილი. ყველაფერს უნდა დამტკიცება, მე ვარ ისტორიკოსი, მე დოკუმენტალურად უნდა დავამტკიცო. მე ის დოკუმენტებიც არა მაქვს, რის დოკუმენტებიც უნდა არსებობდეს. მარტო მოთხოვნები საკმარისი არ არის.

ანზორ მაისურაძე

2007 წლის 30 მაისი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ანზორ, რა არის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, მაპატიეთ ამ შეკითხვის მოცემისათვის, მაგრამ რომ განუმარტოთ ფართო საზოგადოებას და მკითხველს, განსაკუთრებით ახალ თაობას. არ იციან, ესე კარგად ჩახედულები არ არიან, ჩვენი მაგისტრანტებიც კი, არაფერს ვამბობ, უფრო დაბალი საფეხურის სტუდენტებზე, ბაკალავრიატზე. რა ფუნქციები აკისრია, რა მოვალეობები, რა უფლებები აქვს, მოკლედ განვმარტოთ, როგორც თქვენ ინებებთ ისე, რამდენის თქმის უფლება გაქვთ, რისი თქმის უფლება გაქვთ. რა არის თქვენი სამსახურობრივი საიდუმლო, ჩვენ იმას ვერ შევეხებით, იმიტომ, რომ თქვენ ფიცი გაქვთ დადებული, როგორც პროფესიონალს, თქვენ ყველაფერზე ლაპარაკი არ შეგიძლიათ, მე ძალიან კარგად მესმის. მეც დაახლოებით თქვენი თაობის ადამიანი ვარ, მეც იგივე გარემოში ვიცხოვრე, იგივე იდეოლოგის ატმოსფეროში, რომელშიც თქვენ იცხოვრეთ, უბრალოდ თქვენ იქ მსახურობდით და კარგად იცით ეს სტრუქტურა.

ანზორ მაისურაძე: იცით, ქალბატონო ნათელა, მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე მოვხვდებოდი უშიშროების სისტემაში. გარემოებისდა გამო მოვხვდი იქ. ეს გარემოება ისეა, რომ შეიძლება ყველა ადამიანი მოხვდეს, ყველა მოხვდეს, მაგრამ იქ უშიშროებას ჰქონდა თავისი პირველადი კრიტერიუმები ხალხის მისაღებად. უნდა ყოფილიყავი აუცილებლად უმაღლესი განათლებით, ჩემ დროს იყო ასე, უნდა ყოფილიყავი უეჭველად ცოლ-შვილიანი, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა 26 წლამდე და უნდა გქონდა გამოცდილება ხალხთან მუშაობის. უეჭველად არ უნდა გქონდა არანაირი კომპრომატები, კომპრომასალები არ უნდა ყოფილიყო შენზე. შენ არ უნდა ყოფილიყავი ნასამართლები, ნაციხარი, არ უნდა ყოფილიყავი ქურდი, ბანდიტი, ოხერი და ტიალი და, მითუმეტეს, პოლიტიკურად არასანდო პიროვნება. გარდა ამისა, შენი ოჯახის ნევრები არ უნდა ყოფილიყვნენ კომპრომეტირებულები, ე. ი. არ უნდა ყოფილიყვნენ არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსით დამნაშავენი, პოლიტიკურად თუკი იყო ვინმე ნასამართლები, ეს კიდევ საერთოდ გამორიცხავდა მიღებას ჩვენთან სამსახურში. ამიტომ უპირველესი მოთხოვნა იყო, პირველი — უნდა ყოფილიყავი განათლებული, უნდა გქონდა ცხოვრებისეული გამოცდილება ხალხთან მუშაობისა, ცოლ-შვილიანი, კომპრომატები შენზე არ უნდა ყოფილიყო და არც შენს ახლო ნათესავებზე. ახლო ნათესავებად ით-

ვლებოდნენ — დედა, მამა, ძმა, და და მეუღლე. პირველი მეუღლე მოდიოდა, შემდეგ სხვა. შემდეგ ამას დაემატა კიდევ მეუღლის მშობლები. ისიც კარგი იქნებოდა, თუ არ იქნებოდნენ ან რეპრესირებულები, ან ამა თუ იმ დანაშაულის გამო დასჯილები. ეს იყო კრიტერიუმი სამსახურში მიღებისა. რაც შეეხება იმას, თუ რა ფუნქცია ეკისრა უშიშროებას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავისი სახელმწიფო უშიშროებისათვის არ ზრუნავდეს. და უშიშროებისათვის ზრუნვა ნიშნავს, შეიქმნას ისეთი სტრუქტურა სახელმწიფოში, რომელსაც სპეციალურად ექნება ეს ფუნქცია დაკისრებული, რათა დაიცვას ქვეყნის შიგნით და გარედან ქვეყანა საფრთხეებისაგან. ასეთი ფუნქცია დაეკისრა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს. ძირითადი ფუნქცია რა იყო, დაზვერვის ხაზით — რომ თავის დროზე, დროულად, წინმსწრები ინფორმაცია ჰქონდა ქვეყანას მის წინააღმდეგ შექმნილი საფრთხეებისა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მე საბჭოთა კავშირი მყავს მხედველობაში. ქვეყნის შიგნით უსაფრთხოება ნიშნავდა, რომ არ ჰყოლოდა, არ შექმნილიყო ისეთი ძალა ქვეყნის შიგნით, რომელიც ქვეყანას, მის კონსტიტუციას და მის წყობას შეუქმნიდა საფრთხეს. ე. ი. თავისი განსაკუთრებული მეთოდებით მუშაობდა უშიშროების სისტემა იმისათვის, რომ გამოევლინა ქვეყნის შიგნით ისეთი ხალხი, ვინც მაშინდელი საბჭოთა კავშირის წყობის წინააღმდეგ იყო განწყობილი და ჩანასახშივე ეს უნდა განეიტრალებულიყო. ხშირად ყოფილა შემთხვევა, თვითონ უნივერსიტეტშიც, ქალბატონო ნათელა, სხვა ორგანიზაციებშიც, რომ იყო ანტისაბჭოთა გამოსვლები, ანტისაბჭოთა სიტყვები. ეს ყველა ინფორმაცია ჩვენთან მოდიოდა. მაგრამ არასოდეს, მე ჩემს პერიოდს ვამბობ, 1961 წლიდან, ვიდრე მე იქ ვიყავი, 1992 წლის ჩათვლით, ჩვენის მხრიდან არასოდეს არ იყო საქართველოს უშიშროება განწყობილი იმისათვის, ჩემს პერიოდში, რომ კაცი დაეჭირა და ციხეში ჩაესვა თავისი ანტისაბჭოთა აზრების გამოთქმიათვის. ამისათვის არსებობდა შესანიშნავი მეთოდი, რომელსაც პროფილაქტიკას ვეძახდით. ასეთ კაცს ოფიციალურად დავუძახებდით, დაველაპარაკებოდით და გავაფრთხილებდით — ნუ აკეთებ ამას, ისეთ რამეს ნუ აკეთებ, რომ ეს სამსახური შემდეგ იძულებული იყოს, უფრო მეტად მკაცრი ზომები გაატაროს თქვენს მიმართ. ამის დასტური რა არის იცით, რომ 1961 წლიდან 1992 წლის ჩათვლით, თითქმის 32 წლის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სულ დაკავებული ჰყავდა და გასამართლებული არა იმეტეს 35 კაცისა. იმ დროს, როდესაც, ამ ხნის პერიოდში, საქართველოში, როგორც წესი, მვდ-ს და პროკურატურის ხაზით 10 ათასიდან 12 ათას კაცს ასამართლებდნენ. უშიშროება წარმოდგენილი იყო მონსტრად, ყველას უშიშროების ეშინოდა, იყო რაღაც საშინელი წარმოდგენა მასზე. ამ დროს ისინი, ვინც ამას ამბობდნენ, რომ მე უშიშროების ჯურლმულებში ვიჯექიო, 60-იან

წლებს გეუბნებით, არავითარი ჯურლმული იქ არ იყო. იყო, გაგიკვირდებოდათ, რომ გენახათ, ისეთ საგამომძიებლო იზოლატორი, სადაც ძირითადად იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ დაკავებული ხალხი ამა თუ იმ ქმედებისათვის. ის შენობა, სადაც იყო ჩვენი წინასწარი საგამომძიებლო განყოფილება, დაქირავებული ჰქონდა იმათ. ამას ხომ შენახვა უნდოდა და ისინი ქირაობდნენ და ფულს იხდიდნენ ამაში. იმათი პატიმრები იყვნენ ძირითადად. ეხლარაც შეეხება იმას, თუ რას აკეთებდა უშიშროების სამსახური. უშიშროების სამსახურის სტრუქტურა ასეთი იყო. იყო დაზვერვის სტრუქტურა, იყო კონტრდაზვერვის სტრუქტურა, იყო, კონსტიტუციური უსაფრთხოება რომ ჰქვია ეხლა ამას იდეოლოგიური განყოფილების, ამას ერქვა სახელად კაპიტალისტური ქვეყნების მიერ წარმოებული იდეოლოგიური ომის წინააღმდეგ შექმნილი განყოფილება. იყო აგრეთვე ტექნიკური განყოფილება, იყო საარქივო განყოფილება. ძირითადად ეს განყოფილებები იყო, რომლებიც, თავისთავად, აი ამ ფუნქციებს, რასაც მე გეუბნებით, დაზვერვის ფუნქციას, კონტრდაზვერვის ფუნქციას, იდეოლოგიური ბრძოლის ფუნქციას, რა თქმა უნდა, ტექნიკური საშუალებების დახმარებით... ხო, იყო, რა თქმა უნდა, გარე თვალთვალის სამმართველო. ესენი ყველანი ერთად, ერთ სისტემაში მოქცეული, ასრულებდა იმ დავალებებს, იმ ფუნქციას, რა ფუნქციაც დაკისრებული ჰქონდა ამ სამსახურს ცენტრალური კომიტეტის, პარტიის მიერ (აკაკუნებს მაგიდაზე დაბეჯითებით). არც ერთი ნაბიჯი უშიშროების სამსახურს არ გადაუდგია პარტიის ცეკასთან შეთანხმების გარეშე, სუყველაფერი იყო შეთანხმებული მაგასთან. შეუძლებელი იყო რამის გაკეთება, გამორიცხული იყო, ვინ გაგაკეთებენიბდა, ანდა ვინ მოგცემდა იმის უფლებას, რომ შენ შენი ჭკუით რამე გაგეკეთებინა. ყველაფერი იყო ძალიან მაღალ დონეზე შეთანხმებული. შეთანხმებასთან ერთად იქიდან მოდიოდა დირექტივები, რა უნდა გაგვეკეთებინა, როგორ უნდა გაგვეკეთებინა, რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესებულიყო მუშაობა და როგორ უნდა შეგვესრულებინა ესა თუ ის დავალება. ეს ჩვენი ძირითადი ფუნქცია. ამდენი ხნის განმავლობაში, რაც მე იქ ვიყავი — აქედან მე დაახლოებით კალენდარული... რომ დავთვალე, საპენსიო წიგნში 45 წელი მიწერია. დაზვერვაში ვიმუშავე დაახლოებით 20 წელი და ამდენივე კონტრდაზვერვაში. დაზვერვაში მუშაობის დროს მე 8 წელიწადზე მეტი მომიწია საზღვარგარეთ მუშაობა...

ნათელა ვაჩნაძე: იორდანიაში იყავით.

ანზორ მაისურაძე: დიახ, საზღვარგარეთ ვმუშაობდი და კონტრდაზვერვაში ძირითადად მომიწია იდეოლოგიურ განყოფილებაში მუშაობა, სადაც, ჩემთან, როგორც იდეოლოგიური ბრძოლისათვის შექმნილი განყოფილება შემოდიოდა, ვთქვათ, მთელი საქართველოს ინტელიგენცია. გეტყვით, ინტელიგენციის თითქმის ყველა სფერო: ეს იყო მეცნიერე-

ბათა აკადემია, უმაღლეს სასწავლებლები, სამედიცინო ინტელიგენცია, ახალგაზრდული ორგანიზაციები, სპორტი, რელიგია. ხომ არ გამომრჩა რამე?

ნათელა ვაჩნაძე: არა მგონი. რელიგიის საქმეთა სამმართველო ფალკე გყავდათ?

ანზორ მაისურაძე: არა. ჩემს სტრუქტურაში შემოდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენს სტრუქტურაში შედიოდა, მაგრამ იქ იყო გუჯიაშვილი, მე მახსოვს.

ანზორ მაისურაძე: ის იყო მინისტრთა კაბინეტში. იქ იყო ფალკე განყოფილება. ეხლა რისი თქმა მინდა რელიგიასთან დაკავშირებით. მე, როდესაც საზღვარგარეთიდან ჩამოვედი, მაშინ დავინიშნე საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე და რომ ჩავიხედე...

ნათელა ვაჩნაძე: რა იყო ეს მაღალი თანამდებობა?

ანზორ მაისურაძე: განყოფილების უფროსის მოადგილე, რა თქმა უნდა. ჩვენთან ძალიან ცოტა იყო ასეთ თანამდებობაზე ხალხი, იმიტომ, რომ შეზღუდული იყო ეს სუსველაფერი. ამასთან ერთად — მეცნიერებთა აკადემია, ეს უმაღლესი სასწავლებლები, ეს მედიცინა, ეს სპორტი, ეს ახალგაზრდული ორგანიზაციები, ეს რელიგია — რელიგიასთან მე ჩახედული არ ვიყავი, არ მქონდა შეხება. ჩავიხედე ამ რელიგიის საქმეში და გამიკვირდა ის, მე არც კი ვიცოდი, რომ ამდენი სექტანტები იყვნენ საბჭოთა კავშირში. უამრავი სექტანტური ორგანიზაციები იყო, რელიგიური ორგანიზაციები. ეს იყო ადვენტისტი-რეფორმისტები, ადვენტისტები, რელიგიური ამაში, ქალბატონო ნათელა, მე გამიკვირდა, ეს ამდენი სექტანტური ორგანიზაცია როგორ დაუშვა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ, რომ ასე თავისუფლად იყვნენ. რეგისტრირებულები, განა ისე, ზოგი არ იყო რეგისტრირებული. ხოდა, რომ ვნახე, ჩავეძიე, წარსულს თუ არ ჩაეძიები, ხომ იცით, ვერ გაიგებთ...

ნათელა ვაჩნაძე: მითუმეტეს, ისტორიკოსი ბრძანდებით.

ანზორ მაისურაძე: ამოვიდე, რაც კი რამე გვქონდა ჩვენ და მივხვდი, რომ... ამ დროს, მინდა იცოდეთ, რომ საქართველოში მართლმადიდებლურ რელიგიას და ჩვენს სარწმუნოებას ცოტა ისე, ალმაცერად უყურებდნენ, არ უყურებდნენ წესიერად.

ნინო თომაძე: ვინ არ უყურებდა?

ანზორ მაისურაძე: ხელისუფლება. იყო ასეთი ის, ლოზუნგივით იყო, რომ რაც უფრო ცუდია რელიგიაში ჩვენთან, მით უკეთესია. საიდან მოიტანეს ეს, მე არ ვიცი, მაგრამ ე. ი. ცუდად არის საქმე, ე. ი. კარგად არის საერთო საქმე. როდესაც ჩავეძიე, ჩვენს საპატრიარქოს გადავხედე, ვინ იყვნენ ამ ბოლო წლებში პატრიარქები, რას აკეთებდნენ, როგორ

იყო, მათთან რა ხალხი იყო, ყველაფერს ჩავხედე. დავრწმუნდი ერთ რამეში, რომ ყველაფერი მავნებლობა, რაც შეიძლება მოუტანოს ხელისუფლებას და ქვეყანას, ეს იყო სექტანტები. ამ სექტანტებში იყო ის ხალხი, რომლებსაც შეეძლოთ ძალიან ბევრი ზიანის მიყენება ქვეყნისათვის. ჩავხედე მართლმადიდებელ ეკლესიას და, მოგეხსენებათ, ქალბატონი ნათელა, მეც ისტორიკოსი ვარ, თქვენც ჩახედული ბრძანდებით, ეს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს სულ გვერდში ედგა. ეს იყო დასაყრდენი, იდეოლოგიური დასაყრდენი ძალა იყო ქვეყნისათვის. ეხლაც ასეა. ამიტომ, 1981 წელი იყო, თუ 82, აღარ მახსოვს, შევადგინე ანალიტიკური ცნობა საქართველოში რელიგიური მდგომარეობის შესახებ, მოვახსენეთ ინაურს, ინაურმა მოაწერა ხელი და მივუტანეთ შევარდნაძეს. ჩვენი აზრი ასეთი იყო, რომ კი არ უნდა დაიჩაგროს საქართველოში მართლმადიდებლური რელიგია, პირიქით, შეძლებისადაგვარად, როგორც შეგვიძლია, ხელი უნდა შევუწყოთ მას. და. მოგეხსენებათ, ბიუროზე გაიტანეს ეს საკითხი, ცეკას ბიუროს სხდომაზე. და ამ დღის შემდეგ შემსუბუქდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და... ხომ იცით, როგორ არის, პარტიის ცენტრალური კომიტეტი გვიყურებდა ჩვენ და თუკი ჩვენ ასეთი წინადადებით შევიდოდით, ისინი არ იყვნენ წინააღმდეგი, შემსუბუქებულიყო ყველანაირი ზეწოლა მართლმადიდებლურ რელიგიაზე. მართლაც შემსუბუქდა და გაცილებით მეტი თავისუფლება მიეცა რელიგიას, ვიდრე მანამდე ჰქონდა. იმ დღეს მოყვნენ, მე ყურადღებით ვუსმენდი, ბატონმა როინმა და შემდეგ ქალბატონმა მარიკამ ილაპარაკეს „მრუდე სარკესთან“ დაკავშირებით, რომ გამოქვეყნდა გაზითში ვერმიშევის „ამირსპასალართან“ დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ბატონი შოთა მესხია და მე ამ სახლში ერთად ცხოვრობდით, ის ცოტა იქით ცხოვრობდა, პატარა ვიყავი მე და მაგის ხელში ... მე, როდესაც უშიშროებაში მოვხვდი, ეს იყო 68 წელი თუ 69, აღარ მახსოვს, დამირეკა ბატონმა შოთამ და მითხრა, მოდი ჩემთანო, იმელის გვერდით რომ ცხოვრობდა. მივედი. რა არისო? წაიკითხე „ამირსპასალარიო“? კი, მეთქი. აი მაგის პასუხს ვწერთო და თქვენი ნებართვაა საჭირო იმისათვის, რომ ეს დაიბეჭდოს. მე ვუთხარი, მომეცით და მე შევათანხმებ-თქო ამას. ცეკაში ამბობენო, რომ თუ კგბ თანახმა იქნებაო, მაშინ ჩვენ თანახმა ვიქნებითო. მივიტანე მე ესა და...

ნათელა ვაჩნაძე: ამ დროს კგბ თვითონ ცეკაა.

ანზორ მაისურაძე: არა, არა, არა. არ არის ეგრე. მინდა, რომ იცოდეთ, ეგრე არ არის. მივიტანე ჩვენთან სამსახურში და ვისაც ჯერ არს იმას მივეცი. ვუთხარი, ამას, რომ წაიკითხავთ, მინდა, რომ იცოდეთ, რომ იქ ამბობენ, ცეკაში ამბობენ, ჩვენ გვაბრალებენ, თუ ჩვენ თანახმა ვიქნებით, ისინი თანახმა იქნებიან. წაიკითხა ეს, რა თქმა უნდა, ინაურმა და თქვა, თუ ისინი წინააღმდეგი არ არიან, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო ამაში არა გვაქვსო. მივუტანე ბატონ შოთას უკან და, ჩვენ წინააღმდეგი არა

ვართ, უთხრით იმათ, რომ ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი, თუ ისინი არ არიან-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: იქ ბატონი დევი იყო იდეოლოგიური.

ანზორ მაისურაძე: დევის ჩვენი ეშინოდა, მე არ ვიცი? ეშინოდა, ის თავის თავს უფრთხილდებოდა, ფიქრობდა, იმათმა, რომ შარი ამიტებონ. დევი უგანათლებულესი კაცი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: უგანათლებულესი, უკიდეგანო განათლება ჰქონდა.

ანზორ მაისურაძე: მე ისე მიკვირდა, მე სამჯერ, ოთხჯერ მომიწია მასთან ურთიერთობა და საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ადამიანებზე სხვისი ნათქვამით არ უნდა იმსჯელო, სანამ შენ თვითონ არ გაიცნობ. მერე ბატონმა შოთამ სათანადოდ... მერე ქალბატონმა მარიკა ამბობდა, ველოდებოდით, როდის დაგვიჭერდნენო. ინაური თანახმა იყო და ვიღა დაიჭერდა, მითხარით. აი ესე დამთავრდა ეს ამბავი.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრი მსმენია მე პირადად და ჩემს თაობას, ზოგი ჭორი იყო, ზოგი მართალი, ხომ იცით, მოარული ხმები. დილას რომ ჩამოივლიდა ეს ხმები, უნივერსიტეტის ბალიდან რომ შემობრძანდებოდა პირველ კორპუსში და ვრცელდებოდა. თითქოს ბატონი ალექსი ინაურის სიტყვებია, რომ რა ვქნა, ამდენი ინფორმატორისაგან შენუხებული ვარ, აღარ შემიძლია, აღარ მინდა, ბატონი, მაგათი ინფორმაცია, დავიღალე მაგათან, ჩემი ინფორმაცია მაქეს და ვეღარ ერეკებოდა ამ ხალხს. ეს მართალია, თუ მართალი არ არის?

ანზორ მაისურაძე: ეგ არის გადაჭარბებულად გაზვიადებული ტყუილი. არასოდეს ესე არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ქალბატონო ნათელა, უშიშროებას ჰყავდა თავისი აგენტურა. აგენტები ეს ის ხალხია, ათასჯერ მაქვა განმარტებული, რომლებიც ქვეყნის უშიშროების გულისთვის ზრუნავენ და არა იმისთვის, დასმენის პოლიტიკა რომ არის. გამორიცხულია, ეს. ჩვენ ხომ ყველაფერი არ ვიცით უშიშროებამ, ყველაფერი ხომ არ ვიცით. აი, თქვენ ხართ თქვენი საქმის პროფესიონალი. მოვედი მე თქვენთან ამა თუ იმ საკითხზე და გითხარით, ქალბატონო ნათელა, როგორ უფრო სწორი იქნება, თქვენი აზრით, როგორ უფრო კარგი იქნება, სასარგებლო იქნება ჩემი ქვეყნისთვის, რომ გავკეთო. ეს არ ვიცი მე და იმიტომ გეკითხებით. თქვენ მომეცით სათანადო რეკომენდაციები, ან ზეპირი, ან წერილობითი. თქვენ რა ხართ, მტერი ხართ ქვეყნის, აგენტი ხართ, ვინა ხართ. თქვენა ხართ თქვენი ქვეყნის პატრიოტი, ხომ ასეა. სხვანაირად ხომ არ არის, არა? და ასე ვეკითხებოდი მე, ანზორ მაისურაძე, უნივერსიტეტის რექტორებს, პრორექტორებს, დეკანებს, უამრავს ვეკითხებოდი, რომელებისაგანაც ბევრ სასარგებლო რჩევებს ვღებულობდი. როგორ აკადრებ აკადემიკოსს, შენ აგენტი ხარო. ეს აგენტი ჩვენთან ხომ გაუკულმართებულად ესმით. საზღვარგარეთ ეს ჩვეულებრივი ამბავია. გერმანიაში უბრალოდ ფულს უხდიან ყველას, როგორც ხე-

ლფას, ისე აძლევენ იმისათვის, რომ თავის დროზე და დროული ინფორმაცია მიაწოდოს ხელისუფლებას.

ნათელა ვაჩნაძე: ესენი ინფორმატორები არიან? ინფორმაციის მიმტანი ინფორმატორია ხომ?

ანზორ მაისურაძე: აბა რას დაარქმევ, ინფორმატორი იქნება, აბა როგორ იქნება. ეხლა დააკვირდით, რა ხდება.

ნათელა ვაჩნაძე: ინფორმატორსა და აგენტს შორის რა განსხვავებაა?

ანზორ მაისურაძე: სანდო პირს ვეძახით ჩვენ ამ ხალხს, რომელსაც ენდობა ხელისუფლება.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ხალხს?

ანზორ მაისურაძე: ვისთანაც მივიღოდით და დაველაპარაკებოდით. იმიტომ, რომ იმ კაცს ან ქალბატონს, ვისთანაც მიხვალ და ეკითხები, ის საიდუმლოებას შეიცავს. და რომ ეკითხები, ის თანამზრახევი ხდება. ამიტომ თუ არ ენდობი, ისეთ ვინმეს არ შეეკითხები ხომ? უნდა ენდობოდე, ხომ? ამიტომ ამათ ერქვათ სანდო პირები. რაც შეეხება იმას, ვისაც ჩვენ აგენტურას ვეძახით. ისინი იყვნენ ის პირები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ უშიშროების სამსახურებთან და ყოველ თვეში ერთხელ იყო მათთან საიდუმლო შეხვედრა საიდუმლო, კონსპირაციულ პინაში. ეს იყო იმდენად დაცული და გარანტირებული შეხვედრა, რომ არავის ამის შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდა. ამ შეხვედრის დროს შენ აძლევდი მას დავალებას, რა უნდა გაეკეთებინა — თუ ჰქონდა ამის გაკეთების საშუალება, თუ არ ჰქონდა, იტყოდა, რომ არ შემიძლია ამის გაკეთება — რა იყო გასაგები, შემდეგ შეხვედრაზე ის უკვე ამის პასუხს გაძლევდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ფულს უხდიდით ამაში?

ანზორ მაისურაძე: ფულს არ ვუხდიდით. ქალბატონებს საჩუქარს ვჩუქნიდით...

ნათელა ვაჩნაძე: დაახლოებით ეს რა ფასის იყო?

ანზორ მაისურაძე: ძალიან ისეთი, აი ერთი დუხი რომ აჩუქო.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვფიქრობ, როგორც იმ ეპოქის შვილი, მე ხომ გულწრფელად უნდა გეითხოთ ყველაფერი, დაინტერესებული ვარ ძალიან ბევრი საკითხით. შეიძლება ბევრი რამე...

ანზორ მაისურაძე: იყო, იყო, როგორ არა. თუ დავინახავდით, რომ იმ პიროვნებას, ვისაც საიდუმლოდ ვხვდებოდით, ოჯახში უჭირდა, უჭირდა ცხოვრება, შენახვა, ერთჯერად დახმარებას ვაძლევდით.

ნათელა ვაჩნაძე: ამდენი ფული თქვენც არ გქონდათ, რომ ოქროს სასახლეები აგეშენებინათ.

ანზორ მაისურაძე: არა, ბატონო. ვთქვათ, შუამდგომლობით მივმართავდით ხელისუფლებას, რომ გაუმჯობესებულიყო საბინაო პირობები.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი საჩუქარი იყო ყოველი

ადამიანისათვის, რომ საზღვარგარეთ ჰქონდათ საშუალება მოგზაურობის. ვთქვათ, ისტორიკოსია, მიდის არქივებში, მიდის მუზეუმებში, ამას ათვალიერებს, ქვეყანას ეცნობა, საისტორიო სიძველეებს, ან მიდის არქეოლოგიურ გათხრებზე, კაპიკი არ უჯდება. თაქ ჩამოასახავთ, ეს სიტყვა კარგად მაქვს ჩაბეჭდილი ტვინში. იყვნენ ვიზნე და სამართლებრივი მინისტრები, რომ იყო ბუკინისტური, 2 დოლარი რომ ლირდა, 3 დოლარი, უკვე ვიღაცის მიერ წაკითხული, გადაფურცლული წიგნი, 200 დოლარი რომ ლირდა სრულიად ხელუხლებელი მაღაზიაში, შენ იყიდდი 2 დოლარად. და მეცნიერს, რომელსაც საშუალება გაქვს შენს სპეციალობაში შეიძინო ეს, უახლესი ინფორმაცია მიიღო, იფრინო კონგრესებზე, კოლოკვიუმებზე, მრგვალ მაგიდებზე, ხალხს გაეცნო, იქ დაბეჭდო, ეს ხომ ძალიან დიდი რამ არის მეცნიერისთვის. რა თქმა უნდა, ის მეცნიერები ბევრად წინასულები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც ჩაკეტილი იყო ოთხ კედელში. ეხლა მე რომ ჩამკეტო ოთხ კედელში და ვერავითარი ინფორმაცია ვერ მივიღო. მე ვფიქრობ, რომ ბევრი ადამიანი, პროფესიისადმი სიყვარულის გამოც, რომ არ ჰქონდა საშუალება, სამართლებრივი უფლისი? მიდიოდა ამაზე. თქვენი აზრი როგორია?

ანზორ მაისურაძე: ეხლა მე გეტყით, ქალბატონო ნათელა, რა თქმა უნდა. არც ერთი კაცი საქართველოდან ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც მე ვიყავი კურატორი, ვერ გავიდოდა ინტელიგენციიდან, ჩემი ხელის მოწერა თუ არ იქნებოდა. ამ ხუთი წლის განმავლობაში 47 ათასი კაცი გავიდა.

ნათელა ვაჩინაძე: რომელი წლებია, თუ გახსოვთ.

ანზორ მაისურაძე: 79 წლიდან 85 წლამდე, მე რომ ჩამოვედი საზღვარგარეთიდან, ჩემი ხელის მოწერით გავიდა 47 ათასი. და თქვენ გინდათ მითხრათ, რომ 47 ათასი კაცი ჩემი ინფორმატორი იყო?

ნათელა ვაჩინაძე: არა.

ანზორ მაისურაძე: გამორიცხულია.

ნათელა ვაჩინაძე: როგორ გამიღიმებდა ბედი, 79 წლიდან რომ ვყოფილიყავი.

ანზორ მაისურაძე: ერთხელ გეთქვა და წახვიდოდი, რად უნდა ლაპარაკი.

ნათელა ვაჩინაძე: ათი ათასჯერ...

ანზორ მაისურაძე: ჩემთვის არ გითქვიათ, ყოველ შემთხვევაში.

ნათელა ვაჩინაძე: მაისურაძესთან ვიყავი.

ანზორ მაისურაძე: ნოდარისთან იყავი, მაისურაძესთან. ჩემთან უნდა ყოფილიყავი. რა, არაო?

ნათელა ვაჩინაძე: საშინელი ლაპარაკი მქონდა. არა, მე არ მეხებაო, თუ ვი არ მეხებაო, მე ტირილი დავიწყე, თავი ვეღარ შევიკავე

და შვილი რომ მოუკვდა, მე მასთან მივედი და მთელი ჭავჭავაძის პროსპექტი გავაცილე. მიუხედავად იმისა, რომ მე იმ შეხვედრამ...

ანზორ მაისურაძე: რატომ გითხრათ უარი, ქალბატონო ნათელა?

ნათელა ვაჩინაძე: მერე თქვეს, რომ ანტისაბჭოთა ლიტერატურის კითხვისთვის და გავრცელებისთვის.

ანზორ მაისურაძე: გავრცელება? იყო ასეთი რამე?

ნათელა ვაჩინაძე: მე არ ვყიდდი არაფერს, მე არ ჩამომქონდა უცხოეთიდან.

ანზორ მაისურაძე: აბა, რა ნიშნავს გავრცელება?

ნათელა ვაჩინაძე: მე უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი იმიტომ, რომ მე გავავრცელე ორი ჟურნალი — „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“, მაგრამ ჩემს გარდა ის ორი ჟურნალი ჰქონდა ათასობით ადამიანს და ყველანი ჩავცვიდით ერთდროულად. მაგრამ იმ რამდენიმე ათასი კაციდან ძალიან ბევრი დადიოდა და მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ჩავიკეტეთ.

ანზორ მაისურაძე: რომელ წელში იყო ეს?

ნათელა ვაჩინაძე: არ მახსოვს. თქვენამდე, 79 წლამდე ბევრად ადრე.

ანზორ მაისურაძე: ეხლა რაშია საქმე. თქვენ ამ ჟურნალის გავრცელების გამო, იმდენად, რამდენადაც ეს ჟურნალები ჩათვლილი იყო, როგორც ანტისაბჭოთა...

ნათელა ვაჩინაძე: გავრცელება რა არის. მე რომ მიმეცა ნინოსთვის და ნინო რომ წასულიყო და დავესმინე.

ანზორ მაისურაძე: ეგრეა. ქალბატონო ნათელა, მე მოგიყვებით ეხლა ერთ ისტორიას. 1928 წლიდან საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ტექნიკური მეცნიერების დარგში, ძალიან ბევრი ახალგაზრდა გააგზავნეს სასწავლებლად. ძირითადად მიდიოდნენ გერმანიაში, სადაც ტექნიკური მეცნიერება იყო განვითარებული...

ნათელა ვაჩინაძე: ჰუმანიტარებიც მიდიოდნენ.

ანზორ მაისურაძე: ჰუმანიტარებიც, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მიდიოდა. ... გერმანიაში, სადაც, მოგეხსენებათ, ლიტერატურა და ფილოსოფია ძალიან განვითარებული იყო, ტექნიკური მეცნიერება ძალიან განვითარებული იყო ინგლისში, საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანუ ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში. მაგრამ რა მოხდა შემდეგ. 33 წელში მოვიდა ჰიტლერი ხელისუფლებაში, შეიქმნა იქ ფაშისტური იდეოლოგია. ეს ფაშისტური იდეოლოგია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა კომუნისტურ იდეოლოგიას. ამ ხალხმა რომ დაამთავრა სასწავლებლები, ყველა წამოვიდა. მაგრამ რა გააკეთეს ფაშისტებმა. ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი, რომელიც იქ სწავლობდა, გადაიბირეს და თავის აგენტებად გახადეს. არ ვამბობ, რომ მთელი საბჭოთა კავშირი...

ნათელა ვაჩნაძე: ბევრი მსმენია მეც, ჩემს კოლეგებსაც, რომ ეროვნულ მოძრაობაში იყო ძალიან ბევრი ხალხი, რომელიც, არ ვიცი, ეს ინფორმატორები იყვნენ, თავისი ნებით მოდიოდნენ, იქაც მუშაობდნენ, აქაც მუშაობდნენ თუ ზოგი იყო შტატიანი თანამშრომელი და ზოგი არ იყო შტატიანი. ზოგი არც მალავდა ამას, ზოგი აღბათ მალავდა კიდეც. შეიძლებოდა თუ არა, ოფიციალური თანამშრომელი ყოფილიყო ეროვნული მოძრაობის წევრი და იყვნენ თუ არა საერთოდ ეროვნულ მოძრაობაში ისეთი ადამიანები, რომლებთანაც, და ბუნებრივიც არის, სახელწიფოს რაიმე არ გამორჩენოდა. თუ ეკლესიაში იყო, თუ უნივერსიტეტში იყო, თუ მედიცინის მუშაკებს შორის იყო, აქ იყო, იქ იყო, თუ ყველგან იყო, ეროვნულ მოძრაობაშიც უნდა ყოფილიყო.

ანზორ მაისურაძე: ქალბატონო ნათელა, სრული პასუხიმგებლობით გუბნებით, რომ საკმარისად იყო. მე მინდა გითხრათ მთელი პასუხისმგებლობით, რომ არ ყოფილა საქართველოში არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, რაც ჩვენმა სამსახურმა არ იცოდა და რაც ჩვენგან კიდევ არ მიდიოდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ყველა საჭირბოროტო საკითხზე, ყველაზე, ხაზს ვუსვამ, მიდიოდა სათანადო ანალიტიკური ცნობა ან წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სათანადო ამა თუ იმ საკითხზე რეაგირებისათვის. ჩვენ ყველა საქმეზე რეაგირების უფლება არ გვქონდა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უნდა გაეწია სათანადო რეაგირება, ან აქეთ უნდა მოეცა დავალება, როგორ უნდა გაგვეკეთებინა ესა თუ ის საქმე მათთან ერთად და არა ცალკე. არც ერთი კაცი ჩვენთან არ დაუჭრიათ, მეტი გამოსავალი რომ აღარ იყო, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე. არ არსებობდა ეგეთი რამე. არ იფიქროთ, რომ ერთი ნაბიჯი გადაედგა უშიშროებას...

ნათელა ვაჩნაძე: რომელ განყოფილებას ცეკაში?

ანზორ მაისურაძე: ცენტრალური კომიტეტის პირველ პირთან მიდიოდა ყველაფერი და არა სხვასთან. ის იყო როგორც კურატორი.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, როგორც ბატონი ალექსი იყო თქვენი კურატორი და თქვენ ვერავის სხვას ვერ მიმართავდით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომს...

ანზორ მაისურაძე: ისე უშიშროების პირადი კურატორი არის პირველი პირი ცენტრალური კომიტეტის ბინისა.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ არ აჭარბებდა ზოგჯერ ბატონი ალექსის უფლებები, მოვალეობები, ვთქვათ, როცა იყო ძალიან მაღალი პიროვნებების თავყრილობა. გაბედავდა ბატონი ალექსი, გადაეჭარბებინა ცეკას პირველი მდივნის უფლებებისთვის?

ანზორ მაისურაძე: არ არსებობს. ბატონი ალექსი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი იყო ის. აღალად გეტყვით, შინაგანად გაზრდილი იყო იმ პერიოდში, რა პე-

რომლიც დაემთხვა საბჭოთა კავშირის შექმნას და ჩამოყალიბებას, მონაწილე იყო მეორე მსოფლიო ომის და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამაზე უფრო უკეთესი წყობა არ არსებობს მსოფლიოში, რომ ეს არის ხალხის საბედნიეროდ შექმნილი წყობა. გადადებული იყო სოციალისტური სისტემის დასაცავად. ერთხელ თათბირი იყო და... მაშინ, იმ პერიოდში, დაზვერვის ხელმძღვანელი იყო რუსლანი ქვარცხავა და... დაზვერვას სასულიერო საკითხები ხომ არ ეხება, არა? ხოდა, როცა დაიწყო საუბარი და თქვა, რომ დაზვერვამაც უნდა მიიღოს ამაში მონაწილეობა. რუსლან ქვარცხავა ადგა და ჩვენ ეს არ გვეხებაო, უთხრა. ინაურმა შეხედა და: A на фиг нужна мне разведка, если советской власти не будет-ო.

ნათელა ვაჩნაძე: თუ შეიძლება ასეთი შეკითხვა დაგისვათ, თუ უტაქტობა არ იქნება ჩემი მხრიდან, იყო თუ არა რომელიმე პარტია, ოფიციალური პარტია, რომელიც არსებობდა საქართველოში, იყო თუ არა ის შექმნილი თქვენი უწყების მიერ ან თქვენი დაკვეთის შემსრულებელი.

ანზორ მაისურაძე: არც ერთი პარტია ჩვენი უწყების მიერ შექმნილი არ ყოფილა, ჩვენს დაკვეთას ის არ ასრულებდა. მე მინდა გითხრათ, რომ ერთადერთი მოძრაობა, რომელიც შეიქმნა, ... სულ პირველად შეიქმნა, რამდენადაც მე მახსოვს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ნებართვით და მათი ხელშეწყობით, ეს იყო სახალხო ფრონტი. რამდენადაც მე მახსოვს, ასე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ინფორმაცია ზღვა რომ მოდიოდა, ეჭვიც არ მეპარება, ყოველი თავყრილობის შემდგომ. ბოლოს და ბოლოს, რა ისეთი გასაიდუმლოებული იყო ეს თავყრილობები. მიტინგი იყო ქუჩაში, მიკროფონები ჰქონდათ, დიქტოფონები ჰქონდათ, ჩამწერი აპარატურა იყო, ვიდეოინფორმაცია გროვდებოდა. მე მაინტერესებს, როგორ დაუშვა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, რომელსაც, მე ვიცი, არავითარი დამოუკიდებლობა არ ჰქონდა და თავის ნებაზე არაფრის გაკეთების უფლება არ ჰქონდა, ეს იყო შემადგენელი სტრუქტურა საკავშირო უშიშროების სახელმწიფო სამსახურისა და ის იყო მისი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, როგორ მივიდა საქმე იქამდე, რომ შეიარაღებული სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება მოხდა საქართველოში. სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა როგორ მოახერხა ეს ამბავი, რომ არავითარი უშიშროება, ჩვენი, ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი შვილების, ჩვენი ახლობლების, ჩვენი სტუდენტების უშიშროება ვერ დაიცვა.

ანზორ მაისურაძე: მოგახსენებთ. როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, პარტიის წევრების უმრავლესობამ, 80 პროცენტმა საქართველოში, საქართველოში იყო 420 ათასი პარტიის წევრი.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი პარტიის?

ანზორ მაისურაძე: კომპარტიის წევრი. 80 პროცენტმა ხმა მისცა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს“. ამის შემდეგ ხდება ასეთი რამ. მე მეძახის ბატონი პრეზიდენტი და მეუბნება: რა გაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. მე ვუთხარი, ბატონო, პრეზიდენტო, – ასე მივმართავდი. ის ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, ვიცნობდი, უნივერსიტეტი და ბავშვობა — საქართველოში არის 420 ათასი პარტიის წევრი. ამ 420 ათასი პარტიის წევრიდან, ნალდი პარტიული განწყობით ვინც არის, შეიძლება იყოს 10 პროცენტი-თქო. არაო, მითხრა, უფრო ცოტაო. რამდენი-თქო. 3 პროცენტი თუ იქნებაო, მითხრა. აგაშენა ღმერთმა-თქო, მე ვუთხარი. ე. ი. გამოდის, რომ 400 ათასი პარტიის წევრია და არა იდეოლოგიურად... იძულებული იყო ეს ხალხი, პარტიის წევრი გამხდარიყო, იმიტომ, რომ თუ პარტიის წევრი არ იქნებოდი, ვერაფერს ვერ მიაღწევდი. ასე არ იყო? ასე იყო. ამიტომ, — მე ვუთხარი, — ამ 400 ათასი პარტიის წევრის განაწყენება, ჩამოშორება ქვეყნიდან და გაყრა ქვეყნის მმართველობიდან, ჯერ ძალიან ადრეა-თქო. იმიტომ, რომ ამ 400 ათასი კაცის უკან 1 კაცთან 10 კაცი მაინც დგას და გამოდის, რომ მთელი საქართველო გაანაწყენეთ და მერე ვეღარ მართავთ ამას-თქო. დამიჯერა და გამოვიდა სიტყვით, თუ გახსოვთ, ქალბატონო ნათელა, და თქვა, რომ ეს პარტიის წევრები რომ არიან და კარგი სპეცილისტები არიან, ესენი უნდა გამოვიყენოთ. ეს რომ თქვა შუადღეზე, საღამოთი ისევ სხვა საკითხზე გადავიდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს აქ ბატონი თენგიზის 20 თუ 21 შეკითხვაზე პასუხი და ერთ-ერთ შეკითხვა ასეთია: ბატონო თენგიზ, როგორ ფიქრობთ თქვენ, ბატონი პრეზიდენტი არის თუ არა მართალი იმ საქმეში, რომ მას ჰყავს ბობოლა, ბობოლა პარტიული მუშაკები, ყოფილი რაიკომის მდივნები, ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარეები, ყოფილი მინისტრები სახელმწიფო თანამდებობებზე დღესაც, როდესაც სახელმწიფოში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, ჩვენ გვეგონა, რომ ამ ხალხისაგან, ამ კასტისაგან, თუ შეიძლება ვიხმაროთ ეს ტერმინი, გავთავისუფლდებოდით, მოვიდოდნენ ეროვნული ძალები და უცბათ ჩვენ ვუყურებთ... აგერ მაქვს შემიძლია გიჩვენოთ, დასახელებულია ბატონი ბაკურ გულუა. ეს პრეზიდენტს წაუყენა ძალიან დიდ ნაკლად თავისი მუშაობის ბატონმა თენგიზ სიგუამ. როგორო, გულუასო სამი სამინისტრო გაუერთიანაო პრეზიდენტმაო — ჩამოთვლილია ის სამინისტროები, საკმაოდ სერიოზული სამინისტროები — და გულუა დააყენა იმის სათავეში. მე დავფიქრდი ამაზე. თუ ბატონ გულუას არ დააყენებდა — გულუა ერთი მაგალითია, იქ უამრავი მაგალითია ჩამოთვლილი — მაშ ვინ? გუშინ რომ ქუჩაში გამოდიოდა, მიტინგებს რომ ატარებდა, მიტინგების მონაწილე რომ იყო, არსად არ უმუშავია, თავის დღეში არაფერი არ გაუკეთებია, ერთი ოქმი არ დაუნერია, წერა არ შეუძლია, ორგანიზება არ შეუძლია, არაფერი არ შეუძლია, მაშ, ასეთი ხალხი ხომ არ იქნებოდა თავიდანვე. აი მე ეს ვერ გავიგე.

ანზორ მაისურაძე: ქალბატონო ნათელა, აბსოლუტურად გეთანხმებით მე. ბაკურ გულუას მე კარგად ვიცნობ.

ნათელა ვაჩინაძე: ისე არ გამოვიდეს, რომ ბაკურ გულუაზე ვსაუბრობდეთ, ერთი მაგალითია ეს.

ანზორ მაისურაძე: არა. მე ზუსტად არ მახსოვს, ბაკურ გულუა სად დანიშნა პრეზიდენტმა, მაგრამ ბაკურ გულია სადაც არ უნდა დაენიშნა, ის გაუძღვებოდა საქმეს ისე, როგორც მან იცის საქმის გაძლოლა. ამიტომ ვამბობდი, რომ უნდა ისეთი ხალხი აერჩია იმ პარტიის წევრებისაგან და არა ისეთი, იდეოლოგიურად გადამკვდარი ბოლშევიკური მენტალიტეტის რომ იყვნენ.

ნათელა ვაჩინაძე: ისინი არც არიან აქ დასახელებული.

ანზორ მაისურაძე: ისეთი ხალხისაგან, რომლებიც მას გვერდში დაუდგებოდნენ. აბა ის იყო კარგი, როდესაც აირჩიეს პარლამენტში უამრავი შესანიშნავი კომპარტიის წევრები და მერე გამოყარეს. ვინც კი იყო პარტიის წევრი და მათ მხარს უჭერდა ეროვნულ მოძრაობაში, გვერდში ედგა, ყველა გამოყარეს. იმიტომ, რომ ჩვენ ხომ ჩვენი ქვეყნის შვილები ვართ და ყველა, პარტიის წევრი იყო თუ არ იყო პარტიის წევრი, იმის მოლოდინში ვიყავით, რომ საქართველოს ელირსა თავისუფლება. მე რვა წელიწადი ვმუშაობდი საზღვარგარეთ, იორდანიაში, იქ ხომ ვმუშაობდი, საბჭოთა კავშირის დაზვერვის საქმეს ვაკეთებდი და რომ დავდიოდი ამ პატარა ქვეყანაში, რომელიც ყველა მსოფლიო ორგანიზაციის წევრი იყო, დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 100 სახელმწიფოსთან, სულ იმას ვფიქრობდი, თუ მელირსება მე, რომ ჩემი სამშობლო... და ხომ მოვიდა ეს დრო, რომ გველირსა და როგორ შეიძლება მე გვერდში არ დავუდგე და ამას ვუღალატო, როდესაც ისტორიულად მოდის ამაზე ოცნება, დავიღალეთ ამაზე ოცნებით, დღეს გველირსა ეს დღე, რომ ეს ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი და ამაზე დიდი ოცნება ჩემთვის არასოდეს არ ყოფილა და ვისაც უყვარს ეს ქვეყანა, ამაზე ფიქრობს. ამაზე თუ ფიქრობ, ხომ უნდა გამოიყენო ის, ვინც შენს ქვეყანას და ხალხს გამოადგება. ეხლარა ხდება. 89 წელია. მე დაზვერვიდან დამაბრუნეს იდეოლოგიური განყოფილების უფროსად. საშინელი წინააღმდეგი ვიყავი, 89 წელი, ხომ მოგეხსენებათ, საქართველოში რა ხდება. მე ხომ ვიცი, რა არის ეს საქართველოს ინტელიგენცია, მე ხომ ვარ საქმის კურსში. გინდა თუ არა, შენ უნდა დაბრუნდეო, მეუბნებიან. არ მინდა, არ მინდა, მე ხომ ვიცი, რაც ხდება. დავბრუნდი. დავბრუნდი და, როგორც ყოველთვის, ხომ უნდა ჩაიხედო საქმეში. ექვსი წელიწადი არ ვყოფილვარ და თავიდან იწყებ ამ საქმეს. ვხედავ, რომ საქართველოში იქმნება არაკანონიერი სამხედრო ფორმირება ბატონი ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით.

ნინო თომაძე: 89 წელს? 89 წელს ჯაბა არ იჯდა ციხეში?

ანზორ მაისურაძე: ეს სანამ ჩაჯდებოდა, მანამ ხდება ეს ამბები. და იარაღს როგორ იღებენ, იცით? პირდაპირ აყაჩალებენ მილიციას. თერთმეტ-ჯერ შევატყობინე მВД-ს, რომ იარაღით აქვთ გატენილი მანქანის საბარგული. გააჩერებდნენ და ეგრევე უშვებდნენ მაინც. შევედი ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, მე უნდა შევქმნა, ჩვენთან ასე ერქვა, დამუშავების საქმე. მე ამ სამსახურის უფროსი რომ ვარ დღეს, ხვალ დამიძახებს ქალბატონი ნათელა ვაჩნაძე იქნება თუ სხვა, და მკითხავს, შენ რომ აქ იყავი, გეძინა შენ? რას აკეთებდი? ან, მე ვუთხარი, მე გავაკეთებ ისე, როგორც ვფიქრობ, ან წავალ სამსახურიდან-თქო. და მომცეს უფლება. ჩავრთე მთელი სამსახურის შესაძლებლობები და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. საზღვარი არ ჰქონდა იმიტომ, რომ ეს არაკანონიერი სამხედრო ფორმირება იმართებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მინისტრთა კაბინეტიდან და პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო მაშინ მინისტრი, ბატონი შოთა?

ანზორ მაისურაძე: შოთა იყო, მგონი, გორგოძე თუ სხვა, აღარ მახსოვს. ჭითანავა იყო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე „მხედრიონი“ თხოულობს ფულით დახმარებას. ჩვენ ვუთხარით, არ მისცეთ, ეს არაკანონიერი ფორმირება არის, შეიარაღებული ფორმირება, როგორ შეიძლება ქვეყანაში შეიქმნას არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირება. ჭითანავამ არ მისცა და მგელაძე იყო მოადგილე, გურამ მგელაძე და იმან გამოუყო 3 მილიონი მანეთი.

ნათელა ვაჩნაძე: დიდი ფულია?

ანზორ მაისურაძე: დიდი ფულია, მაშინ დიდი ფული იყო 3 მილიონი. მე რომ ჩავიხედე, ვხედავ, რომ მართვადია ეს საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობს, მინისტრთა კაბინეტი ხელს უწყობს და პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქმის კურსშია. უშიშროება გარიყეს ამ საქმიდან. ე. ი. უშიშროების ეშინიათ, მაგრამ მე ვხედავ, რაც ხდება, მთელი ინფორმაცია მოდის ჩემთან. ამ დროს მიდის ეს მიტინგები და ვხედავ, უშიშროების მაღალჩინოსნები დავალებას აძლევენ ეროვნული მოძრაობის ამა თუ იმ ლიდერს, მოაწყვე მიტინგი და ამ კაცს გადაუარე. ესენიც აწყობდნენ მიტინგს და ამ კაცს გადაუვლიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ იყო ასეთი დიდი ინტერესი კონკრეტული პიროვნების მიმართ?

ანზორ მაისურაძე: ეხლა მეორეს ეუბნებიან, ჩაატარეთ მიტინგი, წადით და ამ კაცს კარები აუკეტეთ. გახსოვთ, კარებების აჭედვები რომ წავიდა. ესენი აქედან კარნახონებ. გურჯაანში აღმასკომის თავმჯდომარეს აუკეტეს კარები, სხვაგან რაიკომის მდივანი გამოაგდეს, ესენი ამათ დავალებას ასრულებდნენ. ტელეფონით ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, მე ხომ ვუსმენდი სულ.

ნათელა ვაჩნაძე: ესენი, ისინი, ესენი, ისინი, კარგად არ მესმის.

ანზორ მაისურაძე: მВД-დან დავალებას აძლევდნენ და ესენი მიღიოდნენ და აკეთებდნენ, ხომ გითხარით, რასაც. ვინ ხელმძღვანელობს ამას ყველაფერს და ვის უნდა, რომ მოხდეს ქვეყანაში გადატრიალება. შემდეგ რომ ველაპარაკე „მხედრიონის“ აქტიურ წევრებს, პირდაპირ გადიოდნენ ესენი შევარდანაძეზე. გასაგებია?

ნათელა ვაჩნაძე: ყველაფერი გასაგებია, დალაგდა ეხლა ყველაფერი ჩემს ტვინში. შეეძლო ბატონ შოთა გორგოძეს ყველაფერი თავისი ნებით... ყველაფერს როგორ გააკეთებდა.

ანზორ მაისურაძე: შოთა გორგოძემ დაწერა პატაკი და წავიდა, როდესაც დაინახა, რომ ასეთი სიტუაცია იყო. ძალიან კაცურად მოიქცა.

ნათელა ვაჩნაძე: ამ დროს იყო ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი.

ანზორ მაისურაძე: ხო, სანამ ცხრა აპრილის ამბები მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა ამიხსენით, თუ შეიძლება ამის ახსნა. რა ინტერესი იდო აქ ედუარდ შევარდნაძის? ედუარდ შევარდნაძე და გურამ მგელაძე, გურამ მგელაძე და ბატონი ჯაბა და უკანონო შეიარაღებული ფორმირება.

ანზორ მაისურაძე: უკანონო შეიარაღებული ფორმირება გამოიყებოდა ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ასაღებად.

ნათელა ვაჩნაძე: ვის უნდა აეღო ეს ძალაუფლება, შევარდნაძე ხომ ვერ აიღებდა, შევარდნაძე ხომ მოსკოვში იყო.

ანზორ მაისურაძე: ვინ აიღო მერე ხელისუფლება, როგორ გადააგდეს გამსახურდია?

ნინო თომაძე: სამხედრო საბჭო შეიქმნა.

ანზორ მაისურაძე: სანამ სამხედრო საბჭო შეიქმნებოდა, მანამდე ხომ დაიწყო სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, დაიწყო იმის გამო, რომ, ხომ გითხარით, როცა ამდენი ხალხი გაანაწყენა, ამდენი ხალხი აიმხედრა თავის წინააღმდეგ. ბაკურ გულუა გამონაკლისია, მაგრამ სხვები, ძალიან ბევრი, ვინც მიიყვანა ხელისუფლებაში ბატონმა ზვიადმა, ისინი იყვნენ სუფთად უვიცი ხალხი, რომლებიც ღლიტავდნენ ქვეყნის ქონებას, სახელმწიფოს ქონებას. ეს ის ხალხი იყო, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნება არ ჰქონდა. სახელმწიფოებრივი აზროვნების არმქონებალხი შეიძლება სახელმწიფოს მართვაში მოიყვანო. ისეთ რამეებს აკეთებდნენ... მე ბატონ თენგიზს ვეთანხმები ძალიან ბევრ საქმეში. იმ დროს, როდესაც ესენი მოვიდნენ, სახელმწიფო საბჭო რომ შეიქმნა, მე თენგიზთან დღეში სამჯერ მივდიოდი და ჩვენ ორივე გაოცებულები ვიყავით, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ისეთი ხალხი დასვეს, საიდანაც, ბანკებიდან, მეშოკებით გამოჰქონდათ ფული, თქვენი ფული, ჩემი ფული, ყველას ფული, ძარცვავდნენ ქვეყანას.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნული მოძრაობის შედეგად მიღებული ეროვნული ხელისუფლება და ეროვნული ხელისუფლების გზით მოსული ხალხი?

ანზორ მაისურაძე: მე ერთხელ ზვიად გამსახურდიამ დამიძახა და დამიდო სია ხალხისა, ესენი კტე-ს აგენტები არიან და კრემლისო. მომცა ეს სია და წავიკითხე. მე ვუთხარი, არ ხართ-მეტეი მართალი, არასწორი ინფორმაცია გაქვთ-მეტქი. ეგ შენი საქმე არ არისო. მე გამოვალ ტელევიზიონში, შენ ჩემს გვერდით იჯდებიო, ამათ დავასახელებ, როგორც კტე-ს და კრემლის აგენტებსო და შენო თანხმობა თქვიო. მე ვუთხარი, მე ამას არ ვიზამ-მეტქი, გამორიცხულია, მე რომ ესა ვთქვა-მეტქი. რატომო. იმიტომ, რომ არ არის ეგრე-თქო. არ არის და შენი სამსახური ამაზეა დამოკიდებულიო. მე ვუთხარი, აქედან გავდივარ და სახლში მივდივარ-მეტქი. არა, ერთ კვირა დროს მოგცემო. გავიდა ერთი კვირა და მირეკავს ტელეფონზე. მე შენ მატყუებ, მე შენ სამსახურიდან გაგაგდებ. არ წამსვლელის-თქო და დავუმატე ის, რასაც უმატებენ და დავდე ყურმილი. დავუძახე — მე მაშინ მინისტრის მოადგილე ვიყავი — ჩემს საკურატორო ??? და ვუთხარი, მე მივდივარ და თქვენც არაფერი შეგეშალოთ ისეთი, რომ შემდეგ თქვენს ხალხს თვალებში ველარ შეხედოთ-მეტქი. დავენერე პატაკი შვებულებაზე. ჩვენთან ესეთი წესი იყო, ჯერ შვებულებაში უნდა წასულიყავი და მერე აღარ დავბრუნდებოდი. და გავედი 2 დეკემბერს, 1991 წლის 2 დეკემბერს. 22 დეკემბერს რეები დაიწყო, ხომ მოგეხსენებათ.

ნათელა ვაჩნაძე: უშიშროების სახელმწიფო სამსახური რა პოზიციაზე იდგა მაშინ, როდესაც გროვდებოდა ფული, მე ვიცი ამის შესახებ. მე ვიცი ამის შესახებ, რომ იჯდა ერთი პირვენება, ეს ფუნქცია ევალა, იჯდა კინოს სახლში და ვის ექნებოდა ბევრი ფული 91 წელს...

ანზორ მაისურაძე: საკმაოდ ბევრს ჰქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: ყველა მოდიოდა, შევარდნაძის ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. თენევა ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ჩვენ ეს გვესმოდა, ჩვენ ამას ვკითხულობდით. ამ ჩრდილოვან ეკონომიკას ებრძოდა ბატონი ედუარდი, იჭერდა ხალხს, უშვებდა ზოგს სერბსკის კლინიკაში, ზოგს გადასახლებაში, მაგრამ იყო ხალხი მაინც, რომელმაც დააგროვა ეს ფული და ახლა ეს ფული, ეს ნაქურდალი ფული შემოვიდა მერე კინოს სახლში და გროვდებოდა რისთვის? იარაღის საყიდლად. რა თქმა უნდა, მძიმე ტექნიკის შესაძენად. ვისთვის უნდა ესროლათ ეს? ჩვენთვის ხომ, ხალხისთვის, აბა, ვისთვის.

ანზორ მაისურაძე: გადატრიალება აბა როგორ ხდებოდა. ეს ხომ გადატრიალება იყო.

ნათელა ვაჩნაძე: გადატრიალება უფულოდ ხომ არ მოხდებოდა. რამდენი ჯდება ეს გადატრიალება? ყველას, ვისაც არ ვეკითხები, ყველა ამბობს, ფულის ამბავი არ ვიციო. ფულის ამბავი ??? როგორ არ იცის.

ანზორ მაისურაძე: რამდენიც არ უნდა დახარჯო, გადატრიალებას ვერ მოაწყობ, თუ არ შეიქმნება ის სოციალური ფონი, რომელიც ხელს უწყობს ამ გადატრიალებს. ცნობილი სიტყვებია, როდესაც ზემოდან მართვა აღარ შეუძლიათ, ხოლო ქვემოთ ცხოვრება აღარ შეუძლიათ. ასეთი სიტუაცია როცა შეიქმნება, მაშინ ცოტა უნდა ხელის შეწყობა, რომ გადატრიალება მოხდეს. იგივე არ მოხდა ეხლა, როცა შევარდნაძე გაუშვეს და მოვიდა...

ნათელა ვაჩნაძე: არა, ეს ხომ არ იყო გადატრიალება.

ანზორ მაისურაძე: რევოლუცია ჩვენთან მოხდა, როდესაც გამსახურდია ავირჩიეთ პრეზიდენტად. ეს იყო ფორმაციის შეცვლა. რევოლუცია არის, როდესაც იცვლება პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაცია.

ნინო თომაძე: კი მაგრამ, გამსახურდია ჩვენ ხომ არჩევნების გზით ავირჩიეთ?

ანზორ მაისურაძე: ხო, მაგრამ ფორმაცია შევცვალეთ. არჩევნების გზით რა რევოლუცია არ ხდება? შევარდნაძე რომ მოვიდა ფორმაცია ხომ არ შეცვლილა. ე. ი. ცრუ გადატრიალება იყო, ხო? ან იმ ხალხის მოსვლა ხელისუფლებაში, რომელიც მოვიდა.

ნათელა ვაჩნაძე: ნამდვილი გადატრიალება იყო, იარაღით გადატრიალება იყო, მძიმე ტექნიკა, კრიმინალები.

ანზორ მაისურაძე: კი, ბატონი, გადატრიალება იყო, მაგრამ არა რევოლუცია. სახალხო რევოლუცია მოხდა, ხალხმა... არაფერი სახალხო რევოლუცია არ მომხდარა. ეხლა? ეხლაც ესე მოხდა, შეიცვალა ხელისუფლება და არა რევოლუცია, გინდ ვარდები თქვი და გინდ ნარინჯისფერი თქვი. მოხდა ხელისუფლების შეცვლა, გადაბარება, ხელისუფლებაში მოვიდა ის ხალხი, ვინც უნდოდა რომ მოსულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაშინ ხელისუფლებაში მოვიდა ის ხალხი, ვინც უნდოდა რომ მოსულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებს და რუსეთს. მაშინ იმათი აზრი ერთმანეთს დაემთხვა.

ნათელა ვაჩნაძე: ფული, ფული მაინტერესებს, ბატონი ანზორ, უნდა მითხრათ.

ანზორ მაისურაძე: მე არ ვიცი ფულის შესახებ, შვილებს ვფიცავარ, მართლა არ ვიცი. ფულს რომ აგროვებდნენ ვიცი... მაგრამ უკვე წამოვედი მე, გამიგეთ? იმ პერიოდში ხდება ამ ფულის მოგროვება, ... მართლაც დეკემბერში ხდება ესა. მე განა ჩემს პიროვნებაზე მაქვს აგებული, არა, შვილებს ვფიცავარ, მინდა სწორად გამიგოთ. ანზორ მაისურაძე რომ წამოვა უშიშროებიდან... მე წამოვედი იმის გამო... მე ყოველთვის ბატონ ზვიადს სწორ ინფორმაციას ვაძლევდი. ერთხელ თათბირზე ვზივარ მასთან და ვხედავ, სუყველა ატყუებს. თორმეტი კაცი იჯდა, თუ თხუთმეტი და სუყველა ატყუებდა. ცუდად გავხდი, იცით? რომ დამთავრდა თათბირი, მინდოდა დარჩენა და მეთქვა, სუყველა გატყუებს-თქო. მერე ვიფიქრე, არ დაიჯერებს ჩემს ნათქვამს-თქო და გამოვედი, აღარ ვუთხარი არაფერი. წამოვედი სახლ-

ში და დავჯექი. მე რომ სახლში დავჯექი, ამითი ეგ ხომ შესუსტდა. ერთხელ მოაწყო თათბირი და მთელი ხელმძღვანელობა შეგვკრიბა თავისთან. ბატონი ოთარი იყო ხატიაშვილი მაშინ ხელმძღვანელი და იმან პრეზიდენტს მოახსენა ჩვენი მოსაზრებანი, რაც იყო მოსახსენებელი. 30 კაცი ვზივართ, თუ 25, აღარ მახსოვს კარგად, და ის იჯდა კიდევ, კაკო ასათიანი. ადგა ზვიადი და იკითხა, ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი და არავინ ხმას არ იღებს. მე ავდექი, ბატონო ზვიად, მე მაქვს სათქმელი-თქო. რაო. მე ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო, ვინც აქ ვზივართ 25 კაცი და ძალიან ბევრი, ვინც აქ არ არის ჩვენი თანამშრომელი, მხარს უჭერს დღევანდელ ხელისუფლებას, თქვენ გიჭერთ მხარს-თქო. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ, ვინც აქ ვართ და ვინც აქ არ არის, უფრო მეტ პატივს ვცემთ გორბაჩივს და ლუკიანოვს, ვიდრე თქვენ და კაკო ასათიანსო. არაო, კაცო, მასე არ ვფიქრობო. თუ მასე არ ფიქრობთ ბატონო პრეზიდენტო, მოდით ჩვენთან სამსახურში, შეკრიბეთ ჩვენი ოფიცერთა კორპუსი და გამოაცხადეთ, რომ ეს ხალხი თქვენ გჭირდებათ და ჩვენც ყველა ერთგულად გემსახურებით. ხალხმა ხომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გჭირდებით-თქო. ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ ვართ სულთამბუთავები. კარგი, უეჭველად მოვალო. აღარ მოვიდა. ამის შემდეგ გადის ხანი და ვეკითხები კაკო ასათიანს – ბატონო კაკო, რატომ არ მოხვედით-თქო. იცით რა მითხრაო? რომ მივსულიყავი იქო, დამაბრალებდნენ, რომ ქვეთან ხარ შეკრულიო. კი, მაგრამ, კაკო ბატონო, ვინც ამას დააბრალებდა, იმას ხომ შავ დღეს დავაყენებდით-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენვე უპასუხებდით, ხომ?

ანზორ მაისურაძე: აბა რა, იმას ვინ დააბრალებდა. რას ჰქვია, შენ პრეზიდენტს აბრალებ. როგორც ადრე ცეკას პირველი კაცი იყო ჩვენი კურატორი, ახლა პრეზიდენტი უნდა იყოს ჩვენი კურატორი. პრეზიდენტმა უნდა მოინდომოს, რომ ჩვენ მასთან ვიყოთ და მას გვერდში დავუდგეთ. ჩვენ ვაწოდებთ მას ყოველდღიურ ინფორმაციას. თუ არ მოინდომებს, არ უნდა და, რომ არ უნდა, ე. ი. არ სჯერა იმას შენი. ის მოწყდა იმ რეალობას, რა რეალობითაც მას ინფორმაციები უნდა ჰქონდა, აბსოლუტურად გამართული, სწორი ინფორმაციები. რომ მოსულიყო ჩვენთან და რაც იყო, იყო, ჩვენ ქართველები ვართ ყველანი და...

ნათელა ვაჩნაძე: როგორ გააკეთებდით ამას, საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობს.

ანზორ მაისურაძე: ეგ იყო პრეზიდენტი.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტი იყო, მე მესმის...

ანზორ მაისურაძე: იარსებოს, რა მოხდა, საბჭოთა კავშირმა ჩვენ შეგვიწყვიტა დაფინანსება. გამსახურდიამ გვითხრა, მე მოგცემთო დაფინანსებას, ორჯერ გაგიზრდით დაფინანსებასო. მერე შეცვალეს ყველაფერი და დავრჩით ჰაერში ჩამოკიდებული. ამის შემდეგ რა მოხდა. ჩვენ რომ

შევუწყვიტეთ მოსკოვს ინფორმაციის მიწოდება, აქ საქართველოში, ამიერკავკასიაში არსებობდა ГРУ-ს განყოფილება. ჩვენი დაფინანსება იმას გადაურიცხეს, იმათ დაავალეს მთელი ინფორმაციის მიწოდება...

ნათელა ვაჩნაძე: იქ ვინ იყო ხელმძღვანელი?

ანზორ მაისურაძე: ივანენკო იყო, მგონი, აღარ მახსოვს, ჩვენ არ გვქონდა მაგათან კავშირი, არ ვენდობოდით. იმათ გაუზარდეს დაფინანსება, ჩვენი დაფინანსება. ეხლა წარმოიდგინეთ, რამხელა გვქონდა ჩვენ დაფინანსება და სუყველაფერი მაგათან მივიდა. იმათმა გაზარდეს თავიანთი შესაძლებლობები, გაზარდეს კადრები და დაინტეს მუშაობა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, მაგრამ ძირითადად საქართველოში, და დაინტეს იმ აქტიური ღონისძიებების გატარება, რომლებსაც ატარებდნენ — იარაღის მიწოდება რომ იყო შემდეგ გადატრიალებისათვის, ინფორმაციის მოგროვება და აგზავნიდნენ მოსკოვში. სხვათა შორის, ძალიან არარეალურ ინფორმაციას აძლევდნენ, გაზვიადებულ ინფორმაციას აგზავნიდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ГРУ იყო დაინტერესებული?

ანზორ მაისურაძე: ГРУ იყო დაინტერესებული. ეს ინფორმაცია რომ შევუწყვიტეთ ჩვენ მოსკოვს, რა ხდებოდა საქართველოში, იმიტომაც შეწყვიტეს ჩვენი დაფინანსება.

ნათელა ვაჩნაძე: ამ ГРУ-მ ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ ამბებში, რადგან სახელმწიფო უშიშროება მთელი საბჭოთა კავშირისა და, კერძოდ, რუსეთისა, დიდად დაინტერესებული იყო ამ გადატრიალებაში.

ანზორ მაისურაძე: კი, ეგრე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით, რომელი მხარე, დაახლოებით, რა ძალას ფლობდა, თქვენ ხომ იყავით მაშინ სამსახურში. ომი დაინტე 22 დეკემბერს, არ იყავით მაშინ, მაგრამ მანამდე, 2 დეკემბრამდე როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რამდენი პროცენტი იყო მოსახლეობის ეროვნული ხელისუფლების მხარეს და რამდენი იყო ოპოზიციაში.

ანზორ მაისურაძე: მე გითხარით, 400 ათასი პარტიის წევრი გაანაწყენა, 400 ათასი ცოტა ხომ არ არის. ეს იყო საქართველოს ის მეცნიერული ელიტა, ის განათლებული ხალხი, მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც იყო საქართველოს წამყვანი ძალა. გარდა ამისა, ის მუშა, ის გლეხი, ის ხელმძღვანელ თანამდებობზე რომლებიც იყვნენ და ქვეყნის მართვა იცოდნენ და, ასე თუ ისე, ქვეყანას იცნობდნენ და ქვეყანა მათზე იდგა, ისინი გაანაწყენა. მან ამით, რომ მთელი ეს კომუნისტური ელიტა, 400 ათასი კაცი, პარტიის წევრი გაანაწყენა, თავის თავს განაჩენი თვითონ გამოუტანა.

ნათელა ვაჩნაძე: რადგან ოფიციალურად ეს მოვლენა ასე არის შეფასებული, რომ ეს იყო სამხედრო-კრიმინალური გატარიალება, ამას უნდა დავუმატოთ ეს 400 ათასი განაწყენებული კომუნისტური პარტიის წევრები, სადაც შედის ყველა, ინტელიგენციის ყველა ფენა და 400 ათასი კაცი.

ანზორ მაისურაძე: მიმავალი გადაუწურა ამ ხალხს.

ნათელა ვაჩინაძე: მაშ, რა უნდა ვუწოდოთ ამას, სამხედრო-კრიმინალური და... და ეს ხალხი როგორ შევიყვანოთ, ეს მესამე. გამოდის, რომ ამათ უნდოდათ ბოლშევიკური რევანშის აღება?

ანზორ მაისურაძე: არა, არა, არა.

ნათელა ვაჩინაძე: ეს არ უნდოდათ?

ანზორ მაისურაძე: არა. ამათ იცით, რა უნდოდათ...

ნათელა ვაჩინაძე: კომპარტია.

ანზორ მაისურაძე: არა, ბატონი. მაგათ ის კი არ უნდოდათ, რომ კომპარტია აღდგენილიყო, სახელმწიფო ცხოვრებაში და მის მართვაში მონაწილეობის მიღება უნდოდათ.

ნათელა ვაჩინაძე: გასაგებია. ამიტომ აიღეს იარაღი ხელში, ამიტომ დაიღვარა სისხლი.

ანზორ მაისურაძე: ამიტომ კი არ აიღეს, ამიტომ დაუჭირეს მხარი იმათ, ვინც იარაღი აიღო ხელში.

ნათელა ვაჩინაძე: თვითონ მათ იარაღი არ ჰქონდათ?

ანზორ მაისურაძე: უმრავლესობას, არა.

ნათელა ვაჩინაძე: უმრავლესობას არა, მართალს ბრძანებთ. მაგრამ მე ვიცი რამდენიმე პროფესორი, თქვენც იცით ისინი, ჰქონდათ იარაღი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს თუ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ნუ დავასახელებთ, არ გვინდა, პატარა ერი ვართ, რა უნდა იმათ ხელში იარაღს.

ანზორ მაისურაძე: არ უნდა აეღოთ. ეხლა ერთ ისტორიას მოგიყვებით. მე სახლში ვზივარ, წამოსული ვარ და დაიწყო ეს უბედურება საქართველოში. მეძახიან, მოდი სამსახურში. რაზე მოვიდე-მეთქი. რაზე და სასტუმრო „თბილისში“ გადატრიალების მომხრეები ზიანი და ნინუას ეძახიანო. მერე წავიდეს-მეთქი. არა, შენ უნდა წახვიდეო. მერე მე ვუთხარი, მე რატომ უნდა წავიდე, მე წამოვედი ყველა სტრუქტურიდან-მეთქი. დაუძახეთ კოლეგიის წევრებს და თუ სუყველა იტყვის, რომ მე უნდა წავიდე, მაშინ წავალ-მეთქი. შემოიყვანეს 17 კაცი, კოლეგიის წევრები ვინც იყვნენ და მთხოვა ყველამ, რომ უნდა წახვიდეო. ჩავჯერი მანქანაში, გვერდში მომიჯდა ალასანია მამია და, ალარ მახსოვს, თამაზ აბულაძე იყო, მგონი. სამნი წავედით. სამხატვრო აკადემიასთან რომ მივედით მანქანით, გაგვაჩერეს, უკვე გადაკეტილი იყო გზები, გამჩხრიკეს, მე ვუთხარი, ესა და ესა ვარ-მეთქი. თქვენო „სტეჩკინი“ გექნებათო. კი-მეთქი, მაქს, მაგრამ აქ არა მაქს. სად მიდიხართ? აქ მივდივართ. მაშინ გაგაცილებთო და ჩავედით ოფიცერთა სახლი რომ არის იქ. ოფიცერთა სახლიდან სასტუმროში დაახლოებით წახევარი საათი ვერ გადავედი, ისეთი სროლები იყო. მერე გადავედი და შევედი იმათთან.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ დაგხვდათ იქ?

ანზორ მაისურაძე: ბატონი თენგიზი. მესამე სართულზე 303 ნომერში. თენგიზსაც ვიცნობ, თენგიზ კიტოვანსაც ვიცნობ, თამაზ დუმბაძესაც ვიცნობ, ჯემალ ჭუმბურიძესაც ვიცნობ, სუყველანი აქ არიან. გულუა იჯდა იქ. რატომ არ მოვიდა ნინუაო. მე ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი. აი მე მოვედი და რა გნებავთ-მეთქი. მხარი დაგვიჭირეთო, თქვენო, უშიშროებამ მხარი დაგვიჭირეთო. მე ვუთხარი, წამოსული ვარ და რა მოგახსენოთ. რომ მოვედი, 3 საათი იყო, სამი საათით დავრჩი იქა, იმ ოთახში. სროლა ხომ იციო. კი-მეთქი. აიღე იარაღი და ისროლეო. სად ვისროლო, თქვენ ავად ხომ არა ხართ-მეთქი. 6 საათზე წამოვედი იქიდან და იმ საუბარში, რაც მე და თენგიზ სიგუამ და სხვებმა ერთად ვისაუბრეთ, დავრწმუნდი, რომ ამ ხელისუფლების, ვინც იყო მაშინ სათავეში, საქმე დამთავრებული იყო.

ნათელა ვაჩნაძე: რიცხვი არ გახსოვთ, ვერ აღიდგენთ მაგ რიცხვს?

ანზორ მაისურაძე: არ მახსოვს, 28 დეკემბერი იყო, თუ არ ვცდები. ახალი წლის წინა დღეები იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან კარგად გახსოვთ.

ანზორ მაისურაძე: არ მახსოვს, შვილებს ვფიცავარ.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ მე გაგახსენებთ. რამდენიმე მთხრობელმა ასე თქვა, რომ ბედი გადაწყვეტილი იყო სახელმწიფოს სასარგებლოდ, ქართული სახელმწიფოს, ქართული ეროვნული სახელმწიფოს სასარგებლოდ. 28 დეკემბერმა გადაწყვიტა ბედი, როდესაც ოპოზიცია უკვე წამდვილად მარცხდებოდა, ხელისუფლება იგებდა წამდვილად, მაშინ გაიხსნა კარები და გამოუშვეს ბატონი ჯაბა იოსელიანი. და ამას მოჰყვა კრიმინალური სამყაროს გარეთ გამოშვება და ამ კრიმინალურმა სამყარომ, იმიტომაც ამბობენ კრიმინალური გადატრიალება, მოუტანა გამარჯვება ოპოზიციას.

ანზორ მაისურაძე: მე ვთხოვე, ვინც იყვნენ იქ, არ დაწვათ ჩვენი შენობა-მეთქი. ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ეს შენობა დაგჭირდებათ-მეთქი. დაინვა ჩვენი შენობა და ცეცხლი რომ წაეკიდა, ის იზოლატორი, სადაც ისინი ისხდნენ, ისიც იწვებოდა. და ძლივს გამოასწრეს, კარები გაულეს, ხომ არ დახოცავდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გაულო კარები?

ანზორ მაისურაძე: ვინც იყო ციხის უფროსი.

ნათელა ვაჩნაძე: არ იცით?

ანზორ მაისურაძე: როგორ არა. ტარიელ... გვარი დამავიწყდა. გაულეს კარი და გამოუშვეს ყველა, ვინც ციხეში იჯდა ჩვენთან. ვინ იჯდა ციხეში მაშინ. იოსელიანი იჯდა, ჭანტურია იჯდა, იჯდა გოგა ხაინდრავა. ესენი ჩვენ იზოლატორში იჯდნენ. ჩვენ არ დაგვიჭირია, მვდ-მ დაიჭირა ესენი გამსახურდიას მითითებით. და რომ იწვებოდა, პატიმრებს ხომ არ დაწვავდნენ შიგნით ცოცხლად, გაუშვეს.

ნათელა ვაჩნაძე: ტარიელი რა გვარი იყო ნეტავი?

ანზორ მაისურაძე: მომაგონდება ლაპარაკში, თუ არა და დავურეკავ და მეტყვიან. მერე ეს ტარიელი იმელის შენობაში იყო, იმელის შენობის უფროსად, ჯაბამ წაიყვანა, იოსელიანმა. ყურაშვილი იყო კიდევ...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ დაწვა თქვენი შენობა, რომელმა მხარემ?

ანზორ მაისურაძე: გაიგებ, ქალბატონო ნათელა? ვერ გაიგებ.

ნათელა ვაჩნაძე: იქითა მხარემ ალბათ. აქედან ნასროლი...

ანზორ მაისურაძე: სულ დაიწვა, ქალბატონო ნათელა. არ ვიცი საიდან ის-როლეს. ხოდა წამოვედი იქიდან და დავრწმუნდი იმაში, ... გახურებული ომი მიდის, ძლივს გამოვედი. აქეთ მხარეს აღარ გამოვსულვარ და ქვემოთ ჩავედი, ძნელაძის ქუჩაზე გავედი, იქ დავჯექი მანქანაში, წამოვედი. სამსახურში მივედი, ეს ამბავი მოვუყევი იქა. დავაჯინე ბიჭები და ვუთხარი, მე არ ვიცი, ვინ მოიგებს და ვინ არ მოიგებს, მაგრამ გუბნები თქვენ, რომ არ ისროლოთ, თქვენ არ ჩაერიოთ ამ ამბავში და წამოვედი სახლში. გადის ორი-სამი დღე, პირველი რიცხვია თუ ორი არ მახსოვს, კიდევ მირეკავენ, სასწრაფოდ იკრიბებიან ტელესტუდიაში და შენ უნდა მიხვიდეო. ვისაც ეძახიან, ის მივიდეს-მეთქი, თამაზ წინუა მივიდეს, მე წამოსული ვარ ბატონო-თქო. მოდი, მოდი, მოდი. მივედი. მე წამოვიყვანე სიმონ ნოზაძე და თამაზ აბულაძე. ერთი ჩემი თამაშე-მწე იყო, ნოზაძე და თამაზ აბულაძე შტაბის ოფიცერი. მივედით და ვხედავთ, მოვიდნენ ყველა ხუთ-ხუთი, ათ-ათი კაცის დაცვით და შეი-არაღებით. მრგვალი მაგიდა იყო ტელევიზიაში, თუ ხართ ნამყოფი მა-შინ ტელევიზიაში, მრგვალ მაგიდასთან დავჯექით. მე ვუთხარი, რაშია საქმე. ადგა ელდარ შენგელაია და იძახის: თქვენო, ქვეყნის და ხალხის მოღალატე ხართო. ხართ იმიტომო, რომ იარაღი გაქვთო, ამ იარაღს არ იღებთო და ჩვენთან ერთად არ ეომებით დღევანდელ ხელისუფლებასო. ათი წუთი ილაპარაკა. მიყურებს მე. რომ დაამთავრა ლაპარაკი, ავდექი. სუყველა აყაყანდნენ. მე ვუთხარი, ერთ წუთს გაჩერდით. ბატონო ელდარ, აქ ვინც ზიხართ, ყველას მოგმართავთ. მადლობელი უნდა იყოთ თქვენ, რომ ჩვენ არ ავიღეთ იარაღი და თქვენ არ გეს-ვრით, იმიტომ, რომ ჩვენ სახელმწიფო უშიშროება ვართ სახელმწიფო სტრუქტურა. ვალდებულები ვართ, რომ თქვენ გესროლოთ-მეთქი. ამას არ ვაკეთებთ და არც იმას გავაკეთებთ, რომ ხელისუფლებას ვეს-როლოთ. არ გავაკეთებთ იმიტომ, რომ ისეთი უშიშროების სამსახური, რომელიც საკუთარ ხალხს ხან აქეთ ესვრის, ხან იქით, ხვალ ალარა-ვის დაჭირდება-თქო, ვინც არ უნდა მოვიდეს, რა მნიშვნელობა აქვს ამას. დავჯექი. ხმა არავის არ ამოუღია, ქალბატონო ნათელა. ასე დამ-თავრდა ეს ამბავი და წამოვედი ჩემი ასეთი პოზიციით. როდესაც დამ-თავრდა ეს ყველაფერი, ვინც მოვიდნენ ხელისუფლებაში — სიგუა, კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი, მაგათ კი არ დავუნიშნივარ სახელმ-წიფო უშიშროების მინისტრად... ნიშნავდნენ გივი კვანტალიანს, უკვე

ბრძანება იყო დაწერილი გივი კვანტალიანის დანიშვნაზე. ჩვენებმა დაწერეს წერილი და გაუგზავნეს სამხედრო საბჭოს — შენახული მაქვს იმ წერილის კოპიო — თუ არ დანიშნავთ ანზორ მაისურაძეს, ჩვენ დავიშლებით და წავალთ სახლში. მიუტანეს ეს ტელესტუდიაში და ღამის 12 საათზე დამიპარეს, და ღამის 12 საათზე შეცვალეს ბრძანება გივი კვანტალიანის დანიშვნისა და მე დამნიშნეს საქართველოს უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად. მე რატომ დავთანხმდი ამას, ქალბატონო ნათელა. დავთანხმდი იმიტომ, რომ შემენარჩუნებინა ის კადრი, რომელიც ამ სამსახურში იყო. გადავედი შემდეგ, თუ გახსოვთ, ჩიტაძის ქუჩაზე იმ შენობაში, რომელიც სასტიკად დანგრეული იყო, მაგრამ დამწვარი არ იყო. დღეში სამჯერ-ოთხჯერ მოვდიოდი, სიგუა იყო მაშინ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, და იმ საჭირბოროტო ინფორმაციას ვაძლევდი, რაც ხელისუფლებას სჭირდებოდა საქართველოს გადასარჩენად და მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სწორად ჩამოყალიბებისათვის. მე მოწმე ვარ ძალიან ბევრი ისეთი ამბისა... შემდეგ ორჯერ ძალიან მაგარი დაპირისპირება მქონდა იმ ხალხთან, რომლებმაც იარაღი აიღო ხელში. მე რომ შევდიოდი სიგუასთან, გაფრთხილებული მყავდა, მე რომ მოვალ, დიდი დრო არა მაქვს, ერთი 15-20 წუთი უნდა დამითმო და ეს ხალხი, შენთან რომ არიან, გასული უნდა იყოს ყველა აქედან, რადგან ვერაფერს ვერ გეტყვი ისეთს. შევდიოდი გვერდითა კარებიდან, პირდაპირ ვალებდი და შევდიოდი და ყველას ვთხოვდი, რომ გასულიყო. ერთხელაც რომ შევედი მაგასთან, ვხედავ ზის ელდარ შენგელაია და ბუბა კიკაბიძე. ელდარ შენგელაია ისევ იმეორებს ამას, რაც მაშინ თქვა. თქვენ მოღალატეები ხართ, რომ არ ვიჭერთ ხალხს, ზვიადისტებს არ ვიჭერთ. და მაძლევს 25-კაციან სიას.

ნათელა ვაჩნაძე: გაქვთ ეგ სია?

ანზორ მაისურაძე: აღარა მაქვს. 25-კაციან სიას მაძლევს და — გადავუგდე უკან — მეუბნება, რომ ეს ხალხი უნდა დაიჭიროთ, თქვენ მოღალატეები ხართ, არ იჭერთო. მომეშალა ნერვები, დავარტყი მაგიდას ხელი და წამოვდექი. ვეუბნები, თქვენ, ბატონო ელდარ, არანაირი უფლება არა გაქვთ, ჩემს საქმეში ჩაერიოთ. მე ვუთხარი, არ ავიღებ კინოპარატს და ფილმს არ გადავიღებ, რადგან თქვენზე უკეთესად ვერ გადავიღებ-თქო. თქვენ კიდევ-მეთქი, ბუბა, არა გაქვთ უფლება, ამ საქმეში ცხვირი ჩაყოთ, იმიტომ, რომ მე არ გამოვალ სცენაზე და არ ვიმღერებო, თქვენ რომ მღერიხართ ისე, ვერ მივღერებ-თქო. ამიტომ მოცილდით აქედანო და თქვენ კი, ბატონო თენგიზ, თუ ამათ უჯერებთო, მე აქედანვე მივდივარ, — წამოვდეგი ზეზე — შევკრიბავ ჩემს ოფიცერთა კორპუსს და ვეტყვი, რომ თქვენ არ გჭირდებით და დავიშლებითო. წამოვედი. შუა გზაზე გამაჩერა, მიმატრიალა უკან. თენგიზ-თქო, მე ვუთხარი, გთხოვთ, ესენი გავიდნენ აქედან-თქო. გავყარე კაბინეტიდან. მერე ვუთხარი, თენგიზ, თქვენც ესე ფიქრობთ-თქო,

შინაურულად ვუთხარი. არაო. აბა მე რომ მალაპარაკებთ, თქვენ პრე-მიერ-მინისტრი ხართ, უთხარით, სისულელეს ნუ ბოდიალობენ-თქო. თქვენ როგორ ფიქრობთ, 25 კაცი უნდა დავიჭირო ახლა მე და მერე ტომები შევქმნა? რა პასუხი გავცე იგივე პროკურატურას, იგივე ხალხს. რას ჰქვია დაიჭირო, ეგრე სად არის-მეთქი. ასეთნაირად დამნიშნეს მე.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით, რა ინტერესი ჰქონდა ბატონ ელდარს, ბატონ ბუბას?

ანზორ მაისურაძე: დაპირისპირებული იყვნენ ამ ზვიადისტებთან.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ანზორ მაისურაძე: არ ვიცი, სიმართლე გითხრათ. მე ელდარისგან მიკვირდა ყველაზე მეტად, განსაკუთრებით ბუბასგან, რა შენი საქმეა ესა, მიხედე რა შენს საქმეს. ესენი თავიდანვე, ელდარი იყო გადამკვდარი შევარდნაძის მომხრე, მის ჩამოყვანაზე იყო გადამკვდარი, მაგიც და ჯაბა იოსელიანიც და ჩამოიყვანეს კიდეც. იქიდან მოდიოდა ეს ყველაფერი, იქიდან უბერავდა ნიავი, აბა საიდან. როგორც კი ჩამოიყვანეს შევარდნაძე, მისი ჩამოსვლის დღიდან, 7 მარტი იყო თუ 7 აპრილი...

ნინო თომაძე: 7 მარტი.

ანზორ მაისურაძე: ... მისი ჩამოსვლის დღიდან ერთხელ არ დაურეკია ჩემთვის და უთქვია, აბა რა ინფორმაცია გაქვს, მომიტანეო. მერე მე დამადანაშაულა, რომ ჩემთვის ერთი ფურცელი არ მოუტანია.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ ვინ თქვა?

ანზორ მაისურაძე: შევარდნაძემ. არც მიმიტანია და არც მივუტანდი, იმიტომ, რომ მე შევდიოდი მინისტრთა კაბინეტში და ჩემი პირდაპირი კურატორი იყო სიგუა. სიგუასთან მიდიოდა და სიგუას მიჰქონდა მაგასთან.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ გაგიფუჭდათ ურთიერთობა. რატომ?

ანზორ მაისურაძე: ამის გამო, რომ ამათთან გამიფუჭდა ურთიერთობა, ელდარ შენგელაიასთან გამიფუჭდა ურთიერთობა, კიდევ რამდენიმესთან. ისინი ჩადიოდნენ მოსკოვში, ამას ეუბნებოდნენ, წინასწარ განაწყვეს ჩემს წინააღმდეგ, და რომ ჩამოვიდა — მარტი, აპრილი და მაისის ორში დაშალა სამინისტრო და დანიშნა ირაკლი ბათიაშვილი და დაარქვა სამსახურს სადაზვერო-საინფორმაციო სამსახური, რომელმაც ხალხმა მერე სიყვარულით მაცნე დაარქვა. არ არსებობს ესეთი სამსახური, ქალბატონო ნათელა, არ არსებობს, ბუნებაში არ არსებობს, საინფორმაციო-სადაზვერო სამსახური, როგორც ესეთი სტრუქტურა, მთელ მსოფლიოში არ არსებობს. მერე ვინ მოიყვანეს ამ სამსახურში. ამ სამსახურში მოიყვანეს, პირველად გეუბნებით, — ყოფილი ნაციხერები, ნამღვდელარები, ნარკომანები, მოიყვანეს პიდარასტები, გაოცებაში მოხვიდოდით. აი ასეთი კონტიგენტი მოიყვანეს

და რა ხდებოდა იცით? კაბინეტებში ისროდნენ, კაბინეტებში წამლებს ხარშავდნენ.

ნინო თომაძე: ბათიაშვილი რას ეუბნებოდა მერე?

ანზორ მაისურაძე: თენგიზმა მითხრა, ერთი თვის მერე მოვიდა ჩემთანო და მითხრა, მე უნდა წავიდე ამ სამსახურიდან, მე ყურს არ მიგდებენო. ქალბატონო ნათელა, თქვენ ხომ თქვენი საქმის სპეციალისტი და პროფესიონალი ხართ, არა? ეხლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ არაფერი არ იცოდეთ ამ საქმეში და ამ ისტორიკოსების უფროსად რომ დაგნიშოთ. გამოგივათ რამე იმათთან? ხომ გაგამასხარავებენ, აბა რა იქნება. აი ესე გაამასხარავეს სუყველა, ვინც იქ მივიდა, მერე.

ნათელა ვაჩინაძე: ძალიან მაინტერესებს იარაღი.

ანზორ მაისურაძე: იყიდებოდა იარაღი, ყიდულობდნენ რუსეთიდან.

ნათელა ვაჩინაძე: რამდენი იყო ეს იარაღი?

ანზორ მაისურაძე: საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჰქონდათ ტყვია-წამალი, ესროლათ და უბედურება დაეტრიალებინათ ჩვენს ქვეყანაში.

ნათელა ვაჩინაძე: შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯლებთ, საკმარისი იყო. აბა იმ მხარეს საიდან ექნებოდა იარაღი.

ანზორ მაისურაძე: იმათაც აძლევდნენ, ტყვია-წამალი იქითაც ჰქონდათ. ჰოლიტიკა როგორი იყო – ცემ ხუჯე, თემ ლუშე – რაც უფრო ცუდი იქნებოდა ამათთვის, უფრო ადვილი იქნებოდა სამართავად. რაც უფრო ცუდად აირევა აქ სიტუაცია, სამართავი უფრო ადვილია. მე რვა წელიწადნახევარი ვიმუშავე ახლო აღმოსავლეთში, ძირითადად, იორდანიაში, შემდეგ ერაყში. მე ხომ სუფთა დიპლომატი ხომ არ ვიყვი, მე ვიყავი საბჭოთა კავშირის დაზვერვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი დიპლომატიური „კრიშით“. ჯერ ყველაზე დაბალი რანგის ატაშე ვიყავი, მერე გავხდი მესამე მდივანი, მერე გავხდი მეორე მდივანი და ბოლო პასპორტი ჩემი იყო „Советник МИД СССР“. იქ რომ ვიყავი, დავრწმუნდი ერთრამეში, რომ არც ამერიკის შეერთებულ შტატებს და არც საბჭოთა კავშირს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა არ უნდოდათ. და რატომ არ უნდოდათ? როცა მშვიდობა დამყარდება, როცა ხალხი კარგად ცხოვრობს, როდესაც ყველაფერი დალაგებულია, ვის რაში უნდა ან საბჭოთა კავშირი ან ამერიკის შეერთებული შტატები. როდესაც ომია, როდესაც არეულობაა, ყველა სახელმწიფო ცალ-ცალკე სთხოვს ამერიკას, მომეცი იარაღი, მომეცი ტყვია-წამალი, დამეხმარე. საბჭოთა კავშირს ცალკე სთხოვს, შენ მომეცი იარაღი, დამეხმარე, ფული მომეცი. სჭირდება, ეხვენება სულ, ის თავის პირობებს შენ გიყენებს, იძულებული ხარ შენ ამ პირობებს დათანხმდე.

ნათელა ვაჩინაძე: ის ყიდის იარაღს?

ანზორ მაისურაძე: აბა რას შვრება. 8 მილიარდი დოლარის ვალი ჰქონდა ერაყს რუსეთისა, ასევე უამრავი მილიარდის ვალი ჰქონდა სირიას

რუსეთისა, ეგვიპტეს რუსეთისა, ასე იყო. უამრავ იარაღს აძლევდა ამერიკის შეერთებული შტატები საუდის არაბეთს, კუვეიტს, ბაჰრეინს, ლივანს, ისრაელს. გადანაწილებული იყო ეს ყველაფერი. ამიტომ ასეთი დაძაბული სიტუაცია — ჩი მირა, ჩი ვიჩი — ორივე სახელმწიფოს აწყობდა. ის, რომ მაინდამანც ერთმანეთი ეხოცათ, არ აწყობდა ეს, მაგრამ დაძაბული სიტუაცია ამათი პოლიტიკა იყო და ეს პოლიტიკა დღესაც გრძელდება. 1975 წელია, უკვე 4 წელია იქა ვარ, ვატყობ, რომ ესეა. მოვხვდი, არ უნდათ ეს მშვიდობა, თორემ მშვიდობა რომ მოინდომონ, უცებ დამყარდება, უცებ. ეხლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რომ მოინდომოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა, უცებ დამყარდება, ხვალვე იქნება აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. არ უნდათ, არც ერთს უნდა და არც მეორეს. იქიდან მოდის ეს, იქიდან მაქვს მე გამოცდილება. იმიტომ ვთხოვდი მე ამათ, არ შეხვიდეთ აფხაზეთში, არ წახვიდეთ. არ შეხვიდეთ, იმიტომ, რომ, მე იმ ქვეყანაში რომ ვიყავი, ჩვენ სხვა ქვეყნებს ვუკეთებდით იმას, რასაც ეხლა ჩვენ გვიკეთებენ — ვაი შესვლას და ვუი იქიდან გამოსვლას-მეთქი. დამიჯერეს? არ დამიჯერეს. 1975 წელს მოვიდა ტელეგრამა მოსკოვიდან, ბრეუნევი უნდა ჩამოსულიყო და რას იტყვით, თქვენი აზრი გაგვაგებინეთო.

ნათელა ვაჩნაძე: სად უნდა ჩამოსულიყო?

ანზორ მაისურაძე: დამასკოში. ცირკულარული ტელეგრამა მოვიდა, ე. ი. მარტო ჩვენ კი არ გვეკითხებიან, თითქმის ყველა ქვეყნის საელჩოში მსხდომ რეზიდენტურას ეკითხებიან ამას. ვისაუბრეთ და გადავწყვით, რომ არ ლირს ამის ჩამოსვლა, იმიტომ, რომ გენმდივანი, პირველი კაცი რომ ჩამოდის, ამან აქ რაღაც უნდა გადაწყვიტოს და ვერაფერს ვერ გადაწყვიტავს, საკითხი არ გადაწყვიტება, საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს ავტორიტეტი დაეცემა და არ გვინდა ეს. ამიტომ იქვე ჩავნერეთ, რომ უკეთესი იქნება, ჩვენ სამშვიდობო ინიციატივას, რომლითაც საბჭოთა კავშირი გამოდის, გადავაბარებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და იმგენმა იმტვრიონ თავი. 75 წლიდან, თუ გახსოვთ, ჩვენ ასეთი ინიციატივით ახლო აღმოსავლეთში აღარ გამოვსულვართ. მერე დაინყო კემპ-დევიდსკი სიგადან და დღემდე ამერიკელები იყლავენ თავს და გამოსდით რამე? არ გამოსდით. იქ, ახლო აღმოსავლეთში, სადაც მილიარდობით დოლარი აქვს შენახული საუდის არაბეთს, კუვეიტს, ბაჰრეინს და სხვა ქვეყნებს, იგივე ერაყს, შენახული აქვთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ჩვენ რამდენი გვაქვს შენახული?

ნინო თომაძე: სადამი როგორი კაცი იყო, ბატონო ანზორ?

ანზორ მაისურაძე: სადამი იყო ის კაცი, რომელიც ყოველთვის დიდ სიმპათიებს იწვევდა ყველაში. არ იყო დესპოტი, როგორც ამბობენ. სადამი თავისი ქვეყნის პატრიოტი და თავისი ქვეყნის შვილი იყო. რა თქმა უნდა, ის ბაასისტური პარტია რომ არის იქ, კომპარტიისა არ იყო, პირ-

ველ წლებში რომ ხვრეტდა ყველას, ისე ხვრეტავდა ყველას. ეს არის წვრილბურუჟუაზიული პარტია, მოვაჭრეების, მაღაზიის მფლობელების პარტია. ესენი რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ვინც მაგათი მოწინააღმდეგე იყო, კომუნისტებივით ყველანი დახვრიტეს, გაანადგურეს, ციხეებში ჩაყარეს. რატომ დახვრიტეს ქურდები, ჩრდილოეთში რომ ცხოვრობდნენ, იმიტომ, რომ რამდენჯერაც გართულდებოდა სიტუაცია არაბულ სამყაროში და ისრაელს შორის, იმდენჯერ ერაყის არმია დაიძრებოდა ისრაელის წინააღმდეგ საომრად. ამ დროს ჩრდილოეთი ნაწილი ერაყისა აუჯანყდებოდა ერაყს. და როგორ აუჯანყდებოდა, თუ იცით? აქედან, ისრაელიდან, შედიოდა ფული ქურთებთან, მისცემდნენ რამდენიმე ათეულ მილიონს, ისინი დაიწყებდნენ საშინაო ომს ერაყთან და ერაყი იძულებული იყო, რომ ეს ჯარი მოეტრიალებინა, თავისი საშინაო საქმეები დაელაგებინა.

ნათელა ვაჩნაძე: აი, ეს მაინტერესებს, ფული, ფული. ხედავთ, რა კარგად იცით, იქ რა ხდებოდა.

ანზორ მაისურაძე: აქაც ესე მოდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი იყო?

ანზორ მაისურაძე: არ ვიცი, რამდენი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ვის ვკითხო?

ანზორ მაისურაძე: არავინ იცის ეგ. მე მახსოვს, რომ „მეშოკებით“ იდო ფული, გადამივლია და მიმირტყია ზედ ფეხი.

ნინო თომაძე: ვინ ანანილებდა?

ანზორ მაისურაძე: არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: სად გინახიათ ეგ? მე ესეთი კაცი არ მინახავს, ვისაც ფული უნახავს.

ანზორ მაისურაძე: მე მინახია.

ნათელა ვაჩნაძე: სად გინახავთ?

ანზორ მაისურაძე: არ მინდა მაგის თქმა. მაგრამ მინახია „მეშოკებით“, მაგრამ მაშინ არ ჰქონდა ფულს ისეთი ძალა. „მეშოკს“ ვერ ასწევდი, ისეთი მძიმე იყო, რამდენიმე „მეშოკი“.

ნათელა ვაჩნაძე: მოკლედ, ძნელი დასადგენია ფულის ამბავი, ძალიან ძნელი დასადგენია წყარო. აფინანსებდა თუ არა მოსკოვი საქართველოს, იყო თუ არა დაინტერესება მოსკოვის? რა თქმა უნდა, იქნებოდა.

ანზორ მაისურაძე: ისე დაინტერესება იყო, ფინანსური დახმარება იყო თუ არა, არ ვიცი. ვერაფერს ვერ ვიტყვი ამაზე, მე ამაზე არ მიმიწვდებოდა ამაზე ხელი. მაგრამ ფული რომ ეყარა, ვიცი. მაშინ სუყველგან ეყარა, უვარგისი ფული იყო. დოლარები არ მინახია, მანეთები.

ნათელა ვაჩნაძე: თუ ამერიკა დააფინანსებდა, დოლარს ჩამოიტანდა, რუსულ ფულს ხომ არ შემოიტანდა. რუსეთი აფინანსებდა, არ უნდა მაგას ლაპარაკი.

ანზორ მაისურაძე: ვერ გეტყვით, ვერა. არ დავმალავ, რატომ დავმალავ.

ნათელა ვაჩნაძე: იარაღის რაოდენობა როგორ შეიძლება განვსაზღვროთ?
ვინ არის მცოდნე იარაღისა. რამდენი იარაღი გაიყიდა, ΓРУ იყო, ეს
იყო, ის იყო, ვინც იყო. იარაღი იყო რუსული.

ანზორ მაისურაძე: ყველაზე კარგად ეს ეცოდინება თენგიზ სიგუას.

ნინო თომაძე: სიგუა თქვა, არაფერი არ ვიციო.

ანზორ მაისურაძე: თუ არ იცის, არ იცის. ე. ი. არ უნდა, რომ თქვას. მართლა
ეგრეა. მე მართლა არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩეხეთში ყიდულობდნენ თუ არა იარაღს?

ანზორ მაისურაძე: ყიდულობდნენ. ეს მერე ყიდულობდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: როდის მერე?

ანზორ მაისურაძე: როცა უკვე მოხდა ეს გადატრიალება.

ნათელა ვაჩნაძე: ნიკუშა კეკელიძე გაგიგონიათ?

ანზორ მაისურაძე: კი, ვიცნობდი, რომ აფეთქდა. მაგიც იღებდა მონაწილ-
ეობას, მაგრამ ეს უკვე ხდება მერე.

ნათელა ვაჩნაძე: მერე მე უკვე აღარ მაინტერესებს.

ანზორ მაისურაძე: მანამდე არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესებს მაშინ როგორ იყიდებოდა ეს იარაღი,
რამდენი ფული დაჯდა ეს იარაღი, მე მაინტერესებს მძიმე ტექნიკა.

ანზორ მაისურაძე: არ ვიცი, მაგრამ სად იყო მძიმე ტექნიკა, ვის ჰქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ, ეს გადატრიალება რომ დაიწყო მძიმე ტექნიკის
გარეშე მიმდინარეობდა ეს ყველაფერი?

ანზორ მაისურაძე: რა ტექნიკა იქ იყო. ერთი ძველი ზარბაზანი ჰქონდათ და
ერთი ბეტეერი გამოიყვანეს, თუ ორი და ეგ იყო და ეგა.

ნათელა ვაჩნაძე: ზუსტად გახსოვთ?

ანზორ მაისურაძე: როგორ არ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ბეტეერი მე მახსოვს.

ანზორ მაისურაძე: ერთი თუ ორი ბეტეერი იყო და ერთი დიდლულიანი
ზარბაზანი ეგდოთ.

ნათელა ვაჩნაძე: ჩიტაძის ქუჩაზე იყო ეს მძიმე ტექნიკა გამოყენებული?

ანზორ მაისურაძე: არ მახსოვს. მძიმე ტექნიკა ეგ არ არის. მძიმე ტექნიკა
არის საბრძოლო ტანკები, მძიმე ტექნიკა არის ჰაუბიცები, მძიმე ტე-
ქნიკა არის შორსმსროლელი რაკეტები — ესენი სად იყო, არ იყო არც
ერთი. ჰქონდათ ორი თუ სამი ბეტეერი და ერთი გრძელლულიანი
ზარბაზანი.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ბეტეერი მერე მე დავინახე, ბატონი მერაბი რომ ცხ-
ოვრობდა, ზემოთ, ვაჟა ადამიას ჰყავდა.

ანზორ მაისურაძე: ხო, ვაჟას ჰყავდა დაყენებული, ერთი ბეტეერი იქ იყო.

ნათელა ვაჩინაძე: ვაჟა ეხლა ციხეში ყოფილა.

ანზორ მაისურაძე: ხო, ციხეშია, ხულიგნობაზე დაიჭირეს.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონო ანზორ, მე მგონი, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს 2 სექტემბრის აქციას. 2 სექტემბერი, აბა გაიხსენეთ, კინოს სახლის წინ შეკრება, იქ ბატონმა გიას პარტიამ მოაწყო საინფორმაციო მიტინგი, ორშაბათი იყო.

ანზორ მაისურაძე: ეს იყო სუფთა პროვოკაციული მიტინგი. მაშინ ამერიკელები იყვნენ ჩამოსული, კრწანისში ჰქონდა მიღება პრეზიდენტს. თქვენ რომ იცოდეთ, მაგათი მიტინგის დარბევა ამერიკელებთან შეთანხმებით მოხდა. იმათ მოუყვა და უნდა დაარბიოთ, რას აკეთებენო ეგენი.

ნათელა ვაჩინაძე: როგორ?

ანზორ მაისურაძე: ამერიკელებთან შეთანხმებით. ჩამოსულები იყვნენ ამერიკელები და მიღება ჰქონდათ კრწანისში. გამსახურდიამ უთხრა, ესეთი მიტინგიაო და ესე იქცევიანო და შეგიძლიაო რაღაცნაირად... რჩევისათვის. აბა, რა უნდა ქნათო.

ნათელა ვაჩინაძე: გამსახურდიამ იცოდა, რომ ეს მიტინგი უნდა დაარბიონ?

ანზორ მაისურაძე: არ იცოდა, მაგრამ რომ ჰკითხა გამსახურდიამ, როგორ მოვიქცეო, ამერიკელებმა უთხრეს, შეგიძლია დაარბიოო. დაარბევა კი არა, დაშალოო.

ნათელა ვაჩინაძე: მიტინგი შეგიძლება დაშალო გაფრთხილებით, შეგიძლება დაშალო ცივი წყლის ჭავლით, შეგიძლია პოლიციით, მაგრამ სროლა?

ანზორ მაისურაძე: არა, არავითარ შემთხვევაში, აკრძალულია. ყველანაირი სროლა აკრძალულია, შენ ხალხს არ უნდა ესროლო.

ნათელა ვაჩინაძე: როგორ მოხდა ეს, რომ ისროლეს?

ანზორ მაისურაძე: პროვოკაცია მოაწყეს, ჩხუბი დაიწყეს, ვიღაცამ გაისროლა.

ნათელა ვაჩინაძე: ვინ?

ანზორ მაისურაძე: აქეთა მხარემ, მილიციელებს ესროლეს. იქიდანაც დასცხეს და დაშალეს. 2 სექტემბერს რაც მოხდა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს იყო სპეციალურად მოწყობილი მიტინგი, რომ აეგორებინათ ტალღა გამსახურდიას წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩინაძე: ვის შეეძლო გაეცა განკარგულება სროლის შესახებ?

ანზორ მაისურაძე: ძნელი სათქმელია. როცა ასეთი მიტინგი იწყება, როდესაც თავში ვიღაცა გირტყამს, იღებ იარაღს და ისვრი. პოლიცია ისვრის, თუ პოლიციას ჩაარტყამ, გაისვრის.

ნათელა ვაჩინაძე: აქვს ამის უფლება პოლიციას?

ანზორ მაისურაძე: აქვს. აბა ჰაერში აღარ ისროლოს?

ნათელა ვაჩნაძე: იქ, რომ დაიჭრა კაცი?

ანზორ მაისურაძე: ზოგი დაიჭრება ამ დროს, ეგრეა. თავში გირტყამენ, ადგები და ისვრი, ვიღაცას მოხვდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: მაქვს კიდევ ერთი ინფორმაცია. ორი სწაიპერი იყო სახურ-ავზეო და პროვოკაციული გასროლა იყო სწაიპერებისაგან.

ანზორ მაისურაძე: სიმართლე გითხრათ, ეგ არ ვიცი. ქართველები ხომ მაქ-სიმალისტები ვართ, ერთმანეთის დარევითა ვართ ავად. საშინელებე-ბი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ვის დავაბრალოთ ეს პირველი გასროლა?

ანზორ მაისურაძე: ვინც პროვოკაცია მოაწყო. სროლა — ეს უკვე შედეგია პროვოკაციის.

ნათელა ვაჩნაძე: პროვოკაცია რატომ მოაწყო?

ანზორ მაისურაძე: იმიტომ, რომ აეგორებინა ეს სიტუაცია გამსახურდიას წინააღმდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: გამოდის, რომ ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერია, ცხონებული ბატონი გია ჭანტურია, ქალბატონი ირინა სარიშვილი.

ანზორ მაისურაძე: კი, ეგრე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: იმათივე მხარე მეუბნება — მე რომ მოგიწყობ შენ პრო-ვოკაციას, ეს ჩემი საქმეა, მაგრამ შენ რომ ხელისუფლება ხარ და ამ სახელმწიფოს ბედი გაქვს ჩაბარებული, შენ არ უნდა წამოეგო ამ პრო-ვოკაციას.

ანზორ მაისურაძე: პროვოკაციის მოწყობა თავისთავად უკვე დანაშაულია. რატომ აწყობ ამ პროვოკაციას, რისი გულისთვის. ყველანაირი პრო-ვოკაცია ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ამ დროს სახელმწიფო სტრუქტურა ვალდებულია, დაშალოს ეს პროვოკაცია და დაიჭიროს სუყველა.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ არ ისროლოს.

ანზორ მაისურაძე: სროლით არა, მაგრამ უნდა დაშალოს და დაიჭიროს.

ნათელა ვაჩნაძე: სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღის აღება ხელში, ანდა პროვოკაციის მოწყობა ეს არის სახელმწიფო დანაშაული.

ანზორ მაისურაძე: სახელმწიფო დანაშაულია, რომელიც ისჯება.

ნათელა ვაჩნაძე: ორჯერ მოხდა ეს სახელმწიფო დანაშაული — 2 სექტემ-ბერს მოხდა დანაშაული და შემდეგ 22 დეკემბერს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. დაისაჯა მერე ვინმე? ხომ არავინ არ დაისაჯა.

ანზორ მაისურაძე: ისტორია დასჯის ალბათ.

ნათელა ვაჩნაძე: იმ დედებს რა უნდა ვუთხრათ, ვისი შვილების სისხლი დაიღვარა და უდანაშაულო ადამიანები მიწას მიაბარეს, ახალგაზრდა,

ჯანდონით სავსე ბიჭები. იმათ რა ვუთხრათ? გინდათ ერთი მხრიდან, გინდათ მეორე მხრიდან.

ანზორ მაისურაძე: ჩვენი ტრაგედიაც ეს არის, ამას მივტირთ მთელი ცხოვრება, რომ ესეთი რამეები საქართველოში ხდებოდა. ყოველთვის ხდებოდა, ეხლაც მოხდა. არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა სხვა-დასხვა მიზეზთა გამო, დიდი და პატარა მიზეზთა გამო.

ნათელა ვაჩნაძე: ყველაზე დიდი დანაშაული არის იარაღის ხელში აღება და სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. ასე მეჩვენება თეორიულად.

ანზორ მაისურაძე: თეორიულად და პრაქტიკულად ეგ ეგრეა, გეთანხმებით მე. როდესაც სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა არ აიღო იარაღი და არ ჩაება ამ სამოქალაქო ომში, ეს ჩემი პოზიცია იყო სწორი. გასაგებია?

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, მაგრამ, როცა ეს ყველაფერი მზადდებოდა, უშიშროების სამსახური მაშინ სად იყო?

ანზორ მაისურაძე: უშიშროების სამსახური, არ ბატონმა მოინდომა პრეზიდენტმა, რომ ჰყოლოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორც ზოგიერთი ადამიანი ამბობს, მაშინვე ყველა უნდა დაეჭირა.

ანზორ მაისურაძე: ვის?

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტს.

ანზორ მაისურაძე: უნდა დაეჭირა. უნდა დაეჭირა, მაგრამ, ვის უნდა შეესრულებინა ეს დაჭერა?

ნათელა ვაჩნაძე: შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ანზორ მაისურაძე: სწორს იძახის სიგუა, როდესაც ამბობს, ყველა განუდგა, ყველა ატყუებდა.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ყველა ატყუებდა, ამბობს ამას ბატონი სიგუა.

ანზორ მაისურაძე: მე მოწმე ვარ ამისა, რომ ყველა ატყუებდა.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ერთი რამ თქვა ბატონმა თენგიზმა — ყველა განუდგაო, მითხარით, რატომ განუდგა ყველაო? ყველამ უღალატაო, რატომ მოხდა, რომ ყველამ უღალატაო.

ანზორ მაისურაძე: როდესაც ანზორ მაისურაძეს გააგდებ სამსახურიდან და ჩემნაირებს გაყრი სამსახურიდან, სხვები ხომ ხედავენ — ანზორ მაისურაძეს რომ ეს გაუკეთა, მეც ამას გამიკეთებსო და იმიტომ უღალატეს. რაც იმან გააკეთა, სწორი იყო, დაშალა უშიშროება, ანზორ მაისურაძე გაუშვა, გააკეთა რაღაც საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური და ბათიაშვილი დანიშნა. მე რომ ვუთხარი, ბატონო ედუარდ, არ დაშალოთ უშიშროების სამსახური, მერე ვეღარ ააწყობთ-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქვენი ჭკუის დარიგება უნდოდა ბატონ ედუარდს, უშიშროების სამსახური და ყველაფერი მაგან იცოდა.

ანზორ მაისურაძე: რა იცოდა. მაგისთვის უშიშროების სამსახური, როგორც დრემუჩი ლეს ისე იყო. მე დავრწმუნდი ამაში, რომ არ იცოდა. უშიშროების სამსახური ესე ადვილი არ არის, რომ იცოდეს.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძემ არ იცოდა?

ანზორ მაისურაძე: არა. მაგი რომ **МВД**-ში მუშაობდა, მაგან იცოდა მილიციის სამსახური, რომელიც უსაზიზლრეს რაღაცებს ჩადიოდნენ. ერთხელ მან პარლამენტში თქვა — რომ მივიდა ბათიაშვილი და უთხრა, უნდა წავიდე სამსახურიდანო, ჩემთან სამსახურში ვიღაც გალახესო — არც ანზორ მაისურაძე და ხაბულიანი ასმევდნენ ფილტრით რძეს პატიმრებს, მაგრამ არც ერთს არ მოუთხოვია სამსახურიდან წასვლაო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ვინ თქვა?

ანზორ მაისურაძე: შევარდნაძემ თქვა, პარლამენტში თქვა. შენ რომ მოხვედი ჩემთან და მეუბნები, უნდა გადავდგეო, ესო დემოკრატიამ მოიტანაო, თორემ არც ანზორ მაისურაძე — უშიშროების მინისტრი და არც დილარ ხაბულიანი — შინაგან საქმეთა მინისტრი არ ასმევდნენ ფილტრით რძეს პატიმრებსო, მაგრამ მათ არ მოუთხოვიათ გადადგომაო. ერთმა ათმა კაცმა დამირეკა — რა უნდა შენგანო. მე ვუთხარი, რა ვიცი, გაგიუდა ეს კაცი-თქო. ავდექი და, აღარ დავურეკე მაგას, დავურეკე ირაკლი ანდრიაძეს. ბატონო ირაკლი, თქვენ ესწრებოდით ამ ლაპარაკს? კი, ვესწრებოდიო. მერე, ბატონო ირაკლი, არ გაგიჩნდათ აზრი, რომ რომელი პატიმარი მყავდა მე და ან დილარ ხაბულიანს, ან რა საერთო მაქვს მე დილარ ხაბულიანთან, ეს ერთი. მეორე — უფრო უპრიანი იქნებოდა მაგას რომ ეთქვა, რომ არც მე და არც ალექსი ინაური არ ვასმევდით ფილტრით რძეს პატიმრებსო. რასაც მაშინ ეგენი უკეთებდნენ პატიმრებს, შინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყო, მე და შენ ხომ კარგად ვიცით-თქო. ამას რატომ მეუბნები მეო. იმიტომ, რომ შენი მეგობარია და გადასცე, რომ ჩემი გვარის ულლებას თავი დაანებოს-თქო. და რას უკეთებდნენ პატიმრებს, თქვენ არ იცით?

ნათელა ვაჩნაძე: მე იმ უურნალიდან ყველაფერი ვიცი და სხვა მხრივ რა გითხრათ.

ანზორ მაისურაძე: „მოამბიდან“?

ნათელა ვაჩნაძე: ჰო.

ანზორ მაისურაძე: აბსოლუტური სიმართლე წერია იქ ყველაფერი, აბსოლუტური სიმართლე.

ნათელა ვაჩნაძე: მამათმავლობა და ყველაფერი.

ანზორ მაისურაძე: აბა რა. და ანზორ მაისურაძეს აბრალებს, რასაც თვითონ აკეთებდნენ. მზაკვარი. რა იცის, ქალბატონო ნათელა, მაგან, მაგან იცის მზაკვრობა. ის მზაკვრობა, რაც ჩაუდინა საქართველოს. ჩამოვი-

და, გადაატრიალა, შეაიაირალა, ფული გამოაყოფინა და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო ჩვენს ქვეყანაში. მოვიდა და დაჯდა თვითონ. ხალხს ეგონა, რომ აგვაშენებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონ თენგიზს არ უნდოდა შევარდნაძე.

ანზორ მაისურაძე: არ უნდოდა, თენეგიზს არ უნდოდა, არც კიტოვანს არ უნდოდა. მე ხომ ვიცი, რომ არ უნდოდა. მე დავწერე პატაკი და წამოვედი ყველა სტრუქტურებიდან და ვთქვი, ეგ დაღუპავს საქართველოს-თქო, არავინ არ დამიჯერა. ეგონათ, რომ მე განაწყენებული კაცის პოზიცია მაქვს. მაინცდამაინც ათი წელი უნდა გასულიყო, რომ გაეგოთ, რაც იყო. მე წამოვედი და სახლში დავჯერი 1993 წლიდან 1997 წლამდე მაგ დამპლის გულისთვის. როგორი საქმეა, ახალგაზრდა კაცი რომ მოხვალ... მე არავის არ მივუყვანივარ და არ დავუჯენივარ მინისტრად, არავის. მე ჩემით მივაღწიე ყველაფერს და ამან რა გამიკეთა — იძულებული გამხადა, წამოვსულიყავი. რის გამო, იმის გამო, რომ იმათ სიტყვებს უჯერებდა, უკაცრავად ამ სიტყვისათვის, ვინც „უძვრებოდა“, მე რომ ვუთხარი, არ ვერევი თქვენს საქმეში, თქვენც ნუ ერევით-თქო. ისინი დაახლოებული იყვნენ მაგასთან, ანზორ მაისურაძე რად უნდოდათ. ანზორ მაისურაძე, არასდროს, არც ინაურის დროს, არც შემდეგ, არავის გავლენის ქვეშ არ ყოფილა, მლიქვნელი არ ყოფილა. მე რომ მლიქვნელობა მნდომებოდა, ყველაზე ახლოს ვიქნებოდი შევარდნაძესთან, დამიჯერეთ.

ნათელა ვაჩნაძე: გენერლობა როდის მიიღეთ?

ანზორ მაისურაძე: 1992 წლის 7 მაისს.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ შევარდნაძემ წარგადგინათ?

ანზორ მაისურაძე: არა. 2 მაისს, როცა შევარდნაძემ დაშალა უშიშროება...

ნათელა ვაჩნაძე: და 7 მაისს თქვენ მოგცეს გენერლობა. ე. ი. მაგან წარგადგინათ?

ანზორ მაისურაძე: არა, მე გეტყვით, როგორ იყო. როდესაც გააუქმეს უშიშროების სამინისტრო — რომ ვუთხარი შევარდნაძეს, ნუ გააუქმებ, რომ ვთხოვე, ვეღარ ააწყობთ-თქო, ააწყვეს? დღესაც არ არის ააწყობილი — წამოვედი სახლში. დილის ათის ნახევარი იყო, სამსახურში რომ მივდიოდი, მანქანაში დამირეკეს, შევარდნაძე გეძახისო. მივედი, უნდა დავშალოთო. ნუ დაშლით, ამ სამსახურს მერე ვეღარ ააწყობთ-მეთქი. ეს სამსახური არ არის ის სამსახური, რომ ესე უბრალოდ შეიძლებოდეს დაშლა და მერე ააწყობა.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი სამსახურია ისეთი, რომ დაშლი და მერე ააწყობ. ისტორიის ფრონტს ააწყობ? რამდენი წელი, რამდენი ათეული გჭირდება, რომ ადამიანი მოამნიფო, ენები ასწავლო, წყაროებზე ამუშავო.

ანზორ მაისურაძე: ჩვენთან ეგრე არ იყო? ადამიანმა ჯერ უმაღლესი უნდა დაამთავროს. მერე უნდა დაამთავროს სპეცსამსახურის უმაღლესი

კურსები. ზოგმა ხუთწლიანი დაამთავრა, ზოგმა სამწლიანი, ზოგმა ორწლიანი, ორ-ორი ენა რომ იცის და დამოცდილება რომ აქვს მუშაობისა, სად იშოვის ესეთ ხალხს. 90 პროცენტი ქართველი მუშაობდა. ეხლა დაიჭირეს 20 კაცი, საგადასახადოში თუ საბაჟოში. დაურეკეს და უთხრეს, მწვანე შუქიაო, ფული რამდენიც გინდათ იმდენი აიღეთო, ისევ ძველებურად იმუშავეთო — უფროსმა დაურეკა. ამ ბიჭებმაც ფული მოაგროვეს, 150 ათასი თვითონ ჩაიდეს, 250 ათასი ამათთვის ჰქონდათ გამზადებული და მერე მივიღნენ და დაიჭირეს. რა არის ეს? პროვოკაცია არ არის? ეს იგივე არ არის, თქვენ ეხლა ნარკოტიკი რომ ჩაგიდოთ ჯიბეში. ასეთი მუშაობა შეიძლება?

ნათელა ვაჩნაძე: ნარკოტიკები თუ იყო ამ გადატრიალების მომენტში გამოყენებული?

ანზორ მაისურაძე: სუყველა ნარკოტიკს არ ენეოდა და არ იყენებდა? საერთოდ მთელ არმიას ჰქონდა თავისი მორფის მარაგი. ომი რომ დაიწყოს და ადამიანს ფეხი რომ მოწყდეს, გაუკეთონ. 14-ე არმია რომ იყო ახალ-ციხეში და ეს არმია რომ დაიშალა და წავიდა საქართველოდან, იმისი ნარჩენები გადმოგვცეს ჩვენ, საქართველოს მისცეს — ტანკები, ბეტეერები, დანჯლრეულები. იმიტომ შევიდნენ ესენი მერე აფხაზეთში ამის იმედით.

ნათელა ვაჩნაძე: თუ დანჯლრეული იყო, თქვენ იცოდით და იმათ არ იცოდნენ?

ანზორ მაისურაძე: არ შეხვიდეთ-მეთქი, ვეხვენებოდი. ვერ გაუძლო ამ ტანკ-მა, ერთი კილომეტრი რომ გაიარა, დაიშალა.

ნათელა ვაჩნაძე: იგივე ტანკები და იგივე ბეტეერები იყო თბილისში შემოყვანილი თუ არა?

ანზორ მაისურაძე: არა, ეს მერე ხდება და ერთი ვაგონი მორფი აფხაზეთში წავიდა და ამათთანაც წამოვიდა და სუყველა „იჩხირავდა“.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. იმათი იყო ნარკოტიკები, იმ სამხედროების?

ანზორ მაისურაძე: დიახ. მე ეჭვია არ მეპარება, რომ სპეციალურად მისცეს ეს ყველაფერი. შეეძლოთ, გაენადგურებინათ.

ნათელა ვაჩნაძე: როდის გაიყვანეს 14-ე არმია?

ანზორ მაისურაძე: 14-ე არმია გავიდა, სანამ აფხაზეთში შევიდოდნენ, ცოტა ხნით ადრე.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თბილისის მოვლენებთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს.

ანზორ მაისურაძე: არა. თბილისის ამბებთან ძირითადად 3AKBO იყო დაკავშირებული.

ნათელა ვაჩნაძე: 3AKBO-ს ამბები, მასალები, წყაროები არის საინტერესო, სად არის? ამბობენ, რომ თქვენი არქივიც არ არის საქართველოში, ბატონო ანზორ.

ანზორ მაისურაძე: კი. დაგვიძახეს ხელმძღვანელობას და გვითხრეს, არქივი უნდა გავიტანოთ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ დაგვიძახათ?

ანზორ მაისურაძე: ჩვენმა ხელმძღვანელობამ. ინაურის პირველი მოადგილე იყო ვაიციცაი, ედუარდ პავლოვიჩი. დაგვიძახა და გვითხრა, ეს-ეთი ამბები ხდებაო, კარვები გახსნეს ჩვენი სამსახურის წინ და ალყა შემოარტყეს ჭანტურიამ და სხვებმა. გავიტანოთ, საფრთხეშია ეს არქივებიო. მე სასტიკი წინააღმდეგი გამოვედი და ვუთხარი, არქივი აქედან ფეხს ვერ გაადგამს, ვერ გაიტანთ, იმიტომ, რომ ეს არის საქართველოს ისტორია. მე ხომ ისტორიკოსი ვარ და იქ ისეთი რამეები იყო — ზღვა მასალა იმის, რომ შედგენილიყო ისტორია, მეოცე საუკუნეში რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში. მე წინააღმდეგი წავედი, კიდევ რამდენიმე კაცი წინააღმდეგი წავიდა. კარგიო და დავიშალეთ. არ გასულა ერთი კვირა, მე შევებულებით მეუღლესთან წავედი ქობულეთში. სანატორიუმის დირექტორი მირეკავს, ჩამოდიო. ღლონტი იყო, მახსოვს. ეხლა დამირეკესო, რომ დაარბიესო უშიშროების სამსახური. მეორე თუ მესამე დღეა. ავიღე, ჩავალაგე მანქანაში ყველაფერი და წამოვედი აქეთ. ჩამოვედი, რას ვხედავ — სამსახური ალყაშემორტყყმული. დაურბევიათ. გამსახურდია შესულა, ქალი, კაცი. სადაც შეალწიეს, სეიფები, დაურბევიათ ყველაფერი. ამის შემდეგ ეს ვაიციცაი კიდევ გვიყრის თავს. რას იტყვით, გავიტანოთ თუ არ გავიტანოთო. ხმას ვეღარ იღებ, რომ თქვა, არ გაიტანო, იმიტომ, რომ ამ მასალების რია-რია და ფრიალ-ფრიალი არ შეიძლება. მერე მე ვეღარაფერი ვთქვი და წამოვედი. მერე ოთხ დღეში დადეს ორმოცი ტონა „რუსლანი“ რომ არის დიდი თვითმფრინავი იმაში ღამე ისე, რომ მე არ ვიცოდი და ბევრმა არ იცოდა, დატვირთეს და გაიტანეს სმოლენსკში.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს კარგია თუ ცუდია საქართველოსთვის?

ანზორ მაისურაძე: ცუდია.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ანზორ მაისურაძე: იმიტომ, რომ არქივი საქართველოდან არ უნდა გასულიყო. არქივი არქივია. არქივი ის არის, რომ შენ რაღაც შეგიძლია თქვა, როგორ იყო, რანაირად იყო. არა გაქვს ხელის მოსაკიდებელი არაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ შეგიშვებს იმ არქივში.

ანზორ მაისურაძე: როგორ არ შეგიშვებს.

ნათელა ვაჩნაძე: იმ არქივში? სმოლენსკში?

ანზორ მაისურაძე: სმოლენსკში არა, აქ რაცა აქვთ დარჩენილი, რაც გადარჩა.

ნათელა ვაჩნაძე: რა გადარჩა?

ანზორ მაისურაძე: გადარჩა. რაც გადარჩა, მე მოვუყარე თავი, ჩავდე „მე-შოკებში“ და მივუტანე, ზურაბ მახარაძე იყო სახელმწიფო არქივის დირექტორი. ცალკე ოთახი გამოიყო იქ, დაიბეჭდა და დავდე იქ. არა მარტო ის, არამედ ჩიტაძის ქუჩაზე რომ გადავედით, იქაც პარტიული არქივი სულ გამოტანილი იყო და კორიდორებში ეყარა. ისიც ჩავდეთ „მეშოკებში“, დავლუქეთ, მივიტანეთ იქ და დავდეთ. ეხლა იქიდან წამოუღიათ, უშიშროების არქივში დაუდვიათ და დაუხარისხებიათ.

ნათელა ვაჩნაძე: სად არის ეხლა?

ანზორ მაისურაძე: - არ ვიცი, რომელ შენობაშია ეხლა არ ვიცი. ის რაც გადარჩა, ცოტა არ იყო, საკმაო მასალა იყო. 92 წლის მასალები იქ არ იქნება. ხოლო რაც იყო 92 წლის მასალები, ის იყო სეიფებში და ეს სეიფები სულ დაიწვა.

ნათელა ვაჩნაძე: ამ გადატრიალების მასალას ვერსად ვეღარ მივაგნებთ, ეტყობა.

ანზორ მაისურაძე: გადატრიალების მასალა არ ვიცი სად იქნება. ერთხელ დამიძახა ზვიად გამსახურდიამ, ხშირად ვიყავი მასთან. მეუბნება, ჩემი საქმე სად არისო? მე ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი საქმე 30 ტომი სმოლენსკში წაღებული-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: უკვე წაღებული იყო?

ანზორ მაისურაძე: აბა. მანამდე არ იყო ეს ამბავი? როდის დაარბიეს უშიშროება? სანამ ზვიადი მოვიდოდა. სმოლენსკში წაიღეს-თქო. მერეო? თუ რამე გვინდოდა, სმოლენსკში ვაგზავნიდით კაცს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს კაცი იყო უშიშროების თანამშრომელი.

ანზორ მაისურაძე: კი, ჩემი თანამშრომელი. მირეკავს ერთი ჩემი თანამშრომელი იქიდან და მეუბნება, რა ვუყო ამ საქმესო. ყველაზე კარგი იქნება, თუ ამ ოცდაათივე ტომს მოკიდებ ხელს და გუბერნოიდის ქარხანა მოძებნე და დაწვი იქ-თქო. მერეო? მერე უთხარი, რომ ანზორ მაისურაძემ მიბრძანა, რომ ეს გამეცეთებინა. მე ავიღებ ჩემს თავზე, რომ უნდა დაწვა. მერე მეკითხება პრეზიდენტი: რა უყავიო. მე ვუთხარი, დავწვი-თქო. სად დაწვიო? სმოლენსკში-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მისცემდა ამას დასაწვავად.

ანზორ მაისურაძე: კი, გვქონდა ამის უფლება ჩვენ, მაშინ გვქონდა. მერე აიღო ეს ჩემმათანამშრომელმა და მეორე დღეს დაწვიო მითხრა. ძალიან კარგი გიქნია-მეთქი. ამას ვუყვები გამსახურდიას, დავწვით-თქო. რატომო. ბატონო პრეზიდენტო, ოცდაათ ტომში, როგორ ფიქრობთ, სულ დადებითი დახასიათება იყო თქვენი-თქო? ალბათ არაო. ხოდა, მე არ მინდოდა, რომ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს ენახათ, რა ენერა იქ თქვენს შესახებ და დავწვი-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მისი პირადი საქმე არ არსებობს?

ანზორ მაისურაძე: გამოძიების საქმე არსებობს და დამუშავების არ არსე-

ბობს. იქ იყო ყველაფერი — სად დაუმცხიკებია, ვისთან რა უთქვია, რა ულაპარაკია, ვისთან რა დროს იყო, ვინ უყვარდა, ვინ არ უყვარდა, რომელ ქალბატონთან ჰქონდა ურთოერთობა. არ უნდა დამეწვა? სხვა გამოსავალი არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იცნობდით იმ საქმეს.

ანზორ მაისურაძე: როგორ არა, როგორ არ ვიცნობდი. ... როგორ მოვიქცეთო, შემეკითხა პრეზიდენტი, რა ვქნათ ასეთ სიტუაციაში. მე ვუთხარი, ყველაზე კარგი იქნება, თუ თქვენ შერიგების ინიციატივით გამოხვალთ. ესეთი შერიგების საინიციატივო შეხვედრა მოხდა სოფელ ალდგომიანთკარში, სადაც მე ვიყავი, გვენცაძე იყო, ნინუა იყო ჩვენი მხრიდან. კიდევ ვიღაც იყო, აღარ მახსოვს, ოთხი კაცი იყო. იქიდან იყვნენ კიტოვანი, დუმბაძე, ერთი-ორი კაცი კიდევ.

ნათელა ვაჩნაძე: მხოლოდ სამხედროები?

ანზორ მაისურაძე: ეს მანამდე ხდება, სანამ გადატრიალება და ომი დაიწყებოდა, სადღაც სექტემბერში თუ ოქტომბერში. ეგენი სამხედროები ხომ არ იყვნენ. კიტოვანი მხატვარია, მერე გახადეს სამხედროებად. მე არ მიმაჩნია ეგენი სამხედროებად. წავედით და შევხვდით. ერთი MPU-ს ??? დირექტორი იყო...

ნათელა ვაჩნაძე: MPU რა არის?

ანზორ მაისურაძე: მანქანებს რომ არეგისტრირებენ და აფორმებენ, იმის დირექტორი იყო მცხეთის რაიონის, იორდანიშვილი, იმის ბინაში ალდგომიანთკარში შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. მე ვიცნობდი ამათ. ვიჯექით, ყავას ვსვამდით, ვსაუბრობდით, საჭმელი შევჭამეთ, სამი საათი ვისაუბრეთ. შევრიგდეთ-თქო, შევრიგდეთ, ხალხი არა ხართო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ვისი დავალებით მოქმედებდით?

ანზორ მაისურაძე: პრეზიდენტის.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტმა გამოგიძახათ, ბატონო ანზორ, თუ თქვენი ინიციატივა იყო?

ანზორ მაისურაძე: პრეზიდენტს რომ ვუთხარი, ესეთი სიტუაციაა-თქო, თქვა, რომ წადით და დაელაპარაკეთო. მე ზუსტად არ ვიცოდი, როდის უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნინუა მითხრა წავიდეთო და მეც წავყევი.

ნათელა ვაჩნაძე: ნინუა მინისტრი იყო.

ანზორ მაისურაძე: მინისტრი იყო, მე მოადგილე ვიყავი მისი. სამსაათიანი საუბარი იყო. ამ სამსაათიანი საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ ეგენი არავითარ შერიგებაზე არ წამოვიდოდნენ. გამოგვაცილეს და წამოვედით ხელჩაქნეულები.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. რაღაცა მცდელობა ოფიციალურ ხელისუფლება ჰქონდა. ეგ არის მთავარი.

ანზორ მაისურაძე: კი, როგორ არა. რაღაცნაირი კაცი იყო, კაცისმკვლელი და სისხლისმსმელი კაცი არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონმა თენგიზმა თქვა, რომ მე არ ვეთანხმებიო განსაზღვრებას, რომ ის იყო დიქტატორი.

ანზორ მაისურაძე: გამსახურდია? არა, რა დიქტატორი. ბუნებით არ იყო ეგეთი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენთან დიქტატურა არ ყოფილაო. თქვენ დიქტატორულ ქვეყნებში ყოფილხართ...

ანზორ მაისურაძე: აბრალებენ, თორემ არაფერი დიქტატურა არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: იქაც არ იყო?

ანზორ მაისურაძე: არა. ის თავისი პარტიის ლიდერი იყო და თავისი პარტიის პოლიტიკას ატარებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი თენგიზი ეხლა იხრება იქითკენ, რომ... იხრება კი არა, უკვე მთლიანად გადახრილია იქითკენ, რომ ეს კი არ იყო დიქტატორი, ეს იყო ერთპიროვნული მმართველი, თვითონ წყვეტდა ყველაფერს.

ანზორ მაისურაძე: ნეტავ, ეგრე ყოფილიყო რა. საქმეც იმაშია, რომ დიდი გავლენის ქვეშ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: არავის არაფერს არ ეკითხებოდა, ამას არ ბრძანებს ბატონი სიგუა. მე წავიკითხე მისი ინტერვიუ გაზეთ „ასავალ-დასავალში“, სადაც ბატონი თენგიზი ბრძანებს, რომ ის იყო ქალების ზეგავლენის ქვეშ, სამი ქალი მართავდა სახელმწიფოს.

ანზორ მაისურაძე: არა მარტო ეგენი. კიდევ იყვნენ ვილაც-ვილაცები, რომლებიც მასზე მოქმედებდნენ და მასზე გავლენა ჰქონდათ. აბა როგორ შეიძლება დილით ერთი თქვა, შუადღისას მეორე, საღამოთი მესამე, საწინააღმდეგო სულ. მე ძალიან არ მინდა... ქალი უნდა ჩაერიოს საქმეში, მაგრამ სახელმწიფო საქმეში, პრეზიდენტთან, როცა არაფერი არა ხარ, იჯდივენკა რომ ხარ, იჯდივეთკა რატომ უნდა ჩაერიოს.

ნათელა ვაჩნაძე: მანანა ძოძუაშვილი იჯდივენკა არ იყო, მინისტრი იყო.

ანზორ მაისურაძე: მერე დანიშნეს, მაგრამ ცოლი ხომ იჯდივენკა იყო, ლელა ხომ იჯდივენკა იყო. აბა რა იყო? ერთხელ, მე მახსოვს, ჩვენთან სავაჭრო წარმომადგენლობა რომ იყო, საზღვარგარეთ ხდება ეს, იმისი ხელმძღვანელი გამოიძახეს მოსკოვში. ამ დროს დაინყო ომი, 73 წლის ომი ისრაელსა და არაბულ სამყაროს შორის, გამოცხადდა საომარი მოქმედება, ქალაქი ჩაბნელდა. ამ ქალმა, წარმომადგენლის ცოლმა, დაინყო ბრძანებულების გაცემა სავაჭრო წარმომადგენლობაში. დაიბარა ჩვენმა ელჩმა და უთხრა — Мадам, кто вы такая, что вы командуйте там парадом. Запомните, что вы иждивенка, не больше. მეტი არაფერი არა ხარო, ვინ გკითხავს შენ სახელმწიფო საქმეებში ჩარევას.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ, ლენინი ხომ ამბობდა: Каждая кухарка может править государством.

ანზორ მაისურაძე: Конечно, не может. Магаша синьореад саქმე. ნეტავ ერთ-პიროვნულად გადაეწყვიტა საქმეები, გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი თენგიზი ჩვენთან საუბარში ბრძანებდა, რომ ერთ-პიროვნული მმართველობა იყო, მისი ნებასურვილი იყო ყოველმხრივ გატარებული სახელმწიფოში და ახლა ინტერვიუში თქვა, რომ ქალებზე იყო დამოკიდებულიო და არ უსმენდა იმათ გარდა არავისო. ვეღარ გავიგე.

ანზორ მაისურაძე: ქალების გარდა კიდევ ბევრს უსმენდა, რომლებიც ატყუ-ებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თქვა ბატონმა თენგიზმა, რომ ატყუებდნენ.

ანზორ მაისურაძე: ატყუებდნენ, ძალიან მაგრად ატყუებდნენ. მე 93 წელს დავწერე პატაკი და წამოვედი სტრუქტურებიდან. რატომ წამოვედი იცით? არ მინდოდა მონაწილეობა მიმედო იმ საშინაო უბედურ საქმეებში, რა უბედური საქმეებიც წამოიწყეს — სამეგრელოში რომ წავიდნენ და დასცხეს იქ ხალხს, სოხუმში რომ წავიდნენ და საშინელებები ჩაიდინეს, მე ამის მონაწილე არ მინდოდა ვყოფილიყვავი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იყავით მინისტრი, როდესაც იხვრიტებოდა მიტინგები თბილისში. არ იყავით მაშინ მინისტრი?

ანზორ მაისურაძე: მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. მე ეს ყველაფერი გადაღებული მიდევს.

ნათელა ვაჩნაძე: სად არის ეს კასეტა? სმოლენსკშია წაღებული?

ანზორ მაისურაძე: ჩემი თანამშრომლები ვალდებულები არიან გააკეთონ ის, რაც უნდა გააკეთონ. ამიტომ როგორც კი ეს დახვრეტები დაიწყო, სადაც კი მოასწრეს, ყველგან ვიდეოთი გადაიღეს, მომიტანეს მე.

ანზორ მაისურაძე: შანიძე ხომ არ იყო თქვენი თანამშრომელი?

ანზორ მაისურაძე: ჯონი?

ნათელა ვაჩნაძე: არა, ჯონი ვიცი ვინც არის. ზურაბ შანიძე, ოპერატორი.

ანზორ მაისურაძე: არა. ჩვენთან არის ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილება და იმან გადაიღო.

ნათელა ვაჩნაძე: რომელი მიტინგებია? 2 თებერვლის?

ანზორ მაისურაძე: 2 თებერვლის, დიახ. იქ ვეღარ გადაიღეს, სადგურთან და მარჯანიშვილთან. მომიტანეს მე ეს კასეტა და რომ ვნახე, ავუტანე თენგიზ სიგუას, ჩავრთე და ვაჩვენე. ცუდად გახდა. რას გავს ეს-მეთქი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გასცა განკარგულება? როგორ უნდა გავიგოთ?

ანზორ მაისურაძე: განკარგულება არავინ არ გასცა. ვინ გასცემდა განკარგულებას. ისროლა ვიღაცამ და დახოცეს ორი, სამი კაცი. ჩანს ეს ტელევიზორში.

ნათელა ვაჩნაძე: ტელევიზია ამას ასეთი დიდი მონდომებითა და სიხარულით არავის არ მისცემს არც სანახავად, არც გადასაბეჭდად, არც წიგნში მოსათავსებლად.

ანზორ მაისურაძე: ჩემთან არ არის, ქალბატონო ნათელა, მე სამსახურს ჩავაძარე, ჩვენთან ეგეთი წესია. მაგრამ მე ხომ ეს ჩემი თვალით ვნახე ეს რაც იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ თქვენს სამსახურს ჩააპარეთ?

ანზორ მაისურაძე: დიახ.

ნათელა ვაჩნაძე: მერე განადგურებული იქნება?

ანზორ მაისურაძე: არ ვიცი ეხლა როგორ არის. მე ხომ წამოვედი.

ნათელა ვაჩნაძე: ზვიადისტურ ფრთას აქვს გადაღებული.

ანზორ მაისურაძე: შეიძლება. ჩვენმა სამსახურმა გადაიღო, რომ იცოდეთ, 9 აპრილის დარბევა, გადაიღო თავიდან ბოლომდე. რასაც ტელევიზორში აჩვენებენ, ჩვენი გადაღებულია. რატომ გადაიღო ეს, თუ იცით? იმიტომ, რომ ჩვენი სამსახური ვალდებულია, ესეთი რაღაცეები გააკეთოს. ჩვენ კეთილსინდისიერად ვაკეთებდით ყველაფერ იმას, რისი გაკეთების უფლებაც გვქონდა. მათ შორის ესეც.

ნათელა ვაჩნაძე: მერე ბატონი თენგიზის რეაქციას მოჰყვა რამე? მე რამდენადაც ვიცი, 2 თებერვლის მერეც იყო მიტინგების დარბევა და დახვრეტა ხალხის.

ანზორ მაისურაძე: დახვრეტა აღარ იყო. მერე ძალიან მკაცრი რამ იყო, რას ჰქვია, ხვრეტავთ ხალხს, ეგრე ხომ არ არის. მერე მოვიდნენ იქ, მინისტრთა კაბინეტი სადაც არის, ცეკა-ს შენობა რომ იყო და დიდი მიტინგი მოაწყვეს. და მე ვუთხარი, არ ისროლოთ. და მერე იქიდან, თუ გახსოვთ, ჭავლებს რომ უშვებდნენ წყლის. ამის შემდეგ მოხდა წყლის ჭავლებით დაშლა.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ ძალიან მნიშვნელოვანია. სამეგრელოს დარბევა რომ იყო, მაშინ თქვენ სად იყავით?

ანზორ მაისურაძე: აღარ ვიყავი მე, წამოსული ვიყავი.

ნათელა ვაჩნაძე: რა ურთიერთობა გქონდათ ჯაბა იოსელიანთან? გქონდათ რამე პირადული?

ანზორ მაისურაძე: ჯაბას მე ვიცნობდი. მე ერთხელ ჯაბა იოსელიანს მივუტანე ერთი საქმე. შენ ჯაბა იოსელიანი ხარ, კიტოვანი ხარ, პეტრე ხარ თუ პავლე ხარ, გარემოებისდა გამო მეორე კაცი ხარ სახელმწიფოში და მე, ანზორ მაისურაძე, ვალდებული ვარ მოგახსენო შენ ის, რა შენ უნდა მოგახსენო. მოვიდა ჩემთან ინფორმაცია, თუ გახსოვთ, რუსთავიდან რომ მოიტაცეს 50 კილოგრამი პლატინა, რომ ეს გააკეთა „მხედრიონმა“. მაგი არის მხედრიონის უფროსი და მივუტანე და დავუდეორი კვირა კითხულობდა, 15 ფურცელს რად უნდოდა ორი კვირის

წაკითხვა. მერე უკმაყოფილო იყო, როგორ გაიგო უშიშროებამ, ვინ გააკეთა.

ნათელა ვაჩნაძე: კმაყოფილი უნდა ყოფილიყო?

ანზორ მაისურაძე: მე ვუთხარი, ბატონო ჯაბა, როგორ შეიძლება-მეთქი. რაც არ უნდა კარგი პროფესორი იყოს და მეცნიერი იყოს, მაგისი ქმედებები ჩემთვის არის აბსოლუტურად მიუღებელი. არ შეიძლება სახელმწიფოში ქურდული წესები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანო.

ნათელა ვაჩნაძე: კიტოვანზე რას იტყოდით. თქვენი დამოკიდებულება კიტოვანის მიმართ.

ანზორ მაისურაძე: კიტოვანის მიმართ ჩემი დამოკიდებულება იყო, როგორც ბავშვობიდან გავიცანი, ერთი კარგი, გემრიელი სამეცნიერო, კარგი ბიჭი. ერთმანეთის სიმპათიები გვქონდა რუსთაველიდან. მერე ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. კიტოვანი რომ ათი წელი იჯდა ციხეში... ასტამურ აშბა ხომ გახსოვთ. დეიდაშვილი იყო კიტოვანის. დაიჭირეს ეს ასტამურ აშბა და სანამ დაიჭერდნენ, დაიმალა. თენგიზმა ხომ იცოდა სად დაიმალა და თენგიზი წავიდა... და მიხვდნენ და თენგიზი აიყვანეს მეთვალყურეობის ქვეშ. თენგიზი წავიდა მანქანით რუსთავის გზაზე, ენახა თავისი დეიდაშვილი, იქ იყო დამალული.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, ასტამურის დედა ძალიან გააფრთხებით ებრძოდა თავისი შვილის მკვლელს და ამბობდა: სანამ მე არ გამოვიკვლევ, ვინ არის ჩემი შვილის მკვლელი და სანამ მე იმას მკვდარს არ ვნახავ, მე ამ ქვეყნიდან არ წავალ.

ანზორ მაისურაძე: დახვრიტეს. ხოდა, წავიდა იმის სანახავად. მანქანით რომ მიდიოდა, მეთვალყურეობის ქვეშ იყო და ორი მანქანა მიჰყებოდა. ამან მოუმატა სიჩქარეს, იფიქრა, ამათ დავემალებიო. ჩვენი მანქანები „ვოლგები“ კი იყო, ძველი „ვოლგები“, მაგრამ შიგნით მატორი „ჩაიკის“ ედგა. რას გაასწრებდი. და რომ მოუმატა სიჩქარეს, გზაში გაიტანა ორი კაცი და დაიჭირეს. დაიჭირეს და ამის გამო მიუსაჯეს 10 წელი ციხე, იმიტომ იჯდა ციხეში.

ალეკო მიქაბერიძე

2007 წლის 3 ივნისი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ალეკო, თუ შეიძლება დასაწყისში ცოტა რამ თქვენ შესახებ გვიამბეთ, რომ მკითხევლისათვის ნათელი იყოს, ვისთან გვექნება ინტერვიუ. ბევრი გიცნობთ ალბათ, ქალაქელი, თბილისელი კაცი ბრძანდებით, პოლიციის სისტემა იმხელა არის და ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ბევრი ადამიანი ალბათ გიცნობთ, მაგრამ ყველასათვის რომ ცნობადი სახე იყოთ, გვიამბეთ სად სწავლობდით, რა პროფესიის ბრძანდებით, როგორ მოხვდით და რომელი წლიდან ხართ პოლიციაში, როდესაც მოვიდა ეროვნული ხელისუფლება თქვენ დახვდით აქ, მერე მობრძანდით თუ ეროვნულ მოძრაობაში იყავით.

ალეკო მიქაბერიძე: მაშინ გამიკეთეთ ინფორმირება, რასთან დაკავშირებით გინდათ ეს ჩემი ავტობიოგრაფია, სად რა კოჭი გამიგორებია, ეს ყველაფერი რომ გაინტერესებთ, ხა, ხა, ხა.

ნათელა ვაჩნაძე: კი ბატონო, ჩვენ მოვიგეთ გრანტი და ვაკეთებთ ორტო-მიან ნაშრომს. ერთი ტომი იქნება წყაროები, ანუ ბაზა, რომელსაც დაემყარება მერე ჩვენი გამოკვლევა. პირველ რიგში ჩვენ ვკრებთ წყაროებს. ეს არის უცხოური პრესა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვაქვს ევროპული პრესა სხვადასხვა ენებზე, გვაქვს რუსეთის ფედერაციის პრესა, მოკავშირე რესპუბლიკების პრესა, იმ პერიოდის, რომელიც ჩვენ გვჭირდება, ეს არის 1991 წელი. შეპირისპირებითი ანალიზისათვის შედარებითი მეთოდის გამოყენებისას ჩვენ გვჭირდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, განსაკუთრებით გვჭირდება რუსეთის ფედერაცია, რუსული პრესა, როგორც ოფიციალური...

ალეკო მიქაბერიძე: მიზანი?

ნათელა ვაჩნაძე: უნდა გამოვაქვეყნოთ. წიგნს ეწოდება „დამარცხებული საქართველო“...

ნინო თომაძე: 1991-1992 წლების მოვლენები და აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანი, ვინც დაახლოებული იყო ამ მოვლენებთან, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა, ვინც თვითმხილველი იყო, ყველა ადამიანი გვაინტერესებს და თქვენც მათ შორის, რა თქმა უნდა. აქედან გამომდინარე, გვაინტერესებს თქვენი ბიოგრაფია.

ალეკო მიქაბერიძე: ამ მოვლენებთან ჩემს ბიოგრაფიას არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას, მაგრამ, ისევ აღვნიშნავ, რომ ბიოგრაფიას ამ მოვლენებთან არავი-

თარი კავშირი არა აქვს, რადგან ირიბი კავშირი მაინც უნდა ჰქონეს ყველა ადამიანის ბიოგრაფიას, საიდან მოდის, სად მიდის და სად დგას. ხა, ხა, ხა.

დავიბადე თბილისში 1950 წლის 18 დეკემბერს. მამაჩემი რკინიგზაში მუშაობდა, დედა დიასახლისი იყო, შემდეგ მუშაობდა ლომონათის ქარხანაში ტექნოლოგად. ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, ვიზრდებოდი, დავამთავრე თბილისის 29-ე საშუალო სკოლა, შემდეგ ჩავაბარე და სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, დავამთავრე 1975 წელს. შემდეგ დავიწყე შრომითი საქმიანობა რკინიგზის სისტემაში, რა თქმა უნდა, არაპროფილით, ისტორიკოსი ვიყავი, მაგრამ მაინც. შემდეგ ვმუშაობდი გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს სისტემაში და 80 წლიდან დავიწყე მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ოპერმუშაკად, შემდეგ უფროსი ოპერმუშაკი, შემდეგ ქვეგანყოფილების უფროსი, მერე განყოფილების უფროსი, შემდეგ ქალაქ თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი, შემდეგ ვიყავი ვაკის რაიონში მილიციის უფროსის მოადგილე, ვიყავი ვაკის რაიონის პირველი განყოფილების, ანუ საბურთალოს მილიციის უფროსი და ამ დროს, ასე ვთქვათ, მოგვისწრო ეროვნულმა მოძრაობამ, როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში ეროვნული ძალები, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ამ პერიოდს დაემთხვა სამაჩაბლოში, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პრობლემები, რომელიც ავტონომიის გაუქმებასთან დაკავშირებით იყო და შეიქმნა იქ კონფლიქტური სიტუაცია და ჩვენი პოლიციის ძალები, თქვენ იცით, შევიდნენ იქ წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ ეს გადაიზარდა კონფლიქტში შემდეგ და ჩვენ მოგვიწია კარგა ხნით იქ დარჩენა. მე ვიყავი სამაჩაბლოში ცხინვალის კომენდანტის მოადგილე.

ნათელა ვაჩნაძე: კომენდანტი ვინ უყო?

ალეკო მიქაბერიძე: მოგახსენებთ. კომენდანტი ჯერ იყო გენერალი კვანტალიანი გივი, შემდეგში გენერალი ეპიტაშვილი თენგიზი, მე ვიყავი მათი მოადგილე ოპერატიულ ნაწილში. ვიყავი თითქმის იანვრიდან მაისამდე ცხინვალში. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვასრულებდით იმ ფუნქციას, რაც დავალებული გვქონდა, დაკისრებული გვქონდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობისაგან, პრეზიდენტისაგან, რამდენად შევასრულეთ, ეს მეორე საკითხია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ძალ-ღონე არ დაგვიკლია. იქიდან წამოსვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა ეს სიტუაცია, კონფლიქტი, აღარ საჭიროებდა ასეთ ფორმატს, გადმომიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსად. შემდეგ იქიდან ივნისის თვეში გადამიყვანეს მთაწმინდის რაიონის მილიციის უფროსად ქალაქ თბილისის. იქ ვიყავი დაახლოებით

ორი თვე და დამნიშნეს ქალაქ თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად. ამ დროს მომისწრო მოვლენება, რომელიც თქვენ ჩვენთან დაკავშირებით გაინტერესებთ და რომელსაც ე. წ. 2 სექტემბრის ამ-ბავი ჰქვია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ეტყობა დიდი გამოცდილება გაქვთ ამ თემასთან დაკავშირებით...

ალეკო მიქაბერიძე: ისე კარგად ვყვები? ხა, ხა, ხა

ნათელა ვაჩნაძე: როგორც რესპოდენტი ალბათ ბევრ ადამიანთან გქონიათ კავშირი, იმიტომ, რომ უცბათ მიხვდით, რომ ეს 2 სექტემბერი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენს თანამდებობრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. აბსოლუტური ბუნდოვნებაა დღეს ამ საკითხში.

ალეკო მიქაბერიძე: გავაგრძელებ ბიოგრაფიის თემას და მერე მივუბრუნდებით 2 სექტემბრის ამბავს. ამ მოვლენების შემდეგ, დაახლოებით ოქტომბრის თვეში — მთელი სექტემბერი და ოქტომბერი ისევ ვიყავი ქალაქის სამმართველოს უფროსად...

ნათელა ვაჩნაძე: ყველაზე მძიმე ხანები.

ალეკო მიქაბერიძე: ... და შემდეგ გადამიყვანეს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილედ. იქ ვიყავი ცოტა ხანი და წარმოიქმნა — თქვენ ალბათ არც იცით, საზოგადოებამ — მიავინყდა ეს ამბავი, რომ ქვემო ქართლში წარმოიქმნა ძალიან სერიოზული კონფლიქტი...

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, ვიცით, როგორ არ ვიცით.

ალეკო მიქაბერიძე: და პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ იქ შემოღებული იქნა, ქვემო ქართლში, საგანგებო სიტუაცია, ისეთივე, როგორიც იყო ცხინვალის რეგიონში. და მე დავინიშნე ქვემო ქართლის კომენდატად. მაგ დროს, მე უკვე, მთელი ნოემბერი, დეკემბერი და იანვარი და შემდეგაც, სანამ არ გაუქმდა ეს სიტუაცია, ვიყავი ქვემო ქართლის კომენდანტი.

ნათელა ვაჩნაძე: პრაქტიკულად ყველაზე მძიმე რეგიონებში მოგიხდათ ყოფნა.

ალეკო მიქაბერიძე: ამის შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო ძალადობრივი გზით, იქ საგანგებო სიტუაცია ქვემო ქართლის რეგიონში გაუქმდა, გადმომიყვანეს ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროში სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ანუ ჩემ ადგილზე დამაბრუნეს ისევ. ვიმუშავე იქ სამი წელი. ამ პერიოდში უკვე აფხაზეთისა და სამეგრელოს პრობლემები დაიწყო, ანუ საომარი მოქმედებები იყო უკვე აფხაზეთში და გართულებული სიტუაცია იყო სამეგრელოში და სამეგრელოშიც შემოღებული იქნა საგანგებო სიტუაცია და გარკვეული პერიოდის მანძილზე ვასრულებდი სამეგრელოს კომენდანტის ფუნქციას,

ვასრულებდი კი არა, დანიშნული ვიყავი. ამის შემდეგ აფხაზეთში დავმარცხდით, გამოვიდა ჩვენი ჯარები, მოხდა დაშორიშორება ძალების, სამეგრელოს რეგიონშიც სიტუაცია დაწყნარდა, საგანგებო სიტუაციებიც გაუქმდა და გავაგრძელე ჩემი მუშაობა ისევ ჩემ თანამდებობაზე სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილედ. ვასრულებდი გარკვეული პერიოდის მანძილზე უფროსის მოვალეობას, ექვსი თვე უფროსი არ იყო და უფროსის მოვალეობას ვასრულებდი. შემდეგ რაღაც პოლიტიკური მომენტების გამო, ალბათ იმის გამო, რომ მე ერთი პერიოდი გამსახურდიას ხელისუფლებაში ესეთ მაღალ თანამდებობაზე ვიყავი, გამანთავისუფლეს სამსახურიდან და რადიოში გადმოიცა და პრესეში დაიწერა, რომ ზვიადისტებისგან გაანთავისუფლეს, განმინდეს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ხა, ხა, ხა. შემდეგ გაირკვა, რომ ჩვენ არაპოლიტიზირებული ორგანიზაცია ვართ შინაგან საქმეთა სამინისტრო და აქ ამის მომხრეები, იმის მომხრეები, ასე არ შეიძლება დაყოფა და შემდეგ ისევ დამნიშნეს და ვიყავი საქართველოს საგზაო პოლიციის უფროსის მოადგილე ორი წლის მანძილზე. შემდეგ ისევ გადმომიყვანეს თბილისში ვაკის მილიციის უფროსად. ორი წელი ვიყავი ვაკის მილიციის უფროსი და შემდეგ გადამიყვანეს თბილისის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დეპარტამენტის უფროსად. შემდეგ მოხდა კიდევ ხელისუფლების ცვლა, რეფორმა ჩატარდა სამინისტროს სისტემაში, ეს სამსახურები ამ სახით და ამ ფორმით აღარ არიან და ეხლა ვარ სხვა სამსახურში, რომელსაც ჰქვია საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, ვარ იქ სამართველოს უფროსის მოადგილე. აი, ეს ჩემი ბიოგრაფია ამ სამსახურთან დაკავშირებით. მყავს მეუღლე, შვილი, შვილიშვილი. ხა, ხა, ხა. ეხლა, აქედან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ძალიან საჭირო თანამდებობა გეკავათ, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ჩვენი თემისათვის.

ალეკო მიქაბერიძე: მე, როდესაც დავინიშნე ივნისის თვეში თბილისის სამართველოს უფროსად, უკვე ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო და ვიღაცას ჰგონია, რომ ეს 2 სექტემბერი... იმიტომ გითხარით, რომ შეგიძლიათ აქაც წაიკითხოთ, თქვენ ძალიან მასშტაბურად მიუდევით ამას, აქედან იწყება ჩემი... რადგან მონოგრაფია და დიდ შრომა უნდა მიუძღვნათ ამას, თორემ ასეთი გამოკვლევები, გაზეთები, ინტერვიუები ყოველთვის სისტემატურად იძეჭდებოდა და მე მართლაც, თქვენი თქმის არ იყოს, ისეთ ადგილზე აღმოვჩნდი ისეთ დროს, რომ ვერ გამომტოვებდნენ. რაც ბატონი ზვიად გამსახურდია აირჩიეს პრეზიდენტად, უფრო სწორედ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ და შემდეგ პრეზიდენტად, მთელი ამ ხნის მანძილზე იყო სულ დაძაბული შიდაპოლიტიკური სიტუაცია, საგარეოს აღარ ვეხები, საგარეო სხვა სფეროა მაინც. მთელი ეს იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი პოლიტიკური ოპოზიციის გამოსვლები მოთხოვნებით, რომლებიც

მასობრივ აქციებში იყო გადაზრდილი და შემდეგ ამან კულმინაციის წერტილს მიაღწია ივნისი, ივლისის პერიოდში. შემდეგ ამას დაემთხვა მოსკოვში პუტჩი, გადატრიალება აგვისტოში და ამ ამბავმა უფრო გააცხოველა, გაააქტიურა ზოგიერთი ოპოზიციური ძალების მოქმედება საქართველოში და თუ გახსოვთ ალბათ თქვენ თენგიზ კიტოვანის გასვლა რკონის ხეობაში და მთელი ამბები. ამ პერიოდში, 2 სექტემბრისთვის დაინიშნა...

ნათელა ვაჩნაძე: რომელი ძალა გამოდიოდა ყველაზე წინ?

ალეკო მიქაბერიძე: ეროვნულ-დემოკრატები. საერთოდ ამ პერიოდში პოლიტიკური სპექტრი ასეთი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არ იყო, როგორც დღეს არის პარტიები. სულ იყო რამდენიმე პარტია იქა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — გიორგი ჭანტურია ხელმძღვანელი, მონარქისტული პარტია — უორჟოლიანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — წერეთელი და სახალხო ფრონტი — ნათაძე. აი ეს იყო ძირითადი პარტიები, რაც იყო მაშინ. სხვა პოლიტიკური სპექტრი მრავალრიცხოვანი ოპოზიციური, ყოველ შემთხვევაში, არ იყო. დაინიშნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ მიტინგი კინოს სახლთან. საერთოდ რამდენიმეჯერ ჩატარდა სხვადასხვა ადგილას ეს მიტინგები და...

ნათელა ვაჩნაძე: ამბობდნენ, რომ მიტინგებს ატარებდა. სიმართლე გითხრათ, მე არ ვიყავი ამ მიტინგების მონაწილე, მაგრამ ჩემი ახლობლები, ჩემი გარემოცვა იქ დადიოდა და ყველა ამბობს, რომ ჩვენ რაღაცნაირად უკვე მიჩვეულები ვიყავით, იმიტომ, რომ 2 სექტემბრამდე ბევრად ადრე იყო ეს მიტინგები გია ჭანტურიას მიერ დანიშნული, ამაში ახალი არაფერი არ იყო. შემდეგ ირინა სარიშვილი და, მგონი, ირაკლი ქადაგიშვილი სადღაც მიემგზავრებოდნენ, მგონი, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეხლა ამას არა აქვს მნიშვნელობა. და ბოლო მიტინგზე გამოაცხადეს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ, სანამ ისინი აქ არ იქნებოდნენ და როცა ჩამოვიდოდნენ, აბა, ნახეთ, რომელი იქნება ორშაბათი, რა რიცხვი იქნება და ვიღაცამ წამოიძახა: ამ რიცხვის შემდეგი ორშაბათი, იქნებაო 2 სექტემბერი. ხოდა 2 სექტემბერს შევიკრიბოთ 5 საათზე ტრადიციულად კინოს სახლის წინო, გამოუცხადებია გია ჭანტურიას. ამის შესახებ იცით თქვენ რამე?

ალეკო მიქაბერიძე: ასეთი რამე არ ვიცით, არ არის ეს რეალობა და სიმართლეს არ შეესაბამება. ინიშნებოდა მიტინგები სხვადასხვა ადგილას, ხან კინოს სახლთან, ხან რესპუბლიკის მოედანზე, ხან პირდაპირ პარლამენტის წინ თავისი მსვლელობებით და თუ ეს არ გახსოვთ, ის მაინც გემახსოვრებათ თქვენ, რომ პარლამენტის წინ მიტინგები რომ გამართა პრეზიდენტის მისამართით ჩაუშესკო, ყვარყვარეს ყვიროდნენ, ეს ხომ მაინც 2 სექტემბრამდე იყო. აი ასეთი ამბები ხდებოდა. ამ დროს დაემთხვა ამერიკელი სენატორების ვიზიტი თბილისში. ბატონი ზვიადი ადრეც ამას ამბობდა და ჩვენი შეხედულებაც იყო, რომ

ეს მიტინგები ცენტრში მოძრაობას აფერხებს, დესტაბილიზაციას იწვევს ქალაქში და შევთავაზეთ, რომ მიტინგებისათვის გამოენახათ სხვადასხვა ადგილები და შევთავაზეთ ასეთი ვაკის პარკი ერთი...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ წავიდოდა.

ალეკო მიქაბერიძე: რატომ?

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ ამერიკელ კონგრესმენებს კარგად დაენახათ ყველაფერი.

ალეკო მიქაბერიძე: თუ ამ მიზნით, რომ კარგად დაენეხათ, ხალხი შეეწუხებინათ და დესტაბილიზაცია გამოეწვიათ, მაშინ სწორად არის შერჩეული. უფრო კარგად შეიძლებოდა, პარლამენტის წინ მოსულიყვნენ და იქ გაემართათ მიტინგი.

ნათელა ვაჩნაძე: ამის შესახებ იცოდით, რომ 2 სექტემბერს იქნება და ამავე დროს იცოდით, რომ კონგრესმენებიც ჩამოდიან.

ალეკო მიქაბერიძე: კი, ვიცოდით, რა თქმა უნდა, რომ მიტინგები იქნებოდა, 2 სექტემბერსაც იქნებოდა და განსაკუთრებით სექტემბერში რომ დაიძაბებოდა სიტუაცია, ამის შესახებაც ვიცოდით ჩვენ და ოპოზიციის მოწოდებებით, რომ სწავლა დაინტება და სტუდენტობა ჩამოვა თბილისში და აი მაშინ განახებთ თქვენ, როგორ უნდა... ავაგორებთ მიტინგებს და ესა და ესა. ამის ჩვენც შესახებ ვიცოდით და ხელისუფლებაც იყო საქმის კურსში ჩვენგანაც და სხვა წყაროებიდანაც, მოსახლეობისგანაც. ამერიკელიკონგრესმენები ქალაქში გამოვიდნენ, ათვალიერებდნენ და არ იყო სასურველი გადაკეტილ-გადმოკეტილი ქუჩები, რა თქმა უნდა, მოძრაობა ფერხდებოდა, ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: სულ ორასი კაცი ვიყავითო და არაფერი პრობლემა არ იყო მოძრაობის თვალსაზრისითო, წესრიგის თვალსაზრისითო, ეს არაფერი არ იყოო. მისადგომები იყო ყოფილი მოსკოვის ქუჩის, ყოფილი ივანე ჯავახიშვილის ქუჩის, სადაც ბატონი მერაბი ცხოვრობდა, და ეს შემოგარენი, შოთა რუსთაველის ძეგლი, ეს ადგილი, სულ 150-200 კაცი ვიყავითო.

ალეკო მიქაბერიძე: გასაგებია. საქმეც მაგაშია, რომ არ იყო ბევრი, მაგრამ სპეციალურად კეტავდნენ მოძრაობას, რომ გამოჩენილიყო ბევრი. 150, 200, 500 და 1000 კაცი იქ თავისუფლად დაეტევა ისე, რომ არავის შეუქმნის პრობლემას, მაგრამ იმიტომ, რომ იყო ცოტა და რომ გამოჩენილიყო ბევრად ეს ხალხი გადმოდიოდა და ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებდა. ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებდა, ფეხით მოსიარულებს უშლიდა ხელს და ამიტომ იყო, რომ დისკომფორტი იქმნებოდა, თორემ იმიტომ კი არა, რომ 200 კაცი მიტინგს ჩატარებდა. მაგრამ თვითონ იყო ესეთი გამომწვევი და სპეციალურად მადესტაბილიზირებელი.

ნათელა ვაჩნაძე: სპეციალურად იყო ეს ხმაური და მიცემა სამანქანო ნიშნების და...

ალეკო მიქაბერიძე: გადმოდიოდნენ სავალ ნაწილზე და აფერხებდნენ მოძრაობას და სიგნალი, ყვირილი ხალხის... და სახელმწიფო რომელიც ეხლა იქმნება და პირველ ნაბიჯებს დგამს და აქვს პრეტენზია, იყოს დემოკრატიული სახელმწიფო, ცდილობს, ეს ნორმალურ ჩარჩოებში მოაქციოს. მე ამის გამო შევხდი ბატონ გიორგი ჭანტურიას, მივედი მასთან ოფისში წინა დღეს...

ნათელა ვაჩნაძე: რუსთაველზე.

ალეკო მიქაბერიძე: დიახ, და ვთხოვე, ავუხსენი, რომ ესეთი სიტუაციაა და იქ იყვნენ მისი პარტიის წევრები — მამუკა გიორგაძე, ირინა სარიშვილი, სხვებიც. ვუთხარი, რომ ესეთი სიტუაციაა, უცხოელი დელეგაციები ჩამოდიან და ან მოდი, სხვა დღისათვის გადავიტანოთ ეს მიტინგი, ან გადავიტანოთ ვაკის პარკში. სხვა დღისათვის, სამში, ოთხში, ხუთში პრობლება არ იქნება, ჩატარეთ და მაქსიმალურად ჩვენ დაგეხმარებით იქ, რომ წესრიგი დავამყაროთ და თუ თქვენ მაინც-დამაინც გინდათ, რომ ორში ჩატარდეს ეს მიტინგი, მაშინ ჩატარეთ ცოტა სხვა ადგილას, აი, ვაკის პარკი, მაგალითად. ისიც კი ვუთხარით, რომ ყველა ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყანაში, ინგლისშიც კი, ჰაიდ პარკი არის და პარკში ატარებს ხომ ხალხი, ბუკინგემის სასახლის წინ ხომ არ ატარებს მიტინგებს ან დაუნინგ სტრიტზე. ხა, ხა. ამაზე კატეგორიულად წინააღმდეგი წავიდნენ პარტიის ხელმძღვანელობა...

ნათელა ვაჩნაძე: ყველაზე მეტად, თქვენი მეხსიერებით, ვინ აქტიურობდა და ვინ გინევდათ წინააღმდეგობას?

ალეკო მიქაბერიძე: პარტია ერთი იყო და სუყველა — ცხონებული გიაც და მამუკა გიორგაძეც და ირინა ეხლა ქალის ფარგლებში. ჩვენ ვუთხარით, რომ ჩვენ შევეცდებით, იქ არ ჩაგატარებინოთ და იქ დავაყენებთ პოლიციას, რომ წესრიგი ვუზრუნველყოთ. გთხოვთ, გადაიტანოთ სხვა ადგილას ან სხვა დროს. არა, იცოდეთო, ჩვენ მაინც მოვალთ იქ და სისხლი დაიღვრებათ. რა არის სისხლის დასაღვრელი იქ, ჩვენ ვეუბნებით, რომ კი არ გიკრძალავთ და კი არ გიშლით, ან ამ დღეს ნუ გააკეთებთ და ამ ადგილას, ხვალ და ზეგ გააკეთეთ და ვაკის პარკში, ეს გასაგებად ვთქვით. ძალიან გალიზიანებული იყო ბატონი გიორგი ჭანტურია, არა, გინდა თუ არა, იქ უნდა ჩატარდეს და ამ ყვარყვარეს ბოლო უნდა მოეღოს. გულისხმობდა პრეზიდენტ გამსახურდიას. მართლაც, საათი არ მახსოვს, მგონი, 5 საათისთვის მოვიდნენ ეს ხალხი. იმ ადგილას, სადაც ესენი აპირებდნენ, უკანა მხრიდან კინოს სახლის გვერდით შესასვლელი არის ცენტრალური, ჩვენ ეს კორდონი გავაკეთეთ მილიციისა, რომ იქ არ დაგვეშვა მიტინგის ჩატარება. ვიფიქრეთ, რომ შეთანხმება მიღებული არ არის, მაგრამ გაფრთხილებულები არიან ხელისუფლებისაგან, ამ შემთხვევაში ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლები ვართ, რომ იმ ადგილას დღეს არ ჩატარონ, ჩატარონ სხვა დროს, დღეს თუ უნდათ სხვა-

გან ჩაატარონ, თუ არადა, სხვა დროს. ამის შესახებ, სხვათა შორის, ოქმიც გავაფორმეთ, არ მოაწერეს ხელი, მაგრამ მე გავაფორმე ოქმი. ნათელა ვაჩნაძე: ხომ არა გაქვთ შემთხვევით ეს ოქმი? ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ბატონო ალეკო.

ალეკო მიქაბერიძე: სადღაც უნდა მქონდეს. რომ ეს ხალხი გაფრთხილებულია და სიტუაციის გართულების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ. მაგრამ მაინც მოხდა ეს.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არის ძალიან მნიშვნელოვანი იცით სწორედ ეს დოკუმენტი?

ალეკო მიქაბერიძე: ვიცი, პატარა ხომ ... Не первыйй раз за мужем. ხა, ხა, ხა. სწორედ ეს დოკუმენტი, იმიტომაც მაქვს შენახული და მოვძებნი. ხა, ხა, ხა.

ნათელა ვაჩნაძე: არ დაგავიწყდეთ ოღონდ დაპირება, ძალიან გთხოვთ.

ალეკო მიქაბერიძე: და როდესაც აქ პოლიცია დახვდა მიტინგისათვის მოყვანილ ხალხს და უკვე ის ადგილი, სადაც მათ უნდოდათ ჩატარება, დახვდათ დაკავებული მილიციის მიერ – პოლიცია ერქვა უკვე – პოლიციის მიერ, ჯაჭვი გაკეთებულია და გვინდა, რომ არ გავუშვათ ეს ხალხი იქა. ჩვენ გავაფრთხილეთ კიდევ ერთხელ, რომ გადაეტანათ აქცია. ისინი გადმოვიდნენ გზის სავალ ნაწილზე, მოჰყვა ამას მოძრაობის შეფერხება, ჩაკეტვა, დაპირისპირებულ მხარეებად დავდექით და ძალით, შტურმით ეცადნენ, დაეკავებინათ ის ადგილი, რასაც მოჰყვა პოლიციაზე წინააღმდეგობა, პოლიციაზე ფიზიკური ზემოქმედება მათგან. აი მოვიყვანეთ და დავაყენეთ პოლიცია და პირდაპირ შტურმით ერევება პოლიციას. ამის კადრები ხომ არის, თქვენ არა გაქვთ ნანახი? არის 2 სექტემბრის კადრები, ძალიან შთამბეჭდავი, როგორი შტურმით იღებენ ეს მომიტინგები პოლიციის მიერ დაკავებულ ადგილს, ყრიან ამათ. ამას მოჰყვა წინააღმდეგობა ორმხრივი, იქიდან ძალა, აქედან ძალა, ეს გადაიზარდა ხელჩართულ ბრძოლაში, დროშები, რაღაცეები ურტყეს თავში, რაც ჰქონდათ ხელში მომარჯვებული...

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენო ჯოხები გვქონდაო და რაც იქ ქვები ეყარა, ჯავახიშვილის ქუჩის ასავლელში, იმას ვიღებდით და იმას ვისროდითო.

ალეკო მიქაბერიძე: და ვის ესროდნენ?

ნათელა ვაჩნაძე: პოლიციას.

ა, მ.: და რატომ ესროდნენ პოლიციას. თუ ამბობდნენ ვესროდითო...

ნათელა ვაჩნაძე: ვესროდითო, ჩვენ რა გვქონდაო და პოლიციას იარაღი ჰქონდაო.

ალეკო მიქაბერიძე: პოლიციას იარაღი უნდა ჰქონდეს, პოლიციას სახლიდან კი არ მოუტანია ეს იარაღი. ეს არის მისი ატრიბუტი. და როდესაც ეს ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, აღარ გვემორჩოლებიან,

ჩვენ არ ვუთმობთ იმ ადგილს და ისინი გვაწვებიან, იქ იყო მოყვანილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი. და როდე-საც ერთ-ერთი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, გამოვიდა ეს სპეც-ნაზი, რომ მომხმარებოდა პოლიციის თანამშრომლებს. პირიქით, პოლიციის თანამშრომლები საერთოდ იყვნენ უიარაღოდ, არც ხელ-ჯოხი ჰქონია და არც არაფერი, უბრალოდ ფორმა აცვია და ფორმა იმიტომ აცვია იმ კაცს, რომ უნდა დაემორჩილო, ხომ? და არა ურტყა თავში. პოლიციის ხელმძღვანელები ვინც იყვნენ გამოვიდნენ, რომ მოხმარებოდნენ პოლიციას და დაეშორებინათ. ამაზე უფრო გამწვა-ვდა ეს სიტუაცია, უფრო აქტიური გახდნენ ისინი, დასცხეს ქვები, ჯოხები, რაღაცებები, რასაც უკვე მოჰყვა მერე სპეცნაზის მხრიდან სათანადოდ ხელკეტების გამოყენება. ამ ხელკეტების გამოყენებაზე ხალხის მხრიდან, არ ვიცი რა პროვოკაცია იყო, საიდან იყო, გაისმა სროლა. რაც ჩემს დაქვემდებარებაში იყო თბილისის პოლიცია, იმათ იარაღი არც ერთს არ ჰქონდა. სპეციალური განკარგულებით, უი-არაღოდ უნდა მისულიყვნენ. შეიარაღებული იყო მხოლოდ სპეციალ-ური ნაწილი.

ნათელა ვაჩნაძე: ხელმძღვანელი ვინ იყო?

ალექო მიქაბერიძე: ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და მაშინ მისი ხელმძღვანელი იყო პოლკოვნიკი ავთო წონიორია, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაცვლილია. აი ასეთი ამბავი მოხდა. ხალხისგან იყო სროლა. მაშინ რაში სჭირდებოდა სპეცრაზმს იარაღის გამოყენება, რა ხელკეტით ვერ დაარეგულირებდა ამ სიტუაციას. მი-თუმეტეს სპეცრაზმი თუ ისროდა, ხუთას კაცში რომ ისროლო, ვერ მოარტყამ ვერავის. სპეცდანიშნულების რაზმა სროლის მეტი რა იცის.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლებისაგან იყო პირველი სროლაო, აი, რას ამ-ბობს ოპოზიცია.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ, რაში დასჭირდა ხელისუფლების მხრიდან სროლა?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი შეკითხვაა? კი, ბატონო. მაშინ ასე გპასუხობენ ოპოზიციის წარმომადგენლები: კი, ჩვენ პროვოკაცია მოვაწყვეთ, მოვუწყეთ ხელისუფლებას პროვოკაცია, მაგრამ შენ, ხელისუფლება რომ ხარ, არ უნდა წამოეგო ჩემს პროვოკაციაზე. აი, ეს იყო მაგათი პასუხი.

ალექო მიქაბერიძე: რას ჰქონდა წამოეგო?

ნინო თომაძე: მე ვისვრი, მაგრამ შენ არ უნდა ისროლო?

ალექო მიქაბერიძე: ეგ სადაური წესია, სად წერია? მოქალაქე, რომელიც მიტინგზე არის, თუგინდ მომიტინგე, თუგინდ მაყურებელი, არის აქ-ტიური მოქალაქე, მაგრამ ის როგორც იარაღს აიღებს ხელში, უკვე დგება კანონგარეშე. მის მიმართ, უფლება კი არა, ვალდებულია

პოლიცია გამოიყენოს იარაღი. ეს არის უპასუხისმგებლო განცხადებები იმათი მხრიდან, ვინც ამბობს, რომ პროვოკაცია მოვაწყვე. ესენი პროვოკაციას გულისხმობენ, მხოლოდ ქუჩაში გაიარე და გამოიარე. შენ თუ პროვოკაცია მოაწყე და მესროლე, შენ უკვე აღარა ხარ არც პოლიტიკური პარტია, არც პოლიტიკური მოღვაწე ხარ, არც მომიტინგე ხარ, არც მაყურებელი ხარ, უკვე ყოველგვარი უფლება-ჩამორთმეული დამნაშავე ხარ, რომლის მიმართაც, ერთი წაყოვნება კი არა, პოლიცია ვალდებულია გამოიყენოს იარაღი. მიუხედავად ამისა, ამ ხუთასი კაციდან, რომ იძახიან პირველად ხელისუფლებამ გვესროლა, არავინ არ დაჭრილა, დაიჭრა ხალხში შუაში, იქით, ხუთასი კაცის უკან ვინც იდგა, მაყურებელში, მონაწილეებში კი არა, რუსთაველის ძეგლის უკან, იქ დაიჭრა ვიღაცა.

ნათელა ვაჩნაძე: კოჭში დაიჭრა.

ალეკო მიქაბერიძე: იქ რომ პოლიციას ესროლა, რა გაიარა ასე ტყვიამ და მერე მოხვდა უკან? იქ, შიგნით, მართლაც, პროვოკაცია იყო და ვიღაცებს ან გაუვარდათ, ან სპეციალურად გამოიყენეს იარაღი.

ნათელა ვაჩნაძე: ქვემოთ არის ნასროლი. ეს იყო ისე, ხმისთვის და არა იმისთვის, რომ ვიღაცას მოხვედროდა, მაგრამ შემთხვევით მოხვდა.

ალეკო მიქაბერიძე: მე ვიცი მათი აზრი, როგორ ნანობდნენ შემდეგ ოპოზიცია, როგორ არ მოკვდა არავინ, ამ მკვდარს ქუჩა-ქუჩა ჩამოვატარებდით სულ და ამაზე კიდევ უფრო დიდ მიტინგს ავაგორებდით. ეს იყო სუფთად პროვოკაციის მიზნით გაკეთებული, რომ ხელისუფლების დისკრედიტაცია მოეხდინათ მოსახლეობაში, საზოგადოებაში და იმ ამერიკელი კონგრესმენების თვალში. ამის შემდეგ უკვე დგება სამართლებრივი საკითხი. მოხდა ასეთი რაღაცა, უნდა ჩატარდეს გამოძიება და მე, როგორც ხელმძღვანელმა, ჩავაყენე საქმის კურში ქალაქის პროკურატურა, გამოვიძახე ადგილზე პროკურატურა, რომ ჩატარებულიყო გამოძიება, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე.

ნათელა ვაჩნაძე: ქალაქის პროკურორი ვინ იყო ამ დროს?

ალეკო მიქაბერიძე: მაშინ იყო მიშა ქურდაძე, მოკლეს მერე და გაპრიჩიდე იყო მისი მოადგილე, ნუგზარი. მოვიდნენ ესენი, მოვიყვანეთ გამომძიებლები, მოვიდნენ ექსპერტები, რომლებმაც ფოტოგრაფირება მოახდინეს. მაშინ ამდენი ტექნიკა არ იყო, ვიდეოებით და მობილურებით რომ იღებ, სპეციალური სამსახური არის, რომელსაც საექპერტო ბიურო აქვს, მოვიდნენ, გადაიღეს, დააფიქსირეს ეს და აღნიშნულის შესახებ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დაათვალიერეს შემდეგ ამ სპეცნანილის ხალხის ფორმები და ჟილეტები და იქ არის ტყვიის ნაკვალევი.

ნათელა ვაჩნაძე: ოპოზიცია ამბობს, რომ ეს გათამაშებულიაო. ღამით გამოვიდა ერთ-ერთ ტელეგადაცემაში პრეზიდენტი და გვიჩვენაო ეს შილეტიო და სისხლის წვეთებიო და გახვრეტილიო და ამითი უნდო-

და დემონსტრირება გაეკეთებინა იმისა, რომ ხელისუფლებას, ანუ სამართალდამცავებს, ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურას მო- მიტინგების მხრიდან მოხვდა ტყვია. ეს ტყუილიაო.

ა. მ: აბა რაში გამოიხატება, პროვოკაცია მოვაწყვეთ ჩვენო?

ნათელა ვაჩაძე: ჟილეტს არ მოხვდებოდაო.

ალეკო მიქაბერიძე: აბა რას მოხვდებოდაო, თავში მოხვდებოდაო.

ალეკო მიქაბერიძე: იმას მოხვდებოდა, ვინც რუსთაველის ძეგლის უკან იყო.

ალეკო მიქაბერიძე: ჩვენ სერიოზულ საქმეზე შევიკრიბეთ, უნდა დაიწეროს სიმართლე და ისტორია, ხომ? მაშინ ხომ ამბობს, რომ პროვოკაცია მოვაწყვეთ და იმას კი არ ესროდა, იმას ესროდა ფეხშიო. მოვიყვა- ნოთ მაშინ ის კაცი, ვიცი მეშვეობითაც მოაწყვეს მათ პროვოკაცია — პროვოკაცია ხომ მოაწყო ვიღაცამ, ხომ ჰქონდა დავალებული პეტრეს, ივანეს, პავლეს — და შევეკითხოთ, საით ისროლა, იმას ეს- როლა ფეხში, რომელიც დაიჭრა, თუ იმას ესროლა ჟილეტში. არ არის საინტერესო? მე ასე ვფიქრობ. შემდეგ ამის შესახებ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით დავიკითხეთ სუყვე- ლანი — მეც, ჩემი მოადგილებიც, ხელმძღვანელებიც, მილიცი- ის უფროსებიც, სპეცგანყოფილების თანამშრომლები, სუყველანი დაიკითხა. ჩემი თანამშრომელი, რომელმაც, მგონი, დეპუტატი იყო ურიდია, ბობონიძე მაშინ, ასეთი...

ნათელა ვაჩაძე: მერაბ ურიდია და აკავი ბობონიძე.

ალეკო მიქაბერიძე: ამგენს ფიზიკურად შეეხო, ყველა ჭიდაობდნენ და დაარტყა თანამშრომელს და რის გამოც... შემდეგ გამოიკვეთა ეს სიტუაცია გამოძიებაში და დავაკავეთ ადმინისტრაციული წესით და მერე პროექტურამ გაანთავისუფლა, იმიტომ, რომ არ იყო... საერთო საქმის გამოძიების მიხედვით მიიღებდა გადაწყვეტილებას. ცალკეულ ეპიზიდებზე ხომ არ... დაარტყა — დაარტყა, დაიკითხა ერთი მხარეც, მეორე მხარეც, ჩაიდო იმ საქმეში და გაერთიანდა და საქმის გამოძიებასთან ერთად გაირკვეოდა მისი პასუხისმგებლობა, სხვისი პასუხისმგებლობაც, ჩემი პასუხისმგებლობაც. ყველა დავი- კითხეთ, პირველ რიგში, მე, როგორც ხელმძღვანელი. მეორე მხარე ხომ უნდა დაიკითხოს, პროვოკაცია მოგვიწყო თუ ნაზად იქცეოდა, თუ...

ნათელა ვაჩაძე: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უნდა დაიკითხოს.

ალეკო მიქაბერიძე: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო თუ სხვა პარ- ტიები, რომლებიც იქ მონაწილეობდნენ, ხომ უნდა დაკითხულიყო.

ნათელა ვაჩაძე: ნოდარ ნათაძეც იყო?

ალეკო მიქაბერიძე: სუყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენე- ლი. პარტიულად შეიძლება არ იყო, მაგრამ ფიზიკურად თვითონ იქ იყო. მეორე მხარემ კატეგორიული უარი განაცხადა დაკითხვაზე და

ეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა და ჩვენ ვართ დაკითხულები, ის მეორე მხარე არ დაიკითხა და ზოგმა თავი აარიდა გამოძიებაში მოსვლას, ზოგმა თავი აარიდა დაკითხვას, ზოგი საერთოდ მიიმაღა...

ნათელა ვაჩნაძე: სახელმწიფო როგორ უყურებს ამას. აი, თქვენ დასაკითხი ხართ და არ მოდიხართ, ეს როგორ ხდება, მე არ მესმის.

ალეკო მიქაბერიძე: ხო მაგრამ ეს უკვე ჩემი პრეროგატივა არ არის, ამას უკვე პროკურატურა იძიებდა, ეს უკვე პროკურატურის საქმეა. როგორ უყურებდა და უგზავნიდა უწყებას და ის არ მოდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: აი, მაგალითად, დღეს რომ უნდა გაუგზავნონ უწყება მერაბიშვილის ხელის მოწერით, დღესაც არ მოვა ნეტავ, საინტერესოა.

ალეკო მიქაბერიძე: შეიძლება არ მოვიდეს.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლების კრიზისი მაინც გამოიწვია სროლამ, სისხლმა და 2 სექტემბერი. აი ესე შედის საქართველოს ისტორიაში. თქვენ ამას არ ეთანხმებით, არა?

ალეკო მიქაბერიძე: არა, არ ვეთანხმები. ეს იყო ერთ-ერთი ეპიზოდი...

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო შედეგი, თქვენ ხომ არ გეჩვენებათ.

ალეკო მიქაბერიძე: ეს იყო შედეგი. მთელი მაისი, ივნისი, ივლისი, რაც გრძელდებოდა ეს მიტინგები და შემდეგ კიტოვანის რკონში გაქცევა და გამოქცევა, ეს ყველაფერი ამის შედეგი იყო.

6. ვ: აპოთეოზს მიაღწია.

ალეკო მიქაბერიძე: აპოთეოზს მიაღწია დეკემბერში.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე აპოთეოზი კი არა, არ ვიცი ამას რა ვუწოდო. გახდა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მაგრამ ოპოზიციური ძალებისათვის ეს იმდენად მიუღებელი ეს ამბავი, იმდენად მიუღებელი, ისე დაიძაბა უკვე სიტუაცია...

ალეკო მიქაბერიძე: შეკითხვას მეუბნება უურნალისტი გულიკო ბალაძე: „დიდხანს იყო მსჯელობა, 2 სექტემბერზე შეიმნა შთაბეჭდილება, რომ თვითონ შიგნით პოლიციის სამმართველოში მოკალათებულმა ადამიანებმა მოახდინეს პროვოკაცია“. „არა, — ვპასუხობ, — პოლიცია მოქმედებდა კანონის სრული დაცვით, არავითარი დანაშაული პოლიციას არ ჰქონია. იმ დღესვე აღიძრა ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე, დაიკითხნენ პოლიციის თანამშრომლები, ზოგიერთები წინასწარ დაკავებაშიც იყვნენ, მაგრამ ძიების შედეგად გაირკვა, რომ პოლიციელები დამნაშავენი არ იყვნენ ამ საკითხში. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, როცა ეს ფაქტი მოხდა და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დაიკითხა მხოლოდ ერთი მხარე, ხოლო მეორის დაკითხვა არ მოხერხდა. შემდეგაც, როცა ზვიად გამსახურდია აღარ იყო ხელისუფლებაში, ეს გამოძიება გრძელდებოდა.“ გამსახურდიას დამხობის შემდეგ ახალი ხელისუფლება, ანუ ოპოზიცია ხომ მოვიდა ხელისუ-

ფლებაში, ისინიც აგრძელებენ გამოძიებას და მერე მაისის თვეში გამოაქვთ დადგენილება, რომ პოლიცია მართალია და არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ საკითხთან დაკავშირებით. ახლა მეტი რაღა უნდა ვქნათ. ამ შემთხვევაში პოლიცია მოქმედებდა კანონის სრული დაცვით და პოლიციას არავითარი დანაშაული ამ ქმედებაში, რასაც 2 სექტემბერი ჰქვია, არ მიუძღვის. ეს არის სუფთად პოლიტიკოსების შეცდომა და დანაშაული.

ნათელა ვაჩნაძე: და მერე ამბავი შეთხზული, რომელიც აგერ უკვე 15 წელიწადია, თაობიდან თაობას ასე უნდა გადაეცეს.

ალეკო მიქაბერიძე: და თავიანთი ქმედების გასამართლებლად, ვითომ პოლიციამ იმოქმედა არასწორად, ვითომ ხელისუფლება მოქმედებდა არასწორად.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი მონათხობი, თქვენი მიცემული ინტერვიუ — ბევრი გაქვთ კიდევ ხომ ინტერვიუები?

ალეკო მიქაბერიძე: 15 წელია, ასე ვაძლევ.

ნათელა ვაჩნაძე: 15 წელიწადია ერთი და იგივე შეკითხვა, ერთი და იგივე პასუხი, მე უკვე მომბეჭრდაო. და არ წაგიკითხავთ ასეთი პუბლიკაციის, ანუ იქ, სადაც თქვენ ამას ყვებით, იმის საწინააღმდეგო მოსაზრება ამ 15 წლის მანძილზე. თქვენ უფრო ადევნებთ თვალსყურს, თუ ვინმე ეხება თქვენს პიროვნებას, თქვენს შესახებ ვინმე რამეს წერს.

ალეკო მიქაბერიძე: არ წამიკითხია. არ წამიკითხიაც და არც გამიგია, რომ პიროვნებას ჩემსას ვინმე ეხებოდეს.

ნათელა ვაჩნაძე: თუ აქვთ საპასუხო რამე, მაშინ რატომ არ გპასუხობენ, არა?

ალეკო მიქაბერიძე: მე იმას კი არ ვიძახი, რომ ასე გამომწვევად მიპასუხონ და... მე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ თუ სხვას აქვს რაიმე თქვენი საწინააღმდეგო თვალსაზრისი, მაშინ გამოაქვეყნოს ვინმემ, გამოაქვეყნოს. რატომ არ აქვეყნებენ, ეს როგორ ავხსნათ?

ალეკო მიქაბერიძე: ფაქტი არის მოხდარი და იმათ, ვისაც მოწინააღმდეგე მხარეს ეძახით თქვენ და პოლიტიკოსები არიან, ვინ არის იქ დამნაშავე რა არის დამნაშავე, არც აინტერესებთ იმის გარკვევა. რას მისცემს ეს, ყოველ შემთხვევაში, მათ არაფერს კარგს არ მისცემს, ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომაც არ გინევენ წინააღმდეგობას?

ალეკო მიქაბერიძე: რაში უნდა გაგვიწიონ წინააღმდეგობა?

ნათელა ვაჩნაძე: პირიქით. რასაც ამბობენ აი ასე, ზეპირად და ეს მოარული ამბებია, ადგნენ და დაწერონ.

ალეკო მიქაბერიძე: სად არის მოარული ამბები?

ნათელა ვაჩნაძე: არ გაგიგიათ?

ალეკო მიქაბერიძე: მე ეს, სიმართალე რომ გითხრათ, უურნალისტების ფანტაზია მგონია, რომ ემოციებზე...

ნათელა ვაჩნაძე: არა, ეს არის უფრო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მომხრე ადამიანებისაგან, რომლებიც შეიძლება პირველ რიგებში არ იდგნენ და მაინცადამაინც ბელადები არ იყვნენ და მთავარი როლის შემსრულებლები, მაგრამ მიტინგი ისეთი რამ არის, რომ გარდა მთავარი როლის შემსრულებლისა, იქ, სხვათა შორის, სტატისტებიც არიან არა, როგორც თეატრში და ამით, ბევრ შემთხვევაში, სტატისტები ქმნიან — შეძახილები, ყვირილი, ტაშისცემა, ხმაურის ატეხვა — ეს ყველაფერი სტატისტების საქმეა, ამას ??? არც გააკეთებს, ხომ?

ალეკო მიქაბერიძე: მე, მაგალითად, შემიძლია გითხრათ, რომ მე ჩემი პირვენული ფაქტორითაც, ალბათ, იყო გაპიროვნებული ის ამბავი, რომ ეს უფრო უმართავ სიტუაციაში არ გადაზრდა, რომ მე პარტიის ბევრ ხელმძღვანელებს, როგორც ედპ-ს, ისე სხვა, ჩამოვთვალე წელან, ეს პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები, ყველა მათ ხელმძღვანელს პირადად ვიცნობდი, ძალიან კარგად ვიცნობ, ვინც არიან ეხლაც და პირვენულად ძალიან ნორმალური ურთიერთობები მქონდა. ეტყობა, პოლიტიკა იქ, სადღაც ზევით წყდებაო, ღრუბლებში, რომლებიც ამ სახით მულავდება, ვლინდება. ხა, ხა, ხა.

ნათელა ვაჩნაძე: არის კიდევ ერთი ასეთი თვალსაზრისი, ბატონო ალეკო, ესეც პოლიტიკოსებისაგან მომდინარეობს. მე საერთოდ ასეთი პრინციპი მაქვს, სახელები და გვარები არ დავასახელო და არ წავაკითხო არავის ის, მანამდე ვინ რა თქვა, არ მიმაჩნია ეს ეთიკურად. მე მინდა ერთ-ერთი თვალსაზრისი გადმოგცეთ, რომ პირველი გასროლა... თითქოს სნაიპერები ისხდნენ, ერთ-ერთი შენობის სახურავზე, ზუსტად ვერ ასახელებენ ამ შენობას, თითქოს ისხდნენ სნაიპერები, ერთ, არ ვიცი, ორი...

ალეკო მიქაბერიძე: და რას აკეთებდნენო?

ნათელა ვაჩნაძე: მისი გასროლა იყო, შეიძლება. ამ მხრივ იყო, შეიძლება, პროვოკაცია და არა პოლიტიკური პარტიებისაგან, ის სხვა თვალსაზრისია, იმას სხვა ადამიანები ამბობენ.

ალეკო მიქაბერიძე: თქვენ ხომ ბრძანეთ, რომ ამბობენო, რომ ჩვენ მოვაწყვეთ პროვოკაციაო.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობს, მაგალითად, ედპ, მაგრამ არიან სხვა ადამიანები...

ალეკო მიქაბერიძე: გავიგე. ედპ ამბობს, ჩვენ მოვაწყვეთ პროვოკაცია, ჩვენ ვისროლეთ, ჩვენ მოვიყვანეთ ხალხი და...

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ ვისროლეთ არა, ჩვენ „ავაგდეთ“ ხელისუფლება და ხელისუფლება წამოეგო ჩვენს პროვოკაციას.

ალეკო მიქაბერიძე: სნაიპერები ედპ-სი იყო?

ნათელა ვაჩინაძე: არა, გრუ-სი.

ალეკო მიქაბერიძე: მერე რაში გამოიხატა სნაიპერების ყოფნა ან მოქმედება?

ნათელა ვაჩინაძე: თუ სნაიპერმა ისროლა...

ალეკო მიქაბერიძე: და მოარტყა კოჭში?

ნათელა ვაჩინაძე: ვიღაცას სადლაც მოარტყა, ეს უკვე აღარ არის საინტერესო, ამას ხომ არ იკვლევს პოლიტიკოსი და რომელიცაცა პარტიის წევრი, ეგ მაგას არ აინტერესებს, ის გამომძიებელი ხომ არ არის. იმას აინტერესებს, როგორც პოლიტიკოსს, გასროლა რომელი მხრიდან იყო. ის ოპოზიციური ძალაა და აწყობს, რომ იყოს ხერლისუფლების მხრიდან, მაგრამ მთლად ხელისუფლებას ამაში არ ადანაშაულებს და ამბობს, ეს ხელისუფლებას მოუწყო გრუმ-მ. გრუ-ს მოქმედება არ არის დამოკიდებული არც პრეზიდენტზე, არც თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსზე, არც შინაგან საქმეთა მინისტრზე და არც არავისზე. ეს გრუ არის...

ალეკო მიქაბერიძე: თუ გრუ უწყობს ხელისუფლებას პროვოკაციას, ედპ ან სხვა პოლიტიკური პარტია უწყობს ხელისუფლებას პროვოკაციას, გამოდის, რომ ერთად მუშაობენ, ხომ?

ნათელა ვაჩინაძე: ლოგიკურად ასე გამოდის და წადი და დაუმტკიცე.

ალეკო მიქაბერიძე: ვიღას ვუმტკიცო, თვითონ ხომ ამბობენ, თქვენ ბრძანეთ, მე ხომ არ მითქვია.

ნათელა ვაჩინაძე: არა, თქვენ არ გითქვამთ, კი, მე გეუბებით, მაგრამ საქმე ის არის, ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ მე ვფიქრობო, რომ იქ გრუ-ს მოქმედება იყოო და ამას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთოთ ჩვენ, ისტორიკოსებმა, ის არ არის ედპ-ს წევრი.

ალეკო მიქაბერიძე: შეიძლება, ვარაუდის დონეზე ყველაფერი შეიძლება თქვა, მაგრამ ფაქტია...

ნათელა ვაჩინაძე: მეტ-ნაკლებად ხომ უნდა მივიდეთ ჭეშმარიტებასთან. ზუსტი საზომები არ არის...

ალეკო მიქაბერიძე: მე ეხლა გელაპარაკებით ეხლა, რაც არის ფაქტი. ფაქტის ირგვლივ რა მოხდა, როგორ მოხდა, ვისგან მოხდა, რა გაგრძელება მოჰყვა და რა იყო ამის წინაპირობა. მე ფაქტზე გელაპარაკებით, თორემ საბაბები რა იყო და რამ გამოიწვია, ეს სულ სხვა თემაა და ამაზე ვერც თქვენ მიხვალთ, ვერც მე მივალ და ვერც ვერავინ მივა ვერასდროს. ეთი და მე ალბათ.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ როგორ უყურებდით, რომ ასეთი გააქტიურება იყო პარლამენტის შენობის წინ, არა მომიტინგების მხრიდან, არა მოქალაქეების მხრიდან... ამანაც ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა იქონია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობაზე, რასაც მერე მოქალაქეთა ერთი ნაწილი აჟყვა, კარვების ქალაქის აშენება.

ალეკო მიქაბერიძე: თქვენ გახსოვთ ეს პერიოდი?

ნათელა ვაჩინაძე: მინახავს კი, როგორ არა.

ალეკო მიქაბერიძე: კარვების ქალაქი, ასე არ არის...

ნათელა ვაჩინაძე: ეს, რა თქმა უნდა. არის უტრიორება, მეტაფორაა.

ალეკო მიქაბერიძე: ეგ ისეთივე კარვების ქალაქია, როგორც ბუნკერი იყო პარლამენტის შენობაში. ამ უტრიორებით ყველაფერზე მივალთ ჩვენ.

პარლამენტის წინ, გარკვეული პერიოდის მანძილზე, იმის გამო, რა მე გითხარით თქვენ, რომ გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე იყო გარკვეული პოლიტიკური ძალების საპროტესტო გამოსვლები. ამას დაუპირისპირდა გამსახურდიას ხელისუფლების მომხრების გამოსვლები და ამ ხალხს ალბათ ან დასვენება უნდოდა, ან რაღაცა უნდოდა, ერთი კარავი იყო იქ დადგმული.

ნათელა ვაჩინაძე: ოპოზიცია ასეთ შეფასება არ აძლევს, ოპოზიცია ამბობს, რომ კარვები, სამთავრობო ტელეფონებით, ოთხნიშნა ტელეფონებით რეკავდნენ მთავრობის სასახლიდან და პირდაპირი კავშირი ჰქონდათ ამ ქალებთან და შემზარავი სანახაობა იყოო.

ნინო თომაძე: ქალები იყვნენ მარტო, ბატონო ალეკო?

ალეკო მიქაბერიძე: ქალები კი არა, ყველა იყო.

ნინო თომაძე: გამოთქმაც არსებობდა — კარვის ქალებივით იქცევიო.

ალეკო მიქაბერიძე: ვითომ ამით უნდოდა გამსახურდიას დამცირება და იმ ქალების შეურაცხყოფაც, რომ კარვის ქალი. ქალებიც იყვნენ იქ მიტინგებზე და კაცებიც იყვნენ. თუ იქით მხარეს იყო 10000 კაცი, გამსახურდიას მხარეზე იყო 20-25 ათასი კაცი. თვითონ გამსახურდია არ იყო ამისი მომხრე, ასეთი დაპირისპირებების. პოლიციამ უღალატა გამსახურდიას, პოლიციამ არაფერიც არ უღალატა, პოლიციამ შესთავა გამსახურდიას, შეიძლებოდა ამის დარეგულირება თრი გზით: პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით ან ძალის გზით. პოლიტიკური გზით პოლიტიკოსებს უნდა დაერეგულირებინათ, ძალის მხრივ ძალისმიერ თანამშრომლებს. პოლიტიკურ სფეროში ჩვენ არ ვერევით, ძალისმიერი გზით როგორ უნდა მომხდარიყო ამის დარეგულირება, რომ ეს ლიდერები, ვინც იყო, კიტოვანი, სიგუა და სხვები და სხვები, უკვე აღარ იყვნენ... მე წელანაც გითხარით, რომ არის ზღვარი, სანამ ხარ პოლიტიკოსი და როცა გადაცდები იმას, უკვე ხარ დამნაშავე. შეიძლებოდა მხოლოდ ამ ხალხის დაკავებით, რომლებიც უკვე ტანკით, ბეტეერით, იმით, ამით გავიდნენ თბილისის ზღვაზე და ავტომატჩამოკიდებულები იდგნენ ტელევიზიასთან ჯერ. მეც მქონდა ეს მოლაპარაკებები კიტოვანთან და სიგუასთან რამდენჯერმე. ვუთხარით, რომ ასე არ შეიძლება, ტელევიზიაში იჯდე და წინ ბეტეერი გეყენოს, არ შეიძლება. დატოვე, უნდა ტელევიზია დატოვოთ. დატოვეს ამის შემდეგ ეს ტელევიზია და წავიდნენ თბილისის ზღვაზე. პოლიტიკური ოპოზიციაა ესა? ეს ხომ შეიარაღებული ამბოხ-

ია. და ამ შეიარაღებული ძალის ნეიტრალიზება ისევ შეიარაღებული ძალით შეიძლება ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: გქონდათ თქვენ მაგისი საშუალება, რომ დაგეკავებინათ ესენი?

ალეკო მიქაბერიძე: რა თქმა უნდა. მე პირადად მქონდა ამაზე საუბარი გამ-სახურდიასთან.

ნათელა ვაჩნაძე: ეს რომელი თვეა, თუ გახსოვთ?

ალეკო მიქაბერიძე: ოქტომბერ-ნოემბერი. რომ შეიძლება ამის ასე გაკეთე-ბა, მხოლოდ იქნება მსხვერპლი, შეიძლება იყოს მსხვერპლი.

ნათელა ვაჩნაძე: წინასწარ ვინ რა იცის. მოსალოდნელია.

ალეკო მიქაბერიძე: ხო, შეიძლება იყოს მსხვერპლი. ამაზე მარტო პოლი-ცია და ძალისმიერი სამსახური პასუხიმებლობას ვერ აიღებს. ამაზე კატეგორიული უარი თქვა ბატონმა ზვიადმა, რომ ეს მხოლოდ პოლი-ტიკური გზებით უნდა დარეგულირდეს, არც ერთი კაცის სისხლი არ უნდა დაიღვაროს.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, შეცდომა ხომ არ იყო გამსახურდიას მხრი-დან, დღევანდელი გადასახედიდან.

ალეკო მიქაბერიძე: მე ამის შეფასების უფლება არა მაქვს და როგორ გითხ-რათ. მე ვიცი ფაქტი. ჯობია, მე მოვკლა ოცდაათი კაცი, ვიდრე მერე მოკლას სხვამ ასი კაცი. მერე რომ აღარ იქნებოდა სხვა რაღაცა, ხომ მარტო ეს დარჩებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: მკვლელი.

ნინო თომაძე: რატომ დარჩებოდა მკვლელი, არ დარჩებოდა.

ალეკო მიქაბერიძე: ჩვენ ეხლა ვუყურებთ ამ გადმოსახედიდან, რომ ჯობდა გამსახურდიას ის არ დაეშვა, ვიდრე მერე მოკვდა ათასობით, ხომ? ის რომ მოეხდინა გამსახურდიას და მომკვდარიყო 50 კაცი... ჩვენ ეხლა გვაქვს შედარების საშუალება და ვუყურებთ, ეს ჯობდა, თუ ის ჯობ-და, მაგრამ მაშინ იქნებოდა მარტო ერთი. შედარების საშუალება არ გვექნებოდა და იქნებოდა გამსახურდია პირსისხლიანი ჯალათი.

ნინო თომაძე: პოლიტიკოსის ლირსებაც ხომ სწორედ ის არის, რომ როდე-საც ექსტრემალურ ვითარებაშია, სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

ალეკო მიქაბერიძე: ეტყობა, სწორი ეს იყო, რაც მიიღო.

ნინო თომაძე: თქვენ ესე ფიქრობთ?

ალეკო მიქაბერიძე: მე, კიდევ ვამბობ, შეფასების უფლება არა მაქვს. რახ-ან ასე გააკეთა...

ნინო თომაძე: თქვენ ეთანხმებით მის მოქმედებას?

ალეკო მიქაბერიძე: ვეთანხმები, რა თქმა უნდა. მაგრამ ეხლანდელი გა-დასახედიდან ალბათ ჯობდა, რომ ისე გაეკეთებინა, როგორც ჩვენ

ვთვლით საჭიროდ. მაგრამ მაშინ აღარ გვექნებოდა შედარების საშუალება და ის დარჩებოდა პირსისხლიანი ჯალათი.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ ეს ერთი, არ გვეყოლებოდა მთელი თაობა გაულეტილი აფხაზეთის ომში. ეხლა ჩვენ ეს ვიცით. არ იქნებოდა სამეგრელო აოხრებული.

ალეკო მიქაბერიძე: ეხლა ვიცით და იმიტომ ვამბობთ, რომ ჯობდა, ეს გაეკეთებინა იმას, ვიდრე ეს მომხდარიყო. მაგრამ ის რომ გაეკეთებინა, ეს არ იქნებოდა და დარჩებოდა მარტო ის ფაქტი, რომ იმან ნახე, რა გააკეთა, კაცო? ათი კაცის სიცოცხლე ღირდა ხელისუფლების შენარჩუნებას? ამიტომაც ვეთანხმები, რომ ჯობდა, ასე გაეკეთებინა. სხვა დრო რომ ყოფილიყო და ჯერ ეს ფაქტი მომხდარიყო და მერე უკვე ზვიად გამსახურდია ჰქონდა მოქმედების საშუალება, ეს სხვა არის, უკვე როდესაც არჩევანის საშუალება გაქვს და როდესაც შენა ხარ პირველი და წინ მიდიხარ, პრეცენდენტებს შენ ქმნი, თუნდაც ორი კაცის სიკვდილი უკვე დიდი ტრაგედიაა. და ვინ იცის, ის რამდენიმე რამდენი იქნებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როცა დაიწყება რაღაცა, მერე ხომ უმართავი ხდება სიტუაცია. მერე ვინ აგოს ამაზე პასუხი, შენ მიეცი სიცოცხლე, შენ რომ უსპობ სიცოცხლეს?

ალეკო მიქაბერიძე: თქვენ წაგიკითხავთ, ბატონო ალეკო, ამ მოვლენების შესახებ რაიმე? ვინმესი რამე წაგიკითხავთ? რა შთაბეჭდილება მოუხდენია, თუ წაგიკითხავთ?

ალეკო მიქაბერიძე: წამიკითხავს მხატვრული ლიტერატურის დონეზე დაწერილი. გამოკვლევა, როგორც ასეთი, დოკუმენტალურად... მე, როგორც გითხარით, ასეთი საკითხებისაგან დავიღალე... ერთი და იგივეს გამეორება 16-17 წელი. მარტო პროკურატურაში ცხრაჯერ ვარ დაკითხული იმ საქმეზე. დამდლელია, მაგრამ ეს ისეთი დიდი თემაა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში და თქვენ კიდევ ისეთი პროტექტორები გყავდათ, რეკომენდატორები, რომ ვერც იმათ და ვერც იმათ ვერ ავუარე გვერდი და მოვედი და გიპასუხეთ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შემეძლო. თუ რამე გააინტერესებთ, კიდევ მზადა ვარ გიპასუხოთ. რომ გაამზადებთ, სასურველია, რომ გადავხედო.

ნათელა ვაჩნაძე: წაიკითხავთ აუცილებლად და ხელს მოაწერთ. ხომ არაფერს გვეტყოდით ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ. თვითმხილველი ხართ ყველაფრის.

ალეკო მიქაბერიძე: სამხრეთ ოსეთის შესახებ რას ვფიქრობ, რომ ბატონი პრეზიდენტის მოქმედება სამხრეთ ოსეთის საკითხთან დაკავშირებით იყო ასპროცენტიანად გამართულებული პოლიტიკურად, იურიდიულად, სახელმწიფო ბრივად, პატრიოტული პოზიციიდანაც და ყველა კუთხიდან. არავინ არ იცის, მე თქვენ ერთ რაღაცას მოგიყვებით.

ნათელა ვაჩნაძე: სხვებისთვის არ გიამპნიათ ეგ არასდროს, ეხლა რასაც იტყვით?

ალეკო მიქაბერიძე: ის, რაც მე ვიცი, იმის უფლება არა მაქვს, რომ ვთქვა და რასაც ვამბობ, ეგ შეიძლება ბევრმა იცის და სხვების პრეოგ-ატივაა საუბრის, მაგრამ... ხალხი საქართველოში მაინც... თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებით და იცით, ქართველი კაცის ფენომენი, ცოტა ზედაპირულია და არათანმიმდევრული, უცბათ ავიწყდება ბევრი რამე და სიღრმისეულად ჩაყოლა არ უყვარს, არ უყვარს კი არა, ეზარება. გამსახურდიას არ გაუუქმებია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მანდ მიდიოდა ასეთი პროცედურა, რომ ავტონომიურმა ოლქმა გამოაცხადა თავი ავტონომიურ რესპუბლიკად. ეს იყო არამართლზომიერი, უკანონო გადაწყვეტილება. ავტონომიურ ოლქს ამის უფლება არა აქვს. ეს ჯერ კიდევ გამოაცხადა გუმბარიძის პერიოდში, სანამ არჩევნები ჩატარდებოდა და გამსახურდია მოვიდოდა ხელისუფლების სათავეში. ავტონომიურმა ოლქმა გამოაცხადა თავი რესპუბლიკად და რესპუბლიკა გაუქმა გამსახურდიამ. შემდეგ კიდევ გამოაცხადა თავი ამან ავტონომიურ რესპუბლიკად და კიდევ გააუქმა გამსახურდიამ და კიდევ მესამეჯერ რომ დაიწყო, მერე ავტონომიური ოლქი გააუქმა მთლიანად, აბა, რა უნდა ექნა. ეს იყო მთლიანად მიმართული საქართველოს დაშლისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიის რუსეთთან მიერთების ერთ-ერთი წინაპირობა.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა შეუერთდებოდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, გაერთიანდებოდნენ ეს მიწა-წყალი, თავისი მოსახლეობით შევიდოდა რსფორ-ს შემადგენლობაში. ამას ყველაფერს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, უნინარეს ყოვლისა, გვირაბის მშენებლობა, რომელმაც გაამარტივა ეს ყველაფერი არა იურიდიულად, არამედ ფიზიკურად.

ალეკო მიქაბერიძე: ავტონომიური ოლქი შეერთებოდა, არ შეიძლებოდა?

ნათელა ვაჩნაძე: ოლქი რესპუბლიკას და რესპუბლიკაში შესულიყო, როგორც ოლქი?

ალეკო მიქაბერიძე: რესპუბლიკა რესპუბლიკაში ხომ არ შევიდოდა, გაერთიანდებოდა, ხომ? ისევე, როგორც შეიძლებოდა გაერთიანებულიყო ოლქი რესპუბლიკაში. აქ არის ძალლის თავი დამარხული.

ნათელა ვაჩნაძე: იცით, რაშია საქმე? როდესაც იქ უქმდება სტრუქტურა, იმას, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი თანამშრომელი ჰყავს, რამდენი ქვეშევრდომი ჰყავს, რამდენი მანქანაა, რამდენი ხელფასია და რამდენი ყველაფერი...

ალეკო მიქაბერიძე: ეს სულ სხვა რაღაცაა. საქმე იმაშია, რომ არც ავტონომიური ოლქი და არც ავტონომიური რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის. ეხლა იურიდიული მხრიდან მოგეხ-

მარებით. როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი წავიდა, გორბაჩოვმა მიიღო ასეთი დადგენილება ყრილობაზე, რომ ავტონო-მიური რესპუბლიკა გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, თვითონ რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკები. ეს მას სჭირდებოდა იმისთვის, რომ მათ მერე ხელი მოეწერათ სამოკავშირო ხელშეკრულებაზე რუსეთის ფედერაციაში. ამ პრინციპით უკარნახეს ოსებს, რომ ოლქს ამის უფლება არ ჰქონდა, გახდი რესპუბლიკა, მიიღე დეკლარირება და შემოდი რსფსრ-ში. ამ საფრთხეს ააშორა გამსახურდიამ საქართველო და ქვეყანა. თორემ მარტო ის კი არ იყო თვითმიზანი, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: ეს არსად არ წამიკითხავს?

ალეკო მიქაბერიძე: ამას ვერსად ვერ წაიკითხავთ, მე გეუბნებით.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

ალეკო მიქაბერიძე: ამაზე არ აკეთებენ აპერირებას იმიტომ, რომ ამ პერიოდის მანძილზე მიდის მიზანმიმართული დისკრედიტაცია გამსახურდიას პოლიტიკის.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ეს იციან და შეგნებულად ხდება მიჩუმათება.

ალეკო მიქაბერიძე: თუ არ იციან, მით უარესი მათვის, აბა, რა იციან მაშინ? ეგ ვინც უნდა ილაპარაკოს და ვინც უნდა დაწეროს, პოლიტიკოსები არიან და თუ იციან და არ ამბობენ, ვაია და თუ არ იციან და არ ამბობენ, უია.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, ოპოზიციამ ძალიან შეუტია პრეზიდენტს სწორედ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხზე. ძალიან დიდი დარტყმები მიიღო ამ ხაზით. ჩვენმა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმები, თვითონვე გაიტანეს უცხოეთში და გაავრცელეს — აი, რა ე. წ. სამხრეთ ოსეთში ქართველების მხრიდან. ცხენის ძუაზე გამობმული კაცი, სისხლის კალო და ათასი რამ. ეს ალბათ იცით თქვენ, ეს მასალა, რაც გავიდა საქართველოდან.

ალეკო მიქაბერიძე: ეს მასალა მე არ მინახია, თუმვა კი ვიცი, რომ გრძელდებოდა მასეთი რაღაცეები, მაგრამ მე გეტყვით თქვენ, რომ ეს არის ომი. როცა დაიწყება, ამას გინდა სამოქალაქო ომი დაარქვი, გინდა ავტონომიასთან კონფლიქტი დაარქვი, ომს აქვს თავისი წესები, რომ კლავენ ხალხი ერთმანეთს. მე ვიყავი, როგორც მოგახსენეთ, კომენდანტის მოადგილე ცხინვალის რეგიონში და ძალიან კარგად ვიცი ეს სიტუაცია, როგორ იყო და რა იყო. იქ იყო შინაგანი ჯარები — მაშინდელი საბჭოთა კავშირის ჯერ კიდევ აქ იდგა, რუსული შინაგანი ჯარები, რომელიც ამას არეგულირებდა, ამ საკითხებში იყო ჩარეული. რა თქმა უნდა, რუსეთის მხარეს უფრო იჭერდნენ და ქართველებს უფრო ავინროვებდნენ, მაგრამ ამ ომში მიხტომა-მოხტომა ყოველთვის ხდება. ბევრჯერ მინახია, 17 წელი გავიდა და ყველას გვარი არ

მახსოვს, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი, როგორ დაიჭირეს ოსებმა ბიჭი — ვირო ერქვა, გვარი არ მახსოვს, წერია გაზეთებში, როგორ მიაქს ხეზე და ცოცხლად დაწვეს. ასეთი ბევრი ამბავი იყო, ბევრი რაღაცები ხდებოდა. მარტო ქართველები კი არ აკეთებდნენ, იქითა მხარეც აკეთებდა და აქეთა მხარეც.

ნათელა ვაჩნაძე: სამწუხაროდ, რასაც ქართველები აკეთებდნენ, ეს საერთაშორისო სარბიელზე გავიდა, გავრცელება ჰპოვა და ეს ყველაფერი ოპოზიციის წისკვილზე ასხამდა წყალს და ოპოზიციის ხელით იყო გაკეთებული. ის, რასაც უკეთებდნენ საპირისპირო მხრიდან ოსები ქართველებს, ეს მასალა ასე არ გავრცელებულა და ასეთი პოპულარობა მას არ მოუპოვებია. აქაც ნიჭიერება გამოვიჩინეთ ქართველებმა ჩვენსავე საწინააღმდეგოდ, მაგრამ ჭეშმარიტება ყველაზე უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ასეთი იყო დევიზი. ჭეშმარიტება უნდა იდგეს ყველაზე მაღლა და ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა ამას, ვინ აკეთებს — ოსი აკეთებს, ქართველი აკეთებს თუ ვინ აკეთებს, ჩვენ სიმართლე უნდა ვაჩვენოთ და ფარდა უნდა ავხადოთ ყველაფერს. და როდესაც ფარდა აიხდებოდა, სამწუხაროდ, იქ ჩანდა ყველაფერი ის, რასაც ომში კეთებდნენ ქართველები.

ალეკო მიქაბერიძე: რა თქმა უნდა, სწორი ბრძანდებით. გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, არა? მე, წელან გითხარით, შეზღუდული ვარ ჩემი კომპეტენციის ფარგლებით შეიძლება ძალიანაც მინდა, პოლიტიკურ დებატებში ჩაგერთოთ და შეფასებები მივცე, მაგრამ არც მაშინდელი და არც დღევანდელი ჩემი მდგომარეობა მე ამის უფლებას არ მაღლევს. შეიძლება დავაფიქსიროთ, როგორც კერძო პირის აზრი, ხოლო როგორც თანამდებობის პირი და მოხელე, არ ვაფასებ.

ნათელა ვაჩნაძე: რა უნდა ექნა ადამიანს, მე არ მესმის. ე. წ. სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი, აფხაზეთი...

ალეკო მიქაბერიძე: აჭარა.

ნათელა ვაჩნაძე: აჭარა რა?

ალეკო მიქაბერიძე: იმ პერიოდისათვის იქაც რთული სიტუაციები იყო. იქ იყო ძალები, რომლებსაც უნდოდათ აჭარაში დესტაბილიზაცია — ქედა, ხულოს რაიონების ქართლი მუსულმანური მოსახლეობა აიყოლიეს და იმ პერიოდში იქაც დიდი გამოსვლები იყო ბათუმში. იყო გამოსვლები, რომ გვინდა მუსულმანი ხელმძღვანელი იყოს ჩვენი ხელმძღვანელი, გვინდა თურქეთთან კავშირი, გვინდა მეჩეთები გაიხსნა და მედრესები გაიხსნას. ბათუმში მაშინ ძალიან დიდი გამოსვლები იყო. ეს არის 91 წლის იანვარ-თებერვალში, გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლიდან თითქმის მომენტალურად. ყველა პრობლემა ერთად წამონიეს წიმა პლანზე.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ედგა ამას სათავეში?

ალეკო მიქაბერიძე: მე რამდენადაც მახსოვს, ხიმშიაშვილი იყო, მგონი.

ნათელა ვაჩნაძე: კი, მართალია, მერე მოსკოვში წავიდა. დაპირისპირება იყო ხიმშიაშვილსა და აბაშიძეს შორის და ეს დაპირისპირება მოდი-ოდა ფეოდალური საქართველოდან. გამახსენდა. მუსლიმური აჭარა უნდოდა ხიმშიაშვილს?

ალეკო მიქაბერიძე: ხიმშიაშვილს არ ვიცი რა უნდოდა, მაგრამ ხიმშიაშ-ვილს უნდოდა... რახან ერთი მხარე აქეთ იყო და მეორე იქით იყო, ე. ი. იმას ის არ უნდოდა, რაც აქეთ იყო, მერე გამოჩნდებოდა, იმას რა უნდოდა. იქ ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო. ყოველ წუთში ელოდ-ნენ თურქების მხრიდან... იქ რუსების ბაზა იდგა, ხომ იცით, გონიოს მხარე და კონფლიქტი მოსალოდნელი იყო იქაც ძალიან სერიოზული.

ნათელა ვაჩნაძე: ამ ყველაფერს დაერთო მიწისძვრა. ამას კიდევ დაერ-თო გაფიცვები, წინააღმდეგობები, გზები გადაიკეტოს, რკინიგზა გადაიკეტოს, დაინგრეს საწარმოები, არავინ არ იმუშაოს, ვიბრძო-ლოთ დამოუკიდებლობისთვის. და ამ დროს ოპოზიცია აყენებს ასეთ მოთხოვნებს — ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა მხოლოდ დამოუკიდე-ბლობისთვის, არავინ არ უარყოფს, რომ უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ დემოკრატიზაციაა მთავარი.

ალეკო მიქაბერიძე: ჯერ დემოკრატიისათვის და შემდეგ დამოუკიდებლო-ბისათვის.

ნათელა ვაჩნაძე: გამსახურდია ამბობს, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და-მოუკიდებლობისათვის და ეს არის უმთავარესი, ჩვენ უნდა გავხდეთ დამოუკიდებლები და ეგ არის მთავარი, ჩვენ უნდა მოვიყოვოთ აღი-არება, ეს არის მთავარი.

ალეკო მიქაბერიძე: მაგრამ დემოკრატიული გზებით. გამსახურდია არ უარყოფს დემოკრატიულ გზებსა და მეთოდებს და მმართველობას. რა, დიქტატორული იყო გამსახურდიას მართველობა?

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, ბატონი თენგიზი არ ამბობს ეხლა, როდე-საც ჩვენ დავიწყეთ მასთან მუშაობა, არ ამბობს, მე მეგონა, რომ ბა-ტონი თენგიზი იტყოდა, რომ დიქტატორი იყო გამსახურდია.

ნინო თომაძე: ბატონი თენგიზი იძახის, რომ გამსახურდია იყო ავტორი-ტარი, ავტორიტარული მართველობა ჰქონდაო.

ნათელა ვაჩნაძე: დრო გავიდა და ადამიანებმაც გადაიაზრეს ბევრი რამ, არა? აქ მთავარი კიდევ ის მომენტია, რომ გამსახურდიას ხელისუ-ფლების მიმართ ეხლანდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა და არ აქვს მტრული დამოკიდებულება. და ადამიანები თავისი კონფორმისტუ-ლი თუ... მაინც უფრო მეტად ანგარიშს უწევენ ხელისუფლების აზრს. აქ რომ მოსულიყო გამსახურდიას საწინააღმდეგოდ ამოქმედებუ-ლი, ან ადამიანების ისეთი ჯგუფი მოსულიყო, რომელიც სასტიკად გაილაშქრებდა გამსახურდიას წინააღმდეგ, მაშინ დიდი ნაწილი, სხ-ვათა შორის, იმღერებდა იმ ჰანგებს...

ალეკო მიქაბერიძე: ყოველ შემთხვევაში, ესენი მაინც, სიგუა მაინც იგივეს
იმღერებდა — აი, ხომ ვამბობდი.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა ნამდვილად არ ამბობს, როგორ დავაბრალო.

ალეკო მიქაბერიძე: ეხლა არც ხელისუფლება არის ამ განწყობაზე და
საზოგადოების შეფასება რადიკალურად განსხვავდება.

ნათელა ვაჩნაძე: იყავით დასაფლავებაზე?

ალეკო მიქაბერიძე: რა თქმა უნდა. ოჯახში მივედი, გასვენებაშიც ვიყა-
ვი, მთაწმინდაზეც ავედი. ვიცნობ ძალიან კარგად, პირადად ქალბა-
ტონ მანანას, ვიცნობ შვილებს — კოკოს, ცოტნეს, გიორგის, მაქვს
ნორმალური ურთიერთობა, ვებმიანებით, ველაპარაკებით, ვულო-
ცავთ, თუ რამეა მისალოცი. რომ არ ყოფილიყო ეს ურთიერთობაც
პიროვნული, მე პატონ ზვიად გამსახურდიას, როგორც ქართველს,
როგორც პატრიოტს, როგორც პრეზიდენტს, როგორც მებრძოლ
კაცს ძალიან დიდ პატივს ვცემდი და ეხლაც ვცემ. ეს პოზიცია მა-
ქვს მყარად და მკვეთრად დაფიქსირებული და ამ წლების მანძილზე
ყველგან. შეიძლება ცუდია, ასე მკვეთრად რომ ვაფიქსირებ, მაგრამ
აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია.

მერაბ ჩუხუა

2007 წლის 8 ივნისი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო მერაბ, თუ შეიძლება, ცოტა რამ გვიამბეთ თქვენ შესახებ, ოღონდ არა ის, თუ როგორ მოღვაწეობდით სამეცნიერო ას-პარზე, ამ მომენტში ეს არ არის მთავარი, მთავარი არის ეროვნულ მოძრაობაში როგორ მოხვედით, საერთოდ როგორი იყო თქვენი რწმენა, როდის დაუახლოვდით ამ ხალხს და ა. შ. თუ მეხსიერება არ მღა-ლატობს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახ-ურდიას, ჰყავდა თავისი წარმომადგენელი ევროპაში, გვარად ჩუხუა. გენათესავებოდათ?

მერაბ ჩუხუა: არა, მე...

ნათელა ვაჩნაძე: ღონდონში ცხოვრობდა.

მერაბ ჩუხუა: არა.

ნათელა ვაჩნაძე: კარგით, კი, ბატონო, გვიამბეთ მაშინ, დავიწყოთ.

მერაბ ჩუხუა: ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1986 წელს მე აღმოვჩნდი სამეცნიერო მივლინებით ჩრდილოეთ კავკასიაში, ინგუშეთში. ჩემი მასპინძელი გახლდათ სულთან ბატიევი, ინგუში, დღეს უკვე ცნობილი ინგუში მოღვაწე და მეცნიერი, მაშინ უბრალოდ სკოლის მასწავ-ლებელი ქალაქ ნაზრანში. მასთან ურთიერთობის დროს, ვსწავლობდი რა ინგუშურ ენას და ყოფას, მე დაუახლოვდი ინგუშეთის ეროვნული მოძრაობის აღიარებულ ლიდერს და მაშინ რეპრესირებულ ყოფილ პოლიტპატიმარს, ბატონ ისა ქაძოევს, რომლის ოჯახშიც გავატარე ჩემი ამ ერთოვანი მივლინების ნახევარი. ხოლო როდესაც დავბრუნდი საქართველოში, 86 წლის შემოდგომა გახლავთ, ნოემბერში საქა-რთველოში იყო დიდი ცვლილება კლიმატური, ძალიან ცუდი და ავი დღე დაადგა სვანეთს და ზემო რაჭას. მოგეხსენებათ, ზვავები საშინე-ლი, და ამ დროს სახლში მივიღე შეტყობინება... ვცხოვრობდი, სხვათა შორის, გროზნოს ქუჩაზე, თბილისში. ეს არის მაღაენების ბაზართან. ...მივიღე შეტყობინება ფოსტიდან, რომ ამა და ამ ნოემბერს ინ-გუშეთიდან, ჩეჩენეთ-ინგუშეთი იყო მაშინ, თქვენ სასაუბროდ გინვევთ ისა ქაძოევი. მე, რა თქმა უნდა, დათქმულ დროს იქ აღმოვჩნდი, მა-გრამ მანამდე მოხდა უფრო მნიშვნელოვანი: მე მივიღე ისა ქაძოევის-გან პირადი წერილი, მაგრამ ეს პირადი წერილი რატომდაც იყო საბე-ჭდ მანქანაზე აწყობილი და ის ეხებოდა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობას, მაგისტრალს, რომელიც განადგურებით ემუქრებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიას და განსა-კუთრებით საქართველოს მთას და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს.

და მე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი წერილი და მით უფრო უკვე გამოძახება მაგისი... ამის შემდგომ ჩვენ ვისაუბრეთ ფოსტაში პლეხანვზე. მან მოიკითხა სვანეთის დაზარალებულები და ბოლოს, საუბრის ბოლოს, ერთადერთი კითხვა დამისვა: მიიღეთ თუ არა ჩემი წერილი. მე ვუთხარი, რომ წერილიც მივიღე და გადაწყვეტილებაც მიღებული მაქვს. მეტი ჩვენ არ გვისაუბრია. ამის შემდგომ ეს წერილი რამდენიმე ჩემს ახლობელ ადამიანს გავაცანი, შევუცვალე მას ის სათაური, დავარქვი ბრატი გრუზინი, ნაცვლად დირიგი მერაბისა და ექვს-ექვს ეგზემპლარად ვთხოვე გადაბეჭდვა ჩემს მეზობელ გოგონებს, რომლებიც ერთ-ერთ ინსტიტუტში... **МНИТМЕ** იყო ესეთი ინსტიტუტი თბილისში, ნახევრად გასაიდუმლოებული, იქ მუშაობდნენ გოგონები და მათ ვთხოვე, აეკრიფათ ეს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო ქსეროასლების აპარატურა და ამიტომაც ექვსი ეგზემპლარი გავუგზავნე რამდენიმე პიროვნებას. მათ შორის, მუხრან მაჭავარიანს, ნოდარ ნათაძეს, მერაბ კოსტავა მაშინ არ იყო ჯერ გარეთ, და ბატონ ზვიადთან დაახლოებულ პირებს და შემდგომში ამას მოჰყვა ძალიან აქტიური რეაქცია ქართული საზოგადოებისა. ჩემთან მოვიდა ბატონი გივი ლამბაშიძე, რომელიც დღეს კავკასიის ფონდის მეთაურია. ეს გახლავთ 86 წლის ბოლო თვეები, დეკემბერი ალბათ, თუ მესსიერება არ მღალატობს. წავიდა, ამ წერილებმა თავისი საქმე გააკეთა, ესე ვთქვათ, საზოგადოებაში გავრცელდა, სადაც ისა ქაძოევი ქართველებს მოგვიწოდებდა საკუთარი ეკოსისტემის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისაკენ და თან მსაყვედურობდა, რომ რატომ ქართული საზოგადოება ხმას არ იღებს, მაშინ როდესაც თვით ლენინგრადელი არქეოლოგებიც კი აპროტესტებენ ქართული ამ ბუნების მშვენებისა და ისტორიული კომპლექსების წინააღმდეგ მიმართული ვანდალური საქციელის... უკვე აფეთქებული იყო რამდენიმე საფლავი, როგორც საქართველოს მხარეს, ასევე ინგუშეთის მხარესაც და იწყებოდა... და აი ამას მოჰყვა ყველაფერი ის, რაც შემდგომში ხდება. მე დავუახლოვდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მაშინ ჯერ კიდევ არგამოკვეთილ, მაგრამ წევრებს, ინტელიგენციის ე. წ. წარმომადგენლებს და თანდათანობით... ბოლოს მოხდა ისე, რომ ეს წერილი აღმოჩნდა ბატონ ზვიადთან და პირველი იყო ზვიად გამსახურდია, რომელმაც ეს წერილი გამოაქვეყნა. მწერალთა კავშირში იყო სხდომა, სადაც ბატონი ზვიადი ესწრებოდა ამ სხდომას. მას თავიდან სიტყვის მიცემას არ უპირებდნენ, მაგრამ შემდგომ პროტესტი იყო ძალიან დიდი მუხრან მაჭავარიანისა და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ზოგიერთი მწერლისა და ამის შემდგომ...

ნათელა ვაჩნაძე: ცოტა, ცოტა...

მერაბ ჩუხუა: ძალიან ცოტა, მე ამას ვაღიარებ. ...და შემდგომში, მოგეხსენებათ, იყო, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელი კრება, ერთ-ერთი, ჩატარდა მუხრან მაჭავარიანის სახლში. მე ამასაც

ვესწრებოდი, ამ კრებას და ამის შემდგომ თანდათანობით, ბატონი მერაბი რომ გამოდის ასპარეზზე, მე მერაბ კოსტავა და ისა ქაძოევი ერთმანეთს შევახვედრე აქ, თბილისში, ერთ-ერთი აქციის დროს, რომელიც ცნობილი არის — უნივერსიტეტის პირველი აქცია, გახსოვთ ალბათ ძალიან კარგად — აი იქ მერაბ კოსტავას შევახვედრე. ბატონმა მერაბმა მოიხმო ირაკლი წერეთელი მაშინ და გააცნო და უთხრა: აი, ნამდვილი კავკასიელი. შემდგომში შეხვედრა იყო და ამ შეხვედრაზე ძალიან დიდი, ასე ვთქვათ, საუბარი დიდ თემებზე გაიმართა და მე შევნიშნე, მერაბ კოსტავას ძალიან აინტერესებდა, ეს ჩვენი ჩრდილოკავკასიელი ძმები არიან თუ არა შემწყნარებლური რელიგიური თვალსაზრისით, რაზეც ისა ქაძოევმა ნაბიჯით უპასუხა: მან ქართულ ეკლესიაში სანთელი დაანთო. ანუ ყოველგვარი ეჭვი იმისა, რომ ჩრდილოკავკასიელი მუსლიმები არიან ფუნდამენტალისტები და იბრძვიან და იბრძოლებენ ამ ფუნდამენტალიზმის იდეალების დასამკვიდრებლად, ეს განიქარვა იმთავითვე და კარგი იყო, ეს რომ მოხდა. შემდგომში ეს ურთიერთობა ძალიან ღრმა გახდა, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდგომ, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც ბატონმა ზვიად გამსახურდიამ არაოფიციალურად მოახერხა ჩასვლა ჩრდილოეთ კავკასიაში, ის იყო ინგუშეთში. სამწუხაროდ, მე მაშინ ვერ ვახლდი ბატონ ზვიადს, მაგრამ ეს კავშირები ისა ქაძოევთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა წარმომადგენლებთან, რომლებსაც ხელს უწყობდნენ, სხვათა შორის, როგორც უხუცესთა წარმომადგენლები, ასევე რელიგიური ლიდერებიც, გაფართოვდა და გაიშალა. და 9 აპრილის გამარჯვების დამეს, ამ დიდ ტრაგედიასთან ერთად, სულ მალე გამოეხმაურნენ ინგუშეთში და ჩეჩენეთში. და პირველი დელეგაცია იქიდან ოფიციალურად ჩამოვიდა, აი ამ რუსებისგან ალყაშემორტყმულ თბილისში შემოვიდნენ ისინი და რაღაც წარმოუდგენელი რამ... ეს არის ძალიან დიდი ვაჟკაცობა არა მხოლოდ მოქალაქეობრივი, რაც მათ ჩაიდინეს და შეხვდნენ საქართველოს პატრიარქს, მე მივიყვანე. საპატრიარქოსთან იყო 9 აპრილის ფონდი, მოგეხსენებათ, და აი ამ ფონდში აი ამ ინგუშურმა დელეგაციამ შეიტანა, მაშინდელი ალბათ არც ისე მცირე თანხა, 5000 მანეთი/რუბლი და შემოსწირეს ჩვენს... შემდგომ იყო ინგუშეთის მოძრაობა, უკვე ჩეჩენეთიც გამოჩნდა, თავიდან ხოჯა მისულტანოვის სახალხო ფრონტი და შემდგომ უკვე ჯოხარ დუდაევი. ეს იყო... 1990 წელს ჯოხარ დუდაევი გამოდის ასპარეზზე. და არავინ არ იცის, მაგრამ ძალიან საჭიროა ისტორიისთვის ის ფაქტი, რომ მანამ, ვიდრე ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი ერთმანეთს შეხვდებოდნენ ყაზბეგში 91 წლის ზაფხულს, მის დასაწყისში, ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ. და ეს მოხდა 1990 წლის ბოლოს.

ნათელა ვაჩნაძე: უკვე „მრგვალი მაგიდა“ იყო გამარჯვებული 28 ოქტომბრის არჩევნებში...

მერაბ ჩუხუა: დიახ, დიახ, არჩევნებში იყო გამარჯვებული, რამდენიმე თვე

გასული და დეკემბერი. მე ვიცნობდი მანამდე ბატონ ჯოხარს, მქონდა მასთან ურთიერთობა, ვინაიდან გროზნოში ისხდნენ როგორც ჩეჩინური კონგრესი, ასევე ინგუშური კონგრესი და ინგუშურ კონგრესთან მე ხშირად ვიყავი მიწვეული ბატონი ისას მიწვევებით, როგორც მეგობარი ოჯახობრივად უკვე, იმიტომ, რომ მე დიდხანს მიცხოვრია მანდ და გავიცანი ჯოხარ დუდაევი, რომელმაც პირველსავე შეხვედრის ღამეს სახლში დამპატიუა. მისი სახლი მდებარეობდა ძმის ოჯახში. ეს იყო შექსპირის ქუჩა 1-ლი, ნომერი 1-ლი და ბატონმა ჯოხარმა იქ ძალიან დიდი სურვილი გამოთქვა ბატონ ზვიადთან დაახლოების, შემდგომში მე ეს ბატონ ზვიადს, რა თქმა უნდა, მოვახსენე. და გახსოვთ ალბათ, ერთი ქისტი ბიჭი, ძალიან კარგი ქართველი პატრიოტი მათე ციხესაშვილი, რომელიც შემდგომ უკვე... აი ეს რომ მოხდა, შეთანხმება ბატონ ზვიადთან, თან ახლდა ბატონ ჯოხარს და საიდუმლოდ ბატონი ზვიადი და ჯოხარი ერთმანეთს შეხვდნენ აქ, თბილისში, რის შემდგომაც მე ბატონმა ზვიადმა დამიძახა, ცხადია, გარკვეული მივიღე ახსნა-განმარტებები და კიდევ უფრო აქტიური გახდა ჩვენი ურთიერთობა ჩეჩინეთან. აი ასე დაიწყო და ასე გაგრძელდა. აი ამ კუთხით ვიყავი მე ყოველთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ვთვლი, რომ დღესაც ამ კუთხითა ვარ, ამ ნიშნითა ვარ, ანუ საქართველო და კავკასია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, ჩვენი თანამოძმებები, რომლებიც საქართველოსთვის არიან მტკიცე და მყარი დასაყრდენი ყოველთვის, ისე, როგორც საქართველო არის მათთვის, როგორც თვითონ აღიარებენ, კავკასიის გული.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ, როგორც კავკასიოლოგს, ენათმეცნიერს და ზოგადად კავკასიის საკითხებში ჩახედულ ადამიანს, როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ საერთო კავკასიური სახლი, რომლის მომხრე იყო ზვიად გამსახურდია და მერე, მე ვფიქრობ, სხვებმაც აიტაცეს ეს იდეა, მაგრამ იქ ცდილობდნენ წაეშალათ კვალი გამსახურდიასი.

მერაბ ჩუხუა: ცხადია. 1989 წელს ბატონი ზვიადი დასავლეთ საქართველოში მიდიოდა და მის ამ ესკორტს, ასე ვთქვათ... მოგეხსენებათ, დიდი იმით დადიოდა ხოლმე ბატონი ზვიად გამსახურდია, ყველა მივსდევდით ჩვენ და... რიკორდზე გაჩერდა, ბატონმა ზვიადმა გააჩერა ეს. ...და დამიძახა და მითხრა: ხედავ, კავკასიის მოძრაობა, შეიძლება, საშიში გზით წავიდეს. და იქვე დააყოლა ბატონმა ზვიადმა, რომ: აი, შეხედეთ, იქნება კავკასიის კონფედერაცია საქართველოს 9 აპრილის მოძრაობის საპირისპიროდ. აი ეს შეფასება გააკეთა ბატონმა ზვიადმა, რომ აი ეს მოძრაობა, ჩრდილოეთ კავკასიური კონფედერაცია, არის მიმართული 9 აპრილის მოძრაობის საპირისპიროდ და ფხიზლად უნდა ვიყოთ, ჩვენ უნდა გავააქტიუროთ ჩვენი მონაწილეობა ჩრდილოთ კავკასიაში. გამართლდა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი. გაზეთი „Кавказ“-ი გამოდიოდა, მოგეხსენებათ, გამოსცემდა ეს კონფედერაცია. კონფედერატები — ესე უნოდებდნენ მაშინ მათ. შემდგომში, უკვე 91 წელს,

ბატონი ზვიადი რომ ჩავიდა სოხუმში, სტადიონზე რომ ჰქონდა უშველებელი შეხვედრა და აფხაზებიც ესწრებოდნენ, საბედნიეროდ, ამ შეხვედრას და ჩრდილოკავკასიელებიც, მათ ბატონ ზვიადს გამოუგზავნეს გაზეთი „კავკასია“. ცხადია, უარყოფითად არ შეუფასებია ბატონ ზვიადს ამ გაზეთის მოღვაწეობა, მაგრამ მისი რედაქტორი, მუსა თემიშვილი, ეროვნებით ჩეჩენი, შემდგომ იხსენებდა, რომ ჩვენს კარგი იდეას იმთავითვე შემოაპარესო კვბ-ს და გრუ-ს აგენტებიო. ესენი იყვნენო: არძინბა, მისი მეთაური, მთელი ამ კონფედერაციის, მუსა შანიბა, იგივე შანობოვი და ბევრი პიროვნება მან ჩამოთვალა, მაგრამ ჩვენ მაშინ... არ ვიცოდიო, ის აღიარებს, ალბათ გულწრფელია ეხლა მაინც ამაში, რომ მათ არ იცოდნენ, რომ ესე იყვნენ ანტიკავკასიელები. და შემდგომში უკვე, მთელი ეს პერიოდი ბატონი ზვიადის მოღვაწეობისა, და დიდი წინააღმდეგობა, რაც ბატონ ზვიადს თავს დაატყდა, რა თქმა უნდა, გამომდინარე არის, თუ მთლიანად არა, ნახევრით მაინც მისი კავკასიური პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც უნდა ყოფილიყო საერთო საკაცობრიო აი ამ პროცესებში ინტეგრირებული და ის ღირებულებები, რასაც ბატონი ზვიადი აღიარებდა — ერების თავისუფლება, ხალხთა თავისუფლების იდეა — უპირველეს ყოვლისა, მისთვის ნიშნავდა კავკასიის თავისუფლებას. შემდგომში მე, 92 წელს, ჩამოვაყალიბები იბერიულ-კავკასიური მოძრაობა, რომლის წესდებაში... წესდება, რომელიც მივუტანე ბატონ ზვიადს, უკვე გროზნოში მყოფს, მან წამინერა იღიას სიტყვებით, მისურვა...

ნათელა ვაჩნაძე: აკი წერა-კითხვა არ იცოდაო და როგორ წაგინერათ...

მერაბ ჩუხუა: ეს სასაცილოა უბრალოდ ესეთი რამ. ...ჯერ დაწერა, რომ გისურვებთ, ეს მოძრაობა გამხდარიყოს სრულიად კავკასიური თავისი მასშტაბებით და შემდგომ იღიას სიტყვები: „და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება“. შემდგომში მან გროზნოში ჯოხარდუდაევთან ერთად სცადა ეს და გააკეთა კიდევაც „მრგვალი მაგიდის“ პირველი სხდომა, რომელსაც მთელი ჩრდილოკავკასიური წარმომადგენლობა საქართველოსთან ერთად ჰყავდა, ჩეჩენებიცა და ინგუშებიც ესწრებოდნენ სულ რეგულარულად, იმართებოდა მეტად... ღირებული და პერსპექტიული იყო ეს საქმე და გაიშალა კიდევაც. თქვენ არ იცით, და მეც არ ვიცოდი, მაგრამ შემდგომში გამოიკვეთა, რომ თურმე ბატონი ზვიადი და ბატონი ჯოხარი ჩეჩენეთიდან გადიოდნენ ბატონი ზვიადის იქ ყოფნის დროს. იყვნენ ჩერქეზები, ყარაჩაი-ჩერქეზეთში, იყვნენ ინგუშეთში. გესმით? და აი ესეთ მუშაობას...

ნათელა ვაჩნაძე: ეს მე არ ვიცოდი, რომ გადიოდნენ. როგორ გავიდოდა, ეს ვერც კი წარმომადგენია...

მერაბ ჩუხუა: მეც არ ვიცოდი... ბატონ ჯოხართან ერთად. ...ეს საოცარი შეხვედრები იყო, ეს ყველაფერი...

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მოძრაობაში მოიყვანა იქაურობა.

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მოძრაობა იყო. და მისი ეს დამოკიდებულება საერთო კავკასიური სახლისა თუ საერთო კავკასიური მოძრაობისა, იდეალების, კავკასიური ცნობიერების და აი ამ კავკასიური იმპულსის გასაღვიძებლად, საერთო კავკასიური ცნობიერების განსამტკიცებლად შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, რუსეთისთვის არ ყოფილა. და რამდენიმე წლის შემდგომ (ელცინის მრჩეველი გახლდათ სატაროვი, მოგეხსენებათ) ბოლოს კომენტარი გააკეთა. მას ჰკითხეს: კი, მაგრამ ეხლა, 94 წლის 11 დეკემბერს რომ დაიწყეთ ომი ჩეჩენეთის წინააღმდეგ, რატომ აქამდე დააცადეთ ჯოხარ დუდაევს... 91, 92, 93, 94, 4 წლი რატომ გააძლიერეთ და მერე რატომ დაიწყეთ თქვენ ომი? მან უპასუხა: თქვენ უნდა გახსოვდეთ ყველას, როცა მოვიდა ჯოხარ დუდაევი ხელისუფლებაში, თბილისში მისი მონათესავე და მთარველი მოძრაობა არსებობდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სახით და სანამ ჩვენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას საბოლოოდ არ გავანადგურებდით როგორც თბილისში, ასევე მთელ საქართველოში და, განსაკუთრებით, სამეგრელოში, ჩვენ ვერ დავიწყებდით ორ ფრონტზე ბრძოლას...

ნათელა ვაჩნაძე: ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიაში და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიაში.

მერავ ჩუხუა: დიახ.კავკასიის ამ ორ აბუნტებულ რესპუბლიკაში ვერ დავიწყებდითო ჩვენ ომს. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ზვიად გამსახურდია არ იყო ცოცხალი, ჩვენ ამაში დავრჩნენდით და მხოლოდ ამის შემდეგ უკვე ერთ ფრონტზე, ჩვენი მოკავშირე შევარდნაძის წყალბით, ჩვენ დავიწყეთ ომი ჯოხარ დუდაევის რეჟიმის წინააღმდეგო, როგორც ის ამბობს. სინამდვილეში ეს იყო დემოკრატიული წესით არჩეული პირველი ჩეჩენი პრეზიდენტი, ისევე როგორც ზვიად გამსახურდია იყო საქართველოში.

ნათელა ვაჩნაძე: როდესაც ბატონმა ზვიადმა გროზნოსკენ აიღო გეზი და გადავიდა, როგორ ფიქრობთ თქვენ, ეს სწორი ნაბიჯი იყო მისი მხრიდან თუ შეცდომა? მაგალითად, მე ვიცი ხალხი, ვინც თვლის, რომ ეს იყო შეცდომა. როდესაც შენ გადადიხარ რუსეთის ტერიტორიაზე, და ასე აღიქმებოდა მაშინ ჩეჩენეთი, არა? ეს იყო რუსეთის ტერიტორია და არავითარი პრეზიდენტი იქ ოფიციალურად აღიარებული არ იყო, და ჩეჩენეთის არავითარ დამოუკიდებლობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, არის ასეთი თვალსაზრისი..... მას შეეძლო წასულიყო ნებისმიერ ქვეყანაში ევროპის. პირდაპირ ამბობს ბატონი თენგიზი...

მერაბ ჩუხუა: ვინ არის თენგიზი?

ნათელა ვაჩნაძე: სიგუა. შევთავაზე ნებისმიერ ქვეყანაში წასულიყო.

მერაბ ჩუხუა: თენგიზ სიგუა არის კრიმინალი და მისი აზროვნებაც არის კრიმინალური. ეს არის ადამიანი, რომელიც ამკვიდრებს ისეთ სქემებს, რომელსაც რეალობასთან არაფერი არა აქვს საერთო და,

მით უფრო, ჩვენი ქვეყნის მომავალთან არ შეიძლება რომ მას რამე საერთო ჰქონდეს. ეს პიროვნება, რომელიც ავტომატით ხელში ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად მისდევდა თვით სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრამდე...

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიყავიო.

მერაბ ჩუხუა: როგორ გეკადრებათ, ეს ცნობილი ფაქტია. და აქ, თბილისში, მათ უსაყვედურეს, ცოცხალმა როგორ გაგასწროთო. არ მინდა დავასახელო, ვინ თქვა ეს, მაგრამ არ უნდა ეთქვა ისეთ პიროვნებას აი ესეთი რამ. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი — ბატონი ზვიადის ყოფნა იჯევანში.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ შეიძლებოდა, რომ ევროპაში წასულიყო?

მერაბ ჩუხუა: როგორ?

ნათელა ვაჩნაძე: მე ვაძლევდიო ამის გარანტიას.

მერაბ ჩუხუა: მისი გარანტია არარსებული გარანტია არის და მისი გარანტია იქნებოდა ისეთივე მართალი, როგორც იანაევის ოქმი, რომლის შესახებაც ის დიდხანს ატყუბდა საქართველოს და, საერთოდ, ცივილიზებულ კაცობრიობას, მსოფლიოს.

ნათელა ვაჩნაძე: არ არსებობს იანაევის ოქმი?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, არ არსებობს, ისევე, როგორც კენის ხორცმა ვერ ჩამოალწია საქართველომდე...

ნათელა ვაჩნაძე: ყველა აი ამ ორ ფაქტს უსვამს ხაზს...

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რამე არის: ეს პიროვნება არის საშიში პიროვნება, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დღეს რამეს წარმოადგენს, დღეს ის არაფერს არ წარმოადგენს, მაგრამ მან დანერგა საქართველოში კანონიერად არჩეული ხელისუფლების და ხალხის არჩევანის ფეხქვეშ გათელვის პრეცედენტი. აი ეს პიროვნება არის თენგიზ სიგუა, რომლის არც ერთი სიტყვა, არც ერთი ნერვი, არც ერთი ძაფი ნერვისა არ არის სანდო, იმიტომ, რომ მან საქართველოს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და ეს განაჩენია მთელი მისი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მოძმე ხალხების მიმართ. სხვათა შორის, ეს ფრაზა, რომ იჩქერიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა — ჩეჩენეთი ანუ, არის რუსეთის სამხრეთი, გამოიყენა ასევე ყველა ჩვენგანისთვის თავის დროზე პატივცემულმა რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა თავის სამარცხვინო ფილმში რუსულად — “Грузия одна”, რომელიც ჯერ კიდევ არგაციებულ ზვიად გამსახურდიას, მიცვალებულს, მიაყოლა როგორც გესლი, მომაკვდინებელი გესლი, მაგრამ მათ აზროვნებას და მათ მიმართულებას არაფერი არ აქვთ საერთო მარადისობასთან. ზვიად გამსახურდიამ დატოვა გზა, რომელიც არის მარადიული. ეს არის ხიდი საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის. მან პირველმა, ყოველ შემთხვევაში, ცოცხალ სამყაროში, ყოველ შემთხვევაში, ისტორი-

აში მე პირველად ვნახე ცოცხალი საქართველოს მეფე, პრეზიდენტი, რომელმაც აღიარა საქართველოს კავკასიურობა და მისი როლი არა მხოლოდ გეოპოლიტიკური, არამედ სულიერი როლი კავკასიაში. და მან თქვა: კავკასიას არ ჰქონდა საქართველო არასდროს დაპყრობილი და თუ ჩვენ ვამბობთ — „ნიკოფისიდან დარუბანდამდის“, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ საქართველო აზროვნებდა ნიკოფისიდან დარუბანდამდის. მე დავამატებდი ჩემი მხრიდან მოკრძალებით, რომ აյ არის ხაზგასხმა საერთო კავკასიურ ცნობიერებაზე, რომლის ფუნდამენტი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი წევრი ჩვენ ვიყავით, ჩვენი ერი იყო, ჩვენი სახელმწიფო იყო და ამიტომაც მოდის ის დიდი სითბო, რომელიც ჰქონდა საქართველოს მეფეს. ხოლო სიგუასთვის და, სამწუხაროდ, აი ამ რეუისორისთვის, პატივცემული რეუისორისთვის, ოთარ იოსელიანისთვის, გროზნო, ნალჩიკი, ნაზრანი, მახაჩკალა, იგივე ანუ დადესტნურად, არის რუსეთის ქალაქები, ისე როგორც თვითონ იყვნენ თავის დროზე რუსეთის მოქალაქეები და დღესაც რუსული აზროვნებით და რუსული მენტალიტეტით ცხოვრობენ ისინი. ისინი ვერასდროს ვერ გაიგებენ, ვთქვათ, ვინ იყო ბაისანგული, ან ვინ იყო, ვთქვათ, შეიხ მანსურ უშურმა, ან ვინ იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რა ჰქონდათ ამათ ერთმანეთთან საერთო, რატომ, ვთქვათ, გაიხიზნა, რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩრდილოეთ კავკასიაში ალექსანდრე ბატონიშვილი და რატომ არ წავიდა, ვთქვათ, ქუთაისში. აი ეს მენტალიტეტი, შეძენილი, რა თქმა უნდა, რუსეთუმეობა, დღემდე მოსდევდათ, საქმეც სახეზე არ არის? შედეგიც სახეზე არ არის? თქვენს ნაშრომს რა ჰქვია?

ნათელა ვაჩნაძე: „დამარცხებული საქართველო“.

მერაბ ჩუხუა: ვინ დაამარცხა? მაგრამ ვერ დაამარცხეს, ისევე როგორც ილიას მკვლელობა ვაუა ფშაველამ გააპროტესტა ერთადერთი ფრაზით, უკვდავი ფრაზით — ვერ მოჰკლეს — ისევე ვერ დაამარცხებენ საქართველოს, ეს გამორიცხულია.

ნათელა ვაჩნაძე: სამუდამო დაამარცხება ამაში არ ჩამიდევს. ეს იყო დამარცხება... ახლა რომ ჰგონიათ, რომ გაიმარჯვეს და რომ ჰგონიათ, რომ გადატკეპნეს მთელ ქალაქი და მთელ საქართველოს გადაუარეს, ვიღაცას ჰგონია, აღბათ, რომ გაიმარჯვა, მაგრამ მე მგონია, რომ დამარცხდა. ადამიანი, რომელმაც ტანკით გადაუარა თავის ქვეყანას, ეს ადამიანი, მე მგონი, დამარცხებულია და თვითონ ქვეყანაც...

მერაბ ჩუხუა: ცხადია.

ნათელა ვაჩნაძე: ...მე ვფიქრობ, რომ ისიც დამარცხებულია. პოზა მარტო, რომ გამარჯვებული ხარ, ეგ არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ რა მაკვირვებს, იცით, ბატონო მერაბ? 16 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე, სადაც თენგიზ სიგუა იყო ლიდერი და ამდენი ხალხი... მე ხომ ვნახე ეს ხალხი...

მერაბ ჩუხუა: კი, სამწუხაროდ, მეც ვნახე შორიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ...მე არ შეიძლებოდა, რომ არ მენახა. მე არავის მხარეს არა ვარ, არაფრის მხარეს არა ვარ, არაფერი არ მაინტერესებს, მე მაინტერესებს სიმართლე, და მე მაინტერესებს, რომ რას ნიშნავს ეს, რომ ამდენი ხალხი გაჰყოვა ბატონ თენგიზ სიგუას? ეს მთელი ერი ხომ არ არის, მაგრამ რას ნიშნავს ეს? თქვენი კომენტარი მინდა.

მერაბ ჩუხუა: ალბათ ეს არის ის ნომენკლატურული უმრავლესობა საქართველოში, რომელიც ემსახურებოდა კომუნისტურ იდეალებს იქ შეკრებილები. შეიძლება, იქ რამდენიმე არის დისიდენტი ვიღაცეები, წარსულით ვამბობ, მაგრამ ეს მასა, გროვა ამ ხალხისა, ძირითადად იყო აი ამ ნოსტალგიით შეპყრობილი. სხვათა შორის, ბატონი ზვიადი ერთ-ერთ თავის ინტერვიუში წერს, რომ ჩვენ ვართ, განსაკუთრებით ჩეჩენებთან შედარებით, უკან ერთ რამეში: და რა... მან თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არასდროს არ ემორჩილებოდა კომუნისტურ რეჟიმს...

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ უფრო გაყიდულები ვართო, გახრნილები ვართო, გახრნილები...

მერაბ ჩუხუა: ...ჩვენ, ის ამბობდა, უფრო შეგვეხო კომუნიზმი, ვიდრე ჩეჩენებს, მან შემოაღწია ჩვენს ყოფაში, ყოველდღიურობაში და ის გახდა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და ამიტომ ამას ვფიქრობ მე, რომ ეს მახსენდება ხოლმე, როცა იმ 40 ათას ადამიანს... იმაში ზის. შეიძლება, ის სულაც ქურდული მენტალიტეტისაა, ან რაღაცა ათასგვარი უბედურების, მაგრამ მისვლით ის სწორედ ამიტომ... პოტენცია მის მისვლაში სწორედ ამნაირი დევს, რომ ის არის მსხვერპლი კომუნიზმისა, რომელმაც საქართველოში შემოაღწია და რომელიც გახდა შემადგენელი ნაწილი ჩვენი ყოველდღიურობისა, ჩვენი ცხოვრებისა...

ნათელა ვაჩნაძე: ეს ნაკლებ შეეხო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, ვერ მოასწრეს...

ნინო თომაძე: მე დავუსვი თენგიზ სიგუას ესეთი კითხვა: ბატონო თენგიზ, ხომ დამეთანხმებით ერთ რამეში, რომ შევარდნაძემ დაანგრია და ააოხრა ეს ქვეყანა? ზვიად გამსახურდიას ჰქონდა-მეთქი იმდენი შეცდომა, რამდენიც შევარდნაძეს? არაო, როგორ შეიძლება მაგათი შედარებაო. აბა მაშინ შევარდნაძე რატომ აღარ ჩამოაგდეთ-მეთქი. ამ კითხვაზე მან პასუხი ვერ გამცა.

მერაბ ჩუხუა: როგორ გაგცემდათ. ერთიც და მეორეც არის კგბ-ს აგენტი. შევარდნაძე კგბ-ს გენერალია, ხოლო სიგუა არის კგბ-ს მსახური. მან განახორციელა ისეთი რამე, ეს იმხელა დანაშაულია...

ნინო თომაძე: მაშინ შევარდნაძეს რატომ ლანდლავს სიგუა?

მერაბ ჩუხუა: შევარდნაძეს იმიტომ ლანდლვას, რომ დღეს შევარდნაძეს არავინ არ ჰყავს მაქებარი, თორემ დღეს შევარდნაძეს ქება რომ მოდაში იყოს, პირველი სიგუა დაუწყებდა მას ქებას. აბა დღეს ზვიად გამ-

სახურდიას რატომ არავინ არ აგინებს? გგონიათ, იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია ყველას უყვარს? სულაც არა. მისი დაუძინებელი მტრები დღესაც მას აუგად იხსენებენ შინა საუბრებში და არა ერთხელ მომისმენია ეს. ფაქტია არის, რომ დღეს ზვიადის გინება უკვე აღარ არის მოდაში...

ნათელა ვაჩნაძე: გადაიარა ამ დრომ.

მერაბ ჩუხუა: ...ცუდი ტონია, გესმით? და არავის არ უნდა ამაში... და შე-ვარდნაძის ქება დღეს რომ მოდაში იყოს, პირველი... ვინ იყო ხალხი, რომელიც იძახდა, რომ ჩვენ ავლოკავთო. ედუარდ შევარდნაძემ მისცა ალტერნატივა ხალხს 93 წლის ოქტომბერში...

ნათელა ვაჩნაძე: რომ დაუჩოქეს იმ მომენტს გულისხმობთ?

მერაბ ჩუხუა: დიახ. ...და რა თქვა შევარდნაძემ: მე გადავდექი, გადავა-ფურთხე და ანი არ ავლოკავო. შენ არაო, ჩვენ დაგიჩოქებთო, ჩვენ ავ-ლოკავთო. დაითვალეს, რამდენიმე ათასი ადამიანი იდგა დაჩიქილი. იყო თუ არა ესე?..

ნათელა ვაჩნაძე: როგორ არ იყო.

მერაბ ჩუხუა: ...ეს ხომ ფაქტია.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ რომ უარყოთ თქვენ, მაშინ მე არ დაგიჯერებთ არაფერს, ხომ მართალია?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... სწორედ ეს თანმიმდევრობათა ერთობლიობა ქმნის საფუძველს იმისას, რომ ჩვენ დავინახოთ სიმარ-თლე და არა ტენდენციურობა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც, კიდევ ერთხელ გითხარით, თავს ვთვლი აი იმ მოძრაობის გამგრძელებლად და არც არასდროს ამისთვის არ მიღალატნია, მაინც მინდა რომ ვიყო ობიექტური და მხოლოდ სალანდლავი არ ვთქვა მოპირდაპირე ბანაკის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვერ ვხედავ ვერაფერ გამართლებას. თქვენ როგორ ფიქრობთ... თქვენ მკითხეთ მე კავკასიურობაზე, კავკასი-ურ პოლიტიკაზე. არ იყო პირველი ნასროლი ტყვია საქართველოს დასაქცევად?.. ბატონი ზვიადის ხელისუფლების შემდგომ — კარგი, ვითომ დემოკრატია, რაღაცა, აჯანყება მოახდინეს დემოკრატიულ საწყისზე, იყო, ვთქვათ და დავუჯერეთ ეს, აფხაზეთში რა უნდოდათ?

ნათელა ვაჩნაძე: აფხაზეთში რა უნდოდათ? ბატონი ედუარდ შევარდნა-ძისთვის აფხაზეთის ომის დამწყები არის თენგიზ კიტოვანი. მაშასა-დამე, ბატონი ზვიადის ხელისუფლების წარმომადგენელი.

მერაბ ჩუხუა: ე. ი. ჩემი მკვლელი არის ჩემი მთავარსარდალი? თუ როგორ არის საქმე? მე კაცმა მომკლა და მერე ის ჩემი მთავარსარდალია? თქვენ ისტორიკოსები ბრძანდებით, ესეთი რამე ოდესმე ისტორიას გაუგია?

ნათელა ვაჩნაძე: არ დამიჯერე, ვუთხარიო, არ შეხვიდეო და შევიდაო.

მერაბ ჩუხუა: რას ნიშნავს, არ დამიჯერა? ეს რა ქუჩის...

ნათელა ვაჩნაძე: მე მაშინ არ ვიყავი მთავარსარდალიო.

მერაბ ჩუხუა: რა მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს მეთაური ხომ იყო. და მან ეს ომი დაიწყო იმისთვის, რომ საქართველო დაეშალა და ბოლომ-დე ჰქონდა ეს მიყვანილი მას. ეს ანტიკავკასიური ისტერია, რაც მაშინ თითქმის ყველა მწერალსა და ხელოვნების და კულტურის მოღვაწეს შეეხო, რომლებიც აფხაზებს რაღაც ნაგავს, ლამის იმას ეძახდნენ, ფეკალურ მასას, ასევე ჩრდილოკავკასიელებს. მწერალი, ვითომ დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, საშინელი იმით გამოვიდა, რომელიც დღე-საც ახსოვთ იქ კავკასიელებს.

ნათელა ვაჩნაძე: შემახსენეთ...

მერაბ ჩუხუა: მან ველურები უწოდა ჩერქეზებს. ხალხი, ჩერქეზები არის ის ხალხი, ის ერი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო გულში იხუტებს და არაერთი ევროპული ორგანიზაცია არის დაფუძნებული იმისთვის, რომ გადავარჩინოთ ეს ხალხი და არ ჩავუგდოთ რუსეთს ხელში და ამ დღის ქართველი მწერალი, „დათა თუთაშეიას“ ვითომ ავტორი, გამო-დის და ამბობს, რომ ეს არის ველური ხალხი, ვიღაცა ადიღელები. მას ადიღე ჰერნია საგინებელი სიტყვა. ვთქვათ, რუსი რომ ხმარობს სიტყ-ვას “თუვემეც“, დაახლოებით ასეთი დამოკიდებულება აქვს. ესეც რუ-სული მენტალიტეტის, ცხადია, ისინი აზროვნებენ რუსულად. და ამი-ტომაც მათთვის ეს ომი არ აღძრავდა არანაირ პროტესტს. პირიქით, ისინი ამბობდნენ, რომ ეს ომი თავს მოგვახვია ჩეჩენეთმა. და ყველამ კარგად უნდა იცოდეს, მთელმა საქართველომ, რომ არსებობს პრეზი-დენტ ჯოხარ დუდაევის სპეციალური ბრძანება, სადაც, ჩეჩენური კანონმდებლობით, ქვეყნის მოლალატედ არის გამოცხადებული ნები-სმიერი ჩეჩენი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა აფხაზეთის ომში საქართველოს საწინააღმდეგოდ. ეს არსებობს პრეზიდენტის ბრძანე-ბა. და როგორი გაბედვა უნდა ამას, როდესაც შენ მებრძოლ და მეომარ ჩეჩენს უთხრა ის, რომ შენ ხარ ქვეყნის მოღალატე, იმიტომ, რომ ებრ-ვი ქართველებს აფხაზეთში.

ნათელა ვაჩნაძე: და რატომ იყო ასეთი ისტერია? აი ამიტომ იყო, ეტყობა... რომ ქართველ ერს, ქართულ საზოგადოებას, საქართველოს მოსახ-ლეობას ჰქონოდა უარყოფითი დამოკიდებულება კავკასიელი ხალხ-ების მიმართ.

მერაბ ჩუხუა: ...და საქართველო და ქართველი ხალხი ყოფილიყო დეზინ-ტეგრირებული კავკასიაში. ისედაც ხომ გვწამებენ, რომ თქვენ მარტო ხართ, თქვენ არავის არ უნდიხართ, და გვაცლიდნენ ბოლო ჩვენს და-საყრდენს.

ნათელა ვაჩნაძე: იყო თუ არა ასეთი მომენტი ამ ომში, როდესაც ამას ხშირ-ად წერდნენ, ამის შესახებ საუბრობდნენ, რომ ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ სტადიონზე აფხაზეთში ჩეჩენები.

მერაბ ჩუხუა: მე ამას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. რატომ? იმ-

იტომ, რომ ეს იყო გარკვეული პროპაგანდის ნაწილი და ვის რისთვის და რაში გამოადგა, ეს ჩემთვის არის ყოვლად გაუგებარი. მაგრამ მე გეტყვით თქვენ, ოჯახებს, ადამიანებს, რომლებმაც ჩეჩინეთში დაღუპული საკუთარი შვილი სახლში არ დაასვენა მამამ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ, შვილო, შენ იქ წახვედი ქართველების ან აფხაზების საძარცვავად და ფულის საშოვნელად, შენ ხარ დაქირავებული მეომარიო. მამამ, რამხელა გმირობა უნდა ამას, შვილი, ბრძანა რომ შვილი სახლში არ შემოეტანათ და სასწარაფოდ სადმე ჩაეგდოთ, მიწაში დაეფლათ. თქვენ წარმოგიდგენიათ? რომელიმე ქართველი ამას გააკეთებდა?

ნათელა ვაჩნაძე: საერთოდ დედამიწის ზურგზე ვინ გააკეთებდა ამას...

მერაბ ჩუხუა: ...მე გეტყვით თქვენ გვარებს და სახელებს... წახეთ ახალგაზრდა მკვლევრის, ჯალაბაძის ნაშრომი: „ქართულ-ვაინახური ურთიერთობანი“ აღნერილია იქ ფაქტები...

ნათელა ვაჩნაძე: ვიცი...

მერაბ ჩუხუა: ...ქალბატონი წათია ჯალაბაძე. მე ფაქტებით ვმეტყველებ, იმიტომ, რომ ვსწავლობ ამას ოც წელზე მეტია, 25 წელია. მე არ მიყვარს რაღაცა ჰაერზე დამოკიდებული თავებით თამაში. ეს კი ფაქტია. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ მეგულება არც ერთი ქართველი მამა, რომელიც ამას გააკეთებდა, მაგრამ ფაქტია, რომ არიან ასეთი ჩეჩენი მამები, რომლებმაც საქართველოს არ უღალატეს და ასეთი მორალური სიმართლე გააჩნიათ მათ თავიანთი ქვეყნისა და კავკასიის ისტორიის წინაშე. ეს უფრო დიდი გმირობაა, მორალური გმირობა არის, რომელსაც ჩვენ უნდა ვაფასებდეთ. რომელი პრეზიდენტი გაბედავს, თავისი ქვეყნის მოქალაქეებს დაუძახოს მისი ქვეყნის მოღალატე, კავკასიის და რაღაც ცნებების, აბსტრაქტული იმის კი არა, ჩეჩინეთის მოღალატედ გამოაცხადა ის ჯოხარ დუდაევმა, ვინც მიიღებდა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ მონაწილეობას. გამოქვეყნებულია ეს ბრძანება ბატონი ხასო ხანგოშვილის წიგნში „ქისტები“. აი ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ კავკასიის, საქართველოს და ჩვენი მოძმე ერების სამომავლოდ. ამას უნდა დაეფუძნოს ჩვენი მომავალი და საერთო კავკასიური სახლი თუ რაც იქნება, ჩვენი მეზობლობა. ჩვენ ყველას გადაგვამტერეს. ისე, ფორმულა... რამდენად მართალია, მითხარით, რომ, ვთქვათ, 50-60 ათას აფხაზს უპირისპირდება მთელი საქართველო. ეს ხომ ვიღაცა მეომრისთვის, თუ დაქირავებულისთვის... ეს ფორმულა ხომ უკვე მტყუანი ფორმულა არის, არა? აქ რომ მტყუან-მართალს ვიღაცა რომ არჩევს, ხომ არ იტყვის, რომ 70 ათასი კაცი თავს დაესხა ხუთმილიონიან საქართველოსო. ეს ხომ ტყუილია ეს ყველაფერი და ამ ტყულის წინაშე ჩვენ დაგვაყენა ედუარდ შევარდნაძემ და მისმა აი ამ სამხედრო საბჭომ და ე. წ. ხელისუფლებამ. და ამიტომაც, მე ვთვლი, ამისთვის სწორედ, რომ საქართველო იყოს მართალი თავისი ისტორიის წინაშე და მომავლის წინაშე, საქართველომ უნდა გაასამართლოს

აფხაზეთის ომისთვის ამ ომის მოთავენი და მონაწილეები. მე ვამბობ ხელმძღვანელობას, ედუარდ შევარდნაძე და მისი გარემოცვა, ვინც ეს ანტიქართული და ანტისახელნიფონებრივი, ველური ომი წამოიწყო.

ნინო თომაძე: აფხაზებს ჩვენ უნდა მოვუხადოთ ბოდიში, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ დამნაშავე.

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, მე მზად ვარ ნებისმიერ აფხაზს მოვუხადო ბოდიში, მაგრამ ამავდროულად მე მოვითხოვ, რომ ედუარდ შევარდნაძე უნდა გასამართლდეს აფხაზეთის ომისთვის.

ნინო თომაძე: შევარდნაძეს, ბატონო მერაბ, ეხლა კიბო აქვს, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია...

მერაბ ჩუხუა: მაგას კიბო აქვს, იცით, 80 წელია, გვატყუებს, არ დაიჯეროთ...

ნინო თომაძე: მე ვიცი მისი პირადი ექიმისაგან.

მერაბ ჩუხუა: მისი პირადი ექიმი 80 წელი ატყუებდა საქართველოს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვქონოდა მის მიმართ სიბრალულის გრძნობა. ამაზე, სხვათა შორის, ბატონ ზვიადს დაწერილი აქვს.

ნინო თომაძე: მაშინაც ამბობდა, კიბო მაქვსო?

მერაბ ჩუხუა: დიახ. ...როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, ის, მოგეხსენებათ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ეწვია ოჯახში, კოლხურ კოშკში. შევიდა ეს გველი იქ... საქართველოში რომ მოვიდა 72 წელს, ესტუმრა იქ. და მაშინაც, ბატონი ზვიადი იხსენებს, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: მელორი??? სტურუა ახლდა.

მერაბ ჩუხუა: ...და მაშინაც ამბობდნენ მისი მრჩევლები, შევარდნაძეს სუფლიორებიც ჰყავდა, მოგეხსენებათ, რომ დააცადეთ, მძიმე ავადმყოფია და ნუ მიიღებთ მის სიკვდილში მონაწილეობას. ნახევარი საქართველო მოინელა, ჩვენი მოსახლეობის, მაშინდელი მოსახლეობის 3% მან გაულიტა ხალხი, მოკლა და ეს ადამიანი, ნურავინ ნუ მეტყვის, რომ დღეს არის... 90 წლის პინოჩეტი, რომელმაც ქვეყანას ეკონომიკური წინსვლა და წარმატება მოუტანა, მაინც გაასამართლეს თავის ქვეყანაში და გამოიხმეს ემიგრაციიდან, ინგლისიდან, მოგეხსენებათ. რატომ? იმიტომ, რომ არ უნდა იყოს, არ უნდა ჰქონდეს გასაქანი საქართველოში და არცერთ ქვეყანაში თენგიზიზმს და შევარდნაძიზმს, ამას არ უნდა ჰქონდეს გასაქანი და არც ერთხელ არ უნდა განმეორდეს ის, რაც განმეორდა გასულ საუკუნეში.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესებს, ბატონო მერაბ, როგორ შეხედავთ ამ ამბავს, შეიძლება თუ არა მოპოვება პრესის, იმ ხანის პრესის თბილისში. მე ძალიან დიდი ხნის წინ მოვიარე ჩრდილოეთ კავკასია, ყველგან ვიყავი და ყველგან მიცხოვრია, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ჰერიოდში და მას შემდეგ უკვე აღარ ვყოფილვარ. პრესა, მოგეხსენებათ, ადვილად არ არის ხელმისაწვდომი და მე მინდა, რომ ამ წყაროთმცოდნეობით ბაზაში შევიდეს სწორედ კავკასიური პრესა...

მერაბ ჩუხუა: დიახ, ძალიან მნიშვნელოვანია.

ნათელა ვაჩნაძე: ...მე მგონი, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მასალა და დიდად გაამდიდრებს წყაროთმცოდნეობას ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩამოვიტანე უცხოური პრესა. კი, ბატონო, ეს საინტერესოა, მაგრამ იმას ძალიან დიდი გაკონტროლება სჭირდება, იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, ვინ არის ის უურნალისტი, რა პოზიციებზე მდგარი ადამიანია, ნებისმიერი უურნალისტი ვის შეხვდა, რომელ მხარეს შეხვდა და ვისზე მიიღო ინფორმაცია. ბატონი თენგიზი ბრძანებს, რომ დღე არ იყო ისეთიო, რომ ოცი-ოცდაათი უცხოელი უურნალისტი ჩემთან არ მოსულიყო თბილისის ზღვაზე და მე ინტერვიუს ვიძლეოდიო. ამას ამბობს, არ მალავს, არ ფარავს. ეს ინტერვიუები რომ გადის, მერე ის უცხოელები რომ მიდიან, იქ რომ ბეჭდავენ ამას ყველაფერს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ის ობიექტურია?

ნინო თომაძე: ქალბატონმა ქეთიმ თქვა, რომ სამეგრელოშიც იყვნენ უცხოელი უურნალისტებიო.

მერაბ ჩუხუა: კი, იყვნენ, მაგრამ ძირითადად... პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, იმიტომ, რომ მე ვიყავი მაშინ ამ პრეს-ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი ზვიადისა ზუგდიდში და დადებითი გამოხმაურებები ჰქონდა აბსოლუტურად.

ნათელა ვაჩნაძე: გაქვთ თქვენ რაიმე შესაძლებლობა, რომ პრესა მომაწოდოთ, ბატონო მერაბ, დამეხმაროთ ამაში?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, დაგეხმარებით და გეტვით კიდეც ჩვენი მაშინდელი მოღვაწეობის, დადგენილებების, ბატონი ზვიადის განცხადებების, ამ დღის ამსახველი ისინი სადაც იმალება, სადაც არის.

ნათელა ვაჩნაძე; მე არ მაინტერესებს, მე არ შევეხები იმ ადამიანს, მე იქ არც გამოვჩინდები...

მერაბ ჩუხუა: არა, ის ადამიანი თქვენ დაგელაპარაკებათ და თუ ჩათვლით საჭიროდ, გაგაცნობთ კიდეც. ეს გახლავთ გიორგი კალანდია. 16 წლის ბიჭი იყო. რომ შევხედე, მომენტის ეს ყმაწვილი, ძალიან მიყვარდა და დღესაც მიყვარს და ავიყვანე იმ ჯგუფში. და თითო ეგზემპლარი, რაც კი მანდ ხდებოდა, ინახებოდა მასთან.

ნათელა ვაჩნაძე: გიორგი? ის ჩემი სტუდენტი იყო.

მერაბ ჩუხუა: პედანტი იყო ყოველთვის და ჰქონდა...

ნათელა ვაჩნაძე: დიახ, არქივმცოდნე...

მერაბ ჩუხუა: დიახ. ...თითქმის ყველაფერი განადგურდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არა გაქვთ?

მერაბ ჩუხუა: გიორგისთან არის. მე ვიყავი, როგორც იტყიან, მშვიდად, რამდენიმე ადგილას ეს იდო მაშინ. არა პრესისთვის და არა იმისთვის, გეტყვით, რომ სამოცდაათამდე ვიდეოჩანანერები მთელი ამ ყველაფრი-

სა, რასაც მე გეუბნებით, მე ჩემი ხელით ქალბატონ მანანას ჩავაბარე. თქვენ იცოდეთ, რომ ის ყველაფერი შენარჩუნებულია.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს არაჩვეულებრივი არქივი ნანახი ვიდეოკასატების. ეს ადამიანი არ ახმოვანებს თავის სახელს და გვარს, რაღაც გადამაწერინა, მაგრამ ძალიან ბევრი არ არის.

მერაბ ჩუხუა: ...ასევე ჩემთან მოღვაწეობდა სერიოზული დოკუმენტალისტი, ისედაც ცნობილი, ბატონი ზურაბ შანიძე. ჩემთან მოღვაწეობდა და ბევრი რამე აქვს მას იმ პერიოდში გადაღებული და შენარჩუნებული. რაც შეეხება წყაროს. იმდროინდელი თითქმის ყველა ბრძანებულება, რასაც ბატონი ზვიადი... წერილი მისი, გამოქვეყნებული არის ძირითადად შემდეგ წყაროებში საინფორმაციო თვალსაზრისით და დღეს უკვე წყაროდ არის ცნობილი, ისტორიული ღირებულება აქვს აუცილებლად. ეს გახლავთ გროზნოში გამომავალი „Под небом Грузии“, მე მგონი, ესე გამოდიოდა, „საქართველოს ცის ქვეშ“, ეს ერთი. მეორე — გაზეთი „იჩქერია“; (რუსული თუ ქართული გაზეთია ვერ გავარკვიე — მაია) ძალიან მნიშვნელოვანი არის ამ თვალსაზრისით, გაზეთი „აღდგომა“; რომელიც საქართველოში გამოდიოდა, გაზეთი „ჭყონდიდელი“, რომელშიც ძალიან ბევრი ინტერვიუ არის ბატონი ზვიადისა გამოქვეყნებული; „თავისუფალი აზრი“ — ასეთი გაზეთი; „თავისუფლება“ და მრავალი სხვა შემიძლია დაგისახელოთ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ცნობილი გაზეთებია.

მერაბ ჩუხუა: ის ძალიან მნიშვნელოვანია — „საქართველოს ცის ქვეშ“. ის პირდაპირ გროზნოში იქმნებოდა. თვითონ ეს გაზეთები უნდა ნახოთ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ჩავწერე რამდენიმე ადამიანი, რომელმაც მიამბო იქაურ ცხოვრებაზე, იქაურ მდგომარეობაზე. ეს დიდად სავალალოა, რომ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ... 92, 93, 94 წლების ამბები გვინდოდა აღგვენერა, მაგრამ... შევიტანეთ, მაგრამ არ დაგვიმტკიცეს...

მერაბ ჩუხუა: ვერც ერთი ჩემი პროექტი ვერ გავიდა, რაც რუსთაველის ფონდში მაქვს შეტანილი, ვერ ერთი. ეს პროექტებია: ქართულ-კავკა-სიური შედარებითი ლექსიკონი, სადაც მე ვამტკიცებ ქართველებისა და ყველა სხვა დანარჩენი ადგილობრივი, ანუ ავტოქტონური მოდგმის ხალხთა ნათესაობას. ჩემდა სამწუხაროდ ასევე ვერ გავიდა პროექტი: კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი და მრავალი სხვა, ვერც ერთი ვერ გავიდა. ვერც ლაზური ჩემი ვერ გავიდა...

ნათელა ვაჩნაძე: ვერ გავიდა ვერც ჩემი. მე არა ვარ ამ დარგის სპეციალისტი, გულახდილად უნდა ვთქვა. მე არა ვარ უახლესი ისტორიის სპეციალისტი, მე ვარ მედიევისტი, უბრალოდ, მაინტერესებდა ეს თემა და მინდოდა, რომ ამაზე მემუშავა. ორ წელიწადში ყველაფერს ვერ ამონურავ, ორი წელი ძალიან პატარა დროა, ხომ მართალია? თანაც ასეთ დღეში რომ ხარ: რეზიდენცია არა გაქვს, არაფერი არა გაქვს...

მერაბ ჩუხუა: ესეც მაინც დიდი საქმეა, რაც თქვენ შეძელით. არა იმიტომ, რომ გაქებთ და რაღაცა და...

ნათელა ვაჩნაძე: ანალიზი არ არის აქა...

მერაბ ჩუხუა: ეს არის მნიშვნელოვანი.

ნათელა ვაჩნაძე: მე დავურთე მას წინასიტყვაობა, როგორც ხელმძღვანელმა.

მერაბ ჩუხუა: ძალიან კარგი არის ისიც მასალების თვალსაზრისით... ისიც გამოდიოდა „Молодеж Грузии“ რუსულად, რამდენიმე ნომერი იყო. „მე ვამხელ“ არის კიდევ რუსულად 2000 წელს გამოცემული, ბაგრა-ტიონ-მუხრანსკაიას გამოცემული...

ნათელა ვაჩნაძე: ია მუხრანელი...

მერაბ ჩუხუა: კი. კარგი დიდი სქელტანიანი წიგნია, გირჩევთ, წაიკითხოთ.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ, სამწუხაროდ, არ ვიცი.

მერაბ ჩუხუა: აი იქ არის ძალიან ბევრი რაღაცა, რასაც თქვენ, შეიძლება, სხვაგან ვერ იხილავთ, შეკრებილი აქვს იმ ჯგუფს...

ნათელა ვაჩნაძე: იქ ლეილა მირიანაშვილია და სხვები და სხვები.

მერაბ ჩუხუა: ...ძალიან კარგი და პატივსაცემი ადამიანები.

ნინო თომაძე: 93 წელს გამოცემული ფრანგული პრესა ძალიან უდიერად იხ-სენებს ზვიად გამსახურდიას...

მერაბ ჩუხუა: რატომ გიკვირთ?

ნინო თომაძე: ...და შევარდნაძეს თვლის დემოკრატიის ფორპოსტად და გამ-სახურდიას თვლის შოვინისტ-ფაშისტად.

მერაბ ჩუხუა: ხალხო, უარესს გეტყვით: ელცინს ეძახდნენ დემოკრატს, ადა-მიანს, რომელმაც გაწყვიტა 200 ათასი კაცი ჩეჩენეთში. და თქვენ ვერ მოისმენდით მაშინდელი ვითომ პოლიტიკოსებისგან ვერც ერთ საპრო-ტესტო გამონაათქვამს. და რუსეთს ეუბნებიან დემოკრატი ხარო და ამ დროს კლავენ პირდაპირ ჩვენს თვალწინ დღესაც, მაშინაც, იმის წინაც ერს, მცირერიცხოვან ერს, ხოცავენ, მიდის ნამდვილი გენოციდი...

ნათელა ვაჩნაძე: და ეს ახალი ამბავი ხომ არ არის?

მერაბ ჩუხუა: ...ხოდა, იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოს, ასეა თუ ისე, სახელმწიფოებრიობა მაინც რაღაცნაირად შენარჩუნებული ჰქონდა, თუნდაც ვთქვათ, რუსთაველის გამზირზე, იქ კიდევ დღე, ღამე, ნები-სმიერ მონაკვეთში დროისა, იბომბებოდა, იბომბება და დღესაც... და ვიღაცა ამბობს, რომ სტაბილური ვითარება გახდა იქაო და ამ დროს... დასავლეთზე მაქვს საუბარი... იმიტომ, რომ... ეს არ არის დიდი სი-ბრძნე და ბევრი მიხვედრა ამას არ უნდა, ძირითადად აქ არის ეკონო-მიკური მომენტი: რუსეთი არის მდიდარი ქვეყანა, რომელზეც უარს არავინ ამბობდა ჩეჩენეთის გამო. სხვა ფაქტებიც ვიცი. მაგალითად, ვიცი, რომ მიუხედავად იმისა, რომ შირაკი სულ არ არის, ვთქვათ, ის-ეთი დიდი ჰუმანისტი, 96 წელს შირაკი არ ჩავიდა რუსეთში. 96 წლის

მაისში ჟაკ შირაკი მიიწვია რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა 9 მაისის დღესასწაულზე და შირაკმა პროტესტის ნიშნად ჩეჩენეთში დატრიალებული უბედურებებისა და, განსაკუთრებით, ახალი ამბავი იყო ბატონი ჯოხარ დუდაევის ტერორისტული აქტი, მოკვლა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. მოგეხსენებათ, 96 წლის 21 აპრილს, ანუ ლენინის დაბადების დღეს მიუძღვნეს, მოკლეს ჯოხარ დუდაევი, რომლის ბოლო სიტყვები, იცით, რა არის? კვდებოდა და ბოლო ფრაზა მაინც მოასწრო და თქვა: გააგრძელეთ დაწყებული ეროვნული საქმე და ამითი მოკვდა. აი, შირაკმა ეს გააკეთა, გააპროტესტა. ეს არის ერთი წევთი იმ ზღვა სისხლში, რაც დაიღვარა. ...პრობლემა არის ღირებულებები, რომლებიც ფეხქვეშ ითელება, და ესე არ უნდა ხდებოდეს.

ნათელა ვაჩნაძე: რაღაც ჩეჩენური დელეგაცია რომ იყო ჩამოსული აქა...

მერაბ ჩუხუა: როდის?

ნათელა ვაჩნაძე: ...გადატრიალების მომენტში, ამის შესახებ, თუ შეიძლება ბრძანეთ.

მერაბ ჩუხუა: მე მახსოვს... როგორც სჩვევიათ ხოლმე ამ პუტჩისტებს, სახელმწიფო გადამტრიალებლებს, ანტიჩეჩენური ისტერია. რა თქმა უნდა, ამისი საფუძველი მოდიოდა მოსკოვიდან, ეს იყო შეკვეთილი მოსკოვიდან, რომ საქართველოს ღუპავენ ჩეჩენები, ზვიად გამსახურდიამ ჩამოიყვანაო ათასობით ჩეჩენი, სადღაც ლამის ჯურლმულებში ჰყავდა ესენი და უპირებდა, რომ საქართველოს გადაუვლიდა ამ ჩეჩენებით და იმით. ამ დროს აბსოლუტურად სხვა სიტუაცია იყო. თქვენ უნდა იცოდეთ და ისტორიამაც უნდა იცოდეს, რომ ბატონი ჯოხარ დუდაევი მზად იყო მართლაც ამ ქართულ სახელმწიფოში არსებული დაპირისპირების დროს... შიდა დაპირისპირება... ეს მოსკოვიდან შთანერგილი აგენტურა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, მიუხედავად ამისა, ჩამდგარიყო ამათ შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოქტომბრის შემდგომ, გახსოვთ, 5 ოქტომბრის შემდგომ, გამწვავდა ურთიერთობები ყოველდღე...

ნათელა ვაჩნაძე: ფაქტობრივად, პირველი პუტჩი...

მერაბ ჩუხუა: დიახ.

ნინო თომაძე: ოქტომბრის პუტჩს ეძახდა ბატონი ზვიადი.

მერაბ ჩუხუა: დიახ. ...და ყოველდღიური გახდა ეს განევ-გამოწევა, ასე ვთქვათ. და ჯოხარ დუდაევს, აი როგორც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ისე საუბრის დროს ჩემთვის უთქვამს: მე მზად ვარ ჩავერიო ამაში, არა როგორც ჩეჩენეთის ხელმძღვანელი, არამედ... ეს არის ნოემბერში... ...არამედ, როგორც ცისფერჩაფხუტოსანი. შევქმნა 500-კაციანი ჯგუფი, რომელიც ჩადგება ბატონ ზვიადის ხელისუფლებასა და ამ ვითომ აჯანყებულებს... ვინც არის, მოკლედ, შორის. მაგრამ, — თქვა მან, — მე ამას ვერ გავაკეთებ საქართველოდან საზოგადოების, ან ხელისუ-

ფლების, ან, თუნდაც, მრგვალი მაგიდის ან რომელიმე ჯგუფის მომართვის გარეშე. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართველებს, ქართულ საქმეს, შიდა საქმეს და მინდა, რომ მორალურადაც მართალი ვიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ოჰ, რა ამბავი ატყდებოდა?!

მერაბ ჩუხუა: თქვენ წარმოგიდგენიათ, რა ატყდებოდა? მაგრამ ბატონი ჯოხარის ხედვა იყო ესეთი: როგორც, ვთქვათ, გაეროს წარმომადგენლები ჩადგებიან ხოლმე, შუამავლები ან რაღაცა, რომ ორივე მხარის წარმომადგენლობამ ისაუბროს თანაბარ პირობებში. და ვინაიდან ის იყო აბსოლუტურად დამოუკიდებელი რუსებისგან, აბსოლუტურად დამოუკიდებელი თავის ქმედებებში და დემოკრატიული წესით საერთო-სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი, ეს ძალიან კარგი იქნებოდა ჩვენთვის, საქართველოსთვის და სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისითაც, მე ვთვლი, რომ კავკასიური სახალხო დიპლომატიის აღმოცენების, ესე ვთქვათ, მისი ჩასახვისთვის კარგი პრეცედენტი იქნებოდა. აი ეს განიხილებოდა ბატონი ჯოხარის მიერ. ბატონი ზვიადი ამაზე არ წავიდა...

ნათელა ვაჩნაძე: შეუძლებელი იყო.

მერაბ ჩუხუა: ... არ წავიდა და იცით, როდის არ წავიდა? მაშინაც კი, როცა ის იმყოფებოდა ფაქტობრივ ალყაში აი ამ შენობაში, რომელსაც დღეს საქართველოს პარლამენტი ჰქვია. ბატონი ზვიადი საშინელ პირობებში იყო, გარემოცული რუსული ტანკებით, ბეპაევის ჯარებით...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სად იყავით მაშინ?

მერაბ ჩუხუა: მე იარაღით ხელში ვიბრძოდი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარეს და ეს გადაღებულიც არის. 25 წლის ბიჭი ვიყავი მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: რა სტატუსით იბრძოდით?

მერაბ ჩუხუა: მოხალისე.

ნათელა ვაჩნაძე: სად? რა ადგილას იდექით?

მერაბ ჩუხუა: მე? მესამე სართული, სვეტების მხარეს. სხვათა შორის, იქ, ეს ისტორია არისო, და მოვიდა საქართველოს ტელევიზია და გადაგვიდეს. მე რაღაც ავტომატი და ის მქონდა, შაშხანა, „ვინტოვკა“, მამაჩემიც ჩემთან ერთად იყო და ჩემი განუყრელი მეგობარი, ან გარდაცვლილი, გოჩა ნაჭყებია, შემდგომში ზუგდიდის მე-16 ბატალიონის მეთაური. ეს ის ბატალიონია, რომელმაც ზვიადს არ უღალატა მაშინ. აი ესე ვიბრძოდით ერთად. მერე ჩემი მეგობარი, ერთად ოპერაციაზე რომ გავედით ოპერის მხარეს, ერთი მოგვიკლეს, ხობის გამგებელი თენგიზ ქაჯაია, თუ გაგიგიათ?..

ნათელა ვაჩნაძე: გამიგია.

მერაბ ჩუხუა: ... პირდაპირ ჩემს უკან მოდიოდა და მოკლეს. მას მოხვდა ტყვია. ჩვენ გადავრჩით.

ნათელა ვაჩნაძე: იმ მომენტში, როცა დაიწყო ეს ომი, თბილისის ომი...

მერაბ ჩუხუა: მე აქ ვიყავი... და იქიდან ხომ ყველაფერი გადაკეტილი იყო...
ნათელა ვაჩნაძე: მთანმინდაზე ახვედით?

მერაბ ჩუხუა: ხო, აი ასე წამოვედით, აი ამ ქუჩით გავიარეთ და შევედით...
16 კაცი თუ 17 ვიყავით ზუგდიდიდან, მე თბილისში, მაგრამ ამათი
მასპინძელი და შევედით პირდაპირ...

ნათელა ვაჩნაძე: ყველა ცოცხალია?

მერაბ ჩუხუა: არა, ბევრი არ არის უკვე, სამწუხაროდ, ცოცხალი. ორი უკვე
გითხარით და კიდევ სხვებიც...

ნათელა ვაჩნაძე: აი ბიჭები რომ ამოწყდნენ, რომლებიც წინ გავიდნენ და
დადგნენ პარლამენტის დასაცავად, ეს სულ მეგრელები იყვნენ.

მერაბ ჩუხუა: ბევრნი იყვნენ, მაგრამ... ჩვენთან ერთად პირველი დღეები,
ეს მინდა ძალიან იყოს აქ... რომ იყვნენ ახალგაწვეულებიც. ესენიც
ჩვენთან ერთად იყვნენ. იმდენი იარაღი ჩვენ არ გვქონდა და ეს პატარა
ბიჭები რას აკეთებდნენ, იცით? რუსულად, ნაზავი ზეთისა და ბენ-
ზინისა, „смесь“ ჰქვია ამას, ამას ბოთლებში აკეთებდნენ ის პატარა ბი-
ჭები და როდესაც რუსის ტანკები შემოვიდნენ, ერთი-ორი ეზოშიც კი
შემოიჭრა, მოგეხსენებათ, ყრიდნენ ჩვენი სართულებიდან. პირდაპირ
რამდენიმე ამათ დაეცა, ამ ტანკებს და...

ნათელა ვაჩნაძე: და ვინ ამოწყვიტა ის ბიჭები? როგორ მოხდა ამ პავშვების
ამოწყვეტა?

მერაბ ჩუხუა: სროლა იყო საშინელი. თქვენ გახსოვთ, ალბათ, მერე შემდ-
გომში დიდხანს აჩვენებდნენ, სვეტი რომ იყო მონგრეული, რამდენიმე
სვეტი. მრავალი დარჩა, მაგრამ ერთი-ორი სვეტი გაინგრა, პირდაპირ
შემოადგეს ჭურვი, „სნარიადი“. ხოდა, ამას იღებდა ჩვენი მხარე, ჩვენი
ტელევიზიაც და მერე, როგორც ამბობენ, ალბათ ძალდატანებით, ან
წამებით, ან წვალებით, დაიჭირეს, ეტყობა, ის ოპერატორი და ეს კასე-
ტა აღმოჩნდა აი ამ ხუნტის ხელში, ანუ პუტჩისტების ხელში. და მთელი
ეს გადაღებული, სახეები ჩვენი, ყველასი, ჩემ გარდა იქ ხუთი ათასი
კაცი იყო თავიდან...

ნათელა ვაჩნაძე: არა, არის, არაფერი არ იკარგება ისტორიაში, არის, ოჯახ-
ში დევს ყველაფერი იატაკიდან ჭერამდე.

მერაბ ჩუხუა: და მე მახსოვს, ეს ყველაფერი მაშინ გადაღებული იყო.

მერაბ ჩუხუა: ვინ დაიწყო ომი, ბატონო მერაბ?

მერაბ ჩუხუა: იქიდან დაიწყო. იქიდან დაიწყო, იმიტომ, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ისე უბრალოდ ამბობთ, იქიდან დაიწყოო...

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, როგორ... მე გეტყვით, როგორც დაიწყო, მე რაც
ვნახე. როდესაც ისინი მოაყენეს... ჯერ, ესე ხომ დაწყებულა ომი... ჯერ
მოაყენეს ამნეები, განიეს ეს ისა. რატომ განიეს? ჩვენ ხომ არ გაგვიწ-
ევია. ვინ განია?

ნათელა ვაჩნაძე: რა გაწიეს?

მერაბ ჩუხუა: ავტობუსები, არ გახსოვს? რატომ?

ნათელა ვაჩნაძე: გაერთიანებისთვის.

მერაბ ჩუხუა: რისი გაერთიანებისთვის?

ნათელა ვაჩნაძე: ხალხის, იმათი და თქვენი.

მერაბ ჩუხუა: არავითარ შემთხვევაში. მხოლოდ იმისთვის, რომ ტყვია მომხვდარიყო მიზანს. და აიამ სვეტებთან, პირველი ბომბები რომ აფეთქდა, იმათგან ნასროლი ჭურვები... მე მახსოვს, გურამ ლაკია, ესეთი სამხედრო, გახსოვთ, მაგან გასცა ბრძანება, ცოტა რუსულენოვანი იყო და „ლეი“ — ყველას და თვითონაც დაწვა. აი ასე დაიწყო ომი ჩემ თვალინი. აქედან რომ შევედით, კიდევ ერთხელ გაუბნებით, გავედით, იქ ხომ გასასვლელია გარეთ სვეტებამდე, ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ომი დაიწყებოდა. არავის არ სჯეროდა ეს, მე არ მჯეროდა, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ მოხდა. შაბათი დღე იყო, მე როგორც მახსოვს... როგორ მეგონა ომი, როდესაც პარასკევს მე აი აქ, აი ამ გვერდით დარბაზში, სადაც გეუბნებოდით, რომ მოდით, აქ ვისაუბროთო, იქ მოხსენება წავიკითხე, პარასკევს წავიკითხე მოხსენება...

ნათელა ვაჩნაძე: და შაბათს აღმოჩნდით ომში.

მერაბ ჩუხუა: ...და შაბათს აღმოვჩნდი ომში. აი ესეთი სიტუაცია იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ დაინახეთ ეს?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, დავინახე. პირველი დაჭრილიც დავინახე მე.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო პირველი დაჭრილი?

მერაბ ჩუხუა: ახალგაზრდა ბიჭი.

ნათელა ვაჩნაძე: აბა ვიღაც ქალი იყოო?

მერაბ ჩუხუა: მე ვინც ვნახე, ეს იყო ბიჭი, ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც დაიჭრა ფეხში. მახსოვს, ლაკიას სიტყვა: დაწექით...

ნათელა ვაჩნაძე: და დაწვნენ.

მერაბ ჩუხუა: ხო. ომს ვინც იწყებს, ის ხომ ამბობს „ცეცხლი“ და არა „დაწექით“.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ არავინ არ ამბობს ამასაც, წარმოიდგინეთ.

მერაბ ჩუხუა: რა ვიცი, რითი დაგიმტკიცოთ ეს. აქ ენათმეცნიერების ინსტიტუტში არის ჩვენი თანამშრომელი, დღესაც ჩვენთან მუშაობს, ლევან ვაშაკიძე, რომელმაც, აი აქეთ რომ გავიარეთ, ამ თექვსმეტმა თუ ჩვიდმეტმა თუ თვრამეტმა კაცმა, მერაბ, აბა, გამარჯვებითო. ჩვენთვის აბსოლუტურად მოულოდნელად... ვხედავ ჩვენი კომპიუტერების, ახალი იყო მაშინ, მოგეხსენებათ, აი ამ საქმიანობის ხელმძღვანელი ბატონი ლევან ვაშაკიძე. და მერე მეუბნებოდა, რომ აი მაშინ რომ გნახეო ბოლოსო, გულში გავიფიქრე, ნეტავ, ეს არ იყოს ჩვენი ბოლო შეხვედრაო.

ნათელა ვაჩნაძე: რაშია, იცით, საქმე? როდესაც შეიარაღებული ადამიანები გამოჩნდებიან პარლამენტის წინ, ცხადია, რომ ეს უკვე არის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება. და სახელმწიფოს ყოველთვის აქვს უფლება, გამოიყენოს იარაღი ასეთი ხალხის წინააღმდეგ. რა ვიცი, მე ასე მგონია და ასე ვიცი, კანონი ამას ლაპარაკობს. შენ როცა გიტევენ და შენ რომ ხარ სახელმწიფო, შენ პასუხისმგებელი ხარ ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც სახელმწიფოში ხდება...

მერაბ ჩუხუა: ცხადია.

ნათელა ვაჩნაძე: ...მედეა მეუბნებოდა: წარმოგიდგენიაო, ნათელა, იარაღი რომ აისხაო და მოხვიდეო აქა და დადგეო...

მერაბ ჩუხუა: სადა?

ნათელა ვაჩნაძე: პარიზში, მეუბნებოდა. აქ რომ დადგე შენ და გინდა თუ არა, უნდა ვესროლო ხელისუფლებასო, რას იზამენ ისინიო?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა, აღკვეთენ ამას ყველაფერს. მაგრამ პარიზში “ЗАКВО”-ს რეზიდენცია არ არის, მოგეხსენებათ, ელისეის ველებიდან ორ კილომეტრში ის არ დგას, ხომ? ბულვარებზე “ЗАКВО” არ იდგა. აბა წარმოგიდგინოთ თბილისის სიტუაცია. აბა წარმოიდგინეთ, მარჯვნივ მე-8 პოლკი, მთელი დასახლებები, რუსული ჯარები, მარცხნივ, ვაკე-საბურთალოს გადასახვევთან, ადმინისტრაციული ცენტრი უზარმაზარი შეიარაღებით, დიდუბე, ნავთლული და ა. შ. დიდგორი, ბატონო, რატომ გვავიწყდება? დიდგორში, იცით, რამხელა ბაზები ჰქონდათ რუსებს და როგორ მისტირიან იქაურობას საერთოდ?

ნათელა ვაჩნაძე: იცით თუ არა რაიმე იმის შესახებ, მე მიყვებოდნენ ძალიან აქტიურად, ბევრმა ხალხმა თქვა, რომ ბატონი თენგიზი ერთი და ბატონი თენგიზი მეორე ღამეს ათევდნენ “ЗАКВО”-ში?

მერაბ ჩუხუა: რა თქმა უნდა. და ახლა გეტყვით საინტერესო ამბავს: არსებობს გამოთქმა ასეთი რუსულად: “позвыиные”, სამხედრო ტერმინია. ეს არ არის ჩვეულებრივი, რიგითი სიტყვა. და მე მესმოდა — როდესაც ხელთ ეჭირათ ეს მოწყობილობა — “Штаб Китовани, вызывает “ЗАКВО” და ა. შ. რატომ? მოდის მანქანა და... აფრთხილებდა, მოდის მანქანა სამედიცინო და გაუშვით, გაატარეთ. ანუ ვისი მანქანა იქნებოდა, როგორ ფიქრობთ თქვენ? “ЗАКВО”-ს მანქანა მოდის... ანუ ისინი უნისონში მოქმედებდნენ. რამდენჯერ ეს საშინელი გამონათქვამი: “Штаб Китовани” და “ЗАКВО” მე მოვისმინე...

ნათელა ვაჩნაძე: და სად იყო ეს შტაბი? თბილისის ზღვაზე?

მერაბ ჩუხუა: დიახ. ანუ ისინი უნისონში, ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, გესმით?

ნინო თომაძე: ანუ ეს მანქანა კამუფლაჟი იყო და იმის უკან რაიმე იმალებოდა? მერაბ ჩუხუა: იარაღები გადაჰქონდათ.

ნათელა ვაჩნაძე: არ უარყოფს სიგუა, სხვათა შორის.

მერაბ ჩუხუა: როგორ უარყოფს ამას? მე გეუბნებით თქვენ... ომის ქრონიკა — რახან დავიწყეთ. ხომ იყო 21-ში რაღაცები, 22-ში უკვე ომი დაიწყო. ხომ ესეა? 23-ში კიდევ რაღაცები იყო, 24-ში კიდევ, 25-ში ჩვენ გამოვდივართ გარეთ, ბატონი ზვიადის მოხალისები. გამოვდივართ გარეთ, სად? გაიწმინდა თავისუფლების მოედანი და მთელი მისი შემოგარენი. იცით ეს თქვენ, თუ არ იცით? ალბათ იცით.

ნინო თომაძე: 26 იყო, რომ „საქართველოს რეპუბლიკა“ წერს, რომ ჩვენებმა მოიგეს, ჩვენებმა გაიმარჯვეს და პუტჩისტები დამარცხდნენ, ამას წერს.

მერაბ ჩუხუა: დიახ. ...მე ამის უშუალო მონაწილე ვარ. ერთ-ერთი ობიექტი, რომელიც ჩვენ უნდა შეგვენარჩუნებინა და გადავსულიყავით იქ და დავმკვიდრებულიყავით, იყო აი ეს „თბილისის უნივერმაღი“, და შევედით და ეს უნივერმაღი დავიკავეთ დილის 5 საათზე. დილით ცეცხლი წამოვიდა — სამხატვრო გალერეა გახსოვთ, რომელიც მერე განადგურდა, აი იქიდან —

ნათელა ვაჩნაძე: იქ იყვნენ გალერეაში.

მერაბ ჩუხუა: იყვნენ, რა თქმა უნდა. ...აი ამ შესვლა-გამოსვლის დროს.

რა თქმა უნდა, იქ იყო სროლები და ისინი წავიდნენ, გაიქცნენ. ჩვენ მოპირდაპირე მხარეს გადავედით. წარმოიდგინეთ შენობები იმის წინ, ამ უნივერმაღის წინ და ამ შენობების პირველი სართულები. რა იყო იქ პირველ სართულებზე? იმათი ადგილები. მივედით ჩვენ და ვეუბნებით: მოვედით, მოვედით, — ვეუბნებით იმათ. — ვა, ჩვენები არიან... დილის 5 საათია. — მოიტანეთ ისა? ჭურვები. — კი, კი, მოვიტანეთ, და ამ დროს მეორე ჩვენი დანაყოფი თავს დაადგა იმათ და უცებ განვაირალეთ ესენი. ქართველი ბიჭები იყვნენ, ეროვნებით ქართველები, ემსახურებოდნენ რუსულ საქმეს, ელოდნენ აი ამ შეიარაღებას. ანუ მე ამითი რისი თქმა მინდა: თავდაპირველად მათ დიდი იარაღი არ ჰქონდათ. დიდი იარაღი წამოვიდა 27-დან უკვე. ჩვენ ეს ვიგრძენით. იმიტომ, რომ აი ასეთივე გასვლა გვინდოდა 29-ში და გაკეთდა კიდევაც, მაგრამ სასტიკად დავმარცხდით.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენო ვმარცხდებოდითო, ბატონმა თენგიზმა.

მერაბ ჩუხუა: დამარცხებულები იყვნენ ისინი, მე გეუბნებით, 25-ში ისინი იყვნენ დამარცხებულები.

ნათელა ვაჩნაძე: რამ განაპირობა? აპა მიზეზი მითხარით.

მერაბ ჩუხუა: იარაღი მისცა ბეპაევმა, ძალიან დიდი იარაღი მისცა მათ. და ეს ვიგრძენით. როდესაც ეს მარჯვენა სანაპირო, ანუ ჩვენი მარჯვენა ფლანგი გათავისუფლდა მათგან... სხვადასხვა... იყვნენ ქუთაისელები, იყვნენ ოსეთის წარმომადგენლებიც, ვიღაცა სპორტსმენები, რა ვიცი, ბევრნი იყვნენ, დაახლოებით... რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, რიგითი... რიგითი როგორა ხარ? სპორტულადა ხარ ჩაც-

მული, დილის 5 საათზე რა გინდა იმაში, ხომ? სპორტულად რატომ? რომ თავისუფლად იყო რა? გასაგებია ეს ყველაფერი. ...პარათაშვილის ხიდამდე გაინმინდა ყველაფერი ეს პირველი გასვლის დროს. მეორე იყო 29-ში ასევე ორგანიზებული გასვლა. სასტიკი წინააღმდეგობა... ისეთი წვიმა წამოვიდა, როგორც კი გავედით შენობიდან. გესმით? ეს არის უკვე ჩვენი საქართველოს პარლამენტის მარცხენა მხარე. რატომ? იარაღი მიიღეს უკვე, ძალიან დიდი იარაღი მიიღეს და რაც მთავარია, ტანკსანინააღმდეგო ჭურვები ჰქონდათ. აგვიფეთქეს ჩვენ, რუსული შემოკლებით, ბმპ და დაინვა იქ ჩვენი ბიჭები.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი იყო თქვენთან ბმპ, თუ გახსოვთ?

მერაბ ჩუხუა: სად იყო ბმპ, სულ რამდენიმე ე. ნ. ბტრ გვქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი? ამას ვერ მივაკვლიე ვერაფრით.

მერაბ ჩუხუა: სამი, ალბათ.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება ვინმემ იცოდეს ეგ ზუსტად?

მერაბ ჩუხუა: მე გეუბნებით, რაც მე ვნახე ჩემი თვალით, თავისუფლებაზე რომ გავედით. ასეთი რამეც მოხდა, რომ ჩვენ ბმპ დაეჯახა იმათსას.

ნათელა ვაჩნაძე: იქ რამდენი იყო?

მერაბ ჩუხუა: იმათაც ჰყავდათ, 25-ის ამბავს გეუბნებით, 25 დეკემბერს. მაგრამ 27-თვის ბმპ-ით და ბტრ-ით არ იყვნენ ისინი, ტანკსანინააღმდეგობი ჰქონდათ და ამოგვუჟეს.

ნათელა ვაჩნაძე: რა დაჯდა ეს გადატრიალება, ხომ არ იცით? ამასაც ვეძებ.

მერაბ ჩუხუა: არა, მე ეს ნამდვილად არ ვიცი, იმიტომ, რომ მე, ხომ გეუბნებით, მე ვიმყოფებოდი აი ამ ხალხში, რიგითებში, ისე ბურბულისი 50 მილიონ დოლარს აცხადებს...

ნათელა ვაჩნაძე: ყველა ქვეყანაში არის დადგენილი, რომელ ქვეყანაში რა დაჯდა გადატრიალება. ჩემს ჯგუფში იყო ბატონი დიმიტრი შველიძე, ისტორიკოსი, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მონოგრაფია დაწერა, მაგრამ... პირველი ტომი მინდა რომ ის იყოს, მაგრამ იქ უფრო არის პარტიის ისტორია, დაპირისპირები და ამდაგვარი ამბები და ასეთი მასალა მოძიებული არა აქვს და ამიტომ ვერ ამახვილებს ყურადღებას. სულ მეკითხებოდა: თუ იცით რამდენი დაჯდა, თუ იცით ფული საიდან იყო. მე ვკრეფდი მასალას ხომ? მე ვიცი, რომ ფული შეიკრიბა, მეორე მხარისაგან ვიცი, მაგრამ ეს ფული რა საკმარისი იქნებოდა ამხელა გადატრიალებისთვის?! კინოს სახლში იდგა ყუთი, მოდიოდნენ ადამიანები და ვინმე გოგი ქათამაძე ადგენდა სიას, ვინ რამდენი ფული შემოიტანა.

მერაბ ჩუხუა: ხო, მაგრამ ცნობილი არის შეხვედრები მოსკოვში, სადაც ასევე დიდი ფული შეიკრიბა და შეკრება იყო სასტუმრო „Россия“-ში.

ნათელა ვაჩნაძე: ეს რომელი პერიოდია?

მერაბ ჩუხუა: ეს არის პერიოდი „თბილისის ზღვა“ და აი ამ პერიოდში.

ნათელა ვაჩნაძე: ზღვაზე უკვე დაბანაკებულები არიან?

მერაბ ჩუხუა: დიახ. დიდი თანხა ჩამოვიდა მაშინ საქართველოში. მე არ ვიცი, რა თანხა...

ნათელა ვაჩნაძე: იცით ვინმე ისეთი, რომელიც იტყვის ამას?

მერაბ ჩუხუა: ———

ნათელა ვაჩნაძე: არ იცით ალბათ. ეს თქვენი მოწინააღმდეგე მხარეა და როგორ გეტყვით.

მერაბ ჩუხუა: არა, მოწინააღმდეგე რატომ? მოსკოვში პატიოსანი ქართველებიც ცხოვრობდნენ, რომლებმაც იციან ეს ინფორმაცია და მე შემიძლია, როცა ჩამოვა საქართველოში, დაგაკავშიროთ ეს ადამიანები.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან კარგი იქნებოდა.

მერაბ ჩუხუა: ფული იქ შეიკრიბა ნამდვილად.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თემა არ სრულდება... მოსკოვში ვინ იყო?

მერაბ ჩუხუა: ———

ნათელა ვაჩნაძე: არ იცით. და “Россия”-ში რატომ შევიდნენ, ვის ჰქონდა ნომერი დაქირავებული? ასე ეხლა “Россия”-ში ვინ შეუშვებდა.

მერაბ ჩუხუა: არა, შესვლა რა, უბრალოდ ეს მათი შეკრების სერიოზულობას უსვამს ხაზს.

ნათელა ვაჩნაძე ხოდა, მაგაშია საქმე. ხომ არ გაგიათ რამე გელოვანის ოჯახის შესახებ?

მერაბ ჩუხუა: არა, არ ვიცი, რაც არ ვიცი, არ ვიცი. მე შემიძლია მხოლოდ ფაქტები, ან მონაწილე ვარ, ან გისახელებთ წყაროს.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია.

თამაზ დუმბაძე

2007 წლის 17 ივნისი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო თამაზ, ჩვენ განვიზრახეთ, რომ ამიერიდან ყველა ჩვენს რესპონდენტს ვთხოვოთ თავიდან — იმიტომ კი არა, რომ ისინი არ არიან პოპულარულები, ან საზოგადოება არ იცნობს ამ ადამიანებს, არა, მაგრამ იცნობს ეს საზოგადოება, რომელიც მომსწრეა თანამედროვე ცხოვრების. ჩვენ ხომ წარმავალი ვართ ყველანი, ეს ყველაფერი კეთდება მომავალი თაობებისათვის. ჩვენ ასეთი პრინციპი გვაქვს, ვთხოვოთ რესპონდენტს, თავისი ცხოვრება გვიამბოს, თავისი ბიოგრაფია მოკლედ, ლაკონიურად — სად დაიბადეთ, რომელ ოჯახში, როდის, სად მიიღეთ განათლება...

თამაზ დუმბაძე: მე მოგართმევთ წიგნს და იქ არის ყველაფერი, ჩემი ბავშვობა, როგორ მოვხვდი სამხედრო სამსახურში...

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან კარგი. გთხოვთ, რომ გაუნიოთ იმას ანგარიში, რომ მე არავითარი წარმოდგენა არა მაქვს სამხედრო საქმეზე. ჩემი წინაპრები ყველანი სამხედრო სამსახურში იყვნენ, ასე მსმენია ოჯახში და რაც წამიკითხავს, როგორც ისტორიებს, ის არის. ასე რომ, ძალიან გთხოვთ მოწყალების თვალით გადმოგვხედოთ.

თამაზ დუმბაძე: მე რაც ვიცი, ყველაფერს მოგახსენებთ, არაფერს დაგიმალავთ. ჩვენს ოჯახში იყო შვიდი ძმა დუმბაძეები, აქედან 5 იყო გენერალი, რომლებიც მსახურობდნენ რუსეთის ჯარში, ერთი იყო პოლკოვნიკი და ერთი იყო მდვდელი. მე მინდოდა საეკლესიო ცხოვრება, აღვკვეცილიყავი, მაგრამ ჩემმა სულიერმა მამამ წამიყვანა პერიოდის ლავრაში, მოსკოვსა და ლენინგრადს შორის და იქ ბერებთან ვცხოვრობდი ორი კვირა. ჩემი სულიერი მამის სულიერი მამა მეფეს-თან მსახურობდა. მაგ კაცმა მითხრა, რომ უ თება დრგა ჯიზნი, შენ სხვა ცხოვრება გელოდებაო. ჯერ ერთი, უნდა დაფიქრდეო, შეძლებ თუ არა ამ ცხოვრების ატანასო. შენ სხვა ცხოვრება გელოდებაო — თითქოს წინასწარმეტყველი იყო. სამხედრო საქმეში მე მიმიყვანა სამშობლოს სიყვარულმა. როცა დაიწყო ბატონმა ზვიადმა ეს მოძრაობა, ამან მიმიყვანა. დამიძახა ბატონმა ზვიადმა — ალბათ მიცნობდა — და მითხრა: ბატონო თამაზ, მე მინდა შენ დაუდგე კიტოვანს გვერდით და შექმნათ გვარდია. აქედან დაიწყო ჩემი სამხედრო კარიერა. მე არც ერთი დღე ჯარშიც არ ვყოფილვარ. პირველი ბრძანება, იმ უბედურმა პრეზიდენტმა რომ დაწერა, იყო ექვს კაცზე. აქედან ხუთი იყო რუსეთის პოლკოვნიკი. და მეექვსე, ბრძანებაცა მაქვს, ვიყავი მე — მიენიჭოს თამაზ დუმბაძეს პოლკოვნიკის წოდება.

ნათელა ვაჩნაძე: როდის მოხდა, ბატონი თამაზ, განხეთქილება?

თამაზ დუმბაძე: ერთხელ დამიძახა მე მაგან და მითხრა: ბატონი თამაზო, გთხოვთ, წახვიდეთ, გაიყვანოთ ხალხი და სამტრედის ხაზი გადაკეტოთო. მე ვუთხარი, ბატონი ზვიად, რატომ გადავკეტოთ-მეთქი და მე ამითო რუსეთის ეკონომიკა უნდა დავანგრიოო. მე 30 წელი ვიმუშავე წარმოებაში, ფაბრიკაში და ვუთხარი, ბატონი ზვიად, ამითი ჩვენი ეკონომიკა უფრო დაინგრევა, ვიდრე რუსეთის-მეთქი. მე თქვენზე სხვა წარმოდგენა მქონდაო. ავდექი, ბოდიში მოვუხადე და გამოვედი მაგის კაბინეტიდან. რომ გამოვედი, გელა ლანჩავა ზის იქ, გარდაიცვალა ეს ბიჭი, ის იყო ჩემი ხელქვეითი და ვუთხარი, აქედან პირდაპირ ჩემთან ამოდი-მეთქი, მივხვდი უკვე, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ჩემთან კაბინეტში არ ამოსულა. მეორე დღეა, მირეკავს გელა სამტრედიდან, ბატონი თამაზ, ხალხი მომახმარე, ვერ ვუძლებ ხალხის შემოტევასო. ჯერ ვინც მანდ გაგაგზავნა-მეთქი და მერე შენი... და დავუკიდე ყურმილი. აი, იქიდან დაინყო ჩვენი... რუსეთთან მინდა ურთიერთობა, ისეთი კი არა, რომ მაგან მითხრას: "რასაც მინდა, იმას გავაკეთებო", არა, ურთიერთობა ცივილური, რაც უნდა იყოს, საერთოდ, დემოკრატიულ ქვეყნებში. ყველა თათბირზე, რაც კი სწგ-ში ტარდებოდა, ყველგან ვიყავი მე. ექვსი მინისტრი გამოვიცვალე, ექვსი, შევარდნაძე იყო კიდევ ექვსი თვე ჩვენთან შეთავსებით. აი, ასეთი ისტორია მაქვს მე გავლილი.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ მოხდა გვარდიასა და პრეზიდენტს შორის განხეთქილება?

თამაზ დუმბაძე: პრეზიდენტმა მოითხოვა, ჩვენ გადავსულიყავით შინაგან ჯარში, რომელიც დაექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს როდის იყო?

თამაზ დუმბაძე: პუტჩის... დი 19-ი. მაგან შემოგვთავაზა, რომ ჩვენ შევსულიყავით შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ნათელა ვაჩნაძე: ზოგი ყვება, რომ ეს პუტჩის დღეებში მოხდა და დაექვემდებარა გრიგორი განკარგულებას.

თამაზ დუმბაძე: გეუბნებით მე, ასე იყო, 19-მდე გაფრთხილებულები ვიყავით, რომ უნდა შევსულიყავით შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს კარგად ვიცი. ჩვენ უარი ვუთხარით, იმიტომ, რომ ახლა ყალიბდება-თქო საქართველოში ჯარი და ჯარის გამილიციონერება არ შეიძლება-თქო.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ?

თამაზ დუმბაძე: ჯარს სხვა ფუნქციები აქვს და მილიციას სხვა ფუნქციები აქვს. მილიციამ უნდა დაიჭიროს ხალხი და ჯარი იცავს სამშობლოს. აი, ასეთი განსხვავება იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს შეურაცხყოფა იყო ყოველი გვარდიელისთვის?

თამაზ დუმბაძე: აბსოლუტურად ყველა გვარდიელისთვის შეურაცხყოფა იყო, აბსოლუტურად ყველა გვარდიელისთვის.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი კაცი გყავდათ გვარდიაში?

თამაზ დუმბაძე: 12 ათასი კაცი. პირველი განვევა რომ იყო, გვეხვეწებოდნენ დედები, რომ ჩემი შვილი მიიღეთ გვარდიაში. იმის შემდეგ აღარ მომხდარა ესა.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ, როდესაც გადაწყვიტა პრეზიდენტმა, რომ გვარდია დაუქვემდებაროს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ შინაგან ჯარად აქციოს...

თამაზ დუმბაძე: ასე მოითხოვა რუსეთმა, იმიტომ, რომ არ უნდოდა რუსეთს, რომ საქართველოს ჰყოლოდა რეგულარული ჯარი.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, რუსეთს ეს არ უნდოდა, ყველა რესპუბლიკა თუ ასე მოიქცეოდა, ყველას თავისი გვარდია ეყოლებოდა, ყველას თავისი პროფესიონალური ჯარი ეყოლებოდა, ეს როგორ შეიძლებოდა?! ჯერ ხომ საბჭოთა კავშირი იყო და გორბაჩოვი ედგა სათავეში ამხელა იმპერიას, ვინ მოგცემდა ამის უფლებას?!

თამაზ დუმბაძე: გორბაჩოვი და ჩვენიც მონაწილეობდა, შევარდნაძე.

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, შევარდნაძის საკითხი სხვა საკითხია. თქვენ ეს იუკადრისეთ, გვარდიამ, მოყოლებული პატარა ბიჭებიდან, რომლებიც პირველი განვევის გვარდიელები იყვნენ, რა თქმა უნდა, უმაღლეს ექლონამდე.

თამაზ დუმბაძე: სწავლება უნდა გვქონოდა ბარისახოში, გასულები ვიყავით. გვარდიის სამმართველოს უფროსი იყო პაპავაძე გოგი. პირველი სარდალი იყო ეგ და მე ვიყავი მატერიალურ-ტექნიკური სამმართველოს უფროსი, პირველ მოადგილედ ვითვლებოდი გოგის. გოგიმ მიიღო პირველი “პარადი” და ცქიტიშვილი იყო კიდევ, ბრწყინვალე მცოდე სამხედრო საქმის. ორივე იყო რუსეთის ჯარიდან. ბრწყინვალე ოფიცრები იყვნენ ჩვენთან.

ნათელა ვაჩნაძე: რუსეთის ჯარში ნამუშევრები იყვნენ, აბა, სხვაგან სად უნდა ყოფილიყვნენ? სად იყო სხვა ჯარი? სად უნდა ესწავლა სამხედრო საქმე ადამიანს, თუ არა საბჭოთა ჯარში? სად უნდა წასულიყო? ჯოჰარ დუდაევიც რუსეთის ჯარში იყო და ყველა რუსეთის ჯარში იყო. ერთი იყო ჯარი — საბჭოთა კავშირის ჯარი, ბირთვი რუსები და მერე, რასაკვირველია, ყველა, სხვა, სამხედრო-სავალდებულო სამსახური იყო. ამიტომ ეს არავითარი მინუსი არ იყო, რომ რუსეთის ჯარში მუშაობდნენ.

თამაზ დუმბაძე: ახალი თაობა თვლის, რომ ეს მინუსი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბარისახოში რატომ ვერ წახვედით?

თამაზ დუმბაძე: ბარისახოში წავედით, გავამზადეთ ყველაფერი, რომ უნდა
მიგვეღო ეს ხალხი იქ, სასწავლოდ გაგვყავდა ეს ახალგაზრდა ბიჭები.
უცბად, მიიღო დადგენილება ბატონმა სიგუამ და კიტოვანმა, რომ ქა-
ლაქთან ახლოს ვყოფილიყავით --- რკონში და არა ბარისახოში.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც ვისი იდეა იყო, კიტოვანის თუ სიგუასი, თუ ამდენი
თქვენ არ იცით?

თამაზ დუმბაძე: არა, როგორ არ ვიცი. სიგუა არის ბრწყინვალე ადამიანი,
განათლებული კაცი და მოექცა ცოტა კიტოვანის გავლენის ქვეშ. ერ-
თადერთი კაცი, რომელიც სულ ვეჩენებებოდი, ვიყავი მე. პირში ვეუბ-
ნებოდი კიტოვანს, ეგ არ იყო...

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. იდეა რკონში წასვლის კიტოვანის იყო?

თამაზ დუმბაძე: ჰო, კიტოვანის და სიგუასი.

ნინო თომაძე: ოღონდ თქვენ ბრძანეთ, რომ სიგუა მოექცა კიტოვანის გავ-
ლენის ქვეშ.

თამაზ დუმბაძე: კი, კი.

ნათელა ვაჩნაძე: რკონი რას წარმოადგენს, ჩაკეტილი ხეობაა?

თამაზ დუმბაძე: კი. ბარისახოც მშვენიერი ადგილი იყო, მაგრამ რაღაცა რომ
იყოს, უფრო ახლო ვიქენებით ქალაქთანო. აბსოლუტურად ყველა, გია
ყარყარაშვილი, სუყველა ვიყავით რკონში მოქცეულები.

ნათელა ვაჩნაძე: გია ყარყარაშვილი და კიდევ ვინ?

თამაზ დუმბაძე: გია ყარყარაშვილი, გოგი პაპავაძე, სუყველა, ვინც სამხე-
დრო ელიტა იყო, სუყველა იქ ვიყავით.

ნათელა ვაჩნაძე: გქონდათ რაიმე ურთიერთობა ხელისუფლებასთან?

თამაზ დუმბაძე: კი, პრეზიდენტთან გვქონდა. ერთი-ორჯერ დაიბარა, ჩამო-
დიოდა თბილისში... მე დავყვებოდი ხოლმე კიტოვანს, ცოტა ეშინოდა.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტთან თქვენ დაჰყვებოდით?

თამაზ დუმბაძე: ყოველთვის, მე და ერთი ბიჭი — კახა გველესიანი, „კალიას-
კაში“ წევს ეს ბიჭი. თბილისის ომი რომ იყო, ეგენი ისხდნენ პიონერთა
სასახლეში. და უთხრა, რომ არ გვინდაო, ნუ დავანგრევთ ამასო, ეს
არისო ისტორიული ძეგლიო და გამოდით მაქედანო. შემოდიო, ამათმა
უთხრეს — ქობალიას ხალხი იყვნენ მისულები იქ — იარაღი დააწყვე და
შემოდიო. ამ ბიჭმა დააწყო იარაღი და შევიდა თუ არა, გადაცხრილეს.

ნათელა ვაჩნაძე: სასახლეში? ქობალიას ხალხმა?

თამაზ დუმბაძე: იმ ხალხმა, რომელიც იდგა ბატონი პრეზიდენტის მხარეს.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ თქვენ უფრო მაინც ქობალია ახსენეთ, ვახტანგ ქო-
ბალია?

თამაზ დუმბაძე: ვახტანგ ქობალია. ეგ იყო ზუგდიდში ბატალიონის უფრო-
სი. მე “რაპორტი” მქონდა მაგის განთავისუფლებაზე დაწერილი, რომ
გაეთავისუფლებინათ. რაღაცები იყო იქ, შევამოწმე. ვამოწმებდი

ხოლმე ნაწილებს. დიდი სტრატეგი არ ვიყავი, მაგრამ როცა კი მივდიოდი, მიმყავდა ის პიროვნებები, ვისაც ესმის და იმას ვეკითხებოდი, აი, ეს რატომ არის, ასე ხომ არ უნდა იყოს. ის მეუბნებოდა, ბატონო თამაზ, არასწორად მოქმედებენ ესენი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო თქვენი ასეთი მრჩეველი, პროფესიონალი, ვინც თქვენ დაგყავდათ ასეთ შემთხვევებში?

თამაზ დუმბაძე: ბევრნი. ერთ-ერთი იყო გენერალ-ლეიტენანტი რობერტ თავაძე, ბრწყინვალე ოფიცერი, ცოცხალი აღარ არის, გარდაიცვალა. იყო ავთო ცქიტიშვილი, იყო გოგი პაპავაძეც. ბევრი, ბევრი... უჩაძე, უჩავა, გენერლები. რომ არ იცი რამე, უნდა გყავდეს გვერდით ის, ვინც იცის. პირველად რომ მოგვცეს რუსებმა 109 ტანკი...

ნათელა ვაჩნაძე: როდის?

თამაზ დუმბაძე: ზუსტად გეტყვით... გაპრეზიდენტების შემდეგ...

ნათელა ვაჩნაძე: 91 წლის 26 მაისის შემდეგ?

თამაზ დუმბაძე: მეორედ რომ შემოვედით ჩვენ, მაშინ მოგვცეს, პრეზიდენტი რომ გადავაყენეთ, აი, მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: პრეზიდენტი თუ გადადგა, ტანკები რაღად გინდოდათ?

თამაზ დუმბაძე: წინაპირობა იყო, რომ ჩვენ შევსულიყავით აფხაზეთში.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არ იქნებოდა გამსახურდიას ხელისუფლების დროს, ეს უკვე სხვა ხელისუფლებაა. როდესაც გადატრიალება დაიწყო, რამდენი ტანკი იყო?

თამაზ დუმბაძე: ჩვენ სულ გვყავდა 5-6 სამხედრო ტექნიკა, მეტი არა. იმათ-თანაც ორი თუ სამი ტანკი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ მაინც მეტი გყავდათ.

თამაზ დუმბაძე: ქალაქი ამას ვერ გამოიყენებს, იმიტომ, რომ ტანკი ქალაქის არ არის. ქალაქის არის БТР და ადამიანი.

ნათელა ვაჩნაძე: БТР-ები გყავდათ?

თამაზ დუმბაძე: აი, ეს 5-6 და 2 ტანკი.

ნათელა ვაჩნაძე: თოვებიც ხომ იყო საჭირო?

თამაზ დუმბაძე: ყველაფერს გვაძლევდა რუსეთი. როგორც ჩვენ გვამარაგებდა, ისე ამარაგებდა იმ მხარესაც. მე მაგზავნიდნენ, საერთოდ, მე და კახა გველესიანს. ეს კახა გველესიანი კარატისტი ბიჭი იყო, საქართველოს ჩემპიონი, რუსეთის ჩემპიონი, ძალიან ძლიერი ბიჭი ფიზიკურად და ყველაფრით და ამიტომ სულ მე და ეგ დავდიოდით ვაკბო-ში და გამოგვქონდა იქიდან. მე რომ გამოვიდოდი მანქანით, მოადგებოდა მაგათი მანქანა და მერე იმათ გამოჰქონდათ.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ უყურებდით ერთმანეთს, ორივე მხარე, რომ თქვენც გამოგქონდათ და მეორე მხარესაც გამოჰქონდა?

თამაზ დუმბაძე: როგორ არა!

ნათელა ვაჩნაძე: ფული საიდან იყო, ბატონო თამაზ?

თამაზ დუმბაძე: პირველი ფული იყო ჩემი. მე ისეთ საწარმოში ვმუშაობდი...
იმიტომ უნდოდა ბატონ ზვიადს... პირველი შესატანი სამ მილიონამდე
შევიტანე.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ეს რუსული ფული იყო...

თამაზ დუმბაძე: რუსულ ფულს მაინც ძალა ჰქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: ... მაშინ სახელმწიფო მხოლოდ რუსული ფულით სარგე-
ბლობდა. განა სამი მილიონი ბევრი იყო?

თამაზ დუმბაძე: კი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი სამეგობრო თქვენს გვერდით იდგა?

თამაზ დუმბაძე: სუსყველა. იმიტომ უნდოდა ბატონ ზვიადს, რომ მე ძალიან
დიდი გავლენა მქონდა იმ სფეროში, სადაც ვმუშაობდი, მსუბუქი
მრეწველობა.

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, ძალიან ძლიერები იყვნენ. შევარდნაძე არ დაგდევ-
დათ თავის დროს? ჩრდილოვანი ეკონომიკა — ასეთი ტერმინი იყო,
გახსოვთ?

თამაზ დუმბაძე: ბევრი დამდევდა. მაგრამ მაშინ სხვანაირად იყო აწყობილი
---- რომ აკეთებდი ფულს, გააკეთებდი ათს, შვიდს არიგებდი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ამას წლების მანძილზე აგროვებდით, და მერე,
როდესაც საჭირო გახდა იარაღის შეძენა, თქვენ უკვე შეგეძლოთ...

თამაზ დუმბაძე: მე ეს ყველაფერი დავთმე... ისე მიყვარს მე ჩემი სამშობლო,
რომ დღესაც რომ იყოს საჭირო, არ დავფიქრდები, ისე...

ნათელა ვაჩნაძე: ეს სამი მილიონი თქვენ რა მომენტში შემოიტანეთ?

თამაზ დუმბაძე: ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო გვარდიის ორგა-
ნიზება, იმიტომ, რომ ჩასაცმელი არ იყო, არაფერი არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: იარაღიც მაშინვე იყიდეთ?

თამაზ დუმბაძე: იარაღი მაშინ იმდენი არ იყო. არც რუსები გაძლევდნენ
ბევრ იარაღს. ისე გაძლევდნენ, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: ერთმანეთი ამოგვეწყვიტა ცოტ-ცოტა და ისე, რომ რუსე-
თის იმპერიაში დიდი აჯანყება მომხდარიყო, ეს მაგათ არ უნდოდათ.

თამაზ დუმბაძე: ეგ მოხდა მარტო ჩეჩინეთში, როცა დაიტოვეს იქ მთელი ტე-
ქნიკა რუსების. იმიტომ გაუძლეს ამდენი ხანი. გილავთან ვიყავი თვე-
ნახევარი კოდორის ხეობაში.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესებს, გადატრიალებისთვის ფული ვინ დადო?

თამაზ დუმბაძე: გადატრიალებისთვის ფული არავის არ დაუდია. არავის
არ უთქვია, რომ აი, ფული და ეს გადააგდეთ. არავინ არა თქვას ეგ,
სულ ტყუილია. 18 დეკემბერი იყო, თბილისის ზღვაზე ვართ ჩვენ და
ამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე და
მითხრა, ბატონო თამაზ, შენთან შეხვედრა უნდა პრეზიდენტსო და

უნდა ჩამოხვიდეო. სამხედრო საბჭო იყო მაშინ ჩვენთან და გადაწყვიტა სამხედრო საბჭომ, რომ წავსულიყავი მე. მე და კახა გველესიანი წავედით შესახვედრად პრეზიდენტთან. როცა შევედით, გაჩხრეკა უნდოდათ ჩვენი. მე მოუტრიალდი და ვუთხარი, იმდენი შეგნება მაქს-მეთქი, რომ პრეზიდენტთან მე იარაღით არ შევალ-მეთქი. თუ არა გჯერათ-მეთქი, მე აღარ შევალ პრეზიდენტთან-მეთქი. იმ წუთას შემიყვანეს. შევედით, იქით ერთი “სტოლი” იყო პატარა, იქით ერთი სკამი იყო, აქეთ ორი სკამი, დავსხედით მე და კახა გველესიანი. ექვსი კაცი იყო თავისი დაცვა, აქედან თამაზ ნინუა იყო მაშინ კგბ-ს უფროსი, ეს რომანი და კიდევ ოთხი კაცი. ხუთი წუთის შემდეგ შემოდის პრეზიდენტი. რომ გელაპარაკებოდა, კი არ გიყურებდა სახეში, თვალები ძირს დახრილი ჰქონდა საწყალს და ისე გველაპარაკებოდა. დავჯექით. ბატონო თამაზ, თქვენ ჩემთან უნდა გადმოხვიდეთო. ბატონო პრეზიდენტო, მე თქვენთან ვიყავი თავიდანვე, აბა, ვისთან ვიყავი-მეთქი. მე, თქვენ კარგად იცით, რატომ მოვედი-მეთქი, თქვენ დამიძახეთ... აი, ხომ ხედავ, გია ყარყარაშვილი გადმოვიდა ჩემთანო. მაშინ გია გავიდა ოსეთში, იმიტომ, რომ იქ ცუდი მდგომარეობა შეიქმნა და გია შევიდა პირდაპირ. ეს გადაწყვიტა სამხედრო საბჭომ, რომ გია წასულიყო იქ. მე ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო, ეს თქვენი დავალებით კი არა, სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა და შევიდა გია იქ. გიას დაგიპირისპირებთო. მე ვუთხარი, არ არსებობს, რომ გია ჩვენ დაგვიპირისპირდეს. ჩვენ არაფერს არ დავიწყებთ-მეთქი, მაგისი იმედი გქონდეს-მეთქი. ჩვენ არაფერს არ დავიწყებთ, თუ თქვენ არ დაიწყებთ-მეთქი. მე გაგანადგურებთ თბილისის ზღვაზეო. როგორ გაგვანადგურებთ-მეთქი. ისეთი ბომბი მაქვს, დაგარტყამთ და გაგანადგურებთო. ერთი ბომბი იყო რაღაც სამმეტრიანი, გრძელი, მოიპარა ის გიამ და ამოიტანა ზღვაზე. წუ გატყუილებენ, ბატონო ზვიად, იმას ვერ ისვრით-მეთქი...

ნინო თომაძე: სხვათა შორის, ბევრი ამბობს, ბატონო თამაზ, რომ ხშირად იყო შემთხვევა, ბატონ ზვიადს ატყუებდნენ.

თამაზ დუმბაძე: ბევრი. ...ერთი საათი ვილაპარაკეთ, ჩვენა გვაქვს ეგ ბომბი-მეთქი, ვუთხარი. გაუკვირდა. გიამ ამოიტანა ჩვენთან-მეთქი. მაგაზე სულ გაგიუდა. ატყუებდნენ, მაგრად ატყუებდნენ, იცით, როგორ მე-ცოდებოდა. მაგან დიდი საქმე დაიწყო საქართველოში, მაგრამ არას-წორად წაიყვანა. არ შეიძლებოდა რუსეთის გინება, არ შეიძლებოდა ამერიკელების გინება, სუყველას აგინებდა. გაზეთებში თუ კითხულობდით, ის კაბიტალისტია, რუსეთი არის იმპერია ვლა ...ბევრი ვილაპარაკეთ და კახა ეუბნება: ”ბატონო პრეზიდენტო, თქვენი კუმირი ვინ არის”? ”დე-გოლი, დე-გოლიო” ... “აი, მოიქეცით, როგორც დე-გოლი მოიქცაო.”

ნათელა ვაჩნაძე: კახამ უთხრა, გადადექითო?

თამაზ დუმბაძე: კახამ უთხრა, გადადექიო და მერე თუ აგირჩევს ხალხი, ვნახოთო. ეგ არ მოხდება, ეგ არ მოხდება. შეშინებული კაცის შთაბე-

ჭდილებას ტოვებდა. თვალები და ხელები ჩაყვითლებული ჰქონდა. სიმპათიური კაცი იყო ძალიან ის უბედური, მაგრამ ამ ნერვიულობამ, ეტყობა, ძალიან იმოქმედა. მერე ამ ქალებმა ხომ..

ნათელა ვაჩნაძე: ხელებზე რა ჰქონდა? საერთოდ ძალიან ლამაზი ხელები ჰქონდა.

თამაზ დუმბაძე: ძალიან ლამაზი, გრძელი თითები. სახეზე სიყვითლე ეტყობოდა, არ ვიცი რისგან იყო, ნერვიულობისგან თუ რისგან.

ნინო თომაძე: ქალებმა რა უყვეს?

თამაზ დუმბაძე: ქალებმა დაღუპეს საქართველო, მაგისმა ცოლმა, ცოლისდამ და მინისტრი რომ იყო, ძოძუაშვილმა. ...მე ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ იცით, რომ მე ძალიან დიდ პატივს გცემთ-მეთქი, თქვენ მოითხოვეთ და მე გამომაგზავნეს თქვენთან-მეთქი. მე ახლა თქვენი ეს უნდა მივუტანო იქ. მხოლოდ ერთი, რა, იცოდეთ, ესე დამაბარეს-მეთქი, რომ ჩვენ თქვენ აღარ დაგვექვემდებარებით, დავექვემდებარებით პარლამენტს. პირდაპირ ასე ვუთხარი, თქვენ ჩვენ გაგვყიდეთ-მეთქი. როდის გაგვიდეთო? როცა გინდოდათ ჩვენი შინაგან ჯარად გამოცხადება. ყველა ნორმალურ კაცზე ასე იმოქმედებს-მეთქი. ჩვენ შევქმნით ჯარი საქართველოსთვის და არა მილიციისთვის. მე მოვახსენებ, რომ თქვენ გვითხარით, დაგბომბავთ, არ გადავდგები და თქვენ უნდა შემოხვიდეთ ჩემთან ისევ შინაგან ჯარში.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ უშვებთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირში იყო ერთი არმია და იყო ერთი მინისტრი, იყო ერთი პრეზიდენტი და იმ მინისტრს ექვემდებარებოდა ერთი არმია, მთელი საბჭოთა არმია და გვარდია, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა, როგორ წარმოგედგინათ ერთიან სივრცეში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა?

თამაზ დუმბაძე: როცა თავისუფლება გამოაცხადა, მაშინ შეიქმნა გვარდია, თავისუფლებისთვის შეიქმნა.

ნათელა ვაჩნაძე: კი, გასაგებია, მაგრამ თავისუფლება რეალურად იყო?

თამაზ დუმბაძე: თავისუფლება ახლა არის რეალურად?

ნათელა ვაჩნაძე: მე მაშინ მაინტერესებს. როგორ იქნებოდა თავისუფლება, როდესაც ჩვენ შევდიოდით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში....

თამაზ დუმბაძე: არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ... ვინ იყო მინისტრი არ მახსოვს, მაგრამ...

თამაზ დუმბაძე: გრაჩოვი. გრაჩოვთან ყოველ წელიწადს გვქონდა შეხვედრა.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ყოველ წელიწადს?

თამაზ დუმბაძე: გადატრიალების შემდეგ.

ნათელა ვაჩნაძე: უკვე აღარ არის ჩვენთან ხელისუფლება გარკვეულ ხანს. სნგ-ში შეიყვანეთ ქვეყანა და მერე...

თამაზ დუმბაძე: მე არ შემიყვანია.

ნათელა ვაჩინაძე: ...ახალმა ხელისუფლებამ შეიყვანა.

ნინო თომაძე: შევარდნაძემ შეიყვანა.

ნათელა ვაჩინაძე: ნუ აბრალებთ ყველაფერს შევარდნაძეს, ახალმა პარლა-
მენტმა კენჭი უყარა გაყალბებებით, ჩხუბით, დავიდარაბით, მაგრამ
უყარა.

თამაზ დუმბაძე: უსიტყვოდ, სუყველამ.

ნათელა ვაჩინაძე: უსიტყვოდ? არა, სიგუამ არ მისცა ხმა.

თამაზ დუმბაძე: სიგუამ და ნოდარ ნათაძემ.

ნათელა ვაჩინაძე: ვერაფრით ვერ გავიგე, რამდენი დაჯდა ეს გადატრიალე-
ბა. გავიგე აფრიკის ქვეყნებში რა დაჯდა, სამხრეთ ამერიკაში რა დაჯ-
და და საქართველოში რა დაჯდა, ვერ გავიგე.

თამაზ დუმბაძე: აფრიკას აფინანსებდნენ უცხო ქვეყნები, აქ დაფინანსება
არ იყო, დამიჯერეთ.

ნათელა ვაჩინაძე: გოგი ქათამაძეს თუ იცნობდით, ბატონო თამაზ?

თამაზ დუმბაძე: როგორ არა.

ნათელა ვაჩინაძე: არის ასეთი ინფორმაცია, მე ეს ჩემი თვალით არ მინახავს,
რომ სამეცნიერო თუ აჯანყებულმა ხალხმა, ოპოზიციონერებმა, სოხ-
ოვეს ბატონ გოგის, რომ კინოს სახლში დამჯდარიყო და ფული აეკრი-
ფა ხალხისგან.

თამაზ დუმბაძე: ეგ იყო, როცა ომი დაიწყო აფხაზეთთან, ოქროულს
აგროვებდნენ.

ნათელა ვაჩინაძე: არა, ამაზე უფრო ადრე და სწორედ გადატრიალებისათვის.
მე ეს აქცია მაინტერესებს. თქვენ სხვაზე ბრძანებთ.

თამაზ დუმბაძე: არა, ეგ არ ვიცი და ვერ გეტყვით.

ნათელა ვაჩინაძე: რამდენი ადამიანი იყო მოედანზე, როცა პირველი გას-
როლა მოხდა?

თამაზ დუმბაძე: არ იყო ბევრი. პირველად რომ ჩამოვიდა სიგუა, ჩვენც ჩამ-
ოვყევით. პირველი გასროლა რომ მოხდა, მეც იქ ვიყავი, მაგრამ ცოტა
ქვევით ვიყავი.

ნათელა ვაჩინაძე: სიგუა წინა დღეს არ ჩამოვიდა?...

თამაზ დუმბაძე: წინა დღეს.

ნათელა ვაჩინაძე: ... და პატარა ავტობუსში იჯდა, სამარშრუტო ტაქსები რომ
არის, 12 კაცი რომ ეტევა.

თამაზ დუმბაძე: თეთრი ავტობუსი იყო, „რაფი“.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ რა ადგილას იყავით?

თამაზ დუმბაძე: სიგუა სადაც იყო.

ნათელა ვაჩინაძე: როგორ დაიწყო სამხედრო თვალსაზრისით?

თამაზ დუმბაძე: სამხედრო თვალსაზრისით ეგ არ იყო. იქიდან გასროლა მოხდა, დაიჭრა თვითონ რომან გვენცაძე.

ნათელა ვაჩნაძე: პირველი გასროლა ვისი იყო?

თამაზ დუმბაძე: იქიდან.

ნათელა ვაჩნაძე: რომან გვენცაძე იქით იყო თუ აქეთ იყო?

თამაზ დუმბაძე: იქ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ დაიჭრა თავისივე კაცი?

თამაზ დუმბაძე: წინ იყო გამოსული. რომანი სულ იყო წინა პლანზე. არ უნდოდა რომანს, რომ ეს განხეთქილება მომხდარიყო.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ იყო გასროლა? თქვენ იდექით იქ და იმიტომ იყო გასროლა.

თამაზ დუმბაძე: აქეთ მხარეს იყო გასროლა და ჩვენ ვარდებს ხომ არ მივუტანდით?! მაგრამ მე იარაღი არ ჩამიდვია. მე 27 წელიწადია მარხვაზე ვარ და როცა მარხვა არის, მე იარაღს არ ვიდებ.

ნათელა ვაჩნაძე: ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი ყოფილხართ. . . . ვის ჰქონდა იარაღი?

თამაზ დუმბაძე: იმ პერიოდში უკვე ვის აღარა ჰქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენი შეიარაღებული ადამიანი შეიძლებოდა იქ ყოფილიყო?

თამაზ დუმბაძე: იქ იყო 3-4 ათასზე მეტი კაცი, შიგნით. საწყალი ბესო იყო ქუთათელაძე. ის იყო საჩხერის ბატალიონის უფროსი, რომლის ბატალიონი იდგა ანძაზე. ბატალიონი არის სამასიდან ხუთას კაცამდე, ჩვენთან კი ბატალიონს ეძახდნენ 20 კაცს და 40 კაცს. მაგას ჰყავდა 200 კაცამდე. გამოვიდა ბესო ჩვენთან. მაშინ ბესო იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე, და თქვა, რომ მოლაპარაკება უნდა პრეზიდენტს თქვენთანო. სიგუა დაელაპარაკა ტელეფონით. პრეზიდენტმა თქვა, გადავწყვიტე, წავიდეო, ჩემი ყურითა მაქვს მოსმენილი, და გამაცილოს დუმბაძემო. იმ კაცს მაინც ჰქონდა ჩემი იმედი, რომ არაფერს ისეთს არ გავაკეთებდი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი თენგიზი სხვაგვარად ყვება, ბატონი თენგიზი ბრძანებს, დავპირდი, რომ მე გავაცილებდიო...

თამაზ დუმბაძე: აბსოლუტურად ტყუილია.

ნათელა ვაჩნაძე: ... და მე ვიჯდებოდიო იმ მანქანაში, რომელშიც პრეზიდენტი იჯდებოდა და რომელშიც მისი შვილები იქნებოდნენო.

თამაზ დუმბაძე: სულ ტყუილია. ... შეთანხმდნენ, მეორე დღეს უკვე უნდა გასულიყო და გაგვეცილებინა.

ნათელა ვაჩნაძე: სად მიფრინავდა?

თამაზ დუმბაძე: ეგ აღარ უთქვია. მეორე დილით, 11, 12, 1, 2 საათი გახდა, არაფერი არ ისმის. მე ვუთხარი, თენგიზ, დაურეკე, რა ხდება-მეთქი.

ბატონი პრეზიდენტო, თქვენ სიტყვას ხომ არ გადახვედითო? არსა-დაც არ მივდივარო და დაუკიდა ყურმილი. ბესო ისეთი ვაჟკაცი ბიჭი იყო, მოხსნა ეს ხალხი, პრეზიდენტმა მეც მომატყუაო და ადგა და წაიყვანა თავისი ხალხი საჩხერეში, საერთოდ არ გაჰქარებია. მე ქართველს ვერ ვესვრიო და ადგა და წავიდა. ბოლოს მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: როდის?

თამაზ დუმბაძე: როდის და ჭკვიანმა კიტოვანმა რომ უთხრა, წადითო და ტანკები გამოიყვანეთო იქიდანო, მოლაპარაკებულები ვართო იმათ-თანო. 27 წლის ბიჭი მოკლეს, რუსებმა მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ გახსოვთ კარგად, რომ პირველი გასროლა იყო იქიდან.

თამაზ დუმბაძე: კი.

ნათელა ვაჩნაძე: საპასუხო თქვენი გასროლა იმავე წუთში იყო?

თამაზ დუმბაძე: მერე მოხდა. რუსთაველის თეატრი იწვოდა, მეხანძრე ავი-და და დაჭრეს და ვეღარავინ ვერ ადიოდა მაღლა. პირველი ფილტვე-ბის ანთება იქ მივიღე, 2 დღე ვიდექი წყალში, ვაქრობდით. იგენი გვეს-როდნენ ისეთი ტყვიებიდან, რომ მოხვდება ხეს, ცეცხლს აჩენს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სხვანაირი ტყვიები გქონდათ?

თამაზ დუმბაძე: ჩვენც იგივე გვქონდა.

ნათელა ვაჩნაძე: პირველი მსხვერპლი იმავე წუთში იყო?

თამაზ დუმბაძე: არა.

ნათელა ვაჩნაძე: თენგიზ სიგუასა და თენგიზ კიტოვანს შორის როგორი ურთიერთობა იყო ამ მომენტში?

თამაზ დუმბაძე: ურთიერთობა კარგი ჰქონდათ მაგათ. 30, 31, 1 ეგენი ΓΡΥ-ში იყვნენ. ახალ წელს იქ შეხვდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: მეგობრები ჰყავდათ ΓΡΥ-ში?

თამაზ დუმბაძე: არ ვიცი. აქ ვიყავი მე და მთელი ეს ბიჭები.

ნათელა ვაჩნაძე: რა ადგილას?

თამაზ დუმბაძე: იმელის შენობაში, იმიტომ, რომ იქ დაიწვა ყველაფერი. წავ-იდნენ, რომ რუსეთთან მოელაპარაკათ, რომ იარაღი იყო საჭირო.

ნათელა ვაჩნაძე: ΓΡΥ-სთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ თენგიზ კი-ტოვანს?

თამაზ დუმბაძე: კაცი, რომელიც ახლა მოსკოვში ზის, წარმოიდგინეთ, როგორი ურთიერთობა ექნება. მე რომ ჩავიდე იქ, არ არსებობს, მე მომექცნენ ისე, როგორც მაგას. დუმბაძე იყო, რომ ამ რუსებს ყელში ჰქონდათ გაჩხერილი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ, ბატონი თამაზ?

თამაზ დუმბაძე: იმიტომ, რომ მე ვიყავი სუფთა ყველა საქმეში საქართვე-ლოსთვის. პირველები ვიყავით მე და ლევან შარაშენიძე, ჩავედით,

არძინბას შევხვდით. მარტო მე რომელთაც სახეზე ვიცნობდი, გვარ-დიიდან ათას სამას კაცზე მეტია დაღუპული.

ნათელა ვაჩნაძე: ისინი ხომ აქ არ დაიღუპნენ?

თამაზ დუმბაძე: ისინი დაიღუპნენ უაზრო ომში, აფხაზეთში.

ნათელა ვაჩნაძე: ბესო ქუთათელაძე აღარ არის, გელა ლანჩავა აღარ არის...

თამაზ დუმბაძე: მე ერთხელ, თუ გინდათ, მოგიყვანთ ხუთ, ექვს გენერალს და თვითონ გეტყვიან ყველაფერს. პროფესიონალი ხალხი ეგენი არიან, მე არ ვიყავი პროფესიონალი.

ნათელა ვაჩნაძე: მაგალითად, ვინ?

თამაზ დუმბაძე: ზაურ უჩაძე, გოგი პაპავაძე. გოგი პაპავაძეს არ მისცეს გენერლობა, პოლკოვნიკად დარჩა, ავთო ცქიტიშვილი... მე ისეთი გავლენა მქონდა, რომ სუყველა მეკითხებოდა მე, ხომ არაპროფესიონალი ვიყავი, მაგრამ სუყველას აინტერესებდა ჩემი აზრი.

ზაურ უჩაძე, თამაზ დუმბაძე

2007 წლის 20 ივნისი

ნათელა ვაჩნაძე: დიდი ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გენერალიტეტის მიერ მოთხ-რობილ ფაქტებს გადატრიალებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ჩვენი შეკითხვები ფართო სპექტრს მოიცავს, მაგრამ, როგორც იცით, ყველა მოვლენას თავისი პრეისტორია აქვს. ჩვენ გვაინტერესებს უფრო ადრინდელი მოვლენები, იქიდან დავიწყოთ, თუ გნებავთ, აგვის-ტოს პუტჩიდან. მაგრამ სანამ უშუალოდ საკითხს მივადგებით, მინდა, რომ ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ ცოტა რამ იცოდეს თქვენ შესახებ — ვინ ბრძანდებით, სად დაიბადეთ, სად მიიღეთ განათლება, სპეციალური სამხედრო განათლება გაქვთ თუ არა, როგორ დაწინ-აურდით ამ საფეხურებზე, ბოლოს რა წოდება მიიღეთ, ვის დროს, რა თანამდებობა გეჭირათ, რა მდგომარეობა გქონდათ ჩვენს ჯარში და მერე უკვე შევუდგეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას. გთხოვთ.

ზაურ უჩაძე: მე, ზაურ გიორგის ძე უჩაძე, დაბადებული ვარ 1952 წელს ცაგერის რაიონში. საშუალო სკოლა დავამთავრე გალში, აფხაზეთში. 1969 წელს ჩავაბარე თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, რო-მელიც დავამთავრე 1973 წელს, სპეციალობით ვარ არტილერისტი. ვიყავი ოცეულის მეთაური, ბატარეის მეთაური, დივიზიონის შტაბის უფროსი. ამ თანამდებობიდან ჩავაბარე ლენინგრადის საარტილერიო აკადემიაში. ეს მოხდა 1980 წელს. 1983 წელში დავამთავრე აკადემია სამი წლის სწავლის შემდეგ. შემდეგ ვმოღვაწეობდი სხვადასხვა სამხე-დრო ნაწილებში. ვიყავი დივიზიონის მეთაური ხუთი წელი, საარტილე-რიო ბრიგადის მეთაურის მოადგილე ყაზანში. ეს ის დროა, როდესაც საქართველოში ხდება 9 აპრილი, 1989 წელია. როგორც კი მოხდა ეს ამბავი, მაშინვე დავწერე პატაკი და ჩამოვედი საქართველოში და ერთი წელი ვმსახურობდი სამოქალაქო თავდაცვაში ბათუმში, აჭარის სამოქალაქო თავდაცვის ოპერატიული სამმართველოს უფროსად. უკვე იწყება ჩვენი გვარდიის ჩამოყალიბება და გვარდიის ხელმძღვან-ელობის მიერ ვიყავი მოწვეული გვარდიაში. 1999 წლის 8 მარტიდან ვარ გვარდიის რიგებში. პირველი თანამდებობა იყო გვარდიაში ოპ-ერატიული სამმართველოს უფროსი, შემდეგ ვიყავი მეორე საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილე, კორპუსის მეთაური, სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, დასავლეთ მიმართულების სარდლის მოადგილე, სარდალი. შემდეგში ისევ ოპერატიული სამმართველოს უფროსი, შემდეგ შეიარაღებული სამმართველოს უფროსი, მინისტრის

მოადგილე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი ინსპექციის უფროსი ოთხი წლის განმავლობაში, 1994-1998 წლებში. შემდეგ ვიყავი სამშვიდობო ჯარების სარდალი აფხაზეთში და სამაჩაბლოში, გახლდით სამხედრო აკადემიის რექტორი, ვიყავი თავდაცვის სამინისტროში განსაკუთრებულ დავალებათა ჯგუფში. ბოლოს, დავინიშნე სამხედრო ატაშედ უკრაინაში, სადაც დავყავი ორი კვირა და ამის შემდეგ დათხოვნილი ვიქენი შეიარაღებული ძალებიდან. ვარ თადარიგის გენერალ-მაიორი.

თამაზ დუმბაძე: ყველაზე კარგი ბოლო სამსახური იყო. ჩვენ ერთად ვიყავით. გვყავდა შვიდი გენერალი, ვკურინებდით ნაწილებს. მარტო მე ვიყავი ერთი, რომელიც იყო არასამხედრო, სუსტელა იყო პროფესიით სამხედრო, მაგრამ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი მე. თვითონ ამირჩიეს.

ნათელა ვაჩაძე: ბატონო ზაურ, როგორ მოხდა საქართველოში გვარდიის ჩასახვა? თქვენ მაშინ უკვე აქ ბრძანდებოდით.

ზაურ უჩაძე: მე გეტყვით, რომ ქართველ ერს არ სჭირდება რეკომენდაციები, რადგან ის არის მებრძოლი ერი. ჩვენ წლების განმავლობაში გვიხდებოდა თავის დაცვა და მხედრობა და მამაცობა არ აკლდა არასოდეს ქართველ ადამიანს. მაშინაც კი, როდესაც ჩვენი ოფიცრები და ჯარისკაცები მსახურობდნენ საბჭოთა კავშირის არმიაში, ისინი იქ გამოირჩეოდნენ თავისი მამაცობით, თავისი ერუდიციით და ბევრი სასახელო მამულიშვილი ჰყავს მაღალ ეშელონებში. მაღალი ეშელონი იმის მაჩვენებელია, რას წარმოადგენს ერი და ა. შ. ამიტომ ეს არასოდეს არ გვაკლდა ქართველებს. როდესაც დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ ქვეყანა უნდა გახდეს დამოუკიდებელი, რა თქმა უნდა, პირველი ატრიბუტი ქვეყნის არის შეიარაღებული ძალები. მის გარეშე არავითარ ქვეყანაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. 1300-ზე მეტი ოფიცერი იყო, რომელიც მსახურობდა საბჭოთა კავშირის არმიაში, შემდეგ რუსეთის არმიაში, საბჭოთა კავშირში შემავალ სხვადასხვა ქვეყნებში. როდესაც ჩვენ შევქმენით გვარდია, ჩვენ ეს ოფიცრები ამოვიწერეთ და ყველა მათგანთან გვექონდა მიმოწერა. შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩვენ ეს ოფიცრები გადმოვიყვანეთ ჩვენ შეიარაღებულ ძალებში.

ნათელა ვაჩაძე: როდის მოხდა ეს?

ზაურ უჩაძე: ეს მოხდა 1990-დან 1994 წლამდე, გვარდიის შექმნის პერიოდში, სამინისტროს ჩამოყალიბების პერიოდში. 1400-მდე ოფიცერია, რომლებმაც მიატოვეს არც თუ ისე ცუდი პირობები და დაბრუნდნენ ჩვენთან შეიარაღებულ ძალებში. დღეს თითქმის ყველა მათგანი არის უმუშევარი.

ნათელა ვაჩაძე: როგორ შეეგუვნენ ადამიანები, რომლებიც ჩამოიყვანეს და რომლებსაც ჰქონდათ უმაღლესი სპეციალური განათლება მიღებული მოსკოვში, ლენინგრადში, საუკეთესო უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, იმას, რომ პროფესიით მხატვარი ადამიანი გვარდიას ჩაუყენეს სათავეში?

თამაზ დუმბაძე: გვარდიის უფროსი არ იყო თენგიზ კიტოვანი.

ზაურ უჩაძე: ის ყველაფერი, რაც ხდებოდა ქვეყანაში, ეს ხდებოდა რევოლუციურ ტალღაზე. ეს არ იყო მომზადებული. ზოგიერთ ქვეყანაში საუკუნეებით ხდება ეს მომზადება. ტალღა წამოვიდა ისეთი, რომ უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირი და საქართველო, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, იყო ინიციატორი, შეიძლება ასე ითქვას, ამ ყველაფრის. ჩვენ ახლა ვსაუბრობთ იმაზე, როგორ შეეწყვნენ ეს ხალხი ერთმანეთს. ჩვენ სამხედრო საქმეში ასე ვართ მიჩვეულები, რომ ჩვენ არ ვირჩევთ, ვინ იქნება ჩვენი მინისტრი თუ ხელმძღვანელი. რადგან ქვეყანაში მოდიხარ შენ, შენ უკვე იცი რაზე მოდიხარ, რომ შენ შენი ცოდნა, შენი გამოცდილება მოახმარო ქვეყანას. მე, მაგალითად, მრცხვენოდა, რომ ფუფუნებაში მეცხოვრა სადღაც, რუსეთში და ამ დროს ჩემს ხალხს გასჭირვებოდა აქ და იმ ასეულს, თუ ოცეულს არ ჰყოლოდა აქ ის ადამიანი, ვინც მას ასწავლიდა სამხედრო საქმეს. აი, ეს იყო ლეიტმოტივი იმისა, რომ მე ყველაფერი მივატოვე იქ და ჩამოვედი ჩემს ქვეყანაში. ასე იყო ყველა ოფიცერი. ჩვენ გვქონდა უკეთესის იმედი. აი, ეს იყო და არავითარი გაუგებრობა არ იყო მაშინ. რაც კარგი ჰქონდა მაშინდელ ხელმძღვანელობას, ისინი ხშირად სამხედრო საქმეში არ ერეოდნენ. და როდესაც მაგათ დაიწყეს სამხედრო საქმეში ჩარევა, მაშინ აირია ყველაფერი. გინდა კიტოვანი იყოს თუ ვინც არ უნდა იყოს, იმაზე მეტი, რაც გევალება, შენ შენ თავზე არ უნდა აიღო. შენ თავდაცვის მინისტრი ხარ ქვეყნის და შენ ქვეყნის პირველი პირის ბრძანება უნდა შეასრულო. თუ არ მოგწონს, უნდა გეყოს ვაჟკაცობა, გადადგე და გახვიდე მოვალეობიდან, მე ესე მგონია, იმიტომ, რომ ყველას ჭკუაზე ქვეყანამ რომ იაროს, არ იქნება სწორი.

ნინო თომაძე: ბატონო ზაურ, კიტოვანი როგორ აღმოჩნდა გვარდიის უფროსი?

ზაურ უჩაძე: კიტოვანი ჯერ არ იყო გვარდიის უფროსი. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი გვარდიის შექმნის. ეს ჩვენი საქმე არ იყო, პირადად ჩემი და ოფიცერების საქმე. ჩვენ ვიყავით დაბალ თანამდებობებზე. ჩვენი სარდალი იყო პოლკოვნიკი გოგი პაპავაძე. ჩვენ ვქმნიდით გვარდიას. სამხედრო ძალების შექმნა ძალიან იოლად წარმოუდგენია ბევრს და სამ და ოთხ დღეში ამ ხალხისგან ბევრს ითხოვენ. ეს არის ურთულესი პროცესი, ეს არის ურთულესი საკითხი ნებისმიერი ქვეყნისათვის.

ნინო თომაძე: ბატონო ზაურ, კიტოვანს გვარდია ემორჩილებოდა თუ არ ემორჩილებოდა?

ზაურ უჩაძე: როდის?

ნინო თომაძე: ომი რომ დაიწყო, ეს ამბები რომ ატყდა. ამ დროს კიტოვანს გვარდია ემორჩილებოდა თუ არ ემორჩილებოდა?

ზაურ უჩაძე: ემორჩილებოდა, როგორ არა.

ნინო თომაძე: რატომ ემორჩილებოდა?

ზაურ უჩაძე: მოგეხსენებათ, რომ პუტჩის წინ იყო ასეთი მოთხოვნა, რომ ჩვენი შექმნილი გვარდია უნდა დაშლილიყო...

ნათელა ვაჩნაძე: რაც მოითხოვა **ГКЧП-მ.**

ზაურ უჩაძე: ამ პერიოდში კიტოვანი იყო ხელმძღვანელი. **ГКЧП-ს** დროს მოითხოვეს, იყო ბრძანება, რომ ყველა ქვეყანაში, მარტო ჩვენთან კი არა, სამ დღეში უნდა დაშლილიყო ეს, იარაღი უნდა ჩაებარებინათ და ა. შ. ჩვენ მარტის თვეში დავიწყეთ ამის შექმნა, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო. ამ ხნის მანძილზე იქმნებოდა ეს გვარდია და ყალიბდებოდა. რა თქმა უნდა, ზოგიერთი რამე კეთდებოდა არას-წორად, არც შეიძლებოდა მაშინ გაკეთებულიყო სწორედ, კადრების უკმარისობა, შეიარაღების უკმარისობა... ჩვენ გვყავდა რამოდენიმე ასეულკაციანი ბატალიონი და შეიარაღება იყო რამოდენიმე ცალი, ისიც ხან მოპარული, ვიღაცისგან სადღაც ნაშოვნი, ნაყიდი, ნაწვალები.

ნათელა ვაჩნაძე: ჩასაცმელი არ იყო, დასახური არ იყო.

ზაურ უჩაძე: ჩასაცმელი ერთ პერიოდში არ იყო, მაგრამ მერე პატონი თამაზის მეშვეობით, მისი მეგობრების მეშვეობით...

თამაზ დუმბაძე: მე ვიყავი ტექნიკური სამმართველოს უფროსი და მე შემოძრებინდა ეს ჩასაცმელი. ეს საქმე ვიცოდი და იმიტომ ვიყავი იქ.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ ფიქრობთ ასე, რომ **ГКЧП-ს** მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტი იძულებული გახდა არმიის ჩანასახი, ე. წ. ქართული გვარდია მიერთებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯართან, რაც იუკადრისა გვარდიამ. იქ იყვნენ წვევამდელები, ახალგაზრდა ბიჭები, გულანთებულები სამშობლოს სიყვარულით, სამშობლოსთვის თავის დადება უნდოდათ, სიცოცხლის განირვა, დამოუკიდებლობა, და, უცბად, ისინი აღმოჩნდნენ ჯარის ნაცვლად შინაგან საქმეთა ჯარში, მილიციაში, უფრო სწორედ, უნდა აღმოჩენილიყვნენ. ეს მათ იუკადრისეს, იმიტომ, რომ მილიციის სახელი, მილიციისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო საზოგადოებაში და, შეიძლება ითქვას, საზოგადოების დიდ ნაწილში ნეგატიური. ამან გამოიწვია იმათი აღშფოთება.

ზაურ უჩაძე: ამ **ГКЧП-ს** გამყვანი ქვეყნის პრეზიდენტამდე იყო ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, გენერალი პატრიკევი, რომელიც შეხვდა პრეზიდენტს, რეზიდენციაში, სადაც პარლამენტია ახლა. მან დაუდო დოკუმენტი პრეზიდენტს მაგიდაზე და უთხრა, რომ სამ დღე-ლამეში, 78 საათის განმავლობაში უნდა მომხდარიყო გვარდიის დაშლა, როგორც არაკანონიერი ფორმირების, ჩამორთმევა იარაღის და ა. შ. შენ მაგას სად წაიყვანდი, შინაგან ჯარში წაიყვანდი, თუ სახლებში, ამაზე არ იყო ლაპარაკი. იქ იყო მოთხოვნა, რომ უნდა დაიშალოს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს მიამბო მე ძალიან კარგად, ძალიან დაწვრილებით ბატონმა ჯონი ხეცურიანმა, რომელიც იმ დროს აღმოჩნდა იქ, პატრიკე-

ვისა და ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრისას. დასაწყისი მათი საუბრის მან გაიგონა, მერე უკვე იძულებული იყო, გამოსულიყო.

ზაურ უჩაძე: ეს ხდება 19 რიცხვში. 19, 20, 21 -ში უნდა მოხდეს ეს ყველაფერი. ამ დროს რა დამთხვევა ხდება — 20 რიცხვში, 20 აგვისტოს დაგეგმილი არის... მანამდე, სანამ ΓΚԿΠ მოხდებოდა, გეგმაზომიერად მიდიოდა დაგეგმარება. მე გეტყვით, რომ ხალხი ცრემლებით აცილებდა, როდესაც ჩვენ მთავრობის რეზიდენციის დასაცავად მოგვყვადა შავნაბადადან ხალხი — ჩაცმულები, დახურულები, რაღაც საოცარი ბიჭები. ხალხი სანახავად მოდიოდა ამ ბიჭების. ისეთი კეთილშობილები იყვნენ თავისი ქცევით, ჩვენ დისციპლინას ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევდით. დღედაღამე არ ეძინათ ოფიცირებს, რა სახლი, რის სახლი. ჰკითხეთ ძველ გვარდიელებს. ჯარისკაცებთან ერთად გვეძინა, რომ არ მოგვეკლო მათვის არაფერი. ვიცოდით, რომ უკმარისობა იყო გამოცდილი, დაბალი ეშელონის ხალხის და ამიტომ ჩვენ ვაკეთებდით მათ გასაკეთებელს. 20-ში უნდა ყოფილიყო გასვლა მუცოს ხეობაში, ხევსურეთში. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა, რომ 20 აგვისტოს მთელი გვარდია გადის მუცოში. ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ მუცოში არის მთები, იქ არის ხევსური ხალხი, მთის ხალხს სხვანაირი მიდგომა სჭირდება, იქ არის სალოცავები, ნიშები, რასაც გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ რამე რომ არ მომხდარიყო, პოეტი რომ არის, არაბული, უხუცესთა საბჭო მოინვია ჩვენთან შავნაბადაზე. ეს ხალხი სამი-ოთხი დღის განმავლობაში — ეს ხდება 15-ში, 16-ში, 17-ში, სანამ ΓԿԿΠ მოხდება — უხსნიდა ამ ტრადიციებს, როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი ჯარისკაცი, იმიტომ, რომ ჯარისკაცი მაინც ჯარისკაცია. როდესაც ხეობაში რამოდენიმე ათასი ჯარისკაცი შევა, იქ არის ლოცვა, იქ არის წირვა და ყველაფერ ამას თავისებური მიდგომა სჭირდება. ჩავატარეთ ყველაფერი ეს, შემდეგ ცალ-ცალკე ასეულებში ამონანერები გავაკეთეთ. გავაკეთეთ დაზვერვა, ხეობაში წავიყვანეთ, გავუშვით მარე კომპენსირებელი ჯგუფი, ანუ დამზვერავი ჯგუფი, სად რა განლაგდებოდა, რომ არ შევხებოდით ამ ძეგლებს და ა. შ. ეს ყველაფერი ხდება 17-18-ში. ჩვენ უკვე გამზადებული ვართ, რომ უნდა გავიდეთ და ამ დროს მოდის დაშლის ბრძანება. მე არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ასე გვითხრეს, რომ კიტოვანმა შესთავაზა, მოდით, ჩვენ ხეობაში გავალთ, მანამდე ეს საქმე ან დაწყნარდება, ან არ დაწყნარდება, ჩვენ მუცოს ხეობაში ვიქნებით. მაგრამ იქვე იყო ნათქვამი ΓΚԿΠ-ს დადგენილებაში, თუ ნებაყოფლობით ეს არ მოხდება, მაშინ მოხდებოდა ეს ყველაფერი ძალით. აქვე ხდება შემდეგი გადაწყვეტილება — მოდით, შინაგანი ჯარის ნაწილებად ვაკციოთ გვარდიის ნაწილები, ზოგი დროებით დავშალოთ, იმიტომ, რომ იარაღი მაინც არ ჰქონდა ხალხს. მაგრამ ამ დროს წარმოიშვა საშიშროება იმისი, რომ ურთიერთობა მაშინდელ მილიციასთან არაერთგვაროვანი იყო. ეს ძველი მილიცია არის, დღეგანდელ პოლიციაზე არ ვლაპარაკობ, ეს ჩემი საქმე არ არის. იყო ლაპარაკი, ვინ უნდა მდგარი-

ყო წინ, ვინ უნდა მდგარიყო მაღლა – ეს ყველგან არის და შეიძლება, არცთუ ცუდი იყოს – ვინ უნდა მდგარიყო მაღლა — მიღიცია თუ გვარდია. რა თქმა უნდა, ჩვენ, გვარდიელებს, ძალიან გვინდოდა, რომ ჩვენ ვმდგარიყავით. ამ დროს გამოჩენდნენ იქ ინიციატორები ამ ბრძანების ვადაზე ადრე შესრულების. თვითონ პოლიციის სამმართველოში შეიძლება განუდგნენ კიდეც თავის ხელმძღვანელობას, არეულობა იყო და ისარგებლეს ამით. მანქანების ხელში ჩაგდების ვარიანტი იყო, იარაღის ხელში ჩაგდების საშუალება, ანუ წაერთმიათ ჩვენთვის და ეს ოფიციალი, რომლებიც გუშინ და გუშინინ ასე ქედმაღლად ელაპარაკებოდნენ მიღიციელებს, დღეს აღმოჩენდნენ იმათ ხელში. ყველაფერ ამას დაემატა ის ამბიციები, რომლებიც გააჩნდა მაშინ ხელმძღვანელობას — სწორი იყო თუ არა, ამას ისტორია განსჯის — და მოხდა ისე, რომ მუცოს ხეობის მაგივრად ჩვენ გავდივართ რკონის ხეობაში.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?

ზაურ უჩაძე: ეს გადაწყვეტილება კიტოვანმა მიიღო.

ნინო თომაძე: მუცოს ხეობიდან რკონის ხეობამდე რამხელა მანძილია!

ზაურ უჩაძე: ეს სხვადასხვაა, მაგრამ მუცოს ხეობა არის ჩაკეტილი. მუცოს ხეობაში შეიძლება ჩააყენო ერთი ოცეული და რამოდენიმე ათასი კაცი იქიდან ვეღარ გავიდეს. ამ დროს რკონის ხეობა არის გაშლილი, ეს ერთი, აქვს გასასვლელები ახალციხისკენ, აქვს გასასვლელი ბორჯომისკენ...

თამაზ დუმბაძე: სტრატეგიისათვის...

ზაურ უჩაძე: ... გარდა ამისა, ახლოს არის სამაჩაბლოსთან, სადაც მაშინ ეს პრობლემა კიდევ გადაუწყვეტელი იყო. სამაჩაბლოს საკითხი მაშინ მოუგვარებელი კი არა, ახლად წამოჭრილი იყო. ასე თუ ისე, მოხდა ის, რომ 19 და 20-ში, სხვათა შორის, ძალიან ორგანიზებულად, მთელი გვარდია გავიდა რკონის ხეობაში...

ნათელა ვაჩნაძე: პრინციპში, განუდგა პრეზიდენტს.

ზაურ უჩაძე: ...აი, ამ დროს ხდება ნახევარი გვარდიის მიერ კიტოვანის ბრძანების არშესრულება, რკონის ხეობაში არწასვლა.

ნინო თომაძე: როდესაც განუდგა, ვის ემორჩილებოდა?

თამაზ დუმბაძე: ზვიადის.

ზაურ უჩაძე: მთავრობას. ეს ბრძანება არ შეასრულა ნახევარზე მეტმა. უმეტესად იყვნენ სენაკის, ზუგდიდის, გალის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და სამტრედიის ბატალიონები. რუსთავში იყო კიდევ ნახევარი ბატალიონი, რომელიც განუდგა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. იმათ განჭვრიტეს, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

თამაზ დუმბაძე: უბრალოდ მშიშრები იყვნენ, ეუბნებოდნენ, რომ გაგანადგურებთ, თუ არ დაიშლებითო. ვინც წავიდა იქით მხარეს, ისინი არაკაცები იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ მხარეს?

თამაზ დუმბაძე: ზვიადის მხარეს ვინც გადავიდა.

ზაურ უჩაძე: ჩვენ გავდივართ ხეობაში და ორ დღეში უკვე გრუპი დაპატიმრეს. უკვე აღარავინ ეუბნება გამსახურდიას, თქვენ, გინდათ თუ არა, დაიშალეთო, უკვე 21-ში ამის მთქმელი აღარავინ არ არის. თამამად შეიძლება ამ დროს შეკრება ძველი შემადგენლობის. მე ერთ-ერთ ვარიანტს ვამბობ — ეძახის პრეზიდენტი ამათ და ეუბნება, რომ მე იძულებული ვიყავი ეს მიმელო, რომ თქვენ გადამერჩინეთ. ახლა ჩვენ ამას აღარავინ არ გვთხოვს, ვართ ერთიანად. ეს დაშლა კიდევ არ არის მიყვანილი ბოლომდე. პატარა უთანხმოება წარმოიშვა — წახევარი ასრულებს ამ ბრძანებას, წახევარი არ ასრულებს. ვინც არ ასრულებს, ასრულებს პრეზიდენტის ბრძანებას. ბატალიონის უფროსმა არ უნდა იფიქროს, წესით, მაგაზე, როდესაც მოვა მაგასთან ბრძანება, მან უნდა შეასრულოს. თუ ის იფიქრებს იმაზე, რას იტყვის პრეზიდენტი. . . ბატალიონის უფროსმა უნდა შეასრულოს მისი ზემდგომის ბრძანება. ეს არის დაწერილი კანონი, ყველგან ასე წერია. თუ ბატალიონის მეთაური იფიქრებს იმაზე, ვისი ბრძანება შევასრულო, ჩემი მეთაურის, იმის მეთაურის თუ სხვა მეთაურის, ესე საქმე აირევა, როგორც აირია ჩვენთან. ე. ი. 19, 20, 21-ში შესანიშნავი მომენტი იყო ერის კონსოლიდაციის, შესანიშნავი მომენტი. ეს არ იქნებოდა უკან დახევა პრეზიდენტის მხრიდან, მე უკან ვიხევ იმიტომ, რომ მე ეს გიბრძანეთ. მას უნდა ეთქვა, რომ მე იძულებული ვიყავი, ესე გამეკეთებინა. თუ მას არ აწყობდა პიროვნულად ვიღაცა, ეს არ არის პრობლემა.

თამაზ დუმბაძე: იმ წუთში მოვიშორებდით, როგორც მოვიშორეთ კიტოვანი მინისტრობიდან.

ზაურ უჩაძე; როდესაც გრუპი წავიდა, ჩვენ ვართ რკონის ხეობაში გასულები, დაიწყო იქ მეცადინეობა, არავითარ დაუმორჩილებლობაზე არ არის ლაპარაკი.

თამაზ დუმბაძე: ამოდიოდა ჩვენთან კაცო ასათიანი, ვეხვენებოდით, არ გვინდა, ჩვენ ვართ ერთგული...

ზაურ უჩაძე: აბა, სად უნდა წავსულიყავით, თუ პრეზიდენტს უდგები. ჩვენ განვუდექით რუსეთს. მზად ვიყავით ჩვენ რუსეთთან საბრძოლველად. ვისაც არ უნდა დაეკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ ისეთი ენთუზიაზმი, წეტავ, ახლა იყოს, მაშინ რომ იყო. 12 ათასი კაცი გავიდა და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ავარიის, არც ერთი შემთხვევა --- ჯარისკაცების ერთმანეთთან ცუდი ურთიერთობის ---- არც ერთი შემთხვევა დაავადების. ეს კარგი მომენტი იყო, შეიძლება, საუკუნეში ერთხელ ხდება ერის კონსოლიდაციის მომენტი. მაგრამ არ ვიცი, რატომ ეს არ იქნა გამოყენებული. ამის შემდეგ წავიდა სხვა დაპირისპირება. მაინც ჩატარდა ეს წვრთნა ბოლომდე. მე, როგორც დაბალი ეშელონების წარმომადგენელი, ამ საქმეში არ ვერეოდი, ვერ ვერკვეოდი

მაშინ, მაგრამ მე ერთი რამე ვიცოდი, რომ მე მქონდა დავალებული საბრძოლო მომზადება, ჩვენებას ვაკეთებდით, შერწყმა იყო ასეულების, ბატალიონების, ტარდებოდა შეჯიბრებები მათ შორის სნაიპერულ სროლაში, მთების დაპყრობაში, დაბრკოლებათა გადაღახვაში. რას არ ვაკეთებდით! ჩამოდიოდა „დრონი“ (იგულისხმება ოპოზიციური გაზეთი „დრონი“ ნ.ვ., ნ.თ.), ჩამოდიოდნენ მთავრობის წარმომადგენლები, მშობლები ჩამოდიოდნენ, უყურებდნენ ამას ყველაფერს. შესანიშნავი პერიოდი იყო იმისათვის, რომ ჯარს, მართლაც, საფუძველი ჩაჰყროდა და ის ურთიერთობა განეიტრალებულიყო. მაგრამ პირიქით წავიდა, – მთავრობა წავიდა თუ პრეზიდენტი წავიდა, ჩემი გასარკვევი არ არის – წავიდა ყველაფერი კონფრონტაციისაკენ. როდესაც დამთავრდა წვრთნა, ჩვენ მივიღეთ ბრძანება, რომ დავბრუნებულიყო ავით ყაზარმებში. ეს იყო სექტემბრის თვე, 2 სექტემბრის ამბები რომ მოხდა, ჩვენ ჯერ კიდევ იქ ვიყავით, ე. ი. შევასრულეთ და ვბრუნდებით წაწილებში. ერთსულოვნად მთელი კოლონა წამოვიდა რკონიდან, ამოვიარეთ კასპი, ჩამოვედით მცხეთაში, მოვედით თბილისში, ტაშით გამოვიარეთ მთავრობის სასახლის წინ. ყველა ელოდა, რომ ჩვენ მთავრობის სასახლის აღებას ვაპირებდით.

თამაზ დუმბაძე: თავისუფლად ავიღებდით.

ზაურ უჩაძე: არც იყო პრობლემა ალება, 30 კაცი იცავდა. მთელი ხალხი ჩვენ გვესალმებოდა. არის გადაღებული, ნახავთ, ალბათ. ავედით წყნარად და წავედით შავნაბადაზე და დავბანაკდით.

ნათელა ვაჩნაძე: ოპოზიციურ წაწილს საზოგადოებისას ხომ არ უნდოდა, რომ თქვენ აგელოთ კიდევაც მთავრობის სასახლე? თუ მაშინ არ იყო ოპოზიცია ასე ჩამოყალიბებული?

თამაზ დუმბაძე: ჩვენ ოპოზიციას არ ვიკარებთ.

ზაურ უჩაძე: ჩვენ გვქონდა კიდევ იმის იმედი, რომ – მე კი არა, ყველა ჯარისკაცს – ესენი შერიგდებიან, ოპოზიცია დალაგდება. ჩვენ აზრადაც არ გვქონდა, რომ ასეთი რაღაც მოხდება. ჩვენ დავიშლებოდით არა რუსეთის შიშის ქვეშ, არამედ ქვეყანა გვიბრძანებს და დავიშლებით, რა პრობლემაა. წავედით შავნაბადაზე და, ძირითადად, იქ განვლაგდით იმიტომ, რომ თბილისში რაც იყო წაწილები, ესენი უკვე დაკავებული იყო ქობალიას მიერ.

თამაზ დუმბაძე: ის დანიშნა პრეზიდენტმა გვარდიის სამმართველოს უფროსად, რომელმაც გვიღალატა ჩვენ, არ შემოვიდა ეგ წაწილი. ეგ რომ შემოვიდა, მე ვუთხარი, მე წინააღმდეგი ვარ, ეგ ქალაქში შევიდეს-მეთქი. ამ თათბირზე ვიყავი მე, გოგია პაპავაძე იყო, ცქიტიშვილი იყო, სიგუა იყო, „დურაკი“ კიტოვანი და ჯემალი ჭუმბურიძე.

ნინო თომაძე: „დურაკი“ კიტოვანი, ბატონო თამაზ?

თამაზ დუმბაძე: აბა რა არის, რეებს იძახის. დუმბაძემ დაიწყო ომი აფხაზეთშიო, – გაზეთში წერს, დუმბაძემ და შევარდნაძემო. ის ვერ ამოვ-

იდა იქიდან, რომ ავდექი და ვთქვი, რომ არც მე უნდა ვიყო ჯარში, არც კიტოვანი და არც ჭუმბურიძე, იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და ახლა უნდა იყოს სამხედრო პირი-მეთქი. და იმ დღეს სწორედ შევარდნაძემ თქვა, აბა, ვინ არის მომხრე, რომ გადავაყენოთო. ერთმა თავი შეიკავა, დარჩესო, ვანო იყო გურგენიძე, დავუდგებით გვერდზეო. მერე ცქიტიშვილს ჰკითხა, თქვენი აზრი მაინტერესებსო – ავთო ცქიტიშვილი იყო შტაბის უფროსი. მე და ავთოს უკვე გვქონდა ლაპარაკი მაგაზე – ავთომ თქვა, რომ არაო, მე წინააღმდეგი ვარო, რომ არაპროფესიონალი იყოს მინისტრიო. ბოლოს მე შემეკითხა. მე ვუთხარი, რომ ჩემს ხმას ვაძლევ ცქიტიშვილს-მეთქი. და იმ დღეს იყო, რომ თენგიზი გაათავისუფლეს მინისტრობიდან.

ზაურ უჩაძე: დღევანდელი გადასახედიდან მე შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც მოხდა თბილისში, არ უნდა მომხდარიყო. დღეს რაც ხდება ქვეყანაში, არ არის მაინცდამაინც ყველაფერი დალაგებულად, მაგრამ ჩვენ ხშირად ვაცდით ადამიანს ცუდის გაკეთებას, არ უნდა ვაცადოთ ცუდის გაკეთება. როდესაც დააშავებს ბავშვი, თუ არ მიუთითე და წინააღმდეგობა არ გაუწიე, მეორე დღეს კიდევ უფრო მეტს გააკეთებს. ასე წარმოიშვება ცუდი სიტუაცია. აგვისტოს თვეშივე შეიძლებოდა ყველაფრის თავიდან არიდება, არ მოხდებოდა არც პუტჩი, არც თბილისის ომი და არც აფხაზეთი არ მოხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ შეიძლებოდა?

ზაურ უჩაძე: ხომ გითხარით, ამ სიტყვის უკან წაღება, რაც მიცემულ იქნა რუსეთისათვის, რომ მე დავშლი ამას, იძულებული ვარ. ხომ აღარ გეუბნებიან, დაშალეო. კი, ბატონო, ეს მომივიდა მე, გავაკეთე იმიტომ, რომ იძულებული ვიყავი, რომ თქვენ დამეცავით. დღეს ამის საჭიროება არ არის და მოდით, ასე გავაკეთოთ, რაოდენობა შევამციროთ, ხარისხზე გადავიდეთ და გავაგრძელოთ ჩვენი მოღვაწეობა. თუ შეიძლებოდა ქობალიას გვარდიის ყოლა, ამის გვარდიის ყოლა რატომ არ შეიძლებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ქობალია როგორ გამოვიდა ასპარეზზე ასე უცბად?

თამაზ დუმბაძე: ქობალია ბატალიონის უფროსი იყო და შემოწმებაზე მე ვთქვი, გაანთავისუფლეთ-მეთქი ეგ კაცი, იმიტომ, რომ „ვერტალიოტი“ ეყენა სახლში.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ ქობალიაზე ლაპარაკობთ?

თამაზ დუმბაძე: ვახტანგზე.

ნათელა ვაჩნაძე: იყო კიდევ ზაური.

ზაურ უჩაძე: ზაურ ქობალია პოლიტიკური მოღვაწე იყო.

თამაზ დუმბაძე: ადამიანი ფასდება თავის მოქმედებით. არ ესმოდა იმას იმდენი. იმას ეგონა, რომ ერთგული იყო პრეზიდენტის. ეს ჰქონდა ჩადებული. ჩვენ რა, არ ვიყავით? მარტო ერთი კაცის კი არა, საქარ-

თველოს ერთგულები ვიყავით. იმიტომ შევედი მე ჯარში, თორემ რა მინდოდა იქ. თვითონ დამიძახა ამ უბედურმა და იმიტომ შევედი.

ზაურ უჩაძე: თუ ჩვენ ამას, რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, დავიწყებთ, როგორც ან ზვიადისტი და ან ანტიზვიადისტი, მართალი მაინც არ გამოდის. მე, რასაც ახლა ვლაპარაკობ, მე ვამბობ იმას, რაც ნაღდად იყო, მე ხომ ანალიზს არ ვაკეთებ. სახელმწიფოს თავში დგომას, შეიარაღებული ძალების შექმნას სჭირდება უდიდესი გამჭრიახობა, უდიდესი ცოდნა...
თამაზ დუმბაძე: სამხედრო ცოდნა.

ზაურ უჩაძე: ... სამხედრო ცოდნა და ერის ცოდნა უნდა. რუსებს ეგონათ, რომ... როდესაც ჩეჩენეთში დაიწყეს საპრძოლო მოქმედება, როგორც დღეს არის ოპოზიცია და პოზიცია საქართველოში, ისე იყო გახლეჩილი ორად ჩეჩენეთი. ერთი, რომელიც პრორუსული იყო, მეორე — ანტირუსული. რუსებს ეგონათ, რომ როგორც კი დავიწყებთო საომარ მოქმედებებს, ისინი ერთმანეთს დაჭამდნენ. ეს იყო მაგათი მთავარი კოზირი, თორემ ამათ იცოდნენ, რომ თუ ისინი გაერთიანდებოდნენ, რაც მოუვიდათ, ის მოუვიდოდათ. და ხომ ხედავთ, რა ქნეს. ამ ერს ეყო ნებისყოფა, რომ შინაგანი წინაღობა გადაელახათ, შინაგანი წყენა დაევიწყებინათ და გაერთიანდნენ. მართალია, განადგურდა, გაჩანაგდა ერი, მაგრამ მან თავისას მაინც მიაღწია.

ნათელა ვაჩინაძე: რას მიაღწია?

თამაზ დუმბაძე: სწრაფვას თავისუფლებისკენ.

ზაურ უჩაძე: რას მიაღწია, ამაზე არ არის საუბარი. მიაღწია იმას, რომ ნაკლებად განადგურდა. კი, გაჩანაგებულია, მაგრამ მაგათ რომ ჯერ ერთმანეთი დაეხოცათ, მერე რუსები დაუმატებდნენ და რაც არის, ისიც არ დარჩებოდა, ერი აღარ იარსებებდა.

ნათელა ვაჩინაძე: ახლა მაინც არსებობს.

ზაურ უჩაძე: როგორ არ არსებობს, არსებობს და მაღალ დონეზე არსებობს. ყველგან აღიქმება, როგორც მებრძოლი ერი და ანგარიშგასაწევი ძალაა.

ნინო თომაძე: თქვენ, როგორც სამხედრო პირი, თანამდებობის პირი, განათლებული ადამიანი, ზვიად გამსახურდიაზე რა აზრის ხართ და, თქვენი აზრით, რა შეცდომები ჰქონდა ამ პუტჩითან დაკავშირებით, გარდა იმისა, რაც თქვით.

ზაურ უჩაძე: მე არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება, რომ საჯაროდ მეთქვა ჩემი პრეზიდენტის შესახებ კარგი და ცუდი. ეს, შეიძლება, უბრალო პოლემიკაში ვილაპარაკოთ, თორემ მე არც მაქვს უფლება, რომ განვსაჯო. რომ განსაჯო ამ კაცის პლუსი და მინუსი, იმის ადგილზე უნდა იყო მაინც, ან ძალიან ახლოს უნდა იყო მასთან. იქ რა იყო მის ირგვლივ, რა ქვაბში ტრიალებდა, ეს ხომ მე არ ვიცი...

თამაზ დუმბაძე: ვინ იყო გარშემო.

ზაურ უჩაძე: ... მე ერთი რამ ვიცი, რომ ზვიადი იყო პატრიოტი კაცი, მამ-ულიშვილი იყო, გული შესტკიოდა ქვეყანაზე და ყველაფრის გაკეთება უნდოდა მოესწრო. მე, მაგალითად, რა გამეხარდებოდა, რომ არ გაეკეთებინა მას: ყველანაირი მცდელობა უნდა ეხმარა, რომ ერი არ გაეხლიჩა შუაზე. აგვისტოს შემდეგ მას ჰქონდა შანსი, როგორც გითხარით, რომ არ გაეკეთებინა ის, რომ ძმას ძმისთვის ესროლა. ჩვენ ამის ცოცხალი მოწმენი ვართ, როდესაც ძმები, აკაკი გელოვანის შვილები, ერთმანეთს ესროდნენ, მეგობრები იყვნენ ჩემი - ზვიადი და დავითი. ასეთი იყო უამრავი...

თამაზ დუმბაძე: ოჯახში ცოლი და ქმარი იყო გაყოფილი.

ზაურ უჩაძე: ... ამიტომ ეს მას არ უნდა მოსვლოდა, ერის კონსოლიდაცია იყო საჭირო. ეს ერთი საკითხი და ყველაფერი დანარჩენი მერე ამას გამოედევნა. შემდეგი. მას ჰქონდა შესანიშნავი საშუალება იმისათვის, რომ აერჩია კადრები, ჰყოლოდა შესანიშნავი შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, უშიშროების მინისტრი. ამის კადრები მოიძებნებოდა, რომლებიც იყვნენ ანტიკომუნისტური და შეიძლება ყოფილიც. ეს ხალხი იყვნენ კომპარტიაში, მაგრამ სისხლხორცით ქართველები იყვნენ. შეიძლებოდა ამის გამოყენება. ამას, რა თქმა უნდა, დრო სჭირდებოდა. და შემდეგ კიდევ. მას, მე როგორც ვიცი, ერთადერთი მინუსი ის ჰქონდა, რომ შეეძლო კაცისთვის მოესმინა, მაგრამ არ დაეჯერებინა მისთვის. ხმებს იყო ძალიან აყოლილი. შეეძლო, უცაბედად მიეღო რაღაც გადაწყვეტილება. ეს იყო ძალიან ნაკითხი კაცი, საოცნებო კაცი იყო, მრავალ ენაზე მოლაპარაკე, შესანიშნავ ოჯახში გაზრდილი ადამიანი. ჩვენ ღმერთს ვფიცულობდით მასზე და გვემაყებოდა, რომ ჩვენ ასეთი პრეზიდენტი გვყავს. პირველად ჩვენ ვედექით მას გვერდით იმ “პარადზე”, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე გაკეთდა. მე ჩავატარე “პარადი” და მე ვიყავი “პარადის” უფროსი. ნახეთ ძელი კადრები, იმ ოფიცირების თვალები, ყველას ცრემლები მოსდით თვალებიდან. საერთოდ, წასულ ადამიანზე ცუდს არ ამბობენ. ერთი რამ ვიცი, რომ გულანთებული ადამიანი იყო, მაგრამ მას არ ეყო რაღაცა იმისათვის, რომ ქართველი ერის თავისებურება გაეთავისებინა და ის გარემოცვა, სადაც ჩვენ ვიყავით. მტრების შეძენას დიდი ჭკუა არ უნდა. ყველგან მტრები – ოსები მტრები, აფხაზები მტრები, ჩეჩენები მტრები, რუსები მტრები, ამერიკელები მტრები, თურქები მტრები, მოყვარე ხომ უნდა გყავდეს. რაც დღეს რუსეთს მოსდის — რატომ არ შეიძლება რუსეთი იყოს აყვავებული ქვეყანა? მას ერთი მოყვარე არა ჰყავს თავის ირგვლივ. რუკა ნახეთ, ერთი ქვეყანა არ არის, სადაც მას საომარი მოქმედება არ ჰქონოდა.

ნათელა ვაჩაძე: როგორ წარმოგიდგენიათ, პუტჩი ფულის გარეშე შეიძლება?

ზაურ უჩაძე: ფულის გარეშე, რა თქმა უნდა, არაფერი არ შეიძლება. მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ დიდი ილუზია არ შეგექმნათ, რომ დიდი ფული ჩაიდო ამ საქმეში. როდესაც გვარდია შუაზე გაიყო, შუადღემდე

მოდიოდა ერთ ნაწილთან ტყვია-წამალი არსენალიდან და ამავე მანქანით ნაშუადღევს მიდიოდა მეორე ნაწილთან. მე არ მითქვამს, რომ ყველაფერი გითხარით, დანარჩენი მომინდვია თქვენთვის.

თამაზ დუმბაძე: მე რამდენჯერ ვიყავი რუსების ბაზაზე. მატერიალურ-ტექნიკური სამმართველოს უფროსი ვიყავი და უნდა მომემარაგებინა ჯარის ნაწილი ტყვია-წამლით, ვყიდულობდი, ნალდ ფულზე ვყიდულობდი. შევიდოდი მე, გამოვიდოდი, მეორე მანქანა შედიოდა და გამოჰქონდა ტყვია-წამალი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ვისთვის მოგქონდათ ტყვია-წამალი?

თამაზ დუმბაძე: მე მომქონდა ჩვენი გვარდიისთვის, იმათ მიჰქონდათ ქობალიას გვარდიისთვის. 18 დეკემბერს ჩამოვედი თბილისში. ამოვიდა თბილისის ზღვაზე რომან გვენცაძე, პრეზიდენტი გიბარებსო. ჩამოვედი. პრეზიდენტმა მითხრა, გადმოდი ჩვენთანო. მე ვუთხარი, ბატონო ზვიად, მე ვისთან ვიყავი? თქვენთან ვიყავი, თქვენ მომიყვანეთ და თქვენთან ვიყავი-მეთქი. ხომ ხედავ, გია ყარყარაშვილი გადმოვიდა ჩემთანო და შევიდა ცხინვალში. მე ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ბრძანებით კი არა, სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ შესულიყო ცხინვალში-მეთქი. ჩვენ არაფრის დამწყები არა ვართ -მეთქი, თუ თქვენმა ხალხმა არ დაიწყო-მეთქი. ჩვენ ტყვიის მსროლელი არა ვართ აქეთ მხარეს-მეთქი. მე და კახა გველესიანი ვიყავით. თამაზ ნინუაც იყო, კვბ-ს უფროსი. თქვენ ერთხელ უკვე გვიღალატეთ-მეთქი, თქვენ ჩვენ აღარ დაგექვემდებარებით, დავექვემდებარებით პარლამენტს-მეთქი. ასეთი დავალება მქონდა მე მოცემული სიგუასგან და სამხედრო საბჭოსაგან...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ შედიოდა სამხედრო საბჭოში ბ-ნი სიგუას გარდა?

თამაზ დუმბაძე: კიტოვანი შედიოდა, გია ყარყარაშვილი, მე, ჯემალ ჭუმბურიძე, მგონი, ნაირაშვილი, მუსერიძე... შვიდი-რვა კაცი იყო. ... მე ვუთხარი, ბატონო ზვიად, ჩვენ უკვე აღარ დაგექვემდებარებით, დავექვემდებარებით პარლამენტს-მეთქი. ეგ არ მოხდებაო. მაშინ მე ამას გადავცემ სამხედრო საბჭოს-მეთქი. იცით, რას გიზამთო, ერთი ბომბი მაქვსო, დაგარტყამთ და გაგანადგურებთ თბილისის ზღვაზე. გია ყარყარაშვილმა მოიპარა სამი მეტრი ბომბი. იმას „რაგატკით“ ხომ ვერ ისროდი 1 მე ვუთხარი, ბატონო ზვიად, ის ბომბი ჩვენთანა დევს-მეთქი. ავდექი და წამოვედი. მერე 22-ში დაიწყო ომი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გაისროლა?

თამაზ დუმბაძე: მთავრობის სახლიდან დაიწყო სროლა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ რა იცით, თქვენ იქ იყავით?

თამაზ დუმბაძე: დაიჭრა რომან გვენცაძე. იქიდან იყო სროლა.

ნათელა ვაჩნაძე: რომან გვენცაძე განა თქვენთან იყო?

თამაზ დუმბაძე: არა, იმათთან იყო.

ნათელა ვაჩნაძე: აბა, როგორ დაიჭრა?

თამაზ დუმბაძე: ის გამოვიდა იქიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ის თუ ხელისუფლების მხარეს იყო, ბატონო თამაზ, იქ იყო, პარლამენტის შენობაში, გამოვიდა იქიდან, ტყვია როგორ მოხვდა?

თამაზ დუმბაძე: რომანი ასრულებდა შუამავლის როლს. საჩხერის ბატალიონის უფროსი რომ იყო --- ბესიკ ქუთათელაძე, რატომ განუდგა ბოლოს? ეგეც გამოდიოდა, ეგ უბედური ბიჭი. ჩვენ არ გვინდოდა არაფრით ეს ბრძოლა. ვეხვენებოდით, არ გვინდა, ბატონო ზვიად.

ნათელა ვაჩნაძე: განუდგა ეს ხალხი, დაბანაკდა თბილისის ზღვაზე, ჰქონდა ტყვია-ნამალი, ჰქონდა იარაღი, ჰყავდა ჯარის ნაწილი და არ უნდოდა ბრძოლა?

ზაურ უჩაძე: თავს ვიცავდით.

ნათელა ვაჩნაძე: ვისგან იცავდით თავს, ხელისუფლებისგან?

თამაზ დუმბაძე: სამჯერ დაგვეცნენ თავზე თბილისის ზღვაზე. შავნაბადაზე რამდენჯერ დაგვეცნენ, სამჯერ თუ ოთხჯერ, გახსოვს? (მიუბრუნდა უჩაძეს).

ზაურ უჩაძე: აბა, რა!

თამაზ დუმბაძე: მერე ნაირაშვილმა თბილისის ზღვაზე გააკეთა „კალცო“, რომ არ შემოსულიყვნენ. ორი კაცი აფეთქდა იქ. სამი, ოთხი ბიჭი მოგვიკლეს ზღვაზე.

ნათელა ვაჩნაძე: იცით იმ ბიჭების სახელები, გვარები, ოჯახები?

ზაურ უჩაძე: არის წიგნი „ხსოვნა“ და იმ წიგნში არის ეს ყველაფერი.

თამაზ დუმბაძე: რა გვახსოვს, რაც მე და ამ კაცმა განვიცადეთ, კიდევ როგორ ჭუაზე ვართ!

ზაურ უჩაძე: მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მეთაურის, ხელმძღვანელის სიბრძნე იმაშია, რომ შენ ოჯახში ეს არ მოგივიდეს. კი, რუსებმა მოგახვის, მაგრამ შენ უნდა გეყოს სიბრძნე იმის, რომ შენ ეს არ გააკეთო. ეს რომ არ მომხდარიყო, ქვეყანა სხვანაირი იქნებოდა დღეს. ჩვენ ორმოცდაათი წლით დავიხიერ უკან. ათი ათასი კაცი დევს მინაში. ცუდს ცუდი მოჰყვება, ხომ მართალია?! ცუდს კარგი იშვიათად მოჰყვება. ჩვენ შემდეგ იქით მხარესთან შემრიგებლები ვიყავით, მე და ბატონი თამაზი. აფხაზეთის ომის დროსაც ამ ხალხს ვარიგებდით ერთმანეთში. ჩვენ როგორ შეგვეძლო ომი მოგვეგო აფხაზეთში, როდესაც ქუთაისიდან სოხუმში ფოთით და გაგრით შეჰქონდათ ტყვია-ნამალი ჩვენებს. მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი იმიტომ, რომ ბევრი დარჩება ნაწყენი. დღესაც ბატონი თამაზი შემეხვენა, თორემ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ერთადერთი იმიტომ ვლაპარაკობ, რომ დღეს ვინმემ გამოიტანოს დასკვნა, რომ არ შეიძლება ეს, ისედაც პატარა ქვეყანა ვართ, არ გვინდა ერთმანეთზე გადაკიდება. ენა იმიტომ გვაქვს, რომ სიტყვით უნდა გაკეთდეს ყველაფერი. რაც გაკეთ-

და ავტომატით, რაც მოხდა დეკემბერ-იანვარში, ყველაფრის ამის გაკეთება შეიძლებოდა ენით.

თამაზ დუმბაძე: კი, შენ სწორი ხარ.

ნათელა ვაჩინაძე: მას ვინ დაემორჩილებოდა, როგორ გეკადრებათ, ხალხს უკვე ელანდებოდა პრეზიდენტის საგარდელი.

ნინო თომაძე: მანდ ესე მარტივად არ იყო საქმე, ბატონი ზაურ, ცოტა რთულად არის საქმე.

თამაზ დუმბაძე: ჩვენ ვერ გამოგვიყენებდა ვერც ერთი პარტია საბრძოლველად.

ნათელა ვაჩინაძე: გამოგვიყენეს და ის არის, მეტი რაღა უნდა ყოფილიყო?!

თამაზ დუმბაძე: არავის არ გამოვუყენებივართ, თვითონ მოიჭრეს ის ტოტი, რაზეც იჯდნენ.

ნინო თომაძე: ქართველებს ახასიათებთ დიდი პრეტენზიები, პრეტენზიები მინისტრობის, პრეზიდენტობის...

ზაურ უჩიაძე: ეს მოდის იქიდან, რომ დღეს, როდესაც ხედავ, რომ ყველაფერი დალაგებულია და არავითარი საჭიროება არ არის, რომ უვიცი კაცი დანიშნო თანამდებობაზე, ინიშნება. თუ შეიძლება, რომ უვიცი იყოს დიდი თანამდებობის კაცი?..?

ნინო თომაძე: მაგრამ თუ ეს უვიცი მინისტრი არის ერთგული მონა?

ზაურ უჩიაძე: მონობით საქმეს ვერ გააკეთებ. მონობით შენ შეგიძლია მოუხნა, დაუთესო ან გაურეცხო ვიღაცას.

ნინო თომაძე: ამბობით გააკეთებ?

ნათელა ვაჩინაძე: . . . ბატონი ზაურ, ჩემმა კოლეგამ ---- დიმიტრი შველიძემ მთხოვა, რომ დაგისვათ ერთი შეკითხვა სამხედრო საქმესთან დაკავშირებით. რამდენი იყო შეიარაღება, რამდენი ტანკი გყავდათ, მოედანზე რამდენი ადამიანი იდგა, როდესაც მოვიდნენ მთავრობის სასახლის ასაღებად?

ზაურ უჩიაძე: შეიარაღებას ვერ გეტყვით. სად იყო ტანკი? არ იყო ტანკები. მე მაშინ აქ არ ვიყავი. როდესაც დაიწყო კონფრონტაცია... მე ჩამოვედი რუსეთიდან არა იმიტომ, რომ აქ ქართველი კაცი მომეკლა, მე ჩამოვედი, რომ დავხმარებოდი ჩვენს არმიას.

ნათელა ვაჩინაძე: ეს არ არის პასუხი, კარგით. . . თქვენ როდის განუდექით ამ საქმეს?

ზაურ უჩიაძე: მე წავედი 8 ნოემბერს.

ნათელა ვაჩინაძე: სად წახვედით?

ზაურ უჩიაძე: სახლში წავედი.

ნინო თომაძე: გადადექით?

ზაურ უჩიაძე: წავედი რა, უბრალოდ, წავედი გვარდიიდან. ვიყავი საქართველოში, მაგრამ ომში არ მიმიღია მონაწილეობა იმიტომ, რომ როდესაც ბიძაშვილი მე ტყვიას...

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, რომ თქვენ არ გინდოდათ მონაწილე ყოფილი-
ყავით ძმათა მკვლელი ომისა. ვინ შეიძლება ასეთი ინფორმაცია მო-
მაწოდოს?

ზაურ უჩაძე: მაშინ მონაწილეებს უნდა ჰკითხოთ.

თამაზ დუმბაძე: გია ყარყარაშვილი, მოსკოვში მოკლეს -- პაატა დათუაშვი-
ლი, ნაირაშვილი...

ზაურ უჩაძე: ნაირაშვილი 93-ში მოკლეს... თითქმის უმეტესობა აღარ არიან.

ნათელა ვაჩნაძე: რომან გვენცაძეს და გია ყარყარაშვილს ხომ არ ეცოდინე-
ბათ შეიარაღების ამბავი?

თამაზ დუმბაძე: არა.

ზაურ უჩაძე: რას მოგვცემს ეს, მითხარით.

ნათელა ვაჩნაძე: დიმიტრი შველიძე არის დაინტერესებული.

ზაურ უჩაძე: მე გეტყვით, რა აინტერესებს ბატონ დიმიტრის. ძალთა თანა-
ფარდობა აინტერესებს მას, შეიძლებოდა თუ არა ამის მოგება და იმის
დამარცხება.

ნათელა ვაჩნაძე: მან მთხოვა, რომ მეკითხა თქვენთვის, ეგებ ვინმემ გასცეს
ამ შეკითხვას პასუხი.

ზაურ უჩაძე: მე ამაზე ვერ გიპასუხებთ. აქ ტანკები არ იყო.

თამაზ დუმბაძე: იყო ერთი ზარბაზანი, ესროლეს პარლამენტს.

ნინო თომაძე: ზვიად გამსახურდიას ჰყავდა ძალიან ბევრი მტერი, ბევრს უნ-
დოდა მისი მოშორება, „შეიძლებულ“ ხალხს, „ნითელ ინტელიგენციას“.
ამას დაემატა კიდევ რუსეთისა და ამერიკის ინტერესები და ჩამოაგ-
დეს.

ზაურ უჩაძე: სანიკიძე ამბობს, თუ გინახავთ სიცხეში და სიცივეში ასეთი
დიდი ომები, როგორიც საქართველოში იყონ?! აქ ბრილიანტებით
სავსეა ყველაფერი, სილამაზით სავსეა. ამიტომ არის, საქართვე-
ლოში ხდება ასეთი რამ. რა თქმა უნდა, მიმზიდველია პრეზიდენტო-
ბა, მიმზიდველია პირველი ადგილი, მაგრამ ხშირად ჩვენ ვაბუქებთ
პრობლემებს, ვიღაცას ვაბრალებთ, რისი გადაწყვეტაც შეიძლებოდა
თვითონ ქვეყანაში. შეიძლება ვიღაცა ძალას ატანდა ბატონ ზვიადს,
რომ ეს აიყვანე ამ თანამდებობაზე, ალბათ, იყო ეს ყველაფერი. მა-
გრამ როდესაც შენ მიდიხარ იმაზე, რომ ხდები პრეზიდენტი, ხომ
უნდა იცოდე, რას კიდებ ხელს?! არ არის ეს იოლი, რთული საკითხია.
რთული საკითხი არის და იქნება ნებისმიერ ქვეყანაში და, მითუმეტეს,
საქართველოში. ჩვენ არა ვართ ერთგვაროვანი ერი. 108 ეროვნებაზე
მეტი ცხოვრობდა საქართველოში, დღესაც, ალბათ, 100-ზე მეტი ცხ-
ოვრობს. ძნელი გასარკვევია დღეს, ვინ იყო გუშინ თავიდან ბოლომ-
დე ქართველი, ვინ იყო თავიდან ბოლომდე სომეხი, ვინ იყო ებრაელი.
ასიმილაცია მოხდა, ალრევა ამ ყველაფრის. დღეს ქართველს შეიძლება
არაქართველობა დაბრალო და პირიქით. როდესაც ამ საქმეს ჰკიდებ

ხელს და ამხელა სადავეებს, მაშინ შენ უნდა ჩაფიქრებული გქონდეს, ვის აიყვან მინისტრად, ვინ იქნება და როგორ იქნება. თუ არა და არ უნდა მოჰკიდო ხელი ამ საქმეს. არა ვარ სწორი?

ნინო თომაძე: თქვენ ფიქრობთ, რომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკაშ ვერ გაამართლა?

ზაურ უჩაძე: ის, რაც მოხდა, მე ვფიქრობ, რომ ეს არის საკადრო საკითხი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ, ვფიქრობ, ძალზე ამარტივებთ პრობლემას და ერთ შემადგენლამდე დაგყავთ გმადლობ.

ვახტანგ რაზმაძე

2007 წლის 20 აგვისტო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, თუ არ შენუხდებით, ცოტა რა გვიამბეთ თქვენი ცხოვრებიდან, რასაც მიიჩნევთ საჭიროდ, რაც მნიშვნელოვანია — როდის დაიბადეთ, სად, როგორი იყო თქვენი ცხოვრების გზა.

ვახტანგ რაზმაძე: დავიბადე 1930 წლის 12 მაისს ამბროლაურის რაიონში გლეხების ოჯახში. დედაჩემიც და მამაჩემიც იყვნენ გლეხები, საკმაოდ განათლებული ადამიანები იმ დროისათვის და იმ პირობებში, რაც იმათ გამოიარეს. ამავე სოფელში დავამთავრე საშუალო სკოლა 1948 წელს. 1949 წელს ჩავაბარე მისალები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ სტალინის სახელობის იყო. კონკურსში ვერ გავიმარჯვე. არავინ ელოდა ჩემს გამარჯვებას, იმიტომ, რომ სოფლის სკოლიდან ჩამოსული ყმანვილისთვის ცოტა რთული იყო. მაშინ ძალიან დიდი კონკურსი იყო იურიდიულ ფაკულტეტზე, ებლა რომ არის ამაზე უფრო დიდი იყო. ერთ ადგილზე მოდიოდა 900 კაცი.

ნათელა ვაჩნაძე: ჯარმოვლილები იყვნენ თქვენთან?

ვახტანგ რაზმაძე: კი, ბევრი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი ნიკო იყო რექტორი?

ვახტანგ რაზმაძე: ნიკო იყო რექტორი. ეს ის პერიოდი იყო, როცა უნივერსიტეტში ცხოვრება ყვაოდა, მეცნიერებას უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ნიკო კეცხოველი იყო შეუდარებელი ადამიანი, როგორც რექტორი. მის მერე რამდენი რექტორი გამოიცვალა უნივერსიტეტმა, მაგრამ ისეთი დიდი საქმე უნივერსიტეტისათვის არ გაუკეთებია არავის, როგორიც ნიკომ გააკეთა. მე თუ ამ ცხოვრებაში ადამიანად ჩამოვყალიბდი და ჩემი პრინციპების განხორციელებაში რაღაც პასუხიმგებლობას ვგრძნობდი, ეს თვისება მე გამოყვა იქიდან, რაც უნივერსიტეტში იმ დროს იყო გამეფებული.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი მასწავლებლები ვინ იყვნენ, ბატონო ვახტანგ?

ვახტანგ რაზმაძე: ჩემი მასწავლებლები იყვნენ ალექსანდრე ვაჩიესშვილი, პროფესორი, ბორის ფურცხვანიძე????, პროფესორი. შემდეგ ახალი თაობა წამოვიდა. ჩამოვიდა მოსკოვიდან ასპირანტურადამთავრებული სერგო ჯორბენაძე, უდიდესი სპეციალისტი და ადამიანი, ცივილისტი, გივი ინწკირველი, ჩვენი ლევან ალექსიძე და მამულია. ესენი მოვიდნენ შემდეგ. 1954 წელს დავამთავრე უნივერსიტეტი. მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო საქართველოში, რომ იურისტების სამუშაოზე მოწყობის საკითხი არ იყო მოწესრიგებული. მაგრამ მე, ვინაიდან უნი-

ვერსიტეტში სწავლის დროს ვიყავი ჩვენი ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი – ბათუმის??? მდივანი იყო თემო გერსამია. ის გაცილებით ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ერთად ვსწავლობით. ჩვენ მხოლოდ ორი გაგვანანილეს, მოგვცეს გარანტია, რომ თქვენ წახვალთ იუსტიციის სამინისტროში, მოგვცეს საგზური და ისინი დაგასაქმებენო. იუსტიციის სამინისტროში შემომთავაზეს სასამართლოს აღმასრულებლობა. მე კაცი მიმაჩნდა ჩემი თავი უკვე, უნივერსიტეტი დავამთავრე, ვამაყობდი და სასამართლოს აღმასრულებლად მუშაობა ცოტა შეურაცხყოფადაც მივიღე. ამიტომ მივატოვე იუსტიციის სამინისტრო და წავედი. ჩემი ძმა ცხოვრობდა ქალაქ ტყიბულში, იქ მუშაობდა, სამთო ინჟინერი იყო. იმასთან ჩავედი. პარმენ ბაქრაძე იყო რაიკომის მდივანი ტყიბულში, რომელმაც შემდეგ, თუ გახსოვთ, თავი დაიჭრა პირველი მდივნობის პერიოდში. იმასთან მიიტანეს ამბავი, როგორც ჩანს, ჩემი ძმის მეგობრებმა, რომ მე დავამთავრე უნივერსიტეტი, ახალგაზრდა კაცი ვარ, კომკავშირული მუშაობის გამოცდილება მქონდა და დამიძახა, მიმიყვანა და მითხრა, აქ სტალინის სახელობის შახტი არსებობსო და იქ კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად დაიწყე მუშაობაო. მე უარი აღარ მითქვამს. იქ ვიმუშავე ერთი წელი. ამ ერთ წელინადში მოხდა ის ამბავი, რომ პარმენ ბაქრაძე წავიდა რაიკომის პირველი მდივნობიდან და მოვიდა რაიკომის პირველ მდივნად კარლო ლომაძე. ეს ისეთივე რაიკომის მდივანი იყო, როგორიც უნივერსიტეტის რექტორი იყო ნიკო კეცხოველი. უაღრესად ორგანიზებული კაცი, მომთხვევი, მოწესრიგებული, პატიოსანი და ავტორიტეტიანი. გადამიყვანა პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად და ორ თვეში დამნიშნა საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. იქ ვიმუშავე დაახლოებით სამი წელი და მერე გადამიყვანეს ტყიბულში პროკურორად. ხუთი წელი ვიმუშავე ტყიბულში პროკურორად. პავლე ბერძენიშვილი იყო რესპუბლიკის პროკურორი. იმის ბრძანებით 1968 წელს გადმომიყვანეს რესპუბლიკის პროკურატურაში განყოფილების უფროსის მოადგილედ და იქვე ამირჩიეს რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივნად. მერე მიდიოდა ჩემი საქმე, მეც შრომას არ ვაკლებდი, რა თქმა უნდა. მე პატრონი არ მყავდა, ან ხელი ვინმეს წამოეკრა, რომ დავენინაურებინე, ყველას ვუყვარდი. მე მახსოვს, როცა პარტიული კომიტეტის მუშაობის ერთი წლის ანგარიში ჩავაბარე, კაკო კარანაძე ესწრებოდა, მაშინ ადმინისტრაციული განყოფილების გამგე იყო ცეკასი, სახალხოდ მოვიდა, გადამკოცნა და მადლობა გადამიხადა. ეს ჩემთვის მაშინ ძალიან ბევრ რამეს ნიშნავდა, ახალგაზრდა კაცი ვიყავი. შემდეგ გადამიყვანეს ქალაქ თბილისის პროკურორად 1974 წელს. ვიმუშავე 1980 წლამდე ქალაქ-ის პროკურორად. მე საერთოდ ძალიან მიმართლებდა, ხელმძღვანელები ყოველთვის მყავდა მოწესრიგებული, პატიოსანი და წესიერი ხალხი. მაშინ საქალაქო კომიტეტს ხელმძღვანელობდა პავლე გილაშვილი, მეორე მდივანი იყო თენგიზ მენთეშაშვილი. ორთავე სამუშაოდ

ძალიან სასიამოვნო ადამიანები იყვნენ. ვგრძნობდი, რომ მე ვიყავი პროკურორი და ჩემი პარტიული ხელმძღვანელები არ ერეოდნენ ჩემს საქმეში და არც იკადრებდნენ, ისინი ისეთები იყვნენ. შემდეგი ხელი-სუფლება რომ წამოვიდა, ეს პრეზიდენტობა და ათასი უბედურება, პროკურორები ყველას უნდოდა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ეს ხალხი ამას არ კადრულობდნენ. ისინი იყვნენ წესიერი და პატიოსანი ხალხი. 1980 წელს გადამიყვანეს ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგის მოადგილედ. ნუგზარ საჯაია იყო მაშინ განყოფილების გამგე ადმინისტრაციული ორგანოების. იქ ვიმუშავე დაახლოებით ორი წელი საჯაიას მოადგილედ. მერე ვიყავი გუმბარიძის მოადგილე, რომელიც შემდეგ ცეკას პირველი მდივანი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: არასდროს მსმენია გივი გუმბარიძის სახელი მანამდე, ვიდრე ცეკას პირველი მდივანი გახდა, მანამდე აბსოლუტურად არ ჩანდა არსად.

ვახტანგ რაზმაძე: არ იყო ისეთი. მე, როცა გადამიყვანეს რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილედ, ეს იყო 1982 წელს, გივი გადაიყვანეს ზესტაფონის რაიონმის მდივნად. ჩემი გზა მერე ესე წავიდა. 1982 წლიდან 1985 წლამდე ვიყავი რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე. 1985 წელს, ანზორ ბარაბაძე პროკურორი იყო რესპუბლიკის...

ნათელა ვაჩნაძე: კი, ეს მსმენია, მერე თავი მოიკლა.

ვახტანგ რაზმაძე: ... თავი არ მოუკლავს, ინფარქტით გარდაიცვალა. რატომ-დაც გავრცელებულია ისეთი ხმა, თითქოს თავი მოიკლა. ნამდვილად არ არის სწორი, იმიტომ, რომ ის იყო თავის აგარაკზე ოქროყანაში დედასთან და შეილებთან ერთად. ამ დროს ლამის საათებში განუვითარდა გულის შეტევა, დედა თავზე ადგა. გამოუძახეს სასწრაფოს, მოვიდა და უკვე გარდაცვლილი დახვდა. ასე რომ, თავი არ მოუკლავს. არც მოიკლავდა თავს, არც ჰქონდა არაფერი მოსაკლავი. იმიტომ, რომ უაღრესად წესიერი, ჩამოყალიბებული, პატიოსანი ახალგაზრდა იყო ძალიან და ძალიან დიდი ნდობით და პატივისცემით სარგებლობდა, განსაკუთრებით შევარდნადის პერიოდში და შემდეგ არც პატიაშვილი არ ყოფილა მის მიმართ აგრესიულად განწყობილი. 1985 წლის აგვისტოში – ის გარდაიცვალა ივლისში, ბარაბაძე – მე დამნიშნეს რესპუბლიკის პროკურორად. ცეკას პირველი მდივანი იყო მაშინ ჯუმბერ პატიაშვილი. ვიმუშავეთ ერთად, სანამ არ მოვიდა 9 აპრილი და ჯუმბერი გაანთავისუფლეს.

ნათელა ვაჩნაძე: დიდი ბიოგრაფია გაქვთ. მერე მოვიდა 9 აპრილი, მგონი, თქვენ მოსკოვში იყავით. ეს ჩანს იმ ინტერვიუდან, რომელიც თქვენ გიორგის მიეცით.

ვახტანგ რაზმაძე: მოვიდა 9 აპრილი, მე მოსკოვში ვიყავი. 13 თებერვლიდან 13 მარტამდე ვინექი საავადმყოფოში და იქ გამიკეთეს ოპერაცია, ღვიძლზე მქონდა კისტა. მძიმე ოპერაცია იყო. იმ აკადემიკოსმა გამიკეთა,

ვინც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი იყო. თოდუა მუშაობდა იმასთან განყოფილების გამგედ, მაგან გამომიკვლია მე. აკადემიკოსმა მირონ-ოვმა გამიკეთა ოპერაცია 13 მარტს. 7 აპრილს გამომწერეს საავადმყ-ოფოდან და 8 აპრილს გადმოვფრინდი თბილისში, ვიყავი დაახლოებით სამ საათზე. სუსტად ვიყავი, ნაოპერაციები სახლში ვიყავი და სახლში ვიწექი. 9 აპრილს ღამის 4 საათზე ჩემი პირველი მოადგილე, შოშიაშვი-ლი იყო იმ დროს, მირეკავს, რომ მომიტინგები დაარბიეს და მსხვერ-პლი არისო. მე ვუთხარი, რომ ჩაატარეთ სასწრაფოდ სასამართლო-სა-მედიცინო ექსპერტიზები, სიკვდილის მიზეზი დაადგინეთ ამ ხალხის, გარდა მაგისა მოახდინეთ ადგილმდებარეობის დათვალიერება, იმი-ტომ, რომ საქმე უნდა აღძრულიყო და დავიწყეთ გამოძიება.

ნათელა ვაჩაძე: როგორი როლი შეასრულა თქვენმა გამოძიებამ 9 აპრი-ლის, როგორც ისტორიული მოვლენის, გამოძიებაში? მერე ხომ ერთი კომისია შეიქმნა, კომისია მეორე...

ვახტანგ რაზმაძე: რამდენიმე კომისია იყო, მაგრამ არც ერთი გასცილებია ჩვენი გამოძიების შედეგებს. ჩვენ დავიწყეთ გამოძიება, აღვძარით საქმე მთლიანად და, როგორც წესი, მოსკოვი ჩასაფრებული იყო მაინც. ელოდა, ჩვენ რა გადაწყვეტილებას მივიღებდით. ჩამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე, სსრ კავშირის მთავარი სამხ-ედრო პროკურორი, დავჯექით და ვილაპარაკეთ. მოითხოვეს, რომ საქმეს ჩვენ წავიდებთ და გამოვიძიებთო. მე ვუთხარი, თქვენ წაიღეთ სამხედროების საქმე-მეთქი. საქართველოს მოქალაქეებს თუ რამე დანაშაული აქვთ ჩადენილი, გამოვიძიებ მე. იმათ ძალიან უნდოდათ, იმიტომ, რომ მაშინ ისეთი განწყობა იყო გამსახურდიას და მისი გარე-მოცვის მიმართ, რომ წალდად ანგარიშსწორებაზე წავიდოდნენ. მე დიდი ბრძოლა გადამხდა. ამაში დამეხმარა ძალიან — მაშინ სსრ კა-ვშირის გენერალური პროკურორი იყო საქართველოზე შეყვარებული კაცი სუხარევი. მას ძალიან უყვარდა საქართველო და პატივს მცემდა მეც. მე ვთხოვე იმას, რომ ასე მიყენებენ ესენი საკითხს და ჩემი აზ-რია, რომ გამსახურდიას და მისი თანამონაწილეების საქმე გამოვიძიო მე და სამხედრო საქმე წაიღონ და თვითონ გამოიძოონ. ასეც მოხდა მართლაც, გადაწყდა ეს საბოლოოდ. იმათ, როგორც უნდოდათ, ისე წაიყვანეს ეს საქმე. რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენებურად. 19 მაისს სრულ-დებოდა 40 დღე იმ ხალხის დაღუპვის. გამსახურდიას ქვრივმა, მა-ნანა არჩვაძემ მოახერხა ის, რომ 300 ათასი კაცის ხელმოწერით შე-მომიტანა განცხადება. ხელმოწერები იყო ორგანიზაციებიდან, რომ გაანთავისუფლეთ პატიმრობიდან გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია და წერეთელი. ეგ ოთხი კაცი იყო დაპატიმრებული. მე ცოტა განაწ-ყენებული ვიყავი ამ ოთხივეს მიმართ იმის გამო, რომ ამათ გაუკეთეს ორგანიზაცია ამ არასანქცირებულ მიტინგს, რომელიც მთავრობის სახლის წინ იყო. და როცა შემოვიდა ჯარი და დაიწყო ამ ხალხის დარ-ბევა, ესენი ოთხივე გაიქცნენ და დაიმალნენ და ქალები და ბავშვები

შეატოვეს ჯარს. იქ დარჩა მხოლოდ ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც შემდეგ აღმოაჩინეს გადასრესილი და ხალხის გადავლილი, წაიყვანეს საავადმყოფოში და მოასულიერეს. და იქ დარჩა მხოლოდ გოგა ხაინ-დრავა, რომელიც იღებდა სურათს აპარატით, რა ხდებოდა იქ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ხაინდრავას გადალებულში ისე სუსტად იყო აღ-ბეჭდილი, რომ — კგბ-ს ჰქონდა გადალებული, მასთან შედარება არ შეიძლებოდა. ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა იმან, რომ ის ოთხეუ-ლი, რომლებმაც ორგანიზაცია გაუკეთეს ამ მიტინგს, იქ აღარ იყვნენ, გაიპარნენ, დაიმალნენ, გაიქცნენ. შემდეგ სახლებში მივიდნენ და იქ დაპატიმრეს ეს ხალხი.

ნათელა ვაჩნაძე: სანქცირებული იყო ეს დაპატიმრება?

ვახტანგ რაზმაძე: რა თქმა უნდა, სანქცირებული. სანქცია გასცა — მაშინ ქალაქ თბილისის პროკურორი იყო თამაზ ტუღუში. ხოდა, 1 დღე აკლია 40 დღეს. ძალიან პომპეზურად გადაიხადეს, თუ გახსოვთ. ესეც უნდა მომხდარიყო, რა თქმა უნდა. და მეძახის გივი გუმბარიძე, უკვე ცეკას პირველი მდივანი იყო. მივედი. ჩენ მეგობრები ვიყავით და კეთილი განწყობა ჰქონდა ჩემს მიმართ. მან მთხოვა, ვახტანგ, უნდა გავუშვათ ეს ხალხი ციხიდან ოთხივე, იმიტომ, რომ ხვალ შეიძლება ისეთი ამბავი მოხდეს თბილისში, რომ უმართავი პროცესები განვითარდესო. ამავე დროს ჩემთან ერთად იჯდა საკავშირო ცეკას ადმინისტრაციული ორ-განოების განყოფილების ინსტრუქტორი, გვარი არ მახსოვს. მე რომ უარი ვუთხარი გივის, ამას ესიამოვნა ძალიან, შევატყვე. ამან მე უფრო გამაღიზიანა, ამას რომ ესიამოვნა. მერე მე ვუთხარი გივის, ეს ასე არ გადაწყდება-მეთქი, იმიტომ, რომ საკავშირო ცეკა, ყველა ჩარეულია ამ საქმეში და ელოდებიან შედეგს, რას გავაკეთებთ ჩენ-მეთქი. კარ-გი, მე დავურეკავ ეხლაო. პავლოვი იყო მაშინ საკავშირო ცეკას ად-მინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, რომელსაც მეც კარგად ვიცნობდი და გივიც. დაურეკა გივიმ, ელაპარაკა. გაგრძელდა საუბარი. გივის ფერიფური ეცვლება სახეზე ამ ლაპარაკის დროს. მე ვუყურებ, რა ხდება. მე მისი ხმა არ მესმის, ეს უმტკიცებს, აუცილე-ბელია, უნდა გავუშვათ ისინიო. მერე დადო ყურმილი და რა გითხ-რა-მეთქი. შენი საქმე არ არის, ნუ ერევი ეგეთ საქმეებშიო. პროკურა-ტურას აქვს ეგ საქმე და გადაწყვიტონ თვითონ, როგორც საჭიროდ ჩათვლიანო, შენ არ ჩაერიო მაგ საქმეშიო. ავდექით და მე და ის ინ-სტრუქტორი გამოვედით იქიდან. როცა გამოვედით, გივის მოსაც-დელში მეუბნება: ყოჩაღ, რომ ასე პრინციპული პოზიცია დაიჭირე შენო. გამოვდივარ შენობიდან და შემხვდა პეტრე ჩეეიძე. ამ დროს ის იყო თბილისის ქალაქეკომის მეორე მდივანი. დავიწყეთ ლაპარაკი, რაზე იყავიო. მე ვუთხარი, გივიმ მთხოვა ესო. გივი ხომ შენი ამხან-აგი არისო. კი-მეთქი. შეიცოდეო. რა არის-მეთქი. გუშინ მაგას ქალები მიუხტნენ მანანა არჩეაძის ხელმძღვანელობითო და დაპირდა იმათ, რომ გავანთავისუფლებო. თუ შეგიძლია რამე გააკეთოო, ძალიან კარ-

გი იქნებაო. წამოვედი ჩემთან პროკურატურაში, შევედი კაბინეტში და ვფიქრობ. გივიც მეცოდება, ისიც არ შეიძლება, 300 ათასი კაცის ხელ-მოწერას ანგარიში არ გაუწიო და ჩემს თავზე ავიღო პასუხიმგებლობა, რომ 300 ათას კაცს არ ვეთანხმები. ძალიან მიჭირს გადაწყვეტილების მიღება. თანაც მიმართია, რომ ამ დროისათვის მათი განთავისუფლება ჯერ კიდევ ნაადრევია. ამ დროს ჩემთან კაბინეტში შემოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე და ქალაქ თბილისის მილიციის სამ-მართველოს უფროსი რომან გვენცაძე. და მეუბნებიან, ხვეწნით მეუბ-ნებიან, ვახტანგი, ისეთი მოვლენები განვითარდება ხვალო, თუ ესენი არ გამოვუშვით ციხიდანო, შეიძლება, ჩვენ ვეღარ ვმართოთ მერე ეს ყველაფერიო. ამიტომ იქნება მიიღო გადაწყვეტილება და გაანთავი-სუფლო. შოთამ ისიც კი მითხრა, ვახტანგო, არ მიმიყვანო იმ მდგო-მარეობამდე, ამ ფანჯრიდან გადავხტე მეშვიდე სართულიდანო. ჩემზე ეს ყველაფერი ადამიანურად მოქმედებს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ კანონის დარაჯი ხართ.

ვახტანგ რაზმაძე: პასუხისმგებლობამ საბოლოოდ ჩემზე უნდა გადაიაროს. მერე მაინც ვფიქრობ, რა ვქნა, რა ვქნა, რა ვუთხრა. დაგურეკე ვახ-ტანგ გოგუაძეს და ჯანსულ ჩარკვიანს, მოვიყვანე ჩემთან და ვისაუ-ბრეთ. მე ვუთხარი, ასეთი მდგომარეობა არის, ესე დგას საკითხი. რა გადაწყვეტილებას მივიღებ, მერე თქვენ იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენ ჩათვლით საჭიროდ. მითხრეს, რომ, ვახტანგიო, ოღონდ ეგე-ნი გაანთავისუფლეო და ჩვენ დავუდებით მაგათ თავდებშიო, რომ ეგენი გამოძიებასთანაც ითანამშრომლებენ და არსადაც არ წავლენ ქალაქიდანო. ავდექი და დავურეკე ჩემს მეგობარ სუხარევს, გენერ-ალურ პროკურორს და ვუთხარი, ასე მდგომარეობაში ვარ, ასეთი სიტუაციაა შექმნილი, მარტო აღმოვჩნდი და ყველას უნდა, რომ ეს ხალხი უნდა გავანთავისუფლო. დამელოდე ერთი ხუთი და და-გირეკავო, მითხრა.

ნათელა ვაჩნაძე: იმას თავისი უფროსები ჰყავდა.

ვახტანგ რაზმაძე: მერე, ეტყობა, დაელაპარაკა, გორბაჩივი იყო მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩივი იყო. მანამდე არ იყო ქალაქში, მაგრამ მაშინ უკვე იქნებოდა ინგლისიდან ჩამოსული.

ვახტანგ რაზმაძე: მან, ეტყობა, რაღაც კონსულტაცია მიიღო. დამირეკა და მითხრა, იმოქმედე, როგორ შენ ჩათვლი საჭიროდ და იცოდე, რომ მე შენს გვერდით ვარო. ეს. ფაქტიურად, თანხმობას ნიშნავდა. ავდექით და ვახტანგი გოგუაძე, მე, შოთა გორგოძე, ჯანსულ ჩარკვიანი და რო-მან გვენცაძე წავედით ციხეში. რა თქმა უნდა, გავანთავისუფლე. მე მანამდე ჩვენებს დავუძახე — საგამომძიებლო განყოფილების უფრო-სი იყო კაკო ბუდალაშვილი და მე ვუთხარი, დაწერეთ დადგენილება აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ. სხვები ავიდნენ და უფრო-სის კაბინეტში დაჯდნენ. მე, შოთა და რომანი შევედით, ზვიად გამსახ-ურდია რომელ კამერაშიც იყო, იმ კამერაში. ველაპარაკე და მე ვუთხ-

არი, რომ ასეთი მდგომარეობა არის და შეიძლება დღეს გადავწყვიტო, რომ თქვენ გაგანთავისუფლოთ პატიმრობიდან. მე არ მითქვამს, გადაწყვეტილი მაქვსო. ბატონო ვახტანგ, ოღონდ აქედან გამიშვიონ და არ მინდა მე, პოლიტიკურ ბრძოლას ჩამოვშორდები და წავალ, უნივერსიტეტში ვიმუშავებო.

ნათელა ვაჩნაძე: უნივერსიტეტში საათებს რომ აძლევდნენ, სად იმუშავებდა. ვახტანგ რაზმაძე: თქვენ რომ გამიშვებთო, ალბათ ამას ფიქრობდა, ვიმუშავებო. ყველა პატიმარი მოიყვანეს, კაბინეტში ვზივარ. ზეიადიმ გაიმეორა თავისი სიტყვები. ეს ძალიან საინტერესო ამბავია, ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება. მერე კოსტავამ თქვა: ეს, რაც მოხდა, ყველაფერი ჩვენს კისერზე არისო. ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ იმისათვის, ამდენი ხალხი რომ დაიხოცაო. მე მზადა ვარ, პასუხი ვაგოო. თუ გაგვანთავისუფლებთ, ძალიან კარგი იქნება, ვითანამშრომლებთ გამოძიებასთან და თქვენ დაადგინეთ ყველაფერი და ვაგებთ პასუხესო. შემდეგ ჭანტურია ადგა. ის ძალიან თავისებური და რთული პიროვნება იყო. მე თუ იმიტომ მიშვებთ ციხიდან, რომ უნდა ჩამოვშორდე პოლიტიკურ მოღვაწეობასო, მე მირჩევნია, აქ დავრჩეო. წერეთელმა იკითხა, რამდენი კაცი დაიღუპაო. მე ვუთხარი, ოცდაერთია დაღუპული. რა ცოტა დაღუპულაო, გაუკვირდა. გავუშვით ისინი...

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან საინტერესო ამბები მოყევით, მე ეს არსად არ წამიკითხავს. თქვენ ეს ვინმეს უთხარით?

ვახტანგ რაზმაძე: არ მითქვამს ეს.

ნათელა ვაჩნაძე: სულ ახლახანს გამოვიდა წიგნი 9 აპრილზე, ია მუხრანელმა და ციცი გაბისკირიამ გამოსცეს. ბატონი ვახტანგის ნათქვამი მე იქ არ წამიკითხავს.

ვახტანგ რაზმაძე: ...გავუშვით ისინი და ჩვენ გავაგრძელეთ გამოძიება, სხვათა შორის, ყოველგვარი განსაკუთრებული აჟიოტაჟისა და აყალმაყალის გარეშე. ჩაიარა 40 დღე ამ გარდაცვალებიდან და ჩვენ ჩვეულებრივად ვაგრძელებდით მუშაობას. ვეძახდით, მოდიოდნენ, ჩვენებებს იძლეოდნენ. აშკარად გამოკვეთილი იყო მაგათი ბრალდება. თუნდაც იქიდან, თქვენ გინახავთ ეს სცენა, პატრიარქი რომ მივიდა და მიმართა ხალხს. ირაკლი წერეთელმა გამოართვა მიკროფონი და არ დაემორჩილა არაფრით, არავის არ დაემორჩილა. მაშინ ცენტრალურ კომიტეტს ბევრს არავინ არაფრის არ ეკითხებოდა, მაგრამ მაინც რომ გამოსულიყვნენ ხალხში და დაეკავებინათ ისეთი პოზიცია, რომ მოეწოდებინათ, დაშლილყვნენ, ესეთი რამე არ მომხდარა. ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო მოსკოვის დონეზე, რომ ეს მიტინგი უნდა დარბეულიყო, დაშლილი იყო ძალია გამოყენებით.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ უკუსვლა მოსკოვმა მაინც გააკეთა, როდესაც თქვენ გითხრათ სუხარევმა, რომ დაგირეკავთ, ბატონო ვახტანგ, ცოტა ხანში და...

ვახტანგ რაზმაძე: ეს გაშვებაზე იყო ლაპარაკი.

ნათელა ვაჩინაძე: ... გაშვებაზე, მაგრამ ეს არის დათმობა.

ვახტანგ რაზმაძე: მე მანამდე ვლაპარაკობ.

ნათელა ვაჩინაძე: მანამდე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე მაინც ცოტათი უკანსვლა ჩანს.

ვახტანგ რაზმაძე: მერე ისინი, ცეკაც და პოლიტბიუროც, როცა აქ ამდენი ხალხი დაიღუპა, მიხვდა, რომ ჩაიდინეს საშინელი დანაშაული, უკანონობა და უსწორო მოქმედება. მაშინ, რა თქმა უნდა, იმიტომ იყო, რომ ყველა ერთმანეთს თუ არ აბრალებდა, ყოველ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას არ ღებულობდა თავის თავზე იმ დონეზე, რაც უნდა მიეღოთ. სხვათა შორის, 9 აპრილამდე საქართველოში ჩატარდა ყველაზე დიდი და მასშტაბური მიტინგი.

ნათელა ვაჩინაძე: 12 ნოემბერი, 1988 წელს.

ვახტანგ რაზმაძე: დიახ. 12 ნოემბერი, 1988 წელი.

ნათელა ვაჩინაძე: ჯუმბერ კოპალიანი და გურამ მამულია იდგნენ აივანზე, იქიდან სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ზღვა ხალხი შედიოდა. ეს იყო იპოდრომზე.

ვახტანგ რაზმაძე: ეს იყო ყველაფერი ცალ-ცალკე, მაგრამ მე ვლაპარაკობ, დაახლოებით 10 ათასმა კაცმა რომ გამოაცხადა შიმშილი მთავრობის სასახლის წინ. 22 ნოემბერია. ისეთი მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ 10-12 კაცი გაჰყავდათ ყოველდღე სასწრაფოთი. ნამდვილად შიმშილობდნენ, ისე კი არა...

ნათელა ვაჩინაძე: დღე და ღამე იყვნენ მოშიმშილები.

ვახტანგ რაზმაძე: ჰო, დღე და ღამე. ამას ხელმძღვანელობდა ჭანტურია და, რა თქმა უნდა, ეს ოთხეული, მაგრამ ჭანტურია მაინც წამყვანი იყო. მაშინ ეს მშვიდობიანად დამთავრდა. ამიტომ, შეიძლება, ეს ჩემი ბრალდება იყოს, მაგრამ პატარა საყვედური ვთქვი იმაზე, რომ თუ შევარდნაძემ შეძლო მაშინ გორბაჩიოვისაგან მიეღო წერილი ქართველი ხალხის მიმართ...

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ ცოტა ეჭვიც ხომ არ გეპარებათ ამ წერილში? თქვენი ინტერვიუდან ასე გამოჩნდა. შეიძლება, დასტური იყო, რა თქმა უნდა, ისე ვერ გაბედავდნენ გორბაჩიოვის სახელით მიმართვის დაწერას, მაგრამ შეიძლება, ნუგზარ ფოფხაძემაც დაწერაო.

ვახტანგ რაზმაძე: ამაზე მე ვერ გიპასუხებთ.

ნათელა ვაჩინაძე: ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ვისი ხელით არის დაწერილი.

ვახტანგ რაზმაძე: ეს წერილი გამოქვეყნდა – შეთანხმებული იყო შევარდნაძესთან – ნუგზარის მიერ, გამოაქვეყნა ნუგზარმა და ხალხი დაიშალა. მე სადღაც გამოვთქვი ჩემი ეჭვი მაშინ, რომ, იქნებ, ასეთი მოქმედებით 9 აპრილიც აგვეცილებინა თავიდან.

ნათელა ვაჩნაძე: ეს თქვენ გამოთქვით გიორგი მამაცაშვილთან დიალოგში. ვახტანგ რაზმაძე: სხვა დროსაც მითქვამს.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება. ბატონო ვახტანგ, რადგან ჩვენი თემა უშუალ-ოდ გადატრიალებას ეხება, ხომ არ შეიძლება დეფინიცია მოვუძებნოთ ამას. ზოგი ადამიანი წერს, რომ ეს იყო დემოკრატიული რევოლუცია, ზოგი ხმარობს ტერმინს – რევოლუცია, ზოგი ხმარობს ტერმინს – პუტჩი, სახელმწიფო გადატრიალება...

ვახტანგ რაზმაძე: ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ... კიდევ წამიკითხავს — სამხედრო-კრიმინალური გა-დატრიალება...

ვახტანგ რაზმაძე: ეს მანანას სიტყვებია, არა?

ნათელა ვაჩნაძე: არა, არა. პრესაში ყოფილა დაბეჭდილი, ახლა ვერ დაგიკონკრეტებთ. გიორგისთან დიალოგში თითქოს დასთანხმდით მას, რომ ეს იყო პუტჩი, მაგრამ მაინცდამაინც ვერ შეგამჩნიეთ დიდი სურვილი.

ვახტანგ რაზმაძე: ეს პუტჩი იყო, გადატრიალება იყო თუ რა იყო, ეხლა ვი-ლაპარაკოთ იმაზე, რამ გამოიწვია ეს. გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა აბსოლუტურად დემოკრატიული არჩევნების შედეგად. იქ მა-შინ არავითარი გაყალბება არ იყო. არ ჰქონდა მაგას არავითარი ძალა იმისი, რომ გაყალბება მოეხდინა და არც იყო საჭირო, ვინაიდან კო-მუნისტურმა პარტიამ, ფაქტიურად, შეწყვიტა მაშინ ბრძოლა თავისი უფლებების განხორციელებისათვის, მისცა საშუალება, მიუშვა და ჩატარდა აბსოლუტურად დემოკრატიულად ეს არჩევნები. აირჩიეს ზვიადი, გახდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და დაიწყო ხელისუ-ფლების ჩამოყალიბება, მთავრობის შედგენა.

ვახტანგ რაზმაძე: თქვენ რა პოსტი გაქვთ ამ დროს?

ვახტანგ რაზმაძე: მე ვარ პროკურორი ისე, საქართველოს პროკურორი მქონია. დამიძახა ნუგზარ მოლოდინაშვილმა. ეგ იყო მაშინ უზენაეს საბჭოში სამართალდამცავი ორგანოების კომიტეტის თავმჯდომარე. ვაუა ადამია იყო კიდევ იქ. ეგენი იყვნენ გადამკვდარი ზვიადისტე-ბი, მისი ძალიან ერთგული ხალხი, ორივე. მითხრა, ზვიადი გეძახისო და ამოდიო. მივედი. არაფერს არ მეუბნებიან თვითონ. შევედი ზვია-დისთან, ჩამოვართვი ხელი, დავჯექი. მე არ შევხვედრივარ მაგას იმ ამბების შემდეგ, ციხიდან რომ გამოვიდა. ჩვენ, მრგვალმა მაგიდამ, გადავწყვიტეთ, შენ უნდა დაგნიშნოთ საქართველოს გენერალურ პროკურორადო. მე ვუთხარი, მადლობელი ვარ ამ ნდობისთვის, მაგრამ სწორედ გაიგებს ხალხი ჩვენი წარსული ურთიერთობის გამო-მეტქი. შენ გაანებე მაგას თავი, მე ასე ვთვლი საჭიროდ და ამას გავაკეთებ აუცილებლადო. ოღონდ ერთი პირობითო, შენი მოადგილე უნდა წა-ვიდეს პროკურატურიდან და საგამოძიებლო-სამმართველოს უფრო-სიო — ზაურ კვირკველია იყო. მე ვუთხარი, ორთავე ძალიან კარგი,

ჩამოყალიბებული მუშაკები არიან და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ პროკურატორისთვის და თუ შეიძლება შემინარჩუნე ეს ხალხი-მეთქი. არაო, ახლავე თუ არ მოაშორებ, საერთოდ ავუკრძალავ პროკურატურის ორგანოებში მაგათ მუშაობასო. შენს პირველ მოადგილედ დავნიშნავთო ვახტანგ გვარამიას. გვარამია მანამდე, მე როცა ქალაქის პროკურორი ვიყავი, მუშაობდა ქალაქის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად, საკმაოდ განათლებული იურისტი და გამოცდილი მუშაკი. მე ვუთხარი ვახტანგი ძალიან კარგია, მაგრამ შოშიაშვილზე ბევრად უკეთესი იყოს, არა მგონია-მეთქი. არა, ეს ესე უნდა გაკეთდესო. კარგი და წამოვედი. ორი დღის შემდეგ უზენაეს საბჭოში დამიძახეს, იქ კენჭი უყარეს ჩემს პროკურორობას, დამამტკიცეს. ოთხმა-ხუთმა კაცმა მისცა წინააღმდეგი.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ არა ხართ გენერალური პროკურორი?

ვახტანგ რაზმაძე: უკვე გენერალური ვარ, გენერალურ პროკურორად დამნიშნა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. მანამდე არ იყავით გენერალური.

ვახტანგრაზმაძე: გენერალურიმანამდეიყო საბჭოთა კავშირის პროკურორი.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. დამოუკიდებელი საქართველოს ნელ-ნელა პატარ-პატარა ნაბიჯებს დგამს წინ. თქვენით დაწყებულა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ვახტანგ რაზმაძე: ჩემით არ დაწყებულა.

ნათელა ვაჩნაძე: სუხარევმა როცა გაიგო, რა თქვა?

ვახტანგ რაზმაძე: რას იტყოდა, უკვე ჩვენ მაშინ მაინცდამანც აღარ ვემორჩილებოდით.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ესე არ არის, იურიდიულად ხომ საბჭოთა კავშირში შევდიოდით.

ვახტანგ რაზმაძე: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: მერე მოვიდა 26 მაისი. თქვენისევ გენერალური პროკურორი ბრძანდებით. იყო პრეზიდენტის არჩევნები.

ვახტანგ რაზმაძე: 26 მაისამდე 19 აპრილს უზენაესი საბჭოს სხდომამ დაამტკიცა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად, 19 აპრილს 1991 წლის. სანამ არჩევნები ჩატარდებოდა, მანამდე უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ეს. მერე იყო არჩევნები და გამსახურდიამ ძალიან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, თუმცა მას კონკურენტები ჰყავდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, ზოგი კონკურენტი არ თვლის, რომ მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ვახტანგ რაზმაძე: ეს ანგარიშის ამბავია. მაშინ მას ჰყავდა ერთი სერიოზული კონკურენტი. ეს იყო ვალერიან ადვაძე, რომელსაც ზვიადმა არნახული ბრძოლა გამოუცხადა, დემოკრატიის ფარგლებში ასეთი მოქმედება აშკარა დანაშაული რომ არის.

ნათელა ვაჩნაძე: რა გააკეთა ასეთი?

ვახტანგ რაზმაძე: დაუწყო ბრძოლა, გინდა თუ არა, უნდა დავაპატიმროთო.

ადვაძე მაშინ იყო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი. ერთ დღეს, კვირას, ჩემს მეგობართან ვარ ოჯახში და მირეკავს მორიგე, რომ გამ-სახურდია გეძახისო. მივედი. რა არის-მეთქი. ვიღაც კგბ-ს მუშაკე-ბი ჩამოიყვანა ადვაძემი და რაღაცას აწყობსო და მიიღე ზომები, ეს ხალხი, ვინც არიან ჩამოიყვანილი, დააპატიმრო ყველაო. მე ვუთხარი, გამოვიყვან-მეთქი იქიდან. ორმაგი ალყა ჰქონდა ეკონომიკის ინსტი-ტუტს შემორტყმული, ადვაძის მომხრეების და ზვიადის მომხრეების. შესვლა ძალიან ძნელია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გქონდათ უფლება?

ვახტანგ რაზმაძე: როგორ არ მქონდა, საქართველოს ტერიტორიაზე ყვე-ლაფრის უფლება მქონდა, დაკავებაც, დაპატიმრებაც, გაშვებაც. მე ვუთხარი, სად არის შინაგან საქმეთა მინისტრი-მეთქი. კაბინეტში არი-სო. გთხოვო, დაეხმარეო ამ საკითხის მოგვარებაში. შევედი დილარ ხაბულიანთან. რა არის-მეთქი, დილარ, რა ხდება. ორი კაცი არის ჩამო-სული, პოლკოვნიკები, საპჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდანო და დამცველებად ჰყავს აყვანილი ადვაძესო. მე ვუთხ-არი, წადით და ჩამომიყვანეთ ის ხალხი-მეთქი. წავიდნენ. წავიდნენ და ჯერ ვერ შევიდნენ, არ შეუშვეს. მერე რომანიც მიეხმარა და როგორც იყო შეაღწიეს შენობაში, მაგრამ იმდენი ჰყავდა იმას დამცველები, რომ დილარს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს იქ, მაგრამ ეს ორი კაცი მაინც გამოიყვანეს. გამოიყვანეს და მომიყვანეს შინაგან საქმე-თა მინისტრის კაბინეტში. დაველაპარაკე, გამოვკითხე, ვინა ხართ, რა ხართ. ვართ ესა და ეს, სახელი, გვარი მამის სახელი, პირადობის მონ-მობა წარმომიდგინეს...

ნათელა ვაჩნაძე: უშიშროების სამსახურიდან იყვნენ?

ვახტანგ რაზმაძე: ... უშიშროების სამსახურიდან. წარმომიდგინეს ბრძანე-ბა, რომ არიან შევებულებაში. წარმომიდგინეს კიდევ იმის ინსტრუქცი-აც, რომ სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ნებას რთავდა თავის მუშაკებს, შევებულებაში ყოფნის დროს გაეფორმე-ბინათ კერძო კონტრაქტი დაცვის სამსახურისთვის. ვხედავ, რომ აქ არაფერი კრიმინალური არ არის ამათ მოქმედებაში. გამოვუძახე კაკო ბუდალაშვილს, საგამომძიებლო განყოფილების უფროსი იყო და ვუთხარი, წაიყვანე ეს ბიჭები, დაკითხე, გააფორმე დაკითხვის ოქმები, ყველაფერი აღრიცხეთ. დაკითხა და მომიტანა ოქმები და დავურეკე ზვიადს. გვიან ღამე არის უკვე, 11, 12 საათია. მე ვუთხარი, ასე გა-მოიკვეთა და არავითარი საფუძველი არ არსებობს, ეს ხალხი ან და-ვაკავო ან პასუხისებაში მივცე-მეთქი. ერთადერთი რაც შემიძლია, დავატოვებინებ საქართველოს ტერიტორიას. კარგი, გაყარე აქედან, მოაშორე. იმ ღამეს კავომ წაიყვანა სადღაც, აქეიფა კარგად ეს ორი ბიჭი და დილას გააცილა და გაუშვა მოსკოვში. ამით დამთავრდა ეს ის-

ტორია. ამ არჩევნებში ადვაქტემ მიიღო 7 და რაღაც მეათედი პროცენტი, ზვიადმა 90 თუ რაღაცა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, რადგან საქართველოს პირველ პრეზიდენტზე მიდგა საუბარი, თქვენ ბრძანეთ ინტერვიუში, რომ მას ბევრი შეცდომა ჰქონდა დაშვებული. კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყით, იმ გაზეთში ეს არ არის. ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი, ჩამოვაყალიბოთ, რა შეცდომები იყო. თქვენ ნინა ინტერვიუში ბრძანეთ — ოპოზიციას არავითარ შემთხვევაში არ უდგებდა ყურს.

ვახტანგ რაზმაძე: ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ ზვიადმა თავის თავს უფლება მისცა არჩეულიყო საქართველოს პეზიდენტად. ეგ უნდა დარჩენილიყო იმ თანამდებებაზე, რაზედაც არჩეული იყო — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ და მისი პრეზიდენტობა, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა, იყო უდიდესი შეცდომა თვითონ ზვიადისთვის. თუ მანამდე, პრეზიდენტად არჩევამდე, ზვიადი იყო ჩვეულებრივი ადამიანი, აზროვნებდა და მოქმედებდა ისე, როგორც საჭირო იყო ქვეყნისათვის, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ეს კაცი გარდაიქმნა აბსოლუტურად, 180 გრადუსით შებრუნდა.

ნათელა ვაჩნაძე: შემდეგი შეცდომა?

ვახტანგ რაზმაძე: მაგისი შემდეგი შეცდომა იყო ის, რომ მან აბსოლუტურად ზურგიშეაქცია ქართულ ინტელიგენციას, ანგარიშს არუნევდა ოპოზიციურ აზრებს. რასაც თვითონ იტყოდა, მიაჩნდა, რომ ის იყო მართლი, არც უსმენდა არავის, გათვალისწინებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მორიგი შეცდომა ის იყო, რომ აგვისტოს თვეში მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება და გააუქმა გვარდია საქართველოსი, რომელიც, თუ გასაუქმებელი იყო, უნდა გაუქმებულიყო უზენაეს საბჭოს მიერ, ვინაიდან ეს შედიოდა მის ფუნქციებში და არა ზვიადის. გააუქმა და გამოიწვია ის, რომ, მოგეხსენებათ, მერე როგორც განვითარდა ეს მოვლენები, გვარდიის ერთი ნაწილი რკონში წავიდა და დაუპირისპირდა ზვიადს მისივე თანამებრძოლი თენგიზ კიტოვანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მანამდე ზვიად გამსახურდიასთან და მის მიმართ დიდ ერთგულებას ამჟღავნებდა.

ნათელა ვაჩნაძე: მის მიმართ და ჯარის მიმართ. მსმენია თენგიზ სიგუასგან ასეთი რამ, რომ ვერავინ ასეთ მოკლე დროში საქართველოში ვერ ჩაუყრიდა საფუძველს გვარდიას და როდისმე გვარდიას უნდა ჩაყროდა საფუძველი. სხვაგვარად ვერ განვითარდებოდა და საქართველოს ჯარი ვერასდროს ვერ იყოლებოდა.

ვახტანგ რაზმაძე: რა თქმა უნდა, სწორია.

ნათელა ვაჩნაძე: ამას ბრძანებს ბატონი თენგიზ სიგუა, რომ გვარდიელებს ძალიან უყვარდათ, ძალიან პატივს სცემდნენ... თენგიზ სიგუაზე წავიკითხე თქვენი აზრი, ძალიან მაღალი აზრის ბრძანდებით...

ვახტანგ რაზმაძე: ძალიან დიდი წარმოდგენისა ვარ მე ამ კაცზე და ის ამას

იმსახურებს ნამდვილად. არის განათლებული ადამიანი, პატიოსანი, უწესიერესი კაცი და ასეთი ადამიანი რომ მოიშორა ზვიად გამსახურდიამ და აიძულა, წასულიყო მთავრობიდან, ეს იყო მისი შემდგომი უდიდესი შეცდომა.

ნათელა ვაჩნაძე: მეხუთე შეცდომაზე გადავედით, მგონი.

ვახტანგ რაზმაძე: ხუთი კი არა, ასი ჰქონდა შეცდომა, მაგრამ ახლა ყველას...

ნათელა ვაჩნაძე: ას შეცდომას როგორ მოასწრებდა 7 თვეში?

ვახტანგ რაზმაძე: თვეში ხუთი და ათი რომ დაეშვა, ვერ მოასწრებდა? შემდეგ. ზვიად გამსახურდიას დასასრულის დასაწყისი იყო, როცა მან დააპატიმრა გიორგი ჭანტურია, რომელზედაც მე ჩემი შეხედულება მქონდა. ძალიან ბევრი ვიბრძოლე, ვურჩიე, ვარწმუნე, ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილება შეეცალა. ჩემთან არც შეუთანხმებია, ისე დააპატიმრა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი სანქცია არ ჰქონდა?

ვახტანგ რაზმაძე: არა, არავითარი, სიტყვიერი შეთანხმებაც არ ყოფილა. მე რამდენიმე კაცის თანდასწრებით ვუმტკიცებდი ზვიადს, რომ ამ კაცის დაპატიმრება არ შეიძლება. იმიტომ კი არა, რომ ის ფრთიანი ანგელოზი იყო, არც ზვიად გამსახურდიაზე დიდ პიროვნებას ის არ წარმოადგენდა, მაგრამ აზვირთებული იყო ოპოზიციური განწყობა საქართველოში და ეს გამოიწვევდა იმას, რომ კიდევ უფრო აზვირთდებოდა. ამავე დროს ინტელიგენცია მხარს უჭერდა ჭანტურიას უფრო მეტად.

ნათელა ვაჩნაძე: ასე თუ იყო... მთელი ინტელიგენცია დადგა თენგიზ სიგუას მხარეს. დიდი მიტინგი იყო.

ვახტანგ რაზმაძე: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: ვერ მოკრიფა ჭანტურიამ, მგონი, ამდენი ხალხი, მისხალ-მისხლა თუ... ყველაზე დიდი ოპოზიციური მიტინგის სათავეში, მე როგორც მახსოვს...

ვახტანგ რაზმაძე: მე მიტინგზე არ ვლაპარაკობ, განწყობაზე ვლაპარაკობ.

ნინო თომაძე: მიტინგი ხომ განწყობას გამოხატავს, ბატონო ვახტანგ.

ვახტანგ რაზმაძე: ბოლოს და ბოლოს ხომ შეიარაღდა მთელი ინტელიგენცია და ისინი იყვნენ იმ სამოქალაქო ომში, რომელიც წამოიწყო ზვიადის ხელისუფლებამ.

ნათელა ვაჩნაძე: სამოქალაქო ომი? გადატრიალებას ვუწოდებდით და ეხლა ვამბობთ „სამოქალაქო ომი“?

ვახტანგ რაზმაძე: მე უფრო მიმაჩნია, რომ ეს იყო სამოქალაქო ომი — დაპირისპირება ერთი მხარის მეორესთან. სხვათა შორის, ზვიადს ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მას შემდეგაც, როცა ის საქართველოდან წავიდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ცხადია. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ გია ჭანტურიას კი არ მიჰყვებოდა ქართული ინტელიგენცია, მე მგონი, ძალთა განლაგე-

ბა ისეთი იყო, რომ ინტელიგენცია სწორედ თენგიზ სიგუას ირგვლივ შემოიკრიბა. ამიტომ ის პირველი პერსონა გახდა, პირველი იყო თენგიზ სიგუა, სანამ ჩამოვიდოდა შევარდნაძე.

ვახტანგ რაზმაძე: კი, მაგრამ თქვენ ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ შემდეგ თენგიზ სიგუა, ჭანტურია და სხვები გაერთიანდნენ და ერთობლივად ეპრძოდნენ ამას. ეს ხომ ფაქტია. გარდა ამისა, ის შეცდომა დაუშვა ზვიად განსახურდიამ, როცა 2 სექტემბერს კინოს სახლის წინ დაარბია მიტინგი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გენერალური პროკურორი ხართ ამ დროს?

ვახტანგ რაზმაძე: მე ვარ გენერალური პროკურორი.

ნათელა ვაჩნაძე: მიამბეთ რამე 2 სექტემბერზე.

ვახტანგ რაზმაძე: ჭანტურია მიტინგებს და ესეთ გამოსვლებს ატარებდა სისტემატურად. 2 სექტემბერს კინოს სახლთან შეიკრიბნენ...

ნათელა ვაჩნაძე: 200 კაცი.

ვახტანგ რაზმაძე: დაახლოებით.

ნათელა ვაჩნაძე: იყავით თქვენ?

ვახტანგ რაზმაძე: არა, მე რა მინდოდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი ხალხი იყო?

ვახტანგ რაზმაძე: არც ჩემი ხალხი არ იყო. ამ მიტინგის დროს გამოიყვანეს ომონი და დაარბიეს მიტინგი. ქუთაისის გუბერნატორი რომ არის ბობოხიძე, იმას ყბა გაუტეხს. და ის პიროვნება, ვინც მაგას დაარტყა და ყბა გაუტეხა, მე დავაპატიმრე.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო?

ვახტანგ რაზმაძე: მილიციის მუშაკი იყო — სახვაძე.

ნათელა ვაჩნაძე: იმან არაფერი არ დააშავა? მივიდა და ყბა გაუტეხა?

ვახტანგ რაზმაძე: რა დააშავა, მივიდნენ და ყვიროდნენ — ძირს ზვიადი. ეს იყო მაგათთვის საფუძველი, რომ ესენი დაერბიათ.

ნათელა ვაჩნაძე: იქ რა მოხდა, კარგად არ იცით?

ვახტანგ რაზმაძე: მეტი არაფერი არ მომხდარა, მოვიდა ომონი და გამოიყენა ძალა. კაციც მოკვდა ერთი, გასროლას ჰქონდა ადგილი და ოთხმა კაცმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება, მათ შორის, აკაკიმაც. მე დავაპატიმრე ის პოლიციელი, რომელმაც ბობოხიძეს ყბა მოტეხება.

ნათელა ვაჩნაძე: ომონელი იყო?

ვახტანგ რაზმაძე: პოლიციის მუშაკი იყო, ქალაქის პოლიციის სამმართველოდან, მიქაბერიძის ქვეშევრდომი, უაღრესად პატიოსანი, წესიერი კაცი. სხვათა შორის, მე ამ მუშაკის მიმართ ვიყავი ძალიან სიმპათიურად განწყობილი. ყოფილი მოჭიდავე იყო. ეხლა რომ იძახიან, ვითომ ზვიადმა არ იცოდა არაფერი, რა მოხდა იქა, ზვიადმა ერთი სამჯერ

დამირეკა და ორჯერ მიმიყვანა თავისთან, მეუბნებოდა, რომ სახვაძე გამოუშვი პატიმრობიდანო. მე ვუთხარი, სახვაძეს არა გავანთავისუფლებ არავითარ შემთხვევაში.

ნათელა ვაჩნაძე: რა ერქვა სახვაძეს?

ვახტანგ რაზმაძე: აღარ მახსოვს. ერთი იყო სახვაძე, მაიორი იყო პოლიციის.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გასცა განკარგულება სროლის შესახებ, ბატონო ვახტანგ? როგორ ხდება ეს?

ვახტანგ რაზმაძე: მე არ ვიცი. ფაქტი ის არის, ომონს სხვა არავინ არ გამოიყვანდა მიტინგის დასარბევად, თუ პრეზიდენტს ამის შესახებ არ ექნებოდა განკარგულება გაცემული. მე რომ დავაბრალო დილარ ხაბულიანს ან მიქაბერიძეს, ხომ არ ვიქნები მართალი. მიქაბერიძის ხალხი და ომონი მოქმედებდა ძირითადად.

ნათელა ვაჩნაძე: მიქაბერიძე როგორც ამბობს, ბატონო ვახტანგ, მე ჩემი ბიჭები რომ დავიბარე, განვაიარალე ყველანიო, იმიტომ, რომ მიტინგის მონაწილეებთან მივდიოდით შესახვედრად და მე შემეშინდა, რომ იარაღმა არ გაისროლოსო. დავაყრევინე იარაღი და ესენი აბსოლუტურად უიარალონი წავიყვანე და დავიკავე ის პატარა მოედანი პოლიციელებითო. მომიტინგებმა აიღო ზოგმა ჯოხი, ზოგმა ქვა, ზოგმა რაღაც რკინის ნატეხი და შეუტიეს პოლიციელებსო. ასე ყვება მიქაბერიძე

ვახტანგ რაზმაძე: არ გამოვრიცხავ, რომ ესე ყოფილიყო, მაგრამ ცვლის ეს რამეს? რას ცვლის?

ნათელა ვაჩნაძე: სროლასთან დაკავშირებით არა.

ვახტანგ რაზმაძე: ომონი შეიარაღებული შევიდა იქ თავის მასკებით და დაერივნენ ამ ხალხს. ოც კაცს აქვს დაზიანება მიღებული, ერთი მოკვდა, ერთი თუ ორი, აღარ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: მე არც ერთი არ ვიცი.

ვახტანგ რაზმაძე: ერთი ნამდვილად მოკვდა, რომელიც გადარბოდა იქ.

ნათელა ვაჩნაძე: ტყვია მოხვდა?

ვახტანგ რაზმაძე: ტყვია მოხვდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი ერთი ბიჭი, რომელსაც ტყვია მოხვდა კოჭში.

ვახტანგ რაზმაძე: მე ვიცი, რომ ერთი კაცი დაიღუპა. ... მერე მე ზვიადიმ მთხოვა, პატიმრობიდან გამეშვა სახვაძე. არა, მე ვუთხარი, ვერ გავუშვებ, მაგან პასუხი უნდა აგოს, რაზეც ჩაიდინა დანაშაული-მეთქი. მაგრამ შემდეგ რამდენიმე დღეში ჩემთან მოვიდა განცხადებით ბობონიდე, დაზარალებული და მითხრა, რომ არ მინდა, რომ ჩემი გულისთვის კაცი იჯდეს ციხეშიონ და ძალიან გთხოვთ, რომ გაანთავისუფლოთო. ეს ჩემთვის შვება იყო. თუ წინააღმდეგი არ იყო, მე შემეძლო, რა თქმა უნდა, მიმეღო ეს გადაწყვეტილება და დიდი სიამოვნებით მივიღე. იმიტომ, რომ მეც ძალიან მეცოდებოდა ის სახვაძე.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონოვ ვახტანგ, იმ 7 თვის განმავლობაში, როდესაც ზვიად გამსახურდია იდგა სახელმწიფოს სათავეში, რაიმე პოზიტიური თუ მოხდა, რაიმე დადებითი თუ დაინახეთ თქვენ გაკეთებული იმ პერიოდში?

ვახტანგ რაზმაძე: რატომ 7 თვე, ერთ წელიწადზე მეტი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: როგორც პრეზიდენტი. ან მის პირად თვისებებიდან რამე კარგი თქვათ, ან მისი საქმიანობიდან. სხვათა შორის, გუშინ წინ ვნახე დოკუმენტური ფილმი, საიდანაც გამოსჭვივის ნათლად, რომ — ეხლა რა მოსატანია, მაგრამ... — ჰიტლერს ძალიან უყვარდა ფრინველები და ცხოველები, ბავშვებიც, როგორ უყვარს ბავშვები, როგორ ზრუნავს მათზე. არასოდეს არ ნადირობდა, თვითონ ვეგეტარიანელი იყო და ასეთი სისხლისმსმელი დიქტატორი იყო.

ნინო თომაძე: თვით ჰიტლერსაც ჰქონდა რაღაც დადებითი და რა ჰქონდა ზვიადს კარგი და რა გააკეთა დადებითი, თქვენი აზრით.

ვახტანგ რაზმაძე: ვერ ვიგონებ. ვერ ვიგონებ, რომ დამრჩენოდა მეხსიერებაში ის, რომ რაღაც ქვეყნისთვის და ხალხისთვის რამე გააკეთა, განსაკუთრებით ხალხისთვის.

ნათელა ვაჩნაძე: რაც მთავარია, დამოუკიდებლობა აღიარა, მეტი კარგი რა უნდა გაეკეთებინა.

ვახტანგ რაზმაძე: დამოუკიდებლობაზე ხომ გვქონდა საუბარი, გვქონდა საუბარი შეცდომებზე. თორემ ზვიადი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში და მაგის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა მრგვალმა მაგიდამ, ამის უარყოფა ვის შეუძლია.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ეს თქვენ გაქვთ ინტერვიუში, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის და ხალხის გამოფხიზლებისათვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა. მაგრამ ერთი ადგილი მაინტერესებს, ბატონ ვახტანგ, იმიტომ კი არა, რომ ჩაგეძიოთ, მე უბრალოდ კარგად ვერ გამოვიტანე აზრი. თქვან ბრძანეთ, რომ მისმა უფროსმა ვაჟმა, კოკომ, დააყენა პრინციპულად საკითხი იმის შესახებ, რომ მოხდეს ხელახალი შესწავლა. ამისათვის, რა თქმა უნდა, აუცილებელი არის გაკეთა და აუცილებელი არის სათანადო დაკვირვებების წარმოება და დასკვნის მიღება. და თქვენ ბრძანებთ, რომ ასეთ შემთხვევაში მთანმინდა, შესაძლოა, არ იყოს მისი საბოლოო და სამუდამო განსასვენებელი. მერე არც სამი წერტილია დასმული, არც აბზაცი იწყება, ამას პირდაპირ ებმის, რომ „ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მართლა დაიწყება ხელახალი გამოძიება, მთანმინდა არ იქნება ზვიადის ბოლო საფლავი!“ და იქვე გრძელდება შემდეგი აზრი, რომელიც არ ებმის ამას. „აუცილებლად უნდა მოხდეს გვამის ექსპურაცია“. ექსპურაცია შეიძლება მოხდეს, თქვენ ამას ეთანხმებით და თქვენ, პირიქით, მოითხოვთ კიდევაც ამას და ამ მხრივ მის ვაჟიშვილს მხარს უჭერთ. მაგრამ ექსპურაცია იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გვამი უკან აღარ დაბრუნდეს იმ საფლავში, რომელიც არის ახლა მისი.

ვახტანგ რაზმაძე: არ მითქვამს, მაგრამ მერე როგორ განვითარდება მოვლენები, ვინ იცის.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ განვითარდება? არა მგონია, მკითხველისათვის ძალიან ნათელი იყოს ეს აზრი. თუ დამტკიცდა, რომ იგი არ მოუკლავს არც ბატონ რობინზონ მარგველანს და არც ბატონ ბესო გუგუშვილს, რომელთა შესახებ თქვენ პრძანებთ, რომ ისინი ძალიან ერთგულები იყვნენ პრეზიდენტის... თქვენი აზრი ისეთია, რომ ისინი არ მოკლავდნენ, იქ სხვა არავინ არ იყო. ... ე. ი. ლოგიკურად გამომდის დასკვნა, რომ მან თავი მოიკლა და თუ თავი მოიკლა, მისი სამუდამო განსასვენებელი არ უნდა იყოს მთაწმინდა?

ნინო თომაძე: თუ თქვენ თვლით, რომ თუ ზვიადის გვამს ხელახლა გაუკეთეს ექსპუმაცია და აღმოჩნდა, რომ ეს არ არის ზვიადის ნეშტი, იქ არ უნდა იყოს დამარხული? ეს იგულისხმეთ ხომ, ბატონო ვახტანგ?

ვახტანგ რაზმაძე: თუ არ არის, რატომ უნდა იყოს. ყველაფერი გასარკვევი არის. იცით რაშია საქმე, რამდენი წევრიც არის ოჯახში, იმდენი აზრი აქვთ ამ ამბავზე მაგის ოჯახის წევრებს.

ნინო თომაძე: თქვენ თვლით, რომ ეს, შეიძლება, ზვიადის სხეული არ არის.

ვახტანგ რაზმაძე: შეიძლება, ეგეც იყოს.

ნათელა ვაჩნაძე: ეს არ უგულისხმია ბატონ ვახტანგს, როდესაც აძლევდა ინტერვიუს.

ვახტანგ რაზმაძე: რა გინდათ თქვენ, რისი გაგება გინდათ?

ნათელა ვაჩნაძე: ეს ფრაზა რატომ არის, ეს გაუგებარია.

ვახტანგ რაზმაძე: შვილი მოითხოვს გამოძიების ჩატარებს თავიდან. გამოძიება რომ ჩატარდეს, უნდა არსებობდეს სრულყოფილი სასამართლო-სამედიცინო დასკვნა გვამის გამოკვლევის, რომელიც არ არსებობს დღემდე. გამოძიება რომ გაგრძელდეს, უნდა ამოთხარონ იქიდან და ნახონ. მერე რომ დადგინდეს, რომ არ არის ზვიადის გვამი, იქვე ჩასვენებენ?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ თითქოს ამას არ უშებდით, როდესაც ინტერვიუს იძლეოდით, რომ ეს არ არის მისი გვამი, მე ესე გავიგე.

ვახტანგ რაზმაძე: აბა რატომ ვიტყოდი, რომ ეს შეიძლება არ იყოს მისი საბოლოო საფლავი. ახლა ხომ გაიგეთ?

ნათელა ვაჩნაძე: კარგად არა მაინც, ახლა გეტყვით რატომ. შესაძლებელია, იმ შეცდომების გამო, რაც მას დაშვებული აქვს, როგორც პრეზიდენტის. თქვენ ხომ გაქვთ უფლება, არ მიიჩნიოთ მისთვის მთაწმინდა საბოლოო განსასვენებლად.

ვახტანგ რაზმაძე: თქვენ გვინიათ, რომ საქართველოში ყველას მიაჩნია, რომ სწორეა მისი მთაწმინდაზე დასაფლავება?

ნათელა ვაჩნაძე: არა, არ მგონია.

ვახტანგ რაზმაძე: აბა მე გამონაკლისი რატომ ვიქნები.

ნათელა ვაჩნაძე: მე ისეთი ბატალიები მინახავს, ბატონო ვახტანგ – ზვიად გამსახურდიას ირგვლივ კი არა – უნივერსიტეტში კინაღამ დაინგრა იქაურობა, როდესაც გადაწყდა, რომ მერაბ კოსტავა უნდა დაკრძალონ მთაწმინდაზე.

ვახტანგ რაზმაძე: უნივერსიტეტში კი არა, მთავრობაშიც ძალიან დიდი წინააღმდეგობები იყო, მაგრამ მაშინ იმდენად დიდი იყო ზვიადის გავლენა ხელისუფლებაზე, რომ ვერ გაუბედეს უარის თქმა. მე ვიყავი მოწმე. მაგ შეკრებას ხელმძღვანელობდა გურამ მგელაძე. მაშინ იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მერე სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: კომისია იყო, ბატონო ვახტანგ? ვის იძახებდნენ გურამ მგელაძესთან, ვის უნდა გადაეწყვიტა ეგ საკითხი?

ვახტანგ რაზმაძე: იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც ჰქითხეს თავისი აზრი. დიდი აღფრთოვანებული არავინ არ იყო იმით, რომ ის დასაფლავებულიყო მთაწმინდაზე. ცენტრალურ კომიტეტში ვერ მიიღეს ზვიადის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

ნათელა ვაჩნაძე: გაცილებით მეტი კამათი იქნებოდა ბატონი ზვიადის ირგვლივ, მეტი მოწინააღმდეგე ეყოლებოდა.

ვახტანგ რაზმაძე: ისე, სხვათა შორის, ძალიან ბევრი უზუსტობები აქვს დაშვებული უურნალისტს იმათ შორის, რაც მე ვთქვი.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაინტერესება, ბატონო ვახტანგ, პროფესიონალები. დილარ ხაბულიანი იყო პროფესიონალი?

ვახტანგ რაზმაძე: არა, სპორტსმენი კაცი იყო და ზვიადზე გადამკვდარი, ერთგული. მაგრამ საბოლოოდ აღარ გამოვიდა ესე, იმიტომ, რომ როცა ზვიადმა ომი დაუწყო ქართველ ხალხს, ესროლა ტყვია, დილარ ხაბულიანი მაშინ მივიდა იქ, არეულობა რომ იყო მოედანზე, და ვიღაცამ გაზი შეაფრევია თვალებში.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, ტყუილიაო.

ვახტანგ რაზმაძე: რა ტყუილია, საავადმყოფოში იწვა მერე.

ნათელა ვაჩნაძე: სავადმყოფოში იწვა, თქვენ მართალს ბრძანებთ, მაგრამ სიგუამ მითხრა, ოფთალმონოლოგებს ჰქითხეთ, რას გეტყვიანო. თუმცა ეს ჩანდა კადრებიდან. ისე მოიქცა, თითქოს მხედველობა დაკარგა, დაუბნელდა თვალთ, ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს.

ვახტანგ რაზმაძე: ერთგული იყო ძალიან. 300 კაცი ჰყავდა ქორწინების სახლში, სვანები ჩამოყვანილი.

ნათელა ვაჩნაძე: სიგუამ თქვა, არაო, არავინ არ იყო ერთგულიო. ყველამ მოატყუაო.

ვახტანგ რაზმაძე: ვინ მოატყუა, როგორ გეკადრებათ. სიგუამ ეგ როგორა თქვა. სიგუას უაღრესად დიდ პატივსა ვცემ და მჯერა მისი, მაგრამ როგორ შეიძლება ამის თქმა, ყველამ მოატყუა. ნუგზარ მოლოდინ-

აშვილი, თემურ ქორიძე, ელიზბარ ჯაველიძე — გადამკვდარი იყვნენ ზვიადიზე.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, ერთი ასეთი პროფესიული შეკითხვა მა-ქვს, როგორც იურისტთან. მე გითხარით, რომ ყველამ კონსულტაცია მომცა, რომ თქვენ უმაღლესი რანგის იურისტი ბრძანდებით. პუტჩი, როგორც ასეთი, მისი მოთავეები, მისი დამწყებები, იდეოლოგები, განმხორციელებლები უნდა დაისაჯონ, თუ არა. რას ამბობს კანონი, როდესაც სახელმწიფოში ასეთი რამ ხდება?

ვახტანგ რაზმაძე: სანამ კანონზე ვილაპარაკებდეთ, მოდით, სწორი შეფასება მივცეთ, რა მოხდა მაშინ. თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა, ერთად როცა იყვნენ და ოპოზიციაში იყვნენ უკვე ორივე, კიტოვანმა ორჯერ გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ გვარდია არასდროს არ გაისვრის ტყვიას, თუ თვითონ ხელისუფლებამ არ ესროლა ხალხს. ორჯერ, სამჯერ იყო გამოქვეყნებული გაზეთში და ტელევიზიაში მისი ასეთი განცხადებები. მაგრამ ფაქტიურად რა მოხდა, ვინ ესროლა ხალხს პირველად? ხომ არსებობს საქმე, გამოძიება დაწყებული იყო, ყველაფერი დაკონკრეტდა და გაირკვა, რომ როცა 22 დეკემბერი თენდებოდა, დილას, სიგუას მომხრეები რომ დადიოდნენ რუსთაველის პროსპექტზე, გამოვიდნენ ქობალიას წარმომადგენლები და აუტეხეს სროლა ამ ხალხს. მაშინ რომან გვენცაძე დაიჭრა კიდეც ფეხში და საავადმყოფოში წაიყვანეს. ეს გასროლა მაგათი მხრიდან მოხდა და მერე იმათაც უპასუხეს სროლით და ასე დაიწყო ეს. პუტჩი რა შუაშია, რატომლაც უნდათ პუტჩი დაარქვან – დაიწყო ომი, ფაქტიურად სამოქალაქო ომი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. კიტოვანი საომრად რომ ყოფილიყო განწყობილი... კიტოვანი მესამე დღეს ჩამოვიდა ზღვიდან თავისი არმიით და მერე ჩაება ამ ხელჩარ-თულ ბრძოლაში.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, მე ერთმა ფრანგმა მომცა ინტერ-ვიუ, საფრანგეთის მოქალაქემ. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი, შეიარაღებული ხალხი რომ გამოჩნდეს მიტერანის სასახლის წინ, მოედანზე, იმან ფანჯრიდან გამოიხედოს და დაინახოს შეიარაღებული ხალხი, მის საწინააღმდეგოდ განწყობილი, თუნდა ორი კაციო, რა მოხდება, მოკლედ მითხარითო.

ვახტანგ რაზმაძე: დააპატიმრებდნენ ყველას და შეიძლება დაეხვრიტათ კიდეც. ეს სახელმწიფო არის, სადაც წესრიგი არსებობს, მაგრამ გამ-სახურდიას ხელისუფლებაში ყოფილი დროს საქართველოში წესრიგი არასოდეს არ ყოფილა. არ ყოფილა წესრიგი, დამიჯერეთ, არ გჯერათ? წესრიგი რომ ყოფილიყო, მაშინ ასეთ რამეს ვინ გაბედავდა.

ნათელა ვაჩნაძე: მეც ზეციდან ხომ არა ვარ ჩამოფრენილი, მეც იმ ეპოქის შვილი ვარ, იმ ქვეყნის შვილი ვარ და ჩემ თვალწინ ხდებოდა ეს ყველაფერი.

ვახტანგ რაზმაძე: თუ უნდოდა მოწესრიგება ამ დავის და უბედურების... ზვიადიმ რა გააკეთა, არ გახსოვთ? თბილისის ზღვაზე გააგზავნა ხალხი მოსალაპარაკებლად და ერთი ადამიანი დაიღუპა.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ ეს ბრძანეთ, დაიღუპა ვასაძე. ვინ იყო ეს?

ვახტანგ რაზმაძე: ეს იყო ნოდარ ნათაძის სახალხო ფრონტის წევრი.

ნათელა ვაჩინაძე: „იმედში“ ხომ არ იყო, შეიარაღებული ფორმირების „იმედის“ წევრი.

ვახტანგ რაზმაძე: ძალიან კარგად გახსოვთ ყველაფერი, ზუსტად „იმედის“ წევრი იყო.

ნათელა ვაჩინაძე: პროფესორი ნოდარ ნათაძე, ფილოსოფიის დოქტორი შეიარაღებული ფორმირებით და თვითონ რომ იარაღი ჰქონდა პირველად მაშინ გავიგონე მე, თორემ პოლიციელი კი ატარებდა.

ვახტანგ რაზმაძე: მაშინ გაიგეთ პირველად ხომ? მანამდე არ გახსოვთ? გაიხსენეთ კარგად, ტელევიზიამ აჩვენა. ტელევიზიაში როცა იყო გვარდია, იქ ნოდარ ნათაძეს, დავით ბერძენიშვილს და პაატა კოლუაშვილს სანადირო თოფები ეკიდათ ზურგზე და იდგნენ ტელევიზიის წინ.

ნათელა ვაჩინაძე: თქვენ რა თანამდებობა გეკავათ?

ვახტანგ რაზმაძე: გენერალური პროკურორი ვიყავი.

ნათელა ვაჩინაძე: ეხლა რატომ არ გამოდის პროფესორი ნოდარ ნათაძე, აღარა ჰყავს „იმედი“? ერთი-ორი კაცი არ გამოიძებნება შეიარაღებული? აბა, დადგეს მთავრობის სასახლის წინ, რა მოხდება?

ვახტანგ რაზმაძე: ორი შემთხვევა იყო საქართველოში, როცა დადგა საკითხი, პოლიცია ხალხის გვერდით დადგებოდა თუ ხელისუფლების გვერდით. 9 აპრილს პოლიცია ხალხის გვერდით იდგა და რამდენი მოქალაქე გადაარჩინა.

ნათელა ვაჩინაძე: მე გადამარჩინა ნამდვილად ჯიმი მიქელაძემ.

ვახტანგ რაზმაძე: ეხლა მეორე შემთხვევა. როცა ხელისუფლებაში მოვიდა ჩვენი მიხეილ სააკაშვილი, მაშინ პოლიციამაც და არმიამაც აბსოლუტურად უარი განაცხადა ყოველგვარი ძალის გამოყენებაზე. ამიტომ ამათ უნდა იცოდნენ, დღეს რომ ეს ხალხს უპირისპირდებიან, თუ ეს ხალხი მაგათ წინააღმდეგ აბობიქრდა და ამოძრავდა, მაგათ ნუ აქვთ იმედი, რომ ვიღაც ვანო მერაბიშვილი თუ ვიღაც სიკვდილი გადაარჩინს, ან ის პოლიცია დაუდგება მაგათ მხარში.

ნათელა ვაჩინაძე: ძალიან მაინტერესებს კიდევ ერთი ამბავი, ძალიან მძიმე საკითხია და საშინელებაა, მაგრამ ეს წაიკითხა მთელმა საქართველომ. ბატონი აქვსენტი იყო, წონორია, მე ვიცნობდი, მძლოლი იყო. როდესაც კონსტანტინე გამსახურდიამ მიიღო ეს წაკვეთი, მანქანის მართვა არ შეეძლო და არც წარმოედგინა. და წაკვეთი, რომელიც მთავრობამ მისცა, იმ წაკვეთიდან ჩამოუჭრა ნაწილი აქვსენტის და დაასახლა იქ, რაც მასალა დარჩა იმ კოშკის მშენებლობიდან, მისცა მას. თქვენ ბრძანეთ, რომ მერე სახლი დაუნგრიაო.

ვახტანგ რაზმაძე: დაუნგრია, ბულდოზერი მიაყენა სახლს. როდესაც ბულდოზერით ანგრევდნენ სახლის კედლებს, ამ დროს ბებია და შვილიშვილი იყვნენ სახლში და ძლივს გამოიყვანეს მეზობლებმა. მერე სხვისი სახლებიც დაანგრია იქ. მერე დაავალა ანდრიაძეს, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, და ბინები მიიღეს.

ნათელა ვაჩნაძე: წოწორიებმა მერე გვერდით ძალიან კარგ სახლში მიიღეს ბინა. ვახტანგ რაზმაძე: ხო, ყველას მისცეს.

ნათელა ვაჩნაძე: საიდანა გაქვთ ის ინფორმაცია, რომ ინვალიდი ბავშვებისათვის გამოყოფილი მკურნალობის ფულით იყო ნაყიდი ორი „მერსედესი“?

ვახტანგ რაზმაძე: საიდანა მაქვს და პროეურორი ვიყავი და ფინანსთა სამინისტროიდან და ბიუჯეტიდან თანხები რომ იხარჯებოდა, მაგისი შემოწმების უფლება მქონდა. ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილი იყო ნახევარ მილიონზე მეტი. აქედან მან იყიდა, 400 ათასი გადაიხადა...

ნათელა ვაჩნაძე: მას უყიდეს ალბათ, ბატონო ვახტანგ.

ვახტანგ რაზმაძე: ვინ უყიდა?

ნათელა ვაჩნაძე: ვიღაც უყიდდა. თვითონ წავიდა?

ვახტანგ რაზმაძე: თვითონ წავიდა კი არა, გააგზავნა კახი ასათიანი. მაგას ჰქონდა, ახლაც არის, „მერსედესცენტრი“.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი ვერსია, რომ კახი ასათიანის საჩუქარი იყო ეს „მერსედესი“.

ვახტანგ რაზმაძე: სადა ჰქონდა კახის მაგდენი ფული, მაგისთვის ეჩუქებინა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ვახტანგ, როგორ მოხდა თქვენი განთავისუფლება თანამდებობიდან? ამდენი ხანი იმსახურეთ, ერთგულად ემსახურეთ თქვენს ქვეყანას, თუმცა კმაყოფილი არა ხართ, იმიტომ, რომ ამბობთ, მე ჯერ არ შემხვედრია ხელისუფლება, რომელიც მე, როგორც პროკურორს, მაძლევდა დამოუკიდებლად მოქმედების სამუალებას. ყოველთვის, ყველა ხელისუფლება...

ვახტანგ რაზმაძე: არა, მასე არ მაქვს ნათქვამი. ისინი მაძლევდნენ თუ არა უფლებას, მე მაინც ვმოქმედებდი ისე, როგორც მე ვთვლიდი საჭიროდ.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლება ყოველთვის სათავისოდ იყენებდაო, ყველაფერს ისე სწყვეტდა, როგორც მისი სკამის შესანარჩუნებლად იყო საჭირო.

ვახტანგ რაზმაძე: კანონი რომ სუსტებისთვის არის დაწერილი, ხომ იცით. იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატია არ არსებობს და სამართლებრივი სახელმწიფო არ არის შექმნილი, იქ კანონს მართავს ერთპიროვნულად პრეზიდენტი, მეფე თუ ვიღაცა.

ნათელა ვაჩნაძე: დემოკრატია ისე გაიგებს, რომ ვისაც რა უნდა იმას იღაპა-რაკებს, ვისაც რა უნდა იმას გააკეთებს, იმას არ დაიჭერენ, იმას არ ეშ-

ინია, გამოდის და ყბადალებული ლაპარაკობს. ეს არის დემოკრატია? დემოკრატია ეს არ არის. დემოკრატია არის კანონის უზენაესობა.

ვახტანგ რაზმაძე: დემოკრატია არის, როდესაც ადამიანს კანონის ფარგლებში უფლება აქვს და საშუალებაც აქვს, რომ გამოთქვას თავისი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე.

ნათელა ვაჩინაძე: მაინც როგორ მოხდა თქვენი წასვლა თანამდებობიდან, ბატონო ვახტანგ? თქვენ ბრძანებთ ინტერვიუში, რომ თანამდებობიდან წავლის შემდეგ არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობდი, სახლში ვიჯექი და მოვლენების განვითარებას ვაკვირდებოდიო.

ვახტანგ რაზმაძე: როდესაც მე ძალიან დიდი ბრძოლა გამოვუცხადე ზვიადს, რომ არასწორედ დააპატიმრეს ჭანტურია, ამის შემდეგ ჩემს და ზვიადს შორის ურთიერთობა დაიძაბა. მანამდე ძალიან ერთგულად ვემსახურებოდი, ერთი იოტისოდენა ნაბიჯი არ გადამიდგამს ისეთი, რომ ზვიადის ხელისუფლების ან პირადად ზვიადის საწინააღმდეგო რამე ან მეთქვას ან გამეკეთებინოს.

ნათელა ვაჩინაძე: ე. ი. არ დაგიფასათ, ასე გამოდის.

ვახტანგ რაზმაძე: არ დამიფასა, რა თქმა უნდა. ამის შემდეგ, როდესაც მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ შენთვის იქნება ძალიან წამგებიანი ის, რომ ციხეში მოხვდება ჭანტურია, დაგვეძაბა ერთიერთობა. მერე ვიღაცამ მიუტანა ამბავი, რაზმაძეს უნდა შენი დაჭერაო.

ნათელა ვაჩინაძე: ელისაშვილს ასახელებთ, ვინ არის, ქალია თუ კაცია?

ვახტანგ რაზმაძე: კაცია, არც მინახავს, ქალაქის საბჭოში მუშაობდა.

ნათელა ვაჩინაძე: ვინ არის, რას წარმოადგენს?

ვახტანგ რაზმაძე: არ ვიცი, ვინ არის, არც მიკითხავს, არ მაინტერესებდა. ... და მე ეს არ ვიცოდი. მერე გია ყარყარაშვილმა მითხრა, ზვიად გამსახურდიამ მკითხაო, ჩემი დაჭერა მართლა უნდოდა ვახტანგ რაზმაძესო. არ გამიგია ამის შესახებ არაფერი, მე ვუთხარიო. აი ელისაშვილმა მითხრა, რომ ესე იყოო. მაგაში რომ დარწმუნებული იყო და შეშინებული იყო... ჩემი განთავისუფლების პროცედურას მოგიყვებით. 19 ნოემბერი იყო 91 წლის, ტარდება პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდა დილარ ხაბულიანი და თქვა, ხელს მიშლიანო სასამართლო და პროკურატურა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. და მოიყვანა მაგალითი, რომ არ მოგვცეს სანქცია უორჟოლიანის დაპატიმრებაზეო. სასაცილო იყო. მე ავდექი და...

ნათელა ვაჩინაძე: რატომ თქვა ასე?

ვახტანგ რაზმაძე: რატომ თქვა და არ მისცეს მართლა სანქცია, არ შეიძლებოდა სანქციის მიცემა, საფუძველი არ იყო და არ მისცეს ამიტომ.

ნათელა ვაჩინაძე: მაგრამ თქვენ არ დაგასახელათ იმან.

ვახტანგ რაზმაძე: ვერც დამასახელებდა, რაიონის დონეზე იყო. პროკურატურა რომ ახსენა, მე მივიღე დიდ შეურაცხყოფად, იმიტომ, რომ

დამნაშავეობას თუ ვინმე ებრძოდა ზვიადის დროს, ებრძოდა პროკუ-
რატურა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თვითონ იყო აბსულუტურად
დაკავშირებული დამნაშავეთა წრესთან და მფარველობდა მას.

ნათელა ვაჩნაძე: რაიონის პროკურორი ვინ იყო?

ვახტანგ რაზმაძე: ეს იყო საბურთალოს რაიონში. ... ავდექი მე და 10-15
წუთი ვილაპარაკე, რა მდგომარეობა იყო შექმნილი ქვეყანაში დამ-
ნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომ არ ღებულობდნენ
საჭირო ზომებს არც შინაგან საქმეთა ორგანოები, არც სხვები, არც
ხელისუფლება, რომ წესრიგი დამყარებულიყო. რაც შეეხებოდა უორ-
ულიანზე სანქციის არგაცემას, იმაზე ვუთხარი პირდაპირ, რომ ეს
არის სასაცილო ამბავი. კაცი დააკავეს ქუჩაში იმიტომ, რომ ის თქვენი
ოპოზიციონერი არის, დააკავეს, წაიყვანეს მილიციაში, შემდეგ ჩამოვ-
იდნენ მილიციელები და მისი მანქანა გაჩერიკეს მის დაუსწრებლად,
იარაღი და ნარკოტიკები ჩაუდეს და მაგისათვის ითხოვდნენ სანქციას.
ეს ნახა პროკურორმა და სანქციას გასცემდა? ავდექი და გამოვედი გა-
რეთ, მე თქვენთან აღარ ვიმუშავებ-მეთქი. გამოვედი იქიდან, გამომყ-
ვა ყველა — იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მეხვე-
ნებიან, მეუბნებიან, ვახტანგი, ნუ ხარ აღელვებული, არ გადაწყვიტო,
ეგეთი სისულელე არ გააკეთო, დაჯექი და იმუშავეო. არა, მე ვუთხარი,
მე მაგას ვერ გავაკეთებ. წავედი ჩემს კაბინეტში და საღამოს 8 საათზე
დავურეკე, რომ მოსვლა მინდა შენთანო. ამას გაუფრთხილებია ბესო
ქუთათელაძე, დილარ ხაბულიანი და თავისი დაცვა, რომ რაზმაძე მო-
დის და პროვოკაცია არ მომინყოსო. როცა შევედი, ეს ხალხი დამხვდა
მის კაბინეტში. ქუთათელაძე კარგი კაცი იყო, სხვათა შორის, ნორმალ-
ური ადამიანი. შევედი და განცხადება დავუდე წინ, მე ვუთხარი, გამან-
თავისუფლეთო. ესიამოვნა ძალიან. დავემშვიდობე, კარგად იყავით-
მეთქი. მოიცადეო. გავედით გარეთ. მითხრა, დაგნიშნავ ორ კვირაშიო
და მერე გააკეთა სისულელე. 19 ნიემბერს წავედი მე და 22 დეკემბერს
ომი დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: მერე 3 იანვარს რომ მობრძანდით, როგორ იყო ეს?

ვახტანგ რაზმაძე: თენგიზ სიგუამ დამნიშნა და მოვედი. სიგუასთან ნორ-
მალური ურთიერთობა მქონდა. მოვედი და ზვიადიმ მომაყოლა ტერ-
ორისტები პროკურატურაში. 15 შეიარაღებული კაცი გამომიგზავნა
და აუტეხეს პროკურატურას სროლა. მერე კიდევ მომინყო ტერორ-
ისტული აქტი. მარტო ფანჯრები ჩავსვი და ვთქვი, მანამ არ გამოვალ
აქედან, სანამ არ დავადგენ, ვინ იყო-თქო. ბევრი ვიწვალე, გამიჭირდა,
მაგრამ დავადგინე, ვინც იყო.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან იყვნენ ესენი?

ვახტანგ რაზმაძე: საიდან იყვნენ და ზვიადისტები იყვნენ, ბუნკერიდან გა-
მოვიდნენ, ბუნკერიდან გამოაგზავნა.

ნათელა ვაჩნაძე: რა დღეა?

ვახტანგ რაზმაძე: 3 იანვარი.

ნათელა ვაჩინაძე: ეს იყო პროტესტი.

ვახტანგ რაზმაძე: პროტესტი კი არ იყო, ტერორისტები იყვნენ.

ნათელა ვაჩინაძე: მე ბატონმა თენგიზმა მითხვა, რომ გამსახურდიას არას-წორ ინფორმაციას აწვდიდნენ. არ იცოდა, გარეთ რა ხდებოდა, აბსო-ლუტურად მოწყვეტილი იყო რეალობასო.

ვახტანგ რაზმაძე: როგორ არ ვაწვდიდი. ერთი ასეთი შემთხვევა იყო. ზვიადის დროს გახშირდა ძალიან ადამიანების გატაცება. ხალხს იტაცებდნენ ფულის გამო. და ამას ვინ აკეთებდა, იცით? პრეზიდენტის შენობასთან მორიგეობდნენ დღისით მილიციის მუშაკები და სხვა დამნაშავე პირები, რომლებიც ჩადიოდნენ საღამოობით თბილისში და განსაკუთრებით მარნეულში, იტაცებდნენ ხალხს და ძალავდნენ ფულს. ერთ დღეს – ოთარ ქურციკიძე იყო, შვილი მოუკვდა ავტოავარიაში – შვილის სასაფლაოზე იყვნენ. და კაცი რომ ჭიროდა, ცრემლები მოსდიოდა, ამ დროს დაეცნენ სვანების ხუთკაციანი ჯგუფი, მოიტაცეს იქიდან და გამოსძალეს ფული. ეს რომ გავიგე, მე ვიცნობდი ქურციკიძეს...

ნათელა ვაჩინაძე: სად მუშაობდა ქურციკიძე?

ვახტანგ რაზმაძე: მოსკოვში იყო ძირითადად და მერე ჩამოვიდა საქართველოში და რომელიღაც სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა.

ნინო თომაძე: ფული რახან გამოსძალეს, იცოდნენ, რომ ფული ჰქონდა.

ვახტანგ რაზმაძე: ფული ჰქონდა ალბათ და იცოდნენ, რომ ფული ჰქონდა და ამიტომ დაესხნენ თავს. ... დავიჭირეთ ეს ხალხი, ხუთივე და ერთი პოლიციამ გაუშვა ისე, რომ ჩემთვის არც უკითხავთ, ვიღაც ონიანი, რომელიც დაპირდა, ამ გატაცებულის ფულს მოვიტანო. მე შევედი ზვიადისთან და ვუთხარი, რომ ბატონო ზვიად, თქვენს ხელისუფლებას ძალიან დიდი შეურაცხყოფა ადგება, რომ თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში ასეთი რაღაცები ხდება საქართველოში-მეთქი. მოდი, გააკეთეთ ერთი რამ. შექმენი ჯგუფი სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან, ჩაუდექით თქვენ სათავეში და დავიწყოთ ბრძოლა ამ ხალხის ნინააღმდეგ, ვინც ეწევა ამ ხალხის გატაცებას, ფულის გამოძალვას და სხვადასხვა დანაშაულებებს. გაეხარდა, მოენინა, ძალიან კარგიაო. ხვალ დილას 10 საათზე შევიკრიბოთ, მე გავაფრთხილებ ყველასო, შენ გააკეთე მოკლე ინფორმაციაო. მეორე დილას ათის ნახევარზე მირეკავს ტელეფონით. გუშინ ჩვენ რომ ვიღაპარეთ, ბატონო ვახტანგ, მაგაზე ნულარ გავაგრძელებთ საუბარსო და საერთოდ თქვენ ნუ ჩაერევით მაგ საქმეშიო. აი, როგორი გარემოცვა ჰყავდა. დაარწმუნა ვიღაცამ, რომ ამის გაკეთება არ იყო საჭირო.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონო ვახტანგ, 3 იანვარს მოხდა მიტინგის დარბევა, მაგრამ თქვენ ამაში არაფერ შუაში არა ხართ, იმიტომ, რომ თქვენ საღამოს დაგნიშნეს. მაგრამ მერე მოხდა კიდევ საშინელებები და ამის მონაწილე ძალიან ბევრი ხალხია. ამის დამალვა არ შეიძლება, კასატე-

ბი არსებობს. ზურაბ შანიძეს – თუ გაგიგონიათ ასეთი კაცი, მე არ ვიცნობ, არც მინახავს – აქვს დიდძალი რაოდენობა კასატების. კასეტები აქვს კიდევ ერთ ლტოლვილს, სახელი და გვარი არ ვიცი, ჯერ იქამდე ვერ მივედი. ის ოპერატორია და ძალიან ბევრი რამ აქვს გადაღებული. ეს არის ცირკონი, ეს არის სადგურთან, ეს არის დიდუბეში, მიტინგებს რომ არბევდნენ, მკვლელობებით, დასახიჩრებებით, საშინელება, ერთი სიტყვით. ჩვენი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა გამსახურდიას, არის იქ აღბეჭდილი. ეს ოჯახებშიც ინახება. სამართალდამცავი ორგანოების როლი და მნიშვნელობა აქ როგორია? შე, ზვიადისტო, დაუძახებდნენ, წილს ჩაარტყამდნენ და სიკვდილის პირამდე მიიყვანდნენ. ბევრი რამე, სხვათა შორის, ტელევიზით იყო ნაჩვენები. თუ გაგიგიათ თომა ჩაგელიშვილის გადაცემა, იქ მინახავს.

ვახტანგ რაზმაძე: თომა კარგი ბიჭია, ნიჭიერი, მაგრამ როცა ასეთ თემას შეეჭიდები, აბსოლუტურად უნდა გამორიცხო სუბიექტივიზმი. ყველა ფაქტის და მოვლენის შეფასებაში უნდა იყო ობიექტური, რასაც აღიქვამ, სწორედ უნდა გადმოსცე. თომა ცოტა უხვევს იქითკენ, ყველა მოქმედებაში გაამართლოს ზვიადი და გაამტყუნოს სხვები. თქვენ რომ ბრძანებთ, მის მერე ხდებოდა დარბევებიო, მის მერე კიდევ შეიქმნა საძმოები საქართველოში და ხოცავდნენ ბავშვები ერთმანეთს. ხომ გახსოვთ?

ნათელა ვაჩნაძე: როდის შეიქმნა საძმოები, გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ? ვახტანგ რაზმაძე: არ ვიცი, რა ვიცი მე მისი მატიანე. ხომ არსებობდა საძმოები? ხომ იხოცებოდა ხალხი? ხომ თარეშობდა მხედრიონი საქართველოში და განაგებდა ყველაფერს?

ნათელა ვაჩნაძე: და ჩვენ რა უნდა გვექნა მოქალაქეებს და სამართალდამცავ ორგანოებს რა უნდა ექნათ, ეგეც არ ვიცი.

ნინო თომაძე: სამართალდამცავი ორგანოები, მე მახსოვს, დაშინებული ჰყავდა მხედრიონს ისე, რომ მხედრიონი როცა თარეშობდა, პოლიციას არანაირი გავლენა არ ჰქონდა.

ვახტანგ რაზმაძე: როცა მხედრიონის უფროსი მთავრობაში მეორე პირი იყო და პირველი პირი მფარველობდა იმას, იქ რანაირი წესრიგი უნდა ყოფილიყო.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ჩვენ უკვე ვლაპარაკობთ იმ დროზე, როცა ტრიუმვირატი აღარ არის, სამხედრო საბჭო აღარ არის და შევარდნაძე ჩამოვიდა თბილისში, 1992 წლის 7 მარტს. თქვენ ბრძანებთ, რომ მთელი საქართველო დახვდათ.

ვახტანგ რაზმაძე: დიახ, გაჭედილი იყო მთელი მოედანი და ადგილი არ იყო იქ. ხალხი ჩამოვიდა ახალციხიდან, საგარევოდან, მთელი კახეთიდან, რუსთავიდან, გარდაბანიდან. ზოგი სპეციალურად მოიყვანეს. მედიკო რომ არ ყოფილიყო, ვინ ჩამოიყვანდა. თქვენ არ გჯერათ, რომ ხალხი დახვდა შევარდნაძეს?

ნათელა ვაჩნაძე: როგორ არა.

ვახტანგ რაზმაძე; მე ერთ-ერთი ის პიროვნება ვარ, ვინც მომხრე ვიყავი და ვფიქრობდი, რომ შევარდნაძე უნდა ჩამოსულიყო. ამისი აქტიური მონაწილეცა ვარ და მომხრეც. აქედან ჩადიოდნენ ქართველები და ეხ-ვენებოდნენ, ჩამოდიო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ეს ხალხი?

ვახტანგ რაზმაძე: ბევრი იყვნენ.

ნათელა ვაჩნაძე: მთელი საქართველო დადიოდა?

ვახტანგ რაზმაძე: მთელი საქართველო კი არა, ხუთი, ათი კაცი დადიოდა. იცით თქვენ ეგ, რატომ მეკითხებით მე?

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი.

ვახტანგ რაზმაძე: ძალიან კარგად იცით. შენგელაიები, ძმები, რომ დადიოდნენ და ეხვეწებოდნენ, ჩამობრძანდიო. მეც ვიყავი ამის მომხრე.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენც დაფრინავდით?

ვახტანგ რაზმაძე: არ დავფრინავდი, გავუკეთე ორგანიზაცია მის ჩამოყვანას. შევკრიბე პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე კაცი, რომლებიც ჩავსვი თვითმფრინავში და გავუშვი იქ, რომ იქიდან ჩამოეყვანათ შევარდნაძე.

ნათელა ვაჩნაძე: შევარდნაძეს დათო სანიკიძის დაქირავებული დაცვა ჰყავდა მოსკოვში. დათო სანიკიძემ უთხრა ერთ ადამიანს ტელეფონით, რომ მე გამოვაგზავნი ახლა დაცვასო, მე ამათ ფულს ვუხდიო, ჩამოიყვანონ აეროპორტში, დასვანო და მერე მე აღარ მეკითხება არაფერი, თქვენ მოუარეთ თვითონო. ეს უთხრა დათო სანიკიძემ თენგიზ სიგუას, რომელიც ახლა, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. იმას ჩამოჰყვა თავისი დაცვა.

ვახტანგ რაზმაძე: შეიძლება. თენგიზ სიგუა კატეგორიული წინააღმდეგი იყო შევარდნაძის ჩამოყვანის.

ნათელა ვაჩნაძე: არც წავიდა აეროპორტში.

ვახტანგ რაზმაძე: წინააღმდეგი იყო მაგის ჩამოყვანის სიგუა, კიტოვანიც და იოსელიანიც.

ნათელა ვაჩნაძე: იოსელიანი ახლო ურთიერთობაში იყო გურამ მგელაძესთან, გურამ მგელაძე მფარველობდა მხედრიონს. (პაუზა).

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ აკეთებთ დასკვნას, ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ იყო. მე მილაპარაკია იოსელიანთან და ვუთხარი, ჩამოვიყვანოთ ეს კაცი, იქნებ დაამყაროს წესრიგიო. რას ლაპარაკობ, ვახტანგიო, მაგ „კამსამოლეცს“ აქ რა უნდაო, ეგ დააქცევს ჩვენს ქვეყანას, რომ ჩამოვიყვანოთო. (პაუზა).

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ ხომ არ უნდოდა პრეზიდენტობა?

ვახტანგ რაზმაძე: არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ ამ დროს სიგუას

ავტორიტეტი უფრო დიდი იყო, ვიდრე დანარჩენი სხვების. თენგიზსაც ველაპარაკე ამაზე და მითხრა, როგორ შეიძლება.

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენ რატომ იკლავდით თავს?

ვახტანგ რაზმაძე: ვიკლავდი იმიტომ, რომ ქვეყანა მეცოდებოდა, ასეთ მდგომარეობაში რომ იყო. მწამდა და მჯეროდა, რომ ამ კაცს ჰქონდა ავტორიტეტი და რაღაცას გააკეთებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ხომ გააკეთა რაღაცა.

ვახტანგ რაზმაძე: რა გააკეთა. ჩამოვიდა თუ არა, მოექცა ჯაბას გავლენის ქვეშ.

ნათელა ვაჩნაძე: არა.

ვახტანგ რაზმაძე: არა კი არა, ასე იყო. რასაც უკარნახებდა ჯაბა, იმას აკეთებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს კიდევ წყნარად იყო და მომენტს ელოდებოდა.

ნინო თომაძე: საბოლოოდ ჯაბას, სიგუას და კიტოვანის დახმარებით განიმტკიცა ძალაუფლება და შემდეგ ყველა „გადაყარა“.

ვახტანგ რაზმაძე: ეს მაგის ჩვეულებრივი ამბავია.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი აზრი, რომ გაყიდული იყო თავიდანვე აფხაზე-თოო და იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ აფხაზეთი გადაეცაო.

ვახტანგ რაზმაძე: როგორ გეკადრებათ, გამორიცხულია, სისულელეა ეს. ვინც მაგას ლაპარაკობს, წარმოდგენა არა აქვს იმ ისტორიაზე, როგორ ვითარდებოდა საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობები, შევარდნაძის ჩამოსვლის დროს კი არა, მანამდე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შევარდნაძემდეც, შევარდნაძის დროსაც და შევარდნაძის შემდეგაც ატარებდა აფხაზების მიმართ კაპიტულანტურ პოლიტიკას. დაჩაგრული ჰყავდათ ქართველი ხალხი აფხაზებს. ბოდიშს ვიხდი, თავზე აჯდნენ. არაფერს არ წამოადგენდნენ ქართველები, არავითარი გავლენა არ ჰქონდათ აფხაზეთში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 47 პროცენტი იყო ქართველები, 17 პროცენტი იყო აფხაზები. ერთი პერიოდი იყო, წლები არ მახსოვს, მოსახლეობის აღნერის შედეგად, ვინც აფხაზად დაეწერა, იქიდან 7 ათასი კაცი აცხადებდა, რომ ჩემი მშობლიური ენა არის ქართული. ესენი იყვნენ მეგრელები, ყველაზე დიდი ანტიქართველები გახდნენ. ეს იყო ოჩამჩირის რაიონში. შევარდნაძე რა შუაშია. შევარდნაძემ ომი დაიწყო იმის გამო, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, არ იყო სამხედრო პიროვნება და...

ნათელა ვაჩნაძე: ეგ პოლიტიკური საკითხი იყო და არა სამხედრო. ომს როცა იწყებ, ეგ პოლიტიკა.

ვახტანგ რაზმაძე: მომისმინეთ ბოლომდე. იყო ომი რუსეთს, საქართველოს და აფხაზეთს შორის. ამ დროს შევარდნაძე იყო მთავარსარდალი და არ იყო ის ისეთი მთავარსარდალი, რომელიც შეიძლებდა, სამხედრო

ღონისძიებები გაეტარებინა ისე, რაც უზრუნველყოფდა ჩვენს გამარჯვებას. პოლიტიკა რა შუაშია.

ნათელა ვაჩნაძე: აფხაზეთში ჯარის შესვლას მხარს უჭერდა შევარდნაძე?

ვახტანგ რაზმაძე: ჯარის შესვლა გადაწყვეტილი იყო სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომელსაც შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. შევარდნაძე უჭერდა მხარს. იოსელიანმა უთხრა, ნუ გააკეთებო, მე და არძინბამ მოვილაპარაკეთ და შეთანხმებული ვართ, რომ ერთობლივად უნდა დავიცვათ რკინიგზაო. სომხები გვიჩიოდნენ, 6 მილიარდი მანეთი მოითხოვეს ჩვენგან სომხებმა, იმიტომ, რომ მათი ტვირთი იკარგებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ის გადაწყვეტილება, რომ ერთობლივად გაეკონტროლებინათ რკინიგზა, არ იყო ცუდი, მაგრამ ამან გამოიწვია გაუგებრობა და ომი. ესე გახდა შევარდნაძე ვითომ ომის დამწყები.

ნათელა ვაჩნაძე: ომი წავაგეთ...

ვახტანგ რაზმაძე: ომი წავაგეთ სამარცხვინოდ.

ნათელა ვაჩნაძე: ... ქართველი ბიჭები ჩაიხოცნენ...

ვახტანგ რაზმაძე: ქართველებიც ჩაიხოცნენ და აფხაზებიც.

ნათელა ვაჩნაძე: ... ბევრი ოჯახი გაუბედურდა, მე ძალიან ბევრს ვიცნობ.

ნინო თომაძე: ჩემი სამი კლასელი მოკვდა.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი კლასიდან როცა სამი ვაჟკაცი კვდება, რა გამრავლებაზე შეიძლება ლაპარაკი. გაქვთ რამე იმედი აფხაზეთთან დაკავშირებით? პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ?

ვახტანგ რაზმაძე: მხოლოდ სურვილის.

ნათელა ვაჩნაძე: ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი.

ვახტანგ რაზმაძე: ვერ ვრწმუნდები, რომ დღეს ტარდება ისეთი პოლიტიკა, რომ ჩვენ რუსეთთან აღვადგინოთ ისეთი ურთიერთობა, რომ მან დაგვითმოს აფხაზეთი.

დოდონა კიზირია

(ესწრებოდა გიორგი გაჩეჩილაძე)

23 აგვისტო, 2007

დოდონა კიზირია: ჩემი სახელია დოდონა კიზირია, მე დაბადებული ვარ თბილისში, აქ გავიზარდე, აქ დავამთავრე ქართული სამუალო სკოლა, შემდეგ წავედი მოსკოვში, სადაც ვსწავლობდი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ნაწილი. შემდეგ დავბრუნდი თბილისში, ვიმუშავე რამდენიმე წელი, ისევ წავედი მოსკოვში, სადაც ჩავაბარე გამოცდები და დავამთავრე კინოხელვნების ინსტიტუტი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც “ВГК”-ი. ამის შემდეგ, ბევრი სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლის ჩამოთვლა მაინცადამაინც არ მინდა, მე გავთხოვდი ჩემს ძალიან ძველ წაცნობზე, მეგობარზე, ინგლისის მოქალაქეზე და მასთან ერთად დავტოვე საქართველო. ჩემს წასვლაში იყო პირადი მიზეზები და იყო ისეთი მიზეზები, რომლებზეც, თუ გნებავთ, გეტყვით. მე ვიყავი ძალიან მოკრძალებულად, მაგრამ ჩართული რაღაც დისიდენტურ მოძრაობაში მოსკოვში და არაერთხელ დაბარებული ვიყავი კგბ-ს მიერ და რამაც აბსოლუტურად შემძრა და ველოდი დაპატიმრებას დღე და დღე. შეიძლება ეს ჩემი გულუბრყვილობის ამბავი იყო და, როგორ ვთქვა, იმ მეტისმეტად დაშინებული მენტალობის ამბავი იყო, რომელიც ჩვენ ჩამოგვიყალიბდა, მაგრამ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომ წავედი. მე, აღმოვჩნდი ინდიანის შტატში, სადაც მინდოდა მუშაობის დაწყება. დამავიწყდა მეთქვა, რომ მე ასპირანტი ვიყავი მოსკოვში, “ВГК”-ის დამთავრების შემდეგ ვიყავი ასპირანტი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. არც ერთი ჩემი საბუთი განათლების ამერიკამ მაშინ არ მიიღო, ვინაიდან საერთოდ, ეჭვით უყურებდნენ საბჭოთა კავშირის განათლებას, რაც ძალიან დიდი სისულელეც იყო, რადგან განათლება და საბჭოთა დიპლომები არ იყო ნაკლები ამერიკის დიპლომებზე. მაგრამ ვინაიდან არ იყო ეს შესაძლებელი, მე მომიხდა დამატებითი კურსები ამერიკა, ჩამებარებინა იქ გამოცდები და დამეცვა დისერტაცია, რაც გავაკეთე, გავხდი პროფესორი და დამტოვეს პროფესორად რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. მას შემდეგ, ამერიკაში წავედი 1971 წელს, 1972 წლიდან მე ვარ იქ, ვარ პროფესორი 1976 წლიდან, ვასწავლიდი რუსულ ლიტერატურას XIX-XX საუკუნის, საბჭოთა რუსულ და აღმოსავლეთ ევროპის კინოს. 1987 წლიდან ყოველ წელს, ერთხელ კი არა, ზოგჯერ რამდენჯერმეც, ჩამოვდიოდი საქართველოში. როგორდაც ისე ხდებოდა, რომ ყოველი ჩემი ჩამოსვლა ემთხვეო-

და რაღაც მოვლენას, თუ ყველასი არა, ძალიან ბევრი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამბების მომსწრე ვარ. აი, ეს ჩემ შესახებ.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონი. დიდი მადლობა. ქალბატონო დოდონა, თუ შეიძლება დაგისვამთ ასეთ შეკითხვას: მას შემდეგ, რაც „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ მოდის ხელისუფლებაში, იმარჯვებს მრავალპარტიულ საარჩევნო მარათონში, რაც, რა თქმა უნდა, შემდგომში დიდ ცოდვად ჩაუთვალა ოპოზიციამ, რატომ მიიღეს კომუნისტებთან ერთად მონაწილეობა არჩევნებში, თითქოს ეს ერთადერთი ქვეყანა იყო და თითქოს ამან არ გაამართლა, მაგრამ რა თქმა უნდა, გაამართლა, იმიტომ, რომ მერე ჩვენ ვნახეთ მისი საბოლოო გამარჯვება და გათავისუფლება, ნაწილობრივ მაინც, ქვეყნის იმ იდეოლოგიისაგან, რომლის მარწუხებში იყო საქართველო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოქცეული. როგორი იყო იგივე აშშ-ის დამოკიდებულება ჩვენი ეროვნული მოძრაობის მიმართ, ჩვენი ეროვნული ხელისუფლების და იმ ტენდენციების მიმართ, რომლებიც ვითარდებოდა საქართველოში 28 ოქტომბრიდან 1990 წლის, ანუ დღიდან, რაც „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ მოვიდა ოფიციალურად ხელისუფლებაში.

დოდონა კიზირია: იცით რა, მე არ მინდა დავასახელო ის პოლიტიკოსები, რომლებთანაც მე საუბარი მქონდა ამერიკაში, ბევრთან მქონდა. ვიტყვი, რომ საქართველოზე წარმოდგენა არ ჰქონდა უმეტესობას. ხოლო ამ პოლიტიკოსებმა, სრულიად გულწრფელად, განსაკუთრებით ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ ამერიკის ის პოლიტიკოსები და მეცნიერები, რომლებიც შეისწავლიდნენ სიტუაციას საბჭოთა კავშირში, იყვნენ, უმთავრესად, „კრემლინოლოგები“, ე. ი. მათი დაკვირვების მთავარი საგანი იყო საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა მთავრობის წევრები და ის, რაც კრემლში ხდებოდა. მოსკოვიც არა, მოსკოვიც არ ვიცოდითო, რა ხდებოდა. რას აკეთებდა და ვინ იყო მთავრობის წევრები – ამაზე იყო დაფიქსირებული. ამიტომ მოულოდნელობა იყოო ეს ჩვენთვისო, მოულოდნელობა და პირველი რეაქცია იყო ძალიან ნეგატიური, ვინაიდან მათ აშინებდათ, მართლაც, ასეა თუ ისე, გამოიმუშავეს მტერთან სალაპარაკო ენა, ახლა ეს ენა გახდება გამოუსადეგარი. ახლა უნდა ელაპარაკო თხუთმეტ სხვადასხვა რესპუბლიკას, ვაითუ, აი ეს სენი მოედოს სხვებსაც. ერთ-ერთი პოლიტიკოსი, რომელსაც მე ველაპარაკე, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, იყო ბალტიისპირეთის სპეციალისტი, ბალტიისპირეთს განსაკუთრებით შეისწავლიდა. და ის თვითონ ამბობდა, რა მიამიტები ვიყავითო, გულუბრყვილოები და რა ვიწრო ხედვა გვქონდა საბჭოთა კავშირზეო. ე. ი. პირველი რეაქცია, როგორც გითხარით, შიში იმისა, რომ ვერ გამოიყენება უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურები და ურთიერთობის დიპლომატიური სტილი, მეორე შიში ჰქონდათ ის, რომ რუსეთი, საბჭოთა კავშირი, მათ წარმოედგინათ ერთგვარ ჩინურ კედლად, რომელიც შეაჩერებ-

და და წინააღმდეგობას გაუწევდა ორ მათთვის პოტენციურ მტერს: ერთი იყო ჩინეთი, მეორე იყო მუსლიმური სამყარო. აი, მათ მიაჩნდათ რუსეთი, მტერი კი არის, მაგრამ მას აქვს თავისი სასარგებლო ფუნქცია დასავლეთისთვის. ამიტომ რუსეთის დაშლა და დასუსტება მათ ძალიან აშინებდათ. უაღრესად წეგატიური იყო, არავითარი მხარდაჭერა მათ არ სურდათ. ეს მეორე. მესამე — მათ არავითარი ინფორმაცია ადგილობრივი არ ჰქონდათ. ყველა ინფორმაცია მიდიოდა რუსეთიდან საქართველოს შესახებ, უკრაინის შესახებ, ბალტიისპირეთის შესახებ და ა. შ. თუ რამდენად წეგატიური იყო მათი განწყობა, ადვილი მისახვედრია ბუშის ორი კომენტარის მიხედვით, რომელიც კარგად არის ცნობილი. ერთი, როდესაც მიმართავს უკრაინის საზოგადოებას, რომელიც მას ელის, როგორც მშვიდობის, თავისუფლების მოყვარე და დემოკრატიული სამყაროს მეთაურს, ელის მისგან რაღაცას ბრძნულს და იგი აფრქვევს სასწაულებრივ სისულეელეს — თქვენი დამოკიდებლობა არის “კოლეთი მე-კიევსკი”---- საშინელი შეურაცხმყოფელი იყო, ძალიან ბევრს აუყარა გული, ძალიან ბევრი განაცვიფრა, ძალიან ბევრს თავზარი დასცა. მეორე, ასევე უაღრესად არამეგობრული და წეგატიური მისი გამოთქმა იყო ზვიად გამსახურდიას შესახებ, როდესაც თქვა, რომ ეს ადამიანი მდინარის წინააღმდეგ მიდის, ე. ი. ისტორიის ლოგიკას ეწინააღმდეგება, რაზედაც, თქვენ კარგად იცით, როგორ უპასუხა ბატონმა ზვიადმა — მდინარეს მკვდარი თევზები მიჰყებიანო. ეს ჩემთვის ძალიან არასასიამოვნო მხარე იყო, ძალიან ბევრს შევხვდი, ველაპარაკე. იცით, მე მეუბნებოდნენ, რომ ეს არის გარდაუვალი. უფრო მეტიც, მე 1987 წელს ვიყავი აქ, საქართველოში, თითქმის ერთი სემესტრი, გაცვლით ვიყავი და როდესაც ვუკვირდებოდი, აქ რა ხდებოდა, დავბრუნდი უნივერსიტეტში ჩვენთან და იქ მოეწყო „მრგვალი მაგიდა“, ჩვენმა უნივერსიტეტმა მოაწყო „მრგვალი მაგიდა“, რომელიც, სხვათა შორის, ვიდეოკასეტაზე მაქვს ჩანერილი, სადაც ზიან ჩემი კოლეგები, ისტორიკოსები, მე ისტორიკოსი არცა ვარ, და, რა თქმა უნდა, ყველა ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი ეს ისეთი ციხე-სიმაგრეა, რომ ასეთი ნაციონალისტური და, ვითომდა, გულუბრყვილო დამოუკიდებლობის მოსურნე მიმდინარეობები ვერაფერს ვერ დააკლებენ. აი, დაახლოვებით ეს იყო მათი კომენტარების მთავარი აზრი. მე ვიყავი ერთადერთი, რომელმაც თქვა — საბჭოთა კავშირი ძალიან ადვილი შესაძლებელია რომ დაინგრეს და პირველ დარტყმას მას მიაყენებს ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობა და მარტო საქართველოში არა. აი, ეს მე ვთქვი 87 თუ 88 წელს. შემიძლია ამ კასეტის კოპიო მოგაწოდოთ.

ნათელა ვაჩნაძე: დიახ, მადლობელი დაგრჩებით.

დოდონა კიზირია: ასე რომ, სრულებით არ ელოდნენ არაფერს სერიოზულს.

კიდევ ერთი პუნქტი. მაპატიეთ, მე სტუდენტებთან ლაპარაკს ვარ მიჩვეული და ხშირად ვიმეორებ ერთი და იგივეს. ერთი — არ ელოდ-

ნენ დაშლას, მეორე — არ უნდოდათ დაშლა, ვინაიდან უკვე ჩამოყალიბებული იყო ურთიერთობის სტილი, მესამე — არ უნდოდათ დაშლა, ვინაიდან რუსეთში სარგებელს ხედავდნენ, როგორც ჩინეთისა და მუსლიმური სამყაროს შემაკავებელ ძალას. მეოთხე...

ნინო თომაძე: ატომური ხომ არა?

დოდონა კიზირია: არა, ატომური არა, თუმცა შემდეგ დაიბადა ეს შიში. იმ დროს ამერიკა იყო შეყვარებული გორბაჩივზე.

ნათელა ვაჩნაძე: გორბი, გორბი.

დოდონა კიზირია: გორბი — დათუნიები იყიდებოდა გორბაჩივის სახით და ყოველგვარი დამოუკიდებლობის მოძრაობა მიაჩნდათ, როგორც გორბაჩივის და მისი თანამებრძოლის ედუარდ შევარდანაძის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება და ამიტომ მათ ეს არ უნდოდათ.

ნათელა ვაჩნაძე: შევო, შევო — მე ასეთი კასეტები მინახავს. ასე ეძახდა ხალხი. ეს ევროპაა.

დოდონა კიზირია: ასე ეძახდა რუსეთში.

ნათელა ვაჩნაძე: ევროპაშიც.

დოდონა კიზირია: ევროპაში არა.

ნინო თომაძე: გერმანიაში.

დოდონა კიზირია: არავითარი შევო. გერმანია მადლობელი იყო მისი ძალიან, მაგრამ გერმანიაში მის მოქმედებას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვა განსაკუთრებით რუსეთისთვის, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა რუსეთის ზიზღი და სიძულვილი მის მიმართ. მაგრამ რომ დავუბრუნდეთ ამას. აი, რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ ამერიკა აბსოლუტურად არ აპირებდა არც საქართველოს დახმარებას, არც საქართველოს მხარში ამოდგომას, არავითარ ამგვარს. კიდევ ერთი რამ. აი, სწორედ იმ წელს, 91 წლის ნოემბრის ბოლოს ---- დეკემბერში მოსკოვში იმყოფებოდა ბეიკერი, რეიგანის სახელმწიფო მდივანი და მან ვითომდა — ვითომდა ხაზგასმით ვამბობ, თქვა, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს ყველა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც არა აქვს გამოცხადებული დამოუკიდებლობის სურვილი, გარდა ბაქოსა და თბილისისა.

ნათელა ვაჩნაძე: რომელსაც არა აქვს დამოუკიდებლობა?

დოდონა კიზირია: იცით რა, ეს იყო ჩადებული იმაში ----- ამერიკა მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის ყველა ნაწილს...

ნათელა ვაჩნაძე: ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს.

დოდონა კიზირია: ჰო, ეს იყო და შეგიძლიათ მოიძიოთ. “Известия”-ში დაიბეჭდა. აზრი იყო ამისა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირს და მის შემადგენლობაში მყოფ ნაწილს, გარდა ბაქოსა და თბილისისა. და ბაქო... მაშინ აზერბაიჯანში იყო რაღაც მოძრაობა...

ნათელა ვაჩნაძე: დიახ, ეროვნული მოძრაობა იყო.

დოდონა კიზირია: ე. ი. ამის დასკვნა რა იყო, რომ ამერიკა არის ამის მოწინააღმდეგე. 92 წლის გაზაფხულზე გოგი (გიორგი გაჩეჩილაძე) არის ამერიკაში, ჩვენ ვართ ამერიკის დეპარტამენტის უცხო ენების სკოლაში. იქ იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, უფრო სწორედ, ის დიპლომატები, რომლებსაც უნდა ემსახურათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობაში და, მათ შორის, საქართველოშიც. და ჩვენ ვთქვით, არ მახსოვს, გოგიმ თქვა, ვინ თქვა, რომ რამდენად უარყოფითი იყო საქართველოს მიმართ ამერიკის განწყობა, რომ სახელმწიფო მდივანმა ეს თქვა. მაშინ წამოდგა იქ ქალი და თქვა, რომ ეს არის ტყუილი, არავითარი ამის მსგავსი ბეიკერს არ უთქვამს. რომ რამდენიმე კვირის შემდეგ, პირიქით, ბეიკერმა, ამერიკის მთავრობამ...

გიორგი გაჩეჩილაძე: 9-ში უკვე დადგენილება იქნა მიღებული მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, რომელიც შემდეგ, 26-ში გამოქვეყნდა.

დოდონა კიზირია: ... რომ მე ვიყავი მასთან, მე ვიყავი მისი მდივანი და მე ვესწრებოდი ამ პრესკონფერენციას მოსკოვში და არავითარი ამის მსგავსი არ თქმულა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?

დოდონა კიზირია: არავითარი მიზეზი არა მაქვს, ამ ქალს არ დავუჯერო. ალბათ, მართლაც, ამის მსგავსი ბეიკერს არ უთქვამს და შემდეგ, რომ დაინახეს ინტერესი ამერიკის იმაში, რაც ხდებოდა, მართლაც, სადღაც დეკემბრის ბოლოს, როდესაც უკვე თითქმის ძალიან გვიან იყო და მთავრობის სახლი აქ ალყაში იყო და ყუმბარებს უშენდნენ და ტყვიებს უშენდნენ და ა. შ., მაშინ, ალბათ, იყო დაბეჭდილი არა ცნობა, არამედ რაღაც სიმპათიის გამოხატვა და თუ რაღაც ასეთი. ესეც დასაზუსტებელია, ვინაიდან მე პირადად არ წამიკითხავს და ა. შ., მაგრამ ვიცი, რომ რაღაცა თანადგომა, რაღაცა სიმპათია...

გიორგი გაჩეჩილაძე: ცნობა იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უნდა ვიპოვნოთ, რადგან ჩვენ მარტო ლაპარაკით, ვერაფრით ვერ გავალთ ფონს.

გიორგი გაჩეჩილაძე: მე მაქვს. 22-ში დაიწყო აქა, 25-ში ზედიზედ ცნო ამერიკამ, კანადამ, ჩინეთმა, ირანმა. ეს იყო გაფრთხილება პუტჩისტებისათვის, ნუ ჩაიდენთ ამ სისულელეს.

ნათელა ვაჩნაძე: ამას თქვენ ამბობთ, აბა ოპოზიციას მოუსმინეთ. სიგუამ საერთოდ თქვა, რუმინეთმა სცნოო.

დოდონა კიზირია: როდის ცნო ამერიკამ საქართველოს დამოუკიდებლობა, მე ვერ გეტყვით, ვინაიდან, მე შემდეგ უკვე რომ მილაპარაკია ამერიკელებთან, თვითონ ამერიკელები ამბობდნენ, რომ აი, ჩვენც როგორი დამნაშავეები ვართ, ერთ-ერთი უკანასკნელი ვიყავით, ვინც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მე არა ვარ თვითმხილველი, არ წა-

მიკითხავს. როდის, რა დღეს და რა ფორმებში, როგორ იყო ფორმული-რებული, ეს არის დასადგენი. აი, ეს იყო ამერიკის განწყობა. რაც შეეხ-ება საშუალო ამერიკელს, ნარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდება საბჭოთა კავშირში, რა არის საქართველო, ჩანგლით იქმევა, თუ კოვზით, აბსო-ლუტურად, ამაზე ნუ გვექნება ნურავითარი იმედი. საქართველოში რა ხდება, საერთოდ, საბჭოთა კავშირში რა ხდება, ამას თვალს ადევნებდ-ნენ სპეციალისტები, ან პოლიტიკური ცენტრების სპეციალისტები, ანდა უნივერსიტეტში ის ხალხი, რომლებიც საბჭოთა კავშირით იყვნენ დაინტერესებული და რაც იყო მათი პროფესიული სწავლის და კვ-ლევის საგანი.

ნათელა ვაჩნაძე: მათ შორის სლავისტიკის კათედრები, საბჭოთა კავშირის ისტორიას სადაც ასწავლიდნენ სტუდენტებს სატელევიზიო გადაცე-მებით, ალბათ, იქ ასწავლიდნენ კიდეც.

ნინო თომაძე: ტელეხიდები არსებობდა.

დოდონა კიზირია: ტელეხიდები იყო ცოტა მოგვიანებით.

ნინო თომაძე: მე 87 წელში მახსოვს.

დოდონა კიზირია: 87-ში? ამერიკასთან? მართალია, მართალია. იცით რა იყო, სხვათა შორის, ჩვენი სტუდენტებიც ღებულობდნენ ამაში მონაწილეობას, ისინი ჩამოდიოდნენ აქ და რამდენიმე რესპუბლიკაში იყვნენ, რამდენიმე რესპუბლიკაში ლაპარაკობდნენ, ესაუბრებოდნენ. მე მახსოვს, ჩამოიტანეს ვიდეოჩანაზერები. მაგრამ, როცა ჩვენი სტუ-დენტები იყვნენ, მაშინ ჯერ კიდევ ომი იყო ავღანეთთან. მე მახსოვს, იმ კასეტაზე, რომელიც ჩვენმა სტუდენტებმა ჩამოიტანეს, ისინი ელაპა-რაკებიან აუდიტორიას და ეუბნებიან — ავღანეთის ომი, და ხალხი იცინის — რის ომი, იქ არავითარი ომი არ არის, ეს არის დასავლეთის პროპაგანდაო.

ნათელა ვაჩნაძე: რაღაც დაინტერესება იყო 80-იანი წლების შუა ხანებ-ში საბჭოთა კავშირით. მე მახსოვს მოსკოვში, საისტორიო-საარქივო ინსტიტუტში მოწვეული იყო სოვეტოლოგი კოენი, რომელიც კითხუ-ლობდა სპეცკურსს და ატარებდა სპეცსემინარებს, რას ნარმოადგენს საბჭოთა კავშირი. ეს პირველი შემთხვევა იყო, მე გავიგე, რომ კოე-ნი კითხულობს და მერე წიგნითაც დავინტერესდი და რუსულ ენაზე ითარგმნა მისი მონოგრაფია. ე. ი. ინტერესი იყო.

დოდონა კიზირია: ინტერესი საბჭოთა კავშირის მიმართ ყოველთვის იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ეს სცდებოდა რუსეთს? აი, როგორც თქვენ ბრძანეთ კრემლი... საქართველო იყო მათ ორბიტაში?

დოდონა კიზირია: მათ ვერც კი წარმოედგინათ სხვადასხვა რესპუბლიკე-ბი, როგორც აბსოლუტური დუბლი იმისა, რაც იყო მოსკოვი. ამერ-იკელებმა განსაკუთრებით, ევროპელებმა კიდევ უფრო მეტი იცოდ-ნენ, ამერიკელები ამ მხრივ განსაკუთრებით გულუბრყვილობები და, ამ სიტყვასაც კი ვიხმარ, უვიცები იყვნენ იმ სფეროში, რაც ეხებოდა

ნაციონალურ რესპუბლიკებს. შემდეგ, როცა ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო, გრძელდებოდა ნეგატიური განწყობა, რომ ეს არ არის საჭირო, ეს არ უნდა მოხდეს, რუსეთი არ უნდა დასუსტდეს. იცით, მე მაქვს ასეთი თეორია — 50 პროცენტი არის ჩემი ანალიზი და 50 პროცენტი სხვადასხვა ხალხისგან მიღებული ინფორმაცია ---- რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის პერიოდში, როდესაც აქ იწყება ძალიან აგრესიული ოპოზიცია გამსახურდიას წინააღმდეგ, როდესაც გამსახურდია მიღის და აქ არის დემონსტრაციები გამსახურდიას მხარდასაჭერი და ოპოზიციის წინააღმდეგი, მათი სიმპათია იყო რუსეთის მხარეს და არა საქართველოს მხარეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთი აღადგენდა თავის კონტროლს საქართველოზე. საჭირო იყო რაღაცა მომხდარიყო საქართველოში, რაც სრულიად გადაიტანდა ქართული ეროვნული მოძრაობის ყურადღებას სხვა პრობლემაზე და ეს შესუსტდებოდა. ის, რომ რუსეთი მოქმედებდა სეპარატიზმის საშუალებით, რომ სამაჩაბლოში და აფხაზეთში უნდა დაწყებულიყო განხეთქილება, ეს ნაწილობრივ, რასაკვირველია, გამოუცდელობის გამო მიღებული ნაჩერევი გადაწყვეტილებით დაიწყო, მაგრამ გაღვივდა, ინტენსიური გახდა და სამხედრო დახმარება მიიღო, რასაკვირველია, რუსეთიდან. აი, მე გეტყვით, მაშინ, მგონი, გოგიც იქ იყო. ჩვენ შევხვდით ამერიკის საგარეო საქმეთა კომისიის ერთ-ერთ წევრს — მაშინ პარლამენტის შენობაში ვიყავით. მე მას ვეუბნები, ნუთუ თქვენ არ გაინტერესებთ, არ გინდათ ცოტა-თი მაინც დაუჭიროთ საქართველოს მხარი. მე მაშინ ვუთხარი, რომ არა მარტო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ძალიან მაღე დაიწყება ასეთივე მოძრაობა ჯავახეთში, ვინაიდან იქ არის ძალიან დიდი რაოდენობის ინტენსიურად დასახლებული სომები მოსახლეობა, რომელსაც რუსეთი ასევე აამხედრებს, თუ თქვენ დღეს არ გამოხატეთ, ან რაიმეთი მაინც არ დაეხმარეთ საქართველოს, მერე გვიანი იქნება, როცა თქვენ ამით დაინტერესდებით. იცითო, რუსეთი ამაში არ ერევაო. ასეთი მიამიტური პასუხი გამცა — ეს ადგილობრივი საქმე არისო, იქ რუსეთის ჯარი არ არისო, რუსები არ არიანო, იქ აფხაზები, ჩეჩენები და ქართველები არიანო, რომ რუსეთს არა აქვს ამის შესაძლებლობა, რომ რუსეთი დაიშალა, კგბ აღარ არსებობს... ვუთხარი, იცით რა-მეთქი, აი, სულ რომ დაინგრეს ყველაფერი, კოსმიურ სიცარიელეში იფრენს კგბ ხელშეუხებელი. დარწმუნებულები იყვნენ, რასაც ლაპარაკობდნენ. ახლა ამას ბევრს ლაპარაკობენ, რა დიდი შეცდომა დაუშვეს, როგორ დაყარეს, ჩამოიხსნეს დამცველი ფარები და როგორი დიდი შანსები მისცეს...

ნინო თომაძე: თქვენი ნაამბობი ძალიან ემთხვევა ოპოზიციის ნაამბობს, იცით. ნათელა ვაჩნაძე: როგორ, ოპოზიციის?

ნინო თომაძე: არა, ზვიადისტების ნაამბობს, ამერიკას არ უნდოდა საქართველოს დამოუკიდებლობაო.

დოდონა კიზირია: ნება მომეცით, გავაგრძელო. ამ დროს შევარდნაძე — ახლა დაცინვით ვეუბნები ჩემს ამერიკელ მეგობრებს --- გახსოვთ, რა დითირამბებს მღეროდით. შევარდნაძე მიაჩნიათ, როგორც ბრძენი, ჭკვიანი, დემოკრატი და ა. შ. და გორბაჩივის მეგობარი. ამიტომ მათ დაუჭირეს მხარი. ყველანაირად დაუჭირეს მხარი შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში, ვინაიდან როგორც თვით შევარდნაძე, ასევე ამერიკაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს შევარდნაძე დაუბრუნებს რუსეთს, რუსეთის ნაწილი იქნება ისევ, შემდეგ შევარდნაძე თეთრ ცხენზე დაბრუნდება რუსეთში და ექნება რაღაცა თანამდებობა. შევარდნაძისთვის საქართველო იყო რაღაცა სკლინტი, მაპატიეთ. მისი ასეთი მსოფლიო ასპარეზის შემდეგ საქართველოში დაბრუნებით რაში უნდა დაინტერესებულიყო იგი. ის ჩამოვიდა რუსეთის მითითებით, რუსეთის დავალებით და იმ მიზნით, რომ საქართველო დაბრუნებოდა რუსეთს. მაგრამ, რასაკვირველია...

გიორგი გაჩეჩილაძე: დოდონა, ერთი წუთით გაგაჩერებ. გაიხსენე 90 წლის 15 მარტი, ჩემი მოხსენება საგარეო ურთიერთობათა საბჭოში და შეკითხვა ჩემდამი: “თქვენ როგორ ფიქრობთ, რამე რომ მოხდეს, მიიღებს თუ არა საქართველო შევარდნაძეს”?

დოდონა კიზირია: დიახ, საინტერესო ის არის, რომ მათ მაშინ ჰქითხეს, მიიღებს თუ არა საქართველო შევარდნაძეს. როგორი იყო, გოგი, შენი პასუხი?

გიორგი გაჩეჩილაძე: მე ვუთხარი, რომ მას აქვს ლიდერის თვისებები და თუ ის მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და საქართველოს დამოუკიდებლობის გატანისთვის იბრძოლებს საერთაშორისო ასპარეზზე, ქართველი ხალხი მიიღებს მას.

დოდონა კიზირია: ასე რომ, შევარდნაძის ჩამოსვლა აქ იყო მიზანდასახული და მის უკან რუსეთი და მის უკან იდგა ამერიკა, რომლის ინტერესები ემთხვეოდა რუსეთის ინტერესებს — შენარჩუნებულიყო რუსეთის მთლიანობა ყველა იმ მიზეზების გამო, რაც მე უკვე ჩამოვთვალე. დგას დენთის კასრები სამაჩაბლოში, დენთის კასრები აფხაზეთში, უნდა მხოლოდ აფეთქდეს. რას აკეთებს შევარდნაძე? უშვებს იქ ერთუჯრედიან თენგიზ კიტოვანს. უნდა დაწყებულიყო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სამხედრო მოქმედება, მითუმეტეს, რომ უკვე იყო ძალიან დაძაბული სიტუაცია, ისიც რუსეთის დახმარებით შექმნილი, და მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორი ლოზუნგებით ლაპარაკობდა ამ დროს ძალაუფლებაში მყოფი ოპოზიცია, ამ დროს ჩამოსული შევარდნაძე, როგორი პროვოკაციული ლოზუნგებით — „დავიცვათ სამშობლო“. ეს სამშობლო ვისგან უნდა დაიცვა, ამაზე არც კი ფიქრობდნენ, იმდენად იყო დაძაბული ნერვები, ატმოსფერო. სკოლი ლოზუნგი --- „დავიცვათ სამშობლო.“ მაგალითად, იყო ტელეარხით გადაცემა, სადაც გოგა ხაინდრავა არის სადღაც აფხაზეთისკენ მეგრულ სოფლებში და — აბა ვინ არ წამოვა ქვეყნის დასაცავად — და ა. შ. ე. ი. ხალხს აიძუ-

ლეპენ აიღონ იარაღი და იპრძოლონ. ამ ბრძოლაში საქართველო რომ დამარცხდებოდა, ეს თავისთავად ცხადი იყო. გარდა ამისა, მე არაერთი წყაროდან ვიცი, რომ როდესაც (სხვათაშორის, ერთ-ერთი წყარო – სულ ორი დღის წინათ ველაპარაკე ქალს, რომლის შვილი იქ იყო და რომელიც თვითონ წავიდა და წამოიყვანა მისი შვილი უკან) რაღაცა სასწაულით ქართველები მიდიოდნენ წინ, ბრძანება მოდიოდა თბილისიდან, დაეხიათ უკან, ჩვენ ხომ არ შეიძლება ზიანი მივაყენოთ მოძმე აფხაზ ხალხს. ეს ომი იყო ჩაფიქრებული იმისათვის, რომ დამოუკიდებლობაზე კი არ იფიქრო, არამედ ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებაზე, რომელიც ძალიან ბევრს მოხვდა გულს. საქართველოს სამხედრო დამრტყმელი ძალა იყო „მხედრიონი“, რომლის ბირთვი იყვნენ ქურდები, ბანდიტები, მკვლელები, მძარცველები.

ნათელა ვაჩნაძე: კრიმინალები.

დოდონა კიზირია: ციხიდან გამოშვებული კრიმინალური ბირთვი. როგორც ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც ცოტა ხნის წინათ იყო საქართველოს კვბ-ს უფროსი და მერე რატომდაც გაუნანყენდა შევარდნაძეს და გადაუდგა მას, წერს გაზეთში, რომ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი და „მხედრიონი“ დაკომპლექტებული იყო რუსეთის სამხედრო დაზვერვის მიერ. როგორც კვბ-ს შეფს, მას, ალბათ, ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ამის შესახებ, იცოდა რას ლაპარაკობდა, მერე გადაიფიქრა ისევ და მერე სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი. საქართველოს უბედურება იმაში იყო, რომ აღელვებული, თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის აღტაცებული ახალგაზრდობა, თანაც სიტყვა „მხედრიონიც“ ისეთი ამაყია, შეუერთდა ამათ და პირველნი ისინი დაიღუპნენ და არა „მხედრიონი“, რომელიც ძარცვაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე ბრძოლაზე. იყო ასეთი კასეტაც, რომელიც მე, სამწუხაროდ, არა მაქვს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ვიღაცას აქვს, რომელიც მეც მინახავს, რომელიც გოგისაც უნახავს და ბევრს სხვას. ამ კასეტაში გოგა ხაინდრავა, მაშინ აფხაზეთის მინისტრი, ხვდება მეგრელ მებრძოლებს, რომლებიც მხარს უჭერენ ზვიად გამსახურდიას, მათ შორის არის ქობალია და პროფესორი ზაურ კვარაცხელია. ზის გოგა ხაინდრავა ასე ფეხიფეხადადებული, იქ ზიან მაგიდის გარშემო მეგრელები და ქობალია. მე დამამახსოვრდა ქობალიას სიტყვები. ქობალია არ იყო უნივერსიტეტის დიპლომის მფლობელი, მაგრამ მე არ ვაკეთებ მის შეფასებას, მისი საქმიანობის შეფასებას, მე ვაკეთებ მხოლოდ ამ სიტყვების შეფასებას, რომელიც იყო უბრნებინვალესი. აი, რა თქვა მან. გოგა ხაინდრავას მისია, როგორც ლაპარაკიდან ჩანდა, იყო ის, რომ ეთქვა ქობალიასა და მისი წევრებისთვის, რომ შემოგვიერთდით, დავიცვათ ერთად საქართველო, ვიბრძოლოთ ერთად ამ სიტუაციის წინააღმდეგ. ქობალია ეუბნება: „მითხარით, ჩვენ აფხაზეთში ვის ვებრძვით. აფხაზებს თუ ვებრძვით, აფხაზებს ჩვენ არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა ველაპარაკოთ და მოვაგვაროთ ეს, ჩვენ, მეგრელებს, და აფხაზ-

ებს შეგვიძლია გადავწყვიტოთ რაღაც. რუსეთს თუ ვებრძვით, მთელი საქართველო გავწყდებით და ვერაფერს ვერ გავხდებით”. ხომ იყო ეს ბრძნული სიტყვები, ჩემი ყურით მოსმენილი. გოგა ხაინდრავა ლაპარაკობს ციხიდან გამოშვებული ქურდის უარგონით, რომელიც მაშინ ძალიან მოდაში იყო და დაამკვიდრა ჯაბა იოსელიანმა და მისმა „მხედრიონმა“ – „შე ჩემის ტრულაილა“. მაშინ, როდესაც მეორე კაცი, არ ვიცი, ზაურ კვარაცხელია იყო, რომელიც ეუბნება ისეთი შუასაუკუნეობრივი ფეოდალური მეფის კარის მოწინებით და ზრდილობით: “ბატონო გიორგი, მე შეურაცხყოფა კი არ მინდა, მაგრამ, მიკვირს, რომ თქვენს თავზე აიღეთ ის საქმე იმ რაიონებში, რომლებსაც თქვენ კარგად არ იცნობთ და შეიძლება ეს არ იყო... მე არ მინდა თქვენ შეურაცხყოფა მოგაყენოთ”... ისეთი ზრდილობით ელაპარაკებიან --- ჩვენ ყველაფერი ვიცით, თქვენ არ იცნობთ ამ ადგილს და როგორ აიღეთ თქვენს თავზე ასეთი რამ. ამ კასეტამ და მათ შორის საუბარმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე და კიდევ ერთხელ განმიმტკიცა ის აზრი, რომ ქობალიას და ყველა მისი მხარდამჭერის და ყველა ზვიადის მხარდამჭერის იმ რაიონში დალუპვა და განადგურება რომ იყო საჭირო, ეს თავისთავად ცხადია, იმიტომ, რომ ქობალიამ ჩამოაყალიბა ფორმულა — ვის ვებრძვით, აფხაზებს რატომ უნდა ვებრძოლოთ, საუკუნეები ვცხოვრობთ ერთად. თუ რუსეთს ვებრძვით, ვერაფერს ვერ გავხდებით. თუ შევარდნაძე ასეთი დიდი გენიოსი იყო, მსოფლიო დიპლომატი და მთელი ის დითირამბები, რასაც მას უკმევდნენ ოპოზიციონერები, ამდენი არ იცოდა, რომ რუსეთთან ვერაფერს გახდებოდა? მაგრამ ეს იყო ჩაფიქრებული.

გიორგი გაჩეჩილაძე: კიდევ ერთი ფრაზა უთხრა ქობალიამ — მაშინ ჩვენ უნდა უუთხრათ ქართველ ხალხს, ვებრძვით რუსეთს და მზად ვართ გავწყდეთ ყველა და ვიომოთ, რომ საქართველო ეომება რუსეთს, მაშინ კიო, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ვის ვეომებით. თუ აფხაზებს ვეომებით, აფხაზებთან საომარი რა გვაქვს, ჩვენ საერთო სამშობლო გვაქვსო. და ჩვენზე კარგად, სად რა ბუჩქია და სად რა ქვა დევს, ეს ჩვენ ვიცითო. ჩვენ ვიომებთ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ვეომებით რუსეთს და ვიომებთ, რომც გავწყდეთ.

დოდონა კიზირია: ეს არის ჩანერილი დოკუმენტი. თუ თქვენ ამას მონახავთ, დიდ საქმეს გააკეთებთ.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ შევეცდებით. ჩვენ მივდივართ სამეგრელოში კარგახით, ჩვენ გვეყოლებიან იქ მეგზურები, უნდა ვნახოთ შვილდაკარგული დედები, ჩვენ უნდა ვნახოთ შვიდგზის ანიოკებული სამეგრელოს შედეგები.

დოდონა კიზირია: გარდა ამისა, არის ასეთი ფილმი, გადაღებული ინგლისელი დოკუმენტალისტების მიერ, რომელიც აქ გოგი გვახარიამ ერთ დღეს აჩვენა... ძალიან გამიკვირდა, ის ფილმი, რომელიც ამერიკაში გადიოდა “შპევარდნადზე უნცოვერედ”, რომლის ნამდვილი, ორიგინალ-

ური დასახელება არის „ნომენკლატურის შურისძიება“, ამის შესახებ თქვენ დაუკავშირდით გოგი გვახარიას, მას შეიძლება აქვს ეს კასეტა. მე მაქვს ეს კასეტა ამერიკაში, შემიძლია კოპიო გამოგიგზავნოთ, სა-დაც ნაჩვენებია, სადგურის მოედანზე როგორ ხვრეტს მიტინგს „მხე-დრიონი“. აი იქ ეკრანზე ჩანს მსხვილი კადრით მომაკვდავი ბავშვი, 17-18 წლის ბიჭი და მერე ლაპარაკობს მისი დედა, შავებში ჩაცმული, და ამბობს, „ჯერ სიყვარულიც არ ჰქონდა გამოცდილიო, დედა — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვებით“. ეს იყო შემაძრნუნებელი.

ნათელა ვაჩნაძე: ზურაბ შანიძის კადრებია. ცნობილი ოპერატორი, რომელ-იც დაყვებოდა ამ მომიტინგებს და სიცოცხლის ფასად, თავგანწირ-ვის ფასად იღებდა.

დოდონა კიზირია: ამ დროს ეს ინგლისელები ელაპარაკებიან შევარდნაძეს, ისმის ინგლისური ლაპარაკი და შევარდნაძის პასუხი. მათ ხელში უკა-ვიათ სიები, რომლებიც მეც მაქვს, უამრავი, უამრავი დოკუმენტები მაქვს ამერიკაში, სადაც ჩამოთვლილია დაღუპულთა სიები, მხეცურად მოკლული მშვიდობიანი მოსახლეობა და შევარდნაძეს ეკითხებიან: ეს ასე იყო? მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცი — აი, პასუხი. ი, ეს იყო აფხაზეთის ომი, ეს იყო სამაჩაბლოს ომი. ერთხელ კიდევ მინდა ხაზი ობიექტურობის გამო გავუსვა, რომ უკვე იყო დაწყებული შეტაკებე-ბი, უკვე იყო დაძაბული სიტუაცია და ამ სიტუაციის განმუხტვის მა-გივრად დაიწყო ეს ომი აფხაზეთში ქართველების გასაწყვეტად, ძალის გამოსაცლელად, დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის აღმოსაფხ-ვრელად — რა დროს ამაზეა ლაპარაკი.

გიორგი გაჩეჩილაძე: თუ გახსოვს, ნათელა, მერე პარლამენტში არის ამაზე ლაპარაკი — რა ამოცანა ჰქონდა შევარდნაძეს ომის დასაწყებად აფხ-აზეთში, გარდა იმ დავალებისა, რაც მიიღო რუსეთისგან, პერსონალ-ურად ელცინისგან და მიიღო ეს შეიარაღება. მას უნდა მოეცილები-ნა აფხაზეთში ეროვნულ იდეოლოგიაზე ორიენტირებული ქართული მოსახლეობა, რომელიც იყო ანტიშევარდნაძული განწყობით. ამ ქარ-თულ მოსახლეობას ჩამოართვეს იარაღი, ლომინაძე იყო მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრმა განაიარალა ქარ-თული მოსახლეობა. და როდესაც პარლამენტში დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ განაიარალეს ქართული მოსახლეობა, ქალბატონ-მა მანანა გიგინეიშვილმა, რომელსაც ვერ დავუკარგავთ ამ შემთხ-ვევაში სიმართლეს, მან თქვა: აბა, რა უნდა გვექნა, ამ იარაღს ხომ ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებდნენო?!

დოდონა კიზირია: მოსახლეობის უმრავლესობა ჩვენ წინააღმდეგ არისო, ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენო — ეს იყო საინტერესო. სწორედ მა-შინ, სადღაც უკვე 92 წლის ბოლოს, 93 წლის დასაწყისში — 93 წლის აგვისტოში იყო არა დაზავება აფხაზებთან ...

ნინო თომაძე: 93 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა.

დოდონა კიზირია: ე. ი. უფრო გვიან. აი, მაშინ მიხვდა შევარდნაძე, როდე-
საც სოხუმის დაცვაზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინ მიხვდა, რომ რუსეთ-
მა ის მოატყუა, რომ რუსეთი აპირებს აფხაზეთის წალებას და ეს იმას
ნიშნავს, რომ ის რუსეთში არ დაბრუნდება, რომ მისი კლუბის წევრებ-
მა, ძმაკაცებმა და გულითადმა მეგობრებმა, რუსული ცკ-ს და ბოლ-
შევიკების დროინდელმა მისმა მეგობრებმა ის გააცურეს, რომ მას
უკვე დაბრუნება რუსეთში არ უწერია და აი, მაშინ შეეშინდა. და თუ
გახსოვთ, სოხუმის დაცემის შემდეგ შევარდნაძე ... ვინც კი აქ ჩამო-
სულა, ჩემი რამდენიმე კოლეგა მეუბნება, ისეთი გრძნობა მქონდა,
თითქოს ველაპარაკები აბსოლუტურ ზომბს. ის იყო სრულ პროსტრა-
ციაში მყოფი ადამიანი. აი, მაშინ მან აიღო სრული კურსი ამერიკაზე
და ამერიკა შემობრუნდა მისკენ, ვინაიდან ... ცოტა უკან წავალ. ჯერ
კიდევ, როდესაც შევარდნაძე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, მან
ამერიკას იმისთანა მადლი გაუკეთა, ძნელი მოსაფიქრებელი იყო და
ამის გამო არის რუსეთი ასე გაცეცხლებული. მან ალიასკასა და ციმ-
ბირს შორის საზღვაო საზღვარი ... პატარ-პატარა დაგრეხილი იყო ზღ-
ვაში. მან გორბაჩივთან, არ ვიცი, შეთანხმებით, თუ დამოუკიდებლად,
ხელი მოაწერა შეთანხმებას იმაზე, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერი-
კას შორის ეს ზღვარი გასწორდა. ეს უფრო ადვილი არის მიმოსვლისთ-
ვის, უფრო ადვილი დასანახია, სად რომელი წყალია და ა. შ., ვინაიდან
ეს დაკლაკნილი ძალიან ართულებს, რომელი კუნძული სად არის და
რომელი სათევზაო სივრცე ვის ეკუთვნის და რუსეთს დააკარგვინა
ძალიან დიდი ნაწილი ამ ყურეში. ამისთვის ბეიკერი მას დახმარებას
შეჰქირდდა. დახმარება იყო ის, რომ რუსეთთან ერთად ის მხარს უჭ-
ერს მის აქ დაბრუნებას და აქ ჩატარებულ პოლიტიკურ აქციებს. აი,
ახლა შევარდნაძემ კი არა, ამერიკამ გამოიფხიცა ტვინი და დაინახა,
რა უნდოდა რუსეთს. კიდევ ერთხელ, როგორც ლენინმა თქვა, რუსეთ-
მა მიჰყიდა თოვი დასავლეთს, რომლითაც დასავლეთს შეეძლო თავ-
ის ჩამოხრიბობა და აქ თითქმის ჩამოხრივეს თავი, დაუჭირეს რუსეთს
მხარი და შევარდნაძეს ამ მიზნის მისაღწევად და მერე დაინახეს,
რომ ეს ასე არ არის. გარდა ამ საზღვრისა, უკვე იწყებოდა მოლაპა-
რაკება გორბაჩივისა და შევარდნაძის დროს, რომ ამერიკელები, და
არა მხოლოდ ამერიკელები, დასავლეთს უფლება მიეცემა გარკვეულ
საწარმოებზე ეკონომიკური კონტროლის. აი, მაშინ იყო საიდუმლო შე-
თანხმება მიღწეული, ეს უკვე ბეიკერსა და შევარდნაძის შორის, რომ
ამერიკა იქნებოდა კასპიის ნავთობის ერთ-ერთი მომხმარებელი და
თვითონ ბეიკერს ჰქონდა მასში აქციები. ძალიან საინტერესო სტატია
იყო ნიუ-იორკში, რომელიც მე მაქვს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ
ბეიკერი და მისი ოჯახი უკავშირდებიან იმ ქვეყნების მეთაურებს, სა-
დაც არის ნავთობი, რათა მათ ჰქონდეთ პრივილეგიები და დიდი წილი
ამაში. აი, მაშინ, რახან რუსეთმა მიატოვა შევარდნაძე, ამერიკამ გად-
აწყვიტა დაეხმაროს შევარდნაძეს. და ეს დახმარება გამოიხატებოდა,

უმთავრესად, ფინანსურ მხარეში. თუმცა ჩამოსვლები დაიწყო, სამხედრო შესაძლებლობების გადახედვა და ა. შ., ამას მე უკვე აღარ შევეხები. ყოველ შემთხვევაში, აქტიური ურთიერთობა ამერიკასა და საქართველოს შორის დაიწყო მას შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ რუსეთი არ აპირებდა შევარდნაძისათვის ხელი გაეწოდებინა და უკან გულში ჩახელტებინა და რომ აფხაზეთი იკარგება და რომ იქ მართლაც აფხაზები და ჩეჩენები კი არ იბრძვიან, არამედ რუსები იბრძვიან. ეს დიდხანს არ სჯეროდათ ან არ უნდოდათ დაეჯერებინათ ამერიკელებს ან არ უნდოდათ ეს ყოფილიყო მასიურ ცნობებში გაცხადებული, სულ უარს ამბობდნენ ამაზე. აი, როგორ დაიწყო ეს ურთიერთობები ამერიკასა და საქართველოს შორის. ხოლო შემდეგ უკვე, როდესაც გართულდა სიტუაციები იუგოსლავიაში, ავღანეთსა და ერაყში, სულ უფრო და უფრო სარგებლიანი გახდა ამერიკისთვის აქ ჰქონდა რაღაც ბაზა, სადამკვირვებლო, სადაზვერვო თუ ამდაგვარი, და სულ უფრო და უფრო აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს.

ნათელა ვაჩნაძე: მითუმეტეს, რაც ირანი გამოვიდა ასპარეზზე და უკვე ირანთანაც ინტერესები გაჩნდა ძალიან დიდი ხოლო კავკასია გამოსადეგია თავისი გეოპოლიტიკის წყალობით.

დოდონა კიზირია: კიდევ ერთი რამ გამახსენდა. ნოემბერში, ეს უნდა ყოფილიყო 91 წლის ნოემბერი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გამოცხადებული, შევარდნაძე იყო ამერიკაში და ერთ-ერთ უურნალში, რომელიც მე მქონდა, მგონი “თიმეს” იყო, მისცა ინტერვიუ, სადაც თქვა, რომ მე კომუნისტი ვარ და კომუნისტად დავრჩები. ამას ამბობს 91 წლის ნოემბერში. ხოლო იმავე წლის რომელიღაცა თვეს მან რუსეთში მისცა ერთ-ერთ უურნალისტს ინტერვიუ, სადაც თქვა, საქართველო მუხლებზე დაწინილი მივა, მიფოფხდება რუსეთთან, აი, დამოუკიდებლობაზე რომ იყო ლაპარაკი.

გიორგი გაჩეჩილაძე: 91 წლის ოქტომბერში, ე. ი. მერე ჩამოსულა ამერიკაში, სადაც ამბობს, კომუნისტი ვიყავი და კომუნისტი დავრჩები. 91 წელს ამას ამბობს. რამდენიმე თვის შემდეგ კი იგი ჩამოდის საქართველოში, როგორც დემოკრატი, განმათავისუფლებელი, გადამრჩენი, მარჩენალი და ა. შ. ამას მხოლოდ უბრალო დაკვირვება და შორიდან დანახვა სჭირდებოდა. იმიტომ, რომ აქ როცა იყავი, იმდენად აღელვებული იყავი... მერე მე 91 წლის დეკემბრის დღეებში დავდიოდი ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში, ზვიადის მომხრეების ჯგუფიდან ზვიადის მონინაალმდეგე ჯგუფებში, ვინერდი ორივეთა ლაპარაკს და გული მისკედებოდა, რა საშინელებებია... მე ვფიქრობდი, დაიწყება საშინელება, საშინელება. და მე ლექსიც კი დავწერე — „სალვადორ დალი, ანუ სამოქალაქო ომის ნინათგრძნობა“. ეს არის 1990 წელი. მე ვიყავი ტელევიზიის ნინ, როდესაც იქ იდგა ოპოზიცია და მოუწოდებდა ხალხს — ქვა ქვაზე არ უნდა დავტოვოთ. ერთ-ერთი ამბობდა,

ჩვენ უნდა ავიღოთ მთავრობის სასახლე, გავაძევოთ დიქტატორი, ქვა ქვაზე არ უნდა დავტოვოთ. მერე ვიღაცა მოვარდა და სრულიად პრო-ვოკაციულად — ზვიადისტებმა ჩვენი ვაჟუკაცები, სამოცი ვაჟუკაცი ჩაგ-ვიხოცეს შავნაბადაზე — არაფერი ამდაგვარი არ იყო მომხდარი. იქ შევეფეთე, მისი სახელის თქმაც არ მინდა, იმიტომ რომ ყველა ძალიან კარგად იცნობს მას, ბევრს ძალიან უყვარს იგი. იცით, რას ვხედავდი იქ — მოვიდა ორი მსუბუქი მანქანა, ახსნეს საბარგული და ეუბნებოდ-ნენ — აბა, ბიჭებო, ვინ არის ჩვენთან, აიღეთ ეს იარაღი. სრულიად ბი-ჭბუჭები, ახალგაზრდა ბიჭბუჭები იღებდნენ ხელში იარაღს. სრული-ად მოუმზადებელი, რომელმაც არც იცის, სად, როგორ, რა, რისთვის და ამ ჩემს ნაცნობს, რომელსაც მეგობრადაც ვთვლიდი, შევხვდი და ვეუბნები: რას აკეთებთ, გესმით, რას აკეთებთ, გესმით რა ჯინი ამოგ-ყავთ ბოთლიდან. ეს ხალხი რომ ერთმანეთს დასცხებს, რა საშინელე-ბა დატრიალდება, ამის უფლება და ფუფუნება აქვს საქართველოს გადაიტანოს სამოქალაქო ომი. იცით რა მითხრა: ესენი არიან მონები, ვინც ძალაუფლებაშია, იმათ უკმევენ გუნდრუკს, ჩვენ რომ მოვალთ, ჩვენ დაგვიჩიქებენ.

ნინო თომაძე: ვინ გითხრათ ეს?

დოდონა კიზირია: ვერ გეტყვით, არ მინდა, ვთქვა. მაგრამ, გოგი, რამდე-ნი ხნის წინ გითხარი მე შენ ეს. ღმერთი, რჯული, რასაც გეუბნებით, ყველაფერი მაქვს თვალნათლივ ნანახი, ჩემი ნათქვამის დიდი ნაწილი შემიძლია დოკუმენტურად დავასაბუთო. აი, ეს მითხრა მან, ის იყო, რასაკიზველია, ობოზიციონერი და ნარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, რა... იმასაც არ ვადანაშაულებ, იცით, რატომ? იმდენად იყო დარწ-მუნებული, რომ ის მართალია, იმდენად იყო დარწმუნებული, რომ საკმარისია მათ გააგდონ გამსახურდია, მოვიდნენ ძალაუფლებაში, რომ ყველაფერი დამშვიდდება, ყველაფერი კარგად იქნება და ყვე-ლაფერი ძველებურად იქნება. ის ისევე პრივილეგიური, პრივილეგენ-ცია იქნება, ექნება იგივე ფუფუნება და მდგომარეობა, როგორიც... იმიტომ, რომ შევარდნაძე ამ ხალხისთვის იყო სიმბოლო მათი საბჭოუ-რი კეთილდღეობის, მათი საბჭოური პრივილეგიების და, ასე ვთქვათ, სოციალური უპირატესობის გრძნობის ნარმომადგენელი.

გიორგი გაჩეჩილაძე: შენ გამოგრჩა ძალიან საინტერესო ეპიზოდი. მე რომ დავურეკე ზვიადს, რომ ამერიკის უშიშროების დაცვის აზროვნების ბანკში, ჩვენ რომ ოთარ შალიკაშვილთან ვიყავით და პუტჩი რომ გა-მოგვეპარა, ტელევიზორი არ ჩაგვირთია და დავბრუნდით და შემდეგ ფრენკ გაფნეს შეხვედრა და შემდეგ 23 თუ 24 აგვისტოს “ჭასპინგტონ ოსტ”-ში არის დაბეჭდილი სხექაფნის სტატია, სადაც ლაპარაკობს, რომ გამსახურდია იყო მართალი და ბუშმა ენას კბილი დააჭიროს.

ნათელა ვაჩნაძე: აგვისტოს პუტჩის გულისხმობთ?

დოდონა კიზირია: დიახ, აგვისტოს პუტჩის დროს გამსახურდიამ თქვა, რომ ეს პუტჩი, ალბათ, თვითონვე მოაწყვეს.

გიორგი გაჩეჩილაძე: ეს იყო გორბაჩოვის შოუ.

დოდონა კიზირია: ეს იყო გორბაჩოვის თეატრალური სპექტაკლი. ამაზე, რასაკვირველია, რეაქცია იყო, რომ რა სისულელეს ლაპარაკობს! აი, მე მგონი, მაშინ თქვა, რომ მდინარების წინააღმდეგ მიდისო. გაფნე, ფრენე გაფნე არის აზროვნების ბანკის დირექტორი, ერთ-ერთი აზროვნების ბანკის დირექტორი. აზროვნების სხვადასხვა ბანკებია და ყველა აწვდის თავის ანალიზებს მთავრობას და მთავრობა აიღებს იმას, რაც მას აწყობს. მას შევხდით ჩვენ, მე და გოგი. ახალი მომხდარია, სულ ერთი-ორი დღეა გასული და პირველი წინადაღება, რაც გაფნემ გვითხრა გამარჯობის შემდეგ, მე მინდა მოგილოცოთ თქვენ თქვენი პრეზიდენტის გამჭრიახობა.

გიორგი გაჩეჩილაძე: არა, არა, დოდი. პირველი წინადაღება, რომელიც მან მითხრა, იყო — ხომ არ ჩაგაყენათ თქვენმა პრეზიდენტმა უხერხულ მდგომარეობაში.

დოდონა კიზირია: შეიძლება ეგ იყო პირველი წინადაღება, მაგრამ მე ვთარგმნიდი, არა? და მე მახსოვს ეს, შეიძლება შენ ეგ დაგამახსოვრდა, რომ თქვენი პრეზიდენტი არის მართალი.

გიორგი გაჩეჩილაძე: ამით დაამთავრა.

დოდონა კიზირია: კი, ბატონო. მთავარია, რომ ეს წინადაღება ითქვა, რომ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო შოუ. არავითარი პუტჩი იქ არ მომხდარა, ეს იყო შოუ და თქვენმა პრეზიდენტმა ეს დაინახა.

ნათელა ვაჩაძე: ძალიან კარგი, იმიტომ, რომ მე ვიცხობ არაჩვეულებრივი მეცნიერის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნააზრევს, რომელიც დაბეჭდილი არის ერთ-ერთ გაზეთში, მე მაქვს “Независимая газета”-ს ეს ნომერი, ეს არის ლევ ბატკინი, რომელიც შუა საუკუნეების, კერძოდ, ალორძინების ხანის სპეციალისტია და ის უკვე ამტკიცებს და ძალიან საინტერესო არგუმენტები მოაქვს, რომ ეს არის შოუ და არავითარ შემთხვევაში აქ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ საწყალი გორბაჩოვი, რა დღეში ჩაგენერს, ეს რა მდგომარეობაში აღმოჩნდა. გორბაჩოვი მონაწილე არისო ამისი და, ერთი სიტყვით, მას ამ გზით უნდა შეინარჩუნოს ხელისუფლება, იმიტომ, რომ ხედავს გორბაჩოვი, რომ ხელისუფლება ხელიდან ეცლება და ეს ახალგაზრდა რუსი დემოკრატები თუ რაღაც, არ ვიცი, ელცინის მეთაურობით, ისინი მოდიან არაჩვეულებრივი ძალით და მას მეტი აღარაფერი დარჩენია, თუ არა ასეთი სცენარის გათამაშებაო.

დოდონა კიზირია: გამოიყენეს დასავლეთის სიმპათია, განსაკუთრებით ამერიკის, რომელიც მის ე.ი. გორბაჩოვის მიმართ ასეთი სიმპათიით იყო, მას დაუჭირა მხარი.

ნათელა ვაჩაძე: მე მაქვს ასეთი კითხვა, ეს უფრო წყაროთმცოდნეობითი კითხვა არის. თქვენ ბევრ რასმეზე თქვით, რომ მე მაქვს ეს ამერიკაში, მე მაქვს ეს გაზეთი, მე მაქვს ეს კასეტა, მე მაქვს ეს ინფორმაცია. აი,

ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციაზე, რომელიც იმ ნათქვამს ეხება, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიდის საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მე ახლახანს, დიდი ხანი არ არის, ამოვიკითხე ასეთი რამ ბატონ ნოდარ ნათაძის წიგნში. ყველა ამბობს ამას, კიევში გამოსვლას ყველა ემყარება, ეს მოარული ნათქვამია, დადის ეს ხალხში თუ ინტელიგენციაში, თუ პოლიტიკოსებს შორის? მე ეს დაწერილი ვერსად ვერ ვნახე. ამიტომ მე ვერ ვიტყვი, რომ ეს დოკუმენტია, ვერ ვიტყვი, რომ მე ეს მინახავს, მაგრამ ასე მსმენია, რომ მან თქვა, ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის.

დოდონა კიზირია: ეს ტელევიზიით თქვა, იმის შემდეგ, როდესაც გამსახურდიამ, ამას სპექტაკლი უწოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი ნოდარი ელის, რომ ჩვენ შევკრებთ მასალას, ჩვენ გვექნება წყაროთმცოდნებითი ბაზა, გაცილებით უფრო მდიდარი, ვიდრე მას აქვს, ბევრი ხალხი ელის ამას. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამ მასალის მოპოვება ისტორიკოსის მიერ.

დოდონა კიზირია: ოფიციალურად მიმართეთ ჩ-ს და სთხოვეთ, რომ თქვენ გაინტერესებთ საარქივო მასალა პრეზიდენტის გამოსვლა სტუდენტებთან. ეს ამერიკაში სთქვა პუტჩის შემდეგ ზვიად გამსახურდიას მისამართით, რომ დინების წინააღმდეგ მიდის.

გიორგი გაჩერჩილაძე: მე დავაზუსტებ. ეს ინტერვიუ რატომ დამამახსოვრდა განსაკუთრებით. მე შეჩერებული ვარ გარკვეულ სტერეოტიპებს, და როდესაც პრეზიდენტები გამოდიან, ეს ხდება დარბაზებში. პრესცენტრი აქვს თეთრ სახლს, საიდანაც კეთდება სახელმწიფო განცხადებები და, მათ შორის, პრეზიდენტების განცხადებებიც. ეს იყო ცხელი აგვისტო და ეს პრესკონფერენცია მე დამამახსოვრდა იმიტომ, რომ ბუშმა ეს ინტერვიუ მისცა თეთრი სახლის ეზოში.

ნათელა ვაჩნაძე: მაშასადამე, არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს იყო კიევში, უნივერსიტეტში.

გიორგი გაჩერჩილაძე: არა, კიევში იყო თხუთმეტ აგვისტოს, და ეს ხდება თეთრი სახლის ეზოში. და როდესაც მან ილაპარაკა, რომ ჩვენ არ ვცნობთ პუტჩისტებს და გორბაჩიოვზე ილაპარაკა დიდი დითირამბებით და ა. შ., მე არ მახსოვს სახელი და გვარი, ქალი იყო ჭალარათმიანი, უურნალისტი და აი, ამ ქალმა ჰკითხა ბუშს, თქვენ ასე ლაპარაკობთ მოსკოვის პუტჩის შესახებ და გუშინ ჩ-მა გადასცა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი, რომელმაც მოსკოვის პუტჩის გორბაჩიოვის შოუ უწოდათ. ამაზე ატეხა ბუშმა ისტერიკები და თქვა, სასაცილო არისო და მერე თქვა, გამსახურდია დიდი ხანია მიდის მდინარების საპირისპიროდ და დროა, გამოერკვიოსო.

დოდონა კიზირია: "This man," – გამსახურდია არც უთქვამს.

გიორგი გაჩერჩილაძე: ამის შემდეგ მე მაქვს მოხსენება ამერიკის უშიშროების დაცვის აზროვნების ბანქში, სადაც მე და დოდონა ვართ და ვხვდებით

ფრენკ გაფნეს. როდესაც ჩვენ შევედით და წინადადება, რომელიც მან მე მითხრა, იყო — თქვენმა პრეზიდენტმა უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩაგაყენათო, რაზეც მე ვუპასუხე: ჩემს პრეზიდენტს არ ჩავუყენებივარ უხერხულ მდგომარეობაში, მაგრამ თქვენმა პრეზიდენტმა, ამერიკის პრეზიდენტმა, რომელიც მთელი კაცობრიობის დემოკრატიის და თავისუფლების თუ რაღაცა ის არის, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა არა თუ მე და ჩემი ქვეყანა, არამედ მთელი დემოკრატიული სამყარო. ამის შემდეგ აეწყო დიალოგი და იქამდე მივიდა საქმე, რომ დეტალურად მომაყოლა 24 წლის აჯანყება, ვალიკო ჯულელი და ეს ისტორია და ამის შემდეგ თქვა — არ ვიცოდიო. და ამის შემდეგ თქვა, რომ უნდა იამაყოთ, ისეთი პრეზიდენტი გყავთ, რომ მართალი თქვა და შემდეგ 23 თუ 24-ში (1991 წლის აგვისტო) “ჭასპინგტონ ოსტ”-ში გამოქვეყნდა მისი წერილი, სადაც წერს, რომ გამსახურდია იყო მართალი.

დოდონა კიზირია: ბუშის მიერ კიევში წარმოთქმული სისულელე იყო ის, რომ მან სთქვა, რომ რა დამოუკიდებლობა, “киевские котлеты” არის დამოუკიდებლობა. კიევში მას გამსახურდიაზე არაფერი არ უთქვამს. ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ეს არის მცდარი ინფორმაცია, რაღაც აღრევას აქვს ადგილი. ჩვენ ახლა კიევს მივმართოთ, საქართველოს საელჩოს უკრაინაში...

გიორგი გაჩეჩილაძე: არა, არა, არა.

დოდონა კიზირია: თქვენ უნდა მიმართოთ ჩ-ს, რომელიც უსათუოდ გადასცემდა. სხვა არხებიც გადასცემდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ ისეთი ამბები ხდებოდა საბჭოთა კავშირში, რომ ხშირად იყო ხოლმე საბჭოთა კავშირზე გადაცემები, მაგრამ არა საქართველოზე. და იქ სთქვა ინტერვიუში — „ლოსე გარდენ“ ჰქვია იმ ადგილს — „ვარდების ბალი“, სადაც ეს წინადადება სთქვა. ამის მოძიება შეიძლება, თუ თქვენ მიმართავთ ჩ-ს და იცით წელიწადი და კვირა მაინც, დაახლოვებით ერთი კვირის პერიოდი, ამის შემდეგ მოინახება მასალა. მაგრამ უნდა მიმართოთ ოფიციალურად.

ნათელა ვაჩნაძე: სამინისტრო მიმართავს ოფიციალურად.

გიორგი გაჩეჩილაძე: ეს არის 20 ან 21.

დოდონა კიზირია: რატომლაც მახსოვს 20 რიცხვი.

გიორგი გაჩეჩილაძე: მე და დოდონა ვიყავით ოთარ შალიკაშვილთან, მე მას შევთავაზე გამსახურდიას სახელით წინადადება, დათანხმებულიყო საქართველოს სამხედრო მინისტრის პოსტს და მან თქვა, ჩემი გადასაწყვეტი არ არისო. ბუნებრივია.

დოდონა კიზირია: მერე, გოგი, შენ სასტუმროდან დაურეკე ზვიადს და მაშინ არ გითხრა ეს ფრაზა?

ნათელა ვაჩნაძე: დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო.

გიორგი გაჩეჩილაძე: ჩვენ მოვისმინეთ ბუშის ინტერვიუ, სადაც მან თქვა:
დიდი ხანია „ესო,“ არა? პიროვნულად, გვარი არ უხსენებია...

დოდონა კიზირია: ეს კაციო.

გიორგი გაჩეჩილაძე: ეს კაციო დიდი ხანია მიდის მდინარების საპირისპიროდო. ის, რაც მე მქონდა მოფიქრებული და რაც დოდონას ჰქონდა მოფიქრებული, რაზეც უნდა გველაპარაკა ამ ამერიკის უშიშროების დაცვის აზროვნების ბანკში, ამან სულ წყალში გადაგვიყარა, სულ არივ-დარია ეს სიტუაცია. მე რა კონცეფციაც მქონდა, დამიშალა და ამიტომ დავურეკე მე იქიდან ზვიადს და, ჩემდა განსაცვიფრებლად, მან აიღო ტელეფონი. განსაცვიფრებელია — ცხრა საათია განსხვავება ვაშინგტონსა და საქართველოს შორის, მას ჰქონია ჩართული ჩ და ჩვენ ერთდროულად მოვისმინეთ ეს ამბავი. მე მას ვუთხარი, რომ, შენი ჭირიმე, ზვიად, აქ არის გორბაჩოვის გუნდი და არაფერი ცუდი არ თქვა გორბაჩოვზე, ასეთი დამოკიდებულება აქვს ამერიკის მთავრობას. მორალი იყო ის, რომ ეს იყო სანქცია რუსეთისათვის, რომ რუსეთმა გადაყლაპოს საქართველო. როდესაც დამემსხვრა გეგმები და დავურეკე, აი, მაშინ მითხრა: მაგას უთხარი, მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყევებიანო.

ნათელა ვაჩნაძე: თუ ნებას მომცემთ, ქალბატონო დოდონა, ჩვენ გვაქვს კიდევ დრო, ასეთი საკითხი დგება: მე ახლა მიჭირავს გაზეთი „Русская мысль“. საბჭოთა კავშირის გვერდის ავლით ვერც ერთი ინფორმაცია ვერ გავიდოდა, საქართველოს უშუალო კონტაქტები არ ჰქონდა არც ერთ ქვეყანასთან, ინფორმაციული ომიც იყო გამოცხადებული, თუკი რამ იბეჭდებოდა უცხოეთში, რა თქმა უნდა, ის გადიოდა არა ხელისუფლების მომხრეთა მხრიდან, არამედ, ძირითადად, მათი საწინააღმდეგო ადამიანების ხელით მიდიოდა, ისინი უფრო მეტს დადიოდნენ, მეტი მეტს მოგზაურობდნენ, მეტი ინფორმაცია მათგან გადიოდა. აქ შემოდიოდნენ უცხოელები, მე თვითონ ბატონმა თენგიზმა მითხრა, და არაერთხელ ხაზგასმით, რომ დღეში ათი უცხოელი კორესპონდენტი მაინც აკითხავდა მას და მის გუნდს თბილისის ზღვაზე, ისინი აძლევდნენ ინფორმაციას და, ბუნებრივია, ერთი მხარის ინფორმაცია სჭარბობდა და სძლევდა მეორე მხარის ინფორმაციას და „Русская мысль“ რასაც ბეჭდავს, ვფიქრობ, იმ გზით გადიოდა, რასაც „კრემლის გზა“ ეწოდება. ამ სტატიაში გაანალიზებულია მდგომარეობა ჩეჩენეთსა და ინგუშეთში. ეს ის დროა, როდესაც ჩეჩენეთი და ინგუშეთი უკვე გაერთიანებულები არიან იდეოლოგიურად და ეროვნული მოძრაობა უკვე გამოსულია სამოღვაწეო ასპარეზზე და ხალხს შექმნილი აქვს ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „Общий народный конгресс чечено-ингушетии“. მოკლედ — „ОКЧИ“. ამ მდგომარეობას და ამ კონგრესის ასპარეზზე გამოსვლას ეძღვნება ეს სტატია — ბრძოლა პარტოკრატებსა და ამ კონგრესის მონაწილეებს შორის, ეს ორი ძალა ეჯახება ერთმანეთს. რასაკვირველია, პარტოკრატია ძალიან

ძლიერია, ეს არის პრორუსული ორიენტაციის მქონე ხალხი, რუსეთი მათ ეხმარება, კგბ მუშაობს ამათზე, სანინააღმდეგოდ ამ კონგრესის. კონგრესს უკვე სათავეში უდგას, სრულიად ახლად გამოჩნდა მისი სახელი, ეს არის ჯოჰარ დუდაევი. მიდის ბრძოლა ამ კონგრესის წინააღმდეგ. თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ, გთხოვთ, ყური დაუგდოთ: მაშინ როდესაც “Русская мысль” იბრძვის ჯოჰარ დუდაევის მეთაურობით შექმნილი კონგრესის წინააღმდეგ, “Русская мысль” წერს: “Недаром кумиром исполкомцев стал Звиад Гамсахурдия, а во время встречи президента Грузии с главой исполкома ОКЧИ 18 августа была достигнута договоренность об объединении всех народов грузинской республики и, таким образом, исполком ОКЧИ стал провадником великодержавной политики грузинского президента и взял на вооружении его идею. Именно после того, как лидеры чеченских радикалов взяли на вооружении тезис сторонников Звиада Гамсахурдия о том, что добится национального возрождения и государственного суверенитета можно, пренебрегая демократическими принципами и гражданскими свободами, национальная революция в Чечено-Ингушетии вступило на путь раскола”. ე. ი. განხეთქილება მოხდა იმიტომ, გამსახურდიას იდეით იყვნენ შეიარაღებულნი.

დოდონა კიზირია: თუ გახსოვთ, გამსახურდია იყო პირველი, რომელიც ლაპარაკობდა კავკასიურ სახლზე, რომ რუსეთის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდნენ კავკასიის ხალხები. ეს ისეთი საშიში აზრი იყო რუსეთისთვის. რუსეთი სწორედ იმით ახერხებს, ასეთ მდგომარეობაში ჩააყენოს საქართველო — დაყავი და იბატონე — ასე ფლობდა ის კავკასიას. არის გაზეთი, რომელსაც ოპოზიცია უშვებდა, ვის საით მივყავართ. ერთმანეთის პირისპირ არის ორი ფოტოსურათი — ერთ მხარეს ზვიად გამსახურდია ჩეჩენეთის წარმომადგენელთან ერთად, ჩეჩენი დგას ნაციონალურ კოსტუმში, და აქეთ მხარეს დგანან შევარდნაძე და ბეიკერი. რომ ზვიად გამსახურდიას მივყავართ სიბნელისკენ და მუსლიმურ სამყაროსკენ მაშინ, როდესაც არის დასავლეთი ----- ევროპა, ამერიკა, რომელსაც განმანათლებლური სხივი შემოაქვს. მერე საინტერესოა, რომ ძალიან ეშმაკურად ეს იდეა — კავკასიური სახლი — მიითვისა ისევ და ისევ ოპოზიციამ, ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა, მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდიას დასცინოდნენ ამის გამო. რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას დერჯავულ და იმპერიულ იდეას, ეს არის ძალიან სასაცილო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ბრალდება. თქვენ ახსენეთ, ცალკე ეპიზოდია არის, რა კონტექსტში შეიძლება ამის ჩასმა, ქრონოლოგიურად ეს იყო 7 ან 8 იანვარს, 92 წელია, გამსახურდიამ ახლახანს დატოვა საქართველო, მე ავიღე უკანასკნელი ინტერვიუ თენგიზისაგან, და საინტერესო რა არის — მე მივედი ტელევიზიის შენობაში, სადაც ისინი მაშინ იყვნენ, იქ ყველა მიყურებდა, როგორც

ამერიკის ხმის წარმომადგენელს, შემდეგ მე მივეცი ეს ინტერვიუები ამერიკის ქართულ რედაქციას — არ გამოიყენა, სხვათა შორის. ბატონი თენგიზი მეუბნება — ახლა მე არ მცალია, ტელეფონზე ლაპარაკობს. იქ დადის ხალხი, პუტჩისტები, ძმები შენგელაიებიც იქ არიან, ქალბატონი იზა ორჯონიქიძე და სხვები. თენგიზ სიგუას გვერდზე უზის ქალი. შორს ვიჯექი, მერე მეუბნება — მობრძანდით და დაბრძანდით, მეუბნება სიგუა. მე მივედი და დავჯექი. მერე ეს ქალი უცებ ეუბნება სიგუას: Тенгиз (მამის სახელი არ მახსოვს), Ви знаете, Гамсахурдия унес сорок тон золота". თენგიზი მოტრიალდა, და ისე ვინანე, რომ არ მქონდა ჩართული, "сорок тон золота во всей Грузии нет, ну конечно мы скажем, что он увез, это в наших интересах". მერე ქართულადაც გაიმეორა — მთელ საქართველოში არ იქნება ორმოცი ტონა ოქრო.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი თენგიზი ფერადი ლითონების სპეციალისტია და იცის. დოდონა კიზირია: მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, ამას ვიტყვით — ეს იყო საინტერესო. მერე ეს ქალი მე მომიბრუნდა, მელაპარაკება რუსულად, მე ველაპარაკები ქართულად.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ეს ქალი, საინტერესოა.

დოდონა კიზირია: ახალგაზრდა ქალი იყო, საბჭოთა მმართველი ან რაღაცა. მელაპარაკება სულ რუსულად. რა, ცუდი ქართული მაქვს-მეთქი. ? ვკითხე. Нет, у вас такой габитус не грузинский.

ნათელა ვაჩნაძე: იყო მერე ცნობა იმის შესახებ --- ორას ორმოცდაათი კილოგრამი ოქრო, ტომრებით ფულები...

დოდონა კიზირია: ეს სულ იყო, როგორ არ იყო, სულ ლაპარაკობდნენ ამაზე.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ბატონმა თენგიზმა ჩვენ არ გვითხრა ამის შესახებ.

გიორგი გაჩეჩილაძე: როცა სომხეთში გაიქცა ზვიადი და აქედან წავიდა მოწინავე ქართული ინტელიგენცია და სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებმაც არ იკადრეს უბრალოდ ამ პროვოკაციებში გასვრა, ერთმა მოწინავე ქართველმა რეჟისორმა წაიღო აქედან თხუთმეტი კილო ოქრო, რომ „შეეტენა“, ზვიადის დაპატიმრება უნდოდათ მაშინ, რომ ვითომ ეს იყო აქედან წაღებული ოქრო. ეს გახლდათ ცნობილი რეჟისორი.

ნათელა ვაჩნაძე: გიორგი.

გიორგი გაჩეჩილაძე: გიორგი. ჩეკისტებმა არ იკადრეს და ამან იკადრა.

დოდონა კიზირია: ეს ხმა გავრცელდა, რადგან მერე ტატა თვალჭრელიძე მეუბნებოდა — გაძარცვა საქართველო, წაიღო ორმოცი კილო ოქრო. ეს ხმები დადიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: დიდხანს დადიოდა, დიდხანს ვრცელდებოდა, პრესაშიც იყო. ბატონმა თენგიზმა, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რამდენჯერმე მივეცი ეგ შეკითხვა — ბატონო თენგიზ, დავუბრუნდეთ ამ ფულად ანგარიშებს და ოქრო-ვერცხლს, რომლითაც ასე მდიდარ-

ია თურმე საქართველო და ასე გაიტანეს. არა, ქალბატონო ნათელა, ასე არ იყო. მაგრამ ერთი რამ თქვა, რომ გროვდებოდა თითქოს ოქრო სტომატოლოგიურ პოლიკლინიკებში. ეს ოქრო, ერთი ტომარა თუ ორი, ერთ-ერთ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში იდო და თითქოს ვერ მოასწრეს მისი გატანა. აი, ბ-ნ თენგიზის მონათხრობი.

დოდონა კიზირია: თქვენ ეს ჩაიწერეთ ახლა, მე ვლაპარაკობ მაშინდელზე.

რასაკვირველია, ჩვენ ვიტყვით, მაგრამ სად არის საქართველოში ამ-დენი ოქრო?! სხვათა შორის, თუ საქართველოს არქივი აქვს, მე მაშინ გამოვედი საქართველოს ტელევიზით.

ნათელა ვაჩნაძე: ქალბატონო დოდონა, მე მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენი საუბარი შედგა საქართველოს პრეზიდენტთან 1 იანვარს და თქვენ მას ჩამოართვით ინტერვიუ. თუ შეიძლება, გაიხსენეთ ეს ეპიზოდი თქვენი ცხოვრებიდან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

დოდონა კიზირია: მე შემიძლია გითხრათ, როგორ შევედი, როგორ ველაპარაკე, მაგრამ ინტერვიუ ჩაწერილიც არის და დაბეჭდილიც არის.

ნათელა ვაჩნაძე: ამას, რა თქმა უნდა, გადმოვიტანთ ჩვენ, როგორც პირველწყაროს, მაგრამ იქ არ ეწერება ის, რასაც პირად საუბარში ჩვენ შევიტყობთ თქვენგან.

დოდონა კიზირია: მე კასეტაც მაქვს. რაც კასეტაზეა, იყო გაშიფრული და დაბეჭდილი. თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, რომ ეს ინტერვიუ ყალბია, მე შემიძლია წარვადგინო კასეტა, როგორც დამამტკიცებელი საბუთი. ეს იყო 31 დეკემბერი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, 22 დეკემბრიდან დაწყებული, მე ყოველდღე ვარ გარეთ, მე ყოველდღე დავრბივარ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, სადაც კი ხალხი გროვდება და ლაპარაკობს და ვუსმენ. ამ დროს მირეკავენ, არ ვიცი გოგიმ მითხრა, თუ ვინ, ზუსტად არ მახსოვს, მეუბნებიან, გინდათ შეხვდეთ პრესიდენტს? რასაკვირველია, მინდა-მეთქი. ძალიან საშიშიაო, იმიტომ, რომ ტყვიებს უშენენ დღე და ღამე და ისინი არიან სასადილოში და ძალიან ძნელია იქ შესვლაო. მე ვუთხარი, წამოვალ-მეთქი, მაინც წამოვალ. სადღაც ქუჩაში შევხვდით. ერთ-ერთი ჩვენი გამყოლთაგანი იყო დომუხოვსკი. არ მახსოვს მეორე კაცის გვარი, იმას რაღაც თანამდებობა ჰქონდა ზვიადის წრეში. ჩავსხედით მანქანაში. მერე რაღაც მიხვეულ-მოხვეული გზებით, ზემოდან, მთანმინდიდან ჩამოვედით და სწრაფად, სწრაფად უნდა შევსულიყავით მთავრობის სახლის თაღში. იქ შეიარაღებული დაცვა იყო. რადგან დომუხოვსკი იყო და ის მეორე პირი, მათ თქვეს, რომ ჩვენ მათ მივყავართ, რომ ჩვენ გვინდა პრეზიდენტის ნახვა. შევედით, რაღაც უზარმაზარი დარბაზი იყო, რომელ სართულზე არ მახსოვს, ისეთი სიცარიელეა, აქ-იქ ჯარისკაცებს სძინავთ, ავეჯი მიწეულ-მოწეული. გოგი ამ ოთახში დარჩა, მე ჩამიყვანეს დაბლა. ნინა ოთახი იყო, სადაც იყვნენ მინისტრები და პარლამენტის რამდენიმე წევრი. დავჯექი. ძალიან მოღუშულად და არამეგობრული სახით

მიყურებდნენ. ერთ-ერთი კაცი იყო ჩემი ნაცნობი, ჩემი კოლეგაც კი, ხატვის მასწავლებელი ერთ-ერთ სკოლაში. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდნენ და შემიყვანეს პატარა ოთახში, იქ იჯდა ზვიად გამსახურდია, ჩამომართვა ხელი. შევეკითხე, რაც კითხვები მქონდა, ყველაფერზე მიპასუხა.

ნათელა ვაჩნაძე: მშვიდი იყო?

დოდონა კიზირია: მე მეგონა, დაძაბული, განერვიანებული. არა, ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა. მე შევეკითხე — როგორ ფიქრობთ თქვენ, სწორ პოზიციაზე დგახართ? მითხრა — დარწმუნებული ვარ. არ მახსოვს, ჩართული მქონდა, თუ გამორთული მიკროფონი. ეს არ მახსოვს, არის, თუ არა. მე მგონი, ეს არ არის ამაში. ამ ინტერვიუს ჩამორთმევის შემდეგ, მე მადლობა გადავუხადე და გამოვედი. შემდეგ ცოტა, ჩანერის გარეშე, გავესაუბრე ამ ხალხს. რატომლაც მათ ეგონათ, რომ მე ოპოზიციის მომხრე ვიყავი და არც ისე მეგობრულად მელაპარაკნენ. გამახსენდა, რატომ იყვნენ ასე. სანამ მათთან ვილაპარაკებდი, ნემო ბურჭულაძემ მთხოვა, ინტერვიუს ხომ არ მომცემთო. კი ბატონო-მეთქი. გამიყვანა ცალკე ოთახში. იქ ვიღაცა კაცს ეძინა, შემდეგ ის ადგა და გავიდა, ჩვენ დავრჩით მარტო და მან ჩაინერა ჩემგან ინტერვიუ. აბსოლუტურად არ მახსოვს, რას მეკითხებოდა. მე ვილაპარაკე სიმპათიით და თანაგრძნობით მათ მიმართ, მაგრამ მახსოვს, რამ გამოიწვია ეს ნეგატიური განწყობა ჩემს მიმართ. მე ვთქვი, რომ მე რამდენადაც ვიცი-მეთქი, თქვენ არ აძლევდით ოპოზიციას თავიანთი პოზიციის გამოხატვას ტელევიზიით. ამას მეუბნებოდა ყველა. ჩვენ ვვინდა და არ გვაძლევს საშუალებას, ეს დიქტატურაა, ყველაფერი მაგათ ხელში აიღეს, ახლა გამოცხადდება დაჭერები, ახლა იქნება ეს, ის. ახლა რომ ვიყურები უკან, რა აბსურდულობა იყო. მაშინაც ვხედავდი, ვგრძნობდი, რომ აბსურდული იყო, მაგრამ ის, რომ მართლაც და ტელევიზია დასაკუთრებული ჰყავდა ამ მთავრობას, დავიჯერე, ალბათ, აქვს ამ ხალხს მიზეზი, რომ გამოთქვამს ასეთ პროტესტს, რომ მათ არა აქვთ საშუალება მიმართონ ქართველ ხალხს.

ნათელა ვაჩნაძე: დღეში ერთ საათს თხოულობდნენ, როგორც ამბობს ოპოზიციური მხარე.

დოდონა კიზირია: ამაზე მითხრა, როგორ არ ვაძლევდითო. ჩვენ რომ გვაძრალებენო დიქტატურასო, ნახეთო, როგორ არის გადახერგილი რუსთაველიო, როგორ, მთავრობას უფლება არა აქვსო, მოითხოვოს, წესრიგი იყოს. მე თვითონ რა ვილაპარაკე, გითხრათ მართალი, არ მახსოვს. თუ ეს კასეტა გადარჩა და სადღაც არის, მე თვითონ მაინტერესებს, რა ვთქვი. მე ძალიან ვცდილობდი მაშინ, ორივე მხარისთვის მომესმინა და გამოკვეთილად არც ერთი მხარისთვის და არც მეორე მხარისთვის დამეჭირა მხარი.

ნათელა ვაჩნაძე: ობიექტური სურათის დახატვა გსურდათ.

დოდონა კიზირია: გაგება მსურდა. ისინი ამას მეუბნებიან, რამდენად მართლია, ესენი ამას მეუბნებიან, რამდენად მართალია. ასეთი პოზიცია მქონდა, როგორც მახსოვს. მაგრამ მე მახსოვს, რომ გამოვხატე ჩემი მხარდაჭერა ეროვნული მოძრაობის მიმართ, რომ დაუშვებელია, ლეგალურად არჩეული პრეზიდენტი ასეთი ფორმებით იყოს გადაყენებული, ვინაიდან ამან შეიძლება საშინელება მოიტანოს-მეთქიდა მახსოვს, რომ ჩემი ნათქვამი ეწყინათ ზვიადის მომხრებს და ისიც თქვეს, რომ იგი შპიონია. მე ვთქვი, როდესაც იმ ინტერვიუს ნახავენ, მიხვდებიან, ვის მხარეზე ვიდექი და ვის მიმართ მქონდა სიმპათია. როდესაც ჩაინერა ჩემი ინტერვიუ ბატონმა ნემომ, ამის მერე მე გამოვედი და ვიკითხე, სად არის გოგი-მეთქი. მითხრეს, ახლავე მოვძებნითო. ვზივარ მე და ვუყურებ ამ მინისტრებს და პარლამენტის აქტიურ წევრებს, რომლებიც იქ დარჩნენ. მათთან ხანმოკლე და არც ძალიან მეგობრული საუბრის შემდეგ, ვინაიდან ის ინტერვიუ, რომელსაც ბატონი ნემო იწერდა, რადიოთი გადაიცემოდა ამ ოთახში, ისინი ისმენდნენ და არ მოეწონათ, რომ მე 100 პროცენტით ამ მხარეზე არ დავდექი და რაღაცა კითხვა მივეცი.

ნათელა ვაჩნაძე: სხვათა შორის, მთელი ამ დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო, რომ დაინიშნა ოფიციალური ხელისუფლების მიერ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მმართველად სრულიად არაკომპეტენტური ადამიანი, სრულიად არაკომპეტენტური, რომელიც, რა თქმა უნდა, უკვე აჭარბებდა თავის უფლებებს და ეს ხალხს აღიზიანებდა, ინტელიგენციას აღიზიანებდა.

დოდონა კიზირია: რასაკვირველია. სამწუხაროდ, იყო ბევრი ადამიანი ეროვნული მოძრაობით აღტაცებული და გულანთებული, მაგრამ არაკომპეტენტური, რამაც, მართლაც, გაართულა ურთიერთობა ინტელიგენციასთან, ისინი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, რომ ისინი არიან პროფესიონალები და ეს ნაკლებად მომზადებული ადამიანი მათ...

ნათელა ვაჩნაძე: სრულიად მოუმზადებელი, მგონი, მშენებლობაზე მუშაობდა, ინჟინერი იყო.

დოდონა კიზირია: გარდა ამისა, ბევრი მიეკედლა, ისე, როგორც ბევრი მიეკედლა შევარდნაძეს, ბევრი მიეკედლა ახლა სააკაშვილს...

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი პროცესია, ყოველთვის არის, უბრალოდ გონი არის საჭირო ამ დროს, გონი. სხვათა შორის ამ ადამიანზე ვერ ვიტყვი რომ მიეკედლა. ის მთელი ოჯახით იყო ხელისუფლების გულწრფელი მომხრე.

დოდონა კიზირია: ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო მაშინ. უნდა ისიც აღვნიშნო, რომ ზვიად გამსახურდია ძალიან გამოუცდელი იყო. მისი გამოცდილება იყო დისიდენტის გამოცდილება და საბჭოთა დისიდენტი ეს იყო განსაკუთრებული არსება. ეს იყო ადამიანი, რომლის მთე-

ლი ენერგია მიმართული იყო მხილებისკენ. ამ დროს მხილება კი არა, რაღაც უფრო დიპლომატიური...

ნათელა ვაჩნაძე: დიპლომატიური ხერხების გამოყენება.

დოდონა კიზირია: რაღაცის დათმობა, ხალხის გაერთიანება უფრო საჭირო იყო, ვიდრე მხილება და ამანაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენა მასვე, სამწუხაროდ.

ნათელა ვაჩნაძე: და კიდევ ერთი. ძალიან მინდა გავერკვე, სილრმეებში ჩავიდე. კონფლიქტები, კონფლიქტები, უთანხმოებები თვითონ მოძრაობაში — რასთან დაკავშირებით მოხდა, რა საკითხთან დაკავშირებით, რატომ, რისთვის, ამის არგუმენტები რა იყო, მეორე მხარის არგუმენტები რა იყო.

დოდონა კიზირია: ამის ახსნა მე არ შემიძლია.

ნათელა ვაჩნაძე: არ შეგიძლიათ, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. თავიდანვე იღია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ერთი ფაქტი. თქვენ წელან ტატა თვალჭრელიძე ახსენეთ. და მე და ტატამ ერთად მოვისმინეთ სატელევიზიო გადაცემა, როდესაც ჩართეს ბატონ ზვიად გამსახურდიას მონანიების ეპიზოდი, 78 წელს რომ მონანიებით გამოვიდა, ჩვენ ერთად ვუყურებდით. იღია ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის მიუღებელი რატომ აღმოჩნდა თვითონ გამსახურდია. მე ველაპარაკე ლიდერს, დამაარსებელს, თამარ ჩხეიძეს, რომელმაც თქვა, მე პრინციპულად ვერ მივიღებდი იმ ადამიანს, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად მონანიებით გამოვიდა — მე არ ვიცი, ის როგორი ჩანაწერი იყო, გააყალბეს, არ გააყალბეს — ეს ჩანაწერი არსებობს, ეს არის ნამდვილად ის ადამიანი, არის მისი ხმა. ამიტომ იყო ეს ადამიანი ჩემთვის მიუღებელი, თორემ მე მას როგორც დისიდენტს ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ. ხომ არ შეგიძლიათ, რაიმე კომენტარი გააკეთოთ.

დოდონა კიზირია: მე მონანიების ეპიზოდი არ მინახავს. არსებობს ასეთი ვერსია, რომ ვითომ კასეტას მანიპულირება გაუკეთეს, დაამონტაჟეს, საბჭოთა ხელისუფლება ამის დიდი სპეციალისტი იყო. ასეთი ლაპარაკი გამიგონია, რომ რაღაც შეთანხმება იყო მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას შორის, რომ რათა გაგრძელებულიყო დისიდენტური მოძრაობა და ის საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ, საჭირო იყო ერთ-ერთი ლიდერი ყოფილიყო გარეთ და გაეგრძელებინა ეს საქმიანობა.

ნათელა ვაჩნაძე: რადგან არ ეწერა მერაბ კოსტავას გარეთ გამოსვლა, ის უნდა მჯდარიყო ციხეში.

დოდონა კიზირია: ანუ ეს იყო ერთგვარი თამაში. აი ეს ვიცი. ამის მოწმე არ ვყოფილვარ, არავითარი ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს, მართლა იყო მოლაპარაკება, არ იყო მოლაპარაკება. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, ძალიან ადვილია ადამიანის დაგმობა, ვისაც არ უცხოვრია საბჭოთა

სიტუაციაში, ვისაც არ გაუვლია ის მენტალური წნები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით და როგორი დაფეთებული და დაშინებული ვიყავით. მე არ მახსოვს, რომ ოთახში გველაპარაკა რამეზე ხმამაღლა, ტელეფონით, იმის შიშით, რომ “კგბ” ყველგან არის, ყველაფერი იცის. თითოეული ადამიანი ძალიან რთული არსება არის, აბსოლუტური წმინდანი ან აბსოლუტური ავაზაკი... და არსებობს სიტუაციები, რომლებიც მხოლოდ იმათ იციან, ვინც ამ სიტუაციებში ცხოვრობდა, მოქმედებდა და გააკეთა, ამიტომ მე ამ უესტის შესახებ ვერავითარ კომენტარს ვერ გავაკეთებ, გარდა იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით, რა იდგა ამის უკან.

... მომავალში მე თვითონ მინდა ამის შესახებ მოგონება დავწერო და გავიხსენო დაწვრილებით. რაც შეეხება ჩემს ინტერვიუებს, ახლა კი არა, მაშინ ჩაწერილ ინტერვიუებს, 22 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ამ შუალედში მე ყველასგან ვიწერდი ინტერვიუს, ვისზედაც ხელი მიმიწვდებოდა. ახლა რას იტყვის თენგიზ სიგუა მე არ ვიცი, მაგრამ მაშინ რას ამბობდა, ეს კარგად მახსოვს. რამდენიმე ხნის მერე ვმუშაობდი, როგორც თარჯიმანი საერთაშორისო მონეტარულ ფონდთან და მე როდესაც ჩამოვედი, დელეგაცია მიიწვია თენგიზ სიგუამ მთავრობაში, მხოლოდ დოდონა კიზირია არ იყოსო თქვენთან.

გიორგი გულბანი

2007 წლის 29 აგვისტო

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო გიორგი, თუ შეიძლება, ფართო მკითხველისთვის ცოტა რამ გვიამბეთ თქვენს შესახებ, რომ ნარმოდგენა შევუქმნათ მას, ზოგადად თქვენი ცხოვრების შესახებ. როგორ ჩაერთეთ ეროვნულ მოძრაობაში, ეროვნული მოძრაობიდან მოხვედით თუ არა უზენაეს საბჭოში, შეიძლება არ მოსულხართ ამ გზით, მოხვედით თუ არა „მრგვალი მაგიდის“ გზით, ან რომელიმე სხვა პოლიტიკური გაერთიანებიდან გამოხვედით. ერთი სიტყვით, თქვენი ბიოგრაფიის ეს დეტალები ჩვენთვის უცნობია და შეიძლება ქართული საზოგადოების ბევრმა წევრმა იცის, მაგრამ, საერთოდ, მთელი საზოგადოებისათვის რომ უფრო ცხადი გავხადოთ, ამიტომ გთხოვთ, გვიამბოთ, რასაც თქვენ ჩათვლით საჭიროდ.

გიორგი გულბანი: მე ასე მგონია, რომ ის, მე რომ ბატონ ზვიადთან მივედი, არაფერი განსაკუთრებული არ არის, მთელი საქართველო მივიდა თავის დროზე. პირველად, როდესაც დაიწყო ეროვნული მოძრაობა, მივედი სახალხო ფრონტში, რომელიც ღია ორგანიზაცია იყო. შემდეგ დავინახე, რომ სახალხო ფრონტი სუკის მიერ შექმნილი ორგანიზაცია იყო და მთელი მისი გამგეობა, პრაქტიკულად, დაკომბლექტებული იყო ამ ე. წ. „წითელი ინტელიგენციით“ და მასში გაერთიანებულები იყვნენ სხვა ოდიოზური ფიგურები. შემდეგ შეიქმნა ფრაქცია „ეროვნული კავშირი“, გამოვეყავით სახალხო ფრონტს და შევედით „მრგვალ მაგიდაში“.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ამ საქმის ინიციატორი?

გიორგი გულბანი: ბევრნი არ ვიყავით, ჩვენ ვიყავით სულ რაღაც 30 თუ 40 ადამიანი, სათავეში არავინ არ იყო. თავიდან მიხეილ ნანეიშვილი მოვიწიეთ, ასაკოვანი იყო უფრო, გამოცდილი, მაგრამ მიხეილ ნანეიშვილმა მერე გამოიჩინა თავი, ისიც შევარდნაძის სამსახურში ჩადგა. მისი წარსული არ ვიცი, სუკის აგენტი იყო თუ არა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მაგას, შედეგი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ნებისმიერი სუკის ოფიცრის მოქმედება. შევედი „მრგვალ მაგიდაში“ და შემდეგ პარლამენტში.

ნათელა ვაჩნაძე: სიებით იყო, ხომ?

გიორგი გულბანი: დიახ. მე პროპორციული სიით გავედი.

ნათელა ვაჩნაძე: როგორც შევიტყვე, თქვენ პროფესიით ფიზიკოსი ბრძანდებით.

გიორგი გულბანი: დიახ.

ნათელა ვაჩინაძე: თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრეთ?

გიორგი გულბანი: კი, თბილისის უნივერსიტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი, ბირთვული ფიზიკის სპეციალობით 81 წელს. შემდეგ, რატომდაც, დავინტერესდი საკითხის იურიდიული მხარით: --- საქართველოს გათავისუფლება მოდიოდა და საჭირო იყო ამის იურიდიულად გაფორმება. ბუნებრივია. საჭირო იყო საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის გადაკეთება. იურისტი არ ვიყავი, ბუნებრივია, მაგრამ მყავდა ძალიან კარგი მასწავლებელი. ეს იყო ირაკლი ჩიქოვანი, აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე. პრაქტიკულად, ირაკლი ჩიქოვანის გაკეთებული არის ყველა ის კანონი, რომელიც შემოვიდეთ, უბრალოდ, ჩვენ ვცდილობდით დავხმარებოდით მას, რომ პოლიტიკური შეკვეთა იურიდიულად გაეფორმებინა, ტექნიკა მისი საკითხი იყო.

ნათელა ვაჩინაძე: ყველაზე გამოცდილი იურისტი ვინ იყო, გარდა ჩიქოვანისა, ვინც მუშაობდა კანონებზე?

გიორგი გულბანი: დეპუტატებიდან არავინ. იურიდიულ კომისიაში ვიყავით სულ რამდენიმე ადამიანი

ნათელა ვაჩინაძე: ხომ ვერ ჩამოთვლით?

გიორგი გულბანი: მოლოდინაშვილი იყო თავმჯდომარე, თავიდან მოადგილე ვინ იყო აღარ მახსოვს, შემდეგ თენგიზ ჩაჩავა იყო, და მე ვიყავი მდივანი. შემდეგ ნუგზარ მოლოდინაშვილი შეცვალა კოტე ფირცხალავამ. გამოჩენილი იურისტები პარლამენტში არ გვყავდა, ჯერ ეს ერთი, საქართველოში არც იყვნენ. ის ადამიანები, რომლებიც ითვლებოდა რომ საქართველოში დიდი იურისტები იყვნენ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ეს ხალხი დაიმალა და არც ცოდნა არ ჰქონდა. ერთ-ერთი მოქმედი კაცი, რომელიც პრაქტიკულად საქმეს აკეთებდა, ირაკლი ჩიქოვანი იყო, რომელსაც არავითარი კავშირი ეროვნულ მოძრაობასთან არ ჰქონდა. ის როგორც პროფესიონალი აკეთებდა თავის საქმეს უმაღლეს დონეზე. ის სახელები, აკადემიკოსები რომ გვყავდნენ, არც ერთი არაფერში არ გამოგვდგომია და არავის არაფერი არ გაუკეთებია. არავინ ხელს არ უშლიდათ, კარები ლია იყო, არ ისურვეს.

ნათელა ვაჩინაძე: არ ისურვეს თანამშრომლობა თქვენთან?

გიორგი გულბანი: პრაქტიკულად თანამშრომლობა არ ისურვეს აკადემიკოსებმა.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონი ლევან ალექსიძე, მე მგონი, ადრე ძალიან აქტიურობდა და ბატონ ზვიადთან მისულ ადამიანებს კონსულტაციებს უტარებდა. მას ეკუთვნის კანონი არჩევნების შესახებ აფხაზეთში, 28 – 26-ზე, ეს არჩევანი ბატონი ლევანის ყოფილა.

გიორგი გულბანი: ბატონი ლევანი თანამშრომლობდა ჩვენთან, მაგრამ ისეთი ინტენსივობით არა, ყოველდღიურ შავ სამუშაოში მონაწილეობას არ ღებულობდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი დაკვირვებით, უზენაეს საბჭოში საპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის როდის გაჩნდა პირველი ბზარი, პირველი უთანხმოება, როგორ მოხდა ეს. თქვენი ხედვა მაინტერესებს.

გიორგი გულბანი: პირველივე დღიდან. ეს არ იყო არანაირი ოპოზიცია, ეს იყო რუსეთის დავალებით მოქმედი ადამიანების ჯგუფი. არა აქვს მნიშვნელობა, ოფიცერი იყო, უშიშროების კომიტეტის აგენტი იყო თუ რა იყო, ეს ადამიანები მუშაობდნენ რუსეთზე. პირველი დღე იყო პარლამენტის სხდომის, როდესაც ჯაბა იოსელიანმა კახეთში მოაწყო პატარა აჯანყება. პირველივე დღიდან დაიწყო ეს დაპირისპირება. ეს არ იყო არანაირი ოპოზიცია, იმიტომ, რომ მერე გამოჩნდა, რომ ეს ადამიანები ყველა შევარდნაძის გვერდში აღმოჩნდნენ. ეს ადამიანები არ იყვნენ დაინტერესებულები საქართველოს თავისუფლებით.

ნათელა ვაჩნაძე: რა იყო არსი, მიზანი რა იყო კახეთის ამბოხის? არეულობის შემოტანა?

გიორგი გულბანი: სხვა რა უნდა ყოფილიყო. ბანდიტების ჯგუფმა აიღო პოლიციის შენობა თუ... აღარ მახსოვს. პირველივე დღეს ასეთი „საჩუქარი“ მიართვა ეროვნულ ხელისუფლებას.

ნათელა ვაჩნაძე: ესენი არ იყვნენ უზენაესი საბჭოს წევრები, ესენი იყვნენ მის გარეშე მდგომი ადამიანები. თქვენ შეამჩნიეთ, რომ თვითონ უზენაესი საბჭოს წევრები ემხრობოდნენ ამ ამბავს?

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა. როდესაც ეს დაპირისპირება მოხდა და გაცხადდა, რომ ამბოხი არის კახეთში, იმ წუთში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს არის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შედეგი, უნიათო ხელისუფლება და ა. შ. და ა. შ. ეს იყო შეთანხმებული მოქმედება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის ადამიანები, ვინც მაშინ იყვნენ ოპოზიციაში, შემდეგ მშვენივრად აღმოჩნდნენ შევარდნაძის ან რუსეთის გვერდზე და დღესაც განაგრძობენ იგივე საქმეს, არაფერი არ შეუცვლიათ. ჯერ ერთი, ერთი ნაწილი პარლამენტის კომუნისტური პარტიის დეპუტატებით იყო დაკომპლექტებული და, ბუნებრივია, ეს ადამიანები იყვნენ რუსეთის სამსახურში. ყველაზე ვერ ვიტყვი, რა თქმა უნდა, მაგრამ უზარმაზარი ნაწილი მათი. ბუნებრივია, იმიტომ, რომ მის ხელიდან ჭამდნენ, მის ინტერესებს იცავდნენ. ამავე დროს, ვითომ დისიდენტები რომ იყვნენ, ეს ბერძენიშვილები და ვიღაცები, დავით ბერძენიშვილი ბრძანდებოდა რუსეთის ინტერესების გამტარებელი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიცვალა ვითომ? დავიჯერო? ყოველ შემთხვევაში, მონანიება მისი მე არ გამიგია. მომნანიებელი კაცი სხვაგვარად იქცევა, უნდა აღიაროს საჯაროდ თავისი დანაშაული და მერე, ალბათ, უნდა დაანებოს პოლიტიკას თავი, მე ასე ვფიქრობ. როდესაც ასეთ დანაშაულში, რომელმაც ქვეყანა დაანგრია, მონანილე ხარ, პოლიტიკაში აღარ გესაქმება.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრია ასეთი?

გიორგი გულბანი: უამრავი. დღევანდელი პარლამენტის დიდი ნაწილი პუტ-ჩისტებია სუყველა. მაგალითად, ბოკერია, კოტე გაბაშვილი თბილის კომენდანტი იყო, იარაღით დარბოდა, ხალხს ხვრეტდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ დაკითხვებში და წამებებში იღებდა მონაწილეობას. ან ის, ელდარ შენგელაია, ზურაბ უვანია, რომელიც გამოჰყავთ გმირად. ზურაბ უვანია ტელევიზიასთან ავტომატით დარბოდა. ავტომატის მსროლელი ეგ არ იყო, მხდალი კაცი იყო, მაგრამ გამოსაჩენად დარბოდა იარაღით. ეს ფაქტები არსებობს. ამ ახალ ხელისუფლებას არ უნდა ამის გამოკვლევა გარკვეული მიზეზების გამო, იმიტომ, რომ მაშინ უნდა დაინყოს შევარდნაძით, რომელიც აგერ კრწანისში არის წამოგორებული, იმის მაგივრად, რომ ციხეში იჯდეს, და ის თუ არ დაიჭირე, სხვას ვერ დაიჭირ. მეთაური აგერ არის პატივში და ეს პატარა იტყვის, ჩემგან რა გინდა, აგერ არის მთავარი დამნაშავე, იმას თუ ვერ კიდებ ხელს, პატარასაც ვერ მოკიდებ ხელს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით, ამას ბატონი ედუარდ შევარდნაძე ედგა სათავეში?

გიორგი გულბანი: ეს ფაქტია, ამას რად უნდა ბევრი ლაპარაკი, ეს დადგენილი ფაქტია.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ დაადგინა?

გიორგი გულბანი: გადატრიალების შედეგად ვინ ჩამოვიდა საქართველოში და ვინ ჩაუდგა სათავეში ე. წ. სახელმწიფო საბჭოს – შევარდნაძე, ვისთან დარბოდნენ ეს ჭანტურიები და ვიღაცები საკონსულტაციოდ პუტჩის წინ და პუტჩის დღეებში? — შევარდნაძესთან, ვისი მეშვეობით ახერხებდა რუსეთი ამ „მხედრიონისთვის“ და ამ ბანდიტებისათვის იარაღის მიწოდებას? — შევარდნაძის მეშვეობით.

ნინო თომაძე: სიგუა ამბობს, რომ მე არ ჩამომიყვანია შევარდნაძე, ხალხმა აირჩიაო.

გიორგი გულბანი: სიგუა უნამუსორას იტყვის, მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კადრები არსებობს...

ნინო თომაძე : ხალხი ამბობდაო, რომ შევარდნაძე გვინდაო.

გიორგი გულბანი: როგორ ამბობდა, ხალხის ნების გამოხატვის რაიმე საშუალება იყო? ან რეფერენცუმი ან რამე ჩატარდა? ცრუობს სიგუა, ცრუობს. ქუჩაში რომ ხვრეტდნენ ხალხს „მხედრიონი“ და ეს ნაძირალები, ის ხალხი შევარდნაძის ჩამოყვანისათვის გამოვიდა ქუჩაში თუ პირიქით?! 3 იანვარს დახვრიტეს პირველი მიტინგი, 7 იანვარს დახვრიტეს მეორე მიტინგი. მერე სულ იყო დახვრეტები. ყველაზე დიდი დახვრეტა იყო 2 თებერვალს, 50 კაცი გარდაიცვალა, რამდენი დაიჭრა, ღმერთმა უწყის, და დაშინებული ეს ხალხი დღესაც ვერ ბედავს პროტესტის გამოთქმას იმიტომ, რომ არანაირი გარანტია არ არის, რომ ეს ხელისუფლება ისევ რეპრესიებში არ მოაყოლებს. რო-

გორ? ჩალით არის ეს ქვეყანა დაფარული? დავანებოთ თავი პოლიტიკურ უთანხმოებას, ქუჩაში ხვრეტდნენ ადამიანებს სისტემატურად საქართველოში, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. რატომ ერთი საქმე არ აღიძრა, რომ ლაპარაკობენ რაღაცა ბრტყელ-ბრტყელებს? გავანებოთ თავი შევარდნაძეს, ვინ იყო ამ დახვრეტის ინიციატორი და მონაწილე, მარსიდან ხომ არ ჩამოსულა ეს ხალხი, ვინც დახვრიტა, ქართველები იყვნენ, საქართველოში ხომ იყვნენ ფიზიკურად? დავადგინოთ, რა უნდა მაგის დადგენას, ქვეყანამ იცის მაგათი გვარები. მე არ ვიცი კონკრეტულად, მაგრამ არიან ადამიანები, ვინც იცის ზუსტად, თუ ვინ მონაწილეობდა ამ დახვრეტებში.

ნათელა ვაჩნაძე: არავინ არ ასახელებს ამ გვარებს, ბატონო გიორგი.

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა, მაგრამ მაგის დადგენა პრობლემას არ ნარმოადგენს, თუ მოინდომებენ.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ, ვერაფრით ვერ დავადგინეთ თანხები, ფინანსები.

ჩვენ ვიცით აფრიკის ქვეყნებში თუ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, სა-დაც მოხდა გადატრიალება, ვინ დააფინანსა და რა დაჯდა ყოველი გა-დატრიალება. ვერაფრით ვერ დადგინდა, რა დაჯდა ეს გადატრიალება საქართველოში.

გიორგი გულბანი: ედუარდ შევარდნაძე უნდა დაიკითხოს ეჭვმიტანილის სახით. თუ აინტერესებს ამ ხელისუფლებას პასუხი, აგერ არის მთავარი დამნაშავე. სამხედრო ოლქი აქ იყო და იარაღის მიწოდება და ფული რა პრობლემაა, ფული არ ჰქონდათ იმათ, იარაღი არ ჰქონდათ თუ გაუჭირდებოდათ მიწოდება?

ნათელა ვაჩნაძე: ვისი იყო ეს ფული?

გიორგი გულბანი: რუსეთის, ვისი იქნებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, რომ ადგილობრივი ფულიც იყო.

ნინო თომაძე: ამბობენ, რომ ადგილობრივი „საქმოსნები“ და ბიზნესმენ-ებიც ეხმარებოდნენ. მათ აწყობდათ გამსახურდიას ჩამოგდება თავისი მიზნებისთვის.

გიორგი გულბანი: ალბათ, ისინიც დააყაჩალეს. მაგრამ ეგენი ვერ გადაატრიალებდნენ ხელისუფლებას საქართველოში, ვერც „მხედრიონი“ ვერ გადაატრიალებდა და ვერც კიტოვანის ბანდა ვერ გადაატრიალებდა ხელისუფლებას საქართველოში, რუსის ჯარი რომ არ ჩარეულიყო.

ნათელა ვაჩნაძე: რუსის ჯარი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი...

გიორგი გულბანი: დიახ, ბეპაევის მეთაურობით. ბეპაევი იყო, მე მგონი, მოადგილე მაშინ და ბეპაევს დაევალა პირადად სახელმწიფო გა-დატრიალების განხორციელება საქართველოში. ეს დაიბეჭდა კიდევაც რუსულ პრესაში მოგვიანებით. მე გაზეთს ვერ დაგისახელებთ, ალარ მახსოვს. სანამ ჯერ კიდევ იმედი იყო, რომ საქართველოს გადარჩენა შეიძლებოდა, ეს მასალები ჩვენ ყველას გვქონდა და არც მაღავდა

ამას ბატონი ბეპაევი. ეს იყო ერთ-ერთი მისი დამსახურება, იმიტომ, რომ მაშინ სახელმწიფო გადატრიალება ითვლებოდა კეთილ საქმედ — საქართველოში აღდგა დემოკრატია. ვისგან აღდგა, გაუგებარია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ რაიმე არქივი გაქვთ?

გიორგი გულბანი: სამწუხაროდ, არა. მაგრამ ამ მასალების მოძიება, პრინციპში, შეიძლება. ცოტა ძნელია, იმიტომ, რომ მაშინ უნდა ჩაუჯდეს ძველ რუსულ გაზეთებს და ამოქექოს ეს ინტერვიუები.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ გვაქვს ეს გაზეთები. ყველანაირი გაზეთი საქართველოში ადამიანმა შეიძლება ვერ მოიპოვოს, რადგან ეს ისეთი დრო იყო, ბატონო გიორგი, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელად შემოდიოდა გაზეთები, რთული იყო ამ გაზეთების მიღება ბიბლიოთეკებისათვის და თუ ვინმე შემთხვევით ჩამოიტანდა, ეგ იყო და ეგ. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, აურაცხელი რამ, ალბათ, არა გვაქვს ხელთ. მე ვკითხულობ ამ გაზეთებს, მაგრამ მისი ინტერვიუ, ერთი მაინც, არ შემხვედრია. ეს ხომ არ იქნებოდა რაიმე სპეციალური სამხედრო გაზეთი?

გიორგი გულბანი: არა. მე შევეცდები, გავიკითხო, თუ ახსოვს ვინმეს, იმიტომ, რომ ეს ინტერვიუ ჩვენთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი.

ნათელა ვაჩნაძე: მისი აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ოპოზიციურად განწყობილი მხრიდან არავინ არ ასახელებს მის ძალიან დიდ როლს და მნიშვნელობას, პირიქით, თუკი რამ გვსმენია, გვსმენია ასეთ კონტექსტში, ---- რა თქმა უნდა, ჩვენ იარაღით, ტყვია-წამლით გვამარაგებდაო ე. წ. ვაკბო, მაგრამ ხელისუფლებასაც ამარაგებდა იარაღით და ტყვია-წამლით ვაკბო. ასე რომ, თითქოს წყარო ორივე მხარისათვის იყო ერთი და ქართველები ყიდულობდნენ ტყვია-წამალს და იარაღს იმისთვის, რომ ერთმანეთისთვის დაეშინათ და ამაში კიდევ ფულს იხდიდნენ.

გიორგი გულბანი: მე ვერ დაგეთანხმებით, რომ ქართველებმა ერთმანეთს დავუშინეთ ტყვია. საქართველოს მტრებმა საქართველოს დაუშინეს ტყვია. გარბოდა კიტოვანი 28 დეკემბერს ბრძოლის ველიდან და მერე ვაკბო-მ მიაყარა ტანკები და უამრავი იარაღი. დავინცოთ იქიდან, თუ საიდან ვიღებდით ჩვენ იარაღს. მე სამხედრო საქმეში ჩახედული არ ვიყავი. რამდენადაც მე ვიცი, ჩვენ ვყიდულობდით ამ იარაღს ყველა შესაძლებელი არხებით, რაც აბსოლუტურად კანონიერი არის ხელისუფლებისთვის. ხელისუფლებას სჭირდება ჯარი და იარაღი, ამაში არაფერი სათავილო არ არის. ვაკბო-სგან ყიდულობდნენ იარაღს თუ არა, არ ვიცი. რომც ეყიდათ, ამაშიც ვერ ვხედავ ვერანაირ კრიმინალს. ჯარს სჭირდება იარაღი, ბუნებრივია. ვაკბო რომ აძლევდა იარაღს ბანდიტს, აი, ეს არის კრიმინალი. ისინი თუ აღიარებენ, რომ ვაკბო-სგან ყიდულობდნენ, მეტი აღიარება რა გინდათ?

ნათელა ვაჩნაძე: კი, ეს აღიარებულია, ბატონო გიორგი, გარდა ერთი დეტალისა. ასეთი ინფორმაციაც გვაქვს, რომ როდესაც ოპოზიციუ-

რი ნაწილი გამაგრებული იყო თბილისის ზღვაზე, ორი ძალიან დიდი ავტომანქანა შემოვიდა, რომელმაც შემოიტანა ტყვია-წამალი, მა-გრამ ამის მთხოვნელი ვერ ადასტურებს იმას, რომ მაინცდამაინც ამ ტყვია-წამალში ფული იყო გადახდილი.

გიორგი გულბანი: შეიძლება უფასოდაც აძლევდნენ, შეიძლება კი არა, უფასოდ აძლევდნენ. კიტოვანს არ ექნებოდა იმის ფული, რომ ტანკები ეყიდა.

ნათელა ვაჩნაძე: ბოლოსდაბოლოს, რამდენი ტანკი იყო, ამასაც ვერავინ ასახელებს.

გიორგი გულბანი: არ იყო ბევრი საჭირო. ჩვენ არ გვქონდა საკმარისი ტე-ქნიკა, ჩვენ გვქონდა ერთი თუ ორი ტანკი, რამოდენიმე ჯავშანტრანს-პორტიორი. სულ ეს იყო. მერე როგორც გაირკვა, მოგვიანებით, თავ-დაცვის მინისტრის მოადგილე ბესო ქუთათელაძე ღამით გადიოდა და ზეთის მილებს უჭრიდა ამ ჯავშანტრანსპორტიორებს. რატომ იქცე-ოდა ასე ბესო ქუთათელაძე, მე პასუხი არ მაქვს. მერე ამათ თვითონ მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ გამიგია, რომ ამათ მოკლეს.

გიორგი გულბანი: ვერ გაიყვეს რაღაც და მოკლეს, ხომ იცით, როგორც არის?! ესენი ერთმანეთს ხოცავდნენ. ეს იყო პატიოსანი კაცი, რამდე-ნადაც მე მას ვიცნობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო დაწო-ლას. საკვანძო პოზიციაში იყო, თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო, ბევრი რამ ევალებოდა და ვერ გაუძლო ზენოლას.

ნათელა ვაჩნაძე: ბესო ქუთათელაძეს ძალიან მნიშვნელოვანი როლი მია-კუთვნეს იმ მხრივ, რომ იყო შუამავალი ოპოზიციასა და ხელისუფლე-ბას შორის. მოლაპარაკებები ბესო ქუთათელაძემ აწარმოვა.

გიორგი გულბანი: ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არა, ბანდასა და ხელისუფლებას შორის. რა საჭირო იყო, ვის სჭირდებოდა ეს შუამავა-ლი, ეს ერთი, და მეორე, ბესო ქუთათელაძემ ჩააბარა სატელევიზიო ანძაც. ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია.

ნათელა ვაჩნაძე: ამ ფაქტს არავინ არ უარყოფს, მაგრამ ქუთათელაძე რომ პატიოსნად ასრულებდა იმას, რა დავალებასაც აძლევდნენ, ე. ი. მიდ-იოდა საქართველოს პრეზიდენტთან და სთხოვდა, ერთი მხრივ, მო-ლაპარაკებებზე წამოსვლას და, მეორე მხრივ, რომ დაეტოვებინა თავ-ისი პოსტი და დაეტოვებინა საქართველო, ეს, ალბათ, იცით?!

გიორგი გულბანი: კი, რა თქმაუნდა, იქვიყავი, როდესაც ბესო ქუთათელაძემ პირდაპირ შემოგვთავაზა კაპიტულაცია. ეს არ იყო მოლაპარაკება, კა-პიტულაციაზე იყო საუბარი. ბატონი ზვიადი მოვიდა და თქვა, რომ ამ ბანდას არ დავნებდებიო. ჯერ ერთი, არავის არ უთხოვია მისთვის მო-ლაპარაკება, რატომ დაივალა თვითონ, გაუგებარია. არავის არ უთხო-ვია მისთვის, რომ ამ ბანდიტებს დაელაპარაკე და იმათი აზრი მოგვი-ტანეო. დაივალა და პასუხიც მიიღო — არავითარ შემთხვევაშიო.

ნათელა ვაჩნაძე: მერე თითქოს იყო „მოლაპარაკება“ — მაშინ ბრჭყალებში ვიხმაროთ სიტყვა მოლაპარაკება — იმის შესახებ, რომ ბატონი ზვია-დი თავისი ცოლით, შვილებით დატოვებდა საქართველოს ტერიტო-რიას და უსაფრთხოების მიზნით ბატონი თენგიზ სიგუა იქნებოდა იმ მანქანაში, რომელშიც პრეზიდენტის ბავშვები იქნებოდნენ. თუ გსმე-ნიათ ამის შესახებ რაიმე?

გიორგი გულბანი: კი, როგორ არა. თენგიზ სიგუას ბავშვებს კი არა, ქათ-ამს არ ვანდობ. რა გარანტია თენგიზ სიგუა? როდის იყო, თენგიზ სიგუას თავისი სიტყვა შეუსრულებია?! ერე, თენგიზ სიგუას სიცოცხ-ლეს გაუფრთხილდებოდნენ ესენი? რას წარმოადგენს, ან როდისმე რას წარმოადგენდა თენგიზ სიგუა, რომ მის სიცოცხლეს თუნდაც მისი თანაბანდელები გაფრთხილებოდნენ?! ვინ იყო თენგიზ სიგუა, ან ვინ არის დღეს, რას წარმოადგენს?! ადამიანი ფასდება მისი საქმეე-ბით. დამნაშავეა, სახელმწიფო დამნაშავეა, ჩადენილი აქვს უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული. მაგის შედეგებს ვიმკით დღესაც, აფხაზეთი აღარ გვაქვს პრაქტიკულად, სამაჩაბლო პრაქტიკულად აღარ გვაქვს.

ნინო თომაძე: აფხაზეთის ამბავში სიგუა რა შუაშია? შევარდნაძის დროს არ მოხდა აფხაზეთის დაკარგვა?

გიორგი გულბანი: ეგ უმარტივესია. ავილოთ სოჭის და დაგომისის ხე-ლშეკრულებები, რომელზეც მოაწერა ხელი. იქ პირდაპირ წერია, რო-გორ ჩააბარა ამ ნაძირალამ სამაჩაბლო და აფხაზეთი. პირდაპირ წერია, ეგ არ არის საკამათო და სასპეკულაციო. ეს ხელშეკრულებები დღესაც მუშაობს. ჩვენ მარსიელებს ხომ არ ვებრძოდით, რუსებს ვებრძოდით. ომში მონაწილე მხარე როგორ შეიძლება იყოს მშვიდობისმყოფელი?! ეს სასაცილოა და დღესაც ასეა. შეიცვალა რამე? არაფერი. როგორ აპირებენ ესენი სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაბრუნებას, თუ რუსის ჯარი იდგება, როგორც მშვიდობისმყოფელი.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება რაღაც მექანიზმები გაჩნდეს ისეთი, რომ ზენო-ლა მოახდინონ რუსეთზე და რუსეთმა უკან დაიხიოს.

გიორგი გულბანი: 200 წელია რუსეთისგან სასიკეთო ჩვენ არაფერი მიგვიღია და დღეს რა მოხდება ასეთი სასწაული, რომ რუსეთს ტვინი გადაუ-ტრიალდეს?

ნინო თომაძე: სააკაშვილი ფიქრობს, რომ ამერიკა მოახდენს ზენოლას რუსეთზე და რუსეთი დაუთმობს სამაჩაბლოს და აფხაზეთს.

გიორგი გულბანი: სააკაშვილი ამას თუ ფიქრობს, ამ აზრის უკან რა დგას? რა მოსაზრება, რა ფაქტი?

ნათელა ვაჩნაძე: ეს არის უკვე უახლეს პერიოდში გადმოსვლა, სიგუადან ვაშინგტონამდე ძალიან შორი გზა არის. დავუბრუნდეთ სიგუას პერ-სონას.. როდესაც სიგუა ბატონი ზვიადის გვერდით იყო, მაშინ საზოგა-დოების დიდი ნაწილის ყურადღება მიიპყრო ბატონმა თენგიზ სიგუამ, როგორც მოღვაწე კაცმა და ეროვნულად განწყობილმა ადამიანმა. ის

ინსტიტუტის წინამდლოლი იყო, საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი, ეს ინსტიტუტი მასზე ლოცულობდა და ფერადი მეტალურგების მთელი არმია მას მხარში ედგა და ყველა ისინი ეროვნული მოძრაობის სასარგებლოდ განეწყო იმიტომ, რომ ბატონმა სიგუამ დაიკავა ასეთი პოზიცია.

გიორგი გულბანი: თქვენიზ სიგუას და მისი მსგავსი მოლალატეების პრობლემა ის არის, რომ მაგათ მართლა წარმოიდგინეს, რომ პრემიერ-მინისტრები არიან, პარლამენტის წევრები არიან და ა. შ. მაგათ ეგონათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ცივილიზებულ გარემოში, რუსეთს ვგულისხმობ, სადაც შეიძლება პარლამენტარული გზით, სამართლებრივი გზით რაღაცის მიღწევა. ეს მიდგომა არის შეცდომა. სხვა რა ჰქონდათ შეცდომა და დანაშაული, ეს ცალკე თემაა. მე, პირადად, არ მიფიქრია, რომ მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი. ჩემთვის ეს იყო ბრძოლა, ეს იყო დროებითი ბრძოლის ფორმა, რომელიც იმ მომენტში იყო საჭირო. პარლამენტარად ჩემი თავი არ მიგრძნია. სანამ ხმლის ქნევა დაიწყებოდა, მანამდე კანონების წერა იყო საჭირო და მერე ხმლის ქნევის დრო მოვიდა. ეს იყო ბუნებრივი გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, იმიტომ, რომ საქართველო მაშინ არ იყო, და არც ახლა არ არის, დამოუკიდებელი სახელმწიფო ცივილიზებულ გარემოცვაში. ჩვენ გვყავს ველური მეზობელი, ეს რეალობაა. რასაც ეგენი ჩეჩენეთში აკეთებენ, ეს არის ველურობა, დანაშაულის გარდა.

ნინო თომაძე: რა, ამერიკა ნაკლებია? დღეს ისეა წარმოჩენილი, რომ ამერიკა არის დემოკრატიის აკვანი და რუსეთი არის რაღაც საშინელება. ჩემი აზრით, არც ამერიკა და არც რუსეთი ერთმანეთისგან არ განსხვავდება ხალხის მკვლელობის და ხალხის დამცირების მასშტაბებით.

გიორგი გულბანი: ძირისძირში მართალი ბრძანდებით, მაგრამ ერთი არსებითი განსხვავებაა, ჩემი აზრით, შეიძლება ვცდებოდე: ამერიკას სისასტიკის ხარისხი ნაკლები აქვს. რუსეთი არის ძირისძირში ველური სახელმწიფო, რომელსაც თავისი ჯარისკაცის სიკვდილიც არ ადარდებს. საკმარისი რაოდენობის ამერიკელი ჯარისკაცების სიკვდილმა გამოიწვია ის ამბავი, დღეს რომ ერაყიდან ეგენი გადიან, ანუ მოკლევადიანია ის სიველურე, რასაც ისინი სჩადიან. რუსეთის სიველურე არის უსასრულო. აი, ეს არის პრობლემა. ჩვენი ძირითადი პრობლემა და მტერი რუსეთია, მიუხედავად იმისა, რა დგას მის უკან. ეს არის ის მონსტრი, რომლის მორევა ძალიან რთულია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ აცხადებდით ამას ხმამაღლა, რომ ეს არ არის დამოუკიდებელი, ცივილიზებული ქვეყნის მდგომარეობა და, მაშასადამე, მართვა ამ ქვეყნის შეუძლებელი იყო ისე, როგორც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება და პარლამენტის როლი და მნიშვნელობა სრულიად არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო? ეს მარტო თქვენი დამოკიდებულება იყო, თუ თქვენ გეგულებათ ვინმე ამ უზენაეს საბჭოში, რომელიც ასევე მსჯელობდა, როგორც თქვენ?

გიორგი გულბანი: მართალი გითხრათ, ამ თემაზე არ მისაუბრია არა-ვისთან, მაგრამ მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ განწყობილება ასეთი იყო არა მარტო პარლამენტში, არამედ ერშიც, იმიტომ, რომ არანაირი ბარიერი ჩვენსა და რიგით ქართველს შორის არ არსებობდა. არც დაცვებით დავდიოდით, ჩვეულებრივად დავდიოდით ქუჩაში, როგორც, წესით, ნორმალურ ქვეყანაში ადამიანი უნდა დადიოდეს. არანაირი დაპირისპირება ხელისუფლებასა და ერს შორის არ ყოფილა.

ნათელა ვაჩნაძე: მე მახსოვს ძალიან სავალალო და მძიმე სცენები, როდესაც პარლამენტის წევრებს — არ ვიცი, ეს რა ნაწილი იყო საზოგადოების, ან რომელი ფენა იყო — შეურაცხყოფასაც აყენებდნენ, არ ატარებდნენ პარლამენტის სხდომებზე, არ უშვებდნენ შენობაში, გადაუდგებოდნენ მრისხანე სახეებით, მრისხანე შეძახილებით და, ერთი სიტყვით, შეურაცხჲყოფდნენ. თქვენც გემახსოვრებათ.

გიორგი გულბანი: მახსოვს ეგ ამბავი ნამდვილად. გავითვალისწინოთ, რომ ახლოვდებოდა პუტჩი, რომელიც, პრაქტიკულად ყველამ იცოდა, რომ შეიარაღებულ გადატრიალებას აპირებდა რუსეთი საქართველოში, ვითარება იყო დაძაბული და ადამიანების რაღაცა ჯგუფი იყო ემოციურად თავშეუკავებელი. როდესაც იცით, რომ ხვალ ვიღაცა უნდა მოვიდეს და სახლი დაგირბიოს, დღეს არ შეიძლება იმას თავაზიანად გაულიმო. ეს იყო სრულიად ნათელი, რასაც ისინი აპირებდნენ, სრულიად. ეს იყო ერთი ჯგუფი პარლამენტში, მეხუთე კოლონა რუსეთის იმპერიის, რომელსაც სურდა შიგნიდანაც აერია სიტუაცია. მათ სურდათ პარლამენტისა და პრეზიდენტის დაპირისპირება, პარლამენტი დაეპირისპირებინათ ბატონი ზვიადისთვის. მერე ხომ გამოაცხადა ჯაბა იოსელიანმა ფორმულა — ყველა მინუს ერთი.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, ბატონ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა რამე არსებითი შეცდომა?

გიორგი გულბანი: არანაირი. უცდომელი უფალია მხოლოდ, რა თქმა უნდა, მაგრამ აქ არის საუბარი შეცდომაზე, რომელმაც გამოიწვია ჩვენი ქვეყნის დანგრევა და დარბევა.

ნინო თომაძე: ოპოზიციის ძალიან ბევრი წარმომადგენელი ამბობს და არა მარტო ოპოზიცია, სხვათა შორის, ზვიადის მომხრეთა დიდი ნაწილიც აღნიშნავს, რომ ბ-6 ზვიადს ძალიან ბევრი ადამიანი ატყუებდა.

გიორგი გულბანი: მე მეცინება მაგაზე. შეიძლება, მაგალითად, ბატონი ზვიადი მოეტყუებინათ ყოფით საკითხებში.

ნინო თომაძე: ამბობენ, რომ როცა პრეზიდენტს აბარებდნენ ანგარიშს, ყველა ატყუებდა.

გიორგი გულბანი: მე ვერ დავეთანხმები მაგას. მეც ვაბარებდი ანგარიშს და არ მომიტყუებია. ყველას აქვს შეცდომები და წვრილმანი შეცდომები ბატონ ზვიადსაც, ალბათ, ჰქონდა.

ნინო თომაძე: ამერიკის ლანდლვა-გინება, ბუშის გინება... ოპოზიცია ამბობს, რომ ეს ბ-ნმა ზვიადმა გააკვეთა.

გიორგი გულბანი: ამერიკის არანაირ ლანდლვა-გინებას ადგილი არ ჰქონდა.

გამოვიდა ბუში და თქვა, ეს ადამიანი დინების წინააღმდეგ მიცურავსო.

ნათელა ვაჩაძე: ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ არ უგინებია... როდესაც საქართველოს ერთ-ერთმა მოქალაქემ დაურეკა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და უთხრა, რომ ახლა გამობრძანდა ამერიკის პრეზიდენტი და თქვა, რომ ეს ადამიანი – სახელი და გვარი არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა ზვიად გამსახურდია – დინების წინააღმდეგ მიდისო... საქართველოში მაშინ იყო შუალამე, იყო ლამის 3 საათი. აღმოჩნდა, რომ ზვიად გამსახურდიასაც მოუსმენია ეს და უნახავს ბუშის ეს გამოსვლა, უფროსი ბუშის. კი, მე ვნახე და მოვისმინეო და მაგას გადაეციო, რომ მდინარეს მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო.

გიორგი გულბანი: ტყუილია რამე? განაჩენი გამოტანილი იყო უკვე. ეს არ იყო დამოკიდებული ბატონი ზვიადის მოქმედებებზე, უბრალოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ეს არ არის ჩემი ფანტაზიის ნაყოფი.

ნათელა ვაჩაძე: ერთ ადამიანთან უფრო ადვილია ურთიერთობა, რაგინდ საშინელიც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, ისე, ძალიან მნიშვნელოვანია ერთიან იმპერიასთან ურთიერთობა ---- უკვე გამონახული იყო საერთო ენა ბატონ გორბაჩივთან, უკვე იყო იქ თავისთავად ქვეყნის დაშლის მომენტები, სლავისტები და სოვეტოლოგები დიდ კონსულტაციებს უწევდნენ ამერიკის პრეზიდენტს, ძალიან კარგად იყო ყველაფერი ცნობილი და ამ ერთ ადამიანთან ამერიკის პრეზიდენტისათვის გაცილებით ადვილი იყო ურთიერთობა პოლიტიკურ ენაზე, ვიდრე დაშლილი ქვეყნის უამრავ ნახევრად დამოუკიდებელ და ნახევარფაბრიკატების დონეზე მყოფ ქვეყნებთან, რომელთაგან ზოგი, მართლაც, ველური ქვეყანა იყო.

გიორგი გულბანი: რუსეთი. გეთანხმებით ყველაფერში. მაინც, რომ ეს არ იყოს ვარაუდის დონეზე, ბუშის სახელმწიფო მდივანი უკრაინაში იყო ჩასული, ამის მოძიება უმარტივესია, სადაც პირდაპირ განაცხადა: ვინც შლის საბჭოთა კავშირს, ის არის დემოკრატიის წინააღმდეგი. მე ახლა იმის თქმა მინდა, რომ ოპოზიციის ჭორაობა ბატონი ზვიადის შეცდომებზე არის უსაფუძლო, იმიტომ, რომ აქ იყო პრინციპული საკითხი დაყენებული — ჩვენ არ გვინდა ამ იმპერიის დაშლა და ბატონმა ზვიადმა თქვა — ჩვენ არ გვინდა ამ იმპერიის ნაწილები ვიყოთ. ეს არის პრინციპული დაპირისპირება. ახლა მე გისვამთ თქვენ კითხვას — რა უნდა გვექნა, დავრჩენილიყავით რუსეთის შემადგენლობაში? პუტინის თავიდან არიდების ერთადერთი საშუალება იყო რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს დარჩენა. დავრჩენილიყავით მონობაში? მართალია, ვერ გამოვეგლიჯეთ ამ რუსეთს ჯერჯერობით, მაგრამ,

ფაქტობრივად, ქართველმა ერმა განაცხადა, არ გვინდა, ბატონი, ამ მონობაში ცხოვრება. ეს არის ფაქტი, ეს ჩვენ დავამტკიცეთ. დღეს ესენი რომ ყელყელაობენ რაღაცებს, მიშა სააკაშვილი და ვიღაცები, ჩვენგან იწყება საქართველოს ისტორიაო, რაზე დგას ეს ყველაფერი? ეს დამოუკიდებლობის აქტზე დგას, დამოუკიდებლობის აქტის შედეგი იყო პუტინი, ანუ ჩვენ ვთქვით, არ გვინდა მონობა და ვისაც მონობა უნდა, იმას შეიძლება არ უნდოდა ომი და უბედურება.

ნათელა ვაჩნაძე: იმისთვის შეცდომა იმ ადამიანის ქცევა, რომელსაც არ უნდა მონობა.

გიორგი გულბანი: მეტსაც გეტყვით, მათთვის გაუგებარი და გამაღიზიანებელი არის ზვიად გამსახურდია ამიტომ. მონისთვის გაუგებარია, რა უნდა მართავდეს ადამიანს, რომელიც მაძლარ მონობას მშიერ სიკვდილს ამჯობინებს. მათთვის გაუგებარია, რატომ შეწირა ზვიად გამსახურდიამ თავი ქვეყანას. ეს არის მათთვის აბსოლუტურად გაუგებარი ფაქტი და ძალიან გამაღიზიანებელი. აქედან გამომდინარე, ამაზე არიან გაგიჟებული, რატომ შეუძლია იმას ისეთი რაღაცის გაკეთება, რაზეც ეს გაფიქრებასაც ვერ ბედავს, კანკალებს ამის წარმოდგენაზე.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იცით, რამხელა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შენ მიეჩვიე ასეთ ცხოვრებას.

გიორგი გულბანი: მაშინ იყავი შენს ნაჭუჭში და რატომ მიძვრები იქ, სადაც არ იცი, რა ხდება. თუ არც მონაცემი გაქვს, არც ძარღვი გაქვს და არც გამბედაობა, დაანებე მაგას თავი.

ნათელა ვაჩნაძე: ვერ წარმოედგინათ რუსეთის გარეშე ცხოვრება ძალიან დიდ სწავლულებს, განსწავლულ ადამიანებს, ინტელიგენტებს, წამყვან მეცნიერებს. მე ბევრისგან მსმენია — ვაიმე, რა გვეშველება რუსეთის გარეშე, რა გვეშველება, დავინგრევით, დავიქცევით, გადაგვსრესავენ, ამოვწყდებით, იყო შიში. ადამიანებს შვილები ჰყავდათ, შვილიშვილები, ოჯახები და ჰქონდათ ამის შიში. ადამიანურ პლანში ესეც გასაგებია.

ნინო თომაძე: დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ რომ ვისწრაფით, გვაქვს ბაზა, რომ დამოუკიდებელი ვიყოთ?

ნათელა ვაჩნაძე: ბალტიისპირეთი რატომ იბრძოდა, ნინო?

ნინო თომაძე: იმათ ევროპამ დაუჭირა მხარი.

ნათელა ვაჩნაძე: რუსეთს არ მიუწვდებოდა ბალტიისპირეთზე ხელი? ეპროპამ კი არ დაუჭირა მხარი, იქ საზოგადოება იდგა ძალიან მაღალ საფეხურზე, ბალტიისპირეთში საზოგადოებამ ვერ მოასწრო გახრნა, იმიტომ, რომ ძალიან გვიან შემოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, თანაც არავითარი ოფიციალური საფუძველი ამას არ ჰქონდა. თქვენ როგორ გვინიათ, ბალტიისპირეთის ქვეყნებში არავითარი უთანხმოება არ იყო თავად ამ ქვეყნებს შორის, ან შიგნით თითოეულ ქვეყანაში?..

გიორგი გულბანი: როგორ არ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ... მე ხშირად ვიყავი ხოლმე ბალტიისპირეთში და ძალიან კარგად ვიცი მათი ურთიერთობები, მათი წყალქვეშა დინებები, ფენებს შორის ურთიერთობა, ქალაქებს შორის ურთიერთობა, ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობა, მაგრამ როდესაც საქმე მიდებოდა საბჭოთა კავშირის კლანჭებიდან გამოძრომაზე და თავის დაღწევაზე... გახსოვთ, 21 აგვისტოს აქტი, როგორ ჩასჭიდეს ერთმანეთს ხელი, ყველა სიყვარულით იყო გამსჭვალული ერთმანეთის მიმართ? სიმტკიცე ჰქონდათ, შინაგანი სიმტკიცე იყო საზოგადოებაში.

გიორგი გულბანი: მოდით, ისევ ფაქტებს დავეყრდნოთ. ბალტიის ქვეყნები არასდროს არ უღიარებია დასავლეთს საბჭოთა კავშირის ნაწილად. ეს იყო გარიგების ნაწილი — არ დავშლით თქვენს საბჭოთა კავშირს, მაგრამ ბალტიის ქვეყნები უნდა გამოეყოს. საქართველო დარჩა აქეთკენ.

ნათელა ვაჩნაძე: თავიდან ასე არ იყო, თავიდან ბალტიისპირეთთან ერთად საქართველოს გათავისუფლების საკითხიც იდგა.

გიორგი გულბანი: ამისი არანაირი მამტკიცებელი საბუთი არ არსებობს და ბალტიისპირეთის შემთხვევაში ამის მამტკიცებელი საბუთი არსებობს. დღენიადაგ ისინი ამბობდნენ: ბალტიისპირეთის ქვეყნების ანექსიის შედეგები უნდა იქნეს ლიკვიდირებული, ანუ ბალტიისპირეთის ქვეყნები უნდა გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

ნათელა ვაჩნაძე: და საქართველოს ანექსია არ მომხდარა?

გიორგი გულბანი: არ უღიარებია არავის, იურიდიული აქტი, ან ოფიციალური პოლიტიკური განცხადება ამის შესახებ არ ყოფილა. პირიქით, გამოვიდა ბუში და თქვა, ეს კაცი დინების ნინაალმდევ მიცურავსო. რა დინებაზე იყო საუბარი, რა ჰქონდა დასაცინი ბატონ ზვიადს, როგორც ქვეყნის ლიდერს? არაფერი. გვეუბნებოდნენ, დარჩით მონობაში, ვეუბნებოდით, არ დავრჩებით მონობაში. როდესაც ჩამოვიდა ნიქსონი — ვინც ესწრებოდა, შეგიძლიათ იმას ჰქითხოთ — პირდაპირ უთხრა ბატონ ზვიადს, თქვენ ძალიან გაბედული კაცი ხართო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ესწრებოდა ამ სხდომას?

გიორგი გულბანი: ალბათ, გუგუშვილი, დაცვიდან ხომ იქნებოდა ვიღაცა, ან ვიღაცა ხომ იყო იმ დარბაზში, რახან გავიგე. ნიქსონი ჩამოვიდა იმისათვის, რომ ბატონ ზვიადს ეთქვა: კი, ჩვენ დავრჩებით ამ მონობაში, მაგრამ უთხრა, რომ არ დავრჩებით. კიდევ ერთხელ გეკითხებით, დავრჩენილიყავით ამ მონობაში?

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი მიზანი მონობაში დარჩენა კი არ იყო, თქვენი მიზანი იყო ქვეყნის გათავისუფლება მონობიდან.

გიორგი გულბანი: ჩვენი კი არა, ერის. ერის სურვილი იყო ეს და ჩვენ ვასრულებდით ერის სურვილს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენი აზრით, 28-ში თუ კაპიტულაციას აპირებდა თენ-გიზ კიტოვანი...

გიორგი გულბანი: გაქცევას.

ნათელა ვაჩნაძე: ... გაქცევას, ასე გამოდის, რომ რუსის ჯარმა პლუს ჯაბა იოსელიანმა დიდი როლი ითამაშეს ამ გამარჯვებაში?

გიორგი გულბანი: ჯაბა, არა მგონია. ჯაბას ჰყავდა ბანდა. ბანდას ომი არ შეუძლია, მოგეხსენებათ. კიტოვანსაც ჰყავდა ბანდა, იმიტომ, რომ ჯარი არ შეიძლება დაუპირისპირდეს საკუთარ ერს და საკუთარ სახელმწიფოს. ბანდა ვერ იბრძვის, ბანდა ძარცვავს, ანიოკებს. იბრძოდა იქ რუსი. ტანკის ტარებაც არ იცოდნენ ამათ. . . . ტანკში იჯდა რუსი, ჯავშანტრანსპორტიორში იჯდა რუსი, ქვემეხს ვინც გვესროდა, რუსი არტილერისტი იყო და როგორ მოიგეს ომი კიტოვანმა და იოსელიანმა, გამაგებინეთ. . . . იდგნენ იქ და სტატისტებივით უყურებდნენ ამას ყველაფერს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იმ მომენტში სად იყავით, ბატონო გიორგი?

გიორგი გულბანი: მთავრობის სახლში, პარლამენტის შენობაში, სასადილოში და არა ბუნკერში, როგორც ესენი ამბობენ. ბუნკერის წინააღმდეგი კი არა ვარ, როგორც ცნების, მაგრამ ამათ სურდათ, ჰიტლერის ბუნკერთან გაეკეთებინათ ანალოგია. საქმე ის არის, რომ ნამდვილი ბუნკერი არსებობს, მაგრამ იმ ბუნკერში ვერ ჩავედით იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ვერ მივაგენით კარებს და მერე კარების მიგნებაც არ ისურვა ბატონმა ზვიადმა. იმ ბუნკერში როგორც შესასვლელია, ისე გამოსასვლელიცაა. ჩვენ რომ ჩავსულიყავით იმ ბუნკერში, შეიძლება მეორე მხრიდან შემოსულიყვნენ ჩეკისტები და სუსველა ერთად დავეჭირეთ. ამიტომ ჩვენ ვიყავით სასადილოში და ყველა კარები სასადილოსი იყო გამაგრებული. მე იმის თქმა მინდა, რომ ეს კომფორტი არ იყო, მაგრამ შედარებით უსაფრთხო იყო, თუმცა სასადილო დიდხანს დაბომბვებს ვერ გაუძლებდა.

ნინო თომაძე: პირველი ტყვია ვინ გაისროლა?

გიორგი გულბანი: პირველი ტყვია, რა თქმა უნდა, ქაშუეთიდან გაისროლეს მაგათ, მაგრამ მე გისვამთ მეორე კითხვას — რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაისროლა პირველი ტყვია? რა უნდოდა შეიარაღებულ ხალხს მთავრობის სახლთან? პირველი ტყვია ჩვენ რომ გაგვესროლა, აბსოლუტური უფლება გვქონდა მაგისი. ქაშვეთის ეკლესიის სახურავზე იჯდა მეტყვიამფრქვევე, ვინც გაისროლა პირველი ტყვია. შემიძლია ხაზგასმით ვთქვა, რომ არავითარი კავშირი ამას ეკლესიასთან არ აქვს. ბანდიტები შევიდნენ და დაიწყეს სროლა, მღვდელი დაუდგებოდა წინ თუ...

ნათელა ვაჩნაძე: მე მსმენია, რომ იარაღიც იყო ქაშუეთში.

გიორგი გულბანი: ქაშვეთის თემა სხვა თემა და სასულიერო პირები, ვინც იქ მოღვაწეობენ, იმათ შეუძლიათ მოგითხოვნ, როგორ მოხდა ქაშვე-

თის აღება, ვიღაცა სასულიერო პირმა ხელი შეუწყო, თუ ესენი ძალით შეიჭრნენ, ეს უმნიშვნელოა.

ნათელა ვაჩნაძე: არა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მე მესმის, თქვენ რაც გინდათ თქვათ, რომ რაღაც სიწმიდეები არსებობს ერში და მოდით, ნუ შევეხებით ამ სიწმიდეებს, აი, ეს არის მთავარი, ხომ?

გიორგი გულბანი: ამის უფლება, ჯერ ერთი, არ მაქვს და ღმერთმა დაგვიფაროს.

ნათელა ვაჩნაძე: ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, მაგრამ რა ვქნათ, რომ იქ იარაღი იყო, აქ, შეიძლება, ძალადობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცით. რომელი სახელმწიფო აიტანს იმას, რომ შეიარაღებული ხალხი გამოვიდეს მთავრობის სასახლის წინ, შეიძლება, არც ისროლოს, მაგრამ თოფით იდგეს?!

გიორგი გულბანი: აბა, ახლა გამოვიდეს ვინმე იარაღით მთავრობის სასახლის წინ და რას უზამენ, ვნახავთ, ვინმე თუ ამოილებს ხმას?! ახლა თუ არ შეიძლება, მაშინ რატომ შეიძლებოდა, რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვალა? ერთი რამ მინდა კიდევ გითხრათ — საქართველოში უზარმაზარი უსამართლობა ტრიალებს და, რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ ეს ქვეყანა გამოსწორდეს, მაგრამ არაფერი არ შეიცვლება, თუ ძირი ამ უსამართლობის არ იქნა მხილებული მაინც. მე არ მაქვს საუბარი იმაზე, ---- არც სისხლისმსმელი ვარ, --- რომ ვიღაცები დახვრიტონ და ციხეებში ჩაყარონ, მაგრამ ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყო მართალი და ვინ იყო მტყუანი. დამნაშავეები დღეს არიან ხელისუფლებაში, ან კრწანისში კოტრიალობენ, ხოლო მსხვერპლი არის ქართველი ერი და არა ბატონი ზვიადი და პარლამენტი. ერი დაისაჯა, ერი გავაუბედურეთ ამ ვიგინდარების, ამ არაკაცების დანაშაულის გამო, რომლებიც დღესაც დაიბლინძებიან და ტელეეკრანთან არიან ოპოზიციაში და პოზიციაში. ეს არის კიდევ მეორე უბედურება, ოპოზიციაში ადგილი აღარ დარჩა, შენს სათქმელს შალვა ნათელაშვილი ამბობს. და როგორც კი რაღაცას იტყვი, შალვა ნათელაშვილის მიმდევარი ხარო, და ეს შეურაცხყოფა ჩემთვის.

ნინო თომაძე: ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, ყველა ერი იმ მთავრობის ღირსია, რომელიც ჰყავსო. იქნებ არის ამაში ლოგიკა?

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა, ეს ესეც არის საქართველოში. ამას მიზეზები აქვს. მე ერის შეურაცხყოფა მიმაჩნია ყველაზე დიდ უზრდელობად, იმიტომ, რომ ადამიანმა საკუთარი თავით უნდა დაიწყო. ერზე რომ ილაპარაკო, ჯერ შენ თავში უნდა ჩაიხედო, შენს შეცდომებს მიხედო და მერე უნდა ილაპარაკო ერზე.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, „ვარდების რევოლუცია“ არ მომხდარა?

გიორგი გულბანი: რა რევოლუცია! გადასცა ხელისუფლება. უბრალოდ შევარდნაძე ბოლომდე ჯიუტობდა თავისი უტვინობის გამო. თქვენ შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ ეს არის უაღრესად უტვინო

კაცი. შეიძლება რაღაცა სხვა თვისებები აქვს, ბოროტების გაკეთება შეუძლია, დაუნდობელია, მაგრამ საოცრად უტვინო კაცია. მთელი მსოფლიო ეუბნებოდა, გადადექიო და ვერ მიხვდა, სანამ პარლამენტიდან არ გაიტანეს. ბოლოს რუსეთის იმედი ჰქონდა. ჩამოვიდა ივანოვი და უთხრა, ჩვენ არ დაგეხმარებით, გადადექიო. ამერიკის ელჩი როცა გეუბნება, გადადექიო, უნდა გადადგე, დამთავრდა შენი დღები! ამერიკის ელჩმა რომ უთხრას მიშა სააკაშვილს გადადექიო, არ გადადგება? გადააყენებენ მაშინ, როგორც ის გაიტანეს პარლამენტიდან, ისე.

ნათელა ვაჩნაძე: გადადექი, გადადექი, გადადექი — ჩვენ რომ ვეუბნებოდით, არ გადადგა გამსახურდიაო.

გიორგი გულბანი: ჩვენ ვინ?

ნინო თომაძე: ოპოზიცია.

გიორგი გულბანი: ოპოზიცია ვინ იყო, რომ გადამდგარიყო. აქ არის საუბარი იმაზე, რომ ბატონმა უთხრა მონას, შევარდნაძეს, გადადექიო და მონა უნდა გადადგეს. და ოპოზიცია ვინ მეგდო, რომ ზვიადი, ხალხის მიერ არჩეული, გადამდგარიყო მაგათ რაღაც სიტყვაზე.

ნინო თომაძე: შევარდნაძეც მაგას ამბობს, მე ხალხის მიერ ვიყავი არჩეულიო, და სააკაშვილიც.

გიორგი გულბანი: კი, ბატონო, სააკაშვილი არჩეულია, სამწუხაროდ. შევარდნაძე როდის იყო არჩეული, საინტერესოა?! მე შემიძლია თქვენ დაგიდოთ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების დასკვნები ყველა იმ არჩევნებზე, რომლებიც საქართველოში ჩატარდა. ეს არ წარმოადგენს საიდუმლოებას, მათ აქვთ გამოქვეყნებული დასკვნები, როგორ ჩატარდა საქართველოში ე. წ. არჩევნები შევარდნაძის რეზიმის პერიოდში. არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ აქ ვცხოვრობდით და ვაკვირდებოდით მოვლენებს...

გიორგი გულბანი: კი, მაგრამ ერთი არის თქვენი აზრი და მეორე არის ამ პატივცემული ორგანიზაციების მიერ დადებული დასკვნები.

ნინო თომაძე: ე. ი. თქვენ ასე ფიქრობთ, რომ სააკაშვილის არჩევნები სწორად ჩატარდა, ხალხმა აირჩია?

გიორგი გულბანი: მე ასე მგონია, რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ოლონდ ის საშინელება ნასულიყო და ამას მისცეს ხმა, ბუნებრივია ეს. დღეს ვითარება, ალბათ, შეიცვალა, ჩატარდება არჩევნები, გამოჩენდება. მეც მიმაჩნია, რომ რაღაცა პროგრესი არის, შევარდნაძეს ყველა ჯობია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ტყულად ფიქრობთ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ბევრად ნაკლები ვიცით, ვიდრე ჩვენმა, თუგინდ ძალიან საპატივცემულო უცხოელმა დამკვირვებლებმა.

გიორგი გულბანი: ეგრე არ მითქვამს, ვერ გამიგეთ. მე გითხარით, რომ ჩემ-

სა და თქვენს სიტყვას არა აქვს ის ფასი, როგორიც “H Human Right Watch H”-ის დასკვნას აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს უცხოური პრესა ძალიან დიდი რაოდენობით, სა-დაც ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდად პატივცემული გაზეთების ფურცლებიდან უწოდებენ დიქტატორს, სადამ ჰუსეინს, ჩაუშესკუს.

გიორგი გულბანი: როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იძახის, რომ ეს კაცი დინების წინააღმდეგ მიცურავს, ეს არ არის საკმარისი ნიშანი ამერიკის პრესისთვის კამათისა? ქართულ მედიას თუ გადაავლებთ თვალს, ნახავთ, როგორ აკონტროლებენ ესენი, მართავენ. მართვის მეთოდები ამათი მოგონილია თუ იქიდან გადმოვიდეთ...

ნათელა ვაჩნაძე: საქმე კიდევ ისაა, რომ საქართველო არ იყო დამოუკიდებელი ქვეყანა და არ ჰქონდა მას დამოუკიდებელი გზები თუგინდ სააგენტოებთან, ძალიან დიდ, სერიოზულ უურნალ-გაზეთებთან, პირდაპირი კონტაქტები ხომ არ იყო? იყო ყველაფერი მოსკოვის გზით, იქიდან მოფრინავდნენ უცხოელი უურნალისტები. ბატონი თენგიზ სიგუა მეუბნებოდა, რომ დღე არ გავიდოდა ისე, ათი ძალიან სერიოზული გაზეთის ან სააგენტოს ნარმომადგენელი არ მოსულიყო ჩემთან და არ აეღო ინტერვიუ. ბატონი თენგიზი რომ უამბობდა, ისინი მიფრინავდნენ თავიანთ ქვეყნებში და დიდად ღირებულ გაზეთებში აქვეყნებდნენ ამას.

გიორგი გულბანი: მასმედია, ზოგადად, ძალიან ძლიერი იარაღია იმისათვის, რომ სახელმწიფომ ის ხელიდან არ გაუშვას და არც უშვებს, ასეა დასავლეთშიც. დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ არ მართოს ძირითადი გაზეთები და სატელევიზიო არხები, პატარ-პატარებს არა აქვს მნიშვნელობა. ეს იყო პოლიტიკური შეკვეთა, შეკვეთას ასრულებდნენ ისინი, ჩამოდიოდნენ საქართველოში და იღებდნენ ინტერვიუს იმათგან, ვისგანაც აწყობდათ. ჩეჩინეთშიც იგივე ხდება. უცხოელები ჩადიან ჩეჩინეთში და ინტერვიუს იღებენ ისეთი ადამიანებისგან, როგორიც არის მოლალატე კადიროვი, და არ იღებენ ინტერვიუს იმ გაუბედურებული ადამიანებისგან, რომლებსაც ყოველდღე ხოცავენ ქუჩებში. არ შეიძლება ისეთი გულუბრყვილო იყოს ადამიანი, იფიქროს, რომ თავისუფალი პრესა არსებობს, თან ამისთანა დიდ ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკას მართავენ, ეგ გამორიცხული ამბავია.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ გექნებათ ფინური პრესის მასალები.

გიორგი გულბანი: ფინური პრესა ნეიტრალურია, პატარა ქვეყანაა და მაინც დამაინც ამ საკითხებში არ არის გამორჩეული. თუმც ფინეთში არის ერთი ადამიანი, რომელსაც უზარმაზარი დრო და ენერგია აქვს ჩაქსოვილი ამ საქმეში. ეგ არის აილა ნიინიმა.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ ცნობილი არის, ცნობილი არის ჩემთვის ისიც, როგორ

იღვწოდნენ იმისთვის, რომ ბატონი ზვიადი ჩასულიყო ფინეთში, მაგრამ ფინეთის ხელისუფლებამაც, ბუნებრივია, პატარა ქვეყნის ხელისუფლებამ, სასიკეთო ვერაფერი გააკეთა. ერთადერთი ის იყო, რომ როდესაც დამთავრდებოდა ყველაფერი, მაშინ მას ვიზა მიეცემოდა, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს და სრულიად არ გაუწიეს იმას ან-გარიში, რომ ბატონმა ზვიადმა პირველმა შექმნა ჰელსინკის კავშირის ჯგუფი და პირველმა თარგმნა ეს დოკუმენტი.

გიორგი გულბანი: ერთი თვით დაუგვიანეს. იყო შევედრა ჰელსინკიში და იმის მაგივრად, რომ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი მიეწვიათ, სისხლისმსმელი ჯალათი მიიწვიეს, შევარდნაძე. ეს პოლიტიკის ნაწილია. ვერ გაუძლო დაწოლას ფინეთის მთავრობამ და ვიზა ერთი თვით დაუგვიანეს ბატონ ზვიადს.

ნათელა ვაჩნაძე: რამდენადაც მე მახსოვს, ბატონი ზვიადის სურვილი იყო ბატონ შევარდნაძესთან დებატებში მონაწილეობა აშკარად და ღიად. თუ გსმენიათ ამის შესახებ რაიმე?

გიორგი გულბანი: ვერ ვიხსენებ, მაგრამ, ალბათ ესეც იყო.

ნინო თომაძე: ბ-ნმა ზვიადმა სთხოვა შევარდნაძესო, ჩამოდი და ემსახურე შენს ხალხსო, შევარდნაძემ უარი უთხრაო. თუ გაქვთ ამაზე რაიმე კომენტარი?

გიორგი გულბანი: პირდაპირ გამოაცხადა პარლამენტის სხდომაზე, მე რაც მოვისმინე, ეს არის: საჯაროდ განაცხადა, რომ იქნებ ვიღაცას გაკავშირებთ ნათესაური, მეგობრული კავშირი ამ ადამიანთან, წაპრძანდით, გამოიყენეთ ყველა საშუალება, იქნებ დაანებოს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას თავი. ეს განაცხადა პარლამენტის სხდომაზე. სტენოგრამაში იქნება.

ნათელა ვაჩნაძე: სისხლსავსე არ არის ეს სტენოგრამები, ზუსტი თავიდან ბოლომდე არ არის. როგორც მე მითხრა ერთ-ერთმა ჩემმა თანაავტორმა, – მან ნახა უზენაესი საბჭოს სხდომის ყველა ოქმი – რომ ბევრი ძალიან კარგად არის დაწერილი, არის სრულფასოვანი, ანუ ყველა საკითხი დეტალურად არის განხილული და ზოგი არ არის ასე დაწერილი.

გიორგი გულბანი: ძალიან ბევრი დეპუტატი დაგიდასტურებთ ამას, ეს იყო ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე. რაც შეეხება ბატონი ზვიადის ევროპაში მოგზაურობას, ამასთან დაკავშირებით მერაბ კიკნაძეს აქვს არაჩვეულებრივი წერილი, გამოქვეყნებული „24 საათში“. იმისათვის, რომ ახალგაზრდობა გაერკვეს რა ხდება, ერთი სტატია აქვს მერაბს, სახელი აღარ მახსოვს, სადაც ის ლაპარაკობს იმაზე, თუ რა ქმნის ერს. მერაბი ამბობს, რომ მარაბდის ომზე სხვადასხვა აზრი რომ ყოფილიყო, დღეს საქართველო არ იარსებებდაო. ასევე ამ პუტჩიზე ---სანამ სხვადასხვა აზრი იარსებებს, მანამდე საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგება.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია – პრივატიზაცია.

რატომ არ მოხდა პრივატიზაცია, სულ არის ამაზე გაუთავებელი ლაპა-
რაკი. კიდევ მაინტერესებს მიწების საკითხი.

გიორგი გულბანი: ძველი ანეგდოტია, ქუდი რატომ არ გახურავსო. რა პრი-
ვატიზაციაზეა ლაპარაკი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველო იყო
რუსეთიდან თავის დახსნის გზაზე დამდგარი. ესენი ისე ლაპარაკობენ,
თითქოს ჩვენ ბრიტანეთის პარლამენტის წევრები ვყოფილიყავით და
კანონები ვერ მივიღეთ. ჯერ ერთი, არც ერთი კანონი არ მიგვიღია
არასწორი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობია მიღებული კანონის
უარყოფითი შედეგი. ეს იყო საბაბის ძებნა. პრივატიზაცია რა საჩქარო
იყო?. რომ გავყიდეთ მთელი საქართველო, სად მიდის ეს ფული? რა
მოვიგეთ აქედან? რამდენი წელი გავიდა? ის ადამიანები, ვინც პრი-
ვატიზაციის მომხრები იყვნენ და საქართველოს აყვავების, მერე ხომ
მოვიდნენ ხელისუფლებაში, იარაღის ძალით, მაგრამ ხომ მოვიდნენ?

ნათელა ვაჩნაძე: იმავე წუთში დაიწყო პრივატიზაციაო.

გიორგი გულბანი: რა გააკეთეს, რა არის ამ პრივატიზაციის შედეგი? ერთი
დადებითი მაჩვენონ. რა გააკეთა თენგიზ სიგუამ, რომელმაც, ქართვე-
ლი ერის სისხლზე დამდგარმა, მოიპოვა ხელისუფლება?! რა გააკეთა,
რომლის დადებითი ეკონომიკური შედეგი დღეს შეიძლება დავინახოთ.
დაქცეული არის ქვეყანა. ენები რომ ჰქონდათ გადმოგდებული, ორმე-
ტრიანი, რა გააკეთეს ამ თხუთმეტი წლის მანძილზე, მაგათ ხელში არ
არის ქვეყანა?

ნათელა ვაჩნაძე: პურის ფასებზეც ლაპარაკობენ.

გიორგი გულბანი: პირველი შემთხვევაა, მე მგონი, მსოფლიო ისტორიაში,
რომ პურის გაიაფების გამო გადატრიალება მოეწყოთ. პურის გაძ-
ვირებას მოჰყვებოდა ბუნტები და პურის რატომ არ აძვირებო, ამის
გამო გამოვიდნენ და თოფი ესროლეს პარლამენტს და პრეზიდენტს?
იცით, შეუსაბამობაზეა ლაპარაკი. მე რომ ქუჩაში შეგხვდეთ და არ
მოგესალმოთ გულთბილად და ამის გამო თქვენ მომიტრიალდეთ და
ტყვია მესროლოთ, ასეთ შეუსაბამობაზე მაქვს საუბარი. ესენი რა-
საც მიედ-მოედებიან, არის არა თავაზიანი საღმის გამო ნასროლი
ტყვია. ამათ ტყვიის სროლა უნდოდათ, დავალებული ჰქონდათ და
ეძებდნენ საბაბს.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლებოდა თუ არა ქართულ ინტელიგენციასთან საერ-
თო ენის გამონახვა?

გიორგი გულბანი: კარები ლია ჰქონდა, კარები ლია ჰქონდა და ეპატიურებო-
და ბატონი ზვიადი, ერთი-ორჯერ შეხვედრაც მოუწყო პარლამენტში,
მახსოვს კარგად.

ნათელა ვაჩნაძე: მაგალითად, ვის?

გიორგი გულბანი: იყვნენ მწერლები, პოეტები.

ნინო თომაძე: ნოდარ დუმბაძე არ უყვარდაო და რატომ არ უყვარდა?

გიორგი გულბანი: ნოდარ დუმბაძე მეც არ მიყვარს, შევარდნაძის მეხოტბე იყო ეს კაცი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გადასარევი ნაწარმოებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნოდარ დუმბაძე, როგორც მოქალაქე, რამე კარგს წარმოადგენდა.

ნათელა ვაჩნაძე: მოდით, კონკრეტულ პიროვნებებს თავი დავანებოთ, მე ზოგადად მაინტერესებდა, --- ე. ი. იყო მცდელობა ხელისუფლებისაგან, რომ საერთო ენა გამოენახა ქართულ ინტელიგენციასთან? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინტელიგენცია არ იდგა ხელისუფლების მხარეს ---- ბევრი ქართველი ინტელიგენტი იდგა ხელისუფლების მხარეს, რამდენსაც გინდათ, იმდენს დაგისახელებთ ასეთ ადამიანს, მაგრამ ძალიან ბევრი განუდგა ხელისუფლებას. თუ ისმოდა შეურაცხმყოფელი სიტყვები?

გიორგი გულბანი: იყო ფაქტის კონსტატირება, როდესაც წითელ ინტელიგენციაზე იყო საუბარი. დავიწყოთ თავიდან, რას ნიშნავს ინტელიგენცია. ინგლისურ ენაში სიტყვა ინტელიგენცია, „ინტელიგენცი“ ნიშნავს დაზვერვას. სხვა მნიშვნელობა ამ სიტყვას არ გააჩნია.

ნინო თომაძე: ენციკლოპედიაში, როგორც ქართულში, ისე რუსულში, „ინტელიგენტი“ ნიშნავს განათლებულ ადამიანს, ისეთ ადამიანს, რომელიც გონებრივი შრომით შოულობს ფულს.

გიორგი გულბანი: ეს მნიშვნელობა ამ სიტყვამ რუსეთის იმპერიაში შეიძინა, „Intelligence“ არის დაზვერვა. რუსეთის იმპერიაშიც იყო განათლებული ადამიანების ჯგუფი, რომლებიც იყვნენ რუსეთის ოხრანკის დაზვერვის წევრები. ეს მერე, კომუნისტურ ეპოქაში გადმოვიდა. „წითელ ინტელიგენციას“ იმიტომ უწოდებდა ბატონი ზვიადი, რომ ეს იყო გონებრივად მშრომელი, ნიჭიერი ადამიანების პრივილეგირებული ფენა, ანუ თუ არის ორი ნიჭიერი მწერალი, ერთი კომუნისტებთან თანამშრომლობს, მეორე არ თანამშრომლობს. ვინც თანამშრომლობს, მას აქვს თანამდებობა, იბეჭდება მისი წიგნები, მიდის წინ, ხდება პოპულარული. ვისაც არ აქვს ეს, რჩება უცნობი, რა თქმა უნდა, თუ არ არის ის თვითნაბადი ფენომენი.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ გალაკტიონი ყოფილიყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე?

გიორგი გულბანი: შეუძლებელია.

ნინო თომაძე: ოპოზიცია საუბრობს დადასტურებულ ვერსიაზე, რომლის მიხედვით თავად კონსტანტინე გამსახურდია თანამშრომლობდა კგბ-თან.

გიორგი გულბანი: ვინ დაადასტურა?

ნინო თომაძე: მათი თქმით, —— კგბ-ს ისეთმა თანამშრომლებმა, ვისაც რომ არ ენდო, არ შეიძლება.

გიორგი გულბანი: არა, კგბ-ს ვერც ერთ თანამშრომელს ვერ ვენდობი.

ნინო თომაძე: ოპოზიცია ამბობს, რომ არსებობს ამისი დამადასტურებელი

დოკუმენტებიდა ესენი ინახება სმოლენსკში. ასევე ოპოზიცია დასძენს, რომ ბ-ნი კონსტანტინე 1971-ში თუ 1972-ში გამოვიდა პარტიის რომელიდაც ყრილობაზე და ხოტბა და დიდება შეასხა კომუნისტებს.

გიორგი გულბანი: ეგ, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ის, რომ კონსტანტინე გამსახურდია სუკის თანამშრომელი იყო, საკუთარი თვალებით რომ მენახა...

ნინო თომაძე: ოპოზიციონერები ამტკიცებენ, რომ დადასტურებულია.

გიორგი გულბანი: არა, არა, ვერ დავიჯერებ. ვიღაცა სუკის თანამშრომლის ნათქვამზე...

ნინო თომაძე: მაშინ ლუსტრაციის კანონი უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს კანონი რომ მივიღოთ, როგორც მე ერთ-ერთმა სანდო პიროვნებამ მითხრა, აღმოჩნდება, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც არის სათაყვანებელი ჩვენთვის, გაისვრება და ჩვენ წმინდა არავინ და აღარაფერი დაგვრჩება. რა შედეგს მოგვცემს ჩვენ ლუსტრაციის კანონი?

გიორგი გულბანი: ტყუილი ყოველთვის უარესია სიმართლეზე.

ნათელა ვაჩნაძე: ლუსტრაციის კანონით იმ შედეგს მივიღებთ, ჩემი აზრით, რომ მომავალი თაობა მიხვდება, რომ არა არს არაფერი დამალული, რომ ყველაფერი ოდესმე გაცხადდება. ამიტომ ზედმეტი ლაპარაკი რომ აღარ იყოს გენერლების მხრიდან, ეს კანონი უნდა მიიღოს სახელმწიფომ.

გიორგი გულბანი: ლუსტრაციის კანონი რომ მივიღოთ, მაშინ პარლამენტის ნახევარმა უნდა დატოვოს სამსახური.

ნინო თომაძე: აქ პარლამენტის წევრებზე არ არის ლაპარაკი, ვინც ჩვენ მოგვეხსრო, კი, მაგრამ ისეთ ხალხზეა ლაპარაკი, რომ... ლუსტრაციის კანონი რომ მივიღოთ, ჩათვალეთ, რომ ერთი ადამიანიც არ დარჩება...

ნათელა ვაჩნაძე: მე არა მგონია, რომ ეს ასეა, მე მაგისი არ მჯერა. ეს არის ჩვეულებრივი სუკის ხრიკები. სუკის ისტორია დიდი ხანია ცნობილია ჩემთვის. სუკს ჰყავს თავისი ისტორიკოსები, შესანიშნავი, წესიერი ადამიანები...

ნინო თომაძე: თუ კი არსებობს ფაქტები?

ნათელა ვაჩნაძე: სუკში იქმნებოდა დოკუმენტები, ნებისმიერ ადამიანზე თვითონ სუკის თანამშრომლის მიერ შეიქმნებოდა დოკუმენტი.

გიორგი გულბანი: მაშინ, სადღაც რომ არის კონსტანტინე გამსახურდიაზე რაღაც მონაჩიმაზი და ცილისწამება, დადონ ეს საბუთები, დავუჯდებით ამ საბუთებს და ვნახავთ, რამდენად მართებულია. მაგრამ, გეუბნებით, ესენი ამას არ მიიღებენ, იმიტომ, რომ პარლამენტის 90 პროცენტი თვითონ არის სუკის თანამშრომელი ან აგენტი.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან კარგად მახსოვს ერთი ასეთი მომენტი, როდესაც ინაურს კიდევ ერთი ადამიანი შემატეს, უფრო სწორად, სუკს შეემატა ერთი ინფორმატორი, და როდესაც მოახსენეს ბატონ ალექსი ინაურს,

ესა და ეს კაცი შემოგვემატაო, მან თქვა — ღმერთო ჩემო, აღარ შემ-იძლია ამდენი ინფორმატორებისაგან, თავგზა დამებნა, იმდენი არიან, აღარ მჭირდებიანო.

ნინო თომაძე: თვითონ ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში იყო ბევრი ინ-ფორმატორი?

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა, იქნებოდა. როგორ გვინიათ, ამხელა ორ-განიზაცია ვერ მოახერხებდა ორიოდე ან ათიოდე თანამშრომლის...

ნინო თომაძე: ორიოდებზე არ არის ლაპარაკი, ძალიან ბევრი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ სუკს, ნეტავ, ისე ემუშავა, რომ გაეკეთებინა ჩვენთვის სასარგებლო საქმე. რა გააკეთეს?

გიორგი გულბანი: იცით რაშია საქმე? ძალიან ბევრი კი არა, სუყველა რომ ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, იმიტომ, რომ ეს ხალხი აკეთებდა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს. ზვიადი რასაც გვეუბნებოდა, იმას ვაკეთებდით. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ის ადამიანი, რომელიც ჩემს გვერდით იყო, ჩეკისტი იყო თუ არა, თუ ის ამ საქმეს აკეთებდა. ომი იყო გაქანებული, უხმო, მაგრამ ომი იყო. ჯერ ერთი, ღია ჩეკისტები მოჰყავდა ზვიადს. ღია ჩეკისტი, რომელიც საქმეს გააკეთებს, ჯობია, ვიდრე უტვინო პატრიოტი.

ნათელა ვაჩნაძე: ღია ჩეკისტი ვინ ჰყავდა? მე მგონი, მარტო ბატონი ოთარ ხატიაშვილი.

გიორგი გულბანი: არა, სხვებიც იყვნენ. ბატონი ზვიადი იტყოდა ხოლმე, ჩეკისტია და ფრთხილად იყავი მაგასთანი, მაგრამ კარგად მუშაობსო. კონკრეტული საქმისთვის ვინც გამოგადგება, ყველა უნდა გამოიყენო. თუ ომს დაგინყებს, სხვა ამბავია, ფრთხილად უნდა მოეპყრო, იმიტომ, რომ ის მოგატყუებს. ახლა მოტყუებასთან დაკავშირებით. რომ ამბობენ ჩამოიტყუეს სამეგრელოში, ამ ადამიანმა ზუსტად იცოდა, რომ როდესაც საქართველოში დაბრუნდება, ან გადაარჩენს საქართველოს, ან მოკვდება. ვერ გადაარჩინა და შესწირა თავი. მოტყუებით თავის შეწირვა არ გამიგია. ათასი საშუალება ჰქონდა, რომ დაბრუნებულიყო გროზნოში.

ნინო თომაძე: როდესაც ბატონი ზვიადი გაიქცა, უამრავი ადამიანი დახოცეს ჯაბას ხალხმა და „მხედრიონმა“. როგორ თვლით, ხომ არ ჯობდა, რომ ჩამოსულიყო და ჩაპბარებოდა, რომ ამდენი ხალხი არ დაეხოცათ? ზვიადისტობის გამო დახოცეს ეს ხალხი.

გიორგი გულბანი: ზვიადისტობის გამო არ დახოცეს ეს ხალხი. ეს ხალხი დახოცეს საქართველოს სიყვარულისთვის და არა ზვიადისტობისთვის. ესე იგი თქვენ რას ამბობთ, რომ ჯარის სარდალი პირველივე დამარცხებული ბრძოლის შემდეგ უნდა ჩამოვიდეს და ჩაპბარდეს და ომი დათმოსა!?

ნინო თომაძე: ბრძოლა ისედაც წაგებული იყო.

გიორგი გულბანი: არ იყო წაგებული ბრძოლა. ომი შედგება მრავალი ბრძოლისგან.

ნინო თომაძე: ომი არ იყო წაგებული?

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა, არ იყო.

ნინო თომაძე: რატომ არ იყო წაგებული?

გიორგი გულბანი: იმიტომ, რომ დავბრუნდით მერე და კინალამ თბილისში ჩამოვედით, ბალტინი რომ არ შემოსულიყო.

ნინო თომაძე: კი, მაგრამ, არ უნდა იცოდე, შეძლებ თუ არა გამარჯვებას?!

გიორგი გულბანი: თქვენ იმას მეუბნებით, რომ მონობაში უნდა დარჩენილიყავით? ადამიანმა თავისუფლებისთვის უნდა იომოს, თუ არ შეეცდები, მონობაში ამოგხდება სული.

ნინო თომაძე: ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება იყო მართლა ხალხის მიერ არჩეული და, ფაქტიურად, ამ ხელისუფლებამ ვერაფერი ვერ გააკეთა.

გიორგი გულბანი: ვერაფერი? დღეს საქართველო რომ დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგ ხელისუფლებამ გააკეთა.

ნინო თომაძე: დამოუკიდებელია?

გიორგი გულბანი: ფურცელზე ხომ არის დამოუკიდებელი. ცოტაა?

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა, არ არის ცოტა, ისტორიული ფაქტია.

ნინო თომაძე: როდესაც ხედავ, რომ შენ ხუნტა კი არ გებრძვის, არამედ ამერიკა და რუსეთი გებრძვის და იცი, რომ ამერიკას და რუსეთს ვერ მოერევი, მაშინ რა უნდა ქნა?

გიორგი გულბანი: უნდა ებრძოლო.

ნათელა ვაჩნაძე: ასე მოვიყვანეთ ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა.

გიორგი გულბანი: რომ ჩაპბარდე, რა აზრი აქვს! ბრძოლის აზრი არ არის ამნუთიერი. თქვენ მეუბნებით, რომ როცა ვიცი, რომ ბრძოლას ვერ მოვიგებ, არ უნდა ვიბრძოლო. მე კი გეუბნებით, რომ ბრძოლას მოიგებ თუ არ მოიგებ, ბრძოლის ველზე უნდა გახვიდე. თუ მოიგებ, მოიგებ, თუ არ მოიგებ, არ მოიგებ. ასე მოვიდა საქართველო დღევანდელ დღემდე, თორემ ჩვენ წინაპრებს რომ ეფიქრათ, რომ აუ, რამხელა ჯარი ჰყავს ირანს და აუ, რამხელა ჯარი ჰყავს თურქეთს და მაგათ ვერ მოვერევითო, ახლა ჩალმებით ვივლიდით ქუჩებში.

ნინო თომაძე: შეიძლებოდა, ალბათ, ლავირება.

გიორგი გულბანი: როგორ, პირდაპირ გამოაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა, დარჩით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიო, რა ლავირებაზეა ლაპარაკი.

ნინო თომაძე: ოპოზიციის აზრით, შევარდნაძე ახერხებდა, ამერიკასაც ატყუებდა და რუსეთსაც ატყუებდა.

გიორგი გულბანი: ვის ატყუებდა? ეგ დებილი ატყუებდა ვინმეს? ეგ დებილი? საქართველოში რა ქნა შევარდნაძე ნაძირალამ, ერთი დადებითი საქმე მითხარით როკის გვირაბიდან დაწყებული! რა ლავირებაზეა ლაპარაკი. პირდაპირ გამოაცხადა დიდმა მეუფემ, პატარა მეუფე აგერ გიზის ჩრდილოეთში, რომ დარჩი მონობაში. გისვამთ კითხვას მეასე-ჯერ უკვე — დავრჩენილიყავით მონობაში თუ არა? არ იყო ლავირების ადგილი — ჰო, ან არა, ასე იდგა საკითხი.

ნინო თომაძე: საბოლოოდ ამას რა შედეგი მოჰყვა?

გიორგი გულბანი: ის შედეგი მოჰყვა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი.

ნინო თომაძე: არ დავრჩით მონობაში? ამდენი ხალხი დაიღუპა და საბოლოოდ ისევ მონობაში ვართ.

გიორგი გულბანი: რატომ დავრჩი მონად, დამოუკიდებელი ქვეყანა ვარ. ჩეჩინებს რომ ჰქითხოთ, ნახევარი გადარჩენილი მოსახლეობის სიცოცხლეს დადებს, საქართველოს სტატუსი რომ ჰქონდეთ. არ არის ესე მარტივად საქმე.

ნათელა ვაჩინაძე: ვერავითარ შემთხვევაში ჩეჩინეთი ვერ მიიღებს იმ სტატუსს, რა სტატუსიც საქართველოს აქვს, ცოტა ხანს მაინც. ჩეჩინები რომ ძალიან ვაჟყაცი ხალხია, დაამტკიცეს ეს დიდი ხანია.

გიორგი გულბანი: ქართველმა ერმა ებრძოლა შიშველი ხელებით ამ შეიარაღებულ ბანდიტებს, რომლებიც ქუჩაში ხვრეტდნენ ხალხს და დაშინდა ხალხი. მერე დაამშიეს, ჩაათრიეს აფხაზეთის ომში, დახოცეს იქ, ვისაც იარაღის ხელში აღება შეეძლო, ათასი უბედურება, ნარკოტიკები. მოვა დრო და თქვენ ნახავთ, რომ ეს ერი ერთ-ერთი საუკეთესო ერია მსოფლიოში. აბა, ამ მდგომარეობაში ჩააგდეთ ნებისმიერი სხვა ერი, ნახავთ, რა დღეში იქნებიან. ერთი დღე რომ ჩაქრება შუქი ნიუ-იორქში, ისეთი ამბავია, მეორედ მოსვლაა, მაღაზიებს ლენავენ. შუქი არ იყო ათი წელი საქართველოში და ეს ბანდები დარბოდნენ....

ნათელა ვაჩინაძე: შუქი არ იყო კი არა, ადამიანი მივიდა ფანჯარასთან, გადაიხედა, რაღაც ჩოჩქოლი იყო, ტყვია დაუშინეს, წაიქცა თავის სახლში და მოკვდა. ასეთი რამდენი შემთხვევა მე ვიცი და რამდენი მე არ ვიცი, მე ხომ მთელ თბილისში არ დავდიოდი და არ ვაგროვებდი ინფორმაციას. ბანდიტებით იყო ქვეყანა სავსე.

გიორგი გულბანი: გასაგებია, მორფინისტები და...

ნინო თომაძე: თვითონ სამინისტროებში ჰომოსექსუალისტები და მორფინისტები ჰყავდათ.

გიორგი გულბანი: პრემიერ-მინისტრი იყო ჰომოსექსუალისტი --- ზურაბ უვანია და რა გიკვირთ! პირიქით, მათ მიაჩნიათ, რომ დასავლეთისთვის ეს კარგია.

ნინო თომაძე: დემოკრატიის ერთ-ერთი სიმბოლოა.

ნათელა ვაჩინაძე: ეს არაფრად არ მიაჩინათ, რა თქმა უნდა, მაგაში არ არის საქმე, ეგ არ არის მთავარი. მთავარი სხვა რაღაცებია. ამ ერთი ბეწო მიწისათვის გაუთავებლად, საუკუნეებით მიმდინარეობს ბრძოლა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. ახლა მითუმეტეს, ნარკო-ტრანზიტის გამსალებელი... ტრანზიტი... ---- აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი, და გავიჭყლიტეთ...

გიორგი გულბანი: მე, პირადად, ძალიან არ მიყვარს სიტყვა გეოპოლიტიკა და რატომ, უფრო მარტივი ახსნა აქვს ამას. ეს ბოროტების და სიკეთის ბრძოლაა, რა შუაშია გეოპოლიტიკა. ავლანეთში რა უნდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მთების და ოპიუმის მეტი იქ არაფერი არ არის.

ნათელა ვაჩინაძე: ოპიუმი უნდა.

გიორგი გულბანი: არა, ოპიუმი არ სჭირდებათ, იმიტომ, რომ ათასი სხვა საშუალებაა. უბრალოდ ავლანეთი იყო დაუმორჩილებელი ქვეყანა, არ ემორჩილებოდა.

ნათელა ვაჩინაძე: ოპიუმიც ძალიან კარგი რამ ყოფილა ქვეყნისათვის, იმიტომ, რომ ერთ-ერთი იარაღი ნარკოტიკია.

გიორგი გულბანი: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩინაძე: ბატონი გიორგი, ერთი შეკითხვა მაქვს, ძალიან საჩიოთოა, ძალიან დიდი ტაქტია საჭირო ამ შეკითხვის დასმისთვისაც და პასუხის გასაცემადაც. იყო ასეთი მომენტი, თქვენ ხომ არ შესწრებიხართ ამას? თითქოს ბატონმა ზვიადმა ჩაიცვა, აიღო პატარა, შავი თხელი საქალალდე და მოემზადა გასასვლელად. იყო თუ არა ასეთი რამ?

გიორგი გულბანი: როდის?

ნათელა ვაჩინაძე: როდესაც უკვე ფაქტიურად იმძლავრეს.

გიორგი გულბანი: მე ასე მგონია, ვინც მაგას ამბობს, ცრუობს, იმიტომ, რომ ამ ადამიანმა საქმით თანმიმდევრულად დაამტკიცა, რომ დანებებას არ აპირებდა, ამიტომ ის პირველ დღეებში არ დანებდებოდა. ის ადამიანი ცრუობს ან ეჩვენება.

ნათელა ვაჩინაძე: პირველ დღეებში არა, ეს იყო უკვე გადამწყვეტ მომენტში და მერე დარჩა.

გიორგი გულბანი: არა მჯერა. დავინ გააჩერა, ვინ შეუცვალა გადაწყვეტილება, იმ კაცმა, ვინც ყვება? ე. ა. ის ზვიადზე უფრო ვაჟკაცი იყო?

ნათელა ვაჩინაძე: მე ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი.

გიორგი გულბანი: ისეთ კრიტიკულ ვითარებაში, როდესაც ბომბები ცვივა და ხელში არაფერი გიჭირავს, ამ ზეწოლის დროს ადამიანებს რაღაც-რაღაცები ერევათ მერე, როდესაც იხსენებენ. მეგობრები დავმსხდარვართ და გვიცდია, რომ გაგვეხსენებინა თანმიმდევრო-

ბა მოვლენების. ყველას სხვადასხვა თანმიმდევრობით გვახსოვს. ეს სტრესის ბრალია.

ნათელა ვაჩნაძე: არა მარტო სტრესის. მე ისტორიკოსი ვარ და სრული პა-სუხისმგებლობით გეუბნებით ---- ერთი და იგივე თავყრილობას რომ დასწრებია ხუთასი კაცი, როცა გამოდიოდნენ, ყველა თავის ვერსიას ყვებოდა და მეორე დღეს სიმართლე არავინ იცოდა. ამიტომ შემოიღეს დედამიწაზე სტენოგრაფია.

გიორგი გულბანი: ამიტომ მე მეეჭვება, რომ ის ადამიანი რეალურად აღწერდეს ვითარებას. უამრავი შემთხვევა მქონია მე პირადად, როდესაც ადამიანებს სხვანაირად ახსოვთ ამბები.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თქვენ ამ სცენას არ წასწრებიხართ.

გიორგი გულბანი: კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ საქმით, შედეგებით შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რა იყო სინამდვილეში. ეს ადამიანი თანმიმდევრულად იბრძოდა ქვეყნის თავისუფლებისთვის და თანმიმდევრულად შეენირა ამ საქმეს და არა მოტყუებით, როგორც ზოგს ჰგონია.

ნათელა ვაჩნაძე: როგორც ზოგს ჰგონია, მოტყუებით შემოიყვანეს საქართველოში და მთელი სამეგრელო, მთელი თუ არა, ძალიან დიდი ნაწილი, მოთქმით გოდებს იმაზე, რომ მეგრელის ხელით როგორ მოიკლა, მეგრელებმა როგორ მოატყუეს და მეგრელებმა როგორ შეაცდინეს. ამაზე არის აქცენტი გაკეთებული, რაც, სხვათა შორის, საქართველოსთვის არ არის კარგი.

გიორგი გულბანი: ვერავითარ შემთხვევაში მაგას ვერ დავეთანხმები. ეს არის გაკეთებული იმისათვის, რომ პასუხისმგებლობა აარიდონ ნაძირალა შევარდნაძეს. ე. ი. თურმე მოუკლავს სამეგრელოს, თავის დაცვის წევრებს, თავის უახლოეს ადამიანებს და ესენი არაფერ შუაში არ არიან. ეს არის სიცრუე.

ნინო თომაძე: თქვენი აზრით, თავი მოიკლა ზვიად გამსახურდიამ?

გიორგი გულბანი: მე მგონი, რომ მოიკლა.

ნათელა ვაჩნაძე: (მოუბრუნდა ნინო თომაძეს) იქ არ იყო ბატონი გიორგი და როგორ შეუძლია, რაიმე გადაჭრით თქვას?!

გიორგი გულბანი: წარმოიდგინეთ თქვენ, რომ ადამიანს არ სურს ამ ქვეყნიდან გასვლა, არ სურს, ის კი არა, რომ არ შეუძლია, ათასი საშუალება ჰქონდა გროზნოში დაბრუნების, კატეგორიულად უარს ამბობდა, ეს ცნობილი არის. მოსდევენ, შევლენ ერთ სოფელში, გავლენ იქიდან, შედის ეს რაზმი. როგორც ავთო იოსელიანი ამბობს, რუსეთის სამხედრო დაზვერვა ცალკე დასდევდა, საქართველოს უშიშროება ცალკე, პოლიცია ცალკე. ამით სხვა რამის თქმა უნდოდა ავთო იოსელიანს, თავის ჭკუაში გვატყუებს. როგორ უნდა მოგვატყუოს ავთო იოსელიანმა ქართველები, გაუგებარია, მაგრამ ცდილობს. ე. ი. სამი ჯგუფი დასდევ-

და. მიხვდა ეს ადამიანი, რომ ვითარება გარდაუვალია. მე ვუშვებ, რომ ეს იყო ბრძოლაში გასროლილი ბოლო ტყვია, მაგრამ ვერც ამას ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ არც ამას შევსწრებივარ, არ ვიცი, როგორ მოხდა. არც ბატონმა ბესომ არ იცის, როგორ მოხდა. მას ეძინა, გაიღვიძა და ნახა, ფაქტიურად, თორემ რა მოხდა სინამდვილეში, ღმერთმა იცის. მაგრამ მე კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რომ ეს მონაჩმახია. ის, რომ ზვიად გამსახურდია მოკლა მისმა გარემოცვამ, ეს არის იმის მცდელობა, რომ შევარდნაძემ, გულუამ, მერე რომ მოკლეს, და კიდევ ვიღაცებმა, აირიდონ თავიდან პასუხისმგებლობა. რა უფლებით დასდევდნენ საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს ტყეში მოსაკლავად ვიღაცა ვიგინდარები? ვინ გასცა ბრძანება, ვინ მონაწილეობდა, მოდი, ჯერ ეს გავარკვიოთ და მერე ვიღლაპარაკოთ, სამეგრელომ გაყიდა, თუ არ გაყიდა. ამათ როცა ციხეებში ჩაყრიან, მერე ვიღლაპარაკოთ გამყიდველებზე და არგამყიდველებზე. ბატონი ზვიადი როგორც მამაკაცი კი არ უყვარდათ ამ ადამიანებს, როგორც საქართველოს სიმბოლო, ისე უყვარდათ. საქართველოს სიყვარულით ტყვია, გაჭირვება და ათასი უბედურება გადაიტანეს და იმათ ნუ სვრიან ლაფში ეს ნაძირალები, თუ შეიძლება, თავის დამნაშავეს მიხედონ ჯერ.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი ბესო ხომ არ აპირებს ჩამობრძანებას?

გიორგი გულბანი: არ ვიცი, ვერ გეტყვით, ალბათ, არა. არ მაქვს მაინცდა-მაინც ახლო ურთიერთობა მაგ ადამიანთან.

ნათელა ვაჩნაძე: ალბათ, არ აპირებს. ჩემთვის ეს ნათელი გახდა იმ სატელევიზიო გამოსვლიდან.

ნინო თომაძე: სააკაშვილის მთავრობა რომ გააკრიტიკა?

გიორგი გულბანი: მერე რა, სააკაშვილის მთავრობაზე ეგ აზრი აქვს მთელ საქართველოს და არავინ არ იჭერს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ თანამებრძოლებს შორის ვის მივმართო არქივთან დაკავშირებით, ხომ ვერ გამინევთ კონსულტაციას?

გიორგი გულბანი: არქივის ნაწილი გვქონდა ჩვენ. მე და თენგიზ ჩაჩავა ვიყავით მოსკოვში საქართველოს საელჩოს ჩრდილოვანი წევრები. ე. ი. არაოფიციალური საელჩოს წევრები. ჩვენი მიზანი იყო სწორი ინფორმაცია მიგვეწოდებინა. იქ დაგროვდა უამრავი მასალა. მერე ჩამოვიტანეთ ეს, თუ არ ვცდები, გროზნოში. მერე რა მოხდა, არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: გროზნოში ვერ გადარჩებოდა ვერაფერი.

გიორგი გულბანი: ალბათ, ვერა, იმიტომ, რომ იქ დაანგრიეს ყველაფერი ამ ველურმა რუსებმა.

ნათელა ვაჩნაძე: მე მეგონა, რომ მოსკოვშია მაინც ეს მასალა.

გიორგი გულბანი: არა, მოსკოვში არა. ჩვენ კერძო ბინაში ვცხოვრობდით და სად უნდა ყოფილიყო!?

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება, ვინმეს დაუტოვეთ?

გიორგი გულბანი: არა, არა. ჩვენ ბინებს ვიცვლიდით ხოლმე. ჩვენ ვიყავით ხელისგულზე, აბსოლუტურად ღიად. დასამალი რა გვქონდა, პირიქით. ჩვენ გვინდოდა, რაც შეიძლება მეტად გაგვეტანა ხმა.

ნათელა ვაჩნაძე: ხმა რომ გაგეტანათ, ახალ ხელისუფლებას რაში უნდოდა?! გიორგი გულბანი: ამათ არ უნდოდათ, მაგრამ რაღაცა მიზეზების გამო არ გვკიდებდნენ ხელს. თუმცა სახეზე ვიცნობ რუსეთის უშიშროების ოფიცერს, რომელიც ჩვენ გვითვალთვალებდა, თვითონ გაგვეცნო. ეგეც ერთ-ერთი მეთოდია ზეწოლის. ახალგაზრდა ბიჭი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ამას გარდა, საქართველოდან იყო ძალიან ბევრი ხალხი რუსეთში.

გიორგი გულბანი: იქნებოდა. ალბათ, ბინაც ისმინებოდა, ბუნებრივია. ჩვენ კონსპირაციას კი არ ვთამაშობდით, პირიქით, ყველაფერი გვქონდა ღია. ჩვენ გვინდოდა გაგვევრცელებინა ინფორმაცია, კი არ დაგვეხურა, დასახური რა გვქონდა?!

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ინფორმაციას კი არ დახურავდით, მაგრამ გაუშვებდით საქართველოს ხელისუფლებისაგან ფარულად.

გიორგი გულბანი: არა, ფარულად არა, ღიად, სრულიად ღიად. იცით რაშია საქმე, ან კონსპირაციის საშუალებები უნდა გქონდეს, ფული და ცოდნა, ან, პირიქით, უნდა იყო ღია. ჩვენი ამოცანა იყო უმარტივესი, როგორც ყველაფერი ამ ცხოვრებაში. თქვით სიმართლე, სადაც მიგინვდებათ ხმა, გვითხრა ბატონმა ზვიადმა და ამას ვაკეთებდით. ამ სიმართლის თქმაში ჩვენთან მოდიოდა მასალები, ფაქტები. ამ ფაქტებს ვაგროვებდით, სად მოხდა, რა მოხდა, სახელები, გვარები, ვინ რა დააშავა. ბევრი ადამიანი კრეფდა ჩვენთვის ინფორმაციას.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი ერთი ადამიანი, რომელიც კრეფდა თქვენთვის ინფორმაციას. ეს ადამიანი იყო ძალიან აქტიური, ძალიან ჭკვიანი, ახლომყოფი ბატონ ზვიადთან, რომელმაც მას აქ კინაღამ თავი შესწირა.

გიორგი გულბანი: ალბათ, იმიტომ, რომ აქ გაცილებით საშიში იყო, ვიდრე იქ.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვფიქრობ, ჩვენ მაგ არქივს ვეღარ მივაგნებთ.

გიორგი გულბანი: დაელაპარაკეთ ბატონ თენგიზს მაინც. შეიძლება, ქალბატონ მანანასაც პქონდეს რაღაც. ძირითადად, ყველაზე შთამბეჭდავი იყო დოკუმენტური ფილმები — მიტინგების დახვრეტა, ამათი მხეცობები.

ნათელა ვაჩნაძე: მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტურ კინოს, როგორც საისტორიო წყაროს. მე ამას წინათ ვნახე არაჩვეულებრივი იტალიური მხატვრული ფილმი, რომელშიც იყო დუჩეს პერიოდის იტალია. არავითარი დოკუმენტის წაკითხვა არ გინდოდა. რვამილიონიანი არმია როგორ ღრიალებს, რა თვალები აქვს, ცხადზე ცხადი იყო ყველაფერი, მთელი სიტუაცია, მთელი პაერი თითქოს შემოვიდა იქიდან ჩემში. ასეთ მნიშვნელობას ვანიჭებ კინოს. კინო

მაინც არის მხედველობასთან დაკავშირებული. ამიტომ ძალიან ძნელია ამ კადრების ამეტყველება და ქაღალდზე გადმოტანა. თორემ მე ვიცნობ რამდენიმე კინოდოკუმენტალისტს, ვისაც აღბეჭდილი აქვს ეს ყველაფერი ფირზე. ზოგი ფულით, ზოგი უფულოდ, მზად არის ეს ფირები მოგვცეს. მაგრამ როგორ უნდა ამეტყველდეს ეს, არ ვიცი. ამაშია მთელი სირთულე. ამიტომ მე, როგორც ისტორიკოსი, პრიორიტეტს ვანიჭებ წერილობით წყაროებს და ზეპირ მონათხრობებს. კინოს ამბავი ცოტა რთულია. ამიტომ მთელი ჩემი გულისყური გადადის მთხრობელებზე და გადადის დოკუმენტებზე. თქვენ ყვებით იმას, უფრო სწორად, თქვენ აზროვნებთ ისე, როგორც აზროვნებდით მაშინ, თვრამეტი წლის წინ?

გიორგი გულბანი: დიახ.

ნათელა ვაჩნაძე: მე მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მაშინ სხვაგვარად ფიქრობდნენ, სხვაგვარად ირჯებოდნენ და ახლა სხვაგვარად ყვებიან. აი, ეს არის კიდევ უბედურება ისტორიკოსისთვის.

ნინო თომაძე: ძალიან ბევრი ნიღაბს იკეთებს და მაღავს.

გიორგი გულბანი: ამ ადამიანებმა, ვინც საქართველოში დარჩა, ყველა პრესი გაიარეს და იმდენმა უბედურებამ გადაიარა მათ თავზე, რომ, შეიძლება, თავდაცვის ინსტინქტებია და ერიდებიან ამ თემაზე საუბარს.

ნათელა ვაჩნაძე: პოზიცია შეიცვალა და ახლა ისე ყვება, თითქოს დიდი ეროვნული მოღვაწე იყო.

გიორგი გულბანი: ეს ბევრს სჭირს.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ მე რა ვქნა, მე მას მაგიტომ ხომ არ ვიწერ, ახლა რას ფიქრობს?! ამისხენით.

გიორგი გულბანი: სისუსტეა ადამიანური. ქართველები დავმარცხდით. არავის არ უნდა საქართველოში თქვას, რომ ამ მარცხში მასაც აქვს წვლილი. მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი, ნორმალური ქართველების, და ჯაბა იოსელიანის და შევარდნაძის დანაშაული შესადარებელი დანაშაულებებია. ეს, რა თქმა უნდა, ესე არ არის. მათი დანაშაული უზარმაზარია და ჩვენი დანაშაული, იმასთან შედარებით, არაფერი არ არის, მაგრამ პატარ-პატარა დანაშაული ყველას გვაქვს, ყველამ რაღაცა დავაკელით ამ ქვეყანას, ეს უნდა ვთქვათ. ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ მე არაფერი არ დამიკლია, ის ან თვალებში ნაცარს გვაყრის, ან ბრიყვია უბრალოდ, არ ესმის.

ნათელა ვაჩნაძე: მე მითხრა ერთმა ძალიან ჭკვიანმა ქალბატონმა, რომელიც, სხვათა შორის, არ იდგა ხელისუფლების პოზიციაზე, თუ ამდენი ხალხი დაიტირებდაო, უზარმაზარი არმია ადამიანებისო, დალოცვილები, გამოსულიყვნენ და მთავრობის სასახლე დაეცვათო.

გიორგი გულბანი: გამოვიდნენ და დახვრიტეს. რამდენჯერ შეიძლება ადამიანი გამოვიდეს და ტყვიას შეუშვიროს მკერდი?

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ ვთხოვთ ადამიანებს განუსაზღვრელ სიმამაცეს და განუსაზღვრელ ვაჟკაცობას.

გიორგი გულბანი: თვითონ რატომ არ გამოვიდა?

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ გამოვიდა, მაგრამ სხვა მხარეს გამოვიდა!

გიორგი გულბანი: თვითონ დამნაშავე ყოფილა და აქეთა მხარეს სთხოვს, ტყვიას მიუშვირე კარდიო? გამოვიდეს და ვნახოთ, როგორ შეუშვერს ტყვიას მკერდს თვითონ, ვნახოთ, როგორი ვაჟკაცია. ეს ადვილი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: თვითონ ამბობს, რომ მე არ შემიძლიაო.

გიორგი გულბანი: თუ არ შეუძლია, მაშინ გაჩუმდეს და სხვას ნუ ასწავლის ჭკუას. ეს ძალიან რთულია. ადამიანს აქვს ბუნებრივი შიში სიკვდილის, თუ ადამიანი საღ გონებაზეა.

ნინო თომაძე: ამას ნინათ ინგა გრიგოლიას გადაცემაში იყო ასეთი თემა — გმირების თემა. და მე ძალიან გული დამწყდა, რომ არავის ზვიად გამ-სახურდია იქ არ უხსენებია. სხვები კი ახსენეს, მაგალითად, გივი სიხარულიძე.

გიორგი გულბანი: ვინ არის გივი სიხარულიძე?

ნინო თომაძე: მსახიობია, კარგი ქალაქელი კაცია, ცუდი კაცი ნამდვილად არ არის, პირიქით. მაგრამ გული იმაზე დამწყდა, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: გივი სიხარულიძე მსახიობი როგორ არის?

ნინო თომაძე: ფილმებში იღებენ. სუხიშვილებში ცეკვავდა.

ნათელა ვაჩნაძე: ცეკვავდა ოცდაათი წლის წინ და ახლა არის მწერალთა კა-ვშირის თავმჯდომარე.

გიორგი გულბანი: უხერხული ის არის, რომ კრეფს ისეთ ხალხს, რომელიც გივი სიხარულიძეზე ლაპარაკობს.

ნათელა ვაჩნაძე: მე ის გამიხარდა, რომ მერაბ კოსტავა აღიარა რამდენიმე ადამიანმა.

გიორგი გულბანი: მერაბ კოსტავას უფრო ადვილად აღიარებენ იმიტომ, რომ მერაბი მანამდე მოკლეს, სანამდე საქართველოს პრაქტიკულად გან-თავისუფლების საქმეში ჩაებმებოდა. რა თქმა უნდა, მოსამზადებელ ამბავში უზარმაზარი არის მერაბის წვლილი, მაგრამ მერაბი სწორედ მაგიტომ მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ კიდევ გინდათ რაიმე თქვათ? მე არ მინდა, რომ თქვენ რამე გაგვეთ ისეთი, რასაც არ გითქვამთ ჩვენი წიგნისთვის.

გიორგი გულბანი: სათქმელი არაფერი არა მაქვს, საუბედუროდ, და რა-ტომ: რომ იყოს ოპოზიციური ალტერნატივა, რა თქმა უნდა, ვიტყოდი, რომ ხალხო, ამას ნუ მისცემთ ხმას და მიეცით იმასო. უბედურება ის არის, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ოპოზიციური მეტ-ნა-კლებად ანგარიშგასაწევი ძალა. უამრავი პატიოსანი ადამიანი არის,

რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ადამიანები არ არიან შეკავშირებული ერთ-მანეთთან იმ სახით, რომ რაღაცა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. ვინც არის დღეს ტელეეკრანებზე, პოზიცია— ოპოზიცია თითქოს არჩევანი არ არისო, ერთი ხალხია, ერთნაირი მსოფლმხედველობის, აბსოლუტურად გულგრილი თავისი ქვეყნისათვის. ფული, ფული, მხოლოდ ფული, ძალაუფლება. რაღაცა მცირე რაოდენობა ოპოზიციური სპექტრის არის პატიოსანი ადამიანები, მაგრამ იმათ არ გააჩნიათ ნიჭი. მერაბ კოსტავას და ზვიადს რა ნიჭიც ჰქონდათ, ეს სხვა ნიჭია, ეს ღვთიური ნიჭია, ასეთი ადამიანები ხშირად არ იბადებიან. ვიღაცა პუტჩისტს გაეცინება, იცინონ, რამდენიც უნდათ. ღვთის არ სწამთ და ვისაც ღმერთის სწამს, ამას გაიგებს. . . . ეს ხალხი არის აღბეჭდილი სპეციფიკური ნიჭით, რომელსაც ქარიზმას ეძახიან ახლა, არა? ქარიზმას სხვა აზრი აქვს დასავლეთში და ამიტომ არ ვიხმარე ეს სიტყვა. იმიტომ, რომ ქარიზმატულ ლიდერს ეძახიან ყველა დეგენერატს დღეს. როგორც ვთქვით, ისინი ძირისძირში ღვთის ნიჭით აღბეჭდილი ადამიანები იყვნენ. ასეთ ადამიანს კიდევ მოგვივლენს უფალი, როცა დავიმსახურებთ. ეს არის ის, საბოლოოდ რისი იმედიც უნდა გვქონდეს. დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს ძალა, რომელსაც შეიძლება ხალხი გაყვეს და ვისაც შეიძლება ხმა მისცეს, დღეს არ არსებობს. მოვა დრო და ეს გამოსწორდება. მე, მაგალითად, არ წავიდოდი არჩევნებზე. როცა არჩევანი არა მაქვს, დავჯდებოდი ჩემთვის სახლში. რატომ უნდა წავიდე და მივცე ხმა ვიღაცას, თუ ერთიც ვიგინდარაა და მეორეც? რატომ უნდა გავისარჯო? ჩემი ჩაგდებული ბიულეტენი აღიარება არის იმის, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც ხვალ მოვა და სახლიდან გამაგდებს, ამას აკეთებს კანონიერად. დღეს, მოგეხსენებათ, ხალხს სახლებიდან ყრიან, იმიტომ, რომ მოსწონთ ის უბანი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი

პარიზი, 2007 წლის დეკემბერი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ბიძინა, თუ შეიძლება, ცოტა რამ მიამბეთ ჩვენი წიგნის მკითხველებისათვის, თქვენი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ, სად დაიბადეთ, როდის, სად მიიღეთ განათლება, ვინ მიიღო განსაკუთრებული მონაწილეობა თქვენს აღზრდაში და სხვა და სხვა. როგორ მოხვდით ეროვნულ მოძრაობაში? ეროვნულ მოძრაობაში მოხვდით თუ რომელიმე პარტიაში იყავით, პარტიის გზით შემოხვედით უზენაეს საბჭოში, როგორც დეპუტატი გამსახურდიასეული უზენაესი საბჭოსი თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი? მე დაახლოვებით მაქვს წარმოდგენა, მაგრამ მკითხველმა საზოგადოებამ, ალბათ, ეს ყველაფერი ასე დაწვრილებით არ იცის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩემი ბიოგრაფიის შესახებ, რა ვიცი, რა საჭიროა... დავიბადე თბილისში, 1950 წელს, დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლა, შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე და აი, თქვენი და თქვენი კოლეგების მეშვეობით ვსწავლობდი, მაშასადამე, ისტორიის ფაკულტეტზე. დავამთავრე 72 წელს და მერე დავიწყე მუშაობა ისტორიის ინსტიტუტში. რაც შეეხება ბატონ ზვიადს, მე ის უკვე გავიცანი 1967 წელს, როდესაც... ეს იყო ლიტანიობის საღამო, როდესაც... მაშინ, იცით, როგორ იყო? კომკავშირელები არბევდნენ, იჭერდნენ ვიღაცებს, აჩერებდნენ, რატომ შედიხარ, რა გვარი ხარ, საიდან მოხვედი, აბა, საბუთი, რაღაცა და მიჰყავდათ კინო „რუსთაველის“ შენობაში და იქ იყო შტაბი და იქ კიდევ ვიღაც პოლიციელები იყვნენ, რაღაცებს ინერდნენ, ოქმებს ადგენდნენ და... კაცო, მივედი და... ლამეა, და მერაბი და ზვიადი ებრძოდნენ ამ კომკავშირელებს, ლანძღავდნენ, იყო გაწევ-გამოწევა და მაშინ გავიცანი და მერე მე მაგათან ახლოს ვიყავი. როგორ გითხრათ, მეგობარი და ის არასოდეს არა ვყოფილვარ, მაგრამ მივდიოდი, ვსაუბრობდით, რაღაცა იყო ასეთი და... ჰოდა, მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა.... მერაბთან ავდიოდით ხოლმე ეზოში. შემხვდა ერთხელ...

ნათელა ვაჩნაძე: ჯავახიშვილის ქუჩაზე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო.

ნათელა ვაჩნაძე: ახლა აღარ ჰქვია ჯავახიშვილის ქუჩა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მაშ რა?

ნათელა ვაჩნაძე: მოხსნეს ეგ სახელი. მიხეილ ზანდუკელის ქუჩა ჰქვია. იქ

ახლო-მახლო, თარხნიშვილის ქუჩაზე, ცხოვრობდა ბატონი მიხეილი, ზანდუკელი, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელი მიანიჭეს იმ ქუჩას, სადაც ბატონი ივანე ცხოვრობდა, კალინინის ქუჩას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: იქ როგორ იყო, იქ იყო ფსიქოლოგის ინსტიტუტი, იყო გოგებაშვილის ბიბლიოთეკა, მერაბის სახლის პირდაპირ და იყო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ნათელა ვაჩნაძე: პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. შესანიშნავი ბიბლიოთეკა იყო იქა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კარგი ბიბლიოთეკა იყო, ბევრი ხალხი იკრიბებოდა და ბიბლიოთეკა რომ იკეტებოდა და გამოდიოდნენ, მერაბი სახლიდან გამოდიოდა, და იქ იწყებოდა საუბარი, ლაპარაკი, რაღაცები და... ერთხელ მე და ნოდარ კერესელიძე, ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, თუ იცით, ავედით მერაბთან. მერაბი მარტო იყო, გამოენთო იმ წუთში, ვსაუბრობდით და თურმე ესენი ბეჭდავენ „ოქროს საწმის“ და ჩვენ არ ვიცოდით, პირველი ნომერია, რა, ჯერ არავინ არ იცის, ჩუმად რაღაცას აკეთებენ. ჰოდა, ... ეს ხომ ძალიან ეჭვიანი იყო – ზვიადი, აუტანლად ეჭვიანი იყო, სულ რაღაცა მკლავენ, მოდიან, რაღაცა და... ჰოდა, დამინახა — კარგად ვიყავით ერთმანეთში — დამინახა, გადაირია, არც მომესალმა. მანქანით ამოვიდა, „ვოლგით“ ამოვიდა, მივიდა, მერაბის კარებთან გაჩერდა. ახლა გადავუხვიე მე, არა უშავს?

ნათელა ვაჩნაძე: არა უშავს, არა უშავს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, თურმე ამას „ოქროს საწმისი“ აქვს, რა ვიცით ჩვენ, კაცო, არაფერი... მე და ნოდარ კერესელიძე როა.

ნათელა ვაჩნაძე: მე არ ვიცნობ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, მერაბი გაემართა ზვიადისკენ... არც მომე-სალმა, თავი ზედმეტად ვიგრძენი. მე ვუთხარი ნოდარს, მოდი, წავიდეთ-მეთქი. დავადეთ თავი, წამოვედით. მერე შემხვდა და „ოქროს საწმისი“ გამოუშვა, კაცო, და ის მოტანილი ჰქონდა, „ოქროს საწმისი“. ... მერაბი როგორ ცხოვრობდა, სხვათა შორის, საინტერესოა. გადადიოდა ფანჯრიდან და გადმოდიოდა ფანჯრიდან, კარებს არ აღებდა, იმიტომ, რომ კარების უკან დაყრილი ჰქონდა ცარცი, თეთრი ცარცი და რაღაცები. რომ გაგელო, შეეტყობოდა, კვალი რჩებოდა, რომ გაგელო. ჰოდა, ასე ფანჯრიდან გადასვლით და გადმოსვლით ბევრი ვერ გაბედავდა შესვლას, ჰო? როცა დედა სახლში არ იყო, ესენი შედიოდნენ და გადიოდნენ ფანჯრიდან, კარებს არ აღებდნენ და აი, ასე ცხოვრობდა. ჰოდა, მერე რაღაც-რაღაცები იყო, როდესაც მერაბმა და ზვიადმა იცოდნენ, რომ რაღაცები კეთდებოდა, რაღაცებს ხელს ვაწერდით, ვაგზავნიდით, ვჩიოდით... ჰოდა, იქიდან უკვე მოყოლებული და მერე ჰელსინკის კავშირში ჩავენერე. ეს უკვე ფორმალობა იყო, იმიტომ, რომ მე მერე დავინიშნე... კომკავშირის ცეკაში იყო ასეთი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო და იქ შევედი იმიტომ, რომ ისტორიული ძე-

გლებისთვის, რაღაცებისთვის მიგვეხედა, მივიღეთ კანონი ქართული ენის სინმინდის შესახებ, მერე – ძეგლთა შესახებ, თბილისის ძეგლების დაცვის შესახებ და იკორთის ტაძარი როა, ცხინვალთან ახლოს, იმისი 800 წლისთავი მოვაწყვეთ. ჰოდა, რაღაცები და ერთმანეთს ვიცნობდით რა. ეს რაც შეეხება ასეთ ნაცნობობას.

ჰელსინკის კავშირში... ეს უკვე ფორმალობა იყო, იმიტომ, რომ ვენდობოდით ერთმანეთს, ზვიადი მენდობოდა ნამდვილად, ეს იგრძნობოდა ხოლმე რაღაც-რაღაცებში და... რა ვიცი, კიდევ რა გითხრათ.

ნათელა ვაჩნაძე: ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო წრეებშიც კი, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ეძლევა ყველაფერ იმას, რაც მოხდა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში. ზოგი ამ მოვლენას უწოდებს აჯანყებას, ზოგი უწოდებს საერთო-სახალხო ამბოხს, საერთო-სახალხო აჯანყებას, დემოკრატიული ძალების აჯანყებას რეაქციული ძალების წინააღმდეგ, რეაქციულ ძალაში იგულისხმება ხელისუფლება, დიქტატორის წინააღმდეგ ბრძოლას, რევოლუციას, ათასნაირი სახელს არქმევენ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სამოქალაქო ომსაც ამბობენ.

ნათელა ვაჩნაძე: ახლა მინდოდა სწორედ ეგ მეთქვა. ყველაზე უფრო ხშირად გაისმის სამოქალაქო ომი და – ამას მოსდევს, მეორე ადგილზეა, მე მგონი, ასე არ დამითვლია – თბილისის ომი. იყო თუ არა ეს თბილისის ომი? იყო თუ არა ეს სამოქალაქო ომი? რაღაცა ფორმულირება უნდა იყოს შემუშავებული, ამიტომ ყველას ცალ-ცალკე ვეკითხები აზრს, მით უმეტეს, მონანილეებს, თვითმხილველებს, უზენაესი საბჭოს წევრებს, იურისტებს, ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს. რა არის დამახასიათებელი სამოქალაქო ომისათვის, ხომ ვიცით ჩვენ, ისტორიკოსები ვართ, იყო ეს სამოქალაქო ომი თუ არა? საქართველოს პრეზიდენტს სამოქალაქო ომიც უხმარია...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ახლანდელს?

ნათელა ვაჩნაძე: დიახ. ... და უხმარია კიდევ თბილისის ამბები, თბილისის მოვლენები, აი, ის, რაც თბილისში დატრიალდა, ტრაგედია არ არის?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არაფრის მთქმელი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: არა, როგორ არ არის... თქვენ რას დაარქმევდით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ე. ი. სამოქალაქო ომს რაც შეეხება, სრული აბსურდია, სამოქალაქო ომი როგორ შეიძლება იყოს?! ე. ი. რა ხდებოდა, ხდებოდა შემდეგი, რომ... ეს იყო 1991 წლის 21 დეკემბერს, ალმა-ათაში იყო ხელმოწერა სნგ-ს... სნგ უნდა დაფუძნებულიყო ალმა-ათაში და ჩვენც გამოგვიგზავნეს თხოვნა, რომ მობრძანდით და მიიღეთ მონაწილეობაო, შევქმნათ ახალი კავშირი, ეს იქნება თქვენთვის ძალიან კარგი, იმიტომ, რომ ეკონომიკურად... თქვენ სულ სხვა ფასებში მოგენოდებათ ესა თუ ის საქონელი და შევქმნათ ახალი კავშირი, იქნება ეს კავშირი და მოდითო. ეს იყო ელცინისაგან შემოთავაზება, რაზეც

ბატონი ზვიადი კატეგორიული წინააღმდეგი იყო. წავიდა ჩვენგან... აკაკი ასათიანმა, წინასწარ, როგორც ახლა ჩანს, წინასწარ ის გახდა ცუდად ერთ-ერთ სესიაზე, გამოიძახეს სასწრაფოს ექიმი. მოვიდა... შევარდნაძეს მკურნალობდა, ჩაფიძე თუ...

ნათელა ვაჩინაძე: გულიკო ჩაფიძე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, გულიკო ჩაფიძე მოვიდა... იმიტომ, რომ მე გამიკვირდა სასწრაფოს ექიმი და რა შუაში იყო გულიკო ჩაფიძე, ხომ? ის სასწრაფოში არა მუშაობდა, ხომ? მოვიდა...

ნათელა ვაჩინაძე: არა, როგორ მუშაობდა!

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, გულიკო ჩაფიძე, ერთი ამბავი და... სესია შეწყდა, სესიის მიმდინარეობა შეწყდა, ისე იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ჰოდა, გასინჯეს, რაღაცები და... ამას უკვე უნდოდა გაქცევა, თავის არიდება, წასვლა. ჰოდა, აი ესე გახდა კაცი ცუდად და ჩაფიძემ გადაწყვიტა, რომ... დაუნიშნა, თუ რაღაც ასეთი, რომ უნდა ზღვაზე წახვიდე, იქ ჰაერი ჩაყლაპო, სისხლძარღვები გაიფართოვო, რაღაც, რაღაცა და ეს კაცი წავიდა. ამიტომ – ნემო ბურჭულაძე იყო მისი შემცვლელი და – ნემო ბურჭულაძე წავიდა ალმა-ათაში ამ ხელშეკრულებაზე, ოღონდ მას არ ჰქონდა უფლება ხელი მოეწერა ან რაღაც ასეთი...

ნათელა ვაჩინაძე: აბა, რა იყო, საპატიო სტუმარი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, მაინც ჩავიდა, როგორც დამკვირვებელი. მე ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, რა სტატუსი ჰქონდა.

ნათელა ვაჩინაძე: თვითონ იტყვის მაგას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ნემო იყო იქ, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი. და შეკითხვაზე ნემომ უთხრა, რომ ჩვენ ხელს არ ვაწერთ, საქართველოს ხელისუფლება ამაზე ხელს არ აწერს და თქვენ რაც გინდათ, ის გააკეთეთ. ჰოდა, ეს ესე დამთავრდა, რომ ჩვენ ხელი არ მოვაწერეთ. არ მოვაწერეთ ხელი და... ე. ი. გათენებულიც არ იყო, არა? იყო რაღაც, რვის ნახევარი იყო თუ რვას აკლდა წუთები და...

ნათელა ვაჩინაძე: რვა საათზე გაისმა სროლა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რვა არ იყო. ჰო, დაიწყო სროლა.

ნათელა ვაჩინაძე: ზოგი ამბობს, რვას აკლდა ოცი წუთიო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, რა მნიშვნელობა აქვს. პირველი, სხვათა შორის... იქ ერთი ვაჟი იყო, რომელიც პროტესტის ნიშნად დაჯდა უზენაესი საბჭოს კიბეებზე, ვიღაც, არ ვიცი მე, ვინ იყო ის.

ნათელა ვაჩინაძე: პროტესტის ნიშნად, რას ნიშნავს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აი, სროლა რომ დაიწყო, ის წამოვიდა ვიღაცა, მე ვუყურებდი, რომ მოვიდა და დაჯდა უზენაესი საბჭოს კიბეზე. არა, მე ფირი მაქვს ნანახი... ესროლეს და მოკლეს. ის კაცი წაიქცა. ხალხი იყო

იქ, უზენაესი საბჭოს წინ შეგროვილი, სანამ სროლა დაიწყო. სროლა რომ დაიწყო, ხალხი აირ-დაირია და ზოგი შევიდა კინოთეატრ „რუს-თაველში“. ეს ბიჭი რომ წაიქცა, მჯდომარე ბიჭი – გადავარდა ესე და დაეცა, მე მგონი, მოკვდა ის, არ ვიცი – იქიდან გამოცვივდნენ ვიღაცები, დასტაცეს ამ ვაჟს ხელი და წაიყვანეს, შეიყვანეს კინოთეატრში, ვესტიბიულში. არ ვიცი, იმას რა მოუვიდა, ვერ გეტყვით, ეს ფაქტი იყო. და დაიღუპა ერთი ვაჟი, რომელიც, სხვათა შორის, ჩემს სკოლაში სწავლობდა, ბევრად უფროსი იყო ჩემზე, ორი-სამი წლით. ის გარდა-იცვალა, აი, რვა საათზე.

ნათელა ვაჩნაძე: გვარი არ იცით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აღარ მახსოვს გვარი. ეს იყო ილია მართლის საზოგადოების წევრი. ვახტანგ ცაგარეიშვილი არის დეპუტატი და ის, ბესო გუგუშვილი, მაგათ იციან იმის გვარი, მაგათ იციან ნამდვილად.

ნათელა ვაჩნაძე: ბესო გუგუშვილი, პრემიერ-მინისტრი რომ იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, იმან იცის იმის გვარი. ეგეც ილია მართლიდან იყო, ბესოც და ცაგარეიშვილიც.

ნათელა ვაჩნაძე: და ცაგარეიშვილი თბილისშია, მათემატიკოსია.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, კი, მათემატიკოსია. ჰოდა, მე იმას მოგახსენებდით, ქალბატონო ნათელა, რომ, მაშასადამე, ეს სროლა იყო პასუხი იმ სწავლაზე. არ შესვლაზე. არ შესვლა განხორციელდა თუ არა რეალურად... იმიტომ, რომ მაინც, აი, ესე იყო საუბარი...

ნათელა ვაჩნაძე: საიდან იყო პირველი სროლა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სროლა პირველი იყო, რა თქმა უნდა, ქუჩიდან უზენაესი საბჭოს...

ნათელა ვაჩნაძე: უზენაეს საბჭოსკენ თუ უზენაესი საბჭოდან ქუჩისკენ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არა, კაცო, ვინ ისროდა უზენაესი საბჭოდან, ვის უნდა ესროლა?

ნათელა ვაჩნაძე: ოპოზიცია ამბობს, რომ პირველი სროლა ხელისუფლების მხრიდან იყოო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეგენიმაგასაც იტყვიან, რომ... საწყალი, ის რომარის... სიგუა... რა სისულელეა, 21 შეკითხვა რომ ჰქონდა, ახლაც დასვას ის 21 შეკითხვა, ნეტავ და იმას უპასუხოს. გახსოვთ, მაგან გამოაქვეყნა 21 შეკითხვა, რაღაც სამასხარაო, რაღაც ნაცოდვილარი, სირცხვილია იმის... ახლა უპასუხოს იმ 21 შეკითხვას, თვითონვე უპასუხოს, აბა. ის 21 შეკითხვა ახსოვს? ე. ი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ სენატია და ელისეს სასახლეა აქ, არა? და ჩვენ რომ მივიდეთ შეიარაღებულები, აი, ჩვენ რომ გვესროლონ სენატიდან, ჩვენ შეიძლება ავტომატები გვქონდეს, რომ საპასუხოდ ვესროლოთ? აი, ისე რომ ვთქვათ, არა? როგორ შეიძლება. იმათ რა უნდოდათ იქ შეიარაღებულებს?

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყვნენ ისინი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა ვიცი. როგორც ვიცი, კიტოვანის ხალხი იყო, რო-
მელთაც მერე გამოუშვეს ციხიდან ჯაბა იოსელიანი...

ნათელა ვაჩნაძე: გამოუშვეს 28-ში.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეს იმიტომ, რომ ჩვენ 28-ში გავიმარჯვეთ, ჩვენ ეგე-
ნი სულ გავყარეთ, სულ, სულ გავწმინდეთ რუსთაველის პროსპექტი,
„თბილისის“ სასტუმროდან ეგენი გაიქცნენ, აღარავინ აღარ იყო. მა-
გრამ, იცით, რა იყო მერე?

ნათელა ვაჩნაძე: თუ შეიძლება თანმიმდევრულად გავყვეთ მოვლენებს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, ბატონო.

ნათელა ვაჩნაძე: ის ბიჭი, ალბათ, გარდაიცვალა, თქვენი სკოლელი, წმინდა
ილია მართლის საზოგადოების წევრი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, ის გარდაიცვალა. იმას... რომ ისროლეს, იმას
მოხვდა... ე. ი. ტყვია მოხვდა ნაგებობას და იმ ნაგებობიდან ასხლეტი-
ლი, მოტეხილი ქვა ჩამოტყდა და მოკვდა რა. ის მოკვდა და ის, არ ვიცი,
რომელიც შეიყვანეს რუსთაველის კინო-თეატრში. ჰოდა, სროლა დაი-
წყო გარედან. ყველა შემთხვევაში...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ სად იყავით ამ დროს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: უზენაესი საბჭოს შენობაში ვიყავი მე.

ნათელა ვაჩნაძე: ლამე იქ იყავით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, იქ ვათენებდით, იქ რამდენიმე ლამე გავათენეთ
ჩვენ. მაგრამ მე ის-ის იყო რომ წავედი სახლში, მე და გულბანი წავედ-
ით, ესე 5 საათი იყო ლამის თუ რაღაც, წავედით...

ნათელა ვაჩნაძე: გამოხინისას?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო. ...სახლში წავედით და ქეთიმ მითხრა, რომ
სროლა... რადიო აცხადებს, რომ რაღაცაო და...

ნათელა ვაჩნაძე: ისევ დაბრუნდით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დავბრუნდი, ჰო.

ნათელა ვაჩნაძე: გულბანი თქვენთან ერთად იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, გულბანი სახლში წავიდა. ... სროლა იყო, რა
თქმა უნდა, იქიდან. ახლა მე, პრინციპში, ზუსტად იმ დროს, სროლა
რომ დაიწყო, იქ არ ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იქიდან იყო. შეი-
არალებულ ხალხს, გინდა კანონიერი ჯარის წევრებს, რა უნდოდა იქ
თოფით და იარაღით და... არა?

ნათელა ვაჩნაძე: დაცვა იყო იქ, უზენაეს საბჭოს დაცვა ხომ პყავდა თავისი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერე დაცვა ხომ არ გვესროდა ჩვენ, ჩვენ გვესროდ-
ნენ ქუჩიდან.

ნათელა ვაჩნაძე: არა, თქვენ კი არ გესროდნენ, პირიქით, იქით ისროდა დაცვა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, კაცო, ვისთვის უნდა ესროლა?

ნათელა ვაჩინაძე: ვინც იყო იქ, რა ვიცი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არა, მართლა გამორიცხულია. დაცვას ვისთვის უნდა ესროლა, თუ ისინი არ განახორციელებდნენ რაღაცას.

ნათელა ვაჩინაძე: თავდასხმას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, მაგრამ თავდასხმა ესე არ ხდებოდა, რომ წამო-სულიყო რაღაც ჯგუფი და შეგემჩნია, რომ მოდიან და ვაიმე, ახლა რა ვქნა, ესე არ იყო, რომ აი, რაღაც 25 კაცი მაინც მოდის რაღაც ჯგუ-ფად, ესე არ ყოფილა. რაღაც კანტი-კუნტად... იქიდან — გამოდით, თქვე მამაძალლებო, ბა-ბა-ბა-ბა... სისულელე რა, სისულელე. ჰოდა, ამას მოჰყვა მერე უკვე რა... მოჰყვა ის, რომ უკვე მთაწმინდაზე ავიდ-ნენ, იქიდანაც გვესროდნენ. უკვე ყველა მხრიდან გვესროდნენ, ქუჩე-ბიდან გვესროდნენ... რა ქუჩებია, ხომ იცით, აი კვბ-ს უკან ქუჩები რომ მოდის, იქიდანაც გვესროდნენ...

ნათელა ვაჩინაძე: კგბ იყო შევჩენკოს ქუჩაზე, კიდევ იყო ლესია უკრაინკას ქუჩა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ლესია უკრაინკას ქუჩა. ისე იყო ხალხი დაბნეული, რომ რა გითხრათ, საწყალმა — გარდაცვლილა — ბიჭიკო ჭილაშვილმა დაურეკა ჩვენებს, მამაჩემს სახლში, რომ ბიძინას უთხარიო, მუზეუმს ნუ ესვრიანო. ჰო, ბიჭიკომ დაურეკა, კოტეო, უთხარიო ბი-ძინასო, რომ მუზეუმს რატომ ესვრიანო, რა უნდათ მუზეუმისაგანო?! ჩვენ კი არ ვესროდით, ისინი მთაწმინდიდან გვესროდნენ ჩვენ, და იმ-დენად გამოუცდელები იყვნენ... სოფლიდან ჰყავდათ რამდენი ბიჭები ჩამოყვანილი, იცით? საგარეჯოდან, იქიდან, ძეგვიდან, იმიდან... უხ-აროდათ, ავტომატი ეჭირათ, ხან იქით ისროდნენ, ხან აქეთ ისროდნენ. ესროდნენ უზენაეს საბჭოს, მაგრამ იმდენად მოუმზადებლები იყვნენ, არტყამდნენ მუზეუმს, თორემ ჩვენ როგორ უნდა გვესროლა უზენ-აესი საბჭოდან მუზეუმისთვის ტყვია? მაგრამ ხალხი იყო სრულიად დაბნეული. მერე შემხვდა მე ბიჭიკო და დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ვესროდით, და ბიჭიკო აქრობდა მუზეუმში ცეცხლს, რადგან ტყვია სა-დაც შევარდებოდა, იქ ცეცხლი ჩნდებოდა.

ნათელა ვაჩინაძე: ის დარაჯობდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, კარგ საქმეს აკეთებდა, მაგრამ იმდენად იყო დაბნეული, რომ ეგონა, რომ ჩვენ ვესროდით მუზეუმს. აი, ეს შემთხ-ვევაც იყო. რა ხდებოდა ქალბატონო ნათელა, უნივერმალი რომ იყო და ოქროულობის მაღაზია რომ იყო თავისუფლების მოედანზე, ის სულ გატეხეს მხედრიონელებმა და იმათ. და ჩვენები რამდენჯერმე გავიდ-ნენ, რომ მაინც იმხელა თანხის საქონელი იყო იქ და როგორც სახელმ-ნიფოს წარმომადგენლები, თვლიდნენ, რომ როგორმე დაეცვათ ის. და პიონერთა სასახლეში შევიდნენ, უნივერმალში...

ნათელა ვაჩინაძე: მხედრიონი იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მხედრიონი შედიოდა და ძარცვავდა, მიჰქონდა ყველაფერი — პალტოები, საათები, აი, რაღაც ასეთი, საყოფაცხოვრებო... რაც შეიძლება უნივერმალში იყოს, მიჰქონდათ. ოქროულობის მაღაზიაც სულ წაიღეს, სულ წაიღეს მხედრიონელებმა და ამათ, გესმით? სუყველაფერი, რაც კი იყო ლენინის მოედანზე, რისი გატეხვაც შეიძლებოდა, ყველაფერი სულ გაანადგურეს. და რამდენჯერმე ჩვენები გავიდნენ, რომ დაეცვათ, იმიტომ, რომ მაინც სახელმწიფო ქონება იყო და რაღაც მოვლა ხომ უნდა ამას, არა? მილიონებს უდრის საბოლოო ჯამში. პალტოები, აი რა ვიცი, წინდები, პერანგები, ყველაფერი წაიღეს, ყველაფერი მიჰქონდათ აბსოლუტურად იმ ღამეს, იმ ღამეებში ტეხავდნენ და გარბოდნენ. ჰოდა, ეგენი გაჩერდნენ სასტუმრო „თბილისში“. სასტუმრო „თბილისიდან“... ახლა რა იყო, იცით? მაგათ ბევრი ადამიანი შეცდომაში შეიყვანეს. იყო ქუთათელაძე, მაგალითად. ის, ჩემი აზრით, არ იყო უწესო კაცი, არ იყო, მაგრამ იმას უჩიჩინებდნენ — დემოკრატია, ესა, ისა, ირლვევაო, ჩვენ მოვალთ, ისეთი წესრიგი იქნება. და, სხვათა შორის, სიგუამ, თავისდა სამარცხინოდ, სატელევიზიო გამოსვლა ჰქონდა „იმედის“ არხზე, ჰოდა, ილაპარაკა, რომ ვერც ერთმა თუ ძალიან ბევრმა დისიდენტმაო, როგორიც გამსახურდია იყოო, ვერ გაამართლაო. მაგალითადო, პოლონეთის პრეზიდენტი რომ გახდაო, იმანაც ვერ გაამართლაო.

ნათელა ვაჩნაძე: ლეხ ვალენსა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, და აი ნახეთო, ზვიად გამსახურდიამაც ვერ გაამართლაო. და წარმოგიდგენიათ, ამას ამბობს კაცი, რომლის ხელი-სუფლების დროს მოხდა საქართველოს, როგორც ქვეყნის, გაძარცვა. გაძარცვეს საქართველო, ხომ? პროკურორებს კლავდნენ, ყველაფერი გააკეთეს, იმიტომ, რომ მოიპარეს ყველაფერი. და ის პროკურორი, თბილისის პროკურორი, ძალიან წესიერი კაცი იყო და იმან საქმეები შეუდგინა მხედრიონელებს, როგორც მოხდა, გამოვიძიოთო, ითხოვდა რაღაცებს და...

ნათელა ვაჩნაძე: მიშა, მიშა ერქვა. ქურდაძე გახლდათ გვარად.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ... და მოკლეს ის კაცი, მოკლეს. საქართველო გაიქურდა მაშინ. ახლა ბათიაშვილზე რომ ამბობენ, ბათიაშვილი წესიერი კაცია, პატრიოტი კაცია, ირაკლი ბათიაშვილზე. კი, ბატონო, ახლა შეიძლება რაღაც... მაგრამ თავის დროზე ეგ კაცი იყო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, მაშინ, როდესაც საქართველო გაქურდეს. ე. ი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ისეთი ამწეებით მივიდნენ, აწიეს, რომ იქ პლატინა ამოელოთ და წაელოთ და გაეყიდათ, და ისეთი ოპერაციები ჩატარდა, რომ რა ვიცი ახლა აბა, ასეთი სუფთა როგორ არის ეს კაცი, როცა მაგ იყო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მაშინ ისინი ყველაფერს ქურდავდნენ, ხომ? ა? ჰოდა, აქ ორი აზრი არ არის, ახლა იმას დავუბრუნდეთ, რომ სამოქალაქო ომი ეს არის სირცე-ვილი და ეს უნდათ რუსებს, იმათ, ვინც მოაწყვეს გადატრიალება...

ეს იყო ეროვნული მოძრაობა. როგორ იყო. ჩამოვიდნენ ვატიკანიდან. ბატონ ზვიადს უთხრეს, რომ, თქვენი ჭირიმე, აბა, კათოლიკური ეკლესიები გავხსნათ საქართველოში, რომელიც არის, ის ავამუშაოთ, ჩვენგან მისიონერებს გამოვგზავნით, რაღაცა. . . . ზვიადმა უთხრა: აბა, ახლა აქედან... გაუშვა, საცა საჭირო იყო. სხვათა შორის, ის ძან განიცდიდა, ნოდარი, გაბაშვილი. ნოდარი ამბობდა, რომ...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ არის ნოდარ გაბაშვილი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ნოდარი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში — ძაან წესიერი და კულტურული კაცია, ვალიკო გაბაშვილის შვილი...

ნათელა ვაჩნაძე: ვიცი, ვიცი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ... რა მოხდაო, გაგვეხსნაო ერთიო, მაგრამ ბატონი ზვიადი უარზე იყო...

ნათელა ვაჩნაძე: ერთი ეკლესია გაგვეხსნაო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, აი, მაგალითად, რომელიც უკვე ამოქმედებული იყო...

ნათელა ვაჩნაძე: აგვემუშავებინაო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, და ესე და ესე.

ნათელა ვაჩნაძე: და რას მივიღებდით მერე? ეს მაინტერესებს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არ ვიცი მე, არ ვიცი, მაგრამ ბატონმა ზვიადმა იმ წუთში უარი უთხრა. იქ რა საუბარი იყო, მე ვერ გეტყვით, მაგრამ საქმე ის არის, რომ ე. ი. უკვე დასავლეთი... იმიტომ, იქ იყო რაღაც ეკონომიკური შემოთავაზებები, რაღაცების გახსნა საქართველოში, რაღაც ბანკების თუ რაღაცების, იმის და ამის... ბატონ ზვიადისაგან რომ მიიღეს უარი, მერე ბატონ ზვიადს დააბრალეს ათასი რამ, ვითომ ის იყო დიქტატორი, იმიტომ, რომ მათ ეროვნული პოზიცია აღიზიანებდა და ამითი რუსეთსაც ხელ-ფეხი გაეხსნა. ეს რა პერიოდი იყო? ეს ის პერიოდი იყო, როდესაც თვითონ დასავლეთი ფრთხილობდა, რომ ისე მოხდეს, ყველაფერი მოხდეს ძალიან რბილად, არ მოხდეს დიდი რყევები, აი, როგორც ახლა უკრაინის გამოყოფა, არა, საბჭოთა კავშირიდან და ეს ძაან მტკიცნეული იქნებოდა რუსეთისთვის და ეს ის პერიოდი იყო. და იმ პერიოდში ჩვენ უკვე ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, როდესაც დასავლეთი აღარ წავიდა რუსეთის წინააღმდეგ და რუსეთმა მოაწყო სამხედრო გადატრიალება თავისი მეხუთე კოლონის მეშვეობით რა, ძალიან, ძალიან მარტივია. სხვათა შორის, ჩვენ, პრინციპში, გავიმარჯვეთ, ესენი გავყარეთ, მაგრამ ზვიად გამსახურდია მიხვდა, რომ... ე. ი. როგორ იყო...

ნათელა ვაჩნაძე: როგორ გაყარეთ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩვენი შეიარაღებული ძალები, ასე ვთქვათ, გამოვიდნენ, ესროლეს, რაც საჭირო იყო და გაიქცნენ ისინი რა, ვეღარ გაუძლეს, ხალხი აღარ ჰყავდათ იმათ. იარაღი კიტოვანს და იმას არ ეყო უკვე და წავიდა. დაიკავეს მეცნიერებათა აკადემიის შენობა და

იმელის შენობა, აქედან რომ გაიქცნენ, და გაქცევაზე იყო საქმე, მაგათ უკვე მერე რუსებმა შესთავაზეს იარაღი, დახმარება, სპეციალისტები. სხვათა შორის, სანაპიროზე, მე რომ გამოვედი, ვნახე ქვემეხები იდგა, იქითა მხარის სანაპიროზე.

ნათელა ვაჩნაძე: რომელ მხარეს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ქორწინების სახლი საცა არის.

ნათელა ვაჩნაძე: მარცხენა სანაპიროზე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მარქსის მოედანი არ იყო? მარქსის მოედნის ხელ-მარცხნივ, იქ ორი ქვემეხი მე თვითონ ვნახე ჩემი თვალით. ახლა რო-გორ არის საქმე. იმ ქვემეხიდან მე ვერ გავისვრი ვერასოდეს, იმას უნდა ტრაექტორია. ეგ რომ გაისროლო, სად წავა, არ იცი. უნდა დააყ-ენოს სპეციალისტმა, რომ იმან ის ტრაექტორია მიიღოს და დაეცეს უზენაეს საბჭოზე.

ნათელა ვაჩნაძე: ჰყავდათ, ალბათ, სპეციალისტები.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, მე რა მინდა გითხრათ, რუსის ჯარისკაცები ასრულებდნენ ამ დავალებებს. და მაგათ რა გააკეთეს, იცით თქვენ? ვერტმფრენში – არ ვიცი, რა ჰქვია, რომ აფეთქებენ – სეიფი გაავსეს აი ამ დეტონატორით და წამოვიდა თვითმფრინავი და უზენაესი საბჭოს თავზე ჩამოაგდო, რომ დარტყმის დროს უნდა აფეთქებულიყო.

ნათელა ვაჩნაძე: და რა მოხდა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩამოანგრია ეს სახურავი, ყველაფერი, სახურავი აღარა ჰქონდა უზენაეს საბჭოს, მაგრამ არ აფეთქდა. ის არ აფეთქ-და, თვითონ აი ის, სეიფი, ყუმბარა თუ ის, რაღაც ისე არა ჰქონდა. მა-გრამ როგორ იყო, რუსები აძლევდნენ და ჩვენ რომ გაგვეგრძელებინა ეს ისა, ზვიადმა თქვა, მთელ თბილისს დავანგრევთო, იმიტომ, რომ ეგენი არ გაჩერდებიანო და... გახსოვთ, ზვიადმა რა სიტყვა თქვა? სას-წრაფო დახმარების მანქანები აღარ იქნება, უბანი უბანს გადაეკიდე-ბა, რაღაცა თქვა... მე მეგონა, რომ რას ამბობს?! რა ვიცი. რაც თქვა, ყველაფერი გამართლდა და. . . ეგ გვესროლეს ჩვენ მაგათ და ჩვენ ვიყავით სასადილოში, იმიტომ, რომ... მე კი ვუთხარი... მე ვუთხარი რა. მე ვუთხარი, რომ აქედან არის გასასვლელი „დეკაში“ იქ სამხედრო ის რომ იყო, რაღაც მინისქეშა... მე ეს სულ გაგებული მქონდა, რომ შეიძლებოდა გასვლა. მაგრამ გასასვლელი მარტო მანდ კი არ იყო, იყო მეტროში, ჩასვლა შეიძლებოდა, მაგრამ არ ვიცოდით ჩვენ, გეგმა არ ვიცოდით. ის კაცი გაიქცა, ვისაც ასეთი რამეები ებარა, მიგვატოვა იმან და დაიმალა.

ნათელა ვაჩნაძე: ვის ებარა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვიღაცას, უზენაესი საბჭოს სამნეო ნაწილიდან ვიღა-ცას ასეთი რამ ევალებოდა. და მერე მოიკითხეს, სად არის ეს კაცი და არც მოვიდა, ის არ გაგვეარებია ჩვენ. შეეშინდა ამ სროლაში და იმა-ში. სხვათა შორის, ბევრი ადამიანი შემოდიოდა ამ დროს მზაკვრული

მიზნებით უზენაეს საბჭოში. ერთმა თევზი მოიტანა, ალბათ, საკვები არა გაქვთო, უნდა გაჭამოთო, რაღაცები.

ნათელა ვაჩნაძე: ეს მზაკვრული რატომაა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აფუჭებდნენ იქ რაღაცებს, ტელეფონებს აფუჭებდნენ, ბეტეერები იყო, ბეტეერს აფუჭებდნენ. შემოდიოდნენ ესე, იმათი დავალებით შემოდიოდნენ. ახლა მე არ ვიცი, შეიძლება ჩვენი დავალებითაც იქით ვინმე შედიოდა, მე ამას ვერ გეტყვით, მაგრამ ისინი შემოდიოდნენ. ასეთი ფაქტები მე ვიცი, რომ შემოდიოდნენ და ისეთი რამები ფუჭდებოდა, გადაირეოდა კაცი. მოდიოდნენ ესე სპეციალურად, იპარებოდნენ, ვითომ რაღაც სიტყვებს ამბობდნენ, ესე, ესე და მერე რაღაცას აკეთებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც რა ფორმულირება შეიძლება, თქვენის აზრით, მიუდგეს იმას, რაც მოხდა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეს იყო უცხო ქვეყნის ინტერვენცია, საქართველოს წინააღმდეგ ჩატარებული. ე. ი. აი, მე გითხარით კიდევაც. გორბაჩივმა 9 აპრილს, როდესაც ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა... უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, გორბაჩივმა დარეკა პრეზიდენტთან და მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩივი პრეზიდენტია ამ დროს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ჰო, ჰო, გორბაჩივი პრეზიდენტია, ულოცავს და ეუბნება: ეს ყველაფერი ძალიან კარგია, ეს ყველაფერი შესანიშნავია, მე გილოცავთ, მაგრამ აი, როგორ ფიქრობთ თქვენ, კარგი იქნება, წარმოგიდგენიათ, რომ საქართველო იყოს დამოუკიდებელი აფხაზეთის... და, ალბათ, იმან უთხრა ოსეთის, სამხრეთ --- ოსეთის, მაგრამ აი, შიდა ქართლის გარეშე.

ნათელა ვაჩნაძე: და რა უპასუხა გამსახურდიამ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სიტყვა სიტყვით მე ვერ გეტყვით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნათელია, რასაც ეტყოდა. აგრამ, აი, ეს ფაქტი იყო და იმის მერე სულ მოდის აი ამ ტერიტორიების წარმევისა და... ე. ი. მთავარია, ჩვენ არა ვყოფილიყავით სნგ-ში. სნგ-ში ყოფნა, აი, ამ ტერიტორიული პრობლემების საკითხს რუსეთისთვის აადვილებს, იმიტომ, რომ სნგ-ს წევრი ხარ, იმ თანამეგობრობის წევრი ხარ, იქ რაღაცა პასპორტებს არიგებს იმ თანამეგობრობაში, ტერიტორიაზე, იურიდიულად, გესმით? იქ რაღაცას აკეთებს, იქ ვიღაცას ეხმარება, ისა და ამათ შეიყვანეს. გამოდის მერე ჯანსულ ჩარკვიანი და ამბობს, რომ, აი, მე მითხრაო შევარდნაძემ, ახლა ასე სჯობიაო და იმიტომ მივეცი ხმაო. ესე შეიძლება საქმის გამართლება? რა ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: არსებობს დოკუმენტები, სადაც ზუსტად არის აღნუსხული, ვინ მისცა ხმა...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ვიცი, გაზეთშიაც დაბეჭდეს.

ნათელა ვაჩნაძე: .. შესვლას და ვინ არ მისცა, გაზეთშიაც დაიბეჭდა. მე პატონ-
მა თენგიზ სიგუამ მომცა ის გაზეთი. სიგუას არა აქვს ხმა მიცემული.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: შესვლაზე?

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, შესვლაზე არა აქვს ხმა მიცემული.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, მაგრამ საქმით იმდენი გააკეთა, რომ... ალბათ,
სიგუა გათამაშებული კაცია, რომელიც გამოყენებულ იქნა... ისე სი-
გუა გადადგა, ჰო? 19 აგვისტოს მერე გადადგა.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ გადადგა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვერ გეტყვით, ვერ გეტყვით.

ნათელა ვაჩნაძე: 19 აგვისტოს არა, 14-ში უთხრა პრეზიდენტმა, გადადექიო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოო? 14-ში? შეიძლება, არ ვიცი. რაღაც იმ დღეებში
ხდებოდა და დიდი არეულობა იყო.

ნათელა ვაჩნაძე: კადრები იყო ძირითადი მიზეზი – ბატონი თენგიზის მონ-
ათხობიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. პირდაპირ ამბობს,
რომ კადრებში არ ჰქონდა თავისუფალი მოქმედების სამუალება.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, მაგრამ დღეს აქვთ? შევარდნაძის დროს იყო ეს
კადრები? დღეს არის ეს კადრები?

ნათელა ვაჩნაძე: ნიშნავდნენ პრეზიდენტის ოჯახის წევრები, მეუღლე,
მეუღლის და ასე ამბობს თენგიზ სიგუა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: შეიძლება.

ნათელა ვაჩნაძე: ... მპრძანებლობდნენ, რეკავდნენ, ანუხებდნენ, ლანდა-
ვდნენ. ვინ იყო ეს კაცი, გვარიც ალარ მახსოვს, რომელიც ვაჭრობის
მინისტრად დაინიშნა, ჩემთვის უცნობი პიროვნება, ოთხი კლასის გა-
ნათლება ჰქონდაო. ქალბატონო ნათელა, შეიძლებოდა ის მინისტრი
ყოფილიყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერე, იცით, რა მოხდა მაგ დროს? იმან ისეთი
ხელშეკრულება დადო, რომ რაღაც ძალიან წავაგეთ ჩვენ იმ ხე-
ლშეკრულებით, რაღაცა აურ-დაურია, ზუსტად ვერ გეტყვით, მა-
გრამ... ისე კარგი იყო სიგუა სესიაზე გამოსულიყო, რაღაც თვითონ
ეთქვა. კი, შეცდომებიც იყო. ზვიადს ათასჯერ უთქვამს, შეცდომები
როგორ არა გვაქვსო. თვითონ ზვიადს უთქვამს. შეცდომები როგორ
არა გვაქვსო, მაგრამ ისეთი შეცდომები არა გვაქვსო, რომ სახელმ-
წიფო თავზე დაგვამხონო და გვესროლონო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს სად უთქვამს, რომ შეცდომები გვაქვსო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, ისე საუბარში უთქვია, რომ... კაცს უთქვია, რომ
შეცდომები როგორ არა გვაქვსო და მართლა, რა ვიცი, უშეცდომო ვინ
არის, უშეცდომო კაცს მე არ ვიცნობ. სიგუას არ შეეშალა? რამდენი
შეეშალა. აი, ლანჩავამ და იმათ, რომ სრულიად უმიზეზოდ...

ნათელა ვაჩნაძე: ლანჩავას რა ერქვა, გელა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გელა ლანჩავა. ...ხალხი რომ დახვრიტეს ცირკის შე-ნობასთან. ბავშვი, 11 წლის ბავშვი და რამდენიმე ადამიანი რომ მოკლეს, დროშით რომ მოდიოდა ახალგაზრდა ვაჟი და ისინი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე მერე, ხომ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერე, გადატრიალების მერე.

ნათელა ვაჩნაძე: როცა დაიწყო უკვე ხვრეტა ზვიადისტების მიტინგების.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ჰო, მიტინგებზე. შეცდომა არ იყო? ვინ აგებს იმაზე პასუხს? 2 თებერვალს ხალხს რომ ესროლეს, ვინ აგებს იმაზე პასუხს? მარტო ეს არის რაღაც კადრები? რეებს აკეთებდნენ. ხომ ხედავდა ის სიგუა, რომ ხალხს მაინც არ უნდოდა ის ხელისუფლება, რომელიც მოვიდა, არა? რატომ არ გადადგა? რატომ დაიჩინა, რომ მე ვარ, მე ვარ, მე ვარ. ან ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, ან სულელი იყო. ესე არა?

ნათელა ვაჩნაძე: ვალდებულება ვის წინაშე ჰქონდა, ელცინის წინაშე?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი, ვერ გეტყვით. ი, ისევ ვამბობ, ან ვალდებული იყო ვინმეს წინაშე, ან სულელი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: გორბაჩოვი უკვე აღარ იყო ისეთი ფიგურა, ელცინი და მისი გუნდი მოდიოდა, ახალგაზრდული გუნდი, უკვე აგვისტოს პუტ-ჩის მერე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, მე გეუბნებით უკვე აი გადატრიალების მერე...

ნათელა ვაჩნაძე: ჰო, გადატრიალების მერე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ... უკვე გორბაჩოვი აღარაფერი აღარ იყო, აღარც პრეზიდენტი აღარ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ჰოდა, მაგას ვამბობ, არაფერი არ იყო, საბჭოთა კავშირი დაიშალა, ელცინი მოვიდა – ახალგაზრდა ძალა, ახალგაზრდული გუნდით. იმათ წინაშე იყო ვალდებული?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ხომ არსებობს სამხედრო დაზვერვა, არსებობს ათასი ის, რომელიც თავის საქმეს აკეთებს.

ნათელა ვაჩნაძე: Государственное разведывательное управление – ГРУ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ის კი მოვიდა, ელცინი, მაგრამ რაღაც გენერალიტეტი მუშაობს, იმათ თავიანთი გეგმა აქვთ, იმათ ხომ მერე ათასი რამის გაკეთება შეუძლიათ, არა? ეს ჩვენა ვართ, სუსტი ქვეყანა ვართ, თორემ ათასი არხებია, ათასი არხებია, რომლებიც ინერციით, დამოუკიდებლად მუშაობს, შენ არც არაფერს არ გეკითხებიან.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც რაღაცა შეცდომებზე რომ ვილაპარაკოთ ახლა? და მერე დადებით მხარეებსაც აღვნიშნავთ. რა იყო ეს შეცდომები, კადრების შერჩევა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კადრების შერჩევაზე ვერაფერს ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ იმის მერე გავიდა თხუთმეტი წელი, ხომ? უკეთესი კადრე-

ბი მე არ მახსოვს, რომ მოეყვანათ. უკეთესი კადრები მოიყვანეს ან განათლების სამინისტროში, ან სადმე? სამხედრო სფეროში? ან... რა ვიცი მე. სად მოიყვანეს უკეთესი კადრები, ვერც შევარდნაძემ ვერ მოიყვანა უკეთესი გუნდი, ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: და რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან, რომ საქართველოს არა ჰყავს კადრები? თუ ხელისუფლებამ არ იცის კადრების შერჩევა?

ბიძინა ჩილოყაშვილი: ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ კადრები არ იყო მიზეზი, არავითარი მიზეზი არ იყო კადრები. ეს არის რეალურად საქართველო. ამათ რომ უკეთესი კადრები მოეყვანათ მართლა, აელორდინებინათ ეკონომიკა, აელორდინებინათ სოფლის მეურნეობა, აეყვავებინათ განათლების სისტემა, არა? კი, ბატონო, მაგრამ რა გაკეთდა იმის მერე უკეთესი, ვიდრე იმ დროს იყო. არაფერი, არაფერი. მე მგონია, რომ, პირიქით, უკან და უკან მივდივართ, არა? სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს დღეს, ხომ? განათლების სისტემა სულ დაანგრიეს. ეს განათლების სისტემა არის ისეთი რამ, რასაც წლები უნდა, ხომ? იმ სპეციალისტებს ვინ აღზრდის ახლა, რომელიც აი, უნივერსიტეტის შენობაში მუშაობდნენ --- თქვენი კოლეგები, თქვენ და სხვები და სხვები. ამას ვინ დააბრუნებს უკან, ამას უნდა დიდი სკოლა, ხომ? რა ვიცი, აბა. უკეთესი კადრები ჰყავდა შევარდნაძეს ან ამ სააკაშვილს? არა მგონია. ისე რომ, კადრები მიზეზია. კადრები მიზეზია თავიანთი საქმის გასამართლებლად, თავიანთ დანაშაულს ასე ამართლებენ, თორემ თავიდან პარლამენტიც არ მოსწონდათ, არ მოსწონდათ პარლამენტი. ეს რა არისო, აი ინგლისშიო, იმაშიო, ამაშიო, ასე არის, ისე არისო. მერე? უკეთესი პარლამენტი აირჩიეს, ვიდრე 90 წლის პარლამენტი? აირჩა უკეთესი? აი, ისე რომ გადავხედოთ. შევარდნაძის პარლამენტი - აი, ზურა უვანია და ისინი. აქებენ და ვინ მოკლა და რამ მოკლა. ზურა უვანია? რა... ან ის ნადირაძე, ბოკერია, უკეთესია? რა ვიცი. ისე რომ, კადრებზე საუბარი, მე მგონი, არის სრულიად გაუმართლებელი. გადახედეთ, ბატონო. მაია მაჭავარიანი იყო, ძოწენიძე იყო დეპუტატი, ხომ ჩვენს დროს? ძოწენიძეს რა ჰქვია? ქიმიკოსი რომაა, ხომ იცით?

ნათელა ვაჩნაძე: კი, ვიცი.

ბიძინა ჩილოყაშვილი: ხალხი იყო, კაცო. მზექალა იყო, მთელი ხალხი იყო ძალიან ისეთი. „მრგვალი მაგიდიდან“ იყვნენ ისინი. მაია ნათაძე იყო „მრგვალი მაგიდიდან“. ხალხი იყო, ახლა აღარ მახსოვს, ძალიან ბევრი იყვნენ. მანანა გაბაშვილი იყო, ძალიან ბევრი ხალხი იყო წესიერი და კულტურული, რა ვიცი. აი, გულწრფელად გეუბნებით, არა იმიტომ, რომ მე ვიყავი იმ მოწვევის... მე არა მგონია, რომ შევარდნაძის ის ორჯერ არჩეული პარლამენტი და ის სარიშვილები და ისინი, უკეთესი იყო, ვიდრე... გულწრფელად... მე არა მგონია, რომ უკეთესი პარლამენტი აირჩა. მერე ის გააკეთეს, რომ არ გადააფურთხო, გადააფურთხე, რაღაცა... ეგ თუ პარლამენტია...

ნათელა ვაჩნაძე: პრივატიზაციაზედაც ბრძანებს კიდევ არა მარტო სიგუა, სხვებიც ამბობენ. დავპირდით ამომრჩეველს პრივატიზაციასო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერე ესე ორ დღეში შეიძლებოდა გადაწყვეტა ამ რთულ რეგიონში, საცა ამდენი არაქართველი მოსახლეობაა და ამდენი პრობლემები შეიძლება წამოიჭრას, არა? ამას ხომ ბატონი ზოიადი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა და, სხვათა შორის... ეს კაცი ყურადღებას აქცევდა. მაგრამ იმდენი პრობლემა იყო, უცებ მიწა ესე მიეცი, ისე მიეცი... მოსახლები იყო რაღაც გზა. ჩვენ, მაგალითად, ისე წამოვედით უზენაესი საბჭოდან, რომ კანონი მოქალაქეობის შესახებ ვერ მივიღეთ, საქართველოს მოქალაქე ვინ იყო. ჩვენ კანონი არ მიგვიღია, იმიტომ, რომ რთული იყო, ათასი რამ იყო გასათვალისწინებელი. ესე დაწერდი ვაი იყო, ისე დაწერდი, იქიდან არადემოკრატიულია, ეს არის, ის არის და უი იყო. ვმუშაობდით, ის იყო დავიწყეთ და ვინ გაცალა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ იყავით რომელიმე კომისიაში?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე ვიყავი უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების კომისიაში.

ნათელა ვაჩნაძე: მინისტრი ვინ იყო თქვენს დროს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ქალბატონი ლია ანდლულაძე და მერე შეცვალა ჯაველიძემ და, რა ვიცი, გინდათ ლია აიღეთ და გინდათ ჯაველიძე ნუთუ ეს მინისტრი სჯობია? სულ მავიწყდება მაგის გვარი.

ნათელა ვაჩნაძე: ლომაია.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ლომაია, რა კადრებზეა ლაპარაკი, კაცო, დეპუტატებიც ბევრად ძლიერნი იყვნენ, ვმუშაობდით კანონებზე... ის იყო, ქალბატონო ნათელა, მართლა, ის იყო იწყებოდა. ბევრი მერე პოლიტიკაში გაერკვა, პოლიტიკურ თამაშებში, ასე ვთქვათ. პიარი მერე წამოვიდა, თურმე ესე უწყობენ, მერე გეტყვიან, რომ შენ მამათმავალი ხარ, რომ გაგაფუჭონ, მოგიგონებენ, იმაზე ამას იტყვიან, ამაზე იმას. და მაშინ ხალხი, თვითონ საზოგადოება არ ერკვეოდა, არ ერკვეოდა, რომ ამ კაცს უგონებენ, ამ უზენაეს საბჭოს რაღაცებს აბრალებენ. ჩვენს დროს, აი, მექრთამეობა იყო? თქვენ, აი, როგორც მოქალაქეს, რამე გაგიგიათ, რომ ფული გამოართვეს, იმან ცეხი გახსნა, იმან ფაბრიკა იყიდა? არაფერი. ვმუშაობდით, რაღაცა მიდიოდა და ამოგვატრიალეს იმიტომ, რომ ჩვენ არ მოვაწერეთ ხელი სნგ-ში შესვლაზე. აბა სნგ-ს წევრი არ იყოს, დაარიგებდნენ რუსულ პასპორტებს ესე ადვილად? ვერ დაარიგებდნენ. ამას, ესე იტყვი, თუ ისე, იურიდიული სარჩული უნდა. და ამათ მისცეს იურიდიული სარჩული. მერე თქვეს, ედუარდმა გვითხრა, ახლა ამ ეტაპზე ასეა საჭირო, თორებ აფხაზეთს ვკარგავთო. ისინი ახლა ესე იმართლებენ თავს.

ნათელა ვაჩნაძე: და ისედაც არ დავკარგეთ!?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ისედაც არ დავკარგეთ და არ ჩააბარეს? მე, სხვათა შორის, ავედი ავტობუსში ერთხელ ზუგდიდში და ჩვენ ხომ არ

ვიცოდით... უყურეთ, რა ხდება. სამეგრელო დაარბიეს ცხრაჯერ მხედრიონელებმა, მაგრამ დღეს იკვეთება, რომ ეს შემთხვევით კი არ იყო, ეს იყო სპეციალურად. საერთოდ, გადატრიალება განხორციელდა როგორ? მოახდინეს ქვეყნის კრიმინალიზაცია შეგნებული. ჯაბა იოსელიანი ციხიდან გამოყვანილია შეგნებულად, რომ მომხდარიყო ქურდული მენტალიტეტის. ალორძინება.

ნათელა ვაჩნაძე: 28-ში.

ბიძინა ჩილოყაშვილი: 28-ში იმიტომ, რომ 28-ში ეგენი მარცხდებოდნენ და გადაწყვიტეს, ჯაბა მოიყვანსო ისეთ ხალხსო, რომ მერე უკვე ხელისუფლებას დავიბრუნებთო, თორემ 28-ში ეგენი უკვე განადგურებულები იყვნენ, ქალბატონო ნათელა, გაქცეულები იყვნენ რა და რუსებმა დააბრუნეს ეგენი. დაპპირდნენ იარაღს, დაპპირდნენ ყველანაირ დახმარებას და ზვიადმა თქვა... ხომ მიხვდა არა, რა ხდებოდა, ყველანი მივხვდით, რომ ე. ი. გვესროდნენ, ჩვენ ვესროდით, გადავიდოდნენ საბურთალოზე, იქ მოხდებოდა... ზვიადმა თქვა, მთელ თბილისს დავანგრევთო ჩვენ ესე რა, ნელა-ნელა, ნელა-ნელა, აი, დღეს არა, ხვალ. გროზნო ალარ არსებობს, ქალაქი გროზნო ალარ არის, სულ მოისპო, აი, სუყველაფერი განადგურებულია, ნაგებობა ალარა დგას, არის რაღაცა კედლები. ჰოდა, რას გეუბნებოდით? შეგნებული კრიმინალიზაცია მოახდინეს. სიგუას ხელისუფლების პერიოდში... მერე მოვიდა შევარდნაძე. სიგუას ხელისუფლების პერიოდში და კიტოვანის და ჯაბა იოსელიანის, აი, ამ სამის ხელისუფლების პერიოდში მოხდა საქართველოს კრიმინალიზაცია, რომ შეფერხებულიყო საქართველოს განვითარება. მოიყვანეს ისეთი ხალხი, რომელთაც მითითება ალარ უნდოდათ. ისინი უკვე აფერხებდნენ საქართველოს განვითარებას, სპობდნენ ყველაფერს, იპარავდნენ ყველაფერს, ყველაფერს სპობდნენ. და ---- კრიმინალიზაცია ---- ეს იყო დაგეგმილი მოსკოვში, ამათ უბრალოდ განახორციელეს. ეს იყო საქართველოს განვითარების შეჩერებისათვის შემუშავებული სტრატეგიული გეგმა – საქართველოს კრიმინალიზაცია, ჩაუყენეს მეთაურად ჯაბა იოსელიანი. აი, ეს მოხდა. მე ჩემს განცხადებაში ვწერ კიდევაც მაგას, რომ ეს არის სპეციალურად... მერე იმათ ჰერნიათ, მაგარი იყო, არა, გამოუშვეს სპეციალურად. ჯაბა მაგარიაო და აიყვანსო ხელში მთელ რესპუბლიკასო და, ვითომ, მაგიტომ გამოუშვეს. მაგიტომ კი არ გამოუშვეს, რომ გაექურდათ ქვეყანა, იმიტომ გამოუშვეს. რა მოხდა. შევიდნენ ბიჭები ზუგდიდში... ჰოდა, აი, ახლა გამახსენდა, რას გეუბნებოდით. შევიდნენ. ჯაბა იოსელიანს ეუბნებიან, ბატონო ჯაბა, გვშია, ხელფასიო და როგორ იქნებაო. თქვე დეგენერატებო, ქალაქი თქვენიაო და მე მთხოვთ პურსო, მე უნდა მოგცეთ ფულიო. მიხვდნენ ესენი და შევიდნენ ოჯახებში, იმას ჭალი ჩამოუხსნეს, იმას მაცივარი წაართვეს. ი, ასეთი რამ მოხდა. და რას მოგახსენებდით მე, რომ სამეგრელოს დარბევა რატომ ხდებოდა, რომ მერე კაცს ჭკუაში არ მოსვლოდა, რომ აფხაზეთისკენ

გაეხედა. აფხაზეთი რომ უნდა რუსებს გადასცემოდათ, ამიტომ არ-ბევდნენ ეს მხედრიონელები ზუგდიდს და მთელ სამეგრელოს, იმიტომ, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, როდესაც ჯანსაღი სამეგრელო გაიგებდა, რომ იქ ქართველებს... ესენი გადავიდოდნენ იმ წუთში იქ და სულ სხვა სურათი იქნებოდა. ესენი არბევდნენ, ფეხმძიმე ქალები გააუპატიურეს, აბა ერთი, ფეხმძიმე როგორი იქნებაო. რეებს აკეთებდნენ, იცით, თქვენ? იცით თქვენ ვალტერ შურლაია?

ნათელა ვაჩნაძე: კი, ჩანერილი მყავს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ნახეთ? ელაპარაკეთ? ჰო, აი, ვალტერს ჰკითხეთ, რეები აქვთ გაკეთებული, ზუგდიდში რეები აქვთ გაკეთებული. ეს, ქალბატონო ნათელა, მე ვერავინ ვერ გადამარწმუნებს, რომ სამეგრელოში რაც მოხდა, იყო წინასწარ შემზადება აფხაზეთის წასართმევად. ესენი წელში განყდნენ, აღარ შეეძლოთ. მერე შევიდნენ აფხაზეთში. ეს იყო დაგეგმილი, თორემ ეს ლაპარტყავები, ეს აქუბარდიები, ისინი, რომ გადახტებოდნენ იქით, არა, ვერავინ ვერაფერს ვერ გაბედავდა, მაგრამ უკვე რა, ძალა აღარა ჰქონდათ. ცხრაჯერ გადაუარეს, რამდენჯერ გადაუარეს? არა? ვინ დათვლის. ჯაბა როგორ გამოიყვანეს წალენჯიხიდან, ალყაში ჰყავდათ ჯაბა. და მისცეს ერთმანეთს საშუალება, რომ მიცვალებულები გაეტანათ. და ჯაბას გადააფარეს ზენარი და საკაცით გამოიტანეს, ეგრე, თორემ მოკლავდნენ. გამოაპარეს რა, როგორც მკვდარი.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გაუკეთა ეს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მხედრიონელებმა გამოიყვანეს.

ნათელა ვაჩნაძე: ჰოდა, ვინ არიან ისინი? ხომ უნდა დავკითხოთ. ხომ არ იცით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი მე, ვალტერს უნდა ჰკითხოთ წალენჯიხის ამბავი და იქ სროლების დროს რომ ალყაში ჰყავდათ, რაღაც მომენტში შეთანხმდნენ, რომ მიცვალებულები გავიყვანოთო, იმიტომ, რომ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. და ეს ეგრე გაიყვანეს იქედან ჯაბა.

ნათელა ვაჩნაძე: არ უთქვამს ვალტერს, დაავინყდა, შეიძლება. მე კი მითხრა, წალენჯიხაში უნდა წახვიდეთ უსიკვდილოთო, იმიტომ, რომ ის ქუჩა დგას დღესაც ხელუხლებლადო, სადაც ჩამწკრივებული გადამწვარი სახლებია, ნიშანი ქართველთა ველურობისო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: და სამეგრელო, იცოდეთ თქვენ, რომ, მე დარწმუნებული ვარ, განხორციელდა იმიტომ, რომ მერე აფხაზეთში ჰქონდათ ის გეგმა, რაც ახლა მიმდინარეობს. დღეს, წარმოგიდგენიათ თქვენ, ეს ბაქრაძე, რომელიც კონფლიქტების მოგვარების ის არის და – ინაღმება აფხაზეთი, რომ ქართველი ვერ გადავიდეს იქით – დგას და პრეზიდენტის სააგიტაციო იმას ეწევა, რა დროს ეგ არის. სამშვიდობო ჯარს სხვა ფუნქცია აქვს, ხომ? არტილერია და ქვემეხები და ის შემოაქვთ, კაცო. სამშვიდობო ჯარის მისიას ხომ არ ეთანადება ეს სამხედრო

ტექნიკა არა? ამოვილოთ ხმა, რაღაცა უნდა ვიმოქმედოთ. რუსი მთაზე ვერ გადმოდის, ვერც გადმოვა. აი, ამ წვრილი ხეობით შემოვა და შემოცოცდება და დავკარგეთ საქართველო, გადმოსვლა არ შეიძლება. მაგის დათმობა არ შეიძლება. რუსი თუ მოვიდა ეგრე და განმტკიცდა მანდ, თანდათან შემოვა საქართველოში, სულ, სულ მოედება.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი სიტყვით, ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დღესაც რუსეთ-საქართველოს ომია. რუსეთი თუ ჩვენ ემბარგოს გვინწყობს, რატომ ჩვენ არ ვუწყობთ? ჩვენც ხომ შემოგვაქვს რუსეთის საქონელი, ჩვენც შევაჩეროთ რუსული საქონლის შემოტანა. რატომ შემოგვაქვს? ვის ვატყუებთ ჩვენ? ჩვენ თავს? პრეზიდენტი რას აკეთებს? არაფერს. ემბარგოს უნდა უპასუხო ემბარგოთი, არა? ეს არ შეიძლება, ხალხი სულ ტყუილად დაიხოცა, ბატონო. ის ოთხი ვითომ ჯაშუში დილის ექვს საათზე რომ მეორე დღესვე რუსეთში გაუშვეს, ამას შეენირა რამდენი ქართველი, 17 ქართველი დაიღუპა ამ ამბავში და რამდენი იქიდან ლტოლვილი უკან დაბრუნდა საქართველოში და... რა ვიცი, რას ვაკეთებთ, მე ვერა ვხვდები. ვითომ დავიჭირეთ შპიონები და მერე ქართველები სცემეს, გამოყარეს, დახოცეს.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ მაინც დავმარცხდით ამ რუსეთ-საქართველოს ომში თუ არ დავმარცხდით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ომი ხომ არ დამთავრებულა.

ნათელა ვაჩნაძე: იმ ეტაპზე ჩვენ დავმარცხდით თუ არ დავმარცხდით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, დავმარცხდით იმ წლებში, მაგრამ ომი არ დამთავრებულა, არა? ომი დღესაც გრძელდება, მაგრამ ამას არავინ არ ამბობს, ყველა მალავს, რაღაც დიპლომატიურ ურთიერთობებზე, რაღაც ბზე ლაპარაკობენ, რაც არ არსებობს სინამდვილეში.

ნათელა ვაჩნაძე: არა, არ არის დიპლომატიური ურთიერთობა, ყველამ ვიცით ეგა და არაფერს არ აკეთებს არც ერთი მხარე ჯერჯერობით, ვერ აღწევენ ვერაფერს. საზღვრები ჩაკეტილია, ვიზები არ გაიცემა, ფულის გადმოგზავნა, მაგალითად, მოსკოვიდან არ ხდება, ფოსტა არ მუშაობს, წერილი არ მოვა, ამანათი არ მოვა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ამ დროს რატომ არა გვაქვს ჩვენ ემბარგო დაწესებული? გავუკეთოთ რუსულ საქონელსაც ბლოკადა.

ნათელა ვაჩნაძე: რა ვიცი, ეს ჩვენი ბლოკადა რუსეთს რას დააკლებს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დააკლებს თუ არ დააკლებს, ეს არის მორალური...

ნათელა ვაჩნაძე: სომხეთის საკითხიც დგას კიდევ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, დგას. აგვიჯანყებენ?

ნათელა ვაჩნაძე: რა ვიცი, რთულია ყველაფერი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, მაგრამ მაშინ არ უნდა წახვიდე პრეზიდენტის თანამდებობაზე, ყველას ხომ არ ეძახიან იქა, თვითონ მიდიან, არა? თავიანთი სურვილით, რომ, აი, გამომიყენეთ, არა? პრეზიდენტობა ეგ არის,

რომ, აი, მე გთავაზობთ ჩემს თავს, გამომიყენეთ, თუ გინდათ, მე გამომიყენეთ. გამყრელიძე ამბობს, თუ გინდათ, მე გამომიყენეთ, გაჩეჩილაძე – თუ გინდათ, მე, ხომ? ნუ მიდიან მაშინ, წავიდნენ სადლაც, სხვა საქმე გააკეთონ, რაც შეუძლიათ, ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: რუსეთი როგორ დათმობს აფხაზეთს? თქვენ დათმობდით, რუსეთის ადგილას რომ იყოთ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე მიმაჩნია, რომ პუტინი არის ძალიან ძლიერი მმართველი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ უნდა დათმოს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, მაგრამ ჩვენ რატომ უნდა მივცეთ?

ნათელა ვაჩნაძე: იმიტომ, რომ სუსტები ვართ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა ვართ სუსტები, კაცო.

ნათელა ვაჩნაძე: არა ვართ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: როგორა ვართ სუსტები. ჩეჩენებმა, 900 კაცმა რა წინააღმდეგობა გაუწია. როგორ, ჩვენს ტერიტორიაზე შემოდიან, სახელმწიფო საზღვარია, ხომ? ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ძოძუაშვილმა რა მითხრა, იცით? ფეხბურთელი რომაა რეზო ძოძუაშვილი. ავედი ავტობუსში, წარმოდგენა არა მქონდა, მოდის ხალხი... საცოდაობა იყო ის, რა, პირველად რომ შევიდნენ აფხაზეთში – ეს ხალხი რომ მორბოდა, ზოგს ძროხა მოჰყავდა, ზოგს რაღაცა... ერთი ავტობუსია, ავედი, არიან მებრძოლები. ერთი იყო ეს ფეხბურთელი, ძოძუაშვილი. მითხრეს, რეზო ძოძუაშვილი. იარაღი არ მოგვცესო, ტყვია არ მოგვცესო, წამალი არ მოგვცესო, არაფერიო და ხელშიშველა ვიყავითო და წამოვედითო.

ნათელა ვაჩნაძე: ცნობილი ამბებია, დიახ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მაგრამ ის ხალხი დახოცეს, ის ხალხი ცოცხალი არ არის, ვინც მომარაგებაზე აგებდა პასუხს, ვინც ამ საკითხებზე პასუხისმგებელი იყო, დახოცეს, აღარ არის ცოცხალი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო ბიძინა, დადებითი რა მოიტანა ამ უზენაესმა საბჭომ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: პირველ რიგში, ის, რომ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, არა? საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა. შემდეგ როგორ მოიხმარა ეს დიდი აქტი, მაშასადამე, ასე ვთქვათ, შევარდნაძის გუნდმა და თანდათან როგორ... ეს უკვე სხვა საკითხია, მაგრამ ამაზე დიდი რა უნდა გაკეთებულიყო. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში, მაგრამ მერე ყველაფერი თანდათან დაიკარგა.

ნათელა ვაჩნაძე: არა, როგორ დაიკარგა, დამოუკიდებელია საქართველო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დამოუკიდებელია სიტყვაზე, თორემ...

ნათელა ვაჩნაძე: დე-იურე დამოუკიდებელია.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, დე-იურე დამოუკიდებელია, როგორც ახლა აფხ-აზეთი დე-იურე საქართველოა, მაგრამ, აი, ამ ყველაფრის ის წაიშალა როგორდაც, წაიშალა ბევრი რამ.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ეს რომ ვთქვათ, რომ წაიშალა და უკვალოდ ჩაიარა ამდენი ხალხის სისხლმა, ესეც რაღაც არ იქნება ჩვენი მხრივ კარგი...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე იმას კი არ ვამბობ, მაგრამ არ ვუფრთხილდებით, მე ამას ვამბობ. ამას დაცვა უნდა, იმ გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ახლა უნდა ზრუნვა, დაცვა. ამ კაცს ესროლეს, რა გააკეთა ამან სამ თვეში, თუ ექვს თვეში ასეთი, ზვიად გამსახურდიამ, ექვს თვეში რა მოახდინა ისეთი, რომ აბა, ჩქარა... წათელია, ხომ? ვიღაცებს არ მოსწონდათ, თავიანთი პოლიტიკური პოზიციებიდან გამომდინარე, და მოაშორეს ეს უზენაესი საბჭო, ეს პრეზიდენტი, არა? მაგრამ რომ მოვიდნენ, იმათ რა გააკეთეს სანაცვლოდ. იმას ხომ მერე მოვლა უნდა იმ დამოუკიდებლობის იდეას ხომ უნდა ემსახურო. რა გაკეთდა? მხედრიონი უშველიდა საქართველოს? ორ სიტყვას ვერ ამბობდნენ და ავტომატს ისროდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან გაგვიჭირდა... დოკუმენტები არ არის, ბუნებრივია, არ არის, განადგურებულია. ვერაფრით ვერ დავადგინე, რა ფულით ხდებოდა ყველაფერი. ყველა გადატრიალებას უნდა ფული, საერთოდ, ისტორიაში ფულის გარეშე არაფერი არ ხდება.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეგ კიტოვანს და სიგუას უნდა ჰკითხოთ და ჯაბა იოსელიანს.

ნათელა ვაჩნაძე: ჯაბა იოსელიანს როგორდა ვკითხო? კიტოვანი არ ჩამოდის ხოლო სიგუამ თქვა, მე ამის შესახებ არაფერი არ ვიციო, რა ფულიო, რის ფულიო, მე ფული თვალით არ მინახავსო. უბრალოდ ძმაკაცობით, მეგობრობით ვიღაცა რაღაცას მოგვაწვდიდა, ზოგი სათბობს, ზოგი საჭმელს, ზოგი იმას, ზოგი ამას თბილისის ზღვაზე რომ ვიყავითო და ეგ რა ფულიაო!

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ისე, რასაც უზენაესი საბჭო რიცხავდა საქართველოს თავდაცვისათვის, ის ფული იქნა გამოყენებული მერე ჩვენს საწინააღმდეგოდ, არა? იმიტომ, რომ უზენაესი საბჭო ხომ გარკვეულად ეკონომიკურ უზრუნველყოფას ახდენდა, სხვადასხვა საკითხების მოსავლელად, თავდაცვის სამინისტროსას, არა? და აი, იმითი მოძლავრდნენ და ის გვესროლეს მერე ჩვენ.

ნათელა ვაჩნაძე: ასეთი აზრიც გამიგია ოპოზიციის მხრიდან, ჩვენ რას გვაძრალებენო, თვითონ მათში მოხდა განხეთქილებაო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეგ ტყუილია, აბსოლუტურად ტყუილია.

ნათელა ვაჩნაძე: რომ მათ ვერ გაუძლეს ერთმანეთსო, თვითონ შიგნით დაერივნენ ურთიერთს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აი, ვინ ვის?

ნათელა ვაჩნაძე: ასე თითქოს არ აკონკრეტებენ გვარს, მაგრამ ჩვენ თვითონ შეგვიძლია გამოვიცნოთ ეს გვარები. ისევ სიგუა, რომელიც იყო პრემიერ-მინისტრი ბატონი ზვიადის დროს, ისევ თენგიზ კიტოვანი, რომელიც იყო სამხედრო სარდალი და ჯარის საკითხები მაგას ჰქონდა ჩაბარებული. უზენაეს საბჭოშიც მოხდა ისეთი რამ, რომ გაიყო უზენაესი საბჭოც, ხომ? ზოგი ხელისუფლების მხარეს იყო, ზოგი აღარ იყო...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ადამიას ამბობთ, ალბათ.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ადამია? რეზო ადამია?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რეზო ადამია კი არა, ვაუა ადამია.

ნათელა ვაჩნაძე: თუ გნებავთ, ვაუა ადამია. ვაუა ადამია მერე მე მინახავს ჯავახიშვილის ქუჩის ზემოთ, აღმართზე... იმ აღმართის დასასრულს მე მინახავს ტანკი, რომელიც ვაუა ადამიას იქ დაყენებული ჰყავდა, ზუსტად იმ ქუჩაზე, სადაც მერაბ კოსტავა ცხოვრობდა და ეს ტანკი იყო მერაბ კოსტავას საზოგადოების მიერ დაყენებული. აი, ეგ ერთი მაგალითი, ახლა თქვენ გამახსენეთ. მე გაგახსენებთ იგივე თედო პაატ-აშვილს, იგივე მერაბ ურიდიას, ვთქვათ, ირაკლი მელაშვილი, ეს სულ შიდა ძალებია, უზენაესი საბჭოს წევრები არიან. უზენაესი საბჭოს წევრი იყო ნოდარ ნათაძე, ოპოზიციაში იყო. რა ვიცი, ბევრი იყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: თამაზ გამყრელიძე.

ნათელა ვაჩნაძე: თამაზ გამყრელიძე ოპოზიციაში იყო?!

ბიძინა ჩოლოყაშვილი: პრინციპში ოპოზიციაში იყო, სახალხო ფრონტიდან იყო. ნოდარი რომ თქვით, გამახსენდა თამაზი.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. თვითონ შიგნით მოხდაო განხეთქილება.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, შიგნით არაფერი არ ყოფილა. ახლა როგორ იყო. თენგიზ კიტოვანი... აი, დავიწყოთ თენგიზ კიტოვანით. პუტჩია მოსკოვში და მოვიდა გენერალიტეტი, ვიღაც რუსები...

ნათელა ვაჩნაძე: აი, ეს მოყევით, ძალიან საინტერესოა, კაბინეტში შესულან ბატონ ზვიადთან.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ჰო, მიიღო რა.

ნათელა ვაჩნაძე: აბა არ მიიღებდა? საბჭოთა კავშირია.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მიიღო და ელაპარაკებიან: შენაო შექმენიო აქო... ჯარებს ქმნიო. ზვიადმა უთხრა, რა ძალებსა ვქმნიო. როგორო, ჯარებიო და რაღაცა. ზვიადმა უთხრა – მე ზუსტად ვერ გეტყვით ფორმულირებას – ეს არის წესრიგის დამცველი მილიციის ქვედანაყოფიო.

ნათელა ვაჩნაძე: შინაგანი ჯარების ქვედანაყოფი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ალბათ, მილიცია თუ რაღაც უთხრა. იმან იუკადრისა, როგორო, ბიჭებოო, ჩვენ მილიციელები ვყოფილვართო?!

ამ კაცმა დაიცვა ეს ქართველი ახალგაზრდები. ისინი შემოსულები იყვნენ, არ იცოდნენ შარი რაზე მოედოთ. ზვიად გამსახურდიამ მაგათ ჩაურთო ტელევიზორი და უთხრა, რომ, აბა, შეხედეთო, თქვენ ვის წარმოადგენთო, აი ნახეთო, გაგინებენო იქაო. თქვენ ესენი ხართო, ვისაც აგინებენო თვითონ მოსკოვშიო. იქ მიტინგი იყო, ელცინი გამოდიოდა ტანკზე და რაღაცები და თქვენ ვის წარმოადგენთო, ზვიადს უკითხავს ამათვის. აი, ნახეთო, იმათ ლანძლავენო. ელცინი და ის ხალხი ხომ იყო მაგათ წინააღმდეგ? და თქვენ რომელი მხარე ხართო? ძალიან დაბაძული სიტუაცია იყო. და ზვიადმა უთხრა, რომ ესო არისო მილიციის თუ რაღაც, რაღაც, რომელიც წესრიგის... ეს ჯარი არ არისო. და იმან ატეხა ერთი ამბავი, რომ მეო ვინცებო, გავდივარო, მილიცია ახსენესო, მე მილიციაში რა მინდაო. ქურდული ის რა, ძველბიჭობა რა და ასე-თი რაღაცები. სიმართლე რომ გითხრათ, ესე არ მოხდებოდა, კიტოვანი არ განგვიდგებოდა, სხვა განგვიდგებოდა, რაღაცა მოხდებოდა, სხვა სცენარი დატრიალდებოდა. 21 დეკემბერს ხელი რომ არ მოეწერა სნგ-ში შესვლას, ეს იყო მიზეზი იმისა, რაც მოხდა. ეს არის ცალსახა. როგორი ფორმით განხორციელდა, ამას ძაან დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ისტორიისათვის სამომავლოდ, მე ესე მგონია. ახლა, რაც შეეხება ადამიას. ადამია, იცით, რა იყო? ადამია იყო უშიშროების, მილიციის, აი ასეთი რაღაცების კომისიის თავმჯდომარე. და ბატონმა ზვიადმა ისეთი ცხოვრება გამოიარა, რომ არავის არ ენდობოდა. ამას კიდევ უნდოდა, რომ, რომ ეტყოდა ესა... შეიძლება გარკვეულად ეს კაცი... ეს იყო მერაბის ახლობელი, ნათესავი. შეიძლება ამას სწყინდა, რომ არ უჯერებდა, არ უთანხმებდა რაღაცებს. ზვიადი ეჭვიანი იყო და ისე აკეთებდა საქმეებს და ეს უკვე მის ამბიციებს ეხებოდა, სწყინდა – ეს მე უნდა გადამეწყვიტა, ეს ჩემთვის უნდა ეკითხათ და ასე, ღიზიანდებოდა, მე მგონი, უფრო, ვიდრე რაღაც პოლიტიკური და ის ყოფილიყო. არა მგონია, რომ სხვა ყოფილიყო. ის კიდევ არაკომპეტენტური იყო, ჯერ ერთი, ის ახალგაზრდა ბიჭი. რა გვარი თქვით თქვენ? საგარეო კომისიის თავმჯდომარე რომ იყო?

ნათელა ვაჩნაძე: თედო პაატაშვილი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, თედო პაატაშვილი და გაათავისუფლა. და ის იმ წუთში იქ გაიქცა და იმათ ეუბნებოდა, ესე ესროლეთ, ისე ესროლეთ.

ნათელა ვაჩნაძე: სად გაიქცა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აი, იმათთან, პუტჩისტებთან, გადავიდა იქ. მილიციის უფროსი რომ იყო გვეტაძე, იმას მუხლებში უვარდებოდა და დიდი იმედი ჰქონდა, რომ ის რომ აღდგებოდა, მერე რაღაც მაგასაც შეხვდებოდა. უფრო პიროვნული წყენა იყო მაგ ბიჭის მხრიდან.

ნათელა ვაჩნაძე: და რა უნდოდა, უზენაესი საბჭოს წევრი იყო, კომისიის თავმჯდომარე იყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გაათავისუფლა ბატონმა ზვიადმა, აღარ იყო და რომ გაათავისუფლა, მერე გადავიდა ის ოპოზიციაში, ხომ?

ნათელა ვაჩნაძე: და უზენაესი საბჭოს წევრი მაინც იყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, იყო, იყო, აბა, ხომ არ გააგდებდა. იყო, მაგრამ ხომ იცით, ადამიანი სხვადასხვანაირია. ზოგს სულ უფროსობა უნდა, ზოგს რა, კაცია და გუნება.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლებოდა თუ არა ოპოზიციასთან საერთო ენის გამონახვა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, იმათ არ უნდოდათ, არავითარი ლაპარაკი არ უნდოდათ. ბატონმა სიგუამ დარეკა, სროლა რომ დაიწყო და ისე ცუდი სიტყვებით ელაპარაკა პრეზიდენტს, შეურაცხყოფებს აყენებდა ტელეფონით, უზრდელურად ელაპარაკა. ჩანდა, რომ იმათ არავითარი საუბარი... პირდაპირ რაღაც მოთხოვნებს უყენებდნენ. არავითარი იქ არ იყო, რომ ესა და ისა. ჯერ ერთი... სხვათა შორის, დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა. იმ დღეს, სროლა რომ დაიწყეს, 22 დეკემბერს, უზენაესი საბჭოს არჩევნები იყო დანიშნული. ამას არავინ არ ამბობს. ჩვენ გავათავისუფლეთ, უზენაესმა საბჭომ, აღარ მახსოვს როდის, დავითხოვეთ კომუნისტური პარტიის ყველა წევრი. გავაუქმეთ პარტია.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ მინდია სალუქვაძემ უთხრა: ბატონო ზვიად, ჩვენ კი წავალთო ახლაო, მაგრამ თქვენ ნახავთ, რაც მოგივათო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, აი, ამ გაუქმებულ ადგილებზე იყვნენ კომუნისტური პარტიიდან დეპუტატები, როგორც მე მახსოვს, რომლებიც შემოსული იყვნენ მაუორიტარული სისტემით. და არჩევნები იყო დანიშნული, დაახლოვებით თორმეტ --- თოთხმეტ უბანში არჩევნები უნდა ჩატარებულიყო.

ნათელა ვაჩნაძე: იმათ ადგილას, სადაც კომუნისტები იყვნენ ადრე, სხვა ხალხი უნდა შემოსულიყო, იმიტომ, რომ უზენაესი საბჭო შევსებულიყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვინც გაიმარჯვებდა. ზუსტად ვერ გეტყვით, რაღაც რაოდენობა ადგილებისა იყო თავისუფალი და იმ დღეს სწორედ, როცა სროლა დაიწყეს, იყო არჩევნები. და მაგათ შეეძლოთ, რომ არჩევნების გზით შემოეყვანათ თავიანთი წევრები და იმათ ეთქვათ თავიანთი გაბედული სიტყვა, ემსილებინათ ის მანკიერი მხარეები, რომელიც უზენაეს საბჭოს ახასიათებდა, არა? კი, ბატონო, ეთქვათ. იმ დღეს არჩევნები იყო, მე ესე მახსოვს. 22 დეკემბერს დანიშნული იყო არჩევნები და მაგათ გვესროლეს ჩვენ არჩევნების დღეს. ის არჩევნები აღარავის აღარ ახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: არ არის ისეთი მნიშვნელოვანი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: როგორ არ არის, თორმეტ კაცს შემოიყვან!

ნათელა ვაჩნაძე: ასე ფიქრობდნენ. არავის გამოკვლევა არ დაუწერია და არავის არაფერი არ გაუკეთებია ამ თემაზე, სხვათა შორის, ესეც უნდა გითხრათ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, და არც არავინ არ ახსენებს და მე სულ ეგ მიკვირს, რატომ არ ახსენებენ. და ახლა გამახსენდა, რომ იმ დღეს იყო არჩევნები. 22 დეკემბერს იყო არჩევნები დანიშნული. არა მგონია, რომ ვცდებოდე.

ნათელა ვაჩნაძე: მაინც დასკვნა რა უნდა გავაკეთოთ? რაც არ უნდა ყოფილიყო, ვინც არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სათავეში, როგორი უზენაესი საბჭოც არ უნდა ყოფილიყო, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, პრეზიდენტი...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გარდუვალი იყო, გარდუვალი იყო ეროვნული ხელი-სუფლების დამარცხება. დაიჭერდი თუ არა ეროვნულ პოზიციას, უნდა დამარცხებულიყავი. ეს იყო გარდუვალი.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არის წარმოდგენილი ზვიად გამსახურდია, როგორც რაღაც მონსტრი, ფაშიზმად? ხოლო ქვეყანაში შექმნილი ვითარება შერაცხილი პროვინციულ დიქტატურა, პრეზიდენტი, რომელმაც არ ამოასუნთქა არავინ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე გეტყვით. ეს უკვე საიდუმლო სამსახურმა გადაწყვიტა, რომ ეს ყველაფერი დაეკავშირებინა ერთ პიროვნებასთან. ეს ყოფილიყო პიროვნების ახირება და არა ერის სურვილი. კგბ-მდანერგა ტერმინი „ზვიადისტი“, ეს ტერმინი კგბ-ს დანერგილია. იმიტომ, რომ ესროლეს ზვიადს, ესროლეს ზვიად გამსახურდიას აი, ამ სისულელებს ლაპარაკობენ ახლა, იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია ახდენდა ასეთ რაღაცებს. არა ეროვნული, არამედ პიროვნებას დაუკავშირეს, როგორც პიროვნების ახირება, პიროვნების სისუსტე. ჩაუშესკუს ეძახდნენ. აბა, ჩაუშესკუ და ზვიად გამსახურდია, როგორც ისარა... ჩაუშესკუს ეძახდნენ და ჩაუშესკუს რომ იძახდა ჭანტურია, არ იცოდა, რომ იტყუებოდა? ჭანტურია ჩამოვიდა და იძახდა, რომ პრაღაშიო კონფერენცია იყოო და იქო მე გავიგეო, რომ მაგანო მამაძალლობა ჩაიდინაო და უნდა ვამხილოთ... ტყუილ რაღაცებს იძახდა, რომ დოკუმენტებიო, რაღაცებიო და ედავებოდა. აიყოლია ხალხი. მე იმათ შევხვდი, გავაჩერე ერთხელ და...

ნათელა ვაჩნაძე: ვინ გააჩერეთ, არ გახსოვთ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: როგორ არ მახსოვს, მაგრამ... ედპ-ს წევრები. და იძახდნენ, ვითომ რაღაც დოკუმენტი იყო...

ნათელა ვაჩნაძე: თქვით გვარები.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, იცით რა, ის დოკუმენტი არ მახსოვს. მაგათი გვარები მე რა ვიცი, საქმე არა მქონია მაგათან, უბრალოდ ვიცოდი. ერთი ის ვიცი, რომ გიორგაძე არის იქ კიდევ, მამუკა გიორგაძე, დამამახსოვრდა ეგა. პრაღაში იყო რაღაც გაერთიანება...

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი, კი, სურათებიც მაქვს ნანახი, პრაღის კონფერენციიდან გამოსულები, ირინა სარიშვილი და გია ჭანტურია იყვნენ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეგენი წავიდნენ იქ და, სხვათა შორის, ნოვოდ-ვორსკაიამ მითხრა, რომ მაგათმა მე იქ შეცდომაში შემიყვანესო.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ნოვოდვორსკაიამ გითხრათ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ნოვოდვორსკაიამ მითხრა. ნოვოდვორსკაია იყო პრაღაში, ჰოდა, შეცდომაში შემიყვანესო, ისე უთხრეს, მოუყვნენ, ელაპარაკნენ...

ნათელა ვაჩნაძე: მაგათ, ვინ? სამი კაცი იყო – ბატონი გია ჭანტურია, ქალ-ბატონი ირინა სარიშვილი და იყო ერთი – ძაბირაძე, ვახტანგ ძაბირაძე. მგონი, მაგის ძმა იყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, არ ვიცი. ჰოდა, ისინი ამბობდნენ მერე, აი ჭანტურია, სარიშვილი და ისინი, რომ იქ იპოვეს ვითომ რაღაც დოკუმენტი – ტყუილი რა, თავიდან ბოლომდე ტყუილი – რომელიც ამჟღავნებდა, რომ ზვიად გამსახურდია ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს და... კარგად ვერ გავიგე დღესაც და ვერც მაშინ ვერ გავიგე, რას აბრალებდნენ, მა-გრამ აბრალებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ნოვოდვორსკაიამ რა გიამბოთ თქვენ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მითხრა ერთხელ მოსკოვში, რომ შეცდომაში შემიყვანესო თავიდანო მე. და მერე დაელაპარაკა, გაიცნო, მიხვდა, ელაპარაკა და სულ სხვა აზრისა იყო მერე ნოვოდვორსკაია. ეს ფაქტი მითხრა, რომ მე მაგათო მომატყუესო, ე. ი. მე ვენდეო, რაღაცა რომ უთხრეს, რაღაცა უთხრეს და დაიჯერა. სხვათა შორის, ძაან ნაწვალები ქალია ეგ ნოვოდვორსკაია, გონებაგახსნილია... ოოო, ძალიან კარგი ქალია. გროზნოში ჩავიდა ზვიადთან, ინახულა, დუდაევიც ინახულა.

ნათელა ვაჩნაძე: რა გაარკვია მერე?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ჯერ კიდევ ცოცხალია, შეიძლება მისი ნახვა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ჰო, ძალიან საინტერესო ადამიანია, ძალიან.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან საინტერესო ადამიანია, ძალიან ბევრი რამ იცის, ძალიან კარგად იცნობს თავის სახელმწიფოს. არც ისე დიდი ხნის წინ მე ვუყურე ტელევიზიით, იყო მშვენიერი სიუჟეტი განაპოლსკისთან, “Эхо Москвы” რომ არის. მშვენიერი სიუჟეტი იყო ღთVI-ზე, განაპოლსკი იღებდა მისგან ინტერვიუს. ძალიან საინტერესო ქალია, მაგისი ჩაწერა კი ძალიან საინტერესო იქნება. ე. ი. ჩვენ ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ყველაფერი იყო წარმართული ეროვნული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ყველაფერი ეს მათ ხელს უშლიდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა თქმა უნდა. იცით, მთავარი ის არის, ხომ გითხარით, მათ ეს ყველაფერი გადაიტანეს ერთი კაცის ახირებად, ესეც გააკეთეს და ამას ყველაფერს უნოდეს სამოქალაქო ომი და ქარ-

თველები დიდი სიამოვნებით იმეორებენ ამას, იმიტომ, რომ ამითი რუსი საერთოდ იმაღლება, აღარა ჩანს.

ნათელა ვაჩნაძე: სიტყვა „სამოქალაქო ომი“ გამორიცხავს გარეშე ძალას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა თქმა უნდა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ერთმანეთს დაერიეთ რუსთაველზე, ჩვენ რა შეუაში ვართო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მორჩა. და ამ დროს რუსებმა მოახდინეს საქართველოში კრიმინალური ბანდების ფორმირება, რომელთაც თვითონ იმუშავეს მერე უკვე, თვითონ იმუშავეს და ქვეყანას გამოუთხარეს ძირი.

ნათელა ვაჩნაძე: იყო ეს პუტჩი თუ არა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა თქმა უნდა, აბა, რა იყო. შეიძლება, რომ თეთრი სახლის წინ ჩვენ ავტომატებით მივიდეთ და იქ ვითხოთ, რომ... რაღაც შევეკითხოთ?! ისინი არ გვეტყვიან, რატომ გიჭირავთ ხელში ეს ავტომატები, საიდან მოხვედით, ვინა ხართ. ქაშვეთის ეკლესიაში, როგორც მე მეუბნებოდნენ, მაგათ იარაღი ჰქონდათ შეტანილი.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ხომ არ იცით რომელიმე ადგილი, ბატონი ბიძინა? ხომ არ გაგიგიათ, ხომ არ გსმენიათ რამე, სადაც იარაღი იყო შეტანილი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არა, არ ვიცი. სხვათა შორის, ბატონმა ზვიადმა – გამახსენდა ქაშუეთთან დაკავშირებით – პატრიარქს მიმართა, რომ გამოეთქვა თავისი აზრი. და მოვიდა გიორგი გამრეკელი. ეს იყო სასულიერო აკადემიის რექტორი მაშინ და გვითხრა, რომ პატრიარქი ლოგინად არის, ვერ ინძრევა. ისეთი რაღაცები იღაპარაკა, რომ... უკანასკნელ მდგომარეობაში არისო და ვერაფერს ვერ გააკეთებსო, ვერც განცხადებას, ვერც მიმართვას, ვერაფერს ვერ შესძლებსო და ესე დამთავრდა ეს.

ნათელა ვაჩნაძე: იყო ეგეთი მომენტი?... თქვენ იყავით მაშინ? სულ ხომ არ იყავით, ყოველთვის, მუდამ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გადატრიალების დროს სულ იქ ვიყავი, იქ გვეძინა, იქ ვიყავით სულ. ზვიადი სულ ეუბნებოდა, არ ესროლოთ ბიჭებს, ფეხებში, მარტო ფეხებში.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ფეხებშიო – ეს ცნობილი ფრაზაა. მე შვილმა მითხრა ბატონი ზვიადის: მამაჩემს ერჩივნაო მონასტერში წასულიყო ან ეკლესიაში, იმიტომ, რომ კაცის კვლა თუ არ შეგიძლიაო და სროლა თუ არ შეგიძლიაო პრეზიდენტსო, რომელსაც მოგადგა უკვეო შეიარაღებული ხალხი, პარლამენტის წინ დგანანო, გესვრიან და გაფეხქებენო და უნდა გადაგადონო, და შენ სროლა რომ არ შეგიძლიაო, რად მინდა მე ასეთი პრეზიდენტიო. მე პირველად მისგან გავიგე ეგ სიტყვები. სხვათა შორის, ცოტნებ მითხრა. და მე როდესაც ვუთხარი, თუ არ შეეძლო-მეთქი? თუ არ შეეძლო, მონასტერში წასულიყო, დეიდა ნათელა, და ელოცაო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ეჭ. ჰო, რაღაცას მეკითხებოდით, იქ თუ იყავით მაშინო? ნათელა ვაჩნაძე: თუ იყო ისეთი მომენტი, როდესაც ბატონმა ზვიადმა უკვე ლაბადა ჩაიცვა, შავი ლაბადა და პატარა დიპლომატი დაიჭირა და უკვე გასვლას აპირებდა და დარეკა სახლში და თქვა, რომ მე გამოვდივა-რო. სახლიდან უთხრეს, თუ კაცი ხარო და თუ პრეზიდენტი ხარო, მანდ უნდა იყოო და უნდა იპრძოლოო და თუ არ შეგიძლიაო არაფერი, მაშინ უნდა წამოხვიდეო. თქვენ ამის შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი ეგ.

ნათელა ვაჩნაძე: ამინერეთ შიგ როგორი სიტუაცია იყო, თუ შეგიძლიათ? თქვენ თვითმხილველი ბრძანდებით.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, ბატონო. სასადილოში ვისხედით რა და ისინი ბუნკერს ეძახდნენ იმას. ბუნკერი სად იყო, ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვი-ცოდით.

ნათელა ვაჩნაძე: ბუნკერი ვინ დაარქვა, ხომ არ იცით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კგბ-მ რა, ამათ, მუშაობდნენ, ვითომ ჩვენ ბუნკერში ვიყავით.

ნათელა ვაჩნაძე: მე მითხვა ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომ ეს ტერმინიო შემოიტანა ერთ-ერთმა უურნალისტმაო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი. ისე დაინერგა მთელ საზოგადოებაში და ყველა ბუნკერს იძახის, რომ, მე არა მგონია, შემთხვევით იყოს ნათქ-ვამი. ე. ი. როგორ იყო. უზენაეს საბჭოს ჰქონდა დიდი სასადილო და მერე არის პატარა სასადილო, ვითომ ცეკას მდივნებისთვის, თავიდან. დეპუტატები ვიყავით აი, იმ პატარაში იქ იყო სამედიცინო პერსონალი, მებრძოლები იმ დიდ დარბაზში იყვნენ. სულ ერთად ვიყავით, მერე გა-მოვდიოდით სუყველანი აქეთ, ამათანა.

ნათელა ვაჩნაძე: როგორი სიტუაცია იყო შიგნით, როგორი განწყობა იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: განწყობა იყო ნორმალური, როგორ გითხრათ. ძალიან ბევრი იყო მოსული თვითონ, თავისი სურვილით, ძალიან ბევრი იყო, რომ მოგვეცით იარაღი და ჩვენ არ მივეცით არავის იარაღი, იმიტომ, რომ ქუჩიდან კაცი მოდის, იძახის, მომეცი იარაღი, ახლა დავხოცავ, ესე ვიზამ, ისე ვიზამ. როგორ უნდა მისცე, ვინ არის, რა იცი. წავა და რას გააკეთებს, მე რა ვიცი, შეიძლება მეზობელი მოკლას. ჰოდა, თუ ვინმე დაიჭრებოდა, შემოჰყავდათ იქ, სასადილოში, იქ უნდა მიგეხე-და, დახმარება აღმოგეჩინა. თუ სასწრაფო მოვიდოდა, უნდა ამ სას-წრაფოთი წაგეყვანა. ხომ გითხარით, ვიღაცები იპარებოდნენ, რომ ეს სიტუაცია ენახათ, რა არის, როგორ არის და აფუჭებდნენ რაღაცებს. ბატონი ზვიადი იყო ცოტა იქით, არც საწოლი იყო, არც არაფერი არ იყო, ოთახი იყო, მეტი არაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: რაზე იწვა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი მე, წარმოდგენა არა მაქვს. ჰოდა, რაღაც საშინელი სიტუაცია იყო რა. სასადილოში ვიყავით, სასადილოში.

ნათელა ვაჩნაძე: რას ფიქრობდით, რა განწყობა გქონდათ, რა განცდები დაგეუფლათ? ინფორმაცია გქონდათ, თუ არა? ატყუებდნენო ბატონ ზვიადსო თავისიანებივეო. მოდიოდნენ და ეუბნებოდნენ, ყველაფერი კარგად არის, ყველაფერი გადასარევად არის...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: შეიძლება.

ნათელა ვაჩნაძე: ... დასავლეთ საქართველო მოდის, შეიარაღება არის, ტყვია-წამალი არის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დასავლეთ საქართველოს რაც შეეხება, აკაკი ასათიანი აწყობდა მიტინგებს ზუგდიდში, ფოთში. იმათ წამოსვლა უნდოდათ, ეუბნებოდა, მანდ იყავით, არაფერი საშიში არ არის. ბათუმიდან რეისებს აკეთებდა და ეუბნებოდა, რომ არ არის საჭირო არაფერი, ყველაფერი როგორც საჭიროა, ისეა. მოიწერა წერილი, ტრადიციონალისტთა კავშირის წევრებს მოსთხოვა, გასულიყვნენ. ეს მე თვითონ ვიცი, როგორ დაეწყნენ და წავიდნენ ისინი.

ნათელა ვაჩნაძე: სად წავიდნენ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გავიდნენ უზენაესი საბჭოდან, უბრალოდ მიატოვეთო ეგენიო. შეიძლება უზენაესი საბჭო ძალიან ცუდი იყო და ეგ როგორა თვლის, არ ვიცი მე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აუცილებლად უნდა ყოფილიყო იქ, საცა ასეთი რამ ხდებოდა, არა? რა ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: წავიდა ის კაცი, როგორ უნდა ყოფილიყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, უნდა მობრუნებულიყო.

ნათელა ვაჩნაძე: წავიდა, წავიდა ადამიანი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ასე არ შეიძლება. ჰოდა, სადილი იმართებოდა, გვაჭმევდნენ რა იქ, მზარეული იყო და რაღაც სადილს აკეთებდა. და სასადილოში ვიყავით გადაბმულად ყოველ დღე. შეიძლება ატყუებდნენ ზვიად გამსახურდიას. სიტუაცია მძიმე იყო, იმიტომ, რომ გეკითხა, რა ხდება, იქ რამდენი ჰყავთ იმათ ძალები, ჩვენ რა ძალები, ამაზე ლაპარაკი არავის არ უნდოდა, ვითომ... რაღაცის გარკვევას იწყებ, მერე გეტყოდნენ, რომ შენ ჯაშუში ხარ, შენ... ბევრს არავინ არა კითხულობდა და ესე დამთავრდა ყველაფერი, სამწუხაროდ, ცუდად.

ნათელა ვაჩნაძე: და როგორ გამოვიდა ბატონი ზვიადი, როგორ მოხდა ეს ამბავი? თქვენ ხართ იქა, გეუბნებიან, დაგვნებდით, ვინ შემოვიდა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ბატონმა ზვიადმა შეკრიბა უზენაესი საბჭოს დეპუტატები და იქ მყოფები ყველა, თქვა, რომ... სააქტო დარბაზი იყო, ჰოდა, იქ შევიკრიბეთ. მე და გივი თაქთაქიშვილი ვიყავით ზემოთ, მაღლა გვეძინა და გვითხრეს, რომ კრებაა, ჩამოდით. ჩავედით. ჩავედით და უნდა დავტოვოთო.

ნათელა ვაჩნაძე: სატელეფონო კავშირი გქონდათ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მაგალითად, მე ჩვენთან სახლში დავრეკე 1 იანვარს, მივულოცე ახალი წელი ჩვენებს. ამათა თქვეს, რა ხდება, როგორ არის. მე ვუთხარი, კარგად არის, არაფერი არა ხდება.

ნათელა ვაჩნაძე: ისინი თქვენ გეკითხებოდნენ, რა ხდება და თქვენ ამ დროს იქით გქონდათ საკითხავი, რა ხდებოდა იქით. მოკლედ, ომობანას თამაშია, რა, რომ არა მსხვერპლი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ნამდვილად ეგრე იყო. ჰოდა, ზვიად გამსახურდიამ რომ თქვა, უნდა დავტოვოთ უზენაესი საბჭოო, გამოვედით ჩვენ და ვფიქრობთ, რა გავაკეთოთ. ეზოა, კარებია, არავინ არ იყო შემოსული, არაფერი არ ხდებოდა. ჰოდა, გამოვედით, ავტობუსი იდგა, „იკარუსი“. ვდგევარ, ვუყურებ...

ნათელა ვაჩნაძე: ეს იქნებოდა უსაფრთხოებისთვის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ამდენი ხალხი რომ გაგეყვანა – მებრძოლები, ხალხი ავტომატით იყო, ზოგი ისე. შევედი ავტობუსში, შევედი ამ ავტობუსში სულ ბოლო. მძღოლმა დაქოქა ავტობუსი და მიყურებს და ვერა ვხედავო, სარკეს ვერა ვხედავო. კაი, ჩავალ-მეთქი, მე ვუთხარი. გავალე კარები, ჩამოვედი რა. წავიდა ეს „იკარუსი“. ვდგევარ მარტო. ახლა რა ვქნა, კაცო. გავიხედე, გამოვიდა ეს თაქთაქიშვილი, გამოვიდა მერაბ კიკნაძე, ვიღაცები გამოცვივდნენ. გამოვიდნენ ისინი, გამოვიდნენ და წავედით მეცნიერებათა აკადემიისკენ, ძერუინსკის ქუჩაზე, დავეშვით ესე და გამოვდივართ ლენინის მოედანზე. გამოვედით ლენინის მოედანზე, ბეტეერები მოდის, რაღაცები მოდიან, ეს მხედრიონელების რა. შევედით ქალაქის საბჭოს შენობაში, არავინ არ იყო. სუყველაფერი დალენილი იყო გარშემო. ჩავედით მერე... იქ ვერცხლის ქუჩაა, პატარა ქუჩები რომაა. ერთი კაცი იყო, იმას მოჰქონდა გამათბობელი, ელექტროგამათბობელი. მე ვთქვი, კაცო, ამას ჭკუა არა აქვს, რომ... მე ვთქვი, მოიპარა რა, გამათბობელი მოიპარა. აბა, რად უნდა გამათბობელი, გვესვრიან, ხვალ მოგხვდება ტყვია და... თურმე ეს ჭკვიანი კაცია და ვითომ საოჯახო რაღაცაზე მიდის.

ნათელა ვაჩნაძე: სინამდვილეში?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩვენთან ერთად იყო რა. მე და ნიკა კილასონია ვერცხლის ქუჩიდან გამოვედით კოლმეურნეობის მოედანზე და ხიდზე გადავედით მარქსის მოედანზე. და იმიტომ გითხარით მე, ის ორი ქვემეხი იდგა-მეთქი. დავჯექით ტროლეიბუსზე და წავედით სადგურისკენ, 2 თუ 3 ნომერი ტროლეიბუსი იყო. მერე იქიდან წავედი სახლში, სადგურიდან.

ნათელა ვაჩნაძე: არავინ არ გამოგეკიდათ, არაფერი არ მოხდა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ანდრია მოვიდა აფაქიძე დილით ადრე – ბიძინა წამოვიდესო ჩემთანო სახლშიო, კოტეს უთხრა, მამაჩემს უთხრა. მოვედიო, რომ ბიძინა წავიყვანოო, ჩემთან არავინ არ მოვაო.

ნათელა ვაჩნაძე: ამის დავიწყება არ შეიძლება, სხვათა შორის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, კი. ჰოდა, აი ეგრე იყო ეგ ამბავი.

ნათელა ვაჩნაძე: ვის მხარეს იყო ბატონი ანდრია?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ბატონი ანდრია ნაწყენი იყო, სხვათა შორის. ნაწყენი იყო იმიტომ, რომ კომუნისტური პარტიის რიგებიდან შემოსულები რომ დავითხოვეთ, ნაწყენი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრი ხალხი იყო მაშინ ნაწყენი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ნაწყენი იყო, მაგრამ იცით რა იყო? ჩვენ ვიცოდით, რა ხდებოდა. ჰოდა, ისინი არ იყვნენ გარკვეულები და გული სწყდებოდათ, რომ... უბრალოდ ადამიანურად სწყდებოდა ბატონ ანდრიას გული, რომ, აი, რა დავაშავე მე ასეთი...

ნათელა ვაჩნაძე: საქართველოს დამოუკიდებლობა გვეღირსა და...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: და მე მრიცხავენ, როგორც დეპუტატს. ეს ვინ არიან, რა ხდება.

ნათელა ვაჩნაძე: იქ იყო ქალბატონი თამარი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დეკანოსიძე. ჰოდა, დალიან კარგი ადამიანი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი როინ მეტრეველი იყო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, კი. კარგად მახსოვს მე ბატონი როინი, კარგი იმითი მახსოვს როინი, სხვათა შორის, უნდა გითხრათ.

ნათელა ვაჩნაძე: იყვნენ, იგივე ქალბატონი მზექალა. . . .

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა მზექალა, კაცო, მზექალა ცოტა ისეთია. მაგათ ცეცხლი უნდა წაუკიდოო თაგვებსო და დაწვაო და სისულელებს ლაპარაკობდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს მას შემდეგ, რაც გაათავისუფლეს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, რაც ეს მოხდა. როგორც თაგვებს, ისე ცეცხლი უნდა წაუკიდოო და დაწვაო უზენაესი საბჭოს წევრები.

ნათელა ვაჩნაძე: ასეთი მკაცრი განაჩენი გამოიტანა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სიტყვა აქვს ნათქვამი, სიტყვა სიტყვაა. OOH-ში რომ შევიდა საქართველო... ვითომ ეს რომ დიდი მიღწევა იყო, შევარდნაძემ დიდი ამბები რომ გამართა, აი OOH-ში მიგვიღეს და... OOH-ში უნდა ფული გადაიხადო, გენაცვალე, და არ კი დაგეხმარებიან. აი, ასეთი ორგანიზაციაა. ჩვენ რამეში დაგვეხმარა, საქართველოს OOH-ი? მარტო ითხოვენ წლიურ გადასახადს, მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მეტი არაფერი. ჰოდა, აი მაშინაც... შეიძლება ეგ გაზეთშიც იყოს გამოქვეყნებული მზექალას სიტყვა.

ნათელა ვაჩნაძე: OOH-თან დაკავშირებით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: OOH-ში საქართველო შევიდა 92 თუ 93 წელს, 4 ივნისს. ჰოდა, 92 წლის 4 ივნისს. სხვათა შორის, ვალტერ შურლაიაც გამოიყვანეს იქ. უთხრეს, რომ დაპატიმრებულებს გავათავისუფლებთ,

თუ შენ გამოხვალ და სიტყვას იტყვი, რომ... გამოვიდა ვალტერი, რომ
ის ხალხი გამოეშვა. იმიტომ, რომ გარკვეულ პასუხისმგებლობას...

ნათელა ვაჩნაძე: ყველაფერი შეიძლება ადამიანს არ ახსოვდეს ამ წუთას, მა-
გრამ მაგის მონახვა შეიძლება.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ვალტერი გამოვიდა, რომ ბიჭები გაეთავისუ-
ფლებინა. პირობა წაუყენეს, რომ იტყვი, გამოვუშვებთ.

ნათელა ვაჩნაძე: წესიერი კაცია ვალტერი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვალტერი ძალიან წესიერი კაცია, ძალიან იტანჯა
მაგან, ძალიან. ეს მთელი ამბავი მაგას გადახდა თავს, ვალტერ შურ-
ლაიას, და ქობალია იყო კიდევ. ის კი არა, მებრძოლი, დეპუტატი ქო-
ბალია იყო კიდევ, ისიც. მაგათ ძალიან ბევრი გადაიტანეს ზუგდიდში,
მთელი ეს მხედრიონელების შესვლა.

ნათელა ვაჩნაძე: ამბობენ, რომ ორივე მხარე, პრინციპში, მარაგდებოდა რუ-
სული იარაღით. აი, რა გააკეთა რუსეთმა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არ მარაგდებოდა, როგორ გითხრათ, უნდა გეყ-
იდა რა, რუსებისგან უნდა გეყიდა, იარაღი იყო რუსული წარმოების.

ნათელა ვაჩნაძე: და ეკუთვნოდა ვაკბო-ს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, ვაკბო-ში მიხვიდოდი, ვიღაც ბანდიტი ტიპი
იჯდა და მოგყიდდა.

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ცალკე ხელისუფლება ყიდულობდა და ცალკე პუტ-
ჩისტები?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ალბათ, მე მაგ საქმეში გარკვეული...

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლებიდან ვინ იქნებოდა გარეული ამ საქმეში?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვერ გეტყვით, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ შეიძლე-
ბა ყოფილიყო, მაგრამ იარაღი იმათ ჰქონდათ სამხედრო ნაწილებში.
უნდა მისულიყავი სამხედრო ნაწილში, დაგეკაკუნებინა, გეთქვა, აი,
ფულს მოგცემ, მომეცი. ზვიადს და ეროვნულ პარლამენტს არანაირი
ისეთი შეცდომა არ დაუშვია, რომ ეს ყოფილიყო... ეს დაიწყო რა, დაი-
წყო. ის გაიჭრა იქ, რაღაც თბილისის ზღვაზე... იმასაც ამბობენ, რომ...
მე არ ვიცი, რამდენად ეს მართალია, რომ თენგიზ სიგუა თავიდან არ
ერთვებოდა ამ კიტოვანის წამოწებაში, მაგრამ ლამე რამდენჯერმე
მივიდა ვიღაცა და დაუკაკუნა კარებზე სიგუას, ლამე, ორზე, სამზე, და
სიგუას ეუბნებოდნენ, რომ ზვიადი აგზავნისო ხალხსო, რომ წაგიყვა-
ნონ და წამოდიო.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენთანო? გადაბირება უნდოდათ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰოდა, მე მგონი, იმას შეეშინდა, ის ღამის კაკუნები...
ზვიადს არც ახსოვდა სიგუა. იმას ეგონა, რომ მაინც ეს უკაკუნებდა.
შეიძლება, ეს მართალია, არ ვიცი, მე ეს სხვებისაგან მოყოლითა მა-
ქვს გაგებული, რამდენად მართალია, ვერ გეტყვით. მაგრამ მე ის ვიცი,
რომ ესე გატუტუცებული კაცი ესე არ ჩაებმებოდა მერე, როგორც სი-

გუა ჩაება ამ ამბავში. სიგუას დროს ხალხს ხვრეტდნენ ქუჩაში, დემონ-სტრაციებს ხვრეტდნენ, მიტინგებს ესროდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ეს სიგუას ეპოქა იყო? თქვენ ისტორიკოსი ხართ და...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: აბა, ჩემი ეპოქა იყო?

ნათელა ვაჩნაძე: სამეული მართავდა ქვეყანას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სიგუა იყო, რომელიც გამოდიოდა ტელევიზიით, მიმართავდა ხალხს, შეკითხვებს აყალიბებდა. სიგუა იყო იქ მთავარი. კიტოვანი ორ სიტყვას ვერ აპამს ერთმანეთზე, ჰო? სიგუა არის ძალიან სერიოზულად ამაში ჩართული. სიგუა იყო პირველი პირი მაინც, არა? პირველი პირი სიგუა იყო. სამი რა, სამი დაუძახე. ის იყო პრემიერ-მინისტრი და ვერც გაიგებ, ესენი ვინ იყვნენ. აბა ვინ ესროდა იმ ბავშვებს, რომ დახვრიტეს მეტრო „დელისთან“ 3 იანვარს. დაჭრით დაიჭრნენ და ვინ დაიღუპა, მე კარგად არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ეს ჯერ კიდევ იყო ზვიადი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩვენ იქ ვიყავით, სასადილოში ვიყავით 3-ში და აი 7-ში დილით, პირველი ვინც მოკლეს, ეს იყო ბაადურ მჭედიშვილი, რომელიც მუშაობდა მუზეუმში.

ნათელა ვაჩნაძე: 7-ში დილით მოკლეს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: 7-ში დილით.

ნათელა ვაჩნაძე: სწორედ 7-ში გამოვიდა მიტინგზე ხალხი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, ის იყო 2 თებერვალი, დიდი მიტინგი, მერე...

ნათელა ვაჩნაძე: 2 თებერვლის მიტინგი კი ვიცი, მაგრამ 7-ში ბაადური რა-ტომ გამოვიდა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: იმიტომ, რომ რაღაც ჯგუფი გამოვიდა საქართველოს დროშით და...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ დასაცავად?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: დიახ, დიახ. 6-ში დილით ჩვენ დავტოვეთ უზენაესი საბჭო.

ნათელა ვაჩნაძე: და ისინი პროტესტის ნიშნად გამოვიდნენ 7-ში?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ისინი გამოვიდნენ 7-ში და ესროლეს და მოხვდა ბაადურს.

ნათელა ვაჩნაძე: რა ადგილი იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სამედიცინო ინსტიტუტთან, საბურთალოზე.

ნათელა ვაჩნაძე: იმაზე ამბობდნენ, ჭკვიანი ბიჭიაო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვინა, ბაადური? გახსოვთ, მაგან დაწერა წერილი ბოლნისის სიონზე? მე ისეთი ურთიერთობა... მუზეუმში კი მუშაობდა, მაგრამ... მე ერთხელ დავესწარი მაგის... და არ დააკრძალვინეს თბილისში, ეგ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ნეტავ, სადაური იყო?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კახეთიდან იყო.

ნათელა ვაჩნაძე: მჭედლიშვილები კახელები არიან, მაგრამ ვინ მიაგნებს მა-
გის საფლავს ან მაგის ოჯახს?!

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ცოლ-შვილი თბილისში იქნება, ალბათ, არ ვიცი ახლა
სად არის ცოლ-შვილი.

ნათელა ვაჩნაძე: საიდან უნდა გაიგოს ადამიანმა, ცოტა ვრცლად რომ დაი-
წეროს მასზე.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მესმის. აი, მუზეუმში ბაჩა აფხაზავას ეცოდინება,
მაგისი ოჯახი თუ სად არის.

ნათელა ვაჩნაძე: ბაჩა აფხაზავას ვიცნობ კარგად. თქვენ ხომ არ იყავით
გროზნოში?

ნათელა ვაჩნაძე: კი, რამდენჯერ ვიყავი! სხვათა შორის, მე ვიყავი გროზნო-
ში, როცა ზვიადის სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

ნათელა ვაჩნაძე: თბილისის სახლს? 15 მარტი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, თბილისის სახლს. პაატამ მითხრა, ბარათაშვ-
ილმა, წავიდეთო ზვიადთანო. წავედით ზვიადთან სახლში. მიგვიღო
ზვიადმა, ვსაუბრობთ...

ნათელა ვაჩნაძე: სადა?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გროზნოში. ... შემოვიდა ზვიადის დაცვის წევრი და
ეუბნება: ბატონო ზვიად, გირეკავენ. ზვიადი გადის... ოლონდ ზვიადი
სახლიდან კი არ ლაპარაკობდა, გადიოდა. იქ ჯიხური იყო და ეგონა,
რომ იქ ნაკლებად... რა თქმა უნდა, იქაც უსმენდნენ. ჰოდა, უთხრეს,
რომ სახლი იწვისო, წაგიკიდესო. მოვიდა და მე და პაატას გვითხრა,
რომ აი, ასეთი მდგომარეობა არისო, სახლი იწვისო, ოლონდ არა თქ-
ვათო, მანანამო, ბავშვებმაო არ გაიგონო, არ წამოგცდეთო. ჰოდა,
ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, რაზე უნდა ელაპარაკო, კაცო. მე უკვე
არაფერზე ლაპარაკი არ შემეძლო, კაცს სახლი ეწვის. მერე სახლი, არ-
ქივი, წაწერები, წიგნები, მთელი სახლი იწვის, მაგრამ ზვიადი ისე იყო,
ვერ შეატყობდი. მერე ძლივს დავემშვიდობეთ, წამოვედით, ვისა ჰქონ-
და ჩვენი თავი. ჩვენც იქ ჯდომის თავი არა გვქონდა, მაგრამ რა გვექნა.
ისე შეხვდა ამ ამბავს, რომ ერთი...

ნათელა ვაჩნაძე: მე პირველად ვხვდები ახლა ადამიანს, რომელიც მიამბობს,
როგორ შეხვდა ზვიად გამსახურდია თავისი სახლის დაწვას.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ გატოკებულა, უბრალოდ გვითხრა, რომ მანანას-
თან არ წამოგცდეთო, ახლა დაიწყებაო ერთი ამბავიო. და იმ ჩემოდან-
ში რამე ედოო, რაღაც ჩემოდნით გადიოდაო...

ნათელა ვაჩნაძე: არა, უბრალოდ ეს იმის ნიშანი იყო, რომ გადიოდა საერ-
თოდ, გადავდგებიო და მოაბრუნესო უკანო და გააგრძელა პრეზიდენ-
ტად ყოფნაო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სანამ სროლა დაიწყებოდა?

ნათელა ვაჩნაძე: არა, უკვე სროლა იყო და, ერთი სიტყვით, არ იყო მაინც და მაინც კარგად საქმე, მიხვდა და აღარ უნდოდა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, ხომ გეუბნებით, ქალბატონო ნათელა, 28-ში ისინი სულ აღარ არსებობდნენ, სულ გახვეტილები იყვნენ. პირიქით, ისინი გარბოდნენ, კაცო, ჩვენ სად უნდა გავქცეულიყავით. მაგრამ გააჩერეს, რუსებმა გააჩერეს. იქ მივიღნენ ვილაცები, მე გვარები და სახელები არ ვიცი. ვინც საჭირო იყო, მივიდა და უთხრა: ესეც იქნება, ისიც იქნება, წავიდნენ, იოსელიანი გამოიყვანეს და შემოგვიტიეს ჩვენ. და პატრიარქი რას მიდიოდა იმ ჯაბა იოსელიანთან, და საქართველოს სჭირდებიო და რეებს ეუბნებოდა?!

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი? როდის?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: თავის წიგნში წერს ჯაბა, პატრიარქი იყო, მინახულაო, რომ შიმშილობდა.

ნათელა ვაჩნაძე: ოპერის ეზოში.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არა, მერე იქ, ციხეში.

ნათელა ვაჩნაძე: პატრიარქის მოვალეობაში შეიძლება ეს შედის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ისიც შედის, კაცო, რომ შეაფასო მოვლენები, ვინ არიან, რა ხდება. ჯიბგირები მოვიდნენ აბსოლუტურად იმ მიზნით, რომ სამ დღეში გამდიდრებულიყვნენ, დაიწყეს მოპარვა. რუსებსაც ეგ უნდოდათ. თვითონ განზე იდგნენ, ესენი ქურდავდნენ და იცოდნენ, რომ ასეთ მდგომარეობაში ქვეყანა ვეღარ განვითარდება. მორჩა, შედიხარ ჩიხში, ხომ? მე ერთ-ერთ განცხადებაში მიწერია, ეს იყო შეგნებული კრიმინალიზაცია.

ნათელა ვაჩნაძე: რა განცხადებაა ეს? ვის სახელზე დაწერილი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე ხომ ერთ მომენტში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი, დროებით ვასრულებდი მოვალეობას. თუ გინდათ, მოგცემთ.

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი, ეგ არ გითქვამთ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ზვიადი რომ გარდაიცვალა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ძალით ამირჩიეს მე.

ნათელა ვაჩნაძე: სად?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გროზნოში ჩატარდა სესია, რიგგარეშე და მე ვიყავი მაგის წინააღმდეგი ერთ დღესაც, მეორე დღესაც და ამირჩიეს, მერე დავთანხმდი. მერე ამათთან მქონდა დიდი უსიამოვნება.

ნათელა ვაჩნაძე: ვისთან?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: გარკვეულ დეპუტატებთან, იმიტომ, რომ იმათ ცოტა არასწორი პოზიცია ეჭირათ, ჩემი თვალსაზრისით. უსიამოვნება მქონ-

და და მერე განცხადება დავწერე და მერე ვიღაცა აირჩიეს და მე და-
ვანებე თავი.

ნათელა ვაჩნაძე: მერაბ კიქნაძე იყო, მე მგონი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერაბი იყო ზვიადის დროს. ზვიადი რომ გარდაიცვა-
ლა, ჩატარდა სესია და მერე ვიყავი მე.

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენს შემდეგ?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჩემ შემდეგ იყო ბიმურზა აფრასიძე.

ნათელა ვაჩნაძე: ბიმურზა აფრასიძე უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო
ოდესლაც, სოციოლოგიის კათედრაზე მუშაობდა. მომეცით განცხადე-
ბა, ისტორიული ფაქტია და შევიტანოთ წიგნში.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე გეუბნებით, რომ მოხდა საქართველოს შეგნებული
კრიმინალიზაცია. ეს შემთხვევით არ მოხდა. ეს კი არ მოხდა იმიტომ,
რომ აი, ჯაბა მოვიდა და ბიჭებს დაუძახა. იმათ, ვისაც ჭკუა აქვთ, ჯაბა
მოიყვანეს და ბიჭებიც დააძახებინეს და მერე გაუშვეს სამეგრელო-
სკენ, რომ აფხაზეთში შესულიყვნენ. ეს ყველაფერი დაგეგმილია. ჩემთ-
ვის ეს არის ისეთი სურათი, რომ ამას ვერავინ ვერ გადამათქმევინებს,
რომ მოსკოვში იყო შემუშავებული ეს გეგმა. მერე მიდიხართ თქვენ
სამეგრელოსკენ. კახეთი ბევრად მდიდარია, არა, ვიდრე სამეგრელო
ეკონომიკურად?

ნათელა ვაჩნაძე: არ ვიცი, სამეგრელო ძალიან მდიდარი იყო და აფხაზეთში
მცხოვრები ქართველები კიდევ უფრო მდიდრები იყვნენ.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რა თქმა უნდა, მაგრამ ეს რომ ფეხზე მდგარიყო,
სამეგრელო, ... თუ გახსოვთ, ზვიადი და მერაბი რომ მივიდნენ, სოხ-
უმის უნივერსიტეტის პრობლემა რომ იყო, მთელი ზუგდიდი გადავი-
და და ზვიადი და მერაბი აჩერებდნენ, რომ არ გვინდა, არ გვინდა, არ
გვინდა. აფხაზეთში შესვლას ვინ გაძედავდა, ესენი რომ მძლავრად
ყოფილიყვნენ. გადაუარეს, რეებს აკეთებდნენ, კაცო, რამდენი ოჯახი
დაღუპეს, რეები ჩაიდინეს იქა სპეციალურად. მერე უკვე ამათ თავი
აღარა ჰქონდათ. შევიდნენ, შევიდნენ, ყველამ ხელი ჩაიქნია.

ნათელა ვაჩნაძე: ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უზენაესმა საპჭომ და პირადად
ზვიად გამსახურდიამ და მისმა ოჯახმა უდიდესი სიმდიდრე გაიტანეს
საქართველოდან.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, მაგაზე რა უნდა გითხრათ, აბა, ტყუილია, აბ-
სოლუტურად ტყუილი. როგორც ჯანმრთელობის მინისტრზე ამბობდ-
ნენ, 44 კილო ოქრო მოიპარაო. გაზეთებში წერია, რომ 44 კილო ოქრო
მოიპარა ძოძუაშვილმაო. ეს 44 კილო ოქრო იდო, აი, იმ ფონდში, ფული
რომ იჭრება, ეროვნული ფული რომ იჭრება. ამ ქალმა სტომატოლო-
გიური იმეებიდან და იმეებიდან ჩააბარა ეროვნული ფულის მოსაჭრე-
ლად და დაწერეს, რომ მოიპარაო. არა, ბატონ.

ნათელა ვაჩნაძე: ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ასეთი ცნობა მომაწოდა, რომ ერთ-ერთ პოლიკლინიკაში ჰქონდათ ტომრით შენახული ოქროო და ეს ოქრო მერე გაიტანესო.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვინ მოგახსენათ, რომ მანანა ძოძუაშვილს ჰქონდა შენახული?

ნათელა ვაჩნაძე: არა, მანანა ძოძუაშვილი არ იყო ნახსენები, ხელისუფლება, ზვიად გამსახურდია.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, არ ვიცი, აბა, მე საიდან ვიცი. ტყუილი იქნება.

ნათელა ვაჩნაძე: ეს სწორედ ის ოქრო იქნება, რომელიც იყო მერე იქ გადატანილი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ალბათ. 44 კილო ოქრო დასტურდება დღესაც... და ამათ რომ დანიშნეს მერე, სიგუამ და იმათ რომ კაცი დანიშნეს, აი, ამ ფონდის თავმჯდომარედ...

ნათელა ვაჩნაძე: რომელი ფონდის?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი კარგად, ძვირფასეულობისა და რაღაც ფონდი შეიქმნა, რომელზეც ფული იჭრება. იმან კი მოიპარა, ქალბატონო ნათელა, მერე.

ნათელა ვაჩნაძე: კი არ ვიცი, ვინ არის.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ის იყო ყოფილი ჩვენი დეპუტატი, რომელმაც მერე ფული მოიპარა და ციხეში ჩასვეს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ გახსოვთ ის დეპუტატი?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, წარმოდგენა არა მაქვს. იმან კი მერე ფული მოიპარა.

ნათელა ვაჩნაძე: გამსახურდია რა შუაში არის?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არაფერ შუაში არ არის. მაგ საწყალს რომ ფული ჰქონოდა...

ნათელა ვაჩნაძე: მერე ძალიან კარგად გამოჩნდა ზვიად ძიძიგურის მონათხრობიდან, რა გასაჭირში იყო, ფაქტიურად, აშიმშილებდნენ სომხეთში. და ფული თუ ექნებოდათ, ძალიან კარგად იყიდდნენ ყველაფერს, სომხეთში პროდუქტიც იყიდება, საჭმელიც არის და სასმელიც.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მე იქ, სომხეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ფული რომ არა ჰქონდა, ეგ ირკვევა იქიდანაც, როგორ ცხოვრობდა გროზნოში, რა პირობებში იყო. ჯოპარმა ისე შეუშვა ოთახში, თორემ ეგ ბინას ვერ იქირავებდა თავისი ხარჯებით, ხომ? მას არ ჰქონდა სახსრები, რომ ბინა ექირავა, რა ფული უნდა ჰქონოდა, მაგაზე ლაპარაკი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ბატონი ვახტანგ რაზმაძე იყო, გენერალური პროკურორი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მერე რა, ტყუილები, ტყუილები ჩაწერეს იქ, როგორცა ჩანს. თვითონ ნოდარ ნათაძე ამბობს დღეს, რომ რაზმაძე რომ ამ-

ბობსო, რომ რაღაც სიები იყო, ზვიად გამსახურდიას შედგენილიო, დავიჭიროთო, ტყუილიაო.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ არისო ტყუილიო? მაშინ რატომ ამბობდა ადრე, რომ... ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰო, აი რატომ ამბობდა ადრე, რა ვიცი. მაგრამ რაზმაძე მაინც ამბობს, რომ არისო და სიები არ არსებობს. ნოდარ ნათაძეც ამბობს, რომ არ არსებობს სიებიო, მაგრამ თავიდან ამბობდა, რომ არსებობსო.

ნათელა ვაჩნაძე: მე ჩავწერე ბატონი ნოდარი, დაახლოვებით 25 წუთი ილაპარაკა, დანარჩენი ყველაფერი წიგნში მიწერიაო და მაჩუქა თავისი წიგნი. ამ დროს მე უკვე მქონდა ბატონი ნოდარის წიგნი, სხვა ადამიანმა მაჩუქა, და, ამას გარდა, წაკითხულიც მქონდა. აი, იქ რაც წერიაო, ის არისო ჩემი აზრიო. მაგრამ მე სხვა აზრებიც მახსოვს, ბევრად უფრო ადრე მის მიერ გამოთქმული და როგორ უნდა მოიქცეს ისტორიკოსი, მე უკვე აღარ ვიცი. მაშინ, როცა ის დიდი გასაჭირი იყო, სულ სხვას ლაპარაკობდა, ახლა გამოდის, რომ სხვას ლაპარაკობს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: კი, კი. მაშინ თბილისის ზღვაზე ერთი ვაჟი დაიღუპა, არ ვიცი, როგორ მოხდა, რა მოხდა. კიტოვანს ჰყავდა წაყვანილირაღაც ჯგუფი, გასულები იყვნენ თბილისის ზღვაზე, ვიღაცა დაეღუპათ, თვითონ რაღაცა მოახდინეს და ნოდარი დადიოდა რუპორით, ამბობდა, ვითომ ჩვენ მოვკალით ვიღაცა. დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ მოვკალით, რა ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: რაიმე პირადული ინტერესი ჰქონდა თუ არა ზვიად გამსახურდიას?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ვაიმე, არა. ბავშვობიდან ოცნებობდა ამაზე, კაცო, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი ქვეყანა. და სხვათა შორის, ზვიადი... აი, იმ პერიოდში, შევარდნაძის დროს, როგორ ჰქონდათ გადადებული თავი ზვიადს და მერაბს, რეებს ბეჭდავდნენ, რეებს აქვეყნებდნენ, საზოგადოებას რეებს აგებინებდნენ. მერე, თქვენ იცით, ალბათ, ეს ჰქონდნენ კავშირიც მოსკოვის, ისინი გადაეკიდნენ ამათ იმიტომ, რომ ზვიადი მაგათან კი მივიდა და დაუკავშირდა საერთაშორისო ჰქონდნენ კავშირის წევრებს, რუსეთში ვინც იყვნენ, მაგრამ მას უფრო ეროვნული აინტერესებდა, ხომ, ზვიადს. ჰოდა, ისინი ეუბნებოდნენ, შენო აქო... ჩვენ გვაინტერესებს სოციალური საკითხებიო და ამაზე მოუვიდა იმათან უთანხმოება მერე უკვე; იმიტომ, რომ ისინი უკვე რიყავდნენ ამათ, ქართულ ფრთას, ასე ვთქვათ, ჰქონდნენ კავშირის, იმიტომ, რომ ეს ეროვნული არ აინტერესებდათ. იმიტომ, რომ ესენი ამბობდნენ, რომ ჩვენი ძეგლები ნადგურდება, ჩვენთან ქართული ენა წინ წამოიწიოსო, დისერტაციებს არ გვაცვევინებდნენ. ეს არა, ეს არა, ეს არა და მერე უკვე ჩამოსცილდნენ და უკვე ცუდად იყვნენ ზვიადისადმი განწყობილები თვითონ რუსეთში. მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ ამათ სხვა პრობლემები აინტერესებდათ.

ნათელა ვაჩნაძე: და ბოლოს, იცით თქვენ, რომ არც კი შეუშვეს, ვიზა არ
მისცეს, რომ ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი საქართველოში
ფინეთში შესულიყო?!

ბიძინა ჩოლოყაშვილი: ჰომ? ევროპაში რომ იყო წამოსული, არა? მაშინ
პრობლემები შეექმნა ძალიან. მაშინ ის დაეხმარა ძალიან, ლიტვის
პრეზიდენტი, იმან მოაწყო ეს ყველაფერი, რომ თვითმფრინავი უშოვა
და ჩამოიყვანა ისევ გროზნოში. ავსტრიაში რომ ჩავიდა, არა? ამათაც
უარი უთხრეს, აქ, ვერ ჩამოვიდა აქ, საფრანგეთში. აქ ხმები გაიყო ქა-
რთულ ემიგრაციაში – მიეღოთ, არ მიეღოთ და მერე კენჭისყრით გა-
მოვიდა, რომ არ მივიღოთო და უარი უთხრეს.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე? მე მგონი, ნასყ-
იდაშვილი.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არ ვიცი, მე ხომ მერე ჩამოვედი, არ ვიცი, წარმოდგე-
ნა არა მაქვს.

ნათელა ვაჩნაძე: სადმე ახლდით როდისმე ბატონ ზვიადს?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: მოგზაურობაში ან სადმე? არა.

ნათელა ვაჩნაძე: იქ ხომ არ იყავით, გოგი ხოშტარია იყო...

ბიძინა ჩოლოყაშვილი: სადა?

ნათელა ვაჩნაძე: ... ყაზბეგში, როცა შეხვდა ელცინს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა, ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: და თქვენ არ იყავით? დეპუტატები არ იყავით?

ბიძინა ჩოლოყაშვილი: არა.

ნათელა ვაჩნაძე: კარგით. ძალიან დიდი მადლობა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი: რას ბრძანებთ.

გიორგი მარჯანიშვილი

პარიზი, 2007 წლის დეკემბერი

ნათელა ვაჩნაძე: ბატონი გიორგი, ნება მიბოძეთ, პირველი შეკითხვით მოგმართოთ. ჩვენი მკითხველისათვის, მე ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება, გაეცნოს თქვენს ბიოგრაფიას. მოკლედ გვითხარით, სად დაიბადეთ, როგორ ოჯახში აღიზარდეთ, როგორ მიმდინარეობდა თქვენი სწავლა-განათლება და, საერთოდ, კარიერა თქვენი როგორ ვითარდებოდა. როგორ მოხვედით ხელისუფლებაში, პარტიული ნიშნით, თუ თქვენ იყავით დამოუკიდებელი დეპუტატი, თუ როგორ იყო ეს, თუ შეიძლება. ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, უზენაეს საბჭოს წევრებზე გვქონდეს ძალიან მარტივი ანკეტური მონაცემები.

გიორგი მარჯანიშვილი: დიდი ბიოგრაფია არა მაქვს, ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქის, მაშინ საქართველოს მოქალაქე არ არსებობდა. 1955 წელს დავიბადე არქიტექტორების ოჯახში, არქიტექტორები იყვნენ ჩემი მშობლები. მამაჩემი დიზაინერიც იყო, ბავშვთა ავეჯს აკეთებდა. უმტესად მამა და დედა ერთად მუშაობდნენ, რაღაც თავისი პროექტები ჰქონდათ. ჩვეულებრივი ვიყავი, როგორც, ალბათ, 99,9% საბჭოთა მოქალაქეებისა – ოქტომბრელიც, პიონერიც, კომკავშირელიც აბსოლუტურად უნდა უნდა უნდა. ლენინის პატარა პორტრეტიც მიტარებია, ვალოდიასი. ყველაფერი გავიარე ისე უგულოდ, რა თქმა უნდა. პარტიაში არ შევსულვარ. მიყვარდა ბატონ ნოდარ დუმბაძის ადრეული ნაწარმოებები განსაკუთრებით. ვიცნობდი კიდევაც. მამაჩემი და ის ერთ უბანში ცხოვრობდნენ, იცნობდნენ ერთმანეთს და ახლობლობდნენ დიდი ხნის მანძილზე, მაგრამ არ მომსვლია თავში აზრად, მეთქვა, რომ პარტია კარგი იქნება, თუ კაი ხალხი იქნება შიგნითო. აი მაგისთანა დევიზი შორს იყო ჩემგან, იმიტომ, რომ მე კაი კაცი, სხვა ცუდი კაცი, ამისთანა რაღაცის მიჭირდა გარჩევა. სკოლა დავამთავრე 72 წელს. მერე სამხატვრო აკადემიაში მოვხვდი პირველივე წელს ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. იქ იყო არაჩვეულებრივი კათედრის გამგე ლევან რჩეულიშვილი – ალარ არის, სამწუხაროდ, ცოცხალი – ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მეორე თაობა, გიორგი ჩუბინაშვილის მონაფე, დიდი მეცნიერი, სწავლული, ვინც შექმნა სამხატვრო აკადემიაში ქართული ხელოვნების ისტორიის კათედრა, სადაც იყო ქართული სულისკვეთება. უზარმაზარი ნაწილი ეთმობოდა საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურას, ქართულ ხელოვნებას. სხვათა შორის, საკავშირო პროგრამებში არ იყო და კბილებით გაგვქონდა ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო

აკადემიაში ქართულ კულტურას და ქართულ ისტორიას, საქართველოს კულტურის შესწავლას ჰქონდა პრიორიტეტი. ის იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მეცნიერი, მოქალაქე. მას მოვესწარი და ასეთი კაცის ფონზე... ქართული, ზნეობრივი ორიენტირები ჰქონდა ისეთი, რომ შეუძლებელი იყო ამას გავლენა არ მოხდინა. ბრძოლა... ის იყო კომუნისტი, ამიტომ კომუნისტების მიმართ, კომუნისტური პარტიის წევრების მიმართ ანტიპათია, როგორც ასეთი, აბსტრაქტული, არავითარი ანტიპათია არასოდეს არა მქონია. იყო იერარქია, კომინისტური, პარტიული იერარქია და წევრი, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა. ჩუბინაშვილს უთხრეს ერთხელ, პარტიაში უნდა შეხვიდე, თორემ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს დავხურავთო. მოუწყვეს სასამართლო, ფორმალისტი ხარო, ბურჟუაზიული გავლენა და ემუქრებოდა დახურვა, მერე გადასახლება. ასეთი ბრალდებით ბევრი გადაუსახლებიათ. იძულებული გახდა, რომ გადაერჩინათ სკოლა, მეცნიერება რომ გადაერჩინათ, უთხრა, რომ შედითო, თვითონ არ შესულა. გიორგი ჩუბინაშვილი გარდაიცვალა ისე, რომ კომუნისტი არ ყოილა. მაგრამ თავის მოწაფეებს უთხრა, რომ სხვა გზა არ არის, უნდა გახდეთ. აი ასეთი კომუნისტები... აბსოლუტური უმრავლესობა მაგისთანა იყო. მაგიტომ დაუკავშირდა სიგუას, სხვათა შორის, კომუნისტი იყო. ეძებდა... მისი დევიზი იყო: ჩვენ ვართ არა ანტიკომუნისტები, არამედ არაკომუნისტები. ეს ანტიკომუნიზმი და რაღაცა მერე დაბრალდა, საფრთხობელის შექმნა რომ უნდოდათ მისგან, საკაცობრიო საფრთხობელის, მერე დაარქვეს, თორემ დევიზი იყო: ჩვენ ვართ არაკომუნისტები და არა ანტიკომუნისტები. ამიტომ ფიქრობდა, რომ იყვნენ ასეთი კომუნისტები, რასაც სრულად ვიზიარებ მეც და დიალოგის მომხრე იყო.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ამას ბრძანებთ პრეზიდენტზე?

გიორგი მარჯანიშვილი: პრეზიდენტზე.

ნათელა ვაჩნაძე: მაშინ, ნება მიბომეთ, ერთი შეკითხვით მოგმართოთ.

გახსოვთ უზენაესი საბჭოს ის სხდომა, როდესაც... კომუნისტებმა დატოვონო უზენაესი საბჭო. მე მახსოვს ეს, რომ გამოვიდნენ კომუნისტები უზენაესი საბჭოდან და ბატონშია მინდია სალუქვაძემ, აკადემიკოსმა უთხრა პრეზიდენტს: ბატონო ზვიად, ჩვენ კი წავალთ აქედან, მაგრამ ვნახოთ, მერე როგორ წარიმართება საქმეო.

გიორგი მარჯანიშვილი: იცით, რაშია საქმე. აქ ლაპარაკი არის ცალკეულ კომუნისტებზე, პიროვნებებზე, მაგრამ არის კიდევ კომუნისტური პარტია, როგორც მოვლენა. საქართველოს კომუნისტური პარტია არ არსებობდა, ეს იყო ფიქცია. ეს იყო ფიქცია მსოფლიოს მოსატყუებლად. ეს იყო მკაცრად ცენტრალიზებული, კრემლიდან მართული სისტემა და საქართველოს კომპარტია ფიქცია იყო, როგორც უზენაესი საბჭოები. მასში შეიძლება ყოფილიყვნენ კარგი წევრები, მაგალითად, ღუდუშაური იოთარი. თბილისში რომ ზარბაზანი გავარდა, მიდიოდა, მანქანაში

გული გაუსკდა, მოკვდა, გარდაიცვალა. უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო. მიხვდა, რომ თბილისში ხდებოდა საშინელება. ცხვარიჭამიაში თუ სადღაც ჰქონდა აგარაკი, იქიდან ბრუნდებოდა თბილისში და გული გაუსკდა და გარდაიცვალა. აქ გასარჩევია პიროვნება და პარტია, პიროვნება და როგორც პარტიის ჭანჭიკი, ცენტრალიზებული და საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რაღაცა მექანიზმის ნაწილი. ეს არის ძალიან დელიკატური განსხვავება. ბატონი ზვიადი ცდილობდა აი ამ დელიკატური განსხვავების დაჭერას და ჰქონდა ეგ პრინციპი, რომ განსხვავება პარტიული და როგორც პიროვნება, რომელიც, როგორც გითხარით მაგალითი, რომ შევიდა იმიტომ, რომ ეარსება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს საქართველოში და როგორც კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სტრატეგიის გამტარებელი ძალა. როდესაც ლაპარაკი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოდან გასვლაზე, ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო კრემლის სტრატეგიის გამტარებელი ძალის გასვლაზე და არა ცალკეულ პიროვნებებზე. აი აქ განსხვავება არის, ხაზია გასავლელი.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო. განაგრძეთ, თუ შეიძლება. თქვენი ბიოგრაფიის განსაკუთრებით ის ნაწილი მაინტერესებს, როგორ მოხვედით ხელისუფლებაში, იყავით ეროვნულ მოძრაობაში თუ არ იყავით?

გიორგი მარჯანიშვილი: ეროვნული მოძრაობა ფართო გაგებით არ არის ის, რაც მერე „მრგვალი მაგიდა“ ჩამოყალიბდა მარტო. ეს დიფუზური მოვლენა იყო სხვადასხვა სფეროში. მე ვიყავი ხელოვნებათმცოდნე, ძეგლთა დაცვაში ვმუშაობდი, მაინტერესებდა, ჩემი სპეციფიური ინტერესები მქონდა. ერთი რამე მქონდა ყოველთვის, რომ... მერე გამიცნობიერდა ბოლოს, მაგრამ გრძნობაში დამქონდა ყოველთვის, რომ საქართველო ის კი არ არის, როგორც ჩემი ქვეყანა, როგორც ამბობენ, ეს ქვეყანა, ჩემი ქვეყანა, საქართველო არის უამრავ თაობათა სიყვარულის და ოცნებების განხორციელების ცდის ნაყოფი. უამრავი თაობის, ვიღაცა ცნობილის, ეს სახელიანი დავით ალმაშენებელი იქნება თუ უსახელო უფლისციხელი, სულ ერთია, ყველასი, აი ამ ხალხისა, ამ თაობების. და დასაფასებელია, ადამიანები თუ გვიყვარს, თუ ვართ ქრისტიანები, თუ ვიცით, რომ ქრისტე ადამიანისთვის მოვიდა და ყველასთვის და ის მიძინებულია, მკვდარი და მოჭრილი, მოკვეთილი კი არ არის, მიძინებულია – ჩვენ წასულებს მიძინებულებს რომ ვეძახით ქრისტიანები ხომ? ანუ ცოცხალია სადღაც და იქიდან, ზეციური საქართველოდან... მისტიკი, ტრანსცენდენტული რაღაცა არსებობს – და თუ გვიყვარს ჩვენ ეს რაღაცა, მათი არსებობის ნაწილს ვხედავთ: ტრადიციები, მცხეთის ჯვარი, ვანი, სტუმართ-მასპინძლობის ადათები, მილიონი რაღაცა არის. ყველაფერი ეს არის საქართველო. და ამისი, როგორც მოვლენის... ამ ნიპილიზმის ეპოქაში მიღებული ფორმა ეგ არის, რომ არაფერი, ასე ვთქვათ, დღევანდელობაში ღირებული არ არის, ჰედონიზმი, მთავარია სიამოვნება, წუთი, წამი, լავი მომენტ. ეს

ებრძვის აი ამას, ერთ-ერთი დიდ, რაც ებრძვის. ეს მოვლენა იყო. მაგრამ ეს ბევრს უყვარდა, ეს უყვარდა გურამ რჩეულიშვილს. რატომ არ არის ეროვნული მოძრაობა გურამ რჩეულიშვილი. იყო, მაგისთანა ბევრი იყო. მაგისთანა იყო, მაგალითად, უკანასკნელი ხევისბერი, წარმოშობით ჩეჩენი ბიჭურ ბადრიშვილი, ვიცნობდი, მე მგონი, 70-იან წლებში გარდაიცვალა, უყვარდა საქართველო. ის, რაც ძეგლთა დაცვაში ფორმით ნარჩუნდება, მეცნიერის ფორმით, ისტორიის სწავლების ფორმით რეალიზდება თუ რაღაცა, ეს არის ათასი ფორმა, აი ამაში ყოველთვის ვიყავი ჩართული, აი ასეთ ეროვნულ მოძრაობაში ნებით თუ უნებლიერ, ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ შეუგნებლად, მაგრამ ყოველთვის ვიყავი. აქ, რაც შეეხება, როგორ მოვედი, ირაკლი შენგელაიასთან ერთად, ეროვნული სამართლიანობის კავშირი იყო მგონი, იქ ვიყავი. ახლოს ვიყავი ერთი პერიოდი, თანამშრომლები ვიყავით, ლიტერატურის მუზეუმში ვმუშაობდით ორივენი ერთად.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო დირექტორი მაშინ?

გიორგი მარჯანიშვილი: ქალბატონი იზა ორჯონივიძე. მერე მეც წავედი მაინც, ასე მომინია, დავდიოდი აქეთ-იქით რაღაცა პერიოდი. მერე სახალხო ფრონტის გამგეობაში მოვხვდი, როგორც ეროვნულ-ლიბერალური კავშირის წევრი.

ნათელა ვაჩნაძე: ეროვნულ-ლიბერალური კავშირის?

გიორგი მარჯანიშვილი: არა, არა, ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრი. ეს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი მერე იყო. უცბათ დავინახეთ, რომ სახალხო ფრონტში რაღაცა... ვერ გავიგე, რა ხდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: უკვე იყო თავმჯდომარე ბატონი ნოდარი?

გიორგი მარჯანიშვილი: არ იყო ჯერ.

ნათელა ვაჩნაძე: იქ იყო ბრძოლა თავმჯდომარის სკამისთვის.

გიორგი მარჯანიშვილი: იქ იყო ბრძოლა.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონ მერაბ მამარდაშვილს უნდოდა თავმჯდომარეობა, რამდენადაც მე მახსოვს, შეიძლება ვცდები და ბატონ ნოდარ ნათაძეს. კიდევ თუ იყო ვინმე მსურველი, მე არ მახსოვს.

გიორგი მარჯანიშვილი: კონკრეტული ისინი არ მახსოვს, მამარდაშვილს ბევრი უნდოდა ალბათ, მაგრამ... უფრო სწორედ, მისი ეგონა. არ ვეხები მის გონებას და წიგნიერებას, ეგ ცალკე თემაა. როგორც ილია ამბობდა, უსიყვარულოდ წიგნიერება პოროტებაა, უსიყვარულო ცოდნა ბოროტებაა, უსიყვარულო ინტელექტი ბოროტებაა. იმ შემთხვევაში საქართველოს ემუქრებოდა მომაკვდინებელი სახე და ადამიანს, ვისაც აი ასეთი საქართველო, როგორიც ვთქვი, არ უყვარდა, არ ესმოდა და... რუსთაველზე ამბობდა, რა მოხდა, ეს რუსთაველი არისო რაღაც შუა საუკუნეების ერთ-ერთი რიგითი პოეტიო, მსოფლიოში ბევრი არისო. ხოდა, აი ასეთი დამოკიდებულება რომ ჰქონდა საქართველოს მიმართ,

მისი ინტელექტი მე აღარ მაინტერესებს, მაპატიეთ. საქართველოს სასიკუფილო საფრთხე ელოდა იმ მომენტში, თორემ ისე შეიძლება, ადამიანი თავისუფალია, შეუძლია, რაც უნდა ის იფიქროს, მაგრამ როცა მდგომარეობა, ხომ იცით, როგორი... როდესაც სახელმწიფო საფრთხეშია, როდესაც ერი საფრთხეში არის, ერთი წლით დიქტატორი, რომ ეს საფრთხე მოიშოროს.

ნათელა ვაჩნაძე: გადაარჩინოს ქვეყანა.

გიორგი მარჯანიშვილი: გადაარჩინოს ქვეყანა.

ნათელა ვაჩნაძე: რა საოცრებაა, თუ ბატონ მერაბს ასეთი წარმოდგენა ჰქონდა, მე რაღაცა ამის შესახებ არაფერი მსმენია...

გიორგი მარჯანიშვილი: სახალხო ფრონტის კრებაზე ღიადა თქვა, რაღაც საკამათო სიტუაცია იყო.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება. მე კი არ გედავებით, კი არ გეკამათებით, უბრალოდ მე არ ვიცი ამის შესახებ. რუსთაველის პროსპექტზე კი დაუდგეს ძეგლი.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ არის, მე მაგას ვეძახი, ნეოლენინური მონუმენტური პროპაგანდა, მანდ ბევრის ძეგლი დაიდგა, პანთეონებში დაკრძალეს. რევოლუცია ეგ არის, რევოლუცია ის კი არ ყოფილა... რევოლუცია არის, როცა მიხეილ თამარაშვილის გვერდით ჯაბა იოსელიანს ასაფლავებენ. ეგ ცუდი რევოლუციაა.

ნათელა ვაჩნაძე: კარგით, თქვენი მოსვლის გზა გასაგებია. დეპუტატად დაგასახელეს ეროვნული სამართლიანობის კავშირიდან?

გიორგი მარჯანიშვილი: არა. მერე იქ გავაკეთეთ ფრაქცია, პირველი ფრაქცია იყო. იქ გავაკეთეთ ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, თავმჯდომარე ვიყავი რაღაცა ხანი და მერე შევედით „მრგვალ მაგიდაში“, გამოვედით იქიდან. ერთი პერიოდი მინდოდა, რომ უფრო ორივეგან, მერე ვთქვით, არა, ჯობია, გარკვეულად დალაგდეს უფრო ცხადად რაღაცა. მერე „მრგვალ მაგიდაში“ შევედით და...

ნათელა ვაჩნაძე: და მერე „მრგვალმა მაგიდამ“ გაიმარჯვა 28 ოქტომბრის არჩევნებზე. გასაგებია. რა გაკეთდა უზენაეს საბჭოში თქვენი თვალსაზრისით, ბატონო გიორგი, რის გაკეთება მოახერხა უზენაესმა საბჭომ იმ პერიოდში, როდესაც თქვენ იყავით ხელისუფლებაში?

გიორგი მარჯანიშვილი: პროცესები დაიწყო.

ნათელა ვაჩნაძე: შეიძლება ყველაფერი ბოლომდე არ იყო მიყვანილი, მაგრამ ვთქვათ, რა დაინტენსივუროდ გამოიტენა არა მარჯანიშვილი, მაგრამ ვთქვათ, რა დაინტენსივუროდ გამოიტენა არა მარჯანიშვილი?

გიორგი მარჯანიშვილი: აი მთავარს გეტყვით, ჩემი აზრით, რა არის მთავარი. სიტუაციას შეხედეთ. 1988 წელს მსოფლიო დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ალბათ სადღაც არსებობს-მეთქი, ხანდახან ვფიქრობ, მსოფლიო დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. იმ პოლიტბიურომ დანიშნა საბჭოთა კავშირის

პირველ დემოკრატად ბატონი სახაროვი. ეს არის უეჭველი. ვინ იყო, ბერიას თანამშრომელი იყო, რაღაც უცნაური რაღაცაა, საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღის მამა. ცნობილია, სტალინის დავალებით ამ სამუშაოებს ბერია ხელმძღვანელობდა, იმან შეკრიბა ხალხი.

ნათელა ვაჩნაძე: სერგო ბერიას უწერია ეგ თავის წიგნში.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ უწერია. ხოდა, ეგ კაცი აღმოჩნდა უცებ... გადასახლებული იყო. გადასახლება... მერაბ კოსტავას გადასახლებასთან შედარებით მისი გადასახლება სასაცილოა, უბრალოდ ცოტა მოაშორეს მოსკოვს. მისი მეუღლე დადიოდა ამერიკაში და...

ნათელა ვაჩნაძე: ელენ ბონერი.

გიორგი მარჯანიშვილი: გადასახლებული ქმრის ცოლი დადიოდა ამერიკაში და ანტისაბჭოთა პრესკონფერენციებს მართავდა. აი ასეთი სიტუაცია იყო. წარმოიდგინეთ, ბატონი მერაბის მეუღლეს რომ ევლო ამერიკაში, ხომ წარმოუდგენელია. ნებისმიერი სხვისი, ვისიც გინდათ, ნებისმიერი გადასახლებულის... უცნაური ფაქტებია, რომლებიც ძნელი ასახსნელია, პარადოქსებია. აი ამ კაცმა გამოაცხადა, საქართველო მცირე იმპერია არისო. შეადგინა პროექტი კონსიტიტუციის, საბჭოთა კონსტიტუციის და დაარქვა მან ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტი. ამ რესპუბლიკებში იგი გულისხმობდა... იქ პირდაპირ უწერია, რომ იმ რესპუბლიკებში, რომლებშიც ავტონომიებია, უნდა დაიშალოს – რუსეთის ფედერაციაც, საქართველოც, აზერბაიჯანიც. ეს არის ვითომ ეთნიკური წმენდის თავი. 1988 წელს არც ერთი ეთნიკური კონფლიქტი ჯერ დაწყებული არ იყო, უკვე პროგრამა არსებობდა. ხოდა, ყველა უნდა გათანაბრდესო, მოსკოვი დედაქალაქი, სახელმწიფო რუსული ენა, საერთო ფული, საერთო ჯარი, საერთო სისტემა თავისი პოლიციით, საერთო საზღვრები, საერთო ეკონომიკა, ყველაფერი იმართება იქიდან. ეს იყო საბჭოთა კავშირის გადარჩენის პროექტი სხვა ფორმით. როგორც სტალინმა გადაარჩინა და ლენინმა გადაარჩინა რუსეთის იმპერია საბჭოთა კავშირის შექმნით, მოსკეს რუსეთის იმპერია, დაშალეს ვითომ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად და გააერთიანეს, აი ასეთივე ეშმაკური ხერხის გაკეთება უნდოდა, უკვე არსებული რესპუბლიკების დაშლა. აი მსოფლიო დემოკრატია, მსოფლიო მოატყუა, მსოფლიო ბოროტებასა სპობს, აეწყო რაღაცა. მთავარი იყო, რომ საბჭოთა კავშირში გაბატონებულ ფენას დარჩენოდა გაბატონებული მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აი ასეთი იყო სახარავოს პროგრამა. მერე, 10 წლის შემდეგ, იგივე კონსტიტუციაში წერია, უნდა შექმნილიყო სასაზღვრო სოფლები და მოსახლეობა სადაც არის, ვთქვათ, ჯავახეთში, ბორჩალოში, სადღაც იქითვენ, სოფელ-სოფელ ჩამოეარათ და გამოეკითხათ მოსახლეობისთვის, სად გინდათ ცხოვრება. აი ჯავახელებო, სომხეთში გინდათ თუ საქართველოში და როგორც მოსახ-

ლეობა იტყოდა, ისე გასულიყო საზღვარი. ვიღაცა იტყოდა, ვიღაცა არ იტყოდა. ეს იყო შეჯახების ჩადებული ნაღმი, საშინელება უნდა მომხდარიყო. ეს წერია, გამოქვეყნებული არის, რუსულად არის გამოქვეყნებული. ყველაფერი ყველამ მშვენივრად იცის. დასავლეთიდან ერთადერთი რაღაც აიღო. აი იმ ძალებმა, ეტყობა... აღმოსავლეთი ევროპა და ბალტია – კარგი, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის გარეშე. აი ეს იყო უკვე დასავლეთის რაღაცა ძალებთან გარიგება – აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის გარდა თავში ქვა გიხლიათ, „ცივი ომი“ მთავრდება და ჩვენ კონდომინიუმი. აი ასეთი რაღაცა იყო. ეს იყო საქართველოს სიკვდილი, ცინიზმის, ჰედონიზმის გამარჯვება, რომ არაფერი ღირებული არ არის, რაც თქვენმა წინაპრებმა იოცნებეს, იშრომეს, შექმნეს, ააშენეს, აკეთეს, ამას არავითარი ღირებულება არა აქვს, აგერ დანიშნულია მსოფლიო დემოკრატი, აი ეს უნდა გააკეთოთ. აი ეს იყო. ეხლა დღეს რა გვაქვს? განხორციელდა? ვერ განხორციელდა. იურიდიულად დღეს საქართველო არსებობს. ვერ დავიბრუნეთ საინგილო. ბატონ ზვიადს არც უნდოდა მეზობლებთან დავის... ამ დროს ადამიანის უფლებების დაცვა, ქართველების უფლებების დაცვა საინგილოში, თურქეთში, ჰერთი სკოლები, ეკლესიები, გაზეთები, ჟურნალები, თეატრები. საზღვრების გადასიჯვა, იცოდა, რასთან იყო დაკავშირებული. ყარაბაღის ტიპის კონფლიქტი საქართველოს მხრიდან არ ყოფილა, არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა მსგავსი. აქ იყო რაღაცა, მაგრამ ის იურიდიულად დღეს გაეროს მიერ ცნობილი საზღვარი გადის აი აქ. ამიტომ აქვს თქვენს შვილიშვილს იურიდიული უფლება, მორალური უფლება, ადამიანური, მხოლოდ მშვიდობიანი, სისხლისღვრის კი არა. აფხაზები მიყვარს, „აიდგილარა“ – არა. ჩემთვის აფხაზი არის გიორგი შერვაშიძე, დიდი გიორგი შერვაშიძე. „განგებავ, ამას ნუ მიწყენ, ვერ გადავგვარდე გვარადა, ხანდახან დავიღულუნო მამა-პაპური ვარადა“. დიდი ქართველი მოღვაწე, პოეტი, აფხაზი. ბატონი ლორიკ მარშანია, ვთქვათ. სხვათა შორის, სახალხო ფრონტის პირველი მიმართვა აფხაზების მიმართ დავწერეთ მე და ქალბატონმა ადა მარშანიამ. მაშინ სახალხო ფრონტის გამგეობაში ვიყავით. თუ იცნობთ, დიდი მოკითხვა სიყვარულით და პატივისცემით.

ნათელა ვაჩნაძე: ტექსტი ხომ არ შემოგრჩათ?

გიორგი მარჯანიშვილი: არა, სამწუხაროდ. ისეთი რაღაც ხდებოდა, რომ ძალიან ბევრი რამე დავკარგე. შეიძლება ქალბატონ ადას აქვს. საქართველოს აქვს არსებობისათვის ბრძოლის იარაღი, მშვიდობიანი ბრძოლის, კულტურული წინააღმდეგობის, სულიერი წინააღმდეგობის. ხანდახან თუ საჭიროა, თუ სხვა გზა არ არის... ყოველთვის ვერ ხერხდება, როცა მარჯვენა მხარეს რომ გირტყამენ, მარცხენა რომ მიუშვირო.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. მოხვედით ხელისუფლებაში, ბატონო გიორგი, რა გააკეთეთ, რა გააკეთა თქვენმა უზენაესში საბჭომ?

გიორგი მარჯანიშვილი: აი ეგ გითხარით. გამოცხადება დამოუკიდებლობის, მომზადება ნიადაგისა გაეროში...

ნათელა ვაჩნაძე: ყველაზე მთავარი.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ არის ყველაზე მთავარი. ...დაწყება მოლაპარაკებებისა აფხაზებთან ვცადეთ, ოსებთანაც იყო მცდელობები. საშინელებები ხდებოდა, მახსოვს მე. ცხინვალში რომ მოკლეს ვიღაცა ოსი ქალის შვილი, ქართველი მამა ჰყავდა, ბავშვი აკვანში მოკლეს. პროვოკაციები იყო. იცით რა, ისევ ქართველი ბედი, ქართველის სიცოცხლეს ფასი არა აქვს-მეთქი, რომ ვთქვი. ის ბავშვიც ბავშვია. ის ბავშვი მოკლეს იმიტომ, რომ ქართულ-ოსური შეიარაღებული... ვინ მოკლა, კაცმა არ იცის. ვინ მოკლა, შეიძლება კოკოითის ვიღაცა ჯალათმა, შეიძლება მოსკოვის სპეცრაზმელმა, არ ვიცით. იყო საშინელი პროვოკაციები. ჩამოსული იყო კრემლიდან, გვარი ალარ მახსოვს, ნიშანოვი, მე მგონი, და ბატონმა ზვიადმა დაახვედრა ოსები აეროპორტში, რომ მოუსმინეთ ოსებსო, იქ რომ რაღაცას ამბობთ. დიდი თანამდებობის პირი იყო რაფიკ ნიშანოვი მოსკოვში უმაღლეს საბჭოში. ეს დედაც იყო, ეს ოსი დედაც იყო, ვისი შვილიც მოკლეს იქა და სხვა ოსებიც იყვნენ. არ გაიგეს. მერე პროვოკატორი ქალბატონი... პროვოკატორი ქართველი არც ქებაა და არც გინებაა, არც ოსი და არც აფხაზი და არც რუსი და არც სომეხი. პროვოკატორები ყველგან არის, იქითაც იყვნენ, აქეთაც იყვნენ. აი ამ მუხტებს ვამბობ. ძლიერი ხელისუფლება... მაგიტომ, იცოდა, ძლიერი დიქტატურაა საჭირო მასეთ დროს, რომ იმას ჰქონდეს ძალა რაღაცა მოკლე პერიოდით, რომ აი ასეთი საშინელი სიტუაციებიდან დაიცვას საზოგადოება. ბატონ ზვიადს მაგისი ძალა არ ჰქონდა, ამ პროვოკაციების, ამ საშინელებების აღკვეთის ძალა არ ჰქონდა. არ იყო მაშინ, წესიერად არც ჯარი გვქონდა. ეს ეხლაა, მადლობა ღმერთს, გაწვრთნილი რაღაც სამხედრო ნაწილები. ჯარი არ იყო, პოლიცია არ იყო, საბჭოთა მილიციის ნარჩენები იყო. იქ კარგი მილიციელიც იყო, ისეთიც, იყო, ასეთიც იყო, ჭრელი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: დაზვერვა?

გიორგი მარჯანიშვილი: ნოლიდან იწყებოდა ყველაფერი, ამას სჭირდებოდა დრო. ამას სჭირდებოდა იმის დანახვა, რომ მთავარი მტერი საქართველოს შიგნით კი არ არის, საქართველოს გარეთ არის, ის, ვინც ამბობს, რომ საქართველო მცირე იმპერიაა და დასანგრევია. მოსკოვში გამოდიოდა “Демократическая Россия” ასეთი გაზეთი. იხსნებოდა ლამის ყველა ნომერი “Грузия должна быть готова к распаду”, საქართველო უნდა იყოს მზად დაშლისათვის. ამისთანა მოწინავე წერილები იქმდებოდა. სად იყო მთავარი მტერი, გეკითხებით, საქართველოსი. ვიღაცა თანამდებობის პირის კი არა, ვიღაცა კარგად მოკალათებული ადამიანის კი არა, საქართველოს მტერი სად იყო? შიგნით იყო თუ გარეთ? თუ ის, ვინც ამას ამბობდა. მე მგონი, ის, ვინც ამას ამბობდა, რომ საქართველო დაშლისთვის უნდა იყოს მზად. და ამისი გაგება იმ დროინ-

დელ... საქართველოში საზოგადოება არ არსებობდა. არსებობდნენ კარგი პარტიული პიროვნებები ზედა ფენაში... რატომდაც არ მქონია იმის სურვილი, რომ ხარისხები დამეცვა, იმიტომ, რომ რაღაცა ეჭვით ვუყურებდით. ვთქვათ, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეში ან ვიღაცაში ეჭვი არ შემპარვია არასოდეს, მათ მოქალაქეობაში და ადამიანობაში, და სხვებში. მაგისთანები, სახელმწიფო, საქართველოს ჰყავდა და ალბათ ეყოლება კიდევაც. მაგრამ საერთო ჯამში, ეს იყო რაღაცა უსუფთაო დოლი, რაღაცა ისეთი...

ნათელა ვაჩნაძე: არ იყო სამოქალაქო საზოგადოება?

გიორგი მარჯანიშვილი: ხო, რაღაცა იყო, არ იყო საზოგადოება საერთოდ, სამოქალაქო კი არა. აქ სამოქალაქო საზოგადოება სხვანაირად ესმით. აქ სამოქალაქო საზოგადოება ესმით, ვთქვათ, თუ სახელმწიფო რაღაცას არ აკეთებს ან ვერ აკეთებს, თქვენ თვითონ უნდა გააკეთოთ, რაღაცა ძალიან მნიშვნელოვანს. უნდა მოსთხოვოთ, სახელმწიფოსაგან წილიც უნდა მოითხოვოთ, წილში შემოიყვანოთ, მაგრამ თქვენ თვითონ უნდა გააკეთოთ. აი აქაური გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება... სახელმწიფო ყოვლის შემძლე არ არის, ამიტომ რაღაც დონეზე ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცები თქვენ თვითონ უნდა გააკეთოთ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში არ არის, რა თქმა უნდა და ალბათ კარგა ხანი კიდევ არ იქნება. საზოგადოება ეხლა უფრო გატყავებულია, უმეშევარი, შვილს რა აჭამოს, ამიტომ იქ მაგისთანა საზოგადოება ვერ იქნება, მაგრამ შეიძლება მომზადეს. სხვანაირებიც არიან. პატარკაციშვილმა რომ თქვა ეხლა, რომ თუ პრეზიდენტად ამირჩევენ, გაჭმევთ პურს, დავეხმარებიო. ჯერ ამირჩიეთ პრზიდენტად და მერე დავეხმარებითო. ამისთანა ფონზე სამოქალაქო საზოგადოება ვერ აშენდება. ამის შედეგია ის, რომ წყნებში რამოდენიმე წლის უკან ახალშობილ ქართველ ბავშვს ღორი ჭამდა. საშინელი შემთხვევაა.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა თუ შეიძლება, ასეთ შეკითხვას რომ უპასუხოთ. ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიას ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ მან წინ დააყენა დამოუკიდებლობა. ამბობდა: დამოუკიდებლობა და მხოლოდ დამოუკიდებლობა და დემოკრატია მერე. ოპონენტები ამბობენ, რომ ეს არის მცდარი პოზიცია და დემოკრატიული პროცესები უნდა ჰქონოდა მას კარგად გააზრებული, რომ დემოკრატიული პროცესები თან უნდა ახლდეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და დამოკიდებლობის საბოლოო გამოცხადებას.

გიორგი მარჯანიშვილი: აბსოლუტური დამოუკიდებლობა ზვიადი არ ამბობდა. დამოუკიდებლობა რას ნიშნავს, ცნებაზე ვიღაპარაკოთ. სრული დამოუკიდებლობა სისულელე არის, ნონსენსია, არ არსებობს. ამერიკა არ არის... ჩინურ კაპიტალს იმხელა ქონება აქვს ამერიკაში, რომ ვერ არის ამერიკა დამოუკიდებელი. ეს ძალიან კარგად იცოდა ამან.

ნათელა ვაჩნაძე: ეს უკვე ეკონომიკური საკითხებია. ეკონომიკაში ვერ კვეოდაო.

გიორგი მარჯანიშვილი: ყველაფერში ვერ გაერკვევა კაცი, გასაგებია. რა-ლაცაში უფრო უკეთესად ერკვეოდა, რალაცაში უარესად ერკვეოდა. ეგ ყველა ადამიანი მასეა, მაპატიონ ოპონენტებმა და ბატონი ზვიადის ოპონენტებმა. არის რალაცები, რაშიც ისინიც ვერ ერკვევიან, რალაც საკითხები ისეთი. აქ ლაპარაკი იყო რალაც ძალისაგან დამოუკიდებლობაზე. პირველი ეროვნული შეხვედრა იყო უნივერსიტეტში. ზუსტად ალარ მახსოვს, მაშინ ვინ იყო, მერაბ მამარდაშვილიც იყო, ბატონი ზვიადიც იყო. აი ისევ სახაროვის პროექტი. როგორ იყო, იცით? თბილისში კინოს კავშირის წინ ეყარა, მანეთი ღირდა მაშინ, ვიყიდე. ლატვიური სახალხო ფრონტის გაზეთი იყო და იმაში იყო პირველად გამოქვეყნებული სახაროვის კონსტიტუცია. ვარიგებდი იქა და მივიტანე, ბატონ ზვიადსაც ვაჩვენე. მე ვუთხარი, გავგიუდი, რას წერს-მეთქი ეს სახაროვი. რუსეთი მიყვარს, ბლოკიც მიყვარს, ცვეტაევაც მიყვარს, მაგრამ აქ ლაპარაკია რალაცა სხვა ძალაზე, არა რუსეთზე, არამედ რუსეთში მოკალათებულ რალაც ძალაზე, იქ დემოკრატიას ეძახიან. გამოვედი იმ შეკრებაზე უნივერსიტეტში და ვთქვი... რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვიყოთო, ამ გაზეთის ლოზუნგი ეგ იყო. და მე ვთქვი ერთი რამე, რომ ვისთან. აი კონსტიტუცია, აი პროგრამა, ვინც ითვლება დემოკრატიული მოძრაობის მეთაურად. მე ვთქვი, რომ ამ დემოკრატებთან არა. თუ იცით ვინმე სხვა, ვინც ამის საწინააღმდეგოს ფიქრობს, კი, ბატონო, მოვნახოთ, კი, ბატონო, იმათთან გავერთიანდეთ, არა სახაროვის კონსტიტუციის უკან მდგარ ძალასთან. ეგ ძალა საქართველოს მესაფლავე ძალაა და რუსეთისაც, სხვათა შორის. ეს იყო მთავარი დავა. აი იმ პირველ კრებაზე არა დემოკრატია აბსტრაქტული და დამოუკიდებლობა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულ რუსულ დემოკრატიასთან ერთიანობა. აი ამაზე თქვა ბატონმა ზვიადმა. ერთადერთი კაცი იყო, ვინც გაბედა და ხმამაღლა თქვა უარი. ესენი არიან საქართველოს მტრები. ეს გააცნობიერეს ბატონმა ზვიადმა და ბატონმა მერაბმა. ამიტომ მე არ დავბადებულვარ ზვიადისტად. მე ზვიადისტი გავხდი სწორედ იმიტომ, მათ დაინახეს საქართველოს მესაფლავის ძალა და ეს დაანახეს ქართველობის უმეტესობას. ამიტომ ყვიროდნენ ჩაუშესკუ, ჩაუშესკუო თბილისის ქუჩებში. ეს საშინელი განაჩენია. ეს არის დემოკრატიის უპირველესი პრინციპის – უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა. ჩაუშესკუ იყო იმ დროს სასიკვდილო განაჩენი. ვინც ყვიროდა ჩაუშესკუს და ვინც ამ ლოზუნგს უჭერდა მხარს, ყველასა აქვს ხელი მოწერილი გამსახურდიას სასიკვდილო განაჩენზე.

ნათელა ვაჩნაძე: ვის დაებადა, ეს ნეტავ, საინტერესოა. ალბათ ძალიან ძნელია ეხლა ამის ამოცნობა.

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი. ეს იყო დემოკრატიის, სწორედ რომ დემოკრატიის და არა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უპირველესი პრინციპის – უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა. და ვინც ამ-

ბობდა, ჯერ დემოკრატია და მერე დამოუკიდებლობაო, მაშინ ამაზე თქვან რამე, რატომ იყო ასე შერჩევითი. შერჩევითი დემოკრატია არ არსებობს, დემოკრატია ან არის, ან არ არის. ამის მიმართ დემოკრატია და იმის მიმართ არა, არ არის. დემოკრატია არ არის ტაკიმასხარობა და ლაზლანდარაობა. ვინც ჩაუშესეკუს იძახდა, ის იყო ანტიდემოკრატიული ძალა. მაშინ ბრძოლა იყო დემოკრატიისა ამ ანტიდემოკრატიული ძალის წინააღმდეგ და დემოკრატიას განასახიერებდა „მრგვალი მაგიდა“ და საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება, ვინც ამ ანტიდემოკრატიულ ძალას ებრძოდა, ეგეცა ვთქვათ. ჩაუშესეკუს გაუსამართლებლად დახვრიტეს, მოაწყვეს ფარსი და დახვრიტეს ცოლთან ერთად. მოაწყვეს გორბაჩოვის დავალებით, მსოფლიოშია ეს ცნობილი, რუმინულმა უშიშროებამ. აი ფესვები მოსკოვის სპეცნაზისა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ბრძანეთ, რომ გადატრიალებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა როსტოვის სპეცნაზი და ამავე დროს ГРУ-ს სპეცნაზი.

გიორგი მარჯანიშვილი: როდესაც შევარდნაძემ თქვა, რომ ნატოში უნდა შევიდეს საქართველო, დიდი ხნის მერე, რაც მთელი საქართველო ააოხრა და სწორი შეიყვანა, ასე ვთქვათ, კარიკატურაში შეიყვანა საქართველო, მაშინ “Известия”-ით დაემუქრა კრემლი. არ დაავიწყდეს შევარდნაძეს, რომ გამსახურდიას ბუნკერი როსტოვის სპეცნაზმა აიღო. “Известия” ითვლებოდა დემოკრატიულ გაზეთად. გამოვარკვიოთ, ეგ მე არ ვიცი, ეგ დაწერა “Известия”-მ. მე ვიცი საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვის, ГРУ-ს სპეცნაზი „ლამურა“, ფრიალებდა მათი ქუდები, ფორმის ქუდები ფრიალებდა და მთავრობის სასახლესთან ბრძოლაში რომ იყო დახოცილი მაგათი ჯარისკაცები. შექრას ცდილობდნენ მთავრობის სასახლეში და ერთ-ერთი მოგერიების დროს დახოცეს.

ნათელა ვაჩნაძე: სამხედროები ძალიან თავს იკავებენ ინტერვიუებისგან, პრაქტიკულად არ იძლევიან ან კანტი-კუნტად თითო-ოროლა ადამიანი და ვერაფრით ვერ დავადგინეთ, ვთქვათ, ცოცხალი ძალის რაოდენობა, იარაღის რაოდენობა, რა ტიპის იარაღი იყო. გასაგებია, რომ ЗАКВО ამარაგებდა ორივე მხარეს, როგორც სახელმწიფოს, ასევე ოპოზიციაც მიდიოდა, ყიდულობდა იარაღს. რა თქმა უნდა, რუსული იარაღი იყო, მაგრამ რაოდენობაზე ხომ არ შეგიძლიათ რამე მითხრათ?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, არ ვიცი, მე ძალიან შორს ვიყავი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ ვიცი. მე შემეძლო იარაღი ამეღო, არ ამიღია, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, რაღაცა სასწაული მოხდება-მეთქი. ვიციოდი, იქითა მხარეს ვინც იყო და თელო პაატაშვილისთვის შემთხვევით რომ შუბლი გამეხვრიტა, არ მინდოდა.

გიორგი მარჯანიშვილი: რას ამბობს ოპოზიცია კიდევ, ალბათ გაინტერესებთ. ოპოზიცია ამბობს, რომ ეს გადატრიალება შიგნიდან დაიწყო. ე. ი. თვითონ სახელმწიფოს სათავეში მყოფ წრეებში მოხდა განხეთქილება და იმათვან მოდიოდა ეს გადატრიალება.

გიორგი მარჯანიშვილი: ქალბატონო, ისე გეუბნებით მე თქვენ, რომ ეს იყო გარდამავალი პერიოდი, იწყებოდა ნულიდან. წარმოიდგინეთ თქვენ, კომუნისტებს აკვიდან პერიოდათ დოსიერი ყოველ მოქალაქეზე. პერიოდათ სკოლები, კომკავშირული, ოქტომბრელური, ესენი, ზრდიდნენ კადრებს, ლეგიონებს, ანინაურებდნენ, ცნობილია, პრივილეგიებს ანიჭებდნენ, წვრთინდნენ და მასე გაზარდეს. მათ პერიოდათ მთლიანი სისტემა, რომ როგორც დირიჟორს ორკესტრი აგემოქმედებინა, მანქანა პერიოდათ ბრძანების ზევიდან ქვევით. სუკით გამსჭვალული იყო ყველაფერი ყველა დონეზე. წამოვიდა ეროვნული მოძრაობა უცბად, უცებ თავზე დაგვეცა. ჩვენ ხომ არაფერი არ ვიცოდით, რა ხდებოდა, ეს რომ მზადდებოდა, როგორ მზადდებოდა, ვინ ამზადებდა, როგორ ამზადებდა, რა მექანიზმები მუშაობდა. უცებ გამოცხადდა “перестройка” ხომ? კაცმა არ იცის, რა იყო. თავიდან იყო ბედნიერების განცდა, რაღაცა ხალისი, რაღაცა ისეთი, რაღაცა ასეთი, რაღაცა გატყდა. მერე რაღაცები დაიძრა, წავიდა ნელ-ნელა, ნელ-ნელა, გამოჩნდა მახინჯი რაღაც სახეები და...

ნათელა ვაჩნაძე: მაგალითად?

გიორგი მარჯანიშვილი: რა ვიცი, სახაროვი სიმბოლოა, მის უკან კიდევ რაღაცები იყო. ყველაფერზე დიდხანს მოგვიხდება... ნელ-ნელა გამოჩნდა, ამის დანახვას დრო უნდოდა. ხალხის გამოცდა უნდოდა, შერჩევა უნდოდა, დაკვირვება უნდოდა. იმ ხალხს უნდა მოეფიქრებინა, უნდა გადაეხარშა, რისკი იყო. გმირობას ვერ მოსთხოვთ ადამიანს. ადამიანს უნდა პერიოდეს პატიოსნება. ნუ იტყუები, შეიძლება მოსთხოვო, ტყუილი ცუდია. ებრაული სკოლის სახელმძღვანელო ვნახე დაბალი კლასებისათვის. პირველ გვერდზე, პირველი აბზაცი – ებრაელი რჩეული ხალხია. თუ ხარ მატყუარა, უქნარა, ქურდი, თაღლითი, ყაჩალი, მეძავი, რჩეული კი არა, ებრაელი კი არა, ნაგავი ხარ. აი იმ ებრაულ სკოლაში პატარა ბავშვებს საწყის კლასებში...

ნათელა ვაჩნაძე: ჩამოთვალეთ კიდევ ერთხელ, თუ შეიძლება. ეგ ყველაფერი ბიბლიურია.

გიორგი მარჯანიშვილი: დიახ. ებრაელი რჩეული ხალხია, მაგრამ თუ მატყუარა, უქნარა, თაღლითი, ყაჩალი, ქურდი, ავაზაკი, მეძავი... სულხან-საბას აქვს მეძავი – ქალის ვარიანტი, სიძავი – კაცის ვარიანტი, კაცი-მეძავი, ესე ვთქვათ. ...ხოდა, შენ ებრაელი და რჩეული ხალხი კი არა, შენ ნაგავი ხარ. ამას ასწავლიან...

ნათელა ვაჩნაძე: ე. ი. ადამიანს უნდა მოსთხოვო პატიოსნება, რომ...

გიორგი მარჯანიშვილი: ათი მცნების ფარგლებში, ვთქვათ. გმირობას ვერ მოსთხოვ. სიცოცხლე გასწირე, ოჯახი გასწირე, შვილი გასწირე, ამას ვერ მოსთხოვ. ათი მცნება მიახლოებითი მინიმუმი არის. იქ იყო ექსტრემალური სიტუაცია, იქ იყო პროვოკაცია, გეუბნებით ისევ. ცხინვალში ვიღაცა ოსის შვილი, ქართველისა და ოსის შვილი მოკლეს იმ

დროს, სისხლისღვრისთვის შეუწყეს ხელი. აი ამ სიტუაციაში უცებ მოთხოვნა რაღაცა ძნელი არის. გეუბნებით, ისევ ოსები მან მოკრიბა და დაახვედრა ოსები ნიშანოვს, უნდა გაეპროტეტებინათ ის, იქ რაც არის, იქ რაც ხდებოდა, ისა. შუა „პერესტროიკაში“ კრიუჩიოვი... ეგეც ცნობილია, გამოქვეყნებულია ინგლისურად, ფრანგულად. კრიუჩიოვი კვბ-ს მინისტრი იყო საკავშირო, გადატრიალება მოაწყო გორბაჩოვის დროს, გორბაჩოვის თანხმობით ალბათ პუტჩამდე კარგა ხნით ადრე, წელი ზუსტად ეხლა ზეპირად არ მახსოვს, ცნობილი ფაქტია. ყველ-გან დაავალა იქ დაწესებულებებში, საწარმოებში, სასწავლებლებში, სპეციალურად გაააქტიურა ეს თავისი ქსელი, შესულიყვნენ ეროვნულ მოძრაობებში, შესულიყვნენ დემოკრატიულ მოძრაობებში, ცნობილია. ლიტვინენკო რომ მოკლეს ეხლა, მასზე გამოვიდა წიგნი ეხლახ-ანს. მასში წერია, რომ ელცინის დემოკრატებში კვბ-ს თანამშრომლები დანიშნეს იქ კვბ-ს დაშლაზე პასუხისმგებელ პირებად. დემოკრატებში კვბ-ს დაშლა-გარდაქმნაზე პასუხს აგებდნენ ძველი კვბ-ს თანამშრომ-ლები. მერე ისინი, ეს კვბ რომ ვითომ დაშალეს და ვითომ შეცვალეს, მერე ისინი დაინიშნენ კვბ-ს უფროსებად, დემოკრატებმა დანიშნეს. დაიცვეს კვბ, კი არ დაშალეს და მოსპეს, რაც დემოკრატიის დროს უნდა... არამედ დაიცვეს. მათ მოიყვანეს ხელისუფლებაში პუტინი. პუ-ტინი თავისთავად კი არ მოსულა, სოკოსავით კი არ ამოსულა, რაღაცა ძალამ, დიდმა სისტემურმა ძალამ, რაღაცა მექანიზმა მოიყვანა ხე-ლისუფლებაში. ეხლა არის მაგათი...

ნათელა ვაჩნაძე: ელცინი იყო ინიციატორი.

გიორგი მარჯანიშვილი: ელცინი იმდენად უკვე ყველანაირად გაკოტრებუ-ლი იყო, იმდენად გაკოტრებული იყო, რომ მას ჰქონდა ერთადერთი მიზანი, რომ ციხეში არ მოხვედრილიყო, მას გარანტია უნდოდა. მოი-ყვანა, შეარჩია პუტინი ბერეზოვსკიმ, ბადრი პატარკაციშვილის ძმაკ-აცმა.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა ჩვენ შორის წაგვიყვანს ეს პროცესები.

გიორგი მარჯანიშვილი: მაგაშია საქმე, მაგაშია საქმე. ეს იყო მექანიზმი, ეს იყო სტრატეგია, ეს იყო ტაქტიკა მაგათი. იქ რომ ეროვნულ მოძრაობა-შიაც რომ რაღაცა მომხდარიყო მაგისთანა ქართულში, მე არ ვიცი, მე ვერავის ვერ დავადებ ხელს.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. ამისთვის საჭიროა ლუსტრაციის კანონი და ლუსტრაციის კანონს არ იღებს ხელისუფლება.

გიორგი მარჯანიშვილი: იმიტომ, რომ ხელისუფლებაში... ამ ხელისუფლება-ში არ ვიცი. მოსკოვში თუ მასე ხდებოდა, ლუპის ქვეშ იყო და იქ მასე მოხდა... წარმოიდგინეთ, დაანიშნინეს კვბ-ს დასაშლელად ის კვბ-ს თანამშრომლები, ვისაც დავალებული ჰქონდათ თავისი უფროსებისა-გან კვბ-ს დაცვა, იმათ ვითომ დაშალეს. როცა ამისთანა რაღაცა გაა-კეთეს მოსკოვში... მე, მაგალითად, ხანდახან მეცოდებიან ვიღაცეები.

ბესო ქუთათელაძე, ვთქვათ, მეცოდება. რუსთაველზე სიკვდილი არ მინდაო და გორში მოკლეს. რუსთაველზე სიკვდილი შემრცხვაო და გორში არ შერცხვა.

ნათელა ვაჩნაძე: რა ვითარებაში მოკვდა?

გიორგი მარჯანიშვილი: რაღაცა იარაღზე იყო გარიგება. ეგ იყო, თბილისის ომის დროს ტელეანდა ვინც ჩაპარა. ის იძახოდა, ვერ ვიომე იმიტომ, რომ რუსთაველზე სიკვდილისა შემრცხვაო და მერე რუსის სამხე-დროებთან რაღაცა იარაღის ისტორიაზე გორში მოკლეს. გორში არ შერცხვა. რითი არის გორი თბილისზე უარესი? მერე რა რომ სტალინ-ის ძეგლი დგას, არ არის უარესი. რატომ არ შერცხვა გორში სიკვდილი, რატომ შერცხვათ თბილისში?

ნათელა ვაჩნაძე: თითქოს შუამავალი იყო ბესო ქუთათელაძე ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ასე ამბობს ოპოზიცია. ბევრჯერ გავაგზავნეთო, რომ მოლაპარაკებაზე წამოსულიყვნენო, შევთანხმებული-ყავითო რაღაც საკითხებზე.

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, არ ვიცი. ოპოზიცია ბევრ რამეს ლაპარაკობს. იცით რა არის, ინფორმაცია ისეთია, დოზირებულია და რაღაცა. ეხლა აღბათ სიმართლის გარკვევა ძალიან ძნელია. ზოგად ხაზებზეა ლაპარაკი და არა...

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს. აბსოლუტურად ყველაფერი, ჯერ ეს ერთი, ადამიანს არც ახსოვს. გუშინ თავყრილობა იყო ადამიანთა, მე არ ვესწრებოდი ამ კრებას, გამოვიდნენ იქიდან ადამიანები, ვეკითხები, რა მოხდა კრებაზე და ყველა თავის ვერსიას ყვება, არ ემთხვევა იმათი მონაყოლი ერთმანეთს.

გიორგი მარჯანიშვილი: მეხსიერებაც სუბიექტურია და შერჩევითია.

ნათელა ვაჩნაძე: რა თქმა უნდა. ამიტომ იქმნებოდა ქრონიკები, ამიტომ იწერებოდა ყველაფერი და ასე ზეპირად...

გიორგი მარჯანიშვილი: ძნელია. მე ვამბობ ზოგად სიტუაციაზე.

ნათელა ვაჩნაძე: რატომ მოხდა ეს ამბავი, რატომ აღუდგა... იგივე, ვთქვათ, ბატონი თენგიზ სიგუა იყო პრემიერ-მინისტრი. რატომ აღუდგა პრე-მიერ-მინისტრი ხელისუფლებას, ეს საკითხი მაინტერესებს, რატომ თავისივე პრემიერ-მინისტრი რატომ აღუდგა პრეზიდენტს, რატომ აღუდგა უზენაეს საბჭოს.

გიორგი მარჯანიშვილი: ფაქტია, უდოკუმენტოდ ლაპარაკი ზედმეტია. მე შემეძლო მიმენიშნება რაღაცა, მაგრამ უდოკუმენტოდ ლაპარაკი არ მინდა. არ ვიცი, არ ვმჯდარვარ ბატონ სიგუასთან, არ მქონდა კარგი ურთიერთობა. რაღაცეები ხდებდა, საგიჟეთი იყო, იცით. მაგალითად, იყო ხალხი, კულტურის სამინისტროში მოდიოდა... ვიღაცას უნდოდა, არც სახელს დავასახელებ, არც გვარს, ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ნაწილის მიყიდვა მოსკოველი ყაჩალი ბიზნესმენის

მავროდისათვის, რომელიც მოსკოვში დაიჭირეს მერე. ამ ოპერაციას ბატონი სიგუა უჭერდა მხარს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ კურირებდით კულტურის სამინისტროს?

გიორგი მარჯანიშვილი: მე ერთი პერიოდი ვიყავი კულტურის მინისტრის მოადგილე.

ნათელა ვაჩნაძე: მინისტრი ვინ იყო?

გიორგი მარჯანიშვილი: ბატონი ნოდარ წულეისკირი. მისი მოადგილე ვიყავი და მე ვკურირებდი ძეგლებს, მუზეუმებს.

ნათელა ვაჩნაძე: რითი იყო ეს დასაბუთებული?

გიორგი მარჯანიშვილი: რომ მუზეუმი გააქტიურდებოდა, ფული შემოვიდოდა და და მუზეუმს გამოადგებოდა. მაგრამ პრივატიზაცია ძალიან კარგად ვიცოდით, როგორ მოხდა რუსეთში. უკვე მაშინ ცნობილი იყო.

ნათელა ვაჩნაძე: როგორ?

გიორგი მარჯანიშვილი: ეს იყო... ძალიან ცნობილი რუსი დემოკრატის ისევ "Известия"-ში იყო წერილი, გვარი დამავიწყდა. პროგრამული წერილი იყო იმ დროს. ყველაფერს საბჭოთა კავშირშიო ჰყავს თავისი ფარული პატრონიო, შავი ბატონიო. სინამდვილეშიო სახელმწიფო საკუთრება დიდი ხანია აღარ არსებობსო. ფაქტიურად ფარული პრივატიზაციააო მომხდარიო. იმათ საშუალება არა აქვთ ღიად იაქტიურონო და მაგიტომაა ცუდი ეკონომიკის მდგომარეობა, რომ ფარული პატრონები ღიად ვერ მოქმედებენ და მოგებას ვერ იღებენ და ამიტომ ჩვენ ეს უნდა დავაკანონოთო, ეს უნდა იყოს დაკანონებაო. აი ასეთი იყო ეს პრივატიზაცია. საბჭოთა კავშირში ვიღაცამ, ვინც ქრთამით, თაღლითობით, ოხრობით, ყაჩაღობით ჩაიგდო ხელში რაღაცა მსხვილ-მსხვილი ნაჭრები, აი ეხლა იმათი დაკანონება უნდა მომხდარიყო. კიდევ ვიმეორებ, ეს იყო ისევ იდეოლოგია სახაროვის და გაიდარის წრისა. ეს იყო ყაჩაღების ხელში გადაცემა, მაფიის ხელში გადაცემა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეთ პრეზიდენტს, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს ეს საფრთხე ელის?

გიორგი მარჯანიშვილი: იცოდა. ამ პროცესში ჩართვა არ უნდოდა, ბატონი ზვიადი ძალიან ენინაალმდეგებოდა, უკმაყოფილო იყო. ასეთი სტიქიური პრივატიზაცია... დაიწყო პრივატიზაცია, პირველი, რაღაცა ცალკეული ცდები იყო, იშვიათი, მაგრამ მასიურ პრივატიზაციას მაგიტომ არ უჭერდა მხარს, რომ უკანონოდ, იმ ძალაში... იტალიური მაფიის სპექტრთან მებრძოლები წერენ, - ვიოლანცი იყო მაგალითად, ეძახიან ანტიმაფია მოსამართლეს - რომ 60-იან წლებში, ანდროპოვის დროს, სიცილიურ მაფიასთან ერთად კგბ-მ შექმნა საბჭოთა მაფიაო, დღეს პარტია, კგბ, მაფია არის არეულიო. ეს არის ერთი ძალაო.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ წერს ამას?

გიორგი მარჯანიშვილი: ლუჩანო ვიოლანცი სიცილიური მაფიის წინააღ-

დეგ მებრძოლი, გამომძიებელი. საბედნიეროდ, ცოცხალია ჯერჯერობით, ღმერთმა დაიფაროს.

ნათელა ვაჩნაძე: ძალიან მდიდრები რომ იყვნენ, რად უნდა ლაპარაკი. ბრეუნევის ოჯახი, მაგალითად, ანდროპოვის ოჯახი, საქვეყნოდ ცნობილია ეს ამბები.

გიორგი მარჯანიშვილი: ხოდა, მანდ რაღაცა ხდებოდა. დღემდე გუშინსკიზე ოთხმოცდათი ვერსია მაინც არსებობს, ვინ არის გუშინსკი. ერთი დემოკრატული გაზეთი წერს, რომ იყო უმუშევარი რეუისორი, მეორე დემოკრატიული გაზეთი წერს, რომ იყო საბჭოთა კავშირის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი. ის გუშინსკის ტელევიზია აჩვენებდა გამოსვლებს ზეიადისტთა, ხალხის გამოსვლებს კანონიერი ხელისუფლების გადასარჩენად, როგორც ოპოზიციის. ამ გუშინსკის ტელევიზია აჩვენებდა, რომელიც კაცმა არ იცის, ვინ იყო. როცა ხელში ჩაიდგო „Most“-ი, როცა იყო დიდი მაგნატი, მაშინ ეგ ტელევიზია აჩვენებდა.

ნათელა ვაჩნაძე: ტატიანა მიტკოვაზე ბრძანებდით?

გიორგი მარჯანიშვილი: დიახ, ტატიანა მიტკოვა ლაპარაკობდა, აჩვენებდა. იმ საწყალ ხალხს, ჩვენს მხარდამჭერებს აჩვენებდა და იძახოდა, რომ ეს ოპოზიცია, ქართველი ერი გამოდის დიქტატორის წინააღმდეგო. გუშინსკი, ვინც კაცმა არ იცის... ერთი დემოკრატიული გაზეთი იძახის, რომ იყო უმუშევარი რეუისორი და მეორე დემოკრატიული გაზეთი იძახის, რომ იყო საბჭოთა კავშირის კომკავშირის ცეკას თანამშრომელი. აი ამისთანა გაუგებარი პირების რაღაცა ის იყო. მაგაშია საქმე.

ნათელა ვაჩნაძე: იყო კიდევ ერთი აზრი ასეთი, იყო და არის კიდევაც, რომ მიწების პრივატიზაცია არ მოხდა.

გიორგი მარჯანიშვილი: კოლმეურნეობები პირველად დაიშალა საქართველოში. ეგეც ტყუილია. არ იყო მაგისი დრო.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ როდესაც მოვდიოდითო ხელისუფლებაში, ჩვენ ჩვენ ამომრჩეველსო სიტყვა მივეცითო, რომ მიწებს დავურიგებთ ხალხსო და ეს არ განხორციელდათ.

გიორგი მარჯანიშვილი: პირველად საბჭოთა კავშირში საქართველოში დაიშალა კოლმეურნეობები. ჰარი-ჰარალოზე არაფერი არ კეთდება, ქალბატონო, არაფერი არ კეთდება უცებ. დაკრა მუშტი მაგიდაზე და უცებ ამისთანა რადიკალური რეფორმა გაატარო. არა ხდება პრივატიზაცია მასე, მსოფლიოში არ ხდება ასე ჰარი-ჰარალოზე პრივატიზაცია. ეს მტკიცნეული პროცესია. მოსკოვში დღეში ხუთჯერ, ექვსჯერ ძვირდებოდა პურის ფასი აი ესე ჰარი-ჰარალოთი გატარებული პრივატიზაციით. დღეს მაგის შედეგად რუსეთში... რუსეთი უარეს დღეშია, ვიდრე საქართველო. წელიწადში მილიონამდე კაცი კვდება უდროოდ ლოთობისაგან, გულით, ავადმყოფობისაგან. აქ არის ასეთი ცნება – პოსტტრავმატული სინდრომი. თუ ხართ ქუჩაში ავარიის

მოწმე, თქვენ უფასოდ გიშვებენ ფსიქიატრთან, იმიტომ, რომ ეს არის ტრავმა. ამ ტრავმას მოჰყვება რაღაცა...

ნათელა ვაჩნაძე: და რამდენი ტრავმა მიიღო ქართველმა ერმა.

გიორგი მარჯანიშვილი: მაგაშია საქმე, მაგაში წააგო რუსეთმა. და ასეთ პარი-პარალოზე პრივატიზაცია რომ გატარებულიყო, რამდენი ტრავმის საბაბი შეიძლება გამხდარიყო. მართალა სასაცილო იყო ბატონი რომან გოცირიძე, რომ იძახოდა, რომ გამსახურდიასო მანეთამდე არ უნდა გაძვირება პურისაო. არ უნდოდა იმიტომ, რომ ეს ხალხი ეცოდებოდა.

ნათელა ვაჩნაძე: ეს, სხვათა შორის, ერთ-ერთ ძალიან დიდ ბრალდებად აქვს წაყენებული.

გიორგი მარჯანიშვილი: გასაგებია, იმიტომ, რომ თათრებს მიაქვთ იქაო, მოდიან და იაფ პურს საქართველოში ყიდულობენო. უნდა მონახულიყო... მტრობა კი უნდა ყოფილიყო... იცით რა? დიალოგი, კამათი და მტრობა სულ სხვადასხვა ცნებებია. უნდა ყოფილიყო დიალოგი, დასაბუთება და მშვიდი მსჯელობა და არა დედის გინება და ჩაუშესკუ, ჩაუშესკუს ძახილი. შეიძლებოდა რაღაცა ცოტა უფრო მეტ დროში, მაგრამ ყველასთვის რაღაც ნორმალური გამოსავლის მონახვა. მაგრამ როდესაც სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ, იქ ძნელია... მაპატიეთ, როცა დაუმსახურებლად სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ, იქ ძნელია რამის... პროვინციულ ფაშისტს გეძახიან და...

ნათელა ვაჩნაძე: ვის ეკუთვნის ეგ ფრაზა – პროვინციული ფაშიზმი?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიძახა, მე მგონი, პირველმა ავადსახსენებელი 2 სექტემბრის მერე. ვიღაცებმა დაწერეს, მე არ ვიცი, რომ გელა ლანჩავამ თუ ვიღაცამ მოაწყოო ეგაო, 2 სექტემბერიო. და მერე ის დასდევდა ზვიადისტებს, არბევდა და ხოცავდა კიდევაც. 2 სექტემბრის გულისათვის ჩაუშესკუ ეძახეს გამსახურდიას და მერე ვინც ეს მოაწყო, ის დაწინაურებული იყო ახალ ხელისუფლებაში.

ნათელა ვაჩნაძე: გელა ლანჩავა ცოცხალია?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: მგონი, არ არის ცოცხალი.

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, ლმერთმა უშველოს, სადაც არის. ამისთანა საინტერესო ფაქტი ბევრია.

ნათელა ვაჩნაძე: გია გულია არ არის ცოცხალი.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ ვიცი. იცით რა? გვარები არ მინდა კონკრეტულად.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია, მეც არ მაინტერესებს.

გიორგი მარჯანიშვილი: ამღვრეული არის, საბჭოთა კავშირში ვართ. საბავშვო ბალიდან პქონდათ დოსიერები, იყო ფსიქოლოგიური მუშაობა. ფსიქოთერაპიაც იცოდნენ, ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალე-

ბაც იცოდნენ. იმ ქვეყანაში, სადაც პარაფსიქოლოგიას მხარს უჭერდნენ და ასეთი მუშაობები მიღიოდა... ტელეპატები და ლომსაძეები გაიხსენეთ და ჯუნები, იქ ადამიანების ფსიქიკურ დამუშავებას ახდენდნენ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მეთოდებით ახდენდნენ. მანიპულირება იოლია ამ უკვე ბავშვობიდან არაცნობიერად დამუშავებულ საზოგადოებაში. მსხვერპლია საზოგადოება. იმ გადატრიალებაში ვინც მივიღეთ მონაწილეობა, თვითონ ვინც გადარჩა კიდევაც, მათ შორის საზოგადოება, მსხვერპლია აი ამ საერთო სიტუაციის, იმიტომ, რომ ისინიც მანიპულირებულები იყვნენ. როდესაც გამოცხადდა, მაგალითად, ლიად, რომ ასი ათასი აფხაზია აფხაზეთში და ასი ათასი ქართველი ჩავა და მოკლავს ამ ასი ათას აფხაზს, თუ არ გაჩერდებიან და მერე შევარდნაძემ ამის მთქმელი დანიშნა სარდლად და გაუშვა აფხაზეთში, ერთი მითხარით, რა ჭკუაზე უნდა ყოფილიყო ის ხალხი.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ერთი, ბატონო გიორგი, თქვენი აზრი ბინების შესახებ. ამბობს ოპოზიცია, რომ ჩვენ, როდესაც მოვდიოდით ხელისუფლებაში, ჩვენს ამომრჩეველს დავპირდით, რომ ბინების პრივატიზება მოხდებოდაო, დაკანონება ამ ბინებისათვის და პრაქტიკულად ესეც არ განვახორციელეთო, ისევე როგორც მინების პრივატიზაცია არ განხორციელდაო. ალბათ თქვენ იგივე პასუხი გექნებათ, რომ დრო იყო ამისათვისაც საჭირო.

გიორგი მარჯანიშვილი: ომია გამოცხადებული, ერის ყოფნა-არყოფნაზეა ლაპარაკი. ჩვენ ბატონი ზვიადის დავალებით ჯავახეთში ორჯერ გადავარჩინეთ კონფლიქტი. ორჯერ იყო სისხლისლვრაზე... სამწუხაროა, რომ ორი ადამიანი დაიღუპა.

ნათელა ვაჩნაძე: რა ეროვნების?

გიორგი მარჯანიშვილი: ალარ მახსოვს, მაგრამ ორი კაცი დაიღუპა, ვერ ვუშველეთ. ეკლესიაზე, ძველი ქართული საყდრის ნასაფუძარზე, დანგრეული იყო, სომხებმა ააშენეს ეკლესია. კომუნისტების დროს იყო მუზეუმი.

ნათელა ვაჩნაძე: სად ხდებოდა ეს?

გიორგი მარჯანიშვილი: ახალციხეში. ქართველებს ჰქონდათ რეაქციები, ფუძე ქართული იყო. კონფლიქტი იყო ეს. დაშნაკური მოძრაობა, საშინელებაა, იქ მოქმედებდა. ყარაბალის კომიტეტის წევრებთან ერთი სამჯერ ვარ შეხვედრილი. ახალქალაქში გვქონდა მოლაპარაკებები და გავაჩერეთ, გავაჩერეთ შეტაკებების გარეშე.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ იყო თქვენთან ერთად? ეგ საინტერესო მომენტია.

გიორგი მარჯანიშვილი: კვანტალიანი იყო, ტელევიზიონის ყოფილი უფროსი და რამოდენიმე კაცი ვიყავით. არეულობა რომ იყო ლეკებთან, იქ გავაჩერეთ.

ნათელა ვაჩნაძე: ლეკებთან სად?

გიორგი მარჯანიშვილი: ყვარლის რაიონში. ინფორმაცია არის ისეთივე იარაღი, როგორიც ტყვია. დეზინფორმაცია ბრძოლის საშუალებაა. ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდია წინააღმდეგი იყო თურქი-მესხების ჩამოსახლების. იმას ივიწყებენ, რომ მოლაპარაკება იყო. მაგალითად, ერთად ვიყავით, კიტოვანიც იყო მოლაპარაკებაზე.

ნათელა ვაჩნაძე: სადა?

გიორგი მარჯანიშვილი: წითელ ხიდთან თუ სადლაც შევხვდით ლიდერებს თურქი-მესხების. სარვაროვი, ცნობილია.

ნათელა ვაჩნაძე: სარვაროვი ცნობილია. ბატონი ზვიადი თანახმა იყო?

გიორგი მარჯანიშვილი: მოვილაპარაკეთ, ხელმოწერილი დოკუმენტი არსებობს მისი. მე თან არა მაქვს, სამწუხაროდ. აქ ვთქვით, დაბრუნდებით, როდესაც საქართველო აღდგება სახელმწიფოდ, როცა საქართველოს ექნება საზღვარი, როცა საქართველოს ეყოლება მესაზღვრე, როცა საქართველოს ეყოლება პოლიციელი. როდესაც საქართველო იქნება სახელმწიფო, ანუ ერს და ქვეყანას ექნება... სახელმწიფო არის იარაღი. ქვეყანა და ხალხი ერთია, სახელმწიფო მეორეა. სახელმწიფო არის ქვეყნის და ხალხის ინსტრუმენტი თავდაცვის. აი როცა იქნება თავდაცვის ინსტრუმენტი სახელმწიფო, მაშინ ყველას ერთბაშად არა, კვოტებად დაგაბრუნებთ. არ არის აუცილებელი რომ მაინც და მაინც სამხრეთ ჯავახეთში, საქართველოში დაგაბრუნებთ. ხელი მოაწერა სარვაროვმა.

ნათელა ვაჩნაძე: სად არის ეს დოკუმენტი?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი. მერე გროზნოში შევხვდი, პირზე კოცნით ვხვდებოდი ხოლმე. მერე ლენინგრადში შევხვდი, რაღაცა კონფერენცია იყო საკავშირო.

ნათელა ვაჩნაძე: კმაყოფილი იყო სარვაროვი?

გიორგი მარჯანიშვილი: რუსი დემოკრატები გაგიჟებული იყვნენ. ეს ნუგბარი ლუკმა გამოვაცალეთ პირიდან. იმიტომ, რომ ჩაფიქრებული იყო სისხლისღვრა, მერე სახაროვის კონსტიტუციის განხორციელების ათი წლის შემდეგ იქაც დამდგარიყო ეგ საკითხი. ამიტომ არც დემოკრატია და არც არაფერი არ არის თვითმიზანი. თვითმიზანი არის დაახლოებით ათი მცნება, პატიოსნება. ეგ არის ყველაზე დიდი დემოკრატია. ის ანეგდოტი მახსენდება – მაგათი ისტორია ასეთია – მისიონერი რომ ჩავიდა აფრიკაში და ასწავლიდა აფრიკელებს ქრისტიანობას. თხუთმეტი წელი ასწავლა, ასწავლა და ბოლოს დაიბარა. რა არისო სიკეთეო, ჰკითხა და როცა ძროხებს მოვპარავო მეზობელსო. ბოროტება რაღა არისო და როცა მეზობელი მომპარავს ძროხებსო. აი ესეთი არის ეგ. როცა ამბობენ, რომ იმას არ უნდოდაო ჩამოსახლება თურქი-მესხებისო და ამას არ ამბობენ, აი ეგ არის აფრიკელი ვითომ ქრისტიანების პასუხი და საქციელი. ორი ათასი წელი საქართველოში ქრისტიანობა

ტყუილა იყო, კაცო? არადა, ქალბატონი ნაირა გელაშვილი და ვიღა-ცეები რომ წერენ, ცალ კარში რომ თამაშობენ, ცოტა ობიექტურები რომ იყვნენ, ნამდვილი ქრისტიანები, ჯობია. ყველასთვის უკეთესია, პირველ რიგში მათთვის. რაღაცა ცოდვებს ღმერთი შეუმსუბუქებს მერე საიქიოში ამ სიმართლის გამო. ცოტა იმათ ბოსტანშიაც მოი-კითხონ. ყველა არის ძალადობის მსხვერპლი, ყველა დამნაშავემ უნდა აგოს პასუხი, ბაადურ მჭედლიშვილის მკვლელმა...

ნათელა ვაჩნაძე: როგორ მოკლეს ბაადურ მჭედლიშვილი?

გიორგი მარჯანიშვილი: მიტინგზე იყო, მოკლეს. არბევდნენ მშვიდობიან მიტინგებს.

ნათელა ვაჩნაძე: რა პერიოდია?

გიორგი მარჯანიშვილი: გამოსვლები იყო, მღელვარება, დაპირისპირებები, აღარ მახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: ხელისუფლებაში თქვენ იყავით?

გიორგი მარჯანიშვილი: მე მგონი, ჯერ ვიყავით, გადატრიალებამდე იყო, პირველი სროლა იყო. თქვან ისიც, კაცო... კი დაასაფლავეს ეს საწყ-ალი ჯაბა იოსელიანი თამარაშვილის გვერდით, მაგრამ პირველად თბილისში გაისროლა ტყვია ჯაბა იოსელიანის მოადგილემ ბუღამ, რომელიც მერე ააფეთქეს. არ ვიცი, ვინ ააფეთქა.

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბუღა ააფეთქეს მანქანაში.

გიორგი მარჯანიშვილი: მაგრამ მანამდე „მრგვალი მაგიდის“ სხდომა იყო იმელის შენობაში. იქ იყო „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი და იქ არ-ავითარი...

ნათელა ვაჩნაძე: „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი ვინ იყო?

გიორგი მარჯანიშვილი: აღარ მახსოვს. მერე ის მოკლეს ყოფილი კომ-კავშირის ცეკასთან, იქ ორი კაცი მოკლეს, ერთ-ერთი ეს იყო. ჯაბა ედავებოდა იარაღზე თუ რაღაც. მაგ დროს რუსთაველზე ბუღა ეს-როდა, კლავდა. მერე ირაკლი წერეთელი პირველად – ჯერ კიდევ გაუწვრთნელი, გულუბრყვილო ყმაწვილი იყო შედარებითასე თუ ისე – გაიქცა, მიტინგი ჩაატარა რედაქციების წინ, დაადო ხელი მხე-დრიონს. მხედრიონმა დაიწყო სროლა. არავითარი სიტუაცია არ იყო სროლის. მერე წერეთელს სცემეს სამჯერ, რატომ თქვიო. მერე ხმა აღარ ამოუღია, განვრთნეს. უწვრთნელი ჯეელი იყო ეგ რომ თქვა, სიმართლე.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ თავყრილობა მე მახსოვს იმელის შენობაში.

გიორგი მარჯანიშვილი: ხოდა, წინ იყო სროლა, კლავდნენ ხალხს. ინფორ-მაცია არის იარაღი. ეს არის არის მოყოლა, როდესაც იმას ამბობენ და ამას არა... კი, ბატონო, ვისაც უნდა, მაგრამ შუა საუკუნეებში ამისთა-ნა ხალხს ეკლესიის ეზოში არ ასაფლავებდნენ.

ნათელა ვაჩნაძე: ნეტავ ამ ბუღას ბიოგრაფიის აღდგენა თუ შეიძლება.

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი. ღმერთმა უშველოს, სადაც არის. საშინ-ლად მოკვდა, ააფეთქეს. არავის არ ვუსურვებ ასეთ სიკვდილს, არც მოსისხლე მტერს. მაგრამ ვინც არის ამის დამმალავი და ვინც არის ამის შემალამაზებელი, აი იმან კი პასუხი უნდა აგოს. ნუ ალამაზებენ ისტორიას. ის კი არა ვარ ანგელოზი, უმანკო, შეუმცდარი და უცოდველი, არ ვარ, ქალბატონი. არც ვიცი, თუ ვინმე იცით, მითხარით და-მანახეთ, მიმანიშნეთ, მე არ მეგულება. მაგრამ ამისთანა უტიფარი ტყუილი და დემოკრატიისთვის ბრძოლად გამოცხადება იმისა, რაც არის უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა და მშვიდობიანი მან-იფესტაციების ჩბევა და უიარაღო ხალხის ხოცვა... მიეპარნენ საწყალ – დემოკრატიისთვის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი პირველი – კარა-ვში... „კარვის ქალებს“ ეძახდნენ დაცინვით, რა თქმა უნდა. ცუდი სუნი გამოდისო, სახალხო ფრონტის გამგეობის წრეებიდან ლაპარაკობდნენ ქალბატონები.

ნათელა ვაჩნაძე: ამ კარვებს რა ფუნქცია ჰქონდათ, ბატონო გიორგი?

გიორგი მარჯანიშვილი: რაც იყო კიევში, რაც ეხლა უნდოდათ. შეჯახება არ მომხდარიყო. მუშტი მუშტზე, შუბლი შუბლზე, იარაღი იარაღზე, და-პირისპირება რომ არ გაჩენილიყო, მეტი არაფერი.

ნათელა ვაჩნაძე: მაგრამ ოპოზიცია ამბობს, რომ იქ იდგა მთავრობის ტელეფონი.

გიორგი მარჯანიშვილი: აი მაგიტომ მიეპარნენ გამოხიისას საწყალ ქალბა-ტონ აველინა ბერდიას და შუბლი გაუხვრიტეს უიარაღოს, ახალგაღ-ვიძებულს. ეს არის დემოკრატიისთვის ბრძოლის ქართული ვარიანტი. მერე მისი ძმა დაიღუპა აფხაზეთში. ასე განადგურდა ოჯახი. ადამი-ანს ტვინი არ უნდა აუმღვრიო. ეგ არის არადემოკრატიული პირველ რიგში, არაადამიანური. ტვინის ამღვრევა არც ერთ დემოკრატიულ სახელმძღვანელოში არ წერია. ტყუილი ცუდია. მაიაკოვსკი წერდა, რომ ტყუილი ცუდია.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო გიორგი, კიდევ ასეთი შეკითხვა, თუ შეიძლება. თითქოს ძალიან გამწვავდა მდგომარეობა საქართველოში აგვისტოს პუტჩის დროს, რომ პრეზიდენტმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რა-მაც საშინლად აღაშფოთა არმია. მე, სამწუხაროდ, არ გახლდით მაშინ თბილისში, მოსკოვში ვიყავი, მოსკოვში რაც ხდებოდა, ის ძალიან კარ-გად ვიცი, იმიტომ, რომ ჩემს თვალწინ ხდებოდა.

გიორგი მარჯანიშვილი: მე დეტალები არ ვიცი, მაგრამ შინაარსს გეტყვით. ჯერ ერთი, იყო საშინელი მდგომარეობა. მე მომსწრე ვარ, როგორ ჩამოლაგდა საბჭოთა გენერალიტეტი, მთავრობის სახლში როგორ მოვიდნენ და რა საშინელი ზენოლის ქვეშ იყო და იყო მუქარა. შემო-დიოდა საბჭოთა ჯარი საქართველოში. რაც 9 აპრილს იყო, ათი იმდე-ნი იყო საქართველოში მაშინ. იყო აბსულუტურად პირდაპირი, ღია, რეალური მუქარა, რომ... ეგენი ვერ გაუძლებდნენ საბჭოთა ჯარის

დარტყმას. მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, იგივე კიტოვანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. გადაარჩინა ბატონმა ზვიადმა კიტოვანი. არ ვიცი, სწორად მოიქცა თუ არა, მაგრამ მაშინ გადაარჩინა.

ნათელა ვაჩნაძე: კიტოვანი ხომ პირველი აუჯანცდა.

გიორგი მარჯანიშვილი: კი, ბატონო, იმიტომ, რომ უცნაური კაცია, პოსტტრავმატული სინდრომია და ფსიქიატრია საჭირო, რაც სჭირს. პირველ რიგში ურტყამდნენ მაშინ არა ბატონ ზვიადს, არა ჩვენ, არა მთავრობის სასახლეს, არამედ მაგათ.

ნათელა ვაჩნაძე: აზრი რა იყო?

გიორგი მარჯანიშვილი: არმია არ ყოფილიყო. თამაში იყო, რაღაც დიდი ტრაგიკომედია გათამაშდა მოსკოვში და... არ უნდა ჰქონოდა არმია. იმიტომ, რომ ღიად იყო ლაპარაკი – გარდამავალი პერიოდი, დამოუკიდებლობა, დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებული იყო და არმია უნდოდათ კიდევ ქართული? არ უნდოდათ. ბატონმა ზვიადმა საბჭოთა კანონებით ეს დარღვევით გააკეთა. როცა კიტოვანი თავიდან დაინიშნა, ეს იყო როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილი. მაშინ წინააღმდეგი არ ყოფილა. მერე საბჭოთა კანონის დარღვევით გამოჰყო და დამოუკიდებლად აქცია. ეს იყო საბჭოთა კანონის დარღვევა. რომ ჩამოვიდნენ, ამათ უნდოდათ დაშლა საერთოდ და მოსპობა. ბატონმა ზვიადმა არ დაშალა, დააბრუნა შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ შეინარჩუნა როგორც საბრძოლო ერთეული. ამით საბჭოთა არმიის დარტყმა ააცილა კიტოვანს. მაგას თუ თავში ტვინი აქვს, სვინდისზე ლაპარაკი ზედმეტია, უნდა მიხვდეს, რომ ბატონმა ზვიადმა გადაარჩინა. თუ ვერ მიხვდა, აი, ვეუბნები – ბატონმა ზვიადმა გადაარჩინა მაშინ. მაგრამ მერე ეს უკვე სხვა ამბავია, მერე თვითონა თქვას, რატომ ამხედრდა.

ნათელა ვაჩნაძე: მე პირადად შეხვედრა არ მქონია, ის მოსკოვში ცხოვრობს და არ ჩამობრძანებული თბილისმი. ეხლა მოსკოვში ჩვენი მივლინების საკითხები ძალიან გართულებულია. ჯერ ერთი იმის გამო, რომ პირდაპირი რეისები საერთოდ არ არის და მხოლოდ გადაჯდომით არის და მერე ვიზებს არ იძლევიან. საერთოდ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია რუსეთთან და ამიტომ კიტოვანთან დაკავშირება შეუძლებელია პრაქტიკულად. რას იტყვის, არ ვიცი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამხედრო პირები, ვისთანაც საუბარი მქონია, ისინი ამბობენ: ჩვენ ვიყავით ყველანი შეურაცხყოფილები, კიტოვანის ბიჭები იყვნენ შეურაცხყოფილები.

გიორგი მარჯანიშვილი: თამაშობდნენ, თამაშობდნენ. ის ბავშვები იყვნენ დამუშავებულნი, 24 საათი მაგას რომ გეუბნებია, დაგამცირა... „ძალლს“ ეძახდნენ მილიციელს. აი ჩვენ სამხედროები, გვარდიელები... იქ რაღაცა ჩვენება მისცა, რაღაცა პარადებს აწყობდა კიტოვანი, რაღაცა კონცერტებს, ერთ ამბავში იყო, იჭიმებოდა, დაიპრანჭებო-

და, ცხადია, ამაყობდა და რაღაცა პოზებში დგებოდა. „უცებ, მისი ლექსიკონით, „გააძალლეს“. ის ვერ მიხვდა, გადაარჩინეს მაგითი, სიცოცხლე შეუნარჩუნეს, კი არ „გააძალლეს“. ილია ჭავჭავაძის მეგობარი იყო პოლიციელი. წესია ნამდვილ საზოგადოებაში. აი მეფის რუსეთში ბევრი რამე კარგი იყო, ქრისტიანული რაღაცა იყო დარჩენილი. თუ შვილი ხდებოდა უანდარმი, პოლიტიკური პოლიციელი, იმდროინდელი კგბ, მამა შვილზე ამბობდა უარს. ეს იყო პოლიტიკური პოლიცია და ეს იყო დანაშაული, დამნაშავე შვილზე მამა ამბობდა უარს. მაგრამ შვილი თუ ხდებოდა პოლიციელი... ილიას ერთ-ერთი უპირველესი მეგობარი იყო გამომძიებელი, უანდარმი მეგობარი ილიას არ ჰყოლია. ასე რომ, პოლიციელი არის ყაჩალის წინააღმდეგ და ქურდის წინააღმდეგ მებრძოლი, ანუ შინაგანი მშვიდობის დამცველი. რაც პოლიტიკური პოლიციაა, ის უკვე პოლიცია აღარ არის, ის უკვე საშიში რაღაცა მოვლენაა. ხოდა, ეგ იყო, მეტი არაფერი. კიტოვანის ლექსიკაზე ვიძახი, რა თქმა უნდა. მილიცია არა, კგბ რომანტიკულია. იღებდნენ ხოლმე „Семнадцать мгновение весны“, შტირლიცი. ის რომანტიკული იყო. საბჭოთა კავშირმა გადააყირავა, პოლიციელი დააქვეითა და რომანტიკულია კგბ, შემოსა იქ ვიღაცა. პოლიციელი უფრო ისეთი გახადა.

ნათელა ვაჩნაძე: ლიაზნოვას ფილმი, ვნახე ამას წინათ.

გიორგი მარჯანიშვილი: პოლიციელის მიმართ მისი ასეთი დამოკიდებულება ამანაც განაპირობა. ეს კომუნისტური სახელმწიფო პოლიტიკა იყო, ეგც მათი ნაშთი იყო, რა თქმა უნდა. და ამ ბავშვებს უთხრეს, რომ თქვენ იყავით ჯარისკაცები, საქართველოს დამცველები, აი თქვენ შენობა, აი თქვენ... და მერე უცებ რომ... მათ უნდა აეხსნათ. იმის მაგივრად რომ დაემშვიდებინათ და ეთქვათ, რომ ეს დროებითიაო, რაც უნდა გაეკეთებინათ სინამდვილეში, იმიტომ, რომ ეს მათ დასაცავად იყო, ამ ბავშვების დასაცავად იყო, მაშინ ეს ბავშვები... თორემ 9 აპრილზე უარესი მოხდებოდა. ეს ხეობა დაიჭერდა საბჭოთა არმიას? ვერ დაიჭერდა. ვერ დაიჭერდა ვერც ავიაციას და ვერც მაგათ ტექნიკას. ასე რომ, ეგენი მაშინ გადარჩნენ, აი სწორედ ამითი გადარჩნენ. მერე როცა იქნებოდა რაღაცა დრო და გაფორმდებოდა რაღაცა... მოთმენა იყო საჭირო. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი. რომ იქნება დრო, დაბრუნდება. არა. იმიტომ, რომ სხვა რაღაცა იყო ჩაფიქრებული მანდა, აი ეს იყო ჩაფიქრებული. დენთის კასრი უკვე... ამ საწყალმა ბაშვებმა ვერ გაიგეს და ყველაფერს ხომ ვერ ეტყოდა. ხომ ვერ ეტყოდა პრეზიდენტი ხმამაღლა ყველას გასაგონად, იმ წუთში იქნებოდა... რუზველტის ცოლის საყვარელი იყო ახალგაზრდა სამხედრო-საზღვაო ოფიცერი ვიღაცა... რუზველტი ხელს რომ აწერდა რაღაცა ქალალდს, მეორე დღე ის ქალალდი იღო სტალინის მაგიდაზე. გამსახურდიას ეს ხმამაღლა რომ ეთქვა, მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ მერე ეს აღვადგინო და ესენი დავიცვაო, თქვენ რა გგონიათ, ეს გაჭრიდა და ამათ გადაარჩენდა? რა თქმა უნდა, ვერ

გადაარჩენდა. ეს ძალიან კარგად იცოდა. არ დაგავიწყდეთ, ვისი შვილი იყო. ბერიას მოადგილე იყო ერთი სუდოპლატოვი, მოადგილე, რომელსაც ებარა საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა. გამოაქვეყნა მოგონებები, ფრანგულადა მაქვს წაკითხული, რუსულად არა. წერს, რომ როდესაც წაცისტები მოდიოდნენ კავკასიასთანო, იქმ მაშინო ბერიამ დამავალა საქართველოში წასვლაო. ეშინოდათ, სოხუმი დაიბომბა, ორი ბომბი ჩამოვარდა სოხუმში, კიდევ სადღაც ჩამოვარდა. ქალი დაიღუპა მაშინ სოხუმში, არ ვიცი, აფხაზი თუ ქართველი, ვიღაცა დაიღუპა. ხოდა, აიღო ფული, უნდა ჩავიდეს იქა, იქ რომ ანტიფაშისტური წინააღმდეგობის იატაკებება ქსელი შეექმნათ. ჩავედიო და მივედი კონსტანტინე გამსახურდიასთან. გააღო კარები, საშინელი კაცი იყოო, სახლში არ შემიშვაო, რა გინდაო, მკითხაო, ბერიას მოადგილეს. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი თუ მეორე მოადგილე მიადგა კარზე კოლხურ კოშკში კონსტანტინე გამსახურდიას. აი ფულიო. მაპატიეთ, იცით, არა მცალიაო, უთხრა. ეხლა რომანს ვწერ, დაკავებული ვარ, მაგისთვის არა მცალიაო, სახლში არ შემიშვა, კარები დამიხურაო. მერე წავედი, ვიღაცა მოვნახე, იმას დავუტოვე ფულიო. კიდევ კარგი, არ გამოდგა საჭირო და პატიოსანი კაცი იყო, უკან დამიბრუნა ყველაფერიო. იმის გვარს არ წერს. გამსახურდია ისეთიაო, შვილმა, საბჭოთა კავშირში კარგი კომუნისტი იყოო, მერე თავი მოიკლა სადღაც ტყეშიო. მიაწილა. ანგელოზი არავინ არ არის, ისევე როგორც პირველ რიგში მე არა ვარ ანგელოზი, მაგრამ დასაფასებელია, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მოგადგება დიდ ფულით და გეტყვის ამას და... ეს ვაჟკაცობაა, ეს ადამიანობაა, ეს ლირსებაა. ასეთი ადამიანის შვილია, ასეთი ოჯახი-დან იყო ბატონი ზვიადი, დასაფასებელია. იმას მარტო სიტყვით არ უყვარდა საქართველო, იმას საქართველოს არომატი უყვარდა, ყოფა უყვარდა, ჯორკო უყვარდა და ლობიო და დიდა ვო ნანა და ეს ძალიან დიდი რამეა, ისევე როგორც რუსთაველი და დავით ალმაშენებლი და ვაჟა ფშაველა და ა. შ.

ნათელა ვაჩნაძე: არის ასეთი მოსაზრება, ბატონო გიორგი, არ ვიცი, თქვენ რაიმე გსმენიათ ამის შესახებ თუ არა, რომ ორი ადამიანი აგვისტოს პუტჩის დღეებში ბატონმა ზვიადმა გააგზავნა მოსკოვში. ერთი ეს იყო ბატონი მურმან ომანიძე და მეორე ბატონი რამაზ გოგლიძე. რატომ ომანიძე. ომანიძეს პქონდა ძალიან დიდი კავშირები, დიდი კონტაქტები სამხედრო ელიტასთან საბჭოთა კავშირის, ეს მე ზუსტად ვიცი. რაც შეეხება ბატონ რამაზ გოგლიძეს, არ ვიცი, საიდანლაც გაუგია, რომ ბატონი რამაზი იყო მეგობარი პუტჩის ერთ-ერთი დიდი თავკაცის და თითქოს აი ეს ორი ადამიანი გაუშვა მოსკოვში იმისათვის, რომ მოლაპარაკებაზე წასულიყვნენ პუტჩის თავკაცებთან, რომ საქართველო

მზად არის, მხარი დაუჭიროს პუტჩისტებს. კონკრეტულად იანაევის გვარს ასახელებენ.

გიორგი მარჯანიშვილი: არა, ტყუილია, ტყუილია, ტყუილია. ბატონმა ზვიადმა გარკვევითა თქვა, რომ იქ რაღაცა ხდება. მოიცა-დეთ, იქ რა ხდება და კანონიერ ხელისუფლებას დავუჭიროთ მხარიო. გარკვევითა თქვა, საჯაროდ. იქ რაღაცა ხდება გაურკვეველიო და შეი-ძლება ეს იყოს თამაშიო და მართლაც მასე იყო, ეხლა როგორც ირკვე-ვა. ბევრი ამბობს, რომ იყო თამაში.

ნათელა ვაჩნაძე: ბევრი ამბობს, რომ ეს ყველაფერი მოხდა მიხეილ გორბა-ჩივის გადასარჩენად და მასთან შეთანხმებით. ასეთი თვალსაზრისი მაშინათვე იყო გამოთქმული. მინახავს მე ეს დაბეჭდილი, ერთი ძალიან ცნობილი რუსი მეცნიერის დაწერილი სტატია.

გიორგი მარჯანიშვილი: მე ესე მიმაჩნია, შეეჯახა ორი რამე, იქ ორი კონ-ცეფტია შეეჯახა ერთმანეთს. ერთი იყო ეს სახაროვის კონსტიტუცია, ეს იყო გორბაჩივის კონსტიტუცია. 70-იან წლებში იყო მოსკოველი ისტორიკოსი გეფტერი, ვინც გააკეთა ვარიანტი მაგისი. ცოცხალი აღარ არის. დისიდენტი არ ყოფილა, მაგრამ მათთან ტრიალებდა. სახ-აროვის კონსტიტუციის პროექტი არის იმისი დახვეწილი ვარიანტი. როცა ბრეუნევის საბჭოთა კონსტიტუცია იქმნებოდა, მაშინ მისწერეს როგორც ვარიანტი, მაგრამ ბრეუნევმა ვერ გაბედა. ბრეუნევის მერე უკვე ნიადაგი მოამზადეს დასავლეთშიაც, საბჭოთა კავშირშიაც და მერე შეცვალა სახაროვმა, მიალამაზ-მოალამაზა და შემდეგ განახორ-ციელა. ტრუბეცკოი იყო მართლა გენიალური რუსი ლინგვისტი, ის-ტორიკოსი, ემიგრაციაში წავიდა. მაგას აქვს ნაწარმოები “Записки о кавказских народностях”. უნდა შევქმნათ აფხაზური ინტელიგენცია და აფხაზებსო უნდა ჩავაგონოთ, ჩავუნერგოთ გაქართველებასთან ბრძოლის აუცილებლობათ. ეს იყო რევოლუციამდე. აი ეს ესე გრძელ-დება „გათიშე და იბატონე“.

ნათელა ვაჩნაძე: პარტიული ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელს მე ვიცნობ, რომლებიც ამბობდნენ, რომ ისიც საშინელება იყო, რა თქმა უნდა, რასაც მეფის რუსეთში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისიც საშინელე-ბა იყო, რასაც ლავრენტი ბერია უკეთებდა აფხაზებს.

გიორგი მარჯანიშვილი: ლავრენტი ბერიას დამცველად მე ვერ გამოგად-გებით, ვერ ვიქნები ვერავითარ შემთხვევაში მისი ადვოკატი, მაგრამ ერთი რამე ვიცი. ლავრენტი ბერია სტალინს წარუდგინა ლაკობამ. ბნელი ისტორიაა. ლაკობა იყო ლენინს და სტალინის ახლობელი, ბევ-რად უფრო ახლობელი, ვიდრე ბერია. ბერია ახალგაზრდა ნიჭიერი დამწყები ჩეკისტი იყო, როცა ლაკობა იყო უკვე ემისარი ათათურქთან და შუამავალი.

ნათელა ვაჩნაძე: ლაკობა დაიხვრიტა მერე.

გიორგი მარჯანიშვილი: ვიცი. უცნაურია. თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გა-
მოთხარაო. ლაკობა აფხაზი იყო. თავისი ჯალათი თვითონ დააწინაუ-
რა, წარუდგინა სტალინს. რათ უნდოდა, რისთვის უნდოდა, ბელი ის-
ტორია, არ ვიცი. ამას სჭირდება სერიოზული... ცნობილია, ფაქტია,
რომ ლაკობა იყო პროტექტორი ბერიასი.

ნათელა ვაჩნაძე: ბერიამ საშინელ დღეში ჩაყარაო აფხაზები.

გიორგი მარჯანიშვილი: აფხაზები არა, აფხაზების ნაწილი. დაწინაურე-
ბულ, გაკომუნისტებულ აფხაზებში იყო განხეთქილება მაშინაც. იყვნენ მაშინ პრორუსული, პროტურქული ძალები, დენიკინთან ვინც
თანამშრომლობდნენ. დენიკინსაც, ბოლშევკიებსაც, საერთო ჯამში,
ერთი... დენიკინს ცნობილი მოხსენებებია, ინგლისელებს რომ ეუბ-
ნება, ქართველები უნდა გავყაროთ აფხაზეთიდან, ჯარები გავყაროთ
და საზღვარი დავდოთ იქითკენო. რაღაცა მაგისთანა იყო. არავინ არ
ლაპარაკობს იმაზე, რომ თვითონ აფხაზებშიც იყო დაპირისპირება
სამოქალაქო, კულტურული დაპირისპირება იყო. შამბასაგან მსმენია,
მოლაპარაკებაზე ვყოფილვარ ბატონი ზვიადის დავალებით მაგასთან,
ვიცნობდი, აჩბასაც. აჩბა შემცდარი, მაგრამ... მოგიყვებით, რატომ
მოკლეს. ვითომ გამარჯვების შემდეგ დაბრუნდა სოხუმში და თქვა,
რომ არ შეეხოთ, მოუწოდა, მშვიდობიან ქართველ მოსახლეობასო.
დანაშაული არისო და დახვრიტეს. ის ამბობდა ლიად, რომ ჩვენ გვინ-
და ფედერაცია, ჩვენ არ გვინდა გასვლა. მოკლეს ზურაბ აჩბა. შამბა
არა. ამბობდა, მე ვარ უბისიო, უთქვამს ჩემთვის. არ ვიცი, მართალია,
ტყუილია. ისტორიკოსები ამბობენ, რომ უბისები აღარ არსებობენ,
მაგრამ ჩემთვის ნათქვამი აქვს შამბას, რომ უბისი ვარო. იყო რაღა-
ცა კუდები. პირველი აფხაზი ეთნოგრაფი რომ ნახოთ სოლომონ ზვამ-
ბა, ის წერდა, უბისები იყვნენ ისეთივე მტრები აფხაზებისა, როგორც
ლექებია საქართველოსათვის. აღწერილი აქვს. იკლებდნენ სოფლებს,
წვავდნენ აფხაზურ სოფლებს...

ნათელა ვაჩნაძე: თქვენთვის პირადად უთქვამს, უბისი ვარო?

გიორგი მარჯანიშვილი: დიახ. ...ბზიფის იქით უბისების შიშით აფხაზე-
ბი ველარ გადადიოდნენო. სოლომონ ზვამბა დაიღუპა რუხთან ომში,
იყო რუსეთის არმიის ოფიცერი. სოლომონ ზვამბა, პირველი აფხაზი
ეთნოგრაფი. ის წერდა. ის ლაპარაკობდა აფხაზურად, ჩერქეზულად,
ქართულად, მეგრულად, უბისურად. უბისური, მართალია, ჩვენი აფხ-
აზურის მონათესავე ენაა, მაგრამ აფხაზური არ არის. ისინი მტრე-
ბი იყვნენ. აფხაზები უბისების შიშით ვერ გადადიოდნენ ბზიფზეო.
მერე, ეტყობა, დარჩნენ ბზიფის იქით რაღაცა ნაწილი, კოლონიზაცია
მოხდა, ეტყობა. ეტყობა კი არა, გუდაუთის აფხაზებში იყოს რაღაცა
ნაწილი მაგათი სისხლი. არ ვიცი, შეიძლება მართლაც იყოს. ასეთი
განსხვავება ოჩამჩირესა და გუდაუთას შორის შეიძლება მაგითი იყოს
განპირობებული, რომ იქ თვითონ აფხაზის მოწმობა არის და... მერე
აკადემიკოსმა... გამოსცა ეგა. დაწერა შესავალ ნაწილში...

ნათელა ვაჩნაძე: მაგისი შვილი თქვენთან სწავლობდა?

გიორგი მარჯანიშვილი: დიახ, ჩემი კურსელი იყო. ეხლა, მგონი, გერმანიაშია, მხატვარი, საკმარისად კარგი მხატვარი. ხელოვნებათმცოდნეობაზე სწავლობდა, გრაფიკოსიც იყო, კარატისტი იყო. მე მგონი, ბრძოლებშიაც... უხოცია თუ არა ქართველები, არ ვიცი, მაგრამ მალე გაიქცა გერმანიაში. მე მგონი, დიდი ჯალათი არ ყოფილა, არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: რა ერქვა?

გიორგი მარჯანიშვილი: ატყური. ხოდა, მამამისი წერს ამ ზვამბას შესავალში, რომ ცდებაო, ვინც იცნობდა უბიხებს, ვინც უბიხურად ლაპარაკობდა და ვინც შეხვედრია უბიხებს, ის ცდებაო, უბიხები ჩვენი ძმები არიანო.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ საბჭოთა პერიოდში დაწერილია.

გიორგი მარჯანიშვილი: გასაგებია ეგა, გასაგები. შესავალი გააკეთა ისე, რომ უკვე ისიც ამზადებდა... ანტიქართული განწყობილების მომზადებაში ისიც... და ზვამბა, პირველი ეთნოგრაფი, რომ წერდა... ეგ დაწვეს. არქივები და მუზეუმები რომ დაწვეს, ეგენი დაწვეს, ორიგინალები დაწვეს. იცით, რა დოკუმენტები დაწვეს, ეს დემოკრატები რომ შევიდნენ სოხუმში? უნიკალური, ნამუშევარი ვარ და ვიცი. უნიკალური მასალა აღარ არსებობს ქართული აფზახეთის.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ როგორ გგონიათ უზენაესი საბჭოს მასალები არსებობს საქართველოში?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: ცოტა.

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, მე 92 წლის აქეთ არა ვყოფილვარ.

ნათელა ვაჩნაძე: ცოტა. ცოტა. გადატრიალებასთან დაკავშირებით ჩემი ჯგუფი ხომ ეძებდა მასალებს, ცოტაა ძალიან. უფრო მეტად არის კინოფირები დარჩენილი, სატელევიზიო გადაცემები, რადიოჩანანერები. ამას კიდევ ცალკე ადგილი უნდა დავუთმო, მაგრამ ერთი მონოგრაფია და ერთი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ამდენ რამეს როგორ დაიტევს, არ ვიცი. მე ვფიქრობ, უფრო თავს მოვუყრი და ფონდს შევქმნი, რაზე-დაც ხელი მიმინვდება. ეს ფონდი იარსებებს და ჩვენს შემდგომ თაობას უკვე საშუალება ექნება რაღაცა თვითმხილველების მონათხობი ჰქონდეთ, ჩანაწერები მათი ხმების, მათი საუბრების, რაღაცა პატარა მასალას მაინც დავდებთ, საძირკველს მაინც ჩავდებთ.

გიორგი მარჯანიშვილი: ისევ გეუბნებით, საშინელება იყო. ბუკოვსკი წერს, რომ დასავლეთმა გვილალატაო. რაღაც წიგნი აქვს, ფრანგულადაც არის, ამას წინათ ვნახე ერთ-ერთი ბოლო წიგნი და ის წერს, რომ ტეტ-ჩერი გორბაჩივმა გამოაცხადა წლის ქალად და მერე მოუწოდა ტეტ-ჩერმა საბჭოთა ხალხებს, რომ დაუჯერეთ, საბჭოთა კავშირი შეინარჩუნეთო, იყიდაო ტეტჩერიო. ფაქტიურად მასე გამოდის. ბუკოვსკის

ნათქვამია, ჩემი არ გეგონოთ. ინგლისში ბუკოვსკი გიუად იყო კარგა ხანს გამოცხადებული. იყო რაღაც დიდი ნაწილი, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ნაწილი, რომელიც მასე არ ყოფილა. პროვინციელი ფაშისტი ბუკოვსკი არ არის, რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატია დღესაც საუკეთესო, კასპაროვს ჯობია.

ნათელა ვაჩნაძე: რუსეთს უკვე ვიცით, ვინ ეყოლება.

გიორგი მარჯანიშვილი: ვიცით, გასაგებია, მეც ვიცი, მაგრამ ისე ვიძახი. თუ მართლა არჩევანზე მიღვა საქმე, კასპაროვი ძალიან სიმპათიური კაცია, მაგრამ ბუკოვსკი უფრო ღრმა და უფრო სხვანაირია. იცის, აქაურობაც იცის, იქაურობაც იცის. ის ამბობს, ის არ არის პროვიციელი ფაშისტი.

ნათელა ვაჩნაძე: რითი იყიდა გორბაჩივმა ტეტჩერი?

გიორგი მარჯანიშვილი: არ ვიცი, რაღაცა ძალასთან არის გარიგებული. ის ამბობდა, ასეთი რაღაცა იყო აქა, რომ პირველი წლების რევოლუცია ტოქსინური...

ნათელა ვაჩნაძე: კი, ბატონო, გაიზიდა რუსეთიდან ყველაფერი.

გიორგი მარჯანიშვილი: მარტო რუსეთიდან არა, მთელი რუსეთის იმპერიიდან, ყოფილი ტერიტორიიდან, საქართველოდანაც, საიდანაც.

ნათელა ვაჩნაძე: „ოგონიოკი“ წერდა ამის შესახებ.

გიორგი მარჯანიშვილი: აბარებდნენ, ყველაგან დიდ ქალაქებში იყო პუნქტები და აბარებდნენ. ამას აკონტროლებდნენ ხამერები, ამან ხამერი, მენავთობები დიდი. მამამისი თდესელი ებრაელი იყო. არა აქვს მნიშვნელობა. ებრაული სკოლა გითხარით, ასეთი ქართული სკოლა იყოს ნეტავი. ვენაცვალე იმას, ვინც ასეთი სახელმძღვანელო დაწერა. ამერიკის კომპარტიის დამაარსებელ ხამერზე რა გითხრათ?! იმისი შვილი კიდევ იყო ლენინის, სტალინის და ბრეჟენევამდე ყველას მეგობარი.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო გიორგი, როდესაც დაიწყო საომარი მოქმედებები რუსთაველზე, თქვენ სად ბრძანდებოდით ამ დროს?

გიორგი მარჯანიშვილი: მე ძალიან გვიანობამდე ვიყავი მთავრობის სახლში. მე გავიხედე, არავინ არ იყო მოედანზე. ცუდად ვიყავი, ნავალ, ერთი-ორი საათი დავიძინებ და დავბრუნდები-მეთქი. არავინ არ იყო იქა, არაფერი არ იყო, მე მოვიარე. მახსოვს, რომ ვიღაც დეპუტატები დარჩნენ კიდევაც, ზოგი ავტომატით იყო, ზოგი არ იყო. მე ვერ გავძელი, სახლში წავედი. მერე გამაღვიძა ზარბაზნების ხმამ, მერე იქ ვეღარ მივედი.

ნათელა ვაჩნაძე: ზარბაზნების? მრავლობითში ამბობთ.

გიორგი მარჯანიშვილი: არა, ზარბაზნის ხმამ გამაღვიძა. მერე წავედი სხვაგან, მეგობართან ვიყავი. მერე იყო უნივერსიტეტთან გამოსვლები, რა ვქნათ, რა ვქნათო. არ ვუთხარი, წადით, დახოცეთ-მეთქი. ვიფიქრე, რაღაც სასწაული მოხდება-მეთქი. იყო მანიფესტაციები, უამრავი

ხალხი. თბილისში ვიღაცამ ისიც დაწერა, რომ ეს იყო თბილისის ბრძოლა პროვინციასთანო და, რა თქმა უნდა, დედაქალაქი უგებს ყოველთვის პროვინციასო. მთელი თბილისი გამოსული იყო, რა პროვინცია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველას თუ არა, ყოველ მეორე თბილისელს ფესვები პროვინციაში აქვს. მაგას თუ არ ჩავთვლით, პაპებსა და ბებიებს თუ არ გავიხსენებთ... ეს ბინძური, რომ... ის არ არის დემოკრატი, ვისაც პირველი სკოლა არა აქვს დამთავრებული, ვერა-ვაკის ბრძოლა სამეგრელოსთან და ვერა-ვაკემ გაიმარჯვა. ამისთანა სიბინძურები იწერებოდა, საშინელებები. გუშინ ვნახე, ვითომ კიტოვანსა და იოსე-ლიანს დაუარსებიათ საქართველოს მესამე რესპუბლიკა.

ნათელა ვაჩნაძე: ეგ სად იყო?

გიორგი მარჯანიშვილი: აღარ მახსოვს, რაღაცა საიტზე ვიღაცა ისტორიკოსი წერს. ბატონი ზვიადი მართლა იყო მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტი. საბჭოთა რესპუბლიკა, რესპუბლიკა არ ყოფილა, იმიტომ, რომ... არჩევნებს ვგულისხმობ. ხალხის ძალაუფლება და ხალხს... არც ერთი არჩევნები რეალური არ ყოფილა. პირველი არჩევნები 50 წლის მერე იყო, რეალური, ნამდვილი არჩევნები. ეს იყო მართლა მეორე რესპუბლიკა. ის საბჭოთა რესპუბლიკა არ ყოფილა თავისი მნიშვნელობით. კი არ მოსპეს მეორე რესპუბლიკა, არამედ მესამე რესპუბლიკა დაარსეს, ქმნიან ამისთანა ლეგენდას. რა გითხრათ, ამისთანა რაღაცები ბევრია. ენას ძვალი არა აქვს.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო გიორგი, თქვენ რაღაცა პროექტი გქონდათ თუ კონცეფცია გქონდათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწყობის, არა? თუ ვცდები მე? და თქვენ დაქუცმაცებულობას გაბრალებენ.

გიორგი მარჯანიშვილი: არა, ტყუილია. „იმედის“ წამყვანი ჟურნალისტია ეხლა, ის მომადგა გროზნოში, თარგამაძეა, მე მგონი. და გალიზიანებულმა ზედმეტი ვუთხარი, ჩემი ბრალია. ის მერე დამპირდა, რომ არ გავაკეთებო და მერე, რამდენადაც გავიგე, ზურაბ ჟვანიას წაულია და გაუშვია გაგრის დაცემის შემდეგ. სამსაათიანი ინტერვიუ ჩაიწერა და აჩვენეს ათი წუთი ყველაზე უარესი ადგილი, ამოჭრეს. ...ზურაბ ჟვანიას, როგორც ამბობენ. მაგისი საბუთიც არა მაქვს, მაგრამ გავიგე მასე. ზურაბ ჟვანიასაც ვიცნობ, მისი კარგიც ვიცი და ცუდიც ვიცი.

ნათელა ვაჩნაძე: რაში მდგომარეობდა არსი?

გიორგი მარჯანიშვილი: არსი იყო სხვა, მაშინ იმას არ გავიმეორებ, რაც მაშინ გაცხარებულზე ვთქვი. საქართველოს წინააღმდეგ მომზადებული იყო ანტიქართული ჩრდილო კავკასია. იქ ცდილობდნენ ჯოხარ დუდაევის ჩათრევას ელცინ-სახაროვის, გორბაჩოვის წრეები. მაგიტომ იყო ჯოხარ დუდაევი სოხუმში პირველად მთიან ხალხთა კონფედერაციის პირველ ყრილობაზე. მაგრამ ბატონ ზვიადს ჰქონდა ძალიან ჭკვიანური პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა პირველი რესპუბლიკის პოლიტიკას, დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკას კავკასიის

მიმართ, კავკასიური ერთიანობის, სოლიდარობის პოლიტიკას. ბოლშევიკებმა ცოტა ხნით რაღაც კარიკატურა გააკეთეს და მერე შეეშვნენ. ბატონმა ზვიადმა ეგ იცოდა, მე არ ვიცოდი. ბატონი ზვიადისაგან მსმენია ფრაგმენტები, მაგრამ მე დაწვრილებით არ ვიცოდი. ჯოხარ დუდავს დაუკავშირდა, ჰქონდა ჩეჩენებთან, ინგუშებთან ურთიერთობა და წაართვა ხელიდან იმ ძალას დუადევი. ეს ძალიან დიდი გამარჯვება იყო და იქ გაკეთდა კავკასიური „მრგვალი მაგიდა“, 92 წელს იყო, შემოდგომაზე, რამდენადაც მახსოვს. ...და გროზნოში გაიმართა და იქ იყვნენ, ჩამოვიდნენ ყველა, ოსის... სომხების გარდა, მონაწილეობდნენ. ლაპარაკია, რომ ეს უნდა იყოს დაახლოებით კონფედერაციის თუ თანამეგობრობის ტიპის – უფრო ბუნდოვნად, ჯერ დახვეწილი არ იყო, იდეა იყო მაგისი – თანამეგობრობის ტიპის სუვერენიტეტის შენარჩუნებით, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებით ერთიანი კავკასია ერთიანი შეიარაღებული ძალებით. იდეები იყო სხვადასხვა ტიპის – ერთიანი საგარეო პოლიტიკით, შინაგანი სპეციფიურობის დაცვით, სოლიდარობა სამხედრო-ეკონომიკური.

ნათელა ვაჩნაძე: აზერბაიჯანი შემოვიდოდა?

გიორგი მარჯანიშვილი: აზერბაიჯანი შემოდიოდა.

ნათელა ვაჩნაძე: იქ, სადაც აზერბაიჯანი შემოვიდოდა, სომხეთი შემოვიდოდა?

გიორგი მარჯანიშვილი: იცით, რა არის? სომხეთშიაც სხვადასხვა ძალა არის.

ისე როგორც ქართველი, სომეხი არც გინებაა, არც ქებაა. ისეთიცაა, ასეთიცაა, სხვადასხვა ხალხია და უნდა მოინახოს ვიღაც ნორმალური.

ნათელა ვაჩნაძე: აირიკიანი?

გიორგი მარჯანიშვილი: აირიკიანი უფრო ნორმალური იყო. ტერ-პეტროსიანი იყო უფრო ჭკვიანური პოლიტიკის... ეხლა, იმედია, რომ თუ გახდა პრეზიდენტი, შეიძლება რაღაცა უკეთესობისაკენ შეიცვალოს. მაგიტომ გადაატრიალეს. ის წინააღმდეგი იყო ყარაბაღში მასშტაბური სისხლის ღვრისა, ის იყო დიალოგის მომხრე, კომპრომისების ძიების მომხრე. ყარაბაღში ის ჩაფიქრებული იყო თავიდან, ეგ ცნობილია. წერენ იმას, რომ – ტერორისტული ორგანიზაციებია „ასალა“ – ესენი მანიპულირებულები იყვნენ ΓΡΥ-ს მიერ. თვითონ სომეხი მეცნიერები წერენ. იყო მაგალითად აი ესეთი სიტუაცია, რომ ჩავიდა ფრანგი ურნალისტი 90 წელს ერევენში, ჟან კლოდ მადრო, აეროპორტში რუს სამხედროებთან ერთად. დავინახე დიდი „ბოინგი“. არ არის ნიშნები, რომელი ქვეყნისა არის. სამხედროებმა, მე მგონი, სპეციალურად მაჩვენესო, ნერს ეს მადრო. მითხრეს, რომ გადმოდის იარაღი, მსუბუქი შეიარაღება, მძიმე შეიარაღება, „ბოინგი“ დიდი თვითმფრინავია, ტყვია-წამალი. გავგიუდიო, საიდან, საბჭოთა კავშირი არსებობსო, არ არის დაშლილი. როგორ გადმოვიდაო „ბოინგი“ საზღვარზე, რაშიაო საქმე. აწერია იბან. ლიბანში არის ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიოში სომხური თემი და „ასალა“ და დაშნაკები აკონტროლებენ იმ თემს.

გორბაჩოვმა დაუძახა: აქამდე გაიარალებდით თურქეთის წინააღმდეგ, ნატოს ქვეყნების წინააღმდეგ გაიარალებდით, ეხლა მჭირდება... ჩვენი საქმე არ არისო, სამხედროებმა მითხვესო, ეს მესაზღვრების ამბავი არისო და ეს კებ-აო და კებ-ს მიმართ ჩვენ არაფერი არ ვიცითო, ვიღაცა რუსმა გენერლებმა უთხრეს, როგორ შემოვიდა საბჭოთა კავშირში იარაღით გატენილი „ბოინგი“. პარიზელია, ყოველკვირეული გამოცემის დიდი რეპორტიორი. ემუქრებოდნენ, სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ მაინც ძალიან ცნობილი იყო და ვერ გაძედეს. იმ იარაღის ნაწილი გავრცელდა მთელ კავკასიაში. აი ამხელა ოპერაცია. ქართველებმა, ყოჩალ, რომ ერმა გაუძლო. კიდევ არის რაღაცა, კიდევ ვიღაცას აქვს ელემენტარული პატიოსნება ცხოვრების და ღიმილის უნარი. ამხელა ძალასთან დაპირისპირება, გაძლება ამ დარტყმისა ძალიან ძნელია.

ნათელა ვაჩნაძე: ერთი შეკითხვა მაქვს, ბატონო გიორგი. ხომ არ ფლობთ რაიმე ინფორმაციას იმის შესახებ – ამასაც დოკუმენტი უნდა, მაგრამ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს, სამწუხაროდ – ვინ გასცა ბრძანება 2 სექტემბერს კინოს სახლის წინ ედპ-ს მიერ მოწყობილ მიტინგზე გასროლისა?

გიორგი მარჯანიშვილი: მე არ მჯერა, რომ ბატონმა ზვიადმა გასცა, არ მჯერა, ვერანაირად, ვერანაირად ვერ წარმომიდგენია. ერთადერთი ეგ შეიძლება გითხრათ, რომ ვერანაირად ვერ წარმომიდგენია. ყოველ წუთში კუდში არ დავდევდი, ცხადია, მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ სროლის ბრძანება ბატონი ზვიადის ყოფილიყო.

ნათელა ვაჩნაძე: მე მაქვს ინფორმაცია, რომ ბატონი ზვიადი იყო კრწანისში, უცხოელები ჰყავდა სტუმრად, როდესაც იქ შემოვიდა ამბავი იმის შესახებ, რომ სროლა იყო კინოს სახლთან.

გიორგი მარჯანიშვილი: მაგ დროს დაამთხვიეს, იმიტომ, რომ იქ უცხოელები იყო. ეგ იყო რაღაც ოპერაცია, რომ უცხოელები უნდა დაერწმუნებინათ, რომ საქართველოში არის დიქტატურა და არ არის დემოკრატია. ეს იყო ამის დემონსტრაცია.

ნათელა ვაჩნაძე: ამერიკელი კონგრესმენები.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ ამერიკელები მოვიდნენ ჩვენთან. გვთხოვეს, რომ გვინდაო ოპოზიციასთან შეხვედრაო, ოღონდ თქვენგან დაუსწრებლადო, რომ ჩვენ დამოუკიდებლად დაველაპარაკოთო და გავიგოთო. კი, ბატონო, ავტობუსები გამოუყო, წაიყვანა.

ნათელა ვაჩნაძე: სად იყვნენ?

გიორგი მარჯანიშვილი: აღარ მახსოვს, სად იყვნენ, შეხვდნენ ოპოზიციას და იმ დროს იქ მოაწყეს ეს 2 სექტემბერი. გასაგებია, რომ პროვოკაცია იყო, ელემენტარული პროვოკაცია იყო. ეგენი იყვნენ, ცნობილია... აღარ მახსოვს გვარები, ვიღაცა ბიჭი ერთი, მე მგონი, მოკლეს. არჩევნების შემდეგ ერთ-ერთმა ზვიადისაკენ გაიწია, რაღაცა უნდოდა. იქ სცემეს, დაიჭირეს.

ნათელა ვაჩნაძე: ვინ ბიჭმა?

გიორგი მარჯანიშვილი: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა. გამარჯვების შემდეგ იქ მივარდნა უნდოდა და რაღაცას აპირებდა. მაგის მერე მაგანვე ლაგოდებში აზერბაიჯანის საზღვართან ატეხა სროლა და ერთი-ორი აზერბაიჯანელი მილიციელი მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: არ გახსოვთ გვარი?

გიორგი მარჯანიშვილი: არ მახსოვს გვარი. ეგ, მე მგონი, მოკლეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პროვოკატორი მოკლეს. ამისთანა რაღაცები იყო. ძნელია თქმა ეხლა, იქ რა მოხდა. მოკლეს გაბრიელ ისაკაძე, ვინც აღმართა სამფეროვანი დროშა, საშინლად მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: სად?

გიორგი მარჯანიშვილი: სახლში, რამდენადაც მახსოვს. საშინლად ნაწამები, ვენები გადაჭრილი, ნაცემი, ასე მახსოვს. ეს არავის არ ახსოვს.

ნათელა ვაჩნაძე: სად აღმართა ეს დროშა?

გიორგი მარჯანიშვილი: საქართველოს მთავრობის სახლის თავზე, 21 წელში ჩამოდგებული დროშა აღმართა ამ კაცმა. თითქოს მსხვერპლად შეეწირა. კაციშვილს არ ახსოვს. ღირსია ეს კაცი გახსენებისა.

ნათელა ვაჩნაძე: ღირსია, რა თქმა უნდა. შესწავლაა საჭირო მისი ბიგრაფიის, ნახვა მისი მშობლების, მისი ოჯახის წევრების. ამას მთელი ინსტიტუტი უნდა სწავლობდეს, ჩვენ სამ კაცს რა შეგვიძლია. მთელი ავტობუსირომ დახვრიტეს, 37 კაცი იჯდა იმ ავტობუსში, მეტეხის ხიდთან, როცა უკვე ჩამოდგებული იყო პრეზიდენტი...

გიორგი მარჯანიშვილი: ისაკაძე იყო სიმბოლო, ეს იყო სამაგალითო სიკვდილით დასჯა იმ კაცისა, ვინც სამფეროვანი დროშა აღმართა. ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია იგონებდა 37 წელს. „კლდე“ გამოდიოდა უურნალი და იმაში ეწერა: რუსის გახულიგნებულ ჯართან ბრძოლაში ქართული ეროვნული დროშა პირველმა აღმართა ბორჩალოელმა თათარმა, მხნე და გულადმა ემინ აღამ. ულამაზესი მოგონება. ასეთია ქართული ნაციონალიზმი, დემოკრატიული ნაციონალიზმი.

ნათელა ვაჩნაძე: ჩვენ კიდევ ისაკაძის ბიოგრაფია არ ვიციოთ.

გიორგი მარჯანიშვილი: მაგაშია საქმე. ეს არის სიმბოლური მსხვერპლშეწირვა. ბელგიაში დარბოდნენ ჰოლანდიურენოვანი ექსტრემისტები, ლოზუნგი ჰქონდათ – „დაე, ჩაძალლდეს ბელგია!“ ცოტა ხნის წინ ექსტრემისტები დარბოდნენ ბელგიაში, ბრიუსელის ქუჩებში. კიდევ კარგი, სისხლისღვრა არ ყოფილა. იქ კონფლიქტია ფრანგულენოვნებს და ჰოლანდიურენოვნებს შორის. არიან ექსტრემისტები, ვისაც უნდა დაშლა ბელგიის. დადიან ამ ცივილიზებულ, ლამაზ, კარგ ევროპაშიაც,

დადიან და ამ ლამაზ ქვეყანაზე იძახიან – დაე, ჩაძალლდეს ეს ქვეყანა. იქ საქართველოში რომანოვების იმპერიამ ეს ძალა დათრგუნა ისე, რომ ეს ძალა დასუსტებული კი არის, მაგრამ გაბნეულია, შეშინებული და შეკეტილია. ამ ძალის გამოყვანაა მთავარი, არა პოლიტიკა, არა პრეზიდენტობა, პარლამენტარობა, თვითონ ხალხი. აი სამოქალაქო საზოგადოება რომ ბრძანეთ, რომ იყოს ხალხი. იმიტომ, რომ მთავრობა ყოვლისშემძლე არ არის, ვიცით, მთავარია დაგვეხმაროს, მაგრამ თუ რამე არ შეუძლია, ჩვენ რაც შეგვიძლია, ის უნდა გავაკეთოთ ჩვენ თვითონ, თვითმოქმედება. ასეთი საზოგადოება უნდა იყოს. ძნელია შამბასთან დალაპარაკება. ჯერ უნდა გაირკვეს, დამნაშავეა, უდანაშაულოა. თუ დამნაშავეა, შერიგება ძნელია. სხვები არა. არის, აუცილებლად არის ხალხი, მათთან დალაპარაკება შეიძლება, ვინც სისხლში გასვრილები არ არიან, ვინც შეშინებულები არიან. მოსკოვში ცხოვრობს, მაგალითად, ნელი ეშბა-ანჩაბაძე.

ნათელა ვაჩნაძე: ნელი ეშბა? რეჟისორი?

გიორგი მარჯანიშვილი: დიახ, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფე, დედით დადიანი. აფხაზი ნათესავებიც მოუკლეს და ქართველი ნათესავებიც. ქართველებმა მოუკლეს აფხაზი ნათესავები, აფხაზებმა მოუკლეს... იგივე აფხაზი, რატომ არ ესვრი. ვის ვესროლოო, დედა ქართველი მყავსო და მამა აფხაზიო, ვის უნდა ვესროლოო. მოკლეს.

ნათელა ვაჩნაძე: ნელი ცოცხალია?

გიორგი მარჯანიშვილი: ცოცხალია, მოსკოვშია, არაჩვეულებრივი ადამიანი. რატომ არის დაკარგული, რატომ არ გვახსოვს, უნდა მოინახოს. რა უნდა მოსკოვში, რატომ არ უნდა სცეს თბილისმა პატივი ქალბატონ ნელი ეშბას. ეგ 70-იან წლებში ქართული განწყობის იყო, საქართველო უყვარდა, თბილისი უყვარდა, თბილისში სწავლობდა. როდესაც აფხაზეთში იყო რეჟისორი აფხაზური თეატრისა, მაშინ, ცნობილია, საკავშირო გასტროლები უნდა ჰქონოდა და რომ არ გასულიყო და ამ საქართველოს მოყვარე აფხაზს რომ იქ სახელი არ მოეპოვებინა, დაუწევს დეკორაციები და კოსტუმები, ვერ წავიდა. იყო. მაგალითად, ბუხუტი ბლაშბა, არ ვიცი, ცოცხალია, თუ არა, ვიღაცა ეყოლება. იმან დაწერა წიგნი აფხაზურ გვარებზე. თქვა, რომ ორი მესამედი აფხაზური გვარები ქართული ნარმოშობისააო, საბჭოთა ხანაში. ვიღაცები მიუცვივდნენ იქა და თავი რომ გადაერჩინა, იძულებული გახდა, მესამე სართულიდან გადმომხტარიყო. ფეხები დაიმტვრია, გალში, გადარჩა. იყო ლეოშერვაშიძე, ხელოვნებათმცოდნე, არაჩვეულებრივი კაცი, გადასახლებული, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა. სოხუმიდან გააგდო ვორონოვმა.

ნათელა ვაჩნაძე: დიახ, მერე ვორონოვი მოკლეს.

გიორგი მარჯანიშვილი: ამბობენ, აფხაზებმაო.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვორონოვს ვიცნობდი.

გიორგი მარჯანიშვილი: სამწუხაროა. კარგია, მტერიც უნდა იცოდე. მე არ ვიცნობდი ვორონოვს, სამწუხაროდ (იცინის). დამინახავს, მაგრამ არ გამიცნია.

ნათელა ვაჩნაძე: კონგრესზე ვიყავით მოსკოვში ერთად.

გიორგი მარჯანიშვილი: ყველაფერი ჰქონდა ხელში ჩაგდებული, საშინელებებს წერდა, ატვინებდა აფხაზებს. ლეო შერვაშიძეს დაუპირისპირდა და სილა გააწეს, ცნობილია. ვორონოვი იყო მესამე თაობის კოლონიზატორი, მისი სახლ-მუზეუმია იქა. გიორგი შერვაშიძის სახლ-მუზეუმი არ არის, ზვამბას სახლ-მუზეუმი არ არის, ვორონოვის სახლ-მუზეუმია. ეგ არის დღევანდელი ვითომ აფხაზეთი. სიმბოლური აქტია – ვორონოვმა შერვაშიძე გააგდო აფხაზეთიდან და ვახტანგ ბერიძემ მიიღო. უმუშევრად იყო. იქ გავიცანი მაშინ.

ნათელა ვაჩნაძე: ბიჭვინთის მოზაიკაზეა აქვს ნაშრომი.

გიორგი მარჯანიშვილი: და აფხაზეთის კედლის მხატვრობაზე. საინტერესო კაცი იყო. შეიძლება საკამათო გქონდეს რაღაცა, მაგრამ პიროვნებაა. რომ დაიწყო აფხაზეთის ომი, მის შვილს – სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და სტუდენტალაქში ცხოვრობდა – მიუვარდნენ აფხაზი სტუდენტები, რატომ ხარ შერვაშიძე და არა ჩაჩბაო და დანა დაუსვეს თავზე, კინალამ მოკვდა, სიკვდილს გამოგლიჯეს ხელიდან. ეს არის აი იმ აფხაზეთის სიმბოლო. ამას ვივიწყებთ ამ ვაკებანალიაში.

ნათელა ვაჩნაძე: იცით, აფხაზეთი ცალკე თემად უნდა გაკეთდეს, ოსეთი ცალკე თემად უნდა გაკეთდეს. ამბობენ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში იყო ერთი ოსი ქალბატონი, კარგად სწავლობდა ოსური ენის გრამატიკას. ოლღა თედევა. ის გარდაიცვალა და ოსოლოგია თითქმის აღარ არის ჩვენთან, მაგრამ ეხლა ფიქრობენ, რომ ააღმორძინონ. ეს არ ვიცი, როგორ მოხდება, მაგრამ ქართულ-ოსური ურთიერთობანი და ქართულ-აფხაზური ურთიერთობანი ცალ-ცალკე შესასწავლი თემებია.

გიორგი მარჯანიშვილი: იმიტომ, რომ სხვადასხვა ფენომენი არის, სულ სხვა კავშირები, სულ სხვა ფესვები, სულ სხვა ისტორია.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონ ზვიადს მიაწერენ, სხვათა შორის, შიდა ქართლის ამ ნაწილის დაკარგვას ოპონენტები. ამბობენ, რომ იქ, როდესაც იყო სვლა წმინდა გიორგის დღეს, 23 ნოემბერს, როდესაც იყო სვლა ცხინვალში, მაშინ განსაკუთრებით კულმინაციას მიაღწია დაძაბულმა ურთიერთობამ.

გიორგი მარჯანიშვილი: მე იქ ვიყავი. მიაღწია, მაგრამ ბატონმა ზვიადმა – ერთი ინციდენტი არ მომხდარა – როდესაც დაინახა, რომ მახე იყო, ეს უზარმაზარი მასა ქართველებისა... მობრუნდით, წამოვიდა. შესვლა უნდოდა ცხინვალში ჭანტურიას. შესვლა უნდოდა მაშინ, თავს დავესხათ, შეურაცხყოფილი... გია ჭანტურიას უნდოდა შესვლა. არა,

ხალხმა არ დაუჯერა, ხალხი გაჰყვა ზვიადს. მივიდა იქა. რომ დაინახა, რომ იქ... მარტო ოსური წინააღმდეგობა კი არ იყო, რუსული ნაწილები მოვიდა. ხმის ამოუღებლად... იქ რომ სისხლი დაიღვრებოდა... ისევ გადაარჩინა, ისევ გადადო. მერე იყო უკვე პროვოკაციები. ძნელია, როდესაც... ეროვნული მოძრაობა არ იყო ისე ორგანიზებული, როგორც მოწინააღმდეგი მისი. კეთებს არგანიზება, ΓΡΥ-ს ორგანიზება, იმათი ძალა სულ სხვაა, იმათი ქსელები, სად ეროვნული მოძრაობის ორგანიზება, ეს შეუდარებელი რამეებია. ეს იყო იმის დემოსტრაცია, რომ ეროვნულ მოძრაობას, „მრგვალ მაგიდას“ არ უნდოდა სისხლი. ამხელა მასა ხალხისა მიადგა ცხინვალს. როდესაც გაიგო, რომ ეს იყო კრემლის მიერ დაგეგმილი მახე, ბატონი ზვიადის ერთი სიტყვა და ამხელა მასა გამოპრუნდა მორჩილად, მეც. მოწმე ვარ.

ნათელა ვაჩნაძე: არსებობს კინომასალა, დოკუმენტური კინო, რომელიც საქართველოდან გავიდა, ქართველის მიერ გაკეთებული. გავიდა უცხოეთში, სადაც აღბეჭდილი იყო ძალიან მძიმე კადრები, რა თქმა უნდა, ქართველების საწინააღმდეგო – აი რას სჩადიან ქართველები შიდა ქართლში. რომ ცხენის ძუაზე გამობმულ ადამიანს ანამებენ და სხვა და სხვა. მაშინ ძალიან გაუტყდა სახელი საქართველოს.

გიორგი მარჯანიშვილი: ვიცი, ეგ ისევ ისეთი ინფორმაციაა, როგორიც ერთი ბანაკი სხვებს აჩვენებენ და მეორე ბანაკი სხვებს. არავინ არ ჩამორჩებოდა მხეცობით ალბათ. იყვნენ ისეთებიც. მხეცობის ფაქტები ქართული მხრიდანაც იყო ალბათ, არ გამოვრიცხავ. ფაქტები არა მაქვს, ვერ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ყოფილიყო ასეთი ფაქტები. იქითა მხრიდანაც იყო, ორივე მხრიდან იყო. იქითა მხრიდან არ ყოფილან უმანკო კრავები და ანგელოზები, ჯალათები იყვნენ. ეს იყო ორგანიზებული... 1921 წელს იყო მაგისტანა გეგმები. საქართველოს პროვინციებად დაშლის გეგმა რუსეთის იმპერიაში და ბოლშევიკებს ყოველთვის ჰქონდათ და პერიოდულად აჩენდნენ. როცა მომენტს ნახავდნენ, ყოველთვის აჩენდნენ, როცა სჭირდებოდათ. ხალხიც ჰყავდათ ყოველთვის ამისთვის გამზადებული, რომ ამ საჭირო მომენტში, რომ გამოეჩინათ. ჰყავდათ ყოველთვის. იქაც ჰყავდათ, ცხინვალშიც ჰყავდათ, ცხადია, რა თქმა უნდა. იმათ საბჭოთა სახელმწიფო უჭერდა მხარს და ეროვნული მოძრაობა იყო თვითმოქმედება. თუ ვიდაცა იყო პროვოკატორი, რასაც მე არ გამოვრიცხავ, ეს უკვე ეროვნული მოძრაობის კაცი კი არ იყო, ეს იყო შემოგზავნილი.

ნათელა ვაჩნაძე: და როგორ დაამტკიცებთ, ვინ არის შემოგზავნილი, ვინ არ არის შემოგზავნილი. ძნელია ამის დამტკიცება.

გიორგი მარჯანიშვილი: ხო, ძნელია. ცხინვალში რომ ომი ატყდა და მაგედან დაიწყო და მაგედან დაკარგა – არა, მაგედან არ დაწყებულა სისხლის-ღვრა. ეს ტყუილია. ეს, პირიქით, იყო იმის დემოსტრაცია, რომ ქართველები მისულები არიან მშვიდობიანად და თუ ცხინვალელებს არ უნდათ ქართველებთან მაშინ დიალოგი და შუაში ჩნდება რუსი, რუსი

კი არა, კომუნისტი, მოსკოველი, მთავრობის ჯარისკაცი და კრემლის ბრძანების გარეშე ეს ურთიერთობა ვერ ხერხდება, მაშინ ქართველობა დღეს უკან იხევს. როგორც მივიდნენ, ასევე უკან წამოვიდნენ, არავითარ მხეცობას ადგილი არ ჰქონია. მშვიდობიანად მივედით, მშვიდობიანად წავედით. დავინახეთ, შევაფასეთ სიტუაცია, წავედით. ასე რომ, ეგ არის უტიფარი ტყუილი. თავის იმას მიხედონ. როდესაც ლაპარაკია საქართველოს მტრობაზე, ეგ სხვა ამბავია, გინდა ოსი იყოს, გინდა ქართველი იყოს. ანდრე მარლოს აზრია: ფრანგად ვთვლი იმას, ვისაც არ უნდა საფრანგეთის სიკვდილი. მე უფრო მყაცრი ვარ. მე ქართველად ვთვლი იმას, ვისაც უყვარს საქართველო, იმ ბორჩალოელ თათარს, მხნე და გულად ემინ აღას. ის არის ქართველი და, ვთქვათ... სხვამ ჰქითხოს თავის თავს, არის თუ არა, გინდა ბაგრატიონი იყოს და გინდა სიკინჭილაშვილი. ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი, თბილისელი, სომეხი წარმოშობით, არტემ ახნაზაროვი, ჩიორა, რომელიც ათრევდა ილიას უურნალებს, იყო ტექნიკური რედაქტორი, კარგი სტილისტი, დრამატურგი, ის ქართველია, საქართველო უყვარდა.

ნათელა ვაჩნაძე: იღწვოდა.

გიორგი მარჯანიშვილი: უყვარდა და იმიტომ იღწვოდა. მას შეეძლო სხვა ბანაკში ყოფილიყო, სხვაგან წასულიყო. არც ფული აკლდა, არც ენერგია, არც ჯანი. არა, ის საქართველოსთვის შრომობდა, იყო ილიას მარჯვენა ხელი. ის ქართველია. ამისთანა ქართველი გვყავდა, კრწანისის ველზე დაეცა, სხვამ იკითხოს, გაბრიელ მაიორი, ერეკლე II-ის კარის რეჟისორი, დასის ხელმძღვანელი. გიორგი XII კრწანისში ქეიფობდა. ის სომეხი, კრწანისის ველზე სამას არაგველებთან ერთად დაცემული, უფრო ქართველია, თუ გიორგი XII. მე მგონი, გაბრიელ მაიორი.

ნათელა ვაჩნაძე: კარგით. ხომ არ გსურთ, კიდევ რაიმე ბრძანოთ უშუალოდ გადატრიალების შესახებ ან იმ პერიოდის საქართველოს შესახებ, როდესაც თქვენ იყავით ხელისუფლებაში?

გიორგი მარჯანიშვილი: გადატრიალება რთული ფენომენია. გადატრიალებები იოლად არ იწყება და არ მთავრდება. კიდევაა მოსალოდნელი გადატრიალებები – გადატრიალება ცნობიერებაში, სილრმისეული გადატრიალებები. ისევ, მაგალითად, ვიღაცამ მოკლა გაბრიელ ისაკაძე. ეს სამწუხარო რეალობაა. ამის დაუფასებლობა, იმან რაც გააკეთა, ეროვნული დროშა რომ აღმართა...

ნათელა ვაჩნაძე: როდის მოხდა ეგ?

გიორგი მარჯანიშვილი: არჩევნებამდე, მე მგონი, წელი აღარ მახსოვს და მერე მოკლეს, გაბედეს, დემოსტრატიულად მოკლეს. მე ფაქტს ვამბობ, სიმბოლური ფაქტია. დიდი ეროვნული მოძრაობა იყო აგორებული, მზადდებოდა ეს ყველაფერი. მასე მახსოვს, ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, შეიძლება, შევცდე. მაგრამ ფაქტია, არჩევნებამდე, თუ

არჩევნების შემდეგ, სულ ერთია. სახელმწიფომ უნდა სცეს პატივი მაგისტრანტა ხალხს, ერმა პატივი უნდა სცეს.

ნათელა ვაჩნაძე: დავწეროთ წიგნში და ეს იქნება პატივისცემა, მეტი ჩვენ რა შეგვიძლია, ძეგლს ხომ ვერ დავუდგამთ.

გიორგი მარჯანიშვილი: მერე სხვებმა უნდა იფიქრონ.

ნათელა ვაჩნაძე: იფიქრონ, მაგრამ ჯერ იმ სხვებს მეცნიერებმა უნდა გააგებინონ ამბავი.

გიორგი მარჯანიშვილი: სობჩაკის და მამაცაშვილის ძეგლის გვერდით ეგ არ უნდა იყოს უცნაური სურვილი.

ნათელა ვაჩნაძე: მე ვიცი კიდევ ასეთი შემთხვევა, ეს ძალიან პოპულარული ამბავი იყო, ყველა მოთქვამდა საშინალად. ახალგაზრდა კაცმა, გვარად აბესაძემ, თავი დაიწვა რუსთაველზე, ექიმმა. რატომ დაიწვა? როდე-საც დაინახა ქართველების ასეთი დაპირისპირება. მის შესახებაც არაფერი არ წერია.

გიორგი მარჯანიშვილი: მახსოვს. იმაზე ლაპარაკობენ, ბევრჯერ ითქვა, ამაზე კი საერთოდ არაფერი არ თქმულა. ერთხელ აჩვენეს ტელევიზიით, მაშინდელ ძველ კადრებს თუ ნახავთ. ტელევიზიით, მე მგონი, ნაჩვენები იყო, იქ შეიძლება იპოვით. მე მახსოვს ბუნდოვნად, თუ არ ვცდები, რამდენი წელი გავიდა, თითქოს იყო ტელევიზიითაც. სობჩაკის დროს, ცნობილია, ყველა წერს, პეტერბურგი იქცა რუსული ნაციის დედაქალაქად. იმისი ძეგლი დგას თბილისში. ეგეც რევოლუციაა.

ნათელა ვაჩნაძე: სობჩაკის მოყვანილია ეხლანდელი პრეზიდენტი რუსეთის. ეს ნამდვილია, მის თანაშემწედ მუშაობდა.

გიორგი მარჯანიშვილი: წერენ, წერენ ფრანგებიც, ინგლისელებიც, გერმანელებიც, ვინც ამაზე მუშაობენ. სობჩაკის ძეგლი დგას თბილისში. რუსეთის მტრობაა, მე თუ მკითხავთ. ვინც აქცია პეტერბურგი მაფიის დედაქალაქად, ის ღირსია ძეგლისა და ყველაფრისა, ეგ რუსეთის მტრობაა. რიგითმა რუსმა რა დაუშავა. მაფიის ერთი-ერთი მამათაგანი, ცნობილია, მსოფლიოშია ცნობილი, ბევრი წერს. ეგეც რევოლუციაა.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ აპირებთ ამ ქვეყანაში ცხოვრებას, ბატონო გიორგი? ეს პირადულია და თუ გნებავთ... თუ არ გნებავთ, არ გვინდა.

გიორგი მარჯანიშვილი: მინდა დაბრუნება, მაგრამ არ ვიცი როგორ და როდის. მე აქ გადამარჩინეს სიკვდილს. ბედი მქონდა, რით დავიმსახურე ღმერთის ამხელა წყალობა, არ ვიცი. ბევრი ვაჟკაცი უდროოდ წავიდა, მე ესე ვარ. დაბრუნება მინდა. მინდა იმიტომ, რომ მაინც ლამაზი სამყაროა, უძლებს. ხუთი წლის წინ რომ ვიყავი თბილისში, ისევ ვნახე სილამაზის ნაწილი, დარჩენილია, გაფრთხილება უნდა. ის ითელება, ითელება გაჭირვებით, ფსიქოზით, პოსტრავმატული სინდრომით.

წავიკითხე, რომ 93 წლის მერე გაცამეტმაგდა თუ გათექვსმეტმაგდა ფსიქიურ დავადებათა რაოდენობა ამ დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. არ მიკვირს.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ გიცდიათ აქ გენერათ, გემუშავათ?

გიორგი მარჯანიშვილი: კი, მე რაღაცებს ვთარგმნიდი ხოლმე. ვაკეთებ რაღაცებს, რაც საინტერესო მგონია. ისე არ მინდა ვიყო.

ნათელა ვაჩნაძე: რისი მონაწილეც იყავით, ის უფრო ღირებული არ იქნება, იმაზე რომ დაწეროთ? აქ თქვენ გაქვთ არაჩვეულებრივი საშუალება იმისა, რომ მთელი მსოფლიოს გადატრიალებები შეისწავლოთ.

გიორგი მარჯანიშვილი: რაღაცებები მაქვს. არაპირდაპირ აშუქებს იმას, რაც მოხდა.

ნათელა ვაჩნაძე: გამოვაქვეყნოთ.

გიორგი მარჯანიშვილი: კი, ბატონო. ეს ისეთი რამე არის, რომ პასუხ-ისმგებლობაა. ახლოდან რომ უყურებ, სწორეა. ლიცი კ лицუ ლიცა ჲ უвидათ. ახლოდან ჩანს მეჭეჭი და სილამაზე თუ გინდა, ასი მეტრით უნდა მოშორდე.

ნათელა ვაჩნაძე: გასაგებია. თქვენი ასი მეტრიდან დანახული გადატრიალება გამიკეთეთ.

გიორგი მარჯანიშვილი: მარტო გადატრიალება კი არა, უფრო მასშტაბური შეიძლება იყოს.

ნათელა ვაჩნაძე: უფრო მასშტაბური აქ არ ჩაეტევა, იმიტომ, რომ ამის სა-თაურია „დამარცხებული საქართველო“.

გიორგი მარჯანიშვილი: მაპატიეთ, ეგ პესიმიზმი არ არის... საქართვე-ლო გამარჯვებულია, არ თქვათ, რომ დამარცხებულია. გამარჯვე-ბულია იმიტომ, რომ მას აქვს ხელში იურიდიული ბრძოლის იარა-ლი. მაგ იარალის წართმევა უნდოდათ. ამ გადატრიალების მიზანი იყო, რომ საქართველოს აღარ დარჩენოდა თავისი გადარჩენისთვის იარალი. რომ დამარცხებულიყო, იარალიც აღარ დარჩებოდა მომა-ვალი ბრძოლისათვის, დღევანდელი ბრძოლისათვის. საქართველომ ომი მოიგო, ბრძოლაში დამარცხდა. ომში გამარჯვება ბევრად უფრო ფასეულია, ვიდრე... ომში გამარჯვება სტრატეგიული გამარჯვებაა. ეგ არ გაუშვათ ხელიდან. ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ის მსხ-ვერპლი ამაო არ იყო. რომ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბატონ მერაბ კოსტავას, იგივე ქალბატონ აველინა ბერდიას, იგივე გაბრიელ ისაკა-ძეს, იგივე ათას ვილაცას, არ ვიცი, ყველას გვარი აღარ მახსოვს, ღმერ-თო მაპატიე, ტყუილად არ უცხოვრია. ამ თაობას, უფრო უფროსებს და უფრო უმცროსებს, დაუტოვეს იარალი. ამდენი საუკუნეა საქართვე-ლო შენდება, კავკასია შენდება. კავკასია არის კავკასიელების შემო-ქმედების ადგილი. აი ეს რომ შეინარჩუნონ, ამის იარალი დატოვეს, ამის შენარჩუნებისათვის, ურთიერთობისათვის, კავკასიელების სოლ-

იდარობისათვის. ქაქუცას გვერდით იყვნენ ვაინახები, ჩეჩენები და ინ-გუშები. ყაზბეგთან გველეთში, პატარა სოფელი იყო, ინგუშები ცხოვ-რობდნენ. იქ იყვნენ მართლმადიდებლები და მაჰმადიანი ინგუშები. მართლმადიდებლურ დღესასწაულს ათიგენობას ერთად ზეიმობდნენ. ალავერდელი ეპისკოპოსი მარიამობაზე კავკასიის ერთიანობაზე და მთლიანობაზე საუბრობდა. აი ეგ დატოვეს კავკასიური „მრგვალი მა-გიდით“. ეგ ლირებულია. რაც არ უნდა თელონ და რაც არ უნდა ანად-გურონ კავკასია, ამას ისტორიიდან ვერ წაშლიან. ეს არის საწინდარი იმისა, რომ ქართველები და ინგუშები შეიძლება ისევ შეხვდნენ ერთ-მანეთს. ეს ძალიან დიდი ზეიმია. მე მახსოვს ალავერდში ჩამოსული ლეკები, რომლებიც სთხოვდნენ ბავშვს, ჩვენი წესი არ გვაძლევს სანთ-ლის დანთების საშუალებას და ჩვენს სახელზე დაგვინთე სანთელიო და ალავერდში ვუნთებდით მღვდლის ნებართვით და კურთხევით. მეც მახსოვს, ჩემს ბავშვობაშიაც ხდებოდა ალავერდში. კავკასიის ქცე-ვა უნდათ ერთმანეთს დარეულ მორიელებად, ველურ კაციჭამიებად. ზვიად გამსახურდია ამის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა. თვითონ ფაქ-ტი, რომ ის ამის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა, თვითონ ის ფაქტი, რომ საქართველო იურიდიულად არსებობს თუნდაც საბჭოთა საქართვე-ლოს საზღვრებში, ეს არის სტრატეგიული გამარჯვება. საქართველო არ დამარცხებულა, საქართველომ მოიგო ომი, ბრძოლა წავაგეთ. მაგ-ისთანა ბრძოლა ბევრი წაუგია საქართველოს და არსებობს. ღმერთმა ქნას, რომ იარსებოს.

ნათელა ვაჩნაძე: მე მგონი, ომის მოგების ერთ-ერთი იურიდიული საფუძვე-ლი ისიც არის, რომ უზენაესმა საბჭომ კი არ შეწყვიტა თავისი არსებო-ბა, არ დანებდა....

გიორგი მარჯანიშვილი: ეგეც არის, არ გადამდგარა. სომხები გადადგნენ, მაგალითად.

ნათელა ვაჩნაძე: ...და განაგრძო თავისი არსებობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეჩენეთში კონკრეტულად. თუმცა კი ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ძალიან პესიმისტურად უყურებდა და უყურებს და ამ-ბობს, რომ ეს უზენაესი საბჭოს კარიკატურაა.

გიორგი მარჯანიშვილი: რაც უნდათ, ის იძახონ, ენას ძვალი არა აქვს. კი, ბა-ტონო, დამარქვან კარიკატურა. როცა ზარბაზანს გესვრიან და კარი-კატურად დარჩები, ეგეც გამარჯვებაა. ეგეც მაგათი დამარცხებაა. ხომ გადარჩა ის საბჭო.

ნათელა ვაჩნაძე: სულ ამაზე ლაპარაკი, რომ კანონიერი ხელისუფლება არ ჩაპარდა. ე. ი. ის ლეგიტიმური ხელისუფლება არსებობს.

გიორგი მარჯანიშვილი: ეს იმას არ ნიშნავს, რომ იარაღი ავილო ხელში და ვესროლო ნინო ბურჯანაძეს.

ნათელა ვაჩნაძე: არა, ამაზე არავინ არ ლაპარაკობს. ჯერ ერთი, ვერც ესვრი ნინო ბურჯანაძეს, იმიტომ, რომ ეხლა საქართველო სულ სხვა არის,

ეხლა გაცილებით უფრო ძლიერია საქართველო, იმიტომ, რომ ისეთი პოლიცია ჰყავს საქართველოს ეხლა, რომ ნინო ბურჯანაძეს კი არა, მწერს ვერავინ მიეკარება უზენაეს საბჭოში.

გიორგი მარჯანიშვილი: ეგ მართალია, ეგეც გამარჯვებაა.

ნათელა ვაჩნაძე: მეც ესე ვფიქრობ, რომ ეგეც გამარჯვებაა. ეგ უზენაესი საბჭო ეხლა გადმოტანილი არის თბილისში.

გიორგი მარჯანიშვილი: მე მაგაში მონანილეობას ვერ ვიღებ, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ძნელია ეს ყველაფერი და მერე არ მინდა. ყველას თავისი გზა აქვს. პატივსა ვცემ, უნდა იყოს, ეგ უნდა დარჩეს სიმბოლურად, მე ასე მგონია. ალბათ მოვა სულ სხვა თაობა. თქვენმა წიგნმა ხელი უნდა შეუწყოს თაობის გაზრდას, ვინც მერე ახალ ლეგიტიმურობას ჩაუყრის საფუძველს. ჩემი აზრით, ეხლა მთავარი არის, რომ – ვინ უფრო კანონიერია, ვინ ნაკლებად კანონიერია კი არა – თვითონ საქართველომ, როგორც გარემომ, ისტორიულ-კულტურულ-პოლიტიკურმა გარემომ, იარსებოს. ეხლა მთავარი ეგ არის.

ნათელა ვაჩნაძე: სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

გიორგი მარჯანიშვილი: ხვალე კოსოვო რომ მიიღებს დამოუკიდებლობას, რას გააკეთებს პუტინი, კაცმა არ იცის. ამ პირობებში ამაზე უნდა ვიფიქროთ, მე მგონი, ყველამ. ერთ-ერთ უზენაესი საბჭოს სხდომაზე ვთქვი – დამოუკიდებლობა თუ დემოკრატია – დემოკრატია არის პროცესი. საუკუნეები დასჭირდა დემოკრატიის გამომუშავებას. ერთ-ერთ დემოკრატიად ითვლება რობესპიერი, რომელიც იყო იაკობინელი მხეცი, ტერორის გამჩადებელი საფრანგეთში. დემოკრატიაზე სხვა-დასხვა წარმოდგენა არსებობს, მისი ცნების ევოლუცია ხდება, დამ-კვიდრება უნდა, უნდა ნიადაგის მომწიფება. ეს პროცესია, არ არის იოლი, მტკიცნეული პროცესია. არ არის ეს კამფეტების დარიგება და დეკრეტებით რაღაცა მდგომარეობის გამოცხადება. აქ ლაპარაკია სხვა რამეზე. აქ ლაპარაკია, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. მემკვიდრეობა, მამამ რომ დაგიტოვათ, შეიძლება იმისი გაფლანგვა და მოსპობა, შეიძლება იმისი რამენაირად შენარჩუნება. რა არის მთავარი. რაც დაგვიტოვეს წინაპრებმა, ის მაქსიმალურად შევინარჩუნოთ. ეს არის პრინციპული საკითხი. პრინციპული საკითხი ის არის, რომ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ქართველიც ადამიანია.

ნათელა ვაჩნაძე: ბატონო გიორგი, თქვენ გაქვთ აქ რაიმე საშუალება, რომ დაიცვათ საქართველოს ინტერესები საფრანგეთში?

გიორგი მარჯანიშვილი: აქტიურობის საშუალება არ არის. ეგ ცალკე თემაა, სხვა სალაპარაკოა. ხდება, არამყვირალა რაღაცები კეთდება, მაგრამ ალბათ შეიძლება მეტის გაკეთება. მთავრობარომ იჯდა აქა, იმისი ფონი უშლის ხელს. 1933 წლამდე საქართველოს ჰყავდა ორი მთავრობა. აქ ძალიან აქტიური მთავრობა იჯდა პარიზში. სოციალ-დემოკრატებიც,

ეროვნულ-დემოკრატებიც, სოციალისტ-ფედერალისტებიც, ყველა, ვინც იყვნენ აქა, ბევრი რაღაცა ჰქონდათ და ბევრ რაღაცას საერთოს აკეთებდნენ. საერთო კავკასიური მოძრაობა იყო. ასე რომ, ალბათ რაღაცა იქნება მომავალში. გავიდა დრო, შეიცვალა გარემო. 33 წლის მერე ამბები დატრიალდა, საბჭოთა კავშირი აღიარეს. მერე მიუნხენის ტრაგედია, ჰიტლერს რომ გაურიგდნენ, ჩეხოსლოვაკია რომ აჩუქეს. მერე სტალინს დაუახლოვდნენ, მერე სტალინმა დადო ხელშეკრულება. ამან ყველაფერმა იმოქმედა, ცხადია, მსოფლიო პოლიტიკამ. მერე წავიდა ის დიდი აქტიური თაობა. რაც მაშინ შესაძლებელი იყო, მერე შესაძლებელი აღარ იყო.

ნათელა ვაჩნაძე: ეხლა აქ არის რაღაცა ჯგუფი ქართველების, რომლებიც რაღაცას აკეთებს?

გიორგი მარჯანიშვილი: არის, რაღაცებს აკეთებენ, საღამოებს ატარებენ, შეხვედრები აქვთ, ურთიერთობა აქვთ ფრანგებთან, ქართველებთანაც.

ნათელა ვაჩნაძე: წინამდლოლი ვინ არის ამ სათვისტომოსი?

გიორგი მარჯანიშვილი: წინამდლოლი არის ბატონი ოთარ ზურაბიშვილი. არის უორდანიას ინსტიტუტი.

ნათელა ვაჩნაძე: კიდევ ლევილში არის ნათელა უორდანია.

გიორგი მარჯანიშვილი: ნოეს შვილიშვილის კიდევ, გვარი არ მახსოვს. იქ არის ცენტრი, ისიც აქტიურია, ისიც რაღაცას აკეთებს. არის საიტები ფრანგულად, ბატონი ოთარ პატარიძე აკეთებს. „სამშობლო“ — ასეთი საიტი აქვს ფრანგულად.

ნათელა ვაჩნაძე: და გაზეთი რაიმე?

გიორგი მარჯანიშვილი: გაზეთი არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: „გუშაგი“ რომ იყო ძველად, აღარ არის?

გიორგი მარჯანიშვილი: აღარ არის. არის მელუა, მირიან მელუა. ის ლევილთან ცხოვრობს, პარიზში არ არის.

ნათელა ვაჩნაძე: თქვენ არ იბეჭდებით არსად?

გიორგი მარჯანიშვილი: მე არა.

ნათელა ვაჩნაძე: მე მიხარია, რომ თქვენ არა გაქვთ არსად აქ დაბეჭდილი მთელი ეს... რატომ მიხარია და ჩემი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე. რომ ყველაფერი ის, რისი თქმაც თქვენ გინდათ გარკვეული პერიოდის საქართველოს ისტორიაზე, პირველად ჩვენს წიგნში იქნება. ამ იმედით გშორდებით თქვენ.

გიორგი მარჯანიშვილი: დიდი მადლობა.

ნათელა ვაჩნაძე: დიდი მადლობა თქვენ.

პირთა საძიებელი

ა

- აბაშიძე ასლან 257
აბაშიძე ირაკლი 38
აბსანძე გურამ 48,83,84,161
აბულაძე თამაზ 216
აბულაძე თენგიზ 214
ადამია ვაჟა 190,222,319,415,416
ადამია რეზო 415
ადვაძე ვალერიან 320,321
ათათურქი ქემალ 457
აირიკიანი 462
აკობია ნატო 63
ალასანია მამია 214
ალექსანდრე ბატონიშვილი 266
ალექსიძე ლევან 184,311,365
ალექსიძე მერაბ 20
ამირეჯიბი ჭაბუა 269
ანდრიაძე ირაკლი 226
ანდროპოვი იური 448
ანდლულაძე 32
ანდლულაძე ლია 409
არჩვაძე მანანა 38,49,194,258,272,313,391
არჩვაძე ლელე 9,194
არძინბა ვლადისლავ 263,338
ასათიანი აკაკი 18,49,79,80,211,212,301,398,
ასათიანი კახი 48,331
ასათიანი ლევან 139
აფაქიძე ანდრია 423
აფრასიძე ბიმურზა 429
აფხაზავა ბაჩა 427
აქუბარდია დავით 411
აქუბარდია თამაზ 411
აშბა ასტამურ 234,235
აჩბა ზურაბ 458
ახნაზაროვი არტემ (ჩიორა) 468

ბ

- ბაგრატიონი 468
ბადრიშვილი ბიჭურ 436
ბათიაშვილი ორაკლი 50,103,218,225,315,347,402
ბარაბაძე ანზორ 313
ბარათაშვილი პაატა 427
ბატკინი ლეონიდ 61,353
ბასილია თემურ 144
ბაუზბეკი 29,170
ბაქრაძე აკაკი 114
ბაქრაძე პარმენ 312
ბახტაძე ვახტანგ 98
ბედია 71
ბეიკერი ჯეიმს 25,28,34,44,126,342,343,350,357
ბეპაევი რუსლან 136,171,276,280
ბეჟაშვილი ლევან 89
ბერდია აველინა 470
ბერეზოვსკი ბორის 445
ბერია ლავრენტი 36,438,455,457,458
ბერია სერგო 438
ბერიძე ვახტანგ 442,466
ბერძენიშვილი დავით 49,177,330,366
ბერძენიშვილი პავლე 312
ბობოხიძე აკაკი 246,324
ბოკერია გიგა 367,408
ბოკუჩავა ზვიად 113
ბონაპარტი ნაპოლეონ 184
ბონერი ელენი 438
ბჟეზინსკი ბზიგნევ 130
ბრეუნევი ლეონიდ 220,448,460
ბუდალაშვილი კაკო 316
ბუკოვსკი ჩარლზ 459,460
ბულია 71
ბულონელი გოტფრიდ 177
ბურბულისი ანატოლი 41,120,190, 175,176
ბურჭულაძე ნემო 84,360,361,398
ბურჯანაძე გიორგი 123
ბურჯანაძე ნინო 471
ბუში ჯორჯ 22,25,42,44,55, 63,82,123,126,129,130,168,182,352,354,
356,374
ბლაშბა ბუხუტი 465

- გაბაშვილი ვალერიან 403
 გაბაშვილი კოტე 367
 გაბაშვილი მანანა 408
 გაბაშვილი ნოდარ 403
 გაბრიელ მაიორი 468
 გაბრიჩიძე ნუგზარ 245
 გამრეკელი გიორგი (მამა გიორგი) 420
 გამსახურდია გიორგი 91,258
 გამსახურდია ზვიად 7, 8, 10, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26,
 27, 29, 31, 33, 34, 35, 36, 37, 38, 40, 41, 42, 44, 46, 47, 48, 51, 52, 53, 54, 55, 56, 58,
 59, 60, 61, 62, 65, 68, 69, 70, 71, 73, 74, 75, 76, 78, 79, 82, 84, 86, 87, 90, 91, 92, 94,
 98, 101, 102, 103, 105, 107, 109, 110, 111, 114, 115, 116, 122, 123, 125, 126, 12
 7, 133, 134, 135, 136, 137, 138, 140, 141, 146, 147, 148, 150, 151, 154, 156, 157,
 159, 161, 164, 165, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 175, 176, 177, 179, 180,
 181, 182, 183, 184, 185, 187, 188, 192, 209, 211, 212, 215, 223, 229, 230, 237,
 238, 239, 240, 242, 247, 251, 252, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265,
 267, 268, 271, 273, 274, 275, 276, 280, 283, 284, 288, 299, 304, 305, 307, 309,
 310, 313, 319, 320, 321, 322, 323, 325, 326, 327, 328, 329, 332, 333, 334, 335,
 347, 348, 349, 354, 355, 356, 357, 358, 361, 362, 364, 365, 368, 370, 371, 373,
 374, 376, 379, 380, 381, 383, 385, 388, 389, 390, 391, 393, 394, 395, 397, 402,
 403, 405, 406, 409, 414, 415, 415, 417, 418, 419, 420, 422, 423, 425, 426, 427,
 429, 430, 431, 432, 434, 435, 440, 442, 451, 453, 454, 457, 461, 462, 463, 466, 467
 გამსახურდია თამარ 48
 გამსახურდია კონსტანტინე 27, 36, 38, 330, 384, 456
 გამსახურდია კონსტანტინე (კოკო) 49, 258, 326, 327
 გამსახურდია ცოტნე 258, 420
 გამყრელიძე თამაზ 415
 განაპოლსკი მატვეი 419
 გარიბალდი ჯუზეპე 177
 გაჩეჩილაძე გოგი 83, 343, 352, 359
 გეგეშიძე გურამ 23, 117
 გელანტია ტარიელ 153
 გელაშვილი ნაირა 452
 გელოვანი აკაკი 305
 გეფტერი 457
 გვარამია ნიკოლოზ 89
 გვახარია გოგი 348, 349
 გველესიანი კახა 287, 289
 გვენცაძე რომან 9, 128, 129, 288, 292, 306, 309, 316, 321
 გვეტაძე (მილიციის უფროსი) 416
 გიგინეიშვილი ბაქარ 18, 29

გილაშვილი პავლე 312
გიორგაძე 53
გიორგაძე ლადო 9,10
გიორგაძე მამუკა 418
გიორგი XII 468
გოგიბერიძე იულინ 36
გოგიბერიძე მოსე 36
გოგლიძე რამაზ 125,126,456
გორბაჩოვი მიხეილ 28,31,45,61,83,84,122,124,212,258,316,318,342,
346,353,354,356,405,406,407459,460,461,462
გორგოძე შოთა 85,208,209,316
გრაჩოვი პავლე 290
გრიგალაშვილი ნოდარ 89
გუგუშვილი ბესო 16,90,93,327,376,390,399,
გუგუშვილი კოკი 140,141,146,147
გულბანი გიორგი 369,377,388,389,400
გულია გია 449
გულუა ბაკურ 206,209
გულუა 390
გულუა გია 40
გუმბარიძე გივი 313,315,316
გუშინსკი 448

ღ

დადიანი 465
დადიანი მიშა 66,67
დავით ალმაშენებელი 435
დავითაშვილი ჯუნა 450
დათუაშვილი პაატა 309
დე გოლი შარლ 289
დეკანოსიძე თამარ 112,132,423
დე კონსინი დენის 52
დელონი ალენ 183
დიუმა ალექსანდრე 171,172
დომუხოვსკი ვიქტორ 359
დუდაევი ჯოხარ 261,262,264,275,276,357,419,461,
დუმბაძე თამაზ 6,214,230,298,302
დუმბაძე ნოდარ 47,282,383,433

გ

ელცინი ბორის 26,27,40,41,45,49,122,123,124,125,129,175,176,180,
190,264,407,415,416,432,445,461

ელჩი ბეი აბულფაზ გადირდულუ ოღლი 16,180
ემინ აღა 464,468
ეპიტაშვილი თენგიზი 237
ერეკლე II 103
ესებუა გია 70,84
ესებუა გოჩა 70,84
ეშბა-ანჩაბაძე ნელი 465

3

ვაიციცკი ედუარდ 228
ვაჟა ფშაველა 266
ვასაძე (სახალხო ფრონტის წევრი) 330
ვაშაკიძე ლევან 278
ვაჩეიშვილი ალექსანდრე 311
ვაჩნაძე ნათელა 420
ვეფხვაძე ზაზა 53
ვიოლანცი ლურიანო 447
ვორონოვი 465,466

ზ

ზაკაევი ახმეტ 91
ზვამბა სოლომონ 458,459
ზურაბიშვილი ოთარ 473

თ

თავაძე რობერტ 287
თამარ მეფე 180,181
თამარაშვილი მიხეილ 437
თაქთაქიშვილი გივი 137,422,423
თარგამაძე გიორგი 461
თედეევა ოლდა 466
თემიშევი მუსა 263
თემურ ლენგი 120
თვალჭრელიძე ტატა 362
თოდუა ფრიდონ 313
თუმანიშვილი მიხეილ 465
თურქმენბაში 44
თუშმალიშვილი მედეა 139

ი

იანაევი გენადი 29,31,62,125,170,265,456
ივანენკო ვიქტორ (გრუ-ს შეფი) 212
იზორია ალვერ 72
ილია II (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) 420,428
ინაური ალექსი 199,204,228,384
ინგოროვა პავლე 105
ინწკირველი გივი 311
იოსელიანი ოთარ 30,265,266
იოსელიანი ჯაბა 12,33,53,54,55,63,64,68,81,136,146,184,207,215,
216,234,336,337,338,347,377,400,409,410,411,414,428,437,452
ისაკაძე გაბრიელ 464,470

კ

კავსაძე სანდრო 115,192
კაკაბაძე ნინია 24
კალანდია გიორგი 272
კამკამიძე 20
კასპაროვი გარი 460
კედია სპირიდონ 464
კეკელიძე ნიკუშა 24,222
კერესელიძე ნოდარ 396
კეცხოველი ნიკო 311,312
კვანტალიანი გივი 216,237
კვარაცხელია ვალერი 135,184
კვარაცხელია ზაურ 347,348
კვირაია შოთა 97,128
კვირკველია ზაურ 319
კიზირია დოდონა 23, 339,340,359,363
კიკაბიძე ბუბა 192,217,218
კიკნაძე მერაბ 423,429
კილასონია არჩილ 139
კილასონია ნიკა 139,423
კიტოვანი თენგიზ 12,18,19,20,25,39,40,46,48,50,51,55,60,63,87,97,
126,128,131,136,146,176,186,187,189,190,191,214,216,226,230,231,234,
247,251,268,279,286,293,297,298,300,302,303,322,329,336,337,368,370,
377,400,410,414,415,416,425,431,453,454,461
კლიმიაშვილი მერაბ 26,27,38
კობახიძე იუზა 56
კობერიძე ნუგზარ 114
კოპალიანი 45
კოპალიანი ჯუმბერ 318

კოსტავა მერაბ 73,74,75,79,241,260,261,313,317,328,362,393,394,
395,396,415,429,438,470

კოლუაშვილი პაატა 330

კოშკაძე მარინა 114

კრავჩუკი 35

კრუჩკოვი 31

კუხალეიშვილი 19

ლ

ლაკია გურამი 191,278

ლაკობა 457

ლანჩავა გელა 294,406,449

ლენინი ვლადიმირ 44,275,350,433,460

ლიმონოვი ედუარდ 61

ლომაია კახა 409

ლომაძე კარლო 312

ლომოური ნოდარ 29,30,193

ლომსაძე (ტელეპათი) 450

ლორთქიფანიძე გიგა 47,53

ლორთქიფანიძე მარიამ 102,199,200

ლუი XI 171

ლუი XIV 185

ლუკიანოვი ანატოლი 122,212

მ

მავროდი სერგეი 447

მაიაკოვსკი ვლადიმერ 453

მაისაშვილი გია 144,146

მაისურაძე 47

მაისურაძე ანზორ 225,226,227,234

მამარდაშვილი მერაბ 120,436

მამაცაშვილი 469

მამაცაშვილი გიორგი 319

მამულია 311

მამულია გურამ 25,114,318

მანდელა ნელსონ 34

მაო ძე დუნი 132

მარგველანი რობინზონ 327

მარდო ჟან კლოდ 462

მარლო ანდრე 468

მარშანია ადა 439

მარშანია ლორიკი 439

მაძინი ჯუზეპე 177
მაჭავარიანი მაია 112,408
მაჭავარიანი მუხრან 181,260
მგელაძე გურამ 55,208,328,336
მეგროსი 97
მეზვრიშვილი მედეა 335
მელაშვილი ირაკლი 415
მენთეშაშვილი თენგიზ 312
მესხია შოთა 106,199
მეტრეველი როინ 199,423
მილდიანი ჯულიეტა 38
მირიანაშვილი გურამ 17
მირიანაშვილი ლეილა 274
მისულტანოვი ხოჯა 261
მიტერანი ფრანსუა 28
მიტკოვა ტატიანა 448
მიქაბერიძე ალექს 81,173,325
მიქელაძე ჯიმი 330
მოლოდინაშვილი ნუგზარ 9,319,328,329,365
მროველი ლეონტი 97
მუსერიძე 306
მუტალიბოვი აიაზ ნიაზი 26,180
მუხრანელი ია 274
მჭედლიშვილი ბაადური 426,427,452

6

ნადირაძე 408
ნაზარბაევი ნურსულთან 44
ნათაძე მაია 408
ნათაძე ნოდარ 59,60,67,88,107,178,246,260,291,330,354,415,430,431,436
ნათელაშვილი შალვა 378
ნაირაშვილი 306,307,309
ნანეიშვილი მიხეილ 364
ნაჭყებია გოჩა 276
ნინუა თამაზ 216,289
ნიქსონი რიჩარდ 376
ნიშანოვი რაფიკ 440,445
ნოვოდვორსკაია ვალერია 418,419
ნოზაძე სიმონ 216

ო

- ოთხოზორია გოჩა 67,68
ომანიძე მურმან 29,49,122,123,124,170,176
ორბელიანი სულხან-საბა 183
ორჯონიქიძე იზა 38,436

პ

- პაატაშვილი თელო 25,115,116,139,416
პავლოვი 315
პაპავაძე გოგი 6,285,286,287,294,297
პატარიძე ზურაბ 111
პატარიძე ოთარ 473
პატარკაციშვილი ბადრი 445
პატიაშვილი ჯუმბერ 209,313
პატრიკევი 170,298,299
პეტრიაშვილი გურამ 91
პინოჩეტი 162
პლატონი 97
პუტინი ვლადიმირ 413,472

ჟ

- ჟვანია ზურაბ 367,408,461
ჟორდანია ირაკლი 18
ჟორდანია ნათელა 473
ჟორდანია ნოე 106
ჟორჟოლიანი თემური 18,240,332
ჟურავლიოვი 170

რ

- რაზმაძე ვახტანგ 47,48,332,333
რეიგანი რონალდ 342
რობერტი მაქსიმილიან 472
რუბენდარიო 164
რუზველტი თეოდორ 455
რჩეულიშვილი გურამ 436
რჩეულიშვილი ლევან 433
რცხილაძე დოდო 37,38
რცხილაძე ვიქტორ 91,111

ს

- სააკაშვილი მიხეილ 17,22,24,47,49, 93,94,95,115, 330,375,390
სალუაშვილი გელა 92,99
სალუქვაძე მინდია 35,417,434
სამასი არაგველი 468
სანაია ბუჭა 71,72
სარიშვილი ირინა 61,79, 224,240,242,418
სატაროვი ელცინის მრჩეველი 264
სახაროვი ანდრეი 444,457,461
სახვაძე (პოლიციელი,მაიორი) 324,325
საჯაია ნუგზარ 313
სიგუათენგიზ 21,32,46,52,55,63,88,92,109,110,117,125,126,128,131,
136,166,167,170,182,193,206,209,214,216,217,218,225,226,231,232,234,
251,264,265,266,267,272,277,280,286,291,292,293,322,324,328,329,333,
336,337,343,356,358,359,363,371,380,382,391,402,405,406,407,414,425,
426,446,447
სიკინჭილაშვილი 468
სიხარულიძე გივი 393
სკოტი ვალტერ 171,172
სობჩაკი ანატოლი 28,35,469
სორდია კუკური 76
სტავლინი დომენიკ 152,153
სტალინი იოსებ 42,74,111,175,311,446,458,460,472
სტურუჟა მელორ 271
სუდოპლატოვი პავლე 36, 455
სხირტლაძე ჯიმი 47

ტ

- ტაბიძე გალაკტიონ 164
ტერ-პეტროსიანი ლევონ 14,15,16,27,32
ტეტჩერი მარგარეტ 119,459,460
ტრუბეცკოი 457
ტუდუში თამაზ 315

უ

- უგრეხელიძე მინდია 184
უზნაძე თინა 139
უზნაძე პავლე 139
ურიდია მერაბი 246,415
უჩავა გია 287
უჩაძე ზაურ 6,287,294

ფ

- ფალავანდიშვილი მირანდა 27
ფალიაშვილი ზაქარია 446,447
ფირცხალავა 190
ფირცხალავა კოტე 365
ფირცხალაიშვილი ჯონი 47,50,51
ფოფხაძე ნუგზარ 114,133,318

ქ

- ქადაგიშვილი ირაკლი 240
ქადაგიძე თამარ 189
ქადარია ფრიდონ 66
ქათამაძე გოგი 281,291
ქართლოსი 97
ქაძევი ისა 32,259,261,262
ქაჯაია თენგიზ 276
ქვარცხავა რუსლან 205
ქობალია ვახტანგ (ლოთი) 60,70,86,87,191,192,286,303,347,348
ქობალია ზაურ 60,79,80,81,86,303,425
ქობალია ჯემალ 63,65,66,67
ქორიძე თემურ 23,190,329
ქრისტე 435
ქუთათელაძე ბესო 7,8,9,15,125,292,294,307,333,370,402,446
ქუთელია ნათელა 112
ქურდაძე მიხეილ 245
ქურციკიძე ოთარ 334
ქუცნაშვილი ზაქარია 89

ღ

- ღამბაშიძე გივი 89
ღუდუშაური ოთარი 434

ყ

- ყაზბეგი ალექსანდრე 72
ყარყარაშვილი გია 39,60,66,67,68,69,87,286,289,306,309,332
ყიფიანი 32
ყიფიანი დავით 192

შ

- შავიშვილი რეზო 126
შალიკაშვილი ოთარ 352,355
შამათავა ჯემალ 71
შამბა ატყურ 459
შანიძე ზურაბ 273,335,349
შანიძე მზექალა 408,424
შანობოვი (შანიბა) მუსა 263
შარტავა უიული 114
შაშიაშვილი თემურ 32
შახრაი სერგეი 120
შაჰ-აბასი 117
შევარდნაძე ედუარდ 10,11,12,13,14,24,25,27,28,41,45,53,54,55,56,
57,58,70,94,99,100,114,126,127,128,134,165,176,177,181,182,184,193,
194,199,210,211,218,225,226,227,264,267,268,270,271,274,284,285,291,
302,324,335,336,337,338,346,347,349,350,351,352,357,364,367,368,371,
372,379,381,383,386,387,390,405,406,408,431,443
შევარდნაძე ნანული 12
შენგელაია გიორგი 20,30,31,358
შენგელაია ელდარ 20,31,32, 133,172, 216,217,218,358
შერვაშიძე 466
შერვაშიძე გიორგი 439,466
შერვაშიძე ლეო 466
შველიძე დიმიტრი 37, 281, 308,309
შირაკი ჟაკ 275
შტირლიცი 455
შურლაია ვალტერ 59,96,113,411,424,425

ჩ

- ჩაგელიშვილი თომა 335
ჩარკვიანი ჯანსულ 316
ჩაუშესკუ ნიკოლაი 240,380,418
ჩაფიძე გულიკო 398
ჩაჩავა თენგიზ 365
ჩაჩბა 466
ჩინგიზ-ხანი 175
ჩიტაია გიორგი 105
ჩიქობავა არწოლდი 105
ჩიქოვანი ირაკლი 365
ჩოლოყაშვილი კოტე 401,423
ჩოლოყაშვილი ქაქუცა 74,75
ჩორგოლაშვილი გელა 134

ჩუბინაშვილი გიორგი 433,434

ჩუხუა 259

ჩხეიძე თამარ 103,114,116,362

ჩხეიძე კარლო 111

ჩხეიძე ლენა 111

ჩხენკელი აკაკი 106

ც

ცაგარეიშვილი ვახტანგ 399

ცქიტიშვილი (გვარდიის ოფიცერი) 285

ცქიტიშვილი ავთო 294

ძ

ძაბირაძე ვახტანგ 419

ძიძიგური ზვიად 430

ძოძუაშვილი მანანა 15,290,430

ძოწენიძე 408

წ

წერეთელი აკაკი 106

წერეთელი გიგი 89

წერეთელი ირაკლი 77,135,172,240,313,452

წმინდა გიორგი 466

წონორია ავთანდილ 244

წონორია აქვსენტი 330,331

ჭ

ჭავჭავაძე ილია 106,260,263,362,468

ჭავჭავაძე ნიკო 20

ჭანტურია გია 25,26,33,53,103,109,115,135,172,184,192,215,224,
228,240,242, 313,318,323,324,332,367,418,419,466

ჭანტურიშვილი თეიმურაზ 37

ჭითანავა ნოდარ 208

ჭილაშვილი ბიჭიკო 401

ჭუმბურიძე ჯემალ 6,40,214, 302,303,306

ხ

ხაბულიანი დილარ 80,81,135,226,333

ხაინდრავა გოგა 10,33, 53,128,135,215,347,348

ხარაძე ევგენი 132,

ხატიაშვილი ოთარ 32,36,126,211,385
ხაჭაპურიძე ვაჟა 189
ხეცურიანი ჯონი 8,9,15,55,107,184,298
ხმალაძე ვახტანგ 94,126
ხოშტარია გოგი 25,27,48,49,130,432
ხოჯა ენვერ 42
ხუბუა გიორგი 6
ხუხუნაიშვილი ვანო 53

ჯ

ჯავახაძე გივი 37
ჯავახიშვილი ივანე 97
ჯავახიშვილი ლალი 187
ჯავახიშვილი ნინო 112
ჯაველიძე ელიზბარ 32,329,409
ჯალაბაძე ნათია 270
ჯანაშია სიმონ 37
ჯიქია გოჩა 65,67
ჯოლიგავა სოსო 66
ჯორბენაძე ავთანდილ 9,10
ჯორბენაძე სერგო 107,311
ჯუღელი ვალიკო 355

ჰ

ჰაველი ვაცლავ 26,41
ჰაოსი 97
ჰიტლერი ადოლფ 175,183,326,472
ჰუსეინი სადამ 11,26,380

Г

Гамсахурдия Звиад 31,32
Горбачев Михаил 31

გეოგრაფიული საძიებელი

ბ

- აბაშა 65
ავსტრია 45,432
ავღანეთი 344,351
აზერბაიჯანი 16,28,31,34,62,265,342,462,464
ალავერდი 471
ალბანეთი 16,43
ალმა-ატა 83, 397,398
ამბროლაურის რაიონი 311
ამერიკა 41,43,44,46,52,71,77,82,83,115,121,136, 130,140,168, 177,
179,180,181,203,221,309,340,342,343,345,346,349,350,351,354,356,358,
371,372,374,379,380,386,438
ამიერკავკასია 39,40
ანჟი 266
აფრიკა 193,291
აფხაზეთი 12,25,36,55,66,78,89,94,95, 103,104,115,135,162,164,178,
180,190,220,238,268,269,271,291,295,296,302,303,307,337,338,346,349,
350,351,371,387,405,409,411,413,450,453,459,466
აფხაზეთის სამეფო 105
აღდგომიანთქარი 230
აღმოსავლეთ საქართველო 78
აშშ 17,33,34,42,46,48,111,123,128,203,211,219,220,340,374,380,388
აჭარა 8,95,256,257,295
ახლო აღმოსავლეთი 219,220

ბ

- ბაგამის კუნძულები 182
ბალკანეთი 104
ბალტიის ქვეყნები 127
ბალტიისპირეთი 137,155,172,267,297,340,341,375,376,439
ბათუმი 8,66,159,256,295
ბაქო 126,342
ბაქო-ჯეიპანი 116
ბარისახო 285,286

ბაჰრეინი 219,220
ბელგია 17,464
ბელორუსი 29,84
ბზიფი 458
ბოსნია 43
ბოსნია-ჰერცოგოვინა 103
ბრეტონსკუდი 143
ბრიუსელი 464

გ

გაგრა 307
გალი 48,66,76,295,300
გალის რაიონი 100
გერმანია 28,42,119,153,200,203,342
გვატემალა 163
გველეთი 470
გონიო 257
გორი 446
გროზნო 70,99,171,263,264,266,273,432,462
გროზნოს ქუჩა 259
გურია 57
გურიის სამთავრო 105
გურჯაანი 208

დ

დაგომისი 101,107
დანია 27
დასავლეთ საქართველო 55,63,192,262
დაღესტანი 42,266
დიდი ბრიტანეთი 42,43
დინამო (სტადიონი) 305
დნეპროპეტროვსკი 116
დსთ 120,129

ე

ევროპა 30,33,43,44,53,82,163,183,203,265,342,357,432,439
ელისეს ველები 279
ერაყი 11, 219,220,221,351
ერგნეთი 101

ერევანი 39
ესპანეთი 43

გ

ვაკის პარკი 241,242
ვაშინგტონი 166,371
ვერცხლის ქუჩა 423
ვორონეჟი 39

ზ

ზანდუკელის ქუჩა 395
ზესტაფონი 58,78
ზუგდიდი 63,65,66,67,68,69,71,73,75,78,190,191,286,300,410,411,422

თ

თავისუფლების მოედანი 280,402
თათარისტანი 122
თარხნიშვილის ქუჩა 395
თბილისი 7,39,47,54,56,64,70,75,78,79,84,101,116,126,129,139,150,
158,159,174,187,190,192,228,236,237,239,244,250,259,261,262,264,271,
276,277,279,280,286,295,302,303,306,311,314,315,316,334,339,342,347,
365,367,386,395,397,399,404,410,435,442,446,465,469,471
თბილისის ზღვა 38,39,87,251,272,279,281,288,306,307,330,356,370,
414,431
თურქეთი 43,105,162,256,386
თურქმენეთი 104,127
თუშეთი 104

ი

იერუსალიმი 177
იკორთის ტაძარი 397
იმერეთი 57,64
იმერეთის სამეფო 105
ინგლისი 168,203,271,316,339
ინგუშეთი 259,260
ინდიანა 339
იორდანია 207,219
ირანი 351
ირლანდია 43
ისანი 48

ისრაელი 219,220,232
იტალია 94
იუგოსლავია 351
იჩქერია 265

პ

კავკასია 31, 101,103,105,212, 259,262,264, 268,270,271,273,276,
351,357,470,472
კალინინის ქუჩა 396
კატალონია 43
კახეთი 366
კვიპროსი 43
კიევი 355
კოდორის ხეობა 288
კოლმეურნეობის მოედანი 423
კოსოვო 43,472
კრემლი 124,170
კრწანისი 222, 463,468
კუბა 43

ლ

ლაგოდეხი 464
ლათინური ამერიკა 162,163,177
ლანჩხუთი 300
ლენინგრადი 28,283,295,451
ლენინის მოედანი 423
ლესია უკრაინკას ქუჩა 401
ლივანი 219
ლიტვა 432
ლონდონი 259

გ

გალაკნების ბაზარი 259
გამისონი 104
განკეტენი 153
გარნეული 39
გარუბი 104
გარქსის მოედანი 423
გარჯანიშვილის მოედანი 233
გესხეთი 104

- მთაწმინდა 277,327,328,401
მიუნენი 472
მოსკოვი 25,27,28,29,31,32,36,38,56,61,85,97,114,116,119,123,125,
126,133,160,166,169,172,180,182,193,213,220,221,232,240,257,281,282,
283,293,309,313,314,322,339,342,343,390,410,419,429,440,443,445,446,
447,448,453,454,465
მოსკოვის ოლქი 119
მოსკოვის ქუჩა 173,241
მუცოს ხეობა 299,300
მცხეთის რაიონი 231
- გ
- ნალჩიკი 266
ნაზრანი 266
ნიკარაგუა 163,164
- ო
- ოსეთი 42,101,405
- პ
- პანკისის ხეობა 100,104
პარიზი 33,127,279,463,472
პეტორის ლავრა 283
პეტერბურგი 22,469
პოლონეთი 24,43,402
პრაღა 132
- რ
- რაჭა 259
რიკოთი 262
რკონი 60,86,240,286
რკონის ხეობა 300,301,322
როკის გვირაბი 104
როსტოვი 443
რუსეთი 8,13,14,34,40,41,43,45,46,67,77,84,85,88,91,103,104,105,
111,119,120,122,124,135,136,143,165,176,186,193,211,219,221,236,255,
264,265,266,274,275,284,285,287,289,301,305,309,337,338,340,341,342,
345,346,347,348,349,350,351,356,366,371,372,373,374,375, 386,389,391,
403,412,413,442,448,449,457,458,460,469
რუსეთის იმპერია 383,438,467

რუსეთის ფედერაცია 236,254,255,438
რუსთაველის გამზირი 171,234,274,420,446,452,469
რუსთავი 300

ს

საბერძნეთი 162
საბურთალოს რაიონი 333
საბჭოთა კავშირი 19,26,42,56,66,83,85,86,89,94,120, 122,123,130, 157,160,165,166,178,179,180,181,182,196,203,207,212,213,219,220, 255,290,296,320,321,341,342,344,351,375,376,403,407,415,437,438,448, 456,457,459,462,472
სადგურის მოედანი 233
სალვადორი 163
სამაჩაბლო 66,296,349,371
სამეგრელო 56,57,62,63,64,65,66,68,69,71,76,77,78,82,234,238,239, 264,385,390,410,411,429
სამტრედია 284,300
სამხრეთ ამერიკა 291
სამხრეთ- აღმოსავლეთი ევროპა 163
სამხრეთ კავკასია 264
სამხრეთ ოსეთი 95,105,164,165, 253,254,255,405
სამხრეთი ევროპა 162, 163
საუდის არაბეთი 219,220
საფრანგეთი 26,27,45,94,119,142,168,183,203,329,432,472
საქართველო 11,12,13,14,16,17,19,27,28,30,32,33,34,35,36,38,41, 43,44,46,52,62,69,71,74,75,82,83,84, 85,86,89,90,92,93,94,95,96,99,100, 103,104,105,106,108,115,119,120,121,122,124,125,126,127,129,130,132, 134,136,137,139,140,141,143,147,151,154,155,156,157,158,159,172,177, 178,181,182,187,196,197,198,199,203,205,207,212,213,214,216,219,220, 221,226,229,236,237,240,255,262,264,265,266,269,270,271,273,274,275, 280,281,282,289,291,293,294,295,296,297,298,303,304,308,309,314,317, 319,320,321,322,323,330,334,335,336,337,338,339,340,341,343,344,345, 346,347,348,351,354,355,356,358,359,364,367,368,369,370,372,373,376, 379,380,382,386,387,389,391,392,393,398,402,403,405,408,410,412,413, 414,420,422,424,428,429,431,436,438,439,440,441,442,443,448,449,451, 453,455,459,460,461,464,465,467,468,470,471,472,473
სენაკი 300
სვანეთი 259
სირია 105
სლოვენია 24
სმოლენსკი 37,161,171,229,230,233,384
სნგ 83,84,85,89,290,405

სომხეთი 14,28,31,34,35,39,62,154,265,430,462
სოხუმი 43,66,69,177,233,263,307,349,350,456
სპარსეთი 105,118
სსრკ 121,127,129,130,314

ტ

ტყიბული 54,312

უ

უკრაინა 8,29,30,34,44,341,355
უნგრეთი 167
ურალი 22,120
უფა 42

ფ

ფინეთი 381
ფოთი 29,58,71,72,307

ქ

ქართლი 105
ქართლ-კახეთის სამეფო 105
ქაშუეთის ეკლესია 84, 85,377,420
ქვემო ქართლი 238
ქლუხორი 104
ქობულეთი 229
ქუვეითი 219,220
ქუთაისი 8,62,78,266,280,307,324

ღ

ღალიძეა 79

ყ

ყაზანი 42
ყაზახეთი 13
ყაზბეგი 61,123,432,470
ყარაბაღი 439,462
ყარაჩაი-ჩერქეზეთი 263
ყვარლის რაიონი 451
ყირიმი 42
ყირიმის სახანო 42

გ

შავნაბადა 39,179,299,302
შევჩენკოს ქუჩა 401
შიდა ქართლი 405

ჩ

ჩერქესზესკი 263
ჩეჩენეთი 42,104,122,180,264,265,274,288
ჩეხეთი 24
ჩეხოსლოვაკია 472
ჩილე 162
ჩინეთი 341
ჩოხატაური 300
ჩრდილო კავკასია 42,259,262,264,265,266,271
ჩრდილო კორეა 24,43,134,138

ც

ცაიში 65
ცხინვალი 43,89,101,115,116,180,306,397,440,467
ცხინვალის ოლქი 95
ცხინვალის რეგიონი 100,255

ძ

ძერუინსკის ქუჩა 423

წ

წალენჯიხა 411
წყნეთი 20,29,113

ხ

ხაშური 78
ხობი 276
ხონი 64,70

Х

Хаузебишвили с ქუჩა 173,241,395

Э

Эриоджи 242

Эрლисиნжи 33,127,183,381

Эрლабндია 17

Эрнდურასი 163

Б

Баку 125

Г

Грузия 357,358

Р

Россия 281,282,440

С

СССР 31,95

Т

Тбилиси 125

Ч

Чечено-Ингушетия 357